

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი
IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY
PAATA GUGUSHVILI INSTITUTE OF ECONOMICS

ინსტიტუტის დაარსების დღისადმი მიძღვნილი
საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის
მასალების კრებული

ინოვაციური ეკონომიკა და მისი ფორმირების პრობლემები
პოსტკომუნისტურ ქვეყნებში
(1-2 ივლისი, 2016)

**Proceedings of Materials
of International Scientific-Practical Conference
Dedicated to the Foundation of the Institute**

**INNOVATIVE ECONOMY AND PROBLEMS OF ITS FORMATION
IN POST-COMMUNIST COUNTRIES
(1-2 July, 2016)**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა

**PUBLISHING HOUSE OF PAATA GUGUSHVILI INSTITUTE
OF ECONOMICS OF IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY**

თბილისი Tbilisi

2016

UDC (უპკ) 338(47+57)33(479.22)(063)

პ – 645

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის სახ. ეკონომიკის ინსტიტუტში 2016 წელს გამართულ საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციაზე წაკითხული მოხსენებების მასალები

Materials of reports made at the international scientific-practical conference held at Paata Gugushvili Institute of Economics of Ivane Javakhishvili Tbilisi State University in 2015

სამეცნიერო-სარედაქციო კოლეგია: რ. აბესაძე (მთავარი რედაქტორი), ნ. არევაძე, თ. არნანია-კეპულაძე, ნ. ბიბილაშვილი (პასუხისმგებელი მდივანი), შ. გოგიაშვილი, ლ. დათუნაშვილი, გ. ერქომაიშვილი, ე. კაკულია, მ. კვარაცხელია, ალ. კურატაშვილი, თ. ლაზარაშვილი, ი. ნათელაური, ს. პავლიაშვილი, ვლ. პაპავა, ს. პარტიცკი, ა. სილაგაძე, დ. სოროკინი, ქ. ქველაძე, ნ. ხადური, მ. ხუსკივაძე, თ. ჩხეიძე

Scientific-editorial Board: R. Abesadze (Editor-in-Chief), N. Arevadze, T. Arnanian-Kepuladze, N. Bibilashvili (Executive Secretary), T. Chkheidze, L. Datunashvili, G. Erkomaishvili, Sh. Gogiashvili, E. Kakulia, K. Kveladze, N. Khaduri, M. Khuskivadze, Al. Kuratashvili, M. Kvaratskhelia, T. Lazarashvili, I. Natelauri, V. Papava, S. Partycki, S. Pavliashvili, A. Silagadze, D. Sorokin

რეცენზენტები: ემდ ვ. ბურდული
ემდ გ. ბერულავა

**Reviewers: Doctor of Economic Sciences V. Burduli
Doctor of Economic Sciences G. Berulava**

კონფერენციის საორგანიზაციო ჯგუფი:
თ. გოგოხია (ხელმძღვანელი), ნ. კედია, ე. ჯაბანაშვილი, მ. ბაღათურია

**Organizing Group of the Conference:
T. Gogokhia (Head), N. Kedia, E. Jabanashvili, M. Bagaturia**

© ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
პაატა გუგუშვილის ეკონომიკის სახელობის ინსტიტუტი, 2016

© IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY
PAATA GUGUSHVILI INSTITUTE OF ECONOMICS, 2016

ISBN 978-9941-13-521-7

პოსტსაბჭოთა ქვეყნების ინოვაციური პოლიტიკა

შესავალი

ყველა ქვეყანა, მიუხედავად იმისა, განვითარების თუ რა დონეზე იმყოფება, თანამედროვე პირობებში უნდა ცდილობდეს, ჰქონდეს საკუთარ კვლევებზე დაფუძნებული ეფექტიანი ინოვაციური სისტემა. ამისათვის მთავრობამ უნდა შექმნას პირობები ინოვაციური საქმიანობის გასაძლიერებლად, ეკონომიკაში ინოვაციური მდგენელის გასაზრდელად. უპირველეს ყოვლისა, მთავრობამ უნდა განსაზღვროს ქვეყნის ინოვაციური პოლიტიკა და ამის საფუძველზე ჩამოაყალიბოს ინოვაციური განვითარების სამართლებრივი ბაზა.

ინოვაციებს ადგილი ჰქონდა უხსოვარი დროიდან, მაგრამ, ინოვაციიდან ინოვაციამდე დროის პერიოდი ძალიან დიდი იყო (იხ. ცხრილი). ათასწლეულები იყო საჭირო მომდევნო ინოვაციის დადგომამდე. თუმცა, ამ პერიოდის სიდიდე თანდათან მცირდებოდა და ათასწლეულებიდან იგი რამდენიმე წელიწადამდე დავიდა. ამ მხრივ აღსანიშნავია ინდუსტრიული ცივილიზაციის შემდგომი პერიოდი – პოსტინდუსტრიული საზოგადოება. ამ საზოგადოებისათვის დამახასიათებელია მაღალ-განვითარებული საბაზრო ეკონომიკა და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების უდიდესი დონე. იგი ეფუძნება: ცოდნას, ინოვაციების ნაკადს, ტექნოლოგიების, ინფორმაციის, ინსტიტუციების, ადამიანისუფლი კაპიტალის, წარმოების ორგანიზაციის, პროდუქციისა და ა.შ. გამუდმებულ სრულყოფას; მეცნიერთა და ნოვატორთა ინტელექტუალურ შრომას და არა უბრალოდ კაპიტალს. მეცნიერება, გამოგონება, ინოვაცია - ასეთ ეკონომიკაში განვითარების ერთიან ორგანულ ფაქტორს წარმოადგენს. ამიტომაც, რომ ამ საზოგადოების შესაბამის ეკონომიკას ინოვაციურ ეკონომიკას უწოდებენ.

დღევანდელ მსოფლიოში განვითარების მიხედვით ქვეყნები მეტად უთანაბროდ გამოიყურებიან და ამიტომ, განვითარების დონის მიხედვით, ისინი ძირითადად დაყოფილია განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებად. ცალკე გამოყოფენ პოსტკომუნისტურ ქვეყნებს ანუ იმ ქვეყნებს, რომელთაც უარი თქვეს მბრძანებლურ-ადმინისტრაციულ ეკონომიკურ სისტემაზე და საბაზრო ეკონომიკაზე გადავიდნენ. სწორედ განვითარებადი და პოსტკომუნისტური ქვეყნების ამოცანას წარმოადგენს ინოვაციურ ეკონომიკაზე გადასვლა. თუმცა, ეს პროცესი საკმაოდ რთულია, ვინაიდან იგი მოითხოვს ძირეული, სიღრმისეული თვისებრივი ცვლილებების განხორციელებას, მაღალი დონის სამეცნიერო პოტენციალის, განვითარებული ტექნოლოგიების, მეცნიერებასა და წარმოებას შორის უწყვეტი და ძლიერი კავშირების არსებობას, რაც, ბუნებრივია, ეკონომიკური განვითარების გარკვეულ დონეზე მიიღწევა. ამ პროცესის დაჩქარებაში მთავრობის როლი ძალიან დიდია. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ იმ ქვეყნებში, სადაც მთავრობებმა შეძლეს თვისებრივი ცვლილებების განხორციელება, სწრაფად დაწინაურდნენ, ხოლო ის ქვეყნები, რომელთა მთავრობებმა რეფორმების გზაზე დაუშვეს შეცდომები და ვერ შეძლეს თვისებრივი ცვლილებების გატარება, ჩამორჩნენ.

განსაკუთრებულ მადგომას საჭიროებს პოსტსაბჭოთა ქვეყნები, ვინაიდან ეკონომიკის მბრძანებლურ-ადმინისტრაციული სისტემა ყველაზე მკაცრი ფორმით ამ ქვეყნებში არსებობდა, ამიტომ ინოვაციურ ეკონომიკაზე გადასვლის პროცესი აქ ძირითადად რთულად მიმდინარეობდა, თუმცა მდგომარეობა ამ ქვეყნებშიც განსხვავებულია. მაგალითად, ლიტვამ, ლატვიამ და ესტონეთმა შეძლეს, შეექმნათ საკმაოდ განვითარებული ეროვნული ინოვაციური სისტემა, გახდნენ ევროკავშირის წევრები და ეს სისტემები ამჟამად ევროკავშირის ერთიან ინოვაციურ სისტემაში ფუნქციონირებენ. ამდენად, ჩვენ მხოლოდ დანარჩენ პოსტსაბჭოთა ქვეყნებში არსებულ მდგომარეობას შევხებით, ამ ქვეყნებში არსებული ინოვაციური პოლიტიკის თვალთახედვით.

რუსეთი¹

პირველი დოკუმენტი, სადაც გამოხატული იყო რუსეთის მთავრობის ინოვაციური სახელმწიფო პოლიტიკა, იყო ფედერალური კანონი “მეცნიერებისა და სახელმწიფო სამეცნიერო-ტექნიკური პოლიტიკის შესახებ” (1996). კანონში განსაზღვრულია სახელმწიფო ინოვაციური პოლიტიკის ძირითადი მიზნები და პრინციპები [16].

¹ მონაცემები აგამოყენებულია დოკუმენტიდან: «Стратегия инновационного развития Российской Федерации На период до 2020 года»
<http://base.consultant.ru/cons/cgi/online.cgi?req=doc;base=LAW;n=123444;fld=134;dst=100000001,0;rnd=0.8663321377780822>

ტექნოლოგიური ინოვაციები ისტორიული ეპოქების მიხედვით²

ისტორიული ეპოქა	ტექნოლოგიური ინოვაციები
მეზოლითი (10-8 ათასწლეული ჩვენს ერამდე)	მშვილდ-ისარი, ნავი, კერამიკული ჭურჭელი
ნეოლითი (7-4 ათასწლეული ჩვენს ერამდე)	მიწათმოქმედება, მეცხოველეობა, ხელოსნობა, მშენებლობა
კლასიკური ცივილიზაცია (1-ლი ათასწლეულის მე-3 შუალედიდან ახალ წელთაღრიცხვამდე)	ლითონების დნობა (სპილენძი, ბრინჯაო, ოქრო), სახინისი, სარწყავი მიწათმოქმედება, ლითონის იარაღი, ბორბლებიანი საზიდარი
ანტიკური ცივილიზაცია (1-ლი ათასწლეულის მეორე ნახევარი ჩვენს ერამდე – 1-ლი ათასწლეულის პირველი ნახევარი ჩვენი წელთაღრიცხვით)	რკინის ათვისება. რკინის შრომისა და საბრძოლო იარაღები, ფოლადი
შუასაუკუნეების ცივილიზაცია (VI-XIV სს.)	ქარის წისკვილი, საათი, ცეცხლსასროლი იარაღი, კომპასი, მრავალგეგმბანიანი ხომალდები
ადრეული ინდუსტრიული საზოგადოება (XVს.-XVIII ს.პირველი ნახევარი)	ბრძმელები, ქვანახშირი, მანუფაქტურები, არტილერია, თოფები, რევოლვერები
ინდუსტრიული ცივილიზაცია (XVIII საუკუნის უკანასკნელი მესამედი - XX საუკუნის ბოლო)	მანქანები, ორთქლის ძრავა, რკინიგზა, ელექტრობა, შიგა-წვის ძრავა, ავიაცია, ატომური ენერჯია, ბირთვული იარაღი, კომპიუტერები, ინტერნეტი

ამის შემდეგ მიღებულ იქნა ორი დოკუმენტი 1. “ინოვაციური სისტემის განვითარების სფეროში რუსეთის ფედერაციის პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები 2010 წლამდე” (2005). 2. “მეცნიერებისა და ინოვაციების განვითარების სტრატეგია რუსეთის ფედერაციაში 2015 წლამდე პერიოდით” (2006), რითაც საფუძველი ჩაეყარა ეროვნული ინოვაციური სისტემის შექმნას, კვლევებისა და შემუშავებათა სექტორის განვითარებას, ეკონომიკის მოდერნიზაციას ტექნოლოგიურ ინოვაციათა საფუძველზე. თუმცა, მსოფლიო ფინანსური კრიზისის გამო, ყველა ამ ამოცანათა შესრულება ვერ მოხერხდა. ამასთან, ადგილი ჰქონდა ინოვაციური პროცესების ფრაგმენტულობასა და არასისტემურობას. საერთოდ, რუსეთის ინოვაციური სისტემა შეიქმნა სსრ კავშირის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების, სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებებისა და საკონსტრუქტორო ბიუროების ნარჩენებზე, ამიტომ იგი ვერ აღმოჩნდა საკმარისად ეფექტიანი^[8].

აქედან გამომდინარე, 2011 წელს მიღებულ იქნა “რუსეთის ფედერაციის ინოვაციური განვითარების სტრატეგია 2020 წლამდე პერიოდით”. იგი შემუშავებულია რუსეთის ფედერაციის 2020 წლამდე გრძელვადიანი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კონცეფციის დებულებათა საფუძველზე და მოწოდებულია, განსაზღვროს ინოვაციური პოლიტიკის მიზნები, პრიორიტეტები და ინსტრუმენტები, ინოვაციური საქმიანობის სუბიექტებს მისცეს საერთო განვითარების, ფუნდამენტური და გამოყენებითი მეცნიერების დაფინანსების, შემუშავებათა კომერციალიზაციის გრძელვადიანი ორიენტირები. იგი ითვალისწინებს ქვეყნის წინაშე მდგომ სირთულეებს.

ახალი ინოვაციური სტრატეგიის მიხედვით რუსეთის ინოვაციური პოლიტიკის მთავარი მიმართულებებია: ინოვაციური განვითარების პროცესში ძირითადად “დამწვევი” პოლიტიკის განხორციელება, ხოლო ეკონომიკის ზოგიერთ სექტორში ლიდერის როლის შესრულება, სადაც არსებობს ან წარმოიშობა კონკურენტული უპირატესობა; ინოვაციური პროექტების თანადაფინანსების გაზრდა; რუსეთის ინოვაციური პროდუქტის მსოფლიო ბაზარზე წინსვლის მხარდაჭერა; ინოვაციური ინფრასტრუქტურის სრულყოფა; ფუნდამენტური და გამოყენებითი მეცნიერების განვითარება; ერთიანი სამეცნიერო და საგანმანათლებლო სივრცის შექმნა; ეროვნული ინოვაციური სისტემის საერთაშორისო ინოვაციურ სისტემაში სრული ინტეგრაცია; სახელმწიფოს, ბიზნესს, მეცნიერებასა და განათლებას შორის მჭიდრო ურთიერთობების ჩამოყალიბება და სხვ.

ბელორუსი³

ბელორუსში უკვე მეოცე საუკუნის 90-იანი წლებიდან დაიწყო ინოვაციურ ეკონომიკაზე ფიქრი, სტრატეგიულ მიმართულებად აღიარებულ იქნა ეკონომიკის დაფუძნება მეცნიერებისა და

² http://studopedia.su/20_306_epohalnie-i-bazisnie-novovvedeniya-po-istoricheskim-epoham-i-innovatsionnim-polyam.html

³ მასალები გამოყენებულია შემდეგი დოკუმენტებიდან:

1. Обзор инновационного развития Республики Беларусь
https://www.unecse.org/fileadmin/DAM/ceci/publications/icp4_r.pdf

2. “Концепция национальной инновационной системы РБ”

<https://www.google.com/search?client=opera&q=концепция+национальной+инновационной+системы+рб&sourceid=opera&ie=UTF-8&oe=UTF-8>

3. «Государственная программа инновационного развития Республики Беларусь на 2011 – 2015 годы» и др.

<http://www.government.by/upload/docs/file5a5cae06fafa4b28.PDF>

ტექნოლოგიების განვითარებაზე. ამის შემდეგ ქვეყანაში მიიღეს მრავალი ინსტიტუციური დოკუმენტი, რომელთა საფუძველზე დაისახა ინოვაციური ეკონომიკის მშენებლობის გზა. ეს დოკუმენტებია: „კანონი სახელმწიფო სამეცნიერო-ტექნიკური პოლიტიკის შესახებ“ (1993); „კანონი მცირე მეწარმეობის სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ“ (1996)“; „კანონი სამეცნიერო საქმიანობის შესახებ“; (1996); „კანონი სახელმწიფო ინოვაციური პოლიტიკისა და ინოვაციური საქმიანობის შესახებ“ (2012); „პრეზიდენტის ბრძანება ახალ და მაღალ ტექნოლოგიებზე დაფუძნებული წარმოების შექმნისა და განვითარების სტიმულირების შესახებ“ (1996); ინოვაციური პოლიტიკის კონცეფციის შესახებ 2003-2007 წლებში“ (2003); „სამეცნიერო-ინოვაციური საქმიანობის განვითარების პროგრამა“ (1996); „კანონი მცირე მეწარმეობის ინკუბატორების შესახებ“ (1997); „კანონი სამეცნიერო-ტექნოლოგიური პარკის შესახებ“ (1997); „კანონი ბელორუსიის ინოვაციური ფონდის შექმნის შესახებ“ (1997); „ინოვაციური განვითარების სახელმწიფო პროგრამა 2011-2015 წლებში“ (1998) და სხვ.

ამ დოკუმენტთა საფუძველზე ბელორუსში შეიქმნა და მოქმედებს ეროვნული ინოვაციური სისტემა. მიუხედავად წარმატებებისა, ბელორუსიის ინოვაციური საქმიანობის სფეროში არსებობს ნაკლოვანებებიც. ძირითადად ესენია: ინოვაციური მეწარმეობის სუსტი განვითარება; ინოვაციური ინფრასტრუქტურის არასრულყოფილება და სუსტი კავშირი მის ელემენტებს შორის; სუსტი კავშირები სამეცნიერო ორგანიზაციებს, განათლების დაწესებულებებსა და საწარმოებს შორის. ამჟამად, საფუძვლიანი განხილვებისა და ქვეყნის მინისტრთა კაბინეტის მიერ მოწონების შემდეგ, მიღებულია დოკუმენტი „ბელორუსიის რესპუბლიკის ინოვაციური განვითარების პროგრამა 2016-2020 წლებში“, რომელიც დიდ როლს ითამაშებს აღნიშნულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრაში.

“2021-2030 წლებში ბელორუსიის მდგრადი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ეროვნული სტრატეგიის” შესაბამისად, ქვეყნის სამეცნიერო-ტექნიკური საქმიანობის მიზანია მსოფლიოში კონკურენტული ეროვნული ინოვაციური სისტემის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს ცოდნით გენერირებას და მისი შედეგების ეკონომიკაში დანერგვას [7].

სომხეთი⁴

დამოუკიდებლობის მოპოვების პირველ წლებში სომხეთის მთავრობის ძირითადი ამოცანა იყო ეკონომიკური დაქვეითების შედეგად წარმოქმნილი პრობლემების გამკლავება, ამიტომ ინოვაციური განვითარების კურსი მხოლოდ 2000-ანი წლების შუა პერიოდიდან აიღეს. შედეგად, სერიოზულ წარმატებებსაც მიღწიეს. მიღებულ იქნა ისეთი დოკუმენტები, როგორცაა: “კანონი სამეცნიერო და სამეცნიერო-ტექნიკური საქმიანობის შესახებ”: “მთავრობის დადგენილება ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარების კონცეფციისა და მისი რეალიზაციის ღონისძიებათა გეგმის შესახებ”; მთავრობის დადგენილება “მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების პრიორიტეტთა დამტკიცების შესახებ”; მთავრობის დადგენილება “ინოვაციური საქმიანობის მხარდაჭერის კონცეფციისა და პროგრამის დამტკიცების შესახებ 2005-2010 წლებში”; “კანონი ინოვაციური საქმიანობის სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ”; “ინოვაციური ეკონომიკის ფორმირების სასტარტო სტრატეგიის შესახებ” (2011) და სხვ.

სომხეთის ინოვაციური პოლიტიკის თავისებურებად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ ინოვაციური განვითარების ერთ-ერთ მძლავრ რესურსს წარმოადგენს სომხეთის დიასპორა. დიასპორის მხარდაჭერით სომხეთში არაერთი მნიშვნელოვანი ინოვაციური პროექტი ხორციელდება.

დღეისათვის სომხეთის ინოვაციური სისტემის პრობლემურ მხარედ შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ განვითარებულია ინოვაციური ინფრასტრუქტურა და სუსტია კავშირი სახელმწიფოს, მეცნიერებასა და ბიზნესს შორის, რის გამოც ვითარდება ინოვაციური მეწარმეობა. ამ პრობლემათა გადასაჭრელად დაგეგმილია სამართლებრივი რეფორმების გატარება, ინოვაციების მხარდაჭერი ინსტიტუტების და ინსტრუმენტების განვითარება, განათლების მოდერნიზაცია, საერთაშორისო სტანდარტების დანერგვა და სხვ. მთავარი ყურადღება კი გამახვილებულია ნაციონალური ინოვაციური სისტემის შექმნაზე სრულყოფილი ელემენტებითა და ინფრასტრუქტურით.

აუცილებელია საშუალოვადიან პერსპექტივაში ეკონომიკური ზრდის კონცეფციიდან ეკონომიკური განვითარების კონცეფციაზე გადასვლა [14].

⁴ მასალები გამოყენებულია შემდეგი დოკუმენტებიდან:

1. Обзор инновационного развития Армении

<http://www.iatp.am/news/IPR-Armenia.pdf> Республики Армения

2. «Закон Республики Армения о государственном содействии инновационной деятельности»

<https://www.google.com/search?client=opera&q=Закон++Республики+Армения+++государственном+содействии+инновационной+деятельности&sourceid=opera&ie=UTF-8&oe=UTF-8>

ყაზახეთი⁵

ეკონომიკის ინოვაციური განვითარება წარმოადგენს ყაზახეთის ეროვნული სტრატეგიისა და პოლიტიკის მთავარ მიმართულებას. ქვეყანაში მიღებულია ისეთი მნიშვნელოვანი დოკუმენტები, როგორცაა: “ყაზახეთის ფორსირებული ინდუსტრიულ-ინოვაციური განვითარების პროგრამა 2010-2014 წლებში”; “ინოვაციების განვითარებისა და ტექნოლოგიური მოდერნიზაციის ხელის შეწყობის პროგრამა 1019-2014 წლებში”; “ყაზახეთის მეცნიერების განვითარების სახელმწიფო პროგრამა 2007-2010 წლებში”; “ქვეყნის მეცნიერულ-ტექნიკური განვითარების დარგთაშორისი გეგმა 2020 წლამდე”; პროგრამა “მწარმოებლურობა 2020”; “ყაზახეთის ინდუსტრიულ-ინოვაციური განვითარების სახელმწიფო პროგრამა 2015-2019 წლებში” და სხვ.

ამ დოკუმენტებში განსაზღვრულია ქვეყნის ინოვაციური განვითარების პოლიტიკა, სტრატეგია და პროგრამა, რის საფუძველზეც ყაზახეთმა მიიღწია ეროვნული ინოვაციური სისტემის მნიშვნელოვანი პროგრესი. ამ სისტემის ყველა შემადგენელი ელემენტი უკვე ჩამოყალიბებულია და ფუნქციონირებს. მაგრამ, ამავე დროს, არსებობს ნაკლოვანებებიც: დაბალია ინოვაციური მეწარმეობის განვითარების დონე; ქვეყნის ინოვაციური პოლიტიკა მიმართულია ინოვაციების სტიმულირებისაკენ, რის გამოც ინოვაციებზე მოთხოვნა ჩამორჩება მის მიწოდებას; არასაკმარისია მოწინავე ტექნოლოგიების ტრანსფერტის სტიმულირება; არაეფექტიანია ბიზნესის ტექნოლოგიურ ამოცანათა გადაწყვეტის მექანიზმები; დაბალია ბიზნესის მიერ ტექნოლოგიური ინოვაციების აღქმის დონე; არასაკმარისია ტექნოლოგიური და მმართველური კომპეტენციები და სხვ.

სწორედ ამ ნაკლოვანების აღმოფხვრისკენაა მიმართული “ყაზახეთის ინდუსტრიულ-ინოვაციური განვითარების სახელმწიფო პროგრამა 2015-2019 წლებში.

ყაზახეთის მიერ დასახული ამოცანა, 2020 წლისათვის შესულიყო მსოფლიოში 50 ყველაზე კონკურენტუნარიან ქვეყანათა რიცხვში, პრაქტიკულად უკვე გადაჭრილია, ახლა წამოყენებულია ამოცანა – 2030 წლისათვის შევიდეს 30 ტექნიკურად ყველაზე განვითარებულ ქვეყანათა რიცხვში⁶.

ყირგიზეთი⁷

ინოვაციური განვითარების მიმართულებით შემუშავებულია “ყირგიზეთის რესპუბლიკის სახელმწიფო ინოვაციური პოლიტიკის კონცეფცია 2003-2005 წლებში”, რომელმაც ვერ უზრუნველყო ქვეყანაში ინოვაციური სისტემის ფორმირება. შემდეგ მიღებულ იქნა ისეთი დოკუმენტები, როგორცაა: “ყირგიზეთის რესპუბლიკის მდგრადი განვითარების ეროვნული სტრატეგია პერიოდით 2013-2017 წლები”; “ყირგიზეთის რესპუბლიკის მდგრად განვითარებაზე გადასვლის პროგრამა პერიოდით 2013-2017 წლები”; “ყირგიზეთის რესპუბლიკის ინტელექტუალური საკუთრებისა და ინოვაციების განვითარების სახელმწიფო პროგრამა 2013-2017 წლებში” და სხვ.

ამჟამად მიღებულია “ყირგიზეთის რესპუბლიკის ინოვაციური განვითარების კონცეფცია 2020 წლამდე”, რომელიც მიმართულია არსებული ნაკლოვანებების აღმოფხვრისაკენ. მთავარი ყურადღება გადატანილი იქნება ერთიანი ეროვნული ინოვაციური სისტემის შექმნაზე, რომელიც დაეფუძნება მეცნიერებას, ბიზნესსა და სახელმწიფოს შორის მყარ კავშირს. პირველ ეტაპზე მოხდება მრეწველობის მოდერნიზაცია უცხოური ტექნოლოგიების საფუძველზე, ხოლო შემდეგ, მეცნიერების განვითარებასთან ერთად, საკუთარი ინოვაციებისათვის პრიორიტეტის მინიჭება.

ტაჯიკეთი⁸

შეიძლება ითქვას, რომ ინოვაციური საქმიანობა ტაჯიკეთში დღეისათვის ფორმირების პროცესშია, თუმცა, სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალის გაზრდისაკენ მთავრობის ყურადღება თავიდანვე იყო გამახვილებული. მიღებულ იქნა არაერთი დოკუმენტი, რომლებიც განსაზღვრავენ სახელმწიფოს პოლიტიკას, რომელიც მიმართულია მეცნიერული კვლევების გაძლიერების, ახალი ტექნოლოგიების შექმნისა და მათი წარმოებაში დანერგვისაკენ. ეს დოკუმენტებია: “კანონი მეცნიერებისა და სახელმწიფო სამეცნიერო-ტექნიკური პოლიტიკის შესახებ” (1998); “სახელმწიფო სამეცნიერო-ტექნიკური კონცეფცია” (1999); “სტრატეგია მეცნიერებისა და ტექნოლოგიის სფეროში 2007-2020 წლებში” (2006); “სამეცნიერო-ტექნოლოგიურ მიღწევათა სამრეწველო წარმოებაში დანერგვის პროგრამა 2010-2015 წლებში”; (2009); “მეცნიერების და ტექნოლოგიების სფეროს

⁵ მასალები გამოყენებული იქნა შემდეგი დოკუმენტებიდან:

1. “Обзор инновационного развития Казахстана” http://www.eabr.org/general/upload/docs/AU/Международная%20конференция/Добриньски_Обзор%20инновационного%20развтия%20РК.pdf

2. “Государственная программа индустриально-инновационного развития Республики Казахстан 2015-2019 годы”.

⁶ Шакиртханов Б. Р. Формирование и совершенствование инновационной политики в Республике Казахстан.. Ж.: Управление инновациями: теория, методология, практика № 6 / 2013 <http://cyberleninka.ru/article/n/formirovanie-i-sovershenstvovanie-innovatsionnoy-politiki-v-respublike-kazahstan>

⁷ მასალები გამოყენებულია შემდეგი დოკუმენტებიდან:

Концепция инновационного развития Кыргызской Республики до 2020 года

⁸ «Программа инновационного развития Республики Таджикистан на 2011-2020 годы» <http://info.maorif.tj/?q=ru/node/329>

სტრატეგია 2011-2015 წლებში” (2011); “ტაჯიკეთის რესპუბლიკის ინოვაციური განვითარების პროგრამა 2011-2020 წლებში” და სხვ.

ამჟამად არსებულ პრობლემათა შორის შეიძლება დავასახელოთ: სამეცნიერო და სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალის ინოვაციურ საქმიანობაში არასაკმარისი ჩართულობა; სუსტი ინოვაციური ინფრასტრუქტურა; ინფორმაციულ-კომუნიკაციური განვითარების დაბალი დონე; ინოვაციური მეწარმეობის განვითარების დაბალი დონე და სხვ.

თურქმენეთი⁹

თურქმენეთში სახელმწიფო ინოვაციური პოლიტიკა ბოლო წლებში გააქტიურდა. მხოლოდ 2014 წელს იქნა მიღებული კანონები: “ინოვაციური საქმიანობის შესახებ”; “სამეცნიერო-ტექნიკური სახელმწიფო პოლიტიკის შესახებ” და “სამეცნიერო-ტექნიკური პარკების შესახებ”. განათლებისა და მეცნიერების შესახებ დოკუმენტებიც მოგვიანებით იქნა მიღებული – “კანონი განათლების შესახებ 2007 წელს” და “მეცნიერების განვითარების სახელმწიფო პროგრამა 2012-2016 წლებში” – 2011 წელს. შესაბამისად ქვეყნის ინოვაციური სისტემა ფორმირების პროცესში იმყოფება.

თურქმენეთის სამეცნიერო-ტექნიკური (ინოვაციური) პოლიტიკის მთავარი მიმართულებაა ინოვაციების სახელმწიფო მხარდაჭერა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და ხალხის ცხოვრების ხარისხის ამაღლების მიზნით [17].

სახელმწიფოს ინოვაციური პოლიტიკის მთავარ ამოცანებს წარმოადგენს: ნაციონალური ინოვაციური სისტემის ფორმირება და განვითარება; ინოვაციური ინფრასტრუქტურის შექმნა და განვითარება; ინოვაციების ბაზრის ჩამოყალიბება და ინოვაციური მეწარმეობის განვითარება; სახელმწიფოს, მეცნიერებასა და წარმოებას შორის კავშირების გაძლიერება; საერთაშორისო ურთიერთობების გაღრმავება ინოვაციების სფეროში და სხვ.

უზბეკეთი¹⁰

უზბეკეთში, მართალია, ხორციელდება ცალკეული ინოვაციური პროექტები, მაგრამ მეტად თუ ნაკლებად სრულყოფილი ინოვაციური პოლიტიკა და ინოვაციური სისტემა ჯერჯერობით არ არსებობს. ინოვაციურ საქმიანობას მხოლოდ ფრაგმენტული ხასიათი აქვს. ამ მიმართულებით მიღებულია მხოლოდ ერთი კანონი “განათლების შესახებ”, რაც, ბუნებრივია, ვერ გამოდგება ინოვაციური პოლიტიკის განსასაზღვრად. ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით და არაერთი ექსპერტის აზრით, სამამულო ეკონომიკა ჯერ ვერ ასტიმულირებს საწარმოებს, დანერგონ ინოვაციები, რაც წარმოადგენს ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ზრდის შემაფერხებელ მთავარ ფაქტორს [2]. ამჟამად დარგთაშორისი კომისიის მიერ მზადდება კანონი “ინოვაციებისა და ინოვაციური საქმიანობის შესახებ”, რაც, უდავოდ, ხელს შეუწყობს ინოვაციური ეკონომიკის მშენებლობის სამართლებრივი ბაზის გაძლიერებასა და ეროვნული ინოვაციური სისტემის ფორმირებას.

უკრაინა¹¹

უკრაინაში მრავალი დოკუმენტია მიღებული ქვეყნის ინოვაციური განვითარების შესახებ (მაგალითად, “კანონი ინოვაციური საქმიანობის შესახებ” (2002); “კანონი ინოვაციური საქმიანობის პრიორიტეტული მიმართულებების შესახებ”; “უკრაინის ინოვაციური განვითარების სტრატეგია 2010-2020 წლებში” და სხვ.), მაგრამ ხელისუფლების სწრაფი ცვლილების პირობებში მათ ივიწყებენ და ამიტომ მათი უმეტესი ნაწილი შეუსრულებელი რჩება [10].

მომავალში აუცილებელია ინოვაციური პოლიტიკის სრულყოფა სამართლებრივი ბაზის გაუმჯობესების მიმართულებით, რათა მოხდეს უფრო მსხვილი დოკუმენტების მიღება მათი შესრულების გამარტივების მიზნით. ქვეყნის არსებულ ინოვაციურ სისტემაში უნდა გაძლიერდეს კავშირი მის ცალკეულ ელემენტს შორის.

აზერბაიჯანი

აზერბაიჯანში ინოვაციები ინერგება ეკონომიკის სხვადასხვა სფეროში, სახელმწიფოც აქტიურად უჭერს მხარს ინოვაციების განხორციელებას. მაგრამ ინოვაციების განვითარების პროცესს არ აქვს სისტემური ხასიათი, რაც განპირობებულია შესაბამისი სამართლებრივი ბაზის და სრულყოფილი ინოვაციური სისტემის უქონლობით. სახელმწიფო ინოვაციურ პოლიტიკას ახორციელებს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სამეცნიერო ინოვაციათა ცენტრისა¹² და საინფორ-

⁹ მასალები გამოყენებულია შემდეგი დოკუმენტებიდან:

1. ЗАКОН ТУРКМЕНИСТАНА Об инновационной деятельности <http://turkmenistan.gov.tm/?id=7145>

2. ЗАКОН ТУРКМЕНИСТАНА О государственной научно-технической политике <http://turkmenistan.gov.tm/?id=6033>

¹⁰ Концепция инновационного развития Республики Узбекистан на 2012-2020 гг. <http://uzb69.blogspot.com/2012/06/2012-2020.html>

¹¹ Innovation Performance Review of Ukraine <https://www.unecce.org/fileadmin/DAM/ceci/publications/icp7.pdf>

¹² <http://innovasiya.az/ru/page/number/1>

მაცხოვრებელი ტექნოლოგიების განვითარების სახელმწიფო ფონდის მეშვეობით¹³. შესაბამისად, მიღებულ იქნა “ინფორმაციული და კომუნიკაციური ტექნოლოგიების ნაციონალური სტრატეგია (2003-2012)” და კავშირგაბმულობისა და ინფორმაციის ტექნოლოგიების განვითარების სახელმწიფო პროგრამა (2005-2008).

ამჟამად აზერბაიჯანის წინაშე დგას შემდეგი ამოცანები: ქვეყნის ინოვაციური პოლიტიკის განსაზღვრა საკანონმდებლო დონეზე; ინოვაციური სისტემის ელემენტების განვითარება და მათ შორის კავშირების გაძლიერება; ინოვაციების ბაზრის შექმნა; მეცნიერებას, განათლებას, წარმოებასა და ბაზარს შორის კავშირების გაძლიერება და სხვ. [1].

მოლდოვა¹⁴

ქვეყნის ინოვაციური განვითარების გზა სახელმწიფომ აღიარა 1998 წელს, როდესაც მიღებულ იქნა “სამეცნიერო კვლევებისა და შემუშავებათა რეფორმის კონცეფცია”. 2004 წელს კი მიღებულ იქნა “მოლდოვის რესპუბლიკის კოდექსი მეცნიერების და ინოვაციების შესახებ”, რითაც საფუძველი ჩაეყარა სახელმწიფო პოლიტიკის გატარებას მეცნიერებისა და ინოვაციების სფეროში. 2007 წელს მიღებულ იქნა “კანონი სამეცნიერო-ტექნიკური პარკებისა და ინოვაციური ინკუბატორების შესახებ”, რის საფუძველზეც დაიწყო ინოვაციური ინფრასტრუქტურის შექმნა [12].

მიუხედავად ამისა, ინოვაციური ბიზნესი მოლდოვაში არასაკმარისადაა განვითარებული საკუთარი ფინანსური რესურსებისა და დიდი რისკების გამო.

2012 წელს მიღებულ იქნა “მოლდოვის ინოვაციური სტრატეგია 2013-2014 წლებში”, რომლის საფუძველზე უნდა გადაიჭრას შემდეგი ამოცანა: საწარმოთა ტექნოლოგიური განვითარება; ინოვაციური ინფრასტრუქტურის განვითარება; ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის აშენება.

საქართველო

საქართველოში არცერთი წინა მთავრობა არ იხილავდა ინოვაციებს სახელმწიფო ინტერესების პრიორიტეტულ სფეროდ [1], ამიტომაც, რომ ინოვაციების სამართლებრივი ბაზის ფორმირება ძირითადად ახლა იწყება. თუმცა შეიძლება დავასახელოთ დოკუმენტები, რომლებიც არაპირდაპირ ან პირდაპირ პასუხობს ინოვაციური განვითარების მოთხოვნებს (ეს დოკუმენტებია: “საქართველოს კანონი მეცნიერების, ტექნოლოგიების და მათი განვითარების შესახებ” (1994); “საქართველოს საინოვაციო კონცეფცია” (2012); საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია “საქართველო 2020”), მაგრამ ისინი სრულიად არასაკმარისია ინოვაციური სისტემის შესაქმნელად და გასაძლიერებლად, თუმცა არც იმის თქმა შეიძლება, რომ ინოვაციების დანერგვას საქართველოს ეკონომიკაში ადგილი არ ჰქონდა. დღემდე გარკვეული ნაბიჯები გადაიდგა საინფორმაციო-ტელესაკომუნიკაციო ტექნოლოგიების დანერგვისა და ინოვაციური ინფრასტრუქტურის განვითარების მიმართულებით [3, 4].

ამჟამად საქართველოს პარლამენტში წარდგენილია კანონპროექტი „ინოვაციების შესახებ“, რომლის მოქმედებაც ვრცელდება ინოვაციური საქმიანობების სუბიექტებზე, ინოვაციური საქმიანობების ხელშემწყობ ინფრასტრუქტურაზე, ინოვაციური საქმიანობების დაფინანსებასა და ინოვაციების კომერციალიზაციაზე. კანონპროექტით განსაზღვრულია სახელმწიფო სტრატეგია ინოვაციების სფეროში, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს მთავრობა კვლევებისა და ინოვაციების საბჭოს წარდგინებით. ასევე განსაზღვრულია საქართველოს მთავრობის სათათბირო ორგანოს – “კვლევებისა და ინოვაციების საბჭოსა” და საჯარო სამართლის იურიდიული პირის – “საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს” ამოცანები და ფუნქციები ინოვაციის სფეროში. აღნიშნული კანონპროექტის მიხედვით ინოვაციური საქმიანობის ხელშემწყობ ინფრასტრუქტურას წარმოადგენს: სამეცნიერო/ტექნოლოგიური პარკები; ბიზნესინკუბატორები; ბიზნესამაჩქარებლები; ტექნოლოგიების გადაცემის ცენტრები; სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორიები (FabLab) და ინოვაციების ლაბორატორიები (ILab); ინოვაციების ცენტრები¹⁵. ბუნებრივია, ამ კანონის მიღება დადებით გავლენას მოახდენს ინოვაციური საქმიანობის გაძლიერებაზე საქართველოში, მაგრამ, ამასთან ერთად, აუცილებელია: მიღებულ იქნეს “საქართველოს ინოვაციური განვითარების სტრატეგია და პროგრამა” და “საქართველოში მეცნიერებისა და განათლების განვითარების პროგრამა”, რომელთა საფუძველზე უნდა განხორციელდეს არსებული ინოვაციური სისტემისა და ინფრასტრუქტურის გაძლიერება და ეფექტიანი ფუნქციონირება. ეროვნული ინოვაციური სისტემა უნდა უზრუნველყოფდეს მთელი ინოვაციური ციკლის (მეცნიერება-გამოგონება-წარმოება) შეფუერხებულ განხორციელებას (მათ შორის რეგიონულ დონეზე), სადაც მთავარი როლი უნდა ითამაშოს ბაზარმა და სადაც სახელმწიფოს უდიდესი მოვალეობა ეკისრება, სხვადასხვა ბერკეტის გამოყენებით (საკანონმდებლო, ფინანსური, მასტიმულირებელი, ორგანიზაციული და ა.შ.), ხელი შეუწყოს ინოვაციური ეკონომიკის ფორმირებას ქვეყანაში. სახელმწიფო უნდა გამოლიოდე ინოვაციური პროცესებისა და, საერთოდ, ეკონომიკის “მესაჭის” როლში [2].

¹³ https://ru.wikipedia.org/wiki/Государственный_Фонд_Развития_Информационных_Технологий

¹⁴ Инновационная стратегия Республики Молдова на период 2013-2020 гг.

<http://lex.justice.md/viewdoc.php?action=view&view=doc&id=350541&lang=2>

¹⁵ “საქართველოს კანონი ინოვაციების შესახებ (პროექტი)” <http://info.parliament.ge/#law-drafting/11576>

დასკვნა

ზემოთ მოყვანილი ანალიზი და სხვა მასალების გაცნობა საშუალებას იძლევა გავაკეთოთ შემდეგი დასკვნა:

1. ყველა პოსტსაბჭოთა ქვეყანაში გაცნობიერებულია, რომ ინოვაციური ეკონომიკის მშენებლობის გარეშე შეუძლებელი იქნება თვისებრივი ცვლილებების განხორციელება ადამიანის საქმიანობის ნებისმიერ სფეროში, ბუნებრივია, განსაკუთრებით, ეკონომიკაში.

2. პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდან ამ მიმართულებით ყველამ გადადგა გარკვეული ნაბიჯი, თუმცა შედეგები ყველგან ერთნაირი არ არის. მაგალითად, ლიტვამ, ლატვიამ და ესტონეთმა შექმნეს შესაბამისი ინოვაციური პოლიტიკის შემუშავება, შექმნეს ეროვნული ინოვაციური სისტემა, გახდნენ ევროკავშირის წევრები და ეს სისტემა ფუნქციონირებს ევროკავშირის მაღალგანვითარებულ ინოვაციურ სისტემაში. ეს განაპირობა იმან, რომ ამ ქვეყნებმა ეკონომიკურ განვითარებას საფუძველი ჩაუყარეს ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირში არსებობის პირობებში და შემდეგ წლებში კიდევ უფრო გააძლიერეს ძალისხმევა ამ მიმართულებით. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ეს ქვეყნები ახლოს იმყოფებიან განვითარებულ ქვეყნებთან, რომლებმაც მათ დიდი დახმარება აღმოუჩინეს ეკონომიკის განვითარების საქმეში.

3. დანარჩენი 12 პოსტსაბჭოთა ქვეყნიდან ზოგიერთმა თავიდანვე აღიარეს ინოვაციური განვითარების გზა და შეიმუშავეს ინოვაციური პოლიტიკა (რუსეთი, ბელორუსია, უკრაინა, ყაზახეთი, მოლდავეთი), ზოგიერთის წინაშე დამოუკიდებლობის პირველ წლებში იდგა გადარჩენის პრობლემა და გადასატრეული ჰქონდა ამასთან დაკავშირებული პრობლემები, ამიტომ ინოვაციურ განვითარებაზე ფიქრი მოგვიანებით დაიწყო, მაგრამ საკმაოდ წარმატებებს მიაღწიეს (სომხეთი, ყირგიზეთი), ნაწილი კი, მიუხედავად ცალკეულ სფეროებში ინოვაციების განხორციელებისა, ახლა აყალიბებს ინოვაციური განვითარების სამართლებრივ ბაზას (აზერბაიჯანი, თურქმენეთი, საქართველო, ტაჯიკეთი, უზბეკეთი).

4. მიუხედავად განსხვავებულობისა, პოსტსაბჭოთა ქვეყნებს გააჩნია ერთნაირი პრობლემებიც, კერძოდ: საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ თითქმის ყველგან ადგილი ჰქონდა ეკონომიკურ დაქვეითებას, რამაც გამოიწვია არსებული ინოვაციური სისტემის დეგრადაცია (სამეცნიერო პოტენციალის დაქვეითება, მეცნიერების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მოშლა, სახელმწიფოს მეცნიერებისა და გამოგონებლობის სტიმულირების დაქვეითება და ა. შ.). გარდა ამისა, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლამ მოითხოვა ახალი მიდგომები ინოვაციური პროცესების განხორციელებისადმი. ამ გზაზე კი მთავრობების მიერ როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური მიზნების შედეგად დროულად ვერ განხორციელდა შესაბამისი გარდაქმნები. განსაკუთრებით ცუდი მდგომარეობაა რეგიონებში. ამიტომ, ამჟამად არსებული სიტუაცია მოითხოვს: ინოვაციური პოლიტიკის კიდევ უფრო დახვეწას, ინოვაციური სისტემების ახალი ელემენტებით შევსებასა და ამ ელემენტთა შორის კავშირების გაძლიერებას (სახელმწიფოს, მეცნიერებასა და ბიზნეს შორის, რათა შეუფერხებლად განხორციელდეს ციკლი – მეცნიერება-გამოგონება-ინოვაცია); სახელმწიფოს მხრიდან ინოვაციური ბერკეტების ეფექტიან ამოქმედებას; რეგიონული ინოვაციური პოლიტიკის გაძლიერებას და სხვ.

5. ის, რაც პოსტკომუნისტური ქვეყნებისათვის ასევე საერთოა, არის ის, რომ არცერთ მათგანს არ აქვს საკუთარ კვლევებზე დაფუძნებული ინოვაციური სისტემა, დღეისათვის ძირითადად ადგილი აქვს ინოვაციების იმპორტს და ალბათ ეს პროცესი საკმაოდ დიდხანს გაგრძელდება, ბუნებრივია, ეს დრო განსხვავებული იქნება ქვეყნების მიხედვით. ამ მხრივ უპირატესობა აქვს რუსეთს, ვინაიდან იგი ფლობს რესურსების დიდ პოტენციალს (იგულისხმება ბუნებრივი, სამეცნიერო, ადამიანისეული, ტექნოლოგიური, ფინანსური და სხვ.).

6. ერთ-ერთი თავისებურება პოსტსაბჭოთა ქვეყნებისათვის (გარდა ლიტვის, ლატვიის, საქართველოსა და ესტონეთისა) ინოვაციის სფეროში არის ის, რომ ისინი თანამშრომლობენ დსთ-ს ფარგლებში. 2011 წელს მიღებული იქნა დოკუმენტი “დსთ-ს მონაწილე სახელმწიფოთა შორის ინოვაციური თანამშრომლობის საერთაშორისო პროგრამა”, რომლის მიზანია მონაწილე ქვეყნებში შეიქმნას გლობალური კონკურენტუნარიანობის პირობები. მთავარი ამოცანა კი – შეიქმნას სახელმწიფოთაშორის ინოვაციური სივრცე, რომელიც გააერთიანებს ნაციონალურ ინოვაციურ სისტემათა შესაძლებლობებს¹⁶.

გამოყენებული ლიტერატურა

1. შატბერაშვილი ო., ქოჩორაძე გ., ცაცანაშვილი მ. საინოვაციო პოლიტიკა საქართველოში: რეკომენდაციები საქართველოს ხელისუფლებას

http://eap-csf.ge/images/doc/publikaciebi/Policy%20Paper_WG2_Inovacia.pdf

2. Абдуллаев А.М., Алмурадов А., Хакимов З. ПРИОРИТЕТНЫЕ НАПРАВЛЕНИЯ ИННОВАЦИОННОГО РАЗВИТИЯ РЕСПУБЛИКИ УЗБЕКИСТАН В УСЛОВИЯХ МОДЕРНИЗАЦИИ. “Иктисодиёт ва инно-

¹⁶ Межгосударственная программа инновационного сотрудничества государств – участников СНГ на период до 2020 года <http://cis.minsk.by/page.php?id=19142&fw=true>

вацион технологиялар” илмий электрон журнаლი. № 2, март-апрель, 2015 йил

http://www.iqtisodiyot.uz/sites/default/files/maqolalar/5_A_M_Abdullayev_A_Almuradov_Z_Xakimov_0.pdf

3. Abesadze R. Economic regress and the reasons of its detection in economy of Georgia. “*Ekonomisti*”, 2016, №1

4. Абесадзе Р. Инновации, инновационные сети и общие направления формирования инновационной экономики в Грузии. XVII МЕЖДУНАРОДНАЯ НАУЧНАЯ КОНФЕРЕНЦИЯ „*Предпринимательство, социальная организация в структурах сети. Опыт и перспективы развития в Центральной и Восточной Европе*” (23-25 мая 2016 года, Польша)

5. Абесадзе Р. ИНФОРМАЦИОННЫЕ И ТЕЛЕКОММУНИКАЦИОННЫЕ ТЕХНОЛОГИИ И ПРОБЛЕМЫ ИХ РАЗВИТИЯ В ГРУЗИИ. Международная научно-практическая Интернет-конференция «ЭКОНОМИКА И МЕНЕДЖМЕНТ 2016: ПЕРСПЕКТИВЫ ИНТЕГРАЦИИ И ИННОВАЦИОННОГО РАЗВИТИЯ» (г. Днепропетровск 14–15 апреля 2016 года) <http://confcontact.com/node/598>

6. Давыдов А.А. Инновационный потенциал России: настоящее и будущее http://www.isras.ru/blog_modern_3.html

7. Дичковский А.А. инновационный путь его развития в республике Беларусь

8. Корчагин Ю. Наука и инновации в России. <http://www.lerc.ru/?part=articles&art=22&page=165>

9. Файзуллоев М. Развитие инновационной деятельности в Таджикистане как условие экономического роста. *Управленческие науки*, 2015, № 1

<https://cyberleninka.ru/article/n/razvitie-innovatsionnoy-deyatelnosti-v-tadzhikistane-kak-uslovie-ekonomicheskogo-rosta>

10. Б.А. Малицкий. СТРАТЕГИЯ ИННОВАЦИОННОГО РАЗВИТИЯ УКРАИНЫ: ОТ РАЗРАБОТКИ К РЕАЛЬНОЙ ПРАКТИКЕ.. «*Наука та наукознавство*», 2011, № 2 7

11. Наджафов З. Синергетический подход Национальной инновационной системе <https://www.google.com/search?client=opera&q=Синергетический+подход+Национальной+инновационной+системе&sourceid=opera&ie=UTF-8&oe=UTF-8>

12. Попович Г., А. Букатынский. Инновации в Молдове: проблемы и пути их решений. <https://ava.md/2014/01/21/innovacii-v-moldove-problemy-i-puti-ih-resheniy/>

13. Положительные сдвиги в целях и принципах формирования и реализации государственной научно-технической политики. Ж.: «*Наука и образование*», 2014 http://gundogar-news.com/index.php?category_id=6&news_id=2093

14. Сомов Е., Наабер Ю. Проблемы развития Национальной Инновационной Системы Кыргызст. «*LAP LAMBERT Academic Publishing*», 2012.

15. Тевикян А. Экономическая политика Армении. http://www.noravank.am/rus/articles/detail.php?ELEMENT_ID=1326

16. Шакирханов Б. Р. Формирование и совершенствование инновационной политики в Республике Казахстан.. Ж.: *Управление инновациями: теория, методология, практика* № 6 / 2013 <http://cyberleninka.ru/article/n/formirovanie-i-sovershenstvovanie-innovatsionnoy-politiki-v-respublike-kazahstan>

17. Щитова А. Н. Инновационная экономика: материалы междунар. науч. конф. (г. Казань, октябрь 2014 г.). — Казань: Бук, 2014.. <http://www.moluch.ru/conf/econ/archive/130/6181/>

18. Положительные сдвиги в целях и принципах формирования и реализации государственной научно-технической политики. Ж.: «*Наука и образование*», 2014 http://gundogar-news.com/index.php?category_id=6&news_id=2093

Ramaz Abesadze

INNOVATION POLICY OF POST-SOVIET COUNTRIES

Annotation

The article deals with innovation policy of post-soviet countries. Are exposed the peculiarities and mutual problems of these countries in this aspect. To solve these existing problems there are proposed the main directions.

ანზორ აბრადაძე

ინოვაციური სექტორის (მომსახურების) კონკურენტუნარიანობის შეფასება

კონკურენტუნარიანობაში მოიაზრება ყოველივე ის, რაც უზრუნველყოფს სექტორის (მომსახურების) უპირატესობას ბაზარზე, ხელს უწყობს მის წინსვლას კონკურენციის პირობებში.

კონკურენტუნარიანობა – პროდუქტის (მომსახურების) თვისებაა, რომელსაც გააჩნია შესაბამისი რელევანტური ბაზრის განსაზღვრული წილი და ახასიათებს ობიექტის ფუნქციონალური, ეკონომიკური, ორგანიზაციული და სხვა მახასიათებლების შესაბამისობას მომხმარებელთა მოთხოვნებისადმი.

ინოვაციური საქონლის (მომსახურების) კონკურენტუნარიანობის შეფასების საფუძველია ბაზრის კომპლექსური კვლევა თანამედროვე მარკეტინგის მეთოდებით, რომელიც შესაძლებლობას იძლევა არა მხოლოდ განისაზღვროს ერთგვარი აბსტრაქტული „საბაზო ნიმუში“, არამედ სწორად შეფასდეს გასაანალიზებელი ობიექტის ადგილი მოცემულ ბაზარზე ბაზრის რეალური და შესაძლო სუბიექტების ანალოგიურ შეფასებებთან შედარებით.

კონკურენტუნარიანობა – მნიშვნელოვანი საბაზრო კატეგორიაა, რომელიც ასახავს ბაზრის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს თვისებას – მის კონკურენტულობას. ინოვაციური მომსახურების უცვლელი თვისებრივი მახასიათებლებისას მისი კონკურენტუნარიანობა შეიძლება შეიცვალოს საკმაოდ ფართო დიაპაზონში, რეაგირება მოახდინოს სხვადასხვა ფაქტორებზე, რომლებსაც განსაზღვრავს მომსახურების სფეროს საწარმოს კონკურენტული გარემო.

ინოვაციური მომსახურების კონკურენტუნარიანობის ანალიზისა და შეფასების პრობლემა უნდა მოიცავდეს შემდეგი პრობლემების გადაწყვეტას:

- პოტენციური მყიდველების მოთხოვნებისა და პრიორიტეტების შესწავლას;
- ინოვაციური მომსახურების გასაღების პირობების, კონკურენტი ფირმებისა და საქონლის შესახებ ინფორმაციის შეგროვების მიზნით ბაზრის მონიტორინგის ორგანიზაციას;
- როგორც მწარმოებლის, ასევე მომხმარებლის მიერ გამოყენებული ინოვაციური საქონლის (მომსახურების) ხარისხის მანევრებლების ერთიანი სისტემის შემუშავებას;
- საკვლევი პრობლემის განზოგადებული მოდელის აგებას, მ.შ. კონკურენტუნარიანობაზე გავლენის მქონე მრავალი ფაქტორის ფორმირებასა და მათი ურთიერთკავშირის განსაზღვრას;
- ინოვაციური საქონლის (მომსახურების) კონკურენტუნარიანობის რაოდენობრივი შეფასებისადმი საერთო მიდგომების ჩამოყალიბებას, კერძო მეთოდების, ალგორითმებისა და აღნიშნულ პრობლემებთან დაკავშირებული ამოცანების გადაწყვეტის პროცედურების შემუშავებას.

კონკურენტუნარიანობის კვლევა ორიენტირებულია საბაზრო გარემოს და კონკურენტების პოზიციების შესწავლაზე.

ცნება „კონკურენტი“ ძალზე მრავალშრიანია, გულისხმობს მისი გამოყენების მიზნებზე რამდენიმე დონეზე. განვიხილოთ თანმიმდევრულად ეს დონეები საგანმანათლებლო მომსახურების სფეროსათვის.

უპირველეს ყოვლისა, ეს არის სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებები, რომლებიც ეწევიან ასეთივე მომსახურებებს, უზრუნველყოფენ ანალოგიურ დამატებით მომსახურებებს და აწესებენ იმავე ფასებს.

კონკურენტების წრე ფართოა, თუ მასში შედის სხვა ფირმებიც. ასე მაგალითად, მსხვილი სამრეწველო საწარმოები კადრების მომზადების, გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების განვითარებული სისტემით შეიძლება უწევდნენ საგანმანათლებლო მომსახურებას არა მხოლოდ თავიანთ მუშაკებს, არამედ გარეშე ორგანიზაციებსა და პირებსაც.


კონკურენტად შეიძლება იქნეს აღიარებული ასევე პროდუქციის მწარმოებელი ნებისმიერი ინოვაციური ფირმა, რომელიც აკმაყოფილებს იმავე მოთხოვნილებებს, რასაც ჩვენი მომსახურებები, კერძოდ, საბუკდი, ვიდეო-, აუდიო-, კომპიუტერული სასწავლო საშუალებების მწარმოებლები. ასეთ კონკურენტებს განეკუთვნება საგანმანათლებლო არხები და რადიო- და ტელეგადაცემები.

საგანმანათლებლო მომსახურებების ბაზრის კონკურენტულ სიტუაციაზე გაშუალებულ, მაგრამ ძლიერ გავლენას ახდენენ ტექნოლოგიების, პატენტებისა და ნოუ-ჰაუს გამყიდველი ფირმები, ასევე ფირმები, რომლებიც იჯარით გადასცემენ მომხმარებლებისათვის საჭირო ცოდნითა და უნარ-ჩვევებით აღჭურვილ მენეჯერებსა და სხვა სპეციალისტებს.

საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის კონკურენტი შეიძლება გახდეს ნებისმიერი ინოვაციური ფირმა, რომელსაც პრეტენზია აქვს მომხმარებლის ბიუჯეტზე. მათ რიცხვს განეკუთვნება უპირველესად ისეთი ფირმები, რომლებიც მუშაობენ ჩვეულებრივი საბაზისო მოთხოვნილებების (ა. მასლოუს იერარქიით): ფიზიოლოგიური მოთხოვნილებების, უსაფრთხოების მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე, ასევე ფირმები, რომლებიც უზრუნველყოფენ ადამიანის მრავალრიცხოვანი სოციალური მოთხოვნილების რეალიზაციის სხვა არასაგანმანათლებლო გზას. ეს ეხება როგორც საწარმოებს, ასევე საგანმანათლებლო მომსახურებების მომხმარებლებსაც. ასე მაგალითად, ნებისმიერი საწარმოს გაკოტრება ამდაფრებს მოთხოვნილებას მისი მუშაკების გადამზადებაზე და იმავდროულად აქვეითებს (უკიდურეს შემთხვევაში, ბაზრის მოცემულ გეოგრაფიულ სექტორში) მოთხოვნილებას საგანმანათლებლო მომსახურებაზე მოცემული საწარმოს პროფილის შესაბამისად.

თუმცა, ყურადღება უნდა გამახვილდეს საგანმანათლებლო მომსახურებების ბაზარზე პროფესიულად ყველაზე დაახლოებულ კონკურენციის პირველ ორ შრეზე, მხედველობაში გვაქვს მხოლოდ საკუთრივ საგანმანათლებლო დაწესებულებები, თანაც იგივე ან მსგავსი მომზადების პროფილის მქონე დაწესებულებები.

პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ანალიზის მეთოდიკა ნაჩვენებია ნახაზზე.



ნახ. დონისძიებათა შემუშავება კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად

ინოვაციური საქონლის კონკურენტუნარიანობის შეფასება ხდება შედარების ბაზის პარამეტრებთან გასაანალიზებელი პროდუქციის პარამეტრების შედარებით, რადგან საქონლის ან სხვაობის კონკურენტუნარიანობა ფარდობითი ცნებაა, ანუ მასზე საუბარი შეიძლება მხოლოდ სხვაობის შედარებისას. შედარების საფუძვლად მიიღება ან მყიდველის მოთხოვნილება, ან ნიმუში. ჩვეულებრივ, ნიმუში არის ანალოგიური ინოვაციური საქონელი, რომელსაც გაყიდვების მაქსიმალური მოცულობა და მომავალში გასაღების საუკეთესო პერსპექტივა აქვს.

ტექნიკურ პარამეტრებს მიაკუთვნებენ:

- კლასიფიკაციურ პარამეტრებს, რომლებიც განსაზღვრავენ ნაკეთობის კუთვნილებას განსაზღვრული ტექნიკური კლასისადმი (მაგალითად, ძრავის მოცულობა);
- კონსტრუქციულ, ტექნიკურ-კონსტრუქციული გადაწყვეტილებების ამსახველ და პროდუქციაში ხორცშესხმულ პარამეტრებს (მაგალითად, რემონტვარგისიანობას);
- ნორმატიულ პარამეტრებს, რომლებიც გვიჩვენებს პროდუქციის შესაბამისობას სტანდარტებთან, ნორმებთან, ტექნიკურ პირობებთან. მან შეიძლება მიიღოს მნიშვნელობები: 0 ან 1;
- ერგომეტრულ პარამეტრებს (სამუშაო ადგილის შესაბამისობას);
- ესთეტიკურ პარამეტრებს (მოდის, ეროვნული ტრადიციების შესაბამისობას);
- ეკოლოგიურ პარამეტრებს.

ტექნიკური პარამეტრებით ინოვაციური საქონლის კონკურენტუნარიანობის გამოსაანგარიშებლად (I ეტაპი) იყენებენ შემდეგ ფორმულას:

$$P_T = \sum_{i=1}^n D_i g_i$$

სადაც D_i პარამეტრის მნიშვნელობის კოეფიციენტი;

g_i – შესაფასებელი ნაკეთობის ტექნიკური დონე ანალოგიურ ინოვაციურ საქონელთან შედარებით ($g_i = P_{შეფ} / P_{კონკ}$);

n – შესაფასებელი ტექნიკური პარამეტრების რაოდენობა;

$P_{შეფ}$ – შესაფასებელი ნაკეთობის პარამეტრის სიდიდე;

$P_{კონკ}$ – ანალოგი ნაკეთობის პარამეტრის სიდიდე.

თუ $P_T > 1$, მაშინ შესაფასებელი ნაკეთობის ტექნიკური მახასიათებლები აღემატება საბაზო ნიმუშს.

ეკონომიკური პარამეტრები. ძირითადი ეკონომიკური პარამეტრია არა გასაყიდი ფასი, არამედ მოხმარების ფასი, რომელიც ხასიათდება შემდეგი პარამეტრებით:

- სატრანსპორტო დანახარჯები ექსპლუატაციის ადგილამდე;
- მონტაჟის ღირებულება;
- საექსპლუატაციო ხარჯები;
- გარანტიის შემდგომი სერვისი;
- უტილიზაცია რესურსის გამომუშავების შემდეგ.

ტექნიკურად რთულ პროდუქციაში გაყიდვის ფასი უნდა შეადგენდეს არაუმეტეს მოხმარების ფასის 20 %-ს.

ეკონომიკური პარამეტრებით ინოვაციური საქონლის კონკურენტუნარიანობის გასაანგარიშებლად იყენებენ შემდეგ ფორმულას:

$$P_E = S_{შესაფ. მოხმ.} + S_{კონკრ. მოხმ.}$$

სადაც $S_{შესაფ. მოხმ.}$ შესაფასებელი ნაკეთობის მოხმარების ფასია;

$S_{კონკრ. მოხმ.}$ – ნაკეთობის ანალოგის მოხმარების ფასი.

თუ $P_E > 1$, მაშინ შესაფასებელი ნაკეთობის ღირებულებითი მახასიათებლები ნაკლებია საბაზო ნიმუშის მახასიათებლებზე.

კონკურენტუნარიანობის ინტეგრალური ინდექსის გასაანგარიშებლად გამოიყენება ფორმულა:

$$K = \frac{P_T}{P_E},$$

სადაც P_T ტექნიკური კონკურენტუნარიანობის ინდექსია;

P_E – ეკონომიკური კონკურენტუნარიანობის ინდექსი;

თუ $K > 1$, მაშინ შესაფასებელი ნაკეთობის ტექნიკური და ღირებულებითი მახასიათებლები აღემატება საბაზო ნიმუშს.

ზოგჯერ ინოვაციური პროდუქციის პარამეტრებს არ გააჩნია ფიზიკური საზომი. ამ შემთხვევაში ამ მახასიათებლების შესაფასებლად გამოიყენება ქულებით შეფასების მეთოდი.

კონკურენტუნარიანობის შეფასების კიდევ ერთი მეთოდია რეიტინგები (მაგალითად, „ბანკების მდგრადობის რეიტინგი“, „საფირმო სახელის პოპულარობის რეიტინგი“). რეიტინგი არის ბაზრის ერთი ფიგურანტის შეფასების ინსტრუმენტი მეორესთან მიმართებით. ცალკეული კრიტერიუმების მიხედვით ზუსტი რეიტინგი აუცილებელი და მნიშვნელოვანი ინფორმაციაა ფინანსური და მარკეტინგული გადაწყვეტილებების მისაღებად.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ა. აბრალავა, ეკონომიკის გლობალურ-ინოვაციური პრობლემები, თბილისი, 2012.
2. ე. ბარათაშვილი, ვ. დათაშვილი, გ. ნაკაიძე, რ. ქუთათელაძე. ინოვაციების მენეჯმენტი. თბილისი, 2008.
3. ლ. გვაჯაია, რ. ქუთათელაძე. საინოვაციო მენეჯმენტი. თბილისი. 2009.
4. ე. ბარათაშვილი, კ.ციმინტია, ვ. ზარანდია, ინოვაცია და კონკურენტუნარიანობა. ე. „ეკონომიკა“, 5-6, თბილისი, 2007.

Anzor Abzalava

ASSESSMENT OF INNOVATIVE GOODS (SERVICE) COMPETITIVENESS

Annotation

Complex research of the market by methods of modern marketing shall be a basis for an assessment of innovative goods(service) competitiveness that will allow to determine some abstract "basic sample", and to estimate correctly the place of the analyzed object in this market in comparison with similar estimates of real and possible subjects of the market.

The problem of the analysis and assessment of competitiveness of service shall include the solution of some problems.

The concept "competitor" is very multilayered, assumes at least several levels of width of its application. We will consider these levels consistently for the sphere of educational services. The product competitiveness analysis technique is shown. In technical and economic parameters it is calculated competitiveness of goods.

Economic parameters. The key economic parameter is not the selling price, but the consumption price which is characterized by the following parameters.

For calculation of goods competitiveness for economic and technical parameters are used. The formula of an integrated index of competitiveness is also used.

Other evaluation method of competitiveness are ratings. The rating is a tool of an assessment of one person involved in the market. An exact rating is necessary and important information for adoption of finance and marketing solutions.

*Гульнара Атаевна Аннакулиева
Сауле Баубековна Беркимбаева*

ИННОВАЦИОННЫЕ МЕХАНИЗМЫ РЕАЛИЗАЦИИ: АНАЛИЗ И ПЕРСПЕКТИВЫ РАЗВИТИЯ

В Казахстане в настоящее время основными этапами процесса формирования региональной инновационной политики выступают: формирование концепции пространственной (территориальной) организации национального хозяйства и расселения как органичной составной части долгосрочной стратегии социально-экономического развития страны; формирование на базе такой концепции стратегий социально-экономического развития областей и как их неотъемлемой составной части – стратегий инновационного развития регионов; формирование среднесрочных программ социально-экономического развития страны и областей (как основы среднесрочного бюджетного планирования). Как видно из Рисунка 1, в Казахстане основным (58,3%) источником финансирования внутренних затрат на НИОКР являются средства республиканского бюджета, в то время как ведущим (59,2%) источником затрат на инновации выступают предприниматели, направляющие собственные средства на создание ноу-хау (Рисунок 2). Предпринимательский сектор занимает лидирующее положение в структуре организаций, выполняющих исследования и разработки (Рисунок 3).



Рисунок 1



Рисунок 2




Рисунок 3

Это сопоставление зримо отразило неэффективность использования государственного финансирования научных исследований. Результатом чего явились медленные темпы роста доли инновационной продукции в ВВП в 2004-2014гг. и, в том числе, падение этой доли в 2005-2009гг. (Таблица 1).

Таблица 1

	2004	2005	2006	2007	2008	
Доля инновационной продукции в ВВП, %	1,27	1,58	1,53	1,19	0,69	
	2009	2010	2011	2012	2013	2014
Доля инновационной продукции в ВВП, %	0,51	0,66	0,86	1,25	1,64	1,50

При осуществлении структурных реформ и перевода экономики на инновационный путь развития очень многое зависит от решения общесистемных проблем макроэкономического и институционального характера – формирования отраслевых приоритетов структурной модернизации, механизмов стимулирования перетока инвестиций из сырьевых в средне- и высокотехнологичные сектора экономики, общегосударственной налоговой, амортизационной, таможенной, бюджетной политик, а также других прямых и косвенных мер, направленных на то, чтобы возбудить и усилить интерес предпринимателей к перестройке производства и создать условия для ее реализации. Отмеченные проблемы носят общесистемный характер для национального хозяйства, однако, их практическая реализация происходит в конкретных региональных (пространственных) условиях [1]. На соотношение национальной и региональной инновационной политики влияют: особенности формирования региональной инновационной политики; механизмы и институты региональных инновационных систем; инвестиционное обеспечение инновационного развития регионов; методы оценки уровня инновационного развития регионов.

В Казахстане преобладающее положение по количеству созданных и используемых новых технологий и объектов занимает Северо-Казахстанская область (Рисунок 4), что обусловлено инерционным эхом влияния статуса военно-промышленного комплекса, которым обладал до 90-х годов прошлого столетия данный регион. Алматы находится на втором месте, на третьем – Южно-Казахстанская область.




Рисунок 4

По методике ИЭ РАН уровень инновационного развития регионов оценивается по следующей группе показателей: инновационный потенциал (человеческий потенциал и затраты на науку и инновации, инновационная инфраструктура и инновационный климат (организационные предпосылки и доступ к инвестициям), результативность инновационной деятельности (выход на внешние рынки, инновационная продукция и инновационная активность). Как видно из Таблицы 2, почти половина персонала, занятого исследованиями и разработками, трудится в г.Алматы.

Таблица 2

Численность персонала, занятого исследованиями и разработками по областям, человек

	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015
Республика Казахстан	15 793	17 021	18 003	20 404	23 712	25 793	24 735
Акмолинская	555	615	798	936	992	1 054	802
Актюбинская	157	195	184	172	282	356	335
Алматинская	440	759	823	415	826	901	1 049
Атырауская	554	582	609	605	400	398	462
Восточно-Казахстанская	1 757	1 852	1 857	1 913	2 269	2 377	540
Жамбылская	474	344	155	350	278	368	318
Западно-Казахстанская	170	459	500	516	600	425	1 708
Карагандинская	735	875	794	1 189	1 387	1 631	574
Костанайская	415	324	263	268	518	565	236
Кызылординская	79	98	147	192	205	253	648
Мангистауская	404	474	548	569	590	583	1 356
Павлодарская	258	187	280	292	774	809	716
Северо-Казахстанская	136	106	77	325	312	229	182
Южно-Казахстанская	295	442	576	994	1 466	1 359	2 303
г.Астана	1 146	1 531	1 703	3 024	3 159	3 391	3 001
г.Алматы	8 218	8 178	8 689	8 644	9 654	11 094	10 505

Это обусловлено приоритетом г.Алматы по сектору высшего профессионального образования, занимающего первое место по числу занятых по видам деятельности (Рисунок 5).




Рисунок 5

Важнейшими задачами, обеспечивающими конкурентоспособность экономики Казахстана являются создание из институтов развития и ряда других элементов работоспособной национальной инновационной системы, включив ее в непрерывный процесс формирования, отбора и реализации крупномасштабных проектов модернизации. По мнению ученых, необходим быстрый переход на инновационный путь: создание системы университетских исследовательских центров, отраслевых НИИ и стимулирование внутрифирменных исследований [2]. При этом, резервом развития являются межрегиональные заимствования, поскольку регионы Казахстана сильно различаются по уровню технологического развития. Этому (межрегиональным заимствованиям) могут способствовать региональные агентства развития. Региональные агентства развития могут стать площадками взаимодействия правительства, ассоциаций бизнеса, финансовых структур, науки и общества для инициации и отбора крупных проектов модернизации. В отличие от частно - государственного партнерства или технологической платформы агентство развития не привязано к конкретному проекту или к выполнению узкой цели. Главные функции агентства: завоевание доверия основных акторов друг к другу и на этой основе – выявление их предпочтений и отбор наиболее эффективных путей повышения общественного благосостояния на основе инноваций и достижения конкурентоспособности.

Использованная литература

1. Ленчук Е.Б. «Региональная инновационная политика: приоритеты и механизмы развития», ИЭ РАН;
2. Кажыкен М. "National Business", 31.03. 2016 г.;
3. Косолапов Г.В. - «Казахстан-спектр», 2014/1 (67);
4. Жалелова Р.З. Особенности инновационных преобразований в Казахстане», Материалы конференции, Алматы, 2011г.;
5. Полтерович В.М. Проблема формирования национальной инновационной системы // Экономика и математические методы. 2009. Т.45. №2;
6. Полтерович В.М. «Куда идти: двадцать четыре тезиса». Экономическая наука современной России, 2014, № 3 66);
7. Алимуратов М.К. - «Экономика и управление», №11; 2011г.;
8. Квинт В. Стратегическое управление и экономика на глобальном формирующемся рынке. М.: Бизнес Атлас, 2012г.;
9. Фэлпс Э. Массовое процветание: как общественные инновации создали рабочие места, проблемы и изменения. N.Y.: Princeton University Press, 2013.

**INNOVATIVE MECHANISMS OF REALIZATION: ANALYSIS AND PROSPECTS OF DEVELOPMENT
Annotation**

In Kazakhstan the basic (58,3%) a source of financing of internal costs of research and developmental developments are means of the republican budget while as the basic (59,2%) a source of costs of innovations the businessmen allocating own funds for creation of a know-how act. The business sector holds a leading position in structure of the organizations which are carrying out researches and developments. The comparative developments executed in article accurately have reflected lack of efficiency of use of public financing of scientific researches. What slow growth rates of a share of innovative production in GDP in 2004-2014 and, including, falling of this share in 2005-2009 were result of. In Kazakhstan the prevailing situation by amount of the created and used new technologies and objects is occupied by the North Kazakhstan area that is caused by an inertial echo of influence of the status of military industrial complex which this region had till 90th years of last century. Almaty is on the second place, on the third – the Southern Kazakhstan area. In Kazakhstan the level of innovative activity is highest in regions with a primary share of manufacturing industry (city of Astana, Jambyl, North Kazakhstan areas). Nearly a half of the personnel occupied with researches and developments works in Almaty. It is caused by a priority of Almaty on sector of the higher education winning first place on number occupied on kinds of activity.

Евгения Сергеевна Арумова

РАЗВИТИЕ ЭКОЛОГИЧЕСКОГО ТУРИЗМА В НАЦИОНАЛЬНЫХ ПАРКАХ¹⁷

В настоящее время осталось не много таких территорий, которые смогли сохранить свою красоту и первозданность без следов вмешательства человека. Для сохранения первозданного облика таких территорий государством принимаются различные меры, например, создаются особо охраняемые природные территории.

Согласно Федеральному закону Российской Федерации от 14 марта 1995 года № 33-ФЗ «Об особо охраняемых природных территориях» таковыми территориями признаются: «участки земли, водной поверхности и воздушного пространства над ними, где располагаются природные комплексы и объекты, которые имеют особое природоохранное, научное, культурное, эстетическое, рекреационное и оздоровительное значение, которые изъяты решениями органов государственной власти полностью или частично из хозяйственного использования и для которых установлен режим особой охраны» [1].

Российским законодательством закреплен следующий перечень особо охраняемых природных территорий, среди которых:

- государственные природные заповедники, в том числе биосферные заповедники;
- национальные и природные парки;
- государственные природные заказники;
- памятники природы, а также дендрологические парки и ботанические сады.

Под национальными парками понимаются природные комплексы и объекты, имеющие особую экологическую, историческую и эстетическую ценность. Анализ научной литературы позволил выявить ряд особенностей, которыми обладают национальные парки.

Во-первых, в национальных парках природа существует без вмешательства человека, то есть развивается по естественному типу.

Во-вторых, любой национальный парк является уникальным в своем роде с присущими ему уникальными природными особенностями.

В-третьих, национальные парки представляют собой важнейшие центры сохранения редких видов фауны и флоры, которые отвечают духовной потребности общества в общении с природой, способствуют формированию национальной культурно-эстетической среды, а также воплощают историческую и этнографическую информацию о жизни местного населения во многих его аспектах.

Каждый национальный парк имеет свою структуру. Тем не менее, можно выделить основные элементы структуры, которые присущи любому национальному парку. Структура национального парка состоит из заповедного ядро, рекреационная и буферная зоны. В рекреационной и буферной зонах разрешается хозяйственная деятельность, например, туризм и иные формы рекреации, традиционное природопользование, щадящая сельскохозяйственная и лесоустроительная деятельность и пр.

На сегодняшний день на территории Российской Федерации существует 110 государственных природных заповедников, 47 национальных парков, а также 68 федеральных заказников. Стоит отметить, что данные особо охраняемые природные территории уникальны и не имеет аналогов в мире. Среди перечисленных видов особо охраняемых природных территорий особенно популярными и перспективными являются национальные парки [2].

¹⁷ Статья подготовлена при финансовой поддержке Российского Гуманитарного Научного Фонда, проект 16-22-03001 а (м)

Национальные природные парки в России являются сравнительно молодой формой охраны территорий. Первые два были созданы в 1983 г - национальный парк Лосиный остров, который расположен на территории Москвы и Московской области и Сочинский национальный парк. В 2015 году на территории России существует 47 национальных парков, общая площадь которых составила 10,65 млн га без учета акваторий.

Стоит отметить, что развитие национальных парков неразрывно связано с развитием экологического туризма. Они являются наиболее перспективными охраняемыми природными территориями и обладают огромным потенциалом для развития экологического туризма на данных территориях.

Вопрос о развитии экологического туризма в национальных парках - был долгие годы вызывает множество дискуссий.

Анализ различных источников позволяет выделить два основных подхода к определению экологического туризма.

Первый рассматривает экологический туризм как поездки в особо охраняемые природные территории с целью изучения местной культуры и окружающей природной среды. Они не воздействуют на целостность экологических систем, а также делают охрану природных ресурсов на территории национальных парков выгодной для местных жителей.

Второй рассматривает экологический туризм как экологически устойчивую форму природного туризма, ориентированную на жизнь в дикой природе и ее познание. Он организуется в соответствии с этическими нормами таким образом, чтобы свести к минимуму воздействие на окружающую среду, ориентированный на местный уровень [3].

Мы понимаем экологический туризм как – плановый и организованный туризм, направленный на сохранение и охрану окружающей среды, который включает позитивные синергические взаимоотношения между туристической деятельностью, биоразнообразием и местным населением, а также соответствует организации и управлению этой деятельностью.

Экологический туризм вносит значительный вклад в охрану и управление особо охраняемыми природными территориями, он осуществляется в относительно ненарушенных природных территориях и не ведет к разрушению и ухудшению качества окружающей природной среды.

Следует отметить, что отличительные особенности экологического туризма заключаются в том, что он стимулирует и удовлетворяет желание общества общаться с природой, предотвращает любое негативное воздействие на природу и культуру, а также побуждает туристов содействовать охране природы и социально-экономическому развитию данных территорий.

Экологический туризм включает в себя три ключевых критерия:

Первым критерием выступает основные привлекающие туристов природные достопримечательности такие как, флора, фауна, геологические особенности.

Второй критерий это – понимание того, то деятельность туристов и других участников оказывает безобидное воздействие на природную и культурную среду на данных территориях.

Третий критерий сводится к тому, что экологический туризм должен быть взаимосвязанным с понятием устойчивого туризма и устойчивого развития.

Таким образом, экологический туризм является важным элементом устойчивого развития природных территорий.

Концепцию экологического туризма в национальных парках можно представить в виде следующих базовых принципов:

1) путешествия в национальные парки должны осуществляться с целью знакомства с живой природой, а также с местными обычаями и культурой.

2) экологический туризм должен сводить к минимуму все негативные последствия экологического и социально-культурного характера, и направлен на поддержание экологической устойчивости среды национальных парков.

3) экологический туризм должен содействовать охране окружающей природы и местной социокультурной среды.

3) экологический туризм должен предусматривать участие местных властей и местных жителей, получение ими доходов от данной деятельности, и создавать для них экономические стимулы к охране окружающей природы.

4) экологический туризм должен быть экономически эффективным на данной территории и вносить свой вклад в устойчивое развитие посещаемых национальных парков [4].

Развитие экологического туризма подразумевает под собой управление всеми существующими ресурсами таким образом, чтобы удовлетворение экономических, социальных и эстетических потребностей общества осуществлялось с учетом сохранения культурной целостности, важнейших экологических процессов и биологического разнообразия национальных парков.

В современном мире экологический туризм является эффективным инструментом для сохранения и управления особо охраняемыми природными территориями. Грамотно организованный экологический туризм может оказывать огромную финансовую поддержку, необходимую для поддержания ценности охраняемых природных территорий.

Проведенные исследования научной литературы показывают, что развитие экологического туризма в национальных природных парках основывается на следующих положениях:

- минимализм негативного влияния туристов на природную среду и её компоненты;
- гармоничное соединение человека с природной средой и рекреационной инфраструктурой;
- научно-познавательное освоение ландшафтного и пейзажного разнообразия, а также разнообразного потенциала рекреационных территорий.

Роль охраняемых природных территорий особенно важна. Национальные парки всегда привлекательны для туристов, поэтому их стремление общества приобщиться к необузданной красоте природы необходимо сдерживать и направлять в нужное русло. В этом и заключается современная проблема многих национальных парков: как найти баланс между удовлетворением потребности людей в прекрасном и необходимостью защиты природы от них же.

К числу основных объектов, которые составляют основу для развития экологического туризма в национальных парках относятся:

- рельеф, геология и объекты гидрографии;
- животный и растительный мир, с учетом которых должны формироваться маршруты экологического туризма;
- современное и ранее проживавшее коренное население, а также культурное и научное наследие.

Развитие экологического туризма в национальных парках имеет свою специфику. Она заключается в хрупкости природной среды, которая исключает большие туристские потоки. В основном они характерны для отдыха на побережье.

Основной задачей экологического туризма является не только сохранение природной среды, но и уникального уклада жизни коренных народов, что предопределяет необходимость грамотной и продуманной политики вовлечения местного населения в сферу экологического туризма.

Оптимальной формой развития экологического туризма является развитие строго контролируемого экологическим туризмом в национальных парках. На данных территориях должен проводиться постоянный мониторинг за состоянием окружающей природной среды, а также осуществляться контроль за деятельностью туристических компаний [3].

Развитие экологического туризма в национальных парках происходит на малообжитой и труднодоступной территории. Это создает определенные сложности с инфраструктурным обеспечением, потому что экологический туризм первоначально очень затратное дело, хотя впоследствии может приносить немалые доходы.

Можно выделить основные положительные моменты влияния экологического туризма на развитие национальных парков:

- работа для местных жителей;
- доход для местной экономики;
- повышенный спрос на местные продукты питания и ремесел.

Одним из факторов, тормозящим развитие экологического туризма на особо охраняемых природных территориях страны является неэффективно осуществляемое управление данными территориями.

Зарубежная практика показывает, что должны существовать специализированные государственные службы, которые способны осуществлять управление особо охраняемыми природными территориями, например, Служба национальных парков США, Канады или Южной Африки. В настоящее время в России отсутствуют такие службы.

Возможным выходом из сложившейся ситуации представляется создание специализированной инфраструктуры управления особо охраняемым природным территориям, которая будет осуществлять государственное управление в этой сфере. При условии создания такой инфраструктуры управление системой особо охраняемых природных территорий в России может стать эффективным, а ее потенциал в полной мере сможет быть задействован для развития экологического туризма в национальных парках [5].

Мировой опыт показывает, что социально-экономическая эффективность экологического туризма в значительной степени проявляется на местном и региональном уровнях.

В этой связи особо охраняемые природные территории могут стать одним из основных источников новых рабочих мест и дополнительных доходов в местную экономику таких территорий. Развитие экологического туризма на особо охраняемых природных территориях способно содействовать привлечению инвестиций и международного внимания, что в свою очередь будет усиливать значимость охраняемых территорий в глазах населения местного сообщества, изменять его отношение к проблемам охраны окружающей среды.

Развитие экологического туризма в национальных парках требует тщательного и продуманного подхода к использованию ценных и уязвимых природных ресурсов таких территорий. При этом развивать экологический туризм как отрасль местной экономики самостоятельно национальному парку практически невозможно, так как решение многих вопросов в данной сфере находится за рамками предела его компетенции.

В настоящее время развитие экологического туризма является очень важной отраслью экономики со своими правилами, законами и традициями. Комплексное решение основных проблем, связанных с развитием экологического туризма на территории национальных парков, требует привлечения внешних ресурсов: интеллектуальных, материальных и финансовых.

Между государственными и региональными органами власти и управления, органами местного самоуправления, инвесторами и другими представителями частного сектора, а также местным населением необходимо выстраивать такие партнерские отношения, которые будут способствовать развитию национальных парков, как одного из сегментов природно-ориентированного туризма в России.

Использованная литература

1. Федеральный закон Российской Федерации от 14 марта 1995 года № 33-ФЗ «Об особо охраняемых природных территориях»
2. Задевалова М.И., Смирнов Н.П. Экологический туризм на особо охраняемых природных территориях // Ученые записки российского государственного гидрометеорологического университета, 2015. №: 38. С. 240-243
3. Биленкина К.К. Система экологического туризма в России // Вестник национальной академии туризма, 2015. № 1 (33). С. 19-21
4. Гассий В.В., Арумова Е.С. Государственно-частное партнерство в области привлечения инвестиций в охрану окружающей среды: региональный аспект// Экономика устойчивого развития. 2013. № 13. С. 58-62.
5. Беляева Е.А. Системный подход к управлению инновационным климатом региона // Вестник Академии знаний. 2013. № 1 (4). С. 21-25.
6. Беляева Е.А. Подходы к управлению региональной сетью особо охраняемых природных территорий // Экономическое развитие России: драйвер роста или генератор вызовов: Материалы Междунар. науч.-практ. конф./ под ред. проф. И.В. Шевченко.- Краснодар, 2016.- С.59-63.
7. Битарова М.А. Управление земельными ресурсами в рамках реализации концепции устойчивого развития // Экономическое развитие России: драйвер роста или генератор вызовов: Материалы Междунар. науч.-практ. конф./ под ред. проф. И.В. Шевченко.- Краснодар, 2016.- С.71-75.
8. Арумова Е.С. Сотрудничество территорий как инструмент устойчивого развития города // Экономическое развитие России: драйвер роста или генератор вызовов: Материалы Междунар. науч.-практ. конф./ под ред. проф. И.В. Шевченко.- Краснодар, 2016.- С.43-47.

Evgeniya Arumova

DEVELOPMENT OF ECOLOGICAL TOURISM IN NATIONAL PARKS

Annotation

In article theoretical questions of modern development of ecological tourism in especially protected natural territories are investigated. National parks are the main objects of ecological tourism and represent high potential for his development. Development of ecological tourism in the territory of national parks can change the relation of people to an environment problem as balance between ecological tourism and environmental protection promotes preservation of natural resources.

როზეტა ასათიანი

ეკონომიკური უსაფრთხოება სახელმწიფო რეზერვების სისტემაში

შესავალი

ეკონომიკური უსაფრთხოების პრობლემა ნებისმიერ პერიოდში იყო ყურადღების ცენტრში, მაგრამ განსაკუთრებულ აქტუალურობას XXI საუკუნეში იძენს, რასაც მსოფლიოში მიმდინარე ეკონომიკური მოვლენებისა და პროცესების მთელი კომპლექსი განაპირობებს. მეტ-ნაკლები სიმწვავეით იგი პოსტკომუნისტურ ქვეყნებშიც არსებობს, ამასთან, XX საუკუნის 90-იანი წლებიდან მოყოლებული, ეკონომიკური სისტემის შეცვლასთან დაკავშირებით, სოციალურ-ეკონომიკურ სფეროში წარმოქმნილმა რადიკალურმა პროცესებმა ეს პრობლემა არა მხოლოდ წინა პლანზე წამოსწია, არამედ ახალი შინაარსიც შესძინა.

ეკონომიკური უსაფრთხოება ეკონომიკური სისტემის ფუნქციონირების ხარისხის განმაზოგადებელი მაჩვენებელია, ქვეყნის ეკონომიკისა და, ბუნებრივია, მისი შემადგენელი ნაწილის – საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის განვითარების უმნიშვნელოვანესი ფაქტორია.

ეკონომიკური უსაფრთხოება უშუალოდაა დაკავშირებული ეკონომიკის სტაბილურ განვითარებასთან, ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის პრობლემებთან. იგი იცავს ეროვნულ ეკონომიკას იმ შიდა და გარე ნეგატიური ფაქტორებისგან, რომლებიც საფრთხეს უქმნიან ეკონომიკის მდგრად განვითარებას, რესურსული და სამეცნიერო-ტექნოლოგიური პოტენციალის შენარჩუნებას, აქედან გამომდინარე კი, ქვეყნის ეკონომიკური დამოუკიდებლობისა და სახელმწიფოებრიობის განმტკიცებას.

ეკონომიკური უსაფრთხოების დაცვის გარეშე შეუძლებელია ქვეყნის სოციალური ორიენტაციის უზრუნველყოფა. ამიტომაცაა, რომ იგი სახელმწიფოს ეკონომიკური პრიორიტეტების განმსაზღვრელია და განიხილება მიკრო-, მაკრო-, მეზო- და მეგადონეზე დღეს მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ეკონომიკური უსაფრთხოების პრობლემა სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის შემადგენელი ნაწილია და უდიდეს გავლენას ახდენს თავდაცვით, ეკოლოგიურ, ინფორმაციულ, მეცნიერულ-ტექნოლოგიურ, სოციალურ, სასურსათო, დემოგრაფიულ, იდეოლოგიურ, ინვესტიციურ, საგარეო და ა.შ. უსაფრთხოებებზე და მათთან ერთად ქმნის ეროვნულ უსაფრთხოებას.

ეკონომიკური უსაფრთხოება ეროვნული ინტერესების (პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, სამართლებრივი, ეკოლოგიური და ა.შ.) შემადგენელი ნაწილია და, შეიძლება ითქვას,

მათი რეალიზაციის გადაწყვეტი პირობაც.

ეკონომიკური უსაფრთხოების სტრატეგია

მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში (მათ შორის, აშშ-ში) შემუშავებულია ეკონომიკური უსაფრთხოების სტრატეგია, რომელსაც სათანადო ადგილი უჭირავს ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირებაში და ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის შემადგენელი ნაწილია.

მისი ლაიტმოტივია, ეკონომიკური დამოუკიდებლობის შენარჩუნების საფუძველზე, სოციალურ-ეკონომიკური სტაბილურობის უზრუნველყოფა, ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების დაცვა, საზოგადოების ჰარმონიული განვითარებისათვის ეპოქის შესაბამისი პირობების შექმნა და ა.შ.

ეკონომიკურ უსაფრთხოებას მნიშვნელოვანი როლი აკისრია საბაზრო მექანიზმის ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის ოპტიმალური პირობების შექმნაში, ქვეყნის ეკონომიკის ადეკვატური სტრუქტურული პოლიტიკის გატარებაში, ბაზრის სუბიექტებისათვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობაში, ხელისუფლების მხარდაჭერით ბაზრის სტიქიური ძალების ადეკვატურად, ინვესტიციების მოცულობისა და საინვესტიციო პორტფელის დივერსიფიკაციაში, საინვესტიციო „კლიმატის“ შექმნაში, საკუთრების პლურალიზმის დამკვიდრებაში, ქვეყნის წარმოებრივი, სოციალური და ინტელექტუალური პოტენციალის შენარჩუნება-განვითარებაში და ა.შ.

ეკონომიკური უსაფრთხოების ძირითად სტრატეგიულ მიმართულებად აღიარებულია კონკურენტოვანი ბაზრის შექმნა და დაცვა, რისთვისაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მოქნილი კანონმდებლობის შემუშავებასა და ანტიმონოპოლიური პოლიტიკის გატარებას, ეკონომიკის პრიორიტეტული დარგების გამოყოფას, მათდამი სახელმწიფოებრივ მხარდაჭერას, ეროვნული ვალუტის სიმყარის უზრუნველყოფას, საკუთრების დაცვასა და ა.შ. კონკურენციის გარეშე ბაზარი ფიქციაა. უკანასკნელ პერიოდში კონკურენცია გაცდა ერთი ქვეყნის ფარგლებს და გლობალური მასშტაბები შეიძინა. ცნობილია, რომ ქვეყნის კონკურენტუნარიანობა, როგორც განვითარების უმნიშვნელოვანესი ინდიკატორი, ეკონომიკური უსაფრთხოების გარანტი, განსაზღვრავს თითოეული ქვეყნის ადგილსა და როლს მსოფლიო ეკონომიკაში. ისიც ცნობილია, რომ ერთ ქვეყანას არ შეუძლია მოიპოვოს კონკურენტული უპირატესობა ეკონომიკის ყველა დარგში. ქვეყნები წარმატებას აღწევენ მხოლოდ კონკურენტულ დარგებში. ქვეყანა რომ კონკურენტუნარიანი იყოს, მან თავისი პროდუქცია უნდა გაყიდოს საზღვარგარეთ საერთაშორისო საბაზრო ქსელის მეშვეობით. ეს არის დიდი სათამაშო ველი, რომელიც თავისებურ კომპასს წარმოადგენს თითოეული ქვეყნისთვის – რა გზას დაადგეს, რომელი დარგები განავითაროს, რა უნდა იყოს მისი ეკონომიკური განვითარების გენერალური სტრატეგია. თანამედროვე პირობებში აქცენტი კეთდება ისეთ ფასეულობებზე, როგორიცაა ხარისხი, ნოუ-ჰაუ, ბაზრისადმი ახლებური მიდგომა, ახალი სახეობის პროდუქციის შექმნა და ა.შ. საერთაშორისო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ კომპანიებმა და, აქედან გამომდინარე, განვითარებულმა ქვეყნებმა წარმატებას მსოფლიო ბაზარზე ერთმანეთისგან განსხვავებული სტრატეგიებით მიაღწიეს.

ეკონომიკური უსაფრთხოების სტრატეგია ითვალისწინებს აგრეთვე საბიუჯეტო-საგადასახადო უფლებამოსილების ოპტიმალურ ტერიტორიულ განაწილებასა და რეგიონების მიხედვით დისკრიმინაციის ლიკვიდაციას, სამამულო წარმოების პროდუქციის გასაღების ბაზრების დაცვას, სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფასა და ა.შ.

ეკონომიკური უსაფრთხოების სტრატეგიაში განსაკუთრებული ადგილი საზოგადოების სოციალურ დაცვას უჭირავს. მასში აისახება პიროვნების, საზოგადოებისა და სახელმწიფოს ინტერესები და იგი ქვეყანაში პოლიტიკური სტაბილურობის შენარჩუნების გარანტია. საზოგადოების სოციალური დაუცველობის შედეგი კი ნარკომანიის ზრდა, კრიმინოგენული სფეროს გაფართოება, სოციალური აფეთქებები, კატასტროფები და სხვა ნეგატიური მოვლენებია.

ეკონომიკურ უსაფრთხოებას დიდი როლი აკისრია ეკონომიკის სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნებაში და აისახება ქვეყნის ცხოვრების დონეზე, ეკოლოგიაზე¹⁸, სამართალწესრიგზე, მეცნიერულ-ტექნოლოგიურ პოტენციალზე, დემოგრაფიულ მდგომარეობაზე, უმუშევრობაზე და ა.შ.

ეკონომიკურ უსაფრთხოებასთან მიმართებაში განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ინსტიტუციური უმუშევრობის პრობლემა. იგი ერთ-ერთი მწვავე პრობლემაა და, ქვეყანაში არსებული სუსტი ინსტიტუტებისა და შრომის ბაზრის მოუქნელი ფუნქციონირებიდან გამომდინარე, ვაკანტური სამუშაო ადგილების აუთვისებლობით (მათი არსებობის შესახებ მოსახლეობისათვის ინფორმაციის მიუწვდომლობის გამო) არის გამოწვეული და, ბუნებრივია, უმეტესწილად სუსტად განვითარებული ქვეყნებისთვისაა დამახასიათებელი.

განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკური მდგომარეობის მახასიათებელია აგრეთვე ეკონომიკურ თეორიაში საკმაოდ გავრცელებული ტერმინი „მანკიერი წრე“ (“Viciois Ciroles”), რომელიც უდიდეს გავლენას ახდენს ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე და მდგომარეობს შემდეგში: ითვლება, რომ განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკა, სადაც იწარმოება მხოლოდ არსებობისათვის აუცილებელი საშუალებები, არ ექვემდებარება გარდაქმნას, ვინაიდან დაბალია წარმოების მთლიანი მოცულობა და

¹⁸ ამჟამად დასავლეთში ტერმინი – გარემოს დაცვა – რაციონალური ბუნებათსარგებლობის ტერმინით შეიცვალა.

უმნიშვნელოა სარეზერვო მარაგები. აქედან გამომდინარე, მოხმარების შემდეგ არ არსებობს ნამეტი კაპიტალის დაგროვებისათვის, რომლის გარეშეც ნაკლებად შესაძლებელია წარმოების გადიდება. „მანკიერი წრის“ გასაღები კაპიტალის დაგროვებაა. თუ ქვეყანა შეძლებს, თავი დააღწიოს ამ წრეს, მაშინ წარმოიქმნება საწინააღმდეგო პროცესი: როგორც კი დაიწყება კაპიტალის დაგროვება, იზრდება წარმოების მოცულობა, ხოლო შემდეგ იწყებს ზრდას შემოსავლებიც, რომლებიც ქმნიან ნამეტს ინვესტირებისა და დაგროვებისათვის.

ამრიგად, ეკონომიკური უსაფრთხოების სტრატეგია უკავშირდება სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ამოცანებს და ეყრდნობა ქვეყნის განვითარების სოციალურ-ეკონომიკურ მოდელს. ამ უკანასკნელში თუ რამდენად არის ასახული ეროვნული ეკონომიკის ინტერესები, მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ეკონომიკური უსაფრთხოების როლს ქვეყნის სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნებაში.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება შემდეგი დასკვნის გაკეთება: **ეკონომიკური უსაფრთხოების სტრატეგია არის ქვეყნის სტრატეგია მდგრადი და მუდმივად განვითარებადი ეკონომიკით, რომელიც ითვალისწინებს ქვეყნის ეკონომიკური მთლიანობისა და დამოუკიდებლობის შენარჩუნებას, ეკონომიკის სიცოცხლისუნარიანობის განმტკიცებას, საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური სტაბილურობისათვის სათანადო პირობების შექმნას, რესურსული პოტენციალისა და ინოვაციური ეკონომიკის თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე განვითარებას.**

ინოვაციური ეკონომიკის განვითარება – ეკონომიკური უსაფრთხოების გენერალური სტრატეგია

დღეს ქვეყნები კონკურენტულ უპირატესობას ინოვაციების, მაღალი ტექნოლოგიების გზით აღწევენ. ისინი აფუძნებენ ახალ სტრატეგიებს, ეუფლებიან წარმოების ეფექტიან მეთოდებს, საერთაშორისო სტანდარტებს, ინვესტიციებს დებენ ცოდნის განახლებაში. განვითარებული ქვეყნების წარმოების მატების 75-დან 100%-მდე სწორედ ინოვაციების გამოყენებით მიიღწევა¹⁹. ამიტომაცაა, რომ XXI საუკუნეში სტრუქტურული გარდაქმნების ბირთვის ინოვაციური ეკონომიკის განვითარება წარმოადგენს. დღეს ეკონომიკის ეფექტიანი ფუნქციონირების საფუძველი მოძველებული ტექნოლოგიების ახლით შეცვლის უწყვეტი პროცესია, რესურსდამზოგველი ტექნოლოგიების განვითარებაა. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს საინფორმაციო ტექნოლოგიები (IT). მისი განვითარება ეკონომიკური უსაფრთხოების სტრატეგიული მიმართულებაა. ეს პროცესი დიდ გავლენას ახდენს არა მხოლოდ მატერიალური რესურსების, არამედ ინტელექტუალური კაპიტალის ხარისხზე და განაპირობებს ცოდნის ფენომენის წინა პლანზე წამოწევას. XXI საუკუნე ხომ ინოვაციური ეკონომიკის საუკუნეა! დღეს ტექნოლოგიური ბუმი ტრეკტორიას უცვლის მსოფლიო ეკონომიკის განვითარებას, უდიდესი პოზიტივი შეაქვს მასში, რომლის არგათვალისწინება ჩამორჩენილობის დაუძლეველობას ნიშნავს და საეჭვოს ხდის ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფას.

მეცნიერების მიღწევებზე დაყრდნობით, ინოვაციების განვითარება დღეს მსოფლიოში ეკონომიკური ზრდის უმნიშვნელოვანეს რესურსად არის აღიარებული. იგი ვრცელდება არა მხოლოდ ტექნოლოგიებზე, არამედ ყველა ინსტიტუციურ ფორმასა და სტრუქტურაზე. გლობალურ ეკონომიკაში ინოვაციური ეკონომიკის უპირატესმა განვითარებამ მაღალი ეკონომიკური წესრიგის ჩამოყალიბების საფუძველი შექმნა. გლობალიზაციის პირობებში ინოვაციურმა პროგრესმა მძლავრი ბიძგი მისცა ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფას, რომლის გარეშე შეუძლებელია კრეატიული პოტენციალის ყოველმხრივი განვითარება, ინტელექტუალური საკუთრების დაცვა და ეკონომიკის ეფექტიანი ფუნქციონირება.

ბოლო პერიოდში არა მხოლოდ პოსტინდუსტრიულ, არამედ მრავალ ახალი ინდუსტრიულ ქვეყანაშიც მეცნიერება განიხილება უმნიშვნელოვანეს ნაციონალურ პრიორიტეტად. ამ ქვეყნებმა თითქმის ორჯერ გაზარდეს თავიანთი ინოვაციური პოტენციალი და უახლოვდებიან ევროპული ქვეყნების შესაბამის მაჩვენებელს. მსგავსი ტენდენცია შეიმჩნევა ჩინეთშიც. ინოვაციური ეკონომიკის განვითარების თვალსაზრისით უდიდეს წარმატებას მიაღწიეს ევროკავშირის ქვეყნებმა, მაგალითად, ირლანდია ჩამორჩენილი ქვეყნიდან გადაიქცა ინოვაციური კაპიტალის დაბანდებისათვის ერთ-ერთ მიმზიდველ ქვეყნად, რაც დაეტყო კიდევ მის განვითარებას.

ინოვაციური პროცესების სტიმულირებაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი ვენჩურული დაფინანსების ინსტიტუტები გახდა. ვენჩურული კაპიტალის ფორმირებაში მონაწილეობას იღებენ ბანკები, საპენსიო ფონდები, სადაზღვევო კომპანიები და ა.შ.

ამჟამად მსოფლიოში მაღალტექნოლოგიური წარმოების პირველ ათეულში შედიან: ფინეთი, აშშ, შვედეთი, იაპონია, სამხრეთი კორეა, ნიდერლანდი, დიდი ბრიტანეთი, კანადა, ავსტრალია და სინგაპური. მათ მოჰყვება ჩინეთი.

დღეს მსოფლიოში არ არსებობს წინააღმდეგობა მაღალტექნოლოგიურ მომსახურებასა და მაღალტექნოლოგიურ ინდუსტრიას შორის. წინააღმდეგობებს მხოლოდ მოძველებული ტექნოლოგიები და ნაკლებკონკურენტუნარიანი პროდუქცია განაპირობებს, რაც სუსტად განვითარებული ქვეყნებისთვისაა დამახასიათებელი, მათი ხვედრია. ამ სიტუაციიდან თავის დაღწევა დიდ ძალისხმე-

¹⁹ <http://www.chelt.ru2001\12\uzbashianz-12.html>

ვას მოითხოვს. საქართველოც დღეც ამ დიღემის წინაშეა.

საქართველოში „ინოვაციური სურათი“ არასახარბიელოა. მაღალეფექტიან ინოვაციურ განვითარებას მრავალი ფაქტორი უშლის ხელს, სახელდობრ: ა). წარმოების დანახარჯებში მეცნიერულ კვლევებსა და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებზე (მპსსს) გაწეული დანახარჯების გაუთვალისწინებლობა; ბ). ქვეყნის ინტერესებიდან და ეკონომიკის განვითარების პერსპექტივიდან გამომდინარე არ არის შემუშავებული სახელმწიფო მეცნიერულ-ტექნოლოგიური და საინვესტიციო პოლიტიკა; გ). არ არის განსაზღვრული ინოვაციური პოლიტიკის მიმართულებები და პრიორიტეტები; დ). მოქმედი კანონმდებლობა ვერ არეგულირებს ინოვაციურ საქმიანობას, რასაც, მრავალსხვა ფაქტორთან ერთად, კონკურენციული ბაზრის არარსებობა განაპირობებს; ე). ნაკლები ყურადღება ექცევა ინფორმაციული პოტენციალის განვითარებასა და ინტელექტუალური საკუთრების დაცვას. ამ ფაქტორების გაუთვალისწინებლობა და შესაბამისი ღონისძიებების არგატარება ზიანს აყენებს საქართველოს ეკონომიკის უსაფრთხო განვითარებასა და მის ეფექტიან ფუნქციონირებას.

საქართველო, ეკონომიკის ინტელექტუალიზაციის დონის (ტექნიკურ მიღწევათა ინდექსის) მიხედვით, მსოფლიოში ჩამორჩენილი ქვეყნების ჯგუფშია მოქცეული. რა თქმა უნდა, საქართველოში, მისი თავისებურებებიდან გამომდინარე, უნდა განვითარდეს აგრარული სექტორი, რომელიც დღეს რთული პრობლემების წინაშეა. ამისათვის კი, პირველ ყოვლისა, აუცილებელია პოლიტიკური ნება და სახელმწიფოს აქტიური მხარდაჭერა. მათ შორის, შიდა ბაზრის დაცვა და პროტექციონისტული პოლიტიკის გატარება, სოფლად ინფრასტრუქტურის განვითარება, შრომითი რესურსების ადგილზე დამაგრება, სოფლის მეურნეობის ინდუსტრიალიზაციის წარმოებათა წახალისება, სატყეო მეურნეობის განვითარება (და არა ტყეების განეხვა და უცხოელებზე გასხვისება), შესაბამისი კადრების მომზადება და ა.შ. ამას თვით ეროვნული ტრადიციებიც გვკარნახობს. სოფლის მეურნეობის განვითარება ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი პრიორიტეტი უნდა გახდეს, მაგრამ არა გენერალური სტრატეგია. აგრარულმა სექტორმა უნდა შეძლოს შიდა საწარმოო და სამომხმარებლო მოთხოვნის გარკვეულწილად დაკმაყოფილება. ამას თვით ქვეყნის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეკონომიკური სტრატეგიის – ტურიზმის განვითარებაც გვკარნახობს²⁰.

აუცილებელია, საქართველომ სწორად გააანალიზოს მსოფლიოში მიმდინარე ეკონომიკური პროცესები, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს კონკურენტუნარიანობის მოთხოვნებს, შეიგრძნოს მსოფლიო ეკონომიკის განვითარების პულსი. XXI საუკუნე, კონკურენტული უპირატესობის მისაღწევად, მსოფლიოს სთავაზობს ეკონომიკური განვითარების ახალ მოდელს, რომელშიც „პირველ ვიოლინოს“ როლს ინტელექტუალური კაპიტალი ასრულებს. საქართველომ აუცილებლად უნდა შექმნას ახალი ინოვაციური სისტემა, ვინაიდან კონკურენციაში წარმატებას აღწევს ის, ვინც ქმნის ბაზარს, ე.ი. ვინც ბაზარს სთავაზოვს ინოვაციას. დღეს მსოფლიოში პოპულარულია შემდეგი მოწოდება: „დღევანდელი ინოვაციებით მოაძველეთ გუშინდელი პროდუქცია“. ეს თეზა მეტად საგულისხმოა ისეთი პატარა, მაგრამ ჯერ კიდევ დიდი პოტენციალის მქონე ქვეყნისთვის, როგორც საქართველოა.

ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე მოქმედი ფაქტორები

ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე გავლენას ახდენს ქვეყანაში მიმდინარე როგორც კონსტრუქციული, ისე დესტრუქციული ხასიათის პროცესები. კონსტრუქციული პროცესები ხელს უწყობს საზოგადოებრივი ინტერესების რეალიზაციას და ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე მოქმედ პოზიტიურ ფაქტორებში აისახება, ხოლო დესტრუქციული პროცესები, ბუნებრივია, ეწინააღმდეგება საზოგადოების ინტერესებს და ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე მოქმედ ნეგატიურ ფაქტორებში აისახება.

ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე მოქმედი ფაქტორები განიხილება როგორც ქვეყანაში პოლიტიკური მდგომარეობისა და საგანგებო სიტუაციების გათვალისწინებით, ისე ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონის მიხედვით. I ჯგუფში შედის: ეკონომიკური უსაფრთხოება მშვიდობიან პერიოდში, საომარი მზადების პირობებში, საომარ პირობებში, ომისშემდგომ პერიოდში, ლოკალური კონფლიქტების პირობებში, სტიქიური უბედურებების შედეგების აღკვეთის პირობებში და ა.შ. II ჯგუფში შედის: ეკონომიკური უსაფრთხოება ეკონომიკური ზრდის მკვეთრი დაცემის პირობებში, ადგილობრივი ნედლეულის ზღვარგადასული ექსპორტის პირობებში, ექსპორტ-იმპორტის თანაფარდობის ზღვრული მნიშვნელობიდან ფაქტობრივი მნიშვნელობის მკვეთრი გადახრის პირობებში, საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების მკაცრი შეზღუდვის პირობებში, წარმოების დაცემისა და მისგან წარმოქმნილი ნეგატიური მოვლენების პირობებში, საშინაო ბაზრის უცხოური საქონლით გაჯერებისა და „დაპყრობის“ პირობებში, ეკონომიკის კრიზისული მდგომარეობისა და საგარეო ბაზრების დაკარგვის პირობებში და ა.შ.

ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე მოქმედი ფაქტორები იყოფა შიდა და გარე ფაქტორებად. **შიდა**

²⁰ რასაც სავსებით ვეთანხმებით და რის შესახებაც მსჯელობა არაერთხელ გვექონდა სხვადასხვა პუბლიკაციასა თუ საჯარო გამოსვლებში. იხ. ასათიანი რ. კავკასიის ეკონომიკის ზოგიერთი ასპექტი და თანამედროვეობა. ჟურ. „ეკონომიკა“, 1996, №12; Asatiani P. Особенности и перспективы развития экономики Грузии в переходный период. Жур. «Общество и экономика», Asatiani R. Caucasus and Georgian Economy: Past, Present, Prospects. “The Caucasus Region: Economic and Political Development”. New York, Nova Science Publishers, Ins., 2011 და ა.შ.

ფაქტორებს მიეკუთვნება: ბუნებრივი ფაქტორები, სტრუქტურული, მეცნიერულ-ტექნოლოგიური, საფინანსო-საკრედიტო, ორგანიზაციულ-სამმართველო, შრომითი რესურსების გამოყენებისა და სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორები.

ბუნებრივ ფაქტორებში შედის: ქვეყნის უზრუნველყოფის დონე საკუთარი ბუნებრივი რესურსებით, მათი მოპოვების პირობები და ა.შ.; **სტრუქტურულ ფაქტორებში** შედის: ინვესტიციების მოცულობა და სტრუქტურა, პორიზონტალური კავშირების განვითარების დონე, კაპიტალის განაწილება დარგებისა და რეგიონების მიხედვით და ა.შ.; **მეცნიერულ-ტექნოლოგიური ფაქტორები** მოიცავს: ტექნოლოგიების განვითარების დონეს, ინტელექტუალური საკუთრების უფლების დაცვას და ა.შ.; **საფინანსო-საკრედიტო ფაქტორები**: საბანკო სისტემისა და შესაბამისი ბაზრის მდგომარეობა, კრედიტების მიღების პირობები, დისციპლინა უნაღდო ანგარიშსწორების სფეროში და ა.შ.; **ორგანიზაციულ-მმართველობითი ფაქტორები** მოიცავს: წარმოების ორგანიზაციის, ეკონომიკური და სამართლებრივი რეგულირების მეთოდებსა და ა.შ.; **შრომითი რესურსების გამოყენების ფაქტორებში** შედის: სამუშაო ძალის გამოყენების სტრუქტურა, უმუშევრობის დონე, სამუშაო ძალის კვალიფიკაციის დონე და ა.შ.; **სოციალურ-ეკონომიკურ ფაქტორებში** შედის: შრომის პირობები, შრომის ანაზღაურების დონე და ა.შ.

ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე მოქმედ **გარე ფაქტორებს** მიეკუთვნება: საგარეო-ეკონომიკური კავშირების ოპტიმალური სტრუქტურის განვითარების ფაქტორები; უცხოური ინვესტიციების მოზიდვის ფაქტორები; საგარეო-ეკონომიკური ოპერაციებისადმი კონტროლის განვითარების ფაქტორები და ა.შ.

ეკონომიკური უსაფრთხოება ზემოქმედებს ეკონომიკური ურთიერთობების მთელ სისტემაზე და გარკვეულწილად განსაზღვრავს ამ ურთიერთობების განვითარების ხასიათს.

ეკონომიკური უსაფრთხოების კრიტერიუმები

ეკონომიკური უსაფრთხოების კრიტერიუმების დადგენა შეუძლებელია ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების გარეშე. ამ უკანასკნელში შედის ეკონომიკური საფრთხის რაოდენობრივი განსაზღვრა და მულტიპლიკაციური ეფექტის დადგენა.

ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის შეფასება თუ ეროვნული და არა კომპრადორული ინტერესების მატარებელია, მაშინ მას უდიდესი როლი აკისრია ეროვნული დამოუკიდებლობის შენარჩუნების თვალსაზრისით. იგი მოიცავს რესურსული პოტენციალის, ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის, სოციალური სტაბილურობის, სოციალური კონფლიქტების დაძლევის შესაძლებლობების, უცხოური ვალუტის შეუზღუდავი შემოდინებით გამოწვეული შედეგების შეფასებასა და ა.შ.

თანამედროვე საბაზრო სისტემის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თავისებურება – ახალ თვისებრივ ზრდაზე გადასვლა ეფუძნება იმ კრიტერიუმებს, რომლებიც იძლევა ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის თვისებრივ დახასიათებას და აისახება კრებსით ინდექსში – **სოციალურ ინდიკატორებში**. მასში შედის: შრომის პირობები, განათლების განვითარების დონე, ჯანდაცვისა და ტრანსპორტის მდგომარეობა და ხელმისაწვდომობა, შრომისუნარიანი მოსახლეობის საშუალო წლიური ზრდა, ბავშვთა სიკვდილიანობა, კალორიის მოხმარება, სუფთა წყლის ხელმისაწვდომობა, ენერჯის მოხმარება მოსახლეობის ერთ სულზე, სრული პირადი თავისუფლება, ინფლაციის საშუალო წლიური ნორმა და ა.შ.

სოციალური ინდიკატორები ეკონომიკური უსაფრთხოების მნიშვნელოვანი მახასიათებლებია და, გარკვეული თვალსაზრისით, უკავშირდება „ხაფანგის ეფექტით“ (“Entrapment Effect”) ცნობილ ჰიპოთეზას, რომლის მიხედვით შრომის ბაზარი იყოფა პირველად და მეორეულ ბაზრებად. პირველადი სექტორი ხასიათდება მაღალი ანაზღაურებით, ზრდის პერსპექტივებით, უსაფრთხოებითა და დამატებითი სარგებლობით, მაშინ როდესაც მეორეული სექტორისთვის ნიშანდობლივია ნაკლებანაზღაურებადი სამუშაო ადგილები, არასრული დასაქმება, არასტაბილური და, როგორც წესი, ნაკლებად მიმზიდველი სამუშაო. მეორეული სექტორიდან პირველად სექტორში გადასვლას აფერხებს არა იმდენად მუშაკთა კვალიფიკაციის დონეში განსხვავება, რამდენადაც ინსტიტუციური ბარიერები დისკრიმინაციის ფორმით.

ჰიპოთეზა მდგომარეობს იმაში, რომ მეორეული შრომის ბაზრის პირობები წარმოადგენს მუშაკების მიერ ცუდი შრომის ჩვევების შექმნის მთავარ მიზეზს. „ცუდი“ სამუშაოს მქონე მუშაკები ხდებიან „ცუდი“ მუშაკები. ეს მოვლენა უკუკავშირის დიდი სისტემის მხოლოდ ერთი ასპექტია. მასზე გავლენას ახდენს რიგი სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორებისა, მათ შორის, ოჯახური მდგომარეობაც. საბოლოო ანგარიშით, ყალიბდება „ხაფანგის“ ეფექტი, რომელიც გამომდინარეობს „სიღარიბის კულტურის ჰიპოთეზიდან“ (“Culture of Poverty Hypothesis”)²¹.

²¹ “სიღარიბის კულტურის ჰიპოთეზა“ გამოხატავს ფუნქციონალურ დამოკიდებულებას სიღარიბესა და მის განმაპირობებელ ისეთ ფაქტორებს შორის, როგორცაა პიროვნების შეზღუდული, სუსტი ინდივიდუალური შესაძლებლობები, განათლებისა და კვალიფიკაციის დაბალი დონე, მუშაკთა ცუდი შრომითი ჩვევები, უნარები და ა.შ. შრომითი უნარების ხარისხს სპეციალისტები უკავშირებენ მეორეული შრომის ბაზრის პირობებს, სადაც, პირველადი შრომის ბაზრისაგან განსხვავებით, არსებული ცუდი პირობები უარყოფითად აისახება მუშაკთა კვალიფიკაციაზე და მათში ცუდ შრომით უნარებს აყალიბებს, საბოლოო ანგარიშით კი, უარყოფით გავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე.

ამ შემთხვევაში სამთავრობო პოლიტიკა უნდა ითვალისწინებდეს „კარგი“ სამუშაო ადგილების შექმნას კანონმდებლობით აკრძალული დისკრიმინაციის ნაცვლად, რაც დადებითად აისახება ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე.

ეკონომიკური უსაფრთხოების კრიტერიუმები: ეკონომიკის დამანგრეველი პროცესების, სტრუქტურული და ინსტიტუციური დეფორმაციების თავიდან აცილება, ქვეყნის ბუნებრივ-რესურსული და მეცნიერულ-ტექნოლოგიური პოტენციალის გამოყენების მასშტაბი და ხარისხი²², სოციალურ-ეკონომიკური ეფექტიანობის ზრდა, ცხოვრების დონის ამაღლება და ხარისხის მკვეთრი გაუმჯობესება, დანაკარგებისა და რისკების მინიმიზაცია, კონკურენტუნარიანი საქონლისა და მომსახურების წარმოების ზრდა, მოსალოდნელი კატასტროფული პროცესების არდაშეება, არაკვალიფიციური ბუნებრივი რესურსების უპირატესი გამოყენებიდან კვალიფიციური ბუნებრივი რესურსების უპირატეს გამოყენებაზე გადასვლის ტექნოლოგიური უზრუნველყოფა და სხვ.

ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების დონის მანიკური მნიშვნელობის დასაშვებ საზღვრებში მოქცევა განაპირობებს ეკონომიკური საფრთხის თავიდან აცილებას, ხოლო გადაჭარბება ეკონომიკური უსაფრთხოების ზღვრულ მნიშვნელობებზე²³ ქვეყანაში წარმოქმნის არაორდინარულ სიტუაციას: ზღვრულ სიდიდეებზე მაღალი ფაქტობრივი პარამეტრები დიდი რისკის შემცველია, რომელთა არგათვალისწინებას გამოუსწორებელი შედეგები მოაქვს მოცემული ქვეყნისთვის, იწვევს დიდ სოციალურ-ეკონომიკურ დანაკარგებს.

ეკონომიკური უსაფრთხოება და „ჰოლანდიური დაავადება“

„ჰოლანდიური დაავადების“ („Dutch Disease“) ფენომენი უკავშირდება ქვეყანაში უცხოური ვალუტის შეუზღუდავ შემოდინებას, გამოწვეულს ბუნებრივი რესურსების ექსპორტის ბუმით. იგი აგრეთვე შეიძლება გამოიწვიოს საერთაშორისო ფინანსური დახმარებისა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოძალდება. ქვეყანაში უცხოური ვალუტის მოზღვაების ერთ-ერთი წყარო შეიძლება იყოს ფართომასშტაბიანი პრივატიზაციაც.

სახელწოდება „ჰოლანდიური დაავადება“ ასოცირდება არაგონივრულად განკარგული ქვეყნის სიმდიდრესთან და ეკონომიკურ ლიტერატურაში გამოჩნდა XX საუკუნის 60-იანი წლებიდან, როცა ჩრდილოეთის ზღვაში ნიდერლანდის მიერ ბუნებრივი აირის საბადოს აღმოჩენამ გამოიწვია ქვეყნის საექსპორტო შემოსავლების არნახული ზრდა, ეროვნული ვალუტის – გულდენის გამყარება და ტრადიციული ექსპორტის კონკურენტუნარიანობის დაცემა. ამ პერიოდიდან მოყოლებული „ჰოლანდიური დაავადების“ სახელით ცნობილი ეს მოვლენა არაერთი ქვეყნის „თავის ტივილი“ გახდა და უარყოფითი გავლენა მოახდინა ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე.

„ჰოლანდიური დაავადების“ კლასიკური მოდელი 1982 წელს ჩამოაყალიბეს მ. კორდენმა და პ. ნეარვიმ²⁴. მისი შინაარსი შემდეგია: ბუნებრივი რესურსების ექსპორტის ბუმი არღვევს წონასწორობას ამ სექტორს, ტრადიციულ საექსპორტო სექტორსა და არასაექსპორტო სექტორს (მშენებლობა, საცალო ვაჭრობა, სასტუმროები, რესტორნები და ა.შ.) შორის. მართალია, თავდაპირველად ბუნებრივი რესურსების ექსპორტი ზრდის უცხოური ვალუტის შემოდინებას ქვეყანაში და, აქედან გამომდინარე, ქვეყნის შემოსავლებს, მაგრამ მისი გრძელვადიანი ეფექტი საწინააღმდეგოა. საქმე ისაა, რომ შიდა ვალუტის ბაზარზე ბუნებრივი რესურსების ექსპორტიდან მიღებული უცხოური ვალუტა კონვერტირდება ეროვნულ ვალუტაში. თუ ქვეყანაში ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსი ფიქსირებულია, მაშინ კონვერტირების ეს პროცესი მოითხოვს ფულის მიწოდების ზრდას, რაც ადგილობრივი ფასების მომატებას იწვევს, ხოლო მცურავი გაცვლითი კურსის პირობებში შიდა სავალუტო ბაზარზე მოთხოვნა-მიწოდებას შორის წონასწორობის დარღვევა ადგილობრივი ვალუტის გამყარებას გამოიწვევს. ორივე შემთხვევაში გაიზრდება ეროვნული ვალუტის რეალური გაცვლითი კურსი, რაც იმას ნიშნავს, რომ ქვეყნის სამომხმარებლო ბაზარზე უცხოური ვალუტის ერთეულით გაცილებით ნაკლები საქონლისა და მომსახურების შექმნა შეიძლება, ვიდრე ეს ადრე იყო შესაძლებელი. ასეთი ვითარება უკუგავლენას ახდენს ტრადიციული ექსპორტის მომგებიანობაზე, ვინაიდან შიდა ფასების ზრდის გამო გაძვირებული საექსპორტო პროდუქცია ნაკლებკონკურენტუნარიანი ხდება საერთაშორისო ბაზარზე, რასაც მოჰყვება ტრადიციულ საექსპორტო სექტორში წარმოების მკვეთრი დაცემა, კაპიტალის და სამუშაო ძალის არასაექსპორტო სექტორში გადა-ნაცვლება („რესურსების გადანაცვლების ეფექტი“). გარდა იმისა, რომ ამის შედეგად ტრადიციული

²² „მესამე სამყაროს“ ქვეყნების სუსტი განვითარება მნიშვნელოვანწილად განპირობებულია ამ ქვეყნებში არსებული რესურსების გამოყენებლობის მაღალი დონით, იმ სტრუქტურული და ინსტიტუციური დეფორმაციებით, რომლებიც წარმოიშობა შიდა და გარე მიზეზების ერთობლივი ზემოქმედებით. ეს პიპოთეზა ეკონომიკურ მეცნიერებაში ცნობილია „სტრუქტურული გარდაქმნების თეორიის“ („Structural Changes Theory“) სახელწოდებით.

²³ ეკონომიკური უსაფრთხოების ზღვრული მნიშვნელობები: მშპ-ის დაცემის დონე – 30%, უმუშევრობის დონე – 7%, სამრეწველო წარმოების დაცემის დონე – 30%, მოსახლეობის რაოდენობა საარსებო მინიმუმის ქვემოთ – 10%, საგარეო ვალი მშპ-თან – 25%, ბიუჯეტის დეფიციტი – 5%, იმპორტის წილი შიდა მოხმარებაში – 30%, დანახარჯები მეცნიერებაზე მშპ-ში – 2%, სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა – 70% და ა.შ.

²⁴ Corden Max W., Nearvy Peter J. Booming Sector and Deindustrialization in a Small open Economy. „The Economic Journal“. Vol. 92, 1982, pp. 825-848.

საექსპორტო სექტორი ზარალდება, თუ ვერ მოხერხდა არასაექსპორტო სექტორის ინფრასტრუქტურის განვითარება და კადრების გადამზადება, გარდუვალია უმუშევრობის ზრდა და მასთან დაკავშირებული კატაკლიზმები. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ თუ ზემოთ განხილული გზით ქვეყანაში მიღებული უცხოური ვალუტა იმპორტის ზრდას მოხმარდება, მაშინ ვალუტის ნაკადების შემოდინება პირდაპირ არ აისახება ფულის მიწოდებაზე, თუმცა, იმპორტის ზღვარგადასული ზრდაც გაუმართლებელია²⁵.

ეკონომიკური წესრიგის პოლიტიკის როლი ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფაში

ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფაში უდიდეს როლს ეკონომიკური წესრიგის პოლიტიკა ასრულებს. იგი გულისხმობს სახელმწიფოს მიერ კონკურენციის დაცვის პოლიტიკის შეხამებას საზოგადოების სოციალური დაცვის პოლიტიკასთან იმ ჩარხო-პირობების გათვალისწინებით, რომელთაც ეკონომიკური წესრიგის პოლიტიკა ადგენს. ჩარხო-პირობებში შედის:

1. ქვეყნის ინსტიტუციური მოწყობა და, პირველ ყოვლისა, წესრიგი საკუთრებით ურთიერთობებში (საკუთრების მრავალფორმიანობის მასშტაბი და საკუთრების პლურალიზმის ხარისხი, ეროვნული ვალუტის სტაბილურობის დონე, ბიუჯეტის დეფიციტის სიდიდე, საგალუტო რეზერვების ოდენობა, საგადასახადო განაკვეთების დონე, საგადასახადო შეღავათების მასშტაბები);

2. კონკურენციის დაცვის პირობები და მაკროეკონომიკური რეგულირების პრიორიტეტები (ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის არსებობა და მისი განვითარების დონე, გადასახადების კლიბრალიზაციის დონე, საკრედიტო განაკვეთების სიდიდე, ბიზნესის თავისუფლების ხარისხი, ეკონომიკურ-სამართლებრივი სისტემის სანდოობის ხარისხი, იმპორტის წილი მშპ-ში, მეცნიერებატევადი პროდუქციის წილი გამოშვებული პროდუქციის მთლიან მოცულობაში, ინვესტიციების, მათ შორის, უცხოური ინვესტიციების წილი ძირითად და საბრუნავ კაპიტალში, ინფლაციის საშუალო წლიური ნორმა, უმუშევრობის დონე, სახელმწიფო ვალის მოცულობა მშპ-თან, %-ით, ფარული ეკონომიკის მასშტაბები, საგადასახდელო ბალანსის მდგომარეობა, საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში ჩართვის მასშტაბები და ხარისხი, აგრეთვე მოცემულ ქვეყანაში კერძო სექტორი არის თუ არა პოლიტიკური რუპორი, ბიზნესის წარმომადგენლები იკავებენ თუ არა ადგილს ხელისუფლებაში და ა.შ.);

3. სოციალური დაცვის პირობები და მაკროეკონომიკური რეგულირება (საზოგადოებრივი საქონლის წარმოების დონე და ხარისხი, მოსახლეობის დაცვა უარყოფითი ექსტერნალიებისგან, გარე ეფექტებისგან, ბუნებრივი მონოპოლიების მასშტაბები, სამომხმარებლო კალათის სტრუქტურა, მოსახლეობის იმ ჯგუფის წილი, რომელთა შემოსავალი საარსებო მინიმუმზე დაბალია, მშპ მოსახლეობის ერთ სულზე, შრომისუნარიანი მოსახლეობის დასაქმების საშუალო წლიური ზრდა, საარსებო მინიმუმის თანაფარდობა პენსიებთან და მინიმალურ ხელფასთან, კომუნალური გადასახადების განაკვეთები, სოციალური დაზღვევის სამართლებრივი ნორმები და ა.შ.).

ბაზარი სოციალური პრობლემების მიმართ არაელასტიკური და დაუნდობელია. თუ იგი თავის ნებაზეა მიშვებული, უთუოდ განაპირობებს უსამართლობასა და სიღატაკეს ქვეყანაში, რაც, საბოლოო ანგარიშით, ბუმერანგით უბრუნდება თვით მას (ბაზარს), იწვევს სტანგაციას, რომლის მულტიპლიკაციური ეფექტი მაღალია. ეს აისახება უმუშევრობის ზრდაში, ეკონომიკური ზრდის ტემპების დაცემაში, სოციალურ აფეთქებებსა და ა.შ.

აღნიშნული ჩარხო-პირობები გამოხატავს მოცემულ ქვეყანაში ეკონომიკური წესრიგის პოლიტიკის განვითარების დონეს და უპასუხებს კითხვას: რეალურად არსებობს კი იგი ქვეყანაში თუ სინამდვილეში არის თვალის დახუჭვისა და მისგან გაქცევის პოლიტიკა?

თანამედროვე პირობებში ეკონომიკური წესრიგის პოლიტიკაზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მდგრადი ეკონომიკის განვითარება, ეს უკანასკნელი ეკონომიკური უსაფრთხოებისა და ქვეყნის კეთილდღეობის დონის ამაღლების გარანტია.

დღეს მსოფლიოში არსებული სოციალურ-ეკონომიკური სიტუაცია განუზომლად ზრდის ეკონომიკური უსაფრთხოების მნიშვნელობას. ამიტომაცაა იგი სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი ფუნქცია. ეს პრობლემა მყარად დამკვიდრდა თანამედროვე საზოგადოების ცხოვრებაში და უდიდეს როლს ასრულებს საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის განვითარებაში.

²⁵ საქართველოში „კოლანდიურმა დაავადებამ“ თავი იჩინა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობისას, მაგრამ განსაკუთრებით თვალსაჩინო გახდა „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, ოდნოდ კლასიკური მოდელისაგან განსხვავებით, მის წარმომშობ მიზეზებში წინა პლანზე წამოიწია პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისა და საერთაშორისო დახმარების მოზღვავებამ, აგრეთვე უცხოეთში მცხოვრები ან დროებით იქ დასაქმებული ჩვენი თანამემამულეების მიერ ფულადი ტრანსფერების ნაკადებმა და ბოლო დროს საქართველოში უცხოელებზე განხორციელებულმა ფართომასშტაბიანმა პრივატიზაციამ.

ECONOMIC SECURITY IN SYSTEM OF STATE REGULATION

Annotation

The radical processes formed in the social and economic sphere during a globalization era in the conditions of open economy have put in the forefront a problem of economic security and have found a new context. It plays an important role in effective functioning of market economy as ensuring social orientation of the country is impossible without economic security and, proceeding from it, development of public sector. Therefore economic security is a component of the state economic policy. It plays an important role in suppression of forces majeure of the market, in carrying out structural policy of economy, creation of the competitive market, protection of property, ensuring reliability of national currency, in effective functioning of public sector and so on.

Proceeding from relevance of a subject, the strategy of economic security, criteria and factors operating on it are considered in the work. Influence of policy of an economic order deserves attention. In this regard, the institutional arrangement of the country and an order in the property relations, a condition of protection of the competition, priorities of macroeconomic regulation and a condition of social protection are considered in the work.

In relation to the social indicator the effect of a trap and a hypothesis of culture of poverty are considered. Economic security is connected with the Dutch illness and its negative results are explained. In the context of economic security those factors which interfere with development of an innovative activity in Georgia are created.

*Людмила Владимировна Белова
Ирина Викторовна Орехова*

- 2) ადამიანურ ურთიერთობათა დოქტრინაზე დაფუძნებული მიდგომა. პირველ მიდგომაში ყურადღება კონცენტრირებულია წარმოებრივი სისტემების ტექნიკურ-ორგანიზაციული და სოციალური კომპონენტების ოპტიმიზაციის მეთოდების გამოყენებაზე, ხოლო მეორე დოქტრინაში ყურადღება გამახვილებულია ორგანიზაციის ფექტიან ფუნქციონირებაში სოციალურ-ორგანიზაციული ფაქტორების მნიშვნელობაზე.

XX საუკუნის მეორე ნახევარი გამოირჩევა საკადრო მენეჯმენტის სფეროში მეცნიერული სკოლების სიმრავლით. ამ საუკუნის 60-70-იან წლებში გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასა და აშშ-ში საბოლოოდ ჩამოყალიბდა „ადამიანური რესურსების მართვა“, როგორც ბიზნესის ადმინისტრირების მეცნიერების დამოუკიდებელი დარგი და სასწავლო დისციპლინა. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ისეთი საკითხების შესწავლას, როგორცაა: ადამიანების მართვისას პუბლიცისტური ფსიქოლოგიის იდეების გათვალისწინება, ფირმის საქმიანობაში პერსონალის მაქსიმალური ჩართვა, ორგანიზაციული ქცევის სტილის დემოკრატიზაცია, ადამიანურ კაპიტალში ინვესტირება და ა.შ.

XXI საუკუნეში მსოფლიო ბაზრებზე თავისი პოზიციების განსამტკიცებლად ნებისმიერი კომპანიის კონკურენტული უპირატესობის მიღწევა მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია მაღალპროფესიული კომპეტენტური კადრების არსებობაზე. საქმე ისაა, რომ დღეს საბაზრო სფეროში მუდმივ სხვადასხვა ცვლილებებზე მორგება შეუძლია მხოლოდ მაღალმობილურ და მუდმივ განვითარებაზე ორიენტირებულ პერსონალს. ეს კი თავისთავად გულისხმობს ორგანიზაციებში საკადრო მენეჯმენტის მაღალ დონეზე დაყენების აუცილებლობას. ადამიანური რესურსების სფეროში ინტენსიური ცვლილებები (რეგიონული, დემოგრაფიული, ეროვნული, პროფესიული, დარგობრივი და სხვ.) იწვევს პროფესიული როლური სტერეოტიპების რადიკალურად შეცვლას. კერძოდ, მასიურად ხდება ჩამოყალიბებული როლური რეაქტიული სტილის ადმინისტრატორ-ბიუროკრატისა და მმართველის სტერეოტიპებიდან პრინციპულად ახალ, სტრატეგის, მეწარმისა და მარკეტოლოგის როლებზე გადასვლა.

ახალი ათასწლეულის მიჯნაზე კორპორაციების მართვაში ადგილი აქვს რიგ რეგულაციურ გარდაქმნებს, რომლებიც გამოწვეულია ისეთი მიზეზებით, როგორცაა: ბაზრების გლობალიზაცია, ცვლილებები სამუშაო ადგილების არქიტექტურასა და სამუშაო ძალის დემოგრაფიაში, პროგრესული ძვრები წარმოების ორგანიზაციაში და ა. შ. ყოველივე ზემოაღნიშნული უშუალო გავლენას ახდენს კორპორაციაში საკადრო მუშაობის ორგანიზაციაზე. კერძოდ: ა) აუცილებელი ხდება პრაქტიკაში მანამდე დამკვიდრებული ვიწრო პროფესიული სპეციალიზაციიდან და მინდობილი კონკრეტული სამუშაოსათვის პასუხისმგებლობიდან ფართო პროფესიულ და თანამდებობრივ პროფილზე გადასვლა; ბ) პერსონალის განვითარებაზე მენეჯერების პასუხისმგებლობის გადატანა თვით პერსონალიზე – საკუთარი განვითარებისათვის; გ) მომუშავეთა წინაშე მდგომ პრობლემებზე კონტროლიდან ყურადღების გადატანა ცალკეული მომუშავეის ყოველმხრივი პროფესიული ზრდის შესაძლებლობათა შექმნაზე; დ) პროფესიულ ზრდაში წარმატების, ვაკანტური სამუშაო ადგილებისა და სპეციალისტების შერჩევის ფაქტორების საიდუმლო განხილვიდან მომუშავეთა კომპეტენტურობის დონის, არსებული ვაკანსიებისა და მათი შევსების გზების და განხილვაზე გადასვლა და ა. შ. დღეს პერსონალის მენეჯერი კარგად უნდა ერკვეოდეს ისეთ საკითხებში, როგორცაა: ა) ორგანიზაციის გარე და შიგა გარემოს საკვანძო ფაქტორები; ბ) სტრატეგიული საფრთხეები და რისკები; გ) მოსალოდნელი ფინანსური შედეგები; ე) წარმოების

განვითარების სტრატეგიები; ბაზარზე ქცევის სტრატეგიები და სხვ., რომელთა გარეშე შეუძლებელია სწორი საკადრო პოლიტიკის შემუშავება და რეალიზება.

XXI საუკუნის მიჯნაზე საკადრო პოლიტიკა შედგება ორი ამოსავალი ელემენტისაგან, ესენია: 1) სტრატეგიული განზრახულებანი; 2) სტრატეგიული მიმართულებანი.

სტრატეგიული განზრახულებანი – ესაა ადამიანური რესურსების სპეციალისტის მისია, დღევანდელ მაღალკონკურენტულ გარემოში აამაღლოს კორპორაციის ბიზნეს-სტრატეგიის რეალიზების უზრუნველყოფელი საკადრო პოტენციალი. დღეს პერსონალის მენეჯერის მონაწილეობის გარეშე შეუძლებელია შემუშავდეს, რეალიზდეს და შეფასდეს ორგანიზაციის რაიმე მნიშვნელოვანი სტრატეგია. საკადრო მენეჯერების უპირველესი ამოცანაა – ორგანიზაციაში მოიხილონ და დაამაგრონ მაღალი პასუხისმგებლობის მქონე მაღალკვალიფიციური, მუშაობისუნარიანი და ნიჭიერი ადამიანები. საქმე ისაა, რომ დღეს კონკურენტული უპირატესობის მოპოვება შესაძლებელია მხოლოდ ადამიანური კაპიტალის უნიკალურობისა და თითოეული მომუშავეის მაღალი პასუხისმგებლობის არსებობისას.

ზემოაღნიშნული მიმართულებით, პერსონალის მენეჯერმა უნდა გადაწვიოს ორი შემდეგი სტრატეგიული ამოცანა; ა) უზრუნველყოს ორგანიზაციის (ფირმის და ა. შ.) კონკურენტული უპირატესობანი მის მომუშავეთა პასუხისმგებლობის ამაღლების გზით; ბ) უზრუნველყოს ორგანიზაციის (ფირმის და ა. შ.) კონკურენტული უპირატესობა მისი ადამიანური კაპიტალის გამრავლების გზით. პირველ შემთხვევაში დასახული ამოცანის მიღწევა შესაძლებელია კორპორაციული კულტურის მართვის საშუალებების გამოყენებით, ხოლო მეორე შემთხვევაში – მომუშავეთა პროფესიული დაოსტატების ამაღლებით. საქმე ისაა, რომ ძლიერი კორპორაციული კულტურა განაპირობებს მაღალკვალიფიციური პერსონალის (ტალანტების) მოზიდვასა და დამაგრებას, ამაღლებს ორგანიზაციის რეპუტაციას და იზიდავს ახალ მომხმარებლებს. რაც შეეხება პერსონალის მენეჯერის მიერ გადასაწყვეტ მეორე სტრატეგიულ ამოცანას (კონკურენტული უპირატესობის უზრუნველყოფა პროფესიული ზრდის გზით), დიდ მტკიცებას არ საჭიროებს ის უბრალო ჭეშმარიტება, რომ დღევანდელი კონკურენტის პირობებში, როგორი მიმზიდველიც არ უნდა იყოს კორპორაციული კულტურა, პერსონალის ცოდნისა და უნარ-ჩვევების განვითარების გარეშე რაიმე სერიოზული წარმატების მიღწევა შეუძლებელია. ამიტომაც, რომ ახლა, როგორც არასდროს, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა პერსონალის კომპეტენტურობის დონის ამაღლების საკითხებს. მოცემულ პრობლემაზე, მისი მნიშვნელობიდან გამომდინარე, აქტიურად მუშაობენ არა მარტო საკადრო მენეჯერები, არამედ სახაზო ხელმძღვანელებიც. დიდი ყურადღება ექცევა ცალკეული მომუშავეის ცოდნისა და უნარ-ჩვევების ამაღლების საკითხებს. ამ მიზნით, რეკომენდებულია მომუშავეთა განვითარების ინდივიდუალური გეგმების შედგენა, რომლებიც მოწოდებულია, არ დაუშვას თითოეული მომუშავეის კომპეტენტურობის ჩამოყალიბებულ დონესა და მზარდ პროფესიულ მოთხოვნებს შორის რაიმე მნიშვნელოვანი დისბალანსი. ცხადია, კომპეტენტურობის ინდივიდუალური გეგმები უნდა დაეყრდნოს კომპეტენტურობის მოდელს. ასეთი მოდელის შედგენისას შეიძლება მიმართონ ისეთ მეთოდებს, როგორცაა: ა) ყველაზე წარმატებულ მომუშავეთა (ე. წ. “ვარსკვლავების”) მომუშავეთა საქმიანობის ანალიზი, რაც საშუალებას იძლევა, გაიხსნას მათი ოსტატობის საიდუმლო; ბ) მომუშავეთა საქმიანობის მრავალი ნიმუშის შედარებითი ანალიზი. იგი აადვილებს გამოცდილების განზოგადებას და შესაბამისი მარტივი მოდელის აგებას; გ) ექსპერტების გამოკითხვა, რომელიც იძლევა შედარებით სწრაფ და სტატისტიკურად საიმედო შედეგებს, თუმცა, მისი გამოყენების სფერო ერთობ შეზღუდულია; დ) საქმიანობის სხვა სფეროებიდან გადმოღებული მოდელის კომბინირება. იგი საშუალებას იძლევა, აკუმულირდეს ყველაზე მოწინავე გამოცდილება და ა.შ.

პროფესიული კომპეტენტურობის მოდელის აგებისას, ზემოაღნიშნული მიდგომებიდან სასურველია, შეირჩეს ისეთები, რომლებიც ყველაზე უფრო მიესადაგება მოცემულ კონკრეტულ პროფესიას (სპეციალობას). მთავარია პროფესიული კომპეტენტურობის მოდელში სწორად და გასაგებად იყოს ასახული ის კონკრეტული მოთხოვნები, რომლებიც წაყენება მოცემული პროფესიის (სპეციალობის) მომუშავეს იმისათვის, რომ შეძლოს თავისი ფუნქციის წარმატებით შესრულება. ინტელექტუალური და საქმიანი ხარისხის, მისი უნარ-ჩვევებისა და პიროვნებათაშორისი კომუნიკაციის ამსახველი მომუშავეის პროფესიული კომპეტენტურობის მოდელი აჩვენებს პერსონალის განვითარების გზებს შემდეგი ორი მიმართულებით: ა) ორგანიზაციაში ჩამოყალიბებულ კულტურასთან შეგუება, რომელიც გამოიხატება მისი (ორგანიზაციის) ყველა მომუშავეის ქცევაში, ეთიკასა და მისწრაფებებში, რომლებიც კეთილ გავლენას მოახდენენ მათ პირად პასუხისმგებლობაზე პროდუქციისა და მომსახურების ხარისხისათვის, მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღების მექანიზმებზე, მათ მიერ წარმოებული საქონლისა და მომსახურების მომხმარებლებზე და ა. შ.; ბ) საქმიანობის მოცემულ კონკრეტულ სფეროში წარმატებული მუშაობისათვის აუცილებელი ცოდნისა და უნარ-ჩვევების დაუფლება.

XXI საუკუნის მიჯნაზე საკადრო პოლიტიკის მეორე ამოსავალი ელემენტია **სტრატეგიული მიმართულებანი**. აღნიშნული კომპონენტი უჩვენებს ორგანიზაციის (კორპორაციის, ფირმის და ა.შ.) სტრატეგიული მიზნების მიღწევის გზებს. ცხადია, ორგანიზაციის სტრატეგიული მიზნების მიღწევის გზების არჩევამდე აუცილებელია მისი (ორგანიზაციის) მომავალი განვითარების ისეთ საკითხებზე ზოგადი წარმოდგენის შექმნა, როგორცაა: გაყიდვების წილი და პოზიციები ბაზარზე,

ძირითადი და დამხმარე საქმიანობის ტექნოლოგია, ორგანიზაციული სტრუქტურა, დომინირებული ორგანიზაციული კულტურები, მარკეტინგული პოლიტიკა, საკადრო პოტენციალი და სხვ.

დღეს, როცა ადგილი აქვს მაღალკვალიფიციური სამუშაო ძალის ბაზრებზე დიდ კონკურენციას, აუცილებელია, საკადრო სამსახურებმა იფუნქციონიროს როგორც მარკეტინგულმა და არა როგორც ბიუროკრატიულმა სტრუქტურებმა. სწორედ ესაა სადღეისოდ საკადრო სამსახურების ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება. მეორე პრიორიტეტული მიმართულებაა დასაქმებისა და შრომის სტიმულირების არსებული სისტემების სრულყოფა. საქმე ისაა, რომ დღეს დასაქმებისა და შრომის სტიმულირების არსებული სისტემები ხელს უშლის თანამედროვე საკადრო სტრატეგიების წარმატებულ რეალიზებას, რამდენადაც შეზღუდულია მენეჯერის მოქმედების თავისუფლება მოცემულ სფეროში არსებული მოძველებული დებულებებით. საკადრო სამსახურების მესამე პრიორიტეტული მიმართულებაა საკადრო პოტენციალის არაეფექტიანი გამოყენებით, ორგანიზაციაში ჭარბი შრომითი რესურსების არსებობითა და საკადრო სამსახურების ცუდი ორგანიზაციით გამოწვეული დანახარჯების შემცირება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ XXI საუკუნის მიჯნაზე ადამიანური რესურსების მართვის მთავარი მაგისტრარული სტრატეგიული მიმართულებაა რუტინული ადმინისტრაციული საქმიანობით დაკავებული საკადრო სამსახურების გადაქცევა სხვა სტრუქტურული სამსახურების მხარდამჭერ საიმედო საქმიან პარტნიორად როგორც ორგანიზაციის შიგნით, ასევე მის გარეთ.

გამოყენებული ლიტერატურა

1. პაიჭაძე ნ., პროფესიული კომპეტენტურობა, როგორც საჯარო მოსამსახურეთა მუშაობის ეფექტიანობის გადამწყვეტი ფაქტორი, ჟურნ. "ეკონომიკა და ბიზნესი", 2015, №2, გვ. 35.
2. Армстронг М. Практика управления человеческими ресурсами. 10-е издание. Перевод с английского. М., 2012.
3. Веснин В. Управление персоналом. Теория и практика. М., 2011.
4. Шапиро С. Основы управления в современных условиях. М., 2008.
5. http://www.aup.ru/books/m1_1.htm

Nugzar Paichadze

CHALLENGES OF HUMAN RESOURCE MANAGEMENT ON THE EDGE OF XXI CENTURY

Annotation

In the first part of the article are analyzed those basic trends of human resources, which took place in the XX century. Here also is considered the revolutionary restructurization being used in corporation management on the edge of XXI century. Due to the results of modern scientific-technological revolution in the second part of the article on the edge of XXI century we deal with two following ascending elements: 1. Strategic intentions and 2. Strategic directions.

Finally, there is made a conclusion, that on the edge of XXI century the basic strategic direction for the development of human resource management is to transform the jobs of routine administrative activity into the hopeful supporting business partner of other structural jobs.

*გლადიმერ პაპაგა
თამარ თაფლაძე*

ინოვაციური ეკონომიკის შემდგომი პერსპექტივები ვეროპული და ვერაზიული ინტეგრაციის პირობებში

პოსტკომუნისტურ საქართველოში, განსაკუთრებით ნაციონალური მოძრაობის მთავრობის მმართველობისას, ეკონომიკის მომხმარებლური მოდელი ჩამოყალიბდა [1]. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველო არ არის გამორჩეული რაიმე მნიშვნელოვანი ბუნებრივი რესურსით, ქვეყნის განვითარება უნდა დაეფუძნოს ინოვაციური ეკონომიკის მოდელს. ეს მიდგომა არა მარტო პოულობს სულ უფრო და უფრო მეტ მხარდაჭერას მსოფლიოში აღიარებული ეკონომისტების მხრიდან (მაგალითად, [2]), არამედ საფუძვლად დაედო საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებულ დოკუმენტს "საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია საქართველო 2020" [3].

საქართველოში ინოვაციური ეკონომიკის ჩამოყალიბების პერსპექტივები კი დიდადაა დამოკიდებული იმაზე, თუ როგორი ორიენტაცია ექნება ქვეყანას საერთაშორისო არენაზე: ევროპული თუ ევრაზიული.

განვითარების ევროპული გზა, ანუ ევროკავშირთან საქართველოს დაახლოება, რომელიც საბოლოოდ მასში გაწევრიანებით უნდა დასრულდეს, მეტ-ნაკლებად კარგადაა შესწავლილი (მაგალითად, [4, 5]). რაც შეეხება განვითარების ევრაზიულ გზას, ეს პრობლემა ნაკლებადაა შესწავლილი, რადგანაც ევრაზიული ეკონომიკური კავშირი ახალი რეგიონული წარმონაქმნია და ამ ეტაპზე უმთავრესად თავად იმყოფება ფორმირების პროცესში [6].

მართლაც, 2015 წელს ფუნქციონირება დაიწყო ახალმა რუსულ-ყაზახურმა რეგიონულმა პროექტმა, რომელსაც სახელად ევრაზიული ეკონომიკური კავშირი ჰქვია. კერძოდ, 2015 წლის 1 იანვრიდან ინტეგრაციული ეკონომიკური პროცესები ბელარუსს, ყაზახეთსა და რუსეთს შორის რეგულირდება ხელშეკრულებით ევრაზიული ეკონომიკური კავშირის შესახებ. 2015 წლის 2 იანვრიდან ევრაზიულ ეკონომიკურ კავშირს მიუერთდა სომხეთი, ხოლო 21 მაისს – ყირგიზეთი. საყურადღებოა, რომ იდეა ასეთი კავშირის მიზანშეწონილობის შესახებ ჯერ კიდევ 1994 წელს ყაზახეთის პრეზიდენტმა ნურსულთან ნაზარბაევმა წამოაყენა [7-9].

უმთავრესი ეკონომიკური მოტივი, რაც ხელს უწყობს ევრაზიული ეკონომიკური კავშირის ინტეგრაციულ პროცესს, არის ნავთობისა და გაზიდან მიღებული შემოსავლების გადანაწილებითი მექანიზმის არსებობა. კერძოდ, ევრაზიული ეკონომიკური კავშირის შიგნით საექსპორტო ბაჟი არ გადაიხდება, რის გამოც ამა თუ იმ რესურსის ფასი მსოფლიო ფასზე ამ ბაჟის ოდენობითაა შემცირებული, რის გამოც ხდება სამამულო მრეწველობის სუბსიდირება. საექსპორტო ბაჟი აიკრიფება მხოლოდ ევრაზიული ეკონომიკური კავშირის საზღვრის გადაკვეთისას, რის გამოც რუსეთის მიერ მისაღები შემოსავლების ნაწილი გადანაწილდება ევრაზიული ეკონომიკური კავშირის სხვა წევრების სასარგებლოდ. რადგან რუსეთის ძირითადი საექსპორტო პროდუქცია ნავთობი და გაზია, სწორედ მათგან მიღებული შემოსავლების გადანაწილება არის ინტეგრაციის უმთავრესი ეკონომიკური მოტივი.

მართალია, მოცემული სქემა, რასაც ევრაზიული ეკონომიკური კავშირი ეფუძნება, რუსეთისათვის ეკონომიკურად წამგებიანია, მაგრამ სწორედ ეს სქემა უზრუნველყოფს მოსკოვის იმპერიული ამბიციის ასრულებას – საბჭოთა კავშირის თანდათანობით რენიშავებას მოდერნიზებული ფორმით. ევრაზიული ეკონომიკური კავშირისადმი მოსკოვის ამგვარი მიდგომა სულაც არ არის გასაკვირი, თუკი გავითვალისწინებთ, რომ სწორედ ენერგეტიკული რესურსების გამოყენების საფუძველზე რუსეთს აღებული აქვს კურსი არა ეკონომიკური განვითარებისაკენ, არამედ გეოპოლიტიკისკენ [10].

საყურადღებოა, რომ დღეს ნედლეულზე, განსაკუთრებით კი ენერგომატარებლებზე, მსოფლიო ფასებს მკაფიოდ გამოხატული კლების ტენდენცია აქვს, რის გამოც ხსენებული გადანაწილებითი მექანიზმის ქმედუნარიანობა მცირდება.

როცა ვმსჯელობთ იმაზე, თუ რა ჯობია საქართველოსათვის – ევროპული თუ ევრაზიული არჩევანი – აქ გასათვალისწინებელია ყველა ფაქტორი, როგორც ისტორიული გამოცდილება, ისე განვითარების პერსპექტივა. ეკონომიკური შემადგენელი კი არის სახელმწიფოთა ნებისმიერი გაერთიანების ერთ-ერთი უმთავრესი კომპონენტი, რომელიც განსაკუთრებულ შესწავლას მოითხოვს.

უწინარეს ყოვლისა, ხაზი უნდა გაესვას იმას, თუ რა არსებითი განსხვავებაა ევროკავშირსა და ევრაზიულ ეკონომიკურ კავშირს შორის. განსხვავება კი საკმაოდ მნიშვნელოვანია. განვიხილოთ თითოეული განმასხვავებელი მომენტი.

ევროკავშირი თავიდანვე შეიქმნა, როგორც ეკონომიკური გაერთიანება, ანუ გაერთიანება, რომლის მიზანი იყო წევრი ქვეყნების ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა. მართალია, ევრაზიული ეკონომიკური კავშირი დასახელებაშივე შეიცავს ტერმინ „ეკონომიკურს“, მაგრამ, როგორც ზემოთ აღინიშნა, ეს კავშირი არა იმდენად ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობაა, რამდენადაც ინსტრუმენტია მოსკოვის ხელში, ეკონომიკური (კერძოდ, არარუსეთის სასარგებლოდ შემოსავლების გადანაწილებითი) მექანიზმით შეინარჩუნოს და გაზარდოს პოლიტიკური ზეგავლენა კავშირის წევრ-სახელმწიფოებზე.

მიუხედავად იმისა, რომ ევროზონის ზოგიერთ ქვეყანაში კრიზისული ვითარებაა შექმნილი, მთლიანად ევროკავშირი (ნაწილობრივ გამონაკლისს წარმოადგენს აღმოსავლეთ ევროპის ზოგიერთი ქვეყანა) არის განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნების გაერთიანება, ევრაზიულ ეკონომიკურ კავშირში კი შედიან პოსტსაბჭოთა ქვეყნები, თავისი არასრულყოფილი საბაზრო ინსტიტუტებითა და ტექნოლოგიური ჩამორჩენილობით [11]. თუ ევროკავშირის წამყვანი ქვეყნები პოსტინდუსტრიულია (ამ ტერმინის კლასიკური გაგებით), ევრაზიულ ეკონომიკურ კავშირში შემავალი ქვეყნები (ისევე, როგორც სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყანა, გარდა ბალტიის ქვეყნებისა) პოსტსაბჭოთა პოსტინდუსტრიალურია [12], რაც გამოწვეულია ამ ქვეყნებში არა იმდენად მაღალხარისხიანი მომსახურების სფეროს განვითარებით, რამდენადაც სამრეწველო წარმოების ჩამორჩენილობით [13]. შედეგად, თუ ევროკავშირი უმთავრესად ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნების გაერთიანებაა, ევრაზიული ეკონომიკური კავშირი აშკარად წარმოადგენს ინსტიტუციურად და ტექნოლოგიურად ჩამორჩენილი ქვეყნების გაერთიანებას.

“საერთაშორისო გამჭვირვალობის” მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად, რომელიც აისახა კორუფციის აღქმის ინდექსების რეიტინგში [14], 2014 წელს ევროკავშირის ქვეყნებიდან ყველაზე ნაკლებად კორუმპირებული იყო დანია და ის მსოფლიოს 175 ქვეყანას შორის პირველია, ხოლო ყველაზე მეტად კორუმპირებული – რუმინეთი, რომელიც მსოფლიოში საუკეთესოთა შორის 69-ეა. ევრაზიულ ეკონომიკურ კავშირში კი საუკეთესო არის სომხეთი და ის მსოფლიოში მხოლოდ 94-ეა, ხოლო ყველაზე უარესები არიან რუსეთი და ყირგიზეთი, რომლებიც მხოლოდ 136-ე ადგილს იყოფენ. შედარებისათვის საქართველო 50-ეა და ის ამ მაჩვენებლით აშკარად ევროკავშირის

სტანდარტს უფრო შეესაბამება (ევროკავშირის უახლოესი წევრი-სახელმწიფოებიდან ლატვია 48-ეა, ხოლო ჩეხეთი კი – 53-ე).

ევროკავშირში გაწევრიანებისათვის არ არის საკმარისი მხოლოდ აპლიკანტი ქვეყნის სურვილი, რომ გახდეს მისი წევრი. აუცილებელია, რომ ეს აპლიკანტი ქვეყანა აკმაყოფილებდეს ბრიუსელის მიერ აღიარებულ გარკვეულ სტანდარტებს ისეთ სფეროებში, როგორცაა დემოკრატიული ინსტიტუტები, ადამიანის უფლებები, სიტყვის და გამოხატვის თავისუფლება, საბაზრო ეკონომიკა. შესაბამისად, აპლიკანტმა ქვეყანამ უნდა დააკმაყოფილოს ევროპული სტანდარტები ყველა ხსენებულ სფეროში და მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება დადგეს დღის წესრიგში ევროკავშირის გაფართოების საკითხი ამ ქვეყნის გაწევრიანებით.

ევროკავშირისგან განსხვავებით, ევრაზიულ ეკონომიკურ კავშირში გაწევრიანებას პარკტიკულად არანაირი რთულად შესასრულებელი წინაპირობა არ აქვს, პირიქით, თავად მოსკოვის პოლიტიკური მიზანია, რომ ეს კავშირი გაფართოვდეს, რათა მასში შემავალ წევრ-სახელმწიფოებზე ეკონომიკური ბერკეტებით გააძლიეროს პოლიტიკური ზეგავლენა.

თუკი შევაჯამებთ ევროკავშირსა და ევრაზიულ ეკონომიკურ კავშირს შორის ზემოხსენებულ განმასხვავებელ მომენტებს, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს უფრო ადევილად შეუძლია ევრაზიულ ეკონომიკურ კავშირში შესვლა, ვიდრე ევროკავშირში. თუმცა აქვე იბადება ლოგიკური კითხვა იმის შესახებ, თუ რატომ უნდა შევიდეს კორუფციით მეტ-ნაკლებად ევროკავშირის დონის მქონე საქართველო ბევრად (პირობითად ორჯერ მაინც) უფრო კორუმპირებულ ევრაზიულ ეკონომიკურ კავშირში, რომელიც ინსტიტუციურად და ტექნოლოგიურად უფრო ჩამორჩენილია, ვიდრე ევროკავშირი და თანაც ემსახურება მოსკოვის პოლიტიკურ მიზანს – ეკონომიკური ბერკეტის გამოყენებით გააძლიეროს მასთან ერთიან კავშირში მყოფ სახელმწიფოებზე კონტროლი? ცხადია, პასუხი ვერ იქნება ევრაზიული ეკონომიკური კავშირის სასარგებლოდ.

ამკარაა, რომ ტექნოლოგიურად ჩამორჩენილი ევრაზიული კავშირის წევრობისას ბევრად უფრო რთული იქნება საქართველოსათვის ინოვაციური ეკონომიკის ჩამოყალიბება და განვითარება, ვიდრე ევროკავშირის წევრობისას, რომელიც უმთავრესად ორიენტირებულია მოხმარების უფრო მაღალ სტანდარტებზე. ამის მიღწევის შესაძლებლობა კი მხოლოდ ინოვაციური ეკონომიკის პირობებში იქნება შესაძლებელი.

გამოყენებული ლიტერატურა

1. პაპავა ვ., თაფლაძე თ. “საქართველოს ეკონომიკური განვითარების ძირითადი ტენდენციებისა და პერსპექტივის შესახებ”. *ეკონომისტი*, 2013, № 2.
2. Phelps E. S. “Supply Side, Demand Side, or Innovation Side?” *Project Syndicate*, May 19, 2016, https://www.project-syndicate.org/commentary/innovation-can-end-stagnation-by-edmund-s--phelps-2016-05?utm_source=Project+Syndicate+Newsletter&utm_campaign=333603f208-Legrain_OP_5_22_2016&utm_medium=email&utm_term=0_73bad5b7d8-333603f208-93567601.
3. საქართველოს მთავრობა, *საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია საქართველო 2020*. თბილისი, 2014, <http://static.mrdi.gov.ge/551018320cf24147438b16fd.pdf>.
4. Gogolashvili K. “The EU and Georgia: The Choice is in the Context.” In Mkrtchyan T., Huseynov T., Gogolashvili K. *The European Union and the South Caucasus. Three Perspectives on the Future of the European Project from the Caucasus. Europe in Dialogue 2009/01*. Gütersloh, Bertelsmann Stiftung 2009, http://eeas.europa.eu/delegations/georgia/documents/virtual_library/30_xcms_bst_dms_en.pdf.
5. Kakulia M. “Georgia’s Experiences on Developing Trade and Trade Policy Relations with the European Union.” *East European Studies*, 2014, No. 5, http://vki.hu/files/download_772.html.
6. პაპავა ვ. *საქართველოს არჩევანი: ევროკავშირი თუ ევრაზიული ეკონომიკური კავშირი*. GFSIS, ექსპერტის აზრი, № 57, 2016, http://gfsis.org/media/download/library/articles/opinion/57_Expert_Opinion_GEO.pdf.
7. Алпысбаева Ж. «Нурсултан Назарбаев: От идеи евразийского союза к перспективам евразийской интеграции». *zakon.kz*, 30 мая, 2014, <http://www.zakon.kz/4628189-nursultan-nazarbaev-ot-idei.html>.
8. Gleason G. “Kazakhstan’s Nazarbayev Heads New EEC Organization.” *EurasiaNet*, June 17, 2001, <http://www.eurasianet.org/departments/business/articles/eav061801.shtml>.
9. Gleason G. “Kazakhstan Positioned as Locomotive of Eurasian Integration.” *EurasiaNet*, February 10, 2002, <http://www.eurasianet.org/departments/business/articles/eav021102.shtml>.
10. Appel H., Gelman V. “Revising Russia’s Economic Model: The Shift from Development to Geopolitics.” *PONARS Eurasia Policy Memo*, No. 397, November 2015, http://www.ponarseurasia.org/sites/default/files/policy-memos-pdf/Peppm397_Appel-Gelman_Nov2015.pdf.
11. Papava V. “The Economic Challenges of the Black Sea Region: the Global Financial Crisis and Energy Sector Cooperation.” *Southeast European and Black Sea Studies*, 2010, Vo. 10, No. 3.
12. Городецкий А. Е. «Антикризисное регулирование и модели посткризисного развития России». *Экономика Украины*, № 5, 2013.
13. Papava V. “Necroeconomics of Post-Soviet Post-Industrialism and the Model of Economic Development of Georgia and Russia.” *Journal of Business and Economics*, 2015, Volume 6, No. 5, <http://www.academicstar.us/UploadFile/Picture/2015-7/20157313847837.pdf>.

*Vladimer Papava
 Tamar Tapladze*

**PROSPECTS FOR CREATION OF THE INNOVATION ECONOMY
 UNDER THE CONDITIONS OF EUROPEAN AND EURASIAN INTEGRATION
 Annotation**

The paper shows the prospects for creation of the innovation economy under the conditions of European and Eurasian integration, which is based on the creation of the Eurasian Economic Union (EAEU), and which includes five countries – Armenia, Belarus, Kazakhstan, Kyrgyzstan and Russia. The newly established EAEU rests on a redistribution mechanism for oil and gas revenues, whereby Russia deliberately relinquishes a part of its due gains in favor of other member-states in order to not only induce economic interest to remain within the Union, but also to maintain and enhance its political influence via this economic output. A comparison of the EU with the EAEU does not favor the later, as, in contrast with the former organization, the EAEU is far more corrupt, with underdeveloped market institutions, and an unequivocal delay in technological development. Although attaining membership of the EAEU is much easier than that of the EU, the negative aspects described above ensure that this option holds no appeal for post-Soviet Georgia. Only European integration can promote Georgia's development on the basis of the model of innovation economy.

ავთანდილ სილაგაძე

ინვესტიციებისა და დასაქმების „პარადოქსის“ შესახებ

ინვესტიციები დასაქმების ზრდის აუცილებელი მამოძრავებელი მექანიზმია ყველა ქვეყანაში. განსაკუთრებით ეს ეხება გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებს, რამდენადაც მათი ეკონომიკების წარმატებულ განვითარებაში განმსაზღვრელია, როგორც სამამულო, ასევე უცხოური ინვესტიციების წვლილი. ასეთი ქვეყნები შიდა ფინანსური რესურსების მწვავე დეფიციტს განიცდიან და მათთვის ჰაერივით საჭიროა შესაბამისი პირობების შექმნა - განსაკუთრებით პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად. ასეა საქართველოშიც, სადაც რომ არა მოზიდული ინვესტიციები, ეკონომიკა დიდხანს ვერ დააღწევდა თავს მწვავე კრიზისულ სიტუაციას. მითუმეტეს, რომ სამამულო ინვესტიციების დეფიციტით პოსტსაბჭოური საქართველოს განუყოფელი თანამგზავრია.

ინვესტიციების როლი ქვეყნის ეკონომიკაში მრავალწახნაგოვანია და სხვადასხვა მიგომით შეიძლება შეფასდეს. ამჯერად შევეხებით პრობლემის მხოლოდ ერთ „პარადოქსულ“ ასპექტს. კერძოდ, რამდენად ასრულებს პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (FDI) მულტიპლიკატორის როლს საქართველოში ახალი სამუშაო ადგილების შექმნაში?

მივმართოთ ოფიციალურ სტატისტიკურ მასალებს. (ცხრილი 1).

ცხრილი 1

**პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დინამიკა საქართველოში,
 %-ში (წინა წელთან შედარებით), 2006-2015წწ.**

	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015
FDI	100	169.3	77.6	106.0	49.1	137.2	81.6	103.3	186.7	76.8

გაანგ.: http://geostat.ge/?action=page&p_id=139&lang=geo 31.05.2016.

როგორც ცხრილი 1-დან ვხედავთ, გაანგარიშებების მიხედვით, წინა წელთან შედარებით, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი - 186.7 პროცენტი დაფიქსირდა 2014 წელს, შემდეგ მოდის: 2007 წელი - 169.3%, 2011 წელი - 137.2% და ა.შ. ცხადია, FDI-ს ზრდა მყისიერად და სრულად შეიძლება არ აისახოს იმავე წლის დასაქმების მაჩვენებლებში, მაგრამ უახლოესი 1-2 წლის მონაცემებში კი მან ასახვა უნდა ჰპოვოს, რაც ხშირ შემთხვევაში არ მოხდა.

ისევ მივმართოთ ოფიციალურ სტატისტიკურ მასალას იმავე წლებში დასაქმებულთა დინამიკის შესახებ. (ცხრილი 2).

ცხრილი 2

**დასაქმების მაჩვენებლები %-ში (წინა წელთან შედარებით),
 საქართველოში, 2006-2015წწ.**

	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015
დასაქმებული	100	97.5	94.0	103.4	98.3	102.2	103.6	99.3	101.9	102.0

გაანგ.: http://geostat.ge/?action=page&p_id=145&lang=geo 31.05.2012.

ლოგიკურია, რომ 2014 და 2015 წლებში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზრდას თანახლდა დასაქმების მაჩვენებელთა ზრდა. ამავდროულად, არადაკვატურია, როდესაც: პირველი, 2007

წელს დაფიქსირებული საინვესტიციო ბუმის პირობებში დასაქმებულთა რიცხოვნობა შემცირდა; მეორე, 2009 წელს (წინა წელთან შედარებით) ნაკლები FDI-სა და მთლიანი შიგა პროდუქტის მოცულობის შემცირების პირობებში, დასაქმებულთა რიცხოვნობა გაიზარდა და სხვ.

მთლიანი სურათის ილუსტრირების მიზნით, ნახაზი 3-ს სახით წარმოვადგინოთ ერთობლივი მონაცემები. (ნახაზი 3).

ცხრილი 3

**პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისა და დასაქმების
მაჩვენებლები %-ში (წინა წელთან შედარებით), 2006-2015წწ.**

	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015
FDI	100	169.3	77.6	106.0	49.1	137.2	81.6	103.3	186.7	76.8
დასაქმებული	100	97.5	94.0	103.4	98.3	102.2	103.6	99.3	101.9	102.0

ნათელია, რომ 2006-2012 წლებში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების და დასაქმების მაჩვენებლები ასიმეტრიულია, 2014-2015 წლებში კი ეს მაჩვენებლები მეტ-ნაკლებად ლოგიკურ შესაბამისობაშია. მიზეზები მრავალგვარია, მათ შორის: წინა წლებში საწარმოებში ავტომატურად მიყვანილი და FDI-ს დინამიკასთან კავშირში არ მყოფი „ახალ სამუშაო ადგილებზე“ ადამიანთა დასაქმება; FDI-ზე შეუსაბამო ფულადი ნაკადების მიკუთვნება და ა. შ. დარგობრივ ჭრილში პრობლემის განხილვა კიდევ უფრო გაამყარებს გამოთქმულ მოსაზრებებს, მაგრამ ამჯერად იგი ჩვენს სამიზნეს არ წარმოადგენს.

მთლიანობაში, საქართველოში წლების განმავლობაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების და მთლიანად ინვესტიციების დინამიკას თან არ ახლდა ახალი სამუშაო ადგილების ადეკვატური რაოდენობით დაფიქსირება, რაც „პარადოქსია“.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Atanelishvili, T. (2013). Historical Foundations of Post-Soviet Georgian Banking System-Actual Problems of economies of Post-Communist Countries at current stage. TSU, Paata Gugushvili Institute of Economics. Tbilisi, pp.222-223.
2. Basilia, T., Silagadze, A., T Chikvaidze, T. (2001). Post-Socialistic Transformation: Georgian Economy at the Threshold of XXI Century. "Aradani", Tbilisi.
3. Papava, V. (2013). Economic Reforms in Post-Communist Georgia: Twenty Years After. New York: Nova Science Publishers.
4. Silagadze, A. (2015). Failure of the Keynesian Multiplier Doctrine: some aspects of interrelation between Investments and employment. "Topical Problems of Sustainable Development of National Economies." TSU, Paata Gugushvili Institute of Economics. Tbilisi, pp.58-60.
5. Silagadze, A., Atanelishvili, T. (2014). The main economic indicators of the EU and Georgia "Topical problems of the development of economy and economic science." Collection of scholarly works of Paata Gugushvili Institute of Economics TSU, pp.50-52.
6. Silagadze, A. (2013). Priorities for the Economy of Postcommunist Georgia in the Context of the World Financial Crisis. J. Problems of Economic Transition (USA). Issue: Volume 56, Number 8 / December. pp. 3-16.
7. Silagadze, A. (2011). Economic perspectives in Post-soviet Georgia – "Actual economic problems under Globalization". Collection of scholarly works of Paata Gugushvili Institute of Economics TSU. Tbilisi, pp. 89-91.
8. <http://geostat.ge>
9. <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=348>

Avtandil Silagadze

CONCERNING "PARADOX" OF INVESTMENT AND EMPLOYMENT Annotation

According to research problem, in this labour is analysed Foreign Direct Investment and the connection of job places in Georgia. The author's opinion, in Georgia Foreign Direct Investments and the whole Investments increases do not includes a new job places with appropriate numbers rise, it means "Paradox".

Татьяна Александровна Соболева

НАУЧНО-ОБРАЗОВАТЕЛЬНАЯ СОСТАВЛЯЮЩАЯ НАЦИОНАЛЬНОЙ ИННОВАЦИОННОЙ СИСТЕМЫ УКРАИНЫ

Развитие науки и высшего образования имеет решающее значение для общества, которое стремится двигаться в направлении конкурентоспособной экономики с ориентацией на прогрессивные производственные технологии и процессы. Сегодня глобализация экономики требует подготовки хорошо образованных специалистов, способных выполнять сложные задачи и адаптироваться к быстро изменяющейся среде. Именно в сфере

высшего образования формируются будущие разработчики новых прогрессивных идей и инноваций, а также специалисты, которые будут осваивать и совершенствовать эти технологии на практике, что будет способствовать технологическому развитию отраслей и экономики в целом. Именно поэтому, анализ факторов, определяющих количественное и качественное состояние образования и науки, а также их динамики, имеет большое значение для понимания движущих сил в формировании конкурентоспособной национальной инновационной системы (НИС).

Анализ инновационной активности промышленных предприятий Украины за последние 15 лет демонстрирует колебания данного показателя в интервале от 11 до 18%, причем более заметное повышение удельного веса инновационно активных предприятий опять наблюдается уже после кризиса 2008г. (рис.1). В 2015г. инновационная деятельность занималась 17,4% обследованных промышленных предприятий (среднее значение этого показателя по Евросоюзу превышает 50% [1, с.48]). Тем не менее, несмотря на отставание от уровня развитых стран, удельный вес украинских предприятий, занимающихся инновациями, увеличился за период 2010-2015гг. почти на 4% (по сравнению с 2005г. этот показатель вырос на 46%) [2].



Рис. 1. Динамика удельного веса промышленных предприятий Украины, занимающихся инновационной деятельностью в 2010-2015 гг. [2]

Об уровне соответствия национальной инновационной системы, в сравнении с другими странами, задачам повышения инновационной активности предприятий можно судить по Индексу глобальной конкурентоспособности (ИГК), в частности по такой составляющей этого рейтинга как «Инновации». Имея 76 позицию по общему рейтингу ИГК за 2014-2015 гг. (что на 3 позиции выше предыдущего рейтинга за 2012-2013 гг.), Украина по субиндексу «Инновации» занимает 81 место из 144 стран (таб.1). Такое место в рейтинге не свидетельствует о благоприятных условиях для инноваций, что подтверждается низким удельным весом украинских предприятий, занимающихся инновационной деятельностью (рис. 1). По субиндексу «Высшее образование и обучение» Украина занимает 40 место, по уровню технологий - 85.

Таблица 1

Индекс глобальной конкурентоспособности Украины 2014-2015 и его составляющие, связанные с наукой и образованием [3]

№ субиндекса в ИГК (из 12)	Показатель	№ в Рейтинге (из 144 стран)
5	ВЫСШЕЕ ОБРАЗОВАНИЕ И ОБУЧЕНИЕ	40
	<i>Количественные показатели</i>	14
	5.01. Удельный вес населения со средним образованием	41
	5.02. Удельный вес населения с высшим образованием	13
	<i>Качество образования</i>	65
	5.03. Качество системы образования (соответствие конкурентной экономике)	72
	5.04. Качество математического и естественнонаучного образования	30
	5.05. Качество бизнес-образования (образования по менеджменту)	88
	5.06. Доступ к Интернету в школах	67
	<i>Обучение по месту работы</i>	88
	5.07. Доступность качественных тренинговых услуг	84
	5.08. Доступность качественных тренинговых услуг	92
9	УРОВЕНЬ ТЕХНОЛОГИЙ	85
	<i>Использование технологий</i>	114

	9.01. Доступность новейших технологий	113
	9.02. Применение новых технологий на уровне организаций	100
	9.03. Прямые иностранные инвестиции и трансфер технологий	127
	Использование ИКТ	69
	9.04. Пользователи Интернета	82
	9.05. Доступ к широкополосному Интернету	68
	9.06. Международный Интернет трафик	50
	9.07. Активные пользователи широкополосного Интернета	107
12	ИННОВАЦИИ	81
	12.01. Инновационный потенциал компаний	82
	12.02. Уровень исследований научно-исследовательских учреждений	67
	12.03. Расходы компаний на R & D	66
	12.04. Интеграция R & D университетов и промышленности	74
	12.05. Государственные закупки технологической продукции	123
	12.06. Уровень специалистов и ученых	48
	12.07. Количество заявок РСТ (по Договору о патентной кооперации)	52
	Индекс глобальной конкурентоспособности Украины	76

Таким образом, если судить по указанным элементам национальной инновационной системы, как наука и образование, то по оценкам Мирового экономического форума особое внимание должно быть уделено науке, поскольку ее характеризующие показатели в ИГК значительно отстают от развитых экономик. Исключение составляет такой показатель как «Уровень специалистов и ученых» (48 место). Относительно высокий рейтинг Украины по показателю образования позволяет рассматривать последнее в качестве одной из движущих сил в развитии НИС, хотя нужно учитывать тот факт, что усиленного внимания требует его качественная составляющая.

Подтверждает достаточно высокий уровень развития образовательной подсистемы Украины и перечень факторов, которые, по результатам опроса в пределах составления данного рейтинга, мешают ведению бизнеса в Украине (табл.2). Так, «уровень образования» выбрали среди 5 наиболее негативных факторов менее 1% опрошенных, наибольшее внимание получила коррупция (17,8%) и политическая нестабильность (14,0%).

Таблица 2

Основные барьеры для ведения бизнеса в Украине [3]

№	Барьеры	Оценка, %
1.	Коррупция	17,8
2.	Политическая нестабильность	14,0
3.	Доступ к финансированию	13,9
4.	Нестабильность правительства/ перевороты	10,5
5.	Неэффективная правительственная бюрократия	8,8
6.	Инфляция	8,0
7.	Налоговые ставки	7,7
8.	Налоговые правила	4,3
9.	Валютное регулирование	4,1
10.	Ограниченность трудового регулирования	3,4
11.	Недостаточный потенциал к инновациям	1,8
12.	Преступления и кражи	1,7
13.	Плохо развитая инфраструктура	1,7
14.	Плохое здравоохранение	1,1
15.	Недостаточно образованная рабочая сила	0,8
16.	Низкая рабочая этика	0,6

Таким образом, большое значение при формировании конкурентоспособной национальной инновационной системы приобретает создание условий для эффективного развития научной сферы. В Украине научная сфера, так же как и образовательная, не всегда демонстрирует связь увеличения количественных оценок с ростом качественных. Так, при условии увеличения количества аспирантов и докторантов, роста количества учреждений с аспирантурой и докторантурой, эффективность последних остается очень низкой. Так, в 2014 г. 482 учебных и научных заведения по количеству защищенных диссертаций за последние пять лет показали эффективность аспирантур на уровне 25%. Наибольший процент защищенных диссертаций демонстрируют медицинские науки (62,4%), военные науки (45,5%), в пределах 30-33% - филологические, географические, юридические, педагогические, политические науки, а также физическое воспитание и спорт. Среди самых низких показателей - сельскохозяйственные (12,1%) и ветеринарные (5,6%) науки, а также искусствоведение (9,8%). Эффективность докторантуру по 2010-2014 гг. колеблется в пределах от 26 до 33%. Наибольший удельный вес защищенных докторских диссертаций наблюдается также в медицинских науках (63,6%), юридических (47,6%) и филологических (41,7%). Среди наименее эффективных - докторанты государственного управления (13,6%) и физико-математических наук (14,3%) [4].

О недостаточном внимании к сфере науки и инноваций свидетельствует динамика доли расходов на исследования и разработки (R&D) в ВВП Украины, которая демонстрирует сокращение финансирования за последние годы на 40% (рис.2). В 2014 году в Украине этот показатель составил 0,66% [5] (для сравнения, в Германии - 2,84%, в Корее - 4,3%, в Израиле - 4,01% [6]). О важности финансирования научной сферы свидетельствует также синхронность трендов доли затрат и результатов R&D в ВВП (рис.2), что свидетельствует о тесной связи между их значениями (коэффициент корреляции Пирсона $r = 0,88$ при $\alpha = 0,01$).




Рис.2. Динамика финансирования и результативности R&D в Украине [4]

Динамика общего количества вузов в Украине, в том числе в зависимости от форм собственности, приведена на рис.3, где наблюдается постепенное уменьшение их количества. Так, за четыре проанализированных года их количество сократилось на 18%, причем указанный уровень сокращения в равной степени присущ как государственным, так и частным вузам. Если сравнивать соотношение вузов по формам собственности, то в Украине существенно преобладают по количеству государственные вузы. Так, в 2014г. их доля составила 78%. В Польше, например, такой процент составляет 28% [8], в Грузии - 24% [9].




Рис.3. Количество вузов в Украине в 2010-2014 гг. [7]

При таком количестве вузов, на один вуз в Украине в среднем приходится 2,5 тыс. студентов. В Польше, например, в 2013-2014 учебном году количество студентов составляло почти 1550 тыс. человек, обучение которых обеспечивало 438 вуза [10], то есть в среднем на один вуз приходилось 3,5 тыс. студентов.

Показателем, который характеризует сферу образования не только с количественной стороны, но и с качественной, может выступать международная мобильность студентов (рис.4).




Рис. 4. Международная мобильность студентов Украины [11]

Удельный вес студентов, уехавших учиться за границу в 2012г., составил 11,5% от поступавших этого года и почти 2% от общего числа студентов. Увеличение оттока студентов за границу, с одной стороны, свидетельствует о более низкой конкурентоспособности образования в Украине, как и украинских дипломов, по сравнению с европейскими образцами. С другой стороны, в случае возврата таких выпускников обратно, национальная экономика может получить «вливание» высококвалифицированных специалистов.

Таким образом, активизация инновационной деятельности в современных условиях зависит от эффективного функционирования в рамках единой системы каждой составляющей национальной инновационной системы. Состояние высшего образования и науки Украины, на наш взгляд, является следствием как исторически сложившейся эволюции развития, так и неэффективного регулирования этой сферы государством. Среди сложившихся трендов в сфере высшего образования можно выделить недостаточный уровень качества получаемого выпускниками вузов образования на фоне необоснованно большого количества образовательных учреждений. Состояние научной сферы обусловлено как нереализованным, а часто и потерянным, потенциалом отечественной науки, так и низким уровнем финансирования указанной сферы, уровень которого в 4 раза ниже по сравнению с практикой развитых стран. Неэффективным можно назвать и ее функционирование, о чем свидетельствует низкий уровень производительности аспирантуры и докторантуры, когда в среднем лишь каждое четвертое исследование доходит до своего логического завершения.

Использованная литература

1. Обзор инновационного развития Украины, ООН, Нью-Йорк и Женева, 2013
2. Экспресс-информация Государственной службы статистики Украины за 2016 год [Электронный ресурс] – Режим доступа: <http://ukrstat.gov.ua/>
3. Мировой Экономический Форум - [Электронный ресурс] - Режим доступа: <http://reports.weforum.org/global-competitiveness-report-2014-2015>
4. Подготовка научных кадров в 2014 году. Статистический бюллетень. Государственная служба статистики Украины. - [Электронный ресурс] - Режим доступа: <http://www.ukrstat.gov.ua/>
5. Коломієць Тетяна. Наукові дослідження та технічні розробки в Україні: аналіз тенденцій [Электронный ресурс] - Режим доступа: <http://www.cedos.org.ua/uk/osvita/naukovi-doslidzhennia-ta-tekhnicni-rozrobky-v-ukraini-analiz-tendentsii>
6. Gross domestic spending on R&D. Сайт Организации экономического сотрудничества и развития (OECD) [Электронный ресурс] - Режим доступа: http://www.oecd-ilibrary.org/industry-and-services/gross-domestic-spending-on-r-d/indicator/english_d8b068b4-en
7. Основные показатели деятельности высших учебных заведений Украины на начало 2014/15 учебного года. Государственный комитет статистики Украины. - [Электронный ресурс] - Режим доступа: <http://www.ukrstat.gov.ua/>
8. Польско-украинские академические отношения [Электронный ресурс] - Режим доступа: <http://www.cedos.org.ua/uk/osvita/polsko-ukrainski-akademichni-stosunki>
9. National Statistics Office of Georgia [Электронный ресурс] – Режим доступа: <http://www.geostat.ge>
10. Higher education institutions and their finances in 2013 - [Электронный ресурс] – Режим доступа: <http://stat.gov.pl/en/topics/education/education/higher-education-institutions-and-their-finances-in-2013,2,7.html>
11. Институт статистики ЮНЕСКО [Электронный ресурс] - Режим доступа: <http://data.uis.unesco.org>

In the article the dynamics of innovative activity of industrial enterprises of Ukraine is highlighted. The impact of the elements of the national innovation system on the activity of innovation is indicated. To this end, it considered such elements as education and science. Among the trends in higher education of Ukraine highlighted the insufficient level of the quality of the diplomas with unreasonably large number of educational institutions. Status of the scientific sphere is due both to the low level of its funding and the ineffectiveness of its functioning.

თეიმურაზ შენგელია

კორუფციის ბრძოლაში ეკონომიკური ექსპერტის როლი და
მათი ზეგავლენა გლობალურ ბიზნესზე

კორუფციის ეკონომიკაზე ზეგავლენის გაზომვის პრობლემა არის ფართო მეცნიერული დისკუსიის საგანი. ამ პრობლემაზე გამოქვეყნებული კვლევების ნაწილი მოიცავს მიკროდონეს - მათში დეტალიზებულია ის შედეგები, რომლებიც დაკავშირებულია კორუფციის ცალკეულ შემთხვევებთან. ამ ანალიზის საფუძველზე ავტორები დასკვნას აკეთებენ ეკონომიკურ კეთილდღეობაზე კორუფციის ნეგატიური გავლენის შესახებ [6]. ცნობილი მეცნიერები ჯ. ჩოი და მ. ტამი [5] მიიჩნევენ, რომ კომპანიებს შეიძლება გაუზრდოვდეს სტიმული დამატებითი ხარჯების გადებისათვის, რათა მინიმუმამდე დაიყვანონ კორუფციის რისკები. კორუფციის პრობლემატიკის ცნობილი მკვლევრის ჯ. სვენსონის [11] აზრით, ფორმებს შეუძლიათ კორუფციის სახელმწიფო მოხელეებთან მუშაობისთვის სპეციალურად განკუთვნილი სტრუქტურების შექმნა. ზოგადად ცხადია, რომ კორუფციის ეკონომიკური შედეგები მიკროდონესზე ნეგატიურია, თუმცა თუ ამ მოვლენის ეკონომიკურ შედეგებს გავანალიზებთ კომპლექსურად, სახელმწიფოს მაკროდონესზე, შეიძლება დავინახოთ მისი ზოგიერთი პოზიტიური ეკონომიკური ასპექტი. ამ მხრივ მნიშვნელოვანია პ. მაუროს [9] კვლევა. ჯ. სვენსონი [11, გვ. 44-46] აცხადებს პ. მაუროს ანალიზს უფრო თანამედროვე მონაცემებით, ამასთან, ის ვერ ახერხებს ეკონომიკურ ზრდასა და კორუფციას შორის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კავშირის დადგენას. საერთაშორისო სავალუტო ფონდის მოხსენებაში (Abad G.T., Davoodi H.R. Corruption, Structural Reforms, and Economic Performance in Transition Economies. Washington: International Monetary Fund, 2015 (= IMF Working Paper № 132). დასაბუთებულია, რომ კორუფცია ნეგატიურ ზეგავლენას ახდენს მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებული მშპ-ის მოცულობაზე. ამ დარგის ცნობილი მკვლევარი ს. აჩი აღნიშნავს, რომ ამის შედეგად ნეგატიურად იცვლება ადამიანის განვითარების ინდექსი. ავტორი აკეთებს დასკვნას „კორუფცია, მის ყველა ასპექტში ანელებს ადამიანის განვითარებას“ [4].

ზემოთ გამოთქმული მოსაზრებებისაგან განსხვავებით, ეკონომიკურ საქმიანობაზე კორუფციის ზემოქმედების მოდელირება ეფუძნება ჰიპოთეზას, რომ კორუფციას შეუძლია ეკონომიკური ზრდის სტიმულირება. იქ, სადაც საკანონმდებლო ბაზა და კანონის აღსრულების მექანიზმი შესუსტებულია, კორუფცია ქმნის ღირებულებას, რაც იძლევა ინვესტიციებისა და საქმიანობის სტიმულირების შესაძლებლობას. კომპანიების საქმიანობის სტიმულირების მიზნით გაცემული ქრთამი, როგორც წესი, წარმოადგენს ნებაყოფლობით აქტს (და არა ფულის გამოძალგის შედეგს), აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ქრთამის მიცემის თაობაზე გადაწყვეტილებები მიიღება კომპანიების რენტაბელობის ანალიზის საფუძველზე. ლოგიკურად, ქრთამი უბრალოდ არ გაიცემა, თუ კომპანიების მიერ გამოშვებული პროდუქციის ღირებულება აჭარბებს ბიზნესის წარმოებასთან დაკავშირებულ ხარჯებს. ქვეყნებში, სადაც არ არსებობს ეკონომიკური და ინდივიდუალური თავისუფლების რეალური დაცვა, კორუფცია შეიძლება წარმოშობდეს გრძელვადიან პოზიტიურ ექსტერნალიტეტსაც. ამ პირობებში საზოგადოების პასიურობა სახელმწიფოს აქეზებს არა კანონის უზენაესობის განმტკიცებისა და ბაზრების დეცენტრალიზაციისაკენ, არამედ ხელისუფლების ცენტრალიზაციისა და დანარჩენი მოქალაქეების ხარჯზე პრივილეგირებული უმცირესობის გამდიდრებისაკენ.

თეორიულად შეიძლება ვამტკიცოთ, რომ კორუფციის ზოგიერთი ეკონომიკური შედეგი ატარებს პოზიტიურ ხასიათს, განსაკუთრებით ქვეყნებში, სადაც ძალზე სუსტი სამართლებრივი ინსტიტუტებია, ემპირიულად კი კორუფციისაგან მიღებული მოგებისა და დანახარჯების დადგენა საკმაოდ რთულია. ამ დარგში ჩვენი ცოდნის დიდი ნაწილი ატარებს ეპიზოდურ ხასიათს, ეფუძნება კონკრეტული შემთხვევების ანალიზსა და მიკროდონესზე ჩატარებულ კვლევებს. ემპირიული ანალიზი მაკროდონესზე იძლევა პასუხს მისი უფრო ფართო ეკონომიკური ეფექტიანობის შესახებ, ამით შეიძლება შეიქმნას უფრო საიმედო საფუძველი ამ დარგში დაბაღანსებული ეკონომიკური პოლიტიკის შესამუშავებლად. ამაში მდგომარეობს ქვემოთ წარმოდგენილი ემპირიული ანალიზის მიზანი.

კორუფციის ეფექტიანობა შეიძლება მოდელირდეს ორი ხერხით. ჯერ ერთი, შეიძლება გამოვიყენოთ დამოუკიდებელი ცვლადი სიდიდე – კორუფციის ინდექსი. მეორე, შეიძლება

არაპირდაპირ დაგადგინოთ კორუფციის დონე მულტიპლიკაციური ცვლადის გამოყენების ხარჯზე, რომელიც გვინვენებს ქვეყანაში სამართლებრივი დაცვის ხარისხს. მთლიანობაში, კორუფციის შედეგები ატარებს როგორც ნეგატიურ (შემზღვეველ), ისე პოზიტიურ (მასტიმულირებელ) ხასიათს და მათი გამოვლენა შეიძლება ცნობილი ამერიკელი მეცნიერის, ა. პიუსტონის [8] მიერ შემოთავაზებული მულტივარიაციული რეგრესიული მოდელის საშუალებით:

$$\text{მშპ} = \text{A0} + \text{b1 მედიანური ასაკი} + \text{b2 განათლება} + \text{b3 რეზერვები} + \text{b4 კაი} + \text{b5 უფლებები} + \text{b6 ინდექსები (1)},$$

სადაც მშპ მთლიანი შიდა პროდუქტის საშუალო წლიური მოცულობაა მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით 2010 – 2015 წლებში მყიდველობითი უნარის პარიტეტზე კორექტირებული; b1 მედიანური ასაკი – ქვეყანაში მედიანური ასაკი 2015 წლის მდგომარეობით; b2 განათლება – 2015 წლის მდგომარეობით წერა-კითხვის მცოდნე 15 წელს ზემოთ მოსახლეობის წილი %-ში; b3 რეზერვები (აშშ დოლარებში) - ქვეყნის ნავთობისა და გაზის მარაგები მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით 2015 წლის საბაზრო ფასებში; b4 კაი – კორუფციის აღქმის ინდექსი 2015 წელს, რომელიც გამოინგარიშება 1-დან 10-მდე სკალით; b5 – უფლებები; b6 ინდექსი – ქვეყანაში სამართლებრივ-ინსტიტუციური დაცვა კორუფციასთან მიმართებით (ინდექსი 1; ინდექსი 2).

გაანგარიშებათა პროცესში გამოიყენება ზოგიერთი ცვლადი სიდიდე. მათ შორის: 2010–2015 წლებში მშპ მოსახლეობის ერთ სულზე კორექტირებული მყიდველობითი უნარის პარიტეტის მიხედვით. მშპ-ის ზუსტი დადგენა სუსტად განვითარებული ქვეყნებისთვის ურთულესი ამოცანაა. ასეთი მონაცემები ხშირად მხოლოდ მიახლოებითი შეფასებებია. დამატებითი პრობლემა, დაკავშირებული წარმოების ყოველწლიური მოცულობის დადგენასთან სანედლეულო რესურსებით მდიდარ ქვეყნებში სუსტად დივერსიფიცირებული ეკონომიკით, მდგომარეობს იმაში, რომ პოლიტიკური გადაწყვეტილებების გამო, ნედლეულის მოპოვებისა და ექსპორტის სფეროში მშპ ხშირად მკვეთრად იზრდება ან ეცემა წინა წელთან შედარებით, ეკონომიკის ბაზური მწარმოებლურობისაგან დამოუკიდებლად. რათა მშპ ცვლად სიდიდეს მივანიჭოთ მეტი მდგრადობა, გაანგარიშებებში გამოყენებულია (2010 - 2015) მშპ საშუალო მნიშვნელობა. პ. მაურო [9] და ჯ. სვენსონი [11] ამტკიცებენ, რომ კორუფციასა და ეკონომიკური აქტივობის დონეს შორის არსებობს უკუკავშირი. მაგალითად, მშპ-ს ზრდამ შეიძლება მიგვიყვანოს კორუფციის გაძლიერებამდე, რადგან თვით საფუძველი პარცვისთვის იზრდება. ჩვენს კვლევაში კორუფცია, პირიქით, ახსნილია როგორც დამოუკიდებელი ცვლადი სიდიდე. ფაქტობრივი მონაცემები გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების მიხედვით მიუთითებს იმაზე, რომ კორუფციის დონე ძალზე ნელა იცვლება. ხუთწლიან პერიოდში (2010 – 2015) 40 ქვეყანაში, სადაც არსებობს ძალზე სერიოზული პრობლემები საკუთრების უფლებების ეფექტიანი სამართლებრივი დაცვის კუთხით, კორუფციის აღქმის ინდექსი (კაი) შემცირდა 2,99-დან 2,62-მდე, ხოლო განვითარებად ქვეყნებში გაიზარდა 12%-ით [3].

გამოკვლევაში ჩვენ ვიყენებთ კაი-ს, რომელიც გაანგარიშებულია გერმანიის პასაუს უნივერსიტეტისა და Transparency International-ის მიერ. (კაი) ყველაზე გავრცელებული კორუფციული ინდექსია; არსებობს კორუფციის გაზომვის სხვა მაჩვენებლებიც, მაგალითად, ინდიკატორი, რომელიც ქვეყნდება „ქვეყნების რისკების საერთაშორისო ცნობარში“ (International Country Risk Guide). გარდა იმისა, რომ ამ ინდექსის გაანგარიშება ძვირი ჯდება, ის ასახავს მხოლოდ იმ ზარალს, რომელსაც კორუფცია აყენებს ბიზნესს, მაგრამ არ წარმოადგენს კორუფციული აქტების სიხშირის გაზომვის პირდაპირ მეთოდს. კორუფციის გაზომვის ეს და სხვა სუბიექტური მაჩვენებლები განსხვავდებიან კორელაციის მაღალი ხარისხით. ეს ამცირებს მსგავსი ერთეულების გაზომვის აგრეირების ღირებულებას. გარდა ამისა, სხვა ინდექსებთან შედარებით, Transparency International-ის მიერ დადგენილი კაი-ს გამოყენება საშუალებას გვაძლევს, გავანალიზოთ სიტუაცია უფრო მეტი რაოდენობის ქვეყანაში.

ამ კვლევაში გამოიყენება ინსტიტუციური დაცვის გაზომვის ორი ინდექსი. ერთ-ერთი მათგანია ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი (ეთი), რომელიც ასახავს საკუთრების უფლებების გარანტიებსა და კანონმდებლობის სტრუქტურას. საუბარია ეთი-ს ცვლადი სიდიდის შესახებ, რომელიც გამოინგარიშება სკალით 1-დან 10-მდე (რაც უფრო მაღალია მისი მნიშვნელობა, მით უფრო მაღალია სამართლებრივი დაცვის დონე). მეორე ვარიანტი დაკავშირებულია სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების მდგომარეობის საქვეყნო რეიტინგზე, რომელსაც ადგენს სამართალ-დამცავი ორგანიზაცია Freedom House [7]. ამ ორი ინდექსის ერთობლივი შეჯერებით ვიღებთ ცვლად სიდიდეს - უფლებები. ამრიგად, მსოფლიოში ეკონომიკური თავისუფლების გარდაქმნილ ინდექსს - უფლებებს - გააჩნია იგივე ზოგადი ინტერპრეტაცია, როგორც ეთი-ს ცვლად სიდიდეს, რაც, ალბათ წარმოადგენს ორი რეგრესიის შედეგთა განმარტების უფრო ინტუიციურ მეთოდს. (ეთი) შეყვანილია რეგრესიული მოდელის პირველ ვარიანტში, ხოლო უფლებები - მეორეში. სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების ინდექსი Freedom House-ს ვერსიით წარმოადგენს ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკური საჯაროობის, აგრეთვე, მასში არსებული ეკონომიკური თავისუფლებების დაცვის დონის გაზომვის უფრო ზოგად სისტემას, მაშინ, როდესაც ეთი პირდაპირ ეხება სამართლებრივ

ინსტიტუტებს, რომლებიც უშუალო გავლენას ახდენენ ეკონომიკურ საქმიანობაზე. რადგან კითხვაზე იმის შესახებ, თუ პირადი თავისუფლებების ინსტიტუციური დაცვის რა ასპექტებია უფრო მნიშვნელოვანი, მკაფიო პასუხი არ არსებობს, მოდელი გამოიანგარიშება ორივე ვარიანტით. მოსალოდნელია, რომ ორივე ვარიანტში ინსტიტუციური დაცვის უფრო მაღალი ხარისხი პოზიტიურად ზემოქმედებს მშპ-ს მაჩვენებელზე. ამრიგად, ინსტიტუციური ცვლადი განისაზღვრება კორუფციის მაჩვენებელთან კავშირში და მოდელის ორ ვარიანტში ის შემდეგნაირად გამოიყურება:

$$\begin{aligned} \text{ინდექსი 1} &= (10 - \text{ეთი}) 2 / \text{კაი} (2) \\ \text{ინდექსი 2} &= (14 - \text{უფლებები}) 2 / \text{კაი} (3) \end{aligned}$$

ამ ინტერაქტიული ცვლადი სიდიდის ორივე ფორმა ფართოვდება ექსპონენტზე უფლებების გაზომვის ერთეულის შემცირების შესაბამისად: იმის მიხედვით, თუ როგორ მცირდება ცვლადი სიდიდე, რომელიც ასახავს ინსტიტუციურ გარემოს (ეთი ან „ჰერიოთიჯ აუნდემ-ის“ HF უფლებები), ინდექსი გაიზრდება კორუფციის ნებისმიერი კონკრეტული დონისთვის. ასე მაგალითად, თუ ეთი უდრის 8 (რაც მოწმობს შედარებით მტკიცე ინსტიტუციური გარემოს შესახებ), ხოლო კაი უდრის 5 (კორუფციის საშუალო დონეს ათქულიანი სკალით), ინდექსი 1 შეადგენს 0,8. თუ ეთი უდრის 2 (რაც შეესაბამება შედარებით არამტკიცე ინსტიტუციურ გარემოს), ხოლო კაი რჩება 5 დონეზე, მაშინ ინდექსი 1 შეადგენს 12,8. ანალოგიური ინტერპრეტაცია შეიძლება გავატაროთ ინდექს 2-ის მაჩვენებლისთვისაც.

უფრო მაღალი მედიანური ასაკი, როგორც წესი, მოწმობს უფრო მაღალი მოწიფულობისა და მოსახლეობის განათლების დონის და მისი უნარის შესახებ იშრომოს უფრო ნაყოფიერად; თუ მოსახლეობა „ახალგაზრდაა“, მაშინ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ასეთ ქვეყანაში ნაკლები რაოდენობის ადამიანი მიიღებს განათლებას ან მიაღწევს საჭირო პროფესიულ მოწიფულობას, რათა უზრუნველყოს შრომის მაღალი ნაყოფიერება. ამრიგად, მოსალოდნელია, რომ მოსახლეობის უფრო მაღალი მედიანური ასაკი ხელს შეუწყობს მშპ-ს ზრდას. ეს პრინციპი, რა თქმა უნდა, არ იმუშავებს ისეთ სიტუაციებში, როდესაც ეკონომიკას აწვება ხანდაზმული, უმუშევარი ინდივიდების მაღალი პროცენტის ტვირთი. მაგრამ მოცემულ განტოლებაში ისეთი ცვლადი სიდიდის შეტანა, რომელიც ასახავს 65 წელზე უფროსი ასაკის ადამიანთა პროპორციას, არსებით გავლენას არ ახდენს სიდიდეთა თანაფარდობაზე და ამიტომ ჩვენ ჩავთვალეთ შესაძლებლად, უარი გვეთქვა მოდელის ასეთ ფორმულირებაზე. მოზრდილი მოსახლეობის განათლების მაღალი დონე, როგორც მოსალოდნელია, პოზიტიურ ზემოქმედებას ახდენს მშპ-ს საშუალო-სუფლადობრივ მოცულობაზე. იმ დარბი ქვეყნების მიხედვით მონაცემების ხარისხი, სადაც ანგარიშგება და სტატისტიკა ეროვნული შემოსავლის სფეროში ნაკლებად სრული და საიმედოა, ვიდრე განვითარებულ ქვეყნებში, მუდმივად იწვევს ეჭვს.

მოდელის ჩარჩოებში შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ქვეყნების მიხედვით ნავთობისა და გაზის მნიშვნელოვანი მარაგების არსებობამ ხელი უნდა შეუწყოს მშპ-ს ზრდას ერთ სულ მოსახლეზე. მეორე მხრივ, ჯ.საქსა და ა.უორნერს [10] მოჰყავთ მონაცემები იმის შესახებ, რომ მდიდარ სანედლეულო რესურსებს შეუძლიათ, აგრეთვე, ეკონომიკური ზრდის წინააღმდეგ „მუშაობა“. ქვეყნები მნიშვნელოვანი, მობილობას მოკლებული სარესურსო ბაზით, მეტ ყურადღებას უთმობენ ბუნებრივი სიმდიდრეების ექსპლუატაციას და არა ადამიანური კაპიტალის განვითარებას, იმ სახელმწიფო პოლიტიკას, რომელიც ასტიმულირებს ეკონომიკის დივერსიფიკაციას. საწყის სტადიაზე ამ „სანედლეულო ბაზის“ ზემოქმედება გაანალიზდა მოდელში მულტიპლიკაციური ელემენტის ჩართვის ხარჯზე, რომელიც ასახავს კავშირს კორუფციის დონესა და რესურსებით მომარაგებულობას შორის. როგორც გაირკვა, ამ ცვლად სიდიდეს არ გააჩნია სტატისტიკური მნიშვნელობა და ის არ აუმჯობესებს განტოლების ზოგად ლოგიკურობას, ამიტომ ისიც გამოირიცხა.

მოდელი გაიანგარიშება ორი ვარიანტით: პირველ შემთხვევაში ცვლადი სიდიდე, რომელიც ასახავს ურთიერთკავშირს კორუფციასა და სამართლებრივი ინსტიტუტების სიმტკიცეს შორის (ინდექსი 1), დაფუძნებულია (ეთი)-ს ინვერსიაზე, რომელიც ასახავს სამართლებრივი სისტემის მდგომარეობასა და საკუთრების უფლებების გარანტიებს და (კაი)-ზე (იხ. განტოლება 2). (ეთი) ჩართულია აგრეთვე, განტოლებაში, როგორც განცალკევებული ცვლადი სიდიდე. (ეთი)-ს მაჩვენებლები არსებობს მსოფლიოს 167 ქვეყნიდან 119-ში.

მოდელის მეორე ვარიანტში გამოიყენება ინდექსი 2, რომელიც გვიჩვენებს (კაი)-სა და უფლებების ურთიერთქმედებას (იხ. განტოლება 3). უფლებები აგრეთვე ჩართულია როგორც განცალკევებული დამოუკიდებელი ცვლადი სიდიდე. როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, ცვლადი სიდიდეები ინდექსი 1 და ინდექსი 2 მოწოდებულია, ასახოს კორუფციის როლი სამართლებრივი ინსტიტუტების ცვლის სახით. ამრიგად, თუ ასეთი ცვლა აღინიშნება, მაშინ ინდექსებს ექნება დადებითი მნიშვნელობა. (კაი) აგრეთვე ფიგურირებს მოდელის ორივე ვარიანტში, რათა გათვალისწინებულ იქნეს ეკონომიკაზე კორუფციის იმ სახესხვაობის ზემოქმედება, რომელიც დაკავშირებულია რენტის მითვისებასთან. შეფასებითი კოეფიციენტები (კაი)-სა და ინდექსებზე,

როგორც ქვემოთ გიჩვენებთ, სასარგებლოა კორუფციის შემზღვეველ და მასტიმულირებელ შედეგებს შორის თანაფარდობის ანალიზისთვის მშპ-ს თვალსაზრისით.

მოდელის ორივე ვარიანტზე OLS - რეგრესიის გამოანგარიშების შედეგები ნაჩვენებია ცხრილ 1-ში. პირველი ვარიანტისთვის დეტერმინაციის ადაპტირებული კოეფიციენტის მნიშვნელობა (R2) უდრის 0,862. მეორე ვარიანტისთვის ის შეადგენს 0,867. პირველ ვარიანტში უშუალო ინტერესს კორუფციასთან და სამართლებრივი ინსტიტუტების ხარისხსა და მშპ-ს შორის თანაფარდობასთან დაკავშირებულ კითხვებზე პასუხებისთვის წარმოადგენს სამი ცვლადი სიდიდე: (კაი), (ეთი) და ინდექსი 1. მე-2 ვარიანტში ანალოგიურ მნიშვნელობას კორუფციასთან და სამართლებრივი ინსტიტუტების ხარისხსა და მშპ-ს შორის თანაფარდობასთან დაკავშირებული საკითხების შესასწავლად წარმოადგენს აგრეთვე სამი სიდიდე: კაი, უფლებები და ინდექსი 2. ორივე ვარიანტში, როგორც მოსალოდნელი იყო, კაი ახდენს პოზიტიურ სტატისტიკურად მნიშვნელოვან ზემოქმედებას მოსახლეობის ერთ სულ მშპ-ს მოცულობაზე; რაც უფრო მაღალია კორუფციის დონე, მით უფრო სერიოზულია მისი პირდაპირი ნეგატიური შედეგები ეკონომიკისათვის.

დადებითი კოეფიციენტი ინდექს 1-თვის (1 ვარიანტში) და ინდექს 2-თვის (მე-2 ვარიანტში) საშუალებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ უფრო მასშტაბური კორუფციის სუსტი ინსტიტუციური დაცვის შეცვლა პოზიტიურად ზემოქმედებს მშპ-ზე. ორივე გამოანგარიშებაში ინდექსს 1 და ინდექსს 2 აქვთ დადებითი მნიშვნელობა და სტატისტიკურად მნიშვნელოვანია 1%-ის დონეზე. ეს შედეგები ადასტურებს ვარაუდს იმის შესახებ, რომ კორუფცია ქვეყნის მასშტაბით სუსტი სამართლებრივი დაცვის შეცვლის როლს თამაშობს.

ცხრილი 1

მშპ მოსახლეობის ერთ სულზე და კორუფცია

ცვლადები	OLS - რეგრესია	
	ვარიანტი 1	ვარიანტი 2
კონსტანტა	-22835,083*** (6,71)	- 15791,361*** (9,98)
მედიანური ასაკი	323,615*** (4,40)	232,578*** (3,926)
განათლების დონე	17,150 (0,614)	4,3326 (0,231)
რეზერვები (\$)	0,006*** (5,316)	0,007*** (6,962)
კორუფციის აღქმის ინდექსი	2778,645*** (8,075)	3133,454 (17,037)
უფლებები (FH-მიხედვით)	-	558,162 (3,196)
ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი	1325,260*** (2,515)	-
ინდექსი 1	304 ,865*** (3,411)	-
ინდექსი 2	-	117,269*** (3,653)
შესწორება R ²	0,852	0,877
დაკვირვებათა რაოდენობა	120	169

* - მნიშვნელობა 10%-ის დონეზე; ** - მნიშვნელობა 5% -ის დონეზე; *** - მნიშვნელობა 1%-ის დონეზე, t-ს აბსოლუტური სტატისტიკა მოცემულია ფრჩხილებში.

რამდენად დიდია კორუფციის მასტიმულირებელი ეფექტები, რომლებიც გავლენას ახდენს მოსახლეობის შემოსავლებზე შემზღვეველ ეფექტებთან შედარებით? ცხრილ 2-ში ნაჩვენებია კორუფციისაგან სარგებელის შეფარდება მის ზარალთან, რეგრესიის პირველ ვარიანტში ჩართული 121 ქვეყნიდან პირველი 10 და ბოლო 10 ქვეყნისთვის. ეს შეფარდება თითოეული ქვეყნისთვის გაიანგარიშება შემდეგნაირად: ინდექს 1-ის მნიშვნელობა მრავლდება არასტანდარტიზირებულ კოეფიციენტზე ამ ცვლადი სიდიდის მიხედვით (303,9) და იყოფა კაი-ზე, რომელიც გამრავლებულია არასტანდარტიზირებულ კოეფიციენტზე ამ ცვლადი სიდიდისთვის (2779,6). ეს ნიშნავს, რომ კორუფციის ხარჯზე ქვეყნის საშუალო-სულადობრივი მშპ-ს ნამატის სიდიდე (დოლარში) იყოფა კორუფციის ხარჯზე მოსახლეობის ერთ სულზე გამოანგარიშებული ზარალის შეფასებით სიდიდეზე.

ცხრილი 2

ქვეყნის რეიტინგი კორუფციის მასტიმულირებელი და შემზღვეველი ეფექტების შეფარდების თვალსაზრისით (პირველი და ბოლო 10 ქვეყანა)

1	ჰაიტი	2,10
2	ბანგლადეში	2,01
3	ჩადი	1,86
4	ვენესუელა	1,51
5	კოტ-დივუარი	1,51
6	პაკისტანი	1,45
7	ბურუნდი	1,46
8	ნიგერია	1,32
9	კონგო	1,31

10	საქართველო	1,12
105	სინგაპური	0,00
106	შვედეთი	0,00
107	ავსტრია	0,00
108	გერმანია	0,00
109	ნიდერლანდები	0,00
110	დიდი ბრიტანეთი	0,00
111	ნორვეგია	0,00
112	შვეიცარია	0,00
113	ფინეთი	0,00
114	დანია	0,00
115	ისლანდია	0,00

როგორც ცხრილი 2-დან ჩანს, 10 ქვეყნისთვის (ჰაიტი, ბანგლადეში, ჩადი, ვენესუელა, კოტ-დივუარი, პაკისტანი, ბურუნდი, პაკისტანი, კონგო და საქართველო) მოცემული შეფარდება აღემატება ერთიანს – ე.ი. კორუფციის ერთობლივი ეფექტი ატარებს პოზიტიურ ხასიათს. განვითარებული ბოლო 10 ქვეყნისთვის ის მცირე სიდიდეს წარმოადგენს და გვიჩვენებს, რომ აქ კორუფცია არ წარმოადგენს წარუმატებელი კანონების შემცველს.

ამრიგად, მოდელი გვიჩვენებს კორუფციის ზემოქმედებას ეკონომიკაზე (მშპ მოსახლეობის ერთ სულზე), რითაც დასტურდება: ჯერ ერთი, რომ ქვეყნებში, კორუფციის ინდექსის უფრო მაღალი დონით, მშპ მოსახლეობის ერთ სულზე უფრო დაბალია; მეორე, კორუფციას შეუძლია პოზიტიური გავლენის მოხდენა ქვეყანაში საკუთრების სუსტი სამართლებრივი დაცვის დონით.

გამოყენებული ლიტერატურა

1. თ.შენგელია. კორუფცია, როგორც სოციალური მოვლენა და გლობალური ბიზნესის დეტერმინანტი. საერთაშორისო კონფერენციის მასალები. ევროპის უნივერსიტეტი, 4-5 ივნისი, 2016.
2. თ.შენგელია. გლობალიზაცია და კორუფციის ანატომია. კონფერენციის მასალები. საქართველოს ეროვნულ მეცნიერებათა აკადემია. 20 ნოემბერი, 2015.
3. Abed G.T., Davoodi H.R. Corruption, Structural Reforms, and Economic Performance in Transition Economies. Washington: International Monetary Fund, 2015 (= IMF Working Paper № 132).
4. Akcay S. Corruption and Human Development // Cato Journal. 2006. Vol. 26. № 1. P. 29–46.
5. Choi J.P., Thum M. The Economics of Repeated Extortion. 1998. Columbia University Working Paper № 9899-03.
6. De Soto H. The Other Path: The Economic Answer to Terrorism. New York: Harper and Row, 1989.
7. Freedom in the World 2015 (www.freedomhouse.org).
8. Houston A. Can Corruption Ever Improve an Economy // economics. 2015. Vol. 27. № 3
9. Mauro P. Corruption and Growth // Quarterly Journal of Economics. 1995. Vol. 110. № 3. P. 681–712.
10. Sachs J.D., Warner A.M. Economic Reform and the Process of Global Integration // Brookings Papers on Economic Activity. 1995. № 1. P. 1–118.
11. Svensson J. Eight Questions about Corruption // Journal of Economic Perspectives. 2005. Vol. 19. № 3. P. 19–42.

Teimuraz Shengelia

LONG-TERM ECONOMIC EXTERNALS OF CORRUPTION AND THEIR INFLUENCE ON GLOBAL BUSINESS

Annotation

The problem of measuring the influence of corruption on economy is the subject of wide scientific discussion. A part of studies published on this problem embraces a micro-level – they show in detail the results connected with separate cases of corruption. On the basis of this analysis the authors make conclusion on negative influence of corruption on economic prosperity. Modeling of influence of corruption on economic activity is based on a hypothesis that corruption can stimulate economic growth. After some conditional assumptions the present hypothesis looks quite substantiated by arguments. There, where the legislative base and the mechanism of law observance are weakened, corruption forms the value, which gives a possibility to stimulate investments and activities. Effect of the corruption can be modeled by two ways. First of all, independent variable value can be used – corruption index. Secondly, the level of corruption can be directly determined, at the expense of using the multiplication variable, which shows the quality of legal protection in the country; the corruption results carry both negative (restricting) and positive (stimulating) character, which is proved by multi-variant regressive model presented in the work.

ღვინის ბაზრის დივერსიფიკაციის განმსაზღვრელი კონკურენტული ფაქტორები

საქართველოს, ღვინის წარმოების ტრადიციული ჩვევებითა და გამოცდილებით, მნიშვნელოვანი შესაძლებლობა აქვს, მსოფლიო ბაზარს მიაწოდოს მაღალი ხარისხის სამარკო ღვინოები. მიმდინარე ეტაპზე ადგილობრივ და საერთაშორისო ღვინის ბაზარზე კონკურენცია მაღალია. 2015 წლის მონაცემებით, საქართველოს ღვინის ბაზარზე 204 მოქმედი საწარმო ფუნქციონირებს, მათგან 42 არის მსხვილი მასშტაბის, ხოლო დანარჩენი მცირე და საშუალო საწარმოებია³⁶. თითოეული მათგანი მომხმარებელს პროდუქციის განსხვავებულ, ინდივიდუალურ ასორტიმენტს სთავაზობს. აღსანიშნავია ისიც, რომ ქართულმა ღვინის კომპანიებმა, რომელთაც ადრე მხოლოდ საზღვარგარეთ გაჰქოდათ ღვინო, დღეს ქართული ბაზრის ათვისებაც დაიწყეს. დღეს საქართველოში ღვინის ბაზარზე დაახლოებით 99% ადგილობრივი ღვინოა, იმპორტირებული კი 1%-ზე ნაკლებია³⁷.

ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე ქართული ღვინის წილების გასაზრდელად მნიშვნელოვანია ღვინის ბაზრის დივერსიფიკაციის განმსაზღვრელი კონკურენტული ფაქტორების გამოვლენა. აღნიშნულიდან გამომდინარე, კვლევის მიზნად დავისახეთ ღვინის ბაზრის დივერსიფიკაციის შესაძლებლობების გამოვლენა და კონკურენტული ფაქტორების შეფასების საფუძველზე შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება.

დივერსიფიკაციისა და კონკურენტული გარემოს პრობლემების კვლევას აქტუალურ საკითხებად მიიჩნევენ მეცნიერები. კვლევების უმრავლესობა ორიენტირებულია დივერსიფიკაციის როლზე მსხვილ და საშუალო საწარმოებში³⁸. კვლევებით გამოვლენილია, რომ მცირე ფირმების შემთხვევაში დივერსიფიკაციის გავლენა შემოსავლებსა და ბაზარზე წილის მოსაპოვებლად შეზღუდულია, თუმცა, ამ პროცესმა შეიძლება ხელი შეუწყოს საქმიანობის გაფართოებას, გრძელვადიან პერიოდში გამოიწვიოს მათი აქტივიზაცია და ბაზარზე წარმატებულად შეღწევა. ასეთი სამეურნეო სტრატეგია საქმიანობის დივერსიფიკაციის მნიშვნელოვანი შესაძლებლობაა, რაც საბოლოოდ მიმართულია ფირმების გადარჩენისა და ზღვრული დანახარჯების შემცირებისაკენ. კვლევების უმეტესობაში დივერსიფიკაციის პროცესი საშუალო და მსხვილი ფირმების უპირატესობად არის მიჩნეული. ბოლო ათწლეულში აქტიურად დაიწყო კვლევა მცირე ფირმებში დივერსიფიკაციაზე ორიენტირებულ პროცესებზე. მკვლევართა შრომებში დივერსიფიკაცია სამ კატეგორიადაა განხილული: 1. გადრმავევა; 2. გაფართოება; 3. განახლება. დასახელებული კატეგორიები, მრავალფუნქციურობის ლოგიკის თანახმად, მოიცავს შესაძლო გაფართოების გზებს. სამეცნიერო ნაშრომებში მოცემულია იმის მტკიცებულება, რომ მცირე ფირმებსაც შეუძლიათ განახორციელონ პროდუქტისა და ბაზრის დივერსიფიკაცია. ამასთან, მრავალფუნქციურობის შესწავლით დადგენილია პროდუქტისა თუ ბაზრის დივერსიფიკაციის სხვა პროცესებიც, რომლებიც მოიცავს არამატერიალური სერვისების წარმოებასაც³⁹.

ევროპის ქვეყნებში მცირე ფერმების როლის შესწავლამ სოფლის მეურნეობის განვითარების პროცესში დაასაბუთა, რომ მცირე ფერმებს რაოდენობრივად უპირატესობა გააჩნიათ. მაგალითად, იტალიაში მათ უჭირავთ ფერმების საერთო რაოდენობის 53%, მაშინ, როცა ისინი სარგებლობენ მთლიანი დამუშავებული მიწების 13%-ით, იყენებენ მთლიანი სამუშაო დღის 24,7%-ს, აწარმოებენ იტალიაში წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის 10%-ს⁴⁰.

³⁶ www.moa.gov.ge

³⁷ www.georgianwine.gov.ge

³⁸ Diversification needs to be key consideration in farm strategy, 10 Jun, 2015. <http://www.rirdc.gov.au/news/2015/06/10/diversification-needs-to-be-key-consideration-in-farm-strategy>

Zander, K., - Diversification and specialisation as development strategies in organic farms, 16th IFOAM Organic World Congress, Modena, Italy, June 16-20, 2008

³⁹ C. Salvioni, L. Esposito, R. Henke, V. Rondinelli - Diversification strategies in small farms in Italy, 111 EAAE-IAAE Seminar 'Small Farms: decline or persistence' University of Kent, Canterbury, UK 26-27 June 2009.

Tom Vernimmen, Marie Bourgeois, Guido Van Huylenbroeck, Henk Meert, Etienne Van Hecke - Diversification as a Survival Strategy for Marginal Farms an Exploratory Research, Paper prepared for presentation at the Xth EAAE Congress 'Exploring Diversity in the European Agri -Food System', Zaragoza (Spain), 28-31 August 2002.

Zander, K., - Diversification and specialisation as development strategies in organic farms, 16th IFOAM Organic World Congress, Modena, Italy, June 16-20, 2008.

Guidance, Diversifying farming businesses, How farmers can add business activities to traditional farming to develop new sources of income; First published: 7 September 2012, Last updated: 21 January 2014 <https://www.gov.uk/diversifying-farming-businesses>
Planning for Farm Diversification, March 2004 <http://www.agriculture.gov.sk.ca/Default.aspx?DN=10c63f6a-a3fe-496d-ac01-24494004dd10>

Diversification needs to be key consideration in farm strategy 10 Jun 2015 <http://www.rirdc.gov.au/news/2015/06/10/diversification-needs-to-be-key-consideration-in-farm-strategy>

⁴⁰ C. Salvioni, L. Esposito, R. Henke, V. Rondinelli - Diversification strategies in small farms in Italy, 111 EAAE-IAAE Seminar 'Small Farms: decline or persistence' University of Kent, Canterbury, UK 26th-27th June 2009.

საქართველოს სოფლის მეურნეობაში მცირე ფირმებს თითქმის 95% უჭირავს[7]. ცხადია, ასეთ პირობებში, დივერსიფიკაციის პრობლემების კვლევა განსაკუთრებით აქტუალურია[15]. ღვინის კომპანიებში სპეციალიზაციის ინდექსსა და კომპანიების მასშტაბებს შორის დამოკიდებულების ასახსნელად ჩატარებულმა კვლევამ გვჩვენა, რომ დივერსიფიკაცია უშუალოდ არ არის დამოკიდებული კომპანიათა მასშტაბებზე. მცირე მასშტაბის კომპანიები დივერსიფიკაციას ძირითადად იყენებენ გაკოტრების რისკის ან ეგზოგენური ფაქტორებით გამოწვეული შემოქმედების შესამცირებლად, ხოლო მსხვილი კომპანიები – ფინანსური რესურსების მომგებიან დარგებში დასაბანდებლად[8]. ღვინის ბაზრის დივერსიფიკაციის მოდელზე რეკომენდაციების შესამუშავებლად აუცილებელია მასზე მოქმედი კონკურენტული ფაქტორების შესწავლა.

დივერსიფიკირებული პროდუქტების ბაზარზე შეღწევა და სტრატეგია განსაზღვრულია მ. პორტერის კონკურენციის ხუთი ფაქტორის მიხედვით: მიმწოდებლების ძალაუფლება, მომხმარებლების ძალაუფლება, ბაზარზე შესვლის ბარიერები, პროდუქტის შემცველები, კონკურენციის დონე. დივერსიფიკაციის პროცესის განვითარებისა და განსაკუთრებით მცირე და საშუალო ფირმების დინამიკური განვითარების გზით ბაზარზე პოზიციების მოპოვება მეცნიერთა მიერ, ასევე, განხილულია კლასტერების შექმნის საფუძველზე[16].

ღვინის ინდუსტრიის სტრუქტურა მთელი რიგი ეკონომიკური და ტექნიკური მახასიათებლებით განისაზღვრება, რაც, თავის მხრივ, განაპირობებს თითოეული კონკურენტული ძალის სიძლიერესა თუ სისუსტეს.

ქართული ღვინის ბაზრის დივერსიფიკაციისა და საერთაშორისო ბაზრებზე შეღწევის პირობები მ. პორტერის კონკურენციის ხუთთა ადინიშნული ხუთი ფაქტორის მიხედვით შევაფასოთ.

ღვინის კომპანიების მუშაობა სხვადასხვა სახის მიმწოდებელზეა დამოკიდებული. მიმწოდებლის გავლენა ძლიერია, თუ

- კონცენტრირებულია უფრო მეტად, ვიდრე მასალებისა და მომსახურების მიმწოდებელი ინდუსტრია;
- ინდუსტრიის მონაწილეებს მიმწოდებელთა შეცვლით მნიშვნელოვნად ეზრდებათ გადართვის ხარჯები;
- შემოსავალი ნაკლებად არის დამოკიდებული ერთ ინდუსტრიაზე;
- მოწოდებულ მასალებსა და მომსახურებას არ აქვს შემცველები;
- მიმწოდებლები სთავაზობენ დიფერენცირებულ პროდუქტებს;
- არსებობს დიდი საფრთხე, რომ მომავალში მიმწოდებელი თავად დააპირებს ინდუსტრიაში ინტეგრირებას.

ქართული ღვინის კომპანიების ნედლეულის მიმწოდებელთა ჯგუფს ხუთთა ადინიშნული ნიშნები ნაკლებად ახასიათებს. ღვინის მწარმოებლებზე მასალების მიმწოდებლების მხრივ ძალაუფლების შემდეგი ბერკეტები გამოვლინდა (იხ. სქემა 1).

წარმოებისათვის საჭირო მასალები და მომსახურება	მიმწოდებელი	შედეგი
ყურძენი	მევენახე, მევენახე-მეღვინე	ზოგიერთი კომპანია ნედლეულის ნაწილს თავად აწარმოებს და ამით კიდევ უფრო ნაკლებად დამოკიდებულია მიმწოდებლებზე. თუ მწარმოებელი უნიკალური ჯიშების ყურძნისგან ამზადებს ღვინოს, მიმწოდებელთა ძალაუფლება შედარებით დიდია
ღვინის ბოთლები	ღვინის ბოთლების ძირითადი ნაწილი იმპორტულია; ქვეყანაში ბოთლების მწარმოებელი არის მხოლოდ ერთი სააქციო საზოგადოება „მინა“	არ არის დაკმაყოფილებული ღვინის კომპანიების ნაწილის მოთხოვნა სასურველ დიზაინზე, ფერსა და ხარისხზე. მწარმოებლებს სირთულეები აქვთ ფასის, დროის, ტრანსპორტირების და სხვა ფაქტორების გამო. თუ „მინა“ შეძლებს მწარმოებელთა სტანდარტებზე მორგებას, ის ბაზარზე მონოპოლის პოზიციაზე აღმოჩნდება
აგროქიმიკატები	ქვეყანაში არის აგრო-ქიმიკატების მიმწოდებელი რამდენიმე კომპანია	მაღალი კონკურენციის გამო მიმწოდებელს მყიდველზე ძალაუფლება არ გააჩნია

სამაცივრო სისტემები	საქართველოში ამ სისტემების მიმწოდებელი კომპანიები მცირეა	კომპანიებს გააჩნიათ საბაზრო ძალაუფლება და გავლენას ახდენენ ფასზე
სარწყავი სისტემები	საქართველოში სარწყავი სისტემის მიმწოდებელი კომპანიების რიცხვი შეზღუდულია, მევენახეობა-მეღვინეობაში სარწყავი სისტემების მიწოდებაში ერთი კომპანიაა	სარწყავი სისტემის მიმწოდებელი კომპანიები ფასის დამწესებელია და უპირატესი ძალაუფლება აქვს მომხმარებელზე
ღვინის დამზადების ტექნოლოგიური ხაზები	საქართველოში ამ ეტაპზე აღნიშნული ტექნოლოგიების მიმწოდებელი კომპანია არ არის	თუ ბაზარზე მსგავსი მასალის მწარმოებელი გაჩნდა, მაშინ ის მონოპოლისტი იქნება და საფასო ფაქტორის გამოყენებით შეძლებს მომხმარებელზე უპირატესობის მოპოვებას
სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა	ქვეყანაში არ არის სრულყოფილი სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა, არ არსებობს კომერციული მოცულობების საჰაერო გადაზიდვაში კომპანიები	თუ ბაზარზე გაჩნდა მსგავსი მომსახურების მიმწოდებელი, მაშინ ის იქნება მონოპოლისტი და საფასო ფაქტორის გამოყენებით შეძლებს მომხმარებელზე გავლენის მოხდენას

სქემა 1. მასალებისა და მომსახურების მიმწოდებლების ძალაუფლება ღვინის მწარმოებლებზე

ზოგადად ღვინის მწარმოებლებზე მასალებისა და მომსახურების მხრივ მიმწოდებლების ძალაუფლების შესწავლის საფუძველზე შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა, რომ ღვინის ბაზარზე მიმწოდებელთა ძალაუფლება ვერ ახდენს მნიშვნელოვან ზეგავლენას.

მიმწოდებელთა ძალაუფლების გამოვლენის მსგავსად, მნიშვნელოვანი ფაქტორია მყიდველის ძალაუფლება. ამ ფაქტორს შეუძლია ფასების შემცირებისა და უკეთესი ხარისხის ან სერვისის მოთხოვნის სტიმულირება. მყიდველი ძლიერია, თუ შესაძლებელი იქნება ინდუსტრიის მონაწილეთა წინააღმდეგ მნიშვნელოვანი ბერკეტების გამოყენება. განსაკუთრებით მაშინ, როცა პროდუქტი მგრძობიარეა ფასის მიმართ. მყიდველთა სტრუქტურაში უნდა განვასხვავოთ ჯგუფები. მყიდველი ძლიერია, თუ

- მყიდველთა რიცხვი მცირეა ან თითოეული შენაძენის მოცულობა დიდია ერთისათვის;
- თუ პროდუქტზე გადართვის დანახარჯი მცირეა და მყიდველს ძვირი არ უჯდება გამყიდველის შეცვლა;

- ინდუსტრიის პროდუქცია სტანდარტიზებული ან არადიფერენცირებულია;
- თუ მყიდველს შეუძლია გაერთიანდეს და დამოუკიდებლად აწარმოოს ინდუსტრიის პროდუქტი.

საბაზრო ძალაუფლებას შეიძლება ფლობდეს როგორც შუამავალი, ასევე საბოლოო მომხმარებელიც. ასეთი მომხმარებელი ნაკლებად მგრძობიარეა ფასების მიმართ.

ქართულ ბაზარზე მომხმარებელთა ძალაუფლების გავლენა ფასების მხრივ ძირითადად დაბალფასიანი ღვინის სახით იგრძნობა. ასეთი ღვინის ფასები მაქსიმალურად მორგებულია მომხმარებელთა მოთხოვნაზე, რადგან დაბალფასიანი სეგმენტის შემთხვევაში ღვინის სახეობებით დიფერენცირებას მომხმარებელი ნაკლებ მნიშვნელობას ანიჭებს და ადვილად გადაერთვება ერთი სახეობიდან მეორე სახეობის პროდუქციაზე. საზღვარგარეთის ბაზრებზე, მაგალითად ევროპის ბაზარზე, მომხმარებელთა ძალაუფლება, ფასების გარდა, პირველ რიგში სტანდარტებით ვლინდება. ბაზარზე პროდუქციის შეტანა სტანდარტების დაცვის გარეშე ფაქტობრივად შეუძლებელია. მწარმოებელი ასევე დამოკიდებულია საზღვარგარეთის მყიდველთა მიერ დადგენილ პირობებზე, მყიდველები კი ამ შემთხვევაში არიან არა საბოლოო მომხმარებლები, არამედ საცალო-საგაჭრო ქსელები.

ღვინის ბაზარზე მომხმარებლის ძალაუფლების ფაქტორის შესწავლამ გვიჩვენა, რომ ქართული ღვინის არსებული ან პოტენციური მყიდველებია ევროპასა და აზიაში არსებული საგაჭრო ქსელები, უპირატესად სუპერმარკეტები და ჰიპერმარკეტები. შესაბამისად, მიმწოდებლები დამოკიდებულნი არიან მომხმარებლის მიერ დადგენილ პირობებზე.

ღვინის ბაზარზე შესვლის ბარიერების შესწავლით გამოირკვა, რომ ამ თვალსაზრისით ინდუსტრიაში უკვე მყოფი კომპანიები უპირატესობას ფლობენ. ამისათვის მათ გარკვეული რესურსული პოტენციალი გააჩნიათ, კერძოდ:

1. მიწოდებაზე მასშტაბიდან ეკონომია;
2. მოთხოვნის მასშტაბიდან ქსელური სარგებელი;
3. პროდუქტის შემცველებზე გადართვის ხარჯები (ფიქსირებული ხარჯები, რომლებსაც მყიდველი მიმწოდებლის გამოცვლისას აწყდება);

4. ინვესტირების აუცილებლობა;
5. ბაზარზე ჩართულობის უპირატესობა;
6. სადისტრიბუციო არხების უთანასწორო ხელმისაწვდომობა;
7. შემზღვეველი სამთავრობო პოლიტიკა.

ბაზარზე ახალი კომპანიების შესვლის პირობებში დამატებითი შესაძლებლობები და მოთხოვნები ჩნდება. ახალი კომპანიები ცდილობენ ბაზრის წილების მოპოვებას. შედწევა განსაკუთრებით სახიფათოა მაშინ, როცა ახალი მონაწილეები სხვა ბაზრებიდან ახდენენ დივერსიფიკაციას. მათ შეუძლიათ არსებული შესაძლებლობებისა და ფულადი ბრუნვის გაზრდა, რაც ამძაფრებს კონკურენციას.

ინდუსტრიაში ახალ მწარმოებელთა შედწევის საფრთხე დამოკიდებულია დაწესებულ ბარიერებზე. თუ ბაზარზე შესვლის ბარიერები დაბალია და ახლად შესული კომპანიები არ ელოდებიან მძაფრ რეაქციას კონკურენტებისაგან, ახალი კომპანიების შედწევის შესაძლებლობები იზრდება და კომპანიების შემოსავლები მცირდება. ახალ კომპანიათა შემოსვლის საფრთხე იწვევს ინდუსტრიაში შემავალი კომპანიების მოგების შემცირებას.

მეღვინეობა საქართველოსთვის ტრადიციული დარგია და, შესაბამისად, ბაზარზე საკმაოდ ბევრი ღვინის მწარმოებელი კომპანიაა წარმოდგენილი. ღვინის ბაზარზე ახალი კომპანიები უკვე დამკვიდრებული კონკურენტებისგან უმნიშვნელო რეაქციას ელოდებიან. შესვლის ბარიერებად ძირითადად უნდა განვიხილოთ ინვესტიციები და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ნებართვები, ლიცენზიები, კვოტები და სხვა. გასათვალისწინებელია არაპირდაპირი ბარიერებიც, კერძოდ ევროგაერთიანების ბაზრის მოთხოვნები, საექსპორტო ბაზრების შეზღუდველი სტანდარტები და სხვა.

კონკურენციის ხუთი ფაქტორის მიხედვით შეფასება მოითხოვს ჩანაცვლების საფრთხის განხილვასაც. ჩანაცვლების საფრთხე მაღალია, თუ

- შემცველი პროდუქტები ეკონომიკური ეფექტიანობის თვალსაზრისით ინდუსტრიის პროდუქტის მიმხიდეველ ალტერნატივას წარმოადგენს;
- შემცველებზე გადართვა მცირე დანახარჯებთანაა დაკავშირებული.

ღვინის შემცველი პროდუქტებიდან ყველაზე მოთხოვნადი ქართულ ბაზარზე არის ლუდი და არაყია. თუმცა, მომხმარებელთა გადართვას შემცველ პროდუქტზე ფასის უმნიშვნელო ცვლილება ვერ იწვევს. საქართველოსთვის ღვინო ტრადიციული პროდუქტია, შესაბამისად მოხმარებაში მისი ჩანაცვლება რთულია. ქართული ღვინის ბაზარზე, შეიძლება ითქვას, რომ შემცველ პროდუქტებს ღვინის კომპანიების მოგების შემცირების ნაკლები პოტენციალი აქვს.

კონკურენციის დონე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია და მას ძირითადად განსაზღვრავს ფასების შემცირება, ახალი პროდუქტების მიწოდება ბაზარზე, სარეკლამო კამპანიისა და სერვისის გაუმჯობესება. ძლიერი კონკურენცია ზღუდავს ინდუსტრიაში მოგების მიღების შესაძლებლობებს. კონკურენცია ინტენსიურია, თუ

- ბაზარზე ბევრი კონკურენცია ან კონკურენტები თანაბარი ზომისა და სიძლიერის არიან;
- ინდუსტრია დინამიკურად ნელი ტემპებით ზრდადია;
- ინდუსტრიიდან გასვლა სირთულეებთან არის დაკავშირებული;
- ყველა კონკურენტს სურს ლიდერობა;
- კომპანიები, კონკურენციისადმი განსხვავებული მიდგომის გამო, ვერ იყენებენ ერთმანეთის სიგნალებს.

ქართული ღვინის ბაზარზე საკმაოდ ბევრი მწარმოებელია იმისთვის, რომ კონკურენტული ეწოდოს, თუმცა, აღსანიშნავია, რომ რამდენიმე კომპანია ადგილობრივი ბაზრის მნიშვნელოვან წილს ფლობს. რაც შეეხება კონკურენციის სახეობას, მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა მწარმოებელი ხშირ შემთხვევაში ერთი და იმავე სახეობის ღვინოს აწარმოებს, კონკურენცია მხოლოდ საფასო არ არის.

ღვინის ბაზარზე არსებული კონკურენციის დონე განვსაზღვრეთ ღვინის კომპანიების წილების საბაზრო ძალაუფლებისა და კონცენტრაციის მაჩვენებლებით. 2015 წლის მონაცემებით, კონცენტრაციის ინდექსმა საშუალოდ შეადგინა 0.53, ხოლო ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსმა 0.013. ინდექსების მიხედვით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საქართველოში ღვინის ბაზარი ძირითადად მონოპოლისტური კონკურენციის ტიპისაა. ენტროპიის ინდექსის გათვლით (2.53) გამოვლინდა, რომ საბაზრო ფასზე მიმწოდებელთა ძალაუფლება დაბალია. გარდა ამისა, გაიზომა ღვინის კომპანიების მასშტაბების არათანაბარზომიერების ხარისხი საბაზრო წილების დისპერსიის მაჩვენებლით, რომელმაც 0.004 შეადგინა. ეს იმაზე მიუთითებს, რომ საბაზრო წილების უთანაბრობა უმნიშვნელოა.

ღვინის ბაზარზე მოქმედი კონკურენტული ფაქტორებისა და კონკურენციის დონის მიხედვით შეგვიძლია გავაკეთოთ დასკვნა, რომ ღვინის წარმოების რესურსული პოტენციალის ეფექტიანად

ამოქმედების შემთხვევაში შესაძლებელია ბაზრების დივერსიფიკაცია როგორც ევროპის, ასევე აზიისა და ამერიკის ქვეყნებში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, თბილისი, 2015.
2. საქსპორტო ბაზრების განვითარების სამოქმედო გეგმა, ღვინის სექტორი, თბილისი, საქართველო 2011.
3. საინფორმაციო-ანალიტიკური პორტალი, ქართული ღვინის კომპანიები vinoge.com/qartulighvinis-kompaniebi
4. ქართული ღვინის ასოციაცია. www.gwa.ge
5. ქვეყნის ძირითადი მონაცემები და მიმართულებები, 2015-2018 წლები, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. www.mof.ge/BDD
6. ღვინის ეროვნული სააგენტო. <http://georgianwine.gov.ge/>
7. ხარაიშვილი ე., ფერმერულ მეურნეობათა მასშტაბები და აგრობიზნესის განვითარების შესაძლებლობები საქართველოში, საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „ეროვნული ეკონომიკების მდგრადი განვითარების აქტუალური პრობლემები“, შრომების კრებული, 2015.
8. ე. ხარაიშვილი, ღვინის ბაზრის კონკურენტუნარიანობის ანალიზი და ფირმების ქცევის სტრატეგია, ეურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი“, თბილისი, 2009, №6.
9. Guidance, Diversifying farming businesses, How farmers can add business activities to traditional farming to develop new sources of income, 2014.
10. Diversification needs to be key consideration in farm strategy 10 Jun 2015
<http://www.rirdc.gov.au/news/2015/06/10/diversification-needs-to-be-key-consideration-in-farm-strategy>
11. Planning for Farm Diversification, March 2004. www.agriculture.gov.sk.ca
12. Salvioni C., Esposito L., Henke R., Rondinelli V., Diversification strategies in small farms in Italy, 111 EAAE-IAAE Seminar ‘Small Farms: decline or persistence’ University of Kent, Canterbury, 2009.
13. Tom Vernimmen, Marie Bourgeois, Guido Van Huylenbroeck, Henk Meert, Etienne Van Hecke, Diversification as a Survival Strategy for Marginal Farms an Exploratory Research, Paper prepared for presentation at the Xth EAAE Congress ‘Exploring Diversity in the European Agri -Food System’, Zaragoza (Spain), 2002.
14. Zander, K., Diversification and specialisation as development strategies in organic farms, 16th IFOAM Organic World Congress, Modena, 2008.
15. Kharashvili E., Small Farm Diversification Opportunities in Viticulture-Winemaking Sector of Georgia, World Academy of Science, Engineering and Technology International Journal of Social, Behavioral, Educational, Economic, Business and Industrial Engineering Vol:10, No:5, 2016.
16. Портер М., Конкуренция, 2002.

Eter Kharashvili

COMPETITIVE FACTORS DEFINING WINE MARKET DIVERSIFICATION

Annotation

The article verifies the opportunities and models of small and medium size companies' diversification. Diversification varieties are discussed; considering other researches it is concluded, that diversification is a key strategy for surviving marginal firms.

Competitive factors affecting wine market diversification are analyzed. Strategy for diversified products market penetration is defined according to M. Porter's five force tool: power of suppliers; power of buyers, Competitive Rivalry, Threat of Substitution, and Threat of New Entry. Based on analysis of competitive factors having impact on wine market diversification relevant conclusions and recommendations are elaborated.

ეკონომიკური თეორიის სექცია

დავით ასლანიშვილი
დიტრის მიუღერი
ქრისტინე ომაძე

ინდუსტრიული რევოლუციების ანალიზი და მეოთხე ინდუსტრიული რევოლუციის მოსალოდნელი შედეგი (ინდუსტრია 4.0)

2016 წლის იანვარში შვეიცარიის კურორტ დავოსში ჩატარდა მორიგი მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი, რომლის მთავარ საკითხად ინოვაციები და მსოფლიოს რიგით მეოთხე ინდუსტრიული რევოლუცია იქცა, რომელსაც ფორუმზე ტექნოლოგიური ცუნამიცი კი უწოდეს, თავისი გავლენისა და ზემოქმედების სისწრაფის გამო [1].

ფორუმის მთავარი თემა იყო მეოთხე ინდუსტრიული რევოლუციის მართვა და ამ საკითხის კვლევა, რომელშიც დასაბუთებული იყო შიში, რომ მაღალი ტექნოლოგიების განვითარება მილიონობით სამუშაო ადგილის შემცირებას გამოიწვევს. მსოფლიო ელიტის წინაშე მთელი სიმწვავეთ დაისვა საკითხი, თუ რა სოციალური შედეგი ექნება ტექნოლოგიურ რევოლუციას და როგორ უნდა განეიტრალოს მისი უარყოფითი გავლენა ისე, რომ ტექნოლოგიურმა რევოლუციამ ადამიანების უმეტესობას მხოლოდ სარგებელი მოუტანოს. ყველაზე დიდი რისკის ქვეშ, სავარაუდოდ, განვითარებადი და ახლად ფეხადგმული ეკონომიკის მქონე ქვეყნები ექცევა, მათ შორის საქართველო. მოცემულ მომენტში მსოფლიოში 200 მილიონი უმუშევარია. გარდა ამისა, მსოფლიო მასშტაბით დასაქმებულთა ნახევარი არსებობისთვის მუშაობს და თუ ამას ციფრული რევოლუციაც დაემატა, შედეგები კატასტროფული იქნება – ეს არის მოსალოდნელი რისკი, რაც კაცობრიობის განვითარების ამ ეტაპს თან ახლავს [2].

სანამ უშუალოდ მეოთხე ინდუსტრიულ რევოლუციას შევხებით, უპრიანია, მისი წინამორბედი ინდუსტრიული რევოლუციების ბუნება, ისტორია და განვითარების ეტაპები მიმოვიხილოთ.

თანამედროვე ეკონომიკური ურთიერთობების დასახსიათებლად გამოიყენება ტერმინი “ცოდნის ეკონომიკა”, რაც პოსტინდუსტრიული და ინოვაციური ეკონომიკის განვითარების უმაღლესი და საბოლოო ეტაპია. განვითარების ამ საფეხურზე ეკონომიკის და საზოგადოების ცხოვრების მამოძრავებელი მთავარი მახასიათებელია საინფორმაციო საზოგადოება, ანუ ცოდნის საზოგადოება. მიიჩნევა, რომ განვითარების ამ ეტაპზე “ცოდნის ეკონომიკა” შექმნილია მხოლოდ აშშ-ში და ნაწილობრივ ევროკავშირის რიგ წამყვან ქვეყანაში. საბოლოო ჯამში, ცოდნის ეკონომიკა – ეს არის პოსტინდუსტრიული და ინოვაციური ეკონომიკის განვითარების უმაღლესი საფეხური და წარმოადგენს საინფორმაციო საზოგადოების, ანუ ცოდნის საზოგადოების წინაპირობას. ასეთ ეკონომიკაში განვითარების მთავარი ფაქტორებია ცოდნა და ადამიანური კაპიტალი. ამ ეკონომიკის განვითარების პროცესის ამოცანაა ადამიანური კაპიტალის ხარისხის ზრდა, ცხოვრების ხარისხის ამაღლება, მაღალი ტექნოლოგიების ცოდნა, ინოვაციები და მაღალხარისხოვანი მომსახურება. ცოდნის ეკონომიკის ფორმირებისა და განვითარების მთავარი ფაქტორია ადამიანური კაპიტალი.

რა მდგენელით განსხვავდება მაღალხარისხოვანი ადამიანური კაპიტალი დაბალხარისხოვანისგან? – ეს ნიშნებია დაგროვილი ცოდნა, ინტელექტი, ინოვაციები, პროფესიონალიზმი. ამ მხრივ განვითარებული ქვეყნები ფლობენ მსოფლიო ადამიანური კაპიტალის უდიდეს ნაწილს და მათ მიერ განხორციელებული ინვესტიციების მეტი წილი სწორედ რომ ადამიანური კაპიტალისკენ არის მიმართული. ეს ანიჭებს მათ გადამწყვეტ უპირატესობას ტექნოლოგიებისა და ინტელექტუალური განვითარების კუთხით, რაც ვლინდება მათი მოსახლეობის ცხოვრების მაღალ ხარისხსა და სტანდარტში. გაეროს განვითარების პროგრამის მოხსენებათა თანახმად [3], აშშ-ს, ფინეთის, გერმანიის, იაპონიის და რიგი სხვა მაღალგანვითარებული ქვეყნის ადამიანური კაპიტალი შეადგენს მათი ეროვნული სიმდიდრის 80 პროცენტს.


როგორ შეიძლება დავახსიათოთ მათი უპირატესობა? – ამ განვითარებულმა ქვეყნებმა შექმნეს ოპტიმალურთან მიახლოებული პირობები მეცნიერთა იდეების კონკრეტულ საქონელსა და პროდუქტად გადაქცევის გზაზე, რაც სწრაფად და ეფექტურად ხორციელდება.

ახალი ინდუსტრიული რევოლუცია – ინდუსტრია 4.0

დღეს ჩვენ ახალი მსოფლიო ინდუსტრიული რევოლუციის მოწმენი ვართ – “ჰეგონი” საწარმოები, 3D პრინტერ-ქარხნები და ინტერნეტ ნივთები – ყოველივე ამან უკვე ჩაანაცვლა ადამიანი წარმოებაში.

საქართველოში ამ მხრივ სიტუაცია არასახარბიელოა – ჩვენ ჩამოვრჩებით არა მხოლოდ ჩართულობის მხრივ, ელემენტარულ დონეზე ჩვენთან სრული საინფორმაციო ვაკუუმი. აუცილებელია რადიკალური ცვლილებების განხორციელება და ამ ვითარების სწრაფი გამოსწორება.

სამრეწველო რევოლუციების ისტორიას კარგად ასახავს ქვემოთ მოცემული გრაფიკი, რომელიც McKinsey Global მიერ არის შექმნილი. უნდა აღინიშნოს, რომ ტერმინი – მეოთხე ინდუსტრიული რევოლუცია, მათი მკვლევარი ეკონომისტების გამოგონებაა. ამ ინდუსტრიული რევოლუციის შედეგის არსი არ განსხვავდება წინა სამისგან – შრომის წარმოების ზრდა და მშპ-ს ზრდის მაღალი ტემპის მიღწევა განვითარებულ ქვეყნებში – აშშ-სა და ევროპაში.



ერთ-ერთი მიღებული დაყოფით (თუმცა არა ერთადერთი) პირველი ინდუსტრიული რევოლუცია დაიწყო ჯეიმს უატის მიერ ორთქლმავლის გამოგონებით და მე-17 – მე-19 საუკუნეში შექმნა პირველადი ინდუსტრიალიზაცია ევროპაში. ეს კლასიკური რევოლუცია დაკავშირებული იყო რიგ ინოვაციასთან – ბამბის ძაფის გამოყვანა და ქსოვა (ბამბეულის ტრიკოტაჟი) და კოქსის გამოყენება მეტალურგიაში. ამის შედეგად 1820 – 1900 წწ. ევროპის წამყვან 12 ქვეყანაში მშპ გაიზარდა სამჯერ და ნაცვლად 1000 აშშ დოლარისა, გაუტოლდა 3000 აშშ დოლარს (ფასები მოცემულია 1900 წელთან, როგორც საბაზო მაჩვენებელთან).

მეორე რევოლუციის დაწყებად მიჩნეულია 20 საუკუნის დასაწყისი, როდესაც ჰენრი ფორდმა გამოიგონა კონვეიერი და ამით შეიქმნა არა მარტო მასობრივი ბაზარი, არამედ მანქანა ხელმისაწვდომი გახდა ფართო საზოგადოებისათვის. ამასთანავე, ამ გამოგონებიდან მხოლოდ 30 წლისთავეზე გახდა შესამჩნევი ცხოვრების დონის ზრდა. მხოლოდ 1928 წელს გახდა შესაძლებელი 4000 აშშ დოლარის მშპ-ს მიღწევა საშუალო ევროპელისთვის. ამასთანავე, 1939 წელს საშუალო ევროპელის მშპ-ს ერთ სულ მოსახლეზე 5000 აშშ დოლარს აღწევს [5].

მესამე ინდუსტრიულ რევოლუციის თარიღად მიჩნეულია გასული საუკუნის 60-იანი წლები, როდესაც გამოიგონეს კომპიუტერი და შემდგომ სამრეწველო რობოტები. ფართო გავრცელება პოვა ქიმიურმა მრეწველობამ. მშპ აღწევს 6000 აშშ დოლარს. 1980 წლისათვის, ანუ 20 წელიწადში, მშპ იზრდება 7000 აშშ დოლარით თითო მოსახლეზე და აღწევს 14000 აშშ დოლარს [5].

რა თქმა უნდა, ეს დაყოფა პირობითია და ამ ჭრილში გაუგებარია, რას მივაკუთვნოთ 1980–1990 წწ გამოგონება – პერსონალური კომპიუტერი და კომპიუტერული ტექნოლოგიები, რომლის გარეშე ყოველდღიურობა უკვე შეუძლებელი გახდა – არის ეს მესამე თუ მეოთხე ინდუსტრიული რევოლუციის ნაწილი? ამ მხრივ დაყოფის მიზნით სტატისტიკა და მშპ-ს ზრდა მოვიშველიოთ. ფაქტია, რომ მშპ-ს ერთ სულზე 7000 აშშ დოლარით მომდევნო ზრდას 30 წელი დასჭირდა და ეს 2007 წელს მოხდა. ანუ სახეზეა ზრდის შენელება, რასაც თან დაერთო მსოფლიო “დიდ რეცესიად” წოდებული 2007–2012 წწ. გლობალური ეკონომიკური კრიზისი. არსებობს სხვა მრავალი დაყოფა და პრინციპი, თუმცა ჩვენი ამოცანაა – მორიგი მეოთხე ინდუსტრიული რევოლუციის ნიშან-თვისებების შეცნობა და ანალიზი. McKinsey ეკონომისტები “ინდუსტრია 4.0” ტერმინით აერთიანებენ ახალ ბიზნესპროცესებს, რომლებიც დაინერგა მთელი 20 საუკუნის მანძილზე. ამ მხრივ შემდეგ დაყოფას ვეთავაზობენ:

- პირველი – 70 იანების “მომჭირნე და ფრთხილი” წარმოება;
- მეორე – წარმოების გადატანა განვითარებად ქვეყნებში და აუტსორსინგის ფენომენი, რაც 90-იან წლებში ხორციელდებოდა; და
- ე.წ. “ნულოვანი” წლების წარმოების ფართო ავტომატიზაცია.

მომავლის ტექნოლოგიები

ინდუსტრია 4.0 კონცეფციის მარტივი აღქმის მიზნით ეკონომისტები მას შემდეგნაირად განმარტავენ – იდეებისა და გამოგონებათა კომპლექსი, რომელიც ციფრულ ტექნოლოგიებზე დაყრდნობით, წარმოების ავტომატიზაციას მოახდენს. აქ კონკრეტულად არ ჩანს, იდეები კი სიმრავლით გამოირჩევა.

როდესაც საუბარი “ციფრულ საწარმო” ეხება, ამის ქვეშ იგულისხმება ყველა ქალაქზე არსებული პროცესის ვირტუალურ სივრცეში გადატანა (მათ შორის დეტალებისა და ნაწარმის მოდელირება). ფაქტობრივად საუბარია 3D პრინტერზე, რომლის მეშვეობით ქარხანაში დეტალისა და ნაწარმის არა გამოშვება, არამედ ამოებულება მოხდება.

როგორც შედეგი – დამატებითი ღირებულება გადავა მწარმოებლისგან იმათთან, ვინც ფლობს ნახაზებზე ინტელექტუალურ საკუთრებას: შესაძლებელი გახდება ნახაზების ჩამოტვირთვა AppStore ან GooglePlay ანალოგიური მოწყობილობიდან.

იდეაში, მომავალი ვირტუალური ქარხანა იქნება შემდეგი: თქვენ აარჩევთ სასურველი ნაწარმის ნახაზს (მანქანა, ტანსაცმელი, სახლი და სხვა) ინტერნეტში და ამოებულებათ მას (პირდაპირი მნიშვნელობით) თქვენს სახლთან არსებულ უახლოეს 3D პრინტერზე.

ეს უკვე რეალობაა და საცდელი წარმოება დაწყებულია. ამ მხრივ 3D პრინტერები ქიმიასა და მეტალიურ მასალებში ნამდვილი რევოლუციის სტიმულირებას მოახდენენ. სამომავლოდ, ამ ტექნოლოგიით შესაძლებელი გახდება როგორც ულტრაძვირი დეტალების – საავიაციო ძრავის ელემენტები – ან პირიქით ულტრაძვირი ელემენტების – კომპოზიტების (თვითმფრინავის სალონი) – წარმოება. ყველაზე საკამათოა დრო – რიგი მკვლევარი მიიჩნევს, რომ ეს მომავალი – რამდენიმე წლის ამბავია...

“ჰეკიანი საწარმო” – “ციფრული საწარმო”-ს შემდეგი ეტაპია. რომ გავიგოთ მათ შორის სხვაობა, წარმოვიდგინოთ, რომ თქვენი შერჩეული კონსტრუქციის ნახაზის დეტალები დაიბეჭდა 3D პრინტერზე და საჭიროა, რომ რობოტებმა ისინი მაქსიმალურად სწრაფად და ეფექტურად ააწიონ. ამ მხრივ არსებული კონვეიერი, რომელიც ფაქტობრივად გამორიცხავს ადამიანს, მაინც საკმაოდ მოუხერხებელი კონსტრუქციაა. მაგალითად, თანამედროვე მანქანა შედგება რამდენიმე ათასი შესაღებელი დეტალისგან. ახალი მოდელის გამოშვება მთელი საწარმოო ხაზის გადაიარაღებას და ახალ პროგრამირებას მოითხოვს, რაც საკმაოდ ძვირია. ამის გამო სამრეწველო დიზაინი საკმაოდ მოკრძალებულად ვითარდება. შეიძლება ვთქვათ, რომ დიზაინერის აზრი და გამოგონება მკვეთრად დამუხრუჭებულია ტექნოლოგიური პროცესის შესაძლებლობით.

ამ მხრივ მომავლის ტექნოლოგიამ უნდა გადაწყვიტოს პრობლემა, რომ კონვეიერმა ერთდროულად აწარმოოს სხვადასხვა მანქანის მოდელი და მარკა. ამ მიმართულებას “კასტომიზიზაცია” ეწოდება – ანუ აწარმოო მარტო ის, რაზეც გაქვთ მოთხოვნა, მცირე მასშტაბით და გქონდეთ შესაძლებლობა, რომ შეცვალოთ ასორტიმენტი ყოველკვირას. ფაქტობრივად ეს არის მასობრივი წარმოების იდეიდან გადასვლა ინდივიდუალურ მოთხოვნაზე.

ამ პრობლემის გადაწყვეტა მეოთხე ინდუსტრიულ რევოლუციას გარდაუვალ და მასიურ ხასიათს მისცემს. რა გზით შეიძლება ამ პრობლემის მოგვარება? გამოსავალი ნაპოვნია, თუმცა მის ოპტიმალურ დონეს დახვეწა ესაჭიროება. ეს არის ფაქტობრივად “ჰეკიანი” რობოტების შექმნა – ავტონომიური, თვითნაწავალი და გონიერი მანქანების ეპოქა. საუბარია, რომ რობოტები მოცულობით ინფორმაციას ერთმანეთს გაუზიარებენ სენსორებით (Big Data) და “შეთანხმდებიან” გასაკეთებელ ამოცანაზე. ტექნოლოგია ფუტურების “თანამშრომლობის” პრინციპს წააგავს, სადაც ისინი ერთმანეთს უთანხმდებიან და ინაწილებენ სამუშაოს მათი ფუნქციისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით. ამ იდეას უკვე პრაქტიკაში იყენებს კორპორაცია INTEL.

შემდეგი მიმართულებაა სამრეწველო ინტერნეტი, რაც “ინტერნეტ ნივთების” მიმართულების მეორე მხარეა. ეს მიმართულება გულისხმობს, რომ სენსორები და მოწყობილობები შესაძლოა განთავსდეს სხვადასხვა ნივთზე და მათ “საქმიანი ურთიერთობა გააჩნდეთ”. მაგალითად LPWAN (Low-Power Wide-Area Network) – უსადენო და დაბალ სიხშირეზე მომუშავე ქსელი. მას შეუძლია მცირე ოდენობის (რამდენიმე ასეული ბიტი წამში სიჩქარით) მონაცემთა დიდ მანძილზე (10 კმ) გადაცემა. ეს მოწყობილობა მუშაობს ელემენტზე, რომელიც 10 წელიწადში ითხოვს გამოცვლას. ამ სენსორებს, ანუ მინი რობოტერ/მოდემი – უკვე წარმატებით იყენებენ კომუნალურ სფეროში არსებული კომპანიები – მონაცემი წყლის ხარჯის შესახებ ყოველ ორ საათში მიწოდება პროვაიდერს სერვისის საფასურის ან ანალიტიკური მასალის მოსამზადებლად. ასეთი მეთოდის დანერგვა შესაძლებელია ნიადაგში მისი ტენიანობის დონის გასარკვევად და ნაკლებობის შემთხვევაში გადაცემული სიგნალი “ავტონომიურ რეჟიმში” ჩართავს წყლის მიწოდებას პრობლემურ უბანზე. შესაძლებელია ასეთი სენსორის მანქანის მინაზე მიმაგრება და ამინდის პროგნოზის ზუსტი გარკვევა, ელექტროენერჯის ხარჯის სახლში მართვა და სხვა პრაქტიკული დატვირთვა.

ინდუსტრია 4.0 საკითხის სერიოზულობაზე მიუთითებს გერმანიის მთავრობის პროგრამა, რომლის სახელწოდებაცაა “Industrie 4.0”. 2011 წლიდან მოყოლებული, ამ პროგრამაზე 200 მლნ ევრო გამოიყო. ამ დაფინანსებით გერმანიის ცენტრში, ქალაქების ბილფელდსა და პადერბორნის გარშემო შეიქმნა სამრეწველო კლასტერი, რომლის სახელწოდებაცაა OWL (Intelligent Technical Systems Ost-WestfalenLippe) – ფაქტობრივად საუბარია აშშ-ს ანალოგიურად – გერმანული “სილიკონის ველის” პროექტზე. უკვე ამ ეტაპზე კლასტერი აერთიანებს 200-მდე გერმანულ კომპანიას, რომლებიც ერთად მუშაობენ “ჰეკიანი ქარხნის” პრაქტიკულ კონცეფციაზე. ამ მიდგომის შედეგია, მაგალითად, კომპანია Siemens ქარხანა ქალაქ ამბერსში – ქარხანა ისე უშვებს პროდუქციას და მუშაობს, რომ ადამიანი ქარხანაში აღარ არის..

კიდევ ერთი იდეა – ტექნიკის ავტომატური ტექნიკური მომსახურება. მაგალითად, ავტომანქანების ტექნიკური მომსახურება – ნაცვლად გეგმიური ტექნომომსახურებისა, თუ ავტომობილი აღიჭურვა სრულად სენსორებით და ჩიპებით, შესაძლებელია მანქანის ყოველი დეტალის ცვეთის დონის გაგება სენსორის მიერ და ინფორმაციის მოწოდება. ეს დამატებით ოპტიმიზაციას და ხარჯების შემცირებას გამოიწვევს.

მსოფლიო ბანკისა და ჯენერალ ელექტრიკის კვლევის თანახმად, თუ ინდუსტრია 4.0 და მისი იდეები რეალობად იქცა – ამან შეიძლება მსოფლიო მშპ გაზარდოს 30 ტრილიონი აშშ დოლარით. თუმცა, მასშტაბური ავტომატიზაცია საკმაოდ მძიმე შედეგს მოუტანს შრომით ბაზარს: არა მხოლოდ მუშახელს, არამედ მრავალ მენეჯერს სამსახურის გარეშე დარჩენა ემუქრება. აქ ბევრი რამ იქნება მთავრობათა მუშაობაზე დამოკიდებული, თუ რამდენად აულებენ ადლოს სიტუაციას და როგორ შეუწყობენ ხელს ინფორმირებულობას, გადამზადებას და მათ “მართვაში” არსებული ქვეყნის ახალ რეალობათან მომზადებას.

თუმცა არის დარგი, სადაც ახალი ტექნოლოგიები უკვე დიდი ხანია რეალობად იქცა – მაგალითად, ავიაცია. რეაქტიული ძრავის უმსხვილესი კომპანიები Rolls Royce და General Electric მათ მიერ გამოშვებული ძრავის შესახებ ინფორმაციას რეალურ დროში იღებენ, რაიმე პრობლემის აღმოჩენისას დისტანციურად აგვარებენ პრობლემას ან აგზავნიან სპეციალისტს ადგილზე. რაც შეეხება თვითმფრინავს – მისი ყოველი მოძრაობა კონტროლდება მრავალი სენსორით, ჩიპითა და კომპიუტერით – ადგილმდებარეობა და ანალიზი, მოხვევის პარამეტრი, კურსის ცვლილება და სხვა. ამ მხრივ ეს აღარ არის თვითმფრინავი – ეს მფრინავი კომპიუტერია. ანალოგიურად, სმარტფონი დიდი ხანია აღარ არის ტელეფონი და Tesla – ეს აღარ არის მხოლოდ მანქანა (ფაქტობრივად ნაკლებად არის მანქანა, არამედ თვითნასწავლი და მოაზროვნე მექანიზმი).

რამ გამოიწვია ინდუსტრია 4.0? პასუხი საკმაოდ მარტივია – წამყვან მწარმოებელურ კომპანიებს მკვეთრად შეუმცირდათ მოგება – მათ დაინახეს, რომ დამატებითი ღირებულება მიდის “ფოლადიდან” “სოფტში”. რა იყო გამოსავალი? – სოფტის დანერგვა და მისი კლიენტებისთვის შეთავაზება. მაგალითად, გერმანული კომპანია Trumpf, რომელიც მეტალის დაზგებსა და დანადგარებს აწარმოებს – სთავაზობს კლიენტებს IT პლატფორმა Axoom, რაც აერთიანებს დაზგას სენსორთან ერთიან სისტემაში. სმარტფონების სამყაროში ამის ანალოგია iOS და Android. ეს მოწყობილობა გაძლევთ შესაძლებლობას, ჩამოტვირთოთ დანართი და შექმნათ ახალი სერვისი. ანალოგიური პროცესები მიმდინარეობს წარმოებაში. ფაქტობრივად მოგების ლომის წილს იღებს არა დანადგარების შემქმნელი კომპანია, არამედ ამ დანადგარის მომსახურე ბიზნესი (სოფტის მფლობელი). ამის ნათელი მაგალითია Samsung, რომელიც საკმაოდ დიდ თანხას კარგავს Google (Android) პროგრამის გამოყენების გამო, რადგან საკუთარი პლატფორმა არ გააჩნია.

რამ განაპირობა განვითარებული ქვეყნების მხრიდან ასეთი ინტერესი ინდუსტრია 4.0 მიმართ? პასუხი უნდა ვეძიოთ ევროპასა და აშშ-ში გატარებულ მრავალწლიან პოლიტიკასა და მის შედეგში. ეს ქვეყნები მრავალი წელია “ძვირი” ნავთობისა და “მწვანე” ეკონომიკის პრინციპს ასორციელებენ. მათი მუშახელი საკმაოდ ძვირია, განსაკუთრებით ევროპის მუშახელი. მთელი მსოფლიოს სოციალური დანახარჯების 60% – ეს არის ევროპა, აცხადებს თავის კვლევაში რუსეთის მსოფლიო ეკონომიკის ინსტიტუტის მკვლევარი სერგეი აფონცევი. ამ მხრივ ევროპისთვის ინდუსტრია 4.0 არის ხსნა და მომავლის იმედი.

რა იქნება მეოთხე ინდუსტრიული რევოლუციის შედეგი? მთავარი მიღწევა უნდა იყოს შრომისმწარმოებლურობის ამღვლეა და მკვეთრი ზრდა. ეს კი შესაძლებელია, თუ “ჰკვიანი ქარხნების” ტექნოლოგია და მიდგომა ფეხს მოიკიდებს საშუალო და მცირე ბიზნესში. დღეს ეს პროცესი არ დაწყებულა და ინდუსტრია 4.0-ში ჩართულია მხოლოდ მსხვილი კომპანიები. არსებული მონაცემებით, ნანოტექნოლოგიების და ინდუსტრია 4.0 მიმართულებით ბიზნესის მოცულობა 8 მლრდ აშშ დოლარს აღწევს (წყარო: რუსეთის მსოფლიო ეკონომიკის ინსტიტუტის მკვლევარი სერგეი აფონცევი).

სად მიდის საწარმოო ციკლი ინდუსტრია 4.0 პირობებში? ახალი ინდუსტრიული რევოლუციის მთავარი მამოძრავებელი ელემენტია “კიბერფიზიკური სისტემების” (Cyber Physical Systems) CPS გაძლიერებული ინტეგრაცია საწარმოო პროცესში.

ანუ საწარმოო სიმძლავრეები ურთიერთკავშირს დაამყარებენ წარმოებულ პროდუქციასთან და, საჭიროების შემთხვევაში, მოერგებიან მომხმარებლის ახალ მოთხოვნებს. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, წარმოების ყველა ეტაპი ადამიანური ფაქტორის გარეშე განხორციელდება. ეს არის ინტერნეტ ნივთების საწარმოო ნაწილი, რომელიც ჩვენს ყოველდღიურებაში სულ უფრო მზარდ ფუნქციას ასრულებს.

ავტომობილი TESLA ყოველთვიურად უფრო და უფრო “ჰკვიანი” ხდება, რადგან ყოველთვიურად ხდება მისი განახლება ინტერნეტის მეშვეობით (სიახლეებისა და ახალი უნარების ავტომატური ჩამოტვირთვის გზით), რაც მობილური ტელეფონით ხორციელდება – მანქანა და მობილური აპლიკაცია ერთმანეთს ადამიანის გარეშე უკავშირდებიან... მას აქვს შესაძლებლობა, მისი პატრონი შეისწავლოს, გაეცნოს მის ჩვევებს, წინასწარ დაუგეგმოს დრო და შეხვედრის ადგილი, მოგზაურობის მარშრუტი, აქვს რა წვდომა თქვენს კალენდართან – გახსენებთ შეხვედრის ადგილს და დროს და გეგმავს ახალ შეხვედრას, წინასწარ ათბუნებს მანქანას პატრონის მოსვლამდე...

უახლოეს მომავალში ჩვენს გარშემო არსებული მრავალი ნივთი ერთმანეთთან ჩვენს გარეშე დაიწყებს ურთიერთობას: სავარაუდო უახლოესი მომავლის ჩვეულებრივი დღე: თქვენ გადაიძებთ მალევიძარა, რომელიც ატყობინებს ყავის მადულარას ყავის მომზადების დაწყების დროს. მიკროტალღურ ღუმელში ავტომატურად დანიშნულ დროს ამზადებს (აცხელებს) თქვენს საუზმეს, ხოლო თქვენი მანქანა თვითონ დაიქოქება და პარკირების ადგილიდან გამოსასვლელთან მოვა და დაგელოდება...

ინდუსტრია 4.0-ში ერთ ქსელშია გაერთიანებული არა მხოლოდ კონკრეტული საგანი, არამედ დაზგა, ამწყობი ხაზი და მთელი ქარხანა. უკვე არსებულ ვითარებაში რიგ საწარმოს მზა პროდუქციაზე აქვს დაყენებული RFID – მინიშნება, რომელიც აწვდის საჭირო ინფორმაციას ამწყობ რობოტს. ხორციელდება საწყობის ნაშთის მონიტორინგი. თუ დღეს მრავალ ბიზნეს-სასწავლებელში ისწავლება სამრეწველო ტექნოლოგიის საგანი Just-in-Time, როგორც წამყვანი და თანამედროვე, უახლოეს მომავალში ეს მიდგომა და ამ დარგის სპეციალისტებზე მოთხოვნა აღარ იარსებებს. ამასთანავე, ინდივიდუალური მოთხოვნის დაკმაყოფილება – კასტომიზაცია – გახდება რეალობა. მისი არსი კი შემდეგია – *ყოველი დეტალი ან ნივთი შეიქმნება მსხვილ ქარხანაში ინდივიდუალური მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად და არა სერიული წარმოების მიზნით*. გერმანიასა და აშშ-ში ინდუსტრია 4.0 გზით უკვე სერიოზული მუშაობა მიმდინარეობს, შექმნილია არაკომერციული კონსორციუმი - Industrial Internet. რატომ არის მისაღები სასწარმო ზომები, რომ საქართველო მომზადებული შეხვდეს ახალ გლობალურ წყობას და ეკონომიკურ ვითარებას?

1. პრინციპულად იცვლება დასაქმების სტრუქტურა. თუ მესამე სამრეწველო რევოლუციამ მრავალი ოსტატი სამსახურის გარეშე დატოვა, მომავალი მეოთხე სამრეწველო რევოლუცია გაცილებით მეტ სპეციალისტს დატოვებს სამსახურის გარეშე.

ამის მომასწავებელია თანამედროვე ქარხნის არსებული სტრუქტურა – მუშა-მოსამსახურეთა უდიდესი ნაწილი დაკავებულია დაზგებისა და კომპიუტერების საქმიანობის მონიტორინგით – ისინი თვითონ არ არიან ჩართული წარმოებაში. ახალი ინდუსტრიული რევოლუციით კი მოწყობილობა-დანადგარებს ადამიანის მხრიდან მონიტორინგი აღარ დასჭირდება – ისინი თვითონ მოახდენენ კოორდინაციას ადამიანური ფაქტორის გამორიცხვით. *ამ მხრივ ჩვენი გამოწვევაა საკმაოდ დრამატული: მომავალი შთამბეჭდავი მწარმოებულობის ზრდა უმწვავეს საკითხად აქცევს დასაქმების საკითხს. არსებული უმუშევრობისა და სიდუხჭირის ფონზე ეს დიღება უმძიმეს შედეგს მოიტანს, თუ მომზადებული არ დავხვდით ამ მომავალ პროგრესს, რასაც მსოფლიო მასშტაბით მილიონობით ადამიანის სამსახურიდან დათხოვნა მოჰყვება.*

2. მეოთხე სამრეწველო რევოლუცია გამოიწვევს ქვეყნებს შორის არსებული შრომის დანაწილების კარდინალურ გადახედვასა და ცვლილებას – ეს საქართველოსთვის შანსიც არის და ერთდორულად დიდი გამოწვევა. სად ვართ ჩვენ და საქართველოს მოდერნიზაციის რა შანსია ასეთ პირობებში? უნდა მოხდეს ახლებური ხედვისა და კულტურული ტრადიციების მისადაგება ამ მომავალ სიახლეებთან. ეს ინდუსტრიული რევოლუცია სრულად შეცვლის ქვეყნებს შორის არსებულ საწარმოო ურთიერთობებს და ამ მხრივ ყველა ქვეყანას თავიდან მოუხდება თავისი ეკონომიკური მნიშვნელობის პოზიციონირება და დამკვიდრება. ეს ერთი მხრივ დადებითი მოვლენაა, რადგან საქართველო, თავისი ჩამორჩენილი სტრუქტურითა და არაკონკურენტული ეკონომიკით არსებულ რეალურ ეკონომიკაში ადგილს ვერ იმკვიდრებს (დაბალი მწარმოებულობა, მწირი ინვესტიციები, დაბალი მშპ-ს ზრდა, დიდი უმუშევრობა, უარყოფითი სავაჭრო ბალანსი და სხვა) – ანუ ეს არის ჩვენი შანსი ახალ მომავალ ეკონომიკურ წყობაში უკეთესი პოზიციები დავიკავოთ. საამისოდ საჭიროა ამ რიგით მეოთხე ინდუსტრიული რევოლუციის ყველა ნიშან/თვისების შეცნობა და სწორი მიმართულების დაგეგმვა. ამ მხრივ აქცენტი “უნიკალურ” (ინდივიდუალურ) წარმოებაზე უნდა მივიმართოთ.

ბრიტანული ჟურნალ “The Economist” პროგნოზით, უახლოეს მომავალში მოხდება **3D პრინტერის** მასირებული დანერგვა და გამოყენება, რაც შეიქმნის ახალ ბაზარს – უამრავი წვრილი და საშუალო მეწარმე შექმნება, სახლსა თუ მის სამუშაო ტერიტორიაზე დაამზადოს პროდუქცია თუ ნივთი, რომლის წარმოება/დამზადება ადრე შეუძლებლად მიაჩნდა. ეს ტენდენცია საერთაშორისო ბიზნესინკუბატორებსა და აქსელერატორებს უკვე დაეცყო. თუ რამდენიმე წლის წინ ისინი მიმართული იყო მხოლოდ ინტერნეტ-ბიზნესების მიმართ, ამჟამად მათი აქცენცია “რკინა“-წარმოებები, სხვადასხვა დაზგისა და **3D პრინტერის** მონტაჟი და განვითარება. თვით ინკუბატორი Y Combinator, სადაც “გაიზარდა” თითქმის ყველა დღეს ცნობილი ინტერნეტ-გიგანტი კომპანია – რეალურ ბიზნესზე აკეთებს აქცენტს. რეალობად იქცა სიტუაცია, როდესაც ინდივიდუალური მეწარმეები ქმნიან დეტალებსა და საგნებს, რომლის წარმოება სულ რამდენიმე წლის წინ მხოლოდ მსხვილ საწარმოებს შეეძლოთ. ერთეულ მწარმოებელს გაუჩნდა შესაძლებლობა, არა მარტო გამოიყენოს კომპიუტერული პროგრამა და გაცვალოს მისი კვლევა, არამედ იქონიოს წვდომა ადრე ძვირადღირებულ დაზგა/დანადგარებთან, რომლის ფასი მკვეთრად ეცემა. ეს კი ინდივიდი მეწარმეების წარმოებას და მოგებას მკვეთრად ზრდის და ფაქტობრივად დრო იღვიდან მის წარმოებამდე (ხორცშესხამდე) აღარ იკარგება – იღვას მაშინვე თან სდევს მისი ნივთად ქცევა.

ამ სიტუაციის კვალდაკვალ კარდინალურად იცვლება დაფინანსების სისტემა და რესურსის მოძიების სტრუქტურა.

სახელმწიფო ჩართულობისა და რესურსის კვალიდაკვალ აუცილებელია ალტერნატიული რესურსის არსებობა. დაკრედიტებისა და ფულადი რესურსის მოზიდვის კლასიკური სისტემა მოძველებულია – თანამედროვე ეტაპზე დაკრედიტების ახალი მეთოდი იკიდებს ფეხს – ფიზიკური პირები აკრედიტებენ (სესხით თუ ინვესტიციით) ბიზნესიდევებს სხვა ფიზიკური პირების პირდაპირ, პროფესიული შუამავლების მეშვეობით – ცნება საფონდო ბირჟა, კაპიტალის ინდუსტრია თუ კომერციული ბანკი წარსულს ბარდება...

რამ განაპირობა ეს სახეცვლილება? მცირე და საშუალო კომპანიები გარკვეულ სირთულეებს აწყდებიან ბანკებიდან სესხის გამოტანისას (დრო, შეუსაბამო მოთხოვნები, ბანკების საკუთარი კონკურენტული ინტერესები და სხვა), ამიტომ მათ დაიწყეს სახსრების მოძიების ახალი მეთოდების ძიება და მიაგნეს მათ – კრაუდფანდინგი და კრაუდლენდინგი – ეს სიახლეა საქართველოსთვის, რადგან ეს მეთოდი ჩვენთან არ შემოსულა და საკანონმდებლო კუთხით აკრძალვის და შეუსაბამო, მოძველებული და კონკრეტულ მონოპოლიებზე მორგების გამო ვერც შემოვა, მაგრამ თანამედროვე მსოფლიოში ეს უკვე მიღებული მეთოდია და საშუალება. მისი არსი მარტივია – გსურთ მალაჩის ან თონის გახსნა? – აქვეყნებთ ამაზე ინფორმაციას და ნებისმიერ მსურველს პირდაპირ აქვს შესაძლებლობა, თქვენი მეწილე ინვესტორი ან მსესხებელი იყოს. თანამედროვე ინტერნეტექნოლოგიები – ფეისბუქი, ლინკდინი, ტვიტერი და სხვა ამის იაფ და ხელმისაწვდომ საშუალებას წარმოადგენს. ამ მხრივ კარდინალურად შესაცვლელია ჩვენი კანონმდებლობა, რომელიც მსგავს დაფინანსებას და ეკონომიკურ პროგრესს ხელს არ უწყობს და პირდაპირ აფერხებს საქართველოს განვითარებას და წინსვლას. ყველაზე საინტერესოა, რომ მიკროდაფინანსების ასეთი მეთოდის დამწერგავი ხშირად თვით უმსხვილესი ბანკებია – მაგალითად, უკრაინის უმსხვილესი კომერციული ბანკი – პრივატბანკი – თავისივე საიტზე აძლევს საშუალებას მცირე ბიზნესს, კომერციული ბანკისა და საფონდო ბაზრის გვერდის ავლით, პირდაპირ დააფინანსოს მათი იდეები და მოიხილონ რესურსი! განვითარებულ ქვეყნებში ეს მეთოდი წლებია რაც წარმატებით მუშაობს.

ამ ახალი წამოწყებული დაფინანსების მეთოდის ბაზრის ლიდერი ამერიკული კომპანია – LendingClub – მხოლოდ გასულ წელს თავისი პლატფორმით წარმატებით დაეხმარა დაფინანსებაში 4 მლრდ აშშ დოლარის რესურსის ჯამურ პროექტებს. ბრიტანულმა ანალოგმა – პლატფორმა Zopa (Zone of Possible Agreement) – გასულ წელს 780 მლნ აშშ დოლარი რესურსის დაფინანსება მოაპოვებინა მისი ქსელით მოსარგებლე ფიზიკურ პირებს. ამ დაფინანსების მეთოდის ტოპათეულში შედის კომპანიები ჩინეთიდან, შვედეთიდან, გერმანიიდან, პოლანდიიდან, ავსტრალიიდან, პოლონეთიდან და ესტონეთიდან.

საქართველოში ეს ფუნქცია თავისუფლად შეუძლია იტვირთოს მრავალმა საშუამავლო კომპანიამ – ბევრ კომპანიაში ონლაინ მომსახურება და ინტერნეტ სერვისი უკვე აპრობირებული მეთოდია და არსებულ მომსახურებას თუ დაუმატებენ უშუალოდ ფიზიკური პირებისა და მცირე ბიზნესისთვის თანხების მოძიებას პროექტების დაფინანსების კუთხით (მისაღები სარგებლითა და პირობებით) – ეს მხოლოდ გაზრდის კონკურენციას და ბიძგს მისცემს ეკონომიკურ განვითარებას. Morgan Stanley ანალიტიკოსთა შეფასებით, ასეთი ურთიერთდაფინანსების ბაზრის მოცულობა უკვე შეადგენს 64 მლრდ აშშ დოლარს, ხოლო 2020 წლისთვის ის 300 მლრდ აშშ დოლარს მიაღწევს.

რა თქმა უნდა, ამ პროცესს ესაჭიროება ისეთი ინსტრუმენტების დანერგვა, რომელიც ტრანსპარენტულია, რისკები შეფასებულია სათანადო დონეზე და საკანონმდებლო კუთხით ეს საკითხი მოგვარებულია. ამ მხრივ არსებობს დიდი ბრიტანეთის მიერ უკვე დანერგილი აპრობირებული გამოცდილება, სადაც ხელისუფლება (მარეგულირებლის სახით) ნაწილობრივ არეგულირებს ამ ალტერნატიული დაფინანსების ბაზარს. ის კომპანიები, რომლებიც ითხოვენ 5 ათას ფუნტ სტერლინგზე მეტს, გარკვეულ კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდნენ. კრიტერიუმიდან გამომდინარე ხორციელდება ინტერნეტ პლატფორმაში მათი წინადადების განთავსება. მოთხოვნების დაკმაყოფილებიდან გამომდინარე დგინდება მათი საპროცენტო განაკვეთი და შემდეგ ხდება პლატფორმაში მათი იდეის პოზიციონირება. მეორე მხრივ – ინვესტორები ანუ ფიზიკური პირები, ორგანიზაციები ან/და თვით ბრიტანეთის მთავრობა – მსჯელობენ, გასცენ თუ არა ფინანსური რესურსი ამ იდეასა თუ წინადადებაზე. ასეთი მიდგომით ბრიტანული ონლაინ სესხების სერვისი არის ევროპაში ყველაზე მსხვილი ალტერნატივა დაფინანსების სხვა ანალოგებს შორის. ანალიტიკოსთა აზრით, დიდი ბრიტანეთის ეს წარმატება ძირითადად ეფუძნება უფრო მოქნილ ნორმატიულ – სამართლებრივ ბაზას, რომელიც აქვს დიდ ბრიტანეთს.

როგორც აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების გამოცდილება ცხადყოფს, ასეთი მიკროდაფინანსების სქემა ნამდვილი შველა იყო გარდამავალ ეპოქაში. მაგალითად რუმინეთში მხოლოდ 2013 წელს გაიცა 47000 მიკროკრედიტი ასეთი მიდგომით. აქედან 9000 გაიცა ინდივიდუალურ ფიზიკურ პირებზე, რომლებიც ეს ესაა იწყებდნენ ბიზნესს. როგორც რუმინეთის მიკროდაკრედიტების ფონდი “FAER” – ს ხელმძღვანელი იოან ვლასი იხსენებს, მიკროკრედიტების მიმღებთათვის ეს ალტერნატიული დაფინანსება აღმოჩნდა უმნიშვნელოვანესი ეტაპი მათ ცხოვრებასა და ბიზნესში – ამ გზით ისინი გადარჩნენ, წამოდგნენ ფეხზე, დაიწყეს ფულის შოვნა და მრავალი მათგანი საკმაოდ კარგად განვითარდა.

ვითარება სწრაფად იცვლება – ეს ესაა ევროკავშირმა ახალი იდეებისა და საკუთარი წინსვლის უზრუნველსაყოფად საკანონმდებლო დონეზე დაადგინა, რომ არაწევრი ქვეყნების სტუ-

დენტები და მკვლევარები სწავლის დასრულების შემდგომ 9 (ცხრა) თვით დარჩებიან მათ ქვეყანაში და თუ დასაქმდებიან – ისინი სამუდამოდ დასახლდებიან ევროკავშირის ნებისმიერ ქვეყანაში – ევროპა ზრუნავს მომავალზე, რომელიც საკმაოდ სწრაფად ცვლის არსებულ წეს-წყობილებას.

ცნობილი გამოგონებლისა და ინვაციების მეფის – ილონ მასკის იდეა – ვაკუუმში მოძრავი ზესწრაფი მატარებლის თაობაზე – უკვე რეალურ ფორმას იღებს. კომპანია “HyperLoop”- მა წარმატებით გამოსცადა ეს იდეა და ამ ახალი რკინიგზის დანერგვის სურვილი უკვე გამოთქვა რამდენიმე სახელმწიფომ. აშშ-ში მისი დანერგვის შეთხვევაში მოგზაურობა ამერიკის ერთი ბოლოდან მეორეში (სან-ფრანცისკოდან ნიუ-იორკში) 30 წუთს გასტანს..

ასეთ სწრაფ ცვალებად მსოფლიოში აუცილებელია მკაფიო სტრატეგიისა და დასახული მიზნების არსებობა, რომ ამ ტექნოლოგიური პროგრესის შუაგულში ვიმყოფებოდეთ და არა მის ბოლოში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Fourth Industrial Revolution - <http://www.euronews.com/2016/01/20/fourth-industrial-revolution-tsunami-warning-in-davos>;
2. Oxfam/Forbes research on: “The richest 1% now has as much wealth as the rest of the world” and data from Credit Suisse – October, 2015;
3. UNDP sustainable development global report 2014, 2015;
4. McKinsey Global – Fourth Industrial Revolution, 2015;
5. Angus Medison researches on Industrial Revolutions;
6. German Government Strategy on on Industrie 4.0 – 2011;
7. World Bank and General Electric researches on Industrie 4.0 impact on Global economy and GDP – 2015, 2016;
8. “The Economist” – several articles on fourth Industrial Revolution – 2015 and 2016;
9. Morgan Stanley research on Croud Funding and CroudLending - LendingClub, Zopa (Zone of Possible Agreement), 2015

*David Aslanishvili
Dietrich Muller
Kristine Omadze*

ANALYSIS OF THE PAST INDUSTRIAL REVOLUTIONS AND POSSIBLE OUTCOME OF THE COMING NEW FOURTH INDUSTRIAL REVOLUTION (INDUSTRIE 4.0)

Annotation

In this article we have researched and overview ed the coming fourth Industrial Revolution (Industrie 4.0), observed its innovations, its use in our everyday life and possible development scenario. In this research, we have analyzed the past industrial revolutions, its impact, also the progress and the threats of the coming new fourth Industrial Revolution. Were studied the differencies of the Industrie 4.0 and the threats of being not involved and prepared to these challenges. At the same time, our reseach has to fill the information vacuum on Industrie 4.0, facing Georgia and presents the examples of definite countries to form the clear model how to act it conditions of Industrie 4.0 for decision makers in our country. This is crucial to have a strategy for Industrie 4.0 in Georgia to be ready for coming new global reality under new circumstamces.

ედუარდ კავთიძე

ბანაწილებითი ურთიერთობები და საზოგადოების დოვლათის ბანაწილების შაქტორები

როგორც ცნობილია, განაწილება არის ერთობლივი ეროვნული პროდუქტის კვლავწარმოების პროცესის აუცილებელი ფაზა, წარმოებასა და მოხმარებას შორის არსებული დამაკავშირებელი რგოლი, რომლის სოციალურ-ეკონომიკური არსი საზოგადოებაში გაბატონებული წარმოების წესითაა განპირობებული. ყველა ცივილიზებულ საზოგადოებაში ის სამართლებრივ-ეკონომიკური ურთიერთობების ფუნქციონირების მექანიზმია.

განაწილებითი ურთიერთობები კაცობრიობის განვითარების მთელი ისტორიის მანძილზე არასდროს ყოფილა ობიექტურობასთან რამდენადმე დაახლოებული. მისი ობიექტურობის ნამდვილი შინაარსი დღემდე მართებულად არც არის გაცნობიერებული სამართლიანობის და ზნეობრიობის მოთხოვნების გათვალისწინებით.

უსსოვარი დროიდან მოყოლებული, არავინ იცოდა დანამდვილებით, თუ რა წილი ეკუთვნოდა მას საზოგადოების მიერ შექმნილ დოვლათში. ზუსტად ვერავინ იტყვის, კუთვნილზე მეტს იღებს თუ ნაკლებს. ეს დღესაც არ იციან, მიუხედავად იმისა, რომ ამ საკითხზე მრავალი თეორიაა შექმნილი. ყოველივე ეს განაწილების სფეროში ბრმა სტიქიის ბატონობისა. არის ერთ-ერთი მიზეზებია.

განაწილების არსებული სისტემები მისი ობიექტურობის საერთო პრობლემებს კი არ წყვეტს, არამედ გარკვეულ ფარგლებში საკითხის ერთგვარ ლოკალურ მოგვარებას წარმოადგენს. განაწილების პრობლემის დაბალი შემეცნებითი დონის პირობებში დღემდე არსებობს დოვლათის განაწილება იმის მიხედვით, თუ ვინ რამდენს მიიღებს საერთო დოვლათიდან საკუთარი სიმარჯვისა და მარიფათის წყალობით. ამას ხელს უწყობს ადამიანთა მიდრეკილება, საზოგადოების დოვლათიდან მიიღონ რაც შეიძლება მეტი, მიუხედავად იმისა, თუ რამდენი ეკუთვნით. ამ მიდრეკილებას ხელს უწყობს ადამიანებში ჩამოყალიბებული ცნობიერება, ეგოიზმი, აგრესიულობა და სხვა.

განაწილების საკითხის წამოჭრისას ეცემა ადამიანებს შორის ნდობის ფაქტორი. მათი კეთილდღეობის დიდი ნაწილიც სხვის ხარჯზეა მოპოვებული. სოციალური რევოლუციების მთავარი პრობლემა სწორედ განაწილებითი ურთიერთობების მოწესრიგება იყო. რევოლუციებს ადამიანები განაწილების მიუღებელი წესის შესაცვლელად ახდენდნენ, რითაც მასში რაღაც გაუმჯობესება შეჰქონდათ.

განაწილება მთელ სამყაროში ქაოსურია და არავითარ კანონზომიერებას არ ექვემდებარება, მაგრამ საფუძვლიანი განხილვისას დასტურდება, რომ ეს ასე არ არის. ბუნებაშიც შეიძლება ზედაპირული მოვლენების მიღმა განაწილების კანონზომიერება ვიპოვოთ. მთლიანობაში ყოველივე ისეა განაწილებული, რომ, საბოლოო ჯამში, რაღაც კანონზომიერებასა და წესრიგს ექვემდებარება. ადამიანის ბუნება და განვითარების პროცესი წარმოქმნის დოვლათის განაწილების ობიექტურობის ტენდენციას, რომელიც მთელი საზოგადოების სრულყოფის თანდათანობითი, ხანგრძლივი და მუდმივი პროცესია, რომელიც სათანადო პირობების მომწოდებას ემყარება.

განაწილების თეორიაში ერთ-ერთი განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ეკონომიკური ძაღობის თეორიას – კაპიტალისტური განაწილების კონცეფციას, რომელიც შემოსავლების განაწილებაში გადამწყვეტ როლს აკუთვნებს ეკონომიკურ ძალაუფლებას წარმოების საშუალებათა კერძო საკუთრების ბაზაზე. ამ თეორიის მიხედვით მწარმოებელი იძულებულია თავისი შრომის ნაყოფის გარკვეული ნაწილი აუნაზღაურებლად დაუთმოს კაპიტალისტს, რომლისთვისაც ეს ნაწილი იქცევა მოგებად – დანახარჯზე ზევით მიღებულ შემოსავლად.

ცალკე აღსანიშნავია შემოსავლების განაწილების კონცეფციებიც. ისინი ძირითადად მიმართულია ისეთი სისტემების დასაბუთებისკენ, რომელთაც უნდა უზრუნველყონ დოვლათის განაწილების მექანიზმის ხარვეზების გამოსწორება, მოსახლეობის მცირეშემოსავლიანი ნაწილის სოციალური დაცვა.

საზოგადოებრივი დოვლათის განაწილების თეორიები რეალური განაწილებითი ურთიერთობების მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს და განაწილების ხარვეზებს მეტ-ნაკლებად ატარებს. თავის მხრივ, ისინი განაწილების პრაქტიკაზე გავლენას ახდენდნენ და ახდენენ სათანადო სახელმწიფო პოლიტიკის მეშვეობით.

განაწილებაზე მოქმედებს მრავალი, ზოგჯერ ურთიერთსაწინააღმდეგო ფაქტორი. მათ შორის: ეკონომიკური ზრდის ტემპები, ფასების სისტემა, შრომის- მწარმოებლურობის დონე, სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკა და სხვა. მუშებსა და მეწარმეებს შორის პირველადი კლასობრივი განაწილება გულისხმობს ორი ტიპის შემოსავლების ანალიზს: ხელფასს, რომელიც დაქირავებული შრომის ანაზღაურებაა და მოგებას, რომელიც კაპიტალზე შემოსავალს წარმოადგენს; მაგრამ პრაქტიკაში ასეთი დაყოფა არ შეესაბამება შემოსავლების კლასობრივი ნიშნით კლასიფიკაციას, რამდენადაც მთელი შრომითი შემოსავალი არ წარმოადგენს მთლიანად მხოლოდ მუშათა კლასის შემოსავალს და იგი არ გულისხმობს ყველა დაქირავებული მუშაკის შემოსავალს. ანალოგიურად, კაპიტალზე მიღებულ მთელ შემოსავალს არ ითვისებს მხოლოდ კაპიტალის მესაკუთრე.

აუცილებელია გავაცნობიეროთ განაწილების ორი პრინციპი: პირველი დაფუძნებულია საბაზრო მეთოდებზე, მეორე კი - შრომის მიხედვით განაწილების მექანიზმზე. სოციალისტური მოდერება, რომელიც გაბატონებული იყო ჩვენი ქვეყნის უახლოეს წარსულში, აღიარებდა განაწილების სოციალურ-კლასობრივ თვალსაზრისს და შრომის მიხედვით განაწილების ერთადერთ კრიტერიუმად თვლიდა დახარჯული შრომის არასაბაზრო მეთოდებით შეფასებასა და მოთხოვნის დაკმაყოფილების თანაბრობის პრინციპებს. იმ პერიოდში არსებული შრომისა და განაწილების თეორიები იდეოლოგიურ საფუძვლებს ქმნიდა იმჟამინდელი ხელისუფლების განმტკიცებისათვის და ეკონომიკური მეცნიერება დაშორებული აღმოჩნდა ცხოვრებისეული სინამდვილისაგან, რაც უარყოფითად აისახებოდა საზოგადოების ცხოვრების დონეზე.

ახლა განვიხილოთ, თუ რა ფაქტორები განსაზღვრავს რეალურად არსებულ განაწილებით ურთიერთობებს და სისტემებს. ცხადია, საკითხი დგას საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების პროცესში ისტორიულად ჩამოყალიბებული განაწილების ფაქტორებისა და ბერკეტების მოქმედების, ასევე მათი ობიექტურობის შესახებ.

გლობალური თვალთახედვით, განაწილების ფაქტორები უნდა განვიხილოთ საერთო-საკაცობრიო ფასეულობებთან - სამართლიანობასთან, ჭეშმარიტებასა და ზნეობრიობასთან მიმართებით. ამ დროს თვალნათლივ გამოჩნდება, თუ რამდენად ობიექტური და ჰუმანურია განაწილების ფაქტორი სისტემა ან რამდენად გადახრილია მათგან და უპირისპირდება მათ.

თუ განვიხილავთ რომელიმე კონკრეტულ ისტორიულ პერიოდს და ვნახავთ, თუ რამდენად ნორმალური და კანონზომიერია განაწილების ესა თუ ის ფაქტორი, ნათელი გახდება ამ პერიოდში

მოქმედი ფაქტორების მიმართება საერთო-საკაცობრიო ფასეულობებთან. ამგვარად დადგინდება განაწილების არსი და პროგრესულობის დონე კონკრეტულ ისტორიულ პერიოდში.

განაწილების ფაქტორები შეიძლება განვასხვავოთ ობიექტური და სუბიექტური საწყისის მიხედვით. ერთი ნაწილი ეხება უშუალოდ არსებულ ობიექტურ პირობებს, ხოლო მეორე ნაწილი - სუბიექტურს, თუმცა ობიექტურ საფუძველს სრულად მოწყვეტილი არ არის.

ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, შეგვიძლია გამოვყოთ განაწილების რამდენიმე ძირითადი ფაქტორი:

1. წარმოების მუშაკთა შრომა;

2. საკუთრება წარმოების საშუალებებზე;

3. სახელმწიფოებრივი ძალაუფლება, რომელიც უმთავრესად მოქმედებს განაწილებითი ფუნქციებით;

4. საზოგადოებრივი თანაცხოვრების ნორმები, მოსახლეობის ადათ-წესები და ტრადიციები;

5. სხვისადმი უანგაროდ დახმარების შინაგანი მოთხოვნილება, რაც დამახასიათებელია ადამიანთა გარკვეული ნაწილისთვის და რომელიც საზოგადოების განვითარების ერთ-ერთი ფუნდამენტური მიმართულებაა;

6. ფარული ძალადობა, რომელიც შეიძლება ემყარებოდეს ეკონომიკურ, სოციალურ და სამართლებრივ ფაქტორებს;

7. უხეში ძალადობა, რომელიც უძველესი დროიდან იღებს სათავეს და მის გამოვლინებად შეიძლება ჩავთვალოთ ფსიქოლოგიური ზეწოლა;

8. ადამიანთა თვისებები - სიკეთე, ბოროტება, გულუხვობა, ეგოიზმი და ა.შ., რომელთა მოქმედება ვლინდება როგორც დამოუკიდებლად, ისე სხვა ფაქტორთა გათვალისწინებით;

9. ადამიანთა ეკონომიკური და სამართლიანი ცნობიერების დონე, რომელიც მთლიანობაში მნიშვნელოვან გავლენას ახდენს დოვლათის განაწილებით ურთიერთობებზე;

10. ქაოსურობის ელემენტი, რაც ამა თუ იმ ზომით თან ახლავს საზოგადოებრივ ცხოვრებას და გამოწვეულია სხვადასხვა ძალების არსებობით.

პრაქტიკაში ხშირად ადვილი აქვს ფაქტორთა ურთიერთქმედებას, როცა ერთი ფაქტორი ზეგავლენას ახდენს მეორეზე. ცალკეული ფაქტორი შეიძლება მოქმედებდეს როგორც განაწილების ობიექტურობის სასარგებლოდ, ასევე საწინააღმდეგოდ. მაგალითად, საკუთრების ფაქტორს, თვით საკუთრების ხასიათიდან გამომდინარე, კანონიერი შემოსავალი მოაქვს და ამდიდრებს ადამიანებს.

განაწილების ფაქტორებს ახასიათებს ურთიერთგადასვლა. მაგალითისთვის შეგვიძლია განვიხილოთ შრომის ფაქტორის გადასვლა საკუთრებაში და პირიქით. ასევე აღსანიშნავია განაწილების ფაქტორებისა და განაწილების აქტის ურთიერთქმედება: განაწილება დამოკიდებულია საკუთრებაზე და საკუთრება განაწილებაზე; რამდენადაც ობიექტურია საკუთრება, იმდენად ობიექტურია განაწილება და პირიქით.

განაწილების ფაქტორების შეფასებისათვის (ისევე, როგორც მთლიანად განაწილებისათვის), უნდა გამოვიყენოთ სამართლიანობის, ზნეობრიობის, არაძალადობის და ჭეშმარიტების კრიტერიუმები. არაძალადობრივად ჩაითვლება პირადი შრომით მოპოვებული საკუთრება და მისგან მიღებული შემთხვევები. ადამიანის დამორგუნველი ნებისმიერი ფაქტორი, რომელიც ძალადობის ნებისმიერ ფორმას ემყარება, უსამართლოა. განაწილებით ურთიერთობათა სამართლიანობისათვის მიუღებელია შემოსავალი, რომელიც მიღებულია არაჰუმანური პრინციპების გამოყენებით. ასეთი შემოსავალი უპირისპირდება საზოგადოების განვითარების პროგრესულ მიმართულებებს.

განაწილებით ურთიერთობებზე მოქმედებს ისეთი ფაქტორები, როგორცაა: ფასები, ტარიფები, ხელფასები, გადასახდები, ბანკის პროცენტი, დივიდენდი და სხვა. ასევე აღსანიშნავია მოქალაქეობრივი მოვალეობანი, რომელიც განსაზღვრავს ადამიანთა მოქმედებას სხვადასხვა სფეროში, მათ შორის, დოვლათის განაწილების დროსაც.

განაწილებით ურთიერთობათა ობიექტურობაში დიდია ეკონომიკური და არაეკონომიკური არგუმენტების მნიშვნელობა, რომელიც ერთობლივად ემსახურება მთელი დოვლათის განაწილების რეგულირებას. მათ სრულყოფაზეა დამოკიდებული საზოგადოებრივ დოვლათში ცალკეული პიროვნებების წილის ობიექტურობა ხელფასისა და მოგების სახით. ასევე, აღსანიშნავია ისიც, რომ განაწილების ინსტრუმენტები ახორციელებს განაწილებით ფუნქციასაც - შემოსავლები გადააქვს ერთიდან მეორე სუბიექტის ხელში, რომელიც ხდება გადასახადების, შენატანების, შემოწირულობებისა და სხვა მექანიზმების გამოყენებით.

განაწილებას აქვს ორგვარი ხასიათი, რომელიც დამოკიდებულია მასში მონაწილე ფაქტორებზე. განსაკუთრებით აღსანიშნავია ფასების როლი. ისინი პირდაპირ განაწილებაშიც იღებენ მონაწილეობას და განაწილებაშიც. სამართლიანობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია ობიექტური ფასები. მისი დარღვევა კი ქაოსისა და არეულობის მიზეზი ხდება, რაც რეალურ ცხოვრებაში ფართოდაა გავრცელებული.

მოგება და სარგებელი წარმოებასთან დაკავშირებულია ბაზრის მეშვეობით. განაწილება არის თითოეული ამ ფაქტორის მიერ გაწეული მომსახურების ანაზღაურება: ხელფასი არის შრომითი მომსახურების ფასი, რენტა - საკუთრებაზე მომსახურების ფასი, ხოლო მოგება და პროცენტი - მეწარმეთა და ბანკირების მიერ გაწეული ძალისხმევის ფასი. წარმოების ფაქტორების მიერ

შესრულებული ფუნქციის შესაბამისად ხორციელდება განაწილება და მათი ფასების ცვლილებასთან ერთად იცვლება ფაქტორთა მფლობელების შემოსავლებიც.

უკანასკნელ პერიოდში კაპიტალის კონცენტრაციისა და საწარმოთა სამეურნეო მასშტაბების გაფართოებასთან არის დაკავშირებული მენეჯერთა სოციალური ფენის ფორმირება. მათმა პროფესიულმა საქმიანობამ მნიშვნელოვნად განსაზღვრა მოგების ფორმირება, მოახდინა ზემოქმედება ფასებისა და ღირებულებების ჩამოყალიბებაზე და, ამდენად, გახდა შემოსავლების მიღების წყარო, გამომდინარე აქედან, ზემოაღნიშნულ სამ ფაქტორს მმართველობაში დაემატა მეოთხე ფაქტორიც – მმართველის უნარი, რომლის გამოყენებით მიღებული შემოსავალი წარმოადგენს, ერთის მხრივ, მმართველობითი შრომის შედეგს, და, მეორე მხრივ, რამდენადაც ამ შემოსავლის მნიშვნელოვანი წყაროა მოგება, ამდენად იგი გამოიხატება ადამიანური კაპიტალის მოქმედებით. სწორედ მმართველობითი შრომის ორმაგმა ბუნებამ გამოიწვია მმართველობითი უნარის მეოთხე, დამოუკიდებელ ფაქტორად აღიარება.

უნდა აღინიშნოს, რომ ეკონომიკის განვითარება ემყარება სიმდიდრის შექმნასა და განაწილებას. ადამიანი, როგორც სამუშაო ძალა, ასრულებს რთულ ოპერაციებს. ამ თვალსაზრისით იგი წარმოების იარაღია და მოითხოვს დახარჯული ფიზიკური და სულიერი ენერჯის ანაზღაურებას, რომლის სიდიდის შესაბამისადაც იქმნება მისი მატერიალური კეთილდღეობა. ამ კაპიტალის სიდიდე დამოკიდებულია შრომით შესაძლებლობებზე, მმართველობითი გამოცდილებაზე, ცოდნასა და სხვა თვისებებზე, რომლებიც, ამასთანავე, ადამიანის სულიერ ღირსებას შეადგენს.

ადამიანური კაპიტალი არის ყველაზე დიდი ფასეულობა ნებისმიერი კეთილდღეობის მიღწევაში. იგი ქმნის ეროვნულ სიმდიდრეს და მისი რაოდენობრივი ზომა გამოიხატება იმ მომსახურებაში, რომელიც ეროვნულ შემოსავალში აისახება შრომით შექმნილი ღირებულების სახით. ადამიანურ კაპიტალში გამოხატული შრომითი და მმართველობითი ფუნქციების შეფასების თვალსაზრისით ყველაზე მნიშვნელოვანია ის, თუ რა ღირებულების შექმნა შეუძლია ადამიანის შრომას. ადამიანის ფიზიკური, გონებრივი და მმართველობითი შრომის უნარი არის სიმდიდრის წარმოებისა და განაწილების ერთ-ერთი წყარო და მისი ანაზღაურება ხდება ხელფასის სახით.

ასევე აღსანიშნავია, რომ განაწილების ერთ-ერთი ძირითადი სუბიექტია სახელმწიფო. მისი შემოსავლები ყალიბდება როგორც სახელმწიფო სამეურნეო საქმიანობიდან, ასევე პირდაპირი და ირიბი გადასახადებიდან. ამ შემოსავლების სიდიდე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული სახელმწიფოს ეკონომიკურ ძალაუფლებაზე. აღსანიშნავია, რომ არცთუ შორეულ წარსულში, ჩვენი ქვეყნის ეკონომიკისთვის დამახასიათებელი იყო ბიუროკრატიულ მმართველობაზე დამყარებული ჩრდილოვანი განაწილება, რომელმაც, მისი მანკიერი მხარეებიდან გამომდინარე, მოითხოვა საბაზრო სისტემაზე გადასვლა და მისი განვითარება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ალანი ჯ. როგორ წავახალისოთ ადამიანი, თბ., 2001.
2. გოგიაშვილი ო. შრომის სტიმულები, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1978.
3. მალაშხია გ. მეტაეკონომიკა – ეკონომიკის ფილოსოფია, თბ., 1995.
4. ჭითანავა ნ., თაკალანძე ლ. სოციალური ეკონომიკა. ფორმირება და განვითარება. ნაწ. I. თბ., 2008.
5. Эрнберг Р., Смит Р. Современная экономика труда. Теория и государственная политика. Издательство Московского университета. Москва. 1996.

Eduard Kavtidge

DISTRIBUTION RELATIONS AND THE FACTORS OF SOCIETY WEALTH DISTRIBUTION

Annotation

As it is known, the distribution of the gross national product of reproduction is necessary for the process phase, the connecting link between production and consumption, the social and economic essence of which is conditioned by mainstream rule of production. In all civilized society it is the functioning mechanism of legal and economic relations.

Distribution throughout the world, is chaotic and not subject to any regularity, but a thorough discussion of the evidence shows that it is not so. In nature beyond surface of events the distribution pattern can be found. Overall, these are now being allocated to some order, and ultimately subject to order. Human nature and the development process generate of trend of objectivity wealth distribution, which is a gradual long and continuous process of improvement of society as a whole, based on the maturity of the relevant conditions.

In global perspective, the distribution factors must be considered in respect of common universal values - justice, truth, and moral. This time clearly shows how objective and humane is the distribution system or how much it is deviated from and confronts them.

If you are considering a particular historical period and see how normal and natural is this or that factor of distribution, we can see relation of the factors with the common universal values. Thus, it will be determined the essence and progressive levels of distribution in specific historical period.

პორეის რესპუბლიკის ინოვაციური პოლიტიკა

გლობალიზაციის თანმდევი პროცესების გაღრმავების პირობებში ის ქვეყნები აღწევენ დიდ წარმატებას, რომლებიც ამუშავებენ და რეალიზაციას უკეთებენ ქვეყნისათვის მისაღებულ ინოვაციურ პოლიტიკას, რამდენადაც სწორედ ინოვაციური გზაა სტრატეგიული მთლიანად კაცობრიობისა და მისი ყოველი ქვეყნისათვის, მხოლოდ მას ძალუძს თანამედროვე ცივილიზაციებისათვის დამახასიათებელი მრავალფეროვანი პრობლემების გადაწყვეტა და განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე არა მარტო მოწინავე, არამედ მათი “დამწვევი ქვეყნების” გადაყვანაც, სოციალური წესრიგის დამყარება, სიღარიბისა და უმუშევრობის რამდენადმე შერბილება, კონფლიქტების გადაჭრა, მშვიდობის უზრუნველყოფა და საყოველთაო კეთილდღეობა.

ინოვაციები ფართო შესაძლებლობებს ქმნის ქვეყნების ეკონომიკური ზრდისათვის განვითარების ყველა ეტაპზე. თუმცა ამ პირობების რეალიზაცია ავტომატურად არ ხდება – განაცხადა ВОИС-ის გენერალურმა დირექტორმა ფრენსის გარიმ და დაუმატა: ყოველმა ქვეყანამ უნდა განსაზღვროს პოლიტიკის ზომების ისეთი შეხამება, რომელიც შესაძლებელს გახდის მათ ეკონომიკაში არსებული ინოვაციური და შემოქმედებითი პოტენციალის მობილიზებას [1].

ეკონომიკის მოდერნიზაცია (რომელიც გარკვეული პერიოდის შემდეგ ყველა ქვეყანას ესაჭიროება) სულ უფრო ძნელი ხდება ინოვაციების ფართოდ დანერგვის გარეშე. ამ მხრივ მსოფლიოში უკვე დაგროვილია გარკვეული გამოცდილება იმ ქვეყნების რიცხვიდან, რომლებიც ამ გზას უკვე ათეული წლებია მიჰყვებიან. ამ მხრივ ფრიალ საინტერესოა კორეის რესპუბლიკის განვლილი გზაც, რომელშიც ბუნებრივი რესურსების ნაკლებობის მიუხედავად, ეკონომიკა დინამიურად ვითარდება სახელმწიფოში განხორციელებული გონივრული ეკონომიკური, უფრო ზუსტად, ინოვაციური პოლიტიკის წყალობით, რომელიც ასტიმულირებს ინოვაციებს და ქმნის ხელსაყრელ საინვესტიციო გარემოს. სახელმწიფოს წარმმართველი როლის გარეშე, შეუძლებელი იქნებოდა ინოვაციური პროექტების განხორციელება მეტად არახელსაყრელი სასტარტო პირობების პირობებში (დეფიციტური რესურსული პოტენციალი, მკაცრი კონკურენცია, ტექნოლოგიური ჩამორჩენილობა). მხოლოდ საბაზრო მექანიზმების იმედად ყოფნა ჩასაფუშად იყო განწირული და მარტოოდენ სახელმწიფოს მიზანმიმართულ ეკონომიკურ პოლიტიკას შეეძლო “ინოვაციური სასწაულის” განხორციელება. ამასთან ისიც გასათვალისწინებელია, რომ კაპიტალიზმისა და თავისუფალი ბაზრისადმი გაცხადებული ერთგულების მიუხედავად, ქვეყანამ თავდაპირველად კურსი, საკუთარი პატრონაჟის ქვეშ, მსხვილი მონოპოლიების შექმნაზე აიღო, რამდენადაც ივარაუდებოდა, რომ მათ ექნებოდათ შესაძლებლობა ინოვაციური ნახტომის განსახორციელებლად [2] და, როგორც ქვეყანა, განვითარებულიყო მკვეთრად გამოხატული საგვემო ეკონომიკის პირობებში. სწორედ სახელმწიფომ შექმნა მყარი ფუნდამენტი ინოვაციური გარღვევისათვის შვიდი ხუთწლიანი გეგმის მიღებისა და მისი შესრულების მკაცრი კონტროლის პირობებში, როცა პირველ ხუთწლიან გეგმაში (1962 წლიდან) ორიენტაცია აღებულ იქნა ინდუსტრიული ინფრასტრუქტურის, ქვეყნის ელექტრიფიკაციისა და ეკონომიკის ცალკეული, პრიორიტეტული დარგების განვითარებაზე.

მეორეში აქცენტი გაკეთდა იმპორტჩანაცვლებაზე ინდუსტრიული კომპლექსების (ფოლად-სამსხმელო და ქიმიური მრეწველობის) დაჩქარებულ განვითარებაზე.

მესამეში განხორციელდა ექსპორტზე ორიენტირებული ინდუსტრიისა და მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის განვითარება, ასევე დაიწვეს საყოფაცხოვრებო ტექნიკისა და ელექტრონიკის მასობრივი წარმოება.

მეოთხე (1977-1981) მიზნად ისახავდა საგარეო ბაზრებზე სამხრეთკორეული პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლებას. აგრეთვე, მოწინავე ინტენსიური ტექნოლოგიების დანერგვას წარმოების ავტომატიზაციის ბაზაზე [3].

მეხუთე ხუთწლიანში (1982-1986) განვითარდა ახალი ტექნოლოგიური და მართვის ავტომატიზებული სისტემები და, უკვე მაშინ, ორიენტაცია იქნა აღებულ ქვეყნის განვითარების ინოვაციურ მიდგომაზე.

ამავე პერიოდში, 1982 წლიდან, სამხრეთ კორეის მთავრობამ თავის თავზე აიღო კვლევებისა და პროექტების განხორციელება მრეწველობის საკვანძო დარგების განვითარების მიზნით, რომელიც მანამდე კერძო მეწარმეობისათვის მეტად ძნელი იყო. პროექტების პერსპექტიულობისა და საიმედოობის კრიტერიუმებს წარმოადგენდა ტექნიკური სიახლე, უპირატესობა არსებულ საზღვარგარეთულ ანალოგებთან შედარებით, არსებული რესურსების ათვისების ხარისხი, სოციალური მნიშვნელობის გათვალისწინება. უშუალოდ მრეწველობის განვითარებაზე ორიენტირებული პროექტები ხორციელდებოდა კერძო სექტორის, სახელმწიფო დაწესებულებების და მთავრობის ერთობლივი ძალისხმევით. მათ შორის ისეთები, რომელიც საინტერესო (და სასარგებლო) იყო მთელი საზოგადოებისათვის და ეხებოდა, მაგალითად, ჯანმრთელობისა და გარემოს დაცვის, ენერგეტი-

კისა და ბუნებრივი რესურსების მოპოვების საკითხებს, ხორციელდებოდა მხოლოდ სახელმწიფო სექტორის ხარჯზე.

სამხრეთ კორეის მთავრობამ რიგი ისეთი ღონისძიებაც განახორციელა, რომელმაც თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის პირობებში წამყვანი როლის შესრულება დაიწყო სამრეწველო ტექნოლოგიების განვითარებაში. მაგალითად, 1980-იან წლებში მთავრობამ მსხვილ კომპანიებს დაბეჯითებით ურჩია **სამეცნიერო-კვლევითი ცენტრების შექმნა**, ხოლო წვრილ და საშუალო კომპანიებს – კონსორციუმების ორგანიზება სამეცნიერო გამოკვლევების ჩასატარებლად მომიჯნავე სფეროებში. მთავრობამ სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების განხორციელება კერძო სექტორში წახალისა სხვადასხვა შეღავათებით, ფინანსური სუბსიდიებით, გადასახადებიდან გათავისუფლებით, დაბალპროცენტიანი გრძელვადიანი სესხებით, სახელმწიფო მომარაგების გარანტიებით და სხვა. წახალისების ამ სისტემამ განაპირობა სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების მკვეთრი ზრდა. თუ 1980 წ. მათი რაოდენობა 52 იყო, 1992 წ. უკვე – 1445, ახლად წარმოქმნილი სამეცნიერო კონსორციუმების რიცხვი კი – 68 [4].

მეექვსე ხუთწლეულში (1987-1991) შეიქმნა ახალი ეკონომიკური ზონები, როგორც სამხრეთ კორეის ინოვაციური ზრდის **დრაივერები**. ამავე დროს, ქვეყანაში გაძლიერდა სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ინტენსიფიკაცია.

ბოლო, **მეშვიდე ხუთწლეულში** (1991-1996) უკვე მოიტანა პირველი ინოვაციური შედეგები. ქვეყანა გავიდა საგარეო ბაზრებზე ისეთ ინოვაციურ სფეროებში, როგორცაა მიკროელექტრონიკა, ბიოინჟინერია, აეროკოსმოსური ტექნოლოგიები და მხოლოდ ასეთი მძლავრი საფუძვლის შექმნის შემდეგ თანდათანობით გადავიდა საბაზრო მოდელზე, თუმცა ზოგიერთ მომენტში ინარჩუნებდა სამეურნეო დაგეგმვის ელემენტებს [3].

გაკვეთით აღვნიშნავთ (ეს საკითხი უფრო ღრმა ანალიზს მოითხოვს), რომ მოდერნიზაციაზე სამხრეთ კორეაში დადებით ზემოქმედებას ახდენდა და ახდენს კონკურენცია ჩრდილოეთ მეზობელთან, კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკასთან (კსდრ), რომელიც თავდაპირველად გარკვეულ კონკურენციულ უპირატესობებსაც ფლობდა.

კაპიტალის კონცენტრაციისა და ცენტრალიზაციის პროცესმა ქვეყნის ეკონომიკაში განაპირობა მსხვილი ფინანსურ-სამრეწველო ჯგუფების (ჩებოლების) წარმოქმნა. მათგან დაახლოებით 50 გადამწვევტ როლს ასრულებს ქვეყნის ეკონომიკაში, რომელთაგან ყველაზე ცნობილები არიან Hyundai, Samsung-ი, Daewoo, LG და სხვა, რომლებიც ჩვეულებრივი ბიზნესისაგან იმით განსხვავდებიან, რომ დროის მოცემულ მომენტში ცდილობენ არა მხოლოდ მოგების მიღებას, არამედ ბაზრის შენარჩუნებას და მის ახალ სეგმენტებში შეღწევის სულ უფრო მაღალტექნოლოგიური პროდუქციით. სწორედ მათი გამოცდილებაა იმის დასტური, თუ რამდენად წარმატებული შეიძლება იყოს კაპიტალდაბანდებები მეცნიერებატევად დარგებში. ჩებოლები – მრავალპროფილური, ექსპორტზე ორიენტირებული ჰოლდინგებია, რომლებიც იქმნებოდნენ იაპონური ძაიბაცუ-ს მსგავსად, მაგრამ მათგან განსხვავდებოდნენ იმით, რომ კონტროლდებოდნენ სახელმწიფოსგან და მასზე ფინანსურად იყვნენ დამოკიდებულნი, რამდენადაც არ ჰქონდათ საკუთარი საბანკო სტრუქტურები. თუმცა მხარდაჭერას მხოლოდ ისინი იღებდნენ, რომლებიც სახელმწიფო გეგმებს შეესაბამებოდნენ პერსპექტიული წარმოების განვითარების თვალსაზრისით [5].

ეკონომიკური განვითარების მოდელმა, რომელიც დაფინანსების სახელმწიფო მონოპოლიასთან იყო დაკავშირებული წარმოქმნა ტოტალური კორუფცია, დააქვეითა კონკურენტუნარიანობა და საქმიანობის ეფექტიანობა. რაც, საბოლოო ანგარიშით 1997-1998 წლების უძლიერესი კრიზისით გამოიხატა (როცა 20 ათასამდე კომპანია გაკოტრდა) და რომლიდანაც გამოსვლა ქვეყანამ ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების გამკაცრებით, აშშ-საგან მიღებული კრედიტებისა და სესხების (2 მლრდ დოლარი) და იმ რეფორმებისა და ღონისძიებების დახმარებით მოახერხა, რომელთა შორის შეიძლება დასახელდეს: შეზღუდვების გაუქმება უცხოელი იურიდიული და ფიზიკური პირებისათვის ეროვნული ბიზნესის შექმნაზე შერწყმისა და შთანთქმის გზით და იმ კანონის ამოქმედებით, რომელიც აქეზებდა პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს და უცხოელი ინვესტორებისათვის საგადასახადო და სხვა შეღავათებს ითვალისწინებდა; საწარმოებისა და კომპანიების ხელმძღვანელობის დონის მსოფლიო სტანდარტებამდე აწევა; კანონმდებლობაში შესწორებებისა და დამატებების შეტანა; გარანტირების მექანიზმის გაუქმება სავალო ვალდებულებების დროს შეიღობილი ფორმების შემთხვევაში; საფინანსო-საბანკო სექტორის რეფორმირება, რომლის შედეგად 96 ფინანსური ინსტიტუტი დაიხურა ან ოპერაციები შეაჩერა. რეფორმები კორპორაციულ სექტორში, რომლის შედეგად გაფართოვდა აქციების მფლობელთა უფლებები, გაუმჯობესდა კორპორაციების ფინანსური მდგომარეობა, მოხდა ანგარიშგების საერთაშორისო სისტემაზე გადასვლა, განმტკიცდა კორპორაციული კავშირები მსხვილ და მცირე ბიზნესს შორის, განხორციელდა რეფორმა შრომითი ურთიერთობების სფეროში, რომლის შედეგად ბაზარი უფრო მოქნილი გახდა, რასაც ხელი შეუწყო აგრეთვე იმ შესწორებებმაც, რომელიც ითვალისწინებდა დარგებში მასობრივ დათხოვნებსაც და ძლიერი პროფკავშირების ორგანიზებასაც; სახელმწიფო ხარჯების შემცირება როგორც რესპუბლიკურ, ისე რეგიონულ დონეზე და ქვეყანაში სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზება მსხვილი კომპანიების აქციების ეტაპობრივი გაყიდვის პირობებში. ამის გარდა, გადაიხედა ჩინოვნიკური აპა-

რატის მუშაობის ეფექტიანობაც, გაუქმდა მთავრობის მიწერილობებისა და მოთხოვნების ნახევარი, ხოლო სახელმწიფო მოხელეების რიცხვი ყველა დონეზე 11%-ით შემცირდა [6].

1999 წლიდან, კრიზისის შედეგების დაძლევის პოლიტიკის ჩარჩოებში, ამოქმედდა სტრუქტურული გარდაქმნების ფართომასშტაბიანი პროგრამა, რომლის მიზანი იყო როგორც განვითარების კრიზისამდელი დონის მიღწევა, ისე – ინოვაციური გარღვევა. თავდაპირველად ის საკმაოდ ლოკალურ პროექტს წარმოადგენდა და ორიენტირებული იყო არა იმდენად ახალ ტექნოლოგიებზე გადასვლაზე, არამედ უფრო საკუთარი რესურსების მოძიებასა და ამოქმედებაზე ეროვნული ეკონომიკის სტაბილიზაციისა და მყარ ზრდაზე გადასვლასთან დაკავშირებით და ადგილობრივი მრეწველობის მხარდაჭერაზე ქვეყნის უმსხვილეს ქალაქებში: ტაგუში (საფეიქრო მრეწველობა), პუსანეში (ფეხსაცმლის წარმოება), კვანჯუში (ოპტიკური ელექტრონიკა) და კენგსანამ-ნამდოს პროვინციაში (მანქანათმშენებლობა). შემდეგ მას მიუერთდა 9 დამატებითი მონაწილე და მოცემულმა პროექტმა მიიღო სახელწოდება “4+9”.

ამ პროექტის ძირითად იდეას წარმოადგენდა განსაზღვრული სპეციალიზაციის ეკონომიკური კლასტერების ფორმირება. მაგალითად: ქ. დედაჯონი პასუხისმგებელი იყო ინფორმაციულ ტექნოლოგიებზე, მაღალტექნოლოგიური დეტალებისა და მასალების წარმოებაზე, ხოლო საპორტო ქ. პუსანი ლოჯისტიკისა და ტურიზმის ცენტრი გახდა.

აღსანიშნავია, რომ მოცემული პროექტი ითვალისწინებდა არა მხოლოდ ტერიტორიების მხარდაჭერას და მათი “ბუნებრივი” უპირატესობების გამოყენებას, არამედ მათ დინამიურ განვითარებას რეგიონებში მოწინავე ტექნოლოგიების დანერგვის საფუძველზე.

ეკონომიკის რეფორმირების ფორმულირებული ამოცანების ბაზაზე კორეის რესპუბლიკის ხელმძღვანელობის მიერ განისაზღვრა ქვეყნის ახალი ინდუსტრიული განვითარების სტრატეგია, რომელიც გულისხმობს მისი რეალიზაციის რამდენიმე ეტაპს [7]. აქედან, პირველი ითვალისწინებს ეროვნული ეკონომიკის ინოვაციურ განვითარებას; საწარმო-ტექნიკური ბაზის მექანიზმებისა და საინვესტიციო კლიმატის სტრუქტურირებას ინოვაციური განვითარებისათვის.

მეორე – განვითარებისათვის საფუძველების ფორმირებას დეპრესიულ რეგიონებში საკუთარი მხარდაჭერის ხარჯზე და დოტაციური რეგიონების (პროვინციები) ბიუჯეტების საშემოსავლო ნაწილის ორჯერად ზრდას.

მესამე – ახალი ტერიტორიული სტრუქტურების ფორმირებას. ეს ეტაპი მიმართულია ურთიერთქმედებების განვითარებისკენ მეზობელ სახელმწიფოებთან “ღია კარის” პოლიტიკის შესაბამისად; საწარმოო ძალების რეგიონთაშორისი განლაგების ოპტიმიზაციის მიზნით ისეთი სატრანსპორტო სისტემის აშენებას, რომელიც შესაძლებელს გახდის რესპუბლიკის ახალ ადმინისტრაციულ დედაქალაქში ორი საათის განმავლობაში ჩასვლას ქვეყნის ნებისმიერი წერტილიდან.

უნდა ითქვას იმაზეც, რომ ქვეყანამ აუცილებელ საგანმანათლებლო დონეს დიდი ინოვაციური პროექტის განხორციელებისათვის ჯერ კიდევ 2003 წ. მიაღწია, როცა მოსახლეობის საერთო წიგნიერება 98%-მდე ამაღლდა და კანადისა და აშშ-ის შემდეგ მსოფლიოში მესამე ადგილზე აღმოჩნდა. ქვეყანას ახლა გააჩნია მსხვილი უმაღლესი სასწავლებლები ძლიერი მატერიალური და ტექნოლოგიური ბაზით, რომლის შედეგად ის თავის შრომის ბაზარს კომპეტენტური კადრებით უზრუნველყოფს [8].

სამეცნიერო კვლევებისა და ტექნოლოგიების საკუთარი ბაზის განვითარებით, ქვეყანაში დაკავებულია კორეის მეცნიერებისა და ტექნიკის სამინისტრო, მეცნიერებისა და ტექნოლოგიის ინსტიტუტი და მთავრობის მიერ მხარდაჭერილი 20 სამეცნიერო ინსტიტუტი. თუმცა, თითქმის აქამდე, სამხრეთ კორეის სამეცნიერო დამუშავებები ძირითადად წარმოადგენდა ან წარსული (და არსებული) ტექნოლოგიების სრულყოფას, ან იმპორტირებული ტექნოლოგიების მისადაგებას ადგილობრივ პირობებთან [7]. უცხოური გამოცდილების გამოყენება ხორციელდებოდა ძირითადად ერთობლივი ვენჩურული კომპანიების შექმნით იაპონელ პარტნიორებთან.

უნდა აღინიშნოს, რომ ჯერ კიდევ 2007 წ. საერთო ინვესტიციებმა მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარების მიმართულებით 38.6 მლრდ ამერიკული დოლარი შეადგინა, რაც მშპ-ის 3.77% იყო. ამასთან ერთად, ქვეყანაში კაპიტალდაბანდებები ხორციელდებოდა იმ ტექნოლოგიების განვითარების მიზნით, რომლებიც ხელს უწყობდა საზოგადოებრივი კეთილდღეობისა და ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას და მრეწველობის ახალი დარგების განვითარებას. სამხრეთ კორეის ინოვაციურ მოდერნიზაციაში, უცხოურ ფაქტორთან ერთად, მნიშვნელოვანი როლი ითამაშა პატენტირების კარგად მოფიქრებულმა სისტემამ, რომელიც ერთ-ერთ მოწინავედ არის აღიარებული მსოფლიოში.

სამწუხაროდ, 2008-2010 წლის გლობალურმა კრიზისმა არსებითად შეაფერხა კორეის რესპუბლიკის ინოვაციური განვითარება და მისი ეკონომიკის ზრდის მაჩვენებლები. ამის მიუხედავად მან შეძლო კრიზისიდან გამოსვლა მნიშვნელოვანი სოციალური დანახარჯების გარეშე და უკვე 2009 წ. მოახერხა 200 ათასი ახალი სამუშაო ადგილის შექმნა ქვეყნის 4 უმსხვილესი მდინარის წყლის რესურსების შენახვისა და რეკონსტრუქციის პროგრამის ამოქმედებით [9].

დასასრულ, შეიძლება ვთქვათ, რომ ქვეყნის ინოვაციური გარდაქმნების რეალიზაციის შედეგად, სამხრეთ კორეა ერთ-ერთი მსოფლიო ლიდერი გახდა მთელი რიგი მაღალტექნოლოგიური ისეთი პროდუქციის წარმოებით, როგორცაა საავტომობილო და გემთმშენებლობა, ელექტრონიკისა

და საყოფაცხოვრებო ტექნიკის წარმოება, ფოლადსამსხმელო წარმოება. სამხრეთკორეული ინოვაციური “სასწაული” კი ისეთი ფაქტორების ერთობლიობამ განაპირობა, როგორცაა:

– ხელისუფლების განმსაზღვრელი და ეფექტური როლი რეფორმების ინიცირებასა და გარეგანობაში;

– საექსპორტო ორიენტაციის სტრატეგიის შემუშავება და განხორციელება;

– იაფი და კვალიფიციური სამუშაო ძალის არსებობა;

– ლიბერალური საპატენტო კანონმდებლობა;

– უცხოური მოწინავე ტექნოლოგიების გადმოტანა;

– დიდი დანახარჯები მეცნიერებაზე საერთოდ და კერძოდ, სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებზე;

– საქმიანი აქტივობისათვის ხელსაყრელი საერთაშორისო კლიმატი [6].

რამდენიმე სიტყვა იმაზეც, რომ, მიღწეული წარმატებების მიუხედავად, ზოგიერთი მეცნიერის (პარვარდის უნივერსიტეტის ეკონომიკის პროფესორი დ. როდრიკი) აზრით, სამხრეთ კორეამ თითქმის მიაღწია თავისი “განვითარების ჭერს” და მომავალში ასეთი წარმატებები მოსალოდნელი აღარ არის; ამის მიუხედავად, გლობალური ინოვაციური ინდექსის (გით) 2015 წლის მაჩვენებლის მიხედვით, კორეის რესპუბლიკა მსოფლიოში მე-14 ადგილზეა, თავის რეგიონში კი (სამხრეთ-აღმოსავლეთ აზია და ოკეანია) – მესამეზე, სინგაპურისა და ჰონკონგის შემდეგ, რომლებიც, ამ ინდექსის მიხედვით, მსოფლიოში მეშვიდე და მეთერთმეტე ადგილებზე იმყოფებიან.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Глобальный инновационный индекс 2015 г.: в рейтингах лидируют Швейцария, Соединенное Королевство, Швеция, Нидерланды и США.

http://www.wipo.int/pressroom/ru/articles/2015/article_0010.html

2. Корейское чудо _ уроки для России.

<http://www.contrtv.ru/print/2641/>

3. Мореходов М. А. Южная Корея: секреты успеха // Азия и Африка сегодня. № 1, 2012, стр. 18.

4. Гомбоев А. Б. Инновационная политика республики Корея: историческая и территориальная специфика (1966-2009).

<http://cyberleninka.ru/article/n/innovatsionnaya-politika-respubliki-koreya-istoricheskaya-i-territorialnaya-spetsifika-1966-2009-gg>

5. Кони́на Н. Ю. Реструктурирование деятельности финансово-промышленных групп Южной Кореи в условиях кризиса. Проблемы теории и практики управления. - 1999. - № 3. - С. 31-37.

6. Селезнев П. С. Инновационная политика современного государства: стратегии, модели, практика. Москва, 2014. <http://library.fa.ru/files/Seleznev.pdf>

7. Абдурасулова Д. Промышленная политика Южной Кореи. Экономист. – 2009. – № 01.

8. <http://www.minpred.ru/contet/pya/pya 2012/pya/pya 2012-2011/m.98>.

9. Cho Chung-un Korea Unveils Four-River Master Plan // The Korea Herald, 2009, April 28.

Nanuli Arevadze

Nana Bibilashvili

INNOVATIVE POLICY OF REPUBLIC OF KOREA

Annotation

The article discusses the peculiarities of dynamics of formation and realization of innovative policy in South Korea in 1962-2015, implemented on the basis of united efforts of state and private sector. Is analyzed the main directions of key branches of “knowledge economy” within the frames of a new economic policy on the basis of development of scientific-research and experimental design works. Are shortly characterized the main factors stipulating success and attained results.

დავით ბიძინაშვილი

ინოვაციური ეკონომიკის დინამიკა და მათი ფინანსური უზრუნველყოფა საქართველოში

ბოლო წლების განმავლობაში საქართველოში მნიშვნელოვანი ეკონომიკური რეფორმები განხორციელდა. აღნიშნული რეფორმები მიმართული იყო მიმზიდველი სამეწარმეო გარემოს ჩამოყალიბებისკენ, რაც უცხოური ინვესტიციების შემოდინების, ახალი სამუშაო ადგილების შექმნის, ეკონომიკის ყველა დარგში სამეწარმეო აქტივობის ზრდისა და ქვეყნის მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლების საფუძველს წარმოადგენს. ამასთან, ეკონომიკის დივერსიფიცირებამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ეკონომიკის სტაბილურ განვითარებას.

მთავრობამ საქართველოს ეროვნული განვითარების სტრატეგია მოამზადა, რომელშიც ქვეყნის კონკურენტუნარიანობის გაუმჯობესების ხედვა არის ასახული. ამან ხელი უნდა შეუწყოს უფრო მეტი გრძელვადიანი ინვესტიციის შემოდინებას, რომლებიც მოხმარდება ეკონომიკის მოდ-

ერნიზაციას, ინოვაციური სერვისებისა და პროდუქტების გაჩენას, მეტ ძალისხმევას კვლევისა და განვითარების დარგში, ასევე სამუშაო ძალის უნარ-ჩვევების გაუმჯობესებას. აღნიშნულმა სტრატეგიამ ასევე უნდა შეუწყოს ხელი კერძო მეწარმეობის მეტად განვითარებას, მცირე და საშუალო საწარმოების გაფართოებას, რადგან ისინი უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებენ სამუშაო ადგილების შექმნაში.

მსოფლიო ბანკი მზადყოფნას გამოთქვამს, დახმარება გაუწიოს საქართველოს მთავრობას ახალი ეროვნული განვითარების სტრატეგიის განხორციელებაში.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის განცხადებით, საქართველოს მთავრობა, მსოფლიო ბანკთან ერთად, ინოვაციებისა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიმართულებით ქვეყნის განვითარების სტრატეგიის ერთობლივი მომზადების შესაძლებლობას განიხილავს. მინისტრის ინფორმაციით, მსოფლიო ბანკში გამოთქვეს მზადყოფნა, რათა დაეხმარონ საქართველოს მთავრობას როგორც ადამიანური რესურსებით, ისე კონკრეტული ინვესტიციებით ინოვაციური და IT-ტექნოლოგიების პარკების შექმნის მიმართულებით.

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის განცხადებით, საქართველო 2020 წლისათვის მსოფლიოს წამყვანი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ინდექსების მოწინავე პოზიციებზე უნდა აღმოჩნდეს, ამდენად, ამ მიმართულებით უმთავრესია ინტერნეტის შეღწევადობის ზრდა, კომპიუტერული წიგნიერების ამაღლება, ელექტრონული მთავრობის სერვისების განვითარება, აღნიშნული მიმართულებით ბიზნესინოვაციების მხარდაჭერა.

დონისძიების მიზანია, ქვეყანაში მოხდეს ახალი IT ინოვაციური კომპანიების გაჩენის სტიმულირება და საერთაშორისო გამოცდილების გაზიარების გზით, ქართველი სპეციალისტების ცოდნის დონის ამაღლება.

ინოვაცია დანერგილი სიახლეა, რომელიც ხარისხობრივად აუმჯობესებს საწარმოო პროცესებს, პროდუქციის ხარისხს და რომელსაც ბაზარი ითხოვს. ინოვაციური ეკონომიკა კი ინოვაციების ნაკადს ეფუძნება – მუდმივ ტექნოლოგიურ გაუმჯობესებას, მაღალტექნოლოგიური პროდუქციისა და თვით ტექნოლოგიების ექსპორტს. შემოსავლის უმეტესი ნაწილი ნოვატორთა და მეცნიერთა ინტელექტს მოაქვს და არა ინდუსტრიულ წარმოებებს ან კაპიტალის კონცენტრაციას. ამგვარი მიზნის დასახვა საკმაოდ თამამი და ამბიციური განაცხადია.

როგორც ცნობილია, ინტელექტუალური საკუთრების უფლების მტკიცედ და განუხრელად დაცვა ინოვაციური ეკონომიკის საძირკველს, კანონის უხედავობის უმნიშვნელოვანეს ნაწილსა და წესებზე დაფუძნებული საერთაშორისო სავაჭრო სისტემის ფუნდამენტურ ასპექტს წარმოადგენს.

ბუნებრივია, იბადება კითხვა, რამდენად რეალურია საქართველოში ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის აშენება?!

ინოვაციური, ანუ ცოდნაზე დამყარებული ეკონომიკა – ეს არის ცივილიზაციის ახალი ეტაპი, რომელშიც კაცობრიობა თანდათანობით შედის, მაგრამ უცილობლად და სულ უფრო მზარდი ტემპებით. მისი უმნიშვნელოვანესი მახასიათებელია ცოდნის გადაქცევა კაცობრიობის მთავარ სიმდიდრედ და ძირითად წარმოებრივ რესურსად, რომელიც არსებითად ცვლის საზოგადოების ეკოლოგიის, მისი ეკონომიკური განვითარების პარადიგმას, ე.ი. მკვეთრად ამცირებს ეკონომიკური ზრდის დამოკიდებულებას ამა თუ იმ ქვეყანაში ბუნებრივი რესურსების, ძირითადი კაპიტალის, ადამიანისეული კაპიტალისა და სხვა ექსტენსიური ფაქტორების არსებობასთან.

მსოფლიო პრაქტიკა მოწმობს, რომ ინოვაციები არის წინააღმდეგობების გადაჭრისა და კრიზისების დაძლევის მეტად მძლავრი ბერკეტი. ამიტომ თანამედროვე პირობებში საწარმოს ინოვაციური აქტიურობა კონკურენციულ გარემოში მისი გადარჩენის ერთ-ერთ მთავარ ფაქტორად ითვლება.

ევროპისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის მოწინავე ქვეყნების (ფინეთი, ირლანდია, სინგაპური, ჰონკონგი, სამხრეთ კორეა...) გამოცდილება ადასტურებს, რომ ამ ქვეყნებმა თვალშისაცემ წინსვლას მცენიერებასა და განათლებაზე დამყარებული, ინოვაციური ეკონომიკის განვითარებით მიაღწიეს. გადაწყდა, რომ ამგვარი ინოვაციური ეკონომიკის ჩამოყალიბება საქართველოში ერთ-ერთ მთავარ მიმართულებად უნდა იქცეს. ინოვაციათა შესწავლისა და განვითარების საბჭო პარლამენტის გადაწყვეტილებით შეიქმნა. საბჭო ყველა ინოვაციურ წინადადებასა და სამეცნიერო ნაშრომს განიხილავს.

ინოვაციურ ეკონომიკაზე გადასვლა აუცილებლად მიგვანია. ძალიან მნიშვნელოვანია ახალი ტექნოლოგიების განვითარება და დანერგვა. დაიზოგება წარმოების ხარჯები, გაიზრდება შრომის ნაყოფიერება... საამისოდ საქართველოს ძალიან კარგი რესურსი აქვს, რომლის გამოუყენებლობა დანაშაულის ტოლფასია.

ბოლო წლებში საქართველოში ინოვაციური ეკონომიკის განვითარებაზე, სამწუხაროდ, აღარავინ ზრუნავს. ქართველი გამომგონებლების ნაშრომები დიდი წარმატებით ინერგებოდა და ინერგება საზღვარგარეთის ქვეყნებში. საქართველო ვერ იყენებდა ამ დიდ პოტენციალს და ავტორებიც იძულებული ხდებოდნენ, თავიანთი სიახლეები იღეის დონეზე, ძალიან იაფად გაეყიდათ. განვითარებულ ქვეყნებში კი ლიცენზიები იყიდება და ამით სახელმწიფოც დიდ სარგებელს ნახულობს. რა თქმა უნდა, დიდი სურვილია საქართველოში დადგეს დრო, როცა ქვეყანა თავისი ინტელექტუალური პოტენციალის გამოყენებას შეძლებს.

საბჭოთა პერიოდში გამოგონებათა რიცხვი საქართველოში ხუთჯერ მეტი იყო, ვიდრე 1990 წლის შემდეგ. ბოლო წლებში ეს მაჩვენებელი კიდევ უფრო დაეცა, 2007 წელს თუ 250-მდე გამოგონება აღირიცხა, ახლა ეს რიცხვი 140-მდე დავიდა. კიდევ ერთი მაგალითი: აშშ-ში მხოლოდ უნივერსიტეტებში დაპატენტებული გამოგონებებით ამ სასწავლებლებს დაახლოებით \$2,3 მილიარდის შემოსავალი აქვთ, ხოლო საწარმოებისთვის მოცულობა ასეულობით მილიარდს უტოლდება. საქართველოში კი უნივერსიტეტებს საერთოდ არ აქვთ პატენტები და განაცხადების 98% ფიზიკურ პირებზე მოდის... თუ საბჭოთა კავშირში პირველი ვიყავით, ახლა მხოლოდ ყაზახეთს, ყირგიზეთსა და ტაჯიკეთს ვუსწრებთ.

სომხეთსა და აზერბაიჯანშიც უკეთესი მდგომარეობაა, არადა, ამ ქვეყნებს ყოველთვის უსწრებდით.

საინოვაციო საქმიანობის გასაძლიერებლად საქართველოში შეიქმნა რამდენიმე სასარგებლო ახალი ორგანიზაცია, მაგალითად, საქართველოს ინოვაციისა და ტექნოლოგიის სააგენტო (GITA).

დღევანდელ მსოფლიოში ინდუსტრიული ეკონომიკა უკვე შეცვალა ინოვაციურმა. ჩვენც ამ გზას უნდა დავადგეთ. ამისთვის არსებობს შესაბამისი ფონდები. როგორც წესი, საინტერესო ინოვაციებს კერძო პირებიც აფინანსებენ და საერთაშორისო ორგანიზაციებიც. როცა პატენტი იყიდება, ამით სახელმწიფოც გეგარს მზღებებს იღებს – იზრდება მთლიანი შიდა პროდუქტი, იქმნება ახალი სამუშაო ადგილები და სხვ. ახლავე რომ დავიწყეთ ამ საკითხზე მუშაობა, ჩემი აზრით, სამოთხე წელიწადში უკვე ვიგრობოთ პირველ შედეგებს. ინოვაციური ეკონომიკა წყალივით და ჰაერით გვჭირდება, წინააღმდეგ შემთხვევაში, საქართველო ყოველთვის მაჩანჩალა ეკონომიკის ქვეყნად დარჩება.

ყველა მოწინავე ქვეყნის ეკონომიკა დაფუძნებულია ახალ ცოდნაზე, ახალ ხედვებზე, ახალ ტექნოლოგიებზე. მომავალი მხოლოდ იმ ქვეყანას აქვს, რომელიც ცოდნაზე დაფუძნებულ ეკონომიკას განავითარებს. თუმცა მთავარი ის არის, რომ ინოვაციური ეკონომიკის შექმნის იდეა სახელმწიფო რანგშია აყვანილი. ეს გზა აირჩია ყველა ქვეყანამ, რომელთა მიღწევებიც შთამბეჭდავია, მათ შორის, ომის შემდგომმა იაპონიამ და კონსერვატიულმა ინგლისმაც. რაც უფრო ადრე დაიწყება ინოვაციური ეკონომიკის რელსებზე გადასვლა, მით უკეთესი. ვფიქრობ, ხუთი-ათი წელიწადია საჭირო ქვეყნის დასაფუძნებლად ინოვაციურ მიდგომებზე. ახლახან გამოქვეყნებულ გაეროს კვლევაში საქართველო, ადამიანური რესურსების მხრივ, განვითარების მაღალი დონის მქონე ქვეყნებს მიაკუთვნეს. ჩვენი მეცნიერების დონე ბოლო წლებში დაკნინდა და ქვეყნიდან უამრავი ნიჭიერი, პერსპექტიული ადამიანი წავიდა, მაგრამ საქართველოს მოსახლეობის ინტელექტუალური შესაძლებლობები გაეროში აღიარეს. ჩვენი მეცნიერები თითქმის ყველა ქვეყანაში მუშაობენ და დიდ წარმატებებს აღწევენ, საქართველოს ნამდვილად აქვს რესურსი, რომ ინოვაციური ეკონომიკის გზას დაადგეს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებლად მიგვაჩნია:

- ფორმების და ფიზიკური პირების ინოვაციური საქმიანობის ხელშეწყობა;
- ინოვაციის რეგიონული და სათემო ცენტრების ინვესტირება;
- საწარმოებისთვის მეტი ინოვაციური უნარების შექმნა და ინოვაციებისთვის დაფინანსებასთან წვდომის გაზრდა;
- საწარმოებისთვის კვლევასა და საინოვაციო პროექტებზე სახელმწიფო გრანტების გაცემა;
- მრავალფეროვანი შედეგების შემცველი საგადასახადო რეჟიმის დაწესება ინოვაციური პროექტებისათვის;
- ხელსაყრელი საკრედიტო და საბაჟო რეჟიმის დაწესება;
- საინოვაციო პროექტებში მონაწილე მეცნიერთა საშემოსავლო გადასახადისგან გათავისუფლება და სხვა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. <http://economy.ge>
2. <http://geostat.ge>
3. <http://mof.ge>

David Bidzinashvili

INNOVATIVE ECOSYSTEMS AND THEIR FINANCIAL ARRANGEMENTS IN GEORGIA

Annotation

As it is well known, steady and strict observance of intellectual property rights is a firm foundation for the innovation economy, the most important part of the rule of law and fundamental aspect of the rule-based international trading system.

Europe and South - East Asia's leading countries (Finland , Ireland , Singapore , Hong Kong , South Korea , ...) experience shows that these countries reached significant advancement due to science and education -based , innovative economy reached . It was decided that the establishment of such an innovative economy in Georgia must be one of the main directions. Innovation Study and Development Council was established by the decision of the Parliament . The Council will consider all innovative proposals and scientific work .

We need to move on innovation economy. It is very important to develop and introduce new technologies. Production costs shall be saved labor productivity increased... We have very good resources, nonuse of which is a crime.

გიორგი ბრეგვაძე

თურქეთის ინოვაციური პოლიტიკა

სახელმწიფო ინოვაციური პოლიტიკა, ეს არის იმ სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის, შემადგენელი ნაწილი რომელიც გამოხატავს სახელმწიფოს დამოკიდებულებას და ურთიერთობას ინოვაციურ საქმიანობასთან მიმართებაში. განსაზღვრავს მიზნებს, მიმართულებებს, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების საქმიანობის ფორმებს მეცნიერების, ტექნიკის, ახალი ტექნოლოგიებისა და მიღწევების რეალიზაციის სფეროში.

სახელმწიფო ინოვაციური პოლიტიკის ძირითად მიზანს წარმოადგენს: ინოვაციური საქმიანობისთვის ეკონომიკური, სამართლებრივი და ორგანიზაციული პირობების შექმნა; წარმოების ეფექტიანობის და ადგილობრივი მეწარმეების პროდუქციის კონკურენტუნარიანობის გაზრდა საბაზისო და გაუმჯობესებული ინოვაციების შექმნისა და გავრცელების ხარჯზე; ინოვაციური საქმიანობის გააქტიურების ხელშეწყობა საბაზრო ეკონომიკურ ურთიერთობებსა და მეწარმეობის სფეროში ინოვაციების დანერგვით; ინოვაციური საქმიანობისადმი სახელმწიფო მხარდაჭერის გაზრდა; სახელმწიფო რესურსების ეფექტური გამოყენების გაფართოებით, რომლებიც მიმართულია ინოვაციური საქმიანობის განვითარებაზე, განახორციელოს ღონისძიებები სამამულო ინოვაციური პროდუქციის მსოფლიო ბაზარზე გასატანად და საექსპორტო პოლიტიკის გაფართოების მხარდასაჭერად.

თურქეთის რესპუბლიკა გეოგრაფიულად ევრაზიაში მდებარეობს, ორ კონტინენტზე სტრატეგიული მდებარეობის გამო, ძლიერი ეკონომიკური გავლენით სარგებლობს რეგიონში. აშშ ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს კვალიფიკაციით თურქეთი განვითარებადი ქვეყანაა, ხოლო პოლიტიკური მეცნიერებისა და ეკონომისტების შეფასებით, ის რეგიონული ზესახელმწიფოა. თურქეთი არის ევროპის ეკონომიკური საბჭოს ასოცირებული წევრი 1963 წლიდან და საბაჟოს კავშირის წევრი 1995 წლიდან. ნატოს წევრია 1952 წლიდან. თურქეთი „ეთოპ“-ს დამფუძნებელი წევრი და ერთ-ერთია G20 ქვეყანათაგან. მშპ-ის ზრდის ტემპმა 2002-07 წლებში 7,4% შეადგინა, რის გამოც მისი ეკონომიკა ყველაზე სწრაფად მზარდი ეკონომიკა გახდა მსოფლიოში ამ პერიოდის განმავლობაში. თურქეთის ეკონომიკის დომინანტური დარგი სოფლის მეურნეობა უკვე აღარ არის. ის ჩანაცვლა დინამიურმა ინდუსტრიულმა კომპლექსებმა ბირთვ ქალაქებში, რომელთა უმრავლესობა ქვეყნის დასავლეთ პროვინციებშია კონცენტრირებული განვითარებული მომსახურების სექტორთან ერთად.

ბოლო ოცდახუთი წლის განმავლობაში სწრაფად განვითარდა ტურიზმის სექტორი და ეკონომიკის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს. 2008 წელს ქვეყანა მოინახულა 30 929 192 ტურისტმა, რამაც ქვეყნის ბიუჯეტს 21,9 მილიარდი დოლარი შესძინა.

ამჟამად წარმოების წილი ეკონომიკაში შეადგენს 28%-ს, სოფლის მეურნეობაში-15%-ს, მშენებლობაში 6%-ს, მომსახურების სფეროში-59%-ს. დიდია გადაამაშუშავებელი მრეწველობის ხვ.წილი-89% (მშენებლობის ჩათვლით). განვითარებულია საბანკო სექტორი, ტექსტილის, ტყავის, კვების, ქიმიური, ფარმაცევტული დარგები, ენერგეტიკა, მეტალურგია. დიდია გემთმშენებლობისა და ავტომობილმშენებლობის წილი. თურქეთი ერთ-ერთი წარმყვანი გემთმშენებელი ქვეყანაა. ასევე გაიზარდა ელექტროსაქონლის წარმოება. 2010 წლის მონაცემებით, თურქეთს ეკონომიკური სიძლიერის მიხედვით მე-15 ადგილი უკავია.

თურქეთმა მნიშვნელოვნად ისარგებლა საბაჟო კავშირით ევროპასთან, შეძლო 21,9 მილიარდი პირდაპირი ინვესტიციების მოზიდვა. ყოველივე ამან დადებითად იმოქმედა თურქეთის ეკონომიკაზე და ის დღეს მსოფლიოში ერთ-ერთი დინამიურად განვითარებადი ქვეყანაა.

მაგრამ, მიუხედავად ამისა, დღეს თურქეთი ჯერჯერობით არ დგას იმ ქვეყნების რიგში, რომლებიც საგრძნობლად გამოირჩევიან ეროვნული ეკონომიკის ინოვაციური პროდუქტებით. თუმცა, თურქეთის ხელისუფლების მიერ სერიოზული ნაბიჯებია გადადგმული ეროვნული ინოვაციური სისტემის შესაქმნელად. საინტერესოა ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტებით და საგრძნობლად ეფექტური ინოვაციური სისტემის სტრუქტურისა და მისი მხარდაჭერის წარმოადგენს.

Global Compe-ს 2011-2012 წლების გამოქვეყნებული მასალების მონაცემებით, მსოფლიო რეიტინგში კონკურენტუნარიანობის მიხედვით თურქეთს უკავია 59 - ე ადგილი 142 ქვეყანას შორის, ხოლო ისეთ საკითხებში, როგორცაა „ინოვაცია და ეკონომიკური ცოდნის განვითარება“, მას უკავია 58-ე ადგილი. პატენტების მხრივ, მილიონ მოსახლეზე თურქეთს უკავია 70-ე ადგილი. სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების ხარისხის მიხედვით 89-ე ადგილზეა, ხოლო სამეცნიერო კადრების და ინჟინრების მომზადების მხრივ 44-ე.

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის ექსპერიმენტების მონაცემებით, საკუთარი გამოვლენებები თურქეთში ცოტაა, ვიდრე ნაყოფი ღიაცენსიები. ამ მხრივ 55-ე ადგილზეა. 69-ე ადგილი უკავია ქვეყანას ისეთი მონაცემებით, როგორცაა „კერძო კომპანიების ინვესტირება“, ხოლო სამეცნიერო

შრომების პუბლიკაციების მიხედვით თურქეთმა დიდი ნაბიჯი გადადგა. 1980-2005 წლებში 44-ე ადგილიდან 23-ე ადგილზე გადავიდა.

თურქეთში მეცნიერებისა და ტექნოლოგიის განვითარების ცენტრალური პოლიტიკის ფორმირება ჯერ კიდევ გასული საუკუნის 60-იან წლებში დაიწყო. პრეზიდენტთან შეიქმნა „თურქეთის მეცნიერებისა და ტექნოლოგიების საბჭო“ (TUBITAK), ის დღესაც ცენტრალური ორგანოა. მას დიდი უფლებები აქვს ინოვაციურ სფეროში, დაწესებული საერთო სამეცნიერო-ტექნოლოგიური და ინოვაციური პოლიტიკის ფორმირებიდან, დამთავრებული საგრანტო დაფინანსებით. ახალგაზრდა პერსპექტიული და ნიჭიერი მეცნიერების მოძიებით, მათი შრომების და მონოგრაფების გამოქვეყნებით. საბჭოს შიგნით მოქმედებს 8 საგრანტო კომიტეტი, რომელიც ანაწილებს ფინანსებს. კომიტეტი დაკომპლექტებულია მეცნიერებების წამყვანი სპეციალისტებით და, ამავდროულად, ისინი ინოვაციების წამყვანი ექსპერტები არიან. ამის გარდა, TUBITAK -ის ფარგლებში შექმნილია ეროვნული აკადემიური კავშირი, დოკუმენტური ცენტრი, ასევე მთელი რიგი ლაბორატორიები. ის ასევე ორგანიზატორია სტაჟირებების, გაცვლების, ოლიმპიადებისა და ახალგაზრდა მკვლევარების მხარდაჭერის სხვა სახეების.

1983 წელს შეიქმნა სახელმწიფო ორგანო – მეცნიერებისა და ტექნოლოგიების უმაღლესი საბჭო (BTYK). 1991 წელს შეიქმნა „თურქეთის ტექნოლოგიური განვითარების“ (TTGV) არასამთავრობო არაკომერციული ფონდი, მისი მიზანია სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო (R&D) დაფინანსება ეკონომიკის კერძო სექტორში. ეს ფონდი უზრუნველყოფს ინდუსტრიულ სფეროში (B&D) ბიუჯეტის 50% და აფინანსებს 2 მლნ. დოლარამდე 24 თვით ისეთ პროექტებს, რომელთაც მიეკუთვნება ტელეკომუნიკაცია და ელექტრო სფერო. ამ პროექტების 73% წარმოადგენს მცირე და საშუალო ბიზნესის ინიციატივებს და ხელს უწყობს ეროვნული პროდუქციის და მომსახურების კონკურენტუნარიანობის ამაღლებას.

თურქეთში ასევე შეიქმნა 12 ტექნოპარკი და ტექნოლოგიური განვითარების ზონა, რომელთა მიზანია, გააძლიეროს კორპორაცია უნივერსიტეტებსა და წარმოებას შორის. ასეთი ტექნოპარკებისა და ტექნოლოგიური ზონების შიგნით კომპანიებისათვის ფორმირებულია საკანონმდებლო და ფინანსური მხარდაჭერის საგანგებო პირობები კვლევების უკეთ ჩასატარებლად. გარდა ამისა, საკვლევი ცენტრებისა და კომპანია-მწარმოებლების თანამშრომლობის გაუმჯობესების მიზნით, 30%-ით იზრდება დაფინანსება, თუ პროექტი ხორციელდება უნივერსიტეტსა და მწარმოებელ კომპანიას შორის. ასევე იქმნება ტექნოლოგიური განვითარების ცენტრები (ინკუბატორები). ასეთი უკვე 11-ია ქვეყანაში, მათ შორის კერძოც, რომელთა მიზანია უნივერსიტეტებსა და ბიზნესს შორის გარღვევის დაძლევა. ასე რომ, თურქეთმა პრაქტიკულად შეძლო შეექმნა სრულყოფილი ეროვნული (B&D) ბაზა და მთავარი პრობლემა ამ მომენტში არის ამ სისტემის სრულყოფილ ეროვნულ ინოვაციურ სისტემად ტრანსფორმაცია. ამისთვის გამიზნულია, აქცენტი გაკეთდეს პროგრამულ უზრუნველყოფასა და ინოვაციურ საგანმანათლებლო პროგრამებზე. აგრეთვე ინფორმაციის განვითარებისა და სპეციალისტების მომზადებისათვის ინფორმაციულ ტექნოლოგიებში.

თურქეთში, განათლების დია ფაკულტეტების სახით, კარგი ბაზა არსებობს, რომელიც სპეციალიზებულია დისტანციურ განათლებაზე, გავითარებული შიდა ინფრასტრუქტურითა და სამეცნიერო მხარდაჭერით, განვითარებულ ტექნოლოგიებსა და ტელეკომუნიკაციის სფეროში.

პრიორიტეტულ სფეროებს წარმოადგენს ბიოტექნოლოგია, კომუნიკაციის ტექნოლოგიები და ციფრული ტელეკომუნიკაციები, რაშიც თურქეთმა შეძლო წარმატებების მიღწევა; ასევე, დახვეწებისა და ტურიზმის ინდუსტრია.

სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო (R&D) პროექტების დაფინანსება თურქეთში უახლოვდება მშპ-ს 0.66%-ს. აქედან სახელმწიფო აფინანსებს პროექტების 50%-ს, ხოლო კერძო სექტორი 40%-ს. თურქეთში ბიზნესი ინოვაციებში ინვესტირებას ჯერ კიდევ დიდ რისკად თვლის.

დღეს თურქეთში „მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების“ განვითარების 2011-2016წწ. ეროვნული სტრატეგია ითვლება უმთავრეს პროგრამად, გარდა ამისა, ინოვაციურ სფეროში ხარისხიანი კადრების ფორმირებისა და შენარჩუნებისათვის შემუშავდა სპეციალური პროგრამა.

სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოებისა და გამოგონებების მთავარ შემსრულებლებს თურქეთის უმაღლესი სასწავლებლები (64%) წარმოადგენს, რაც მაღალი მაჩვენებელია ევროკავშირის ქვეყნებთან შედარებით. სახელმწიფო სექტორზე მოდის გამოკვლევების 7%, ხოლო ბიზნესზე – 28%.

თურქეთის მაჩვენებლები მეცნიერების დარგში ჯერჯერობით მაღალი არ არის. სამეცნიერო ხარისხის მქონეთა რაოდენობა ქვეყანაში არის 1-34 ათას მოსახლეზე (ევროპაში 1-5 ათასზე), დაახლოებით 38% დოქტორანტურადამთავრებული იცავს დისერტაციებს მათემატიკის, ტექნიკურ და საინჟინრო სფეროში. სპეციალისტების საგრძნობი ნაკლებობაა ინფორმაციის დარგში – მოსახლეობის მთელი რაოდენობის 0,008%, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შექმნილია დისტანციური სწავლების საკმაოდ ეფექტური სისტემა, რაც ხელს უწყობს, სწრაფად ამაღლდეს მოსახლეობის საგანმანათლებლო ხარისხი.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ თურქეთი და ტაილანდი იმ ქვეყნების ათეულში, ქვეყანა ლიდერებში არიან, რომელთა სტუდენტებიც დიდი რაოდენობით სწავლობენ აშშ-ს უმაღლეს

სასწავლებლებში. თურქი სტუდენტების რაოდენობა აშშ-ში 15 ათასზე მეტია და მათ ამერიკის ეკონომიკაში 824 მილიონი დოლარი შეაქვთ.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა თურქეთში მენეჯმენტის შესწავლას. შესაბამისი პროგრამები და კურსები დადგენილია 77-დან 52 უნივერსიტეტში. მათ შორის ბევრი უნივერსიტეტი სთავაზობს ინოვაციური მენეჯმენტის პროგრამებს.

ასე რომ, თურქეთს გააჩნია სწორი საინვესტიციო პოლიტიკა და ის სწრაფი ნაბიჯებით ანვითარებს ქვეყნის ეკონომიკას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Агаркова С.А., Кузнецова Е.С. Инновационный менеджмент и государственная инновационная политика. 2011.
2. თურქეთის სტატისტიკის ინსტიტუტი, 2012.
3. Сергеев В.М., Алексеенкова Е.С. Становление государства и модели инновационного развития, 2011.

George Bregvadze

INNOVATION POLICY OF TURKEY Annotation

The article discusses an innovation policy of Turkey, is shown the analyzes of results and method of approaches, which Turkey has reached with new innovation policy development and plementation.

Фазиль Гаджиев

АНАЛИЗ СТРУКТУРНЫХ ЗАПАСОВ ПРОИЗВОДСТВЕННЫХ МОЩНОСТЕЙ В УСЛОВИЯХ ИННОВАЦИИ

Условия конкуренции вызывает необходимость повышение эффективности использования существующего потенциала мощностей.

В настоящее время определение производственных мощностей в машиностроительной промышленности, в том числе на предприятиях нефтяного машиностроения по количеству основывается бухгалтерского учёта и ее эффективность выявляется с помощью экономического анализа. Количественный расчет производственных мощностей не требует длительных исследований. Так как не предусматривается аналитическая оценка существующих ресурсов производственных мощностей, уже в течение года. Основное положение этой методики состоит из постановки предела между ресурсами улучшения использования запасов, организующих состав ресурсов производственных мощностей и увеличения производственных мощностей. Здесь также нужно учесть, что производственные мощности не могут быть отнесены только в аспекте развития экстенсивности на предприятиях нефтяного машиностроения.

Метод определения несоответствия между структурой выполненной работы со структурой производственных ресурсов, имеющихся на предприятиях нефтяного машиностроения избирается и изучается отдельно. По структурным запасам производственных структур. Такой подход обуславливается тем, что структура производственной программы не оказывает влияния на объем, только создает условия его полной реализации на этом или другом уровне. Появление таких несоответствий несут объективный характер. В методике их определения является улучшение пользования производственных мощностей, которое связывают с оценкой по количеству ресурсов.

В машиностроительной промышленности, в том числе на предприятиях нефтяного машиностроения наличие существования ресурсов производственных мощностей определяется по 2 основным видам – человеческим и машинным ресурсам. Однако вместе с этим, определение структурных ресурсов, по нашему мнению имеет 2 составные части – соответствие профессиональным и специализированным структурам трудовых ресурсов структур работ по машиностроительным предприятиям и соответствие парку нефтяных машин и оборудования выполняемых работ (соответственно, структурные запасы трудовых ресурсов, структурные запасы ресурсов машин и оборудования). Объединив этих составляющих в будущем способствует достижению интегральных показателей структурных запасов[4, с. 128].

По нашему мнению, объем структурных запасов на предприятиях нефтяного машиностроения должен пониматься как, объем соответствующий оптимальному объему фактического структурного объема годовой производственной мощности, обусловленной с неиспользованной производственной силой и структуры запасов производственных ресурсов предприятия.

В настоящее время приобретает существенное значение расчет и анализ структурных запасов трудовых ресурсов. И так, на этом этапе расчета производственных мощностей используя помощь механических средств изучает работы, выполняемые в ручную, и для таких разделов используются действующим формы расчета.

На основании расчетных форм, используя ведомости профессиональных специализированных структур расходов предприятий нефтяного машиностроения (такие ведомости составляются, соответствуя аттестации

рабочих местах) ведется анализ. В таких случаях в планируемом отчетном году создается возможность оценки отстранения имеющихся в программе структур ресурсов и производства продукции. Используя известные методики, запасы для планируемого года устанавливаются, как правило, в нижеследующем порядке: норма трудовых расходов для выполнения работ; определение заменяющего объема по установленным профессиям; определение объема и потерь от проведенных замен по различным профессиям; определение потерь, основываясь на средне-специальной степени рабочих.

После определения структурных запасов указанных трудовых ресурсов на предприятиях нефтяного машиностроения необходимо определение структурных запасов машинных ресурсов. В середине и конце 90-х годов в развитых странах, например Японии и Германии обновление активных частей основного капитала в производственных предприятиях составляло 4-4,5 года, в США 5-5,5 лет. В Советском Союзе этот показатель составлял 40-45 лет, а во многих республиках, входящих в союз, этот показатель превышал даже 50-55 лет. В Азербайджанской Республике на машиностроительных предприятиях до сих пор обновление технологии остается недостаточным. В российской Федерации многие предприятия на протяжении многих лет работали не более 50-55% от мощности своей проектировки. В южных и юго-восточных республиках производственные предприятия эксплуатировались на 100-110% своей эксплуатационной мощи. В общем, машины можно условно разделить на заменяющие и не заменяющие группы. К заменяющим относятся такие машины, которые обладают малой единичной силой относительно требуемых норм и, используя на одинаковой выполняемой работе, может заменять других. К таким заменяющим машинам можно отнести сварочные машины. К машинам, не заменяющим или которые не могут быть заменены, относятся режущие и сверлящие машины, подъемные краны, соединяющие машины и т.д.[5, с. 721].

В предприятиях нефтяного машиностроения расчет потребностей на машины осуществляются на основании сведений утвержденных годовых отчетных форм. В тоже время в отчетных формах в начале года указывается количество имеющихся машин, количество списанных и вышедших из строя машин, и дополнительные потребности на машины. Итак, структурное соответствие ресурсов машин осуществляется на этом этапе расчета.

Если все эти или другие причины будут невыполнимы, то тогда должны различаться два состояния: в первом состоянии для изменения (замены) предварительно планируется потребность на другие машины того же типа (считается структурное соответствие этого состояния) и 2-ое в котором считается состояние, где замены не предусматриваются в плане. В таких состояниях увеличивающиеся простои трудовых объемов выполненных работ нельзя отнести к структурным запасам. Итак, указав все недостатки, происходящие при организации производства, они могут отнестись к другим группам.

В таких случаях могут считаться возможными два варианта замен машин: в том, состоянии, что заменяющая машина обладает очень редкой силой и в тоже время, в редких случаях заменяющиеся машины обладают большой силой. В первом состоянии отражается не полное использование производственной силы, и им рекомендуется определение машин по группам размера (объема), а во втором случае указывается обладание недостатка силы.

Итак, в машиностроительной промышленности, в том числе на предприятиях нефтяного машиностроения планирование, регулирование и экономический анализ производственных мощностей делает необходимым усовершенствование методики расчета.

На предприятиях нефтяного машиностроения усовершенствование расчета производственных мощностей необходимо, как усиление планирования и регулирования на низком уровне и определение фактического объема производственной программы.

Определение производственной мощности по имеющейся методике, основываясь на производство нескольких и более важных оборудований, не может считаться правильным. Итак, производственная мощность должна отражать в себе способность выпуска производства основной (большой) части технологического оборудования. По нашему мнению, в процессе расчета производственной мощности нельзя считать целесообразным практику отделения ведущих колец, лимитированного автопарка. Мы считаем, что осуществление планирования производственных мощностей в системных и многовариантных условиях могло быть более правильным. Такой подход к планированию производственных мощностей может обосновываться совокупности способности выпуска производства различных видов или групп технологического оборудования. На основании пропорциональности такой совокупности способности выпуска производства, должны избираться оптимальные варианты загрузки оборудования. Критерий оптимальности по нашему мнению по всем ресурсам минимальным (трудовым, материальным, финансовым, инвестиционным) расходам могут считаться максимальным производством продукции по единице производственной мощности. Такой подход к планированию производственных мощностей на предприятиях нефтяного машиностроения создает условия по определению реальных возможностей производственных мощностей и выбора выгодного варианта их развития.

В расчетах производственных мощностей придается существенное значение расширению свободы отдельных разделов. Таким образом, не имеется большая необходимость в ежегодном полном пересчете производственных мощностей на предприятиях нефтяного машиностроения. Такие трудоемкие расчеты в практике значительно уклоняют специализированных инженеров и экономистов от большей части основных работ. В машиностроении ежегодно в среднем расчете 8-10 специалистов тратят на расчет производственных мощностей 20-24 рабочих дней. Большая часть из них нередко повторяют прошлогодний отчет. С этой точки зрения, по нашему мнению расчет должен осуществляться 1 раз минимум в 5-6 лет, и только при возникновении изме-

нений в технологическом процессе может считаться целесообразным корректировка. На предприятиях нефтяного машиностроения для решения проблемы расчета или пересчета своих производственных мощностей должны выделить соответствующую свободу. И поэтому контроль в любой форме со стороны высшей организации (Кабинет Министров, открытое акционерное общество и т.д.) на основании правильности расчета производственных мощностей имеет важное значение [3, с. 126].

В условиях перехода рыночной экономики программа развития предприятий нефтяного машиностроения должна основываться усовершенствования методики существующей производственной мощности и методики его расчета. По нашему мнению, в разработке плана усовершенствования методики расчета производственных мощностей приняв во внимание нижеследующие можно считать целесообразным: устранение «узкого места», освобождение (продажа, разборка, монтаж, модернизация, старание и т.д.) лишних машин, станков и оборудования, обеспечение загрузки до проектной мощности малоиспользуемых станков и оборудования и т.д. Усовершенствование производственной техники и оптимально использование производственных мощностей увеличение экономических результатов должны осуществляться в направлении (рост производства продукции, уменьшение расходов, увеличение прибыли, увеличение рентабельности).

Таким образом, расчет производственных мощностей должен обеспечить вопросы оптимального варианта производства продукции, предусматривающий максимальную эффективность, используемых ресурсов, определенный уровень снабжения основных фондов, устранения неопределенности производства станков и оборудования, капиталовложений, а также принятия необходимых мер по реализации программы развития производства.

Использованная литература

1. Статистические показатели Азербайджана – Б: Седи, 2015, с.820.
2. Илхам Алиев. Каспийская нефть Азербайджана. М., «Известия» 2003, стр.710.
3. Мусаев А.Ф., Ахмедов А.Н. Тенденции развития Экономики машиностроения в Азербайджане. Баку, 1999, с.220.
4. Атакишиев М.Дж. Экономическая эффективность рационального использования производственных мощностей в бурене. Москва, Нефть и Газ, 1997, 188 с.
5. Самедзаде З.А. Этапы большого пути: экономика Азербайджана за полвека, ее реалии и перспективы. Баку, 2004, с.936.
6. Слущкин М.Л. Управленческий анализ. СПб, Питер, 2008, с.144.
7. Сломан Дж. Основы экономики. М., «Издательство Проспект», 2009, стр.568.

Fazil Gajiyev

STRUCTURAL ANALYSIS OF INVENTORY OF PRODUCTION CAPACITY IN THE INNOVATION Annotation

The main aim of a market economy is to increase production efficiency in all regions of the national economy, the acceleration of scientific and technological progress, increased productivity and comprehensive improvement of the quality of work. The successful resolution of this issue depends essentially on the productive use of the production capacity and fixed assets of enterprises in which the activities, including in oil engineering. In this regard, the article examines the structural analysis of the reserves of production capacity, affecting the increase in production.

*თამაზ გამსახურდია
თეიმურაზ ფესტკენიძე*

ინოვაციური მენეჯმენტის როლი აბროგიზების ალორძინება-ბანკითარებაში

ქვეყანაში ხელისუფლების გადაუდებელი ამოცანა უნდა იყოს მუდმივი ზრუნვა ხალხის კეთილდღეობის ამაღლება და საყოფაცხოვრებო პირობების უწყვეტი გაუმჯობესება. დასახული მიზნების მიღწევა შესაძლებელია სახელისუფლებო შტოებში დასაქმებული მაღალკვალიფიციური ადამიანური რესურსებისა და ეფექტური მენეჯმენტის გამოყენებით. მოტივირებული შრომის გარეშე ადამიანი ვერ უზრუნველყოფს მიზნის მიღწევას. ადამიანის შრომის შედეგია ხელთუქმნელი ძეგლები. ქართველი კაცი გამოირჩეოდა ტოლერანტობითა და მუყაითი შრომით, რომელმაც წინა საუკუნეში დიდი წვლილი შეიტანა სოფლის მეურნეობის მრავალფეროვანი კულტურების მოვლა-განვითარებასა და მოყვანაში. მათ მიერ წარმოებული აგროპროდუქტები უზრუნველყოფდა მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას და ნაწილი გაჰქონდათ საზღვარგარეთ სარეალიზაციოდ.

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, პირველ რიგში, საჭირო იყო პატრიოტიზმი, მეტი სიყვარული და ზრუნვა სრულფასოვანი ქვეყნის ჩამოყალიბებისათვის. სამწუხაროდ, ჩვენმა საზოგადოებამ ბოლომდე ვერ წარმოაჩინა ის აუცილებელი მეტროლი სულისკვეთება, რაც საჭირო იყო ახალი სახელმწიფოს მშენებლობის საქმეში.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, მთელი რიგი კანონდარდგევებით ჩატარებულმა პრივატიზაციამ ხელი შეუწყო იმას, რომ მილიონობით ღირებულ დოვლათი ხელში ჩაიგდო ძველმა

ნომენკლატურამ. ძირფესვიანად განადგურდა არსებული, ჯერ კიდევ ვარგისიანი ტექნიკა, რომელიც ჯართად აქციეს. პრივატიზაციის შედეგად, ჩვენი აზრით, პირველ ეტაპზე შენარჩუნებული უნდა ყოფილიყო საწარმოების 20-30% მაინც, რომელსაც შეეძლო ეწარმოებინა ის საჭირო პროდუქტი, რომელიც უზრუნველყოფდა მოსახლეობის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას, ამის ნაცვლად დაიწყო იმპორტირებული საქონლის მასიური შემოტანა. ყოველივე ამან გამოიწვია ათიათასობით სამუშაო ადგილის დაკარგვა, რაც ქართველთა საზღვარგარეთ ემიგრაციაში წასვლის საბაბი გახდა. ამან უბიძგა და ხელი შეუწყო საქართველოს რიგი რეგიონების სოფლების დაცარიელებას, ახალგაზრდობამ ზურგი აქცია შრომას, შეიძულა ჩვენი ქართული მიწა, მაშინ როცა წინაპრები სისხლით იცავდნენ მარჩენალ „დედა“ მიწას. „საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოება - XXI“ - ის დირექტორი ზვიად ტომარაძე საგანგაშო ფაქტებს აღნიშნავს ქართული მიწის გაყიდვის შესახებ. სოფელ წილოვანში 70 ჰექტარია გაყიდული არაბეთის მოქალაქეებზე. მთელ ამ ტერიტორიას 2,5 მეტრი სიმაღლის ბეტონის კედელი შემოარტყეს. ნახევარი, ანუ 36 ჰექტარი, უკვე დაყვეს 132 პატარა ნაკვეთად. ეჭვი არავის ეპარება, რომ დაყოფის ერთეული საკარმიდამოდ არის განკუთვნილი. ასევე წილოვანში 18 ჰექტარი შეიძინეს, მუხნარში 52 ჰექტარი. მარტო მცხეთის რაიონში კი არა, მსგავსი პრობლემა არის კახეთშიც. მაგალითად ყვარელის რაიონის სოფელ კუჭატანში მოსახლეობა საძოვრების გარეშე დარჩა, რადგან სახელმწიფომ 37 ჰექტარი მიწა გაყიდა. ასევე ქანდაში გაიყიდა 56 ჰექტარი, მუხნარში 52 ჰექტარი, საგურამოში ანალოგიურად გაიყიდა 7 ჰექტარი. აღნიშნული მიწის მფლობელი კერძო ბიზნესმენებიც არიან. გაუგებარია, როგორ გამოიყენებენ უცხოელები ქართულ მიწებს, ამიტომ საჭიროა მცირემიწიანი ჩვენი ქვეყანის ხელისუფლებას მეტი პასუხისმგებლობა დაეკისროთ, რათა მიიღოს კანონი მიწის ეფექტური დანიშნულებისა და სარგებლიანი გამოყენების შესახებ. წინაპრებს მიწა ასე რომ გაესხვისებინათ, უსამშობლოდ დაფრჩხობდით. რად ღირს ის ფაქტი, რომ მეთორმეტე საუკუნის საქართველოს ხანის წლიური შემოსავალი მაშინდელი ევროპის წამყვანი სახელმწიფოების - ინგლისისა და საფრანგეთის გაერთიანებულ ბიუჯეტს ბევრად აღემატებოდა. ეს იმაზე მეტყველებს, რომ მაშინდელ ქართველ კაცს მეტი დაინტერესება და სიყვარული გააჩნდა თავისი სამშობლოსადმი, ვიდრე დღეს.

აუცილებლობა მოითხოვს ქვეყანაში აგრო-ბიზნესის მაღალი ტემპებით განვითარებას და მშრომელთა დაკმაყოფილებას ეკოლოგიურად სუფთა და ნატურალური პროდუქტებით. როგორც ირკვევა, მარკეტები 110 სხვადასხვა მავნე და ჯანმრთელობისათვის მეტად საშიში დანამატების მქონე კვების პროდუქტებს გვთავაზობენ და ჯერჯერობით გადამჭრელ ზომებს არავინ დებულობს. იმპორტირებული პროდუქტი ლაბორატორიული დასკვნის გარეშე რეალიზაციას არ უნდა ექვემდებარებოდეს, მით უმეტეს, როცა დღითი დღე იზრდება დაავადებულ ადამიანთა რიცხვი.

ხელისუფლება მოტივირებული უნდა იყოს, ხელი შეუწყოს აგრობიზნესის ცოდნით შეიარაღებული, გამოცდილი და მაღალკვალიფიციური ადამიანური რესურსებით უზრუნველყოფას. სწორედ გამოცდილი სპეციალისტების რეკომენდაციების შედეგად მიწა და მცენარეულობა გარკვეულ ცვლილებას განიცდის. ამ შემთხვევაში უმჯობესდება ნიადაგის ნაყოფიერება და მადლდება სხვადასხვა კულტურების მოსავლიანობა. ანგარიშგასაწვეია აგრეთვე ადამიანური რესურსების არსებობა, მისი კვალიფიკაცია და საწარმოო ჩვევები. ამის ფონზე გაკვირვებას იწვევს ჩატარებული ვაი რეფორმების შედეგად სასოფლო-სამეურნეო პროფილის უმაღლესი სასწავლებლებისა და სამეცნიერო ცენტრების დაშლა და სხვადასხვა უნივერსიტეტებზე მიერთება-მიტმასენა.

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ მხოლოდ დღევანდელმა ხელისუფლებამ დაუთმო განსაკუთრებული ყურადღება აგრობიზნესის განვითარების მეტად მნიშვნელოვან საკითხს, ჩაიდო ერთი მილიარდი ლარის სუბსიდია, რათა მიწის ეფექტურად გამოყენების შედეგად გაზარდოს მოსავლიანობა და აგროპროდუქტების წარმოებისა და გადამუშავების კულტურა.

საქართველო, როგორც ქვეყანა, თავისი მდგომარეობით გამორჩეულ რეგიონად ითვლება. ცხადია, არსებული ხელსაყრელი ბუნებრივი პირობები საშუალებას იძლევა, განვითარდეს აგროკულტურული დარგები. ჩვენს წინაპრებს მოჰყავდათ ხორბალი, ქერი, სიმინდი, შვრია, ჭვავი, ლობიო, ფეტვი, ბრინჯი და სხვა კულტურები. პურის ნაწილი აღმოსავლეთ საქართველოდან საზღვარგარეთაც გადიოდა. მაგალითად, 1886წ ექსპორტირებული იქნა 1,2 მილიონი ფუთი პური.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენში მევენახეობა-მეღვინეობის განვითარებას ყოველთვის პრიორიტეტი ენიჭებოდა, რადგან ის ხასიათდებოდა მაღალი საგემოვნო თვისებებით და უცხოელი მოგზაურებისა და სტუმრების თვალში მაღალი რეპუტაციით სარგებლობდა. ამ მიმართულებით გამორჩეულ რეგიონებად ითვლება კახეთი, იმერეთი და ქართლი. ტონის მიმცემი იყო და არის კახეთის ზვრები, აქ მოყვანილი ღვინო სარგებლობს მაღალი საგემოვნო თვისებებით, რომელიც დიდ მოწონებას იმსახურებდა და დღესაც იმსახურებს მომხმარებელთა ფართო წრეში. მევენახეობის განვითარებას განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს, რადგან მშრომელი გლეხისათვის ის გახლავს შემოსავლის ძირითადი წყარო, მხედველობაში თუ არ მივიღებთ წინა 10 წელიწადს, როცა გლეხები იმ ზომამდე მიიყვანეს, ვაზის აჩხა დაიწყეს იმ მიზეზით, რომ ყურძნის ჩაბარება გაძნელებული ან დაბალფასიანი იყო. ახალმა ხელისუფლებამ იხსნა ვენახი განადგუ-

რებისაგან და მშრომელ ადამიანს დაუბრუნა რწმენა, აშენებენ ვენახის პლანტაციებს, ერთი სიტყვით, ადამიანი მოტივირებულია.

გარდა მევენახეობისა, დიდი ყურადღება ეთმობოდა სხვა სასოფლო სამეურნეო დარგებსაც. მაგალითად, მეცხვარეობის განვითარებას საქართველოში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა 1903-1913 წლებში. საშუალოდ, ყოველწლიურად აღირიცხებოდა ცხენი 134 800, ხარ-ძროხა და ამ სახის ნამატი 1 268 800, კამეჩი 178 400, ღორი და გოჭი 700 000, ცხვარი 2 145 000, თხა 233 400, სულ 1913 წელს ყველა სახის შინაური პირუტყვი შეადგენდა 3,6 მილიონ სულს. დღევანდელი სტატისტიკური მონაცემებით ჩანს, რომ ქვეყნის იგივე მაჩვენებლები მნიშვნელოვნად ჩამორჩება წინა პერიოდის მაჩვენებლებს. არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ სოფლის მაცხოვრებლების დიდი ნაწილი არ არის დაინტერესებული, რომ შინაური ფრინველი თუ ცხოველი იყოლიოს, სარეალიზაციოდ თუ არა, ოჯახის მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად მაინც. მიგვაჩნია, რომ აუცილებელია მუნიციპალურმა მმართველობამ ხელი შეუწყოს სოფლის მაცხოვრებლებს მეცხოველეობისა თუ მეფრინველეობის მეტად საჭირო დარგის განვითარებაში.

აღსანიშნავია, რომ მეფუტკრეობის განვითარების მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია გვაქვს. ბოლო პერიოდში მისი მაშტაბები და ხარისხი მკვეთრად გაიზარდა. ქართულმა ფუტკარმა საყოველთაო აღიარება და ყურადღება დაიმსახურა, მაგრამ, სამწუხაროდ, ქართულმა თაფლმა ვერ შეაღწია მაღალკონკურენტულ მსოფლიო ბაზრებში. ეს უკვე დამაფიქრებელია, რადგან არ გავგანაჩნია ისეთი ლაბორატორიები, რომელთა სერთიფიკატი დააკმაყოფილებდა საერთაშორისო ბაზრის მოთხოვნებს. ეს ნაკლი დროულად უნდა აღმოიფხვრას, რათა ქართულ თაფლს მწვანე გზა მიეცეს საექსპორტოდ.

მეაბრეშუმეობა საქართველოს სახალხო მეურნეობის ერთ-ერთი უძველესი დარგი იყო და იმთავითვე გამოირჩეოდა შედარებით დიდი სავაჭრო-სასაქონლო მნიშვნელობით. XVII-XVIII საუკუნეებში ქართველი ვაჭრები აბრეშუმს გასაცვლელ ღირებულებადაც კი იყენებდნენ, სპარსელ და რუს ვაჭრებს საქონელში ფულის ნაცვლად აბრეშუმს აძლევდნენ.

აღსანიშნავია, რომ აბრეშუმის პარკის წარმოება წლიდან წლამდე იზრდებოდა და XIX საუკუნის 80-იან წლებში მის დამზადებას დასავლეთ საქართველოში 13-15 ათასი კომლი ეწეოდა. XX საუკუნის 20-იან წლებში დასავლეთ საქართველოს მეაბრეშუმეები ყოველწლიურად ამზადებდნენ 100-150 ათას ფუთ აბრეშუმის პარკს, რაც იძლეოდა 1,5-2 მილიონი მანეთის შემოსავალს. ამ დროისთვის მეაბრეშუმეობა დაწინაურდა აღმოსავლეთ საქართველოშიც. მოსახლეობა დიდ ყურადღებას იჩენდა აბრეშუმის პარკის დამზადებისადმი, რადგან შედარებით მაღალი იყო 1 კგ აბრეშუმის დამზადების ფასი. უნდა ითქვას, რომ აბრეშუმის პარკის მოყვანაში მასიურად ჩაბმული იყო შრომისმოყვარე და გამრჯე ადამიანები, რომლებიც მოკლე სამუშაო ციკლში სოლიდურ შემოსავალს იღებდნენ. ამასთან, საქართველოში გაშენებული იყო თუთის პლანტაციები, რომლებიც იძლეოდა ნაყოფს, ძვირფას მერქანსა და ფოთოლს აბრეშუმის ჭიის გამოსაკვებად. სამწუხაროდ, ასეულ პექტარზე გაშენებული თუთის პლანტაციები და მეაბრეშუმეობის დარგი იავარქმნილია.

ისტორიული წყაროებიდან ირკვევა, რომ წარსულში მეხილეობა, მებოსტნეობა და სხვა დარგის განვითარება ფართო მასშტაბით არ გამოირჩეოდა, მოწვეულ პროდუქტს ძირითადად ოჯახში მოიხმარდნენ და ბაზარში მცირე რაოდენობით გადიოდა. XIX საუკუნის პირველ ნახევარში წარმოება თანდათან გაიზარდა, 70-იან წლებში კი მეხილეობამ ზოგიერთ რაიონში სასაქონლო-სავაჭრო ხასიათი მიიღო. 1888 წელს ახალციხის მაზრაში ხილის ბაღების ფართობი 300 დესეტინას უდრიდა. XIX საუკუნის დასასრულისათვის მეხილეობა საკმაოდ იყო განვითარებული დასავლეთ საქართველოში. როგორც სტატისტიკური მასალებიდან ჩანს, 1909-1913 წლებში ახალციხის მაზრიდან ყოველწლიურად საშუალოდ გადიოდა ხილი: ყარსში 2400 ფუთი, ალექსანდრეპოლში - 2800ფ, ქერში - 8000ფ, ოდესაში - 8000ფ, ვარშავაში - 40000ფ. ამავე პერიოდში აფხაზეთიდან ყოველწლიურად გემებით იგზავნებოდა 173 000 ფ. ხოლო აჭარიდან 50 000 ფ.

XX საუკუნის ათიან წლებში მეხილეობა საკმაოდ სწრაფად ვითარდებოდა. ბაღების ფართობი თანდათან იზრდებოდა სახნავ-სათესი მიწების ხარჯზე. მწკრივზე გაშენებული და კარგად მოვლილი ბაღები ჰქონდათ გორის მაზრის სოფლებში: ტყვიავში (200 დეს), კარალეთში (200 დეს), ქიწინისში (50 დეს), ძვერში (100 დეს), ხელთუბანში, ბერბუკში, თორტიზაში და სხვაგან. საქართველოში მნიშვნელოვანი წილი ეკავა ხილის ბაღებს, რომლებიც მაღალი მოსავლიანობით ხასიათდებოდა და მეხილეები კარგ შემოსავალს იღებდნენ. ბოლო 20 წლის განმავლობაში მკვეთრად იკლო გაშენებული ბაღების რაოდენობამ და, შესაბამისად, მოსავლიანობამაც. სამაგიეროდ ბაზარზე იმატა იმპორტულმა, ჯანმრთელობისთვის საშიშმა ხილმა. აღსანიშნავია, რომ ქართლის ვაშლი, შაქარმეაგის ინდექსის მიხედვით, მსოფლიოში პირველია. რაც შეეხება რაჭისა და ლენხუშის ვაშლს, იგი გამორჩეულია თავისი უნიკალური საგემოვნო თვისებებით, ამიტომ სოფლის მეურნეობის სამინისტრო უნდა დაინტერესდეს ამ რეგიონებით და ხელი შეუწყოს მათ განვითარებას.

ცხადია, რომ მებოსტნეობა თავდაპირველად დიდი ქალაქების გარეუბნებში განვითარდა. 1894 წელს აღმოსავლეთ საქართველოში 3390 დესეტინა მიწაზე აიღეს თითქმის 1 მილიონი ფუთი ბოსტნეული, კიდევ უფრო მეტი იყო ბოსტნეობის ფართობი დასავლეთ საქართველოში. ეს მხარე ნაადრევი ბოსტნეულით ამარაგებდა თბილისს, ბაქოს და შავი ზღვის ნავსადგურებს. 1909-1913 წწ. მთელ საქართველოში ბოსტნეობის ფართობი 6500 დეს. უდრიდა. ყოველწლიურად საშუალოდ

დებულობდნენ 3,6 მილიონ ფუტ პროდუქციას, რომლის ღირებულება 1,6 მილიონი მანეთს შეადგენდა. ამ დარგით ასეულობით დაინტერესებულმა ადამიანმა ბანკებიდან აიღო სოლიდური სესხები სათბურების მშენებლობისათვის. ინდემწარმეებმა გამართეს მუშაობა, მაგრამ ბოსტნეულის რეალიზაცია შეფერხებებით მიმდინარეობს. ბოსტნეული საექსპორტოდ უკრაინასა და რუსეთში გაჰქონდათ, ახლა კერძო მესაკუთრე ვერ ახერხებს ბოსტნეულის რეალიზაციას ამ ქვეყნებში შექმნილი ცნობილი მდგომარეობის გამო. ამას ემატება მაფიოზური კლანები, რომლებიც მეწარმეებს სთავაზობენ შესყიდვის დაბალ ფასებს. შემოთავაზებული ფასები ვერ უზრუნველყოფს თვითღირებულების ხარჯების ამოღებასაც კი. მეწარმეები საფრთხეში არიან, მათ უჭირთ დაქირავებულ ადამიანურ რესურსებზე ხელფასების, ბანკში სესხების სარგებლის პროცენტის გადახდა და სხვა მიმდინარე ხარჯების დაფარვა. საჭიროება მოითხოვს აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით ხელისუფლების მხრიდან შესაბამის ყურადღებას, რათა შემუშავდეს ეფექტური მექანიზმი, რომელიც ხელს შეუწყობს კერძო მესაკუთრეს ნაწარმის რეალიზაციაში.

კვების რაციონში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს კარტოფილის მოხმარებას. XIX საუკუნის დამდეგს მას სრულიად უმნიშვნელო ადგილი ეკავა. 100 წლის შემდეგ კარტოფილის ნათესებმა 7 ათას დესეტინას მიაღწია. ყოველწლიურად დებულობდნენ საშუალოდ 2,4 მილიონ ფუტ პროდუქციას. მისი დიდი ნაწილი ქალაქებში იყიდებოდა. დღეს კი კარტოფილის მოხმარება მკვეთრად გაიზარდა და უმეტესობისათვის მთავარ საკვებ ულუფად იქცა. კარტოფილის მაღალხარისხოვანი მოსავლით გამოირჩევა აღმოსავლეთი და სამხრეთი საქართველო. საქართველოდან თურქეთში გადის ეკოლოგიურად სუფთა ჯანსაღი კარტოფილი და იქიდან შემოდის გენმოდიფიცირებული კარტოფილი.

დღეს საქართველოს მოსახლეობა განიცდის სურნელოვანი და მაღალხარისხოვანი ჩაის დეფიციტს. ბევრი იტყვის ჩაის მეტი რა არის მარკეტების თარობებზე. სინამდვილეში, რაც იყიდება ის არ არის არომატიანი და მაღალსაგემოვნო თვისებების მქონე ჩაი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს მოსახლეობის გაზრდილ მოთხოვნებს. საქართველოში წარმოებული ჩაით მარაგდებოდა ყოფილი საბჭოთა კავშირის მოსახლეობა. მომხმარებელი კმაყოფილებას გამოთქვამდა ქართული ჩაის საგემოვნო თვისებებზე. ყველასათვის ნათელია, რომ დასავლეთ საქართველოში, კერძოდ, კოლხეთის დაბლობზე გაშენებული იყო თვალუწვდენელი ჩაის პლანტაციები, სადაც დასაქმებული იყო ათასობით ადამიანური რესურსი, ფუნქციონირებდა პირველადი და მეორადი ჩაის ფაბრიკები.

ჩვენ შორს ვართ იმ აზრისაგან, რომ ჩაი მონურ კულტურათა ჯგუფს მიეკუთვნება. სწორედ ასეთი შეხედულებების გამო უნდა განადგურებულიყო ჩაის პლანტაციები წინა საუკუნეებში. ადგილი ჰქონდა განდალიზმის გამოვლინების ფაქტებს. ამოიძირკვა, განადგურდა. ფერდობზე სადაც დარჩა ჩაი, ბარდ-ეკალმა დაფარა. დღევანდელი მდგომარეობით ჩაი გადაშენების პირას არის მისული. მეჩაიეობის რეგიონის მოსახლეობა სწორედ ჩაის მოვლითა და მოყვანით იყო დასაქმებული. ამიტომ გლეხი სოციალურად დაუცველი და უმუშევარი დარჩა, რითაც დიდი ზარალი მიაღწა მოსახლეობას.

ვიმედოვნებთ, მომავალში ხელისუფლება გადადგამს გონივრულ ნაბიჯს ქვეყნისათვის საჭირო ჩაის პლანტაციების აღდგენა-აღორძინებისათვის და გაატარებს ქმედით ღონისძიებებს. ამით კიდევ ერთხელ გაჩნდება ადამიანური რესურსების დასაქმების შესაძლებლობა და სოფლად დამაგრდება მოსახლეობა. როცა შემოსავლის წყარო იქნება ჩაის მოვლა-მოყვანისათვის საჭირო მრავალი სახის მექანიზირებული სამუშაო ოპერაციების ჩატარება, მაშინ აღორძინებას დაიწყებს მეჩაიეობით განთქმული ლამაზი მხარე.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში ყველა ქვეყნის ხელისუფლების წინაშე დგას მრავალი პრობლემა, რომელთა დროულ გადაჭრას, როგორც სახელმწიფოსათვის, ასევე ადამიანისათვის მეტად საციცოხლო მნიშვნელობა ენიჭება. მაგრამ პრობლემებს შორის უპირველესთაგანია ადამიანისათვის მაღალი საგემოვნო თვისებების მქონე პროდუქტების უწყვეტი წარმოება და მისი რეალიზაცია. ასევე მუდმივად პროდუქციის ხარისხის პარამეტრებზე კონტროლი. გავისხენოთ, ჩვენი წინაპრები როგორი ჯანმრთელები იყვნენ დღევანდელ ადამიანებთან შედარებით, ისინი იკვებობდნენ ეკოლოგიურად სუფთა თავიანთ კარმისამოში მოყვანილი პროდუქტებით. დღევანდელ ეტაპზე საგანგაშო მდგომარეობაა, კვების რაციონში დღითი დღე იზრდება გენმოდიფიცირებული და სხვადასხვა პესტიციდებით გაჯერებული პროდუქტის ხვედრითი წილი.

აღსანიშნავია, რომ, ჯერ ერთი, გენმოდიფიცირებული პროდუქტის დამზადებისათვის არ არის საჭირო დიდი რესურსი, მეორე ის, რომ ნატურალურ პროდუქტთან შედარებით მისი დამზადება იაფი ჯდება, მესამე, რომ მეწარმეები სოლიდურ შემოსავალს დებულობენ და სულ არ ითვალისწინებენ ადამიანის ჯანმრთელობას. ამიტომ ჩვენში მაღალია ავადმყოფობის მაჩვენებლები.

როცა ქვეყანას გააჩნია რესურსები ნატურალური და სუფთა პროდუქტების დამზადებისათვის, მაშინ ხელისუფლებამ კეთილი ინებოს და გამოახოს ყოველისაშუალება იმისათვის, რომ უზრუნველყოს აგრობიზნესის პროგრამის დაფინანსება, რათა აღორძინოს ტრადიციული დარგები, რომლებიც ხელს შეუწყობს ცხოვრების დონის ამაღლებას, ხოლო მოსახლეობის გარკვეული ნაწილი უზრუნველყოფილი იქნება სამუშაო ადგილებით, რაც დადებითად იმოქმედებს ადამიანების სიცოცხლისუნარიანობაზე, ხოლო მოსახლეობა მომარაგდება საღი და ნატურალური პროდუქტებით.

ROLE OF INNOVATIVE MANAGEMENT IN REVIVAL-DEVELOPMENT AGRIBUSINESS

Annotation

Achievements and developing of Georgian people in agriculture are shown in this article. The agricultural products made by them not only satisfied requirements of local population, but also were taken out for export. The geographical arrangement of Georgia is the favorable region for agribusiness. For this purpose there are all natural and climatic conditions. In despite of it, during this period the country itself can't provide agro products completely and has turned in import-dependent even on those products which were grown up and made in Georgia from immemorial time. In spite of the fact that the republic has limited lands suitable for agriculture, cases not cultivation of the soil, its idle standing or use not to destination, and also sales to foreign investors which due to the lack of the relevant legislation on use of land resources can use the bought land at discretion and to the detriment of interests of the country are observed.

In article it is said, that during transition from a planned economy to market, many problems were formed to the state and the most actual of them is a providing the population with agricultural products, at questions of cultivation, storage and their processing. In many regions people work in the old manner and provide the production only for their family. And, if to apply modern innovation technologies, then it is possible to sell excess products within the country and even for export. It is emphasized that the country has sufficient resources for production bio natural products, in t of h and for export. For this purpose it is necessary that the government has allocated finance and has developed legislative rules and legal documents, and also has helped farmers and everybody, occupied in this branch. It's a must to pass the experts necessary trainings and retraining in innovative technologies and management.

მეგი გორგასლიძე

ეკონომიკის ინტელექტუალიზაცია და მცენიერების განვითარების მნიშვნელობა

თანამედროვე მსოფლიოში ეკონომიკის განვითარების პროცესი იმდენად სწრაფად მიდის წინ, რომ რომელიმე ქვეყანა თუ დროულად არ ჩაება ამ ფერხულში, მისთვის გაძნელება შემდგომ თავისი ადგილის მონახვა განვითარებული ქვეყნების გვერდით. აქ მთავარია ქვეყნის არა მარტო ტექნიკურ-რესურსული პოტენციალის დონე, არამედ ის დაგროვილი ცოდნა, რომელიც წლების გამოცდილებით მიიღება.

ეკონომიკური ცოდნით აღჭურვა დროის მოთხოვნაა და მისი პრაქტიკაში რეალიზება გადაუდებელი საქმეა. ეკონომიკური განათლების გარეშე ადამიანს გაუჭირდება დასახული მიზნების მიღწევა. პოლ სამუელსონის სიტყვებით, „ადამიანი, რომელსაც არასოდეს უსწავლია ეკონომიკა, ჰგავს ყრუს, რომელიც ორკესტრის შეფასებას ცდილობს“.

ინტელექტუალური შრომის შედეგად მიიღება ინოვაციური პროდუქტი, რომელიც, ძირითადად, სულიერი საქმიანობის სფეროში ადამიანთა შემოქმედებითი საქმიანობით შექმნილი პროდუქტია, რომელთაც მიეკუთვნება მეცნიერულ-ტექნიკური პროდუქცია – იდეები, ჰიპოთეზები, თეორიები, აღმოჩენები, გამოგონებები, ნოუ-ჰაუ, საცდელ-საკონსტრუქტორო დამუშავებები, პროექტები, უახლესი ტექნიკის საცდელი ნიმუშები, ახალი ნაწარმი, რომელიც არსებითად განსხვავდება ტრადიციული საგანგან, ინფორმატიული პროდუქცია – პროგრამული დამუშავებები, მრავალფეროვანი რადიო და ტელეპროგრამები და სხვ. [1, გვ. 13]. ერთი სიტყვით, ინოვაცია არის პროცესი, რომელშიც ინტელექტუალური საქონელი – გამოგონება, ინფორმაცია, ნოუ-ჰაუ ან იდეა - იქნის ეკონომიკურ შინაარსს.

ინოვაციური ეკონომიკის განვითარება იმთავითვე გულისხმობს ადამიანთა განათლების დონის ზრდას, მაღალკვალიფიციური კადრების აღზრდას, დახელოვნებას, მეცნიერებატევადი დარგების დაჩქარებულ განვითარებას, როგორცაა ტექნიკური და ტექნოლოგიური მეცნიერებები, ხელოვნება, ფინანსური, იურიდიული და სამედიცინო მომსახურება, მმართველობითი მეცნიერებები და ა.შ. მეცნიერებატევადობის სისტემური ზრდა და განვითარება ინოვაციური პროცესებისათვის გადამწყვეტი მასტიმულირებელი ძალაა, რადგან იგი ხელს უწყობს ახალი ნაწარმის ათვისებას, სრულყოფილი ტექნოლოგიების დანერგვას, კონკურენტულ ბრძოლაში გამარჯვებას.

მეცნიერებატევადი დარგების სწრაფი განვითარებით ქვეყნები დამაჯერებლად გადადიან განვითარების პრინციპულად ახალ ეტაპზე – ინოვაციურზე. ეს იმას ნიშნავს, რომ სიახლეთა გამოყენების პროცესი ხდება გააზრებულად, ხოლო თვითონ ინოვაციები განიხილება საზოგადოებაში პრობლემის გადაწყვეტის მთავარ ინსტრუმენტად. [2, გვ. 67]. მსოფლიოს განვითარების თანამედროვე ეტაპზე განსხვავება მდიდარ და ღარიბ ქვეყნებს შორის გამოიხატება არა მარტო საფინანსო რესურსების მოცულობით, არამედ დაგროვილი ცოდნის უკმარისობით, აკროდ, ტექნოლოგიური და სოციალურ-ეკონომიკური ცოდნის დონით.

განვითარებადი ქვეყნებისათვის ცოდნის დეფიციტის დაძლევა საკმაოდ რთული ამოცანაა, რადგან ტექნოლოგიური ჩამორჩენილობიდან გამომდინარე უნდა შეიმუშაონ ცოდნის შექმნის, მისი ათვისებისა და გადაცემის მწყობრი მექანიზმი. უნდა ხდებოდეს უცხოური ინვესტიციების მოზიდვა, სალიცენზიო ხელშეკრულებების, პატენტების შექმნა და ა.შ. ამ პროცესში მთავარი წარმმართველი

პირობა არის ქვეყანაში საყოველთაო განათლების ხელმისაწვდომობა, მათ შორის უმაღლესი განათლების მიღების შესაძლებლობა, განსაკუთრებით ტექნოლოგიებში, დასაქმებული მოსახლეობის უწყვეტი განათლების სისტემის არსებობა. ცოდნის გადაცემის მნიშვნელოვანი ეტაპის ორგანიზაციისათვის გამოყენებული უნდა იყოს საინფორმაციო რესურსების ხელმისაწვდომობისათვის საინფორმაციო და ტელესაკომუნიკაციო ტექნოლოგიები. სახელმწიფოს შეუძლია მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს ამ საქმეში.

ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნების სამეცნიერო-ტექნოლოგიური განვითარების სახელმწიფო რეგულირების გამოცდილების შესწავლა და მათი პრაქტიკული გამოყენება წარმოადგენს ძლიერ ფაქტორს საინოვაციო კრიზისის დაძლევის საქმეში. საინტერესოა სამეცნიერო-ტექნიკური პოლიტიკის უცხოური გამოცდილება. კერძოდ, აშშ-ში ეს საქმიანობა ეყრდნობა ორ მსხვილ უწყებათაშორის ორგანოს – ამერიკის სამეცნიერო ფონდს, რომელიც კოორდინაციას უწევს ფუნდამენტურ კვლევებს, და ამერიკის სამეცნიერო საბჭოს, რომელიც, თავის მხრივ, წარმოადგენს მრეწველობისა და უნივერსიტეტების ინტერესებს სამეცნიერო-ტექნიკურ პოლიტიკაში. იაპონიაში საინოვაციო პოლიტიკის მართვის საკითხით დაკავებულია მეცნიერების საქმეთა საბჭო, რომლის შემადგენლობაში შედიან სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელები და აგრეთვე მსხვილი კერძო კორპორაციების წარმომადგენლები. ეს საბჭო განსაზღვრავს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსების საკითხებს საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებთან დაკავშირებით, ხოლო პრაქტიკულად ახორციელებს მეცნიერებისა და ტექნიკის სამმართველო. ამ ფონზე ოპერატიულად მიმდინარეობს საკმაოდ ნაყოფიერი სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები, რომელშიც ჩაბმული არიან ქვეყნის უნივერსიტეტების წამყვანი მეცნიერები და სპეციალისტები. [2, გვ. 67].

მსოფლიოში აპრობირებული გამოცდილებიდან გამომდინარე, აუცილებელია საქართველოში განხორციელდეს რეფორმები სახელმწიფოს საინოვაციო პოლიტიკასთან დაკავშირებით, რომლის უშუალო მიზანი სამეცნიერო-ტექნიკური კვლევების ხელშეწყობა და პრაქტიკაში დანერგვა იქნება. საქართველოს ამ პრობლემის მოსაგვარებლად გარკვეული პოტენციური შესაძლებლობები გააჩნია. აუცილებელია ანალიტიკური აზროვნების განვითარება და ახალგაზრდების დაინტერესება მეცნიერებით, საქართველოში სამეცნიერო სფეროს გამოცოცხლება სჭირდება, რადგან მხოლოდ მსოფლიო დონის სამეცნიერო ინსტიტუტებში შეიძლება მაღალკონკურენტუნარიანი მეცნიერების აღზრდა და მუდმივი ზრუნვა მათი კვალიფიკაციის ამაღლებაზე.

საქართველოში არსებული სამეცნიერო პოტენციალის ამოქმედება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული დაფინანსებაზე, რომელთა მოძიება დღესდღეობით საკმაოდ რთულია. ამ მიზნით მიზანშეწონილია ქვეყანაში არსებობდეს ცალკე-გამოკვეთილი საბანკო პოზიცია სხვადასხვა მეცნიერულ-ტექნოლოგიური სიახლის (დაწყებული საცდელი ნიმუშების დაპროექტიებიდან და შექმნიდან, დამთავრებული მათი მასობრივი დანერგვით) დაფინანსებისა და დაკრედიტებისათვის. ეს პროცესი სტიმულს მისცემს ძირითადი კაპიტალის განახლებას და ხელს შეუწყობს მსოფლიო დონესთან შედარებით ტექნოლოგიებში არსებული ჩამორჩენის დაძლევას. ინოვაციური პროცესების მაღალ შედეგებზე დიდი გავლენა აქვს ფინანსურ ბაზარზე ვენჩურული კაპიტალის არსებობას. მართალია ეს საქმიანობა დიდ რისკთან არის დაკავშირებული, მაგრამ ვენჩურული ბიზნესის განვითარება დიდ აუცილებლობას წარმოადგენს. განსაკუთრებით „ბიზნესანგელოზები“ ასრულებენ მნიშვნელოვან როლს ახალი პროდუქციის წარმოებაში, რადგან გაცილებით უფრო მცირე თანხით შედიან ბიზნესში, ვიდრე ვენჩურული ფონდები, მაგრამ უშუალოდ მონაწილეობენ ბიზნესის დაწყების, ინკუბაციისა და და გაფართოების ეტაპებზე.

განათლებისა და მეცნიერების მოკრძალებული დაფინანსების პირობებში ძნელია საქართველოში ამ კუთხით მნიშვნელოვანი ნაბიჯების გადადგმა. „მეცნიერება ძირითადად ენთუზიაზმზე არსებობს, რაც სრულიად შეუფერებელია ცივილიზებული საზოგადოებისათვის. არ შეიძლება გასავალი ჰქონდეს პრიმიტიულ მსჯელობას, რომ საქართველოს მეცნიერება არ სჭირდება. დაუშვებელია არსებული მდგომარეობა დიდხანს გაგრძელდეს, იგი ქვეყნისა და ეკონომიკის სტაგნაციამდე და უიმედო ჩამორჩენამდე მიგვიყვანს” [3, გვ. 110]. მიუხედავად იმისა, რომ მეცნიერებაში დაბანდებული სახსრები კომერციული თვალსაზრისით უკუგებას ხანგრძლივი დროის შემდეგ იძლევა, საბოლოო თვალსაზრისით ეს საქმიანობა ქვეყნის განვითარებისათვის აუცილებელ პროცესს წარმოადგენს.

2016 წლისათვის საქართველოში მეცნიერების ხელის შეწყობაზე სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილია 66,7 მლნ ლარი, მშპ-ს მიმართ (33,9 მლრდ ლარი 2016 წლისათვის) იგი შეადგენს 0,2%-ს-[4], რაც მნიშვნელოვნად ჩამორჩება მსოფლიოს ქვეყნების საშუალო მაჩვენებლებს. სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებზე მსოფლიოში ყოველწლიურად იხარჯება მშპ-ს 1,7%, მათ შორის განვითარებულ ქვეყნებში 2,3%. განვითარებად ქვეყნებში – 1,0 %; აშშ-ში – 2,6 %, ევროპაში – 1,6%. [5, გვ. 211]. ჩვენს ქვეყანაში, აშკარაა ჩამორჩენა, როგორც განვითარებულ, ასევე განვითარებადი ქვეყნების მიმართ.

XX საუკუნის 90-იანი წლების ბოლოს საქართველოში სამეცნიერო ხარისხის მქონეთა რაოდენობამ 27 ათასიდან, 2002 წლის მოსახლეობის აღწერით, 15318 კაცი შეადგინა, რაც შედეგია იმ პოლიტიკისა, რომელსაც განათლების სფეროში ატარებდნენ. მიუხედავად ასეთი მოვლენებისა, საქართველო მეცნიერ-მკვლევართა რიცხოვნობით ყოველ მილიონ მცხოვრებელზე გაანგარიშებით,

დაახლოებით 2-ჯერ აღემატება საშუალო მსოფლიო მაჩვენებელს (შესაბამისად 2,1 ათასი და 1,1 ათასი კაცი) [5, გვ. 212].

განათლების დონის ზრდა მნიშვნელოვანი და გადამწყვეტია საქართველოში ინოვაციური ეკონომიკის სწრაფი განვითარებისათვის. ამ საქმის გადადება გამოიწვევს სამეცნიერო პოტენციალის შესუსტებას და მეცნიერთა და სპეციალისტთა ისედაც სწრაფ მიგრაციას ქვეყნის ფარგლებს გარეთ. „ტვინების გაღინება“ ჩვენისთანა პატარა ქვეყნისათვის მეტად მძიმე შედეგებს მოიტანს.

საქართველოს ეკონომიკა უნდა ჩაერთოს გლობალურ კონკურენციაში, რისთვისაც უნდა განვითარდეს ეკონომიკის საგანმანათლებლო სფერო; ამდღედეს სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების მუშაობის ხარისხი; მოძიებულ იქნეს მნიშვნელოვანი დაფინანსება ახალი პროდუქციის საწარმოებლად; გაიზარდოს მეცნიერების (განსაკუთრებით საინჟინრო დარგებიდან) რიცხვი, რაც ხელს შეუწყობს საქართველოში ინოვაციური ეკონომიკის, მომავლის ეკონომიკის განვითარებას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ლ. ჩიქავა. ინოვაციური ეკონომიკა. თბილისი. საგამომცემლო ფირმა „სიახლე“, 2002.
2. ინოვაციების მენეჯმენტი. ვევენი ბარათაშვილი, ვახტანგ დათიაშვილი, გურამ ნაკაიძე, რუსუდან ქუთათალაძე. თბილისი. გამომცემლობა „ევროპული უნივერსიტეტი“. 2008.
3. გიორგი მაღაშხია. საქართველოს ეკონომიკა (საუკუნოვანი პანორამის შტრიხები). თბილისი. 2002.
4. www.geostat.ge
5. საქართველოს ეკონომიკა. ავტორთა კოლექტივი. მთ. რედაქტორი როზეტა ასათიანი. თბილისი. საგამომცემლო ფირმა „სიახლე“. 2012.

Megi Gorgasidze

INTELLECTUALIZATION OF ECONOMY AND SIGNIFICANCE OF SCIENCE DEVELOPMENT

Annotation

Equip with economic knowledge is demand of the time and its realization in practice is an urgent case. The human and country without economical education will be difficult to achieve their goals. Development of innovative economic is closely related to the development of science and technology. It is necessary to develop analytical thinking and to interest young people with science .

In Georgia existing scientific potential enactment greatly depends on finances end nowadays it is quite difficult to find the finances. So based on the experience approved in the world, in our country it is necessary to implement effective reforms, immediate goal which of will be promotion of scientific researches and introduction in practice; also active working in connection with attraction of investments, which will promote thi solvion of mentioned financial problems; overcoming of knowledge deficit, because of the technological backwardness must be developed acquisition of knowledge, its assimilation and transmission mechanism – only a world-class scientific institutes can be highly competitive upbringing scientest and dake constant care to rise their qualifications; immediate interest of the state with scientific-technical and technological researches.

Ната Давлашеридзе

РОЛЬ НАУЧНО-ТЕХНОЛОГИЧЕСКОГО ПРОГНОЗИРОВАНИЯ В ИННОВАЦИОННОМ РАЗВИТИИ НАЦИОНАЛЬНОЙ ЭКОНОМИКИ

Ключевая особенность современного этапа развития заключается во внедрении и активном использовании научно-технологического прогнозирования, играющем огромную роль в инновационном развитии страны. Национальная система технологического прогнозирования обретает устойчивость благодаря регулярной координации национальных, отраслевых и корпоративных приоритетов.

В рамках системы технологического прогнозирования решаются следующие основные задачи:

В этом плане, на наш взгляд, на нынешнем этапе развития Азербайджана чрезвычайно важно обеспечение престижности научного труда, защиты прав интеллектуальной собственности исследователей, создание достойных условий жизни и труда ученых и специалистов.

Обратимся к опыту зарубежных стран в этой области. К примеру, государственная политика США в области инновационного развития направлена на решение таких задач, как создание благоприятных условий, способствующих активизации деятельности частного сектора в области инноваций, повышение его конкурентоспособности на мировом рынке, стимулирование инновационных разработок и коммерциализация результатов научных исследований, создание инфраструктуры, необходимой для поддержки конкурентоспособности, интеграция оборонных и гражданских НИОКР и, наконец, формирование квалифицированной рабочей силы.

Учитывая, каких успехов удалось добиться США в этой области, можно констатировать, что путь, выбранный азербайджанским правительством, полностью совпадает с передовой международной практикой в этой сфере и уже в ближайшем будущем обеспечит достижение больших результатов.

В заключение отметим, что существует значительное количество работ, посвященных рассмотрению экономического содержания понятия «инновационная инфраструктура». Изучение этих работ позволило сделать вывод, что под инновационной инфраструктурой часто понимают лишь совокупность организаций, участвующих в обеспечении инновационного процесса. При этом многие авторы ограничивают перечень этих организаций технопарками, технологическими центрами, технологическими инкубаторами, т.е. сводя инновационную инфраструктуру только к технологической подсистеме. В то же время, на наш взгляд, сеть организаций, обслуживающих процесс создания наукоемкой продукции, гораздо шире и включает организации финансовой, информационной, правовой и других сфер.

Для того чтобы заниматься инновационной деятельностью (проводить исследования или выпускать продукцию) организации должны, с одной стороны, обладать внутренней инновационной инфраструктурой, как оптимальным сочетанием соответствующих условий и ресурсов. С другой стороны, они должны иметь доступ к внешней инновационной инфраструктуре. В целом же инновационная инфраструктура является связующим звеном, или «соединительной тканью» между результатами научных исследований, государством, рынком и обществом.

В связи с этим, в настоящее время в Азербайджане создание инновационной экономики является жизненно важной задачей. Только серьезное повышение инновационной активности, позволит создать мощный механизм повышения конкурентоспособности экономики страны. Для этого необходимо создание государственных институтов поддержки первоначальной разработки технологии, куда можно отнести инновационные проекты государственного назначения, бизнес-инкубаторы, венчурные фонды, технополисы, технопарки, центры совместных научных исследований, центры трансферта и обмена технологий. В свою очередь, для реализации этих планов, необходимо обеспечить страхование инновационных рисков посредством создания фондов содействия развитию малых научно-технических предприятий и других подобных инструментов.

Если все это будет воплощено в жизнь, тогда в скором времени будут реализованы важнейшие положения Концепции развития «Азербайджан 2020: взгляд в будущее», по развитию в стране ИКТ и информационно-инновационного сектора, что в конечном итоге, укрепит процесс совершения нашей страной научно-технологического рывка.

Использованная литература

1. Джабиев Р.И. «Развитие инновационной сферы одно из приоритетных направлений государственной политики Азербайджана», 2012, стр.26-38
2. Мамедзаде Э.М. «Глобальные вызовы и формирование инновационной экономики в Азербайджане» «Кавказ и глобализация», №3-4, 2014, с. 86-98
3. Нефедьев А.Д. «Инновационная инфраструктура», «Креативная экономика» № 10 (58), 2011, стр. 42-48
4. Концепция развития «Азербайджан – 2020: взгляд в будущее», Баку, стр. 39
5. Peter Swann G.M. “The Economics of innovation”, USA, Massachusetts, 2009, p. 295

Sohrab Isaev

THE ROLE OF INNOVATIVE INFRASTRUCTURE IN TRANSITION TO INNOVATIVE DEVELOPMENT Annotation

The article deals with current issues of transition to innovative development in the Azerbaijan Republic. It is noted that the institutional reforms aimed at innovative development, the coming phase requires the creation of a corresponding increase in innovative infrastructure. The author attempts to understand the essence of the concept and the role of innovation infrastructure.

ეთერ კაკულია

ინოვაციების როლი ეკონომიკაში

განსხვავებების შესახებ ინოვაციასა და ინოვაციის შედარებით ცნებებს შორის: ინოვაცია ახალი, ევექტიანი პროდუქტის (მომსახურების) მიღების, მათი წარმოების წესის და შემდგომში შიდა და გარე რეალიზაციის პროცესის შედეგია, იგი არის შემოქმედებითი პროცესის დამასრულებელი

ეტაპი მისი პრაქტიკაში განხორციელების თვალსაზრისით. თუ შემოქმედება გულისხმობს სიახლის შექმნას, ინოვაციის შინაარსში იგულისხმება შექმნილი სიახლის პრაქტიკაში გამოყენება. ამდენად, როგორც სამეცნიერო-საწარმოო ციკლის საბოლოო შედეგი, იგი განიხილება ინოვაციური პროცესებიდან მოუწყვეტლად. [5].

ინოვაციის უამრავ განმარტებას ვხდებით, ლინგვისტიკაში იგი განიმარტება როგორც (ლათ. Innovation) – „განახლება“ ახალი წარმონაქმნი, ახალი მოვლენა ენაში [6]. ეკონომიკურ ლიტერატურაში, მიუხედავად განმარტებათა სიმრავლისა, ტერმინი „ინოვაცია“ ყველაზე ზუსტად ამ ტერმინის ავტორმა ი. შუმპეტერმა მოგვცა, „ინოვაცია არის კომერციალიზებული გამოგონება“, ინოვაცია ინოვაციური პროცესების საბოლოო შედეგია.

გამოგონება – ესაა ახალი პროდუქტის ან პროცესის აღმოჩენა, მაშინ, როდესაც ინოვაცია არის პროცესი, რომელშიც გამოგონება და ახალი იდეები ბიზნესად ან ოპერაციულ რეალობად იქცევა. ინოვაცია შეიძლება შეიცავდეს ახალ პროდუქტს, პროცესებს, სტრატეგიებსა და ორგანიზაციულ სტრუქტურებს. ინოვაცია წარმოგვიდგება როგორც კონკურენტული უპირატესობის წყარო [2].

ხემოთ თქმულიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ ინოვაცია ეკონომიკაში მრავალი ფორმით და მრავალ კონტექსტში ოპერირებს. განსხვავება შეიძლება დაინახოთ **ინოვაციის პროდუქტსა და ინოვაციის პროცესს** შორის. ინოვაცია კლასიფიცირდება **ფუნქციების მიხედვით**. იგივსხვდება სელექციაში და ნედლი მასალების გამოყენებაში, მზა საქონლისა და მომსახურების შემთხვევაში, მარკეტინგის მოქმედებებსა და მენეჯმენტის მხრივ სტრუქტურულად მოწესრიგებულ ორგანიზაციაში. მაგ., მუშა ჯგუფის მონაწილეობა გადაწყვეტილების მიმღებ მენეჯმენტში.

გარდა აღნიშნულისა, განასხვავებენ **საბაზო** და **საშემოსავლო** ინოვაციებს. ეს უკანასკნელი (საშემოსავლო) წარმოგვიდგენს ინოვაციებს, რომლებიც არსებულ პროდუქციასა და პროცესებზე მოდიფიცირებას და დადებით გავლენას ახდენს. ქვემოთ მოყვანილ ცხრილში მოცემულია ინოვაციის სხვადასხვა ტიპი და ინოვაციის ხარისხის სახეები.

ცხრილი 1

ინოვაციის სხვადასხვა ტიპები

ინოვაციის ტიპები	ინოვაციის ხარისხი	
	საბაზო	მოდულივაცია (საშემოსავლო)
ნედლი მასალა	შუშის ნაცვლად ბოთლებისთვის პლასტმასის გამოყენება	ბოთლებში პლასტმასის კომპონენტების შეცვლა უფრო მეტი სიმტკიცისათვის
პროდუქცია	მიკრო-სქემებისთვის შემართებული რგოლების გამოყენება ტრანზისტორების გადასასმელად	ელექტრონული კონტროლის გამოყენება სარეცხმანქანაზე.
პროცესი	ავტომობილების ამწვობ ქარხანაში შედუღების სამუშაოებში რობოტების გამოყენება	მანქანის შეღებვის პროცესში პლატფორმების რიცხვის გაზრდა უკეთესი შედეგების მისაღებად.
მარკეტინგი	მთავარ ქუჩაზე მაღაზიის გახსნა. წიგნის კლუბის ფართი საფოსტო ვაჭრობის გასაფარ-თობლად	ტელევიზიის პერსონალების გამოყენება საჭიროებისთვის სატელევიზიო პოლიტიკურ პოლიტიკოსების ნაცვლად
ორგანიზაცია	ორგანიზაციის ფორმის მატრიცის შექმნა ტრადიციული შეთანხმების შესაცვლელად, რომელიც ემყარებოდა სპეციალისტის ფუნქციებს.	კადრების განყოფილებაში განსხვავებული სასწავლო ფუნქციის შექმნა

ამასთან, ეკონომიკაში ცნობილია **„ფსევდოინოვაციები“**. ამგვარი ინოვაციები ხშირად საწარმო ბაზარში ფიგურირებს, რათა შეცვალონ სუსტი პროდუქციის ბედის შესაცვლელად. პროდუქტი შეიძლება გადაკეთდეს სხვადასხვა იარაღით, კვლავ შეიფუთოს იმის იმედად, რომ პროდუქცია შეიცვლება ან რეკლამა გაუკეთდება, როგორც „ახლადგამოსწორებული ფორმულის“ მქონეს, იმ დროს, როდესაც არავითარ მნიშველოვან ცვლილებას არ ქონია ადგილი [2].

ინოვაცია რაიმე იზოლირებული მოვლენა (პროცესი) არ არის ეკონომიკაში, ცხადია, კარგი პროდუქციის (საქონლის, მომსახურების) და პროცესის ინოვაცია მოითხოვს ინოვაციების თანხლებას მარკეტინგში, საორგანიზაციო სტრუქტურაში, განათლებაში და ა. შ. მაგალითად, დიდ ორგანიზაციაში ელექტრონული საფოსტო სისტემის მიღება არაფერს ნიშნავს, თუ კოლექტივმა არ იცის მისი გამოყენება.

კვლევა და განვითარება, დიზაინი. კვლევა და განვითარება, ანუ არ ენდ დი (R&D სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოები) არის ორგანიზაციული ფუნქციის სახელი, რომელიც ფორმაში ინოვაციისთვისაა თავმოყრილი. მასზე დანახარჯი ევროკავშირის მიერ საწარმოს ინოვაციურობის კრიტერიუმად არის აღიარებული. ე.ი. კვლევა და განვითარება (ანუ R&D სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოები) ფორმის დონეზე განისაზღვრება, როგორც ინოვაციის ორგანიზაცია [5]. ესაა გაძლიერებული მოთხოვნების ინოვაცია (მარკეტინგის

საჭიროებების დასაკმაყოფილებლად) და ტექნოლოგიური ბიძგის ინოვაცია (არსებული ცოდნის მოხმარება).

დიზაინი. R&D-ის პროცესის ფინალური სტადია, რომელსაც განვითარება მყიდველისათვის განკუთვნილ საბოლოო პროდუქტში გადააქვს. დიზაინის სტადია ცდილობს გარკვეული ელემენტების შედუღებას, რომელსაც წარმოგვიდგენს „შერეული დიზაინის“ სახით. ეს ელემენტებია ეფექტური ოპერაცია, უსაფრთხოება, ადვილი ექსპლუატაცია და ესთეტიკური მხარეები. იგი ყველა იმ ელემენტს ადუღებს, რომელიც მყიდველს აკმაყოფილებს.

ანტრეპრენიორობა. ეს არის ანტრეპრენიორების მოქმედება, რომელიც პასუხისმგებელია ახალ პროდუქტზე, პროცესზე, მომსახურებასა და მარკეტების შექმნაზე. ისინი სახავენ ბიზნესის კეთების და ხალხის დასაქმების ახალ გზებს, იგონებენ ორგანიზაციის ახალ ფორმებს. ის ისეთი ქმედება, რომელშიც ხდება ფიზიკური, ფინანსური, ადამიანისა და სხვა რესურსების მობილიზაცია. ანტრეპრენიორობა, ჩვეულებრივ, მზადაა სათავეში ჩაუდგეს მოქმედებას და მასზე პასუხისმგებლობა იკისროს. ანტრეპრენიორები ბიზნესის ისტორიაში ძირითადი ფიგურები არიან. წარმატებულ ანტრეპრენიორებს მიზნის მიღწევის დიდი მოთხოვნილება გააჩნიათ და ზომიერად საჭიროებენ ძალაუფლებას (ძალაუფლებისმოყვარულები არ არიან) [2].

გამოგონება, ანტრეპრენიორობა, კვლევა და განვითარება, დაპროექტება და ინოვაცია – ყველა შედარებით ცნებას წარმოადგენს. ბიზნესისათვის ესაა ინოვაცია პროცესი, სადაც ინოვაცია ძირითადი ცნებაა, ანუ გამოგონების შემობრუნება რაიმე სასარგებლოსკენ.

ინოვაცია არის მზარდი პროდუქტიულობა, მზარდი მარკეტწილი და აქედან გამომდინარე, სარგებლობის და ფირმის ხანგრძლივი ვადით გადარჩენის ფაქტორი. ეროვნული ეკონომიკის მასშტაბებზე იგი ეკონომიკის გაუმჯობესების წყაროა რეცესიის გარეშე.

* * *

განსაკუთრებით მეოცე საუკუნის შუა პერიოდთან, ინოვაციებმა მსოფლიო განვითარებული ქვეყნების ეკონომიკაში (ბიზნესში) გააძლიერა რწმენა იმისა, რომ ინოვაცია ეკონომიკური ზრდის გასაღებია როგორც ეკონომიკის, ასევე ინდივიდუალური ფირმებისათვის. ზოგიერთ შემთხვევაში ინოვაცია გადამწყვეტია კონკურენტულ მარკეტში თავის გადასარჩენად. გასული საუკუნის 90-იან წლებში მსოფლიო განვითარებულ ქვეყნებში, სადაც ელექტრონულ მრეწველობაში საქონლის სასიცოცხლო ციკლი შემცირდა, მუდმივი ინოვაცია არსებითი გახდა. მაგ., გერმანული დიდი ელექტრონული კომპანიის – სიმენსის [2] პროდუქციის 70% ხუთ წელს არ აღემატებოდა. ფირმა მუდმივ ინოვაციაში თუ არ იქნებოდა, ბაზრის წილს დაკარგავდა.

კაცობრიობის განვითარების ისტორიაში ადამიანთა კეთილდღეობის და ეკონომიკის ზრდა ცვალებადია (არასტაბილურია, თუმცა ზრდადი ტენდენციით ხასიათდება). მე-19-ე და მე-20-ე საუკუნის პირველ ნახევარში ეკონომიკური ზრდის ტემპები შეინიშნებოდა მთელს მსოფლიოში, რომლის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ინოვაციები იყო, რომელმაც გააუმჯობესა წიაღისეულზე მზარდი ხელმისაწვდომობა და მანქანა-დანადგარები.

ეკონომისტ მკვლევართა გარკვეული ნაწილი აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ როგორც ევროპის, ისე აშშ-ს ეკონომიკა, 70-იანი წლიდან მოყოლებული, ეკონომიკური ზრდის საშუალო ტემპის შემცირებით ხასიათდება. მათი შეფასებით, მე-19-ე საუკუნის ბოლოს სამრეწველო რევოლუციით გამოწვეულმა ეკონომიკურმა ზრდამ 1970-იან წლებამდე გასტანა, ისინი ასკვნიან რომ ამ სასწაულის გამეორება საინფორმაციო ტექნოლოგიებმა ვერ შეძლო, რადგან მათ ფუნდამენტური ინოვაცია არ შემოუტანიათ ეკონომიკაში.

დღეისათვის, როგორც ჩანს, მიუხედავად იმისა, რომ კვლევებში (R&D სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოები) სულ უფრო მეტი ადამიანი მუშაობს, მათი პროდუქტიულობა ძალიან შემცირებულა. მაგ., 1950-იან წლებში ინოვაციებისა და კვლევების სფეროში დასაქმებულთა პროდუქტიულობა 7-ჯერ მაღალი იყო 2000 წელს მათი კოლეგების პროდუქტიულობასთან შედარებით [3].

აღნიშნულის და იმის გათვალისწინებით, რომ ევროპა ჩამორჩება ზოგიერთ საინოვაციო კომპონენტში აშშ-ს და სხვა კონკურენტებს. მაგ., დღეისათვის მთლიანად ევროკავშირში სამეცნიერო კვლევაზე იხარჯება მშპ-ს 2%, აშშ-ში 2.65, იაპონიაში - 3,1 (თუმცა ევროკავშირის ცალკეულ ქვეყნებში ეს მაჩვენებელი უფრო მაღალია: შვედეთში - 3.6, ფინეთში - 3.2) [7]. ამან განაპირობა 2000 წლის ლისაბონის სტრატეგიის შემუშავება. ახალი სტრატეგია მეტი სამუშაო ადგილების შექმნის და კეთილდღეობის ზრდის უმთავრეს მექანიზმად ევროპის განვითარებას გულისხმობს მეტი ინოვაციების გზით.

საწარმოს ინოვაციურობის საზომად ევროკავშირის კრიტერიუმად შემოდებული აქვს კვლევისა და შემუშავებაზე ხარჯები და კონკურენტუნარიანობა ევროკავშირის ბაზრებზე.

ევროკავშირის განმარტებით, საწარმოო ინოვაციურია თუ ბოლო სამი წლიდან ერთ-ერთი წლის ხარჯები კვლევისა და შემუშავებაზე აღემატება ბრუნვის 15%, და, გარდა ამისა, შესაბამისმა წევრმა სახელმწიფომ უნდა დაადგინოს, რომ საწარმოს პროდუქტია და მიმართულება კონკურენტუნარიანია ევროპის ბაზარზე. ახალგაზრდად ითვლება 6 წლამდე ასაკის საწარმო [7].

ეკონომიკის, ასევე ინდივიდუალური ფირმების განვითარებასა და ინოვაციას შორის დამოკიდებულების ჭეშმარიტების დადგენის (რაოდენობრივი გაზომვის) სურვილის მიუხედავად,

ამგვარი ურთიერთობები დასამტკიცებლად დღემდე ძნელია. მაგრამ ჭეშმარიტებაა ის, რომ ინოვაცია სათავეში უდგას განვითარებას ეკონომიკის ნებისმიერ სფეროში და ამით ამყარებს ქვეყნის ეკონომიკის ზრდას.

თანამედროვე ეტაპზე ინოვაციები წარმოადგენს ძირითად რგოლს საზოგადოების განვითარების ყველა სფეროში.

თანამედროვე სამყარო წარმოუდგენელია უკვე განხორციელებული ჩვეულებრივ მოვლენად მიჩნეული: (მანქანა, შუქი, ლაზერი, დნმ, IT, და ა.შ.) და შემდგომი ევოლუციის უზრუნველყოფი ინოვაციების გარეშე. მკვლევართა მოსაზრება ემთხვევა იმაში, რომ ინოვაციები ეკონომიკისა და სოციალური განვითარების, ძირითადი მამოძრავებელი ძალა გახდა მან აიყვანა მსოფლიოს ეკონომიკები (მსოფლიო სამყარო) განვითარების დღევანდელ საფეხურზე.

დღეს „ინოვაციის“ ცნება გამოიყენება პრაქტიკულად ყველგან, ეკონომიკის ყველა სფეროში, იგი წარმოადგენს საუბრის თემას როგორც საყოფაცხოვრებო, ასევე პროფესიულ თუ სახელმწიფო მეთაურთა და საერთაშორისო ორგანიზაციების დონეზე.

თანამედროვე ეტაპზე ნათლად იკვეთება ეკონომიკაში ინოვაციების როლი, რომელიც ვლინდება ხდება მის ფუნქციებში. ფუნქციები, რომელსაც ასრულებს ინოვაციები ეკონომიკისა და საზოგადოებაში, მრავალრიცხოვანია:

1. ეკონომიკის ზრდა ხანგრძლივ პერიოდში. ინოვაციები ჯერ კიდევ ინდუსტრიულ საზოგადოებაში გამოვიდა წინა პლანზე. ხოლო პოსტინდუსტრიული და ინფორმაციული ეპოქის საზოგადოებაში ინოვაციებმა მყარად დაიკავე ძირითადი გენერატორის ადგილი ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკის ზრდაში.

2. როგორც მთლიანად ქვეყნის, ასევე ეკონომიკური სუბიექტების კონკურენტუნარიანობის ამაღლება.

3. ეკონომიკაში ახალი დარგების შექმნა. სიღრმისეული ცვლილებების გატარებით ინოვაციები შეიძლება იყოს რადიკალური (ე.ი. მიაწოდოს რადიკალურად ახალი პროდუქტი და მომსახურება) და გამაუმჯობესებელიც (ე.ი. შეუძლია გააუმჯობესოს უკვე არსებული პროდუქცია და მომსახურება).

4. კომერციული სარგებლის მიღება. ფაქტობრივად, ინოვაციები მოგების გენერატორებს წარმოადგენენ. ინოვაციები ქმნის შესაძლებლობებს როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირებისათვის, მიიღონ მაღალი მოგება უფრო მაღალი ხარისხის პროდუქციის შექმნით, თვითღირებულების შემცირებით, მწარმოებლურობის ამაღლებით და ა.შ. [10].

5. დროის დაზოგვა და სამუშაო პირობების გაუმჯობესება უფრო ეკონომიური ტექნიკატექნოლოგიების გამოყენებით.

6. წარმოების დანახარჯების შემცირება.

7. ადამიანის მზარდი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება. პრაქტიკულად, ნებისმიერი ინოვაცია, ამა თუ იმ ხარისხით, ზემოქმედებს ადამიანის მოთხოვნილების დაკმაყოფილებაზე. ფუნდამენტურ სფეროში განხორციელებული ინოვაციებიც კი, საბოლოო ჯამში, ასახავს პოულობს გამოყებებით სფეროში და ეს უკანასკნელი კი უზრუნველყოფს ინდივიდების მოთხოვნის დაკმაყოფილებას.

8. კვალიფიციური კადრების რაოდენობის ზრდა. ასე მაგალითად, ახალი ინოვაციის დიფუზირება (ათვისება) მოითხოვს შესაბამისი კვალიფიკაციის დაუფლებას, რაც, თავის მხრივ, იწვევს როგორც საერთო, ისე პროფესიული განათლების დონის ამაღლებას და მათ რაოდენობრივ ზრდას.

9. პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება. ტექნიკური (ტექნოლოგიური) ან სასაქონლო ინოვაციები განაპირობებს ახალი ან გაუმჯობესებული თვისებების მქონე პროდუქციის წარმოებას, რომელიც უფრო შესაბამისი იქნება ადამიანის მოთხოვნილებასთან და უზრუნველყოფს უფრო ხარისხიან მომსახურებას.

10. პოტენციური მყიდველების წრის გაფართოება; ბაზრის წილის გაზრდა; ბაზრის ახალი სეგმენტების დაპყრობა, მდგომარეობის გამყარება და სტაბილიზება ბაზარზე.

11. შექმნან ერთიანი მარკეტინგ(ბაზრის) სივრცე როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მსოფლიო მასშტაბით. ამის ნათელი მაგალითია ინტერნეტმადაზიები (ინტერნეტმარკეტი). დგება ერთიანი მარკეტი, რომელიც ვერ ცნობს სახელმწიფო საზღვრებს. ამას სახელმწიფოებმა ხელი არ უნდა შეუშალონ რაიმე შემზღულადვი სასაზღვრო პოლიტიკის გატარებით.

12. სხვადასხვა ქვეყნების კულტურების და ეკონომიკების დაახლოება. საზოგადოების შემოქმედებით სფეროში ინოვაციების მრავალმხრივი გამოყენება უზრუნველყოფს საზოგადოებათა დაახლოებას.

13. ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა, მისი ეკონომიკური, სასაქონლო უსაფრთხოება და სხვა. ქვეყნის მთლიანობის და მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა წარმოადგენს ქვეყნის მთავრობის ყველა რგოლის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტულ ამოცანას, რომლის რეალიზაცია შეუძლებელია სათანადო თავდაცვითუნარიანობის, ინფორმაციული, ეკონომიკური, სასაქონლო უსაფრთხოების უზრუნველყოფის გარეშე. დასმული ამოცანების გადაწყვეტა შესაძლებელია ინოვაციების გზით. აქ იგულისხმება: ინფორმაციათა კოდირების განვითარება, მაღალშემოსავლიან და

ავადმყოფობისადმი მდგრად მცენარეთა მიღება სელექციის გზით, რისკის შემცირების მიზნით სადაზღვევო სისტემის სრულყოფა გაუმჯობესება. რაც შეეხება თავდაცვითუნარიანობის ამღვლელებს, აქ საერთოდ შეუძლებელია რაიმეს მიღწევა ინოვაციების გვერდის ავლით ახალი სახეობის შეიარაღების საქმეში.

14. საკანონმდებლო ბაზის განვითარება და სრულყოფა პიროვნების ინტელექტუალური საკუთრების დაცვის სფეროში, ის მჭიდრო კავშირშია ცნებასთან „ინოვაცია“, რომელიც წარმოადგენს ინტელექტუალურ საკუთრებას. სულ ახალი და ახალი ინოვაციების აღმოცენება, რომელთა რეგულირება ვერ ხორციელდება უკვე არსებული კანონმდებლობით, იწვევს კანონმდებლობის განვითარების სტიმულირებას ახალი საკანონმდებლო მასალების შექმნის გზით. მნიშვნელოვანია ახალი პროდუქტის კანონით დაცვა. სამართლებრივი დაცვის გარეშე ახალი პროდუქტისაგან მიღებული შემოსავალი დაბალი იქნება, რადგან სხვა ფირმებს იმავე პროდუქტის საწარმოებლად დიდი დრო არ დასჭირდებათ და ამით ისინი ნოვატორი კომპანიის უპირატესობის მიზმიზებას მოახდენენ. სწორედ ნოვატორი კომპანიების, გამოგონებების, ინტელექტუალური უფლებების დაცვას ემსახურება ქვეყნებში არსებული საპატენტო კანონები.

15. კაცობრიობის გლობალური პრობლემების გადაწყვეტა (მაგალითად განსაკუთრებულად საშიშ ვირუსულ დაავადებებთან ბრძოლა). თანამედროვე ეტაპზე მსოფლიო თანამეგობრობა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს კაცობრიობის გლობალურ პრობლემათა გადაწყვეტას. კაცობრიობის საერთაშორისო პრობლემების გადაწყვეტისკენ მიმართული ინოვაციების განხორციელება, მიზანშეწონილია, განხორციელდეს მსოფლიო ქვეყნების მჭიდრო ურთიერთკავშირით, რაც ეფუძნება კვლევების შედეგებზე ინფორმაციითა მუდმივ გაცვლას. ასეთი ინოვაციები ფინანსირდება მეტწილად პროფილური საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ. ამასთან, ისინი იოლად უდა იყოს მისაწვდომი სარგებლობისათვის მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში, რისი მიღწევაც შეიძლება საერთაშორისო კონვენციებზე ხელმოწერის და საერთაშორისო ორგანიზაციების შექმნის გზით. აქ, ცხადია, წინა პლანზე წამოიწვეს ასეთი ინოვაციების კომერციალიზაციის და მათი შემქმნელების კონკურენტუპირატესობის დაკარგვის საკითხი, თუმცა, კაცობრიობის გლობალური პრობლემების გადაწყვეტასთან მიმართებაში, ასეთმა საკითხებმა უკანა პლანზე უნდა გადაიწიოს, უმეტესად მაშინ, როცა მსოფლიო პროგრესული კაცობრიობა სოციალური ეკონომიკებისკენ არის ორიენტირებული.

16. მოსახლეობის ცხოვრების დონის ამღვლევა: აქ პირველი ის არის რომ ინოვაციებს მოაქვს მაღალი მოგება, საბოლოო ჯამში, იგი აისახება ცალკეული პირის შემოსავლებზე. მეორე, ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისაკენ მიმართული სამომხმარებლო ინოვაციების განხორციელებით, რომლებიც, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანთა კომფორტული საყოფაცხოვრებო პირობების შექმნას. მესამე, კომუნიკაციის ახალი საშუალებების გამოგონება იწვევს არა მარტო კავშირების გაფართოებას არამედ პროფესიონალიზმის და კულტურის სფეროში განვითარებასაც. რაც, საბოლოოდ, ემსახურება ადამიანის პიროვნულ სრულყოფას. აღნიშნული, სოციალური, ადამიანზე ორიენტირებული ეკონომიკების შექმნის კუთხით, წარმოადგენს უაღრესად მნიშვნელოვან მოვლენას.

აქ წარმოდგელი ინოვაციების ფუნქციები მხოლოდ ნაწილია იმისა, რაც კი შეიძლება არსებობდეს ინოვაციების სფეროშიდან გამომდინარე, რომელიც ვლინდება დარგებში, საქმიანობის სახეებში, რეგიონებში და ა.შ. ე.ი. ცალკეულ ინოვაციებზე შეიძლება ჩამოყალიბდეს ფუნქციითა სიმრავლე იმ როლის მიხედვით, რომელსაც ისინი ასრულებენ ეკონომიკის, დარგის თუ საქმიანობის სახეობების სრულყოფაში.

საქართველოს მაგალითზე, წარმოებაში ინოვაციების დადებითი როლის საილუსტრაციოდ გამოდგება მსოფლიო ბანკის 2013 წლის ივლისში გამოქვეყნებული რეპორტი „ინოვაციების ხელშეწყობა საქართველოში“, რომლის მიხედვით, ქართული კომპანიები, რომლებიც აქტიურად გამოიყენებენ ინოვაციებს საკუთარ მოღვაწეობაში უფრო სწრაფად ვითარდებიან და 30% -ზე მეტ სამუშაო ადგილებს ქმნიან ვიდრე არაინოვაციური საწარმოები.

საქართველო ინოვაციების ათვისების მხრივ მეტად დაბალ დონეზეა. ამას ადასტურებს მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მიერ გამოქვეყნებული 2014-2015 წლების გლობალური კონკურენტუნარიანობის შეფასების მასალები, სადაც კონკურენტუნარიანობის 119 კრიტერიუმში 12 თემატურ ჯგუფში არის გადანაწილებული. აღნიშნული ჯგუფების მიხედვით, საქართველოს ყველაზე დაბალი მაჩვენებელი აქვს ინოვაციებში – 144 ქვეყნიდან 121-ე ადგილი [4].

ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობის მიზნით, საქართველოს მთავრობამ შეიმუშავა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია 2020, სადაც განსაზღვრულია პრიორიტეტული მიმართულებები, აქ ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამღვლეებისა და ეკონომიკური კეთილდღეობის გასაუმჯობესებლად აღიარებულია ინოვაციების დანერგვა და ტექნოლოგიების განვითარება.

2014 წლის 8 სექტემბერს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დაქვემდებარებაში შეიქმნა სსიპ ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო, როგორც მთავარი მაკოორდინირებელი ორგანო ინოვაციების ხელშეწყობის გარემო სისტემის (ინსტიტუტების) ფორმირების საქმეში.

ასევე წინ გადადგმული ნაბიჯია ინოვაციების ხელშეწყობის საქმეში, 2015 წლის ბოლოსათვის საქართველოში პირველი ტექნოპარკის შექმნა, რომლის მშენებლობა ოქროყანაში, 18 000 კვ. მ ტერიტორიაზეა დაგეგმილი. პროექტის განხორციელების კონტროლი ევალება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს.

ტექნოლოგიური პარკი (ტექნოპარკი), უზრუნველყოფს სათანადო კვალიფიკაციის სამუშაო ძალის მომზადებას და განვითარებას, კვლევის და განვითარებისთვის აუცილებელი დამხმარე ინფრასტრუქტურის სრულყოფას, ასევე ხელს შეუწყობს სრული ციკლის წარმოებას იდეიდან პოდეუქტამდე. ტექნოპარკი უზრუნველყოფს ღია დაშვებას თანამედროვე ტექნოლოგიებთან, ცოდნასა და განვითარების პერსპექტივასთან. ნებისმიერ დაინტერესებულ პირს ექნება შესაძლებლობა მიიღოს დახმარება იდეის დამუშავებიდან პროტოტიპის ჩამოყალიბებამდე და მის ბიზნესად განვითარებაში.

ტექნოლოგიური პარკის საშუალებით სახელმწიფო წაახალისებს ისეთი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინებას, რომელთა მთავარი ამოცანა მოწინავე ტექნოლოგიების შემოტანა-დანერგვაა.

გამოყოფილია „ფაბლაბის“ სივრცე, რომელიც არის ტექნოლოგიური პლატფორმა სწავლებისა და ინოვაციებისთვის. „ფაბლაბი“ ნიშნავს, დააკავშიროს და ერთ სივრცეში მოაქციოს მსოფლიოს განმანათლებლები, ტექნოლოგები, გამომგონებლები და ნოვატორები. ცოდნის გაზიარების ეს ქსელი მოიცავს 50 ქვეყანას [12].

საქართველოში პირველი ტექნოლოგიური პარკის შექმნის მთავარი მიზანი არის ცოდნაზე დაფუძნებული მცირე და საშუალო საწარმოების რაოდენობის გაზრდა და მათი განვითარება.

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დაქვემდებარებაში შექმნილ სსიპ ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს და საქართველოს პირველი ტექნოპარკის სამოქმედო პროგრამის დროული განხორციელება უდავოდ შეუწყობს ხელს საქართველოს, ინოვაციების სფეროში განვითარებულ ქვეყნებში არსებული გამოცდილების დანერგვასა და პროგრესირებაში.

განვითარებულ ქვეყნებში ინოვაციური პროცესების და ინოვაციების ერთ-ერთ მძლავრ იარაღად აღიარებულია ინოვაციური მცირე ბიზნესი, რომლებიც ტექნოპარკებში ყალიბდება და შემდგომ ხდება მათი დიფუზირება ეკონომიკაში. ამიტაც არის განპირობებული ის, რომ განვითარებულ ქვეყნები დიდ სახელმწიფო მხარდაჭერას უწევენ მცირე ბიზნესს.

ნაშრომში [1] ჩამოყალიბებულია მცირე ბიზნესის მხარდაჭერი მაკრო მარეგულირებელი მექანიზმი, საუბარია როგორც სამართლებრივი, ისე ხელშეწყობი ინსტიტუტების (მცირე ბიზნესის განვითარების ადმინისტრაცია, მცირე ბიზნესის განვითარების ერთიანი ეროვნული ფონდი და ა.შ.), ასევე ტექნოპარკის, (მისი არსის, ფუნქციების და როლის შესახებ ინოვაციურ მცირე ბიზნესში) შექმნის აუცილებლობის შესახებ (ცხადია, განვითარებული ქვეყნების გამოცდილებაზე დაყრდნობით). ვფიქრობთ, არ არის მართებული ტექნოპარკის გახსნა ოქროყანაში. იგი უნდა გაიხსნას ზუგდიდის რაიონ სოფელ ურთის ზეგანზე, გორსა და რუსთავეში. ჩვენ არ უნდა ვცდილობდეთ ასეთი და სხვა მნიშვნელოვანი ცენტრები განვალაგოთ ისედაც გადატვირთული თბილისის გარშემო. ურთა ახლოსაა სარკინიგზო (ინგირის რკინიგზის სადგური), სახმელეთო, საჰაერო (ინგირის აეროპორტი) და საზღვაო ტრანპორტთან (ანაკლია). თავის დროზე (1950) აშშ-ში ტექნოპარკი გაშენდა „სილიკონ ველში“, სტენფორდის უნივერსიტეტში და არა შუაგულ ვაშინგტონში.

დღეს საქართველოსთვის არსებითია ქვეყნის ინოვაციური პოლიტიკის შემუშავება, რომელიც უზრუნველყოფს ინოვაციების მიმართულებით ზემოთ მოცემულ და სხვა საჭირო ამოცანების განხორციელებას. განსაკუთრებულად უნდა გამოიკვეთოს ინოვაციური მცირე ბიზნესის სახელმწიფო მხარდაჭერის პოლიტიკა (აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ ყველა მცირე ბიზნესი ინოვაციური არ არის), რათა ინოვაციამ შეძლოს ეკონომიკის ზრდასა და მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებაში თავისი როლის შესრულება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. რ. აბესაძე, ე. კაკულია, მცირე ბიზნესის მაკროეკონომიკური რეგულირების მექანიზმი საქართველოში თბ., 2009.
2. დ. ნიდლი, ბიზნესის კონტექსტში (ინგლისურიდან თარგმანი) თბ., ბიზნესკომუნიკაციის ცენტრი, 2003.
3. მ. დანიაშვილი, განვითარებული ქვეყნების ჩიხი განვითარებადი ქვეყნების მომავალი www.sazogadoeba.ge/index.php?post_id=1507
4. გ. ლავთაძე, ს. გირგვლიანი, ინოვაციური პოლიტიკა, როგორც თანამედროვე ბიზნესის განვითარების მთავარი ფაქტორი. <http://atsu.edu.ge/EJournal/BLSS/eJournal/Papers/Business/GavtadzeGeorge.pdf>
5. ენციკლოპედიური ლექსიკონი.
6. უცხო სიტყვათა ლექსიკონი.
7. თ. ვაშაკიძე, ინოვაციური მცირე საწარმოების მხარდაჭერა ევროკავშირში.
8. საქართველოში პირველად მაღალი ტექნოლოგიებისა და ინოვაციების განვითარების ცენტრი შეიქმნება www.marketer.ge/ტექნოლოგიური-პარკი/

9. პირველი ტექნოპარკი საქართველოში.
gita.gov.ge/ge/home/pirveli-teqnologiuri-parki-saqartveloshi.page.

10. Жданова О. А. Роль инноваций в современной экономике // Экономика, управление, финансы: материалы междунар. науч. конф. (г. Пермь, июнь 2011 г.). — Пермь: Меркурий, 2011

11. <http://gita.gov.ge/ge/agency/about-gita> სააგენტოს შესახებ

12. <http://www.marketer.ge/ტექნოლოგიური-პარკი/> საქართველოში პირველად მაღალი ტექნოლოგიებისა და ინოვაციების განვითარების ცენტრი შეიქმნება

Eter Kakulia

THE ROLE OF INNOVATIONS IN ECONOMY

Annotation

The article discusses the necessity to differ the innovation and innovation comparative notions. Are studied the issues of innovation role, significance and functions. Is given the author's opinion on the location of techno in Georgia and first, on the elaboration of national innovation policy where there must be emphasized state supporting policy of innovation small business).

ქეთევან კიწმარიშვილი

ინოვაციური რესურსების მართვა

ინოვაციური რესურსები წარმოადგენს რესურსთა დამოუკიდებელ ჯგუფს, რომლებიც სპეციფიური განმასხვებელი ნიშნებით გამოირჩევა. სოციალურ-ეკონომიკური სისტემის ყველა სახის რესურსი, ერთად და ცალ-ცალკე, ხასიათდება შიდა სტრუქტურითა და ელემენტთა შემადგენლობით. ინოვაციური რესურსები მოიცავს შემდეგ ელემენტებს: კვლევით ცენტრებს, სპეციალურ დანადგარებს, ლაბორატორიულ დანადგარებს, ექსპერიმენტული ინფორმაციის მონაცემთა ბაზებს, საცდელ დანადგარებს, სპეციალისტებსა და მეცნიერებს, გამოკვლევებისა და ინოვაციათა დანერგვის გამოცდილებას, საგამომცემლო ცენტრებს, ინოვაციათა გაერცვლეებისა და დანერგვის ქვედანაყოფებს, ინოვაციათა დაბატონებისა და სამართლებრივი დაცვის სამსახურებს, ნოუ ჰაუსს, გამოგონებებს, სამეცნიერო ნაშრომებს, სამეცნიერო სკოლებს, ცოდნის ბაზებს, ინოვაციათა დანერგვის პროექტებს და სხვას. რესურსების შიდა და გარე რესურსებად განაწილება ხორციელდება თითოეული ამ სისტემის საზღვრების გათვალისწინებით, ამასთან, მხედველობაში მისაღებაა ის, რომ თითოეული ქვედა პოზიციაზე მდგომი სისტემა წარმოადგენს უფრო მსხვილი სოციალურ-ეკონომიკური სისტემის შიდა ელემენტს.

სოციალურ-ეკონომიკური სისტემის საქმიანობაზე რესურსების სხვადასხვა სახეობის ზემოქმედების რეიტინგები გვაჩვენებს, რომ ინოვაციურ რესურსებს (როგორც ფაქტორებს) 25 გამოსაკვლევი ფაქტორიდან უჭირავს I, III და VII ადგილები.

ინოვაციური რესურსების სტრუქტურა ყალიბდება მართვის პროცესში სოციალურ-ეკონომიკური სისტემის მიზნების შესაბამისად (სტრატეგიული, ტაქტიკური, ოპერატიული). სისტემათაშორის ურთიერთკავშირის არსებობის გათვალისწინებით, მათი მიზნების კოორდინირება პრიორიტეტულ მიმართულებებში ხორციელდება ყველა სუბიექტის მიერ სისტემების იერარქიული ნიშნების მიხედვით, რაც უზრუნველყოფს სოციალურ-ეკონომიკური სისტემის განვითარების ხელსაყრელ პირობებს მაკრო, მიკრო და მეზოლონელებზე.

მსოფლიო ეკონომიკისათვის, როგორც სოციალურ-ეკონომიკური სისტემისთვის, პრიორიტეტულია ინოვაციური საქმიანობის შემდეგი მიმართულებები:

➤ სამედიცინო ტექნოლოგიები (ზრდა მშპ-სთან მიმართებაში 2.5-დან 15%-მდე);

➤ ენერგოეფექტურობის გაზრდა (ენერჯის დაზოგვა, ენერგომიმდებების მარგიქმედების კოეფიციენტის გაზრდა, ნავთობის გადამუშავება, ნავთობმოპოვებისას წარმოქმნილი გაზების გამოყენება);

➤ ბირთვული ტექნოლოგიები (ავრევატები, ატომური ელექტროსადგურების ნარჩენების გადამუშავება და უტილიზაცია, ახალი თაობის რეაქტორები, წყალბადის საწვავის წარმოება);

➤ ტელეკომუნიკაციები და კოსმოსის სფერო (ელექტრონული წარმოება, კოსმოსის გამოკვლევები, კოსმოსური ხომალდების წარმოება და რეალიზაცია, კოსმოსური ტურიზმი);

➤ თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიები და პროგრამული უზრუნველყოფა (ყველა სახის რესურსის კადასტრები, სახელმწიფო მომსახურების გაწვევის ქსელური სისტემები).

ინოვაციური შესაძლებლობების (შიდა, გარე) შეფასების საფუძველზე სამეურნეო სუბიექტი დამოუკიდებლად ირჩევს თავისი განვითარების პრიორიტეტებს, განსაზღვრავს ინოვაციური საქმიანობის სტრატეგიას და სამეცნიერო ტექნოლოგიების სფეროში ბაზარზე ქცევის პოლიტიკას (წარმოება, გასაღება, მომსახურება, სერვისი, დაფინანსება, დაპროექტება, გამოკვლევა, კონსულტაციის გაწევა). ინოვაციური საქმიანობა ხორციელდება მიზნობრივი პროექტების სახით, რაც საშუალებას იძლევა, მიღებულ იქნეს დაპროექტებული ინოვაციების შედარებით ზუსტი აღწერილობა,

ასევე საჭირო ინოვაციური რესურსები და საწარმოს ინოვაციური შესაძლებლობები. პროექტი არის ის ძირითადი დოკუმენტი, რომელშიც აისახება ინოვაციური საქმიანობის საორგანიზაციო, ფინანსური, ტექნიკური, ტექნოლოგიური, სოციალური და სხვა გადაწყვეტილებების დასაბუთება. ინოვაციურ პროექტებში აისახება:

- დარგის სამეცნიერო-ტექნიკური და ტექნოლოგიური განვითარების პროგნოზი.
- ინოვაციურ პროდუქტით კომერციული პოტენციალის დახასიათება.
- ალტერნატიული პროექტების აღბათობის შეფასება.
- ახალი ტექნოლოგიების გამოყენების სფეროს განსაზღვრა (პროდუქციის, კვანძების, მომსახურების, ურთიერთქმედების სქემების და ა.შ.).
- ინოვაციური პროექტებზე მოსალოდნელი მოთხოვნილების შეფასება.
- კონკურენტუნარიანი ბიზნესის უზრუნველყოფა (ტექნოლოგიური უპირატესობა, საინვესტიციო მომხიბვლელობა, მარკეტინგული საქმიანობა).
- ბიზნესმოდელის დასაბუთება (ბიზნესიდეა, ამოცანათა ჩამონათვალი, ვადები, საინვესტიციო რესურსები).

თავისი არსით ინოვაციური საქმიანობა განიხილება სოციალურ-ეკონომიკური სისტემის განვითარების მიზნებით და მოქმედების ყველაზე მდგრადი და ეფექტური ფორმების ძიებით. ამ საქმიანობის განხორციელებისათვის საჭირო ცოდნა წარმოადგენს დომინანტ (წამყვან) კატეგორიას, ხოლო მისი განხორციელების საორგანიზაციო ფორმები (სამეცნიერო სკოლები) – სოციალურ-ეკონომიკური სისტემის საკვანძო ელემენტებს. საბაზრო ურთიერთობების პირობებში სამეცნიერო ნაშრომის შედეგები წარმოადგენს განსაკუთრებული სახის საქონელს, რომლის სამომხმარებლო ნიშან-თვისება მდგომარეობს იმაში, რომ ახალი თვისებების, კანონზომიერებებისა და მატერიალური სამყაროს მოვლენათა შესახებ ცოდნა გამოსადეგია შემდგომი გამოყენებისათვის.

მეცნიერული აღმოჩენებისა და გამოგონებების სამომხმარებლო ღირებულების სპეციფიკა ისაა რომ ის ხელმისაწვდომია ორიგინალური, გადამოწმებული და განზოგადებული ინფორმაციის სახით. ეს ინფორმაცია არ არის მატერიალური ხასიათის, თუმცა გამოიყენება ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის შექმნისას. ამგვარად, მეცნიერული აღმოჩენებისა და გამოგონებების, როგორც მეცნიერთა შემოქმედებითი მუშაობის შედეგების სამომხმარებლო ღირებულება იძლევა საზოგადოების ახალი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების საშუალებას და, დანახარჯების შემცირების შედეგად, საზოგადოებრივი წარმოების მაღალ ეფექტიანობას.

სისტემაში ელემენტის როლი, როგორც ცნობილია, განისაზღვრება მისი ადგილმდებარეობით სისტემის სტრუქტურაში. თავისი ბუნებით სამეცნიერო სკოლა წარმოადგენს გარკვეული სისტემას, რომელშიც იბადება და ვითარდება ახალი მეცნიერული იდეები.

მეცნიერულობა ნიშნავს დამტკიცებადს, ყოველმხრივ შესწავლილს, ლოგიკურად არაწინააღმდეგობრივს. იდეების შესწავლის ხარისხი კი სხვადასხვა შეიძლება იყოს: ეკლექტიკიდან და ქაოსიდან დაწყებული სისტემურობამდე.

საკუთრივ სამეცნიერო სკოლა, როგორც სამეცნიერო ურთიერთქმედების ორგანიზაციული ფორმა, ქმნის მხოლოდ იდეების წარმოქმნისა და მატერიალურ გარემოში (საზოგადოებაში) მათი „ტრანსპორტირების“ სათანადო პირობებს. იმისათვის, რომ იდეამ იცოცხლოს, საჭიროა არსებობდეს მისი მატარებელი ადამიანი და მისი დამოკიდებულება იდეისადმი:

- იდეის გაგება მიიღწევა ცოდნის გარკვეული (განსაზღვრული) დონის არსებობის შემთხვევაში.
- სოციალურ-ეკონომიკურ გარემოში (პირადი, საზოგადო) იდეის სარგებლიანობის გაცნობიერება ხდება პრაქტიკული კვლევების (გამოყენებითი მეცნიერების) გზით.
- კვლევითი ინტერესი (ცნობისმოყვარეობა), შემეცნების ინტერესების დაკმაყოფილებისკენ სწრაფვა, შემოქმედებითი ამბიციები, – მიიღწევა კვლევების კულტურის საშუალებებით, ლოგიკით, სიახლის აღქმით და მისი შეფასებით (ალიარებით).
- სამეცნიერო კვლევის პროგრამისა და პერსპექტივის არსებობა.

აღმოჩენები და გამოგონებები ადამიანთა შემოქმედებითი აზროვნების შედეგია. იგი ადამიანში ცოდნასა და განვითარებულ წარმოსახვის უნარს საჭიროებს. შემოქმედებითობა, რაც საფუძვლად უდევს მეცნიერულ საქმიანობას, ინდივიდუალური მოვლენაა. ის ასახავს გააზრებულ ურთიერთქმედებას კონცეფციებს ან ობიექტებს (ნიშან-თვისებებს, პრობლემებს, ჰიპოთეზებს) შორის, რომელთა კავშირი ამ დრომდე არ იყო განსაზღვრული. შემოქმედებითი ადამიანები ცნობისმოყვარენი არიან, აქვთ ცოცხალი წარმოსახვის უნარი, მზად არიან გარისკონ და „გაიტანონ“ ბოლომდე თავისი ნააზრევი. გამოირჩევიან დამოუკიდებლობით, მაგრამ მათი პროდუქტიულობის ხარისხი ასევე დამოკიდებულია იმ საერთო ატმოსფეროზე, სადაც ისინი მოღვაწეობენ. მეცნიერების ისტორია გვიჩვენებს, რომ შემოქმედებითობას ასტიმულებს ადამიანთა ურთიერთქმედება სხვადასხვა ფორმით (საუბრისას, საქმიანი თამაშით, დისპუტით, პოლემიკისას, დავის გზით, სასწავლო პროცესში, სამეცნიერო ნაშრომების პუბლიკაციით, კონფერენციებზე გამოსვლებით და ა.შ.). შემოქმედებითობის ასეთი ბუნება საჭიროებს გარკვეულ საორგანიზაციო პირობებს, რომლებიც ადამიანის შემოქმედებითი პოტენციალის წარმოქმნას ემსახურება. ექსპერიმენტები და ინოვაციები მეცნიერებაში, მათ შორის მენეჯმენტშიც, იძლევა იმ გაკვეთილებს, „რომელთა შედეგია ახალი

პრინციპებისა და სტრუქტურების საყოველთაოდ მიღებული გადაწყვეტილებები⁴². ამ მოვლენის შეზღუდული გააზრება და არასათანადოდ შეფასება ამცირებს ორგანიზაციის ინოვაციურ შესაძლებლობებს და რესურსებს.

თანამედროვე სამეცნიერო დარგის სტრუქტურა წარმოადგენს სხვადასხვა მასშტაბისა და დონის წარმოებების ფართოფორმატიან კომპლექსს, დაწყებული მცირე ბიზნესის საწარმოებიდან, სახელოსნოებისა და სპეციალური საცდელ-კონსტრუქტორული ორგანიზაციებიდან, დამთავრებული მსხვილი ფაბრიკებით, ქარხნებითა და სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციებით. კომპანიების გადარჩენის უნარი მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ინოვაციური რესურსების არსებობაზე და, უპირველეს ყოვლისა, – მისი მეცნიერული სკოლის კეთილდღეობაზე.


მეცნიერული პროდუქტი – ეს არის მრავალრიცხოვანი მომწოდებლების, მომიჯნავე სფეროს წარმომადგენელთა და მოიჯარეთა მუშაობის შედეგი. მეცნიერული პროდუქტის ახალი სახე იქმნება ინოვაციის ცენტრში, სადაც საფუძველი ეყრება პროდუქტის ხარისხის იმ მაჩვენებლებს, რომელთაც პერსპექტივაში მისი კონკურენტუნარიანობა მსოფლიო ბაზარზე უნდა უზრუნველყონ. სამეცნიერო პროდუქტის წარმოების სამეცნიერო სკოლა წარმოადგენს სპეციალისტთა ასაკობრივი კატეგორიების მიხედვით დაბალანსებულ გუნდს, მათი ცოდნის ერთიან რესურსს, დოკუმენტაციის სისტემას ინტელექტუალური საკუთრების ჩავლით, რეალიზებულ პროექტებს, მეთოდოლოგიებს, მეთოდებსა და, აგრეთვე, სამეცნიერო სკოლის მენეჯმენტს. ამ ტიპის სამეცნიერო სკოლების ძირითადი მიზანია ბაზარზე მოთხოვნადი სამეცნიერო პროდუქტის შექმნის რთული ამოცანების გადაჭრა.

სამეცნიერო სკოლის სტრუქტურის, როგორც ადამიანთა შემოქმედებითი თვისებების წარმოქმნის ძირითადი ფორმის შესახებ კვლევითი საქმიანობის ანალიზის შედეგად მიღებული წარმოდგენა მოცემულია ნახაზზე 1.1. სამეცნიერო სკოლა წარმოადგენს ამ პროცესის ბირთვის. ეკონომიკური თვალსაზრისით სამეცნიერო სკოლა ხასიათდება, როგორც სოციალურ-ეკონომიკური სისტემის ყველაზე უფრო კაპიტალტევადი ელემენტი. ხოლო მენეჯმენტის თვალსაზრისით, როგორც მაღალი სოციალური მნიშვნელობის ურთულესი წარმოება. ინოვაციური რესურსების ამ ელემენტის სწორი ფორმირება არის სოციალურ-ეკონომიკური სისტემის წარმატებული მართვის აუცილებელი წინაპირობა.

ცნობილია, რომ იდეის გადანერგვა ერთი წყაროდან მატარებელზე შეუძლებელია, ვინაიდან ჯერ აუცილებელია მისი გააზრება. დოქტორანტთა მომზადების პრაქტიკაში, მაგალითად, დისერტაციული კვლევის თემის არჩევა მაძიებლის პრეროგატივაა. ეს არჩევანი არ ხასიათდება სისტემური მიმართებით და ქაოსურია. ის შეიძლება არ შეესაბამებოდეს სამეცნიერო სკოლის ხელმძღვანელის კვლევების ლოგიკას. გამოკვლევის პროგრამის შესაბამისად თემის არჩევა ძნელდება მისი არარსებობის (ტიპური სიტუაცია) ან პრობლემის მთლიანობაში და მისი სტრუქტურული ელემენტების გააზრების სირთულის გამო.

სოციალურ-ეკონომიკური სისტემის ინოვაციური განვითარებისა და ინოვაციური რესურსების რაციონალური გამოყენების პრობლემა დაკავშირებულია სოციალურ-ეკონომიკური სისტემის არაერთგვაროვანი სტრუქტურისა და შემადგენლობის არაწინააღმდეგობრივი განვითარებისათვის საჭირო დასაბუთებული სისტემური გადაწყვეტილებების არარსებობასთან. ინოვაციური განვითარების შემაფერხებელია ტრადიციულად და ისტორიულად ჩამოყალიბებული შეზღუდვები (ეკონომიკური პოლიტიკა, კანონები, ეროვნული პრიორიტეტები, მოძველებული ორგანიზაციული ფორმები და სხვა). პრაქტიკულად, სოციალურ-ეკონომიკური სისტემის ყველა სახეობა და მართვა მენეჯმენტის თეორიაში ავტონომიურად განიხილება, რაც იწვევს მის დიფერენციაციას. სოციალურ-ეკონომიკური სისტემის ფარგლებში არსებული კავშირების ხასიათი და მათი შინაარსი მენეჯმენტის თეორიის მიხედვით, წარმოადგენს სოციალურ-ეკონომიკური სისტემის განვითარების და, შესაბამისად, ადამიანთა ცოდნის სისტემურობის მთავარ ფაქტორს.

⁴² Грант Р. М., Современный стратегический анализ, Питер, 2008.



ნახაზი 1.1. სამეცნიერო სკოლის ჩამოყალიბების პროცესის სტრუქტურა

გამოყენებული ლიტერატურა

1. აბრალავა ა., გზა მაღალტექნოლოგიური ეკონომიკისაკენ, თბ., 2001.
2. Инновационный менеджмент, под ред. С. Ильенковой, М., 2014.
3. Ильенкова С., Кузнецов, Основы менеджмента, М., 2011.

Ketevan Kitsmarishvili

**MANAGEMENT OF INNOVATIVE RESOURCES
Annotation**

Structure of innovative resources is formed during the management process in accordance with the objectives of social and economic system (strategic, tactic and operative). Having taken into account existence of intersystem interrelation, coordination of their objectives in privileged fields is provided by all parties, pursuant to the hierarchical signs of systems, ensuring advantageous conditions for the development of social and economic system on macro, micro and meso levels.

თეა ლაზარაშვილი

შვეიცარიის ინოვაციური სამრეწველო პოლიტიკა

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის (WEF) კლასიფიკაციის თანახმად, შვეიცარია შედის იმ ქვეყნების რიცხვში, სადაც ეკონომიკური განვითარების ძირითად ფაქტორს ინოვაციები წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ შვეიცარია არ არის მდიდარი სასარგებლო წიაღისეულით და არ გააჩნია საკუთარი სათბობ-ენერგეტიკული ბაზა, ეკონომიკის გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის მიხედვით, ის მაინც იკავებს პირველ ადგილს. მრავალი წლის განმავლობაში შვეიცარიას ლიდერის პოზიციები ეკავა მსოფლიოში ინოვაციური სფეროს განვითარებით, რაც მის კომპანიებს საშუალებას აძლევდა, მსოფლიო ბაზრების ცალკეულ სეგმენტში სამრეწველო საქონლის წარმოებით მოწინავე პოზიციები შეენარჩუნებინა.

ცნობილია, რომ შვეიცარიაში ეროვნული მეურნეობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან დარგს სწორედ გადაამამუშავებელი მრეწველობა წარმოადგენს, მიუხედავად ამისა, ეშპ-ის სტრუქტურაში მისი წილი მცირდება უმეტესობა განვითარებული ქვეყნების მსგავსად, რომლებიც განვითარების პოსტინდუსტრიულ ეტაპზე იმყოფებიან. 1980 წლიდან მოყოლებული დღემდე, ამ სექტორის წილი ეშპ-ში შემცირდა 23,8%-დან 19%-მდე. ამასთან, წარმოების მოცულობა გადაამამუშავებელ დარგებში გაიზარდა. მაგრამ, თუ შევადარებთ წარმოების მოცულობას ერთ სულ მოსახლეზე სხვადასხვა ქვეყნებში, შვეიცარიას მსოფლიო ლიდერის პოზიცია უკავია სამრეწველო წარმოების მოცულობით ერთ კაცზე (12400 აშშ დოლარი), რითაც ის მნიშვნელოვნად უსწრებს ისეთ ქვეყნებს, როგორცაა იაპონია (8600 დოლარი) და ჩინეთი (1500 დოლარი).

ყურადღებია ის ფაქტი, რომ შვეიცარიაში, როგორც ასეთი, არ არსებობს აქტიური სახელმწიფო სამრეწველო პოლიტიკა, მიმართული მრეწველობის ცალკეული დარგების მხარდაჭერი-

საკენ. ამ სფეროში შვეიცარიის პრიორიტეტს წარმოადგენს სამრეწველო სფეროს ინოვაციური კუთხით განვითარებისათვის საერთო კეთილსასურველი პირობების შექმნა და მხარდაჭერა, აგრეთვე სახელმწიფო რეგულირების თანდათანობით შემცირება საწარმოებს შორის ჯანსაღი კონკურენტუნარიანობის უზრუნველსაყოფად.

ასეთი მიდგომა შემდეგი მიზეზებითაა განპირობებული:

– შვეიცარიის ეკონომიკური სისტემის გახსნილობით, რომელიც ფუნქციონირებს საერთაშორისო სამართლებრივ ზონაში და ითვალისწინებს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის ნორმებს, რომლებიც ზღუდავენ ეკონომიკის ცალკეული სექტორების სახელმწიფო მხარდაჭერას;

– შვეიცარიის ეკონომიკის საფუძველს, კერძოდ სამრეწველო სექტორში, შეადგენს მცირე და საშუალო საწარმოები, რომლებიც სპეციალიზდებიან ისეთი პროდუქტის გამოშვებაზე, რომლებიც ორიენტირებულია ბაზრის ვიწრო სეგმენტზე;

– შვეიცარიის შიგა ბაზარი ძალზე მცირეა იმისათვის, რომ მიზანმიმართულად ასტიმულირებდეს ცალკეულ დარგებსა თუ ტექნოლოგიებს;

– შვეიცარიაში მიიჩნევენ, რომ გარკვეული პირობების გამო, სახელმწიფო დონეზე ყოველთვის ვერ ხერხდება მომავალზე ორიენტირებული მრეწველობის პერსპექტიული დარგების განსახლება;

– საერთაშორისო კონკურენციულ ბრძოლაში წარმატების მნიშვნელოვან ფაქტორად გლობალურ ბაზრებზე განხილვა მრეწველობაში ინოვაციის მაღალი დონე.

შვეიცარიაში სახელმწიფო სამრეწველო პოლიტიკის საკვანძო ამოცანას მოცემული სფეროს განვითარებისათვის, საერთო კეთილსასურველი პირობების შექმნა და მხარდაჭერა წარმოადგენს, რაც მოიცავს: ეფექტურ საგადასახადო სისტემას, საგარეო ეკონომიკური საქმიანობის, კერძო ინვესტიციებისა და ინოვაციების, განათლების მაღალი დონის და განვითარებული ინფრასტრუქტურის მხარდაჭერას.

შვეიცარიის ეკონომიკა მაღალი ექსპორტორიენტირებით ხასიათდება. საქონლისა და მომსახურების ექსპორტის წილი ქვეყნის ეშპ-ში მუდმივად აჭარბებს 50%-ს, რაც განპირობებულია შვეიცარიის ხელისუფლების მხრიდან საგარეო ეკონომიკური პოლიტიკისადმი განსაკუთრებული მიდგომით. შვეიცარიის ექსპორტის სახელმწიფო მხარდაჭერი სისტემა წარმოდგენილია შემდეგი ძირითადი ინფრასტრუქტურული ელემენტების სახით: სახელმწიფო სააგენტო საექსპორტო რისკების დარღვევის კუთხით, ექსპორტის მხარდაჭერი ორგანიზაცია და ექვსი შვეიცარული ბიზნესწარმომადგენლობა სახლვარგარეთ.

საყურადღებოა საგადასახადო და ფინანსური მხარდაჭერის პოლიტიკა შვეიცარიაში. ქ. კონსტიტუციის შესაბამისად, ყველა კანტონს დაბეგვის უფლება აქვს, გარდა იმ გადასახადებისა, რომელთა მოკრება ფედერალური მთავრობის პრეროგატივაა. შვეიცარიაში დაბეგვის ორდონიანი სისტემაა გამოყალიბებული: ფედერაციული ცენტრი, კანტონები და მუნიციპალიტეტები. ეს სისტემა ითვალისწინებს შედავათებს მწარმოებელი საწარმოებისათვის როგორც ფედერალურ, ისე კანტონურ (რეგიონულ) დონეზე. საგადასახადო შედავათების დაწესების საქმეში წამყვანი ადგილი სწორედ კანტონებს უკავიათ, რომელთაც საწარმოების მხარდაჭერის შედარებით ფართო ინსტრუმენტარები გააჩნიათ. პრაქტიკულად ყველა კანტონში შექმნილია ეკონომიკური განვითარების სააგენტოები, რომლებიც საწარმოებთან უშუალო დიალოგს აწარმოებენ მათთვის ფინანსური და საგადასახადო მხარდაჭერის გასაწევად, კანტონის ტერიტორიაზე წარმოების განთავსებისას. მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ შვეიცარიაში, კანტონებს შორის ინვესტორებისა და სამრეწველო საწარმოების მოზიდვის კუთხით, შედარებით მკაცრი კონკურენცია ჩამოყალიბდა, რომლის შესამსუბუქებლად ბოლო პერიოდში კანტონებს შორის ცალკეული რეგიონების განვითარების ეკონომიკური სააგენტოები შეიქმნა.

სამრეწველო საწარმოებისათვის საგადასახადო დოტაციებისა და სხვა სახის ფინანსური და ადმინისტრაციული მხარდაჭერისას, უპირატესობის მონიჭების თვალსაზრისით, კანტონალური ხელისუფლების მიერ გადაწყვეტილების მიღებისას უპირატესობა ენიჭება ბიზნესპროექტების შემდეგ მახასიათებლებს: გამოშვებული პროდუქციის მაღალი ინოვაციური შემადგენლობა; მაღალი დამატებითი ღირებულება; ახალი სამუშაო ადგილების შექმნა ან არსებული სამუშაო ადგილების ორიენტაციის შეცვლა; ეკოლოგიური უსაფრთხოება; ევროპის ბაზარზე მოთხოვნადი გამოშვებული პროდუქცია ან მომსახურება და სხვა.

ინვესტიციური პროექტით შექმნილი სამუშაო ადგილების რაოდენობის მიხედვით, საწარმოები და მათ შორის უცხოელი ინვესტორები, შეიძლება მთლიანად ან ნაწილობრივ იყვნენ გათავისუფლებული გადასახადებისაგან. კერძოდ, შედავათიანი დაბეგვის სახით გამოდის მოგებაზე გადასახადის დაბალი განაკვეთი ანდა გადასახადებისაგან სრულიად გათავისუფლება 10 წლით. ამასთან, ფედერალურ დონეზე საგადასახადო ტვირთის შემცირების დონე განისაზღვრება შედავათების მოცულობით, კანტონალური მთავრობის შემოთავაზების მხრიდან. ორმაგი დაბეგვის თავიდან აცილების მიზნით, შვეიცარიაში სახლვარგარეთის უმეტეს ქვეყნებთან დადო შესაბამისი შეთანხმება საგადასახადო სფეროში.

ერთ-ერთ დამახასიათებელ თვისებურებას წარმოადგენს ისიც, რომ შვეიცარიაში საწარმოებს შეუძლიათ, აგრეთვე, აიღონ შედავათიანი კრედიტები, რომელიც პროექტის ღირებულების 2/3-მდე

იქნება. გრანტები გამოიყოფა სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებზე და პერსონალის მომზადებაზე. ამას გარდა, ფედერალური მთავრობის მიერ დადგენილია ეკონომიკურად ნაკლებად განვითარებული რეგიონების სია, რომელთაც შეუძლიათ გამოიყენონ დახმარების დამატებითი ფინანსური და ადმინისტრაციული ზომები, მათ ტერიტორიაზე სამრეწველო წარმოების განვითარებისა და შექმნის მხარდაჭერის ზომები, რომლებიც მოიცავს ინვესტიციების დაფინანსებას, მიწის ნაკვეთებისა და უძრავი ქონების შექმნას და ინოვაციის მხარდაჭერას [3].

ფინანსური დახმარება საწარმოებს იმ პირობით გაეწევათ, თუ ისინი წარმოადგენენ კიდევ დამატებით დაფინანსების სხვა წყაროებსაც, რომელშიც შედის საწარმოს საკუთარი და ნასესხები საშუალებები. შვეიცარიაში მაქსიმალური დახმარების მოცულობა შემოიფარგლება საერთო ინვესტიციური დანახარჯების 50%-ით, მაგრამ არაუმეტეს 500000 შვეიცარული ფრანკისა.

შვეიცარიაში მრეწველობის სფეროს განვითარების ძირითად ელემენტს ინოვაციების სახელმწიფო მხარდაჭერა წარმოადგენს. ინოვაციური განვითარების საკითხი შვეიცარიაში ტრადიციულად განეკუთვნება სახელმწიფო მართვის ძირითად პრიორიტეტს, რადგან ქვეყანას, რომელსაც არ გააჩნია მნიშვნელოვანი სანედლეულო რესურსი, მხოლოდ აქტიური მეცნიერებატევადი ტექნოლოგიების დანერგვამ ე.წ. “ეკონომიკის რეალურ სექტორში”, მისცა საშუალება, გამხდარიყო მოწინავე სამრეწველო ქვეყანა მსოფლიოში. კვლევით პროგრამებზე ბოლო ათწლეულებში მთავრობის მიერ ყოველწლიურად გამოიყოფა ქვეყნის მშპ-ის თითქმის 3%, რაც სრულად შეესაბამება ევროკავშირის რეკომენდაციებს და ახასიათებს შვეიცარიას, როგორც ევროპულ ქვეყანას მაღალი სამეცნიერო პოტენციალით. ამასთან, სამეცნიერო კვლევებსა და შემუშავებაზე საერთო ხარჯების დაახლოებით 2/3 ფინანსირდება კერძო სექტორით და მხოლოდ 30% – ფედერალური და კანტონალური ბიუჯეტების სახსრების ხარჯზე [3].

შვეიცარული ინოვაციური სისტემის დამახასიათებელი თვისებებია ის, რომ, სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებით, გააჩნიათ განვითარების სააგენტოების მნიშვნელოვანი მხარდამჭერი ფართო პროგრამები.

ძირითად ნორმატიულ-სამართლებრივ დოკუმენტს, რომელიც არეგულირებს შვეიცარიის კონფედერაციაში კვლევებისა და ინოვაციების მხარდასაჭერად გასატარებელ ღონისძიებებს, წარმოადგენს “კვლევებისა და ინოვაციების მხარდამჭერი” ფედერალური კანონი, რომელიც 1983 წელს იქნა მიღებული და 2012 წელს რედაქტირებული. კანონის მიზანია სამეცნიერო კვლევებისა და ინოვაციების ხელშეწყობა, აგრეთვე კვლევების შედეგების შეფასება და მათი დანერგვა პრაქტიკაში; თანამშრომლობის კონტროლი და რეგულირება.

კანონით განსაზღვრულია კვლევებისა და ინოვაციების მხარდამჭერი ინსტიტუციური ორგანოები, აგრეთვე მათი კომპეტენციის სფეროები და ძირითადი ამოცანები. ინსტიტუციური ორგანოების სახით გამოდიან: სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობი შვეიცარიის ეროვნული ფონდი; შვეიცარიის სამეცნიერო აკადემიის კავშირი; ფედერალური ტექნიკური უმაღლესი სკოლები; სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები, რომლებიც იღებენ ფედერალური ბიუჯეტის სახსრებს კვლევებისა და ინოვაციების ხელშეწყობის ფარგლებში; შვეიცარიის ფედერალური მთავრობა, თუკი ის თვითონ ახორციელებს ანდა გამოდის კვლევების შემკვეთად; ტექნოლოგიებისა და ინოვაციების კომისია. კანონის შესაბამისად, კვლევების სფეროში უფლებამოსილმა ორგანოებმა, ფედერალური ბიუჯეტის ხარჯზე, ინოვაციების მხარდამჭერი საქმიანობის განხორციელებისას, უნდა გაითვალისწინონ ეროვნული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ამაღლება, დამატებითი ღირებულების გაზრდა და დასაქმება შვეიცარიაში.

ასასრულ, შეიძლება ითქვას, რომ შვეიცარიის სამრეწველო პოლიტიკის თავისებურებას ცალკეული დარგების მხარდაჭერა წარმოადგენს. ამასთან, სახელმწიფოს პრიორიტეტი სამრეწველო სფეროს მთლიანად განვითარებისათვის კეთილსასურველი პირობების შექმნაა, რომელიც მოიცავს განათლებისა და კვლევების მაღალ დონეს, ზომიერ დაბეგვრას, განვითარებულ ინფრასტრუქტურას, მდგრად ნორმატიულ-სამართლებრივ ბაზას, სამეწარმეო ინიციატივის თავისუფლების უზრუნველყოფას სახელმწიფოს მხრიდან ზემოქმედების მარეგულირებელი საშუალებების დაბალი ხარისხის ხარჯზე, აგრეთვე სტაბილურ სოციალურ-პოლიტიკურ სისტემას. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ფინანსური სახსრების გამოყოფისას ერთ-ერთ ძირითად კრიტერიუმს მაღალი ექსპორტორიენტულობა წარმოადგენს. ეს აიხსნება იმით, რომ შვეიცარია ღია ეკონომიკის ქვეყანაა, რომლის საექსპორტო კვოტა ემპ-ის 50%-ზე მეტია. ამასთან, მრეწველობის სფეროში ეს წილი 70-80%-ს შეადგენს. ამიტომ ყველაზე სიცოცხლისუნარიან საწარმოებად ისინი მიიჩნევა, რომელთა პროდუქციაც თავიდანვე საგარეო ბაზარზეა ორიენტირებული. ეს საბოლოოდ განსაზღვრავს ბიუჯეტის სახსრების გამოყენების ეფექტიანობას.

შვეიცარიაში ჩამოყალიბებულია ინოვაციების სახელმწიფო მხარდაჭერის კომპლექსური სისტემა განვითარებული ტერიტორიული ინფრასტრუქტურით, რომლის ეფექტურობას მხარს უჭერს დამოუკიდებელი ექსპერტების კვლევები. მნიშვნელოვან ფედერალურ ინსტრუმენტს ქვეყნის ინოვაციური განვითარების სტიმულირებისას გამოყენებითი ხასიათის კვლევითი პროექტების სახელმწიფო მხარდაჭერა წარმოადგენს, რომლის საბოლოო მიზანია ცოდნის ტრანსფერტი კვლევით დაწესებულებებსა და სამრეწველო საწარმოებს შორის.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Белов Н. И. Система мер государственной поддержки экспорта в Швейцарии на современном этапе. // БИКИ.-2012, Начало - №46 - С. 4, 5, 16, Окончание - №47.
2. Агенство экономического развития кантона Берн.
http://www.berneinvest.com/public/downloads/publiktionen_anlaufstell/41211_dienstleistungen_d_juni13.pdf
3. Н.И. Белов. Особенности промышленной политики Швейцарии, поддержка инноваций. Российский внешнеэкономический вестник. 7-2014.

Tea Lazarashvili

INNOVATION INDUSTRIAL POLICY OF SWITZERLAND Annotation

The article discusses Switzerland as one of advanced countries in development aspect. The attention is focused on the improvement of industry as a leading sector and on its peculiarities. It is also analyzed supporting forms and mechanism of national economy in taxation sphere, innovative activities of enterprises oriented at private investments and export.

ლეილა მამულაშვილი

ინოვაციური ეკონომიკის მნიშვნელობა და მისი ბაზრითარება

საქართველოსთვის საბაზრო პრინციპებზე დაფუძნებული ეკონომიკური სისტემის ფორმირების პირველი წლები საკმაოდ რთული აღმოჩნდა – ენერგობლოკადა, უკიდურესად დაძაბული კრიზისოვანი სიტუაცია, ტრადიციული კავშირებისა და ძველ მომწოდებელთა დაკარგვა, ახალი კავშირების არარსებობა, სამუშაო ძალის მიგრაციის მაღალი დონე და სხვა. იმ უარყოფითი ფაქტორების მცირე ჩამონათვალია, რომელსაც ეკონომიკური ვარდნა, ჰიპერინფლაცია და უმუშევრობის კატასტროფული ზრდა მოჰყვა. ქვეყანა სწრაფი ეკონომიკური რეფორმების გატარების აუცილებლობის წინაშე დადგა. რეფორმების ეტაპობრივმა განხორციელებამ მდგრადობა საგრძნობლად გააუმჯობესა, მაგრამ საბოლოოდ სასურველი შედეგი მაინც ვერ გამოიღო.

საქართველოს მთავრობის მიზანი გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდისთვის საფუძვლის შექმნა და მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებაა. საქართველოს მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკა სამ უმთავრეს პრინციპს ემყარება. პირველი პრინციპი ეკონომიკის რეალური სექტორის განვითარებაზე ორიენტირებული სწრაფი და ეფექტური ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფაა, რაც ხელს უწყობს ქვეყანაში არსებული ეკონომიკური პრობლემების გადაჭრას და სამუშაო ადგილების შექმნას. მეორე პრინციპია ეკონომიკური ზრდის ხელშემწყობი ეკონომიკური პოლიტიკის გატარება – მოსახლეობის საყოველთაო ჩართულობა ეკონომიკური განვითარების პროცესში. მესამე ძირითად პრინციპს ეკონომიკური განვითარების პროცესში ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება, ეკოლოგიური უსაფრთხოებისა და მდგრადობის უზრუნველყოფა წარმოადგენს.

განვითარებულ ქვეყნებში სამთავრობო პოლიტიკის დომინანტი ცოდნის ეკონომიკიდან ინოვაციური ეკონომიკისკენ გადაადგილდა. არსებობს მჭიდრო კავშირი განათლებას, სამეცნიერო კვლევებს და ინოვაცია-ბიზნესს შორის. განათლებისა და მეცნიერების ურთიერთკავშირს განსაკუთრებული როლი ენიჭება ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკის ინოვაციურ განვითარებაში.

ქართველ მეცნიერთა აზრით, საქართველოს ეკონომიკის პრიორიტეტულ დარგებში აღნიშნული კავშირის უზრუნველყოფა განვითარების სწრაფი ტემპების განმაპირობებელი. გამოგონებები ეკონომიკურ ღირებულებას იძენენ ინოვაციებში. გამოგონების ახალ პროდუქტს ან ტექნოლოგიაში მატერიალიზება არის ინოვაციური პროცესის უმნიშვნელოვანესი და ხშირად წინააღმდეგობებით სავსე ამოცანა. ინოვაცია, ფართო გაგებით, არის კონკრეტულ ობიექტთან მიმართებაში განხორციელებული ცვლილება, რაც მას დამატებით ღირებულებას სძენს.

საინოვაციო პოლიტიკა არის სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი, რომელიც განსაზღვრავს ინოვაციების დარგში სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების საქმიანობის მიზნებს, მიმართულებებს და მეთოდებს. ინოვაციური პროცესის განვითარება ხანგრძლივი პროცესია და მას ციკლური ხასიათი აქვს. დღეისათვის, შეზღუდული ფინანსური შესაძლებლობების პირობებში, საწარმოები ფინანსური რესურსების ძირითად ნაწილს წარმოების მიმდინარე საჭიროებების დასაფინანსებლად მიმართავენ და არა ინოვაციური პროექტების განსახორციელებლად. დღეისათვის, ცნობილ კორპორაციათა უმეტესობამ განვითარების საკმაოდ მაღალ დონეს ინოვაციურ პროგრამებში დაბანდებული ინვესტიციებით მიაღწია. ინოვაცია ხანგრძლივი პროცესია, რომელიც მნიშვნელოვანი იდეით იწყება და მისი წარმატებით განსახორციელებლად მნიშვნელოვანი კვლევა ჩასატარებელი. ინოვაციური პოლიტიკის გატარება ხელს უწყობს საქართველოში ბიზნესის განვითარებას და პასუხობს საერთაშორისო მოთხოვნებს. დღეს საქართველო მისწრაფის, გახდეს ევროპულ ფასეულობებზე დაფუძნებული ქვეყანა და მოახდინოს მასთან ეკონომიკური ინტეგრაცია. საქართველოს მომავალი ეკონომიკური წინსვლისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ხელშემწყობი ფაქტორია ყურადღების გადატანა ინოვაციურ განვითარებაზე და

შესაბამისი სისტემის ფორმირების ხელშეწყობა როგორც სახელმწიფო, ისე რეგიონულ და დარგობრივ ჭრილში. საინოვაციო პოლიტიკა არის ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის განუყოფელი ნაწილი, რომელიც განსაზღვრავს ინოვაციების დარგში სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების საქმიანობის მიზნებს, მიმართულებებს და მეთოდებს.

ინოვაციური სტრატეგიის სამი ძირითადი მიმართულება არსებობს: ახალი კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოების ათვისება ახალი და უახლესი ტექნოლოგიების, ქვეყნის საკუთარი მეცნიერულ-ტექნიკური და საწარმო-ტექნოლოგიური პოტენციალის და საერთაშორისო გამოცდილების გამოყენებით; ახალი კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოების ათვისება უცხოურ მეცნიერულ-ტექნოლოგიურ და ინოვაციური პოტენციალზე დაყრდნობითა და მაღალ-ეფექტიანი ახალი ტექნოლოგიების ლიცენზიების საზღვარგარეთიდან შექმნის გზით; ინოვაციური ტექნოლოგიური პროდუქციის (რომელიც მანამდე იწარმოებოდა ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებში) წარმოების ათვისება ქვეყნის საკუთარი ინოვაციური პოტენციალის გამოყენებით.

ინოვაციური პროცესი ციკლურ ხასიათს ატარებს. იგი მოიცავს კვლევას, ინოვაციურ გამოგონებას და ინვესტიციას. ქვეყნის მდგრადი ზრდისა და განვითარებისათვის ინოვაცია აუცილებელი პირობაა. საქართველოში 2014 წლის თებერვალში შეიქმნა ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო. გლობალური ეკონომიკის ყოველწლიური ზრდისთვის მნიშვნელოვანია გადამწყვეტი ინოვაციები კონკურენციის და ეკონომიკური განვითარებისათვის.

2013 წლის ივნისში მსოფლიო ბანკის მიერ გამოქვეყნებული რეპორტის – „ინოვაციების ხელშეწყობა საქართველოში“ – თანახმად თუ ვიმსჯელებთ, საწარმოები, რომლებიც აქტიურად გამოიყენებენ ინოვაციებს, უფრო სწრაფად ვითარდებიან და 30%-ით მეტ სამუშაო ადგილს ქმნიან, ვიდრე არაინოვაციური საწარმოები. ახალი სამუშაო ადგილების შესაქმნელად, შემოსავლების ზრდისთვის და ფართო საინვესტიციო შესაძლებლობების წარმოსაჩენად ინოვაციები განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სახელმწიფოსათვის. საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს საქმიანობა მიმართულია მომსახურებების და ინფრასტრუქტურული პროექტების ფორმირებისაკენ. სააგენტო მონაწილეობს კერძო და სახელმწიფო სექტორის მიერ ინოვაციების და კვლევის შედეგების კომერციალიზაციისა და ინოვაციური მეწარმეობის ხელშეწყობაში.

ქვეყანაში ინოვაციური საქმიანობის ხელშეწყობისათვის საჭიროა მეწარმეობის განვითარება მეცნიერულ-ტექნიკურ სფეროში; ინოვაციური ინფრასტრუქტურის განვითარება, ინოვაციური პროცესების განვითარების ხელშეწყობა ეკონომიკური და სამართლებრივი გარემოს შექმნა.

მსოფლიო გამოცდილება ადასტურებს, რომ მხოლოდ ცალკეული პროექტების განხორციელებით ქვეყნის ეკონომიკის განვითარება შეუძლებელია. ამიტომ საჭიროა საქართველოს ინოვაციური განვითარების სრული კონცეფციის შემუშავება. საქართველოს ეკონომიკის ინოვაციური განვითარების მთავარი გზაა საერთაშორისო საგანმანათლებლო და სამეცნიერო კავშირების უზრუნველყოფა. ინოვაციური ეკონომიკური პროცესები უნდა გავრცელდეს და დაინერგოს საქართველოს ყველა რეგიონში. ქართული კომპანიების მხოლოდ მცირე ნაწილი ცდილობს, სიახლე შესთავაზოს მომხმარებელს, დახვეწოს და გააუმჯობესოს საკუთარი პროდუქცია. კარგი იქნება, თუ ბიზნესის წარმომადგენლები პერიოდულად მოახდენენ გამოკითხვებს მომხმარებელთა შორის, გააწვდიან და ასახავენ რეალურ მდგომარეობას. აუცილებელია ინოვაციურ იდეებს საფუძვლად დაედოს კვლევის შედეგები.

ინოვაციური ბიზნესის განვითარება კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოების საფუძველია. მნიშვნელოვანია ინფორმაციისა და ინოვაციურ ტექნოლოგიებზე ხელმისაწვდომობა. სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს პოლიტიკურ-ეკონომიკური სტაბილურობა ქვეყანაში ინოვაციური პოლიტიკის შესაბამისი გარემოს შესაქმნელად. მნიშვნელოვანია საინფორმაციო საზოგადოების ფორმირებისთვის აუცილებელი პროექტების განხორციელების ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის სწორად წარმართვა და კოორდინირება.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ საქართველოში: ინოვაციური საქმიანობის სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის პოლიტიკა კიდევ უფრო მკაფიოდაა გამოსაკვეთი; ადგილი აქვს საწარმოთა ფინანსური რესურსების დეფიციტს; ტექნოლოგიურადაა ჩამორჩენილი ეკონომიკის რეალური სექტორის ცალკეული დარგი, რაც მათ მიერ გამოშვებული პროდუქციის კონკურენტუნარიანობას საგრძნობლად ამცირებს; არ არის განვითარებული მცირე ინოვაციური საწარმოები, რომლებიც ბაზრის ცვალებადი გარემოსადმი სწრაფად ადაპტირებას შეძლებდნენ. არსებული პირობებისა და შეზღუდვების გათვალისწინებით, საქართველოსთვის ოპტიმალურ გზას წარმოადგენს ისეთი სტრატეგიის განვითარება, რომელიც შედარებით ნაკლებ ფინანსურ დანახარჯებს მოითხოვს და დაეყრდნობა საქართველოს ძლიერ საერთაშორისო პოზიციებს მეცნიერულ-ტექნიკურ სფეროში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. atsu.edu.ge/EJournal/BLSS/eJournal/Papers/Business/GavtadzeGeorge.pdf
2. www.inovdev.ge/uploads/files/44346Presantation%20Tbilisi%20-GABUNIA.pdf
3. gita.gov.ge/ge/agency/about-gita
4. www.nplg.gov.ge/.../library.exe

5. <https://tsu.ge/science/?leng=ge&lcat=jurnal&jnomeri=4&tid=21>
6. online.tsu.edu.ge/ge/science/9970/?p=14
7. www.ambioni.ge > საზოგადოება

Leila Mamulashvili

AN INNOVATIVE ECONOMY AND THE IMPORTANCE OF ITS DEVELOPMENT
Annotation

One of the important factors contributing to future economic growth of Georgia is to focus on innovative development and promote appropriate system formation both at the national and sector context. Innovation policy is an integral part of the economic policy of a country that determines state bodies' objectives and methods in innovative sphere.

In order to support innovative activity in the country it is necessary to develop of entrepreneurship in the field of science and technology; the innovative infrastructure, for the development of innovative processes to create the economic and legal environment., economic development is not possible only by realizing individual projects, therefore it is necessary to elaborate complete concepts of innovative development.

იოსებ მასურაშვილი

გლობალური ბიზნესი და ტექნოლოგიური მეწარმეობის კონსპექტივები

ტექნოლოგიური მეწარმეობის, როგორც პირადი და გლობალური კეთილდღეობის შექმნის ფაქტორის მნიშვნელობა სულ უფრო დიდ ინტერესს იძენს. გასული საუკუნის 80-იანი წლების დასასრულიდან ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის განვითარებამ, გლობალიზაციამ და საერთაშორისო კონკურენციულმა ზეწოლამ გააძლიერა როგორც ინოვაციების მნიშვნელობა ადგილობრივ ეკონომიკებში, აგრეთვე ტექნოლოგიური მეწარმეობის მნიშვნელობა, როგორც გლობალური განვითარების ერთ-ერთი ფაქტორი. მიზეზი, რომლის მიხედვითაც ზოგიერთი დარგი განვითარებულია, ნაწილი კი არა, მდგომარეობს მოწინავე დარგების მიერ ტექნოლოგიური მეწარმეობის წარმატებით სტიმულირებაში. შუმპეტერი⁴³ იყო პირველი, ვინც ადასტურებდა მეწარმის ცენტრალურ პოზიციას ეკონომიკურ პროგრესში. შუმპეტერის მტკიცებით, მეწარმე აუცილებელია კაპიტალისტური პროგრესისთვის, ვინაიდან იგი იწვევს ცვლილებების პროვოცირებას. ხოლო თავად კაპიტალიზმი კი, შუმპეტერის მტკიცებით, უფრო იხრება დესტრუქციისკენ⁴⁴, ვიდრე სტაბილურობისკენ, რამდენადაც ხდება დარგის არსებითი სტრუქტურის შემცვლელი ინოვაციების დანერგვა. ეს კი სოციალური კეთილდღეობის წყაროა, რამდენადაც ის ახლის და საუკეთესოს დადგომის მაუწყებელია.

ტექნოლოგიურ მეწარმეობას ზოგიერთი მეცნიერი⁴⁵ განმარტავს, როგორც ბიზნესიდეოების სტილს, რომელიც თავის თავში მოიცავს მრავლისმთქმელ განმარტებას, კომერციული გასაღებისთვის ტექნიკური საშუალებებით პროდუქციის წარმოების მაღალი დონის შესაძლებლობებს, ისეთი რესურსების დაგროვებას, როგორცაა ტალანტი და კაპიტალი, აგრეთვე სწრაფი ზრდის და არსებითი რისკების მართვას გადაწყვეტილებების მიღების პრინციპული უნარების გამოყენებით. ტექნოლოგიური საწარმოები წარმატებულ მიღწევებს იყენებენ მეცნიერებასა და საინჟინრო საქმეში მომხმარებლისთვის საქონლის და მომსახურების სრულყოფის მიზნით. ტექნოლოგიური საწარმოების ხელმძღვანელები ავლენენ მიზანსწრაფულობას, გატაცებას და წარმატების მიღწევის სურვილს.

მკვლევრების ნაწილი ტექნოლოგიურ მეწარმეობას განსაზღვრავს როგორც პროცესებს, რომლის საშუალებითაც მეწარმეები არჩევენ ორგანიზაციულ რესურსებს, ტექნიკურ სისტემებს და სტრატეგიებს, რომელთა გამოყენებით საწარმოებმა შეიძლება გამოავლინონ სასურველი შესაძლებლობები. ტექნოლოგიური მეწარმეობა⁴ – ეს არის სამეცნიერო და ტექნიკური ცოდნის წარმატებული გამოყენება ერთი ან რამდენიმე ადამიანის მიერ, რომლებიც აფუძნებენ და მართავენ ბიზნესს და საკუთარ თავზე იღებენ ფინანსურ რისკებს მათი ხედვების და მიზნების მისაღწევად. ამ საქმიანობისთვის ინჟინრები ტექნიკურად სრულიად კვალიფიცირებულნი არიან მრავალმხრივ ურთიერთობაში, მაგრამ მათ ხშირად არ გააჩნიათ საკმარისი ბიზნესუნარები და მეწარმეობრივი ჭკუა. ტექნოლოგიური მეწარმეობის კვლევა მიმდინარეობს ანალიზის რამდენიმე საფეხურზე. გამოყოფენ ტექნოლოგიური მეწარმეობის ანალიზის შვიდ საფეხურს: ტექნოლოგიური მეწარმე, უნივერსიტეტები, კორპორაციები, კაპიტალი, ბაზარი/მომხმარებლები, მთავრობა და ექსპერტები. მაშასადამე, ტექნოლოგიური მეწარმეობის კვლევა არის დისციპლინათაშორისი და მოიცავს რამდენიმე საფეხურს. ნაშრომში ჩვენ მოკლედ განვიხილავთ ორ მთავარ ელემენტს – ტექნოლოგიურ მეწარმეობას და უნივერსიტეტებს.

⁴³ https://en.wikipedia.org/wiki/Joseph_Schumpeter.

⁴⁴ დესტრუქცია – რაიმეს ნორმალური სტრუქტურის დაშლა, დარღვევა.

⁴⁵ <http://www.amazon.com/Technology-Ventures-Enterprise-Thomas-Byers/dp/0073523429>

ტექნოლოგიური მეწარმე – ეს აღიარებული წამყვანი კატალიზატორია წარმოების ფორმირებისა და ზრდის პროცესში⁵. ჩვეულებრივ არაერთი ტექნოლოგიური მეწარმეა ჩართული ტექნოლოგიურად ორიენტირებული ფორმების შექმნის პროცესში.

ტექნოლოგიურ მეწარმეებს აქვთ ის ცოდნა, უნარები და სხვა თვისებები, რაც არ გააჩნიათ არატექნოლოგიურ მეწარმეებს. მათ აქვთ საკმარისი ტექნიკური ცოდნა, მაგრამ მათ არ ყოფნით წარმატებისთვის აუცილებელი ბიზნესუნარები. რამდენადაც ტექნოლოგიურ მეწარმეებს არ ყოფნით მეწარმეობისთვის აუცილებელი ცოდნა, ამდენად ყველა ტექნიკურმა უნივერსიტეტმა უნდა შესთავაზოს მეწარმეობის კურსები. მათ უნდა იცოდნენ, რომ მეწარმეობრივი განათლება – ეს შესანიშნავი საშუალებაა, ასწავლო უნივერსალური ლიდერული უნარები, რომელთაც იციან თუ როგორ მოაგვარონ მუდმივი ცვლილებები, ამასთან ერთად, თანადგომით მოეციონ ინოვაციურ განყოფილებას და ყოველთვის აინტერესებდეთ მათი წარმატებები. რაც შეეხება პიროვნებას, პერსპექტიული ტექნიკური მეწარმეები ითვლებიან ექსტრავერტებად, რომელთაც გააჩნიათ ინტუიცია.

ტექნოლოგიური მეწარმის მოტივაციური მამოძრავებელი ძალები არის წარმატების მთავარი „ძრავა“ და მცირედით განსხვავდება არატექნოლოგიური მეწარმეების მამოძრავებელი ძალებისგან. ბიზნესის დასაწყებად საჭირო სამი მთავარი სტიმულია – „დამოუკიდებლობა“, „კეთილდღეობა“ და „ძიება გამოყენებისთვის“. რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, დამოუკიდებლობის მოპოვების სურვილი დაყოფილია ორ ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავებულ სუბმოტივებად: „თავისუფლება“ და „კონტროლი“ („მართვა“). მაშინ, როცა თავისუფლების სურვილი ხშირად მომდინარეობს აუცილებლობიდან – წინა სამუშაო ადგილის „სულისშემძვრის“ ბიუროკრატია“ გაექცნენ სახელმწიფო და არასახელმწიფო სექტორის დიდ კორპორაციებში და მიადწიონ საკუთარი (ხშირად კვლევითი) გეგმების შესრულებას.

წყაროების მიღწევადობა, რომელიც შესაძლებელი გახდა მეწარმის კავშირების გამო, გარკვეულწილად აძლიერებს სიცოცხლისუნარიანობას და ახალი ფორმების ზრდას, ამის გამო განსაკუთრებულად უფრო მნიშვნელოვანია მეწარმის კავშირები (მეგობრები, ნათესავები, ნაცნობები). XX საუკუნის ზოგიერთმა მკვლევარმა განსაზღვრა სოციალური კავშირები, როგორც პირადი კონტაქტის ქსელი, რომლის დახმარებითაც ადამიანი განსაზღვრავს საკუთარ სოციალურ იდენტურობას და იღებს ემოციურ მხარდაჭერას, მატერიალურ თუ სხვა დახმარებას, ინფორმაციას და იძენს ახალ სოციალურ კონტაქტებს.

მთავარი პრეტენდენტები მაღალტექნოლოგიურ ტექნიკურ მეწარმეობაზე – ეს არის საგულდაგულოდ შერჩეული კადრები, რომლებიც გამოეყვნენ ან სახელმწიფო კვლევითი დაწესებულებებიდან (უნივერსიტეტების ჩათვლით), ან არსებული (ჩვეულებრივ, დიდი) სამრეწველო ფორმებიდან⁷. მაგრამ არ უნდა დაგვაიწყდეს, რომ ვინც ინდივიდუალურ კვლევებსა და განვითარებაზე გახსნა თავისი ახალი, ტექნოლოგიურად დასაბუთებული ფორმა, მას არ შეუძლია არსებობა მხოლოდ უნივერსიტეტის ან არსებული კომპანიების ჩარჩოებში.

მკვლევრების მიერ განსაზღვრულია უნივერსიტეტის სამი მთავარი როლი, დაკავშირებული ახალ ფორმებთან, რომელთა ბიზნესიც დაფუძნებულია ტექნოლოგიებზე. ესენია: **საგანმანათლებლო როლი, როლი საუნივერსიტეტო კვლევებისა და განვითარების ბაზაზე ახალი მაღალტექნოლოგიური კომპანიების, spin-off კომპანიების, ინკუბატორების დაფუძნებაში და მაღალტექნოლოგიურ კომპანიებთან (კლასტერები, ტექნოლოგიური პარკები და ა.შ.) ურთიერთქმედების როლი.**

უნივერსიტეტები და სხვა უმაღლესი დაწესებულებები არის როგორც ტექნიკური აგრეთვე სამეწარმეო ახალი სამეცნიერო ცოდნის მნიშვნელოვანი წყარო⁸. იმაში დასარწმუნებლად, რომ ტექნოლოგიური მეწარმეები, წარმატების დიდი ალბათობით, ტექნოლოგიებზე დაფუძნებულ ახალ ფორმას გახსნიან ბიზნესთან ერთად, ტექნიკური ფაკულტეტები უნდა გაერთიანდნენ ბიზნეს-ფაკულტეტებთან მომავალი ტექნიკური მეწარმეების მოსამზადებლად. არსად ტექნიკური აღმოჩენები არ თამაშობს ისეთ მნიშვნელოვან როლს ახალი ვენჩურული საწარმოს ჩამოყალიბებაში, როგორც უმაღლესი განათლების კვლევით ინსტიტუტებში, რომლებიც თანამედროვე ნაყოფიერი ნიადაგია სამეცნიერო მიღწევებისა და ტექნოლოგიური ინოვაციებისათვის⁹. ამიტომ საუნივერსიტეტო spin-off კომპანიები¹⁰ და საუნივერსიტეტო ინკუბატორები განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია. ტერმინი spin-off ნიშნავს რომ ახალი კომპანია წარმოიშობა როგორც შვილობილი კომპანია. ჩვეულებრივ, მომუშავე (მომუშავეები) მიდის რა დედაკომპანიიდან, თან მიაქვს ტექნოლოგია, რომელიც მისთვის ერთგვარი „საშვია“ მაღალი ტექნოლოგიების ინდუსტრიის ახალ კომპანიაში. spin-off კომპანიები ცნობილია აგრეთვე, როგორც start-up¹¹ და spin-aut¹² კომპანიები.

spin-off კომპანიების წარმატების მნიშვნელოვანი ფაქტორია „დედა-კომპანიებიდან“ მხარდაჭერის ღონე, უნივერსიტეტების შემთხვევაში, ჩვეულებრივ საუნივერსიტეტო ინკუბატორების ჩარჩოებში. საუნივერსიტეტო ინკუბატორების შექმნა – ეს ფართოდ გავრცელებული პოლიტიკაა, რომელიც გამოიხსნის სტუდენტებსა და თანამშრომლებში ვენჩურული საწარმოების გახსნის წახალისებაზე. ეს უზრუნველყოფს მეწარმეებს საწარმოო პროცესის ეფექტიანობის ექსპერტული შეფასებებით და იმ ინსტრუმენტებით, რომლებიც სჭირდებათ მათ საკუთარი საწარმოების წარმატებისთვის. ინკუბატორების შექმნა განპირობებულია¹³ როგორც ბიზნესის მხარდაჭერის პროცესი, რომელიც აჩქარებს „სტარტაპების“ და ახალგაზრდა კომპანიების წარმატებულ განვითარებას მეწარმეების უზრუნველყოფით მიზნობრივი რესურსებით და დახმარებით. ეს დახმარება ჩვეულებრივ

შემუშავებული ან დაგეგმილია ინკუბატორის ხელმძღვანელობის მიერ და მას სთავაზობენ როგორც ინკუბატორში, აგრეთვე მასთან დაკავშირებული კონტაქტების ჯგუფის ქსელის მეშვეობით. ინკუბატორის მთავარი მიზანი მდგომარეობს წარმატებული ფირმების შექმნაში, რაც პროგრამას ფინანსური თვალსაზრისით გახდის სიცოცხლისუნარიანს და ავტონომიურს. ინკუბატორის „კურს-დამთავრებულებს“ აქვთ სამუშაო ადგილების შექმნის პოტენციალი, რეგიონში ეკონომიკის აღორძინების, ადგილობრივი და ეროვნული ეკონომიკის ახალი ტექნოლოგიებიდან და ძალისხმევიდან მოგების მიღება.

უნივერსიტეტებს, კვლევით ცენტრებს, კორპორაციებს, მცირე და საშუალო საწარმოებს და ახალ ტექნოლოგიებზე ორიენტირებულ ფირმებს შორის თანამშრომლობა, ისევე, როგორც ურთიერთობა მათ შორის, არის მსოფლიო ბაზარზე ამ ფირმების წარმატების ძირითადი პირობა. კერძოდ, ტექნოლოგიური მეწარმეებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კლასტერები და ტექნოლოგიური პარკები.

არ არსებობს ახალი ან ძველი დარგები, მაგრამ არის კომპანიები, რომლებიც მეტ-ნაკლებად წარმატებულნი არიან ახალი ტექნოლოგიების შექმნასა და გამოყენების და განვითარების მართვაში. კლასტერების შექმნის მიზანშეწონილობა შეიძლება განხილული იყოს ძველი გამოთქმის ჭრილში: „ერთი თავი კარგია, მაგრამ ორი უკეთესია“. კლასტერები მოიცავს კომპანიებს, რომლებიც დაკავებულნი არიან მსგავსი ან ნებისმიერი სხვა ბიზნესით, აგრეთვე ცოდნის მესაკუთრებს, რომლებიც აუცილებელია ყველა კომპანიის და ჯგუფის კონკურენტუნარიანობის გასაძლიერებლად მთლიანობაში, ისევე, როგორც სხვა დაწესებულებები და ორგანიზაციები, რომლებიც ბიზნესს უზრუნველყოფენ ცოდნის, ტექნოლოგიების, წყაროების და ფულადი სახსრების კრიტიკული მასით. ჯგუფის საერთო ინტერესებს ურთიერთობა აქვს მიმწოდებლებთან, მომხმარებლებთან სპეციალიზებულ მომსახურებასთან, სამუშაო ძალასთან და სხვა რესურსებთან. კომპანიებს კლასტერში აქვთ საერთო ხედვა, მაგრამ არ არის აუცილებლობა, ერთად განახორციელონ ყველა საკუთარი ბიზნესმიზანი. მსოფლიო მასშტაბით ბევრია მაგალითი, რომლებიც გვიჩვენებს, რომ ასეთი გაერთიანებები – ეს ერთ-ერთი ძირითადი ელემენტია რეგიონების და სახელმწიფოს კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფაში, რამდენადაც კლასტერები ხელს უწყობს უნიკალური ცოდნის შემუშავებას, რომელთანაც ძალიან რთულია დაპირისპირება კონკურენციის პირობებში. სწორედ ცოდნის ეს სახე უზრუნველყოფს კომპანიებს, რეგიონებს და სახელმწიფოს გარკვეული უპირატესობებით კონკურენტების წინაშე, მზრდადი გლობალიზაციის მიუხედავად. ამიტომ, არცთუ შემთხვევით, კლასტერები არის მსოფლიო კონკურენტული ეკონომიკის მნიშვნელოვანი შემადგენელი. კლასტერები ახდენს მნიშვნელოვან გავლენას ინოვაციურ საქმიანობასა და კონკურენციაზე, გამოცდილების და ინფორმაციის მიღებაზე, აგრეთვე ბიზნესის ზრდასა და გრძელვადიან განვითარებაზე.

ტექნოლოგიური პარკების მთავარი მიზანია უზრუნველყოს გარე სამყაროს რგოლების ურთიერთკავშირი, რაც დააჩქარებს ურთიერთქმედებას წყაროებს, იდეებს, ადამიანებსა და მოწყობილობებს შორის. ეს ხდება კომპანიებს და დიდ კვლევით ორგანიზაციებს შორის, მაგალითად უნივერსიტეტებს შორის. ტექნოლოგიური პარკები უნივერსიტეტებთან, მთავრობასთან, ადგილობრივ ხელისუფლებასთან და ბიზნესგარემოსთან ქმნიან მცირე კომპანიებს და სთავაზობენ მათ საკონსულტაციო, საგანმანათლებლო და მმართველობით დახმარებას და ინფრასტრუქტურას. ისინი, ისევე, როგორც შიდა და გარე სპეციალისტები, მეცნიერებასა და ბიზნესში ერთმანეთთან აკავშირებენ სხვადასხვა ცოდნას. ამით კი სამეწარმეო იდეების განვითარებისთვის იქმნება კეთილგანწყობილი გარემო. გარდა ამისა, პარკების სანდობა, განაპირობებს რესურსებით უზრუნველყოფას. მაშასადამე, ტექნოპარკები ხელს უწყობს კომპანიებს მათი დამოუკიდებლობის ან ინტერნაციონალიზაციის გზაზეც კი, რომელიც წარმოადგენს უმეტესი იმედის მომცემი ტექნოლოგიური კომპანიების მიზანს. ტექნოლოგიური პარკი – ეს ახალი ტექნოლოგიური ცოდნის მიღების თანამედროვე მეთოდი და არსებული ინფორმაციის ლოკალურ (სიტუაციურ) ორგანიზაციულ და სტრუქტურულ დონეზე გაერთიანებაა. ის სთავაზობს კომპლექსურ გადაწყვეტას, მაშინ, როდესაც ტექნოლოგიური ცენტრები ფუნქციონირებენ მცირე და საშუალო საწარმოებთან ერთად.

დასკვნა. რამდენადაც ტექნოლოგიური მეწარმეობა შედარებით გამოსაკვლევია თემა და, ამავე დროს, ის გვევლინება ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად, ამდენად, ტექნოლოგიური მეწარმეობის ძირითადი ელემენტები განსაზღვრული უნდა იყოს მისი ზრდის სტიმულირებისათვის.

ტექნოლოგიური მეწარმეობა უნდა დაეხმაროს მკვლევარებს შექმნან საფუძველი მომავალი კვლევებისთვის და მოემსახურონ სახელმძღვანელოდ მთავრობას, თუკი მას სურს ტექნოლოგიური მეწარმეობის სტიმულირება და განვითარება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Association of University Technology Managers. The AUTM Licensing Survey: Fiscal Year 1999. Association of University Technology Managers, Norwalk, CT. 2000.
2. Walker, K.N., MacBride, A., Vachon, M.L.S. Social Support Networks and the Crisis of Bereavement. Social Science and Medicine 35, 1977.

3. Hans Löfsten, Peter Lindelöf - Science Parks and the growth of new technology-based firms—academic-industry links, innovation and markets. July 21, 2001. www.elsevier.com
4. Markman D.G., Phan P.H., Balkin D.B., Gianiodis P.T. Entrepreneurship and university-based technology transfer. Journal of Business Venturing, 20, 2005. www.elsevier.com
5. Colyvas, J., Crow, M., Gelijns, A., Mazzoleni, R., Nelson, R.R., Rosenberg, N., Sampat, B.N. How do university inventions get into practice? Manage. Sci. 48, 2002.
6. Franklin, S., Wright, M., Lockett, A. Academic and surrogate entrepreneurs in university spin-out companies. J. Technol. Transf. 26. 2001.

Ioseb Masurashvili

GLOBAL BUSINESS AND PROSPECTS OF TECHNOLOGICAL ENTREPRENEURSHIP
Annotation

Technological enterprises use successful achievements in science and engineering for the improvement of consumer goods and services. Heads of technology companies exhibit purposefulness, passion and relentless desire to succeed. Usually technological entrepreneurs have the knowledge, skills and other qualities that are absent in non-technological entrepreneurs. They have sufficient technical knowledge, but they lack the business skills needed to succeed. technological entrepreneurship should help researchers create a foundation for future research and provide guidance to governments wishing to develop and encourage technological entrepreneurship.

ქეთევან მდინარაძე
ეკა აბესაძე

ელექტრონული მმართველობა – ციფრული დემოკრატია: არსი, მიზნები, შედეგები

ისტორიული საზომით სამყაროში ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების არსებობის ხანგრძლივობა წამიერია. მიუხედავად ამისა, კაცობრიობამ მოასწრო ცივილიზაციის განვითარების მიმართულების განსაზღვრა – ეს არის ინფორმაციული საზოგადოება. თანამედროვე თვალსაზრისით ინფორმაციულ საზოგადოებაში ინფორმაციის წარმოება და მოხმარება წარმოადგენს არსებით საქმიანობას, ინფორმაცია, სხვა მატერიალურ რესურსებთან ერთად, – არსებით რესურსს, ხოლო ინფორმაციული გარემო, სოციალურ და ეკონომიკურ გარემოსთან ერთად, – ადამიანის ახალ საარსებო გარემოს.

ინფორმაციული საზოგადოების რეალიზაცია შეუძლებელია ელექტრონული მმართველობის დანერგვის გარეშე. ელექტრონული მმართველობა ითვალისწინებს მოსახლეობისა და ბიზნესისათვის მიწოდებული მომსახურების ოპტიმიზაციას, მოქალაქეების თვითმომსახურების შესაძლებლობების გაზრდას და მხარდაჭერას, მოქალაქეების ტექნოლოგიური ცნობადობის და კვალიფიკაციის ამაღლებას ქვეყნის ხელმძღვანელობისა და მართვის პროცესში, გეოგრაფიული ადგილმდებარეობის ფაქტორის ზემოქმედების შემცირებას.

რამდენადაც „ელექტრონული მმართველობა“ ფორმირების ეტაპზე იმყოფება, შესაბამისად, არ არის მკაფიოდ ჩამოყალიბებული მისი განმარტება. განსაზღვრება „ელექტრონული“ პირობითად აღნიშნავს სახელმწიფო ორგანოებსა და მოქალაქეებს შორის კავშირის ახალ ინფორმაციულ-კომუნიკაციურ არსებს. „ელექტრონული მმართველობის“ შესახებ აშშ-ს 2002 წლის კანონის და სხვა ოფიციალური დოკუმენტების შესაბამისად, ელექტრონული მმართველობა განისაზღვრება როგორც სახელმწიფო ორგანოების, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და საზოგადოების ინფორმაციული ურთიერთქმედება საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით.

რუსი მეცნიერის ი. ირხინის განმარტებით, ინტერნეტტექნოლოგიები უზრუნველყოფს ხელისუფლების ორგანოების საინფორმაციო ურთიერთდამოკიდებულებას მოსახლეობასა და სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტებთან. მისი აზრით, ელექტრონული სახელმწიფოს პირდაპირი თარგმანი ზუსტად არ ასახავს ამ სიტყვის არსს; – უფრო ზუსტი იქნებოდა სახელმწიფო და მუნიციპალური მართვის ელექტრონული ინფრასტრუქტურა, რომელიც აერთიანებს ინტერნეტტექნოლოგიებს, ერთი მხრივ, ხელისუფლების ორგანოებსა და, მეორე მხრივ, მოქალაქეებს, ბიზნეს-ორგანიზაციებსა და საზოგადოებრივ გაერთიანებებს შორის ურთიერთკავშირის მიზნით. თუმცა ტერმინმა „ელექტრონული მმართველობა“ მნიშვნელოვანი სამოქალაქო აღიარება მოითხოვა, ფართოდ გამოიყენება სამეცნიერო და მმართველობით ლიტერატურაში, ხასიათდება ღირსებებით (ლაკონურობა, ინოვაციურობა).

ცნების „ელექტრონული მმართველობა“ ერთ-ერთი მნიშვნელობაა „ელექტრონული სახელმწიფო“, რომელიც ყველაზე ზუსტად შეესატყვისება ინგლისურ ტერმინს „e-government“. თანამედროვე საერთაშორისო-სამართლებრივ დოკუმენტებში, კერძოდ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებში, ტერმინი „government“ გამოიყენება სახელმწიფოს, როგორც ერთიანი სისტემის, აღსანიშნავად. აქ იგულისხმება არა მხოლოდ მთავრობა, როგორც

ადმასრულებელი ხელისუფლების ცენტრალური ორგანო, არამედ ხელისუფლების სამივე შტოს (საკანონმდებლო, ადმასრულებელი და სასამართლო) გაერთიანება.

კონცეფცია და თვითონ ტერმინი ელექტრონული მმართველობა გაჩნდა არცთუ დიდი ხნის წინ – მე-20 საუკუნის ბოლოს, როდესაც ბევრი სახელმწიფო შეეჯახა ხელისუფლების ორგანოების მუშაობის დაბალი ეფექტურობის პრობლემას, რაც გამოიხატებოდა მაღალ დანახარჯებში, კორუფციაში, გადაწყვეტილების მიღების შეფერხებაში და სხვ.

ელექტრონული მმართველობის განვითარება არა მხოლოდ სახელმწიფო ადმინისტრირების ხარისხის გაუმჯობესებას გულისხმობს, არამედ, პირველ რიგში, მთავრობის ანგარიშვალდებულების გაზრდას, გამჭვირვალე მმართველობას და ხელისუფლებასა და მოქალაქეებს შორის ურთიერთობის თანამედროვე ფორმების დამკვიდრებას ნიშნავს, რაც საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში მოქალაქეების აქტიურ მონაწილეობაში გამოიხატება.

საქართველომ ელმმართველობის განვითარების კუთხით მნიშვნელოვანი წინსვლა განიცადა. ამას მოწმობს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ ჩატარებული კვლევა, რომლის თანახმად, საქართველომ 2012 წლისთვის 102-ე ადგილიდან 72-ე ადგილზე გადაინაცვლა და რეგიონის ქვეყნებში პირველ ადგილს იკავებს. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს მთავრობა 2011 წლის სექტემბერში შეუერთდა გლობალურ ინიციატივას და „ღია მმართველობის პარტნიორობის“ ფარგლებში აიღო ვალდებულება, განავითაროს გამჭვირვალე მმართველობის სისტემა ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, საჯარო მომსახურების გაუმჯობესებისა და მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდის გზით.

უნდა აღინიშნოს, რომ სამთავრობო უწყებები მეტ-ნაკლებად ცდილობენ მაქსიმალურად ინფორმაციული გახადონ და დახვეწონ ოფიციალური ელექტრონული რესურსები (ვებგვერდები, სოციალური ქსელები), ბევრი საჯარო დაწესებულება საკმაოდ საინტერესო ელექტრონულ სერვისებს და ინიციატივებს სთავაზობს მომხმარებელს. თუმცა ისინი ნაკლებად გამოიყენება საკომუნიკაციო პროცესში. IDFI-ის მიერ ჩატარებულმა სხვადასხვა სახის კვლევებმა დაადასტურა, რომ არც უკვე არსებული რესურსების გამოყენება ხდება რაციონალურად და ეფექტურად. პოზიტიური ძვრების მიუხედავად, შეიძლება ითქვას, რომ მოცემულ ეტაპზე კომუნიკაცია ხელისუფლებასა და მოქალაქეს შორის როგორც ვებგვერდებზე, ასევე სოციალურ ქსელებში, ცალმხრივი ხასიათისაა.

მოქალაქეებზე ორიენტირებული მმართველობის სისტემის ჩამოყალიბებისთვის მნიშვნელოვანი წინაპირობაა ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და მოქალაქეების ჩართულობის უზრუნველყოფა გადაწყვეტილების მიღების პროცესში. საზოგადოებასთან ეფექტური კომუნიკაციისათვის კი აუცილებელია ახალი ინფორმაციული ტექნოლოგიების მაქსიმალური გამოყენება მოსახლეობის ინფორმირებისა და მათთან ინტერაქციის დასამყარებლად. აუცილებელია საჯარო დაწესებულებებმა შეცვალონ მიდგომა საკითხისადმი, დახვეწონ საზოგადოებასთან კომუნიკაციის სტრატეგია და უფრო მეტი ყურადღება დაუთმონ ელექტრონული საშუალებების განვითარებას.

საჯარო დაწესებულებების მთავარ მიზანს გამჭვირვალე საქმიანობა და საზოგადოებასთან დიალოგის გზით მოქალაქეთა ნდობის მოპოვება უნდა წარმოადგენდეს, ამისათვის კი აუცილებელია მოსახლეობის მუდმივი ინფორმირება საჯარო დაწესებულებების საქმიანობების შესახებ. სხვადასხვა ინოვაციური სერვისების დანერგვის პარალელურად უნდა მოხდეს მათი ფუნქციონირების შეფასება, პოპულარიზაცია და ამ მომსახურებებზე წვდომა მაქსიმალურად უნდა გაუმარტივონ მოსახლეობას.

დღეს, სახელმწიფოები თავისი მნიშვნელობის რეალიზებას ახდენენ ელექტრონული მთავრობის კონცეფციით, როგორცაა: მომსახურება, მმართველობითი პროცესი, ანგარიშვალდებულება, ღიაობა, პასუხისმგებლობა, სწრაფი ინტერაქტიულობა, კომუნიკაცია, მყისიერი ინფორმირება, მოქალაქეების ჩართულობა მართვაში, ციფრული ბიუროკრატის განხორციელება და სხვა.

ელექტრონული მთავრობის პროგრამების პრიორიტეტულობა, ხარისხიანი სახელმწიფო მომსახურება, მოქალაქეებზე ფოკუსირება, ნდობის განმტკიცება გახდა მთავრობის პოლიტიკური მიზანი, როგორც გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდის წინაპირობა. არსებითია, რომ ელექტრონული მთავრობის პროგრამების მრავალმიზნიანი ეკონომიკური როლი აღიარებულია როგორც ეკონომიკური რეცესიის წინააღმდეგ ბრძოლისა და ეკონომიკის აღდგენის პროგრამა. აღიარებულია, რომ ელექტრონული მთავრობა ქმნის „მთავრობის კეთილდღეობას“, რომელიც თანაბრად სასარგებლოა მოქალაქეებისათვის, კერძო და სახელმწიფო სექტორისათვის.

საქართველოში ელექტრონული მთავრობა წარმოადგენს არსებული ეკონომიკური პოლიტიკის გამოწვევების პასუხს და ფასდება, როგორც კრიზისის მართვის, პოლიტიკური რყევების პრევენციისა და სოციალურ-ეკონომიკურ ძვრებთან ადაპტაციის ფორმა.

საქართველო ელექტრონული მმართველობის განვითარების კუთხით ერთ-ერთი რეგიონული ლიდერია, თუმცა ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი ინტერნეტის არათანაბარი ხელმისაწვდომობა ქალაქებსა და რეგიონებს შორის.

აღნიშნული პრობლემის გადასაჭრელად ჯერ კიდევ 2006 წლის მარტში, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით შეიქმნა ეფექტიანი მმართველობის სისტემისა და ტერიტორიული მოწყობის რეფორმის ცენტრი, რომელმაც შეიმუშავა მეტად მნიშვნელოვანი კონცეპტუალური

დოკუმენტები. მათ შორის საქართველოს ინფორმატიზაციის სახელმწიფო კონცეფციის პროექტი და ელექტრონული მმართველობის კონცეფცია, სახელწოდებით: „ელექტრონული მთავრობა საქართველოსათვის: არსი, აქტუალურობა, შექმნის პერსპექტივები და შესაძლებლობანი“. დოკუმენტი მოიცავდა ელექტრონული მმართველობის ძირითად პრინციპებს, რეფორმების მიზნებსა და საშუალებებს, ხელშემშლელი ფაქტორების ჩამონათვალს, ამოცანებსა და პერსპექტივებს.

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში შექმნილია კავშირგაბმულობისა და საინფორმაციო-ტექნოლოგიების დეპარტამენტი, რომლის მთავარი მიზანია ქვეყანაში ინფორმაციული საზოგადოების ჩამოყალიბებისა და განვითარების პოლიტიკის შემუშავება და მის განხორციელებაში მონაწილეობა;

ამის შემდგომ, 2007 წლის 17 დეკემბერს საქართველოს მთავრობის დადგენილებით შეიქმნა ელექტრონული მმართველობის განვითარების ხელშემწყობი სამთავრობო კომისია, რომლის მიზანი იყო ელექტრონული მმართველობის ერთიანი პოლიტიკის განსაზღვრა და ელექტრონული მმართველობის უზრუნველყოფა, რომლის განხორციელება დაევადა იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტოს. მონაცემთა გაცვლის სააგენტომ წარმოადგინა 2013-2016 წწ. საქართველოში ელექტრონული მმართველობის განვითარების პროგრამა, რომლის ძირითადი მიმართულებებია:

1. საქართველოს ერთიანი სავაჭრო ქსელის შექმნა;
2. მოქალაქის პორტალ-ელსერვისების განვითარება და მხარდაჭერა;
3. მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურის განვითარება და მხარდაჭერა;
4. დოკუმენტების გაცვლის ერთიანი სისტემის განვითარება და მხარდაჭერა;
5. ინფორმაციის ერთიანი სახელმწიფო რეესტრის განვითარება და მხარდაჭერა.

ქვეყნის ინფორმაციული ინფრასტრუქტურის მუდვივი და სწრაფი განვითარების პირობებში სახელმწიფო მმართველობის პროცესები სულ უფრო მეტად ხდება დამოკიდებული საინფორმაციო სისტემებზე. ინფორმაციული ინფრასტრუქტურის განვითარების პირობებში სახელმწიფო სტრუქტურები მუდმივად ახალ და განახლებულ ელექტრონულ სერვისებს სთავაზობენ ერთმანეთს, მოსახლეობასა და ბიზნესორგანიზაციებს. იმისათვის, რომ ქვეყნის ნებისმიერი სუბიექტისათვის ინფორმაცია ადვილად მისაღები გახდეს, საჭიროა ზემოთ აღნიშნული სხვადასხვა საინფორმაციო სისტემების გაერთიანება და ყველა ელექტრონული სერვისის მიწოდება ერთი ფანჯრის პრინციპით, რის საშუალებასაც გვაძლევს მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურა - საქართველოს სამთავრობო კარიბჭე (Georgian Governmental Gateway).

მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურა, საქართველოს სამთავრობო კარიბჭე, არის აპარატულ-პროგრამული კომპლექსი, რომელიც სახელმწიფოს მასშტაბით ერთიან ინფორმაციულ სისტემას ქმნის. სისტემაში ჩართულ სუბიექტებს საშუალება აქვთ გაცვალონ ინფორმაცია ელსერვისების მეშვეობით მინიმალური დანახარჯებით. მონაცემთა გაცვლის სტრუქტურაში ჩართულია იუსტიციის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირები – საჯარო და სამოქალაქო რეესტრები, ფინანსთა სამინისტრო, ჯანდაცვის სამინისტრო და შსს. მონაცემთა გაცვლის სისტემის ერთ-ერთი თანმდევია პროდუქტია მოქალაქის პორტალი. ეს არის ერთიანი ვებინტერფეისი, სადაც თავმოყრილია სახელმწიფო და ბიზნესსექტორის მიერ რეალიზებული სხვადასხვა ელექტრონული სერვისი. აღნიშნული პორტალი ერთი ფანჯრის პრინციპით ემსახურება საქართველოს მოქალაქეებს, არარეზიდენტებსა და ბიზნესსუბიექტებს. 2012 წლიდან მოქალაქეს პორტალის საშუალებით სახელმწიფო დაწესებულებებისგან მიეწოდება 46-მდე ელექტრონული და 55-მდე კომუნალური სერვისი, იგეგმება ამ სერვისების რაოდენობრივი ზრდა და ახალი, კომბინირებული სერვისების დამატება.

მონაცემთა გაცვლის ერთიან ინფრასტრუქტურასთან ერთად დიდი მნიშვნელობა ენიჭება ინფორმაციის ერთიანი სახელმწიფო რეესტრის განვითარებასა და მხარდაჭერას, რომლის მიზანია, განსაზღვროს სახელმწიფოს ინფორმაციული პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები რეესტრების, მონაცემთა ბაზების, მომსახურებისა და ინფორმაციული სისტემების სფეროში. 2011 წელს სააგენტოს მიერ ინიცირებულ იქნა შესაბამისი კანონი, რომლის მიხედვითაც მონაცემთა გაცვლის სააგენტო კოორდინაციას უწევს მონაცემთა მფლობელთან არსებული რეესტრების, მონაცემთა ბაზების, მომსახურების და საინფორმაციო სისტემების წარმოების ერთგვაროვანი სტანდარტების დადგენასა და შესრულებას.

დღეისათვის უმეტეს სახელმწიფო ორგანიზაციებში რეალიზებულია დოკუმენტბრუნვის მართვის ელექტრონული სისტემა. უკვე დღის წესრიგში დგას „ელექტრონულად დაბადებული დოკუმენტის“ სასიცოცხლო ციკლის გახანგრძლივება, ამ ამოცანის გადასაწყვეტად შეიქმნა დოკუმენტის გაცვლის სტანდარტი.

ასევე დაიწყო საქართველოს ერთიანი სავაჭრო ქსელის პროექტის განვითარება. პროექტი გულისხმობს საქართველოში საკონტინენტო გადაზიდვების, იმპორტ-ექსპორტის პროცედურების მართვის სისტემის შემუშავებას. ამ პროექტში ჩართული მხარეებია: საბაჟო, ფოთისა და ბათუმის პორტები, საქართველოს რკინიგზა, გადამზიდავი ხაზები, ტერმინალები და სხვ. ეს სისტემა დაეხმარება იმპორტიორებს, გადამზიდავ ხაზებს და ა.შ. გაიმარტივონ იმპორტ-ექსპორტის პროცე-

დურები, შეამცირონ ქაღალდის დოკუმენტების მიმოცვლა, დაზოგონ სახსრები და ამ პროცესების ნებისმიერ ეტაპზე მარტივი გახადონ ინფორმაციის მიღება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. A Critical Review of the Development of Chinese e-Government, Junhua Zhang (http://www.oycf.org/Perspectives2/19_123102/eGovernment.htm)
2. Проблемы, возникающие при аудите электронного правительства, Дон Дашен
3. United Nations E-Government Survey 2012
4. იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტო. ელტრესურსი: <http://www.dea.gov.ge>
5. მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მასალები. ელტრესურსი: <http://www.cybersecurity.ru/telecommunication/67130.html>

*Ketevan Mdinardze
Eka Abesadze*

E-GOVERNMENT – DIGITAL DEMOCRACY: ESSENCE, GOALS AND RESULTS Annotation

E-government, the concept of implementation of public administration, is inhering in information society. It is based on the opportunities of information and telecommunication technologies and values of open civil society. It is characterized by an orientation on needs of citizens, economic efficiency, openness for public control and an initiatives.

All social groups, as the purpose of creation of the e-government – optimization of the social, political and economic processes connected with the power, become users of services of the electronic government gradually.

მერაბ მიქელაშვილი

ინოვაცია და ინოვაციური საქმიანობის საბაზისადაც შემადგენლის ზოგიერთი თეორიული და პრაქტიკული ასპექტი

ინოვაციებისა და ინოვაციური საქმიანობის ხელშეწყობის უმთავრესი მასტიმულირებელი ფაქტორია საგადასახადო დაბეგვრის ისეთი სისტემის შექმნა, რომელიც ორიენტირებული იქნება ხელსაყრელი ეკონომიკური გარემოს ფორმირებისა და საგადასახადო ტვირთის შემცირებისაკენ. საგადასახადო სისტემამ არ უნდა შექმნას წინააღმდეგობები ბიზნესსაქმიანობის სუბიექტების ინოვაციური საქმიანობისთვის.

ინოვაცია უნდა გავიგოთ, როგორც ტექნიკური, ტექნოლოგიური და ორგანიზაციული სიახლე, რომელიც პრაქტიკული გამოყენების სტადიამდეა მიყვანილი და უზრუნველყოფს კომერციულ ეფექტურობას საბაზრო ეკონომიკის პირობებში. მისთვის დამახასიათებელია ისეთი ნიშნები, როგორცაა სამეცნიერო სიახლე, პრაქტიკული რეალიზაცია და კომერციული ეფექტურობა. ამასთან, ინოვაციური საქმიანობა არის საქმიანობა მეცნიერული ცოდნის ინოვაციაში გარდაქმნის მიმართულებით, რომელიც შედგება თანმიმდევრულად და პარალელურად შესრულებული მოქმედებების ერთობლიობისგან პერსპექტიული იდეის დაბადებიდან ახალი პროდუქტის, მომსახურების ან ტექნოლოგიის კომერციულ გამოყენებამდე.

ინოვაციური საქმიანობის განსხვავებები ტრადიციულ ტექნოლოგიებზე დაფუძნებული საქმიანობისაგან შემდეგში მდგომარეობს:

✓ ინოვაციური პროექტების რეალიზაციის მიზანია საწარმოო პოტენციალის კვლავწარმოება მოწინავე და პროგრესული ტექნოლოგიების ბაზარზე. ინოვაციური ტექნიკა და ტექნოლოგიები მიმართულია დამატებითი უპირატესობების მოპოვებისაკენ კონკურენტებთან შედარებით.

✓ ინოვაციური პროდუქტის ან მომსახურების სასიცოცხლო ციკლი უფრო ხანგრძლივია, რადგან წარმოადგენს ციკლს, რომლის დროსაც ხდება იდეის ტრანსფორმაცია სიახლეში, რომელსაც შეუძლია მომხმარებლის უკვე არსებული ან ახლად გაჩენილი მოთხოვნის დაკმაყოფილება.

✓ ინოვაციური პროდუქტის ფასმა აღიარება უნდა მოიპოვოს ბაზარზე. ტრადიციული პროდუქტის ფასები უკვე აღიარებულია ბაზრის მიერ და დროთა განმავლობაში აქვს კლების ტენდენცია ობიექტური ეკონომიკური კანონების ზემოქმედების გამო.

✓ ინოვაციების ეფექტურობის განსაზღვრის მანვენებლების პარამეტრების რაოდენობა უფრო მეტია ტრადიციულთან შედარებით. ეფექტურობის მანვენებლებმა უნდა გაითვალისწინონ არა მარტო ინოვაციის რეალიზაციის სარგებლის ზოგადი მოცულობა, არამედ მისი უპირატესობების კონკრეტული მანვენებლები ანალოგებთან შედარებით – ამრიგად, აბსოლუტური ეფექტურობის მანვენებლებთან ერთად აუცილებელია შედარებითი უპირატესობის მანვენებლების გათვალისწინება.

✓ ინოვაციების ეფექტურობის შეფასებისას არსებობს საუკეთესოს შერჩევის პრობლემა, რომელიც ყველაზე ობიექტურად ასახავს ინოვაციების ეკონომიკურ უპირატესობებს.

ინოვაციური საქმიანობის ხელშეწყობის საქმეში საგადასახადო სისტემის როლი მდგომარეობს ინოვაციურ პროდუქტიაზე მოთხოვნის ზრდისთვის შესაბამისი საგადასახადო გარემოს

შექმნაში. ამისთვის აუცილებელია, პირველ რიგში, საგადასახადო დაბეგვრის მექანიზმის სრულყოფა თანამედროვე ტენდენციების გათვალისწინებით. სახელმწიფო მართვის თანამედროვე სისტემამ არა მარტო უნდა უზრუნველყოს სახელმწიფოს ეფექტური მონაწილეობა ეკონომიკის რეგულირებაში, არამედ უნდა დააკმაყოფილოს სახელისუფლო ორგანოების მოთხოვნები ფინანსურ რესურსებზე, რომელიც აუცილებლად უნდა იყოს მიმართული ეკონომიკის პრიორიტეტული მიმართულებების განვითარებისკენ. ამ ამოცანების განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ საგადასახადო პოლიტიკის და საგადასახადო დაბეგვრის მართვის სახელმწიფო პოლიტიკის გზით ინოვაციური საქმიანობის სფეროში.

საქართველოს საკანონმდებლო ბაზა არ შეიცავს ინოვაციებისა და ინოვაციური საქმიანობის ზუსტ დეფინიციას, ამიტომ ამ ცნებების შინაარსი დღემდე დისკუსიის საგანია.

ინოვაციური საქმიანობის საგადასახადო რეგულირების ქართული პრაქტიკა აჩვენებს, რომ დღემდე საქართველოში არ არის ჩამოყალიბებული ინოვაციური საქმიანობის ქმედითი სტიმულები. ინოვაციებთან დაკავშირებული საგადასახადო კანონმდებლობის ნორმები ნაკლებად ეფექტურია და არ ითვალისწინებს ინოვაციების დანერგვის ხელშეწყობისადმი კომპლექსურ მიდგომას. ინოვაციური საქმიანობის საგადასახადო სტიმულირების სრულყოფილი სისტემის ნაცვლად გვხვდება მხოლოდ ამ სისტემის ცალკეული ელემენტები, რომელთა პრაქტიკული ღირებულება მცირეა. ინოვაციური საქმიანობის და მცირე ინოვაციური საწარმოს სუბიექტის ტერმინების სტანდარტიზაციის არ არსებობა ხელს უშლის მიზნობრივ სახელმწიფო მხარდაჭერის განხორციელებას და ამცირებს საგადასახადო სტიმულირების ეფექტს. თავის მხრივ, დღემდე არ არის საგადასახადო სტიმულების სახეებისა და შემადგენლობის მიმართ ერთიანი მიდგომა, რაც შეუძლებელს ხდის მათი შედეგების ეფექტურობის მონიტორინგსა და აუდიტს, ყოველივე ეს კი აფერხებს მცირე ინოვაციური ბიზნესის გააქტიურების ამოცანების გადაჭრას და განსაზღვრავს ინოვაციური ბიზნესის საგადასახადო სტიმულირების თეორიული დებულებებისა და რეკომენდაციების შემუშავების აუცილებლობას.

ტერმინი „ინოვაცია“ ლათინური „novatio“-სგან მომდინარეობს და პირდაპირი მნიშვნელობით განახლებას (ცვლილებას) ნიშნავს, ხოლო პროფიქსი „in“ ლათინურიდან ითარგმნება როგორც „მიმართულებით“. შესაბამისად, სიტყვასიტყვით „ინოვაცია“ – „ცვლილებების მიმართულებით“ შეიძლება ითარგმნოს.

საგადასახადო სტიმულირების პრაქტიკამ მთელი სიგრძე-სიგანით დააყენა სტიმულირების ობიექტისა და შესაბამისი ტერმინების ზუსტი განსაზღვრის საკითხი. ყველაზე ყოველსმომცველი განმარტება „ინოვაციისა“ და „ინოვაციური კომპანიისა“ მოცემულია საერთაშორისო ორგანიზაცია OECD (ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია) მიერ 1997 წელს მიღებულ დოკუმენტში, რომელიც ცნობილია, როგორც „ოსლოს სახელმძღვანელო“ (The Oslo Manual).

ამ დოკუმენტის მიხედვით:

„პროცესის და პროდუქტის სამეცნიერო-ტექნიკური ინოვაცია“ შეიცავს კომერციულად რეალიზებულ (დანერგილ), ტექნიკურად ახალ პროდუქტსა და პროცესს ან ტექნიკურად მნიშვნელოვნად სრულყოფილ პროდუქტს ან პროცესს.

„ინოვაციური კომპანია“ არის ფირმა, რომელიც არსებობდა განსახილველი პერიოდის განმავლობაში და რომელმაც ამ პერიოდის განმავლობაში დანერგა ტექნიკურად ახალი პროდუქტი ან პროცესი;

ეს განსაზღვრებები არ ემთხვევა ტერმინების საგადასახადო განმარტებებს, რომლებიც გამოიყენება ნაციონალურ საგადასახადო კოდექსებში და ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტებში და რომლებიც დაკავშირებულია ინოვაციების საგადასახადო სტიმულირებასთან. საგადასახადო განსაზღვრება უფრო დეტალურად აკონკრეტებს, რომელი საქმიანობა შეიძლება მიჩნეული იქნეს ინოვაციურად და როდის შეიძლება საგადასახადო შეღავათის გამოყენება.

ერთ-ერთ ყველაზე მთავარ საგადასახადო განმარტებას წარმოადგენს ტერმინი „R&D“-ს განმარტება, რომელსაც ადრე განმარტავდნენ, როგორც „სამეცნიერო კვლევები და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოები“, ხოლო დღეს მისი შინაარსი განიმარტება უფრო მოკლედ - „კვლევები და დამუშავებები“. ინოვაციური საქმიანობის ყველა ასპექტიდან, სამუშაოების ყველაზე დიდი ნაწილი მოიცავს სწორედ „R&D“, ამიტომ, როდესაც საუბარია საგადასახადო სტიმულირებაზე, აუცილებელია კონკრეტული საგადასახადო საკანონმდებლო განსაზღვრებები (სწორედ ამაზე დაყრდნობით, ევროკავშირის ქვეყნებმა ამ ტერმინის საკანონმდებლო განმარტებისათვის მიიღეს ე.წ. „ფრასკატის დოკუმენტი“ (1993).

„კვლევები და დამუშავებები „R&D“ თავის თავში მოიცავს შემოქმედებით სამუშაოს სისტემურ საფუძველზე ცოდნის მარაგის გაზრდის მიზნით, ადამიანის, საზოგადოებისა და კულტურის ცოდნის ჩათვლით, რომელიც ცოდნის ამ მარაგს მიმართავს ახალი მიმართულებით. ეს ტერმინი შეგვიძლია მივუსადაგოთ საქმიანობის სამ სახეს - ფუნდამენტალურ კვლევებს, გამოყენებით კვლევებს და ექსპერიმენტალურ დამუშავებას.

სამეცნიერო კვლევებისა და დამუშავებების ხელშესაწყობად, სახელმწიფოს შეუძლია ესა თუ ის საგადასახადო შინაარსის შეღავათი მიმართოს ეკონომიკის სხვადასხვა სეგმენტში მოქმედი ბიზნეს საქმიანობის სუბიექტებისკენ. ამასთან, სახელმწიფოს შეიძლება გააჩნდეს ერთი ან რამდენიმე მიზანი, კერძოდ:


- ✓ ყველა კომპანიის სტიმულირება R&D საქმიანობის განსახორციელებლად, მიუხედავად მისი ზომის, საქმიანობის დარგის ან ადგილისა
- ✓ R&D საქმიანობის სტიმულირება მაღალტექნოლოგიურ მეცნიერებატევად დარგებში
- ✓ მცირე და საშუალო ბიზნესის სტიმულირება
- ✓ ახალგაზრდა სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციების მხარდაჭერა მათი საქმიანობის საწყის ეტაპზე. ამის ნათელი მაგალითია ახალგაზრდა ინოვაციური კომპანიის (The Young Innovative Company) სტატუსის შემოღება და საკანონმდებლო დონეზე მათი ამ სტატუსით რეგისტრაცია, შემდგომი საგადასახადო შეღავათების მიღების მიზნით.

2007 წლის 1 იანვრიდან ევროკავშირში მოქმედებს სახელმწიფო დახმარების ახალი წესები, რომლის თანახმად, დადგენილია ახალგაზრდა ინოვაციური კომპანიის სტატუსი, რამაც ძალიან გაადვილა კერძო ბიზნესის სუბსიდირების წესი და საშუალება მისცა ევროკავშირში შემავალ ქვეყნებს სხვადასხვა საგადასახადო შეღავათების დაწესების გზით მოახდინონ ინოვაციური საქმიანობის სტიმულირება. მნიშვნელოვნად გაიზარდა ასეთი დახმარების ადრე არსებული „ზედა ზღვარი“ და ის განისაზღვრა თითოეული ქვეყნისთვის 3%-იანი ორიენტირით (R&D წილი მ.შ.პ-ში). აქვე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ევროკავშირის პოლიტიკა ამ მიმართებით უფრო ხისტი და მკაცრია, განსხვავებით აშშ-გან, სადაც 1999 წლიდან გაუქმდა ადრე არსებული შეზღუდვები. ასევე ყურადსადეობა ინოვაციების მხარდამჭერი ღონისძიებები, გათვალისწინებული მცირე და საშუალო ბიზნესისთვის.

ინოვაციური საქმიანობის ხელშესაწყობად არსებული საგადასახადო შეღავათების სისტემა ფართოდ გამოიყენება განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნებში. თითოეულ ქვეყანას, რომელიც იყენებს საგადასახადო შეღავათების მექანიზმს, გააჩნია თავისი განმასხვავებელი თავისებურებები. დღეისათვის ყველა ქვეყანა, როგორც განვითარებული, ასევე განვითარებადი ეკონომიკის მქონე, მეტ-ნაკლებად ცდილობს საგადასახადო სტიმულების გამოყენებას ინოვაციური საქმიანობისთვის, ამიტომ მნიშვნელოვანია მათი ეფექტურობის ზრდის ანალიზი.

ბიზნესსაქმიანობის სუბიექტის სახელმწიფო მხარდაჭერის ორი მიდგომა არსებობს - პირდაპირი და ირიბი. პირდაპირი რეგულირება გულისხმობს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის სუბსიდირებას, სახელმწიფოს შეკვეთების ან გარანტიების წარდგენის გზით. ირიბი რეგულირება ხორციელდება საგადასახადო პოლიტიკის საშუალებით. ირიბ მეთოდებს მიეკუთვნება საგადასახადო შეღავათები და საგადასახადო სტიმულები.

მთლიანობაში სახეზეა ინოვაციური საქმიანობის ხელშეწყობის მიმართულებით საგადასახადო სტიმულირების ფართოდ გამოყენების ტენდენცია, მაგრამ ინოვაციური ზრდის უზრუნველყოფის საქმეში მათი როლის შესახებ ცალსახა დამოკიდებულება არ არსებობს. ზოგიერთ ქვეყანაში, მაგალითად, ფინეთში, საგადასახადო შეღავათების სისტემა პრაქტიკულად არ არსებობს და ინოვაციური საქმიანობის სახელმწიფო მხარდაჭერა ხორციელდება ბიზნესსუბიექტების სუბსიდირების მექანიზმებით. თანამედროვე ეტაპზე არსებული ტენდენციების ანალიზი ცხადყოფს, რომ ინოვაციების ხელშეწყობის მიმართულებით გადამწყვეტია სახელმწიფო პოლიტიკა, მათი საგადასახადო დაბეგვრისა და საგადასახადო ტვირთის შემცირების სტიმულირების მიმართულებით, რაც მნიშვნელოვნად ზრდის ასეთი საქმიანობის შედეგების ეფექტურობას. საგადასახადო შეღავათების სპეციფიკური თავისებურებები სქემატურად განზოგადებული სახით შემდგენიერად შეიძლება წარმოვიდგინოთ (ნახ. 1):



ნახ. 1. ინოვაციური საქმიანობის საგადასახადო შედეგების სპეციფიკაცია

საერთაშორისო პრაქტიკაში ტერმინი „საგადასახადო გამოქვითვები“ ხასიათდება საგადასახადო ბაზიდან ხარჯების მთლიანი ან ნაწილობრივი გამოქვითვებით, რომელიც კონკრეტული მიზნისკენაა მიმართული.

აშშ-ში საგადასახადო ხარჯები R&D საქმიანობისთვის გამოიყენება 1981 წლიდან, როცა მიღებული იქნა კანონი „ეკონომიკის სტაბილიზაციის ფინანსური ღონისძიებების შესახებ“. ამორტიზაციის ნორმა იმ დანადგარებისა და მოწყობილობებისათვის, რომელიც გამოიყენება ინოვაციების შექმნის პროცესში, განისაზღვრება 5 წლით, ამასთან, პირველი ორი წლის განმავლობაში დაშვებულია მისი ღირებულების 64% ამორტიზაცია.

იაპონიაში დაჩქარებული ამორტიზაციის ნორმა მოქმედებს იმ ორგანიზაციებისთვის, რომლებიც ენერგომომჭირნე მოწყობილობებს იყენებენ და არ აბინძურებენ გარემოს. გამოიყენება დაჩქარებული ამორტიზაციის სხვადასხვა ნორმები 10-50% ფარგლებში, მაგრამ პრაქტიკაში ყველაზე გავრცელებულია 15-18% გამოყენება. ამ ქვეყანაში 2003 წლიდან გამოიყენება საგადასახადო შედეგების სისტემა ხარჯების მთლიან მოცულობაზე, რომელიც შეადგენს 8-10%-ს, მცირე და საშუალო ბიზნესისთვის (მათი კაპიტალი არ უნდა აღემატებოდეს 100 მლნ იენას) საგადასახადო კრედიტი ინოვაციური საქმიანობის ფარგლებში შეადგენს მეცნიერებაში დაბანდებული თანხების 12%-ს. ამის გარდა, 1998 წლიდან ქვეყანაში მოქმედებს კანონი ვენჩერული ინვესტიციების შესახებ, რომელიც საშედეგო პირობებს სთავაზობს ამ მიმართულებით მოქმედ კომპანიებს.

გერმანიაში მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის ღონისძიებები ხორციელდებოდა ჯერ კიდევ 50-იანი წლებიდან და მიმართული იყო დასაქმების პრობლემის გადაწყვეტისკენ, ხოლო XX საუკუნის ბოლოდან ძირითადი აქცენტი კეთდება ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარების კვალდაკვალ ინოვაციური საქმიანობის ხელშეწყობაზე. 2005 წლიდან საგადასახადო დაბეგვრის სფეროში მომხდარი ცვლილებების შედეგად ბიზნესსაქმიანობის სუბიექტებს დაგროვებითი და დაჩქარებული ამორტიზაციის საწარმოს გასხვისების შედეგად დაუბეგრავი მინიმუმის 30680

ევროდან 51200 ევრომდე გაზრდის საშუალება მიეცათ. 2002 წლიდან გერმანიაში მოქმედებს კანონი, რომელიც უფრო მიმზიდველს ხდის ვენჩერული კაპიტალის ბაზარს.

დიდ ბრიტანეთში R&D საქმიანობით დაკავებული ბიზნესსაქმიანობის სუბიექტებისთვის საგადასახადო შეღავათების სისტემა მოქმედებს 2000 წლიდან. უკვე 2005 წლისთვის დაფიქსირდა 17000 განაცხადი საგადასახადო კრედიტზე 1,3 მლრ. ფუნტი სტერლინგის ოდენობით. დღეისათვის ინოვაციური საქმიანობით დაკავებული პირებისთვის გამოიყენება საგადასახადო შეღავათების სამი ტიპი:

- ✓ მცირე და საშუალო ბიზნესისთვის ინოვაციური საქმიანობისათვის გაწეული ხარჯების 175% საგადასახადო ბაზის შესამცირებლად, დიდი ბიზნესისთვის კი 130%

- ✓ მცირე საწარმოებისთვის, რომლებსაც მოგება არ გააჩნიათ, გამოიყენება ინოვაციური საქმიანობის ფარგლებში გაწეული ხარჯების პირდაპირი ანაზღაურების წესი.

- ✓ საგადასახადო შეღავათების სპეციალური სისტემა იმ ორგანიზაციებისთვის, რომლებიც ამუშავებენ ვაქცინებს ინფექციური დაავადებების წინააღმდეგ საბრძოლველად.

მსოფლიო ინვესტიციების ევროპული ასოციაციის (EVCA) კვლევების თანახმად, ინოვაციური საწარმოების საგადასახადო მხარდაჭერა წარმოადგენს ინოვაციური განვითარების უმნიშვნელოვანეს ფაქტორს. ეს ინსტრუმენტი წარმატებით გამოიყენება ბევრ ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყანაში. ამასთან, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ მსოფლიო პრაქტიკაში საგადასახადო შეღავათი, როგორც ინსტრუმენტი, არ განიხილება როგორც თვითკმარი ინოვაციური პროცესების რეგულირების საქმეში – იგი წარმოადგენს ღონისძიებათა სისტემაში ჩაშენებულ ელემენტს და ავსებს ისეთ ღონისძიებებს, როგორცაა ინოვაციური საქმიანობის პირდაპირი საბიუჯეტო ფინანსირება, კერძო და სახელმწიფო გარანტიები, სახელმწიფო კორპორაციების შექმნა, საამორტიზაციო პოლიტიკა, საბაჟო პრეფერენციები, სახელმწიფო გარანტიები და შეკვეთები.

მთლიანობაში შეიძლება განესაზღვროთ სახელმწიფოს მხრიდან ინოვაციებისა და ინოვაციური საქმიანობის ხელშეწყობის ღონისძიებები, რომელთა განხორციელება აუცილებელია საქართველოში ამ მიმართულებით არსებული სერიოზული ჩამორჩენის აღმოსაფხვრელად.

- ✓ საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა, რომელიც არეგულირებს ინოვაციურ საქმიანობას;
- ✓ ინტელექტუალური უფლებების დაცვის მექანიზმების სრულყოფა;
- ✓ ინოვაციური საქმიანობის ინფრასტრუქტურის ტექნოპარკებისა და ტექნოლოგიური ცენტრების შექმნა და განვითარება;
- ✓ სამეცნიერო-ტექნიკური სფეროს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცება;
- ✓ საქონლისა და მომსახურების ბაზარზე კონკურენტული გარემოს შექმნა;
- ✓ ინოვაციური საქმიანობისთვის საჭირო კადრების მომზადების პროგრამების და სასწავლო ცენტრების შექმნა;

- ✓ საკრედიტო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა შეღავათიანი საკრედიტო დაფინანსების უზრუნველყოფის მიმართულებით;

- ✓ სახელმწიფო შეკვეთების ფორმირება კონკურსების საფუძველზე;
- ✓ ინოვაციების კომერციალიზაციის მიზნით საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარება;
- ✓ ინოვაციური პროდუქტის ექსპორტის ხელშეწყობა;
- ✓ საგადასახადო კანონმდებლობაში ინოვაციური საქმიანობის საგადასახადო შეღავათებისა და სტიმულების კომპლექსური შეტანა;

საგადასახადო მექანიზმის ინსტრუმენტების გამოყენება ინოვაციური მეწარმეობის ხელშეწყობის მიმართულებით უნდა ეფუძნებოდეს ორგანიზაციებისთვის მოსალოდნელი შედეგებისა და სახელმწიფოს მოსალოდნელი საბიუჯეტო დანაკარგების დეტალურ ანალიზს. მხედველობაშია ასევე მისაღები საგადასახადო სამართალდარღვევების სავარაუდო ხარისხი, რომელიც საგადასახადო შეღავათების არაკეთილსინდისიერი გამოყენების შედეგად შეიძლება მივიღოთ.

გამოყენებული ლიტერატურა

1. <http://www.oecd.org/sti/inno/frascatimanualproposedstandardpracticeforsurveysonresearchandexperimentaldevelopment6thedition.htm><http://www.oecd.org/sti/inno/oslomanualguidelinesforcollectingandinterpretinginnovationdata3rdedition.htm>
2. <http://www.britannica.com/topic/Economic-Recovery-Tax-Act>
3. <https://www.globalinnovationindex.org/userfiles/file/reportpdf/GII-2015-v5.pdf>
4. <http://www.investeurope.eu/>
5. http://ec.europa.eu/competition/state_aid/studies_reports/sme_handbook.pdf
6. http://cordis.europa.eu/publication/rcn/1776_en.html
7. <http://worldtaxpayers.org/>
8. PricewaterhouseCoopers – <http://www.pwc.com/gx/en/services/tax/paying-taxes-2016/download.html>
9. http://www.geostat.ge/?action=page&p_id=238&lang=geo
10. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2702520>
11. <http://techpark.ge/>

12. საქართველოს მთავრობის დადგენილება №32, ბ2015 წლის 3 თებერვალი „კვლევებისა და ინოვაციების საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“

13 საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ბრძანება №1-1/66, 2014 წლის 5 მარტი „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“

14. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ბრძანება №1-1/282, 2014 წლის 1 ოქტომბერი „საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის – საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს მიერ გრანტის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“.

Merab Mikelashvili

SOME THEORETICAL AND PRACTICAL ASPECTS OF INNOVATION AND INNOVATIVE ACTIVITIES REGARDING TAXATION

Annotation

The main problem hindering development of innovations is low concentration of innovative potential. This problem can be solved by creating new techno-parks, business incubators and innovative-technologic centers. Formation of proper taxation mechanisms is a major way to stimulate innovative activities. Modern Georgian legislation and systematic and normative bases are negligent, which stands in the way of full and effective use of taxation - all of this creates actuality of regulating innovative activities regarding taxes. The main problem of Georgian taxation law is the fact that it can't promote stimulation of innovative activities.

ირმა მოლაშვილი

ინოვაციის დანერგვისა და განვითარების სტრატეგია საქართველოს საწარმოებში

დღეისათვის ინოვაციები ერთ-ერთ მნიშვნელოვან ეკონომიკურ კატეგორიას წარმოადგენს. თანამედროვე კონკურენტულ ბრძოლაში გამარჯვებას მოიპოვებს ის ფირმა, რომელიც ფლობს უპირატესობას ინოვაციათა შემუშავებისა და დანერგვის შესაძლებლობებზე, ხოლო ნებისმიერი კომპანია, რომელიც იღებს ინოვაციის სრულყოფისა და დანერგვის შეწყვეტის გადაწყვეტილებას, აუცილებლად ჩამორჩება მომავალში თავის კონკურენტებს. ანალიზი საშუალებას გვაძლევს, ჩამოვყალიბოთ რამდენიმე პრინციპული მიდგომა ინოვაციის არსისადმი:

- ინოვაციები განიხილება, როგორც მეცნიერულ-ტექნიკური საქმიანობის (ახალი ტექნიკა, ტექნოლოგია, ახალი პროდუქტები და ა.შ.) შედეგი.

- ინოვაციები განიხილება, როგორც ახალი ტექნიკის, ტექნოლოგიების, ორგანიზაციული ფორმის შექმნის, დანერგვისა და გავრცელების პროცესი, ანუ ის მოიცავს საწარმოს ინოვაციური საქმიანობის მთელ სპექტრს.

ინოვაციები შეიძლება შეფასდეს როგორც ტექნოლოგიური პარამეტრებით, ასევე საბაზრო პოზიციიდან. ტექნოლოგიური პარამეტრების მიხედვით განსხვავებენ პროდუქციულ (ახალი პროდუქტები, მომსახურება) და პროცესიონალურ (ტექნოლოგიები, წარმოების ორგანიზაცია და მმართველობითი პროცესები) ინოვაციებს.

რადიკალურობის ხარისხის მიხედვით ინოვაციებს ყოფენ რადიკალურ, გამაუმჯობესებელ და მოდიფიცირებულ ინოვაციებად. რადიკალური ინოვაციები პრინციპულად ახალ პროდუქტებს ეხება. გამაუმჯობესებელი ინოვაციები კავშირშია არსებული პროდუქციის სრულყოფასთან ან წარმოების ახალი მეთოდების დანერგვას ან მათ მნიშვნელოვან გაუმჯობესებასთან.

პრინციპულად სრულიად განსხვავდება ერთმანეთისგან რადიკალური და გამაუმჯობესებელი ინოვაციების დანერგვის მართვის პროცესი.

უნდა აღინიშნოს, რომ ინოვაციური აქტიურობის ტენდენციების გაძლიერება გლობალიზაციისკენ, მაინც საჭიროებს ეროვნულ ფაქტორებში ისეთი განსხვავებების გათვალისწინებას, როგორიცაა: მონეტარული, სოციალური და საგადასახადო პოლიტიკა, შრომის ბაზარი.

ინოვაციათა ეროვნული სისტემები ინტეგრირებს გლობალურ ეკონომიკაში და ეს არის გასაღები მათი შიდა დინამიკის გასაგებად. მაკროეკონომიკური გარემო, რომელსაც აყალიბებს ინოვაციათა ეროვნული სისტემები, შეიძლება ხელს უწყობდეს ან ეწინააღმდეგებოდეს ინოვაციებს მოქმედ სუბიექტებში.

სხვადასხვა დროს კონკურენტული უპირატესობების წყაროების მოძიება მიმდინარეობდა დარგობრივი ბაზრების თეორიის ზეგავლენითა და რესურსებში უპირატესობის მოპოვების მიდგომით. პოზიციონირების სკოლის ჩარჩოებში ძირითადი ყურადღება ექცეოდა ფირმის კონკურენტულ გარემოცვას, ხოლო დარგში ფირმის ეფექტიანი სტრატეგიული პოზიციონირება განიხილებოდა, როგორც კონკურენტული უპირატესობის ძირითადი ფაქტორი. თუმცა, თანამედროვე პირობებში, როცა ფირმის სტრატეგიული პოზიციები ელვისებურად ინგრევა ტექნოლოგიების უმაღლეს დონეზე განვითარების, საფინანსო ბაზრების გლობალიზაციისა და დერეგულაციის შედეგად, ხოლო შედარებით წარმატებული ქცევის მოდელების კოპირებას ახდენენ კონკურენტები,

წინა პლანზე დგება რესურსების ძნელადკოპირებადი უნიკალური კომბინაციის განვითარების აუცილებლობა. ფირმის მყარი კონკურენტული უპირატესობის წყაროდ გვევლინება მისი შიდა დინამიკური შესაძლებლობები, რომლებიც ახასიათებს ორგანიზაციის უნარს, შექმნას და დანერგოს ინოვაციები და მოახდინოს ადაპტირება ჰიპერ- კონკურენტულ გარემოში.

ინოვაციური სტრატეგია კორპორაციული სტრატეგიის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. საბაზრო პოზიციის გათვალისწინებით, ინოვაციური სტრატეგიის შერჩევის მიმართულებებია: ბაზრის კონტროლირებადი წილი და მისი განვითარების დინამიკა; ფინანსებისა და რესურსების წყაროებისადმი ხელმისაწვდომობა; დარგობრივ კონკურენტულ ბრძოლაში ლიდერის ან მიმდევრის პოზიცია. სტრატეგიის შერჩევა ხორციელდება თითოეული მიმართულებით დასახული მიზნის შესაბამისად. ინოვაციური სტრატეგიის შერჩევის ეტაპებს სტრატეგიული ინოვაციური განვითარების სისტემაში წარმოადგენს: მეურნეობის სტრატეგიული ზონის შექმნა; სტრატეგიული სამეურნეო ცენტრების ფორმირება; პროდუქციის პორტფელის ანალიზი; ინოვაციური სტრატეგიის შესრულების მონიტორინგი და კონტროლი.

საქართველოს საწარმოების ინოვაციური საქმიანობის რეალიზაციის გზაზე ძირითად დაბრკოლებას საწარმოს ფინანსური პრობლემები წარმოადგენს, კერძოდ, მიუწვდომელია გარე ფინანსური რესურსები. მთლიანობაში შეიძლება ითქვას, რომ არ არსებობს მხარდაჭერა სახელმწიფოს მხრიდან, ძირითადად დაფინანსების საკითხებში. უამრავი საწარმო განიცდის პრობლემას კვალიფიციური კადრების ძებნასთან დაკავშირებით.

ზემოთ განხილული დაბრკოლებების აღმოფხვრა ქართული საწარმოების ინოვაციური აქტიურობის ასამაღლებლად, როგორც ქვეყნის კონკურენტული უპირატესობის გამოყენების საშუალება მის ინტელექტუალურ პოტენციალთან მიმართებაში, საჭიროებს სახელმწიფო და სამეურნეო სუბიექტების დონეზე ინოვაციის მხარდასაჭერად ხელსაყრელი პირობების შექმნას, სამართლებრივი და ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებების (საგადასახადო, საამორტიზაციო, ანტიმონოპოლიური, საბაჟო-სატარიფო და საგარეო-ეკონომიკური პოლიტიკის და არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აღმოფხვრის და სხვ.) კომპლექსურად შემუშავებასა და რეალიზაციას, მიმართულს მეწარმეების ინოვაციური აქტიურობის სტიმულირების მიზნით მაღალტექნოლოგიური პროდუქციისა და მომსახურების შესაქმნელად, წარმოებაში მეცნიერებატევადი ტექნოლოგიების უფრო ფართოდ დანერგვის გზით.

თანამედროვე გლობალიზაცია დინამიკაში ხასიათდება მსოფლიო ეკონომიკური სისტემის სისტემური ძვრებით. თუ მანამდე მეწარმეობის წარმატება დამოკიდებული იყო წარმოების ფაქტორების კლასიკურ კომბინაციაზე, დღეისათვის ეს წარმატება მნიშვნელოვნად განისაზღვრება ცოდნის ელემენტების რთული (არაწრფივი) კომბინაციით, წარმოების ფაქტორებისა და ტექნოლოგიათა ინტეგრაციით, კაპიტალის, ინფორმაციული და ინტელექტუალური რესურსების გაერთიანებით. მეწარმეობა სულ უფრო ნაკლებად ხდება დამოკიდებული რომელიმე ქვეყანაზე ან ტერიტორიაზე მზარდი ინფორმაციული დამოკიდებულების ეპოქაში, ინოვაციებისადმი მიმართვა კი წარმატების მნიშვნელოვან პირობას წარმოადგენს.

ინოვაციათა განვითარების კვალდაკვალ ორი მიდგომა იკვეთება. კომპანიათა ნაწილი ცდილობს ამ პროცესის მოწესრიგებას, ინოვაციათა თანხვედრას განვითარების სტრატეგიასთან. თუმცა ჯერ კიდევ მრავალ საწარმოში ეს პროცესი ქაოსურ და სუბიექტურ ხასიათს ატარებს. მოცემულ შემთხვევაში ინოვაციური სტრატეგიის არ არსებობა დიდად განისაზღვრება გარე გარემოთი. ინოვაციები, როგორც წესი, იძულებით ხასიათს ატარებს და წინასწარ არ იგეგმება.

საწარმო, რომელიც მსხვილი კორპორაციების ნაწილს წარმოადგენს, ამ კუთხით უფრო დაცულ მდგომარეობაშია. გარე გარემოსთან ურთიერთქმედების საკვანძო პრობლემები ჰოლდინგის დონეზე წყდება. ინოვაციური პროცესები ასეთ საწარმოებში უფრო ლოგიკურ ხასიათს იძენს.

პროდუქციულ და ტექნოლოგიურ ინოვაციებს შორის არჩევანის გაკეთებისას, მთლიანობაში შეიძლება ითქვას, რომ ვერტიკალურად ინტეგრირებული კომპანიები ხშირად უპირატესობას დანახარჯებში ლიდერობის სტრატეგიას, ანუ ტექნოლოგიური ინოვაციების განვითარებას ანიჭებენ.

დღეისათვის არსებული მდგომარეობით, ქართული კომპანიების უმეტესობა კომპანიისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი სახსრების დაბანდებას სიმძლავრეთა მოდერნიზაციაში ახდენს, რაც აფერხებს პროდუქციის ინოვაციური პოტენციალის განვითარებას. 3-5 წლის შემდეგ კი, როცა ფასები საქართველოსა და მსოფლიოში გათანაბრდება, უამრავი ქართული კომპანია ვერ შეძლებს ვერც ფოკუსირებული დიფერენციაციის სტრატეგიის და ვერც დანახარჯებში ლიდერობის სტრატეგიის რეალიზებას. ზოგიერთი კომპანიისათვის გამოსავალი გახდება ტრანსფორმაცია ან განსაკუთრებით ინჟინერინგულ ფორმებში, ან მწარმოებელ ფორმებში.

უამრავი ქართული კომპანიისთვის ინოვაციის ერთადერთ წყაროს საკუთარი სახსრები წარმოადგენს. ვინაიდან გრძელვადიანი კრედიტის მოზიდვა ძნელია, ხოლო საკუთარი სახსრები კი საკმარისი არ არის, ამიტომაც ფერხდება ინოვაციური პროცესის ხარისხის გაუმჯობესება.

ინოვაციური სტრატეგიის შერჩევის ალგორითმი ძირითადად ეფუძნება ენიაგრამის მეთოდს, რომელსაც დღეისათვის პრაქტიკულ საქმიანობაში წარმატებით იყენებენ მსოფლიოს უმსხვილესი კომპანიები. სტრატეგიის შერჩევისას რეკომენდებულია შემდეგი ძირითადი პარამეტრების გამოყენება: ინოვაციური სტრატეგიის შესაბამისობა კომპანიის გარე გარემოსთან, კომპანიის განვი-

თარების მიზნებთან, არსებულ შიდა რესურსებთან, მოცემული ინოვაციური სტრატეგიის რეალიზაციის ვადებთან, ინოვაციური სტრატეგიის რეალიზაციის შედეგად კომპანიის სტრუქტურულ ცვლილებებთან. მოცემული მეთოდი საშუალებას იძლევა, სისტემაში იქნეს მოყვანილი და შეფასდეს ფაქტორთა ერთობლიობა, რომლებიც განსაზღვრავს ქართული საწარმოების ინოვაციური განვითარების სტრატეგიას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Завлин Л.А. Некоторые проблемы инновационного развития. // Инновации. 2003. №5. с. 47-48.
2. Технопарки, как инструмент интенсификации развития производств. Исследование рейтингового агента „Эксперт“, 2004.
3. [http:// strategy.com.ua/Articles/Content](http://strategy.com.ua/Articles/Content). Бренд как компас.

Irma Molashkhia

INNOVATION ESTABLISHMENT AND DEVELOPMENT STRATEGY IN GEORGIAN ENTERPRISES Annotation

Article discusses the condition of innovative field in Georgian enterprises. Modern obstacles accompanying with development of innovation in Georgian economy are indicated. The most innovative strategies that are inseparable part of the corporation strategy are represented. The article gives an analysis of the results of complex research conducted in terms of theoretical and practical aspects of establishment and development of innovation in Georgian enterprises.

იზა ნათელაური

ინოვაციური პოლიტიკის ესტონური მოდელი

ესტონეთმა ინოვაციურ პოლიტიკაზე მუშაობა დაიწყო 2000 წელს. დაამუშავა ინოვაციური პოლიტიკის კონცეფცია და სტრატეგია ევროკავშირისა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მხარდაჭერით. სტრატეგია ითვალისწინებდა „ესტონეთი-ცოდნის ეკონომიკა“-ზე გადასვლას ეტაპობრივად. პირველი ეტაპი მოიცავდა 2000–2006 წწ., მეორე – 2007–2013 წწ., მესამე – 2014–2020 წწ.

„ესტონეთი-ცოდნის ეკონომიკა“ სტრატეგიის მიზანი პერიოდების მიხედვით ასე ჩამოყალიბდა:

– 2000–2006 წწ. – 1) ცოდნის ბაზის განახლება, 2) ესტონური კომპანიების კონკურენტუნარიანობის ამაღლება;

– 2007–2013 წწ. – 1) კონკურენტული და უცხოური სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების მოცულობის გაზრდა; 2) ინოვაციური მეწარმეობის განვითარება; 3) განვითარების გრძელვადიან პერიოდში ინოვაციებისათვის ღია საზოგადოების შექმნა;

– 2004–2020 წწ. – 1) ესტონეთში მაღალხარისხიანი სამეცნიერო კვლევების ფართო სპექტრის დამუშავება; 2) ისეთი სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების წარმოება, რომელიც წაადგება ესტონეთის საზოგადოებასა და ეკონომიკას; 3) ისეთი სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების წარმოება, რომელიც ხელს შეუწყობს ესტონეთის მეცნიერებატევადობის გაზრდას; 4) ინოვაციური კვლევების სფეროში ესტონეთის საერთაშორისო ეკონომიკური თანამშრომლობის როლის გაზრდა.

2000–2006 წლებში სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების განხორციელების წამყვან სტრუქტურებად დასახელდა:

1) ესტონეთის ეკონომიკისა და კომუნიკაციების სამინისტრო;

2) მეწარმეობის განვითარების მიზნობრივი დაწესებულება (EAS);

3) ტალინის ტექნოლოგიური პარკი (TEHNOPOL);

4) ტარტუს სამეცნიერო პარკი (TTP);

5) ინოვაციური ტრანსპორტის ესტონეთის ცენტრი (ESTIRC).

ესტონეთმა სათანადო ყურადღება დაუთმო კანონმდებლობის გამყარებას კონკურენციისა და ინოვაციების სტიმულირებაზე. მიღებულ იქნა კანონები: კერძო სექტორში კონკურენციისა და ინოვაციების დაცვასა და ანტიმონოპოლიურ პოლიტიკაზე. ანტიმონოპოლიური პოლიტიკა მიჩნეულ იქნა კონკურენციის განვითარების მთავარ ინდიკატორად. დაიგეგმა რეფორმები ინსტიტუციურ სფეროში. დაიწყო აქტიური მუშაობა სასამართლოს კადრების მოსამზადებლად.

საწიის ეტაპზე ესტონეთმა, ანალოგიური სასტარტო პირობების მქონე ქვეყნებისაგან განსხვავებით, აქტიურად დაიწყო ინოვაციურ-საკომუნიკაციო ქსელის შექმნა. მცდელობა წარმატებული აღმოჩნდა. თუკი დამოუკიდებლობის მოპოვების პერიოდში ტელეფონი ბინაში ჰქონდა მსურველების მხოლოდ ნახევარს, 90-იანი წლების ბოლოს ინტერნეტთან მიერთებული კომპიუტერებით აღიჭურვა სკოლების 97%. 2001 წლისთვის ქვეყანაში გამოჩნდა პირველი საზოგადოებრივი დაწესებულებები ქსელთან ღია უკაბელო წვდომით. საზოგადოებრივ ადგილებში დღეს ეს ჩვეულებრივი მოვლენაა. 2002 წელს დაიწყო ელექტრონული პირადობის მოწოდების გაცემა. ელექტრონული პირადობის

მოწოდების ყველაზე განვითარებულ სისტემას – „ID–ბარათი“ – ფლობს ესტონეთი. ელექტრონული გადაწყვეტილებები ამ ქვეყანაში მიიღება ისეთ სფეროებში, როგორცაა ჯანდაცვა, განათლება და დოკუმენტთა ბრუნვის ორგანიზაცია.

ესტონეთის რეალობაში მოხდა პარადოქსი, ინოვაციების სფეროში დადებითი როლი ითამაშა შიდა ბაზრების მცირე ტევადობამ, რომელიც არასაკმარისი აღმოჩნდა ადგილობრივი მოთამაშეებისათვის. ამ გარემოებამ დაბადა იდეა, რომლის მიხედვითაც კლიენტებს შეუძლიათ, მათთვის სასურველი სამოსი ინტერნეტმაღაზიებში ვირტუალური მანეკენების დახმარებით მოიხომონ, რომლის მორგებაც შესაძლებელია მათი ფიგურისთვის გარკვეული პარამეტრების ბაზაში შეყვანით.

2002–2006 წლებში გააქტიურდა „ესტონეთი – ცოდნის ქვეყანა“ სტრატეგიის საწყისი ვარიანტის განხილვა, რომელსაც საფუძვლად დაედო ფინეთისა და შვეციის (ლიდერი ინოვაციური ქვეყნების) გამოცდილება, ესტონეთის სამეცნიერო-კვლევითი პოტენციალის, ეროვნული ეკონომიკის და საწარმოთა კონკურენტუნარიანობის ამაღლების შესაძლებლობების გათვალისწინებით. განხილვის პროცესში გამოიკვეთა ესტონეთისთვის ინოვაციური კვლევების სამი ძირითადი სფერო: პირველი, მომხმარებლისთვის ხელსაყრელი საინფორმაციო ტექნოლოგიები და საინფორმაციო საზოგადოების განვითარება; მეორე, ბიომედიცინა და მესამე, მასალა ტექნოლოგიები, მაშინ, როცა ესტონეთის მსგავს ქვეყნებში ინოვაციების სახელმწიფო დაფინანსებაში პრიორიტეტულად მიჩნეული იყო ენერჯეტიკა, ბიოტექნოლოგიები, გარემოს დაცვა, კვების პროდუქტების წარმოება, ელექტრონული მომსახურების სფერო, ჯანდაცვა და მიიმე მრეწველობა.

დასახული მიზნის მისაღწევად ესტონეთი ამუშავდა ყველა შესაძლო მიმართულებით, კერძოდ:

- საგარეო ეკონომიკური თანამშრომლობის სფეროში იგი შეეცადა, არსებული კავშირები გამოეყენებინა ცოდნისა და ტექნოლოგიების მოსაზიდად; ყველაფერი იღონა „ტვირთვების“ შესაზღვრად და სამეცნიერო-ტექნიკური პერსონალის დასამაგრებლად ქვეყანაში;

- ინოვაციური კვლევების ეფექტიანობის ამაღლების მიზნით ესტონეთმა გაატარა წერტილოვანი მხარდაჭერის პოლიტიკა, რასაც შედეგად მოჰყვა ტექნოპარკებისა და ბიზნესინკუბატორების შექმნა;

- ესტონეთმა დაგეგმა, 2006 წლამდე მთლიანი შიდა ხარჯები სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებზე გაზრდილიყო მშპ-ს 1,5%-მდე. რეალობაში შედეგმა შეადგინა 1,13%, რაც მიზნობრივ დონეზე დაბალი აღმოჩნდა.

ინოვაციური პოლიტიკის შემოთავაზებული სტრატეგიის განხორციელების უზრუნველსაყოფად ძირითადი ინსტრუმენტების ჩამონათვალი განისაზღვრა 4 სფეროში: სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების დაფინანსება, ადამიანური კაპიტალის განვითარება, ინოვაციური კვლევების სისტემის ეფექტიანობის ამაღლება და საერთაშორისო თანამშრომლობა.

საცდელ-საკონსტრუქტორო საქმიანობის დაფინანსება დაიგეგმა მიზნობრივი დაფინანსებით, გრანტებით და სესხებით, ინფრასტრუქტურული ორგანიზაციებით და ვენჩურული კაპიტალის მოზიდვით;

ადამიანური კაპიტალის განვითარების სფეროში ქვეყანას უნდა გამოეყენებინა კვალიფიკაციის ამაღლების სისტემა, უცხოეთში მყოფი მაგისტრანტების და დოქტორანტების ფინანსური დახმარება, უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების დაფინანსება, ინოვაციურ კვლევებში უნივერსიტეტების კურსდამთავრებულების მოზიდვა და მრავალპროფილური კურსები;

ინოვაციური კვლევების სისტემის ეფექტიანობის ამაღლების მიზნით მოხდებოდა სამეცნიერო ინფორმაციის რეგულარული განზოგადება და გაფორმება, განხორციელდებოდა საინფორმაციო-საცნობარო პროგრამა და პროცესში ჩართული იქნებოდა რეგიონის ინკუბატორები.

საერთაშორისო თანამშრომლობის გაფართოებისა და გაღრმავების მიზნით აქტიურად გატარდებოდა ღონისძიებები, რათა უზრუნველყოფილიყო კავშირი მეცნიერებასა და მრეწველობას შორის და ინოვაციური კვლევების ქსელში ესტონეთის მონაწილეობა; სტიმულირებული იქნებოდა ქვეყნის ეკონომიკის გახსნილობა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად, რადგან პირდაპირი უცხოური ინვესტიციები წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს მანევრებელს იმის შესაფასებლად, თუ რამდენად მიუწვდება ხელი ამა თუ იმ ქვეყანას მსოფლიოში არსებულ ტექნოლოგიებზე. ახალი ტექნოლოგიების ათვისების შესაფასებლად გამოიყენება მანევრებელთა შემდეგი სისტემა:

- მაღალი ტექნიკური განათლების კადრების არსებობა;
- სიახლეები მმართველობის სფეროში;
- სტიმულები, რომლებიც ფირმებში ბადებს მოთხოვნას ახალ ტექნოლოგიებზე;
- კაპიტალის ხელმისაწვდომობა და
- სახელმწიფო სტრუქტურების არსებობა და მათი აქტიური მოქმედება იმ შემთხვევაში, თუ საბაზრო მექანიზმები ვერ უზრუნველყოფს საჭირო ტექნოლოგიების დანერგვას.

არასაკმარისი საფინანსო რესურსების გამო ესტონეთმა 2000–2006 წლებში, ვერ მოახერხა დაგეგმილი სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების ეროვნული პროგრამის სრულად რეალიზაცია. სათანადოდ ვერ დააფინანსა უმაღლესი და უმაღლესშემდგომი განათლება. სამაგიეროდ, სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების ხვედრითი წილის მანევრებით კერძო სექტორმა ბევრად გაასწრო სახელმწიფო სექტორს. მთლიანი შიდა

ხარჯების 44% მოდიოდა კერძო სექტორზე, რაც დაგეგმილ დონეზე ბევრად მაღალი მაჩვენებელი იყო. ესტონეთის სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ ქვეყანამ შეძლო უცხოური ინვესტიციების მოზიდვა სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებში. მათი ხვედრითი წილის მაჩვენებელი მთლიანი შიდა ხარჯების მოცულობაში გაიზარდა 13%-დან 16%-მდე მაშინ, როცა ანალოგიურმა მაჩვენებელმა ევროკავშირისთვის 7–8% შეადგინა.

ინოვაციური პოლიტიკის ესტონურ მოდელში „ესტონეთი – ცოდნის ეკონომიკა“ პროგრამის მეორე ეტაპზე საერთო პრიორიტეტები დარჩა უცვლელი. მეორე პერიოდშიც აქცენტირებული იყო საინოვაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, სამედიცინო ტექნოლოგიები და მომსახურება და რესურსების შეძლებისდაგვარად ეფექტიანი გამოყენება.

მეორე პერიოდში წარმატებით გაგრძელდა კომუნიკაციების სფეროში დაწყებული სამუშაოები. 2013 წლისთვის ქვეყნის ტერიტორიის 95% დაფარული იყო 4G სტანდარტის ქსელებით. დღეს-დღეობით ესტონეთის მოქალაქეებს, არჩევნების დროს კენჭისყრაში მონაწილეობა შეუძლიათ ინტერნეტით, ასევე, ფულადი გზავნილების განხორციელება ელექტრონულად და საკუთარ პიროვნებაზე ნებისმიერი ინფორმაციის მიღება სახელმწიფო სამსახურების არქივებში.

2010 წელს ესტონეთი, გამოქვეყნებული სტატიების რაოდენობით და იმ კომპანიების პროცენტული რაოდენობით, რომლებიც ცდილობდნენ დაენერგათ ინოვაციური ტექნოლოგიები და ეწარმოებინათ ახალი სახის პროდუქცია, გაუთანაბრდა ფინეთს.

2012 წელს მთლიანი შიდა ხარჯების მოცულობამ ესტონეთში შეადგინა 2,2%. შედეგი ევროკავშირის შესაბამის საშუალო მაჩვენებელზე მაღალია. გაიზარდა კერძო სექტორის წილის მაჩვენებელი. ამჯერად მან 57% შეადგინა. ესტონეთი იყო გამონაკლისი ქვეყანა, სადაც არ შემცირდა სახელმწიფო ხარჯები სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებზე კრიზისის პერიოდშიც კი.

საინოვაციო სფეროს ბიუჯეტი ესტონეთში განაწილდა ორ სამინისტროს შორის; ესენია: 1) ეკონომიკისა და კომუნიკაციების სამინისტრო და 2) განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. ამ სამინისტროების მიხედვით, მეწარმეობის განახლებისა და შემდგომი განვითარების ბიუჯეტმა შეადგინა 616,2 მლნ ევრო. სახელმწიფო აუდიტის დასკვნის მიხედვით კი, 2013 წლის მდგომარეობით, ინოვაციების მხარდასაჭერად გადახდილ იქნა 166 მლნ ევრო.

პირველ ორ პერიოდში, ესტონეთის დიდი მცდელობის მიუხედავად, მოსალოდნელი შედეგი ვერ გამოიღო ინოვაციურ პოლიტიკაში „სისტემური მიდგომის მეთოდმა“; ქვეყანა ჯერ კიდევ საკმაოდ ჩამორჩებოდა ფინეთს საპატენტო განაცხადების მაჩვენებლის მიხედვით. 2007–2013 წლებში, ესტონეთის სახელმწიფო კონტროლის დასკვნით, მოსალოდნელი შედეგი ვერ გამოიღო დახარჯულმა 166 მლნ ევრომ, რომელიც უნდა მოხმარებოდა ინოვაციების წინსვლასა და საწარმოთა ეკონომიკურ ზრდას. შრომის ნაყოფიერება ესტონეთში საგრძნობლად ჩამორჩებოდა შესაბამისი მაჩვენებლის საშუალო დონეს ევროკავშირში.

მიუხედავად მიღწეული შედეგებისა, ესტონეთში ჯერ კიდევ დარჩა ბევრი დაბალტექნოლოგიური მცირე და საშუალო საწარმო, რომლებშიც დაბალია მოთხოვნა სამეცნიერო მიღწევებზე. შესაბამისად, იმ საწარმოების რიცხვი, რომლებიც დაკავშირებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან მცირეა. სამეცნიერო მოღვაწეობაზე ესტონეთის ხარჯების 90%-ს ფარავს 100-ზე ნაკლები საწარმო.

2013 და 2014 წლებში დამუშავდა რეიტინგი – Global Innovation Index – შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით: პროცენტი მშპ-დან, რომელსაც სახელმწიფო იყენებს სამეცნიერო კვლევებისთვის, პროდუქტიულობა, მეცნიერ მუშაკების რაოდენობა ყოველ მილიონ მცხოვრებზე, წარმოებაში დამატებული ღირებულების პროცენტი მშპ-დან. ამ რეიტინგის მიხედვით, 2014 წელს პირველ ათეულში მოხვდა: სამხრეთ კორეა, შვეცია, აშშ, იაპონია, გერმანია, დანია, სინგაპური, შვეიცარია და ფინეთი; 2013 წელს: აშშ, სამხრეთ კორეა, გერმანია, ფინეთი, შვეცია, იაპონია სინგაპური, ავსტრია, დანია და საფრანგეთი. ოროვე წელს ესტონეთი დარჩა რეიტინგს გარეთ.

რაც შეეხება მესამე პერიოდს, ინოვაციური ეკონომიკის ესტონური მოდელის ფარგლებში დამუშავდა პროგრამა „ესტონეთი 2020“, რომლის მიზანსაც შეადგენს ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამაღლება მაკროეკონომიკური მაჩვენებლების დასაწიხისში საშუალოევროპულ დონემდე, შემდეგ კი წინმსწრები ამაღლების გზით. სპეციალისტების აზრით, ეს პროცესი ორი მიზეზის გამო იქნება ძალიან რთული: პირველია ქვეყნის დემოგრაფიული მდგომარეობა და მეორე, არასასურველი საგარეო სავაჭრო გარემო.

ინოვაციური პოლიტიკის ესტონური მოდელის მიხედვით, ქვეყნები იყოფა 4 ჯგუფად: პირველ ჯგუფში შედის „დაბალი ინოვაციური აქტიუობის“ ქვეყნები, რომელთა საწარმოებიც ძალიან მცირე თანხებს ხარჯავენ ცოდნის შექმნაზე, მით უფრო, მის დამოუკიდებლად წარმოებაზე; მეორე ჯგუფი აერთიანებს ქვეყნებს, რომლებიც მოქმედებენ პრინციპით „იყიდე“. ამ ქვეყნებში ფირმები ტექნოლოგიებს უმეტეს შემთხვევაში ყიდულობენ, დაბალია იმ საწარმოების ხვედრითი წილის მაჩვენებლები, რომლებიც ეწევიან დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებს; მესამე ჯგუფის ქვეყნები მოქმედებენ პრინციპით: „შექმენი თვითონ და იყიდე“. განსხვავებით მესამე ჯგუფისაგან, აქ ფირმები აქტიურად ეწევიან სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებს და ნაკლებად ყიდულობენ პატენტებს, ნოუ-ჰაუს ან ლიცენზიებს; მეოთხე

ჯგუფის ქვეყნების მოქმედების პრინციპია „შექმენი თვითონ“. მათი ფირმები ყველაზე უფრო აქტიურად ახორციელებენ სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებს. ესტონეთი, სავარაუდოდ, მესამე ჯგუფის ქვეყანაა.

ესტონეთის გამოცდილებით, ინოვაციური პოლიტიკის წარმატებული განხორციელებისთვის აუცილებელია: 1) მართვის საიმედო, მაღალი სტანდარტები; 2) კომპეტენტური სახელმწიფო აპარატი და 3) კერძო სექტორის აქტიური მონაწილეობა; 4) ინსტიტუტების ხარისხი; 5) მაკროეკონომიკური სტაბილურობა და 6) საქონლის, შრომისა და საფინანსო ბაზრების ფუნქციონირება.

ინოვაციური პოლიტიკის მნიშვნელობა განსაკუთრებით წარმოჩინდა ისეთ ქვეყნებში, სადაც მიხედნენ, რომ შემდგომი განვითარებისთვის აუცილებელია – მოიძებნოს წარმოების ფაქტორების უფრო ეფექტიანად გამოყენების გზები და სრულყოფილი ახალი პროდუქციის წარმოების შესაძლებლობები; სადაც ვერ ამართლებს საბაზრო მექანიზმები, უმჯობესია, სახელმწიფომ გაატაროს აქტიური ქმედებები, რადგან ამ უკანასკნელს უკეთესად შეუძლია ინოვაციების მხარდაჭერა, სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების გააქტიურების გზით. ასეთი იდბლიანი ქვეყანა აღმოჩნდა ესტონეთი. მან შეძლო ყოფილიყო წამყვანი ქვეყანა ინოვაციურ-საკომინიკაციო ტექნოლოგიების დამუშავებასა და გამოყენებაში. როგორც სახელმწიფო დონეზე, ისე კერძო სექტორში. ესტონეთს გაუჩნდა იარაღი e-Estonia – ესტონეთის ელექტრონული სასწაული. შემდგომი წარმატებული განვითარებისათვის აუცილებელია, პერსპექტიული იდეების ტრანზფორმირება მოხდეს მდგრად რეალურ ბიზნესში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ჩიქავა ლ. ინოვაციური ეკონომიკა. თბილისი, 2006.
2. Для ускорения темпов экономического развития необходимо существенно усилить влияние государственных инновационных пособий. <http://www.ritgikontrol.ee/>
3. Как Эстония превратилась в самую инновационную страну. internetbiblioTeka
4. Опорные структуры инновационной системы Эстонии. <http://www.obconsult.ee>
5. Политика поддержки инновации ЕБРР. <http://www.lbrd.com/>
6. Рейтинг самых инновационных стран. internetbiblioTeka

Iza Natelauri

ESTONIAN MODEL OF INNOVATION POLICY

Annotation

The article characterizes the peculiarities of “Estonia – knowledge model”, according to practical realization stages. Are exposed successes and shortages existed in the process of transition to innovation economy of Estonia.

ზურაბ ნოზაძე

ინოვაციური პროცესების ეტაპები მაკრო და მიკროდონეზე საწარმოებში საბაზრო შრომითობის პირობებში

- ინოვაცია (განახლება) არის ინოვაციური მოდერნიზაციის საბოლოო შედეგი, რომელიც მიღებულია ახალი ან გაუმჯობესებული პროდუქტის რეალიზაციის შედეგად. ბაზარზე ახალი ან გაუმჯობესებული ტექნოლოგიური პროცესების გამოყენება პრაქტიკულ საქმიანობაში (მოდერნიზაციაში).

- განახლება (ინოვაცია) – ეს არის საბოლოო შედეგი, რომელიც იქმნება და ინერგება პრინციპულად ახალი ან მოდიფიცირებული სიახლეებისაგან, აკმაყოფილებს საზოგადოების მოთხოვნილებებს და იძლევა რიგ ეფექტებს.

ინოვაციური საქმიანობა არის პროცესი, მიმართული სამეცნიერო-კვლევითი დამთავრებული დამუშავების რეალიზაციის შედეგად, ან სხვა სამეცნიერო-ტექნიკური მოდერნიზაციის, ახალი ან გაუმჯობესებული პროდუქტის ბაზარზე რეალიზაციის შედეგად, ახალი ან გაუმჯობესებული ტექნოლოგიური პროცესების დანერგვით პრაქტიკულ საქმიანობაში, აგრეთვე მათთან დაკავშირებული დამატებითი სამეცნიერო კვლევითი დამუშავებით.

- ინოვაციური პროცესი არის ინოვაციური დამუშავება, შექმნა და გავრცელება. ეს პროცესი დაკავშირებულია ინოვაციის შექმნასთან, ათვისებასა და გავრცელებასთან დანქარებული წესით;

- ინოვაციურ პროცესებს ეკონომიკური და ორგანიზაციული გაგებით აცალკევებენ განსაზღვრულ ეტაპებად, სტადიებად, ფაზებად, რომლებიც განსხვავებულია ერთმანეთისგან მიზნობრივი დანიშნულებით, მართვის სპეციფიკით, ფინანსირებით, საქმიანობის საბოლოო პროდუქტით და შედეგებით.


- ინოვაციური პროცესების სტრუქტურა განიხილება სხვადასხვა სტეპების საშუალებით, ერთ-ერთი ასეთი სტეპია: კვლევა-დამუშავება-წარმოება-მარკეტინგი-გაყიდვა.

ამერიკელი მკვლევარები ინოვაციურ პროცესს უფრო ძირფესვიანად განიხილავენ: ფუნდამენტური კვლევა-გამოყენებითი კვლევა-შემუშავება-ბაზრის გამოკვლევა-გამოსაკვლევი წარმოების


კონსტრუირება-საბაზრო გამოცდა-კომერციული წარმოება. ყველა ჩამოთვლილი ეტაპი ურთიერთდასაბუთებულია და განაპირობებს ინოვაციური საქმიანობის წარმატებებს მხოლოდ ინტეგრაციის პირობებში ერთ მთლიანობაში.

- ინოვაციური პროცესის სპეციფიკა ისეთია, რომ მისი დამუშავების ყურადღების ცენტრი თანდათანობით გადაინაცვლებს სამეცნიერო კვლევის სფეროდან მომსახურეობის სფეროში. ამასთან ერთად, ინოვაციური პროცესების ელემენტები მჭიდრო ურთიერთკავშირში არიან, მუდმივად ცვლიან ერთმანეთში ინფორმაციებს.

ქვემოთ მოყვანილია ინოვაციური პროცესების სტადიებისა და ინოვაციური პროცესების სხვადასხვა სტადიების შეთანაწყობის მექანიზმი. (იხ. სქემა 1.2).



სქემა 1. ინოვაციური პროცესების სტადიები



სქემა 2. ინოვაციური პროცესების სხვადასხვა სტადიების შეთანაწყობის მექანიზმი

ინოვაციური ეტაპები და სტადიები წარმოქმნიან ორგანიზაციულად განცალკევებულ ფუნქციონალურ ქვედანაყოფებს, მაგრამ თუ მათი ურთიერთქმედება არ ქმნის შედეგებს, მაშინ ინოვაციური პროცესები ვერ აღწევს მიზანს. თითოეული ინოვაციური პროცესის სტადიები იძენს თავის ორგანიზაციულ ფორმებს, თავის მართვის სპეციფიკას და მიზნობრივ დანიშნულებას. სხვათა შორის, ინოვაციური მექანიზმის გაუმჯობესება ცალკეულ სტადიაზე, არ აჭარბებს პროცესების შედეგებს მთლიანობაში. თუ ღირებული ფუნდამენტური იდეები არ გამოიყენება ახალი ტექნოლოგიური პროცესების შემუშავებაში, ხოლო ახალი ტექნოლოგიები არ გარდაიქმნება საზოგადოებრივი მოთხოვნილების საქონლად, ან გამოიყენებიან ლოკალურ სფეროებში, მაშინ მოცემული ინოვაციური პოტენციალი პრაქტიკულად არ რეალიზდება.

ინოვაციური პროცესების ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად მთლიანობაში, პირველი რიგის მნიშვნელობა აქვს მისი ორგანიზაციის ისეთ ფორმებს, რომლის მეშვეობითაც თითოეული სტადიის შედეგები უნდა იყოს საფუძველი მისი შემდგომი მოძრაობისათვის.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ინოვაციური პროცესების სტადიების შეთანაწყობა, რომელიც უზრუნველყოფს მთელი პროცესების უწყვეტობას, მოქნილობას და დინამიზმს.

განვითარებულმა ქვეყნებმა დააგროვეს მნიშვნელოვანი გამოცდილება ინოვაციური პროცესების ორგანიზაციაში. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს გზებისა და ფორმების მრავალწახნაგობა, რისი დახმარებითაც მიიღწევა ინოვაციური პროცესების სტადიების ინტეგრაცია.

ინოვაციური პროცესებს გააჩნია განვითარების ციკლური ხასიათი, ხორციელდება სივრცეში და დროში, მათ ძირითად ეტაპებს წარმოადგენს: სამეცნიერო, ტექნიკური, ტექნოლოგიური, საექსპლუატაციო ეტაპები. ინოვაციური პროცესები იწყება ფუნდამენტური გამოკვლევებით, რომლის წინაპირობაა სამეცნიერო შემოქმედების უფრო საერთო ეტაპი. ეს არის ინტელექტუალური მოღვაწეობის, აზროვნების საფუძველი. მათ შეგვიძლია მივაკუთვნოთ: ინტუიცია, წარმოსახვა, ასოციაციური გამოცდილება, სამეცნიერო-კვლევითი მეთოდები, რომლებიც მოიცავს კონკრეტული მეცნიერების სპეციალურ მეთოდოლოგიას.

ფუნდამენტური გამოკვლევები – ეს არის ჰიპოთეზის, კონცეფციის შემუშავება, სამეცნიერო მოღვაწეობის კონკრეტული სფეროების გამოკვლევა, გაანალიზება, რომლებიც წარმოადგენს ინოვაციის შექმნის საფუძველს.

გამოყენებითი გამოკვლევები მიმართულ უკვე ღია პროცესებისა და მოვლენების პრაქტიკაში გამოყენების გზების ძიებასა და დანერგვაში.

გამოყენებითი ხასიათის სამეცნიერო-კვლევითი ნამუშევარის მიზანია კონკრეტულ საწარმოში ტექნიკური და ტექნოლოგიური პრობლემების გადაწყვეტაში ხელის შეწყობა. ამ ეტაპზე მოწმდება ინოვაციური იდეების სიცოცხლისუნარიანობა, ტექნიკური, ეკონომიკური და სამომხმარებლო ეფექტიანობა. ამის შესახებ შეფასება უნდა გააკეთონ სპეციალისტებმა, რომლებსაც გააჩნიათ მომზადება ტექნიკურ-ეკონომიკურ ანალიზსა და მართვაში.

თანამედროვე საბაზრო ურთიერთობის პირობებში ეკონომის განვითარება და საერთოდ სახელმწიფოს განვითარება შეუძლებელია განხორციელდეს ინოვაციური პროცესების დანერგვისა და წინსვლის გარეშე.

საწარმოს კონკურენტუნარიანობა არის მისი უნარი, განახორციელოს მომგებიანი საქმიანობა კონკურენტული ბაზრის პირობებში.

საწარმოს წარმატებული საქმიანობის წინაპირობა ეფექტიანობაზე ორიენტირებული ცოდნის ოპტიმალურად გამოყენება და ინოვაციური პროცესების მაქსიმალურად დანერგვა და გაუმჯობესება.

არსებობს ინოვაციური პროექტების რეალიზაციისათვის არჩევის შემდეგი მეთოდები.

- მოგების ინდექსის მეთოდი – რომელიც წარმოადგენს შეფარდებას მიღებულ ეფექტსა და დახარჯულ კაპიტალურ დაბანდებებს შორის;
- მოგების შინაგანი ნორმის მეთოდი – რომლის დროსაც მიღებული ეფექტი და დახარჯული კაპიტალური დაბანდებები ერთმანეთის ტოლია.
- ბალური მეთოდი – განისაზღვრება ძირითადი ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენს პროექტის შედეგებზე.

კრიტერიუმების ჩამონათვალის მეთოდი – ამ მეთოდის არსი შემდეგში მდგომარეობს: ეთანადება თუ არა პროექტის მონაცემები დადგენილ კრიტერიუმებს და თითოეული კრიტერიუმის მიხედვით პროექტს ეძლევა შეფასება.

- ინოვაციური საქმიანობის (მოღვაწეობის) სახელმწიფო რეგულირების მეთოდი. სახელმწიფო რეგულირების ამ მეთოდის მიხედვით სახელმწიფო მართვის ორგანოები ახორციელებენ ინოვაციური საქმიანობის ობიექტების რეგულირებას სასურველი შედეგების მისაღებად.

- სახელმწიფო რეგულირება ეფუძნება პრიორიტეტების არჩევაზე, გენერალურ სტრატეგიაზე, სამეცნიერო-ტექნიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ ეფექტიანი განვითარების ორიენტირებაზე.

სახელმწიფო რეგულირების ერთ-ერთ მთავარ ამოცანას წარმოადგენს საწარმოს ინოვაციურ აქტივობაზე მხარდაჭერა ორგანიზაციულ-ნორმატიული, სახელმწიფო საფინანსო-რესურსული კომპლექსური მეთოდების განხორციელების საშუალებით.

• საბაზრო ურთიერთობის პირობებში ძლიერდება კონკურენცია, რომელსაც აქვს გლობალური ხასიათი. წარმოიქმნება ახალი ტექნოლოგიები, ყოველივე ეს განსაზღვრავს საწარმოების სწრაფ ტექნიკურ განახლებას, ახალი სახის პროდუქციის წარმოებას, ხარისხის გაზრდას. ეს ყველაფერი ძირითადად ეფუძნება ინოვაციური პროცესების სწრაფად დანერგვას ქვეყანაში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Акунаева Р.И. Инновационный менеджмент малого предприятия. Москва, 2012.
2. Голубков Е.П. Инновационный менеджмент. Москва, 2013.
3. Беляев Ю.М. Инновационный менеджмент. Москва, 2013.

Zurab Nozadze

THE STAGES PROCESSES AT MACRO AND MICRO-LEVELS IN ENTERPRISES IN THE CONDITIONS OF TRANSITION TO MARKET

Annotation

The article discusses the stages of innovation processes, the ways of its realization. Are analyzed special methods of realization of innovation process projects including state regulation method. Are also shown the correlation of schemes of innovation process stages and different stages of innovation.

*Ирина Валерьевна Онюшева
Рахила Мухамедиевна Дузбаева
Каиржан Ермекович Мендигалиев*

РОЛЬ ОБРАЗОВАНИЯ КАК ПРОДУКТА ЭКОНОМИКИ ЗНАНИЙ В РАЗВИТИИ ЧЕЛОВЕЧЕСКОГО КАПИТАЛА СТРАНЫ

Среди наиболее актуальных и значимых стратегических задач, стоящих перед Республикой Казахстан, очевидна роль активного и творческого человека и возможность его реализации на благо страны. Президент Республики Казахстан – лидер нации - Н.А.Назарбаев в своем ежегодном послании особо отметил важность формирования и развития человеческого капитала, являющегося главным национальным богатством для стабильного развития и вхождения Казахстана в «тридцатку» мировых конкурентоспособных стран [1].

В описании характерных свойств экономики знаний, которая в большей части отождествляется с инновационной экономикой, существенное внимание уделяется человеческому капиталу. Он формируется как продукт образования и самообразования. Таким образом, образование – ключевой фактор формирования и развития человеческого капитала, что показано во многих работах, начиная с трудов Р.Солоу, Г. Беккера, М. Блауга, С. Боулса, Дж. Минцера, О. Нордхоуга, М. Фишера, Т. Шульца и др. «Во-первых, образование делает работников способными к более сложному и более производительному труду. Во-вторых, образование помогает людям более умело и рационально распоряжаться своими материальными ресурсами и ресурсами своего времени. Более образованные лица обычно первыми начинают осваивать новые технологии и продукты и внедрять их в свою производственную и потребительскую практику. В итоге от этого выигрывают не только они, но и общество в целом, поскольку путь от появления новаций до их всеобщего применения сокращается. В-третьих, накопление человеческого капитала повышает не только скорость распространения, но и скорость генерации научных, технических и организационных инноваций» [2].

В данной связи, человеческий капитал рассматривается как сложный, интенсивный фактор развития экономики и общества, который прямо пропорционально влияет на уровень национальной конкурентоспособности, включает совокупность знаний, умений и навыков человеческих ресурсов, накопленных на основе образовательного, научного, культурного, инновационного и личностного человеческого потенциала, способных обеспечить благосостояние нации, экономическую стабильность, рост и высокий рейтинг страны в международном экономическом пространстве [3].

Как правило, для измерения уровня и эффективности развития человеческого капитала страны используется индекс развития человеческого капитала (Human Capital Index), путем оценки результативности системы образования, труда и занятости. Данное исследование проводится аналитической группой Всемирного экономического форума (ВЭФ) в сотрудничестве с Международной организацией труда (МОТ), Организацией экономического сотрудничества и развития (ОЭСР) и консалтинговой компанией Mercer Human Resource Consulting.

При определении успехов той или иной страны в развитии человеческого капитала учитываются 46 показателей, объединённых в четыре основные группы: 1) образование (высшее, среднее, начальное) и профессиональная подготовка; 2) здоровье, физическое и психологическое благополучие; 3) трудоустройство и занятость; 4) инфраструктура, правовая защита, социальная мобильность.

Так, в 2015 году исследование охватило 124 страны. Мировыми лидерами по уровню развития человеческого капитала стала Финляндия, которая занимает ведущие позиции по всем основным показателям Индекса. В первую десятку наиболее развитых в этом отношении стран также вошли Норвегия, Швейцария, Канада, Япония, Швеция, Дания, Нидерланды, Новая Зеландия и Бельгия.

Среди стран СНГ и Балтии позиции распределились следующим образом: Эстония заняла 16 место, Литва - 18, Латвия - 23, Украина - 31, Армения - 43, Кыргызстан - 44, Азербайджан - 63, Таджикистан - 65, Молдова - 71.

Крупнейшие экономики мира расположились на разных местах в рейтинге: Франция занимает 14 место, Соединённые Штаты Америки - 17, Великобритания - 19, Германия - 22, Китай - 64, Бразилия - 78, Индия - 100. Замыкают рейтинг Нигерия, Бурунди, Мавритания, Чад и Йемен [4].

Что касается Республики Казахстан, в 2015 году Казахстан занял 37 место, поднявшись на 8 позиций (с 45 места) по сравнению с 2013 годом. Республика Казахстан опередила такие страны ОЭСР как Португалия (38 место), Греция (40), Испания (41), Чили (45), Мексика (58), Турция (68), а также Малайзию (52); и страны БРИКС: Китай (64), Бразилию (78), ЮАР (92), Индию (100) [4,5].

Данный скачок, прежде всего, объясняется значительным улучшением показателей образования, что в очередной раз доказывает влияние уровня образования на развитие человеческого капитала страны. Так, Казахстан продемонстрировал высокие результаты по показателям образования: уровень грамотности молодежи (33 место), охват начальным образованием (15), доля населения со школьным образованием (10), доля выбывших из школы (6). Отмечено динамичное продвижение Казахстана за 2 года по показателям качества начальных школ (+ 3 позиции), качества системы образования (+ 9 позиций) [4].

В современных условиях человеческий капитал, образование и экономика составляют триединство, которое обеспечивает устойчивое национальное развитие и в котором экономика преобразована в экономику знаний, а образование – в профессиональное образование, отвечающее непосредственно потребностям экономики знаний. Однако, несмотря на улучшение позиций в мировом рейтинге, справедливо отметить, что существующая система казахстанского образования все еще отстает от потребностей социально-экономического развития нового качества и нуждается в реформировании [6].

Образовательная услуга сегодня – это специфический продукт, потребительная стоимость которого отличается от остальных потребительных стоимостей способами потребления. Например, для образования характерен т.н. «временной лаг», т.е. его положительные свойства не могут полностью проявиться не только в момент «покупки», но даже и через некоторое время после окончания получения образования. Кроме этого, потребительная стоимость образовательной услуги может удовлетворять потребности в течение определенного периода времени при этом «расходование» или убывание полученного знания может не происходить, так как повторение производственного цикла обеспечивается многократным использованием одного и того же знания. В случае изменения технологии при условии модернизации производства ранее приобретенное знание пополняется новой информацией, приобретенный опыт, соответствующие навыки и потребление дополнительных образовательных услуг. При этом знание возрастает с точки зрения качественных и количественных показателей, к ранее приобретенному добавляется новое [7].

Еникеева С.Д. отмечает, что образовательные услуги имеют свою специфику, порождаемую особенностями экономики знаний как важнейшей отрасли социальной сферы, обеспечивающей экономической и социальный прогресс общества. Образование по своей социально-экономической природе не может развиваться только на коммерческих началах. Вместе с тем, формирование и развитие образовательных услуг подчиняется общим законам рыночной экономики, однако, обладает рядом специфических особенностей. К их числу следует отнести социальную значимость, крупномасштабность и уникальность сферы образования, значительную дифференциацию образовательных услуг по видам подготовки, а также специфику, связанную с государственным регулированием, финансированием, некоммерческим характером образовательной деятельности, различными ограничениями на ведение предпринимательской деятельности в этой области [8].

К числу других особенностей образовательной услуги как продукта экономики знаний можно выделить: во-первых, образовательная услуга является продуктом специфического интеллектуального (научного, педагогического) труда. Во-вторых, интеграция в мировое рыночное пространство предполагает рассмотрение образовательной услуги в качестве объекта коммерческих отношений. В-третьих, возрастающая стоимость образовательной услуги не исчезает в момент потребления и не зависит от времени потребления [7].

Кроме этого, рассматривая знание как экономический ресурс, необходимо помнить о его неограниченности. Знание ограничено только вследствие ограниченности развития каждого индивида. Являясь объектом купли-продажи, знание, распространяется в обществе и не уменьшает своего объема и стоимости. То есть, выступает ли знание ресурсом или фактором производства, продуктом образовательной деятельности или каким-либо другим элементом экономики знаний, он потенциально безграничен [7; 6, с.542].

Современный интерес к роли знаний и обучения в осуществлении профессиональной деятельности обязан изменению качества современных социально-экономических систем, которые строятся сегодня, или должны строиться как глобальные инновационные системы, испытывающие постоянную потребность в новых идеях и новых технологиях. Инновационный тип современного социально-экономического развития потребовал общей интеллектуализации системы и создал спрос на интеллектуальную работу особого рода, непосредственно связанную с решением практических задач социально-экономического развития системы. Необходимо, чтобы при общем росте интеллектуальной составляющей труда эта составляющая давала практический выход на уровне организации. Так появилось и стало актуальным направление менеджмента, называемое менеджментом знаний.

Настоящий виток развития глобализации основан на информатизации почти всех сфер деятельности человека, включая информатизацию экономики знаний, которая выражается не только в изменении среды, в ко-

торой она функционирует, но и в создании новых информационных продуктов и технологий. Производственное разделение труда в экономике знаний отвечает вызову современного производства интеллектуального продукта или знания в условиях перехода в общемировую связь между информационными средами, образовательными учреждениями, научными и инновационными центрами, высококвалифицированным производством и центрами образования. Это приводит, с одной стороны, к глобализации экономики знаний, с другой стороны, вытеснению из нее неконкурентоспособных сегментов в результате трансформации взаимодействий информационных и финансовых потоков информационных и телекоммуникационных технологий в сфере производства образовательных услуг будут способствовать, с одной стороны росту потребления и качества знания, с другой стороны, способны вызвать еще большую асимметрию между странами и регионами, выраженную в углублении неравенства, сокращении удельных расходов на образование, снижении качества жизни населения [9].

В связи с этим, возникает проблема соответствия образовательных услуг международным требованиям вызвано тенденциями глобализации и необходимостью единых условий формирования и возрастания интеллектуального капитала мирового сообщества. Известно, что экономический базис каждой страны потенциально связан с интеллектуальными ресурсами капитального характера и определяется уровнем развития экономики образования. А интеллектуальный потенциал представлен в лице подготовленных и творчески активных ученых, инженеров, специалистов, а также предпринимателей, ориентированных на создание передовых технологий и инновационных продуктов. По существу, образовательная услуга представляет собой процесс производства интеллектуального потенциала, так как обеспечивает через индивидуальное потребление интеллектуального труда производство трудового или человеческого капитала. На мировом рынке труда человеческий капитал является приоритетным объектом купли-продажи.

Важно отметить, что концепция глобального образования, ориентированного на социально-экономическую практику названа экспертами подходом к образованию с точки зрения компетентностного подхода в образовательном процессе. У профессионально компетентного человека, в отличие от индивида, находящегося на ступени профессиональной грамотности или профессиональной образованности, есть способность и, главное, желание заниматься какой-либо социально полезной деятельностью и, тем самым, вносить реальный личный вклад в национальное социально-экономическое развитие.

Так, зачастую наблюдается так называемый «конфликт теории и практики» между университетами и бизнес-структурами. Пример разрешения данного конфликта может послужить тесное взаимодействие при подготовке высококвалифицированных специалистов. Отметим, что данный опыт не нов и получил широкое применение в других странах. Так, к примеру, успешным является опыт технического Университета Вальядолида (Испания) в области программы по привлечению приглашенных преподавателей из действующих промышленных компаний (Profesores Asociados Vinculados a Empresa, Adjunct Enterprise Professors – PAVE programme). Эта программа призвана в определенной мере решить проблему, связанную с разрывом между потребностями компаний в профессионально подготовленных выпускниках, владеющих знаниями и компетенциями, необходимыми для работы с новейшим оборудованием, и их подготовкой по устаревшей традиционной системе действующих образовательных программ в инженерном образовании, имеющих скорее теоретический уклон.

В рамках программы PAVE университет предлагает студентам возможность прохождения инновационно-ориентированных курсов, связанных непосредственно с конкретным промышленным знанием. Это позволяет реализовывать такие цели программы, как: 1) достижение студентами базового понимания последних технологических дисциплин, еще не вошедших в учебные планы университета; 2) понимание требований компаний по подготовке инженеров с учетом специфики работы на их оборудовании; 3) накопление, помимо традиционного теоретического и практического академического, знания, связанного с прикладной работой в команде и решением конкретных практических задач; 4) обеспечение возможности организации первых контактов студентов с реальным сектором, так как занятия проводятся на базе участвующих в программе компаний [5, с. 2-24].

Реализация программы PAVE в Университете Вальядолида соответствует принципам, заявленным в рамках программы Европейского пространства высшего образования (European Higher Education Area – EHEA), предполагающей формирование единого образовательного пространства и процесса, ориентированного на студентов в целях подготовки профессионалов, востребованных на европейском рынке труда. Соответствие вводимых курсов заявленным целям обеспечивается при помощи процедуры их отбора, включающей этап официального сбора предложений, стимулируемый правительством региона. Авторы также отмечают, что многие предложения поступают в рамках традиционного сотрудничества университета с компаниями реального сектора при выполнении совместных проектов, при работе по субконтрактам, проведении семинаров и т.д. Таким образом, компании с помощью специальных учебных курсов получают потенциальных квалифицированных работников в виде студентов, которые позже могут работать непосредственно по проектам фирмы [10].

Интересным оказывается тот факт, что в подобной схеме работы более заинтересованы крупные компании, нуждающиеся в большом количестве квалифицированного персонала и готовые предоставить для ведения соответствующих курсов своих сотрудников. Представители малого и среднего бизнеса реже участвуют в проекте, что объясняется особенностями подбора персонала в таких фирмах: потребность в небольшом количестве специалистов позволяет осуществлять их подготовку целевым образом на предприятии.

Так, Университет Международного Бизнеса, осознавая значимость взаимосвязи образования, науки и бизнеса, также успешно внедряет на практике концепцию «университета практических знаний» путем тесного взаимодействия с реальным сектором экономики РК.

В заключение, отметим, что в современных условиях глобализации потребность человека в знаниях и информации резко возрастает. Экономика знаний начинает занимать одно из центральных мест в хозяйстве любой страны. Образовательная услуга становится ресурсом, продуктом и фактором производства, товаром или услугой, общественным благом, элементом рыночного механизма, неценовым или ценовым фактором спроса и предложения, важным фактором в конкурентной борьбе, инструментом принятия решений и в конечном итоге определяет развитие, темпы экономического роста, уровень и качество жизни. Понимание важности образования и обеспечения производства образовательных услуг является приоритетным направлением экономической политики в решении такой глобальной проблемы как преодоление макроэкономической нестабильности и гармоничного развития общества. При этом, высшим учебным заведениям, стремящимся обеспечить свою конкурентоспособность и повышения конкурентоспособности человеческого капитала страны в условиях повышенного динамизма посредством «открытого разума» и восприятия как внешних, так и внутренних потоков знаний. Последнее при этом приводит к необходимости пересмотра современной концепции человеческого капитала не просто как запаса, но и как целого потока знаний.

Использованная литература

1. Послание Президента Республики Казахстан - Лидера нации Нурсултана Назарбаева народу Казахстана «Казахстан в новой глобальной реальности: рост, реформы, развитие» от 30 ноября 2015 г.
2. Attewell P. and others. Competing explanations of undergraduate noncompletion // American educational research j. – 2011. – Vol. 48, N 3. – 559 p.
3. Онюшева И.В. Человеческий капитал в контексте конкурентоспособности национальной экономики: факторы формирования и направления развития // Научное издание: монография // Алматы, 2015. – 264 с.
4. Schwab K. Human Capital Report for 2015 // World Economic Forum. – Швейцария: Davos, 2015.
5. Schwab K. Human Capital Report for 2013 // World Economic Forum. – Швейцария: Davos, 2013.
6. Bergenholtz C., Waldstrom C. Inter-organizational network studies. A literature review // Industry and innovation. – 2011. – Vol.18, No.6. – P. 539-562.
7. Сергеев В.М. Экономика знаний. Роль образования и науки в современном мире. Электронный ресурс: <http://www.igpi.ru/center/seminars> (последний доступ к ресурсу 15.03.201).
8. Еникеева С. Д. Рынок образовательных услуг и методы его регулирования: учебное пособие. – М., 2011. – 108 с.
9. Щетинин, В. П. Экономика образования: учебное пособие / В. П. Щетинин, Н. А. Хроменков, Б. С. Рябушкин. – М., 2010. – 305 с.
10. Improving teaching in engineering education: Adjunct enterprise professors programme / Baladron C. and others // J. of Intellectual Manufacture. – 2011.

*Irina Onyusheva
Rakhila Duzbayeva
Kairzhan Mendigaliyev*

THE ROLE OF EDUCATION AS A PRODUCT OF KNOWLEDGE ECONOMY IN DEVELOPMENT OF NATIONAL HUMAN CAPITAL

Annotation

In the given article it is considered in detail education and educational services as the main product of knowledge economy in context of human capital development. It is revealed features of the knowledge economy and modern educational services as a product of intellectual labor. It is analyzed the current state of the human capital of the Republic of Kazakhstan. It is disclosed new trends and rethought the concept of human capital in conditions of informatization and globalization of education.

*თამარ როსტიაშვილი
მაია სოსელია
დავით ფოღიაშვილი*

საზოგადოებრივი მმართველობის პიარი და იმეჯი

პიარი (Public Relations, PR) არის საზოგადოებასთან ურთიერთობის სისტემა, რომელიც გულისხმობს მრავალჯერად საკმიანობას ორგანიზაციას (ფირმას) და საზოგადოებას შორის, ასევე მათთან, ვინც შედის მასთან საკმიან კონტაქტში როგორც შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ ურთიერთდამოკიდებულებების გაუმჯობესებისათვის.

ინოვაციური საწარმოებისათვის პიარი მოიცავს ქვემოთ ჩამოთვლილ ძირითად მიმართულებებს:

- 1) სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებთან ურთიერთქმედებას;
- 2) საზოგადოებრივი აზრის შესწავლას;

3) ეკონომიკური ტენდენციების პროგნოზირებას კომპლექსური მარკეტინგული სოციალურ-ფსიქოლოგიური კვლევების საფუძველზე;

4) შრომით კოლექტივში კორპორაციული კულტურის, საფირმო სტილისა და სოციალური პასუხისმგებლობის ჩამოყალიბების ხელშეწყობას;

5) კომპანიის თანამშრომლებისა და პირველი პირების იმიჯმეიკინგის ჩამოყალიბებას.

ცხოვრებამ დაადასტურა, რომ კონკურენტული ბრძოლა ბაზარზე ხშირად არა ფირმებსა და მათ საქონელს შორის, არამედ მათ იმიჯებს შორის ხორციელდება. ამიტომაც ინოვაციურმა ფირმებმა და კომპანიებმა მცირე ბიზნესის სფეროში განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმონ ფირმის პოპულარული იმიჯის ჩამოყალიბებას.

იმიჯი – ეს არის ორგანიზაციის, მისი საქონლის ერთობლივი ემოციურ-ფუნქციური მახასიათებლები, რომლებიც მას მიზნობრივ სეგმენტში გამოარჩევს, ორგანიზაციის საქონელს ცნობად და მიმზიდველ საქონლად აქცევს. იმიჯი საზოგადოებრიობის თვალში წლების განმავლობაში იქმნება, მაგრამ მისი დაკარგვა შეიძლება ერთ წამში.

თუ ინოვაციური ფირმა არ მუშაობს პოზიტიური იმიჯის შესაქმნელად, მაშინ ის საბაზრო ურთიერთქმედების ოკეანეში ყალიბდება ზოგჯერ სტიქიურად, ზოგჯერ კი შავი პიარტექნოლოგიების გავლენით და, როგორც წესი, არ შეესაბამება იმ სახეს, რომელიც ინოვაციურ ფირმას უნდოდა ჰქონოდა.

კომპანიის პოზიტიური იმიჯი იძლევა აშკარა უპირატესობების მიღების შესაძლებლობას, სახელდობრ:

- მდგრადი მდგომარეობის ჩამოყალიბებას სხვა, უფრო დაბალი იმიჯური რეიტინგის მქონე ფირმასთან მიმართებით კონკურენტუნარიანობის ამაღლების ხარჯზე;

- საქონლისა და მომსახურების ერთგვარი გარანტიის მიღებას მყიდველთა მიზნობრივი აუდიტორიის მხრიდან ნდობის გაძლიერების მეშვეობით;

- ერთობლივი ხარჯების შემცირებას პიარკამპანიების, პრეზენტაციების ორგანიზაციისათვის მათში სახელმწიფო სტრუქტურების, საქმიანი საზოგადოების ინიციატივიანი მონაწილეობის ხარჯზე;

- პრესტიჟული იმიჯის წყალობით საქონელი და მომსახურება ძალზე პოპულარული და სასურველი ხდება ძირითადი მყიდველებისთვის, რაც ქმნის დამატებით რეზერვებს ფასისმიერ და სასაქონლო პოლიტიკაში;

- განვითარების დამატებით იმპულსს იძენს კორპორაციული კულტურა მონოლითური ერთიანი გუნდის შექმნის წყალობით, რომლისთვისაც მრავალი მსჯელობა, შეფასებითი კომპონენტები, ნიმუშ-სიმბოლოები და ქცევის ნორმები ერთიანია.


კორპორაციული იმიჯი – ეს, რასაკვირველია, ფირმის მისიის შესრულების უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტია. აღნიშნულ მისიას ასრულებენ მართვის იერარქიის უმაღლესი ეშელონები.

იმიჯის მოდელირება პროფესიული იმიჯმეიკინგის რთული პროცესია. იმიჯის მოდელირების საფუძველზე შეიძლება წარმატებული მუშაობის წარმართვა იმიჯის მატერიალური და ვირტუალური მატარებლების, მ.შ. ინტერნეტში ვებგვერდების, ოპტიკური დისკებისა და ელექტრონული პრეზენტაციის სხვა საშუალებების შესაქმნელად.

მოდელირების საფუძველად გამოყენებული უნდა იქნეს მარკეტინგისა და მენეჯმენტის ფუნდამენტური და სისტემური ცოდნა.

კორპორაციული იმიჯის მართვის ნებისმიერი მოდელის განუყოფელი ელემენტია მისი მკაფიოდ დასაბუთებული სტრუქტურა, რომელსაც გააჩნია იერარქიული წყობა. ძირითად, ქვედა დონეზე გადანაწილებულია ფაქტორები, რომლებიც ქმნიან ზედა, კორპორაციულ დონეს, სადაც თავმოყრილია სხვადასხვა ჯგუფური კომპონენტები – მომხმარებლის იმიჯი, პერსონალის იმიჯი, ვიზუალური იმიჯი და ა.შ.

იმიჯის სტრუქტურა ნაჩვენებია ნახაზზე.



ნახ. 1. იმიჯის სტრუქტურა მცირე ინოვაციური ორგანიზაციისათვის

მოყვანილი სტრუქტურიდან თვალნათლივ ჩანს ელემენტების ერთობლიობა, რომლებიც გაველენას ახდენს ინდივიდის მიერ ორგანიზაციის აღქმაზე და მის თვალში ფორმის განსაზღვრულ სახეს ქმნის.

კომპონენტების წარმოდგენილ ძირითად ჯგუფებს შორის წამყვანი პოზიციები უკავია შემდეგ ჯგუფებს:

1. ინოვაციური საქონლის (მომსახურების) იმიჯს – წარმოადგენს ერთობლივ მახასიათებლებს, რომლებიც გამოარჩევს მას მომხმარებელთა თვალში და ხდის ცნობადს და მიმზიდველს.

2. ინოვაციური საქონლის მომხმარებელთა იმიჯს – ფართო მოხმარების საქონლისათვის საქონლის მომხმარებელთა იმიჯი მოიცავს წარმოდგენებს მყიდველთა ცხოვრების სტილის, მისი საზოგადოებრივი სტატუსისა და ფსიქოლოგიური მახასიათებლების შესახებ.

მომხმარებლის ყველაზე ტევადი მახასიათებელია მისი ცხოვრების სტილი, რომელიც მოიცავს ორგანიზაციული, კულტურული და ფსიქოლოგიური ქცევის მოდელებს. ცხოვრების სტილის საფუძველია ისეთი კომპონენტები, როგორიცაა:

- ღირებულებებითი ორიენტაცია;

- პიროვნების ინტერესები;
 - შეხედულებები;
 - პიროვნების აქტიურობა;
- მომხმარებლის საზოგადოებრივი სტატუსი;
მომხმარებელთა ხასიათი.

3. *ინოვაციური ორგანიზაციის შიდა იმიჯს* – ერთობლივი მახასიათებლები, რომლებიც ქმნიან ფირმის იმიჯის განსაზღვრულ „ხედვას“ შრომითი კოლექტივის თითოეული წევრის თვალში.

ორგანიზაციის კულტურა კორპორაციული იმიჯის მართვის კონცეფციის უმნიშვნელოვანესი ბლოკია.

სოციალურ-ფსიქოლოგიური კლიმატი ასახავს კოლექტივის მდგომარეობას, ფსიქოლოგიური ურთიერთქმედების მოდელს როგორც ჰორიზონტალურად, ასევე ვერტიკალურად; პიროვნებათა შორის ურთიერთობების დონეს.

4. *ინოვაციური ტომენჯერების იმიჯს* – ეს ბლოკი ასახავს ფირმის დამფუძნებლების, მისი პრეზიდენტისა და მენეჯმენტის, ფინანსების, მარკეტინგისა და PR-მენეჯმენტის სხვა პირველი პირების ერთობლივ პირად მახასიათებლებს. სოციალურ-დემოგრაფიული მახასიათებლები ძალზე ტევადი ცნებაა და მოიცავს სქესს, ასაკს, წარმოშობას, საცხოვრებელს, შემოსავალს.

5. *ინოვაციური პერსონალის იმიჯი* გულისხმობს პროფესიულ მომზადებას, კომპეტენტურობას, ცოდნას, პრაქტიკული უნარ-ჩვევების ფართო კლასის ფლობას, ქალებთან მამაკაცების ურთიერთობის ეტიკეტს. პერსონალის სახე არასრული იქნება, თუ კლიენტები, უკუკავშირის განხორციელებისას, არ იგრძნობენ პასუხისმგებლობას, არ გამოიჩენენ ყურადღებას, მოთმინებას, თავაზიანობას და კეთილგანწყობას.

6. *ინოვაციური ორგანიზაციის ვიზუალურ იმიჯს* – წარმოდგენა ორგანიზაციის შესახებ ყალიბდება მოსახერხებელი პარკირების, სიგნალიზაციის, დაცვის პერსონალის გამოკვეთილობის, შენობის გარე დიზაინის, განმასხვავებელი აბრევიატურის – სასაქონლო ნიშნების, მარკის, შრიფტის, დოკუმენტების შესრულების ფერის და ა.შ. არსებობის გამო კომფორტულობის შეგრძნებით.

7. *ინოვაციური ორგანიზაციის სოციალური იმიჯი* ფირმის რეპუტაციის არსებითი კომპონენტია. დადებით სახეს ქმნიან საქველმოქმედო სოციალური აქციების, მოტივაციისა და შრომის სტიმულირების სისტემები. თანამედროვე პირობებში საზოგადოებრიობის მადლიერებას იწვევს გარემოს, პაერის, წყლის დაცვაში წვლილის შეტანა, უსაფრთხო წარმოების პირობების შექმნის, უსაფრთხო მოხმარებისა და თითოეული თანამშრომლისა და მისი ოჯახის წევრების ცხოველქმედებისადმი კორპორაციული მიდგომა.

8. *ინოვაციური ბიზნესიმიჯი* იქმნება საქმიანი რეპუტაციის, მომსახურების ხარისხის სტანდარტების, საქმიანი აქტივობისა და კლიენტთა მომსახურების სერვისული პოტენციალის ელემენტების ხარჯზე.

საჭიროა გამოვეყნოთ კორპორაციული სტილის ელემენტები, რომლებიც მოიცავს რვავე კომპონენტს.

კორპორაციული სტილი – ეს არის მუდმივი ელემენტების (სიტყვათა, გრაფიკული, ფერთა და სხვა) ნაკრები, რომლებიც ერთობლიობაში უზრუნველყოფს ფირმის საქონლის ვიზუალურ და ვერბალურ ერთიანობას, მისგან გამომავალ ყველა ინფორმაციას, მის გარე და შიდა დიზაინს.

კორპორაციული სტილის ამოცანაა ინოვაციური ფირმის კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფა, მისი ინდივიდუალობის, განმასხვავებელი თვისებრივი მახასიათებლების ხაზგასმა.

ამრიგად, კორპორაციული ძლიერი იმიჯი აუცილებელი პირობა ხდება ინოვაციური მცირე ფირმისათვის მდგრადი და ხანგრძლივი წარმატების, განსაზღვრული საბაზრო ძალის მისაღწევად, იგი იცავს ორგანიზაციას კონკურენტების თავდასხმისაგან, აიოლებს რესურსების, მ.შ. ფინანსური, ინფორმაციული და ადამიანური რესურსების მისაწვდომობას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ე. ბარათაშვილი, ვ. დათაშვილი, გ. ნაკაიძე, რ. ქუთათელაძე. ინოვაციების მენეჯმენტი. თბილისი, 2008.
2. ლ. გვაჯაია, რ. ქუთათელაძე. საინოვაციო მენეჯმენტი. თბილისი. 2009.
3. ე. ბარათაშვილი, კ. ციმიტია, ჯ. ზარანდია „ინოვაცია და კონკურენტუნარიანობა“. ე „ეკონომიკა“ 5-6, თბილისი, 2007.
4. საქართველოს კანონპროექტი ინოვაციების შესახებ. 2016 წ.
5. თ. როსტიაშვილი. „მცირე და საშუალო ბიზნესის მართვის სტრატეგია“, თბილისი, 2010.

PUBLIC RELATIONS AND IMAGE OF THE INNOVATIVE SMALL ORGANIZATION

Annotation

Public relations (Public Relations PR) is the system of public relations assuming repeated activities for improvement of relations between the innovative organization (firm) and the public.

Image is cumulative emotional and functional characteristics of the organization, its goods which allocate it in a target segment, do goods of the organization recognizable and attractive. Indivisible element of any management model of corporate image is its accurately reasonable structure. As any management structure, it is hierarchical. The structure of image is illustrated in drawing.

Among the provided primary groups of components leading are carry out the following:

1. Image of goods (service);
2. Image of consumers of goods;
3. Internal image of the organization;
4. Image of the top manager;
5. Image of personnel;
6. Visual image;
7. Social image of the organization;
8. Business image.

Corporate style is a set of fixed elements (verbal, graphical, color, etc.) which, working in total, provide visual and semantic unity of goods (services) of the firm, all information proceeding from it, its internal and external design. The Task of corporate style is to make competitive firm, mark out her identity, distinctive quality characteristics.

Thus, corporate strong image becomes a necessary condition of achievement by innovative small firm steady and long success, certain market force, protects the organization from attacks of competitors, it is facilitated by access to resources, including financial, information and human.

ნინო სამტყუაშვილი

**ინვესტიციები – ინოვაციური საქმიანობის მნიშვნელოვანი ელემენტი.
პრობლემები და მათი დაკლებების გზები**

შესავალი

ქვეყნის ორიენტაცია განვითარების ინოვაციურ გზაზე დაკავშირებულია რადიკალურ გარდაქმნებთან სოციალურ წყობაში, პოლიტიკურ საქმიანობაში, საზოგადოებრივ ფსიქოლოგიასა და საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა სფეროებში, რომელიც ხორციელდება სისტემური მოდერნიზაციის მიმდინარეობის პროცესში.

ერთ-ერთი პირველთაგანი, ვინც აღნიშნა, რომ ეკონომიკური ზრდა მნიშვნელოვანწილად განპირობებულია სწავლებითა და ინოვაციებით, და არა მხოლოდ კაპიტალის დაგროვებით, იყო ამერიკელი ეკონომისტი, ნობელის პრემიის ლაურ ატი რობერტ მ. სოლოუ. იმის აღქმამ, რომ ინოვაციები უზრუნველყოფს სწრაფ ეკონომიკურ ზრდას, პროვოცირება გაუკეთა ინვესტიციების ზრდას „შემოქმედებით პროცესში“, მაგრამ მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის პირობებში ინვესტიციების ნაკადი საგრძნობლად შემცირდა [1].

ინოვაციების განვითარებისათვის საინვესტიციო შემადგენელს აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა, რამდენადაც იგი დაკავშირებულია ინვესტირების მაღალ რისკთან. საინვესტიციო სახსრების დაბრუნება შესაძლოა უზრუნველყოფილ იქნეს მხოლოდ საინოვაციო შემუშავებების წარმატებით კომერციალიზაციის შემთხვევაში. ამასთან, ნათელია, რომ ინოვაციური პროდუქციის წარმოება მოითხოვს მნიშვნელოვან დანახარჯებს ჯერ კიდევ წინა საპროექტო სტადიაზე, რომელსაც მიეკუთვნება ფუნდამენტური და გამოყენებითი სამეცნიერო კვლევები [2]. ამიტომ, კერძო საინოვაციო ინიციატივის მხარდაჭერის მიზნით, სახელმწიფომ, პირდაპირი ან ირიბი ხელშეწყობის მეთოდების გამოყენებით, ხელი უნდა შეუწყოს ასეთი ნეგატიური მოვლენების თავიდან აცილებას.

თანამედროვე ბიზნესსაუბარში ინვესტიციები და ინოვაციები არის სიტყვათა პოპულარული კომბინაცია. რაციონალურია თუ არა ფულის ჩადება ინოვაციურ საქმიანობაში, როდესაც გაურკვეველია, როგორი იქნება მომხმარებელთა რეაქცია სიახლეზე, რთული საკითხია.

თუ დავინტერესდებით, რომელი დარგებია მიმზიდველი ინვესტირებისათვის, აღმოჩნდება, რომ ისინი არცთუ ისე ბევრია. Fordes-ის რეიტინგის მიხედვით, მსოფლიოს ინოვაციური კომპანიების ტოპ-10-ს ლიდერობს ინფორმაციული ტექნოლოგიებში და ინტერნეტში მოღვაწე კომპანიები – 50% და ბიოტექნოლოგიების სფერო – 30%[3].

ვარტონის ბიზნესსკოლის (ფილადელფია, პელსილვანიის შტატი, აშშ) კვლევებმა გვიჩვენა, რომ ამერიკული კომპანიები, რომლებიც მოღვაწეობენ ბიოტექნოლოგიის ბაზარზე სამეცნიერო კვლევებსა და მეცნიერული შემუშავებების წარმოებაში დანერგვაზე, ყოველ მუშაკზე გაანგა-

რიშებით, ხარჯავენ დაახლოებით რვაჯერ მეტს, ვიდრე იხარჯება აშშ-ის ეკონომიკის ყველა დანარჩენ სფეროში [4].

საქართველოს ეკონომიკის გადასვლა განვითარების ინოვაციურ გზაზე მოითხოვს მნიშვნელოვანი საინვესტიციო რესურსების მოზიდვას. საინოვაციო საქმიანობის მდგომარეობა ეკონომიკაში დიდწილად განისაზღვრება საინოვაციო პროცესების რეგულირების ეფექტიანობით, ვინაიდან სახელმწიფომ უნდა შექმნას აუცილებელი პირობები ინოვაციებში ინვესტიციების შემოდინებისათვის. ინოვაციური საქმიანობის მართვა წარმოადგენს მისი ეფექტიანი განვითარებისათვის ერთ-ერთ ძირითად საშუალებას, რაც დაკავშირებულია ინოვაციური საქმიანობის გადაქცევასთან ქვეყნის ეკონომიკური ზრდის მნიშვნელოვან ფაქტორად.

როგორც მრავალ ქვეყანაში, ასევე საქართველოში ხელისუფლების ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს უნდა წარმოადგენდეს მაღალტექნოლოგიური მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერა როგორც საკანონმდებლო და ორგანიზაციული, ისე ინვესტიციების მოზიდვის თვალთახედვით. ამისათვის იქმნება სხვადასხვა სახელმწიფო ორგანოები, რომელთა საქმიანობა მიმართულია იმ საწარმოების შექმნისა და მართვისათვის ინვესტიციების მოზიდვის მხარდაჭერაზე, რომლებიც ქმნიან და აწარმოებენ ინოვაციურ პროდუქციას, ისინი კი თავის მხრივ ქმნიან ახალ სამუშაო ადგილებს.

2014 წლის 19 თებერვალს საქართველოს ხელისუფლების მხარდაჭერით ეკონომიკის სამინისტროსთან შეიქმნა ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო (GITA). სააგენტოს ფუნქციებია [5]:

1. საქართველოში ინოვაციური ეკოსისტემის შექმნა;
2. ცოდნისა და ინოვაციის კომერციალიზაციის ხელშეწყობა;
3. ინოვაციური ინფრასტრუქტურის შექმნა: ა). ტექნოლოგიური პარკები; ბ). ინკუბატორები; დ). აქსელერატორები; ე). ინოვაციების ლაბორატორიები (iLAB); ვ). სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორიები (FabLab).

4. Broadband for All – მაღალსიჩქარიანი ინტერნეტის ინფრასტრუქტურა მოელს ქვეყანაში

ასევე, საქართველოს პარლამენტის ძალისხმევით, 2013 წლის 13 მარტს, პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის გადაწყვეტილებით შეიქმნა საინვესტიციო საბჭო. საქართველოს მეცნიერების, ტექნოლოგიების და ინოვაციების სფეროში არსებული პოლიტიკის შეფასების ფარგლებში (Policy Mix Peer Review of the Georgian STI System - implemented under the IncoNet EaP). ევროკომისიის დელაგაციის ხელმძღვანელმა, ბატონ ჯორჯ ბინასისმა ვიზიტის დროს აღნიშნა, რომ განსაკუთრებულად მახვილგონივრული გადაწყვეტილება იყო საქართველოს პარლამენტთან არსებული საინოვაციო საბჭოს შექმნა და ის ამ ინიციატივის გამოცდილებას გადასცემდა სხვა ქვეყნის პარლამენტებსაც [6].

აღნიშნული სააგენტოსა და საბჭოს შექმნა განაპირობა საქართველოს კატასტროფულმა ჩამორჩენამ ტექნიკური და ტექნოლოგიური თვალთახედვით. ფაქტობრივად მოშლილია კვლევითი ინსტიტუტების სისტემა, განადგურებული და გაყიდულია მათი ტექნიკური აღჭურვილობა და დაქსაქსულია ამ ინსტიტუტებში არსებული შრომითი რესურსი. თანამედროვე ეტაპზე ევროკავშირთან ინტეგრაციის პროცესის დაწყებისათვის აუცილებელია აღნიშნული ჩამორჩენის თანდათანობითი შემცირება.

კვლევითი სამუშაოებისა და ინოვაციების ქმედითი ხელშეწყობის მექანიზმებისა და პოლიტიკის ჩამოსაყალიბებლად, პროცესების დასაჩქარებლად, ბიუროკრატიული და სხვა ბარიერების შესამცირებლად 2015 წლის 3 თებერვალს მთავრობის №32 დადგენილებით შეიქმნა მუდმივმოქმედი კვლევებისა და ინოვაციების საბჭო [7].

ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს ინოვაციების შესახებ ცალკე კანონის არარსებობა. ამჟამად ეკონომიკის სამინისტროში და ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს ძალისხმევით მზადდება კანონი ინოვაციების შესახებ, რითაც საკანონმდებლო დონეზე იქნება დარეგულირებული ინოვაციური საქმიანობა, რაც სტიმულს მისცემს როგორც ქართველ, ასევე უცხოელ ინვესტორებს, აქტიურად ჩაერთონ ინოვაციური წარმოების ინვესტირების პროცესში.

ინოვაციურ საქმიანობაში ინვესტიციების მოზიდვის საქმეში დიდი მნიშვნელობა ენიჭება საპატენტო საქმიანობას. ბოლო ხუთი წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად შემცირდა საპატენტოში წარდგენილი განაცხადების რაოდენობა, ეს ფაქტი ძირითადად განპირობებულია რამდენიმე ფაქტორით, მოვიყვანოთ ზოგიერთ მათგანს და მათი გამომწვევი პრობლემების დაძლევის ჩვენებურ ხედვას:

1. გაუარესებულია გამომგონებლებსა და საპატენტის ექსპერტებს შორის კომუნიკაცია, რაც გამოწვეულია ამ ორგანიზაციის მცხეთაში გადატანით. მართალია განაცხადების მიღება ამჟამად ხდება საპატენტის ბიბლიოთეკაში, რომელიც განთავსებულია თბილისში, მაგრამ ექსპერტები ძირითადად იმყოფებიან მცხეთაში. ამიტომ, სასურველი იქნებოდა მისი ცენტრალური ოფისის თბილისში გადმოტანა.

2. საქართველოში არ წარმოებს საპატენტო-საინფორმაციო საქმიანობა, რომლის გასააქტიურებლად სახელმწიფომ ყველა ღონე უნდა იხმაროს. ჩვენი აზრით, საჭიროა მომზადდეს სარეკლამო რგოლები და ბუკლეტები, უმაღლეს სასწავლებლებში ჩატარდეს საინფორმაციო

სემინარები, კარგი იქნებოდა თუ უმაღლესი სასწავლებლების ტექნიკურ ფაკულტეტებზე მაგისტრატურაში წავეითებოდათ სასწავლო საგანის „პატენტმცოდნეობის“ მოკლე კურსი.

3. გამოგონების სფეროში შექმნილი პრობლემები მნიშვნელოვანწილად განპირობებულია სამეცნიერო-კვლევითი სისტემის დანგრევით, აქაც სასურველია, რომ უმაღლესმა სასწავლებლებმა გამოიყონ და მოიხილონ ინვესტიციები სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების დასაფინანსებლად, ასევე, ჩვენი აზრით, მიზანშეწონილი იქნებოდა უმაღლეს სასწავლებლებში საინოვაციო საბჭოების შექმნა, რომლებიც მოამზადებდნენ სამეცნიერო-საკვლევ მიმართულებათა თემატიკას და კოორდინაციას გაუწევდნენ ამ სამუშაოებს.

4. მნიშვნელოვნად დაცემულია სამეცნიერო და საინჟინრო საქმიანობის პრესტიჟი. არ არსებობს აკადემიურ და სამრეწველო სფეროებს შორის კოოპერაცია. ამ პრობლემების გადაწყვეტა საკმაოდ რთულ ამოცანას წარმოადგენს და მოითხოვს სისტემურ გადაწყვეტას, სადაც ჩართულები უნდა იყვნენ როგორც სახელმწიფო, ასევე აკადემიური და სამრეწველო სფეროები. აუცილებელია, შეიქმნას აკადემიურ და სამეცნიერო სფეროებს შორის დამაკავშირებელი რგოლი.

ქართველი მეცნიერების უმრავლესობა ინოვაციურ საქმიანობაში ინვესტიციების მოზიდვის პრობლემის განხილვისას მთავარ როლს ამ პროცესში ანიჭებს სახელმწიფოს. ისინი თვლიან, რომ ინოვაციების ინვესტიციებით მხარდაჭერის სახელმწიფო პოლიტიკა უნდა გახდეს წამყვანი ფაქტორი. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ეკონომიკური რეფორმის დასაწყისში ასეთი პოლიტიკის პრინციპები არ იქნა ფორმულირებული, ხოლო ამ მიმართულებით გაწეულმა ცალკეულმა ღონისძიებებმა შედეგი არ გამოიღო [5],[6]. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ბოლო წლებში მთავრობა ცდილობს სიტუაციის გამოსწორებას ამ მიმართულებით.

ქვეყნის განვითარების ხელშეწყობის მიზნით, საქართველოს მთავრობამ შეიმუშავა სოციალ-დურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია 2020, რომლის მიხედვით განსაზღვრა პრიორიტეტული მიმართულებები, სადაც ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარება ერთ-ერთ მამოძრავებელ ძალას წარმოადგენს ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად და ეკონომიკური კეთილდღეობის გასაუმჯობესებლად [8].

ამავდროულად, მსოფლიო ეკონომიკაში ინოვაციური საქმიანობის განვითარების განსაკუთრებულ თავისებურებას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ინვესტიციების ჩადება მეცნიერებაში და ახალი ტექნოლოგიების შექმნა არ წარმოადგენს სახელმწიფოს აუცილებელ ვალდებულებას. როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, „დიდი შედეგების“ ქვეყნებში სახელმწიფოს მონაწილეობა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ინვესტირებაში პროპორციულ მიმართებაში თანდათან მცირდება, ვინაიდან ამ როლს სულ უფრო მეტად თავის თავზე იღებენ კერძო და კორპორაციული ინვესტორები. სპეციალისტების შეფასებით განვითარებულ ქვეყნებში მეცნიერებაზე გაწეული ხარჯების 70% მოდის არა სახელმწიფოს, არამედ კერძო და კორპორაციულ სექტორზე [9].

დასკვნა

ქვეყნის განვითარებასთან ერთად, მომავალში ინოვაციურ საქმიანობაში ინვესტირების ვექტორი გადაიხრება სახელმწიფოდან კერძო ინვესტორების მხარეს. კომპანიება, განსაკუთრებით მსხვილი საწარმოები, უნდა გადავიდნენ ინოვაციური საქმიანობის თვითდაფინანსების სისტემაზე. თანამედროვე ეტაპზე, კონკურენტული უპირატესობის ფოკუსი გადაადგილდა არამატერიალური აქტივების დაგროვებისა და გამოყენების მხარეს, რაც წარმოადგენს კონკურენტუნარიანობის ამაღლების ძირითად წყაროს. სამეცნიერო კვლევები და საკონსტრუქტორო შემუშავებები, რაშიც კომპანიები ჩადებენ სახსრებს, შემდგომში გადაიქცევა მათ კონკურენტულ უპირატესობად, ვინაიდან უზრუნველყოფს კომპანიისათვის დამატებითი ფულადი სახსრების შემოდინებას ლიცენზიების გაყიდვის ხარჯზე.

ამრიგად, ინვესტიციები ინოვაციურ საქმიანობაში წარმოადგენს ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთ განმსაზღვრველ ფაქტორს, რადგან ხელს უწყობს ინოვაციური ტიპის ეკონომიკის ფორმირებას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მხოლოდ მეცნიერების, მეწარმეობის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს ნაყოფიერი თანამშრომლობით იქნება შესაძლებელი საქართველოს სწრაფი ეკონომიკური განვითარება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Robert J. Shiller. Radical Financial Innovation. <http://www.econ.yale.edu/~shiller/pubs/radical.pdf>
2. Robert J. Shiller. Creativity, Corporatism, and Crowds. Project Syndicate. NOV 18, 2014.

<https://www.project-syndicate.org/commentary/crowdsourcing-creativity-economic-dynamism-by-robert-j--shiller-2014-11?barrier=true>

3. Fordes. The World's Most Innovative Companies. <http://www.forbes.com/innovative-companies/>

4. Min Ding, Jehoshua Eliashberg, Stefan Stremersch. Innovation and Marketing in the Pharmaceutical Industry. International Series in Quantitative Marketing. [file:///C:/Users/tsamchkuashvili/Downloads/Chapter%203%20Portfolio%20Management%20in%20New%20Drug%20Development_1%20\(2\).pdf](file:///C:/Users/tsamchkuashvili/Downloads/Chapter%203%20Portfolio%20Management%20in%20New%20Drug%20Development_1%20(2).pdf)

5. საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო. 12.03.15.

http://sdf.elsevier.ge/assets/images/sdf/20150312_GeorgiaSDF_Kintsurashvili.pdf

6. პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტთან არსებული საინოვაციო საბჭოს 2015 წლის ანგარიში.

7. საქართველოს მთავრობის დადგენილება №32. 2015 წელი 3 თებერვალი. <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/2712487>

8. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია. საქართველო 2020. http://gov.ge/files/382_42949_233871_400-1.pdf

9. Одинцов С.В. Место и роль интеллектуального капитала предприятия в современном мире. Промышленность России. - №10. 2002.

Nino Samchkuashvili.

**INVESTMENTS - AN IMPORTANT ELEMENT OF THE INNOVATIVE ACTIVITIES.
PROBLEMS AND SOLUTIONS
Annotation**

In Georgia the investment policy and its implementation is an important objective of its development. More important for the country may be only statehood, the territorial integrity and unity. But the innovative development of national economy is becoming an increasingly important factor in the modernization period. Therefore, the state should pay great attention to the development of science, because it can become a significant factor in the development of an innovative economy. And, the transition to innovative development requires the attraction of significant investment resources.

როლანდ სარჩიმელია

ინოვაციური ეკონომიკური პრობლემები საქართველოს მშენებლობაში

ინოვაციები, როგორც ეკონომიკური ზრდის უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული ინსტრუმენტი⁴⁶, ფართოდ გამოიყენება მეცნიერების ეკონომიკაში. ინოვაცია წარმოადგენს მართვის ობიექტის ძირეული შეცვლისა და ეკონომიკური, სოციალური, ეკოლოგიური, მეცნიერულ-ტექნიკური ეფექტის მიღების მიზნით სიახლის პრაქტიკაში დანერგვის შედეგს.

მსოფლიოში გლობალურ წინააღმდეგობებზე განუწყვეტელმა ფიქრმა, რაც საუკუნეების მანძილზე სხვადასხვა ინტენსივობით მიმდინარეობდა, გენიოსი მკვლევრები გამოავლინა.

საზოგადოებრივ მოვლენებზე მსჯელობისას ცოდნის ეკონომიკამ გლობალიზაციის პირობებში ინოვაცია დაამკვიდრა, რომელიც გაფართოვდა ისეთ სამეცნიერო დარგებშიც, როგორცაა კიბერნეტიკა, ეკონომიკა, ფიზიკა, მათემატიკა და წარმოების პროცესის თეორიული კვლევით ისინი ერთმანეთთან დააკავშირა⁴⁷.

მეცნიერ კადრთა დარგობრივი სტრუქტურის ფორმირება პოსტსაბჭოთა კავშირში დიდხანს მიმდინარეობდა. წარმატებული იყო მისი მაღალგანვითარებული სამეცნიერო სკოლები, რომელთა დამსახურებულ ავტორიტეტს დღესაც აღიარებენ მსოფლიოში, თუმცა ბევრად მეტი წარმატება იყო მოსალოდნელი, რომ არა მეცნიერების განვითარებაზე წინააღმდეგობრივად მოქმედი მბრძანებლური დაგეგმვის სისტემა და დაფინანსების ახალი სიძნელეები პოსტსაბჭოთა საქართველოს ეკონომიკაში.

საქართველოში მეცნიერ კადრთა დარგობრივი სტრუქტურის ცვლილებებზე რაოდენობრივი მსჯელობა დიდი მასშტაბების მეცნიერული მიღწევებით შესაძლებელი ხდება, მაშინ დროის ამავე პერიოდში მკვიდრდება აზრი რომ, თუ მეცნიერთა პროგრესული უნარის ამოცნობის მქონე მთავრობა ქვეყანას მართავს და მოსახლეობის სასიკეთოდ ზრუნავს მეცნიერების გამოყენებაზე, მაშინ ქვეყანა განვითარების გზაზე დამდგარი და მისი ეკონომიკის წარმატებები მსოფლიოში გლობალიზაციის შენაკადი ხდება.

სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის პირობებში, მიმდინარეობს რა მეცნიერების დარგების დიფერენციაცია, თან წარმოიქმნება ახალი მეცნიერული დარგები. უმჯობესდება მეცნიერების პოტენციალი და იზრდება მათზე დანახარჯები⁴⁸. შესაბამისად, სამეცნიერო მოღვაწეობა გარდაიქმნა მაღალკვალიფიციურ სპეციალობად და, კიბერნეტიკის ფუძემდებელი ნორბერტ ვინერის აზრით, მნიშვნელოვანი ხდება მეცნიერების ეფექტიანობის გაუმჯობესება, რომელიც ეყრდნობა მსჯელობას იმის შესახებ, რომ ორიგინალური მეცნიერული შრომების 95% განეკუთვნება ხუთ პროცენტზე ნაკლები რაოდენობის მაღალი დონის მკვლევარს, მაგრამ დანარჩენი 95% ჩვეულებრივი მეცნიერის თანამონაწილეობის გარეშე არ იქნებოდა აყვანილი კლასიკური ეფექტიანი გამოყენების დონემდე. ამასთან, მნიშვნელოვანია ახალ სამეცნიერო ცვლაზე შედეგების გადაცემის პროცესი.

⁴⁶ ნ. დავლაშერიძე. ევროკავშირის ინოვაციური განვითარების ინდიკატორები. თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი, სამეცნიერო შრომების კრებული, VIII. თბილისი, 2015, გვ. 340-341.

⁴⁷ ლ. ჩიქავა. ინოვაციური ეკონომიკა. საგამომცემლო ფირმა „სიახლე“, თბილისი, 2006, გვ. 403.

⁴⁸ რ. სარჩიმელია. ეკონომიკური პროცესების მათემატიკური მოდელები შეზღუდვათა ცვლილებების პირობებში. თბილისი, „მეცნიერება“, 1989. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტი. გვ. 113-133.

პოსტკომუნისტურ საქართველოში მეცნიერ კადრთა განვითარების პროცესი დროში კიდევ უფრო აუმჯობესებს მეცნიერების ორგანიზებულობას. აღსანიშნავია ისიც, რომ მეცნიერების ეფექტიანობა მბრძანებლური სისტემის დროსაც მაღალი იყო, მაგრამ არც ისე მრავალმხრივი, რომელიც საქართველოში საბაზრო ეკონომიკისათვის უნდა იყოს დამახასიათებელი. 80-იანი წლების ყოფილ საბჭოთა კავშირში მეცნიერ კადრთა კვალიფიციური სტრუქტურის მანევრებელი იყო⁴⁹ ერთი მეცნიერებათა დოქტორი, 7 მეცნიერებათა კანდიდატი, 22 მეცნიერ მუშაკი სამეცნიერო ხარისხის გარეშე, 90 დამხმარე პერსონალი, რაც პირობითად შემდეგნაირად იქნა ჩაწერილი (1:70:90). ამ თანაფარდობით შეიძლება შეფასებულიყო სხვადასხვა სამეცნიერო დაწესებულების საორიენტაციო სტრუქტურა თანამშრომელთა მინიმალური რიცხვით (120 კაცი). აღვნიშნავთ იმასაც, რომ აკადემიის სამეცნიერო-კვლევითი მიმართულებით მიზანშეწონილ სტრუქტურად ვარაუდობდნენ (თემატიკის მიხედვით) 9 ურთიერთდაკავშირებული განყოფილების არსებობას, რომლებსაც ხელმძღვანელობდნენ უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტები (ძირითადად მეცნიერებათა დოქტორები), ყოველ განყოფილებაში სამი დამოუკიდებელი ჯგუფი, რომლებსაც ხელმძღვანელობდნენ მეცნიერებათა კანდიდატები. პროპორცია მეცნიერ თანამშრომლებსა და დამხმარე პერსონალს შორის თეორიული პროფილის ინსტიტუტებში შეადგენდა 1:1, ხოლო გამოყენებითი ინსტიტუტებისათვის – 1:4.

სსრკ-ის დაშლის შემდეგ საქართველოსა და რუსეთს შორის დაძაბული, ცუდი პოლიტიკური ურთიერთობების მიუხედავად ის, რაც ახლო წარსულში დამკვიდრებული იყო ყოფილ საბჭოთა კავშირში, თითქმის უცვლელი დარჩა⁵⁰. ამას ისიც განაპირობებდა, რომ საქართველოს რუსეთთან ეკონომიკური ურთიერთობები არ შეჩერებულა და დღეს პერსპექტიულ გზაზე დგას.

Roland Sarchimelia

INNOVATION ECONOMIC PROBLEMS IN GEORGIAN SCIENCE

Annotation

The article discusses the instruments of economic growth in science economy; the efficiency of sectoral structure for matation of scientific staff in postcommunist Russia and Georgia.

Is characterised the results of efficient managment of science organization in current conditions of scientific-technical revolution.

Despite the fact that the improvement of economic problems which is still negatively influenced by command planning system, the economic relations of Georgia and Russia has not been stopped and has perspective in globalizati-on conditions.

ილია (აზიკო) სისვაძე

ინოვაციურ ეკონომიკაში ორიენტირებულ სოციალურ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა – საქართველოს უაღმესი პრიორიტეტი

საქართველოსათვის მისაღები საბაზრო ეკონომიკის მოდელი

ბაზრის რეგულირება თუ დერეგულირება? ამჟამად პოსტკომუნისტურ ქვეყნებში, მათ შორის საქართველოში, მთელი სიმწვავეთ დგას საკითხი საბაზრო ეკონომიკის იდეალური მოდელის შერჩევის შესახებ. ქართველ სწავლულ ეკონომისტთა დიდი ნაწილის თვალსაზრისით, საქართველოს ეროვნული, ისტორიული, სოციალური და პოლიტიკური ტრადიციებიდან გამომდინარე, არსებულ მოდელთან ყველაზე მისაღები – სოციალური ორიენტაციის შერეული საბაზრო ეკონომიკაა [1, გვ. 2-29], [3, გვ. 27-55], [5, გვ. 5-26], [6, გვ. 4-36].

მემარჯვენე ორიენტაციის პარტიების და ამავე მსოფლმხედველობის ეკონომისტებისა და პოლიტოლოგების კატეგორიული მოსაზრებით, ქვეყნის განვითარების ერთადერთ რაციონალურ გზას „ლიბერტალიანზმის“ კონცეფციის საფუძველზე აბსოლუტურად თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის ფორმირება წარმოადგენს. შესაბამისად, ისინი გამოდიან ეკონომიკის სრული „დერეგულირების“ ლოზუნგით, თვით რეგულირების ცნებასაც კი მკრეხელობად მიიჩნევენ და თვლიან, რომ იგი ეკონომიკას მხოლოდ ამუხრუჭებს.

პრობლემის ასე დაყენების დროს „დერეგულირების“ იდეის ავტორები ვერ ითვალისწინებენ, რომ ეკონომიკის რეგულირება მის შემავრცელებელ უხეშ ადმინისტრირებას კი არ გულისხმობს, არამედ მსოფლიო პრაქტიკაში გამოცდილი ეკონომიკური მეთოდებით საბაზრო მექანიზმის შეუფერხებელი ფუნქციონირების უზრუნველყოფას, ბიზნესის მაქსიმალურ ხელშეწყობას, ეკონომიკის წარმართვას პრიორიტეტული მიმართულებით, ეკონომიკური ზრდის და ეფექტიანობის გადიდების მოტივაციას და მწვავე სოციალური პრობლემების გადაწყვეტას.

⁴⁹ იქვე, გვ. 123.

⁵⁰ ვ. პაპავა. საქართველო-რუსეთის ეკონომიკურ ურთიერთობათა ევოლუცია პოსტსაბჭოთა პერიოდში: გადაწყვეტილი გზა და პერსპექტივები. რუსეთი და საქართველო: გამოსავლის ძიებაში. ქართველი და რუსი ექსპერტების მიერ შემუშავებული საზოგადოებრივი პოლიტიკის სარეკომენდაციო დოკუმენტები. 2011, გვ. 64-65.

ამდენად, ეკონომიკის უკიდურესი „დერეგულირების“ იდეა საკითხისადმი არაპროფესიული მიდგომაა და აშკარად იგრძნობა, რომ მისი მომხრეები სათანადოდ არ იცნობენ (ან არ სურთ იცნობდნენ) საბაზრო ეკონომიკის ისტორიას, მის ბოლოდროინდელ გამოცდილებას და ეკონომიკის თეორიის პრაქტიკით შემოწმებულ თანამედროვე დოქტრინებს. ა. სმიტისეულ, მხოლოდ ბაზრის „უხილავი ხელით“ მართულ ეკონომიკას ყველი უკვე გაუვიდა და თანამედროვე მსოფლიო სულ სხვა რეალობაში ცხოვრობს.

ამასთან, საბაზრო ეკონომიკის ამჟამინდელ ქართულ მოდელზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ლეგიტიმურია საკითხის დასმა: „ლიბერტალიანიზმის“ საფუძველზე ჩამოყალიბებული ბაზარი არის თუ არა რეალურად თავისუფალი?

სამწუხარო რეალობა ასეთია: თავისუფალი, ველური ბაზრის კანონების აულაგმავი მოქმედების, დაუხვეწავი სამეწარმეო კანონმდებლობის, მოძველებული საგადასახადო სისტემის, ადგილობრივი მონოპოლიების ბატონობის და მძლავრი უცხოური კაპიტალის მოძალდების შედეგად ქვეყანაში ფაქტობრივად **ოლიგარქიულ-კლანური დეფორმირებული საბაზრო ეკონომიკა** ჩამოყალიბდა, მისთვის დამახასიათებელი სერიოზული ნაკლოვანებებით. მათ შორის, საყოველთაოდ ცნობილი და ყველაზე რეზონანსული ფაქტებით დადასტურებული არგუმენტებია:

1. კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის მე-18 საუკუნის დროინდელი მოუმიწიფებელი იდეების საფუძველზე მომდევნო საუკუნეში ჩამოყალიბებულმა თავისუფალმა „ველურმა კაპიტალიზმმა“ და თვითდინებაზე მიშვებულმა ბაზარმა მომდევნო საუკუნეებში ქაოსური სოციალური კონფლიქტები და პირსისხლიანი უტოპიური კომუნისტური რეჟიმები წარმოშვა ასეული მილიონობით ადამიანის მსხვერპლით და კოლოსალური ზარალით;

2. მეოცე საუკუნის დასაწყისიდან, ეკონომიკის მონოპოლიზაციის შედეგად ბაზრის თვითრეგულირების მექანიზმი იმდენად შესუსტდა, რომ მასში სახელმწიფოს ჩარევა გარდაუვალი გახდა. ამის თვალსაჩინო მაგალითია ოცდაათიან წლებში მსოფლიო ბაზრის „ფიასკო“ და ამ მდგომარეობიდან მისი გამოყვანა მხოლოდ სახელმწიფოს აქტიური ჩარევით. მომდევნო პერიოდში მონოპოლიზაციის გაღრმავებამ და მძლავრი ტრანსეროვნული კორპორაციების გაბატონებამ ბაზრის დამანგრეველი კრახის საშიშროება კიდევ უფრო გაზარდა;

3. მიუხედავად იმისა, რომ მეტ-ნაკლებად თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნებში არსებობს კონკურენციის დაცვის საკმაოდ მკაცრი კანონმდებლობა, ეს მონოპოლიებს ხელს ვერ უშლის, მუდმივად ზარდონ ეკონომიკური პოტენციალი და არაჯანსაღი სოციალურ-ეკონომიკური გაგლეხა, მრავალმხრივი შეტევა განახორციელონ მოსახლეობის სხვადასხვა ფენის „ჯიბებზე“ და მათი შემოსავლები არასამართლებრივი და არაეთიკური გზებით გადმოქაჩონ. იმ ქვეყნებში, სადაც ეს პროცესი სახელმწიფოს მიერ სათანადოდ არ რეგულირდება, პერიოდული სოციალური ჯანყი აუნახდაურებელ მატერიალურ და მორალურ დანაკარგებს იწვევს;

4. თავისუფალი ბაზრის თანამდევნი ეფექტის – მონოპოლიზაციის ერთ-ერთი უკიდურესად უარყოფითი შედეგია ქვეყანაში **ოლიგარქიულ-მონოპოლისტური პოლიტიკური სისტემის** ჩამოყალიბება, რომლის წარმომადგენლები პოლიტიკურ მოღვაწეობას მეწარმეობის მაღალ-მომგებიან სახეობად – „**პოლიტიკურ ბიზნესად**“ მიიჩნევენ. ფინანსური ძლიერება მათ საშუალებას აძლევს, დიდძალი „**პოლიტიკური ინვესტიციებით**“, მათ შორის ფსევდოქველმოქმედებითა და ამომრჩეველთა მოსყიდვით, მოვიდნენ ხელისუფლებაში და საკუთარ მიზნებს დაუქვემდებარონ სახელმწიფოებრიობის ყველა სფერო. კიდევ უარესი, ოლიგარქია ტოტალურ შეტევას ახორციელებს დემოკრატიაზე და ქვეყანაში არაფორმალურ ავტოკრატულ მმართველობას ამკვიდრებს. ასეთი „**პოლიტიკური ბიზნეს-ოპერაციით**“ კი მრავალგზის ინახდაურებს გაწეულ ხარჯებს და მონოპოლიურად მაღალ რეალურ „**პოლიტიკურ ზემოებას**“ იღებენ. ცხადია, ეს „წარმატება“ დგება არა „არსიდან“, არამედ სახელმწიფოს, ჯანსაღი კონკურენტული ბიზნესის და მოსახლეობის შემოსავლების უკანონო გადმოქაჩვით;

5. როდესაც ქვეყანაში მძვინვარებს კრიზისი, ინფლაცია, უმუშევრობა, სიღარიბე და ეცემა ეროვნული ვალუტის კურსი, თვით დერეგულირების გულმხურვალე დამცველები შველას ეძიებენ არა ბაზარში ან ბიზნესში, არამედ სახელმწიფოსაგან აქტიური და ეფექტური მარეგულირებელი ღონისძიებების გატარებას მოითხოვენ;

6. საქართველოში ე. წ. „შოკური თერაპიის“ საფუძველზე ჩამოყალიბებულმა თავისუფალმა ბაზარმა ოცი წლის განმავლობაში ვერ უზრუნველყო რაიმე ხელშესახები ეკონომიკური პროგრესი, ქვეყანა მუდმივი ტოტალური შოკის მდგომარეობაში ჩააგდო და საეჭვოა ამ პირობებში უახლეს მომავალში რაიმე სასიკეთოდ შეიცვალოს;

7. სრულიად თავისუფალი ბაზრის იდეის საწინააღმდეგოდ მეტყველებს ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნების თანამედროვე გამოცდილებაც, სადაც ბიზნესში სახელმწიფოს რაციონალური ჩარევითა და სოციალური ურთიერთობების მოწესრიგებით მიღებული სოციალურ-ეკონომიკური ეფექტი მნიშვნელოვნად აღემატება თავისუფალი ბაზრის შესაბამის დადებით ეფექტს. ამჟამად თავისუფალი საბაზრო ეკონომიკა ისეთი სახით, როგორც ეს ჩვენში წარმოუდგენიათ, მსოფლიოში უკვე აღარ არსებობს.

მაგრამ, როგორც ცნობილია, თავისუფალი ბაზარი ხასიათდება უდავო ღირსებებითაც, რომლის იგნორირება გაუმართლებელი იქნებოდა. ამიტომ საკითხი ისმის საბაზრო ეკონომიკის

ისეთი ინტეგრირებული მოდელის შერჩევის შესახებ, რომელიც შეინარჩუნებს ლიბერალური საბაზრო ეკონომიკის უპირატესობებს და მაქსიმალურად გამორიცხავს მის უარყოფით შედეგებს. თანამედროვე ცივილიზებულ მსოფლიოში ასეთად ინოვაციებზე დამყარებული სოციალური ორიენტაციის შერეული ტიპის საბაზრო ეკონომიკაა მიჩნეული.

განხილულ გარემოებათა გათვალისწინებით, ამ მოდელის მიზანშეწონილობის უმთავრესი არგუმენტი ის გარემოებაც, რომ იგი საბაზრო ურთიერთობათა განვითარების უახლესი, ყველაზე პროგრესული პროდუქტია. შესაბამისად, როდესაც საკითხი დგას საბაზრო ეკონომიკის არსებულ მოდელებს შორის არჩევანის გაკეთების შესახებ, გონივრული იქნება პრიორიტეტი სწორედ მას მივანიჭოთ და არა მორალურად მოძველებული წარსულის სხვა მოდელებს. სოციალური საბაზრო ეკონომიკის მოდელის ანალიზი გვიჩვენებს, რომ იგი გამოირჩევა ინოვაციურობით, მაღალი ეფექტიანობით და საზოგადოებრივი ჰარმონიის მიღწევის პოტენციალით. სწორად აგების პირობებში იგი შესაძლებლობას ქმნის, ოპტიმალურად შეეუხამოთ თავისუფალი და რეგულირებადი ბაზრების უპირატესობანი, ხოლო უარყოფითი ეფექტები მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი. ამ მოდელის ნაკლი გამოიხატება ეკონომიკაში სახელმწიფოს გადაჭარბებული ჩარევის საშიშროებაში და იმაზე გაცილებით ძვირადღირებული სოციალური პროგრამების დაფინანსებით გატაცებაში, რომლის დაძლევაც არსებული რესურსებითაა შესაძლებელი. ამიტომ ხელისუფლებამ სრულად უნდა დაიცვას ქვემოთ განხილული მისი ფუნქციონირების პრინციპები.

ამდენად, თუ ქვეყანას სურს სწრაფად დააღწიოს თავი ეკონომიკურ ჩამორჩენას და სიდუხჭირეს, მაშინ ეკონომიკურ მოწყობას ინოვაციებზე დაფუძნებული სოციალური საბაზრო ეკონომიკის მოდელის მიხედვით – ალტერნატივა არა აქვს.

სოციალური საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბების ეტაპები

სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის მოდელზე გადასვლა რადიკალური სისტემური რეფორმების განხორციელებას მოითხოვს, რომელმაც, თავის მხრივ, შემდეგი თანმიმდევრული ეტაპები უნდა მოიცავს:

1. კონცეფციის შემუშავება, სადაც საბუთდება ახალ სოციალურ-ეკონომიკური მოწყობის მოდელზე გადასვლის მიზანშეწონილობა, იკვეთება პრიორიტეტული სტრატეგიული მიზნები, მოდელის ფუნქციები, გასახულ მიზანთა მიღწევის საშუალებები, აგებისა და ფუნქციონირების პრინციპები, განხორციელების ეტაპები და სხვა;

2. **SWOT**-ანალიზი, რომელიც მოდელის განხორციელების რეალურობის თვალსაზრისით გამოავლენს ქვეყნის ეკონომიკის ძლიერ და სუსტ მხარეებს, განვითარების შიდა და გარეთა საფრთხეებს და წარმატების შესაძლებლობებს;

3. ახალ მოდელზე გადასვლის სტრატეგიული გეგმის შედგენა, რომელიც უზრუნველყოფს სათანადო ბალანსის დაცვას, ერთი მხრივ, საბაზრო მექანიზმს, ეკონომიკის სახელმწიფოებრივ რეგულირებას და ეკონომიკის სოციალურ ორიენტაციას შორის, ხოლო მეორე მხრივ, მეწარმეთა და საზოგადოების დანარჩენი ნაწილის ინტერესებს შორის. მასში დეტალიზდება კონცეფციის ცალკეული საკითხები, ლოკალური მიზნები, რესურსობრივი უზრუნველყოფა, გეგმის ნაწილები საზოგადოებრივი საქმიანობის სფეროების მიხედვით და სხვა;

4. ახალი საკანონმდებლო ბაზის ფორმირება და შესაბამისი ინსტიტუციების ჩამოყალიბება, რომელიც გაითვალისწინებს სამეწარმეო საქმიანობის მაქსიმალურ ხელშეწყობას, კონკურენციის დაცვას, სახელმწიფოს მარეგულირებელი საქმიანობის კოორდინაციას, საგადასახადო სისტემის დახვეწას და მისი მოტივაციური ფუნქციების გაძლიერებას, შრომითი ურთიერთობების ჰუმანიზაციას, სოციალური პროგრამების განხორციელებას და სხვა;

5. მოსახლეობის მენტალური მომზადება და დასაბუთება-დარწმუნება, რომ რეფორმები თითოეული მათგანის ინტერესებს შეესაბამება;

6. განვითარებული ბაზრის ადეკვატური სახელმწიფოებრივი და კომერციული ინფრასტრუქტურის მთელი სპექტრის ფორმირება;

7. შემუშავებული კონცეფციისა და გეგმის პრაქტიკული განხორციელება და მისი უწყვეტი კორექტირება ახლად წამოშობილი გარემოებების გათვალისწინებით;

8. კონტროლის ქმედითი მექანიზმის შექმნა, რომელიც არა მარტო გეგმიდან მიმდინარე გადახრებს გაანეიტრალებს, არამედ მომავალი კრიზისული სიტუაციების პრევენციასაც მოახდენს.

მიზანშეწონილია, რომ სოციალური რეფორმა განხორციელდეს არაუმეტეს ორ საარჩევნო ციკლში. საწყის ეტაპზე ყურადღება მახვილდება ბიზნესის ხელშეწყობი რეგულირებადი ბაზრის ჩამოყალიბებაზე თანდათანობითი სოციალური გარდაქმნებით, ხოლო საკმარისი ფინანსური პოტენციალის მიღწევის შემდეგ მოხდება მისი საბოლოო ტრანსფორმაცია. ამასთან, პრინციპული მნიშვნელობა აქვს, რომ თითოეულ ეტაპზე მოსახლეობის ყველა ფენამ იგრძნოს მისი სიკეთე, რათა საყოველთაო და უწყვეტი მხარდაჭერა იქნეს უზრუნველყოფილი.

რადიკალური ცვლილებების განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ რეფორმატორი კვალიფიციური პოლიტიკოსების, ინოვაციურად მოაზროვნე მკვლევარი ეკონომისტების, პოლიტოლოგების, სამართალმცოდნეების, თანამედროვე მეცნიერების და შესაბამისი მენტალობის პროფესიონალი საჯარო მოხელეების არსებობის პირობებში. ამიტომ ამ მიმართულებებით

ახალგაზრდა კადრების მომზადებისა და არსებული პერსონალის პროფესიული გადამზადების პრობლემა კონცეფციის შემუშავების საწყის სტადიაზე გადაიჭრება.

საქართველოს საბაზრო ეკონომიკის მომავლის მოდელმა მაქსიმალურად უნდა გაითვალისწინოს, ერთი მხრივ, ქართული რეალობის თავისებურებები, მათ შორის, ეროვნული მენტალობა, ეთნოფსიქოლოგია და მისი პროგრესული შეცვლის შესაძლებლობა, ხოლო მეორე მხრივ, იმ ქვეყნების სასარგებლო გამოცდილება და დაშვებული შეცდომები, რომლებმაც მოკლე დროში შთამბეჭდავ წარმატებებს მიაღწიეს. მართალია, სოციალური რეფორმებისათვის საქართველოს არ გააჩნია ისეთი სასათბურე პირობები, როგორც ჰქონდა გერმანიას და დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებს, მაგრამ არსებობს მათი პრაქტიკით შემოწმებული გამოცდილება, რომელიც, ჩვენი თავისებურებების გათვალისწინებით, შემოქმედებითად შეიძლება გადამუშავდეს.

ინოვაციებზე ორიენტირებული სოციალური საბაზრო ეკონომიკის მოდელის ბუნების შესახებ

სოციალური საბაზრო ეკონომიკის მოდელი კაცობრიობის ხანგრძლივი ისტორიული პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და ზნეობრივი განვითარების კანონზომიერი პროცესის თანამედროვე პროდუქტია, რომელიც, ასევე, ტექნიკური განვითარების უახლეს დონეს – ინოვაციურ ცოდნაზე დაფუძნებულ პოსტინდუსტრიულ ეკონომიკას ემყარება.

თუ თვალს მივადევნებთ სოციალურ-ეკონომიკურ ურთიერთობათა ევოლუციას პირველი მონათმფლობელური სახელმწიფოების წარმოშობიდან დღემდე, ვნახავთ, რომ მათი ჰუმანიზაციის ტენდენცია, იმ უძველესი დროიდან დაწყებული, მომდევნო ფეოდალურ და კაპიტალისტურ საზოგადოებებში სულ უფრო ძლიერდებოდა. მაგრამ ეს მარტო გაბატონებული ფენების კეთილი ნების ქვსტი კი არ იყო, არამედ ობიექტური აუცილებლობით და, შესაბამისად, რეალური მიზეზებით გამოწვეული პროცესი, რაც შემდეგში გამოიხატა:

1. უსამართლო სოციალური ურთიერთობები საფუძველშივე კლავდა ნაყოფიერი შრომის მოტივებს და აფერხებდა ეკონომიკის განვითარებას;

2. გაბატონებული ფენები ადრე თუ გვიან აცნობიერებდნენ, რომ არაჰუმანური ურთიერთობებით გამოწვეული ხარჯები და დანაკარგი გაცილებით აღემატებოდა ექსპლუატაციით მიღებულ მატერიალურ სარგებელს, ამუხრუჭებდა წარმოების საშუალებათა განვითარებას და ეფექტიან გამოყენებას;

3. ცოდნის დაგროვებისა და საზოგადოების ინტელექტუალურ-ზნეობრივი დონის ამაღლების კვალობაზე სულ უფრო თვალსაჩინო ხდებოდა ადამიანთა გაბატონებული კასტის მიერ დამორჩილებული მოსახლეობის ფართო ფენების ექსპლუატაციის უსამართლო და არაჰუმანური ხასიათი.

ეს ტენდენციები განსაკუთრებით გამოიკვეთა კაპიტალისტური ეკონომიკის განვითარების ბოლო ეტაპზე, რამაც გასული საუკუნის შუა წლებში ჯერ გერმანიაში, ხოლო შემდეგ ევროპის სხვა ქვეყნებში სოციალური საბაზრო ეკონომიკის იდეის წარმოშობა და პრაქტიკული განხორციელება განაპირობა. შესაბამისად, **სოციალური საბაზრო ეკონომიკის ფორმირება და დემოკრატიულ ქვეყნებში მისი გავრცელება მხოლოდ მოსახლეობისა და პოლიტიკოსების წარმავალი სუბიექტური გამოწმებით კი არ იყო გამოწვეული, არამედ სოციალურ-ეკონომიკურ ურთიერთობათა განვითარებისა და ჰუმანიზაციის თავისთავადი ობიექტური ევოლუციის კანონზომიერ შედეგს წარმოადგენს.**

ამ ფონზე განსაკუთრებით გაუგებარია, რომ ჩვენში თავისუფალი ბაზრის ნოსტალგიისა თუ პრობლემის სუბიექტური აღქმის გამო, სოციალური თვალსაზრისით უკონტროლო ლიბერალური ეკონომიკის იდეას დღესაც ბევრი თავგამოდებული მომხრე ჰყავს, მათ შორის, უხვად დაფინანსებულ ბიზნესის ლობისტებსა და გაპოლიტიკოსებულ ბიზნესმენტა შორის. სახელდობრ, ყურადღებას ამახვილებენ სოციალური საბაზრო ეკონომიკის თითქოსდა დაბალ ეფექტიანობაზე, რომლის მიზეზებად სახელდება:

1. სოციალური გამოთანაბრებლობა ახშობს იმ უნარიან და ენერგიულ ადამიანთა მოტივებს, იმოდეაწეონ უფრო ნაყოფიერად, ვის ხარჯზეც სოციალური პროგრამები ფინანსდება. ამავე პირობებში ქვეითდება იმათი მოტივაციაც, ვინც ასეთ დახმარებას იღებს;

2. სოციალური პროგრამები ყალიბდება ბიზნესის გაზრდილი გადასახადების ხარჯზე, რომელიც მისსავე განვითარებას და ახალი სამუშაო ადგილების შექმნას უნდა მოხმარებოდა;

3. შრომითი და სოციალური ურთიერთობების საკანონმდებლო რეგლამენტაცია ზღუდავს სამეწარმეო თავისუფლებას, რაც ბიზნესის განვითარებას აფერხებს;

4. სოციალური პროგრამები ფინანსდება საბიუჯეტო ხარჯების იმ ნაწილის შეკვეცით, რომელიც ბიზნესის მხარდასაჭერად უნდა წარმართულიყო;

5. სოციალური ხარჯების დასაფინანსებლად მსხვილი რენტაბელური ფირმები და მდიდარი ადამიანები პროგრესულ გადასახადებს იხდიან. ამდენად, გამოდის, რომ მათ წარმატებული საქმიანობისათვის სჯიან, რაც ახშობს ბიზნესის განვითარების მოტივებს და სხვა.

ამ „რკინისებურ“ მოსაზრებათა კონტრარგუმენტებია:

1. რამდენადაც სოციალური საბაზრო ეკონომიკა ემყარება მის მონაწილეთა მოტივირებულ, ინიციატივიან და ინტენსიურ შრომით და სამეწარმეო საქმიანობას, იგი სოციალურად მხოლოდ მათ

უზრუნველყოფს, ვინც რაიმე მიზეზის გამო შრომის უნარს ან მისი გამოყენების შესაძლებლობას მოკლებულია;

2. სამეურნეო სუბიექტის შიგნით სოციალურ-შრომითი ურთიერთობების მოუგვარებლობა და შემოსავლების უსამართლო განაწილება იწვევს შიდა კონფლიქტებს, გაფიცვებს და აქვეითებს ნაყოფიერი შრომის მოტივებს, რასაც ამ მიმართულებით გასაწევ ხარჯებსა და დამატებით გადასახადებზე გაცილებით მეტი ზარალი მოაქვს;

3. უზომოდ გამდიდრებული ბიზნესისათვის გაზრდილ გადასახადებზე უარის თქმა და ამ საფუძველზე წარმოშობილი ქონებრივი უთანასწორობა წარმოშობს უსამართლობის განცდას, პროვოცირებას უკეთებს სოციალურ აფეთქებებს და სისტემურ პოლიტიკურ კრიზისებს. ეს კი აქრობს როგორც შიდა საინვესტიციო მოტივებს, ასევე აფრთხობს უცხო ინვესტორებსაც;

4. სოციალური კონფლიქტების თავიდან ასაცილებლად სახელმწიფო იძულებულია, შეინახოს საკმაოდ ძვირადღირებული საპოლიციო აპარატი, მაშინ, როდესაც შესაბამისი ხარჯების სოციალურ საჭიროებებზე წარმართვით თავიდან აიცილებდა ასეთ დაპირისპირებას და შესაბამის ზარალს, რაც გაცილებით ეფექტიანი და თანაც ჰუმანური იქნებოდა;

5. სოციალური პროგრამების დაფინანსება ბიზნესის გადასახადებით, მათ შორის, განათლებისა და ჯანდაცვის სფეროში, არაპირდაპირი სარგებლის ფორმით ისევ ბიზნესზე ახდენს კეთილმყოფელ გავლენას;

6. სოციალური საბაზრო ეკონომიკა უზრუნველყოფს არა დოვლათის გათანაბრებით განაწილებას, რადგან ეს თავისთავადაა უსამართლობა, არამედ ქმნის წარმატების მიღწევის თანაბარ შესაძლებლობას ადამიანთა ნიჭის, უნარის და კომპეტენციის შესაბამისად;

7. მსხვილი ფირმების ზერენტაბელობა გამოწვეულია, ერთი მხრივ, „მასშტაბის ეფექტით“, ხოლო მეორე მხრივ, მონოპოლიური მდგომარეობით და არა განსაკუთრებული სამეწარმეო ძალისხმევით. შესაბამისად, მათგან ზემოგების ამოღება გადასახადების ფორმით სავსებით გამართლებულია;

8. რამდენადაც სოციალური საბაზრო ეკონომიკის მოდელი თავისი ბუნებით შერეულია, ცალკეული მოდულების პოზიტიური კომპონენტების რაციონალური შერწყმა უზრუნველყოფს მათ უპირატესობათა სრულად გამოყენებას, ხოლო უარყოფითი ეფექტების მინიმუმამდე დაყვანას;

9. მოსახლეობის სხვადასხვა სოციალურ ფენებს, აგრეთვე საზოგადოებასა და სახელისუფლებო ინსტიტუტებს შორის ჰარმონიული ურთიერთობები განაპირობებს დამატებით ურთიერთგამაძლიერებელ სინერგიულ სოციალურ-ეკონომიკურ ეფექტს, რაც პირველ რიგში სამეწარმეო საქმიანობის შედეგიანობაზე აისახება. ამრიგად, ამ დანიშნულებით წარმართული ხარჯები წარმოადგენს უადრესად ეფექტიან „სოციალურ ინვესტიციებს“ შესაბამისი კოლექტიური „სოციალური მოგებით“, რომელიც, წარმატებული ქვეყნების პრაქტიკიდან გამომდინარე, ასეთივე ზომის ხარჯების პირობებში ბიზნესსაქმიანობიდან მიღებულ მოგებასაც კი აღემატება.

სოციალური საბაზრო ეკონომიკის არსი, მიზანი და პრინციპები

რამდენადაც სოციალურად ორიენტირებული სახელმწიფოს უპირველესი დანიშნულება საზოგადოების ყველა ფენის ინტერესებისათვის ზრუნვა და მათი დაბალანსებაა, რომელიმე მათგანზე მიკერძოებულობა კატეგორიულად გამოირიცხება. ასეთ მოდელში **სახელმწიფოს უზენაეს მიზანს, ეკონომიკურად და ზნეობრივად მიზანშეწონილი სოციალური სამართლიანობის ოპტიმალური ზომით დაცვის პირობებში შემოსახლდურული საბიუჯეტო და ბიზნესშემოსავლებით მოსახლეობის თითოეული ფენის მუდმივად მზარდ მოთხოვნილებათა რაც შეიძლება სრულად დაკმაყოფილება და წინააღმდეგობრივი ინტერესების დაბალანსება წარმოადგენს, ხოლო მისი მიღწევის საშუალებებია მოსახლეობის ინტელექტუალურ-სამეურნეო აქტივობის და ინოვაციური აზროვნებისათვის ხელის შეწყობა, ბიზნესის განვითარების ყოველმხრივი წახალისება მისი აქტიური მხარდაჭერის და მოტივაცია-რეგულირების გზით, ამ საფუძველზე ეროვნული ენერჯის სრულად გამოთავისუფლება და წარმართვა აღმშენებლობითი მიმართულებით.**

სოციალური საბაზრო ეკონომიკის არსებული კონცეფციების და შესაბამისი მოდელის გამოყენების მსოფლიო პოზიტიური გამოცდილებისა და დაშვებული შეცდომების ანალიზი გვიჩვენებს, რომ მათ ფორმირებასა და ფუნქციონირებას **პრინციპების** შემდეგი სისტემა უნდა დაეუდოთ საფუძველად:

1. სოციალური საბაზრო ეკონომიკის მოდელის დამკვიდრება ხორციელდება საყოველთაო ეროვნული თანხმობის და მოსახლეობის საერთო ნების კონსტიტუციური დაკანონების გზით;

2. პროცესი უნდა ატარებდეს სისტემურ ხასიათს, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი ხორციელდება, როგორც ერთიანი საზოგადოებრივი რეფორმის შემადგენელი ნაწილი და მოიცავს პოლიტიკას, დემოკრატიულ ინსტიტუტებს, სამართლებრივ ბაზას, ეკონომიკას, მეცნიერებას, განათლებას, შესაბამისი საზოგადოებრივი ცნობიერების და მენტალობის ფორმირებას;

3. უზრუნველყოფილ იქნეს კანონის უზენაესობა და უმკაცრესი ბრძოლა კორუფციასთან, რომელიც ყოველგვარი რეფორმის უმთავრეს შემადგენელ ფაქტორს წამოადგენს;

4. რეფორმები ხორციელდება დეტალურად დამუშავებული სტრატეგიული გეგმის საფუძველზე, რომელიც საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს ეხება, მიმდინარე და

საშუალოვადიანი მიზნებისა და ამოცანების გამოყოფით, სადაც **პრიორიტეტი, სოციალურ სამართლიანობასთან ერთად, ინოვაციურ აზროვნებასა და საქმიანობას ენიჭება;**

5. რამდენადაც სოციალური საბაზრო ეკონომიკა პოსტინდუსტრიული სისტემისათვის დამახასიათებელი მძლავრი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გარეშე ვერ იარსებებს, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ამ პრობლემის მოკლე დროში გადაწყვეტას მიზნობრივი მოტივაციური და მარეგულირებელი საგადასახადო სისტემის შექმნით, სახელმწიფო ინვესტირებით, შეღავათიანი დაკრედიტებით და სხვა;

6. სოციალური პრობლემების ფინანსური უზრუნველყოფის მიზნით ფიზიკური და იურიდიული პირების მაღალ შემოსავლებზე წესდება პროგრესიული გადასახადები, მაგრამ ისეთი ოპტიმალური ზომით, რომელიც არ ჩაახშობს მათი ეფექტიანი საქმიანობის და ეკონომიკის ზრდის მოტივებს;

7. ოპტიმალურად ეხამება ერთმანეთს თავისუფალი ბაზრის ეფექტიანობა, ინოვაციების მოტივაცია, ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირება და სოციალური ჰარმონიის უპირატესობანი;

8. საკანონმდებლო საფუძველზე უზრუნველყოფილი საზოგადოების ფართო მასების მიმდინარე ჩართულობა პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ პრობლემებზე გადაწყვეტილებათა მიღებასა და განხორციელებაში, ბიზნესის მართვაში და ხალისდება ფირმების ქონებაში თანამშრომელთა თანამესაკუთრობა;

9. სახელმწიფო საკმარისი საარსებო მინიმუმით უზრუნველყოფს საზოგადოების შრომისუწნარო წევრებს და მათ, ვისაც რაიმე მიზეზის გამო შრომის შესაძლებლობა არა აქვს. ხოლო მათ, ვინც გამოირჩევა ინიციატივით, ნიჭიერებით, პასუხისმგებლობით და მაღალი პროფესიონალიზმით, ნაყოფიერი საქმიანობის მაქსიმალურად ხელისშემწეობ პირობებს უქმნის;

10. რეფორმები ხორციელდება შემჭიდროებულ ვადებში მაქსიმალური შედეგებით, რათა მოსახლეობამ რაც შეიძლება სრულად იგრძნოს მისი სიკეთე. წინააღმდეგ შემთხვევაში რეფორმებს სერიოზული საფრთხე დაემუქრება;

11. რამდენადაც თანამედროვე პოსტინდუსტრიული ეკონომიკის განმსაზღვრელი ნიშანი და მამოძრავებელი წყარო ინოვაციებია, ასეთი აზროვნება ცხადდება ცხოვრების წესად და უმთავრეს სამოქმედო პრინციპად. ყოველმხრივ ეწეობა ხელი მეცნიერებისა და განათლების სისტემის პრიორიტეტულ განვითარებას, საკონკურსო საფუძველზე ფართო მასშტაბით ფინანსდება ფუნდამენტური გამოკვლევები, გამოყენებითი ინოვაციური სამეცნიერო-ტექნიკური პროექტები და უახლესი პროექტების გამოშვება;

12. სახელმწიფო ეკონომიკური ფუნქციების და სტრატეგიული მიზნების შესაბამისად, თანაბარი ზომით იცავს მოსახლეობის ყველა ფენის ინტერესებს. ამასთან, უზრუნველყოფს არა შემოსავლების გათანაბრებით განაწილებას, არამედ **ქმნის წარმატების მიღწევის თანაბარ შესაძლებლობებს;**

13. ბიუჯეტის ხარჯების იმ ნაწილებს შორის, რომელიც განკუთვნილია სოციალურ საჭიროებებსა და ბიზნესის განვითარებაზე, ყალიბდება ოპტიმალური თანაფარდობა, რათა, ერთი მხრივ, უზრუნველყოფილ იქნეს დაგეგმილი სოციალური ხარჯების სრულად დაფინანსება, ხოლო მეორე მხრივ, ბიზნესის მოტივაცია, ეფექტიანობა და ეკონომიკური ზრდა იმ ზომით, რომელიც საკმარისი იქნება მზარდი სოციალური და ბიზნესსაჭიროებების დასაკმაყოფილებლად;

14. სოციალური ხარჯები ისე იგეგმება, რომ არ გადააჭარბონ ქვეყნის ფინანსურ შესაძლებლობებს, გამოირიცხოს ბიუჯეტის დეფიციტი და ამ მიზნით სახელმწიფო ვალის აღება.

სოციალური საბაზრო ეკონომიკის მოდელის ანალიზი მისი შემდეგი განმარტების ჩამოყალიბების შესაძლებლობას ქმნის:

სოციალური საბაზრო ეკონომიკის მოდელი – ესაა საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური მოწყობის ხანგრძლივი ევოლუციის კანონზომიერი შედეგი, რომელიც ინოვაციურ ეკონომიკაზე დაყრდნობითა და ფუნქციონირების საკუთარი პრინციპების დაცვით უზრუნველყოფს ბიზნესის ეფექტიანი განვითარების მოტივაციას და ამ საფუძველზე მოსახლეობის ყველა ფენის კეთილდღეობის ზრდას, მათი ინტერესების თანაბრად დაცვას და ჰარმონიულ თანაცხოვრებას.

ამჟამად სოციალური საბაზრო ეკონომიკის მოდელი სულ უფრო იკრებს ძალას და ფართოდ ვრცელდება ცივილიზებულ ქვეყნებში. ამდენად, საქართველოს ეკონომიკა ამ გზას, ადრე თუ გვიან, გვერდს ვერ აუვლის. მაგრამ იმის გამო, რომ დღის წესრიგში დგას მოკლე დროში მოწინავე ქვეყნების რიგში ჩადგომის მწვავე აუცილებლობა, მოგვიწევს ამ პროცესის რეგულაციური დაჩქარება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. თეთრაული ა., საბაზრო ეკონომიკის ქართული მოდელი და მისი თავისებურებანი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული, ტომი I, თბილისი.
2. პაპავა ვლ., პოსტკომუნისტური გარდამავალი პერიოდის მაკროეკონომიკა, თბილისი, 2005.
3. სანთელაძე ნ., საქართველოში ეკონომიკის რეფორმირების მაკრო- და მიკროასპექტები, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის შრომები, ტომი I, თბილისი, 2000.

4. სილაგაძე ა., ეკონომიკური დოქტრინები, თბილისი, 2010.

5. ჩიქავა ლ., საქართველოს ეკონომიკის სოციალური არაორიენტირებულობა და მისი გამსწავლებელი ფაქტორები. საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის შრომები. ტომი I, თბილისი, 2000.

6. ჭითანავა ნ., თაკალანძე ლ., სოციალური ეკონომიკა – ფორმირება და განვითარება, I ნაწილი, თბილისი, 2008.

Ilia (Aziko) Sisvadze

**TRANSITION TO INNOVATIVE-ORIENTED SOCIAL MARKET ECONOMY –
UNCONTESTED GOAL OF GEORGIA
Annotation**

The article shows that the humanization of social-economic relations an appropriate and historically caused result of their evolution. It is grounded that the model of social market economy is functioning far more effectively at free market and together with social justice provides a higher standard of living. besides, it optimally combines the priorities of free market efficiency, state regulation of economy and social harmony.

Based on the experience of developed countries is given the essence of social market economy, the stages (2) of its realization, the principles of formation and functioning.

ოლღა ფაჩულია

ადამიანური რესურსების მენეჯმენტის თავისებურებები ინოვაციურ ფირმებში

ადამიანური რესურსები გვევლინება მთავარ კრეატიულ ძალად, რამდენადაც ყოველი იდეა თუ გამოგონება იბადება ადამიანთა გონებაში. ინდივიდის აქტივობა, მისი შემოქმედებითი მიდგომა შრომისადმი ფირმის ინოვაციური განვითარების მნიშვნელოვანი ფაქტორია. შრომითი პოტენციალის ამაღლება სერიოზულ ზეგავლენას ახდენს ინოვაციურ პროცესებზე და ემსახურება დასაქმებულთა შესაძლებლობებისა და ინიციატივიანობის განვითარებას. იგი ერთდროულად გვევლინება როგორც წარმოების ფაქტორად, ასევე მატერიალური და სულიერი სიკეთეების უშუალო შემქმნელად.

საინტერესოა ავსტრალიელი მეცნიერების - უპამალი ამარაკუნის, ჯეი ვიირავარდენასა და მარტილუის ვერიანსის მოსაზრება. მათ თავიანთ ნაშრომში - „კონკურენტული უპირატესობა ადამიანური რესურსების ინოვაციების მეშვეობით“⁵¹ (“Competitive Advantage Through HR Innovation”), წარმოდგენილი აქვთ კვლევა, რომლის თანახმადაც, ადამიანური რესურსები მიიჩნევა თანამედროვე კომპანიის ერთ-ერთ ყველაზე ღირებულ აქტივად, კონკურენტული უპირატესობის მოპოვება კი, ავტორთა აზრით, ადამიანური რესურსების კუთხით არ არის ადვილად იმიტირებადი. შესაბამისად, აღნიშნული წარმოდგენს კომპანიის ზრდისა და კონკურენტუნარიანობისთვის აუცილებელ ფაქტორს. კომპანიებმა დიდი ყურადღება უნდა მიაქციონ როგორც ტექნიკურ (პროდუქტი და პროცესი), ასევე არატექნიკურ (ადამიანური რესურსები) ინოვაციებს (Amarakoon, Weerawardena, Verreynne/2013 year).

ფირმის წარმატებისათვის აუცილებელია მომუშავეთა ფასეულობების სხვადასხვა სისტემის, მენტალიტეტის, ქცევის ტიპების ჰარმონიული შერწყმა, მიზნების ერთიანობა, პროფესიული და ადამიანური სოლიდარობა, რწმენა იმისა, რომ კეთდება საერთო საქმე. ასეთი მიდგომის საფუძველზე შესაძლებელია შემდგომი პიროვნებათაშორისი ურთიერთობა, კეთილგანწყობილი მორალური კლიმატის შექმნა, ნოვატორთა შემოქმედებითი საქმიანობის ეფექტიანობის მიღწევა და გაცნობიერება იმისა, რომ ფირმის წარმატება თითოეული წევრის წარმატებაა. ასე მაგალითად, ინოვაციური კომპანია Google-ის მენეჯერები თანამშრომლებს ნებას რთავენ, რომ მათ სამუშაო დროის 20% (ანუ კვირაში ერთი დღე) დახარჯონ ნებისმიერ პროექტზე, რომელზეც შეაჩერებენ არჩევანს იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეს პროექტი არ არის დაკავშირებული ორგანიზაციის ძირითად მიზანთან. ეს არის Google-ის სამუშაო დინამიკის რადიკალური ინოვაცია. პროექტების 20% სწორედ ის ინოვაციებია, რომლებიც წარმოდგენენ დამატებით ღირებულებას და არის როგორც ახალი ტელანტის მოზიდვის, ასევე კომპანიაში ამაჟამად მომუშავე პერსონალის მოტივატორი. აღსანიშნავია, რომ Google-ი არ არის ერთადერთი კომპანია, რომელმაც ყურადღება მიაქცია ადამიანური რესურსების მართვის ინოვაციებს. მსოფლიოს წამყვანი ფირმები ეთანხმებიან იმ მოსაზრებას, რომ ინოვაციური ადამიანური რესურსების მენეჯმენტი კომპანიას მატებს დამატებით ღირებულებას და ანიჭებს მას კონკურენტულ უპირატესობას. საინტერესოა 2015 წლის მსოფლიოს ტოპ 10 კომპანია⁵², რომელიც გამორჩეულია ადამიანური რესურსების მართვისადმი ინოვაციური მიდგომებით. თუ თვალს გადავაგვლებთ ქვემოთ მოცემულ ცხრილს, შევნიშნავთ, რომ ტოპ 10-ში მსოფლიოს უძლიერესი ბრენდებია მოქცეული (ცხრ. 1).

⁵¹ Amarakoon U., Weerawardena J., Verreynne M., (2013, September 8), “Competitive Advantage Through HR Innovation”, INNOVATION, STRATEGY & MANAGEMENT, Talent Management;

⁵² www.humanresourcesmba.net

2015 წლის მსოფლიოს ტოპ 10 კომპანია ადამიანური რესურსების ინოვაციური მენეჯმენტის მხრივ

რეიტინგი	კომპანიის დასახელება	ინდუსტრია
1	Google	ინტერნეტი, კომპიუტერული პროგრამა
2	Cadbury	საკონდიტრო
3	SAS	საპაერო მომსახურება
4	Nissan	წარმოება (ტექნოლოგიები)
5	Twitter	ინტერნეტი
6	LinkedIn	ინტერნეტი
7	Boston Consulting Group	საკონსულტაციო
8	Ford	წარმოება (ავტომობილი)
9	Shell	ენერჯია (ნავთობი)
10	Rolls-Royce	წარმოება (ავტომობილი)

ინოვაციური კომპანიები გულმოდგინედ აანალიზებენ და აფასებენ, თუ რამდენად შეესაბამება პერსონალის შემადგენლობა ამა თუ იმ კონკრეტულ ამოცანას, რომელიც დგას ფირმის წინაშე ინოვაციური განვითარების თვალსაზრისით, ცდილობენ, მოიძიონ არატრადიციული სოციალური ტექნოლოგიები და მოითხოვონ მომუშავეთაგან ის, რომ თანდაყოლილი და შექმნილი თვისებები შეუთავსონ გარემო პირობებს, აღიქვან შრომითი მოტივაციის ფართო სპექტრი. ინოვაციური საქმიანობა ინდივიდისაგან მოითხოვს აზროვნების განსაკუთრებულ მოქნილობასა და სისხარტეს, საქმისადმი შემოქმედებით მიდგომას, რისკის გაწვევის უნარს, თვითრეალიზაციის თავისებური ფორმის გამოვლენასა და სოციალურ სისტემაში ინტეგრაციას. ინოვაციური ტიპის მენეჯერის შერჩევისას მთავარ ფაქტორს წარმოადგენს ლიდერული თვისებების შესაბამისი სპეციალურ ცოდნასთან. უპირატესობა ენიჭება ხასიათის ისეთ ნიშნებს, როგორცაა: ორგანიზატორული ნიჭი, ლოგიკური აზროვნება, მიზანწრაფულობა, შეუპოვრობა, მაღალი პასუხისმგებლობის გრძობა, ოპერატიულობა, რთულ სიტუაციაში ოპტიმალური გადაწყვეტილების მიღების უნარი, პუნქტუალობა და გარემომყოფებთან კეთილგანწყობილი დამოკიდებულება, საქმიანი კონტაქტების დამყარების უნარი. კრეატიული მენეჯერი პროფესიული ამოცანების გადაწყვეტისას უნდა გამოიჩინოს არასტანდარტულობით, მოულოდნელობით, ინოვაციური მიდგომით, ცდილობდეს არა მხოლოდ ისწავლოს რაიმე ახალი, არამედ დამოუკიდებლად შეიცნოს მომავალი პროცესების არსი. მან უნდა შეძლოს სიტუაციის შესაბამისად საკუთარი საქმიანობის გარდაქმნა, შემოქმედებითი მოტივაციის გამოვლენა. სწორედ ამიტომ, თანამედროვე კომპანიები სათანადო ყურადღებას უთმობენ ლიდერობის ტრენინგებს. TrainingIndustry.com-ი ყოველწლიურად ავლენს ამ კუთხით ტოპ 20 კომპანიას, რომლებიც აკმაყოფილებენ შემდეგ კრიტერიუმებს:

- ლიდერობა და გავლენა;
- ინდუსტრიაში აღიარება და ინოვაცია;
- პროგრამების გავრცელება და ფართო აუდიტორიის სპექტრის მომსახურება;
- მიწოდების მეთოდები;
- კომპანიის ზომა და ზრდის პოტენციალი;
- მომხმარებელთან ურთიერთობა;
- გეოგრაფიული დაფარვა;
- ბაზარზე მომსახურების გამოცდილება.

აღნიშნულ ტოპ 20-ში შედის შემდეგი კომპანიები: Development Dimensions International (USA), The Center for Creative Leadership (USA), he Ken Blanchard Companies (USA), FranklinCovey Co. (USA), Richardson (USA), Impact International (USA), Hemsley Fraser(United Kingdom), Wilson Learning(USA), CrossKnowledge (France), Harvard Business Publishing(USA) და სხვა.

ამერიკულ კომპანია Wilson Learning-ში მიიხნევენ, რომ „*კომპეტენტური ლიდერობა ყველა დონეზე კომპანიის წარმატების საფუძველია. იმისათვის, რომ მიაღწიო ბიზნესის მიზნებს, მენეჯერებს სჭირდებათ ლიდერობის ტრენინგები, რათა განავითარონ ძირითადი უნარ-ჩვევები და საჭირო ქცევები*“. ყველა რგოლის მენეჯერს კომპანია აღნიშნული კუთხით უტარებს ტრენინგებს. კომპანიაში აცხადებენ, რომ ლიდერობის განვითარება იწვევს რიგით თანამშრომელთა ჩართულობას, ქმნის დამატებით ღირებულებას და მოაქვს წარმატება.

ბრიტანული კომპანია Hemsley Fraser-ის აზრით, ლიდერობის ტრენინგები ზრდის თანამშრომელთა ჩართულობას, ხელს უწყობს დასაქმებულთა წარმატებას, აადვილებს ადაპტაციას, ზრდის თანამშრომელთა მოტივირებას უწყვეტი განვითარების, ახალი უნარ-ჩვევების შექმნისა და გამომწვანების მხრივ, რაც კომპანიის ბიზნესის საჭიროებებს ერგება⁵³.

ინოვაციურ კომპანიებში ადამიანური რესურსების მართვა ეფუძნება ძველი პარადიგმების რღვევას, რაც წარმოშობს სტრესულ მდგომარეობებს, წინააღმდეგობრივ სიტუაციებს, ნეგატიურ

⁵³ <https://www.trainingindustry.com/leadership/top-companies-listings/2015/2015-top-20-leadership-training-companies.aspx>

ფსიქოლოგიურ და სოციალურ რეაქციებს ცალკეულ ინდივიდთა მხრიდან. ასეთ პირობებში ხშირია კონფლიქტი – ურთიერთსაპირისპირო ტენდენციების შეჯახება როგორც ცალკეული ინდივიდის ფსიქიკაში, ასევე ადამიანთა ურთიერთობებში, რაც განპირობებულია მათი განსხვავებული შეხედულებებით, პოზიციებითა და ინტერესებით სხვადასხვა პრობლემასთან დაკავშირებით⁵⁴. უცნობმა სიტუაციამ შეიძლება გამოიწვიოს სხვადასხვა რეაქცია, მათ შორის – პანიკა და ძლიერი დაძაბულობა. ადამიანთა უმრავლესობის პირველი რეაქცია ინოვაციებზე გაუგებრობა და სიახლის მიუღებლობაა, რასაც მოსდევს იდეისადმი თანდათანობითი ადაპტაციის სტადია. ზოგჯერ კი შესაძლებელია სრული მიუღებლობა, ძლიერი წინააღმდეგობა და პროცესების რღვევაც კი. თვითგადარჩენისა და წარსული სიტუაციის შენარჩუნების მიზნით შესაძლოა ნეგატიური ფსიქოლოგიური რეაქციების გამოვლენაც, რაც ვითარდება სტრესებისა და კონფლიქტების ფონზე. კონფლიქტური ქცევები მკვეთრად ამძაფრებს პროცესის მიმდინარეობის ემოციურ ფონს, ხოლო ემოციები, თავის მხრივ, სტიმულირებას უწევს კონფლიქტურ ქცევებს. ამავე დროს, კონფლიქტს გააჩნია დადებითი მხარეც: კონფლიქტური ქცევებისას მხარეები აწყდებიან არსებულ რეალობებს, რომლებიც კორექციას უწევს მათ პირველად აპრიორულ წარმოსახვით სურათებს. შედეგად კი, მხარეები უფრო ადეკვატურად აფასებენ არსებულ სიტუაციას, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს კონფლიქტის გადაჭრას. ცვლილებებისადმი წინააღმდეგობაზე გავლენას ახდენს აღქმა, ინდივიდუალობა და საჭიროებები. ცვლილებას ადამიანები ხშირად აღიქვამენ, როგორც საფრთხეს და ფიქრობენ, რომ შეიძლება ვერ აითვისონ ახალი უნარ-ჩვევები და დაკარგონ სამსახური.

ამდენად, ინოვაციურ კომპანიებში ადამიანური რესურსების ეფექტიანი მართვის მიზნით საჭიროა:

- კომუნიკაცია დაქირავებულებთან, ახსნა-განმარტება იმისა, თუ რაოდენ აუცილებელია ორგანიზაციისათვის ცვლილების გატარება. კომუნიკაციას შეუძლია წინააღმდეგობის ორი გზით შემცირება: პირველ რიგში, ის არასწორი ინფორმაციისა და სუსტი კომუნიკაციის შედეგებს ებრძვის. თუ დაქირავებული სრულ ფაქტებს იღებს და ყველანაირი გაუგებრობა აშკარა ხდება, წინააღმდეგობა შემცირდება. მეორე მხრივ, კომუნიკაციამ შეიძლება ხელი შეუწყოს ცვლილების საჭიროების წინ წამოწევას.

- ცვლილების განხორციელებამდე მომუშავეთა გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართვა. რაც მეტი ადამიანი (ვისზეც ცვლილება ახდენს გავლენას) იქნება ჩართული ცვლილებების გარშემო არსებული გადაწყვეტილების მიღების პროცესში, მით მეტად იქნებიან ისინი ამ გადაწყვეტილების მიღების მსურველნი, მიიღება თვითკმაყოფილების ეფექტი.

- ტრენინგი, რომელიც ცვლილებასთან შეგუებას უფრო გააადვილებს, რადგან დაქირავებულებს აღარ ექნებათ ცვლილებებთან გამკლავების შიში იმის გამო, რომ არა აქვთ შესაბამისი განათლება და უნარ-ჩვევები.

- ორგანიზაციულ კულტურაში ინოვაციურობის პრინციპის გატარება: ახალი იდეების სტიმულირება, სიახლეთა დანერგვა, უწყვეტი განვითარება და სხვა.

Olga Pachulia

HUMAN RESOURCES MANAGEMENT IN INNOVATIVE FIRMS
Annotation

Majority of businesses and scientific representatives recognize human resources as a primary element of success and competitive advantage for innovative companies. Based on theoretical and empirical study, introduced in the article “ Human Resources Management in Innovative Firms”, HR managers should take into consideration innovative methods, special individual and caring approach to each employee, right selection of motivation system, the employee’s personal and capacity admiration. Consequently, the company’s employee becomes more committed and satisfied, as for majority of innovative employer company they evaluate HR as a creation of added value and success for their business.

In conclusion, the paper identifies HR management problems in innovative firms and suggests potential solutions of problems.

თენგიზ ქავთარაძე

**ინოვაციები აშშ-ის მემოსტნეოგრაფი და
მათი გამოყენების მიზანშეწონილობა საქართველოში**

ინოვაციური სექტორის ხვედრითი წილი განვითარებული ქვეყნების ეკონომიკაში განუხრელად იზრდება. უკვე გასული საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისისათვის საქმიანობის ინოვაციურ სახეობათა ხვედრითმა წილმა აშშ-ის მთლიან ეროვნულ პროდუქტში 50%-ს მიაღწია. ინოვაციური სექტორი კარგად არის განვითარებული აშშ-ის მეგობსტნეოგრაფიაში. მეგობსტნეოგრაფია ეკონომიკუ-

⁵⁴ Веснин В.Р. Основы менеджмента, М., 1996 . стр. 386.

რად ეფექტური დარგია. ინოვაციური თვალსაზრისით მისი რენტაბელობა დამოკიდებულია მაღალ-მოსავლიანი ჯიშების წარმოებაზე, ადრეული ბოსტნეულის გამოყვანაზე, პროდუქციის ხარისხზე და სხვა. ბოსტნეული ხელს უწყობს ადამიანის ჯანმრთელობას და შრომის-უნარიანობის ამაღლებას. მეცნიერთა მტკიცებით, ადამიანი თუ ყოველდღე იკვებება ბოსტნეულით, მას შეუძლია, თავისი სიცოცხლე ერთი მესამედით მაინც გაიხანგრძლივოს. ერთმა ადამიანმა წელიწადში უნდა მოიხმაროს 110-120 კგ ბოსტნეული. 2014 წლის მონაცემებით, საქართველოში, ერთ ადამიანზე გაანგარიშებით, წელიწადში იწარმოება 55,3 კგ ადგილობრივი ბოსტნეული. ამასთან, ბოსტნეული აუცილებელი ნედლეულია მარინადების, წვენების და სხვათა დასამზადებლად. საქართველოში მებოსტნეობა სუსტად არის განვითარებული. ბოსტნეულის ნათესების თითქმის 90% წვრილ საკარმიდამო ფართობებზე მოდის. მიუხედავად აღნიშნულისა, 2006-2013 წლებში გაიზარდა ბოსტნეულის წარმოება ცალკეული კულტურების მიხედვით (ათასი ტონა): პომიდურის – 5,1, კიტრის – 12,3, ჭარხლის – 4,2, ნიორის – 4,2, ხახვის – 1,0, მწვანის – 4,7, სტაფილოს – 8,7; ხოლო შემცირდა კომბოსტოს – 4,5, წიწაკის – 0,6 და ბადრიჯნის წარმოება – 4,9 ათას ტონამდე. მთელი წარმოებული ბოსტნეულიდან, საქონლურ ნაწილს დაახლოებით 15% თუ უკავია [3].

ამ თვალსაზრისით საინტერესოა აშშ-ისა და სხვა მაღალგანვითარებული ქვეყნების მებოსტნეობის ინოვაციური გამოცდილების შესწავლა და საქართველოში მისი განზოგადება. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას რომ ინოვაციური თვალსაზრისით, აშშ-ის ბოსტნეულისა და ხილის წარმოებაში დარგის ვერტიკალური მმართველობის კომპლექსი ჩამოყალიბდა, რომელშიც ჩართულია მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება, მომსახურების სფერო, გადამამუშავებელი ინფრასტრუქტურა და სხვა, რომლებიც ასრულებენ წარმოების დამზადების, დამუშავების, შენახვის, გადამამუშავებისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რეალიზაციის პროცესებს. მებოსტნეობის მჭიდრო კავშირი საკონსერვო მრეწველობასა და საბითუმო ვაჭრობასთან დიდი ხანია არსებობდა. იგი განპირობებული იყო ბოსტნეულის სპეციფიკურობით, როგორც მაღალფუჭებადი და ნაკლებ ტრანსპორტაბელური ხასიათის პროდუქციით. ასეთი კავშირები ატარებდა გამსაღებელურ თვისებებს და გარანტირებული იყო პროდუქციის ხარისხით. ობიექტური აუცილებლობა მოითხოვს, წარმოებისა და გასაღების ყველა სტადიაზე მოქმედებდეს კონტროლი. წარმოების მზარდი კონცენტრაციისა და სპეციალიზაციის პირობებში მსხვილი სპეციალიზებული მებოსტნეობის მეურნეობები გადაქცეულნი არიან ბოსტნეულის სამრეწველო გადამამუშავებისა და ვაჭრობის ძირითად სანედლეულო ბაზებად.

აშშ-ში მებოსტნეობის მსხვილი მეურნეობები, რომლებიც წელიწადში აწარმოებენ 40 ათას დოლარის საქონლურ პროდუქციას, ხასიათდებიან სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მნიშვნელოვანი ოდენობით, წარმოების საქონლურობის მაღალი დონით, დაქირავებული მუშახელის ფართოდ გამოყენებით, სასუქების დიდი რაოდენობის მოხმარებით. სახნავი ფართობების ზომა მეურნეობებში შეადგენს საშუალოდ 207 ჰა, მათ შორის სასაქონლო ბოსტნეულს უკავია 132 ჰა სახნავი. სახნავის საშუალო ფართობები მებოსტნეობის ყველა კომერციულ მეურნეობაში შეადგენს 72 ჰა, ბოსტნეულის ფართობები კი 42 ჰა. საქონლურობის დონე შეადგენს 87%. მებოსტნეობის მსხვილ მეურნეობებში მიწის ფასი, შენობა-ნაგებობების, მანქანების და მოწყობილობების ფასი შეადგენს 558 ათას დოლარს. ასეთი მეურნეობები საწარმოო მიზნებისათვის ყოველწლიურად ხარჯავენ 181 ათას დოლარს, მათ შორის სასუქების შექენაზე 16 ათასს, თესლის, სარგავი და სხვა მასალების შექენაზე – 6 ათასს, დაქირავებული მუშების შრომით ანაზღაურებაზე – 50 ათასზე მეტს, აქედან 13 ათასი დოლარი გაიცემა კონტრაქტორების ანაზღაურებაზე.

წარმოების მაღალი დონის ინტენსიურობით გამოირჩევიან მსხვილი ფერმები. ამ ფერმებში 90%-ზე მეტი ბოსტნეულის ნათესი ფართობები ირწყვება, შეიტანება სასუქები ყოველ ჰექტარზე საშუალოდ 11,9 ცენტნერი, წვრილ მეურნეობებში კი 6,7 ცენტნერი. თითოეულ მსხვილ მეურნეობაში ჰყავთ 7 ტრაქტორი, წვრილ მეურნეობებში კი 2. მსხვილ მებოსტნეობის მეურნეობებში, ბოსტნეულის საქონლიანობა შეადგენს 10388 დოლარს, წვრილ მეურნეობებში კი 442 დოლარს. მებოსტნეობაში გადამწვევტ როლს თამაშობს დიდი ზომის მსხვილი მეურნეობები, რომლებიც წლიურად 100 ათას დოლარზე მეტ საქონლურ ბოსტნეულს აწარმოებენ. 2010 წელს ასეთი მეურნეობების რიცხოვნობა მებოსტნეობაში 2137 ანუ 10,8%-ს შეადგენდა. მებოსტნეობის მსხვილი მეურნეობები ფლობდნენ საშუალოდ 429 ჰექტარი მიწის ფართობს. მებოსტნეობაში მსხვილ მეურნეობებზე მოდის მთელი მიწის ფართობის 48,8% და სასაქონლო პროდუქციის ღირებულების 74,4%. ამრიგად, მებოსტნეობის მსხვილ მეურნეობებში იწარმოება საქონლური პროდუქციის დიდი ნაწილი. ისინი წარმოგვიდგებიან სამრეწველო კაპიტალის ძირითად მასად საკონტრაქტო კავშირების სახით. აგროსასურსათო კოორდინაცია მნიშვნელოვნად ვითარდება საწარმოო და გეოგრაფიული სპეციალიზაციის მაღალი დონის მებოსტნეობის მეურნეობებში. აქ სპეციალიზაციის დონე შეადგენს 85 პროცენტს. განსაკუთრებით მაღალია გეოგრაფიული სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის დონე აშშ-ის მებოსტნეობის 5 წამყვან შტატში, კერძოდ, კალიფორნიის, ვისკონტინგის, ნიუ-იორკის, ფლორიდისა და ტეხასის შტატებში. აქ თავმოყრილია ბოსტნეულის წარმოების ფერმების 1/3 და ისინი აწარმოებენ საქონლური ბოსტნეულის 70%. ბოსტნეულის წარმოების სიახლოვეს შექმნილია ბოსტნეულის საქონლური წარმოებისა და გადამამუშავების მსხვილი ინდუსტრია; უმსხვილესი დამს-

არისსებელ-შემფუთავი კომპანიები; მათ უკავიათ ხელსაყრელი კონიუნქტურა როგორც ნედლეულის, ისე სამომხმარებლო ბაზრის ახალი ბოსტნეულით მომარაგების ხელმძღვანელობაში.

ბოსტნეულის წარმოებაში განსაკუთრებული მდგომარეობა უკავიათ კალიფორნიისა და ფლორიდის შტატებს. კალიფორნიაში კონცენტრირებულია ქვეყნის მებოსტნეობის მეურნეობები 11,5%. საშუალო ზომის მებოსტნეობის ფერმერულ მეურნეობებში იწარმოება 10 ათასი დოლარის საქონლური პროდუქცია. თითოეული ასეთი მებოსტნეობის ფერმერულ მეურნეობას კალიფორნიაში გააჩნია 676 ჰა დამუშავებული მიწის ფართობი, აქედან ნათესებისთვის დაკავებულია 328 ჰა ფართობი, რაც 7-ჯერ აღემატება ქვეყნის შესაბამის საშუალო მაჩვენებელს. კალიფორნიაში იწარმოება ქვეყანაში წარმოებული ბოსტნეულის 47,1%, ფლორიდაში შესაბამისად 7,3%. აღნიშნული მონაცემები ცხადყოფს, რომ კალიფორნიას უჭირავს მონოპოლია ბოსტნეულის წარმოებაში. აღნიშნულ შტატებში ფართოდ გაიშალა ბოსტნეულის გადამამუშავებელი საწარმოების, ღრმა გაყინვის, დახარისხებისა და შეფუთვის ქარხნების მშენებლობა. ამ საწარმოების ნედლეულით მომარაგებაში დიდ როლს ასრულებს ფერმერებთან დადებული პირდაპირი კონტრაქტები. კალიფორნიასა და ფლორიდაში კონცენტრირებულია ბოსტნეულის სამრეწველო სასურსათო გაერთიანებების ძირითადი მასა. აშშ-ის მებოსტნეობის 60% დაკავშირებულია ამა თუ იმ კონტრაქტორთან. მებოსტნეობის ფერმების საერთო რიცხოვნობიდან კონტრაქტების 57% მოდის მებოსტნეობის წამყვან რაიონებზე – ჩრდილო აღმოსავლეთისა და წყნარი ოკეანის ცენტრებზე. მთლიანობაში, მარტო ორ შტატში – ვინსკონსის და კალიფორნიაში კონტრაქტორი ფერმები შეადგენენ ქვეყნის მებოსტნეობაში 17 და 8,5%. წყნარი ოკეანის რაიონში კონტრაქტები დამახასიათებელია მსხვილი კომერციული მეურნეობებისათვის. კონტრაქტებით მომუშავე ფერმების ოდენობა ფერმერების საერთო რიცხოვნობაში, წყნარი ოკეანის რაიონში შეადგენს 59%, კალიფორნიის შტატში კი 43%. მებოსტნეობაში კონტრაქტები ძირითადად საწარმოო ხასიათისაა, რომელთა ოდენობა შეადგენს 86,4%. ფერმერთა კონტრაქტების დიდი უმეტესობა (88,2%) დაკავშირებულია მრეწველობასთან. მებოსტნეობის ერთ-ერთ წამყვან რაიონში – ჩრდილო აღმოსავლეთის ცენტრში კონტრაქტების მაჩვენებელი გაზრდილია და შეადგენს საწარმოო ტიპის კონტრაქტების 95%. შედარებით ნაკლები მაჩვენებლებით ხასიათდება წყნარი ოკეანის რაიონი, სადაც, ტრადიციულად, დიდ როლს თამაშობს გამსაღებლური კოოპერატივები. კონტრაქტები ფართოდაა წარმოდგენილი სათესლე და საჩითილე ფერმერულ მეურნეობებში. მათი ხვედრითი წილი ქვეყნის ყველა სახის საწარმოო კონტრაქტში შეადგენს 38%, ჩრდილი ვისკონსის შტატში შესაბამისად – 45%, აღმოსავლეთ ცენტრში – 57%. კონტრაქტორები ტექნიკურად ეხმარებიან მებოსტნეობის მეურნეობებს აგროტექნიკური ღონისძიებების ჩატარებაში, მოსავლის მასიური აღების პერიოდში მუშა-ხელით უზრუნველყოფაში და სხვა.

კვლევის შედეგად ირკვევა, რომ მებოსტნეობის ფერმერებისათვის წარმოების ორგანიზაციის კონტრაქტაციის ფორმა უფრო ხელსაყრელია ვიდრე საკუთარ მიწაზე წარმოების გაძღოლა. ბოსტნეულის, როგორც მაღალფუჭებადი პროდუქციის მოყვანა და რეალიზაცია მეტად შრომატევადია და მოითხოვს დიდ გამოცდილებას. იგი დაკავშირებულია წარმოების მაღალ რისკებსა და დანაკარგებთან. ამიტომაც, მებოსტნეობის წამყვანი ფირმა-კორდინატორები უშუალოდ დაკავებულნი არ არიან სასოფლო-სამეურნეო წარმოებით, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ფერმერულ მეურნეობებს აფინანსებენ, მიწებსაც ყიდულობენ და მათ გადასცემენ არენდით. ფირმა-კორდინატორების მიზანია, ფერმერებმა შეინარჩუნონ ფერმები თავიანთ მიწაზე ან მისცენ მათ მიწები ხანგრძლივი არენდით, რომ თვითონ არ გარისკონ დაბანდებები სოფლის მეურნეობაში. ფირმა-კორდინატორებისათვის კარგადაა ცნობილი, რომ ფერმერი ეწევა უმძიმეს შრომას რათა მისი მეურნეობა იყოს კონკურენტუნარიანი და რენტაბელური. ფერმერისათვის გაცილებით მომგებიანია დადონ კონტრაქტები ინტეგრატორ ფერმებთან ნედლეულის მიწოდებაზე ვიდრე თვითონ განკარგოს საკუთარი შეხედულებით. ამ დროს ფერმერი აქტიურად კარგავს თავის ეკონომიკურ დამოუკიდებლობას, რჩება მას მხოლოდ მიწის საკუთრების მინიმალური უფლება, შენობები, მოწყობილობები, მრავალწლიანი ნარგავობა. კონტრაქტი რეგლამენტაციას უწესებს ფერმერის მთელ სამეურნეო საქმიანობას, რამდენადაც იგი მუშაობს ინტეგრატორი ფერმის პროგრამით და მისი რეალიზაცია სისტემატურად კონტროლდება ამავე ფერმის მიერ. კონტროლი განპირობებულია იმით, რომ იგი ფერმერისათვის გამოყოფს კრედიტს, სათესლე, სარგავი მასალის, სასუქების, შხამქიმიკატების და სხვათა შესაძენად. კრედიტი ასევე გამოიყოფა სამეცნიერო-ტექნიკური დახმარების გასაწევად. კონტრაქტებში მკაცრადაა გათვალისწინებული ფერმერის მიერ კრედიტის გამოყენების პირობები, წარმოებული პროდუქციის მოცულობა, ხარისხი, ვადები და სხვა. კონტრაქტის დარღვევის შემთხვევაში ფერმერები მკაცრად ჯარიმდებიან, ფერმერების დაინტერესებულობა პროდუქციის წარმოების გადიდებასა და ხარისხის გაუმჯობესებაზე განაპირობებს ფერმის მაღალი მოგების მიღებას. მებოსტნეობისა და მეხილეობის კორდინაცია სამრეწველო და სავაჭრო კაპიტალთან იწვევს სერიოზულ ცვლილებებს ხილ-ბოსტნეულის წარმოებისა და მოხმარების სტრუქტურაზე. ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით, ხილსა და ბოსტნეულზე მოთხოვნილების ზრდამ ძლიერ შეცვალა მებოსტნეობის დარგის სტრუქტურა. თუ 1939 წელს 73% ხილი და 67% ბოსტნეული მოიხმარებოდა ნატურალური სახით, 2000 წელს ნატურალური ხილის მოთხოვნილების ხვედრითი წილი დავიდა 39%-მდე, ბოსტნეულისა კი 45%-მდე. ამ პერიოდში განსაკუთრებით გაიზარდა მოთხოვნილება წვენებზე – თითქმის 3-ჯერ (6 კგ-დან 18 კგ-მდე). გაყინულ

ბოსტნეულსა და წვენებზე – თითქმის 56-ჯერ (0,5-დან 28 კგ-მდე). ბოსტნეულის მთლიან მოხმარებაში ნატურალურ ბოსტნეულთან შედარებით გადამუშავებული ბოსტნეულის ოდენობამ შეადგინა 50%. ახალი ბოსტნეულისა და ხილის მოთხოვნილებაში სარეალიზაციოდ განხორციელდა მნიშვნელოვანი გარდაქმნები. ყველა ბოსტნეული და ხილი, სანამ დახლზე მოხვდებოდა, გადის სავალდებულო საქონლურ გადამუშავებასა და დამუშავებას, რეცხვას, დაჭრას, დაკალიბრებას, დახარისხებას, გაყინვას და ასე შემდეგ. ამრიგად, ბაზრის მოთხოვნა ხარისხიანი ბოსტნეულის საქონლურ კონდიციაზე ძალზე მაღალია.

კვლევის შედეგად ირკვევა, რომ კომპანიები, რომელთაც მებოსტნეობაში არ გააჩნიათ სათანადო გამოცდილება, ორგანიზებას უწევენ ბოსტნეულის წარმოების ორგანიზაციას საკუთარ პლანტაციებში დაქირავებული შრომის გამოყენებით, მაგრამ ხშირად ვერ აღწევენ წარმოების რენტაბელურად მუშაობას. ადრე სოფლის მეურნეობაში პროფკავშირების ჩამოყალიბებამდე სეზონური სამუშაო ძალა ღირდა ძალზე იაფი; კომპანიებს შეეძლოთ მათი უმოწყალო ექსპლუატაცია, ამჟამად, დიდი ბრძოლების შედეგად, მებოსტნეობის და მეხილეობის დარგებში კალიფორნიის შტატში ფუნქციონირებს სოფლის მეურნეობის მუშაკთა შრომითი უფლებების დაცვის ორგანიზაციული კომიტეტი, რომელიც იცავს დაქირავებულთა ინტერესებს. მსხვილ ფირმებს ხელშეკრულების საფუძველზე შეუძლიათ დაიქირაონ მუშახელი პროფესიულ კომიტეტთან შეთანხმებით. იგი ითვალისწინებს გარკვეულ გარანტიას შრომის ანაზღაურების ოდენობაზე. ხელშეკრულების თანახმად, კომპანია მოვალეა, დაქირავებული მუშაკი დააკმაყოფილოს ბინით, გაიღოს ხარჯები სოციალურ საჭიროებაზე და სხვა შედევანებზე. კონტრაქტები სასურსათო კომპლექსის ფუნქციონირების ეფექტური ორგანიზაციული საფუძველია, რომელიც განაპირობებს მებოსტნეობის ფერმერული მეურნეობების რენტაბელურ მუშაობას. ზოგიერთ გამონაკლისს წარმოადგენს მსხვილი მონოპოლიები, რომლებიც თავიანთი ძირითადი საქმიანობიდან იღებენ დიდალ მოგებას და აფინანსებენ საკუთარ სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს. მაგალითად, უმსხვილესი ნავთობმონოპოლიის „სუპერილის“ შვილობილი კომპანიის ფირმის „სუპერიოგ ფარმინგი“-ის მფლობელობაშია 14 ათასი ჰა ბაღი და ვენახი კალიფორნიისა და არიზონას შტატებში. მიწის მთელი ფართობი განაწილებულია 49 ნაკვეთად, მათგან 6 ნაკვეთი მდებარეობს მადერა ფრენსოს რაიონში, სადაც მოჰყავთ მაღალი ხარისხის ვაშლი, ატამი, ციტრუსი, ყურძენი, გარგარი, მსხალი და ქლიავი. 39 ნაკვეთი მდებარეობს მეკერსფილდას ირგვლივ, სადაც აწარმოებენ ხილის 15 სხვადასხვა სახეობას; არიზონას შტატის ტუსინის რაიონში დამშრალი მიწების ზონაში განთავსებულია სათბურები, სადაც მთელი წლის განმავლობაში მოჰყავთ პომიდორი და ბაზარზე გასაყიდად ყოველდღიურად გაიტანება 4,5 ტონა. ფირმა ახორციელებს ინოვაციებს მეცნიერების უახლესი მიღწევების გამოყენებით. ისინი წარმოების ყველა სტადიაზე ფლობენ, საირიგაციო სისტემის უმაღლეს აგროტექნიკას, რომელიც განაპირობებს ხილისა და ბოსტნეულის მყარ, მაღალ მოსავალს. კომპანიის დახურული გრუნტის სასათბურე მეურნეობებში პომიდორის მოსავალი 8-ჯერ მაღალია ღია გრუნტის მეურნეობებთან შედარებით. სათბურები განლაგებულია აეროდრომებთან სიახლოვეს და მიღებული ბოსტნეული თვითმფრინავით მიეწოდება ქვეყნის რაიონებს. კომპანია „სუპერიორ ფარმინგი“-ის მმართველობითი სტრუქტურა ასახავს წარმოების ორგანიზაციის მაღალ დონეს. ინოვაციური თვალსაზრისით იგი წარმოადგენს ვერტიკალური კოორდინირების ტიპურ ამერიკულ მოდელს, ის მებოსტნეობაში მოიცავს არა მარტო ბოსტნეულის წარმოებას, არამედ მის გადამუშავებას, გასაღებას, ინფრასტრუქტურას. აგროსასურსათო გაერთიანებაში აწარმოებენ პროდუქციის დიდ ასორტიმენტს. ბევრი ასეთი გაერთიანება შედის მსხვილ კორპორაციაში, როგორც ვერტიკალური კოორდინირებული საწარმო. სამრეწველო გაერთიანების მმართველობა მოქმედებს იმავე პრინციპით, როგორც მსხვილი სამრეწველო საწარმოები. აქ ადგილი აქვს წარმოების დეცენტრალიზაციას, საერთო სტრატეგიული ხელმძღვანელობისაგან ოპერატიული ხელმძღვანელობის გამოიჯვანას. ინოვაციური თვალსაზრისით წარმოების პროცესში შეისწავლება მწარმოებელსა და მომხმარებელს შორის განმეორებითი კავშირები სისტემური მიდგომების გამოყენებით.

კოორდინირებული წარმოების პირობებში, ვერტიკალური კოორდინირების დროს მუდმივად კონტროლდება მთელი კონვეიერული ჯაჭვი: ნედლეულის წარმოება, გადამუშავება, ტრანსპორტირება და გასაღება, მათი მჭიდრო კავშირი ვაჭრობის ობიექტებთან. აღნიშნულ პროცესებში ისინი ხელმძღვანელობენ სხვადასხვა ფირმებისა და მაღაზიების მფლობელებისაგან ყოველდღიურად მიწოდებული ინფორმაციით. ეს მოითხოვს საწარმოს შიგნით უმაღლეს ორგანიზებულობას, ყველა რგოლის მოქნილობას, რათა სწრაფად გადაეწყვიტონ საწარმოო პროგრამაზე, რომელიც დამოკიდებულია ბაზრის მდგომარეობაზე. მმართველობის აღნიშნული პრინციპი დამახასიათებელია მებოსტნეობის მსხვილი მონოპოლისტური და კოოპერატიული ტიპის გაერთიანებებისათვის. ამრიგად, ფერმერები ეწევიან მაღალ საწარმოო რისკებს, ფირმა კი აკონტროლებს ფერმერულ მეურნეობებში ბოსტნეულის მოყვანას და უზრუნველყოფს გასაღებას. კალიფორნიის შტატში თავმოყრილია ფართო ასორტიმენტის ბოსტნეულის წარმოება, რომელიც სხვადასხვა დროს შემოდის, მაგალითად ადრეული პომიდორი, სტაფილო, ბრიუსელის კომბოსტო და სხვა საადრეო ბოსტნეული. ფირმებს გააჩნიათ მთელი წლის განმავლობაში ფუნქციონირების შესაძლებლობა, წარმოადგინონ ბოსტნეულის ფართო სპექტრი გასაყიდ კონდიციაში და გაყიდონ ქვეყნის ყველა კუთხეში.

კოოპერატივის წევრები ფერმერებიდან ყიდულობენ პროდუქციას. თითოეული ფერმერი კოოპერატივთან დებს ხელშეკრულებას მინიმუმ სამი წლის ვადით. მასში განისაზღვრება პირობები და სახელშეკრულებო ურთიერთვალდებულებები. ფერმერი ვალდებულია, წარმოებულ პროდუქციას კოოპერატივს დათქმულ ვადაში ჩააბაროს, პროდუქციის მოცულობის, ასორტიმენტის, ხარისხისა და ჩაბარების ადგილის მიხედვით. კოოპერატივი ვალდებულია, წლის ბოლოს, მიღებული წმინდა მოგებიდან ფერმერს გადაურიცხოს განსაზღვრული პროცენტი ოპერატიული დანახარჯებისათვის. სამი წლის გასვლის შემდეგ ხდება ხელშეკრულებების გადასინჯვა. პირობები შეიძლება შეიცვალოს ფერმერის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის. ამ შემთხვევაში, ფერმერს შეიძლება ვადად შეუწყდეს კონტრაქტი [2].

კოოპერატივი უზრუნველყოფს ფერმერების მიერ მოყვანილი ბოსტნეულის გადამუშავებასა და გასაღებას. თითოეული ფერმერი კოოპერატივზე პროდუქციის ჩაბარებისთანავე, ერთიანად იღებს ჩაბარებული პროდუქციის 60%, ხოლო დანარჩენ თანხას, დაახლოებით მესამედს დებულობს კოოპერატივის დირექტორთა საბჭოს გადაწყვეტილებით. პროდუქციის ღირებულება განისაზღვრება მოსავლის ადების პერიოდში მიმდინარე ფასებით ან განვლილი ოთხი წლის საშუალო კომერციული ფასებით. ყველა აუცილებელი კაპიტალდაბანდება ხორციელდება კოოპერატივის წმინდა მოგებიდან. ყოველი საფინანსო წლის ბოლოს მოგების 80% გადაირიცხება საწარმოო ფონდებში. მებოსტნეობისა და მებაღეობის მსხვილი სასურსათო გაერთიანებები დიდძალი კაპიტალდაბანდებებს საჭიროებენ. ისინი წარმოგვიდგებიან, როგორც წესი, კორპორაციებად. მათი კაპიტალდაბანდებების მნიშვნელოვანი წყაროა აქციების გაყიდვით მიღებული შემოსავალი. მებოსტნეობის აგროსამრეწველო გაერთიანებების მართვა ხორციელდება მართვის მაღალკვალიფიციური მენეჯერებით და სპეციალისტებით. სოფლის მეურნეობის კორპორაციული სისტემის კონტროლი ხორციელდება მსხვილი სასურსათო სამრეწველო-სავაჭრო ფირმების მიერ. ისინი წარმოგვიდგებიან ოჯახური ფერმების რეალურ ალტერნატივად. ამერიკელი ეკონომისტების აზრით, კორპორაციული სისტემის პირობებში ყველა სასოფლო-სამეურნეო საწარმო პრაქტიკულად, მთლიანადაა კონტროლირებული სულ მცირე 500 მსხვილი კორპორაციის მიერ. ეს სისტემა აშშ-ში რეალურად ფუნქციონირებს მებოსტნეობასა და სხვა დარგებში.

ცნობილი მიზეზების გამო საქართველოში მებოსტნეობა სუსტად არის განვითარებული. სოფლად მცხოვრები მოსახლეობის 70% ფლობს ერთ ჰექტარზე ნაკლებ მიწის ნაკვეთს, სადაც შეუძლებელია ინდუსტრიული ტექნოლოგიის დანერგვა. მებოსტნეობა ძირითადად სამომხმარებლო ხასიათს ატარებს. მთელი წარმოებული ბოსტნეულიდან საქონლურ ნაწილს მხოლოდ 5% თუ უკავია. ძალზე დაბალია ერთ სულ მოსახლეზე ბოსტნეულის წარმოება. თუ 1980 წელს ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით იწარმოებოდა 64,1 კილოგრამი ბოსტნეული, ანუ რაციონალური ნორმის 50,8%; 1990 წელს აღნიშნულმა მაჩვენებელმა შესაბამისად შეადგინა 82 კილოგრამი, ანუ რაციონალური ნორმის 61,1%; 2014 წელს 55,3 კილოგრამი, ანუ რაციონალური ნორმის 40,1%. საქართველოში ბოსტნეულის წარმოებამ 1973 წელს შეადგინა 368,7 ათასი ტონა, 1976 წელს შესაბამისად 491,3 ათასი, 1983 წელს 566 ათასი, 2014 წელს 200 ათასი ტონა. 2000 წელს ბოსტნეულის ნათესი ფართობები შეადგენდა 46,1 ათას ჰექტარს, 2014 წელს კი დაახლოებით 19 ათას ჰექტარამდე დავიდა.

ინოვაციური თვალსაზრისით, 1974 წელს საინტერესო სამუშაოები წარიმართა საქართველოს აგროსასურსათო კომპლექსში. ჩამოყალიბდა კოორდინაციის ერთ-ერთი ფორმა – აგროსამრეწველო კოორდინაცია, რომლის დროსაც სოფლის მეურნეობა და მრეწველობა ერთმანეთს შეერწყა. წარმოიქმნა ორი სახის ურთიერთდაკავშირებულ დარგთა კოორდინაცია – ვერტიკალური და ჰორიზონტალური. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის გამოყენების მიზნით საზოგადოებრივ მეურნეობებს განესაზღვრათ ზონალური სეციალიზაციის შესაბამისად საჭირო სახისა და რაოდენობის პროდუქციის სახელმწიფო შესყიდვის გეგმა. თუ რამდენიმე წლის წინ ცალკეული საზოგადოებრივი მეურნეობები მრავალდარგოვანი იყო და მრავალი სახის პროდუქციას აწარმოებდა, ახლა პროდუქციის სახეები შემცირდა, წარმოების მასშტაბები კი გაიზარდა. განხორციელდა სამეურნეო სპეციალიზაცია და კონცენტრაცია. დადგინდა ბოსტნეულის წარმოების ზონები და განხორციელდა მისი გადრეკილი სპეციალიზაცია. მაგალითად, 1973 წელს თბილისისა და რუსთავის გარშემო 50-ზე მეტი მსხვილი მებოსტნეობის მეურნეობა მოქმედებდა. ისინი დასპეციალებული იყვნენ სასაქონლო ბოსტნეულისა და მწვანილის წარმოებაზე. ბოსტნეული მაღალუჭვადი პროდუქციაა და მისი შორ მანძილზე ტრანსპორტირება ხარისხის დაქვეითებას იწვევს და ამასთან ერთად დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული. ამიტომ, ბოსტნეულს უნდა აწარმოებდნენ ყველგან, სადაც ამის სულ მცირე საშუალებებიც კი არსებობს და იმ რაოდენობით, რაც ადგილობრივ მოსახლეობას დააკმაყოფილებს.

უნდა აღინიშნოს, რომ გარდაბნისა და მარნეულის რაიონებმა 1973 წელს 67 ათასი ტონა ბოსტნეულის სახელმწიფო შესყიდვა განახორციელეს, რაც რესპუბლიკაში დამზადებული ბოსტნეულის 36,4% შეადგენდა. 1983 წელს უკვე დაამზადეს 168,9 ათასი ტონა, ანუ რესპუბლიკაში დამზადებული ბოსტნეულის 43,8%. ამასთან ერთად, ზემოხსენებული ორივე რაიონის მიერ დამზადებული პროდუქციის რაოდენობა აღემატებოდა რესპუბლიკის საზოგადოებრივი მეურნეობების მიერ 1973 წელს დამზადებული ბოსტნეულის რაოდენობას. გარდაბნისა და მარნეულის რაიონებმა 1973-1983 წლებში 2,5-ჯერ გაზარდეს ბოსტნეულის წარმოება. ეს დიდი წარმატება იმ პერიოდში

შესამჩნევი გახდა იმითაც, რომ ქალაქ თბილისისა და რუსთავის ხილ-ბოსტნეულის მაღაზიებში წლის ყველა პერიოდში ბოსტნეული საკმარისი რაოდენობით იყიდებოდა. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს საკურორტო ზონის მოსახლეობისა და დამსვენებლების ბოსტნეულით მომარაგებას. ამ თვალსაზრისით ბოსტნეულის წარმოება და შესყიდვა მნიშვნელოვნად გაიზარდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ზოგიერთ რაიონში. მაგალითად, აღნიშნულ წლებში აჭარაში ბოსტნეულის შესყიდვა გაიზარდა 2,7-ჯერ, მათ შორის ხელვაჩაურის რაიონში 2-ჯერ და ქობულეთის რაიონში 2-5-ჯერ. მიუხედავად ამისა, აჭარის კურორტებზე ზაფხულის პერიოდში ბოსტნეულის უკმარისობა შეიმჩნეოდა.

მოსახლეობის ბოსტნეულით მომარაგების საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს მის ასორტიმენტს, თუ რა შემადგენლობით ვაწარმოებთ და შევისყიდით ამა თუ იმ ხარისხის ბოსტნეულს. ზოგჯერ შეიმჩნევა ერთი სახის ბოსტნეულის უკმარისობა და მეორე სახის ბოსტნეულის საჭიროზე მეტი რაოდენობით მიწოდება სავაჭრო ქსელში. სტატისტიკური მასალებიდან არ ჩანს, თუ რა მდგომარეობაა რესპუბლიკაში ცალკეული ბოსტნეული კულტურებისა შესყიდვის საქმეში. რესპუბლიკაში ბოსტნეულის წარმოების ამადლების ბევრი რეზერვი არ გამოიყენება. მაგალითად, თუ 1983 წელს ბოსტნეულის საშუალო საჰექტარო მოსავლიანობამ რესპუბლიკის საზოგადოებრივ მეურნეობებში 126 ცენტნერი შეადგინა, ეს მაჩვენებელი საგარეჯოს რაიონში შესაბამისად შეადგენდა – 45 ცენტნერს, ახმეტის რაიონში – 34, ბოლნისის რაიონში – 67 და ასე შემდეგ. იქ, სადაც შრომის დისცილინისა და ანაზღაურების საკითხი კარგადაა დაყენებული, სადაც ბრიყადები კვალიფიციური კადრებითაა დაკომპლექტებული, ნაკვეთების მორწყვა, სასუქების შეტანა, მოსავლის მოვლა-მოყვანას პასუხისმგებლობით ეკიდებიან, წარმატებებსაც აღწევენ; მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ბოსტნეული ნათესი ფართობების 72,3% ირწყვებოდა, საჰექტარო მოსავლიანობა ამ ნაკვეთებში დაბალი იყო. ბოსტნეულის დაბალი საჰექტარო მოსავლიანობა იმითაა გამოწვეული, რომ მორწყვის ორგანიზება ვერ პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს. სარწყავი ქსელი სრულყოფილად არ არის მოწესრიგებული, ყველგან არ იყენებენ მცირე მედიორაციას, მრწყელების კვალიფიკაცია დაბალია და ა.შ.

სოფლის მეურნეობა დიდი რაოდენობით ბოსტნეულს კარგავს თესლის შერჩევის, თესვის, მოსავლის მოვლა-მოყვანის, აგროტექნიკური ღონისძიებების დარღვევის, აღებული მოსავლის დაგვიანებით შესყიდვისა და ტრანსპორტირების ცუდი ორგანიზაციის გამო. ასევე დიდძალი ბოსტნეული ნადგურდება ძლიერი სეტყვისა და სხვა სტიქიური მოვლენების შედეგად. სტიქიური მოვლენებისა და აგროტექნიკურ ღონისძიებათა დროულად ჩაუტარებლობის მიზეზით გამოწვეული ბოსტნეულის დანაკარგები მონაცემები არ აღირიცხება, მაგრამ მოსავლის სერიოზულ დანაკარგებზე ნათელი წარმოდგენა აშკარად გვექმნება. მაგალითად, სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის მონაცემებით, 1980 წელს სეტყვისა და სხვა სტიქიური მოვლენების შედეგად დაიღუპა და დაზიანდა ბოსტნეულის მიახლოებით 1940 ჰა ფართობი, ანუ მთელი ნათესი ფართობების 6,4%, 1983 წლის 20 ნოემბრის მონაცემებით, შესაბამისად, 3310 ჰექტარი, რაც მთლიანი ფართობის 15,6%-ია სოფლის მეურნეობაში აღნიშნული წლების მიხედვით სეტყვის შედეგად 16,6 და 42,3 ათასი ტონა კარტოფილი და ბოსტნეული ვერ მიიღეს [11].

ბოსტნეულ კულტურებში აგროტექნიკური სამუშაოები დაგვიანებით ჩატარდა -1980 წელს 3900 ჰექტარ ფართობზე, ხოლო 1983 წელს -2100 ჰექტარზე, რაც მთელი ნათესი ფართობების 18,6 და 10% შეადგენს, ამის გამო დანაკარგებმა ამ წლების მიხედვით 24,3 და 14,7 ათასი ტონა შეადგინა. მოსავლის დაგვიანებით აღების, ტრანსპორტირებისა და პროდუქციის გაჭიანურებული შესყიდვა-ჩაბარების შედეგად დანაკარგებმა მიახლოებით წლების შესაბამისად 14 და 12% შეადგინა, ანუ 45,5 და 38,3 ათასი ტონა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სხვადასხვა მიზეზების გამო საერთო დანაკარგებმა 1980 წელს 86,4 ათასი, ხოლო 1983 წელს 95,3 ათასი ტონა ბოსტნეული შეადგინა. დამამზადებელი ორგანიზაციების მიერ ბოსტნეულის დროულად გაუტანლობის, ტარისა და ტრანსპორტის ნაკლებობის გამო ადგილი აქვს პროდუქციის ხარისხის დაცემას და დიდ დანაკარგებს. ნელა ინერგება შესყიდვის ისეთი პროგრესული მეთოდი, როგორცაა პროდუქციის წარმოების ადგილზე შესყიდვა და შესყიდვლის ტრანსპორტით გამოზიდვა, მწარმოებელსა და სავაჭრო ორგანიზაციებს შორის პირდაპირი კავშირი „მინდორი-მაღაზიის“ სახით და ა.შ.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ რესპუბლიკის მოსახლეობის მომარაგება ბოსტნეულის ასორტიმენტის დაცვით ჯერჯერობით ვერ ხერხდება, რაც ძირითადად იმით არის გამოწვეული, რომ რიგი რაიონები ცალკეული სახის ბოსტნეულის შესყიდვა-ჩაბარების გეგმებს ნახევრადაც ვერ ასრულებდნენ. მაგალითად, 1983 წელს საქართველოში პომიდურის შესყიდვა-ჩაბარების გეგმა მხოლოდ 74 %-ით შესრულდა და მოსახლეობამ ამ მიზეზით 40,7 ათასი ტონა ეს პროდუქცია ვერ მიიღო; ნივრის შესყიდვა-ჩაბარების გეგმა 44%-ით შესრულდა და მოსახლეობას დააკლდა 2,3 ათასი ტონა ნიორი, სტაფილოს დამზადების გეგმა 61%-ით შესრულდა და რესპუბლიკამ 2000 ტონა ვერ მიიღო და ა.შ. მაშინ როდესაც, კიტრის დამზადების გეგმა 105%-ით შესრულდა, კომბოსტოსი შესაბამისად – 120%-ით, ჭარხლის 105%-ით, სხვადასხვა სახის ბოსტნეულის – 168%-ით და ა.შ. რესპუბლიკაში კვლავ ძალზე მცირეა ბოსტნეულის ასორტიმენტი, ყოველთვის დამაკმაყოფილებელი არ არის მისი ხარისხი, ზოგიერთი სახეობის ბოსტნეულის წარმოების მხრივაც ისე ვერა გვაქვს საქმე, როგორც ვესურს.

კვლევის შედეგად შეიძლება დაგვასკვნათ: ინოვაციური თვალსაზრისით, საქართველოს მებოსტნეობაში, ამერიკული მებოსტნეობის გამოცდილების განზოგადების მიხედვით საჭიროა მთელი რიგი კომპლექსური ღონისძიებების დროული გატარება. პირველ რიგში, ინტენსიური ტექნოლოგიების დანერგვის მიზნით საჭიროა მებოსტნეობის ნაკვეთების კონცენტრაცია და ფერმერული კოოპერატივების ფორმირება; ფერმერული კოოპერატივები ფერმერებს სამწლიანი სახელშეკრულებო ვადით მოამარაგებდნენ თესლით, საჩითილე მასალით, სასუქებით; სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით გაუწევდნენ აგროტექნიკურ მომსახურებას და სხვა. კოოპერატივები ფერმერებისაგან შეისყიდოდნენ ბოსტნეულს, დააფასებდნენ, დაახარისხებდნენ, შეფუთავდნენ და სავაჭრო ქსელს მიაწვდიდნენ. ინოვაციური თვალსაზრისით უნდა ჩამოყალიბდეს თანამედროვე პირობებისათვის მისადაგებული კოორდინაციის ერთ-ერთი ფორმა – აგროსასურსათო კოორდინაცია, რომლის დროსაც სოფლის მეურნეობა და გადამამუშავებელი მრეწველობა ერთმანეთს შეერწყმება. უნდა წარმოიქმნას ორი სახის ურთიერთდაკავშირებულ დარგთა კოორდინაცია – ვერტიკალური და ჰორიზონტალური.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აბესაძე რ. ინოვაციები – ეკონომიკური განვითარების მთავარი ფაქტორი, თსუ პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის საერთაშორისო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული, თსუ პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი, 2014.
2. ამერიკის ეკონომიკა – ზოგადი საფუძვლების მიმოხილვა, ამერიკის შეერთებული შტატების საინფორმაციო სააგენტო, 2010.
3. დათუნაშვილი ლ. სტრუქტურული ცვლილებები საქართველოს სოფლის მეურნეობაში. თსუ პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული ტ. VIII, თბილისი, 2015.
4. რვეიშვილი ზ. საქართველოს აგრარული განვითარებისა და პოლიტიკის თეორიული საკითხები. თსუ პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის საერთაშორისო-სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული, თბ., 2015.
5. რუხაძე ს. აშშ-ის სახელმწიფო რეგულირების საკითხები, თბილისი 1994.
6. ქავთარაძე თ. აგრარული რეფორმა საბაზრო ეკონომიკის პირობებში და საქართველო „მეცნიერება“, თბ., 2003.
7. ქველაძე ქ. ინოვაციების პოლიტიკა ტურიზმის განვითარებაში. თსუ პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული, თსუ პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბ., 2013.
8. ქისტაური ნ. ინოვაციებისა და ცვლილებების მართვის თანამედროვე პრობლემები. თსუ პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის საერთაშორისო სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული, თბ., 2015.
9. ხარაიშვილი ე. ინოვაციური განვითარების პრობლემები საქართველოს ფერმერულ მეურნეობებში. თსუ პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული. თსუ პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა ტ. II, თბ., 2012.
10. ჩიქავა ლ. ინოვაციური ეკონომიკა. საგამომცემლო ფირმა „სიახლე“, თბ., 2006.
11. ყამარაული ს. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის დამზადების, ეკონომიკისა და ორგანიზაციის სრულყოფის გზები. „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1985.
12. www.fao.org/corp/statistics.
13. Освоение инновации в агропромышленном комплексе опыт и проблемы – М.: ФГУ РССК 2006 – 136.

Tengiz Kavtaradze

INNOVATIONS IN USA VEGETABLE-GROWING AND THE EXPEDIENCY OF THEIR USE IN GEORGIA

Annotation

The article studies the main regularities of practical measures to realize innovative activity in USA vegetable growing. Like American experience. There is proposed for large food associations and business companies to buy or take on lease land in order to pursue innovative policy in Georgian vegetable-growing; invest capital, hire skilled rural workers the significant source of Income of whose would be income from the sale of shares

გულიკო ქათამაძე

მადალტაქნოლოგიური ღარბების განვითარების ამრსამაქტივები საქართველოში

საქართველოს ეკონომიკური კრიზისიდან გამოსვლისა და მადალტაქნოლოგიური ქვეყნების რიგში გადასვლის მიზნით უნდა განვითარდეს ინოვაციური ეკონომიკა. ამ იდეის რეალიზებისათვის საჭიროა ჩვენი ქვეყნის ხელისუფლებამ ხელი შეუწყოს ისეთი საქონლის წარმოებას, რომელიც მოითხოვს მადალი ტექნოლოგიების ცოდნას. ასეთ დარგებში საერთაშორისო ბაზარი მონოპოლიზებულია ახალ ტექნოლოგიებზე წვდომის შეზღუდულობის გამო. ეს კი იძლევა ბაზარზე ფა-

სების მართვის საშუალებას. საქართველოში ინოვაციური ეკონომიკის ჩამოსაყალიბებლად იმ კაპიტალტევადი დარგების სტიმულირებაა საჭიროა, რომელიც ფლობს მაღალი შრომის ნაყოფიერების უზრუნველყოფ ტექნოლოგიებს. მაღალი შრომის ნაყოფიერება გახდება ჩვენს ქვეყანაში მაღალი ხელფასების დაწესების საფუძველი, რაც ხელისუფლებას მოსახლეობის საზოგადოებრივი კეთილდღეობის ზრდის საშუალებას მისცემს.

ეკონომიკურ ზრდასა და განვითარებაზე ორიენტირებული პრიორიტეტებიდან ყურადღება ძირითადად უნდა გადავახვიოთ სამეწარმეო საქმიანობის განვითარების ხელშეწყობის, ეფექტიანობასა და სოციალურ სამართლიანობას შორის გონივრული ბალანსის დაცვის, სამამულო წარმოების კონკურენტუნარიანობის ამაღლების, ადამიანური განვითარების კაპიტალის, განათლების სისტემის ეფექტიანობის ამაღლების, მეცნიერების განვითარების, ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკისა და სხვა აქტუალურ საკითხებზე [1. გვ. 2].

იმ დარგებში, სადაც ფირმები მასშტაბის ეკონომიის ეფექტით მოქმედებენ, ადგილი აქვს მონოპოლიურ ძალაუფლებას, რადგანაც მასშტაბის ეფექტის მისაღწევად საჭიროა დიდი რაოდენობის კაპიტალის ფლობა. ეს კი ქმნის ასეთ დარგებში შესვლის ბარიერს. ამ დარგებში ახალი ფირმების შესვლა იმიტომ არის გაძნელებული, რომ ახალი ფირმების მიერ თავიდან წარმოებული მცირე ოდენობის საქონლის დამზადების ხარჯი, წარმოების თავდაპირველი ზომის სიმცირის გამო, უფრო დიდია, რაც უძნელებს ახალ ფირმებს ძველთან კონკურენციას [3, გვ. 305]. ეს კი წარმოადგენს ამ დარგებში შესვლის ბარიერს. მაღალ ტექნოლოგიურ დარგებს განეკუთვნება: 1. მიკროელექტრონიკა; 2. ბიოტექნოლოგია; 3. მასალებისა და ნახევარგამამუშავებელი ახალი დარგები; 4. ტელეკომუნიკაციები; 5. სამოქალაქო ავიაცია; 6. რობოტები; 7. კომპიუტერები და პროგრამული უზრუნველყოფის პაკეტები.

ყველაზე მაღალი შრომის ნაყოფიერებით გამოირჩევა ნავთობგადამამუშავებელი მრეწველობა. დაბალ შემოსავალს იძლევა ის დარგები, რომლებიც მოქმედებს იდეალურთან მიახლოებულ ბაზარზე, მაგალითად, ასეთებია სოფლის მეურნეობა და მომსახურების დარგების დიდი ნაწილი, რომლებიც გამოირჩევიან შრომის ნაყოფიერების დაბალი დონით [4. გვ. 183]. მათ რიცხვს ეკუთვნის ტურიზმიც. შრომატევადი დარგია ასევე მშენებლობაც, მაგრამ მას სხვა უპირატესობები გააჩნია, კერძოდ, მშენებლობის ბუმთან არის დაკავშირებული ეკონომიკური ბუმის პერიოდიც. მშენებლობის შემცირებასთან არის დაკავშირებული ემიგრაციის ტალღა და ქვეყნის მოსახლეობის რაოდენობის კლებაც.

აქ ყურადღება გამახვილებულია ტურიზმსა და სოფლის მეურნეობაზე, რადგანაც რეგიონში ფართოდ არის გავრცელებული მოსახურება იმის შესახებ, რომ საქართველო უნდა გადაიქცეს აგრარულ და ტურიზმის ქვეყნად. ეს ჩვენს ქვეყანას მიიყვანს ცხოვრების დაბალ დონემდე. არც ერთი აგრარული ქვეყანა არ არის მაღალგანვითარებული. სოფლის მეურნეობა ყველა ქვეყანაში პრობლემური და დოტაციურია. მაღალგანვითარებულ ქვეყნებში სოფლად დასაქმებულია მოსახლეობის 3-5%. სოფლის მეურნეობას ბევრი სპეციფიკური რისკი ახასიათებს, რომელიც არ გვხვდება სხვა დარგებში. კერძოდ,

1. აგრარულ პროდუქციას უწევს ყველაზე მაღალკონკურენციულ ბაზარზე გასვლა, რის გამოც ფერმერთა უმრავლესობა იღებს ნულოვან მოგებას;
2. აგრარულ პროდუქციაზე მოთხოვნა ძალზე არაელასტიკურია, რაც იმას ნიშნავს, რომ ჭარბწარმოებისა და ფასების ვარდნის მიუხედავად, გასაღების მოცულობა შეიძლება უმნიშვნელოდ ან არც გაიზარდოს, რის გამოც ფერმერებმა შეიძლება წარმოების დანახარჯებიც კი ვერ ამოიღონ;
3. აგრარული ნაწარმის მიწოდება ერთი წლით ჩამორჩება მოთხოვნას: თუ ერთ წელს აგრონაწარმზე ფასები მაღალია, ეს სტიმულს აძლევს ფერმერებს, მომავალი წლისათვის მეტის წარმოება დაგეგმონ. მომავალ წელს ეს ნაწარმი შეიძლება ისე გაიაფდეს, რომ ფერმერებმა ხარჯიც კი ვერ დაფარონ;
4. ამ სფეროში მოქმედებს მოუსავლიანი წლების და დაავადების რისკი.

ასე რომ, საუკეთესო აგრარული პოლიტიკა ურბანიზაცია და წარმოების განვითარებაა. დროის მოკლე პერიოდისათვის მთავრობამ შეიძლება ამოქმედოს ფერმერთა წარმოების მხარდაჭერი პროგრამები. ამ კუთხით აუცილებელია ახალი ტექნოლოგიების მოძიება და დანერგვა. მეორე მხრივ, სოფლის მეურნეობაში შრომის ნაყოფიერების ზრდას მოჰყვება სოფელში უმუშევრობის ზრდა, რადგან ნაკლები მუშახელით შესაძლებელი იქნება მეტი პროდუქციის წარმოება. ეს კიდევ უფრო გაზრდის ურბანიზაციის დონეს. ასე რომ, „მწვანე რევოლუციას“ ქალაქებში უნდა დავახვედროთ უფრო მეტი სამუშაო ადგილი.

ამ პრობლემას ნაწილობრივ შეარბილებს აგრარული ბაზრის გაფართოებაც. იმის ფონზე, რომ საქართველოში სოფლის მეურნეობის პროდუქციის 70% იმპორტულია, კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოების შემთხვევაში, არ უნდა გაძნელდეს გასაღების ბაზრის გაფართოება იმპორტის „განდევნის“ ხარჯზე. სოფლის მეურნეობის ტექნოლოგიურობის ზრდა შეცვლის რისკებს ამ დარგში. უნდა აღინიშნოს, რომ ეკონომიკაში მოქმედებს მხარდ დანახარჯთა კანონი, რაც იმას ნიშნავს, რომ მანამდე, სანამ ათვისებულია რესურსები საქონლის წარმოება ბევრად უფრო იაფი ჯდება, რის გამოც თავიდან შეიძლება მაღალი მოგების მიღება. ამიტომ ბაზარი თავად განსაზღვრავს თუ რამდენად უნდა განვითარდეს ესა თუ ის დარგი. ამდენად, საბაზრო ეკონომიკას

უნდა მივანდოთ მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება, რადგანაც ისინი უახლოვდება სრულყოფილ ბაზარს, სადაც ვერ მიიღება ზემოაღნიშნული მოგება.

სახელმწიფომ აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს მსხვილი საწარმოებისა და მაღალტექნოლოგიური დარგების განვითარებაში, რადგან ასეთი დარგები იძლევა ქვეყნის რეალური გამდიდრების საშუალებას. ამასთან, საქართველოში ნებისმიერ ბიზნესმენს გაუჭირდება საკმარისი კაპიტალისა და ტექნოლოგიების მოპოვება, რათა ასეთი დარგები კონკურენტუნარიანი გახდეს საერთაშორისო ბაზარზე. მსხვილი ფირმებისათვის საქართველოს ბაზარი ძალიან მცირეა და მათ ექსპორტზე უნდა აიღონ ორიენტაცია. ამიტომ სახელმწიფოს როლი ჩვენისთანა პატარა ქვეყნისათვის შეუცვლელი იქნება. იგი უნდა გამოვიდეს ბაზარზე, როგორც მაღალტექნოლოგიური საწარმოების აქციების საკონტროლო პაკეტის მფლობელი. 2016 წლის 11 იანვარს საქართველოში გაიხსნა პირველი ტექნოლოგიური პარკი, სადაც განლაგებულია მცირე ინკუბატორები, სასწავლო ცენტრები და ლაბორატორიები, აგრეთვე საერთაშორისო მაღალტექნოლოგიური კომპანიების ტრენინგცენტრები, მაღალტექნოლოგიური ინკუბატორები, სამრეწველო ინოვაციების უნივერსალური ლაბორატორიები და თანამშრომლობის სამუშაო (co-working) ცენტრი [6. გვ. 1].

ისეთ პატარა ქვეყნებში, როგორც საქართველო და ბიზნესი ახლად იდგამს ფეხს, მეწარმეებს არა აქვთ საკმარისი გამოცდილება და ტექნოლოგიები მსხვილ და მაღალტექნოლოგიურ საწარმოთა ასამოქმედებლად. ამიტომ ასეთ პირობებში მხოლოდ სახელმწიფო თუ შეძლებს კაპიტალტევად და ტექნოტევად საწარმოთა ასამოქმედებლად საჭირო კაპიტალისა და ტექნოლოგიის მოზიდვას. ამას აქვს მეორე მხარეც. დიდი ქარხნები, მაღალტექნოლოგიური დარგები საშუალებას იძლევა მივიღოთ მაღალი მოგება, რომელიც იქნება სახელმწიფოს საკუთრებაში. ხელისუფლებას შეუძლია უფრო სამართლიანად გადაანაწილოს ამ საწარმოების საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები მოსახლეობის ცალკეულ ჯგუფებს შორის. მას შემდეგ, რაც ეს დარგები თავის მნიშვნელობას დაკარგავს სახელმწიფოსათვის, ტექნოლოგიები სტანდარტული გახდება და დიდი მოგების მიღება შეუძლებელი იქნება, მაშინ მთავრობამ უნდა გაყიდოს ეს საწარმოები ან მათი წილი, რათა არ გაიბეროს ბიუროკრატიული აპარატი. უცხოელი ინვესტორები საქართველოში ინტერესდებიან იაფი მუშახელის და შიდა ბაზრის ათვისებით, რაც არ უწყობს ხელს მაღალტექნოლოგიურ, ექსპორტზე ორიენტირებულ დარგთა განვითარებას [5. გვ. 51].

თუ დავადგენთ წარმოების რომელ ფაქტორებს ფლობს ჭარბად საქართველო, მაშინ შევძლებთ იმის გაგებას, თუ რომელი დარგების განვითარებას უნდა შეუწყოს ხელი მთავრობამ, რათა ამ დარგებში შედარებით იაფად ნაწარმოები საქონელი უფრო მომგებიანად გაიცვალოს ჩვენი მომხმარებლისათვის საჭირო იმპორტულ საქონელზე. სამწუხაროდ, საქართველო ბუნებრივი რესურსებით განსაკუთრებით მდიდარი არაა (თუ არ ჩავთვლით ჰიდრორესურსებს). ფართობის მიხედვითაც საქართველო მცირემიწიან ქვეყნად ითვლება, რის გამოც სოფლის მეურნეობაში ჩვენს ქვეყანას არა აქვს ფარდობითი უპირატესობა და აგრარული საქონლის ექსპორტით ვერ არჩენს საკუთარ მოსახლეობას.

ჭიათურის მარგანეცის საბადოები იღვევს, მაგრამ ეს სულაც არ არის საშიში, რადგან იაპონია საქართველოზე უფრო ღარიბია ბუნებრივი რესურსების ფლობის მიხედვით, მაგრამ იგი ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი ქვეყანაა, რადგან იაპონია სწორედ მაღალტექნოლოგიური საქონლის წარმოებით არის დაკავებული. აშშ-ის ექსპორტი ძირითადად კვალიფიციური სამუშაო ძალისა და ტექნოლოგიების ინტენსიურობით ხასიათდება, რაც მოითხოვს მეტ მეცნიერსა და ინჟინერს [2. გვ. 55]. რადგან საქართველოს ბუნებრივი რესურსების ფლობის მიხედვით განსაკუთრებული უპირატესობა არ გააჩნია, საუკეთესო გამოსავალი იქნება, თუკი ჩვენი ქვეყანა ამ ტიპის უპირატესობას მოიპოვებს მაღალკვალიფიციურ მუშახელში. ბუნებრივი რესურსების რაოდენობრივ ცვლილებაზე ხელისუფლება გააღწიას ვერ მოახდენს, მაგრამ მან, ტრენინგებისა და გადამზადების პროგრამების დანერგვით, შეიძლება გაზარდოს მაღალკვალიფიციური მუშახელის რაოდენობა. ამისათვის განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ტექნიკურ განათლებასა და მეცნიერებას. მართალია საქართველო ვერ მოიპოვებს აბსოლუტურ უპირატესობას მაგ., ინჟინრების მომზადების მხრივ, მაგრამ მას შეუძლია ამ სფეროში შეფარდებითი უპირატესობის მოპოვება. ამიტომ საჭიროა საქართველოში გაიზარდოს მაღალკვალიფიციური ინჟინრების წილი ქვეყნის მოსახლეობის საერთო რაოდენობაში.

ცალკე განხილვას საჭიროებს საქართველოში მრეწველობის დარგების რეგიონული განლაგებაც. იმის გამო, რომ ნედლეულის შემოტანა, გადამამუშავება და ექსპორტირება უფრო იოლია იქ, სადაც ახლოა საზღვაო პორტები, ჩვენი ქვეყნის მმართველობამ ხელი უნდა შეუწყოს რესურსდამზოგავი დარგების განვითარებას დასავლეთ საქართველოში. პორტებთან სიახლოვის არგუმენტს ემატება ისიც, რომ დასავლეთ საქართველო მდიდარია ჰიდრორესურსებით, რაც იძლევა ენერგოტევადი დარგების განვითარების შესაძლებლობას.

თანამედროვე ეტაპზე ყველაზე ენერგოტევადი ტექნოლოგიებით გამოირჩევა ალუმინის წარმოება და მეტალურგია. მაგალითად, იაპონია, ლითონის წარმოების მხრივ, ერთ-ერთი მოწინავე ქვეყანაა, მიუხედავად იმისა, რომ მას არავითარი სამრეწველო ნედლეული არ გააჩნია. სამაგიეროდ იგი მიმართავს ფოლადის დნობის ყველაზე მოწინავე ტექნოლოგიას ელექტროენერჯის გამოყენებით, რის გამოც მის მიერ გამოდნობილი ლითონი ყველაზე უფრო იაფია მსოფლიო ბაზარზე.

იაპონიამ ლითონის მრეწველობა გემებისა და მანქანათმშენებლობის კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად განავითარა.

ამ მხრივ საქართველოს უპირატესობა ის არის, რომ მას ჰყავს რკინის მადნით მდიდარი საზღვაო მეზობელი – უკრაინა. ენერგოტექვადი დარგების განლაგება დასავლეთ საქართველოში იმიტაც არის გამართლებული, რომ დასავლეთ საქართველოს პოტენციურად ჭარბი ელექტროენერჯის აღმოსავლეთ საქართველოში ტრანსპორტირება აღარ იქნება საჭირო, შესაბამისად აღარ იქნება ელექტროენერჯის გადაცემისათვის დამახასიათებელი დანაკარგები.

აღმოსავლეთ საქართველოში, კერძოდ კი თბილისსა და რუსთავში უნდა განლაგდეს მაღალტექნოლოგიური და მეცნიერებატექვადი საწარმოები. ამას ხელს უწყობს თბილისში თავმოყრილი სამეცნიერო პოტენციალი, სამეცნიერო-კვლევითი და საგანმანათლებლო ინსტიტუტები. ჩვენი ქვეყანა განიცდის ენერგოდეფიციტს, რაც ართულებს ეკონომიკური კრიზისიდან მის გამოსვლას. ამიტომ საჭიროა, აშენდეს ახალი ჰესები, რაც უდიდეს კაპიტალდაბანდებას მოითხოვს. კერძო სექტორში ასეთი მასშტაბური ადგილობრივი კაპიტალი არ მოიძებნება, ამიტომ ჰესების მშენებლობა სახელმწიფომ უნდა აიღოს საკუთარ თავზე. ხელისუფლება უფრო ადვილად შეძლებს არსებული ჰესების რეაბილიტაციისა და ახალი ჰესების მშენებლობისათვის საჭირო კაპიტალის მოზიდვას. განსაკუთრებით ისეთი ჰიდროელექტროსადგურების რეაბილიტაცია უნდა მოხდეს, რომელთა აღდგენა დიდ დროსა და მსხვილ კაპიტალს არ საჭიროებს და იმავდროულად იძლევა საკმაოდ დიდ, ზენორმატიულ მოგებას.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ იაპონიის ხელისუფლება ცდილობდა რესურსები მაქსიმალურად მიემართა იმ დარგებისაკენ, რომელთაც გაანდდათ ყველაზე მაღალი შრომის ნაყოფიერება [2. გვ. 183]. ამან დააჩქარა ქვეყანაში კაპიტალის დაგროვების პროცესი, რის შემდეგაც შესაძლებელი გახდა უფრო ამბიციური გეგმების განხორციელება. რა თქმა უნდა, ამ პროცესების სწრაფად და მცირე ხარჯებით განხორციელება შეუძლებელია, მაგრამ ხელისუფლებამ საქართველოს ეკონომიკური განვითარების გრძელვადიანი სტრატეგიის შემუშავების დროს აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს ეს რეკომენდაციები. აქვე აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ რაც უფრო იოლია გასატარებელი ღონისძიებები, მით უფრო ხელმისაწვდომია იგი ყველასათვის. ეს კი ზრდის კონკურენტების რიცხვს და შესაბამისად ამცირებს მაღალი მოგების მიღების შესაძლებლობას. თუ ჩვენი ქვეყნის ხელისუფლებას მართლაც სურს, საქართველო გახდეს მაღალტექნოლოგიური სახელმწიფო, მან ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისათვის, რომ დაისახოს და შეასრულოს კიდევ ამბიციური გეგმები. ყოველივე ამის გაკეთება შეუძლებელი იქნება ხელისუფლების მხრიდან ინტენსიური და სწორი ეკონომიკური პოლიტიკის გატარების გარეშე.

გამოყენებული ლიტერატურა

1. კვარაცხელია დ. საქართველოს ეკონომიკის განვითარების პრიორიტეტები (ნაწილი პირველი), თბილისი, 2014.
2. კრუგმანი პ., ოფსვილდი მ. საერთაშორისო ეკონომიკა. გამომცემლობა „ცისარტყელა“, თბილისი. 2000.
3. მენქიუ ნ. გ. ეკონომიკის პრინციპები. თბილისი. 2008.
4. წიქორიძე ზ. საქართველოს ეკონომიკისათვის პრიორიტეტული დარგების შერჩევის შესახებ. თბ., 2011.
5. ჭარაია ვ. ინვესტორები ნაკლებად უწყობენ ხელს მაღალტექნოლოგიური, ექსპორტზე ორიენტირებული დარგების განვითარებას. თბილისი, 2016.
6. www.economy.ge/ge/media/news/teqnoparki საქართველოში პირველი ტექნოლოგიური პარკი გაიხსნა. თბილისი, 2016.

Guliko Katamadze

DEVELOPMENT PERSPECTIVES OF HIGH-TECH INDUSTRIES IN GEORGIA

Annotation

Innovative economic development is needed to stimulate the production of such goods, which require high technology knowledge. Due to limited access to new technologies, such fields in the international market are monopolized, as they possess a high remuneration ensuring technologies. High technology creates a barrier to entry into such fields. High-tech sectors are: microelectronics, biotechnology, materials processing industries, telecommunications, civil aviation, robotics, labor automated tools and computers with the software package. To increase the competitiveness of agriculture it is needed to attract high technology in this area. The state must play key role in the development of hi-tech fields. It should come out on the market as the shareholder in high-tech enterprises. This type of technological advantages is achieved, through the implementation of training and retraining programs in order to increase the number of highly skilled workers, to pay special attention to technical education and science and this is the only real way for Georgia.

ინოვაციური ეკონომიკის განვითარების პრობლემები საქართველოში

თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციისა და ინტერნაციონალიზაციის პირობებში, როცა ქვეყნები იმყოფებიან მძაფრ კონკურენციულ გარემოში, მათი გადარჩენის ერთადერთი რეალური გზაა ინოვაციური ეკონომიკის განვითარება. ამ მიზნის მისაღწევად საჭიროა ინოვაციური ეკონომიკის განვითარების გრძელვადიანი სტრატეგიის შემუშავება, რომლის რეალიზაციისთვის საჭიროა ხელისუფლებამ, სპეციალური სახელმწიფო პროგრამების განხორციელებით, სახელმწიფო შესყიდვებით, მოტივაციის ბერკეტების ამოქმედებით, ინოვაციური დარგების გამოკვეთითა და მათი განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნით, კერძო სექტორს მიუთითოს კაპიტალის ამ დარგებში ინვესტირებისაკენ. ასეთ ინოვაციურ დარგებში კაპიტალის დასაბანდობლად კომპანიები მთავრობისაგან ითხოვენ ინოვაციური იდეების რეალიზებაში შესაბამის მხარდაჭერას საინფორმაციო, ფინანსური, მარკეტინგული, ტექნოლოგიური, სამართლებრივი და პარტნიორული თანამშრომლობის სფეროში [1, გვ. 450].

საბჭოთა კავშირის ფარგლებში პოსტკომუნისტური ქვეყნები საწარმო-კოოპერირებითი ურთიერთობებით იყვნენ ურთიერთდამოკიდებულნი. ამიტომ, საბჭოთა კავშირის დაშლამ ისინი თანაბრად ცუდ ვითარებაში ჩააგდო. მათ შორის ძველი ეკონომიკური კავშირები ადვილად გაწყდა, მაგრამ ახალი ეკონომიკური კავშირები დანარჩენ მსოფლიოსთან ისე ადვილად ვეღარ დამყარდა. გარდა ამისა, პოსტკომუნისტური ქვეყნების ეკონომიკის საერთო მახასიათებელი იყო ის რომ, კერძო სექტორის ჩახშობით, სახელმწიფო საწარმოებმა მოიპოვეს მონოპოლისტური მდგომარეობა, რის გამოც ჩაკედა კონკურენცია, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი. ამის შედეგად 1950-60-იან წლებში შექმნილი ტექნოლოგიები ფიზიკურად და მორალურად გაცვდა, მეწარმეთა კრეატიული აზროვნება ჩაიხშო, პოსტკომუნისტური ქვეყნების ეკონომიკას ინოვაციური განვითარების არანაირი ტენდენცია არ ახასიათებდა. კიდევ უფრო ცუდ ვითარებაში აღმოჩნდა საქართველო, რომელსაც შრომის „საბჭოურ“ დანაწილებაში წილად ერგო აგრარულ-სანედლეულო სპეციალიზაცია, ხოლო სამრეწველო სექტორში ჩვენი ქვეყანა მხოლოდ დეტალობრივი და ტექნოლოგიური სპეციალიზაციის დონეზე მონაწილეობდა. ამდენად, საბჭოთა კავშირის პერიოდში 70-წლიანი თანაცხოვრება მძიმე დაღად დაესვა პოსტკომუნისტურ ქვეყნებს, მათ შორის საქართველოსაც. სწორედ ეს გახდა იმის მიზეზი, რომ ჩვენი ქვეყანა მოუძნადებელი აღმოჩნდა ინოვაციური ეკონომიკის განვითარებისათვის ხელსაყრელი წინაპირობების ფორმირების კუთხით.

ასეთ პირობებში საჭიროა, საქართველოს ხელისუფლებამ გამოეყოს ინოვაციური დარგები, ძალისხმევა არ უნდა დაიშუროს მათ ფორმირებასა და კონკურენტუნარიანობის ამაღლებაში, მათი განვითარების ინოვაციური სტრატეგიისა და ინოვაციური პოლიტიკის შემუშავება-რეალიზაციაში. ეს დარგები უნდა შეირჩეს ისეთი კრიტერიუმების მიხედვით, როგორცაა: სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ჩატარების პოტენციალი, კრეატიულად მოაზროვნე პერსონალის ცოდნის მენეჯმენტის დონე, ახალი ტექნოლოგიების მოზიდვის, ინოვაციური პროდუქციის რეალიზაციის შესაძლებლობები და ა. შ.

ამ კრიტერიუმების მიხედვით ინოვაციური დარგების არჩევა საქართველოს ხელისუფლებას საშუალებას მისცემს განსაზღვროს, თუ მრეწველობის რომელ დარგებს უნდა მიენიჭოს პრიორიტეტული მნიშვნელობა, რათა მაქსიმალურად ეფექტური გახდეს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკა. ამ თვალსაზრისით, ხელისუფლებამ განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმოს ისეთი დარგების განვითარებას, რომლებშიც: 1. ხდება მაღალტექნოლოგიური საქონლის წარმოება; 2. გამოიყენება ისეთი ტექნოლოგიები, რომლებიც ზრდის შრომის ნაყოფიერებას და 3. ადგილი აქვს მასშტაბის ეფექტს. ასეთ დარგებში მოქმედი საწარმოები ბაზარზე სარგებლობენ მონოპოლისტური ძალაუფლებით, რაც მათ საშუალებას აძლევს, წარმოებულ საქონლის რაოდენობის შემცირებით გაზარდონ ფასები ისე, რომ მიიღონ მაქსიმალური მოგება. სასურველი არაა ინოვაციურ დარგებად ისეთი დარგები იქნეს მიჩნეული, რომელთაც მძაფრ კონკურენციულ პირობებში უხდებოდათ მოღვაწეობა. აგრეთვე არაა სასურველი შრომატევადი დარგების წახალისება, რადგანაც, შედეგად, ქვეყანაში მივიღებთ ხელფასების დაბალ დონეს. სახელმწიფო მხარდაჭერით უნდა განვითარდეს მსხვილი და მაღალტექნოლოგიური დარგები, ხოლო მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება ბაზარს უნდა მიენდოს. ხელისუფლებას გადამწყვეტი როლი ეკისრება ეკონომიკური ზრდის ტემპების დაჩქარებაში. იმის გამო, რომ ქვეყანაში არ არის დაგროვილი საკმარისი რეზერვები კაპიტალტევად დარგებში მსხვილი ინვესტირებისათვის, სადაც მაღალია შრომის ნაყოფიერება, საჭიროა ხელისუფლებამ იკისროს ასეთ დარგებში ინვესტირების როლი, რადგან მას ყველაზე უკეთ შეუძლია ფინანსური რესურსის მობილიზაცია [6].

სწორი ინოვაციური პოლიტიკის გატარებით ხელისუფლებამ შეიძლება მიადლოს მშპ-ის ზრდას, უმუშევრობის დონის შემცირებას. მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ჩვენი ქვეყანა მაღალგანვითარებული გახდება. შეიძლება ქვეყანაში მთლიანად დასაქმდეს შრომისუნარიანი მოსახლეობა, მაგრამ მაინც ვერ იქნეს მიღწეული ცხოვრების მაღალი დონე. თუ ხელისუფლება მოსახლეობას დაასაქმებს დაბალრენტაბელურ საწარმოებში, მაშინ ამით მივიღებთ დაბალ ხელფასებს და, შედეგად, ცხოვრების დაბალ დონეს, მიუხედავად იმისა, რომ შრომისუნარიანი მოსახლეობა მთლიანად დასაქმდება. იმისათვის რომ თავიდან იქნეს აცილებული ასეთი საფრთხე,

საჭიროა ხელისუფლებამ სწორად შეარჩიოს ინოვაციური დარგები და ხელი შეუწყოს მათ განვითარებას, რომლებიც ქვეყანას მოუტანს მაქსიმალურ მოგებას და შემოსავლებს.

მაღალტექნოლოგიური საქონლის მწარმოებელ ქვეყნებს გააჩნია შეძენილი კონკურენციული უპირატესობა. უახლესი ტექნოლოგიები არ არის ხელმისაწვდომი ყველა მწარმისათვის, რადგანაც იგი თავიდან რომელიმე მსხვილი ფირმის კომერციულ საიდუმლოებას წარმოადგენს. ამიტომ ამ მაღალტექნოლოგიურ დარგში შეღწევა ძალიან გაძნელებულია. ამის გამო, ასეთი მაღალტექნოლოგიური საქონლის ბაზარი შორს არის თავისუფალი კონკურენციისაგან. ბაზარზე შეღწევის ბარიერები კი მონოპოლიურ ძალაუფლებას აძლევს მაღალტექნოლოგიური საქონლის მწარმოებელ ფირმას [2, გვ. 416].

მას შემდეგ, რაც ეს ახალი ტექნოლოგია, ბოლოს და ბოლოს ხელმისაწვდომი გახდება სხვადასხვა ქვეყნის მწარმოებლისათვის, ეს ფირმები თანდათან კარგავენ თავიანთ გავლენას საერთაშორისო ბაზარზე. ახალი კონკურენტების გამოჩენა ამ ახალი საქონლის ბაზარს სულ უფრო უახლოვებს სრულყოფილი კონკურენციის ბაზარს და მოგებას ამცირებს. სრულყოფილი კონკურენციის პირობებში უამრავი ფირმა მონაწილეობს, რომლებიც ნულოვან ეკონომიკურ მოგებას იღებენ. ეს მტკიცება სამართლიანია მხოლოდ იდეალურად კონკურენტულ ბაზარზე, სადაც ასევე იდეალურად მუშაობს საწარმოო ფაქტორების ბაზარიც. ასეთი ბაზრები პრაქტიკაში არ არსებობს. მასთან ყველაზე ახლოს დგას სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ბაზარი. თუ გადავხედავთ მდიდარ ქვეყნებს, სწორედ ის სახელმწიფოებია მაღალგანვითარებული, რომლებიც აწარმოებენ მაღალტექნოლოგიურ საქონელს. ეს სწორედ იმით არის გამოწვეული, რომ ამ ქვეყნების მაღალტექნოლოგიური ფირმები საერთაშორისო ბაზარზე ფლობენ საბაზრო ძალაუფლებას, შეუძლიათ თავიანთ საქონელზე ფასები ისე მართონ, რომ მიიღონ ზენორმატიული მოგება. მაგრამ ეს ზენორმატიული მოგება არ აისახება ზენორმატიულ ბუღალტრულ მოგებაში, რადგანაც ეს ზენორმატიული მოგება, მაღალი ხელფასების სახით, გადანაწილდება ფირმის თანამშრომლებზე. როგორც ვხედავთ მაღალი ტექნოლოგიების მქონე ინოვაციურ დარგთა ფლობა დიდ უპირატესობას აძლევს მდიდარ ქვეყნებს [6].

შესაბამისად, ინოვაციური ეკონომიკის განვითარებას უადრესად დიდი მნიშვნელობა ექნება ჩვენი ქვეყნის აღმავლობისათვის, რადგან სწორედ ინოვაციური აქტივები უნდა იქცეს საქართველოს ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ამაღლების უმთავრეს ინსტრუმენტად. ჩვენს ქვეყანაში ინოვაციური ეკონომიკის განვითარებისათვის აუცილებელია, ხელისუფლებამ პრიორიტეტულ დარგებად გამოაცხადოს ისეთი მიმართულებები, სადაც ცოდნა, კვალიფიკაცია და ინტელექტი ყველაზე მეტად ღირებულ არამატერიალურ ფასეულობად იქნება მიჩნეული. ჯერ კიდევ გასული საუკუნის 80-იან წლებში ბრიტანელმა მეცნიერებმა კოლუმბიის უნივერსიტეტის პროფესორებმა ბრენდერმა და სპენსერმა აღნიშნეს, რომ საერთაშორისო ვაჭრობაში ჩართულ, არასრულყოფილი კონკურენციის ბაზრებზე მოქმედ ფირმებს ექნებათ დიდი მოგება. მათი აზრით, ხელისუფლება უნდა დაეხმაროს ასეთ ინოვაციურ ფირმებსა და დარგებს, რათა ქვეყანამ მაქსიმალური მოგება მიიღოს საერთაშორისო ვაჭრობიდან. აქედან გამომდინარე, საქართველოს ხელისუფლებამ უნდა გაითვალისწინოს ინოვაციური დარგების ეფექტი და ჩამოაყალიბოს ისეთი დარგობრივი სტრუქტურა, რომელიც ჩვენს ქვეყანას მოუტანს მაქსიმალურ შემოსავალს.

საჭიროა საქართველოში ჯერ პროფესიულ საგანმანათლებლო დონეზე იქნეს შესწავლილი ინოვაციური ეკონომიკა, განისაზღვროს მისი არსი. ინოვაციური (ცოდნის) ეკონომიკა არის ცოდნის გენერაციისა და გავრცელების სფერო, სადაც მეცნიერი და გამოგონებელი ხდება ცოდნის ეკონომიკის მთავარი შემოქმედი, ხოლო ცოდნა კი არის ის ძირითადი ინსტრუმენტი, რომლის რეალიზებაც, არამატერიალური სახით, ხდება ინოვაციურ პროდუქციაში. ინოვაციის ეკონომიკაში კომპანიის ძირითადი ფასეულობები თავმოყრილია არამატერიალურ აქტივებში. თანამედროვე ინოვაციური პროდუქტი უნდა იყოს კომპლექსური და მაღალტექნოლოგიური, რომელშიც განსახიერებული უნდა იყოს მრავალი გამოგონება. ინოვაციური საქონლის ფასს განსაზღვრავს მასში რეალიზებული ცოდნა (გამოგონება) და არა გამოსაყენებელი მასალა [4].

საქართველოში დამზადებული ინოვაციური პროდუქციის შესახებ მომხმარებლის ინფორმირების საუკეთესო გზაა ინტერნეტტექნოლოგიების გამოყენება, კომპანიების ვებგვერდების შექმნა, ინტერნეტარხების მეშვეობით ვიდეოკოლაჟებისა და რეკლამის გავრცელება, ქსელური მარკეტინგის განვითარება. თანამედროვე ეპოქაში კონკურენციაში სწორედ ის ქვეყნები და კომპანიები იმარჯვებენ, რომლებიც ამცირებენ ლოგისტიკურ (სასაწყობო-სატრანსპორტო) დანახარჯებს. მარაგების შემცირებით, სპეციალური სარეკლამო ბუკლეტებისა და ჟურნალების გამოშვებით ზრდიან თავიანთი პროდუქციის ფასობრივ კონკურენტუნარიანობას. ქსელური ეკონომიკის განვითარება, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს გრძელვადიან პერიოდში მაღალი ტექნოლოგიების მქონე დარგების განვითარებას, ამ დარგებში ინოვაციური სისტემების ფორმირებას.

საქართველოში ინოვაციური დარგებისა და ქვედარგების განვითარებას მნიშვნელოვნად აფერხებს ისეთი მაკროეკონომიკური ფაქტორები, როგორცაა საკუთარი სამეცნიერო-ტექნოლოგიური ლაბორატორიების არარსებობა, შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის დეფიციტი, საზღვარგარეთის ქვეყნებისა და კომპანიების მხრიდან ჩვენი ქვეყნის ინოვაციური ბრენდის, მისი ხარისხის მიმართ უნდობლობა, სხვადასხვა სახის ინოვაციურ სიმპოზიუმებში,

კონფერენციებსა და კონკურსებში ქართველ მკვლევართა მონაწილეობის დაბალი დონე და ა. შ. სამწუხაროდ, საქართველოს ინოვაციური ეკონომიკის ფორმირებისა და ფუნქციონირების სფეროში არავითარი გამოცდილება არ გააჩნია. ამიტომ, ინოვაციური ეკონომიკის განვითარების დაჩქარების მიზნით საჭიროა ჩვენი ქვეყნის ხელისუფლებამ გამოიყენოს საზღვარგარეთის ქვეყნების მიერ ამ სფეროში დაგროვილი გამოცდილება. საქართველოში ინოვაციური ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთი შემაფერხებელი ფაქტორია ამ კუთხით მეცნიერების განვითარებისა და პერსონალის განათლების დაბალი დონე.

საქართველოში ინოვაციური პროდუქციის მწარმოებელი დარგების შერჩევისა და მათი განვითარების ხელშეწყობის მიზნით უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს შესაბამისი ინსტიტუციური ინფრასტრუქტურის ფორმირებას. საჭიროა ჩვენს ქვეყანაში პარალელურად ამოქმედდეს ინოვაციური პროცესების მონიტორინგისა და შეფასების პროგრესული სისტემა. სახელმწიფომ უნდა შეარჩიოს ინოვაციური სისტემის ამოქმედებისათვის საჭირო, შესაბამისი ეკონომიკური ინსტრუმენტები, ინოვაციური კვლევების წარმოების სფეროში წარმოქმნილი პრობლემების სიმძაფრის მასშტაბის მიხედვით მოახდინოს, ამ ინსტრუმენტების კომბინაციის ზუსტი დოზირება, მათი ძალისხმევის ადეკვატურად (არც გადაამეტებული და არც ნაკლები ინტენსიურობით) გამოყენება [3].

იმავედროულად უნდა მოხდეს ტექნოლოგიების, ინსტიტუციების, ადამიანისეული კაპიტალისა და წარმოების ორგანიზაციის შესაბამისი ფორმების სრულყოფა, პარალელურ რეჟიმში უნდა ამოქმედდეს სამეცნიერო კვლევების განვითარებისათვის აუცილებელი, მომსახურე, თანმდევი ინსტიტუციები, რათა შემუშავდეს სამეცნიერო კვლევის შედეგების წარმოებაში დანერგვის ერთიანი სისტემა (ბიზნესინკუბატორები, ტექნოპარკები, საკონსულტაციო ცენტრები, ტექნოლოგიების გადაცემის მექანიზმები და სხვა). საქართველოში ინოვაციური ეკონომიკის განვითარებას მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ტექნოლოგიური კვანძების ფორმირება. ეს ისეთი შემთხვევებია, როცა კომპლექსური წარმოების გასამართად ხდება რამდენიმე ტექნოლოგიური ციკლის ერთდროულად წარმართვა. ამ დროს კომპანიის მენეჯერებმა უნდა შეიმუშაონ ტექნოლოგიების პარალელურ რეჟიმში მიწოდების ხელშეწყობი ოპტიმალური მექანიზმი, რათა საწარმოო პროცესები იყო სინქრონიზებული. საწარმოო პროცესების სინქრონიზაცია იმას ნიშნავს, რომ ტექნოლოგიურ ციკლში ადგილი არ უნდა ჰქონდეს არც სუსტ რგოლებს (რომლებიც ინტენსიური მუშაობის შედეგად გადაიტვირთებიან) და არც მოცდენებს (რაც მძლავრ რგოლებში გამოიწვევს ნახევარფაბრიკატებისა და მარაგების დაგროვებას).

ჩვენს ქვეყანაში ინოვაციური ეკონომიკის განვითარების მთავარი საყრდენი ხერხემალი უნდა იყოს მცირე საწარმოები, რომლებიც ცვლილებების მიმართ ყველაზე უფრო მგრძობიარენი, ელასტიკური და სწრაფად ადაპტირებადი არიან. ამ შემთხვევაში საწარმოებმა უნდა წარმართონ ისეთი ინოვაციური პოლიტიკა, რომელიც წარმოებული ინოვაციური პროდუქციის ხარისხით ყველაზე მეტად მიესადაგება ინოვაციებისადმი წაყენებულ თანამედროვე მოთხოვნებს. სწორი ინოვაციური პოლიტიკის წარმართვა ევალება როგორც კერძო საწარმოებს, ისე სახელმწიფოსაც, რადგან სწორედ ხელისუფლებამ უნდა შეიმუშაოს ინოვაციების სახელმწიფო რეგულირების ერთიანი მექანიზმი, რათა ქვეყანა იქცეს რეგიონის ფარგლებში ინოვაციების დანერგვის მთავარ მამოძრავებელ ძალად. ამისათვის საჭიროა საქმიანი აქტივობა ინტენსიურად წარიმართოს საქართველოს ინოვაციური დარგების განვითარებაში [5].

სახელმწიფოსა და შესაბამისი საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან დაფინანსების მიღების მიზნით საჭიროა, ინოვაციების სფეროში ამოქმედდეს კონკურსის პრინციპით მონაწილე პროექტების გამარჯვებისა და შესაბამისი დაფინანსების საგრანტო სისტემა. ამ სისტემის შესაქმნელად საჭიროა, ინტენსიური კავშირები დამყარდეს და გაღრმავდეს თანამშრომლობა მეცნიერებას, ბიზნესს და სახელმწიფოს შორის, რათა სახელმწიფო შეკვეთები სულ უფრო წარიმართოს სამეცნიერო კვლევებზე. კერძო სექტორში დასაქმებულმა ბიზნესმენებმა, მეწარმეებმა, ინვესტორებმა და კომპანიებმა უნდა წარმოადგინონ საკუთარ ხელვაზე დაფუძნებული ინოვაციური კვლევების შედეგები.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ჩიქავა ლ. ინოვაციური ეკონომიკა. გამომც. „სიახლე“ თბ., 2006.
2. მენქიუ ნ. გ. ეკონომიკის პრინციპები. თბილისი, 2008.
3. www.inovdev.ge/.../44346Presentation%20Tbilisi%20-GABUNIA.pdf გაბუნია დ. გამოგონებები და ცოდნის (ინოვაციური) ეკონომიკა. თბილისი, 2016.
4. ite-r.blogspot.com/2014/01/blog-post.htm. რა არის ინოვაცია?
5. gita.gov.ge. საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო;
6. <https://zazatsikoridze.wordpress.com> ვიქორიძე ზ. საქართველოს ეკონომიკისათვის პრიორიტეტული დარგების შერჩევის შესახებ, თბილისი, 2011.

PROBLEMS OF INNOVATIVE ECONOMIC DEVELOPMENT IN GEORGIA

Annotation

In modern competitive conditions the only real way for the country to survive is the development of innovation economy. This requires innovative industry sectors to identify their long-term strategy for the development and creation of favorable conditions, the realization of innovative ideas to support. Seventy years of Soviet living together left its heavy mark, that is why the country is unprepared for the development of an innovative economy. Innovative sectors must be selected according to scientific-research potential, knowledge of management of creatively minded personnel, attracting new technologies, innovative product marketing. For the realization of innovative products the development of network marketing, the formation of the appropriate institutional infrastructure are needed. Progressive system of monitoring, innovative processes must be introduced as well; a grant system of innovative research funding is necessary to strengthen cooperation in the field of science, business and the state.

ქეთევან ქველავი

ინოვაციური ტექნოლოგიები საქართველოს ტურიზმის სექტორში და მისი განვითარების პერსპექტივები

ტურიზმი წარმოადგენს მსოფლიო ეკონომიკის საკმაოდ მნიშვნელოვან მიმართულებას. ეს დარგი ვითარდება სწრაფი ტემპებით და უახლოეს მომავალში შეიძლება სამეწარმეო საქმიანობის ყველაზე მნიშვნელოვანი სექტორი გახდეს. ამ სექტორის განვითარება დამოკიდებულია იმ ინოვაციური ტექნოლოგიების შემუშავებასა და დანერგვაზე, რომლებიც მიმართულია კლიენტების მომსახურების უზრუნველყოფაზე და ტურისტული სერვისული შესაძლებლობების გაფართოებისაკენ. მსოფლიო ტურისტულმა ინდუსტრიამ ნამდვილი ბუმი განიცადა 2000 წელს და XXI საუკუნის შემდგომ წლებშიც ინარჩუნებს ტურისტების რაოდენობისა და ტურისტული საქმიანობისაგან შემოსვლების ზრდის ტემპებს. ყოველწლიურად ტურისტების რაოდენობა 5-7%-ით იზრდება. ტურისტული საქმიანობის შემოსავლების მანქანებელმა რეკორდულ დონეს მიაღწია და ყოველწლიურად დაახლოებით 500 მლრდ დოლარს შეადგენს. შთამბეჭდავი შედეგი 2000 წელს და შემდგომ წლებში დაკავშირებულია სხვადასხვა ღირსშესანიშნავ მოვლენებთან, როგორცაა ქრისტიანობის საიუბილეო თარიღი, ზაფხულის ოლიმპიური თამაშები სიდნეიში და ზამთრის – სოლტ-ლეიკ-სითში, ფეხბურთის ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატები და სხვა.

ტურიზმის არაჩვეულებრივი წარმატება განპირობებულია იმითაც, რომ მის საფუძველშივე დევს ადამიანების მუდმივი სურვილი, შეიცნოს მის გარშემო არსებული სამყარო. ამ სურვილმა, ტურიზმის ფორმით, მრავალ ქვეყანაში შექმნა შესაძლებლობა ცხოვრების დონის ამაღლებისათვის, ტრანსპორტის, საინფორმაციო და სხვა ტექნოლოგიების განვითარებისათვის.

ბევრისათვის ტურიზმი უკვე ფუფუნება აღარ არის, არამედ ჩვეულებრივი აუცილებლობა. ზოგიერთ, განსაკუთრებით ევროპულ ქვეყანაში შეიქმნა ისეთი ცნება, როგორცაა „ტურიზმის უფლება“, რომელიც ასახულია ტურიზმის გლობალურ ეთიკურ კოდექსში და მიღებულია ტურისტული ორგანიზაციის მიერ.

2015 წელს „მსოფლიო ეკონომიკურმა ფორუმმა“ შეადგინა ტურისტული ბაზრის კონკურენტუნარიანობის რეიტინგი, შეფასდა 141 ქვეყანა. რეიტინგში აღნიშნულია რომ, მართალია, ევროპული რეგიონი მთლიანად ღიაა ვაჭრობისა და ადამიანების გადაადგილებისათვის (2015 წლის მოგზაურობისა და ტურიზმის დარგში მსოფლიო ლიდერია ესპანეთი – 5.5%, მას მოსდევს გერმანია – 5.2%, საფრანგეთი – 5.2%, აშშ – 5.1%, დიდი ბრიტანეთი – 5.1%, ავსტრალია – 5.0%, იტალია – 5.0%, იაპონია – 4.9%), ზოგიერთი ქვეყანა მაინც ჩამორჩენილია. ამ ქვეყანათა შორის 71-ე ადგილზეა საქართველო – 3.7% (2013 წელს საქართველოს 66-ე ადგილი ეკავა), უკრაინა 76-ე ადგილზეა (2013 – 3.98%), მოლდოვა – 111-ე ადგილზე – 3.2%. ამიტომ, კონკურენტციის პირობებში ტურისტული დარგის განვითარების ერთ-ერთი მთავარი მიმართულება გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებისათვის (საქართველო, უკრაინა) უნდა გახდეს ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვა.

ინოვაციები – ეს უბრალოდ სიახლე კი არ არის, ეს არის ამ სიახლის დანერგვა – ყველაზე მოწინავე გამოცდილების დანერგვა მართვაში, ბაზრის მოთხოვნილებების მიხედვით ტექნოლოგიების და უკანასკნელი სამეცნიერო მიღწევების დანერგვა პროდუქციის და მომსახურების გასაუმჯობესებლად. ტურიზმი კი მრავალი ქვეყნისათვის მოსახლეობის შემოსავლების ძირითად წყაროს წარმოადგენს და იკავებს მშპ-ის 50-60%. განვითარებულ ქვეყნებშიც კი ტურიზმი ეკონომიკის ერთ-ერთი წამყვანი დარგია. ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ინოვაციები ტურიზმსა და სერვისში – ეს არის უწყვეტი და აუცილებელი პროცესი, რისი არსიც მდგომარეობს ახალი მიმართულებების შემუშავებაში, ახალი ტურების და ექსკურსიების შექმნაში, ტურისტულ ბაზარზე ახალი წინადადებების წარდგენაში. ბაზარზე კონკურენტული ბრძოლის პირობებში ტურისტული კომპანიები მთელ მსოფლიოში ყველა ძალას ახმარენ კლიენტებისათვის ახალი პროდუქტის და მომსახურების შეთავაზებას კონკურენტებზე ადრე. ამასთან, ტურისტული

დარგის ინოვაციურ სფეროში საქმიანობის არეალი საკმაოდ შემოსაზღვრულია, ამიტომ ტურიზმის ნოვატორებს უხდებათ მაქსიმალურად გამოიყენონ არსებული ბუნებრივი პირობები, ღირსშესანიშნაობები, კულტურული პოტენციალი და შექმნან კომბინირებული ტურისტული პაკეტები.

2000 წლიდან მოყოლებული, გლობალური ეკონომიკა ინოვაციების წყალობით ყოველწლიურად 3.2%-ით იზრდება. მსოფლიოში წარმატებული ქვეყნების განვითარების კორპორაციათა უმეტესობამ სწორედ ინოვაციურ პროგრამებში დაბანდებული ინვესტიციებით მიაღწია განვითარების უდიდეს მასშტაბებს. ამასთან ერთად, მსოფლიო ბანკის მიერ 2013 წელს გამოქვეყნებული რეპორტის „ინოვაციების ხელშეწყობა საქართველოში“ – თანახმად, ქართული კომპანიები, რომლებიც აქტიურად გამოიყენებენ ინოვაციებს საკუთარ მოღვაწეობაში უფრო სწრაფად ვითარდებიან და 30%-ზე მეტ სამუშაო ადგილებს ქმნიან, ვიდრე არაინოვაციური კომპანიები [6].

შესაბამისად, ამ მიმართულებით, საქართველოს მთავრობის დოკუმენტში „საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია – საქართველო 2020“, პირველი საკითხი მიეძღვნა კერძო სექტორის, მათ შორის, მომსახურების სექტორის კონკურენტუნარიანობის ზრდას ინოვაციებსა და ტექნოლოგიებზე, ექსპორტის ხრდის ხელშეწყობაზე, ინფრასტრუქტურის განვითარებასა და სატრანსპორტო პოტენციალის მაქსიმალურ გამოყენებაზე. ამასთან, 2014 წელს მთავრობის დადგენილებით შეიქმნა "საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო", რომლის მიზანია საქართველოში ინოვაციური ეკოსისტემის ფორმირება, სხვადასხვა სექტორში ინოვაციების და ტექნოლოგიების გამოყენების სტიმულირება, ინოვაციური მეწარმეობის, კვლევების და გამოგონებების კომერციალიზაციის ხელშეწყობა.

საყურადღებოა, რომ საქართველოს გააჩნია მომგებიანი გეოგრაფიული და გეოპოლიტიკური მდებარეობა, აქვს მრავალფეროვანი კლიმატი, ბუნებრივ-რეკრეაციული და კულტურულ-ისტორიული რესურსები (12000-მდე ისტორიული და არქიტექტურული ძეგლი, 2400 მინერალური სამკურნალო წყარო, 150 მუზეუმი, 102 კურორტი, 19 ნაკრძალი, 7 ეროვნული პარკი და ა.შ.), დასახლებულია შრომისმოყვარე და სტუმართმოყვარე ხალხით და გააჩნია ყველაფერი აუცილებელი ტურისტული დარგის კომპლექსური და ჰარმონიული ინოვაციური განვითარებისათვის. ინოვაციები ტურიზმის სფეროში შეიძლება ჩაიდოს არა მარტო ტურისტული დარგის, არამედ მთელი ქვეყნის განუხრელი ეკონომიკური განვითარების საფუძველში, რაც გამოიწვევს მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებას. ტურისტული ბიზნესი იზიდავს არცთუ დიდი საწყისი კაპიტალის მფლობელ მეწარმეებს ამონაგების სწრაფი ტემპით, ტურისტულ მომსახურებებზე მოთხოვნილებების მუდმივი ზრდით, რენტაბელობის მაღალი დონით.

საქართველოში ტურიზმი ვითარდება მსოფლიოში მიმდინარე პროცესების, უპირველესად, გლობალიზაციის ხემოქმედებით და ზრდის ტენდენციით გამოირჩევა. საქ. ტურიზმის სტატისტიკის მონაცემებით, მაგ., 2014 წელს საქართველოს 5.516 ათასი უცხოელი ესტუმრა, რაც 2013 წელს 2,3%-ით აღემატება, ამასთან, 2014 წ. გაიზარდა ტურიზმის წილი დასაქმებაში და 11% შეადგინა, ტურიზმის სფეროში დასაქმებული იყო 85000 ადამიანი (დასაქმებულთა საერთო რაოდენობის 4,8%), ხოლო არაპირდაპირი ფაქტორების გათვალისწინებით 300500 ადამიანი (დასაქმებულთა საერთო რაოდენობის 16,9%. უშუალოდ მოგზაურობისა და ტურიზმიდან მიღებულმა შემოსავლებმა საქართველოს მშპ-ის 6% შეადგინა, ხოლო არაპირდაპირი შედეგებით – 20,0%. ამავე წელს მოგზაურობებსა და ტურიზმზე მოდის საქართველოს ინვესტიციების 3,3% [3]. ამასთან, 2014 წელს, წინა წელთან შედარებით, მომსახურების ექსპორტი გაიზარდა 1,8%-ით, ხოლო იმპორტი – 10,4%, რის შედეგადაც მომსახურების ბალანსი 2014 წელს, 2013 წელთან შედარებით, 7,7%-ით შემცირდა და 1,3 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა, რაც მშპ-ის 7,9%-ია. აქედან დადებითი სადღოთი გამოირჩევა ტურისტული მომსახურება, რომლის ბალანსი 1,51 მლრდ აშშ დოლარს შეადგენს და 2013 წელთან შედარებით 4,4 %-ით მეტია, ხოლო 2010 წელთან შედარებით 3,2-ჯერ არის გაზრდილი. 2014 წელს დადებითი ბალანსი ჰქონდა ასევე სატრანსპორტო მომსახურებას (34,4 მლნ აშშ დოლარი), კავშირგაბმულობის მომსახურებას (24,9 მლნ აშშ დოლარი) და პირად, კულტურულ და გასართობ მომსახურებას (4,5 მლნ აშშ დოლარი), ხოლო უარყოფითი სადღოთი გამოირჩეოდა – სადაზღვეო მომსახურება (121,5 მლნ აშშ დოლარი), სხვა საქმიანი მომსახურება (75,0 მლნ აშშ დოლარი), კომპიუტერული და საინფორმაციო მომსახურება (11,4 მლნ აშშ დოლარი) და ფინანსური მომსახურება (6,2 მლნ აშშ დოლარი) [4].

ცხრილი 1

**მომსახურების ბალანსი 2010-2014 წწ.
(მლნ აშშ დოლარი)**

	2010	2011	2012	2013	2014
მომსახურების ბალანსი, სულ	513.4	747.5	1,100.9	1,405.5	1,297.8
მათ შორის:					
სატრანსპორტო მომსახურება	140.9	105.2	45.9	72.7	34.4
ტურისტული მომსახურება	460.2	741.5	1,154.5	1,425.6	1,488.0
კავშირგაბმულობის მომსახურება	15.5	19.6	27.7	29.0	24.9

ფინანსური მომსახურება	2.4	-2.3	-1.3	-3.4	-6.2
კომპიუტერული და საინფორმაციო მომსახურება	0.7	-6.3	-7.9	-9.9	-11.4
სხვა საქმიანი მომსახურება	-19.0	-31.4	-18.3	-19.3	-75.0
პირადი, კულტურული და გასართობი მომსახურება	1.8	6.0	3.3	7.5	4.5
სადაზღვევო მომსახურება	-81.7	-116.3	-118.5	-104.5	-121.5


საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ 2014 წელს ტურიზმის სექტორში დამატებული ღირებულება ძირითადად შეიქმნა განთავსების საშუალებებში (ზრდა 15%) და ტრანსპორტში (საჰაერო ტრანსპორტი, ზრდა 9%, სხვა ტრანსპორტი, ზრდა 11%) (იხ. გრაფიკი 1, ცხრ. 2). 2014 წელს საერთაშორისო მოგზაურების მიერ უცხოური საგადახდო ბარათებით განხორციელებულმა ოპერაციებმა 1.14 მილიარდი ლარი შეადგინა, წინა წელთან შედარებით 1%-იანი ზრდა დაფიქსირდა (ცხრ. 3).

ცხრილი 2

ტურიზმის სფეროში შექმნილი დამატებული ღირებულება 2011-2014 (ათასი ლარი) [1]

	2011	2012	2013	2014	ცვლილება % 2013-2014
სულ	1,263,700	1,369,000	1,374,400	1,518,800	8.7%
მათ შორის					
განთავსების ობიექტები	114,200	132,400	185,000	212,400	7.6%
კვების ობიექტები	353,200	378,200	341,200	367,000	14.8%
ტრანსპორტი	444,000	442,700	356,000	387,000	10.4%
ტურისტული კომპანიები	353,500	415,700	492,200	552,400	12.2%

ტურიზმის წილი მთლიან შიდა პროდუქტში



გრაფიკი 1

ცხრილი 3

საერთაშორისო მოგზაურების მიერ უცხოური საგადახდო ბარათებით განხორციელებული ოპერაციები (ათასი ლარი) [6]

	2010	2011	2012	2013	2014
საგადახდო ბარათებით განხორციელებული ოპერაციები (ათასი ლარი)	376,878	610,109	814,297	1,128,723	1,141,310

ინოვაციური განვითარება ხანგრძლივი პროცესია. თანამედროვე, კონკურენტუნარიანი ტექნოლოგიების შექმნა, განათლების სისტემის რეფორმა და სამეცნიერო სექტორის განვითარება მიზანმიმართულ პოლიტიკასა და სტრატეგიას მოითხოვს. დღესდღეობით, საქართველოში შეზღუდული ფინანსური შესაძლებლობების პირობებში, ტურსაწარმოები ძირითად ფინანსურ რესურსებს მიმართავენ წარმოების მიმდინარე საჭიროებების დასაფინანსებლად, ვიდრე ინოვაციური პროექტების განსახორციელებლად. ამასთან ერთად, ტურსაწარმოებს აფერხებს ისიც, რომ ინოვაციების გამოყენება აუცილებლად დაკავშირებულია რისკთან, იმიტომ რომ, რაც უზრუნველად გამოიყურება ყოველთვის არ არის წარმატების მომგანი. ამიტომ ყველა საწარმოსათვის რეკომენდებულია ინოვაციის დანერგვამდე განსაზღვროს თავისი ინოვაციური პოტენციალი, გამოავლინოს თავისი უპირატესობანი.

მიუხედავად ამისა, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ტურისტულ ბაზარზე თავის დამკვიდრებისათვის საჭიროა ახალი, კონკურენტებისაგან განსხვავებული პროდუქტის წარმოდგენით მომხმარებელთა ყურადღების მიქცევა. მაშინ საქართველოში ტექნოლოგიური ინოვაციების: ტელეკომუნიკაციის, ქსელური გაერთიანებების, მონაცემთა ბაზისა და ელექტრონული მარკეტინგის დანერგვამ უნდა უზრუნველყოს ტურისტული ბიზნესის ახალი შესაძლებლობები, ვინაიდან

ტურიზმში ძირითადი ცვლილებები და ინოვაციები პირდაპირ კავშირშია საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დანერგვასა და გამოყენებასთან (information and communication technologies – ICT). საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები ხელს უწყობს ტურიზმში ქსელებისა და კლასტერების განვითარებას, რადგან მხოლოდ მათი დახმარებითაა შესაძლებელი ტურიზმის განვითარებისთვის საჭირო და მნიშვნელოვანი სივრცის გადაფარვა, ანუ ინფორმაციის მიღება და გაცემა შესაბამის დესტინაციებზე, ტრანსპორტზე, განთავსების საშუალებებზე, ქვეყნის რესურსებსა და სხვა ფორმალობებზე, ტურებსა და მომსახურების სახეებზე, ხორციელდება აქტიური კონტროლი შემოთავაზებული ტურისტული მომსახურების არსებობაზე და ა.შ.

ინოვაციები ტურისტულ დარგში, ისევე, როგორც სხვა დარგებშიც, ეფუძნება სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის მიღწევათა რეალიზაციას, მათ შორის ინტერნეტტექნოლოგიებსაც.

ტურიზმში გამოიყოფა ინოვაციების შემდეგი სახეები:

1. პროდუქტის ინოვაცია – ტურისტულ ბაზარზე ახალი პროდუქტის (ტური, მომსახურება, საქონელი) დანერგვა. მისი სიახლე თვალსაჩინო უნდა იყოს მწარმოებლის, მიმწოდებლის, მომხმარებლისა და კონკურენტებისათვის. მაგ., ბაზრისათვის ახალი მოვლენის შეთავაზება – ფესტივალი, ფორუმი, მოღებების ჩვენება, კონსტიტუირებული წარმოდგენა ან ახალი ტური – მაგ., ნაციონალური კულინარიის გასტრონომიული ტური. ბოლო წლებში ახალი სერვისების განთავსება ეკოლოგიურად სუფთა ადგილებში, ვირტუალური ტურები მუზეუმებში.

2. სასაქონლო ინოვაციები (დაპატენტებული) მაგ., მინი-წყალქვეშა ნავი ტურიზმისათვის. როგორც წესი, ეს არის წყალქვეშა საშუალება – 350კგ, რომელიც იტევს 2-4 ადამიანს. ინოვაციის აზრი იმაშია, რომ შექმნას წყალქვეშა ტურიზმის სადღური მწვავე შეგრძნებების მოყვარულთათვის.

ინოვაციურ პროდუქტად შეიძლება დავასახელოთ მობილურ ტელეფონში არსებული ელექტრონული გიდი. ეს ვირტუალური გიდი იძლევა ამომწურავ ინფორმაციას მუზეუმის, გამოფენების, პრეზენტაციების შესახებ. ექსკურსიას, ექსპოზიციების თანმიმდევრობას ტურისტი ირჩევს თავისი გემოვნებით. ამგვარი სერვისი იძლევა ინფორმაციას მსოფლიოს უამრავი ღირსშესანიშნაობების შესახებ.

3. პროცესის ინოვაციები – მნიშვნელოვნად გაუმჯობესებული ახალი ტექნიკის და ტექნოლოგიების დანერგვა მომსახურების (ან მომსახურებათა კომპლექსის) გაწვევის პროცესში. ასეთი ინოვაციები შეიძლება კომბინირებულ იქნეს პროდუქტიულ ინოვაციებთან. მაგ., დამლაგებელი რობოტები, თვალყურის კომპიუტერული სისტემები, ოტელის მართვის ინტეგრირებული სისტემები, ავიაბილეთების დაჯავშნა და შეძენის ავტომატიზებული სისტემები.

4. ინოვაციები მართვაში – ფირმის საქმიანობის ორგანიზაციის უფრო ეფექტური წესის და სტრუქტურის, თანამშრომლობის სისტემის, სამუშაო ადგილების ახალი პროფილების პროფესიული მოთხოვნების დანერგვა. მმართველობითი ინოვაციები ხშირად კომბინირდება პროცესების ინოვაციებთან. კერძოდ, Hotel Expert ოტელების დაჯავშნის სისტემის ფარგლებში.

5. ბიზნეს-მოდელის ინოვაციები – ბიზნესის წარმოების ახალი მეთოდები, რომლებიც ამაღლებს მის ფასეულობას და ღირებულებას მომხმარებლებისათვის: კლიენტსა და ფირმას შორის ურთიერთობებისადმი ახალი მიდგომების განვითარება, ასევე თვითმომსახურების მწარმოებელ ფირმებს შორის.

6. მარკეტინგული ინოვაციები – ახალი მარკეტინგული მიდგომების განვითარება, რომლებიც დაკავშირებულია ტურპროდუქტის ფასწარმოქმნის, მიწოდების, წარმართვის, ანაზღაურების სრულყოფასთან. მაგ., ავიაკომპანიების მუდმივი კლიენტებისათვის შეღავათიანი ფასების დადგენა ან სისტემა all inclusive (ჩართულია ყველაფერი). ამ სისტემის მიხედვით, ზოგიერთ ქვეყანაში მუდმივი ფრენების ხანგრძლივობა ითვლება მიღებში და გარკვეული რაოდენობის დაგროვების შემდეგ კლიენტს შუძლია უფასოდ იფრინოს ამ მიღების შესაბამისი მანძილი.

7. ინოვაციები ლოგისტიკაში – ახალი გადაწყვეტილებები მომარაგების, განაწილების, ადგილზე მიტანის (მათ შორის თვით ტურისტების) სისტემებში. ამ დარგში არცთუ დიდი ხნის წინ გაჩნდა ე.წ. აეროპორტების „ჰაბები“ (hub systems) – გადაადგილების პრინციპულად ახალი კონცეფცია.

8. ინსტიტუციური ინოვაციები – ტურიზმში, ასევე ტურისტული მომსახურების დარგებში ქმნიან რეგულირების ახალ წესებსა და სისტემებს, ქმნიან თანამშრომლობის ახალ ფორმებსა და სისტემებს ადმინისტრაციას, კერძო სექტორსა და ტურისტულ ადგილებში ადგილობრივ საზოგადოებას შორის.

9. რესურსული ინოვაციები – ახალი სახის რესურსების გამოყენება ტურიზმის ორგანიზაციებისა და ახალი ტურების და სერვისების შემუშავებისათვის. ტურიზმის სექტორი იწყებს თავის ეკონომიკაში ახალი რესურსების ჩართვას და ახალი წინადადებების შესამუშავებლად მათ გამოყენებას.

მაგ., აშშ-ში დინოზავრის ნაშთების გათხრები ჩაიღო დაინოსორის პარკის ტურისტული გეგმის საფუძველში. „ამ გეგმაში შედიოდა აგრეთვე პალეონტოლოგიური მუზეუმი და თვით გათხრების დროს ნაპოვნი სხვა საინტერესო მასალა. რუსეთში, ევენკეთში შექმნილია მუზეუმი ღია ცის ქვეშ, რომელიც ეძღვნება ტუნგუსის მეტეორიტის ჩამოვარდნას. არის ასევე „ლეონიდ კულიკის ბილიკი“, რომელიც XX ს-ის 20-იან წლებში გაიარა ამ მეტეორის პირველმა მკვლევარმა ლ. კუ-

ლიკმა ჭაობების, ტაიგის ურთულეს პირობებში და მივიდა სოფ. ვანავარამდე, სადაც უშუალოდ ჩამოვარდა ეს უზარმაზარი კოსმოსური სხეული.

დღევანდელ პირობებში აქტიურად მუშავდება მარშრუტები ეკოლოგიურად სუფთა ბუნებრივი პირობების საფუძველზე. ეს არის სხვადასხვა სახის მიმართულებები: აგროტურიზმი, სოფლის ტურიზმი, ეკოტურიზმი და სხვ.

9. კონცეპტუალური ინოვაციები – ტურიზმის, ტურისტული მომსახურების ახალი კონცეფციების შექმნა და მათი რეალიზაცია მომსახურების ახალი ფორმატით, ახალი არქიტექტურულ-საინჟინრო და ტექნოლოგიური გადაწყვეტილებებით, რაც უზრუნველყოფს ტურისტების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას.

პროცესული, ანუ ტექნოლოგიური ინოვაცია კი გულისხმობს სრულიად ახალი, ან არსებითად გაუმჯობესებული წარმოების მეთოდების შექმნასა და პრაქტიკულ გამოყენებას, რასაც ფირმის საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლება და ხარჯების შემცირება მოსდევს შედეგად. მსგავსი ტექნოლოგიის შექმნისა და გამოყენების აუცილებლობა შეიძლება გამოიწვიოს აგრეთვე ისეთი პროდუქტული ინოვაციების დანერგვის საჭიროებამ, რომლის განხორციელება ტრადიციული ტექნოლოგიით შეუძლებელია. როგორც წესი, ტექნოლოგიურ ინოვაციებს საფუძველად უდევს ახალი ფუნდამენტური სამეცნიერო აღმოჩენები და გამოგონებანი, რომლებიც პროდუქტის წარმოების პრინციპს არსებითად ცვლიან. **ტურიზმის ტექნოლოგიური ინოვაციების ჯგუფი** მოიცავს ინოვაციურ ტურისტულ მომსახურებას, რომელიც უზრუნველყოფილია ახალი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, კომპიუტერული (საინფორმაციო) ახალი ტექნოლოგიების დანერგვით ბრონირების სისტემაში, სასტუმროებისა და ავიაბილეთების დაჯავშნის მექანიზმების გაუმჯობესებას, ტურისტების მომსახურების ტექნოლოგიების ეკოლოგიზაციას, გადაადგილების სატრანსპორტო საშუალებების გაუმჯობესებას, მომსახურების ხარისხის ამაღლებას, მგზავრობის ფასების შემცირებას და ა.შ., რაც განპირობებულია მასსოვრობის უზარმაზარი მოცულობის კომპიუტერების შექმნით, ოპტიკურ-ბოჭკოვანი კავშირგაბმულობის არხების გაჩენით, გრაფიკული ინტერფეისისანი და ექსპლუატაციაში საკმაოდ მარტივი მრავალფუნქციური პროგრამული უზრუნველყოფით, ლოკალური კომპიუტერული ქსელებით და, ბოლოს, გლობალური კომპიუტერული ქსელის – ინტერნეტის გაჩენით. ამან განაპირობა მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში ინფორმაციის გადაცემისა და დამუშავების დროის მინიმუმამდე დაყვანა, ეკონომიკური პროცესების მნიშვნელოვანი ინტენსიფიკაცია და ადამიანური ფაქტორის როლის გაძლიერება.

ქვეყნები, რომლებსაც გააჩნია კარგად განვითარებული საბაზრო და ტურისტული ინფრასტრუქტურა, ინოვაციურ ტექნოლოგიებს იყენებენ: ცალკეული ობიექტებისადმი ინტერნეტის გასაძლიერებლად, ახალი ტურისტების მოსაზიდად, მათი კომფორტის დონის ასამაღლებლად, მომსახურების ექსკლუზიური პირობების შესაქმნელად. აქვე აღსანიშნავია, რომ საქართველოსთვისაც ინოვაციური ტექნოლოგიები მნიშვნელოვანია ტურისტულ დარგში მიმდინარე პროცესების გადაჭრის პოზიციებიდან (სერვისის დონის ამაღლება, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფა, კულტურის ძეგლების შენარჩუნება და სხვ.).

ინოვაციური ტექნოლოგიების სახეები ერთმანეთისგან განსხვავდება: სიახლის მიხედვით; შინაარსის მიხედვით; წარმოშობის მიხედვით და პოტენციალის მიხედვით.

ინოვაციური ტექნოლოგიები ტურისტულმა ფირმებმა შეიძლება გამოიყენონ:

1. სარეკლამო ღონისძიებების ჩასატარებლად;
2. მომხმარებლების ინფორმირება სიახლეებისა და აქციების შესახებ;
3. ტურისტებისათვის ფირმის შესახებ დადებითი იმიჯის ფორმირებისათვის;
4. ახალი სახეობის ტურისტული სერვისებისა და მიმართულებების (მაგ., მსოფლიოს ინტერნეტმუზეუმების დათვალიერება) წამოწევა.

კერძოდ, უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო დროს გაცვლევა პოვა და მეტად საინტერესო გახდა ბევრი მიზნობრივი ჯგუფისათვის, მაგ. ინტერაქტიული და ვირტუალური მუზეუმების შექმნა, ასევე QR-კოდების გამოყენება ჩვეულებრივ მუზეუმებში – ეს არის სპეციალური დამლა მოზიდული მოწყობილობებით სკანირების შემთხვევაში, რაც მათ აძლევთ საშუალებას, მიიღონ დამატებითი ინფორმაცია ექსპონატის შესახებ.

ტურისტულ სფეროში ინოვაციური საქმიანობის სხვა წარმატებული მაგალითია თანამედროვე მაღალტექნოლოგიური კომპლექსების შექმნა, მაგ., 3D – პლანეტარიუმები ჩეხეთის ქ. პლზენში. ამ უჩვეულო ობიექტების გახსნით ტურისტული ნაკადი ქალაქში თითქმის 10%-ით გაიზარდა.

ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენების შემდეგი მიმართულებაა ერთდროულად ტურისტული ფირმის, დამზღვევის, სატრანსპორტო კომპანიის, საექსკურსო ბიუროს, ოტელის, კვების ობიექტების ძალისხმევითა გაერთიანება. რაც საშუალებას აძლევს მომხმარებელს, ინტერნეტის მეშვეობით აირჩიოს სერვისები, ხოლო მონაწილეებს – შექმნან კონკურენტუნარიანი სასაქონლო, ინვესტიციური და საგამსაღებლო პოლიტიკა.

ტურისტულ დარგში სასტუმრო-სარესტორნო ბიზნესის ორგანიზებისათვის ერთდროულად გამოყენებული საინფორმაციო ტექნოლოგიები ჩვენი აზრით, უკეთესია მივაკუთნოთ ორგანიზაციულმმართველობით ფორმას.

ბოლო წლებში სასტუმრო ბიზნესის ორგანიზებისას გავრცელდა ე.წ. „ჭკვიანი სახლის“ ტექნოლოგიების გამოყენება, რაც უზრუნველყოფს ყველა არსებული რესურსის (წყალი, ელექტროენერგია, თბოენერგია და სხვ.) უფრო რაციონალურ გამოყენებას. ყველასთვის ცნობილია, რომ სწორედ სასტუმროები წარმოადგენს ამ რესურსების ერთ-ერთ უმსხვილეს მომხმარებელს (აქცენტი კეთდება წყლის გამოყენების ეკონომიაზე, ენერგოეფექტურობაზე, მასალები ეკონომიაზე და ა.შ.). 2010 წელს აშშ-ში პირველად ჩატარდა კონკურსი აღნიშნული მაჩვენებლების მიხედვით (U.S. Green Building და ASID-ის მიერ). ამგვარი ტექნოლოგია საშუალებას იძლევა, გაიზარდოს სასტუმრო ბიზნესის მართვის ეფექტიანობა და წარმადობა. ქმნის ასევე წინაპირობას მისი კონკურენტუნარიანობისათვის და, ასევე, გაერთიანების უსაფრთხოების, კომფორტის და ტექნიკური შესაძლებლობების.

შემდეგი მიმართულებები – ეს არის სასტუმროებსა და რესტორნებში უსფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით საინჟინრო ინფრასტრუქტურის, სასაწყობო მეურნეობის და ა.შ. მართვისათვის თანამედროვე ავტომატიზებული სისტემების გამოყენება, რაც საშუალებას იძლევა არა მარტო მოწესრიგდეს მართვის პროცესი, არამედ რაციონალურად იქნეს გამოყენებული ყველა არსებული რესურსი.

შემდეგი ტექნოლოგია – სხვადასხვა ოტელებში ადგილების დასაბრუნად ტერმინალების გამოყენება. ელექტრონული ბრონირების და ტურების შედგენის პროგრამების დანერგვა საშუალებას აძლევს ტურისტულ ფირმებს, დაზოგონ ბიუჯეტის მნიშვნელოვანი ნაწილი ხელფასის ფონდის ზომის შემცირების, საგზურის შედგენის და ადგილების დაჯავშნის შრომატევადობის შემცირების ხარჯზე. ასევე გამოთავისუფლდება პირობითად თანამშრომელთა რაოდენობა, ანუ ფირმას შეუძლია თავს უფლება მისცეს, შეამციროს შტატი და გაზარდოს დარჩენილი თანამშრომლების შრომის ნაყოფიერება.

საქართველოში ინოვაციების განვითარების მხრივ საკმაოდ არასახარბიელო ვითარებაა და დღევანდელი მდგომარეობით, ქვეყანაში დაბალია როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო სექტორის დანახარჯები კვლევასა და განვითარებაზე, რაც ასახულია სხვადასხვა საერთაშორისო შეფასებასა და რეიტინგში და კონკურენტუნარიანობის შეფასების 119 კრიტერიუმში 12 თემატურ ჯგუფშია გადანაწილებული. აღნიშნული ჯგუფების მიხედვით, საქართველოს ყველაზე კარგი პოზიცია შრომის ბაზრის ეფექტიანობაში აქვს – მსოფლიოში 41-ე ადგილს იკავებს. ხოლო ყველაზე დაბალ პოზიციაზე (121-ე ადგილი) ინოვაციების კუთხით არის (იხ. ცხრ. 4).

ცხრილი 4

საქართველოს პოზიცია კრიტერიუმების მიხედვით[1]

კრიტერიუმები ჯგუფების მიხედვით	პოზიცია მსოფლიოში	ქულა (მაქსიმუმი 7)
საბაზისო მოთხოვნები	48	4.9
ინსტიტუტები	48	4.2
ინფრასტრუქტურა	59	4.3
მაკროეკონომიკური გარემო	48	5.1
ჯანმრთელობა და დაწყებითი განათლება	63	5.8
ეფექტიანობის მასტიმულირებელი	79	3.9
უმაღლესი განათლება და ტრენინგები	92	3.9
საქონლის ბაზრის ეფექტიანობა	60	4.4
შრომის ბაზრის ეფექტიანობა	41	4.5
ფინანსური ბაზრის განვითარება	76	3.9
ტექნოლოგიური მზად ყოფნა	67	3.8
ბაზრის ზომა	103	3.0
ინოვაციები და სოფისტიკაციის ფაქტორები	118	3.1
ბიზნესის სოფისტიკაცია	113	3.5
ინოვაციები	121	2.7

მიუხედავად ამისა, ტურიზმის სფეროში, სტატისტიკაზე დაყრდნობით, განთავსების საშუალებებსა და ტრანსპორტზე ზრდა სწორედ ინოვაციური ტექნოლოგიების ფართო დანერგვამ განაპირობა, რაც გამოიხატება შემდეგი მდღევებით, მაგ., ინტერნეტი, ელფოსტა, სოციალური ქსელები Facebook, Twitter და ა.შ., დაჯავშნის გლობალური ელექტრონული, ონლაინსისტემების დანერგვით. დაჯავშნის გლობალური სისტემები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან მომსახურების ნაკრებით და მუშაობის ტექნოლოგიით. ამჟამად ფართოდ გამოიყენება დაჯავშნის 4 გლობალური სისტემა: Amadeus, Galileo, Worldspan, Sabre. ამ სისტემებს იყენებს 800 ათასზე მეტი ტურისტული სააგენტო. ტურისტული მომსახურების (მათ შორის სასტუმროების, კრუიზების, ავტომობილების) დასაჯავშნად ინტერნეტის გამოყენებამ გააადვილა მომხმარებლის მონაცემთა ბაზების მართვა და

თითოეულ მათგანთან კომუნიკაცია. დღეს ყველა სასტუმრო ცდილობს მომხმარებლების მოზიდვას საკუთარი ვებგვერდის საშუალებით, შუამავლების გვერდის ავლით, მაგ. „მერიტის“ სასტუმროთა ქსელის ვებგვერდზე დიდი ასოებით აწერია, რომ მომხმარებელს არ სჭირდება სასტუმროს სხვაგან ძებნა, რადგან კომპანია ყველაზე დაბალი ფასების გარანტიას იძლევა. ყველა სხვა ლიდერი სასტუმროს ვებგვერდზე უკვე გაჩნდა ოთახის დაჯავშნის მარტივი გზები. მაგრამ, სამწუხაროდ, ბევრი რიგითი სასტუმროს საკუთარი ვებგვერდი ხშირად ნაკლებად ინფორმაციული, ძნელად საპოვნელი ან გაუპართავია.

პატარა სასტუმროებისთვის ინტერნეტშუამავლების გამოყენება ძალზე მიმზიდველი და საჭიროა, რომელთაც ბრენდის არც მაღალი ცნობადობის დონე გააჩნიათ და არც მისი შენების ამბიცია. ამგვარი ორგანიზაციებისთვის შუამავლები გაყიდვების ზრდის საუკეთესო საშუალებაა. თუმცა, სულ მალე ისინიც მივლენ იმ დასკვნამდე, რომ გაყიდვების ოპერაციების გარეთ გატანა მნიშვნელოვნად ზღუდავს საკუთარი შესაძლებლობების გამოყენებას.

ინტერნეტის პოპულარიზაციამ კიდევ ერთი ტენდენცია გამოკვეთა. დღეისთვის, ინფორმირებულობის მაღალი დონის გამო, მნიშვნელოვნად გაიზარდა მომხმარებლის არჩევანი. სასტუმროებს შორის კონკურენციის გამძაფრებასთან ერთად, ის უფრო მომთხოვნი და მგრძობიარე გახდა მიწოდებული ფასულობის მიმართ. მომხმარებელზე ორიენტირებულ სასტუმროთა უმრავლესობა გამოსავალს საკუთარი ბრენდის შენებასა და მასში ინოვაციური ელემენტების ჩადებით ცდილობს.

ახალი ინოვაციები, შესაძლებლობების ზრდასთან ერთად, მნიშვნელოვნად ართულებს სასტუმროების მდგომარეობას. კონკურენცია კიდევ უფრო მძაფრდება და აუცილებელი ხდება გაუმჯობესების გზების მოძიება. ტარიფის მიმართ მგრძობიარეობის ზრდის პირობებში, თითქმის ყოველი გაუმჯობესება მოგების მარჯის შემცირების ხარჯზე ხდება. თუმცა, ეფექტიანი მართვისა და გაუმჯობესებული მარკეტინგული სტრატეგიების საშუალებით, ამგვარ მკაცრ პირობებშიც შეიძლება წარმატების მიღწევა სხვადასხვა მომსახურებისა და გასართობი პროგრამების მიზანდასახულად შეთავაზების გზით.

საქართველოსთვის შემდგომი ინფორმაციის ძირითადი წყაროების: ინტერნეტის, ტურისტული სააგენტოების, სარეკლამო სააგენტოების და ბიუროების, საინფორმაციო სააგენტოების მაქსიმალურად ათვისება და ინფორმაციული დატვირთვა სასტუმროთა წარმატებული კომუნიკაციისთვის აუცილებელია. ტურსაგენტოს სტატისტიკის თანახმად ტურიზმის ინდუსტრიაში ასევე უდიდესი მოგება მოიტანა სატრანსპორტო სექტორში ავიაბილეთების ონლაინგაყიდვამ. ბოლო წლებში ტუროპერატორების ვებსაიტებზე გაყიდვების მოცულობა 65%-ით გაიზარდა. 2014წ. ვიზიტორთა უმეტესობა საქართველოში საავტომობილო ტრანსპორტითა და საჰაერო გზით შემოვიდა (12%). საქართველოში ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მიერ განხორციელებული სხვა აქტივობები მოიცავს საინფორმაციო მცდელობებს სარეკლამო კამპანიებს შიდა და საერთაშორისო ბაზრებზე, პრეს და გაცნობითი ტურების ორგანიზებას, საერთაშორისო გამოფენა-ბაზრებში მონაწილეობის მიღებას, ბეჭდური მასალის გავრცელებას და სხვა.

ტექნოლოგიების არნახულმა განვითარებამ, შიდა და საერთაშორისო კონკურენციამ, ახალი ტურისტული პროდუქტისა და გასაღების ახალი ბაზრების გაჩენამ შეცვალა ტურისტული საწარმოების სტრატეგიები, რომლებიც ასევე მოითხოვენ ინფორმაციასა და კომუნიკაციებს, მათი დამაკმაყოფილებელ დონეზე მიწოდებისა და მოხმარების კოორდინირებისათვის და წარმოაჩინა ახალი მიდგომა კადრებისა და პერსონალის მართვის თვალსაზრისით, მომხმარებელთა ნდობის მოსაპოვებლად, რაც გამოიხატება მდგრადი კმაყოფილების მიღწევაში, მომსახურების მაღალ ხარისხში, შეთავაზებული მომსახურების მოქნილობასა და ინდივიდუალობაში და ა.შ. ტურისტული სააგენტოს მონაცემებით, 2015 წელს ტურიზმის ინდუსტრიის 1100 წარმომადგენელმა საქართველოს 15 ქალაქში გადამზადების კურსები გაიარა. თუმცა ზოგადად ქვეყანაში ტურისტული მომსახურების დაბალი დონეა და არ შეესაბამება მისი ხარისხი მის მაღალ ფასს. ასევე არ არის დადგენილი მომსახურების დონის სტანდარტები და, რეალურად, ამ სექტორში მაღალი დონის მომსახურების გაწევის გამოცდილება არ არსებობს (თუ არ ჩავთვლით რამდენიმე წამყვან სასტუმროს).

კადრების მართვის ეფექტიანი სტრატეგიის ჩამოსაყალიბებლად, მომსახურე პერსონალის სწავლების, მოტივირების ქმედით საშუალებათა შემუშავების და კლიენტთა მომსახურებაში თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვისათვის აუცილებელია ტურიზმის განვითარების სტრატეგია ორიენტირებული იყოს განათლების სისტემის, სახელმწიფო რეგულირებასა და ინოვაციების ხელშეწყობაზე. მოწინავე ეროვნული სამეცნიერო პოლიტიკა, ცოდნა, მოსახლეობის განათლება, მომუშავეთა მაღალი კვალიფიკაცია, საბაზრო და სახელმწიფო რეგულირების მექანიზმების შერწყმა, მოწინავე ინოვაციური ტექნოლოგიების ფართო გამოყენება, საშუალებას მისცემს ჩვენს ქვეყანას, რომ მსოფლიო ბაზარზე მყარი პოზიციები დაიკავოს. ამჟამად საქართველო, გარკვეულ საზღვრებში, კონკურენტუნარიანია მსოფლიო ტურისტულ ბაზარზე, ანუ მაკროდონეზე ტურპროდუქტის ექსპორტით. ასეთი კონკურენტუნარიანობა ნაკლებად გამძლე და არასტაბილურია. პოზიციების გასამყარებლად და შემდგომში განსავითარებლად საჭიროა, პირველ რიგში, სახელმწიფოს გააჩნდეს სპეციალური პროგრამები მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისა

და ქართული ტურიზმის ინოვაციური განვითარებისათვის, კვლევისა და წინსვლისათვის საჭირო ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება და მათი კომერციალიზაციის ხელშეწყობა, ინოვაციისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის განვითარება, ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვის გაძლიერება, ტურიზმის დარგში საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მაქსიმალურად ფართოდ გამოყენების ხელშეწყობით. ასევე, აუცილებელია, შეიქმნას სპეციალიზებული ტურიზმის სასწავლო ცენტრები, სადაც ტურიზმის სფეროში დაკავებული ნებისმიერი პერსონალი ვალდებული იქნება, გაიაროს ტრენინგები კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით. საჭიროა ასევე ტურიზმის ახალი საინფორმაციო ცენტრების გახსნა, მცირე ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება, სახელმძღვანელოების გამოცემა და ტურისტულად მიმზიდველ ქალაქებსა და დაბებში საინფორმაციო-საორიენტაციო რუკებისა და სამეწოფანი საინფორმაციო დაფების დადგმა.

დასასრულ, აღსანიშნავია, რომ ტურისტულ სფეროში ინოვაციური ტექნოლოგიები თანამედროვეობის მოთხოვნაა, რაც საშუალებას იძლევა არა მარტო ამაღლდეს მომსახურებათა ხარისხი, არამედ რაციონალურად იქნეს გამოყენებული ყველა არსებული რესურსი როგორც ტურისტების, ასევე ტურისტული ბიზნესის მფლობელებისათვის. სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის განვითარების პარალელურად განვითარდება ინოვაციური ტექნოლოგიები ტურიზმში, რაც ახალ შესაძლებლობებს ხსნის ინოვაციებისათვის და ტურიზმს ხელმისაწვდომს გახდის მოსახლეობის სხვადასხვა კატეგორიებისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს ტურიზმის სტატისტიკის მიმოხილვა 2014.
2. <http://forbes.ge/news/453/saqarTvelos-ekonomikis-konkurentunarianoba>
3. საქართველოს ეროვნული ბანკი, 2015.
4. საქართველოს საგადასხდელო ბალანსი, 2014.
5. ქველადე ქ., ინოვაციების პოლიტიკა ტურიზმის განვითარებაში, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი, პრ. გ. პაპავას დაბადებიდან 90-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის შრომების კრებული, პოსტკომუნისტური ქვეყნების ეკონომიკების აქტუალური პრობლემები თანამედროვე ეტაპზე, თბილისი, 2013.
6. ქ. ქველადე, საქართველოს ტურისტული ინოვაციური პოტენციალი, თსუ პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული ტ. VII, თბილისი 2014, თსუ პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა.
6. <http://gita.gov.ge/ge/agency/about-gita>
7. Всемирный экономический форум: Рейтинг стран мира по уровню конкурентоспособности путешествий и туризма в 2015 году - See more at: <http://geopolitics.by/news/vsemirnyy-ekonomicheskii-forum-reyting-stran-mira-po-urovnyu-konkurentosposobnosti-puteshestviy#sthash.phwyzgcC.dpuf>.
8. სააგენტოს შესახებ - GITA - საქართველოს ინოვაციების და ...gita.gov.ge/ge/agency/about-gita
9. ინოვაციური პოლიტიკა, როგორც თანამედროვე ბიზნესი, atsu.edu.ge/EJournal/BLSS/eJournal/Papers/.../GavtadzeGeorge.pdf
10. BLSS - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, atsu.edu.ge/EJournal/BLSS/eJournal/Geo/Tourism/95.html
11. ბიზნესი: ადამიანები, მეთოდები, სტრატეგიები, №7 (ოქტომბერი, 2007) www.nplg.gov.ge/.../library.exe?...
13. Глава 11. инновации в сфере туризма studok.net>...turistskoj...ga...innovacii-v...turizma.html
14. Инновационные технологии в туризме | Туристический... tourfaq.net>travel-business/innovacionnye...turizme/

Ketevan Kveladze

INNOVATIVE TECHNOLOGIES AND DEVELOPMENT PERSPECTIVES IN TOURISM SECTOR OF GEORGIA Annotation

The development of tourism sector in Georgia depends on the elaboration and implementation of innovative technologies necessary to provide the client's service and enlarge tourism service possibilities. The article discusses those main directions of tourism innovations and innovative technologies, with which in case of development support.

Georgia will be able to present to world tourism market high competitive tourist product and service. Is also discussed some aspects and development perspectives of innovative technological development of Georgia.

**ინოვაციური ეკონომიკის სტატისტიკურ მაჩვენებელთა სისტემის
სრულყოფის შესახებ საქართველოში**

საყოველთაოდ ცნობილია პოსტინდუსტრიული ეპოქის პირობებში ინოვაციების როლი ქვეყნის ეკონომიკური აღმავლობის საქმეში. თუმცა, სამწუხაროდ უნდა ითქვას, რომ დამოუკიდებელი საქართველოს ეკონომიკური რეფორმების არც ერთ ეტაპზე ინოვაციებს არ შეუსრულებია გადამწყვეტი როლი ეკონომიკის აღმავლობაში და არც ინოვაციური ეკონომიკის როლი ყოფილა სათანადოდ შეფასებული. დამაიმედებელია ის გარემოება, რომ ამჟამად ეს როლი ეკონომიკური რეფორმების ჯგუფის მიერ გათვითცნობიერებულია და, შესაბამისად, სწორი აქცენტები არის გაკეთებული იმ მიზეზებზეც რაც, საქართველოში წარმოებული პროდუქციის დაბალ კონკურენტუნარიანობასა და, საქართველოს საქსპორტო პოტენციალის დაბალ დონეს განაპირობებს. საქართველო მსოფლიო ბაზარს ჯერჯერობით ვერ სთავაზობს ახალი, ინოვაციური სახეობის პროდუქციის ფართო ასორტიმენტსა და მომსახურების სახეობებს, ვერ ახდენს ტრადიციული პროდუქციის გასატანად ახალი ბაზრების ათვისებას და ვერ პოულობს კუთვნილ ნიშას ბაზრის შესაბამის სეგმენტებზე.

სახელმწიფო ინოვაციური პოლიტიკის, ისევე, როგორც საერთოდ ეკონომიკური პოლიტიკის, ფორმირებაში გადამწყვეტი როლი ენიჭება ადეკვატურ სტატისტიკურ მაჩვენებელთა სისტემის ჩამოყალიბებასა და ინფორმაციული უზრუნველყოფის საკითხებს. ამჟამად, ეკონომიკურ ლიტერატურაში შემოთავაზებული მაჩვენებელთა სისტემა მოიცავს ინოვაციური ეკონომიკის განვითარების ამსახველ ინდიკატორთა წრეს, როგორცაა [3, გვ. 54-70]:

❖ ეკონომიკის ინოვაციურ სექტორში როგორც სახელმწიფო, ისე კერძო სტრუქტურების მიერ განხორციელებული ინვესტიციების – ვენჩურული კაპიტალის ხვედრითი წილი ქვეყნის ინვესტიციების საერთო მოცულობაში;

❖ ინოვაციურ საქმიანობაზე როგორც სახელმწიფო, ისე კერძო და კორპორაციული სექტორების მიერ გაწეული დანახარჯების ხვედრითი წილი ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტსა (მშპ) და მთლიან ეროვნულ პროდუქტში (მეპ);

❖ ქვეყნის ინტელექტუალურ სექტორში (განათლება, მეცნიერება – ფუნდამენტური და გამოყენებითი მეცნიერული კვლევები, საცდელ-საკონსტრუქტორო დამუშავებები, სიახლეთა ათვისება და სერიული გამოშვება) წლის განმავლობაში გაწეული დანახარჯების ხვედრითი წილი სახელმწიფოს საერთო დანახარჯებში;

❖ ინოვაციური ეკონომიკის პროდუქციის (აღმოჩენები, გამოგონებები, უახლესი ტექნოლოგიები, საცდელი ნიმუშები, ახალი სახეობის საქონელი და მომსახურება და ა.შ.) ხვედრითი წილი ქვეყნის მშპ-ში;

❖ ეკონომიკის ინოვაციურ სექტორში დასაქმებულთა ხვედრითი წილი ქვეყნის დასაქმებულთა საერთო რიცხოვნობაში;

❖ ამ სფეროში მომუშავეთა პროფესიულ-კვალიფიციური შემადგენლობა;

❖ მეცნიერული კვლევებისა და საცდელ-საკონსტრუქტორო დამუშავებების (მკსდ) სფეროში ინვესტიციების, დანახარჯებისა და მომუშავეთა, ასევე წარმოებული პროდუქციის ხვედრითი წილი;

❖ კორპორაციული /აქციონერული კაპიტალის ხვედრითი წილი მკსდ-ებში;

❖ მეცნიერულ კვლევებსა და მკსდ-ებზე გაწეული დანახარჯების სტრუქტურა მეცნიერული კვლევა-ძიების ფორმების (ფუნდამენტური კვლევა, ძიებითი კვლევა, გამოყენებითი კვლევა, დამუშავებები) მიხედვით;

❖ მეცნიერული გამოკვლევების საერთო რიცხოვნობაში საერთაშორისო მნიშვნელობის (ე.წ. იმპაქტ-ფაქტორების სტატუსის მქონე ჟურნალებსა და სხვა ავტორიტეტულ გამოცემებში დაბეჭდილი) ნაშრომების ხვედრითი წილი;

❖ ეკონომიკის მაღალტექნოლოგიური, მეცნიერებატევადი დარგების (სამხედრო და ავიაკოსმოსური მრეწველობა, ხელსაწყოთმშენებლობა, ტელეკომუნიკაციები და ელექტრონული კომპონენტების წარმოება, უახლესი თაობის კომპიუტერების წარმოება, ფარმაცევტული მრეწველობა და სხვა) პროდუქციის ხვედრითი წილი მშპ-ში;

❖ კორპორაციებს, ვენჩურულ ფორმებს, მეცნიერულ კვლევითი ინსტიტუტებსა და უნივერსიტეტებს შორის საქმიანობის კოორდინაციის დონე;

❖ საგამომგონებლო ინოვაციური საქმიანობის შედეგების, პატენტებისა და ნოუ ჰაუს ქვეყნებს შორის გაცვლა;

❖ მეცნიერ მუშაკთა და მაღალკვალიფიციურ სპეციალისტთა მიგრაციის დონე – “ტვინების გადინება”;

❖ ინტერნეტითა და პერსონალური კომპიუტერებით მოსარგებლე პირთა ხვედრითი წილი მოსახლეობის საერთო რიცხოვნობაში;

❖ მაღალი ტექნოლოგიების სფეროში ახალ დამუშავებათა და გამოგონებათა შედეგების დაპატენტების მდგომარეობა;

❖ ცოდნაზე გაზრდილი მოთხოვნის მქონე საბაზრო მომსახურების ხვედრითი წილი მშპ-ში და სხვა;

აღსანიშნავია, რომ ზემოთ ჩამოთვლილი ინდიკატორების მხოლოდ მცირე ნაწილი არის მოქცეული სტატისტიკური დაკვირვების ქვეშ, რაც არ იძლევა ქვეყანაში ინოვაციური სექტორის განვითარების ადეკვატური შეფასების საშუალებას. განსაკუთრებით ეს ეხება ფინანსურ მაჩვენებლებს.

ინოვაციური ეკონომიკის დაფინანსების, ისევე, როგორც საერთოდ ინოვაციური პოლიტიკის რეგულირების, ორი ძირითადი მეთოდი არის ცნობილი. ესენია პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდები. პირდაპირი დაფინანსების მეთოდებს მიეკუთვნება ინოვაციური დონისძიებების დასაფინანსებლად უშუალოდ ფულადი სახსრების გამოყოფა. არაპირდაპირი ფორმა კი გულისხმობს შეღავათების სისტემას, რომლებიც საბოლოო ანგარიშით მატერიალური თვალსაზრისით, დადებითად აისახება ინოვაციურ საქმიანობაზე. შესაბამისად, სტატისტიკურ მაჩვენებელთა სისტემის მეშვეობით უნდა აისახოს დაფინანსების ყველა ის ფორმები და ფინანსური სახსრები, რაც ქვეყანაში მიმართულ იქნა ცენტრალური და ადგილობრივი (რეგიონული) ბიუჯეტების, არასაბიუჯეტო (ბიუჯეტგარეშე) ფონდების სახსრების, ფირმების (საწარმოების, გაერთიანებების, კოოპერატივების და ა.შ.) საკუთარი საშუალებების, ხელშეკრულების საფუძველზე შესრულებული სამუშაოებიდან მიღებული შემოსავლების, ადგილობრივი და უცხოელი ბიზნესმენების მიერ განხორციელებული სპეციალური ინოვაციური ინვესტიციების, სახელმწიფო შეკვეთების, სპეციალური ფონდების, კრედიტის (მათ შორის უცხოური), გრანტების, საქველმოქმედო შენატანებისა და სხვა წყაროების (მაგ., სადაზღვევო ფონდები, ვენჩურული ფონდები და ა.შ.) სახით.

სტატისტიკურ მაჩვენებელთა სისტემამ უნდა ასახოს ქვეყანაში ინოვაციურ პროდუქციაზე არსებული საგადასახადო შეღავათები და დათმობები, საგადასახადო კრედიტი, საკრედიტო შეღავათები (საწარმოებისათვის, რომლებიც ინოვაციურ დამუშავებათა პოტენციური მომხმარებლები არიან), სპეციალური სამეცნიერო მოწყობილობებისა და სტენდების ლიზინგის, საბაჟო შეღავათების, საამორტიზაციო შეღავათების, ხელშეკრულებებისა და ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის ფინანსური სანქციების ამსახველი სტატისტიკური ინფორმაცია.

ინოვაციური სექტორის ფინანსური ხარჯების მოცულობა უნდა დადგინდეს როგორც დაფინანსების წყაროების მიხედვით, აგრეთვე შესწავლილი უნდა იქნეს მათი განაწილება ადგილობრივ და ცენტრალურ ხელისუფლებას შორის. აუცილებელია ინოვაციური საქმიანობის დაფინანსების მაჩვენებლების დამუშავება მართვის იერარქიული დონეების/წყაროების მიხედვით ისეთ დონეებზე, როგორიცაა: სახელმწიფო, რეგიონული, დარგობრივი და ინსტიტუციური.

ქვეყანაში არ არის სათანადოდ შეფასებული სტატისტიკურ მაჩვენებელთა ისეთი წრე, როგორიცაა სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების წარმართვასა და წარმოებაში დანერგვაზე დანახარჯების მოცულობა სამეცნიერო კვლევის ეტაპების მიხედვით; ყურადღების მიღმა არის დარჩენილი მეცნიერების საქარხნო სექტორის ხვედრითი წილი ინოვაციების დაფინანსებაში; სახელმწიფოს მიერ ე. წ. “START UP” პროგრამებზე გაცემული დაფინანსების, აგრეთვე დაფინანსების ისეთი წყაროების შესახებ, როგორიცაა სახელმწიფო და უცხოური გრანტები, შემოწირულობები, კრედიტი, საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის პროგრამებში მონაწილეობიდან მიღებული დაფინანსების ოდენობა და სხვა; არაინ იცის ქვეყანაში რა მოცულობის ფინანსური სახსრები იხარჯება მეცნიერებაზე დაფინანსების ძირითადი წყაროების მიხედვით და რა არის მისი უკუგება, რაც სპეციალურად ორგანიზებული სტატისტიკური კვლევის საგანს წარმოადგენს; არ არის შეფასებული მეცნიერების სხვადასხვა სექტორების ხვედრითი წილი; უნდა შეფასდეს, რა როლს ასრულებს მეცნიერების საუნივერსიტეტო სექტორი ინოვაციების განვითარებაში; ყურადღებას მოითხოვს ახალი ინოვაციური სტრუქტურების – ტექნოპარკების, ბიზნესინკუბატორების, საკონსულტაციო-სამეცნიერო ცენტრებისა და სხვა სახის ორგანიზაციული წარმონაქმნების ამსახველი სტატისტიკურ კვლევის ინსტრუმენტარის შემუშავება.

შეფასებას მოითხოვს, როგორია ინოვაციური ტექნიკის იმპორტირების მაჩვენებლები (მათ შორის დარგობრივ ჭრილში), საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროში დასაქმებულთა ხვედრითი წილი ან მცირე ბიზნესის როლი ინოვაციური ეკონომიკის განვითარებაში, მცირე ბიზნესის ინოვაციური სამეწარმეო პროგრამების და სახელმწიფო პროგრამების დაფინანსების მდგომარეობა, რათა საზოგადოებისათვის ცნობილი გახდეს ეკონომიკის ინოვაციურ სექტორში გატარებული რეფორმის შედეგები. აუცილებელია ძირითადი ფონდების მორალური და ფიზიკური ცვეთის მაჩვენებლების, გამოყენებული ძირითადი საშუალებების აღდგენითი ღირებულების განსაზღვრა, რისთვისაც საჭიროა ქვეყანაში ჩატარდეს ძირითადი ფონდების აღწერა. ინოვაციური ეკონომიკის განვითარების ადეკვატური შეფასება მოითხოვს ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიების ხვედრითი წილის, ასევე მათი მორალური და ფიზიკური ცვეთის, მანქანა-მოწყობილობათა ტექნიკური პარკის ასაკობრივი სტრუქტურის შესახებ სტატისტიკური მონაცემების მოპოვებასა და დამუშავებას, რათა შეფასდეს ქვეყნის ინოვაციურ სექტორში არსებული მდგომარეობა.

არ არის სრულყოფილი სამეცნიერო კადრების სტატისტიკური აღრიცხვის სისტემა. კერძოდ, არ არის სტატისტიკურად დათვლილი საზღვარგარეთ მომზადებული დოქტორანტებისა და

მაგისტრანტების, ასევე დოქტორისა და მაგისტრის ხარისხის მქონე მეცნიერთა რაოდენობა, რომელთაც ხარისხი მოიპოვეს საზღვარგარეთ. არ არის შეფასებული ინოვაციური ეკონომიკის განვითარების ისეთი მნიშვნელოვანი მაჩვენებლის რაოდენობრივი მახასიათებლები, როგორცაა ცოდნის ექსპორტი (იგულისხმება ქვეყნის შიგნით მომზადებული უცხოელი სტუდენტების რაოდენობა) და მისი წილი მთლიან შიდა პროდუქტში.

მოსაგვარებელია ინოვაციების სფეროში საერთაშორისო ეკონომიკური თანამშრომლობის ამსახველი სტატისტიკური ინფორმაციის მოპოვება/ დაქვეყნებისა და პუბლიკაციის საკითხები. სრულყოფას მოითხოვს განათლების ინდიკატორთა სისტემა, რომელშიც განათლების დაფინანსების წყაროებთან ერთად უნდა იქნეს ჩართული როგორც სტუდენტურ ვალზე (სტუდენტურ სესხებზე) ხელმისაწვდომობის, ასევე მოსწავლეთა განთესვის მაჩვენებლები განათლების საფეხურების მიხედვით, უწყვეტი განათლების მიღების – კვალიფიკაციის ამაღლების, კადრების მომზადებისა და გადამზადების მდგომარეობის ამსახველი მაჩვენებლები.

რასაკვირველია, გარდამავალი პერიოდის ეკონომიკური განვითარების დაბალი ტემპების პირობებში საქართველოს მეცნიერებაში არსებული ჩაფარდნები ინოვაციური ეკონომიკის განვითარების განსაკუთრებით დაბალ ტემპებსა და აღნიშნული მაჩვენებლების სიმწირეს განაპირობებს, თუმცა გასათვალისწინებელია სამომავლო პერსპექტივები, რაც ადეკვატური ცვლილებების შეტანას მოითხოვს სტატისტიკური აღრიცხვის სადღეისოდ მოქმედ სისტემაში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს სტატისტიკური წელიწადი. სტატისტიკური კრებული. საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი. თბილისი (ქართულ და ინგლისურ ენებზე), 2014.
2. განათლება, მეცნიერება და კულტურა საქართველოში. სტატისტიკური კრებული. საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის გამომცემლობა (ქართულ და ინგლისურ ენებზე) თბილისი სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი, 2005.
3. ლეო ჩიქავა, ინოვაციური ეკონომიკა. საგამომცემლო ფირმა “სიახლე“. თბილისი, 2006. გვ. 54-70.
4. Handbook of the Economics of Innovation. Volume 1. Edited by Bronwyn H. Hall. University of California, Berkeley, California, USA University of Maastricht, Maastricht, The Netherlands and Nathan Rosenberg, Stanford University, Stanford, California, USA. - 2010

Elene Chikovani

CONCERNING THE WAYS OF IMPROVEMENT OF STATISTICAL INDICATORS OF THE INNOVATIONAL ECONOMY IN GEORGIA

Annotation

The article is dedicated to the existed challenges in the innovation economy statistical data collection, data processing and dissemination systems of Georgia. Existing gaps and shortcomings of statistical system of the innovational economy by the concrete directions of statistics are characterized. On the bases of critical evaluation of the existing situation the ways of improvement of statistical indicators of the innovation economy are given.

დევი შონია

ეკონომიკის ინოვაციური აქტიურობის მაჩვენებლები პოლონეთსა და საქართველოში

ტრანსფორმაციული გარდაქმნების დასაწყისიდან, პოლონეთისა და საქართველოს ეკონომიკას განსხვავებული სტრუქტურები, გეოპოლიტიკური მდგომარეობა და პოლიტიკური სიტუმა გააჩნდა. შესაბამისად, ხანგრძლივი დროის განმავლობაში ეს ქვეყნები განსხვავებული გზებით ვითარდებოდა. საქართველოსათვის მნიშვნელოვანია ის გზები, რომლითაც „ახალი ევროპის“ ქვეყნებმა და მათ შორის პოლონეთმა განვითარების დღევანდელ სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას მიაღწია.

ევროპაში პოლონეთის ეკონომიკა იყო ერთადერთი, რომელიც უკანასკნელი ეკონომიკური კრიზისის პერიოდშიც კი განაგრძობდა ზრდას და 2011-2013 წლებში მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის მაჩვენებლით მსოფლიოში ლიდერ ქვეყანას წარმოადგენდა. მან ერთ-ერთი ყველაზე მაღალი ზრდის ტემპების დემონსტრირება მოახდინა ევროკავშირის ქვეყნებს შორის⁵⁵. 2010 წელს პოლონეთის მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდამ შეადგინა 1,7%, 2011 წელს – 3,8%, 2012 წელს – 4,2%, რაც მეორე საუკეთესო შედეგი იყო ევროკავშირში მაღტისა და უნგრეთის შემდეგ, 2013 წელს – 1,7%, 2014 წელს – 3,3%, 2015 წელს კი 3,2%. მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობით პოლონეთს 2015 წელს მსოფლიოში 25-ე⁵⁶ ადგილი უკავია.

⁵⁵ [http://www.lisboncouncil.net/growth/documents/LISBON_COUNCIL_Economic_Growth_in_the_EU%20\(1\).pdf](http://www.lisboncouncil.net/growth/documents/LISBON_COUNCIL_Economic_Growth_in_the_EU%20(1).pdf)

⁵⁶ <http://knoema.com/nwnfkne/world-gdp-ranking-2015-data-and-charts>

World Development Indicators 2015-ის მონაცემებით⁵⁷, 2013 წელს პოლონეთის ეკონომიკას თავისი მთლიანი ეროვნული შემოსავლებით მსოფლიოში 21-ე ადგილი ეკავა. 2016 წელს პოლონეთის მშპ უნდა გაიზარდოს 3,4%-ით⁵⁸. საკონსულტაციო კომპანიის Ernst & Young-ისა და კვლევითი ინსტიტუტის Oxford Economics⁵⁹ ეკონომისტებმა პოლონეთის რესპუბლიკა შეიყვანეს მსოფლიოს სწრაფად მზარდ 25 ბაზარს შორის, რომლებსაც უახლოესი 10 წლის განმავლობაში მნიშვნელოვანი ზეგავლენა ექნება მსოფლიო ეკონომიკაზე.

პოლონეთის ეკონომიკის უმნიშვნელოვანესი თავისებურება ისაა რომ, გლობალური სტაგნაციების მიუხედავად, მისი მთლიანი შიდა პროდუქტი მყარად იზრდება. სწორედ ეს მომენტი უნდა იყოს საინტერესო დღეს საქართველოსა და ინტეგრაციის ევროპული ორიენტაციის მქონე სხვა ქვეყნებისათვის.

სხვადასხვა ექსპერტ-ეკონომისტების აზრით, პოლონეთის ეკონომიკის უწყვეტი ზრდა – ეს არის საბაზრო ეკონომიკაზე წარმატებული გადასვლის, ევროკავშირში შესვლის, ქვეყანაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მნიშვნელოვანი შემოდინების და მთავრობის ჭკვიანური ეკონომიკური პოლიტიკის შედეგი. ზოგიერთის აზრით კი, ეს წარმატება გარკვეულწილად უკავშირდება ქვეყნის ეკონომიკური სტრუქტურების კონსერვატიულობას, ეკონომიკაში მცირე და საშუალო ბიზნესის მაღალ ხვედრით წილს (თითქმის ნახევარი) და ფინანსური მომსახურების შედარებით დაბალ დონეს. ეკონომიკის სიმყარეს და მის თავისებურ ხასიათს ექსპერტები ასევე ხსნიან პოლონელი მეწარმეებისა და მომხმარებლების ძალიან ფრთხილი ქცევით, რაც იმაში გამოიხატება, რომ ქვეყანაში მცირე და საშუალო ბიზნესისა და შინამეურნეობების დავალიანების მანევრებლები ყველაზე დაბალია ევროპაში.

პოლონეთი წარმოადგენს შუა და აღმოსავლეთ ევროპის დიდ სამომხმარებლო ბაზარს, რომლის შიდა მოხმარება მუდმივად იზრდება. აქედან გამომდინარე, მისი ეკონომიკა ნაკლებად არის დამოკიდებული ექსპორტის მანევრებლების შემცირებაზე. მეზობელი ქვეყნებისა და ევროკავშირის სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებით, პოლონეთის მთლიანი შიდა პროდუქტის დინამიკაში საგარეო მოთხოვნები ნაკლებ როლს თამაშობს. შესაბამისად, პოლონეთი გამოირჩევა მსოფლიო ბაზარზე ნაკლებად დამოკიდებულებით. პოლონეთის საექსპორტო კვოტა (საქონლის ექსპორტის თანაფარდობა მშპ-სთან) 40%-ს⁶⁰ ცოტათი აღემატება, რაც ერთ-ერთი ყველაზე დაბალი მანევრებელია ევროპაში. 2010 წელს პოლონეთის შიდა მოხმარება გაიზარდა 2%-ით, 2011 წელს 3,3%-ით, 2012 წელს 3,2%-ით, 2013 წელს 3,5%-ით, 2014 წელს კი 4%-ით.

2013-2014 წლების ევროკომისიის მოხსენებებში⁶¹ მკაფიოდ იყო ხაზგასმული ის რომ, მიუხედავად ნეგატიური საგარეო ფაქტორებისა, პოლონეთის ეკონომიკის ზრდა მაღალ დონეზე რჩებოდა შიდა მოხმარების შედეგად. მოთხოვნის დაბალი დონე ევროზონაში და რუსეთ-უკრაინის კონფლიქტი პოლონეთის ეკონომიკისათვის იქნებოდა ნაკლებად მნიშვნელოვანი ფაქტორი.

პოლონეთის გამოცდილება ჩვენი ქვეყნისათვის საინტერესოა იმ კუთხითაც, რომ ის გარკვეულწილად ანგრევს მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ ევროკავშირში შესვლა ავტომატურად გამოიწვევს სავაჭრო ურთიერთობების გაცივებას აღმოსავლეთის ქვეყნებთან. პირიქით, პოლონეთმა, დინამიური ცვლილებების მიუხედავად, ევროკავშირთან შეერთების შემდეგაც შეინარჩუნა და მნიშვნელოვნად გაზარდა ამ რეგიონში ექსპორტის მოცულობა, მათ შორის რუსეთშიც. პირველ რიგში ეს გამოიწვია პოლონეთის ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის მნიშვნელოვანმა ამაღლებამ. თუ 2004 წელს აღმოსავლეთის ქვეყნების წილი პოლონური საქონლის ექსპორტსა და იმპორტში შეადგენდა 7,0 და 9,9%-ს (შესაბამისად რუსეთზე მოდიოდა 1,7% და 2,1%), უკვე 2013 წელს ეს წილი გაიზარდა 10,0 და 16,3%-მდე (შესაბამისად გაიზარდა რუსეთის წილიც 5,4%-მდე და 14,3%-მდე).

2015 წელს პოლონეთის საგარეო სავაჭრო ბრუნვის მცულობა 2014 წელთან შედარებით კიდევ გაიზარდა: ექსპორტი 7,8%-ით, ხოლო იმპორტი 3,9%-ით⁶². შესამჩნევია პოლონეთის ეკონომიკურ ზრდაზე ევროკავშირის მთავარი, წამყვანი ბაზრების (პირველ რიგში მეზობელი გერმანიის) ზეგავლენაც. 2013 წლიდან პოლონეთის მთავარ სავაჭრო პარტნიორებად (პოლონეთის ექსპორტში 74,8% და იმპორტში 58,1%) დარჩნენ ევროკავშირის წევრი ქვეყნები, მათ შორის – გერმანია (25,0% და 21,5%), იტალია (4,3% და 5,2%), საფრანგეთი (5,6% და 3,8%), დიდი ბრიტანეთი (6,5% და 2,6%), ჩეხეთი (6,2% და 3,7%). უკანასკნელ წლებში იზრდება პოლონეთის იმპორტსა და ექსპორტში აზიური ქვეყნების, პირველ რიგში ჩინეთის წილიც (იმპორტში – 9,4% და ექსპორტში 1,0%).

ექსპორტის მოცულობით პოლონეთს დღემდე ერთ-ერთი მოწინავე პოზიცია უკავია მსოფლიოში. მრავალი ათეული წელია, რაც ის აგრძელებს მნიშვნელოვანი პოზიციების შენარჩუნებას სამთო მომპოვებელ მრეწველობაში, კერძოდ ქვანახშირის, მურა ნახშირის, ბუნებრივი გოგირდის მოპოვებაში. უკანასკნელ წლებში ქვეყანაში სწრაფად ვითარდება გადამამუშავებელი მრეწველობის

⁵⁷ <http://www.uis.unesco.org/Library/Documents/world-development-indicators-education-2015-en.pdf>

⁵⁸ http://ec.europa.eu/economy_finance/publications/european_economy/2015/pdf/ee1_en.pdf

⁵⁹ <http://www.herc.ox.ac.uk>

⁶⁰ <http://stat.gov.pl/en/topics/prices-trade/trade/domestic-deliveries-and-consumption-of-selected-consumer-goods-per-capita-in-2013,9,3.html?pdf=1>

⁶¹ http://ec.europa.eu/enlargement/pdf/key_documents/2013/package/mn_rapport_2013.pdf

⁶² <http://stat.gov.pl/en/search/search.html>

მთელი რიგი დარგები, მათ შორის მანქანათმშენებლობის კომპლექსი. პოლონეთს მოწინავე ადგილი უკავია ევროპაში სპილენძის, ფოლადის, მუყაოსა და ქაღალდის წარმოებაში. მოწინავე პოზიციებს იკავებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებაშიც. კერძოდ ჭვავის, კარტოფილის, შაქრის ჭარხლის მოყვანაში. მეღორეობაში მას მე-4 ადგილი უკავია ევროპაში. აღსანიშნავია ისიც, რომ დღეისათვის პოლონეთის ეკონომიკაში სწრაფი ტემპებით კლებულობს მომპოვებელი მრეწველობის ხვედრითი წილი⁶³.

მყარი ეკონომიკური პოლიტიკის შედეგად (ევროკავშირის ათასობით პროექტი ითვლება ერთ-ერთ ყველაზე სტაბილურ და უსაფრთხო პროექტებად მსოფლიოში), ქვეყანაში მუდმივად იზრდება უცხოური ინვესტიციების შემოდინება (2007-2013 წლებში პოლონეთმა მიიღო თითქმის 68 მლრდ ევრო, ანუ 270 მლრდ-ზე მეტი ზლოტი), რაც მნიშვნელოვნად აწვავს მის ეკონომიკას დღემდე. როგორც წვერი ქვეყანა, პოლონეთი ასევე დებულობს პირდაპირ დოტაციებს ევროკავშირის ბიუჯეტიდან, რომელიც ძირითადად ორი პრიორიტეტული მიმართულების – გათანაბრებისა და სოფლის მეურნეობის განვითარების პოლიტიკის მხარდასაჭერად მოედინება. სახსრების მნიშვნელოვან ნაწილს ევროკავშირი მიმართავს პოლონეთის ინფრასტრუქტურის მოდერნიზაციისაკენ. ამ ინვესტიციების წყალობით პოლონეთმა შეძლო, გაეზარდა ეკონომიკის კონკურენტუნარიანობა და ექსპორტი, შეენარჩუნებინა ეკონომიკის ზრდა: საქონლისა და მომსახურების ექსპორტი 2008 წელთან შედარებით უკვე 2013 წელს გაიზარდა 1,6-ჯერ, რამაც იმპორტის ზრდის მაჩვენებელს 1,5-ჯერ გადააჭარბა.

დღეს პოლონეთი ბევრი ეკონომიკური მაჩვენებლით ჩამორჩება ევროკავშირის უმრავლეს ქვეყანას, თუმცა ეკონომიკაში მიღწეული სწორედ ეს წარმატებები ეხმარება მას საკუთარი ძალებით სხვადასხვა გამოწვევების გადალახვაში. 2012 და 2013 წლების საერთაშორისო ეკონომიკური ფორუმის (WEF)⁶⁴ გლობალური კონკურენტუნარიანობის რეიტინგში, პოლონეთი დარჩა 41-ე ადგილზე. ის ჩამორჩა ჩეხეთსა და პანამას, მაგრამ გაუსწრო თურქეთსა და იტალიას.

The Global Innovation Index 2015⁶⁵-ის მონაცემებით, პოლონეთი ბიზნესის კეთების სიმარტივის რეიტინგში (Ease of doing business rank) მსოფლიოს 189 ქვეყნიდან 32-ე ადგილი უკავია, ხოლო საქართველოს მე-15. შესაბამისად, ბიზნესის დაწყების სიმარტივის მიხედვით (Starting a business) მას 85-ე, ხოლო საქართველოს მე-5 ადგილი უკავია. ამ რეიტინგის მიხედვით, პოლონეთის ეკონომიკის სუსტ მხარეებად კვლავ რჩება ელექტროენერჯის ხელმისაწვდომობა (Getting electricity) 64-ე ადგილი, საქართველო – 37-ე ადგილი, ქონების რეგისტრაცია (Registering property) 39-ე ადგილი, საქართველოს პირველი ადგილი. პოლონეთისათვის სუსტ მხარეებად ითვლება ასევე სამეწარმეო საქმიანობის დაწყების არახელსაყრელი პირობები, რთული საგადასახადო სისტემა, ინფრასტრუქტურა და ეკონომიკის ინოვაციურობის მაჩვენებლები.

The Global Innovation index 2015⁶⁶ -ის მონაცემების შესაბამისად, ინოვაციური აქტიურობის მიხედვით, 100 ქულიანი შეფასებიდან პოლონეთს 40,16 ქულით მსოფლიოში 46-ე ადგილი, ხოლო საქართველოს 33,83 ქულით 73-ე ადგილი უკავია. მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის The Global Competitiveness Report 2014-2015⁶⁷-ის მონაცემებით, გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის მიხედვით პოლონეთმა მსოფლიოს 144 ქვეყნიდან 43-ე ადგილი, ხოლო საქართველომ 69-ე ადგილი დაიკავა. საქართველოსა და პოლონეთის ეკონომიკების კონკურენტუნარიანობის ძირითად მაჩვენებლებს გვიჩვენებს ცხრილი 1⁶⁸.

ცხრილი 1

საქართველო და პოლონეთი: გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსები 2014–2015 წწ-ის (Global Competitiveness Index) მონაცემების მიხედვით

ქვეყანა / ეკონომიკა	საერთო ინდექსი		სუბ ინდექსები					
			საბაზო მოთხოვნები		ეფექტიანობის გამაძლიერებლები		ინოვაციისა და სიჯანსაღის ფაქტორები	
	ადგილი	ქულა	ადგილი	ქულა	ადგილი	ქულა	ადგილი	ქულა
პოლონეთი	43	4.48	55	4.80	32	4.64	63	3.66
საქართველო	69	4.22	48	4.88	79	3.92	118	3.1

ინოვაციებსა და ზუსტ ფაქტორებში საქართველოსა და პოლონეთის 2012-2013, 2013-2014 და 2014-2015 წლების გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსების მაჩვენებლების შედარებით დაინახავთ, რომ საქართველო თითქმის ორჯერ ჩამორჩება პოლონეთს ინოვაციისა და სიჯანსაღის ფაქტორებში, ასევე ბიზნესის სიჯანსაღეში.

⁶³ <http://stat.gov.pl/en/search/search.html>

⁶⁴ file:///C:/Users/devi/Desktop/WEF_GlobalCompetitivenessReport_2012-13.pdf

⁶⁵ <https://www.globalinnovationindex.org/userfiles/file/reportpdf/GII-2015-v5.pdf>

⁶⁶ <https://www.globalinnovationindex.org/userfiles/file/reportpdf/GII-2015-v5.pdf>

⁶⁷ http://www3.weforum.org/docs/WEF_GlobalCompetitivenessReport_2014-15.pdf

⁶⁸ ცხრილები შედგენილია ავტორის მიერ

ეკონომიკის მოდერნიზაციასა და ინოვაციების დანერგვასთან დაკავშირებული საქმიანობის შედეგების მონიტორინგისა და შეფასებისათვის აუცილებელია მიზნობრივი ღირებულებების განსაზღვრა მკაფიოდ გამოხატული კრიტერიუმებითა და ინდიკატორებით, რაც ამ საქმიანობის უკეთესად შეფასების შესაძლებლობას იძლევა. ამ მიმართულებით არსებობს სხვადასხვა მიდგომები და პრიორიტეტები, თუმცა ასევე მეტად მნიშვნელოვანია მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის ანგარიშებში ეკონომიკის ინოვაციურობის მიმართულებით გამოყოფილი ინდექსები და პარამეტრები. 2014 და 2015 წლების საქართველოსა და პოლონეთის ეკონომიკების ინოვაციური აქტიურობების ამ პარამეტრების შედარებით ჩვენ დავინახავთ, რომ საქართველოს მნიშვნელოვანი ჩამორჩენები აქვს პოლონეთთან შედარებით თითქმის ყველა მიმართულებით (ცხრ. 2)

ცხრილი 2

საქართველოსა და პოლონეთის ეკონომიკების ინოვაციურობის პარამეტრები 2014 და 2015 წწ Global Competitiveness Index. მონაცემების მიხედვით

ქვეყანა/ ინოვაციურობის მაჩვენებლები	პოლონეთი		საქართველო	
	შეფ.	აღგ.	შეფ.	აღგ.
- ინოვაციის პოტენციალი	3.8	67	3.3	110
- სამეც. კვლევითი ინსტიტუტების ხარისხი	3.9	63	2.8	119
- კომპანიის ხარჯები კვლევებსა და განვითარებაზე	2.8	98	2.4	126
- უნივერსიტეტებისა და წარმოების თანამშრომლობა კვლევებსა და განვითარებაზე	3.5	73	2.6	128
- მეცნიერებისა და ინჟინრების კვალიფიკაცია	3.2	89	3.5	69

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის 2014 და 2015 წლების ანგარიშებში (Global Competitiveness Index) გამოყოფილი ეკონომიკის ინოვაციურობის ძირითადი საბაზისო და ეფექტიანობის გამაძლიერებელი ფაქტორების შედარებით კი ვიღებთ შემდეგ სურათს იხ. ცხრილი 3.

ცხრილი 3

პოლონეთისა და საქართველოს ეკონომიკის ინოვაციურობის ძირითადი საბაზისო და ეფექტიანობის გამაძლიერებელი ფაქტორები (Global Competitiveness Index) 2014-2015-ის მონაცემების მიხედვით

ქვეყანა/ეკონომიკა	პოლონეთი		საქართველო	
	აღგ.	მაჩვ.	აღგ.	მაჩვ.
საერთო				
ძირითადი მოთხოვნები	55	4.80	48	4.88
-ინსტიტუტები	56	4.02	48	4.21
-ინფრასტრუქტურა	63	4.24	59	4.31
-მაკროეკონომიკური გარემო	63	4.77	48	5.14
-ჯანდაცვა და დაწესებულებების განათლება	39	6.17	63	5.84
ეფექტიანობის გამაძლიერებლები	32	4.64	79	3.92
-უმადლესი განათლება და ტრენინგები	34	5.04	92	3.89
-სასაქონლო ბაზრის ეფექტიანობა	51	4.49	60	4.40
-შრომის ბაზრის ეფექტიანობა	79	4.14	41	4.49
-ფინანსური ბაზრის განვითარება	35	4.60	76	3.90
-ტექნოლოგიური მზადყოფნა	48	4.47	67	3.85
-ბაზრის ტევადობა	19	5.12	103	2.98

ცხრილიდან ჩანს, რომ საქართველო, ისეთ ფაქტორებში, როგორცაა ინსტიტუტები, ინფრასტრუქტურა და მაკროეკონომიკური ფაქტორები – ფლობს უმნიშვნელოვანეს უპირატესობებს და მთლიანობაში საბაზისო მოთხოვნებში უსწრებს კიდევაც პოლონეთს, თუმცა ეფექტიანობის გამაძლიერებელ ფაქტორებში მას აქვს ჩამორჩენები.

ამა თუ იმ ქვეყნის ეკონომიკის ინოვაციურ აქტიურობას სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციები ხშირად სხვადასხვანაირად აღიქვამენ, თუმცა საქართველოსთან მიმართებაში ბოლო წლებში ყველგან გაესვა ხაზი ქვეყნის მიღწევებს ბიზნესის კეთების სიმარტივეში და ინვესტორების „დაცვის“ მაღალ მაჩვენებლებს, რითაც საქართველო წინ უსწრებს მსოფლიოს ბევრ მსხვილ განვითარებულ ქვეყანას. ეს ფაქტორები საწარმოო პროცესს ხდის მიმზიდველს, მაგრამ ქვეყანას აქვს სხვა მნიშვნელოვანი პრობლემებიც, კერძოდ: ინოვაციურობის სიმცირე, სამწარმოო უნარებისა და განათლების დაბალი დონე, ფინანსებზე დაბალი ხელმისაწვდომობა, ტექნოლოგიები და ა. შ., რაც მსოფლიო არენაზე ანელებს საქართველოს ეკონომიკის ტრანსფორმაციის პროცესს.

INDICES OF INNOVATIVE ACTIVITY OF ECONOMY IN POLAND AND GEORGIA

Annotation

Transition of developed countries to a new technological mode and development of different dynamic processes on the world market significantly change approaches of the countries towards innovative activities

Main source of creating wealthy in modern postindustrial countries is innovations, accordingly innovative activities and development are considered as innovative economics.

As a result of current processes it becomes necessary to form effective innovative system of the country, make analyses of innovative activities and determination of their own place among the economies of other countries.

Our aim is to show economic innovative activities in dynamics for last years of Poland - as the EU Member State and Georgia – as developing country on the basis of study and analyses of existed statistical data (correlation of research and development expenditures to GDP, basic indices of scientific-technical sphere, main factors blocking innovative development of economics and their relationship to investment climate), to evaluate received results and make appropriate conclusions.

There are various opinions and assumptions in a definite part of society and experts – economists of Georgia on different vectors of economic benefits of the integration and possible danger, which very often lack the real facts. In this context, for the purpose of more reliability and credibility, it will be interesting to make comparative analysis of its economic situation and innovative activity towards Poland, which has already become a member of the EU and gives the best example to illustrate European integration policy.

გიორგი ხარშილაძე

**საინოვაციო მდგომარეობა საქართველოში:
არსებული ვითარება, ანალიზი და პერსპექტივა**

საინოვაციო სისტემის განვითარება დასავლეთის მაღალგანვითარებულ ქვეყნებში საინოვაციო პოლიტიკის საფუძველზე ხორციელდება. საქართველოსთვის ეს ფაქტი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იქონის ევროინტეგრაციასთან დაკავშირებით, რადგან ევროპაში ეკონომიკური ზრდა, სოციალური პრობლემების გადაჭრა, სიღარიბის დაძლევა, დასაქმება და რეგიონების ჩამორჩენის აღმოფხვრა, ძირითადად, საინოვაციო პოლიტიკის გატარებითაა უზრუნველყოფილი. ამჟამად, მსოფლიოში ინოვაციურ-ტექნოლოგიური განვითარების პრიორიტეტულ მიმართულებებად ითვლება ინფორმაციული, გარემოსდაცვითი, სამედიცინო ტექნოლოგიები, ბიოტექნოლოგიები, ენერჯის ალტერნატიულ წყაროებთან დაკავშირებული ტექნოლოგიები და ზოგიერთი სხვა.

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ პერიოდში საქართველოში მოქმედი ხელისუფლებების დამოკიდებულება ინოვაციების მიმართ სხვადასხვა იყო. არც ერთი ხელისუფლება არ იხილავდა მას პრიორიტეტულ მიმართულებად. გარკვეულმა ფინანსურმა სიძნელეებმა, სათანადო გარანტიების არარსებობამ და განვითარების არასტაბილურმა ტემპმა კიდევ უფრო შეამცირა ინოვაციებისადმი ინტერესი და მისი თანდათანობითი შეკვეცა, შემცირება. გამოიწვია და ეს მაშინ, როდესაც ინოვაციური საქმიანობის გააქტიურება წარმოადგენს იმ ძირითად მიმართულებას, რომლის ეფექტიანი განხორციელება განაპირობებს ეკონომიკური და სოციალური პრობლემების გადაწყვეტის ქმედით მექანიზმს, უზრუნველყოფს ქვეყნის ეკონომიკურ წინსვლას და, რაც მთავარია, ბაზრის გაჯერებას კონკურენტუნარიანი პროდუქციით.

ქვეყნის ინოვაციური განვითარების მიმართ ხელისუფლების ინტერესი 2012 წლის შემდეგ გაიზარდა. ამ მიმართულებით რამდენიმე ქმედითი ნაბიჯიც კი გადაიდგა. ხელისუფლების ინიციატივით დაიწყო მსჯელობა განათლებისა და სამეცნიერო სისტემის სრულყოფაზე, მთავრობის დადგენილებით 2014 წელს შეიქმნა ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო. ხელისუფლება უკვე ახორციელებს ცალკეულ დონისიბებებს იმ სფეროებში, რომლებიც საინოვაციო პოლიტიკის ჩამონათვალშია. 2016 წელს გაიხსნა პირველი ტექნოპარკი, რომლის ტერიტორიაზე განლაგებულია მცირე ინკუბატორები, სასწავლო ცენტრები და ლაბორატორიები, აგრეთვე საერთაშორისო მაღალტექნოლოგიური კომპანიების ტრენინგცენტრები და შოურუმები, მაღალტექნოლოგიური ინკუბატორი, სამრეწველო ინოვაციების უნივერსალური ლაბორატორია და co-working ცენტრი. თუმცა ინოვაციების და ტექნოლოგიების თვალსაზრისით მრავალი პრობლემა დღემდე გადაუჭრელია.

საქართველოში ნებისმიერი დარგის პრობლემა დაკავშირებულია ფინანსების უკმარისობასთან. წარმოების მოცულობის შემცირების და საბიუჯეტო სახსრების დეფიციტის პირობებში შეუძლებელი ხდება გარკვეული სახსრების გამოყოფა ინოვაციური საქმიანობისთვის. არსებობს დარგები (მსუბუქი მრეწველობა, საშენ მასალათა, ხის დამამუშავებელი მრეწველობა), რომლებიც ინოვაციური აქტივობის დაბალი დონით გამოირჩევიან. ისინი ძირითადად ორიენტირებულნი არიან შიდა ბაზრის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე. ადგილობრივი პროდუქციის დაბალი კონკურენტუნარიანობის გამო (ძირითადად იმპორტულ საქონელთან შედარებით), მეტად დაბალია მათი

წარმოების, ტექნიკური გადაიარაღებისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დონე. ყოველივე ეს ცუდად აისახება ადგილობრივი პროდუქციის ხარისხსა და წარმოების ეფექტიანობაზე.

მიუხედავად არსებული მიმე მდგომარეობისა, ინოვაციურად აქტიურ საწარმოებში გამოკვეთილია ინოვაციების ორგვარი სტრატეგია. პირველი, როდესაც საწარმო თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით ცდილობს წარმოების განახლებას, ხოლო მეორე სტრატეგია გამომდინარეობს იმ ფაქტიდან, რომ საწარმო საკუთარი ინოვაციების ხარჯზე ახდენს არა ახალი, ტექნოლოგიურად შედარებით სრულყოფილი პროდუქციის ათვისებას, არამედ, არსებული ტექნოლოგიების გამოყენებით ითვისებს ახალ პროდუქციას [2:332¹⁶]. ამასთან, უნდა გამოვყოთ ის გარემოება, რომ დღეს მოქმედი საწარმოების დიდი ნაწილი არ ატარებს საკუთარ ინოვაციურ გამოკვლევებს, ხოლო ინოვაციების ის ნაწილი, რომელიც დაკავშირებულია თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებასთან ან არსებულის სრულყოფასთან, მას ინოვაციურად აქტიური საწარმოების მხოლოდ მცირე ნაწილი იყენებს.

მთლიანობაში პრობლემის არსი გამომდინარეობს იმ ფაქტიდან, რომ ინოვაციური პროდუქციის წარმოება ჩამორჩება ბაზრის ფორმირების ძირითად პროცესს და მოთხოვნას, ხოლო შექმნილი პროდუქცია ნაკლებად არის ორიენტირებული კომერციული ხასიათის პროდუქციად გარდაქმნაზე; არ არის გადაწყვეტილი სამართლებრივი და ორგანიზაციული ხასიათის პრობლემა, რაც გამოსახატულებას პოულობს ინტელექტუალური საკუთრების დაცვასა და მის გადაცემაში, ლიცენზირებასა და სერტიფიცირების სფეროებში და ა.შ.

საქართველოში ძალზე ცუდად არის განვითარებული ინოვაციური ინფრასტრუქტურა, რაც უზრუნველყოფილია სპეციალური ტიპის რეჟიმებში. ამ უკანასკნელში კი უნდა ვიგულისხმოთ რისკების დაზღვევა, ვენჩერული ფონდები, ლიზინგური კომპანიები, ანუ ისეთი ტიპის პირობები, რომელთა გარეშე წარმოდგენილია ინოვაციური საქმიანობის შემდგომი გაუმჯობესება.

ინოვაციების თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა ენიჭება მცირე საწარმოებს. განვითარებულ ქვეყნებში მათზე მოდის ინოვაციების რეალიზების ნახევარზე მეტი. უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ მცირე საწარმოები გაცილებით სწრაფად ნერგავენ ინოვაციებს, ვიდრე მსხვილი საწარმოები. სამწუხაროდ, საქართველოში რეალობა საპირისპიროა. ქვეყანაში არსებული მცირე საწარმოების მხილოდ მცირე ნაწილი ეწევა ინოვაციურ საქმიანობას. მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოებაც, რომ მცირე საწარმოები შეზღუდულია ფულად სახსრებში, რის გამოც ვერ ხერხდება თანხების დაბანდება თანამედროვე ტექნოლოგიებში, მარკეტინგში და სხვა.

საზოგადოდ ცნობილია ინოვაციური სტრატეგიის სამი ძირითადი მიმართულება:

- **“გადმოტანის”** სტრატეგია, რომელიც გულისხმობს ახალი კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოებას თანამედროვე მაღალეფექტიანი ტექნოლოგიების საზღვარგარეთიდან შექმნის გზით;
- **“დასესხების”** სტრატეგია – ისეთი ინოვაციური პროდუქციის წარმოება, რომელიც მანამდე იწარმოებოდა მაღალგანვითარებულ ქვეყნებში, წარმოების ათვისება საკუთარი ინოვაციური პოტენციალის გამოყენებით;
- **“გაძლიერების”** სტრატეგია – ახალი კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოების ათვისება ახალი ან უახლესი ტექნოლოგიების პოტენციალის და საერთაშორისო გამოცდილების გამოყენებით [2: 332¹⁸].

ზემოხსენებული სტრატეგიებიდან ოპტიმალური სტრატეგიის არჩევა დამოკიდებულია ქვეყნების სასტატო პირობებზე. კერძოდ, უნდა გავითვალისწინოთ რამდენიმე გარემოება. მათ შორის მთავარი არის ის, რომ ჯერჯერობით არ არსებობს ინოვაციური ინფრასტრუქტურა, საწარმოებს გააჩნიათ მწირი ფინანსური რესურსები, დაბალია პროდუქციის კონკურენტუნარიანობა, რაც ძირითადად განპირობებულია საწარმოების დაბალი ტექნოლოგიური დონით და ძალზე მცირე და სუსტია მცირე ინოვაციური საწარმოები. ყოველივე ამის და არსებული შეზღუდული რესურსების გათვალისწინებით საქართველოსთვის შედარებით ოპტიმალურ გზას წარმოადგენს “დასესხების” სტრატეგია, რომელიც შედარებით ნაკლებ ფინანსურ დანახარჯებს მოითხოვს და, ამავე დროს, საკუთარი მეცნიერულ-ტექნოლოგიური პოტენციალის გამოყენებას ეყრდნობა [2:332¹⁹].

საქართველოში საინოვაციო საქმიანობის ხელშემწყობი რამდენიმე ძირითადი პრიორიტეტი უნდა გამოვყოთ. პირველ რიგში აღსანიშნავია მეწარმეობის განვითარება, შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის ფორმირება და საინოვაციო ინფრასტრუქტურის განვითარება. რაც შეეხება პრიორიტეტული სფეროებს, ასეთებად შეიძლება მივიჩნიოთ ინფორმაციული ტექნოლოგიების, სამედიცინო ბიოტექნოლოგიების არატრადიციული ენერგეტიკული ტექნოლოგიების, ეკოლოგიურად სუფთა საკვების დამზადება და ა.შ.

ინოვაციური საქმიანობის განვითარებისთვის საჭირო ღონისძიებები ორი ძირითადი მიმართულებით შეგვიძლია განვიხილოთ. პირველ მიმართულებას წარმოადგენს მეწარმეობის ხელშემწყობი პოლიტიკა, რომელიც ძირითად აისახება საგადასახადო კოდექსში, ხოლო მეორე მიმართულებას წარმოადგენს ინოვაციური ინფრასტრუქტურის განვითარება.

მეწარმეობის ხელშემწყობი პოლიტიკა გამოსატყულებას პოულობს საგადასახადო კანონმდებლობაში. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობა არსებითად აწესრიგებს ინოვაციურ საქმიანობასთან დაკავშირებულ არაშემზღუდავ სატარიფო რეჟიმს. ტექნოლოგიური ბაზის განახლების პროცესში ქვეყნის

ტერიტორიაზე შემოტანილი მანქანა-მოწყობილობებისა და მათი სათადარიგო ნაწილებისთვის, რომელიც გამოიყენება კვლევითი მიზნებისთვის, ქმნის სტიმულს, ან საერთოდ თავისუფლდება დამატებითი ღირებულების ნაწილში. მნიშვნელოვანია, რომ დღგ-ს ნაწილში არ იბეგრება ინტელექტუალური საკუთრების მიწოდება, კერძოდ საპატენტო ოპერაციები, რომლებიც დაკავშირებულია სამრეწველო ობიექტებთან, აგრეთვე საავტორო უფლებების მიღებასთან [2-გვ220].

ამავდროულად, ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტომ შეიმუშავა მთელი რიგი საკანონმდებლო პაკეტი, რომელიც მოიცავს “ინოვაციების შესახებ” საქართველოს კანონს, ცვლილებებს “გრანტების შესახებ” საქართველოს კანონში, ასევე საგადასახადო კოდექსში და ა.შ. აღნიშნული პაკეტის ფარგლებში გადასახადების ნაწილში გათვალისწინებულია, რომ ინოვაციური საქმიანობის განსახორციელებლად გრანტის მიმღებად განისაზღვრა მეწარმე სუბიექტი (რომელიც აქამდე აკრძალული იყო) და მიღებული გრანტის ფარგლებში ისინი გათავისუფლდებიან როგორც დღგ-ს, ისე იმპორტის და მოგების გადასახადისგან. აღნიშნული ცვლილებები უკვე გადაგზავნილია განსახილველად საქართველოს პარლამენტში

საბაჟო ნაწილში თანამედროვე ტექნოლოგიების სტიმულირების რეჟიმი გამოხატულია ინტელექტუალური საკუთრების ლიბერალიზაციით. თუმცა, უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ საქართველოსნაირი ქვეყნისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია უახლესი ტექნოლოგიების იმპორტი. მნიშვნელოვანი როლის თამაში შეუძლია უკვე მსოფლიოში დანერგული ტექნოლოგიების იმპორტს. ამისთვის კი აუცილებელია აღნიშნული ტექნოლოგიების მატარებელი ისეთი პროდუქტების სტიმულირება, როგორცაა მანქანა-დანადგარები, ტექნოლოგიური ხაზები და სხვა. მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანებით საქართველოს, როგორც გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყანას, მთელ რიგ პოზიციებზე დაწესებული აქვს ნულოვანი საბაჟო ტარიფი.

მეორე მიმართულებას წარმოადგენს ინოვაციური ინფრასტრუქტურის განვითარება. საქართველოში, როგორც გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყანაში, დიდ მნიშვნელობას იძენს შესაბამისი ინფრასტრუქტურის შექმნა და განვითარება, ისეთების, როგორცაა კონსალტინგური და ინფორმაციული სამსახურები, ლიზინგური კომპანიები, ინოვაციების მხარდამჭერი სახელმწიფო თუ კერძო ფონდები და ა.შ.

ინოვაციური ინფრასტრუქტურა რამდენიმე ფაქტორზეა დამოკიდებული. ერთი მხრივ, იგი უნდა მოიცავდეს სახელმწიფო რეგულირების გაძლიერებას, ხოლო მეორე მხრივ, ყველა დაინტერესებული სტრუქტურის ინტეგრაციის ინვესტორების მოზიდვასა და ისეთი პირობების შექმნას, რომლებიც ხელს შეუწყობენ ინოვაციური პროცესის გააქტიურებას. ამ მიმართულებით უნდა გამოვეყოთ პირველი რიგის ღონისძიებანი: ინოვაციური პროცესის სახელმწიფოებრივი მხარდაჭერა პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლების და პროდუქციის წარმოების ზრდისთვის; მარკეტინგული ღონისძიებების შემუშავება; პირდაპირი სახელმწიფო ინვესტიციების წარმართვა იმ პროექტებზე, რომლებსაც გააჩნია ეროვნული მნიშვნელობა; საგადასახადო შეღავათების დაწესება იმ ინვესტორებისათვის, რომლებიც თავიანთ საქმიანობას მაღალტექნოლოგიური მიმართულებით წარმართავენ; ისეთი ტიპის საინფორმაციო სისტემის შექმნა, რომელიც მოიცავს ინფორმაციას ინოვაციური საქმიანობის შესახებ; სახელმწიფო ინოვაციური ფონდის შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს ქვეყნის მეცნიერულ-ტექნიკურ განვითარებას, ინოვაციური პოლიტიკის ფორმირებას და რეალიზაციას.

ინოვაციური საქმიანობის განვითარებისთვის მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ინსტიტუციურ გარდაქმნებს, რომლებიც მიმართულია საბაზრო ინფრასტრუქტურის შექმნისკენ, რაც, საბოლოო ჯამში, ხელს უწყობს კონკურენტუნარიანი პროდუქციის შექმნას. მსხვილ სამეურნეო სუბიექტებში ინოვაციური საქმიანობის გააქტიურების პარალელურად, აუცილებელია ამ პროცესში მცირე სამეწარმეო სუბიექტების მოზიდვა, მათ შორის მცირე საწარმოების გამოყოფის ხარჯზე.

მნიშვნელოვან როლს თამაშობს ინვესტიციების საკითხიც. ამ მიზნით ინსტიტუციური გარდაქმნის პარალელურად მთავარი ძალისხმევა მიმართული უნდა იყოს ინვესტორების მოზიდვისთვის ხელშემწყობი პირობების შექმნა. უპირველეს ყოვლისა, ამას ხელს შეუწყობს ისეთი ლიბერალური საგადასახადო სისტემის ფორმირება, რომელიც ინვესტიციურ საქმიანობას წაახალისებს.

ინვესტიციების პარალელურად მნიშვნელოვანი ადგილი უნდა დაეთმოს საკანონმდებლო ბაზის ფორმირებას. ინოვაციური საქმიანობის საკანონმდებლო ბაზა დაფუძნებულია ისეთ ფუნდამენტურ კანონებზე როგორცაა საავტორო უფლებების, საპატენტო და ინტელექტუალური საკუთრების, ინვესტიციების, საგადასახადო, ანტიმონოპოლიური, ფასებისა და ფასწარმოქმნის შესახებ. ამავდროულად, მნიშვნელოვანია, რომ ინოვაციების მიმართულებით სამართლებრივი ბაზა სრულ თანხვედრაში იყოს საბიუჯეტო მოწყობის, სახელმწიფო საიდუმლო კომერციული საქმიანობის კანონმდებლობასთან.

ინოვაციების თვალსაზრისით მნიშვნელოვან როლს თამაშობს პერსონალის გადამზადების საკითხი. ქართული რეალობიდან გამომდინარე, უპირველეს მიზანს წარმოადგენს ადგილობრივი კადრების გადამზადება, ხოლო საკუთრივ ბიზნესში მართვის თანამედროვე მეთოდების დანერგვა. საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით შედგენილი პროგრამები უნდა დაეყრდნოს ადგილობრივი სასწავლო ბაზის საფუძველს. ამაში უნდა გავითვალისწინოთ როგორც სწავლის

ხარისხი, ისე მისი ფასი. უნდა გამოვეყოთ ღონისძიებათა პრიორიტეტები, რომელიც მიმართული უნდა იყოს პირველი რიგის ღონისძიებების ფორმირებაზე. მათ შორისაა ინოვაციური საქმიანობისთვის პერსონალის მრავალსაფეხურიანი მომზადება და გადამზადება, რეგიონული საგანმანათლებლო ქსელის მხარდაჭერა, სასწავლო პროგრამების რეგიონებში გავრცელების მიზნით, ინტერაქტიული პროგრამებისა და სხვა ტექნიკური საშუალებების ელექტრონული და დისტანციური სისტემის განვითარებისთვის [2, გვ. 229].

მიუხედავად აღნიშნულისა და გარდამავალი პერიოდის სხვა სიძნელეებისა, შეიძლება ითქვას, რომ საქართველო ინარჩუნებს მაღალ მეცნიერულ-ტექნიკურ პოტენციალს, კვალიფიციურ სამეცნიერო და საინჟინრო კადრებს, აქვს მნიშვნელოვანი ბუნებრივი რესურსები, შიგა ბაზრის დიდი პოტენციალი. რეფორმების წლებმა უჩვენა, რომ საქართველო ფლობს კიდევ ერთ მნიშვნელოვან რესურსს – მეწარმეთა მაღალ პოტენციალს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. კოალიცია „ინოვაციური საქართველო“ - „სიანოვაციო პოლიტიკა საქართველოში: რეკომენდაციები საქართველოს ხელისუფლებას“
http://eapnationalplatform.ge/admin/editor/uploads/files/publications/Policy%20Paper_WG2_Inovacia.pdf
2. ა. თვალჭრელიძე, ა. სილაგაძე, გ. ქეშელაშვილი, დ. გეგია, საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამა, თბ., 2011.
3. საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო www.gita.gov.ge
4. საქართველოს საგადასახადო კოდექსი

Giorgi Kharshiladze

INNOVATIVE CONDITION IN GEORGIA: RECENT SITUATION, ANALYSIS AND FUTURE PERSPECTIVE Annotation

In the presented article is discussed innovative condition in Georgia in transition period, are analyzed those problems and directions raised after becoming an independent country, are intended and developed the ways for their solutions.

Maia Chania

TECHNOPARKS – INTERNATIONAL EXPERIENCE AND THEIR PERSPECTIVE FOR ECONOMIC DEVELOPMENT OF GEORGIA

In modern times innovations are considered as social mechanism, which provide not only an impulse, but also foundations for development. As a rule, innovations are implemented within the attempts to resolve traditional problems with the new methods. New feature is created at this stage, which conveys innovative idea. Innovation has direct connection with historical experience. We can say that innovative processes are synthesis of motivated, purposeful and creative processes to create, explore and use new ideas and methods. Technoparks are clear examples of all aforementioned.

Implementation of technological parks in global business environment creates qualitatively new approach within the process to create favorable environment for the business, where scientific ideas are turned into unique scientific-technical products, which give another important impulse to the field of new technologies.

Any city or region is interested to implement and expand high-tech industry, also stably develop scientific and technological potential, increase working places, form industrial and social infrastructure, stimulate continuous development of science in the regions. Technoparks can provide all of aforementioned.

Notion of “Science and Technopark” in foreign practice is regarded as synthesis of strong innovational structures. This group is composed of research centers and parks, scientific parks, innovative centers, technological centers and parks. All of these create basis for specialized innovative unions, associations, which are created in large industrial regions.

In industrially developed countries, such as USA, Germany, France and others, technopark network is highly developed. Its main idea is that entrepreneur does not have necessity to build its own industry. He can rent it with necessary equipment to produce production and can also receive recommendations about development of scientific ideas, technological implementation and use.

Technoparks offer assistance to scientific and educational organizations for transferring technologies to economy, also for new forms of production and creation of working places.

Scheme for participant in technoparks is quite simple. Any private company can undertake management function of technopark or receive agent status of territory development after obtaining respective license. After this it is necessary to implement engineering preparation of the territory, as territories which are allocated for technoparks are characterized with inefficient energy capacity and weak engineering networks:

- Scientific (fundamental research);

- Scientific-research (small production high-tech products);
- Scientific-technical and technological (serial production of high-tech products through using high technology);
- Combined, which includes constituent elements of first three types.

Such division is of course conditional, because combination of aforementioned features in practice is quite often. Technoparks can be commercial and non-commercial organizations as well. They are operating as legal entities in any legal-organizational form provided by the law.

We can bring several examples of technoparks developed in the world:

Manchester Scientific Park. Great Britain.

Owners of Manchester Scientific Park are: Manchester City Council, Manchester University, “JIB-JJ”, “Ferranti”, “Fothergil & Highway” and “Granada Television Limited”. This scientific park is also supported by Manchester Business School, Polytechnic Institute of Manchester and Stanford University.

Manchester Scientific Park started operating in 1984. It is located near one of biggest scientific-research centers of Western Europe and has wide opportunities and technological support from mentioned scientific-research center. Manchester Scientific Park was created to stimulate high-tech industry and for development of the region’s economy through use of potential of Manchester University and other research centers. Park is based on companies, which are created by academic personnel of the university, scientists, and authors of innovations and experts, who conduct their activities upon support of its research team. Park aims at supporting small business, provide it with necessary services, place small and middle companies in specially constructed enterprise buildings.

“Enterprise House” is 24 000 sq/m. 2000 Sq/Ms are dedicated to sections located on the first floor. Adapted sections are located on upper floors beginning from 500 Sq./m to 2000 sq./m. Park has all types of engineering networks. Sections, which are available to companies, can be rearranged according to various requirements. Dotation can be allocated for small companies for initial technology, equipment, which will cover 50% of whole amount. First floor sections are used for research, experimentation and as stand halls. Agreement with this company can be signed for the term of 1-3 years and can be further extended.

Offices of managers’ team of Manchester Scientific Park are located in “Enterprise House”. Company service in management field includes:

- Cooperation with City Council of industrial development of Manchester and economic development corporation “Greater Manchester”, which can offer companies different types of subsidies and financial support.
- Consultations for urban and industrial development of the region and the center.
- Direct contact with local department of trade and industry, which provide selective regional support.
- Direct links and cooperation with Manchester banks and financial companies of risk capital.

Urban and regional development center is located in “Enterprise House”, which provides informational assistance to small companies and support in Manchester region, including the entities, which are engaged in scientific park. Data bank is created under the auspices of Manchester University and national bank, which itself includes expertise of scientific-technical capacity and service, which is owned by university. It also provides companies with market data analysis, financial assistance sources, edition of business-plans. This center established direct contacts with other agencies, which will contribute to cooperation with starting and operating companies.

Orleans Technopark. France.

Orleans is located in the center of France, one hour distance from Paris and is administrative and financial center in the region. The largest part of national and international companies are located right in Orleans, which is the result of dynamic economic processes and development of universities and research centers. Orleans is famous with its scientific activities in various fields, especially, in biotechnology, energy, cosmetics, pharmaceuticals and robot technology.

Orleans technopark includes innovative center, which is connection link between research centers and industries of the region in order to facilitate exchange of experience and develop advanced technologies. Innovative center offers spaces to companies for laboratories and researches upon short-term leasing.

Orleans technopark is base for creation of Europark, which is specialized organization offering companies and investors document package, for structure, management and service of scientific parks, also, for innovative and technological centers. Idea of Europark, as organizational, methodological and informational development center, territorial scientific-research and industrial system, scientific-technological parks of France and Europe, has important influence in the field of innovative activities and industrial restructuring in developing countries through the impact of technological revolution. Major goals and challenges for scientific and technoparks are:

- Financial support for innovation activities of industrial structures, stimulation of development and stimulation of production of innovative and high-technology products and supporting implementation of new technologies in practice;
- Supporting state policy, which aims at formation of trade relations in scientific-technical field. Especially, through development of infrastructure of small innovative business. Supporting competition through attraction of free financial reserves and implementation of their purposeful, effective programs of use for production of high-technology;
- Attraction of small businesses and local and foreign investors upon competition for the
- Acceptance and implementation of new technologies, also, through use of know-how patent and license.

Experience of various developed countries demonstrate that population have following advantages to the places, where technoparks are functioning:

- Increases employment opportunities (increase in working places);
- Increases provision of high quality productions;
- Increases living standards through increase in incomes;
- Increases intellect and education of the population;
- New opportunities are created in planning and coordination of regional innovation projects;
- Opportunities for use of high technological resources of local importance are broaden;
- Improves regional and international distribution of labor;
- Improves economic environment;
- Decreases budget spending related to unemployment;
- Increases working activities and revenues in the budget;
- Develops infrastructure;

Business structure of region receives benefits from creation technoparks, particularly:

- Implements „know-how“ through use of advanced technology;
- Increases volume of export production;
- Distinguishes increasing working relations on international level;
- Increases competitiveness and prestige;
- Facilitates access on scientific-technical base;
- Opens new opportunities for use of intellectual potential of university;
- Creates new opportunities for universal use of modern technology owned by technoparks.

Economic progress of the country is mainly stipulated by the innovations. Technoparks and techno-polis became significant elements of modern market economy and represent organizational forms of constituent elements: innovative companies, higher educational institutions, research laboratories, consultation companies, enterprises, state and municipality agencies.

We think, it is important to implement effective measure in this direction in Georgia. Building economy on knowledge and innovation is a long-term process. At initial stage, it is important to share international experience and establish working relations with the administrations of successful technoparks in Georgia-like countries. We think that implementation of complex measures are crucial. Separate components and fragmentation can give no desired results.

It should be noted that agency of innovations and technologies was created in 2014 with Ministry of Economy. This agency aims at building economy, which will be based on knowledge and innovations. As it is known, construction of high technology and innovation technoparks is planned on the territory of Okrokana with respective equipment, laboratories, show-rooms, incubatory, conference hall, sitting area, experimental-scientific department. This is large scale project and if it will not be accompanied by respective knowledge, professional resources, specialists, good results cannot be achieved.

Therefore, aforementioned processes require complex attitude, especially in respect to development of education system, high technology and industrial fields. Import of high technology knowledge should be strengthened, international experience – shared, and intellectual property – protected.

Maia Chania

TECHNOPARKS – INTERNATIONAL EXPERIENCE AND THEIR PERSPECTIVE FOR ECONOMIC DEVELOPMENT OF GEORGIA Annotation

Implementation of technological parks in global business environment creates qualitatively new approach within the process to create favorable environment for the business, where scientific ideas are turned into unique scientific-technical products, which give another important impulse to the field of new technologies.

Economic progress of the country is mainly stipulated by the innovations. Technoparks and techno-polis became significant elements of modern market economy and represent organizational forms of constituent elements: innovative companies, higher educational institutions, research laboratories, consultation companies, enterprises, state and municipality agencies. We think, it is important to implement effective measure in this direction in Georgia. Building economy on knowledge and innovation is a long-term process. At initial stage, it is important to share international experience and establish working relations with the administrations of successful technoparks in Georgia-like countries. We think that implementation of complex measures are crucial. Separate components and fragmentation can give no desired results.

რეგან ჯავახიშვილი
უზბეკეთის ინოვაციური პოლიტიკა და მისი პრიორიტეტული მიმართულებები

უზბეკეთი, ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით, განეკუთვნება ცენტრალურ-აღმოსავლეთ ევროპის საშუალოგანვითარებული ქვეყნების რიცხვს, რომელიც მნიშვნელოვნად (1.5-2-ჯერ) ჩამორჩება მაღალგანვითარებულ დასავლეთევროპულ ქვეყნებს. ბოლო პერიოდში მისი

ეკონომიკა დიდ სიძნელეებს განიცდიდა, რის შედეგადაც საგრძნობლად იკლო თითქმის ყველა მაკროეკონომიკური მაჩვენებლის ზრდის ტემპმა. თუმცა, ბოლო წლების განმავლობაში იგრძნობა ქვეყნის ეკონომიკური ცხოვრების გარკვეული გამოცოცხლება. 2014 წელს უნგრეთში მოსახლეობის ერთ სულზე მთლიანმა შიდა პროდუქტმა 23 ათასი, ხოლო საშუალო თვიურმა ხელფასმა 1050 დოლარი შეადგინა. ეს უნდა აიხსნას, უწინარეს ყოველისა, ეკონომიკის წამყვან დარგებში (მრეწველობა, მშენებლობა, სოფლის მეურნეობა) ინვესტიციების სწრაფი ზრდით, რაც 2013 წელს, წინა წელთან შედარებით, 7, ხოლო 2014 წელს 13%-ით გადიდა, მანამდე კი ეს მაჩვენებლები სისტემატიური შემცირებით ხასიათდებოდა [4].

პერსპექტივაში, უნგრეთის ეკონომიკის მდგრადი განვითარება დიდადაა დამოკიდებული როგორც ევროკავშირისა და მსოფლიოს სხვა ქვეყნებთან ეკონომიკური თანამშრომლობის გაფართოებასა და გაღრმავებაზე, ისე ქვეყნის მატერიალური (ბუნებრივი სიმდიდრეების), შრომითი და ფინანსური რესურსების, მისი ეკონომიკური პოტენციალის სრულყოფილად გამოყენებაზე. ამ საქმეში კი გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ეკონომიკის ცალკეულ სფეროებსა და დარგებში უახლესი ტექნიკისა და ტექნოლოგიების გამოყენებას, ინოვაციებზე ორიენტირებული ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელებას.

უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე ქვეყნის ინოვაციური განვითარების სფეროში გარკვეული წარმატებები იქნა მოპოვებული: მოხდა ეკონომიკის დარგობრივი სტრუქტურის სრულყოფა, სწრაფი ტემპებით ვითარდებოდა უახლეს ტექნოლოგიებზე დაფუძნებული მეცნიერებატექნოლოგიური დარგები, შემცირდა ენერგოტექნოლოგიისა და მასალატექნოლოგიის წარმოება და ამდღეა მათი ეკონომიკური ეფექტიანობა, გაუმჯობესდა ქვეყნის ეკოლოგიური პირობები, ამდღეა განათლებისა და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შედეგების პრაქტიკული გამოყენების დონე და ა.შ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მსოფლიო ფინანსურმა კრიზისმა (2008-2013) საგრძნობლად შეამცირა უნგრეთის ინოვაციური საქმიანობა. 2012 წელს სამეცნიერო-კვლევითი და საკონსტრუქტორო სამუშაოებზე გაწეული დანახარჯებმა მშპ-სთან მიმართებაში 1.2% შეადგინა, რაც 2013 წელსაც არ შეცვლილა. ამ მაჩვენებლით უნგრეთი საგრძნობლად ჩამორჩება ინდუსტრიულად მაღალგანვითარებულ ქვეყნებს (3-3.5%) და იგი გარკვეული ზომით ნაკლებია ევროკავშირის ქვეყნების საშუალო მაჩვენებელთან მიმართებაშიც (1.8%). მიმდინარე ათწლეულის ბოლოსათვის ამ მაჩვენებლის ზრდა უნგრეთში ნაგარაუდგია 1.8%-მდე, საშუალოდ ევროკავშირში კი – 3%-მდე. ამ მხრივ უნგრეთი რამდენადმე ჩამორჩება ჩეხეთს, მაგრამ უმნიშვნელოდ უსწრებს პოლონეთსა და სლოვაკეთს.

უნგრეთის ინოვაციური საქმიანობა ორიენტირებულია ამ სფეროში ევროკავშირის მიერ განსაზღვრულ ძირითად პრიორიტეტულ მიმართულებებზე, რომელთაგან ყველაზე მნიშვნელოვანია:

1. თანამედროვე სატრანსპორტო საშუალებების წარმოების სწრაფი ზრდა და ამ მიზნით საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების გაფართოება, მაღალტექნოლოგიურ დონეზე სატრანსპორტო ინფრასტრუქტურისა და ლოგისტიკის განვითარება;

2. სამედიცინო განათლების სისტემის შემდგომი გაუმჯობესება, სამკურნალო და საკურორტო-გამაჯანსაღებელი დაწესებულებების ქსელის განვითარება, თანამედროვე სამკურნალო წამლების, ფარმაცევტული პრეპარატებისა და სამედიცინო მოწყობილობის წარმოების გადიდება, რაც დაფუძნებულია ეროვნულ გამოკვლევათა შედეგების გამოყენებას;

3. ინფორმატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის, აგრეთვე, მასთან დაკავშირებული მომიჯნავე წარმოებისა და ინფრასტრუქტურის წინმსწრები განვითარება;

4. ტრადიციული და ალტერნატიული ენერგეტიკის სფეროში ახალი ტექნოლოგიების შექმნა, ენერგოდამზოვი წარმოებისა და გარემოს დაცვის ყველაზე უფრო პროგრესული მეთოდების ფართოდ დანერგვა [5].

ზემოაღნიშნული პრიორიტეტული მიმართულებები ჯერ კიდევ 2010 წელს მიღებული ინოვაციური საქმიანობის სრულყოფის პროგრამაში აისახა, რომელიც ძალაშია მიმდინარე ათწლეულის ბოლომდე. ეს პროგრამა ითვალისწინებს, აგრეთვე, ინოვაციური საქმიანობის ორგანიზაციისა და სამეცნიერო გამოკვლევების შედეგების პრაქტიკაში დანერგვის სრულყოფას. ამ პროგრამის რეალიზაციამ ყოველწლიურად უნდა უზრუნველყოს ქვეყნის ეროვნული ეკონომიკის ზრდის ტემპების 1.5-2%-ით დაჩქარება.

გარდა ამისა, 2013-2020 წლების ბიუჯეტის პროექტის დამუშავების პროცესში ევროკომისიამ მოამზადა ახალი ინოვაციური პროგრამა – “ჰორიზონტი 2020”, რომლის განხორციელებაში აქტიურ მონაწილეობას იღებს უნგრეთი, პირველ რიგში, ქვეყანაში ფინანსური და სხვა რესურსების მოზიდვის თვალსაზრისით. საქმე ისაა, რომ ევროკომისიის მიერ აღნიშნული პროგრამის რეალიზაციისათვის საჭირო ფინანსური სახსრები გამოიყოფა კონკურსის საფუძველზე, პირველ რიგში იმ სახელმწიფოებისათვის, რომელთაც აქვთ გამოკვლევების ჩატარებისა და მათი საკუთარი სახსრებით ფინანსირების გამოცდილება, შექმნეს გამოკვლევების მსხვილი ეროვნული ცენტრები. აღნიშნული პროგრამით უახლოეს პერიოდში უნგრეთში შეიქმნება:

- მსოფლიო უმაღლესი დონის ოცდაათი მსხვილი საკვლევი-საპროექტო ცენტრი;
- წამყვანი საერთაშორისო კომპანიების ეგიდით მომუშავე საცდელ-საკონსტრუქტორო დამუშავებათა ოცდაათი დიდი ცენტრი;

- საშუალო ზომის ოცდაათი მაღალტექნოლოგიური ეროვნული საწარმო, რომლებიც მაღომინირებულ როლს შეასრულებენ ცენტრალურ-აღმოსავლეთევროპულ რეგიონში;
- სამასი მაღალტექნოლოგიური საწარმო, რომელთაც ექნებათ მცირე ეროვნულ საწარმოთა ზრდის მნიშვნელოვანი პოტენციალი [5].

ევროკავშირის ინოვაციური პროგრამით („ჰორიზონტი 2020“) განსაზღვრული სტრატეგია, სათანადო განხილვისა და კორექტირების შემდეგ, 2013 წელს დამტკიცდა უნგრეთის მთავრობის მიერ და მიღებულ იქნა როგორც 2013-2020 წწ. ქვეყნის სამეცნიერო-კვლევითი და ინოვაციური საქმიანობის სტრატეგია. იგი ითვალისწინებს მშპ-სთან მიმართებაში საკვლევ და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებზე გათვალისწინებული დანახარჯების დონის 18%-მდე ზრდასა და, აგრეთვე, მკვლევარებისა და გამოგონებლების რაოდენობის 37 ათასიდან 50 ათას კაცამდე გადიდებას [5].

აღნიშნული ინოვაციური პროექტით, ქვეყნის ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ამაღლების მიზნით, განსაზღვრულია აგრეთვე ინოვაციის სფეროში კაპიტალდაბანდებების მნიშვნელოვანი ზრდა, მსხვილ სახელმწიფო და კერძო კომპანიებთან ერთად საშუალო და მცირე საწარმოთა შექმნა-განვითარება, რისთვისაც ფართოდ უნდა იქნეს გამოყენებული საკრედიტო და საგადასახადო შედავათები, ინოვაციური მომსახურების სახელმწიფო შესყიდვები და სხვა.

როგორც უკვე აღინიშნა, თანამედროვე უნგრეთის ინოვაციური პოლიტიკის განმსაზღვრელი ასპექტია მისი ტექნოლოგიური განვითარების ძირითადი მიმართულებების სწრაფი სრულყოფა, რაც შესაბამისი პროგრამების შექმნისა და რეალიზაციის საფუძველზე ხორციელდება. ასეთი პროგრამების ძირითადი პრიორიტეტული მიმართულებებია: სატრანსპორტო მანქანათმშენებლობისა და ლოგისტიკის, მედიცინისა და ფარმაცევტიკის, ინფორმატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის, აგრეთვე, ალტერნატიული ენერჯეტიკისა და ენერგოდამზოვი ტექნოლოგიების სწრაფი განვითარება და ამ მიზნით სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების გაფართოება და სრულყოფა.

უნგრეთის ინოვაციურ განვითარებაში განსაკუთრებით დიდი როლი ენიჭება ქვეყნის საუნივერსიტეტო ცენტრების როლი და მნიშვნელობა. ეს, პირველ რიგში, ითქმის მოქმედი ევროპული ინოვაციური პროგრამების ჩარჩოებში კონსორციუმის მოწოდებისა და მცირე ზომის თანამგზავრების შექმნაზე. ქვეყანაში მნიშვნელოვნად ვითარდება სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა ბირთვული ფიზიკისა და აღამიანის ტეინის შესწავლის სფეროში, სადაც ქვეყანას გააჩნია დიდი ტრადიციები და მსოფლიო დონის საკმაოდ მნიშვნელოვანი მიღწევები.

უნგრეთში მნიშვნელოვანი ყურადღება ექცევა ინოვაციური საქმიანობის საკანონმდებლო და ინფრასტრუქტურულ მხარდაჭერას. ამ მხრივ უნგრეთის კანონმდებლობა სრულ შესაბამისობაშია ევროკავშირის კანონმდებლობასა და სტანდარტებთან. თუმცა, ქვეყნის ინოვაციური საქმიანობის ნორმატიულ-სამართლებრივ ბაზას გააჩნია თავისი ეროვნული სპეციფიკა. ამ მხრივ უნგრეთში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ინტელექტუალური საკუთრების უფლების დაცვას, რაც განსაზღვრულია ქვეყნის სამოქალაქო კოდექსითა და საკანონმდებლო-ნორმატიული აქტებით. უნგრეთი არის ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის წევრი, რომლის საქმიანობა სრულ შესაბამისობაშია მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის ფარგლებში მოქმედ მრავალმხრივ შეთანხმებებსა და ამ სფეროში არსებულ ყველა საერთაშორისო კონვენციასთან. ამასთან ერთად, უნგრეთი ვაღდებულება, შეასრულოს ევროკავშირის მიერ განსაზღვრული დირექტივები და რეგლამენტები, რომლებიც ითვალისწინებენ საინოვაციო საქმიანობის მხარდაჭერას.

უნგრეთში სისტემატურად ხორციელდება ინოვაციური საქმიანობის მართვის სტრუქტურის სრულყოფა. ქვეყანაში ინოვაციური საქმიანობის საერთო ხელმძღვანელობასა და კოორდინაციას ასრულებს განვითარების ეროვნული კომიტეტი, რომელსაც უშუალოდ მთავრობის თავმჯდომარე ხელმძღვანელობს. რაც შეეხება კონკრეტულად ინოვაციური საქმიანობის პოლიტიკის ძირითადი მიმართულებებისა და მისი რეგულირების მექანიზმების შემუშავებას, იგი ეკისრება ეროვნული ეკონომიკის სამინისტროს, რომელსაც ევალება, აგრეთვე, ცალკეული კომიტეტების, სააგენტოების, საკვლევო ცენტრების, მსხვილი საწარმოებისა და სხვათა ინოვაციური საქმიანობის უშუალო კოორდინაცია. ეკონომიკის ყველაზე მსხვილ და მნიშვნელოვან დარგებში კი ასეთი საქმიანობის პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება ეკისრება ეროვნული განვითარების სამინისტროს, რაც ერთხელ კიდევ მიანიშნებს ინოვაციური საქმიანობის განვითარებაში სახელმწიფოს გადაამწვეტ როლსა და მნიშვნელობაზე.

სახელმწიფო ახორციელებს უშუალო ზედამხედველობას ეროვნული განვითარების სააგენტოზე, რომლის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა ინოვაციური საქმიანობის პრიორიტეტულ დარგობრივ მიმართულებათა განსაზღვრა, ინოვაციებზე გამოყოფილი ფინანსების განაწილებისათვის სათანადო კონკურსების მოწოდება და მათ მიზნობრივ გამოყენებაზე კონტროლის განხორციელება.

ფუნდამენტური გამოკვლევებისა და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების ორგანიზაციაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს უნგრეთის მეცნიერებათა აკადემია, რომელიც სპეციალური სახელმწიფო საბიუჯეტო ფონდის მეშვეობით ახორციელებს საინოვაციო საქმიანობის დაფინანსებას. გარდა ამისა, ადგილებზე ინოვაციური საქმიანობისა და მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევების დანერ-

გვის სამუშაოებს ასორციელებენ ეკონომიკური განვითარების უნგრეთის ცენტრისა და ეროვნული ინოვაციური მმართველობის ტერიტორიული ქვედანაყოფები.

ინოვაციური საქმიანობის წარმატებული განვითარება პირდაპირ კავშირშია მის ფინანსურ უზრუნველყოფასთან. უნგრეთის ინოვაციური საქმიანობის განვითარების მთავარ ფინანსურ წყაროს წარმოადგენს ევროკავშირის ფონდებიდან გამოყოფილი სახსრები. რაც შეეხება ადგილობრივ წყაროებს – სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრები, კომერციული საწარმოებისა და სხვა დაინტერესებული ორგანიზაციების ფულადი რესურსები, უფრო მეტად დამხმარე როლს ასრულებენ. ასეთი ტენდენცია განპირობებულია არა მხოლოდ ადგილობრივი რესურსების შეზღუდულობით, არამედ, უმეტესად, დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებთან მჭიდრო კავშირურობის უზრუნველყოფის დაინტერესებით, საერთო ევროპულ პროგრამებში მონაწილეობითა და მათთან მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის გადრეკებით.

დაფინანსების ადგილობრივი წყაროებიდან მთავარ როლს ასრულებს უნგრეთის სახელმწიფო ბიუჯეტიდან ყოველწლიურად გამოყოფილი სახსრები, რომელიც გადაირიცხება სპეციალიზებულ ფონდებსა და პროფილურ ორგანიზაციებში. ბოლო პერიოდში ქვეყანაში მნიშვნელოვნად გაიზარდა ინოვაციური მოსაკრებელი საწარმოების რაოდენობა. შესაბამის კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებების შემდეგ, მას იხდიან არა მხოლოდ მსხვილი და საშუალო ზომის საწარმოები, არამედ წვრილი ფირმების საკმაოდ დიდი ნაწილიც. გადასახადის განაკვეთია წლიური ბრუნვის 0.3%, რომლის გადახდა ხდება ყოველკვარტალურად. გადახდილი სახსრები თავს იყრის სამეცნიერო-ტექნოლოგიურ საინოვაციო ფონდში, რომელიც იმყოფება ეკონომიკური განვითარების უნგრეთის ცენტრის დაქვემდებარებაში. აღნიშნული ფონდის რესურსების შევსება ხდება არა მხოლოდ საინოვაციო მოსაკრებლების, არამედ განვითარების უნგრეთის ბანკის სახსრების ხარჯზე. ფონდი აფინანსებს ინოვაციური პროექტების დიდ ნაწილს, რომელთა პრიორიტეტები განისაზღვრება ოპერატიული საკვლევი პროგრამებით. უნგრეთში ძალზე დიდი ყურადღება ექცევა ინოვაციური საქმიანობის ისეთი პრიორიტეტული მიმართულებების დაფინანსებას, როგორცაა ქვეყანაში სახელმწიფო რეფორმების განხორციელება, ელექტრონული მთავრობის განვითარება, მდგრადი ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფა, რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის ეფექტიანობის ამაღლება, სოციალური ინფრასტრუქტურის მოდერნიზაცია და სხვა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ასოცირების შესახებ შეთანხმება საქართველოსა და ევროკავშირს შორის, თბ., 2014.
2. გუროვა ი., მსოფლიო ეკონომიკა, თბ., 2014.
3. უნგრეთი, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 10, თბ., 1986.
4. Обзор экономики Венгрии, <http://www.ved.gov.ru/%20Exportcountries/hu/about%20hu/economy%20hu/>
5. Иновационная политика. <http://redb.ru/Look/2701717-p8.html>

Revaz Javakhishvili

HUNGARY INNOVATIVE POLICY AND ITS PRIORITIES DIRECTIONS

Annotation

Hungary Innovative Policy is focused on the European Union's priorities defined in this area, from which the most important are: fast growth of production of modern transport facilities; expansion of its trial construction works; development of transport infrastructure and logistic; treatment and recreation facilities expansion, development of pharmaceutical drugs and medical devices production; development and improvement of the system of medical education services and health services; informatics and computers advance development; creation of the latest technologies in the areas of traditional and alternative energy, methods broadly progressive introduction of energy saving and environmental production.

საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობებისა და გლობალიზაციის სექცია

ლია დვალისვილი

გლობალური პრობლემები და მათი ეკონომიკური ასპექტები

გლობალური პრობლემები თავისი მასშტაბებითა და მნიშვნელობით განსაკუთრებულ მოვლენებსა და პროცესებს წარმოადგენს თანამედროვე მსოფლიოში. ისინი დაკავშირებულია მთელი მსოფლიოს მოსახლეობის სასიცოცხლო ინტერესებთან, ყველა სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებასთან, მიუხედავად იმისა, ამ სახელმწიფოებს რა სოციალური წყობა აქვთ, რა გეოგრაფიული მდებარეობა უკავიათ, ეკონომიკური განვითარების რა დონეზე იმყოფებიან.

საზოგადოების განვითარების სხვადასხვა საფეხურსა თუ ეტაპზე გლობალური პრობლემების ადგილი და როლი ცვალებადია, ასევე განსხვავებულია მათი წარმოშობის თანმიმდევრობაც. თავდაპირველად გლობალური პრობლემების წარმოშობის მიზეზი ბუნებრივ ფაქტორებს უკავშირდებოდა, როგორცაა ცუნამი, მიწისძვრა, მეტეორული წვიმები და ა. შ. შემდგომი გლობალური საერთაშორისო პრობლემების წარმოშობა კი დაკავშირებულია იმ საქმიანობასთან, რაც საზოგადოებამ გასწია მისი არსებობის მანძილზე დღევანდლამდე როგორც ბუნებასთან (ბუნებრივი რესურსების გამოყენების, გარემოს დაცვის და სხვა მიმართულებით), ისე თვით ადამიანებს შორის (სიღარიბე, საშიში დაავადებები და ა. შ.) ურთიერთობებში.

გლობალური პრობლემების რაოდენობისა და პრიორიტეტულობის შესახებ ეკონომიკურ ლიტერატურაში სხვადასხვა შეხედულება არსებობს. ზოგი 20 სახის საერთაშორისო პრობლემას ასახელებს, ზოგი ხუთს, ზოგი სამს და ა. შ. გლობალური პრობლემების ასეთი რაოდენობრივი განსხვავება გამომდინარეობს პრობლემების არსებობიდან და პრიორიტეტულობიდან. ამ ორი მახასიათებლის მიხედვით პრობლემების თანმიმდევრობა უნდა განისაზღვროს და არა მათი საერთო რაოდენობა, მით უმეტეს, როცა დღევანდელი ძირითადი პრობლემა ხვალ შეიძლება მეორეხარისხოვანი გახდეს და პირიქით. საერთოდ გლობალურ საერთაშორისო პრობლემებს ყოფენ შემდეგ სახეებად:

1. ეკოლოგიური;
2. დემოგრაფიული;
3. სანედლეულო, სასურსათო და ენერგეტიკული;
4. შეიარაღება და განიარაღება;
5. ბრძოლა ტერორიზმთან;
6. კოსმოსის, მსოფლიო ზღვებისა და ოკეანეების ათვისება;
7. ბრძოლა საშიშ დაავადებებთან;
8. სუსტად განვითარებული ქვეყნების ეკონომიკური ჩამორჩენილობისა და სიღარიბის დაძლევა და ა. შ.

აღნიშნული გლობალური პრობლემები მსოფლიო მასშტაბით არის დაკავშირებული ადამიანთა ცხოვრების მრავალ მხარესთან, მსოფლიო ეკონომიკასა და პოლიტიკასთან, სახელმწიფოთაშორის და ეროვნებათაშორის ურთიერთობებთან, საზოგადოებრივ ცნობიერებასთან, ადამიანთა არსებობის პირობებთან. ეს პრობლემები იმდენად რთული და მწვავეა, რომ ის მუდამ არის პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწეების, მეცნიერების სხვადასხვა სფეროს წარმომადგენელთა ყურადღების ქვეშ. მაგრამ მათ აქვთ ერთი მკვეთრად გამოხატული მხარე – ეკონომიკური ასპექტი, რომელიც დაკავშირებულია მათ ზემოქმედებაზე საზოგადოებრივ წარმოებაზე, მთელ ეკონომიკურ საქმიანობასა და მათ შორის ურთიერთზეგავლენაზე.

გლობალური პრობლემების ეკონომიკური ასპექტები შესწავლილი უნდა იქნეს სხვადასხვა კუთხით. ერთი მხრივ, პრობლემების დღევანდელი არსებობა რა გავლენას ახდენს ეკონომიკაზე; მეორე მხრივ, მათ გადაწყვეტაზე რა სახსრები იხარჯება და რა ეკონომიკური ღონისძიებები ტარდება; მესამე მხრივ, ამ პრობლემის არარსებობის პირობებში ეკონომიკის განვითარების რა შედეგებთან გვექნებოდა საქმე.

ასეთი მიდგომით წინამდებარე ნაშრომში ყველა გლობალური პრობლემის განხილვა შეუძლებელია. მაგალითისთვის აქ განვიხილავთ რამდენიმე გლობალურ პრობლემას, რომელთა შესწავლის მეთოდოლოგიური ანალიზი გამოგვაადგება სხვა გლობალური პრობლემების შესასწავლად.

მსოფლიო საზოგადოების ერთ-ერთ უპირველეს გლობალურ პრობლემად ეკონომისტები მსოფლიო ეკოლოგიურ პრობლემას მიიჩნევენ, რადგანაც მსოფლიო მოსახლეობის ზრდამ, ბუნებრივი რესურსების ინტენსიურმა გამოყენებამ, გარემო პირობების დაბინძურებამ და გაღარიბებამ არსებითი ცვლილებები გამოიწვია კაცობრიობის ცხოვრებაში. ბუნებრივი წიაღისეულის არასწორმა ექსპლუატაციამ, ატმოსფეროში მავნე აირებისა და ნივთიერებების გამოფრქვევამ, ატმოსფერო და სხვა მავნე ნარჩენების ზრდამ მთელი მსოფლიო მოიცვა, რამაც გააუარესა მსოფლიო მასშტაბით ეკოლოგიური მდგომარეობა. აღნიშნულმა და სხვა მსგავსმა მოვლენებმა XX საუკუნეში გაანადგურა 1/4 მსოფლიო მიწის სავარგული, 2/3 – ტყის მასივი. არასასურველი სამრეწველო ნარჩენების მოცულობამ ბოლო ოცდაათი წლის მანძილზე მოიმატა 2,5-ჯერ. წყლის დაბინძურება ამავე პერიოდში გაიზარდა 10-ჯერ.

ეკონომიკურ განვითარებაზე უარყოფითად მოქმედებს ატმოსფეროში დაგროვილი ნახშირ-ორჟანგის გაზი, ოზონის ფენის გაღარიბება, სითბური ეფექტები, რომლებიც იწვევს კლიმატის ცვლილებებს, ამცირებს ბუნებრივი სამეურნეო რესურსების ოპტიმალური გამოყენების შესაძლებლობებს, მოქმედებს ადამიანთა ჯანმრთელობასა და ცხოვრებაზე, რომელიც დროთა განმავლობაში შეიძლება გადაიზარდოს სტიქიურ კატაკლიზმებში.

სხვადასხვა წყაროებიდან გამოყოფილი ატმოსფეროს გამაჭუჭყიანებელი ნივთიერებები გადაიტანება ჰაერის მასების მიერ და ვრცელდება საკმაოდ დიდ მანძილზე. ასეთი გზით წარმოიქმნება ატმოსფეროს გლობალური გაჭუჭყიანება. ამ გაჭუჭყიანებაში განსაკუთრებული ადგილი მიეკუთვნება რადიოაქტიურ მინარევებს, რადგან სწორედ ისინი წარმოადგენენ უდიდეს საშიშროებას. ატმოსფეროს რადიოაქტიური გაჭუჭყიანება განსაკუთრებით გააქტიურდა XX საუკუნის 50-60-იან წლებში, რაც დაკავშირებული იყო ბირთვული იარაღის მასობრივ გამოცდებთან. 1963 წელს ბირთვული იარაღის გამოცდა ატმოსფეროსა და კოსმოსში აიკრძალა. თუმცა ზოგიერთი ქვეყანა (ჩინეთი, საფრანგეთი და სხვ.) არ შეუერთდა ამ გადაწყვეტილებას და განაგრძო იარაღის გამოცდა.

სწორედ ამიტომ, ატმოსფეროს რადიოაქტიური გაჭუჭყიანების პრობლემა დღესაც ინარჩუნებს აქტუალურობას. გამოთვლების თანახმად დადგენილია, რომ ბირთვული აფეთქებები იწვევს არა მხოლოდ ლოკალური მასშტაბის შედეგებს, არამედ სერიოზულ, გლობალურ დარღვევებს, რამაც შესაძლოა მიგვიყვანოს ჰაერის შეუქცევად ცვლილებამდე, დედამიწის ოზონის ფენის გარღვევამდე და ბოსფეროს არსებით გარდაქმნამდე.

დათბობის მკვეთრად გამოხატულმა ტენდენციამაც უახლოეს მომავალში შეიძლება მიგვიყვანოს ეკოსისტემათა მდგომარეობისათვის სერიოზულ შედეგებამდე. ასევე აისახოს სამეურნეო წარმოებაზე, მსოფლიო ოკეანის დონეზე, სანაპირო ზოლის მთელი სიგრძის მდგომარეობაზე და ა. შ. უფრო სერიოზულადაა საქმე ისეთი საკითხების ირგვლივ, როგორებიცაა: რამდენად ძლიერი მერყეობა ექნება ამინდს „გამობარ“ სამყაროში; კლიმატის ცვლილება რა ხასიათით იმოქმედებს სოფლის მეურნეობასა და ცხოვრების პირობებზე დედამიწის სხვადასხვა რეგიონში. ყველა ეს უცნობი სიდიდე კლიმატის ცვლილების ზემოქმედების გაზომვას ეკონომიკისათვის ძალზე რთულს ხდის.

დედამიწის ეკოლოგიურად ხელსაყრელი რაიონები იძენს განსაკუთრებულ ფასეულობას და მნიშვნელოვანი რესურსი ხდება იმ ქვეყნებისათვის, რომლებიც მათ ფლობენ.

განვითარებული ქვეყნები ისწრაფიან, გათავისუფლდნენ დამაბინძურებელი ნივთიერებებისაგან, ამიტომ ნარჩენებს ღარიბ ქვეყნებში მარხავენ, რითაც მათ თავისებურ სანაგვეებად აქცევენ. პლანეტის გადაქცევა ერთიან ეკონომიკურ სისტემად, რომელიც მხოლოდ საერთოდ საბაზრო პრინციპებით, ანუ მყისიერი მოგებებით იმართება, მსგავს პროცედურას იოლად განსახორციელებელსა და ხელსაყრელს (განვითარებული ქვეყნებისათვის) ხდის.

დღესდღეობით სხვადასხვა ქვეყნის მიერ ატმოსფეროს და ოკეანის დაბინძურებაში შეტანილი წვლილი ძალზე განსხვავდება. მაგალითად, ნახშირბადის გამონაბოლქვი წიაღისეული სათბობის დაწვით ერთ სულ მოსახლეზე მერყეობს 5,3 ტ-დან აშშ-ში; 2,4 ტ-მდე იაპონიაში და 0,3 ტ-მდე – ინდოეთში, [4].

შესაბამისად, განვითარებული ქვეყნები პრაქტიკულად თავისთვის ისაკუთრებენ საერთო პლანეტარული რესურსების დიდი ნაწილის გამოყენებისა და სარგებლობის უფლებებს.

იმის დამადასტურებელი საბუთი, რომ ჩვენ ვკარგავთ ბიოლოგიურ სახეობათა მრავალფეროვნებას, სულ უფრო და უფრო მეტია. გაეროს გარემოს დაცვის პროგრამის მონაცემთა თანახმად, XX საუკუნის ბოლოს დედამიწაზე ითვლება 22 მლნ სახეობა, მათგან დაახლოებით 1,5 მლნ მეცნიერების მიერაა აღწერილი. დაახლოებით 7 მლნ, ე. ი. 4-ჯერ მეტი შეიძლება დედამიწის პირისაგან აღიგავოს უახლოეს ოცდაათ წელიწადში. უმაღლეს ცხოველთა შორის 3/4 სახეობის ფრინველი პოპულაციის რაოდენობას კარგავს და, ზოგიერთი დამკვირვებლის მტკიცებით, ძუძუმწოვართა რაოდენობის 1/4 გაქრობის საფრთხის წინაშეა. ყოველწლიურად ქრება სასოფლო-სამეურნეო კულტურათა ჯიშები და მხოლოდ ზოგიერთი მათგანია წარმოდგენილი გენეტიკური მასალის მსოფლიო კოლექციებში. ველური ჯიშების საქმე კიდევ უფრო უარესადაა. ბიოლოგიური მრავალფეროვნების დაკარგვის ძირითადი მიზეზია თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო ტექნოლოგია, გაგეღურება, საცხოვრებელი გარემოს დარღვევა; ყველა ამ ფაქტორს უშუალო კავშირი აქვს ეკონომიკურ განვითარებასთან. მსოფლიოს ყველა ქვეყნიდან სწორედ განვითარებადი ქვეყნებია ყველაზე მდიდარი ბიოლოგიური მრავალფეროვნების თვალსაზრისით. ამ ქვეყნებზე ხორციელდება მძლავრი ზემოქმედება ბიოლოგიური მრავალფეროვნების დაცვის მიზნით. დედამიწის პირველქმნილი ტყეების მხოლოდ 20% არის მსხვილ, შედარებით ბუნებრივ ეკოსისტემათა ტერიტორიაზე ანდა სასაზღვრო ტყეების კატეგორიაში შედის. 76-მა ქვეყანამ სავსებით დაკარგა თავისი სასაზღვრო ტყეები, ხოლო შენარჩუნებული სასაზღვრო ტყეების 70% მხოლოდ სამ ქვეყანაშია – ბრაზილიაში, კანადასა და რუსეთში. მცენარეთა დანარჩენი სახეობის 90% აფრიკაში, აზიასა და ლათინურ ამერიკაშია. მიუხედავად ამ სახიფათო ტენდენციებისა, კონვენცია ბიოლოგიურ მრავალფეროვნებაზე და გლობალური ეკოლოგიური ფონდი თავისთავად

პირველ მნიშვნელოვან ნაბიჯს წარმოადგენს ბიოლოგიური მრავალფეროვნების შენარჩუნების საქმეში.

განხილულიდან ანალიზის გარეშეც ნათლად ჩანს საერთაშორისო ეკოლოგიური პრობემების უარყოფითი ზეგავლენა ეკონომიკაზე, მისი მასშტაბურობა და გარკვეული სამომავლო საფრთხე. მარტო მიწის სავარგულებისა და ტყის მასივების დანაკარგებით თუ ვიმსჯელებთ, ამჟამად მსოფლიო ეკონომიკა, ეკოლოგიური პრობლემების გამო, ყოველწლიურად კარგავს მსოფლიო მიწის სავარგულის 1/4 ფართზე მოწეული პროდუქტების ღირებულებას, რომ არაფერი ვთქვათ ამ პროდუქტების გადამუშავებით მიღებულ დამატებით ღირებულებაზე. ამდენად, გლობალური პრობლემების დასაძლევად ან შესარბილებლად ღონისძიებების გატარება მსოფლიო საზოგადოებისათვის შემოსავლის მიღების დამატებითი წყარო ხდება.

გლობალურ ეკოლოგიურ პრობლემებს თუ განვიხილავთ მათი არარსებობის თვალსაზრისით, დავინახავთ, რომ ეკონომიკის სფეროში უაღრესად დადებითი ძვრები გვეჩვენება, მსოფლიოს ეკონომიკური ზრდა არნახულ დონეს მიაღწევდა. ეკოლოგიური პრობლემებით გამოწვეული ზარალი შემოსავლად გადაიქცეოდა, პრობლემების დაძლევაზე გაწეული ხარჯები დაიზოგებოდა ან საზოგადოების კეთილდღეობას მოხმარდებოდა. როგორც ვხედავთ, ეკოლოგიური გლობალური პრობლემების ეკონომიკური ასპექტების ვიწრო ჭრილში განხილვაც აქსიომატურს ხდის, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მათ დაძლევის ან შერბილების მსოფლიო საზოგადოებისათვის.

დღევანდელ პირობებში მნიშვნელოვანი ყურადღება ექცევა საერთაშორისო მასშტაბით არსებული ქვეყნების შეიარაღებისა და განიარაღების პრობლემებსაც. ეს ისეთი სფეროა, რომელიც შთანთქავს უამრავ საწარმოო რესურსს, რომელთა გამოყენება უშუალოდ არ აუმჯობესებს საზოგადოებრივი ცხოვრების პირობებს. სამხედრო სფეროში ჩართულია უამრავი მიწის, კაპიტალის და შრომითი რესურსი. გასული საუკუნის ბოლოს მსოფლიოში არმიის რიგებში მყოფთა რაოდენობამ 40 მლნ ადამიანი შეადგინა. უშუალოდ სამხედრო წარმოებაში მუშაობდა 10 მლნ; ხოლო სამხედრო საქმეებზე დასაქმებული იყო მსოფლიო მეცნიერ-მუშაკების 1/4. რაც შეეხება მსოფლიო სამხედრო ხარჯებს, იგი ყოველწლიურად 1 ტრილიონ დოლარს უდრიდა. არანაკლებ ხარჯებს ითხოვს განიარაღებაც, რაკეტების განადგურება, სამხედრო წარმოების სამოქალაქო წარმოებად გარდაქმნა და ა. შ. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, სასურველი იქნებოდა, შეიარაღებასა და განიარაღებაზე გაწეული ხარჯები აქაც სამოქალაქო წარმოებასა და მომსახურებაზე წასულიყო.

საერთაშორისო შეიარაღებისა და განიარაღების პრობლემა მოსახლეობის ტოტალურ განადგურებას უქმნის საშიშროებას.

თანამედროვეობის დამახასიათებელი ნიშანი გახდა ხელისუფლებისათვის ბრძოლის სიმძიმის ცენტრის გადატანა ეკონომიკურ სფეროში. პრობლემები, რომლებიც საუკუნეობით იარაღის ძალით წყდებოდა, ბოლოს და ბოლოს ფინანსებისა და ინფორმაციის საფუძველზე წყდება. ეკონომიკურმა ომებმა ბევრად შეცვალა ჩვეულებრივი საბრძოლო ომები.

ყოველივე ეს გლობალიზაციის ფენომენს უკავშირდება. განსხვავებული მოსახურებები არსებობს მისი ისტორიული ბუნების, მამომძრავებელი ძალების, საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროზე მისი ზემოქმედების შედეგების შეფასების თვალსაზრისით. იგი წამყვანი, გაბატონებული, თუმცა მსოფლიო განვითარების არამონოპოლიურად განმსაზღვრელი ტენდენციაა.

გლობალური პრობლემების შერბილებისა და გადაწყვეტისაკენ მიმართული ღონისძიებები დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე, როგორც მეცნიერულ კვლევებზე, ისე ეკონომიკურზე, პოლიტიკურსა და სხვა მოვლენებზე, რომლებიც არსებობს ცალკეულ ქვეყნებსა და საერთაშორისო მასშტაბით.

თანამედროვე პირობებში გლობალური პრობლემების მასშტაბის ზრდა და მათი ხარისხის სიმწვავე ითხოვს, სახელმწიფოთა ინტენსიურ, კონსტრუქციულ და გადამწყვეტ მოქმედებებს, ეს არის სახელმწიფოებისა და მსოფლიო ხალხთა უპირველესი ამოცანა.

სადავო არ არის ის ფაქტი, რომ მთელი ეკონომიკური სისტემა უნდა ემსახურებოდეს ადამიანს, მისი კეთილდღეობის გაუმჯობესებას, რადგან ადამიანი ბუნების ყველაზე დიდი სიმდიდრეა. ადამიანის და ბუნების სხვა შვილთა სიცოცხლე და კეთილდღეობა დედამიწაზე თავისთავად ღირებულებაა. კაცობრიობას არ აქვს უფლება, გაანადგუროს დედამიწაზე არსებული რესურსების მრავალფეროვნება საკუთარი სასიცოცხლო მიზნების დაკმაყოფილებისათვის.

ადამიანმა თავისი გამომგონებლობა და ტექნოლოგიები უნდა მიმართოს დედამიწის სასიცოცხლო სისტემების უსასრულოდ სამართავად ადამიანთა კეთილდღეობისათვის.

თუმცა, ახალი ტექნოლოგიების ათვისების შედეგად ბუნებაში მიიღება სხვადასხვა ნივთიერებები, მათი დაგროვება მავნე გავლენას ახდენს როგორც ლითო, ისე ჰიდრო და ატმოსფეროზე. ისინი არღვევენ დედამიწის ოზონურ შრეს და ა. შ.

გლობალიზაციის პირობებში უფრო მეტად ჩქარდება ტექნოლოგიების სრულყოფა და ინოვაციების გავრცელება მსოფლიო მასშტაბით, რაც სასარგებლოა მოსახლეობისათვის, რადგან თანამედროვე ეტაპზე სწორედ ინოვაციებია მიხნეული გლობალური პრობლემების, მათ შორის ეკოლოგიური, სასურსათო, სიღარიბის, დემოგრაფიული და სხვ. გადაჭრის უმთავრეს საშუალებად.

დღეს მეცნიერება და ინოვაცია ქმნის ერთიან გლობალურ კომპლექსს, რომელშიც ახალი იდეები და აღმოჩენები სწრაფად ხდება მსოფლიო მეცნიერების კუთვნილება და საყოველთაო სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის გაძლიერების ფაქტორი.

გლობალიზაცია შესაძლებელს ხდის, გლობალური ეკოლოგიური პრობლემები გადაიჭრას მსოფლიო თანამეგობრობის ძალისხმევით გაერთიანების შედეგად.

თანამედროვე პირობებში დიდ მნიშვნელობას იძენს ეკოლოგიური უნარჩენო ტექნოლოგიების შექმნა, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს მსოფლიოს მდგრადი ეკონომიკური განვითარების საქმეში.

ამ ტექნოლოგიების მიზანი უნდა გახდეს ჩვენი ბუნებრივი რესურსების დაცვის სფეროში დაბალანსებული მიდგომის პოვნა განახლებადი და ალტერნატიული ენერჯის ისეთი წყაროს გამოყენებით, როგორცაა ქარისა და მზის ენერჯია და ბიომასა. ეკოლოგიურად მდგრად ტექნოლოგიებში ჰევიანური ინვესტიცია შესაძლებლობას მისცემს ამა თუ იმ ქვეყანას, მოწინავე პოზიციები დაიჭიროს საერთაშორისო კონკურენტებთან მიმართებაში.

ახლო მომავალში ტრანსპორტისათვის საწვავად წყალბადის გამოყენება შესაძლებელია დიდი ქალაქების უმწვევარესი ეკოლოგიური პრობლემის – გარემოს, პირველ რიგში კი საჰაერო აუზის დაბინძურების – გადამწვევტად იქცეს. საკმაოდ იაფი წყალბადის საწარმოებლად, რომელიც გამოყენებული იქნება საწვავად, აუცილებელია იაფი ელექტროენერჯის წყარო. ეკოლოგიურად სუფთა განახლებადი მზის სხივების ენერჯის წყალობით არსებობს სიცოცხლე დედამიწაზე, მისი მნიშვნელოვანი ნაწილის გარდაქმნით არის წარმოქმნილი ეკოლოგიურად სუფთა წყლისა და ქარის ენერჯიები. აღნიშნული ენერჯიის აკუმულირებასა და ფართომასშტაბიან გამოყენებას ელექტრული ენერჯიისა და ეკოლოგიურად სუფთა წყალბადის საწვავის სახით, მთლიანად შეუძლია კაცობრიობის მზარდი ენერჯეტიკული მოთხოვნილების დაკმაყოფილება.

თანამედროვე პირობებში სიმდიდრე იძლევა იმის საშუალებას, რომ ადამიანები უფრო მეტად დაინტერესდნენ გარემოს ხასიათით, გამოძინარე იქიდან, რომ მდიდრები იყენებენ დიდი რაოდენობით რესურსებს და წარმოქმნიან ასევე დიდი რაოდენობით ნარჩენს. სიმდიდრე იძლევა ახალი ტექნოლოგიების განვითარების შესაძლებლობებს გარემოში დამაბინძურებლების გაფრქვევის, გარემოს დეგრადაციისა და რესურსების უარყოფითად გამოყენების შესამცირებლად.

აშშ-სა და ბევრ მდიდარ ქვეყანაში ჰაერი, წყალი, მდინარეებისა და ტბების უმრავლესობა უფრო სუფთაა, ვიდრე 1970-იან წლებში იყო.

სიმდიდრე იძლევა შესაძლებლობას, დაფინანსდეს გარემოს ხარისხის გასაუმჯობესებელი ღონისძიებები, რომლებიც გამყარებულია მეცნიერული კვლევებითა და ტექნოლოგიური მიღწევებით.

ეკოლოგიური პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი და ამოსავალი წერტილი უნდა გახდეს დედამიწის დაცვა მომხმარებლური დამოკიდებულებისაგან, რათა უზრუნველყოთ მომავალი თაობების უსაფრთხო გარემოს შენარჩუნება.

ბუნებრივ გარემოს გააჩნია წონასწორობის შენარჩუნების საკმაოდ განსხვავებული მექანიზმები. კაცობრიობამ ან უნდა შეამციროს თავისი ნეგატიური ზემოქმედება ბუნებაზე, ან გააძლიეროს ბუნებრივი საკომპენსაციო მექანიზმები ხელოფურთა ხარჯზე. ამ სფეროში შეიძლება გამოვყოთ რამდენიმე განსაკუთრებით მწვავე გლობალური პრობლემა, რომელთა გადაწყვეტა აუცილებელია კაცობრიობის გადასარჩენად. ეს შესაძლებელია მხოლოდ მთელი მსოფლიო თანამეგობრობის ძალისხმევით. მათ შორისაა დედამიწის კლიმატის გლობალური ცვლილებები, ოზონის ფენის გათხელება და ოზონის ხვრელები, სურსათის გლობალური უკმარისობა, ტყეების გაჩეხვა და კაცობრიობის ჟანგბადით შიმშილი, სახიფათო დემოგრაფიული ზრდა, მსოფლიო ომის საფრთხე, ლოკალური ბირთვული კონფლიქტები, რომელსაც კატასტროფული ეკოლოგიური შედეგები მოაქვს მთელი მსოფლიოსათვის. კაცობრიობა ვერ მოახერხებს ხანგრძლივი და მდგრადი განვითარების უზრუნველყოფას, თუკი ვერ შეძლებს უკუკავშირის საიმედო კონტრულების შექმნას, რომლებიც პლანეტარული მასშტაბით გააკონტროლებს ეკოლოგიური და სოციალური პროცესების განვითარებას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აბესაძე რ., ეკონომიკური განვითარება და ეკონომიკური რეგრესი. თბ., 2014.
2. დვალისვილი ლ. ატმოსფეროს დაცვა – ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გარემოსდაცვითი პრობლემა საქართველოში. თსუ პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის შრომების კრებული, ტ. VIII, პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბ., 2015.
3. დვალისვილი ლ. გლობალური ეკოლოგიური პრობლემები და მდგრადი განვითარების ეფექტი. თსუ პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის შრომების კრებული, ტ. V, პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბ., 2012.
4. ვეშაპიძე შ., გრიშიკაშვილი ა., ლეკაშვილი ე., ასლამაზიშვილი ნ. მსოფლიო ეკონომიკა, თბ., 2008.
5. მოვსესიანი ა., ოგნიცევი ს. მსოფლიო ეკონომიკა. სახელმძღვანელო, ტ. I, რუსულიდან თარგმნა პროფ. შ. ვეშაპიძემ. თბ., 2003.

6. პოლ პერსტი, გრემ ტომპსონი. გლობალიზაცია. კრიტიკული ანალიზი. გამომც. „დიოგენე“, I, ქართ. გამომც. თბ., 2005.
7. www.wikipedia.org.ge
8. ka.wikipedia.org
9. greenalt.org
10. moe.gov.ge
11. ec.europe.eu
12. ekologia.blogpost.com
13. intermedia.ge

Lia Dvalishvili

INTERNATIONAL GLOBAL PROBLEMS AND THEIR ECONOMIC ASPECTS

Annotation

International global problems by their scales and significance are specific phenomena and processes in modern world.

In current conditions the growth of scales of international global problems requires the intensive constructive and decisive activities of state. This is the prime objective of world states and people.

People must direct their ingenuity and technologies to manage world living systems for their welfare.

*Vazha Kakabadze
Nana Maisuradze*

EU, RUSSIA, GEORGIA, UKRAINE – ANALYSIS AND FORECAST

EU and Russia: Legal bases of Russia-EU cooperation were laid in 1984 and acquired the bipolar disorder syndrome from the very beginning. The causes of disorder are the maniacal political ambitions, namely:

From the side of Europe: To tame Russia – impossible because of Russia’s increasing military potential; **from the side of Russia:** To dominate the world, proved by annexation of Georgia (Abkhazia, Samachablo), wars in Ukraine and Syria.

From the side of Europe: Full annexation of Russian market – managed to a certain extent, but it has become dependent on the Russian market; **from the side of Russia:** Increased economic dependency of Western countries on its natural resources, in particular: on oil and gas - the issue became urgent in 2003, when the US and The Great Britain invaded Iraq and toppled the government of Saddam Hussein, which led to increased confrontation between the energy-rich and the dependent on them countries. The energy security is the major problem for EU in relation with Russia, where Russia has always effectively managed to cause dissension among the EU member states. At the moment, Russia is actively seeking to establish an asymmetric interdependence with the European Union. Russia is trying to create an environment in which the European Union is more dependent on Russia than Russia would be on the EU. In addition, demand for energy in China and India is increasing further exacerbating the political ambitions of Russia.

From the side of Europe: an attempt to shift the transit routes to the south – till the eighteenth century the major trade routes were passing in the south of Russia leaving Russia out of economic and political games; **from the side of Russia:** The control over world transit routes - this is the double Trojan syndrome, the main reason of war between the Greek and the Trojan was the control over trade routes; currently, the situation is reflected in the following: Cyprus and Greece are defending Russia’s interest in EU and hamper the decision-making that led to the emergence of strategic pragmatism, namely: France, Germany, Italy, Spain and Finland have built their relations with Russia based on personal benefits that are far from the common (global) interests.

In general, it is obvious that the European Union can more easily cope with the problems posed by the Russian side if unified. It is also logical that the relationships between them should be direct and of bilateral benefit, but it is not like this and many Europeans perceive dependence on Russian energy, particularly on gas, as a threat since Russia uses gas as a political weapon and cannot be viewed as a reliable provider. In addition, Russia is effectively pursuing the policy of “divide and rule”: Russian Gazprom unities with different European companies in return for various economic and other types of benefits, it is planning the implementation of the same policy in Georgia as well.

The answer to the question if the bipolar disorder could be eliminated is no; it can only be weakened and it would be possible if Europe could produce its own gas, or if the gas pipelines from east would cross the southern countries bordering Russia – i.e. Georgia, or if an area of mutual importance is found, where both sides recognize the interdependence on each other: in May 2003, at St. Petersburg summit, Russia and the EU agreed on creating four "common spaces" to enhance cooperation in the long term, they also signed the document of common interests and values. The agreement included cooperation in the following areas:

- Common Economic Space on economic and the environment issues;
- Common space on freedom, security and justice issues;
- Common space on external security, including crisis management and non-proliferation of nuclear weapon;
- Common space on research and education, including cultural aspects.

In May 2005 at Moscow Summit an action plan was drafted for identifying the needs to be addressed to ensure the executing the above-mentioned agreement. But, this remained just an attempt since the main cause of bipolar disorder is Russia, and as known in medicine this is a disease difficult to cure.

Let's review the "common spaces" of Russia-EU cooperation in more details:

Common Economic Space

As mentioned above, in May 2003, at St. Petersburg summit, Russia and the EU agreed to set up long-term cooperation economic action plan. It should be noted that in EU-Russia economic cooperation the energy resources are the most important component. It is well known that Russia is the world's largest producer of natural gas and together with Saudi Arabia, the largest oil exporter too. Russia holds 20% of the world's natural gas resources and 5% of the oil reserves.

The bilateral energy partnership between Russia and the EU is rather strong. The energy resources, which the EU purchases now from Russia contributes to current economic potential of the country and maintenance of the living conditions of its' population, otherwise the EC- sanctions over Russia could provoke another workers and peasants revolution in Russia. In turn, many EU countries depend on Russia's Gazprom, however, recently Europe is trying to gain energy independence from Russia by all means. In this regard, it is worth emphasizing that the European states are putting efforts in shale gas extraction, which is carried out with the help of the Americans. According to foreign media reports, the active works are underway for shale gas extraction in Europe as an alternative to the Russian gas. Up to 40 oil companies work in this direction in Europe. Oil giants such as "ExxonMobil" and "Royal Dach Shel", have already acquired licenses for shale gas production in Sweden, Poland, Germany, France and Austria. This, as analysts say, will significantly reduce the future dependence of Europe on Russian gas, and then Russia will stay out of political game of the Western countries and it will be forced to declare war against the energy-rich eastern states and create tension to Western countries by controlling them [4].

Common space on freedom, security and justice

With regard to Human rights the European Union issued following challenges with Russia: the human rights in Chechnya and in the rest North Caucasus, including torture and ill-treatment, freedom of expression and freedom of the media, civil society situation in Russia, especially in the direction of the situation of non-governmental organizations, the operation of judicial system, including independence of the court, to monitor the human rights protection by state law enforcement agencies, including racism and xenophobia, violations during elections. However, Russia continues to violate the human rights in annexed areas of Georgia (Abkhazia, Samachablo) (the harassment against ethnic Georgian population and against mixed families is common) in Crimea, in Ukraine.

Common Space on External Security

The EU and Russia have agreed to enhance cooperation on foreign security issues, because both of them have a special responsibility for the security and stability of the European continent and beyond.

The EU has a special interest in Russia in terms of stability on the European continent. The regional conflicts in Moldova (Transnistria) and in South Caucasus (Abkhazia, Samachablo and Nagorno-Karabakh) are regularly discussed. The EU also emphasizes on enhancing democracy in Belarus. The negotiations are underway in connection with the Transnistria conflict under the 5+2 format uniting 7 actors: Moldova, Transnistria, Russia, Ukraine, USA, OSCE and EU. As to the South Caucasus conflicts, the negotiations are underway under the Geneva Format. The mentioned discussions give partners a chance to express their opinions on this or that issue, and at the same time create a platform for joint decision-making, however, joint decisions are ineffective, because Russia does not want to renounce its own ambitions, in the contrary it is presented as a major political player, evidenced by the start of hostilities in Syria, creeping annexation in Georgia.

Common Space on research and development, education, culture

The main purposes of Russia-EU cooperation in this field are: Promotion of science, art and culture, the mobility of artists in different countries, intercultural dialogue and acquainting with the unique cultural heritage of the European people. But, here, too, it should be noted that Russia does not fulfill its commitments, and commits the redirection of historical affiliation of the cultural monuments, for example, the tenth century Bedia Monastery in Abkhazia in new historical studies is referred to as the Abkhaz cultural heritage by the Russians, and at the same time they try to separate Abkhazian and Georgian culture in favor of the Abkhazian one; the Russian archaeologists works within the frames of the "revival of South Ossetia" are worth mentioning. About this works on April 27, the director of the Tskhinvali Research Institute Robert Gagloev declared at the conference that on the occupied territory Russian archaeologists discovered significant artifacts of Stone Age. It is important that these artifacts were transported to Russia to be exhibited in Hermitage, i.e. they permanently left the Georgian historic values with them.

The confrontation between Ukraine and Russia and the sanctions imposed by the EU against Russia: Relations between Russia and Ukraine were escalated from November 2013, when under pressure from Russia Ukrainian President Viktor Yanukovich refused to sign an association agreement with the EU. This fact led to mass demonstrations in different cities of Ukraine. The epicenter of the demonstrations was in Kiev, on Independence Square. Later, the protest movement was given a name of "Euromaidan". The confrontation between the government and the "Euro-

maidan " ended on February 24, 2014 with the victory of "Euromaidan" as a result of which the Government of Ukraine fled the country.

After the victory of "Euromaidan" Russia started to openly support the destabilization in Ukraine. After a few weeks of Yanukovich's resignation, in March 2013, Russia held a referendum on the future status of the Crimean Peninsula. The majority of the participants in the referendum under the pressure from Russia voted for Crimea to join Russia. The international community did not recognize the results of the referendum; they accused Russia in annexation of Crimea and imposed sanctions. This was the first round of sanctions. The EU, the US, Canada, Norway, Australia and Japan restricted the entrance of those Russian and Ukrainian officials, who were directly related to the annexation of Crimea, but it looked more a childish behavior from the side of these states, this ineffective measure further encouraged Russia and it sparked new controversy in the eastern Ukrainian cities. Although the West intensified the second round of sanctions and the US and the European Union expanded both personal sanctions against Russian officials and blocked 17 of the Russian companies' business transactions in their area, but it was also a childlike decision, although shortly after the second round of the sanctions, the third round of sanctions followed. EC expanded its sanctions against 23 Russian citizens and 21 companies, but it also proved ineffective. EC's third round of sanctions covered most of the government-owned banks. An embargo was imposed on trade with Russia on energy and military technology. Despite the 3 rounds of sanctions, Russia still continued supporting the separatists and tried to increase the number of Russian troops and equipment on the territory of Ukraine; this was followed by a fourth round of sanctions from the European Union and the result was still zero. New EU sanctions were imposed against 22 Russian companies and 24 Russian government officials. The new sanctions covered big companies, such as: "Rosneft", "Gazpromneft", "Transneft", "Kalashnikov" and others. Companies were prohibited from attracting the capital from Western markets and they were restricted the access to technology. But, none of these sanctions brought any result, Russia continues its unlawful actions with the neighboring countries, the question arises whether the total isolation of Russia is necessary? In my opinion, such drastic measures are necessary. The economic sanctions imposed by the West towards Russia resulted, for example in negative trends in the Russian stock markets, gradually depreciating ruble (currency), the outflow of foreign capital; the international reserves are shrinking, consumer products are getting more expensive, economic growth forecast is decreasing from 3 to 0.5%, and unemployment is increasing. But, it is not enough to intimidate Putin.

If the EU and the US were more strict and well-timed with their sanctions against Russia, when it launched the war in Abkhazia and Samachablo (Tskhinvali region), we would not have the annexation of Crimea and the war in Ukraine, and now, as the British Foreign Minister, Philip Hammond quotes, Putin's actions, including the annexation of the Crimea and eastern Ukraine, use of Russian troops to destabilize the eastern Ukraine, threaten the security of sovereign states in Eastern Europe. Hammond also notes that - Vladimir Putin does not want to follow the world rules, which is why Russia is the most serious threat to Great Britain. We would add: Putin poses a threat to the world security as well.

Conclusion: Based on the reviewed material we may concluded that the crisis in Georgia and Ukraine proved to be an important turning point in the relations between Russia and EU and the EU sanctions played their part in the current negative processes underway in Russian economy. It is obvious that the Europe is trying to influence Russia with its sanctions and regulations, but this is just an attempt. Despite the fact that the conflicts in Georgia and Ukraine are now having the status of "frozen", it is a huge threat to Eastern Europe and then to the states of Central Europe as well.

References

1. Vobruba G., "Political potential of European Neighborhood", *Leviathan* 38 (2010), p.45-63
2. Delcour L., Tulmets E. "Pioneer Europe? The ENP as a Test Case for EU's Foreign Policy". *European Foreign Affairs Review* Vol. 14(2009), p. 503.
3. Fule S., "Speech of the European Commissioner for Enlargement and Neighborhood Policy at the Foreign Affairs Committee of the European Parliament", October 26 2010.
4. European Union Committee. *The EU end Russia: before and beyond the crises in Ukraine*. Authority of the House of L London. 2015.

Vazha Kakabadze
Nana Maisuradze

EU, RUSSIA, GEORGIA, UKRAINE – ANALYSIS AND FORECAST **Annotation**

The European Union as a political and economic union used to be based on the increasing integration [1, p.45-63]. But after the integration processes that took place in 2004 and 2007 the most of EC member states expressed concerns about the EU enlargement. In 2004 the concept of integration without enlargement evolved. This concept has been reflected in the ENP and its subsequent regional addition, known under the name of the EP. The critics of EU enlargement argued that from the geo-strategic point of view EC foreign relations and EC neighborhood was less important to Europe. However, the European Neighborhood Policy and the EP have become a subject of growing interest for the partner countries. EC neighboring countries perceive EC to be a major player in terms of both economical empowerment and security. In addition, EC neighborhood initiatives became especially important after the document "Evaluation of EU external relations" was released [2, p. 503]. The "reliable strong global player" status of EC depends

on whether EC will be able to positively influence the neighboring countries and the world security [3]. Partner countries and the researchers came to the conclusion that the ENP failed to meet the expectations – starting from its introduction in 2004, since it became obvious that bipolar disorder syndrome between the EC and Russia was intensifying. Consequently, in 2009 the EC developed a new program for the Eastern Partnership, as an ENP further eastern dimension. EaP – this is a bilateral and multilateral political initiative that is focused on 6 neighboring countries of Eastern Europe. This group includes 3 South Caucasian countries - Azerbaijan, Armenia, Georgia and Belarus, Moldova, Ukraine. Out of these states Armenia has a strongly pro-Russian orientation, Azerbaijan plays both ends, the same is true for Belarus, hence, Georgia, Moldova, Ukraine remain strictly of pro-European orientation having Russia as a main obstacle in its way. Russia now presents itself as an aggressor, which strives to restore the soviet empire, subordinate neighboring countries, create a structure such as the CIS or the Euro-Asian Union, which will oppose the EU and control the eastern states rich in natural resources and with huge markets, thus allowing Russia to dictate the policy course to the Western states.

The article reviews the bipolar disorder, which is characteristic to EU-Russian relations and finds its expression in:

From the side of Europe: to tame Russia. **From the side of Russia:** to dominate the world;

From the side of Europe: the full annexation of Russian market. **From the side of Russia:** increasing the dependence of European countries on its natural gas. **From the side of Europe:** Shifting transit routes to the south. **From the side of Russia:** controlling the world transit routes.

The article also briefly reviews the Russia-EU relations and their attitude towards Georgia and Ukraine, as well as the confrontation between Ukraine and Russia and in parallel to this conflict the sanctions imposed by the EU against Russia.

*გიორგი კვინიაძე
მამუკა ხუსკივაძე*

ისლამის ეკონომიკური მოღელი და ბიოეკონომიკური პარადიგმა

შესავალი

საქართველოს პოლიტიკურ-გეოგრაფიული და ისტორიული განვითარებიდან გამომდინარე, ისლამის საკითხებზე, სადაც ძირითადად რელიგიურ-იდეოლოგიური ასპექტებია განიხილული, მრავალი სამეცნიერო კვლევაა ჩატარებული და გამოქვეყნებული. რაც შეეხება საკითხის ეკონომიკურ და, მით უმეტეს, გეოეკონომიკურ მხარეს, ლიტერატურა ქართულ ენაზე მეტად მწირია. არადა, ბოლო წლებში საქართველოს ეკონომიკური კავშირები ისლამური სამყაროს ქვეყნებთან საკმაოდ გააქტიურებულია. ჩვენს ქვეყანაში ცალკული პროექტების დაფინანსებაზე მზადყოფნას გამოთქვამენ ისეთი ქვეყნები, როგორცაა: არაბთა გაერთიანებული საემიროები, თურქეთი, ირანის ისლამური სახელმწიფო, ქუვეითი და ა.შ. თუმცა, ინვესტიციების შემოდინება ჯერჯერობით ნელი ტემპებით მიმდინარეობს. ამის მიზეზი კი (გეოპოლიტიკურ ფაქტორებთან სინერგიაში), ერთი მხრივ, საქართველოს ეკონომიკის თავისებურება, ხოლო მეორე მხრივ, ისლამის ეკონომიკური მოღელის სპეციფიკაა.

წარმოდგენელი ნაშრომის აქტუალობა მრავალი მომენტიტაა განპირობებული. მაგალითად, ეკონომიკური მოღელების შედარებისას ხშირად გარკვეული ეჭვი იბადება იმის შესახებ, ვითომ ისლამური ქვეყნების სუსტი ეკონომიკური განვითარების მიზეზი უნდა ვეძებოთ მათ რელიგიურ მსოფლმხედველობაში, რომელიც შეუთავსებელია თანამედროვე საბაზრო ეკონომიკასთან. მსგავსი მოსაზრება, სადავო საკითხია. გაანია როგორი რაკურსით შევხედავთ მას. საქმე ისაა, რომ ცალკეული ქვეყნების მიხედვით ისლამური ეკონომიკური მოღელები (შეიძლება ეს ერთი შეხედვით გამოკვეთილად არ ჩანდეს) ცალკეული ნიუანსებით მაინც განსხვავდება ერთმანეთისაგან, რაც, უპირველეს ყოვლისა, მათი განსხვავებული ისტორიულ-გეოგრაფიული და ეკონომიკური განვითარების თავისებურებებით შეიძლება აიხსნას.

მოღელებს შორის განსხვავებას განსაზღვრავს ის დისპროპორციებიც, რომელიც არსებობს ისლამური სამყაროს ქვეყნების ეკონომიკურ განვითარებაში. ზოგიერთი ნავთობის ექსპორტიორი ქვეყანა, რომელიც ძირითადად სპარსეთის ყურის რეგიონში მდებარეობს, ნავთობის რენტის განაწილების ხარჯზე ფლობს ისეთ ეკონომიკურ პოტენციალს, რომელიც პოსტინდუსტრიული ქვეყნების ანალოგიური მაჩვენებლების საპირწონეა.

მაგალითად, ისლამური სამყაროს ისეთი ქვეყნები, როგორცაა: ყატარი, არაბთა გაერთიანებული საემიროები, საუდის არაბეთი და ქუვეითი, გლობალურ ეკონომიკურ რეიტინგებში წამყვან პოზიციებს იკავებენ. მსოფლიო ბანკის მონაცემებით, მსყიდველობითი უნარის პარიტეტის მიხედვით, მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) მაჩვენებლით მოსახლეობის ერთ სულზე ყატარი (140,649 \$) მსოფლიო რეიტინგებში პირველ, ხოლო ქუვეითი (73,246 \$) მეხუთე ადგილზეა (World Bank.2015).

ისლამური სამყაროს ეკონომიკურ პოტენციალზე აქცენტის გაკეთება მხოლოდ ახლო აღმოსავლეთის რეგიონზე სრულყოფილ წარმოდგენას ვერ შეგვიქმნის. აზიის რეგიონის ისეთი ქვეყნები, როგორცაა: მალაიზია და ინდონეზია, საკმაოდ ენერგიულად ახდენენ საკუთარი

ეკონომიკების მოდერნიზაციას, რითაც ზრდიან მის კონკურენტუნარიანობას და იუმჯობესებენ პოზიციებს გლობალურ ბაზრებზე (World Economic Forum, 2014–2015).

დღეს ისლამური სამყაროს საბანკო სისტემა მსოფლიო ფინანსური ბაზრის მზარდი სექტორია. ამჟამად, 2 ტრილიონ ამერიკულ დოლარზე მეტი ფინანსური პროდუქტის მიმოქცევა ხდება მსოფლიო ფინანსურ ბაზარზე. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ სისტემას ფუნქციონირება უწყვეს შარიათის კანონის ჩარჩოებში, რომლის მიხედვითაც ყველა რისკი, მოგება და ზარალი სამართლიანად უნდა განაწილდეს კონტრაგენტებს (ორივე მხარეს) შორის.

ისლამის ეკონომიკის შესწავლა, რომელიც დღეს საერო ეკონომიკური თეორიების ან ეკონომიკის ნეოკლასიკური მოდელების შეთანაწყობისაკენ მიისწრაფის ისლამის ფილოსოფიასა და სამართალთან შედარებით ახალი მოვლენაა (Nienhaus, 2010).

მაგალითად, 2013 წლიდან ისლამის ეკონომიკის კვლევებისათვის სპეციალური ჯილდოა (Islamic Economy Award) დაწესებული. მისი აღმატებულების, არაბთა გაერთიანებული საემიროების შეიხის, პრემიერ-მინისტრისა და დუბაის მმართველის მოჰამად ბენ რაშიდ ალ მაქთუმის პატრონაჟით, ჯილდო გადაეცემათ პირებს, რომლებმაც მსოფლიო დონის ინოვაციების და პროექტების შექმნით დიდი წვლილი შეიტანეს ისლამური ქვეყნების მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლების საქმეში (Islamic Economy Award, 2015).

ეკონომიკის გლობალიზაციის ეპოქაში უაღრესად რელევანტური ხდება ისლამურ სახელმწიფოთა ეკონომიკური მოდელების გეოეკონომიკური ასპექტის შესწავლა (გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ ჩვენი ქვეყნის გეოეკონომიკური იტერესების არეალში ხდება ენერგომატარებლებით მდიდარი ზემოთ დასახელებული ისლამური ქვეყნები).

რაც შეეხება პრობლემის შესწავლის დონეს, საინტერესო ფაქტია, რომ ყველაზე ადრეული პუბლიკაციები ამ სფეროში არა არაბული სამყაროს წამყვან ისლამურ უნივერსიტეტებში, არამედ აზიაში გაჩნდა. ინდოეთში მცხოვრები მუსლიმანების ძალისხმევა (1930-ანი წლების დასაწყისი) მიმართული იყო მუსლიმანური სახელმწიფოს შექმნისაკენ (ინგლისის პარლამენტმა 1929 წ. ინდოეთს მიანიჭა ინგლისის იმპერიის დომინიონის სტატუსი) მას შემდეგ, რაც ინდოეთი დატოვა დიდმა ბრიტანეთმა (1947), ინდოეთში გაჩაღდა დებატები ისლამის ეკონომიკურ სისტემასთან დაკავშირებით. ეს დებატები საკმაოდ ხანგრძლივი გამოდგა და 1960-იან წლებში გაგრძელდა (Nienhaus, 2010). 1950-ანი წლებიდან ანალოგიური დებატები მიმდინარეობს ასევე არაბულ სამყაროში, რაც ასევე დაკავშირებული იყო დეკოლონიზაციის პროცესებთან. როგორც ჩანს, ისლამის ეკონომიკის ის ძველი დებულებები დღესაც ძალზე აქტუალურია.

ნაშრომი მიზნად ისახავს იმის გარკვევას, თუ რას წარმოადგენს ისლამის ეკონომიკური სისტემა და რამდენად თავსებადია იგი თანამედროვე გეოეკონომიკურ პარადიგმასთან.

* * *

პირველად ტერმინი „ისლამური ეკონომიკა“ 1947 წელს გამოჩნდა ინდოელი მეცნიერის ს. გილანის ნაშრომში „ისლამური ეკონომიკა“, რომელშიც აღწერილი იყო ისლამის შესატყვისი რაღაც იდეალური ეკონომიკური მოდელი. სხვა მეცნიერთა ნაშრომებში „ისლამური ეკონომიკა“ განიხილება, როგორც სოციალური მეცნიერება, რომელიც სწავლობს ადამიანთა ეკონომიკურ პრობლემებს ისლამური ფასეულობების პრიზმაში (მაგალითად, მანანი); როგორც მუსლიმანის ქცევის ნიმუში ტრადიციულ მუსლიმანურ საზოგადოებაში (მაგალითად, ნაკვი) და ა.შ. ცალკეული ავტორები თვლიან, რომ „ისლამური ეკონომიკა“ არის ცოდნის დარგი, რომელიც ეხმარება ადამიანებს, მიღწიონ კეთილდღეობას შეზღუდული რესურსების განაწილებით, ისლამური სარწმუნოების მეშვეობით, ისე რომ, არ შეიბღალოს ინდივიდუალური თავისუფლება და არ შეიქმნას არც მაკროეკონომიკური, არც ეკოლოგიური დისბალანსი (მაგალითად, Chapra, 1996).

ისლამურ ეკონომიკაში მუსლიმანი მკვლევრები თავიანთი მიდგომების მიხედვით სამ ჯგუფად შეიძლება დაყვით: პირველ ჯგუფში შედიან ე.წ. „კონსერვატორები“, რომლებიც თვლიან, რომ ყურანსა და სუნაში ამომწურავადაა ჩამოყალიბებული ძირითადი ეკონომიკური კანონები და არ არსებობს ისლამური ეკონომიკის სპეციალური სისტემის დამუშავების აუცილებლობა, შეიქმნას სპეციალიზებული ინსტიტუტები, როგორც თანამედროვე ფინანსური სტრუქტურების ალტერნატივა; მეორე ჯგუფი აერთიანებს „სკეპტიკოსებს“, რომლებიც ისლამსა და ეკონომიკის ცნებას შორის ვერ ხედავენ ვერავითარ კავშირს (მაგალითად, Erdogan, 2013). მათი აზრით, ეკონომიკას, როგორც ასეთს, არ გააჩნია რელიგია. ეკონომიკური განვითარების მთავარ აქტორად მიჩნეულია ჰუმანიზმი, ინფორმაცია და ფულად-საკრედიტო პოლიტიკა. მესამე ჯგუფს კი პირობითად „ზომიერი ლიბერალები“ შეიძლება ვუწოდოთ, ისლამური ეკონომიკა მსოფლიო ეკონომიკური აზრის განვითარების ერთ-ერთი მიმართულებაა. ამ ჯგუფის ჩარჩოებში ერთნი ფიქრობენ, რომ ისლამური ეკონომიკა წარმოადგენს ლიბერალური ეკონომიკის ალტერნატივას, ხოლო მეორენი ისლამურ ეკონომიკურ მოდელს განიხილავენ ტრადიციული ეკონომიკური მეცნიერების პრიზმაში. ისლამის ეკონომიკური მოდელის ალტერნატიულობის მომხრეები მიუთითებენ, რომ ამ მოდელში გადალახულია ის მინუსები, რომელიც ახასიათებს როგორც ლიბერალურ, ასევე სოციალისტურ ეკონომიკას.

იმისათვის, რომ უკეთ გავერკვეთ მოდელის სპეციფიკაში, სასარგებლოა გამოვყოთ ისლამური ეკონომიკის ძირითადი გეოეკონომიკური შემადგენელი, რომელიც შემდგენიერად წარმოადგება:

სესხის საპროცენტო განაკვეთის არარსებობა. ეს არის ისლამური ფინანსების ძირითადი განსხვავება ტრადიციული საგანგებოდ. ამდენად, ისლამისტი ეკონომისტები უპირატესობას ანიჭებენ „კაპიტალის ეფექტურობის“ კატეგორიას, ისეთი მოვლენის მაგივრად, როგორცაა ტრადიციული ეკონომიკისათვის დამახასიათებელი „ფულის ფასი“; სტაბილურობა. ისლამის ფინანსური სტრუქტურა დაკავებულია არა ვირტუალური ფულის ნაკადებით, არამედ ინვესტიციებით რეალურ წარმოებაში, რაც საშუალებას აძლევთ, თავი აარიდონ დეფოლტს და უკეთ გაუმკლავდნენ ფინანსურ კრიზისებს; აქცენტები. ამ ეკონომიკურ მოდელში ძირითადი აქცენტი კეთდება პირველადი მოთხოვნილების საქონელსა და საბაზო მომსახურებაზე ეკონომიკის დარგების კრედიტირებისას; პრეფერენცია. საინვესტიციო პროექტების შემუშავებისას უპირატესობა ენიჭება გრძელვადიან ფინანსირებას, განსაკუთრების სხვა საწარმოების საწესდებო კაპიტალის მონაწილეობით; მხარდაჭერა. ისლამური ეკონომიკის ქვეყნების მთავარი ელემენტია მცირე ბიზნესის მხარდაჭერა, რომელიც მთელი ეკონომიკური სისტემის სტაბილურად განვითარების საშუალებას იძლევა; აუცილებელი პირობა. ქველმოქმედება და სოციალური პასუხისმგებლობა ისლამის ფინანსური სტრუქტურების საქმიანობის აუცილებელ პირობას წარმოადგენს; დასაყრდენი. ისლამურ ეკონომიკაში ფინანსირება ეყრდნობა აწონილ საინვესტიციო პოლიტიკას, წარმოების აქტიურ ფინანსირებას და საბანკო მომსახურების მიმზიდველობას.

გეოეკონომიკურ კონტექსტში საინტერესოა იმის აღნიშვნა, რომ, ისტორიულად, პრაქტიკულად არ არსებობდა განსხვავება საერო და სასულიერო ხელისუფლებას შორის. სახელმწიფოს მეთაური (ხალიფა) იმავედროულად წარმოადგენდა უმაღლეს სასულიერო პირს. მოდელის გეოეკონომიკურ არსს განსაზღვრავს ეკონომიკაში სახელმწიფო სექტორის უდიდესი წილი. საქმე ისაა, რომ ისლამში არსებობს ცნება „უმმა“, რომელიც „საერთოდ უარყოფს ეროვნულ დაყოფას და ყველა მუსლიმანი ერთიანი საზოგადოების წევრად მიიჩნია. შესაბამისად არსებობს ერთიანი ისლამური საზოგადოება, მუსლიმანი ხალხი და ისლამური კულტურა“ (დავითაშვილი, 2003, 266). იმდენად, რამდენადაც ეკონომიკის ამა თუ იმ სფეროს „უმმასათვის“ გააჩნია სტრატეგიული მნიშვნელობა, მაშინ ის უნდა გაკონტროლდეს არა ცალკეული მუსლიმანების, არამედ მთლიანად „უმმას“ მიერ, მათ შორის სახელმწიფო აპარატის გამოყენებით. იმის გამო, რომ ეს საზოგადოება იმართება შარიათის კანონებით, მისი გეოეკონომიკური მოდელი სოციალურ საბაზრო ორიენტაციას ავლენს (შემთხვევითი არაა, რომ სავალდებულო მოწყალეობა „ზაკიატი“ ისლამური რელიგიის ერთ-ერთი საყრდენი ბოძია). ამდენად, მორწმუნეთა მიერ თავიანთი რელიგიური ვალდებულებების შესრულება წარმოადგენს მათი ეკონომიკური აქტივობის ორგანულ შემადგენელ ნაწილს (მესხია, 2009).

პარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი ნოა ფელდმანი თავის წიგნში – „ისლამური სახელმწიფოს აღმავლობა და დაცემა“ – მიუთითებს, რომ ისტორიულად არსებობდა ერთგვარი დაუწერელი კონსტიტუცია, შეთანხმება ისლამის უმაღლეს საერო და სასულიერო პირებს შორის. მმართველი თანხმდებოდა, დაენერგა შარიათი, რომლის სანაცვლოდ მუსლიმი განმანათლებლები მას ლეგიტიმურად ცნობდნენ. როდესაც დასავლური ინსტიტუტების შემოღებისას საერო პირებმა სასულიერო წრეების გვერდის ავლა დაიწყეს, გაჩნდა პრობლემები.

მაგალითად, ისლამურ სახელმწიფოთა ექსპანსიის ისტორიული ორიენტაცია მოითხოვდა სატრატეგიულად მნიშვნელოვანი საწარმოების სახელმწიფოს ხელში თავმოყრას. კერძო კაპიტალი ძირითადად თავმოყრილი იყო ვაჭრობის, კვების და მსუბუქი მრეწველობის, ასევე საცალო ვაჭრობის და მედიაციის სფეროში. ოსმალური იმპერია XIX საუკუნის დასაწყისში დაეცა, ბევრი, ამგვარი ბალანსისგან თავისუფალი იმპერიის შემკვიდრე სახელმწიფოებში ავტორიტარულ მმართველობას დაექვემდებარა. არაბ ხელისუფალთა „შემოდგომაში“ და დიქტატორების დაცემაში შარიათი და ბალანსის აღდგენა კვლავ აქტუალური გახდა (Feldman, 2008).

თვით საერო, მაგრამ ისლამური ფესვების მქონე სახელმწიფოებშიც კი (მაგალითად, თურქეთი) სახელმწიფო სექტორის წილი ეკონომიკაში მეტია ვიდრე ევროკავშირის და ჩრდილოეთ ამერიკის თავისუფალი ვაჭრობის ქვეყნებში. ეკონომიკის „სოციალისტურ“ მოდელთან (არაკლასიკური „საბჭოთა“ გაგებით, ვინაიდან საბჭოთა სოციალიზმი სრულიად განსხვავდება ისლამური ე.წ. სოციალიზმისაგან, სადაც კერძო საკუთრებაა დაშვებული) ძალზე მიახლოებულია ირანი, სადაც ისლამური რევოლუციის შემდგომ ნაციონალიზებულ იქნა ნავთობისა და ნავთობგადამამუშავებელი, ასევე სხვა სტრატეგიულად მნიშვნელოვანი საწარმოები. აღარაფერს ვამბობთ იმაზე, რომ ევროპისა და ჩრდილო ამერიკისაგან განსხვავებით, ისლამურ სამყაროში დღესაც კი ძალზე ცოტაა ქვეყნები, სადაც მიწაზე კერძო საკუთრებაა.

აღნიშნული ფაქტორის გამო ისლამის უმეტეს ქვეყნებში დღესაც ძალიან ძნელია სოციალური აფეთქების მარტივად პროვოცირება იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ამ ქვეყნების ყველა რგოლის ბიუროკრატია ცდილობს, შეარბილოს საზოგადოების სოციალური სტრატეგიკაცია მოსახლეობის ყველაზე დატაკი ფენებისათვის მიზნობრივი დახმარების გაწვევის ხარჯზე, რომელიც ხორციელდება რელიგიური ორგანიზაციების ან მეჩეთების დახმარებით. აღნიშნულის გამო, „ოლიგარქიის“ ცნება კლასიკური ევროპული გაგებით ამ ეკონომიკურ მოდელში არ გვხვდება.

მოდელის დადებით მხარედ შეიძლება მივიჩნიოთ ის, რომ იგი საკმაო მოქნილობას ავლენს ნავთობით მდიდარ ქვეყნებში. მათ თავისუფლად შეუძლიათ ისეთი მსხვილმასშტაბიანი ეკონომიკური პროექტების განხორციელება, რომლებიც დიდ კაპიტალდაბანდებებს მოითხოვს.

სწორედ მსგავსი მოდელი გახდა იმის წინაპირობა, რომ მუსლიმანურ ქვეყნებში თავის დროზე მხარდაჭერილი იყო სოციალისტური იდეები, რითაც სარგებლობდა კიდევ საბჭოთა იმპერია. მოდელის ყველაზე სუსტი წერტილია კორუფცია, ვინაიდან ძლიერი სახელმწიფო სექტორის არსებობა გულისხმობს სახელმწიფოს მრავალრიცხოვანი მოხელეების, სახელისუფლებო ბიუროკრატის არსებობას. ამ ინსტიტუტებს კი გააჩნიათ ჰიპერტროფული ზრდის ტენდენცია. მეორე სუსტი მხარე პირველიდან გამომდინარეობს და უკავშირდება ნეპოტიზმის და კლანების არსებობას ხელისუფლების მაღალ ეშელონებში. ფაქტობრივად, რიგი უწყებები და სახელმწიფოს ხელში არსებული ეკონომიკის რიგი სტრატეგიული დარგები ცალკეულ ოჯახებს აქვთ პრივატიზებული.

აღნიშნული ხარვეზების გამოსწორებას ცდილობს ისლამური კონფერენციის ორგანიზაცია (OIC), რომელიც ერთ-ერთი ყველაზე ავტორიტეტული ორგანიზაციაა ისლამურ სამყაროში და აქტიურად თანამშრომლობს ევროკავშირის შესაბამის სტრუქტურებთან. ორგანიზაცია აერთიანებს 57 ქვეყანას 1,2 მილიარდი მოსახლეობით, საიდანაც 22 ყველაზე ნაკლებად განვითარებული ქვეყნების ჯგუფს მიეკუთვნება. ორგანიზაცია მოწოდებულია, შეიმუშაოს პროგრამები ისლამური ქვეყნების ერთობლივი მოქმედებებისათვის ეკონომიკის სფეროში. ასევე მოახდინოს მათი ანალიზი და კოორდინაცია. ორგანიზაციის ექსპერტების აზრით, ისლამური სამყაროს მთავარი პრობლემა ეკონომიკის მყიფე მდგომარეობა და თნამედროვე ტექნოლოგიებთან ხელმისაწვდომობაა. პრობლემის მოგვარებას ორგანიზაციის ექსპერტები ხელავენ სტრუქტურულ რეფორმაში, ორგანიზაციის წევრ ქვეყნებს შორის ვაჭრობის განვითარებაში, ასევე საკუთარი ტექნოლოგიების შექმნაში. საკმაოდ მწვავედ დგას ისლამური ეკონომიკების რესტრუქტურისაციის და საბანკო სისტემის სრულყოფის საკითხები (Organization of Islamic Cooperation, 2015).

ისლამის ეკონომიკური აზრის ძირითადი ამოცანა (ეკონომიკის განვითარების ინტერესებიდან გამომდინარე), მდგომარეობს მუსლიმანთა ეკონომიკური საქმიანობის ეთიკური კოდების დამკვიდრებაში. ისლამის ეკონომიკური კონცეფციის თანახმად, ნებისმიერი საქმიანობა ფასდება საზოგადოებრივი კეთილდღეობის კონტექსტში, სადაც პირადი სარგებელი მეორეხარისხოვან როლს თამაშობს. ქონების საკუთრებაში შექმნის პრიორიტეტულ გზად ისლამურ სამყაროში ორი მიმართულება სახელდება – საკუთარი შრომა (own work) და კომერციული საქმიანობა.

საკუთრების შექმნის არაკანონიერ გზად მიჩნეულია ქურდობა, გამოძალვა, საზოგადოებრივი საკუთრების მითვისება და ა.შ., ანუ ის ყველაფერი, რაც ნებისმიერ თანამედროვე საზოგადოებაში (მაგალითად, ქონების დაუფლება თაღლითობის გზით, ასევე ქრთამის აღება) წარმოადგენს დანაშაულს. ისლამი ფულის და სხვა მატერიალური ფასულობის მოპოვებას დაუშვებლად მიიჩნევს სესხებზე პროცენტის მიღებით (მევახშეობა, ისლამში „რიბა“-გ.კ) ან/და აზარტული თამაშებით. ასევე არაკანონიერად ითვლება შემოსავლები, რომელიც მიიღება პროსტიტუციის, მკითხაობის, ალკოჰოლის გაყიდვის, ნარკოტიკების და ღორის ხორცის რეალიზაციის შედეგად (Universal Islamic Declaration of Human Rights, 1981). თუ მოვახედებთ ისლამის ეკონომიკური მოდელის გენერალიზაციას, მაშინ მის კვინტესენციად შეიძლება მივიჩნიოთ გარკვეული ბალანსის დაცვის მცდელობა, ერთი მხრივ, საზოგადოების (უმმა) ეკონომიკურ ინტერესებსა და, მეორე მხრივ, კერძო პირს შორის [მაგალითად, Ahmad (ed.), (1980); Ghazali & Omar (eds.), (1989); Ahmad & Raza Awan (eds.). (1992); Chapra, (2000); Foltz, Denny & Baharuddin (eds.). (2003)].

არსებითად, ისლამურ მოდელში თავმოყრილია ყველა ის ელემენტი, რომელიც დამახასიათებელია თანამედროვე სოციალური საბაზრო ეკონომიკის მოდელისათვის, რომელიც თავის დროზე განზოგადდა კონრად ადენაუერის პუბლიკაციაში, სათაურით: „კეთილდღეობის, სოციალური სამართლიანობის, მდგრადი ეკონომიკური საქმიანობის გზამკვლევი“ (Adenauer, 2010).

თუმცა, სამართლიანობა მოითხოვს აღნიშნულ, რომ სოციალური საბაზრო ეკონომიკის სახელმწიფოს ამოცანები მუდმივად რთულდება. ახალი გეოეკონომიკური სივრცის ჩამოყალიბებამ, რომელიც ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამაღლებისათვის პერმანენტულ ბრძოლას გულისხმობს, ზემოთ აღნიშნული სირთულეები უკვე გააგრძელა სოციალური დაზღვევის, ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, პროფესიული მომზადების და გადამზადების და ა.შ. სფეროებზე. გეოეკონომიკური თვალსაზრისით მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნაც, რომ ისლამის ეკონომიკურ მოდელში სახელმწიფოს გადატვირთვა სოციალური მომსახურებებით, ასუსტებს ქვეყნის საინვესტიციო მიმზიდველობას.

დასკვნა

თანამედროვე ისლამი გადამწყვეტ გაგლენას ახდენს ეკონომიკაზე მასში რელიგიური მორალის დამკვიდრების გზით, რომელიც, თავის მხრივ, მოწოდებულია არეგულიროს ურთიერთობები ადამიანებს შორის, მათ შორის სოციალურ-ეკონომიკური. ანუ, აქ საქმე გვაქვს რელიგიის ეკონომიკაზე ზეგავლენის ე.წ. დახურულ ფორმასთან. ამასთან, ემპირიულად შეუძლებელია იმის განსაზღვრა, ქმნის თუ არა შარიათზე დაფუძნებული საზოგადოება ფუნქციონირებად ეკონომიკურ სისტემას. ეს საკითხი შეიძლება სხვა კუთხითაც განვიხილოთ. კერძოდ, შარიათი განსაზღვრავს მორწმუნე მუსლიმანის მორალურ და სულიერ ცხოვრებას, მაგრამ არ იძლევა ღია, პირდაპირ პასუხს მიმდინარე ეკონომიკურ საკითხებზე.

საერთო ჯამში, ისლამურ სახელმწიფოებში ეკონომიკის საერთო კონტურები ყალიბდება ისლამის ფილოსოფიისა და „სამართლის“ საფუძველზე. მისი ფილოსოფია ეფუძნება ოთხ აქსიომას: ერთობა, ჰარმონია, ნება და სოციალური პასუხისმგებლობა. მისი მიზანია ეკონომიკური აზროვნების ერთიან ჩარჩოში მოქცევა, ამ მოცემულობაში სახელმწიფო პოლიტიკა მიმართული უნდა იყოს ეკონომიკური პროგრესისათვის წინამძღვრების შექმნისაკენ. ეს წინამძღვრები კი შეიქმნება მაშინ, როცა ამოივსება ის უფსკრული, რომელიც არსებობს ისლამის ეთიკურ პრინციპებსა და მუსლიმანურ საზოგადოებაში არსებულ ეკონომიკურ რეალობას შორის.

მუსლიმანური ქვეყნების დიდ ნაწილში გამეფებულმა სიღარიბემ ისინი უნდა განაწილოს დასავლურ ცივილიზაციასთან თანამშრომლობისათვის და არა კონფრონტაციისათვის. ეს თანამშრომლობა მათ სჭირდებათ გლობალურ ვაჭრობაში ისეთი პრობლემების გადასაჭრელად, როგორცაა: ეკონომიკის რეგულირების არასაკმარისი გამოცდილება, აბსოლუტური უპირატესობის გამოყენების დაბალეფექტიანობა და ა.შ.

გამოყენებული ლიტერატურა

1. დავითაშვილი,ზ., (2003). ნაციონალიზმი და გლობალიზაცია. თბ: მეცნიერება.
2. მესხია, ი., (2009). რელიგია და ეკონომიკური კრიზისი. <http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0period--00-1---0-10-0---0---0direct-10---4-----0-11--11-ka-50--20-about---00-3-1-00-0-11-1-0utfZz-8-00&cl=CL4.4&d=HASH013b5fac850f3b2ff56cd93c.4.1>=1>. ბოლო ნახვა 17.04 2015
3. Aidit Ghazali and Syed Omar (eds.), (1989). *Readings in the Concept and Methodology of Islamic Economics – Translating Islamic Principles into SocioEconomic Realities*. Petaling Jaya: Pelanduk Publishers.
4. Ausaf Ahmad & Kazim Raza Awan (eds.). (1992). *Lectures on Islamic Economics Jeddah: Islamic Research and Training Institute* .
5. Chapra M.U. What is Islamic economics?. URL:<http://bev.berkeley.edu/ipe/readings/Islamic Economics.pdf>. ბოლო ნახვა 24 .04 2015
6. Erdogan. *The economy does not have a religion*. URL: <http://www.ntvmsnbc.com>. ბოლო ნახვა 24.04.2015
7. Feldman, N., (2008). *The Fall and Rise of the Islamic State* . Princeton: Princeton University Press.
8. *GDP per capita based on PPP*. (2015). Washington: World Bank. <http://www.worldbank.org/en/publication/wdr>. ბოლო ნახვა 24 .04 2015
9. Islamic Economy Award. (2015). Dubai: *Global Islamic Economy* <http://updates.thomsonreuters.com/events/ieawards/>
10. Khurshid Ahmad (ed.). (1980). *Studies in Islamic Economics*. Leicester: Islamic Foundation).

*Giorgi Kvinikadze
Mamuka Khuskivadze*

ISLAMIC ECONOMIC MODEL AND A GEO-ECONOMIC PARADIGM

Annotation

In the article Islamic economic model is viewed through the prism of geo-economics, determined by the main geo-economic attributes of this model. Is given the assessment of its compatibility with modern geo-economic paradigm. According to the authors, in Islamic countries the general contours of the economy are formed on the basis of philosophy and Islam law. At the same time, islamic economic mode, is not a universal economic doctrine for all Muslim countries.

ქეთევან კოკიაი

საქართველოს საგარეო ეკონომიკური კავშირები და საინვესტიციო სტრატეგია

როდესაც ვსაზღვრავთ საქართველოს საგარეო ეკონომიკურ კავშირებს, მის ადგილს ევროპასა და აზიასთან ურთიერთობის საკითხში, ჩვენი აზრით, საჭიროა გამოვიყენოთ საქართველოზე ორი დონის, ორი სახის შეხედულება. პირველი, ეს არის საქართველოზე მთლიანად, როგორც გლობალური, მსოფლიო ეკონომიკური და პოლიტიკური პროცესების მონაწილეზე და მეორე, საქართველოზე, როგორც გეოეკონომიკურ და გეოპოლიტიკურ სივრცეში განლაგებულ ქვეყანაზე.

ასეთი მიდგომა თანამედროვე მსოფლიოში საქართველოს ადგილის მიმართ, საშუალებას გვაძლევს, სწორად და უშეცდომოდ დავინახოთ ჩვენი ქვეყნის საგარეო ეკონომიკური ურთიერთობები ევროპასთან, აზიასთან და ევროკავშირისა და აზიის რეგიონის კავშირის ქვეყნებთან.

საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების კავშირი ხასიათდება ისეთი ძირითადი მაჩვენებლებით, როგორცაა, სავაჭრო ბრუნვა, ექსპორტ-იმპორტი, საგარეო სავაჭრო ბალანსი და სხვა.

საგარეო ვაჭრობაში საქართველო იყენებს მისი აღრიცხვის "ზოგად მეთოდს", რაც ნიშნავს, რომ საქართველოს ექსპორტ-იმპორტის აღრიცხვის კრიტერიუმია მის მიერ ქვეყნის საბაჟო საზღვრის გადაკვეთა.

ექსპორტში იგულისხმება როგორც ეროვნული წარმოშობის პროდუქციის გატანა, ისე იმპორტული საქონლის რეექსპორტი. იმპორტში იგულისხმება ქვეყანაში პროდუქციის შემოტანა, რომელიც გამოიზღვება საბოლოო მოხმარების ან შემდგომი ექსპორტირებისათვის.

საგარეო-სავაჭრო ბრუნვაში საქართველოსათვის ძირითად პარტნიორად კვლავაც თურქეთი და რუსეთი რჩება, ზრდის ტენდენციებით ხასიათდება აშშ, გერმანიის, თურქეთის წილი.

ექსპორტის მონაცემები ადასტურებს, რომ მისი დიდი წილი ისევ დსთ ქვეყნებზე მოდის. მიუხედავად სამეურნეო კავშირების მოშლისა, სავაჭრო ურთიერთობათა ნაწილობრივ აღდგენა მოხდა. ევროკავშირის ქვეყნებში ბოლო წლებში ექსპორტი თითქმის 4-ჯერ გაიზარდა.

რაც შეეხება იმპორტს, დსთ-ს ქვეყნებში წინა წლებთან შედარებით შემცირდა, ხოლო იმპორტი ევროკავშირის ქვეყნებიდან გაიზარდა. სწრაფი ზრდის ტენდენციები აღინიშნება აშშ-დან და იაპონიიდან.

ერთ-ერთი პირველი პოლიტიკური და ეკონომიკური სივრცე, სადაც თავისუფალი საქართველო გაერთიანდა, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაა (დსთ). ეს ალიანსი პოლიტიკური და ეკონომიკური თვალსაზრისით სუსტი აღმოჩნდა, მიუხედავად იმისა, რომ საქართველო სსრკ-თან ინტეგრირების მაღალი დონით გამოირჩეოდა. საქართველოს შესაბამისად გაჰქონდა ქვეყანაში წარმოებული პროდუქციის დიდი ნაწილი.

შეთანხმებამ, რომელიც "ევროკავშირსა და საქართველოს შორის პარტნიორობასა და თანამშრომლობის შესახებ" გაფორმდა, საფუძველი ჩაუყარა საკანონმდებლო, ეკონომიკურ, სოციალურ, ფინანსურ, სამეცნიერო, კულტურულ და სხვა სახის თანამშრომლობას.

ევროკავშირი მხარს უჭერს საქართველოს ეკონომიკური რეფორმების განხორციელებაში. ფართო ეკონომიკური თანამშრომლობის სფერო. მაგალითად: მრეწველობა, ვაჭრობა, მშენებლობა, სოფლის მეურნეობა, ენერჯეტიკა, ტრანსპორტი, ასევე ინვესტიციები და სხვა.

საგარეო ეკონომიკურ კავშირებში საქართველოს ეკონომიკის მონაწილეობის დონის შესაფასებლად მიზანშეწონილია, განვიხილოთ საერთაშორისო ვაჭრობასა და საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების ძირითადი მაჩვენებლები. კერძოდ, თუ როგორი ტენდენციებით ხასიათდება საგარეო-სავაჭრო ბრუნვა, ექსპორტ-იმპორტი, საგარეო სავაჭრო ბალანსი და სხვა.

საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობათა ჩამოყალიბებულმა დონემ დაადასტურა, რომ ეროვნული ეკონომიკა ღრმა კრიზისში იმყოფებოდა წინა წლებში. მისი ეფექტიანობის ამაღლების პროცესი უშუალოდ უკავშირდება ინტეგრალური კავშირების გადრმავების ობიექტურად ჩამოყალიბებულ ორგანიზაციულ-ეკონომიკურ ფაქტორთა ამოქმედებას.

საქართველოს საგარეო ეკონომიკის მნიშვნელოვანი სფეროა ასევე უცხოური ინვესტიციების მოზიდვა.

საქართველის 23 ქვეყანასთან აქვს ხელი მოწერილი ინვესტიციების ურთიერთხელშეწყობისა და დაცვის შესახებ შეთანხმებაზე. აღსანიშნავია, რომ უცხოელი ინვესტორებისათვის მისაღებია ქვეყანაში შექმნილი საგადასახადო რეჟიმი.

უცხოური ინვესტიციები უშუალოდ ახდენდა გავლენას ქვეყანაში ჩამოყალიბებულ კონკურენციის პირობებზე. ამიტომ სახელმწიფოს უნდა ჰქონდეს ინვესტიციების გამოყენების სტრატეგია. წინასწარ პროგნოზირებული უნდა იყოს, თუ რა გავლენას მოახდენს ინვესტიციები ეროვნულ ეკონომიკაზე, მაკროეკონომიკურ პროპორციებზე, საერთოდ სტაბილურობაზე. სწორია მოსაზრება, რომ ქვეყანაში ჩამოყალიბდეს საინვესტიციო პროექტების ბანკი.

სწორია მოსაზრება იმის შესახებაც, რომ საქართველოში ინვესტიციების გამოყენების ფორმებიდან უპირატესობა მიეცეს ტექნოლოგიებს. ამასთან, მიზანშეწონილია, ეს განხორციელდეს პირდაპირი ინვესტიციებით. ასევე პერსპექტიულია ინვესტიციები, რომლებიც დაანქარებენ საექსპორტო ბაზრებზე გასვლას.

საქართველოს საგარეო ვაჭრობის ინტენსიურობა ხელს შეუწყობს ეკონომიკური და პოლიტიკური სტაბილურობის მიღწევას ქვეყანაში. ხორციელდება საქართველოს საკანონმდებლო ბაზის ჰარმონიზაცია საერთაშორისო ნორმებთან, რამაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობათა გაფართოებას, ქვეყნის სატრანსპორტო პოტენციალის სრულფასოვან გამოყენებას და გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფას.

ნათელია, რომ საქართველოს მსოფლიო ეკონომიკაში ინტეგრაციის დონის ამაღლება მხოლოდ საგარეო ეკონომიკური კავშირების ინტენსიფიკაციითაა შესაძლებელი, რომელიც დინამიკურად ვითარდება ბოლო წლების განმავლობაში როგორც დასავლეთის განვითარებულ, ისე დსთ-ს ქვეყნებთან.

საგარეო ურთიერთობებში ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისა და რეგიონული უსაფრთხოების მიღწევა შესაძლებელია მოწინავე სახელმწიფოების – აშშ, ინგლისი, საფრანგეთი, გერმანია – მხარდაჭერის გააქტიურებით.

საერთაშორისო ინსტიტუტებთან – გაერო, ევროკავშირი, ეუთო, ევროსაბჭო, ნატო, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია – საქართველოს მჭიდრო თანამშრომლობით ინტენსიურად უნდა გაგრძელდეს და გაძლიერდეს ინტეგრაციის პროცესი ნატოსა და ევროკავშირთან.

საქართველო, როგორც გეოპოლიტიკურად, ისე კულტურულად, განეკუთვნება სამხრეთაღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოს. ამიტომ, ევროპის სახელმწიფოთა ერთობაში საკუთარი ადგილის მოპოვება ქართული პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს სტრატეგიულ ამოცანად უნდა იქცეს.

პოსტსაბჭოთა ქვეყნების დიფერენციაცია ხდება პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დახასიათებისას ამიერკავკასიის რეგიონში შემაჯავლი ქვეყნებისათვის ენერგორესურსების საკუთარი პოტენციალით, ექსპორტით და პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ძირითადად მიმართულია სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსისადმი. სხვა შემთხვევაში, იქ, სადაც ქვეყნები არ ფლობდნენ დიდ ენერგორესურსებს, აქტუალურად ატარებდნენ საბაზრო რეფორმებს.

საქართველოში განსაკუთრებით ნაყოფიერი ნიადაგია ინვესტიციების ისეთ დარგებში და საბანდებლად, როგორცაა: ნავთობის მრეწველობა, შავი და ფერადი მეტალურგია, მანქანათმშენებლობის ცალკეული დარგები, სამთოქიმიური მრეწველობა, მტკნარი და მინერალური წყლების ჩამოსხმა, სამშენებლო და მოსაპირკეთებელი მასალები, მეციტრუსეობა, მეხილეობა, თამბაქოს წარმოება, მევენახეობა და ა.შ.

საქართველოს, კავკასიაში, ევრაზიის ამ უმნიშვნელოვანეს გზაჯვარედინზე, გაბატონებული გეოპოლიტიკური მდებარეობა გააჩნია. ამიტომაც, უშუალო მეზობლებთან აქტიური და ურთიერთხელსაყრელი ურთიერთობა საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებად უნდა იქცეს. სხვაგვარად შეუძლებელი გახდებოდა ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველყოფა იმ ვითარებაში, რომელიც შექმნილია კავკასიაში, ახლო და შუა აღმოსავლეთში. ქართულმა საგარეო პოლიტიკამ უნდა გამოიჩინოს ვითარების შესაბამისი გონიერება და მოქნილობა. ეს აუცილებელი თვისებები მას ამჟამად აშკარად აკლია. რასაკვირველია, აშშ-სთან ურთიერთობა კვლავაც რჩება უმნიშვნელოვანეს მიმართულებად. მსოფლიოს ამ უძლიერეს და ყველაზე განვითარებულ ქვეყანასთან სტრატეგიული თანამშრომლობა საქართველოს ძირეული ეროვნული ინტერესების შესატყვისია. ძალზე მნიშვნელოვანი პოლიტიკური პარტნიორები უნდა გახდნენ საქართველოსთვის შავი ზღვის ქვეყნები. ეს ურთიერთომიგებია იქნება როგორც პოლიტიკურად, ასევე ეკონომიკურად. ჩვენ მომხრენი ვართ დაბალანსებული საგარეო პოლიტიკისა, რომელიც საქართველოს ძირეულ ეროვნულ ინტერესებთან აუცილებელ შესაბამისობაში უნდა მოვიდეს. წარმატებული საგარეო პოლიტიკა ქვეყნის ეკონომიკის განვითარების საფუძველია.

საქართველოს, კავკასიაში, ევრაზიის ამ უმნიშვნელოვანეს გზაჯვარედინზე, გაბატონებული გეოპოლიტიკური მდებარეობა გააჩნია. ქართულმა საგარეო პოლიტიკამ უნდა გამოიჩინოს ვითარების შესაბამისი გონიერება და მოქნილობა. წარმატებული საგარეო პოლიტიკა ქვეყნის ეკონომიკის განვითარების საფუძველია. ამასთანავე მიზანშეწონილია, განხორციელდეს პირდაპირი ინვესტიციები. ასევე პერსპექტიულია ინვესტიციები, რომლებიც დაახქარებეს საექსპორტო ბაზარზე გასვლას.

Ketevan Kokaia

GEORGIAN FOREIGN ECONOMIC RELATIONS AND INVESTMENT STRATEGIES **Annotation**

Georgia has prevaent geographic location in the Caucasus - on this significant crossroad of Eurasia. Georgian foreign policy should show appropriate wisdom and flexibility in current situation in the world. Successful foreign policy is the basis of national economic development. At the same time is recommended the implementation of direct investments. The Investments, which will speed up the entry to export markets are also very perspective.

იულია ონიანი

საგარეო ვაჭრობის მანვენებელთა სტატისტიკური ანალიზისა და პროგნოზირების თავისებურებები

მსოფლიო ინტენსიური გლობალიზაციისა და რეგიონალიზაციის პროცესების ფონზე საქართველოს ეკონომიკური კრიზისის დაძლევის ერთ-ერთი ეფექტური გზა, პრიორიტეტი არის საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების განვითარება. საგარეო ვაჭრობის წარმატებული განვითარება წარმოადგენს ქვეყანაში კაპიტალის შემოდინების მნიშვნელოვან წყაროს, უზრუნველყოფს მოსახლეობას საჭირო საქონლით, ხოლო საწარმოო სფეროს – საჭირო რესურსებით. საგარეო ვაჭრობის სტატისტიკური მანვენებლები შესაძლებლობას იძლევა, განისაზღვროს საგარეო ვაჭრობის სასაქონლო ნაკადების მოცულობა, დინამიკა და სტრუქტურა, მისი განვითარების ტენდენციები მაკროეკონომიკურ მანვენებლებთან და მსოფლიო ბაზრის კონიუნქტურასთან მჭიდრო კავშირში. გარდა ამისა, ეკონომიკური მოვლენებისა და პროცესების შესწავლის სტატისტიკური მეთოდოლოგია საშუალებას იძლევა, განისაზღვროს საგარეო-ეკონომიკური კავშირების განვითარების პროგნოზული პარამეტრები. მაგრამ თანამედროვე პირობებში ჯერ კიდევ არ არსებობს ვაჭრობის განვითარების მსოფლიოში მიღებული ანალიზისა და პროგნოზირების ერთიანი მეთოდოლოგია, თუმცა ცალკე აღებული ქვეყნები საგარეო ვაჭრობის ანალიზსა და პროგნოზირებაში ფართოდ იყენებენ მსხვილი კომპანიების, ეროვნული და საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციების, კერ-

ძოდ, სსფ, სსო, ეთგო, რგს მთავრ შემოთავაზებულ მეთოდებს. თუმცა, მათ მიერ შემუშავებული პროგნოზირების მეთოდების უმრავლესობა ამტკიცებს მათი ამ სფეროში არცთუ ისე დიდ გამოცდილებას და მანევრებელთა სისტემის არასაკმარის სარწმუნოებას, რაც უარყოფითად მოქმედებს შემუშავებული პროგნოზების საიმედოობაზე.

საგარეო ვაჭრობის პროგნოზირება დაკავშირებულია მთელ რიგ სიძნელეებთან, რომლებიც ხშირად განპირობებულია არაობიექტური მიზეზებით. მაგალითად, სტიქიური უბედურებების შედეგად ზარალდება ზოგიერთი მნიშვნელოვანი საექსპორტო საქონლის წარმოება, რაც იწვევს საერთაშორისო ურთიერთობებში მთავრობის მიერ მიღებული სავაჭრო-პოლიტიკური გადაწყვეტილებების შეცვლის აუცილებლობას. საგარეო ვაჭრობის მანევრებელთა პროგნოზირებას ართულებს აგრეთვე ზოგიერთი წმინდა მეთოდოლოგიური მიზეზები. მაგალითად, **მასზე მოქმედი მრავალფეროვანი და სხვადასხვა ხასიათის ფაქტორები**, კერძოდ ისეთი მრავალმხრივი მოვლენა, როგორცაა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი, ეკონომიკური ინტეგრაციისა და კოოპერაციის გაღრმავება.

საგარეო სავაჭრო ბრუნვის სწორი ანალიზი და პროგნოზირება შესაძლებელია მხოლოდ ისეთი მნიშვნელოვანი საკითხების შესწავლისა და დამუშავების შემდეგ, როგორცაა: საგარეო ვაჭრობისა და ეროვნული მეურნეობის განვითარების ურთიერთდამოკიდებულების საკითხი, მისი რეგულირების პოლიტიკა და სტრუქტურული გარდაქმნები, ეროვნული ექსპორტის გაფართოების მიზნით ხელისუფლების მიერ გატარებული ღონისძიებები და სსო-ის ფარგლებში საგარეო ვაჭრობის ფართომასშტაბიანი ლიბერალიზაცია.

თანამედროვე პირობებში საგარეო ვაჭრობის პროგნოზირების მრავალმხრივი მეთოდები იყოფა სამ ძირითად ჯგუფად: ინდივიდუალური და კოლექტიური ექსპერტული შეფასების; ექსტრაპოლაციის; ლოგიკური და მათემატიკური მოდელირების.

ექსპერტული შეფასების მეთოდები ყველაზე უფრო ხშირად გამოყენებადი მეთოდებია. პროგნოზირების ექსპერტული მეთოდის ღირსებას წარმოადგენს მისი შედარებითი სიმარტივე და ხელმისაწვდომობა, განსაკუთრებით მაშინ, როცა ამოსავალი ინფორმაცია შეზღუდულია და ხასიათდება დიდი განუზღვრელობით. გარდა ამისა, ექსპერტმა, პროგნოზის შედგენისას, შეიძლება გამოიყენოს არა მარტო სტატისტიკური მონაცემები, არამედ საგარეო ვაჭრობის შესახებ მრავალი წლის მანძილზე დაგროვილი ინფორმაციის მარაგი. აგრეთვე, მიმდინარე გამოკვლევების და პროგნოზირების გამოცდილება და ამით ხარისხობრივად გააუმჯობესოს თავისი შეფასებები და გახადოს უფრო სანდო. ამ მეთოდის ნაკლოვანებაა პროგნოზული შეფასების სუბიექტურობა. ექსპერტების მიერ წარდგენილი საკითხების შეზღუდულობა, და, ბოლოს, ამ მეთოდს ახასიათებს ის, რომ ერთ შემთხვევაში შეიძლება გადააჭარბოს პოზიტიური ფაქტორების მნიშვნელობას, ხოლო მეორე შემთხვევაში ნეგატიური ფაქტორების მნიშვნელობას. ამის გამო მოცემულ მომენტში საჭირო ხდება არსებული სიტუაციის გადაფასება.

საგარეო ვაჭრობის ანალიზსა და პროგნოზირებაში ხშირად გამოიყენება აგრეთვე **ექსტრაპოლაციის მეთოდი**, რომელიც ეფუძნება ცალკეული მოვლენების ამსახველი დროითი მწკრივების ანალიზს და ვარაუდებს იმის შესახებ, რომ წარსულში არსებული კანონზონიერება შენარჩუნებული იქნება მომავალშიც, ყოველ შემთხვევაში საპროგნოზო პერიოდში მაინც. აქ მთავარს წარმოადგენს წინაპირობა საგარეო ვაჭრობის შესაბამისი პარამეტრების ავტონომიური ცვლილების შესახებ, რომლის აბსტრაქტირება უნდა მოხდეს შიგა და საგარეო კავშირებისაგან. მათი გაფლენა გაითვალისწინება მხოლოდ ირიბად (არაპირდაპირ), დროითი მწკრივების წარსული მნიშვნელობების მიხედვით.

საგარეო ვაჭრობის ბრუნვის ანალიზისა და პროგნოზირების სამამულო პრაქტიკა წარმოდგენილია ექსპერტული შეფასებისა და ექსტრაპოლაციის მეთოდების გამოყენების საფუძველზე, ხოლო **ლოგიკური და მათემატიკური მოდელირების** მეთოდების გამოყენება რამდენადმე შეზღუდულია. რეგრესიული მეთოდებისა და მთლიანად ეკონომიკური მოდელირების შეზღუდული გამოყენება დაკავშირებულია რიგ გარემოებებთან. მთავარი მათ შორის **ეროვნული ეკონომიკის კრიზისია**, რომლის მიმდინარეობის პროცესში ირღვევა ძირითადი ურთიერთკავშირები და ურთიერთდამოკიდებულებები. მთელ რიგ მიზეზთა შორის ეს ყველაზე მთავარი და მნიშვნელოვანია. მით უმეტეს, როცა საკითხი ეხება საგარეო ვაჭრობის სფეროში გამოკვლევების ჩატარებისათვის ეკონომეტრიკული მოდელირების გამოყენებას.

ქვეყანაში საგარეო ვაჭრობის სფეროში მიმდინარე პროცესების შესწავლა ხდება პოლიტიკურ და ეკონომიკურ მდგომარეობასთან მჭიდრო კავშირში, ამიტომ, საგარეო ვაჭრობის მანევრებლები რთულად აღიქმება ექსტრაპოლაციური წინასწარმეტყველებით და, აქედან გამომდინარე, საგარეო ვაჭრობის პროცესების დრმა ანალიზი შეუძლებელია, თუ არ იქნება გამოკვლეული ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისა და მის საგარეო ეკონომიკურ პოლიტიკაზე დამოკიდებულების დონე და ხარისხი.

დღეს, საქართველოს ეკონომიკის არასტაბილურობის პირობებში, ფაქტორული ანალიზი იძენს განსაკუთრებულ მნიშვნელობას. ასე რომ, ეკონომიკური ფაქტორების ანალიზის გარეშე რთულია ავხსნათ ცვლილებები საგარეო ვაჭრობის განვითარებაში.

საგარეო ვაჭრობის ყოველმხრივი ანალიზი ხორციელდება მანვენებელთა ნაკრებით, რომელთაგან თითოეული მანვენებელი ახასიათებს საგარეო სავაჭრო პროცესების გარკვეულ მხარეს, ამიტომ მანვენებელთა ცვლილების ტენდენციების გამოვლენა-პროგნოზირება შესაძლებლობას იძლევა გავითვალისწინოთ ნეგატიური ტენდენციები საგარეო სავაჭრო პროცესების განვითარებაში და მივიღოთ ზომები მათი თავიდან აცილებისათვის ან მომზადებული შევხვედით ამგვარ მოვლენებს. ამდენად, ფაქტორული ანალიზი საგარეო ვაჭრობის ეფექტური მართვის შესაძლებლობას იძლევა. მაგალითად, საბაჟო ორგანოებს ხშირად აქვთ შესაძლებლობა, გამოვიდნენ საგარეო ვაჭრობის სიტუაციების გაუმჯობესების ინციატივით, გაატარონ ეფექტური კონტროლისა და რეგულირების ღონისძიებები, რომელიც დაფუძნებული იქნება მათ პრაქტიკულ გამოცდილებაზე.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კონკრეტული ქვეყნის საგარეო ვაჭრობა ყალიბდება ამ ქვეყნის მიერ შემუშავებული ეკონომიკური პოლიტიკის საფუძველზე. ამიტომ ქვეყნის ეკონომიკაზე მოქმედი ფაქტორების გავლენის ანალიზი და პროგნოზირება წარმოადგენს ყველაზე უფრო მნიშვნელოვან საკითხს სწორი ეკონომიკური პოლიტიკის შესამუშავებლად. ამ საკითხის წარმატებით განხორციელებისათვის მიზანშეწონილია **მრავალფაქტორული მოდელირების გამოყენება**, რადგან ეს მეთოდი წარმოადგენს უფრო მისაღებს და საიმედოს, განსაკუთრებით მოკლევადიანი პროგნოზების შედგენისათვის. ამასთან, არსებობს მისი გამოყენების დიდი პრაქტიკა ექსპორტისა და იმპორტის საზღვარგარეთულ მოდელებში. მაგალითად, სსფ-მა შემუშავა საქონლის ექსპორტისა და იმპორტის ანალიზისა და პროგნოზირების მოდელი, ანუ ე.წ. **საქონლის ექსპორტისა და იმპორტის ანალიზური ფუნქცია**, რომელიც გამოიყენება მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში.

ძირითადი ეკონომიკური ფაქტორები, რომლებიც შეტანილია სსფ-ის მოდელში და ზოგადად გავლენას ახდენს ქვეყნის საგარეო ვაჭრობის მანვენებლებზე განვითარების თანამედროვე ეტაპზე ხასიათდება გარკვეული თავისებურებით. კერძოდ, ექსპორტის მოცულობა დამოკიდებულია როგორც მისი რეზიდენტების უნარიანობაზე, მიაწოდოს საქონელი საზღვარგარეთ გასაყიდად (ექსპორტის მიწოდება), ისე სხვა ქვეყნების სურვილზე, იყიდოს ეს საქონელი (მოთხოვნა ექსპორტზე).

ექსპორტის მიწოდების ფუნქციის ემპირული ფორმულა, რომელსაც გვთავაზობს სსფ, შეიძლება გამოისახოს შემდეგი გამარტივებული ფორმულის სახით:

$$\frac{X}{P_X} = f \left[\frac{P_X}{P_Y}, Y_P, GAP \right]$$

სადაც, X ექსპორტის ღირებულება; P_X - ექსპორტის ფასი; P_Y - შიგა ფასი; Y_P - ექსპორტის სექტორის საწარმოო სიმძლავრე; GAP - ჭარბი შიგა მოთხოვნა.

მაშასადამე, ძირითად ფაქტორებს, რომელიც განსაზღვრავს ექსპორტის მოცულობას სსფ-ის მოდელის მიხედვით, წარმოადგენს ფაქტორი, რომელიც განსაზღვრავს პროდუქციის წარმოების მოცულობას და ფასობრივ სტიმულს. წარმოების საერთო მოცულობიდან რა ნაწილი მიდის ექსპორტზე, განისაზღვრება შიგა ფასის და იმ ფასის თანაფარდობით, რომლის მიხედვითაც მოცემული საქონელი შეიძლება გაიყიდოს საზღვარგარეთ (მსოფლიო ფასი).

ცვალებადი პირობითი ფასები ასახავს გაცვლითი კურსის ზემოქმედებას, საექსპორტო ბაჟს, გადასახადებს, სუბსიდიებს და შიგა დანახარჯებს. გაცვლითი კურსის დაწვევა იწვევს ეროვნულ ვალუტაში საექსპორტო ფასის აწევას ეროვნულ ვალუტაში და შესაბამისად, ექსპორტის მომგებიანობას ქვეყნის შიგნით პროდუქციის გაყიდვასთან შედარებით. ანალოგიურ მასტიმულირებელ გავლენას ექსპორტზე ახდენს სუბსიდირება.

ეკონომიკის იმ სექტორში, სადაც საექსპორტო პროდუქცია იწარმოება, შეიძლება გარკვეულად შევხედოთ მისი წარმოების ზრდა. პრაქტიკაში ამ ცვლადის ემპირული შეფასების მიღება ხშირად რთულია. თუ საექსპორტო პროდუქცია ასევე კარგად იყიდება შიგა ბაზარზეც, მაშინ ექსპორტის მოცულობაზე მოცემულ ქვეყანაში გავლენას მოახდენს ჭარბი მოთხოვნა - მისი დონე. ჭარბი მოთხოვნის შემცირება ქმნის მწარმოებლისათვის სტიმულს, გაადიდოს ექსპორტზე პროდუქციის გაყიდვა, რათა შეინარჩუნოს წარმოების მომგებიანობა.

ქვეყანაში კრიზისული მოვლენების სტაბილიზაციისათვის მნიშვნელოვანია **ექსპორტის** განვითარების ეკონომიკური პირობები და იმ ფაქტორების შესწავლა, რომლებიც გავლენას ახდენს მასზე. გარდა ამისა, უნდა განისაზღვროს საქონელთა ჯგუფები, რომელთა ექსპორტზე გარკვეულ ფაქტორთა გავლენა ყველაზე დიდია. ასე მაგალითად, მოპოვებითი მრეწველობის პროდუქციის ექსპორტი დამოკიდებულია წარმოების მოცულობასა და შიგა მოხმარებაზე, აგრეთვე მსოფლიო ფასების დონეზე შესაბამის პროდუქციაზე. ეს დარგები დაინტერესებულია ლიბერალური ეკონომიკური სისტემის შექმნით, პროტექციონიზმის არარსებობით, მაკროეკონომიკური სტაბილურობით, როგორც ეფექტიანი საინვესტიციო საქმიანობის აუცილებელი პირობა. თუ განვიხილავთ საქონელს, რომელიც წარმოადგენს გადამამუშავებელი მრეწველობის პროდუქციას, მაშინ აქ ექსპორტი, ყველაფერთან ერთად, დამოკიდებულია მსოფლიო ბაზარზე მათ კონკურენტუნარიანობაზე. კონკურენტუნარიანობის უმნიშვნელოვანეს კრიტერიუმს წარმოადგენს ხარისხი და ფასი. ამიტომ

საწარმოო სიმძლავრეების გამოყენების ხარისხის ამაღლება ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ ამ საქონლის მონაწილეობა მსოფლიო ბაზარზე არის მტკიცე.

გადასახადის ამოღების ბაზის გაფართოებისა და სახელმწიფო ბიუჯეტში საბაჟო ორგანოებიდან მიღებული შემოსავლების გადიდების მნიშვნელოვან შესაძლებლობას წარმოადგენს საქონლის იმპორტი. კონკურენცია, რომელიც წარმოიშობა იმპორტული საქონლის მიწოდებით, ხელს უწყობს სამამულო წარმოების განვითარებას და ამაღლებს ქვეყანაში წარმოებული პროდუქციის ხარისხს, ამასთან, იგი წარმოადგენს საერთაშორისო გაცვლის აუცილებელ პირობას, რომლის გარეშე სამამულო პროდუქციის ექსპორტზე მოთხოვნა არ იქნება. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, საქონლის ექსპორტთან ერთად იმპორტის ანალიზი და პროგნოზირება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია.

იმპორტზე მოთხოვნის სიდიდე და მისი სტრუქტურა პირველ რიგში დამოკიდებულია იმპორტული საქონლის საჭიროებაზე.

სსფ გუთავაზობს იმპორტზე მოთხოვნის განტოლებას, რომელიც შემდეგი სახისაა:

$$\frac{M}{P_m} = f \left[\frac{Y_d}{P_y}, \frac{P_m}{P_y} \right]$$

სადაც: M - იმპორტის ღირებულებაა; P_m - იმპორტის ფასი; Y_d - შიგა მოთხოვნა; P_y - შიგა ფასების დონე.

ცვლადების მოცულობის გაზრდა იწვევს იმპორტის მოცულობის ზრდას. ეს ცვლადებია: რეალური შემოსავალი ან რეალური შიგა დანახარჯები. ფასის კონკურენტუნარიანობის ცვლილება ასახავს იმპორტის მოცულობის დამოკიდებულებას შეფარდებითი ფასების ცვლილებაზე, რომელიც, შესაბამისი ვალუტით გამოსახული, აგრეთვე გვიჩვენებს შიგა და მსოფლიო ფასების მოძრაობას. ქვეყნის შიგნით წარმოებულ საქონელთან შედარებით იმპორტულ საქონელზე ფასების ზრდის შემთხვევაში შეიძლება იმპორტული საქონლის სამამულო საქონლით ჩანაცვლების ტენდენცია.

მაშასადამე, სსფ-ის და სხვა საზღვარგარეთული ორგანიზაციების მიერ შემუშავებული საქონლის იმპორტის ანალიზისა და პროგნოზირების მოდელების თანახმად, იმპორტის მოცულობაზე მოქმედ ძირითად ეკონომიკურ ფაქტორებს წარმოადგენს: რეალური მშპ და ფასი, რომელიც ასახავს იმპორტირებულ საქონელზე შიგა და მსოფლიო ფასების თანაფარდობას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Градов А. П. Национальная экономика. 2-е изд.-СП: Питер, 2005.
2. Курсы по макроэкономической и финансовой политике. Институт МВФ. Т. 2, - М., МВФ, 1995.

Iulia Oniani

THE FEATURES OF STATISTICAL ANALYSIS AND FORECASTING OF FOREIGN TRADE INDICATORS

Annotation

In the world of intense globalization and regionalization of the economic crisis in Georgia is one of effective ways to develop foreign economic relations.

The article discusses statistical analysis and forecasting features of foreign trade indicators, which makes it possible to determine the consideration of foreign trade development trends and to predict parameters.

The article focuses on the analysis and prediction of the foreign trade turnover carried out in a logical and appropriate mathematical and statistical models. Today, the economic instability of the country's economy would be affected by factors such as multifactor analysis and forecasting using mathematical models of the most important issues for economic policy-making.

Key economic factors influencing on import volume are: real GDP and price according to the analysis of import of goods and forecasting models worked out by IMF and other foreign organizations.

მალხაზ ჩიქობავა

ეკონომიკური ციკლებისა და კრიზისების ბუნების შესახებ

ეკონომიკური ციკლის ბუნება ერთ-ერთი საკამათო თემაა. მკვლევარები, რომლებიც დაკავებულნი არიან კონიუნქტურული დინამიკის შესწავლით, პირობითად შეიძლება დავეყთ ორ კატეგორიად: მკვლევართა პირველი კატეგორია არ აღიარებს საზოგადოებრივ ცხოვრებაში პერიოდულად განმეორებადი ციკლების არსებობას, ხოლო მეორე კატეგორი დგას დეტერმინისტულ პოზიციაზე და ამტკიცებს, რომ ეკონომიკური ციკლები ზღვის მოქცევა-შეუქცევის რეგულარობის მსგავსად ვლინდება.

პირველი კატეგორიის წარმომადგენლები, რომელსაც მიეკუთვნებიან თანამედროვე დასავლური ნეოკლასიკური სკოლის ავტორიტეტული მეცნიერები, თვლიან, რომ ციკლები ეკონომიკურ სისტემაზე შემთხვევითი ზემოქმედების (იმპულსებისა და შოკების) შედეგია, ე.ი. ციკლურობა ეკონომიკაზე დამოუკიდებელი იმპულსების სერიის ზემოქმედებითაა განპირობებული, რაც წარმოშობს გამოსხმარების ციკლურ მოდელს. ამ მიდგომას 1927 წელს საფუძვლები ჩაუყარა საბჭოთა ეკონომისტმა ე. ე. სლუცკიმ (1880–1948). თუმცა აღნიშნულმა მიმართულებამ მხოლოდ 30 წლის შემდეგ ჰპოვა ფართო აღიარება დასავლურ მეცნიერებაში.

მეორე მიმართულების წარმომადგენლები ციკლებს განიხილავენ, როგორც თავისებურ პირველსაწყის ფენომენს, რეალური სამყაროს ელემენტარულ განუყოფელ „ატომს“. ციკლი მოცემული განმარტებით მატერიალური სამყაროს განსაკუთრებული, უნივერსალური და აბსოლუტური წარმონაქმნია.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ციკლურობის, როგორც სამყაროს პირველსაწყისის იდეა, მსოფლიო მეცნიერებაში ძველი საბერძნეთისა და ძველი ჩინეთის დროიდან მოყოლებული არსებობს.

თუ ფილოსოფოსებს ციკლურობის პრობლემა მრავალი ასწლეულია აინტერესებთ, ეკონომისტებმა მას ყურადღება შედარებით გვიან, კერძოდ, მე-19 საუკუნის დასაწყისში მიაქციეს. სწორედ მაშინ ჟ. სისმონდის (1773–1842), კ. როლბერტუს-იაგეცოვის (1805–1875) და თ. მალთუსის (1766–1834) ნაშრომებში განიხილა ეკონომიკაში კრიზისული და ციკლური მოვლენების ანალიზი. ამასთან, კრიზისისა და ციკლების პრობლემებით დაკავებული იყვნენ, როგორც წესი, ეკონომიკური აზრის არაძირითადი (თანამდევნი) მიმდინარეობის წარმომადგენლები. ორთოდოქსული მიმდინარეობის ეკონომისტების მიერ კი ციკლურობის შესახებ იდეა უარყოფილი იყო, რომელიც, მათი აზრით, ეწინააღმდეგებოდა სეის კანონს, რომლის თანახმადაც მოთხოვნა ყოველთვის მიწოდების ტოლია. ამიტომ, კლასიკოსების, კერძოდ ა. სმიტის (1723–1790), დ. რიკარდოს (1772–1823), ჯ. სტ. მილის (1806–1873), ა. მარშალის (1842–1924) შრომებში ციკლის ფენომენი განიხილება, როგორც წუთიერი მოვლენა.

კ. მარქსი (1818–1883) ერთ-ერთი პირველი ეკონომისტი იყო, რომელმაც ამ პრობლემას უდიდესი ყურადღება მიაქცია. მან აღნიშნა ოთხი ფაზა, რომლებიც თანმიმდევრობით ცვლიან ერთმანეთს: კრიზისი, დეპრესია, გამოცოცხლება და აღმავლობა. არსებობს სხვა კლასიფიკაციაც. ზოგიერთი თანამედროვე მკვლევარი მხოლოდ ორ ფაზას გამოყოფს: ვარდნას და აღმავლობას. უნდა შევნიშნოთ, რომ მარქსისტული ეკონომიკური სკოლა იკვლევდა მხოლოდ და მხოლოდ სამრეწველო ციკლს 7–12 წელიანი ხანგრძლივობით, ციკლურობის დანარჩენ სახეობას ის ყურადღების მიღმა ტოვებდა.

მარქსის აზრით კრიზისი, უპირველეს ყოვლისა, ვლინდება საქონლის ჭარბწარმოებაში, კრედიტების შემცირებასა და სასესხო პროცენტის ამაღლებაში. ეს იწვევს მოგების შემცირებას და წარმოების ვარდნას, საბანკო დავალიანებების ზრდას, საბანკო კრახსა და ეკონომიკის სხვა სფეროებში საწარმოთა გაკოტრებას.

კრიზის შემდეგ იწყება დეპრესია. წარმოება უკვე აღარ მცირდება, მაგრამ არც იზრდება. სასაქონლო სიჭარბე თანდათანობით გაიწოვება, მაგრამ ვაჭრობა ძალიან მდორედ მიმდინარეობს. სასესხო საპროცენტო განაკვეთი მინიმუმამდე მცირდება. თანდათანობით ეკონომიკაში ჩნდება „ზრდის წერტილები“ და ადგილი აქვს გამოცოცხლების ფაზაში გადასვლას. საწარმოები, რომლებმაც მოახერხეს ბაზრის ახალ პირობებთან შეგუება, ზრდიან საქონლის გამოშვებას, ეწევიან ახალ სამრეწველო მშენებლობას, იზრდება მოგების ნორმა, სასესხო პროცენტისა და ხელფასის განაკვეთები, იწყება აღმავლობის ფაზა. მთლიანი შიგა პროდუქტის დონე აჭარბებს კრიზისამდელ უმაღლეს წერტილს, წარმოება აგრძელებს გაფართოებას, იზრდება დასაქმება, სასაქონლო მოთხოვნა, ფასების დონე და სასესხო პროცენტის ნორმა. წარმოების მოცულობა კვლავ გადის გადახდისუნარიანი მოთხოვნის ფარგლებს გარეთ, ბაზარი ზედმეტად გაჯერებულია საქონლით. იწყება ახალი სამრეწველო ციკლი.

თანამედროვე ეკონომიკურ ლიტერატურაში ფართოდ გამოიყენება აშშ-ის ეკონომიკური კვლევების ეროვნული ბიუროს (NBER) ტერმინოლოგია, რომლის თანახმად ციკლი შედგება ოთხი ფაზისაგან: მწვერვალი (პიკი, ბუმი), შეზღუდვა (რეცესია, ვარდნა), ფსკერი (დეპრესია) და გამოცოცხლება (გაფართოება, აღმავლობა). გარდა ამისა, NBER-ის კლასიფიკაციის თანახმად, განსხვავებულ პარამეტრთა სამ სახეს სინქრონიზაციის ნიშნის მიხედვით, ესენია: წინმსწრები, დაყოვნებითი და თანამდევ მახვენებელთა სახეები. წინმსწრები პარამეტრები აღწევს მაქსიმუმს ან მინიმუმს პიკის ან ფსკერის მოახლოებამდე (ესენია მარაგების ცვლილება, ფულადი მასის ცვლილება და ა.შ.). დაყოვნებითი პარამეტრები მაქსიმუმს ან მინიმუმს აღწევს პიკის ან ფსკერის შემდგომ (მაგალითად: უმუშევრობის დონე, ხელფასზე ხვედრითი დანახარჯები და ა.შ.). თანამდევნი პარამეტრები იცვლება ეკონომიკური აქტივობების რყევების შესაბამისად (მთლიანი შიგა პროდუქტი, ინფლაციის დონე, სამრეწველო წარმოების მოცულობა და ა.შ.).

თანამედროვე პირობებში სტატისტიკოსებსა და ეკონომისტებს არ ძალუძთ მოგვეცინ ეკონომიკური კონიუნქტურის ზუსტი პროგნოზები. ისინი მხოლოდ მის საერთო ტენდენციას განსაზღვრავენ. პირველი, რთულია გავითვალისწინოთ ყველა ფაქტორი, განსაკუთრებით ეკონომიკის არასტაბილურობისა და პოლიტიკური რყევების პერიოდში. მეორე, ეროვნულ ეკონომიკაზე არსებით

გავლენას ახდენს საერთაშორისო გარემოცვა. მესამე, ტენდენცია თუნდაც სწორად რომ იქნეს განსაზღვრული, მაინც რთულია ფაზების გავლის ზუსტი თარიღების წინასწარმეტყველება და ეკონომიკური პოლიტიკის დროული შეცვლა. საბოლოოდ, მეწარმეთა მოქმედებამ შეიძლება გააღრმავოს კონიუნქტურის არასასურველი გადახრები.

თანამედროვე საზოგადოებრივი მეცნიერებებისათვის ცნობილია ციკლურობის 1380-ზე მეტი ტიპი. ეკონომიკა ამ ტიპთაგან უპირატესად ოთხ მათგანს ეყრდნობა, ესენია:

ჟუგლარის ციკლები (7-12 წელი) - ეკონომიკურმა მეცნიერებამ ყველაზე ადრე გამოყო 7-12 წლიანი ციკლი, რომელმაც შემდგომ მიიღო ჟუგლარის ციკლების სახელწოდება. ამ ციკლს სხვა სახელწოდებებიც გააჩნია: „ბიზნეს-ციკლი“, „სამრეწველო ციკლი“, „საშუალო ციკლი“, „დიდი ციკლი“. პირველ სამრეწველო კრიზისს ადგილი ჰქონდა ინგლისში 1825 წელს, როცა მანქანური წარმოება გაბატონდა მეტალურგიაში, მანქანათმშენებლობასა და სხვა წამყვან დარგებში. 1836 წლის კრიზისი თავდაპირველად წარმოიშვა ინგლისში, ხოლო შემდეგ გავრცელდა აშშ-ში. 1847-1848 წლის კრიზისი, რომელსაც აშშ-სა და ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში ჰქონდა ადგილი, არსებითად პირველი მსოფლიო სამრეწველო კრიზისი იყო. მას შემდეგ მოჰყვა 1857 და 1866 წლების კრიზისები. ყველაზე ღრმა 1873 წლის კრიზისი იყო. თუკი XIX საუკუნეში სამრეწველო კრიზისი შეადგენდა 10-12 წელს, XX საუკუნეში მისი ხანგრძლივობა 7-9 წლამდე შემცირდა. ეკონომიკაზე ყველაზე დამანგრეველი ზემოქმედება მოახდინა 1920-1921, 1929-1933, 1937-1938 წლების კრიზისებმა. ამ კრიზისებიდან განსაკუთრებით ყურადსაღებია 1929-1933 წლების კრიზისი, ე. წ. „დიდი დეპრესია“, რომელიც განსაკუთრებული სიღრმითა და წარმოების ხაგრძლივი ვარდნით გამოირჩეოდა.

II მსოფლიო ომის შემდეგ სამრეწველო კრიზისებს ადგილი ჰქონდა 1948-1949, 1953-1954, 1957-1958, 1960-1961, 1969-1970, 1973-1974, 1981-1982 წლებში, მათ შორის ყველაზე დამანგრეველი იყო გასული საუკუნის 70-იანი წლების შუა პერიოდის კრიზისი.

7-12 წლიან ციკლს ეწოდა კლემენტ ჟუგლარის სახელი (1819-1905) საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთისა და აშშ-ის სამრეწველო რყევების პერიოდის კვლევაში შეტანილი უდიდესი წვლილისათვის საპროცენტო განაკვეთებისა და ფასების რყევების ფუნდამენტური ანალიზის საფუძველზე. როგორც აღმოჩნდა, ეს რყევები დაემთხვა ინვესტიციების ციკლებს, რომელმაც, თავის მხრივ, მოახდინა მთლიანი შიგა პროდუქტის, ინფლაციისა და დასაქმების ცვლილებების ინიცირება. მაგალითად, ი. შუმპეტერმა (1883-1950) 1939 წელს გამოყო ჟუგლარის 11 ციკლი 1787-1932 წლების პერიოდისათვის.

კიტჩინის ციკლები (მარაგების ციკლი) - 1926 წელს გამოცემულ ნაშრომში, ინგლისელმა ეკონომისტმა ჯოზეფ კიტჩინმა ყურადღება გაამახვილა ეკონომიკური ციკლების მოკლე ტალღების კვლევაზე, რომელთა ხანგრძლივობა შეადგენდა 2-4 წელს სასაქონლო მარაგების მოძრაობის დროს ფინანსური ანგარიშებისა და გაყიდვების ფასების შესწავლის საფუძველზე.

კუზნეცის ციკლები (16-25 წელი) - 1930-იან წლებში აშშ-ში გამოჩნდა ნაშრომები ე.წ. „სამშენებლო ციკლების“ შესახებ. ჯ. რიგოლმენმა, ვ. ნიუმენმა და სხვა ანალიტიკოსებმა ააგეს საბინაო მშენებლობის ერთობლივი წლიური მოცულობის პირველი სტატისტიკური ინდექსები და მასში აღმოაჩინეს ერთმანეთის მონაცვლე სწრაფი ზრდისა და ღრმა ვარდნების ხანგრძლივი ინტერვალები. იმ დროს გაჩნდა ტერმინი „სამშენებლო ციკლები“, რომლებიც განსაზღვრავდნენ ამ ოცწლიან რყევებს. 1946 წელს საიმონ კუზნეცი (1901-1985) თავის ნაშრომში „ეროვნული შემოსავალი“, მივიდა დასკვნამდე, რომ ეროვნული შემოსავლის, სამომხმარებლო ხარჯების, აგრეთვე საწარმოო დანიშნულების მოწყობილობებში, მშენებლობებსა და ნაგებობებში ერთობლივი ინვესტიციების მაჩვენებლები მოწმობდნენ ურთიერთდაკავშირებული ოცწლიანი რყევების არსებობას. ამასთან, მან აღნიშნა, რომ მშენებლობაში ეს რყევები ხასიათდება ყველაზე დიდი შედარებითი ამპლიტუდით.

კუზნეცის ნაშრომის გამოქვეყნების შემდეგ ტერმინი „სამშენებლო ციკლები“ პრაქტიკულად არ გამოყენებულა და მან ადგილი დაუთმო ტერმინს „გრძელი რყევები“ (Long swings), კონდრატიევისეული „გრძელი ტალღებისგან“ (Long waves) განსხვავებით. ამერიკელი მკვლევარის საპატივცემლოდ 1955 წელს გადაწყდა, რომ „სამშენებლო ციკლს“ ეწოდოს „კუზნეცის ციკლები“.

კონდრატიევის ციკლები (40-60 წელი) - გრძელი ტალღების ეკონომიკური თეორიის შექმნის პირველ ცდებს ადგილი ჰქონდა XX საუკუნის დასაწყისში ა. გელფანდის (პარგუსის), ი. ვან გელდერენის და ს. დე ვოლფის მიერ. მაგრამ, ყველაზე დიდი წვლილი ამ თეორიაში შეიტანა რუსმა მეცნიერმა ნიკოლაი კონდრატიევმა (1892-1938), რომელმაც მოცემულ სფეროში რამდენიმე ფუძემდებლური ნაშრომი გამოაქვეყნა. მან აჩვენა თავისი კვლევის შედეგები, რომლებიც ეხებოდა საქონლის ფასების ინდექსების, საპროცენტო განაკვეთების, რენტის, ხელფასის, მნიშვნელოვანი სახეობის პროდუქციის წარმოების დინამიკას და ა.შ. ცალკეული განვითარებული ქვეყნების შესახებ 1770-1926 წლების პერიოდისათვის.

„დიდი აღმავლობის“ დაწყებას კონდრატიევი უკავშირებდა წარმოებაში ახალი ტექნოლოგიების მასობრივ დანერგვას, მრავალი ქვეყნის ჩართვას მსოფლიო ეკონომიკაში, ოქროს მოპოვების მოცულობის ცვლილებებს. ამასთან, აღმავლობის საერთო სურათი კონდრატიევის მიერ აღწერილია შემდეგნაირად: ტექნიკური სიახლეების დანერგვა მიმდინარეობს საინვესტიციო პროცესების გაფართოების პარალელურად, რომელიც, თავის მხრივ, ასტიმულირებს წარმოებასა და მოთხოვნას,

რაც ხელს უწყობს ფასების ზრდას. ამ პერიოდში უმუშევრობა მცირდება, ხელფასი და შრომის მწარმოებლურობა იზრდება. ეს პროცესები ეხება მთელ ეკონომიკას და ცვლის ადამიანთა ცხოვრების სტილს. საწყის პერიოდში ეკონომიკურ ზრდას დამატებითი იმპულსები შეიძლება შესძინოს ლოკალურმა ომებმა. ციკლური აღმავლობების განვითარების კვალობაზე ომები სულ უფრო დამანგრეველ ზემოქმედებას ახდენს ეკონომიკაზე. მრავალი მსხვილი სოციალური ძვრები „დიდი აღმავლობის“ ბოლოს, აგრეთვე ციკლის უდაბლეს წერტილში იჩენს თავს.

„დიდი ციკლის“ უმაღლეს წერტილთან ეკონომიკის მიახლოების დასტურად გვევლინება სიუხვის ფონზე წარმოშობილი ცალკეული საქონლის უკმარისობა, შემოსავლების განაწილების სტრუქტურაში ძვრები, წარმოების დანახარჯების ზრდა, მოგების ზრდის შეფერხება და ა.შ. იქმნება სიტუაცია, რომელიც ამჟამად ცნობილია სტაგფლაციის სახელწოდებით.

არსებობს ამაღლების ენერჯის ამოწურვის მიზეზების სხვადასხვა ახსნა. მკვლევართა ნაწილი ამ მიზეზს ხედავს მოხმარების ნორმის შესამჩნევ ზრდაში, მეორე ნაწილი – ფულის მყიდველობითი უნარის ცვლილებებში, სხვები „პიკის“ მიღწევას უკავშირებენ პროდუქტებისა და დარგების სასიცოცხლო ციკლებს, რომელთა შექმნა გასულ წლებში განხორციელებული უმსხვილესი სიახლეების დანერგვის შედეგია.

ყოველ „დიდ აღმავლობას“ მოჰყვება საკმაოდ მოკლე პერიოდი, როდესაც ეკონომიკა თითქოსდა ემზადება მოსალოდნელი ხანგრძლივი ვარდინისათვის, მაგრამ იმავე დროს გარეგნულად ნარჩუნდება აყვავების შთაბეჭდილება: ადამიანები ძველებურად იმედიანად არიან განწყობილნი, ადვილად სესხდებიან და ზრდიან საკუთარ ვალებს. რადგანაც რეალური სიტუაცია სრულიად სხვაგვარია, ადვილი აქვს დავალიანების მნიშვნელოვან დაგროვებას, რომელიც ნებისმიერ მომენტში შეიძლება კრახით დასრულდეს. ეს უკანასკნელი სინამდვილეში გარდაუვალია, თანაც იმპულსი შეიძლება სრულიად უმნიშვნელო მოვლენიდან მომდინარეობდეს. ადრე დაგროვებული წინააღმდეგობა საბოლოოდ გამოდის დღის სინათლეზე: შეინიშნება საწარმოო სიმძლავრეების სიჭარბე, ადვილი აქვს საწარმოთა მასობრივ ლიკვიდაციას, უმუშევრობა იზრდება, ფასები მკვეთრად ეცემა. კონდრატევემა განსაკუთრებით გაუსვა ხაზი სოფლის მეურნეობის დეპრესიულ მდგომარეობას, როგორც ხანგრძლივი ვარდნის ერთ-ერთ მთავარ მახასიათებელს.

პირველი „დიდი ციკლის“ აღმავლობა კონდრატევემა დაუკავშირა სამრეწველო რევოლუციის ინგლისში, მეორე – რკინიგზის ტრანსპორტის განვითარებას, მესამე – ელექტროენერჯის, ტელეფონისა და რადიოს დანერგვას, მეოთხე – საავტომობილო მშენებლობას. მეხუთე ციკლს თანამედროვე მკვლევარები უკავშირებენ ელექტრონიკისა და გენური ინჟინერიის განვითარებას.

თანამედროვე მკვლევართა ნაწილის შეხედულებით ტალღები, რომლებიც XX საუკუნეში კონტრატივეის სახელს ატარებს, ჯერ კიდევ ჩვენი ერის პირველი და მეორე ათასწლეულის მიჯნაზე ჩინეთში ჩაისახა. ის შემდგომ დიდი აბრეშუმის გზით გადაადგილდა იტალიაში და XV საუკუნეში განვითარების მაღალი ტემპებით საოკეანო ვაჭრობის განვითარებასთან ერთად მან სიმწიფის სტადიას მიაღწია, სადაც ბატონობდნენ ნიდერლანდები, პორტუგალია და ესპანეთი.

როგორც აღვნიშნეთ, ამ დრომდე არ არსებობს ციკლების ერთიანი თეორია. უფრო მეტიც, მრავალი ეკონომისტი უარყოფს პრინციპში ეკონომიკის განვითარების მკაცრი პერიოდული ციკლურობის არსებობას. როგორც წესი, მათ მიეკუთვნება უპირატესად ნეოკლასიკური სკოლის და მონეტარიზმის წარმომადგენლები. ეს ეკონომისტები ამჯობინებენ ისაუბრონ არა ციკლურობაზე (ციკლი გულისხმობს მეტ-ნაკლებად უცვლელ პერიოდულობას), არამედ კონიუნქტურულ რყევებზე, რომლებიც გამოწვეულია თვითნებური (თავისუფალი) ეკონომიკური ფაქტორების ერთობლიობით.

ეკონომიკური ციკლები მაკროეკონომიკის ერთ-ერთი ყველაზე სადისკუსიო პრობლემაა. ცნობილია ათობით სხვადასხვა კონცეფცია, რომლებიც, ასე თუ ისე, გვიხსნის ეკონომიკური ციკლების (რყევების) ბუნებას, მაგრამ უნაკლოდ ვერცერთი ვერ ჩაითვლება.

გლობალიზაციის პირობებში კრიზისული მოვლენების მიზეზები განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკისათვის, არსებითად, საგარეო ხასიათისაა. ის გამოიხატება ნედლეულზე მოთხოვნის ვარდნასა და კაპიტალის გადინებაში, რაც იწვევს თანამდევ სტანდარტულ ჯაჭვურ რეაქციას – აქტივების გადაფასებას, დაკრედიტების მკვეთრად შემცირებას და მოთხოვნის შემდგომ ვარდნას. ამასთან, შიგა მიზეზების კვლევა, რომლებიც განაპირობებს ეკონომიკის ციკლურ რყევებს, ასევე დიდ ინტერესს იწვევს.

ნებისმიერი კრიზისის წარმოშობის, შემდგომი გადრმაგებისა და ეკონომიკური ციკლის დასრულების ძირითადი მიზეზი საკრედიტო ოპერაციების შეზღუდვაა, რაც ეკონომიკური აქტივობისა და მოთხოვნის გარდაუვალ ვარდნას იწვევს. თავის მხრივ, ეს ფონი შემდგომ ეტაპზე განაპირობებს კრედიტებზე დაბალ მოთხოვნას. ეს კარგად ჩანს როგორც 2008 წლის კრიზისის დაწყების მიზეზების, ასევე აშშ-ის ეკონომიკის განვითარების მომდევნო ეტაპის მაგალითებზე, რომელიც აქტიური ფულადი ინექციების მიუხედავად, თითქმის 10-პროცენტთან უმუშევრობას განიცდის. აქ საქმე არა იმდენად ინექციების მოცულობაშია, რამდენიც იმ ფულად მასაზე, რომელიც მიმართულ იქნა დაკრედიტებაზე.

კრედიტების შემცირება საბანკო სისტემის ბუნებრივი რეაქციაა რეცესიის ნიშნებისა და დაკრედიტების რისკების ზრდის მიმართ. ეს შეიძლება მეორად გამოვლინებად ჩავთვალოდ. რაში გამოიხატება საქმიანი აქტივობის ვარდნის პირველადი მიზეზები და შესაძლებელია თუ არა მისი

პროგნოზირება? რატომ ხდება, რომ კრიზისები ზოგჯერ დამანგრეველ ზემოქმედებას ახდენს ეკონომიკაზე, ზოგჯერ კი შედარებით უმტკივნეულოდ ჩაივლის? რა მოვლენები უსწრებს კრიზისებს და როგორია ამ კრიზისების დინამიკა?

ამ კითხვებზე საპასუხოდ აუცილებელია რამდენიმე ჰიპოთეზის მოშველიება. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა „ფინანსური სიმეიფის“ ჰიპოთეზა, რომელიც ეკუთვნის კეინზიანური სკოლის წარმომადგენელს ჰაიმან მინსკის⁶⁹. ის მას კრედიტების ხელმისაწვდომობისა და მისი მომსახურების შესაძლებლობების ფუნქციის სახით წარმოგვიდგენს. მინსკის ჰიპოთეზის თანახმად, კრიზისი წარმოიშობა ბაზრის სუბიექტების მიერ საკუთარი ვალის მომსახურებასთან დაკავშირებული პრობლემების თანდათანობით გამწვავების შედეგად: ეკონომიკური აღმავლობის საწყის სტადიაზე ფირმებს შეუძლიათ დააფინანსონ საკუთარი პროექტები საკუთარი საშუალებების ან კრედიტების ხარჯზე, ამასთან, მათი შემოსავალი აღემატება სესხებზე გადასახდელ პროცენტებსა და სესხის ძირითად თანხას, შემდგომ ვალი გროვდება და კრედიტის მომსახურება რთულდება, ამასთან, შემოსავალი, მართალია, ფარავს პროცენტებს, მაგრამ სესხის ძირითადი თანხის ასანახლაურებლად არასაკმარისია; საბოლოოდ, როცა სისტემა აღწევს ფინანსური სიმეიფის მწვერვალს, რომლის დროსაც იწყება ე.წ. პონცი-დაფინანსება (ეს უკავშირდება იტალიური წარმოშობის ამერიკელ ფინანსისტს, ჩარლზ პონცის, რომელმაც მეანაბრებისადმი ძალიან მაღალი პროცენტების გადახდის დაპირებით შექმნა ფინანსური პირამიდა). ეს სტადია ხასიათდება იმით, რომ კომპანიათა უმრავლესობა ვერ ფარავს არათუ სესხის მთლიან თანხას, არამედ ამ სესხზე არსებულ პროცენტებსაც. არცთუ იშვიათად, კრიზისის წინა პერიოდში ფირმები იძულებულნი ხდებიან მოახდინონ თავიანთი სესხების რეფინანსირება ახალი კრედიტების მეშვეობით.

აქვე უპირაინა გავიხსენოთ ჰიპოთეზა, რომლის მიხედვითაც ეჭვქვეშ დგება სასესხო პროცენტის არსებობის მართლზომიერება, რომლის თანახმადაც, რეალურ სექტორს აპრიორულად არ შეუძლია ვალი სრულად აუნახლაუროს საბანკო სექტორს. საქმე აქ არა მარტო პროცენტის არსებობას, არამედ მის სიდიდესაც ეხება. რეალურმა სექტორმა შეიძლება აიტანოს კრედიტი წლიური 5-7%-იანი განაკვეთით, მაგრამ 20-25%-იანი კრედიტის ატანა თითქმის გამორიცხვულია. ფინანსური სისტემა ასეთი მაღალი პროცენტებით ნებისმიერი ინოვაციისა და მოდერნიზაციის უმთავრესი მტერია. მაგრამ, სესხზე პროცენტები თანამედროვე საბანკო სისტემის არსებობის საფუძველია. ის განაპირობებს ფულის მიმოქცევის ელასტიკურობას ფულადი მულტიპლიკატორის ეფექტით, რომელიც გულისხმობს ერთი ბანკის მიერ გაცემული კრედიტის გადაქცევას სხვა ბანკის რესურსად და ა.შ.

კორპორაციული და სახელმწიფო ვალის „შექმნა“ ფულის მიწოდების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მექანიზმია. ფულადი მულტიპლიკატორის მოქმედება კიდევ უფრო სწრაფად მოქმედებს უკუმიმართულებით, როდესაც რომელიღაც ბანკი ჩართულია ამ სისტემაში, ხოლო სხვა ბანკები უკვე არ „წარმოებენ“ კრედიტებს. ფინანსური ბაზრები ისეა მოწყობილი, რომ ამ შემთხვევაში შეუძლებელი ხდება ფულის სესხად მიღება ძალიან მაღალი საპროცენტო განაკვეთითაც კი.

დავუბრუნდეთ ეკონომიკური ციკლის დინამიკის მიზეზებისა და შედეგების ანალიზს. ჰაიმან მინსკისეული ეკონომიკური ციკლის ზემოთაღწერილი სქემა შეგვიძლია კიდევ უფრო გაეშალოთ ინვესტიციების ეფექტიანობისა და ფულის მიწოდების დინამიკის გათვალისწინებით. ციკლის საწყის სტადიაზე, როდესაც ადგილი აქვს მოთხოვნის „დროებით გადავადებას“, ეკონომიკაში წარმოიქმნება დაუკმაყოფილებელი მოთხოვნილებების კერები, ამასთან, მასში არსებობს ჭარბი თავისუფალი რესურსები, მათ შორის, სამუშაო ძალა. მეწარმეები მიმართავენ საკუთარ რესურსებს ახალ ბიზნეს-პროექტებში. ამ შემთხვევაში რისკის ხარისხი დაბალია, ხოლო წარმატების ალბათობა ძალიან მაღალი. მაგრამ, ინვესტიციების (და მის საფუძველზე კაპიტალის) ზრდის კვალობაზე, სამეწარმეო მარჟის გაჯერების გამო, მრავალ საინვესტიციო პროექტზე შემოსავლიანობა ეცემა, ზოგიერთი კი საერთოდ წამგებიანი ხდება. ჰიპოთეზა ინვესტიციების შემოსავლიანობის შემცირებაზე მისი მოცულობის ზრდის კვალობაზე, შემოთავაზებულ იქნა ჯ. მ. კეინზის მიერ კაპიტალის ზღვრული ეფექტიანობის თეორიაში. ასეთი კანონზომიერება საერთო ეკონომიკური კანონის – წარმოების ფაქტორთა ზღვრული მწარმოებლურობის კლებალობის შედეგია.

მართლაც, 2000-იანი წლების შუა პერიოდში, როცა აღმოაჩნდა, რომ საოფისე, უძრავ ქონებას მოჰქონდა საკმაოდ მაღალი შემოსავალი, ინვესტორებმა კაპიტალდაბანდების მძლავრი ნაკადი მიმართეს სამშენებლო ბიზნესში. მათი მნიშვნელოვანი ნაწილი ვერ (ან არ) ხელავდა დაბანდების სხვა სფეროებს. მაგრამ, მიწოდებისა და კონკურენციის ზრდის გამო, მასზე შემოსავლიანობა შემცირდა. შესაბამისად, ინვესტიციების ეფექტიანობის ვარდნამ დროთა განმავლობაში შეამცირა ფირმების მიერ კრედიტების დაფარვის უნარი, რაც რეცესიის ობიექტური მიზეზი გახდა. თავდაპირველად კომპანიებისა და ბანკების მოგება გაიზარდა, მაგრამ შემდეგ კორპორაციული და საბანკო სექტორების რენტაბელობა სწრაფად შემცირდა.

როგორც ცნობილია, საკრედიტო შეზღუდვების პერიოდში, რომელიც უსწრებს ფინანსურ კრახს, ყველაზე მეტად საინვესტიციო საქონლის წარმოება ზარალდება. ამ ფაქტზე განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილეს ავსტრიული ეკონომიკური სკოლის წარმომადგენლებმა -

⁶⁹ Столбов М.И. Гипотеза финансовой неустойчивости Хаймана Мински и экономический кризис в России / М.И. Столбов // Мировая экономика и международные отношения. 2010, № 3, с. 56-64.

ლუდვიგ ფონ მიხესმა და ფრიდრიხ ფონ ჰაიემა, ასევე ერნანდო დე სოტომ. გარკვეულწილად ეს გამოწვეულია იმით, რომ რაც უფრო ხანგრძლივია საინვესტიციო პროექტი, მით უფრო მეტია ალბათობა იმისა, რომ ის აღმოჩნდეს კრიზისის ზონაში, რაც გულისხმობს მოცემულ პროექტებზე გაცემული სესხების დაუბრუნებლობას.

უფრო მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ამ საქონლის დიდი ნაწილის ყიდვა შეუძლებელია ხელფასით და მუშაკთა მიერ შექმნილი დანახოვებით. როგორც წესი, მათი წარმოება მიმდინარეობს საკრედიტო რესურსების მოზიდვით. ამიტომ, ასეთი ტიპის საქონლის მიწოდება და მასზე მოთხოვნა ემყარება, უპირველეს ყოვლისა, დაკრედიტების ხელმისაწვდომობას, რაც განაპირობებს მის კარდინალურ სიმყიფეს რეცესიის ფაზაში. საკრედიტო ბუმი „ფინანსური პირამიდების“ მშენებლობის პროვოცირებას ახდენს, რომელიც განწირულია გარდაუვალი რღვევისათვის.

მიუხედავად „ფინანსური სიმყიფის“ თეორიის მიმზიდველობისა და სიმარტივისა, სინამდვილეში სიტუაცია ბევრად რთულია. მაგალითად, ძნელია გავიგოთ, თუ რომელია არსებული პროცესების თავდაპირველი მიზეზი და რომელი - შედეგი. რეცესიაში აღმოჩენას კუმულაციური ხასიათი აქვს, რომელშიც მორიგი მიზეზი ერთდროულად შედეგიცაა. დაკრედიტების ნებისმიერი შემცირება იწვევს ინვესტიციების, შემდეგ შემოსავლების შემცირებას, რაც დეფოლტების მეორად ინდუცირებას ახდენს. ამას კი დაკრედიტების, ინვესტიციებისა და მოთხოვნის კიდევ უფრო მასშტაბური შემცირება მოჰყვება და ა.შ. ყოველივე ეს კრახით სრულდება, რაც გამოწვეულია აქტივების გაუფასურებით, ფულადი ინექციების შემცირებით და მომდევნო სავალო კრიზისით გარდაუვალი დეფლაციის ფონზე. ვიდრე მიმდინარეობს დაკრედიტება იმ ტემპებით, რომელიც საკმარისია მოთხოვნის შესანარჩუნებლად, რეცესიის რეალური ნიშნები პრაქტიკულად არ შეიძინევა. საკრედიტო „ბუმი“ არა მარტო განაპირობებს, არამედ ახდენს „გადახურების“ შენიღბვას. არსებული რენტაბელობის მაჩვენებელი დამაკმაყოფილებელია, მაგრამ მომავალი პროექტების რენტაბელობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად საკმარისია მიმდინარე და მომავალი დაკრედიტების ტემპები. ამიტომ, როგორც კი დაკრედიტება არასაკმარისი ხდება, კომპანია-ინვესტორების რენტაბელობა და მისი კრედიტუნარიანობა სწრაფად ეცემა. ამ თემას ქვემოთ დავუბრუნდებით. ამჯერად განვიხილოთ ეკონომიკური ზრდის თვითშეზღუდვის სხვა მიზეზები.

ეკონომიკური ზრდის პროცესში მეწარმეები ქმნიან ახალ ღირებულებებს და გვემავენ მოგების მიღებას. მაგრამ, როგორც კი რთულდება შექმნილი პროდუქციის გაყიდვა, იწყება გარდაუვალი ეკონომიკური ვარდნა, რადგანაც შეუძლებელი ხდება კრედიტების დაბრუნება. მაშასადამე, ეკონომიკური ზრდის მხარდასაჭერად ფულადი მასა ადეკვატურად და სწვევტად უნდა იზრდებოდეს, ხოლო ფულის მიმოქცევის სინქარე დაახლოებით მუდმივი უნდა იყოს. პირველი პირობა ცნობილია, როგორც „მონეტარისტული წესი“, რომელიც შემოთავაზებულ იქნა მ. ფრიდმენის მიერ. ციკლის მიმდინარეობის პროცესში დაგეგმილი ინვესტიციებისა და პროდუქციის მოცულობა, რომელიც აუცილებელია ამ პროექტების სარეალიზაციოდ, მუდმივად იზრდება, შესაბამისად, იზრდება რესურსების გამოყენება და სამუშაო ძალის დასაქმება, ხოლო რადგანაც რესურსები და განსაკუთრებით სამუშაო ძალა მკაცრად შეზღუდულია, ადრე თუ გვიან წარმოიქმნება დისბალანსი, ადგილი ექნება დანახარჯების ზრდას, რომელიც ხელს შეუშლის გეგმის განხორციელებას, ინვესტიციების გამოსყიდვას და კრედიტების დაბრუნებას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სისტემის პროპორციული გაფართოება იმ შემთხვევაში, თუ მისი ერთ-ერთი კომპონენტი ამოწურულია, შეუძლებელია წმინდა პრაქტიკული თვალსაზრისით.

საკრედიტო „ბუმის“ სტადიაზე მუდმივად იზრდება მოთხოვნა სამუშაო ძალაზე, რაც იწვევს დასაქმების ზრდას. დასაქმებულთა ხელფასები მოთხოვნის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია, რაც წარმოებული პროდუქციის რეალიზაციის საშუალებას იძლევა. მაშასადამე, სამუშაო ძალის შეზღუდულობა „სრული დასაქმების“ მიღწევის შემთხვევაში ზღუდავს მოთხოვნის შემდგომ გაფართოებას. ამ მომენტს თითქმის ერთდროულად მიაქცევს ყურადღება კეინზიანური სკოლის წარმომადგენლებმა ჯონ ჰიკსმა ნაშრომში „სავაჭრო-სამრეწველო ციკლები“ და ედვინ ჰანსენმა - „ეკონომიკური ციკლები და ეროვნული შემოსავალი“.

აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ კარლ მარქსმა მიაქცია ყურადღება მთელი წარმოებული პროდუქციის სრულად გაყიდვის შეუძლებლობას. მისი აზრით, ჭარბწარმოების მიზეზი კაპიტალისტების მიერ ზედმეტი ღირებულების მითვისება და მუშაკთა დაბალი ხელფასია. მიუხედავად იმისა, რომ მარქსის რეცეპტები საკამათოა, ეკონომიკური ციკლის თეორიაში ის ერთ-ერთი პიონერია.

ერთობლივი მოთხოვნის უკმარისობის პრობლემის დროებით გადაჭრა შესაძლებელია „ვალების“ ინდუცირებით, მაგრამ ვალის მოცულობა შეუძლებელია უსასრულოდ გაიზარდოს. რესურსების შეზღუდულობა ბანკებს აიძულებს კრედიტების შეკვეცას, დგება „ჭარბწარმოების“ კრიზისი, რომელიც არ დასრულდება მანამ, ვიდრე შექმნილი მარაგების ძირითადი მასა არ გაიყიდება, ხოლო ვალის დიდი ნაწილი არ დაიფარება, რაც არასაკმარისი მოთხოვნის პირობებში ახდენს დეფლაციის პროვოცირებას, წარმოების შემცირებასა და უმუშევრობის ზრდას.

პოსტკრიზისულ პერიოდში თანდათანობით გროვდება მოთხოვნის დეფიციტი, კაპიტალი ცვდება ფიზიკურად და მორალურად, გროვდება ჭარბი ლიკვიდურობა, ვალები თანდათანობით „გაიწოვება“, რაც ციკლის აღმავალ ტალღაზე მიანიშნებს. რა თქმა უნდა, მოთხოვნა შეიძლება

დროებით გაიზარდოს ხელფასების ან სახელმწიფო შესყიდვების ზრდის ხარჯზე, მაგრამ სრული დასაქმების მიღწევის ფუნდამენტური ფაქტორების ამოწურვის შემთხვევაში, მოთხოვნის ზრდა დაკრედიტების, ხელფასების ან სახელმწიფო ვალის ზრდის ხარჯზე შეუძლებელია უსასრულოდ გაგრძელდეს.

ჯ. მ. კეინზის აზრით, ფულის ძირითადი განმასხვავებელი ნიშანი ისაა, რომ მისი წარმოება შეუძლებელია ნებისმიერი მასშტაბით. იგივე შეიძლება ითქვას სამუშაო ძალაზე, რომელიც, მართალია, იზრდება შობადობის ხარჯზე, მაგრამ არა ყველა ქვეყანაში და არა ადეკვატური ტემპებით.

საბაზრო ეკონომიკა უნარიანია გაფართოვდეს მანამ, ვიდრე მასში არსებობს თავისუფალი რესურსები. როგორც კი ის ამოიწურება, იწყება ვარდნა. სწორედ ვარდნის დროს იქმნება პირობები, როცა ადგილი აქვს რესურსების გამოთავისუფლებას, დანაზოგებისა და გადავადებული მოთხოვნის რეალიზებას და ა.შ. მაგრამ, რამდენად შესაძლებელია სრული დასაქმების მიღწევა? სრული დასაქმება საბაზრო ეკონომიკის პირობებში მიუღწევადია არა მარტო სოციალური და ინდივიდუალური ხასიათის, არამედ რეგიონული, სამუშაო ძალაზე მოთხოვნა-მიწოდებას შორის დისპროპორციების გამო. ბუშთან ახლოს მდგომ ციკლის სტადიაზე დასაქმების ზრდის ტემპი არასაკმარისი ხდება და საერთო ეკონომიკური ზრდაც ფერხდება.

აღსანიშნავია, რომ წმინდა სტატისტიკური თვალსაზრისით ინვესტიციების საერთო მოცულობის გარკვეული ნაწილი მცდარ გადაწყვეტილებებს ეფუძნება, რაც განპირობებულია მომავალი მოთხოვნის არასწორი შეფასებით, კრედიტული იდეების მცდარობით, საინვესტიციო პროექტების არასათანადო შეფასებით და ა.შ. მსგავსი შეცდომები, რომელიც იწვევს პრობლემური ვალების დაგროვებას, იღეკება საბანკო სისტემაში და ფიზიკური ენთროპიის მსგავსად იზრდება. ლუდვიგ ფონ მიზესის სიტყვებით რომ ვთქვათ, ადგილი აქვს არასწორ საინვესტიციო გადაწყვეტილებებს.

ცხადია, მომგებიანი ინვესტიციები ქმნის პირობებს დადებითი ფულადი ნაკადების გენერაციისათვის, ზრდის მათ ღირებულებას, რაც თავის თავში მოიცავს ახალი ფულის შექმნის მექანიზმს. დაუსაბუთებელი, წამგებიანი ინვესტიციები ამცირებს აქტივების ღირებულებას, რაც ფაქტობრივად კეცავს ფულად მასას. ანალოგიური პროცესი მიმდინარეობს საბანკო სისტემაში ინვესტიციების კრედიტებით დაფინანსების დროს: წარმატებული ინვესტიციების დროს აქტივები აჭარბებს პასივებს, ბანკი ღებულობს მოგებას. დაუსაბუთებელი ინვესტიციები იწვევს კრედიტების დაუბრუნებლობას, აქტივების ღირებულების შემცირებას და ბანკების ბალანსში „ხვრელების“ წარმოქმნას, რაც, თავის მხრივ, კეცავს ფულად მასას. წარმატებული ბანკებისათვის ეს „ხვრელები“ იფარება წარმატებული პროექტებიდან, მაგრამ ეკონომიკური ციკლის მხოლოდ ადამავალ სტადიაზე. პრობლემა ისაა, რომ ეს პროცესი ბანკების მიერ ინიღბება და საკმაოდ გაუმჭვირვალეა.

ავსტრიული ეკონომიკური სკოლის ერთ-ერთი დამსახურება ისაა, რომ მართებულად აჩვენა საბანკო დაკრედიტების გაფართოებისა და ეკონომიკური ციკლის ურთიერთკავშირი. ამ სკოლის მიხედვით, კრიზისებში დამნაშავეა საკრედიტო ბუმი, რომლის დროსაც ადგილი აქვს საკრედიტო განაკვეთების შემცირებას, ხოლო საინვესტიციო პროექტები დროში იწელება. ეს ემპირიულ ფაქტებთან შესაბამისობაშია. ამიტომ, შეიძლება დავეთანხმოთ მათ მტკიცებას იმის თაობაზე, რომ საკრედიტო ბუმის წარმოშობა მცდარი ინვესტიციების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიზეზი და წინაპირობაა. ავსტრიული სკოლის თანახმად, ამ შემთხვევაში ინვესტიციები აჭარბებს დანაზოგებს და ეროვნული დანაზოგების არსებული სტრუქტურა და მოცულობა არ შეესაბამება ახალ ჭარბ ინვესტიციებს. არსებობს სხვა მიზეზიც. კერძოდ, აუცილებელი ინფორმაციის არარსებობა იწვევს სტიქიურ საინვესტიციო აქტივობას, რომლის დროსაც ძალიან მაღალია დაუსაბუთებელი ინვესტიციების ალბათობა.

საბანკო სექტორი ეკონომიკის გულსისძარღვაო სისტემის როლს ასრულებს, სადაც ბანკები გულია, ხოლო საანგარიშსწორებო სისტემა – სისხლძარღვი. ჭარბი პულსი (რომელიც იზომება, როგორც დაკრედიტების მატების ტემპი) არღვევს სისტემას, მაგრამ მისი სისუსტე ან სულაც, მისი არარსებობა ისევე, როგორც ცოცხალ ორგანიზმში, აქაც დამღუპველია.

კრიზისის მეორე ძირითადი მიზეზი კრედიტების შეკვეცაა, რომელსაც ადგილი აქვს ეკონომიკაში პირველადი ნეგატიური ფონის გაძლიერების შედეგად. ციკლების თეორიაში ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხია ის, თუ რა წარმოადგენს ნეგატიური მოვლენის დაწყების პირველად მიზეზს. შეიძლება ასე ვივარაუდოთ: კომპანიების ფინანსური მდგომარეობის გაუარესება, საბანკო სისტემაში რესურსების დეფიციტი და ნორმატიული შეზღუდვები, კრედიტების ზრდის ტემპის შემცირება, ვადაგადაცილებული დავალიანებების პირველადი ზრდა და რისკების გადაფასება, ფინანსურ ბაზრებზე შიგა და გარე შოკები ან მათი კომბინაცია.

როგორც კრიზისის წინა პერიოდების ანალიზი გვიჩვენებს, კრიზისების მწვავე სტადიას უსწრებს გარკვეული მოღუნება, ეკონომიკაში ფულადი მასის ზრდის ტემპების შენელება. მაგალითად, ასეთ მოვლენას ჰქონდა ადგილი აშშ-ში 1929 და 2008 წლების პირველ ნახევარში. ეს ფაქტი მონეტარისტების მხრიდან დაჟინებული ყურადღების ობიექტია. ასეთი მდგომარეობა კარგად შეესაბამება ჰაიმან მინსკისეულ „ფინანსური სიმეიფის“ სტადიას. შესაძლებელია, რომ ეს გამოწვეული იყოს „საკრედიტო შეკვეცის“ პირველი ნიშნებით. ამ მომენტში საკმარისია უმნიშვნელო ბიძგიც კი, რომელიც ქმნის მინიმალურ ფულად დეფიციტს, რომელსაც შეუძლია მასშტაბური კრიზისის

პროვოცირება ჯერ საფონდო ბაზარზე, შემდგომ საფინანსო და საბანკო სისტემაში, რაც იწვევს ერთობლივი მოთხოვნის მნიშვნელოვან შემცირებას და ეკონომიკის კოლაფსს.

პრაქტიკაში ნებისმიერი ეკონომიკური კრიზისი სრულდება საკუთრების ტოტალური გადაწვევით ფინანსური სექტორისა და უმსხვილესი კომპანიების სასარგებლოდ. ეს ძალიან საინტერესო მომენტია და მასზე უნდა გამახვილდეს განსაკუთრებული ყურადღება. ამასთან, ეკონომიკური ციკლის დინამიკა პრაქტიკულად სრულად განისაზღვრება საბანკო საკრედიტო ციკლის დინამიკით და რეალური სექტორის ვალის დაგროვებით საბანკო სექტორის მიმართ. ეს პროცესი მკაცრად ციკლური ხასიათისაა და ეკონომიკაში ზრდისა და ვარდნის ძირითადი მიზეზია.

წარმოების საბაზრო წესისათვის დამახასიათებელია წინააღმდეგობა წარმოებასა და მოხმარებას შორის. არსებობს, სულ მცირე, სამი ფაქტორი, რომელიც ზღუდავს მოთხოვნისა და მიწოდების გაფართოებას და განაპირობებს კიდევ თანამედროვე ეკონომიკური სისტემის არამდგრადობას: ინვესტიციებზე შემოსავლიანობის შემცირება, სრული დასაქმების მიღწევა და საბანკო სისტემის მხრიდან დაკრედიტების შეზღუდულობა. მოკლედ, ციკლის თეორია შეიძლება ასე ჩამოვყალიბოთ: საკრედიტო „ბუმი“, „ფინანსური სიმყიფე“, ჭარბწარმოება და სავალსე კრიზისი.

რაც შეეხება ალტერნატიულ გეგმიან ეკონომიკას, სადაც დაკრედიტებაზე გადაწყვეტილება მიიღებოდა სახელმწიფოს მიერ, დეპრესია და ფინანსური კრიზისი, როგორც ასეთი, არ არსებობდა.

მეორე ალტერნატიულ მაგალითს წარმოადგენს ბოლო 35 წლის განმავლობაში მუდმივი საგარეო ექსპანსიის ფონზე უწყვეტად განვითარებადი ჩინეთის ეკონომიკა, რომელსაც „ეკონომიკური თავისუფლების“ პარალელურად გააჩნია სახელმწიფო რეგულირების აშკარად გამოხატული სპეციფიკა, სადაც ძირითადი საქმიანობა ფინანსური სისტემისა და ბუნებრივი მონოპოლიების რეგულირებაა. ფინანსური სისტემის გულს სახელმწიფო ბანკები წარმოადგენს, რომლებიც ახორციელებენ დირექტიულ დაკრედიტებას. არსებობს შეზღუდვები კაპიტალის მოძრაობაზე, კონვერტირებადობაზე, აქცენტი კეთდება სუვენერულ ფინანსურ პოლიტიკაზე, ეროვნული ვალუტის დომინირებაზე, სახელმწიფო საკუთრების დომინირებაზე ბუნებრივი მონოპოლიის სექტორში, რომელიც ქვეყანაში საკმაოდ დაბალი ტარიფების არსებობას უზრუნველყოფს. ერთი სიტყვით, სახეზეა აშკარა ანტილიბერალური მოდელი, რომელიც ეკონომიკას აბსოლუტურად მდგრად სისტემად აქცევს. ყოველივე ეს ეყრდნობა იაფი სამუშაო ძალის უზარმაზარ მარაგს, რომელსაც მუდმივად გააჩნია დასაქმებისა და უწყვეტი საგარეო ექსპანსიის მნიშვნელოვანი მარაგები, რაც მას ჯერჯერობით საშუალებას აძლევს გაყიდოს ყველაფერი, რაც იწარმოება. ამ ექსპანსიის მეორე მხარეა განვითარებული ქვეყნების ეკონომიკაში ტრადიციული დარგების სტაგნაცია, რომლებიც კარგავენ სამუშაო ადგილებს ჩინეთის ეკონომიკის ზრდის ფონზე.

მიუხედავად რისკისა და „გადახურების“ ზოგიერთი ნიშნისა, ჩინეთის ეკონომიკას უწინდებურად შეუძლია თავი დააღწიოს რეცესიას, რადგანაც მისი ფინანსური ბაზრები დაცულია, სახელმწიფო მზადაა ნებისმიერ მომენტში მოახდინოს საბანკო სისტემის რეკაპიტალიზაცია და მიაწოდოს იმდენი ლიკვიდურობა, რამდენიც საჭირო იქნება. რაც შეეხება სამუშაო ძალას, მისი მარაგი ჯერჯერობით ამოუწურავია.

გლობალური ეკონომიკური კრიზისის ერთ-ერთი მიზეზი მსოფლიო ეკონომიკაში არსებული დისპროპორციაა, რომელიც ხანგრძლივი დროის მანძილზე შენობილი იყო ვალის ზრდით, უპირველეს ყოვლისა, აშშ-სა და იაპონიაში. ეს დისპროპორცია გამოწვეულია, ერთი მხრივ, აშშ-ში, იაპონიასა და ევროპაში წარმოების პოტენციურ შესაძლებლობებსა და მეორე მხრივ, საკუთარი წარმოების პროდუქციის გასაღებისათვის საჭირო ადეკვატურ ბაზრებს შორის შეუსაბამობით, რაც, თავის მხრივ, განპირობებულია დასავლეთის ქვეყნების ისტორიული სურვილით შეინარჩუნონ თავიანთი ჰეგემონია მესამე მსოფლიოს ქვეყნებზე ამ ქვეყნების ჩამორჩენილობითა და ექსპლოატაციით, რაც აშშ-ს, იაპონიასა და დასავლეთ ევროპას ბუმერანგით დაუბრუნდა. ალბათ, ამ ქვეყნებში ეკონომიკური მდგომარეობა უკეთესი იქნებოდა აფრიკას, რუსეთს, ლათინურ ამერიკასა და ინდოეთს უფრო განვითარებული ეკონომიკა რომ ჰქონდეთ. ამ მოვლენას ჯოზეფ სტიგლიცმა „გლობალური მოთხოვნის სისუსტე“ უწოდა.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე შეიძლება შემდეგი დასკვნის გაკეთება: ა) ეკონომიკის მდგრად განვითარებას უნდა ჰქონდეს ზრდის ოპტიმალური ტემპები. უფრო მაღალი ტემპები სისტემას „გადახურებისკენ“ უბიძგებს; ბ) ზრდის ოპტიმალური ტემპები მიღწეულ უნდა იქნეს საპროცენტო განაკვეთების ადეკვატური რეგულირებით, მოქნილი ანტიციკლური ფისკალური პოლიტიკით; გ) უნდა მოხდეს ვალების რესტრუქტურისაცია, ვალების შესაძლო მთლიანი ან თუნდაც ნაწილობრივი ჩამოწერა, ასევე მათი გაუფასურება და ლიკვიდურობის შეთავაზება; დ) საინვესტიციო პროექტების დაფინანსების ფართო არჩევანის შეთავაზება; საინვესტიციო პროექტების მნიშვნელობიდან გამომდინარე მათი დაფინანსების უზრუნველყოფა პროცენტების გადახდის ვალდებულების გარეშე.

გამოყენებული ლიტერატურა

1. მ. ჩიქობავა, თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი საქმიანი ციკლის თეორიის თვალსაზრისით, ჟურნ. „ეკონომიკა და ბიზნესი“ №4, თსუ გამომცემლობა – 2012 წ., გვ. 75-90.
2. А.С. Селишев, Макроэкономика, 2-е издание, Санкт-Петербургского-2002. gv. 372-380.

3. Л.С. Тарасевич, В.М. Гальперин, П.И. Гребенников, А.И. Леусский, Макроэкономика, Учебник, 3-е издание, изд. Санкт-Петербургского Гос. Университета экономики и финансов – 1999. гв. 242-280
4. Столбов М.И. Гипотеза финансовой неустойчивости Хаймана Мински и экономический кризис в России / М.И. Столбов // Мировая экономика и международные отношения. 2010, № 3, гв. 56-64.

Malkhaz Chikobava

THE NATURE OF ECONOMIC CYCLES AND CRISES
Annotation

In work it is analysed the modern problems of the world economic crises by standpoint of the theories of business cycles.

The main reason for present global crisis is a disproportion of world economy, which was masked by growth of national debts in a long time, first of all in the USA and Japan. This disproportion are caused by a huge gap between potential possibilities of production in the USA, Japan and Europe, saturation of their domestic market (overproduction) and absence of the adequate markets for sale of their production because of unevenness of the world development caused by historical desire of the countries of the West to keep the hegemony by preservation of backwardness and operation of Third World countries, come back to them a boomerang. Probably, the condition in the USA economy would be better better, if Africa, Russia, Latin America and India would have more developed economy. This that J. Stieglitz called «weakness of global demand».

Those politicians who see ideal model of economy with zero public sector, don't understand that such system can be especially unstable. It is necessary to understand accurately that the market in itself isn't panacea and can't coordinate completely the activity, especially in a crisis situation. It is necessary reasonable state regulation and planning.

უცხოური პირდაპირი ინვესტიციებისათვის დამახასიათებელი გლობალური ტენდენციები

ადრეული 1990-იანი წლების ყოფილი საბჭოთა კავშირის და ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების გამოცდილებამ აჩვენა, რომ საბაზრო ეკონომიკის პირობებში ეკონომიკური ზრდა დიდძალ კაპიტალს მოითხოვს. ერთადერთი გზა, რითაც ქვეყანას შეუძლია ძირითადი კაპიტალის დაგროვება და მოდერნიზაცია, არის ინვესტირება. მართალია, შიდა ინვესტირების თეორიული შესაძლებლობები არსებობს, მაგრამ ის საჭიროებს ადგილობრივი დანაზოგების გარკვეულ დონეს და მნიშვნელოვან შემოსავალს ექსპორტიდან. სწორედ ამაში მდგომარეობს გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების უპირველესი პრობლემა, რაც აბრკოლებს მათი განვითარების პროცესს. ამ ქვეყნებს აქვთ დანაზოგების (როგორც სახელმწიფო, ისე კერძო) ძალიან დაბალი დონე, ასევე შემოსავლების მობილიზების მწირი საშუალებები, რაც აუცილებელია სახელმწიფო დანაზოგების დონის ამაღლებისათვის. შედეგად, გვაქვს ძირითად კაპიტალში ინვესტირების ძალიან დაბალი მაჩვენებელი. უფრო მეტიც, გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების უმეტესობას რომც ჰქონოდა საკმარისი შემოსავლები დანაზოგების აკუმულირების მაჩვენებლების გასაზრდელად, გაუმართავი ინფრასტრუქტურა შეუძლებელს გახდიდა ეკონომიკურ ზრდას ახლო მომავალში მხოლოდ შიდა ძალისხმევის ხარჯზე. ასეთ დროს, სუსტი ეკონომიკის ქვეყნებისათვის ფიზიკური და ფინანსური კაპიტალის შეხიდეებითა და მოზიდვით, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები განაპირობებს შესაძლებლობების, მატერიალური სიმდიდრისა და კეთილდღეობის გენერირებას, რაც წარმოქმნის ახალ სამუშაო ადგილებს. გარდა ამისა, უცხოური ინვესტირების მიერ გადახდილი გადასახადებიდან მიღებული ახალი შემოსულობები ზრდის საშემოსავლო კალათას და ეს იძლევა ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისა და არსებული ადამიანური კაპიტალის გაძლიერების შესაძლებლობას. ამრიგად, უცხოური კაპიტალის შემოდინების მნიშვნელოვან საკუთრებით გრძელვადიანი და სტაბილური პირდაპირი უცხოური ინვესტიციების, განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას იძენს ასეთი ქვეყნებისათვის.

უცხოური პირდაპირი ინვესტიციები წარმოადგენს ახალი ტექნოლოგიების ტრანსფერისა და დანერგვის ეფექტურ საშუალებას. როგორც წესი, მას მოაქვს მოწინავე ცოდნა პროდუქციის გამომუშავების მეთოდების, პროდუქციის შეფუთვისა და დიზაინის, საკომუნიკაციო ტექნოლოგიებისა და ასევე ბაზრის განვითარებისა და სტრატეგიის შემუშავების საკითხებში. ეს საწარმოო რესურსები და ნაკადები, როგორც წესი, შემოედინება ინვესტიციების თანადროულად, რაც უზრუნველყოფს პროექტების მდგრადობას და იძლევა ტექნიკური ინოვაციების დინამიური ათვისების საშუალებას. ტექნოლოგიურ ტრანსფერს უცხოელი ინვესტირების მხრიდან თან ახლავს უწყვეტი ინიციატივები, რაც ორიენტირებულია მიმღები ქვეყნის ადამიანური რესურსების განვითარებისაკენ და გამოიხატება ადგილობრივი მუშახელის შრომის ნაყოფიერების ზრდის ხელშემწყობ ტრენინგებში, თანამედროვე მენეჯმენტის პრაქტიკის და სხვადასხვა საორგანიზაციო ხასიათის ინოვაციების დანერგვაში.

უცხოური პირდაპირი ინვესტიციები განიხილება, როგორც უფრო სტაბილური, გრძელვადიანი ინვესტიცია, რაც გულისხმობს ისეთი გადაწყვეტილების მიღებას და ვალდებულების აღებას, რომლის გადახედვა და შეწყვეტა იოლი არ იქნება.

უცხოური პირდაპირი ინვესტიციების ძირითადი მახასიათებლები:

- შეუძლია მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს ტექნოლოგიების გადაცემასა და მათ ეფექტიან გამოყენებაში;
- ქმნის სამუშაო ადგილებს და აქვს შესაძლებლობა, კონსტრუქციული წვლილი შეიტანოს საკადრო რესურსების გავითარებაში;
- ხელს უწყობს წარმოებას, ექსპორტსა და ინფრასტრუქტურის განვითარებას;
- ინვესტორს აძლევს საწარმოს მართვისა და კონტროლის უფლებას;
- ხშირად ხასიათდება ე.წ. “ჩათრევის ეფექტით”.

მიუხედავად იმისა, რომ უცხოური პირდაპირი ინვესტიციები უმეტესწილად უმნიშვნელოვანეს ფაქტორად ითვლება ქვეყნის განვითარებისათვის, უპი-ს პოტენციური შესაძლებლობები შეგვიძლია შევაჯამოთ შემდეგნაირად:

- კაპიტალის აკუმულირების და შიდა დანაზოგების შევსების გზით უპი-ს ძალუქს ახალი საწარმოო რესურსების, ნედლეულისა და ნაკადების ინიექცია წარმოებაში;
 - პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს შესწევს უნარი, გაზარდოს შრომის ნაყოფიერება და პროდუქტიულობა ტექნოლოგიების განახლებით, ადამიანური კაპიტალის ზრდისა და გაუმჯობესების გზით;
 - უპი-ს მიყვავართ ე.წ. “ტექნოლოგიური დიფუზიისაკენ” – იდეათა ტრანსფერი, ახალი ტექნოლოგიები და ცოდნა, შრომის ნაყოფიერების ზრდის მაპროვოცირებელი ეგზოგენური ეფექტი, ნოუ-ჰაუს გაზიარება და კულტივირება.
- ყველა ეს ფაქტორი უმნიშვნელოვანესია ეკონომიკური განვითარებისათვის.

უცხოურ პირდაპირ ინვესტიციებს შეუძლია გაზარდოს მიმღები ქვეყნის ეკონომიკის საწარმოო პოტენციალი და პროდუქტიულობა სხვადასხვა განვითარებითი ეფექტებით.

უცხოური პირდაპირი ინვესტიციების სხვა მნიშვნელოვანი ეკონომიკური ეფექტები შეგვიძლია შევადგინოთ შემდეგნაირად შევაჯამოთ:

- უცხოური პირდაპირი ინვესტიციები სტიმულს აძლევს სხვა მრავალნაციონალურ საწარმოებს/უცხოურ ფირმებს შევიდნენ ადგილობრივ ბაზარზე და შეიტანონ თავიანთი კაპიტალი და სხვა შესაძლებლობები მიმღებ ქვეყანაში;

- უპი აწესრიგებს და აუმჯობესებს გადასახადების აკრეფას ცენტრალურ და ადგილობრივ დონეებზე;

- უცხოელი ინვესტორები ეხმარებიან ადგილობრივ ფირმებს, შეაღწიონ გლობალურ რეგიონულ ქსელებსა და სტრუქტურებს;

- უპი ზრდის კონკურენციას მიმღებ ქვეყანაში, რომელსაც, საბოლოო ჯამში, კეთილდღეობის გაუმჯობესებისაკენ მივყავართ;

- უპი ასოცირდება მაღალ ხელფასებთან, მოგებისა და რენტაბელურობის მაღალ კოეფიციენტებსა და შიდა ინვესტიციების შესაძლებელ ზრდასთან, რაც, თავის მხრივ, განპირობებულია კონკურენციის ზრდით;

- უპი განიხილება როგორც მყარი ვალუტის მნიშვნელოვანი წყარო და ეროვნულ მთავრობებს აძლევს საშუალებას, დააფინანსონ საგადასახდელო ბალანსის დეფიციტი.

უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ექსპერტი არ იზიარებს უპი-ს ამგვარ როლს მიმღებ ქვეყანაში. ზოგიერთი მათგანი თვლის, რომ უპი-ს გავლენა მიმღები ქვეყნის ეკონომიკაზე შეიძლება იყოს დადებითი ან უარყოფითი კი, იმის მიხედვით, თუ რა გზით ხორციელდება ესა თუ ის ინვესტიცია. ექსპერტების ეს ნაწილი ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე, რომ საჭიროა სტრატეგიებისა და ეფექტების უფრო დეტალური კვლევა, რათა მინიმუმამდე დავიდეს კაპიტალისა და სასაქონლო ბაზრების უპი-თ გამოწვეული შესაძლო უარყოფითი გვერდითი ეფექტები.

აფასებენ რა უპი-ს თანამდევ გარე ეფექტებს, ზოგიერთი კრიტიკოსი ამტკიცებს, რომ პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს განვითარების საწყის ეტაპზე შესაძლოა ჰქონდეს ნეგატიური ეფექტები მიმღებ ქვეყანაში. ეს განსაკუთრებით ეხება “ბაზრის მისაკუთრების” ეფექტს, მაშინ, როდესაც ადგილობრივი ფირმები არ არიან კონკურენტუნარიანი უცხოელ პარტნიორებთან შედარებით და ამის გამო ამ უკანასკნელთა მიერ განიღვენებია ბაზრიდან.

ამ კრიტიკული ნაშრომების ავტორები თვლიან, რომ მოკლევადიან პერსპექტივაში უცხოურმა პირდაპირმა ინვესტიციებმა შეიძლება სრულიად დათრგუნონ ადგილობრივი ფირმები ბაზრის დიდი წილის დაკავებით და სრულიად დააკნინონ ამ ფირმების შესაძლებლობები.

უცხოური პირდაპირი ინვესტიციების განვითარების სტრატეგია ნიშნავს:

- ინვესტიციების ქაოსური მოდინება ჩავრთოთ საერთო ეროვნული ამოცანების გადაწყვეტის კალაპოტში;

- შევინარჩუნოთ დასაქმება;

- გავზარდოთ დაბეგვრის ბაზა;

- უზრუნველყოთ ეკოლოგიური უსაფრთხოება;

- გავზარდოთ „პროდუქტიული“ ინვესტიციების მოცულობა;

- შევამციროთ „სპეკულაციური“ ინვესტიციების მასშტაბი;

- უზრუნველყოთ მრეწველობის სტრუქტურული გარდაქმნა;

- აუცილებელია უპი-ს სტრუქტურაში გაიზარდოს კაპიტალდაბანდების წილი ისეთ წარმოებაში, რომელიც დასაქმებასა და ექსპორტის ზრდას შეუწყობს ხელს.

დასასრულ, საყოველთაოდ ცნობილია, რომ ინვესტირება არის ერთ-ერთი იმ სამ კომპონენტთაგან (ინვესტიცია, მოხმარება და დაგროვება), რომელიც თამაშობს ერთ-ერთ უმთავრეს როლს ქვეყნის ეკონომიკის წარმოებაში. რაც უფრო მეტ ინვესტიციებს ახორციელებს ქვეყანა ინსფრასტრუქტურის განვითარებისა და ძირითადი კაპიტალის აკუმულირებისათვის, “მით უფრო მაღალია დონე წარმოების, დასაქმების, შემოსავლების, მსყიდველობითუნარიანობის, მოხმარების და დაგროვების”. შესაბამისად, კაპიტალი (ინვესტიცია) წარმოადგენს გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდის არსებით და მამოძრავებელ ძალას.

მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციამ, როგორც ეკონომიკურმა ფენომენმა, დადებითი გავლენა იქონია უცხოური პირდაპირი ინვესტიციების მოცულობაზე. ამ ინვესტიციების ძირითადი ნაწილი მაღალგანვითარებული ქვეყნების კომპანიების შერწყმისა და შთანთქმის რაოდენობის ზრდით აიხსნება. ამავე დროს, მუდმივად იზრდება ინვესტიციები განვითარებადი და გარდამავალი ქვეყნებიდან, ვინაიდან კონკურენცია და ეკონომიკური ზრდა აზიასა და სხვა განვითარებად ეკონომიკებში მათ კომპანიებს სხვა ქვეყნებში გაფართოებისკენ უბიძგებს.

გრძელვადიანი პერიოდის ტენდენციისგან განსხვავებით, 2010 წლიდან 2014 წლის ჩათვლით, უპი-ის ღირებულება დაეცა თითქმის 60 პროცენტით, 1.3 ტრილიონი დოლარიდან დაახლოებით 643 მილიარდ დოლარამდე. ყველაზე შესამჩნევი იყო ტრანსსაზღვრული შერწყმებისა და შენაძენების დონის დაცემა, რომელიც 1980-იანი წლებიდან უპი-ს გლობალური შენაკადების მთავარი მამოძრავებელი იყო. 2000 წელი იყო პიკი, შედგა 7900 ტრანსსაზღვრული გარიგება, რომელთა ღირებულება

შეადგენდა 1.1 ტრილიონ დოლარს. შემდგომ გარიგებების რაოდენობა და ღირებულება მცირდებოდა შემდეგი სამი წლის განმავლობაში. 2014 წელს 4200 ტრანსსახელმწიფო შენაძენი განხორციელდა, რომლის ღირებულებაც 270 მილიარდ დოლარს შეადგენდა. უპი-ის შემცირება ყველაზე მეტად დაეტყო განვითარებულ ქვეყნებს.

2008-2014 წლებში დაფიქსირებული უპი-ს შენელება, სავარაუდოდ, დროებით ხასიათს ატარებდა, რასაც განაპირობებდა შემდეგი მოვლენები:

პირველი – მსოფლიო ეკონომიკის საერთო ზრდის სინქარის შენელება;

მეორე – გაზრდილი გეოპოლიტიკური გაურკვევლობა, რომელიც 11 სექტემბრის მოვლენებს მოჰყვა;

მესამე – გლობალური ფინანსური კრიზისი, რომელიც დაიწყო აშშ-ში და შეზღუდა მულტინაციონალური კომპანიების უნარი, გაეზარდათ ის დამატებითი კაპიტალი, რომელიც აუცილებელი იყო უპი-ის დასაფინანსებლად.

გაერთიანებული ერების და სხვა ინსტიტუტების მიერ ჩატარებულმა გამოკვლევებმა გვიჩვენა, რომ კორპორაციების უმეტესობა უახლოესი პერიოდის განმავლობაში კვლავ აპირებს გააგრძელოს პირდაპირი ინვესტიციების დაბანდება სხვადასხვა ქვეყნის ეკონომიკაში. ეს მოტივირებულია იმით, რომ მულტინაციონალური ფირმები ახდენენ უცხოურ პირდაპირ ინვესტირებას იმ მიზნით, რომ შეაღწიონ და დაიმკვიდრონ ადგილი ეროვნულ ბაზრებზე. მათ სტრატეგიაში შედის იმ ქვეყნების პოვნა, სადაც წარმოება და რევიონაული ბაზარების მომსახურება უფრო იაფია.

ისტორიულად, უპი-ს ყველაზე დიდი რაოდენობა მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებზე მოდიოდა, რადგან ფირმები, რომლებიც განვითარებულ ქვეყნებში არსებობდნენ, დებდნენ ფულს სხვა ქვეყნების ბაზრებში. ამერიკის შეერთებული შტატები ყოველთვის სასურველი ქვეყანა იყო ინვესტიციების დასაბანდებლად. ეს ტენდენცია გაგრძელდა 1990-იანი წლების ბოლომდე, როდესაც აშშ დარჩა ინვესტიციების ყველაზე დიდ მიმღებად. 2000 წელს, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა კვლავ ყველაზე დიდი რაოდენობით მიიღო ინვესტიციები, დააგროვა რა 281 მილიარდი დოლარი, როდესაც მსოფლიო უპი შეადგენდა 1.3 ტრილიონ დოლარს, ხოლო ევროპაში უპი-ის ნაკადები შეადგენდა 633 მილიარდ დოლარს. მიუხედავად ამისა, 2012 წლისთვის აშშ-სა და ევროპის ნაკადები დაეცა 30 მილიარდ და 374 მილიარდ დოლარამდე. შესაბამისად, ამის ახსნა შეიძლება გლობალური ფინანსური კრიზისით. ისტორიულად, აშშ ყოველთვის მიმზიდველი "სამიზნე" იყო ინვესტიციებისთვის, მისი ფართო და მდიდარი ბაზრის, დინამიური და სტაბილური ეკონომიკის, სასურველი პოლიტიკური მდგომარეობისა და ინვესტიციებისადმი გახსნილობის გამო.

განვითარებულ ქვეყნებზე მოდის უპი-ის უდიდესი წილი, მაგრამ სულ უფრო და უფრო იზრდება ინვესტიციები განვითარებად ქვეყნებშიც. ასე მაგალითად, 1985-დან 1990 წლამდე განვითარებად ქვეყნებში უპი-ის ყოველწლიური ნაკადები საშუალოდ 27 მილიარდი დოლარით გაიზრდა. 1990-იან წლებში, ინვესტიციების ნაკადი განვითარებად ქვეყნებში იყო 35-40 პროცენტი, ხოლო 2008-2012 წელს იგი დაეცა 25 პროცენტამდე. შედარებით ახალი ინვესტიციების ნაკადი შეინიშნება სამხრეთ, აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების სწრაფად მზარდ ეკონომიკებში. იზრდება აგრეთვე გარდამავალი და განვითარებადი ქვეყნების წილი უცხოური პირდაპირი ინვესტიციების შემოსულ ნაკადებშიც. 2006-2012 წლებში მან შეადგინა მთელი ინვესტიციების 4 პროცენტი. უცხოური პირდაპირი ინვესტიციების კონცენტრაცია ამ რეგიონში, რომელშიც საქართველოც შედის, საკმაოდ მაღალი იყო: შემოსული ნაკადის 75 პროცენტი მხოლოდ სამ ქვეყანაზე – რუსეთზე, უკრაინასა და რუმინეთზე მოდიოდა. დიდი მნიშვნელობა გააჩნდა აგრეთვე ჩინეთის ეკონომიკის განვითარებაშიც უცხოურ პირდაპირ ინვესტიციებს.

გარდამავალი და განვითარებადი ქვეყნების, როგორც ინვესტორი ქვეყნების როლის ზრდა შეიძლება გლობალიზაციის მზარდი ზეწოლით აიხსნას, რაც კომპანიებს აძლევს, კონკურენციისათვის იბრძოლონ როგორც შიდა, ისე გარე ბაზრებზე; ამის ახსნა ხარჯების შემცირების აუცილებლობითაც შეიძლება და აქტივების გაუმჯობესების საჭიროებითაც, რაც ე. წ. აქტივების გაფართოების ინვესტიციებით რეალიზდება.

ბოლო წლების მანძილზე განხორციელებული ინვესტიციების მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ საქართველო ინვესტორებისათვის სულ უფრო მიმზიდველი ხდება. ამავე დროს ისიც აღსანიშნავია, რომ დარგობრივ სტრუქტურაში მომსახურების სფერო დომინირებს. საინვესტიციო პოტენციალის შეფასებისა და მეტი კაპიტალის მოსაზიდად ადეკვატური პოლიტიკის განსახლავისათვის, მნიშვნელოვანია იმ კომპანიების მოტივაციის გაანალიზება, რომლებიც საქართველოში აბანდებენ კაპიტალს. ანუ სხვაგვარად რომ ვთქვათ, უნდა შევისწავლოთ უცხოური პირდაპირი ინვესტიციების მიკროსაფუძვლები, ვინაიდან მთლიანი და აგრეგირებული ციფრები ხშირად არასწორ შთაბეჭდილებას გვიქმნიან და მცდარ სტრატეგიულ გადაწყვეტილებებამდე მივყავართ.

ამდენად, თუ გავაანალიზებთ საქართველოს ამჟამინდელ მდგომარეობას უცხოური ინვესტიციების მოზიდვის თვალსაზრისით, შემოსული საინვესტიციო ნაკადები ფრანგმენტული და ნაკლებად მდგრადია. საშუალოვადიან პერსპექტივაში მათ უნდა დაემატოს კაპიტალდაბანდებები ისეთ წარმოებაში, რომელიც დასაქმებისა და ექსპორტის ზრდას შეუწყობს ხელს. პოზიტიური ცვლილებები შეიძინება ისეთ დარგებში, როგორც კვების პროდუქტების გადამამუშავება (ღვინო, თხილი, მინერალური წყლები და სხვა), საექსპორტო საქონლის გადამამუშავებაში ინვესტირების ცალკეული შემთხვევები

ადინიშნება საფეიქრო მრეწველობაშიც. საზოგადოდ, საქართველომ ვერ შეძლო წარმატების მიღწევა ახალ მაღალტექნოლოგიურ წარმოებაში კაპიტალის მოზიდვაში, ანუ ისეთი გლობალურად მობილური ინვესტიციების მოზიდვა, რომელთა დაბანდებაც ბევრ ადგილას შეიძლება. არსებულ ინვესტიციებს განაპირობებს ისეთი ადგილობრივი ფაქტორები, როგორებიც ბაზრის მოთხოვნა თუ რესურსების ხელმისაწვდომობა ან კიდევ ისეთი განსაკუთრებული პროდუქტები, როგორიც მილსადენია.

ქვეყანამ უნდა უზრუნველყოს პარტნიორ ქვეყნებთან სწორი და მომგებიანი ეკონომიკური პოლიტიკის გატარება, აგრეთვე აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს გლობალურ პროცესებში. საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების უმთავრესი მიზანია ქვეყნის ეკონომიკური ზრდა, ქვეყნის იმიჯის განმტკიცება მსოფლიოში. ქვეყნის ეკონომიკური ზრდა მიიღწევა ექსპორტზე ორიენტირებული პოლიტიკით, უცხოური პირდაპირი ინვესტიციების ზრდით, რაშიც ქვეყნის იმიჯი დიდ როლს თამაშობს.

საქართველო წარმოადგენს ხიდს, რომელიც რამოდენიმე ეკონომიურ რეგიონს აკავშირებს და იგი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სატრანზიტო ქვეყანაა. ევროპისა და აზიის გზაჯვარედინზე მყოფი, იგი ბუნებრივი სატრანსპორტო დერეფნის როლს ასრულებს. საქართველო ყველაზე მოკლე სატრანზიტო მარშრუტს დასაველეთსა და ცენტრალურ აზიას შორის ნავთობისა და გაზის, ისევე, როგორც მშრალი ტვირთის ტრანსპორტირებისათვის. 2003 წლის შემდეგ საქართველოს მთავრობის მიერ საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესების მიზნით განხორციელებულმა რეფორმებმა და ინიციატივებმა დადებითი შედეგები გამოიღო, რაც საერთაშორისო კვლევებითა და შეფასებებითაც დასტურდება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. მ. გელაშვილი, ინვესტიციების მაკროეკონომიკური ეფექტიანობა. თბ., 2006.
2. მ. გელაშვილი, საინვესტიციო პოლიტიკა. თბ., 2012.
3. Squire I. Tak H. G. "Economic Analysis of Project". World Bank, Baltimor, London. 2001.
4. World Bank. Doing Business 2010. Washington (DC): World Bank.
5. www.parliamenti.ge
6. www.statistik.ge
7. www.nbg.ge

Madona Gelashvili

GLOBAL TRENDS CHARACTERISTIC TO FOREIGN DIRECT INVESTMENTS Annotation

Georgia, similar to any other state, in the conditions of transition economy, was placed in force majeure situation and this was further aggravated by the political instability and altogether, this, caused significant fall in investment activities. Key reasons of fall in investment activities included: crisis in industrial sectors; change of ownership forms, resulted in destruction of traditional relations in the investments sphere; gaps in finance & credit relations' system limiting availability of investment resources; ineffective operation of the banking system; limiting of the investment function of the state; economic and political instability in the country etc.

Investment activities in the country and its economic development are in proportional relationship. Therefore, the state should pay great attention to the issues of implementation of investment policies.

Main goal of our work is gaining in-depth understanding of the state investment politics and formulate our vision of improvement of investment policies and intensification of investment activities. For the purpose of improvement of investment policies of the country the following is necessary: reasonable allocation of investments by industries, sectors, economic priorities; ensuring proper direction of the investment cycle; activation of the investment processes; as well as interlinking of investment and innovation processes etc.

Currently there are poor opportunities for the improvement of economic effectiveness but they grow, particularly, by the attraction of foreign capital and therefore, the necessity of effective use of these assets increases.

შალვა გოგიაშვილი

ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირების მეთოდოლოგიური პრობლემები

პრობლემის დაყენება (აქტუალურობა). ეკონომიკური პოლიტიკა, წარმოადგენს რა ეკონომიკური პოლიტიკის თეორიისა და პრაქტიკული ეკონომიკური პოლიტიკის სინთეზს, განსაზღვრავს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების სტრატეგიულ მიმართულებებს როგორც გრძელვადიან, ისე მოკლევადიან პერსპექტივაში. მის რაციონალურობასა და დასაბუთებულობაზე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ეკონომიკურ ინტერესთა შორის არსებული პრობლემების მოგვარების და თვით კონფლიქტების პრევენციის, ხოლო მათი წარმოქმნისას – გადაჭრის (შერბილების) შესაძლებლობა და ხარისხი.

სამეცნიერო კვლევის აქტუალურობის დასაბუთებისათვის უნდა ითქვას, რომ დამოუკიდებლობის მიღწევისა და საბაზრო ეკონომიკურ ურთიერთობებზე გადასვლის თაობაზე ქვეყნის მიერ

საჯაროდ გაცხადებული კურსის შემდეგ საქართველოში დღის წესრიგში დადგა განვითარების ეკონომიკური მოდელის შერჩევის და შესაბამისი ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი კონცეპტუალური მიმართულებების ჩამოყალიბების საკითხი. სამწუხაროდ, არც საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის საწყის სტადიაზე და არც შემდგომში არ მომხდარა ოფიციალური დეკლარირება განვითარების შერჩეული ეკონომიკური მოდელის შესახებ. თუმცა, ეკონომიკური პოლიტიკის ცალკეული ფრაგმენტების, მიზნობრივი პროგრამებისა და ინდიკატიური გეგმების ანალიზის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ქვეყნის ეკონომიკა თავდაპირველად უფრო სოციალურად ორიენტირებული მოდელის პრინციპებს ეყრდნობოდა, ხოლო შემდგომში, როდესაც განხორციელდა რადიკალური რეფორმები ეკონომიკის ლიბერალიზაციისა და დერეგულირების მიმართულებით, უპირატესობა მიენიჭა მკვეთრად ლიბერალური საბაზრო მოდელის მოთხოვნებს.

ბოლოდროინდელი გამოკვლევებისა და პუბლიკაციების ანალიზი. როგორც ცნობილია, ეკონომიკური პოლიტიკის განსაზღვრისას დიდ როლს თამაშობს არსებული მდგომარეობისა და განვითარების მოსალოდნელი სცენარების მეცნიერული ანალიზის საფუძველზე შემუშავებული წინადადებებისა და რეკომენდაციების გათვალისწინება. აღნიშნულიდან გამომდინარე, კვლევის პირველ ეტაპზე პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების შედარებით ანალიზს ევროკავშირის ქვეყნებთან მიმართებით, განვითარების ტენდენციების გამოვლენას და მათ კრიტიკულ დახასიათება-შეფასებას; რაც შეეხება მეორე ეტაპს, მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმობა ეკონომიკური წესრიგის პოლიტიკის ძირითადი შემადგენელი კომპონენტების, კერძოდ კონკურენციული წესრიგის პოლიტიკისა და სოციალური პოლიტიკის სფეროების შესწავლას, მათ შორის არსებული თანაფარდობის გამოკვლევას და მისი ოპტიმიზაციის საკითხებს. საწყის ეტაპზე შესაძლებელია კვლევის შედარებით ვიწრო სეგმენტის განხილვაც, როცა მთლიანი სისტემის მხოლოდ ერთი ბლოკის (თანაფარდობა კონკურენციული წესრიგის პოლიტიკასა და სოციალურ პოლიტიკას შორის) მანევრებელთა მრავალვარიანტული შეფასებები მოხდება ენდოგენური და ეგზოგენური ფაქტორების გათვალისწინებით.

ამ მიმართულებით სამეცნიერო გამოკვლევა აუცილებელია როგორც რეტროსპექტიული ანალიზისათვის, ისე გადაწყვეტილებათა მიღებისას ვარიანტული ალტერნატიული სტრატეგიების შეფასების თვალსაზრისით.

ეკონომიკური პოლიტიკის მიზნებსა და კონკურენციის ინტერესებს შორის ბალანსის მოძებნა დიდი ხანია წარმოადგენს თეორიული დისკუსიის საგანს; იგი თან ახლავს საზღვარგარეთის ქვეყნების ეკონომიკური განვითარების ისტორიას. თუ ამ ქვეყნებმა ემპირიული გზით უკვე იპოვეს მისაღები ვარიანტები როგორც ეკონომიკური პოლიტიკის, ისე კონკურენციისათვის, საქართველო ამ მიმართულებით მხოლოდ პირველ ნაბიჯებს დგამს, რომლებიც ხანდახან არასწორი და არამყარია. ამ საქმეში, სუბიექტურ ფაქტორებთან ერთად, მნიშვნელოვან როლს თამაშობს ობიექტურ გარემოებათა გარკვეული ნაკრები: მართალია, საბაზრო ეკონომიკის პირობებში სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მიზნების მიღწევის ძირითად, განმსაზღვრელ ინსტრუმენტს წარმოადგენს კონკურენციული პოლიტიკა და შესაბამისი კონკურენციული გარემო, მაგრამ ღარიბი, განვითარებადი ქვეყნებისთვის დამახასიათებელი უმუშევრობის მაღალი დონე (ოფიციალურად, საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო ორგანო აფიქსირებს დაახლოებით 16-17%-ს იმის გათვალისწინებით, რომ კანონმდებლობით უმუშევართა კატეგორიას არ განეკუთვნებიან სოფლად მცხოვრებნი, რომელთა ნაწილს, მართალია, აქვთ მცირე ზომის მიწის ნაკვეთები, მაგრამ რიგი მიზეზების გამო ვერ ამუშავებენ მას, ან მიღებული მოსავალი ვერ უზრუნველყოფს მინიმალურ საარსებო მოთხოვნილებასაც კი), ქვეყნის ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილის (20%) ოკუპაცია, ასევე ათასზე მეტი ოჯახის თავიანთი საცხოვრებელი ადგილებიდან აყრა და დევნილობაში ყოფნა შესაბამისი თანმდევი შედეგებით, ასევე მოსახლეობის დიდი ნაწილის “დაბერება” (სხვადასხვა საექსპერტო შეფასებებით, დაახლოებით 1 მლნ საქართველოს შრომისუნარიანი მოქალაქე და მათი ოჯახების წევრების დიდი ნაწილი არასრულწლოვანი მოზარდების სახით იმყოფებიან ემიგრაციაში საზღვარგარეთ) და სრულიად “არანორმალური” თანაფარდობა საპენსიო ასაკის მოსახლეობასა და გადასახადის გადამხდელ დასაქმებულებს შორის (პენსიონერთა რიცხოვნობა შეადგენს 800 ათასზე მეტს, მაშინ როცა დასაქმებულთა რიცხოვნობა 600-700 ათასს შორის მერყეობს გაანგარიშების მეთოდოლოგიაზე დამოკიდებულებით), აიძულებს საქართველოს ხელისუფლებას სოციალური მიმართულებით ხარჯების გაზრდას (თუმცა აბსოლუტურ განზომილებაში ეს სახსრები მაინც არაადეკვატურია სატრანსფერო დაფინანსების საჭირო მოცულობასთან მიმართებით. ამის საილუსტრაციოდ საკმარისია ითქვას, პენსიის მოცულობა ერთ პენსიონერზე შეადგენს თვეში 160 ლარს, რაც დაახლოებით 70 აშშ დოლარს უტოლდება 2016 წლის 10 მაისის მდგომარეობით). აქ აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ სიღარიბის ზღვარს ქვემოთ აღმოჩნდა მოსახლეობის 40%. საექსპერტო შეფასებათა თანახმად კი მოსახლეობის 85% დგას სერიოზული სოციალური პრობლემების წინაშე. შედეგად, ხდება კონკურენციული უპირატესობის მქონე კომპანიებისა და ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის შემოსავლების გარკვეული ნიველირება, რაც აფერხებს ეკონომიკის სწრაფ განვითარებას.

ამასთან, საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ ჩამოყალიბებული თანაფარდობა საინვესტიციო ხარჯებსა და სამომხმარებლო ხარჯებს შორის არ უწყობს ხელს ქვეყნის ეკონომიკურ ზრდასა და

განვითარებას; რესურსების გარედან მოზიდვაზე დაფუძნებული ღირებულების ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მოდელი (საქართველოს შემთხვევაში) ემყარება არა იმდენად წარმოების ზრდას, რამდენადაც მოხმარების სტიმულირებას, რამაც ეკონომიკის რეალური სექტორის სათანადო განვითარების გარეშე მიგვიყვანა იქამდე, რომ ბოლო წლებში იმპორტი 3-ჯერ და მეტად აღემატება ექსპორტს [7, გვ. 167]. საქართველოს ეკონომიკის უფრო მოხმარებაზე ვიდრე წარმოებაზე ორიენტირებულობაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ კერძო და სახელმწიფო მოხმარების ჯამური მოცულობა მთლიან შიდა პროდუქტში დაახლოებით 90%-ს შეადგენს, მაშინ როცა, ტრადიციულად, სამომხმარებლო ხარჯები არ აღემატება ხოლმე 75-80%, ხოლო ცალკეულ პერიოდებში, როცა დღის წესრიგში დგას ქვეყნის ეკონომიკის მოდერნიზაციისა და ტექნიკური გადაიარაღების ამოცანა, შეიძლება შეადგენდეს 70%-ს და ნაკლებსაც.

უშუალოდ კვლევის სფეროში საქართველოში ბოლო პერიოდში სხვადასხვა ქართველ ავტორთა მიერ გამოქვეყნდა რიგი ნაშრომებისა [1-7], რომელთა ძირითად დასკვნით დებულებებზე დაყრდნობითაც და მსოფლიოში საყოველთაოდ აღიარებულ გამოკვლევათა შედეგების გათვალისწინებით, შესაძლებელია განხორციელდეს მნიშვნელოვანი პროგრესი საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკის პერსპექტიულ კანონზომიერებათა განსაზღვრისა და დასაბუთების მიმართულებით.

კვლევის მიზანი. ქვეყნის მიერ არჩეული განვითარების ეკონომიკური მოდელის სახეობის მიუხედავად, ნებისმიერი საზოგადოებისათვის აუცილებელია გარკვეული წესრიგი. ცხადია, საერთო წესრიგში უდიდეს როლს ასრულებს ეკონომიკური წესრიგი, რომელიც საბაზრო ეკონომიკისათვის სხვა არაფერია, თუ არა კონკურენციული წესრიგი. შესაბამისად, საბაზრო ურთიერთობების პირობებში ქვეყნის ეკონომიკურ პოლიტიკაში გადამწყვეტ როლს ასრულებს კონკურენციის პოლიტიკა, ანუ კონკურენციული წესრიგის პოლიტიკა. წინამდებარე კვლევის მიზანსაც კონკურენციული წესრიგის განმსაზღვრელი ძირითადი რაოდენობრივი და ხარისხობრივი პარამეტრების დადგენის მეთოდოლოგიური პრობლემების შესწავლა-გადაჭრა წარმოადგენს კონკრეტული დროითი და ტერიტორიული სივრცეებისათვის.

კვლევის შედეგები. კვლევა ადასტურებს აქსიომატურად ცნობილ ფაქტს, რომ საბაზრო ეკონომიკის ერთ-ერთი უპირატესობა ადმინისტრაციულ-დირექტიულთან მიმართებაში კონკურენციული წესრიგის არსებობაში გამოიხატება.

სამწუხაროდ, 2005 წელს ეკონომიკის დერეგულირებისა და ლიბერალიზაციის მოტივით განხორციელებული რეფორმებისას ჩვენი ქვეყნის საკონკურენციო პოლიტიკა მნიშვნელოვნად შეიცვალა (გაუარესდა), დაცილდა ადეკვატურ საერთაშორისო საკონკურენციო-სამართლებრივ ნორმებს და ვეღარ პასუხობდა კონკურენციის თეორიისა და პრაქტიკის თანამედროვე სტანდარტებს.

აღსანიშნავია, რომ ბოლო წლებში განხორციელებული პოზიტიური საკანონმდებლო ცვლილებების პარალელურად რიგი ღონისძიებები გატარდა შესაბამისი სააგენტოს ინსტიტუციური რეფორმირებისა და სათანადო უფლებამოსილებებით მისი აღჭურვის მიმართულებით. იმედია, ეს ხელს შეუწყობს ეკონომიკური წესრიგის ძირითადი შემადგენელი კომპონენტების ოპტიმიზაციასა და მისი წამყვანი რგოლის – კონკურენციული წესრიგის ფორმირებას. აღნიშნული გარდაქმნა წარმოადგენს ევროკავშირის შესაბამისი საკონკურენციო ორგანოების დასაბუთებული რეკომენდაციისადმი ადეკვატურ რეაგირებას. ამასთან, აუცილებელია ითქვას, რომ ეს რეფორმა, უპირველეს ყოვლისა, იმიტომ კი არ არის საჭირო და აუცილებელი, რომ იგი შეესაბამება აღიარებულ საერთაშორისო პრაქტიკას და საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციების მოთხოვნებს (თუმცა ესეც უაღრესად მნიშვნელოვანია), არამედ იმიტომ რომ სხვაგვარად შეუძლებელია საბაზრო პირობებში ქვეყნის ეკონომიკის ნორმალური განვითარება. რაც უფრო დაგვიანდება და დროში გაიწელება კონკურენციის ჯანსაღი ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირება და პრაქტიკული რეალიზაცია, მით მეტად მოხდება ეკონომიკის დეფორმირება და შედეგად, გაჭირდება მისი განვითარების ნორმალურ ტრაექტორიაზე დაბრუნება.

შედეგად, განხორციელდება საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების რეტროსპექტიული ანალიზი, მოხდება ჩამოყალიბებული ეკონომიკური ტენდენციებისა და პროპორციების შეფასება და გამოვლენილ ნაკლოვანებათა დახასიათება. შემუშავდება ეკონომიკური წესრიგის პოლიტიკის კომპონენტებს შორის ოპტიმალური თანაფარდობის განსაზღვრის მეთოდიკა. შეიქმნება ეკონომიკურ გადაწყვეტილებათა მიღების ფორმალიზებული პროცედურა მათემატიკური აპარატის გამოყენებით, რაც მას დასაბუთებულობას, მოქნილობას და დინამიურობას შესძენს.

დასკვნები. 1. ეკონომიკური პოლიტიკის რაციონალურობასა და დასაბუთებულობაზე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ეკონომიკურ ინტერესთა შორის არსებული პრობლემების გადაჭრის, მოსალოდნელი კონფლიქტების პრევენციის შესაძლებლობა და ხარისხი. ეს ზრდის ეკონომიკური პოლიტიკის ძირითად მიმართულებათა მეცნიერული ანალიზისა და მრავალვარიანტული საპროგნოზო პარამეტრების საიმედოობის “ფასს.”

2. ეკონომიკური წესრიგის შემადგენელ ძირითად კომპონენტებს, ანუ კონკურენციული წესრიგის პოლიტიკასა და სოციალურ პოლიტიკას შორის არსებობს გარკვეული წინააღმდეგობა,

ინტერესთა კონფლიქტი. ასიგნებათა ზრდა სოციალურ მიზნებზე იწვევს კონკურენციის შედეგების გადასინჯვას და შემოსავლების დამატებით გადანაწილებას და პირიქით. ასეთ კანონზომიერ კონფლიქტს ადგილი აქვს მოკლევადიან პერსპექტივაში. რაც შეეხება გრძელვადიან პერსპექტივას, კონკურენციის წახალისება და ჯანსაღი კონკურენციული გარემოს ხელშეწყობა განაპირობებს რესურსების ეფექტიან ხარჯვას, გამოშვებული პროდუქციისა და გაწეული მომსახურების მოცულობის გადიდებას და საზოგადოებრივი კეთილდღეობის ზრდას. შედეგად, შეიქმნება ძლიერი მატერიალურ-ფინანსური ბაზა სოციალური პოლიტიკის წარმართვისათვის იმ შემთხვევაშიც კი, თუ თანაფარდობა კონკურენციულ და სოციალურ წესრიგს შორის არ შეიცვლება ამ უკანასკნელის სასარგებლოდ.

3. ეკონომიკური წესრიგის პოლიტიკის კომპონენტებს შორის ოპტიმალური თანაფარდობის განსაზღვრისა და გადაწყვეტილებათა მიღების ფორმალისებული პროცედურის პრობლემატიკის მეცნიერული შესწავლა ხელს შეუწყობს ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის სრულყოფას, კონცეპტუალურ-მეთოდოლოგიური საკითხების შემუშავება-გადაწყვეტას და შესაბამისი მექანიზმის პრაქტიკულ რეალიზაციას. საბოლოო ანგარიშით, მას შეუძლია მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირების საანალიზო და გადაწყვეტილების მიღების წინა, საპროგნოზო სტადიების სრულყოფაში.

ამასთან, მიგვაჩნია რომ უკვე უახლოეს პერსპექტივაში აუცილებელია, რაოდენ რთულიც არ უნდა იყოს ის, მოთხოვნის სტიმულირების ეკონომიკური პოლიტიკიდან მიწოდების სტიმულირების პოლიტიკაზე გადასვლა. ეს განპირობებულია იმ გარემოებითაც, რომ ქვეყანა რაც უფრო მეტად ჩამორჩება მოწინავე ტექნოლოგიურ მიღწევებს, მით ნაკლებია შანსი, რომ კონკურენციის გაძლიერება ქვეყნის შიგნით დააჩქარებს მის ეკონომიკურ განვითარებას და უზრუნველყოფს ეკონომიკური ზრდის მაღალ ტემპებს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. G.Bedianashvili, Sh. Gogiashvili, S. pavliashvili - European Union, Georgia and Institutional Environment of Competition -International Collection of scientific proceedings «European Cooperation», Vol 5, No 5. 2015. Warshava, 9-24, <http://we.clmconsulting.pl/index.php/we/article/view/71/236>
2. გველეხიანი რ., ეკონომიკური წესრიგის პოლიტიკა: სტრატეგია და პრობლემები. თსუ-ს შრომების კრებული I "ბიზნესი და საყოველთაო კეთილდღეობა", გამ-ბა "ლამპარი" თბ., 2008.
3. გველეხიანი რ., საერთაშორისო ეკონომიკური წესრიგი: ინტერესთა ერთიანობა და კონფლიქტები. ჟ."ეკონომიკა და ბიზნესი", №3, თბ., 2008.
4. გოგიაშვილი შ., ეკონომიკური წესრიგის პოლიტიკა: თანაფარდობა კონკურენციულ წესრიგსა და სოციალურ წესრიგს შორის. ჟ."ახალი ეკონომისტი", №3, თბ., 2009.
5. Gogiashvili Sh. Regarding the assessment of the outcomes of development and implementation of competition economic policy in Georgia - Міністерство освіти і науки України, Київський національний університет імені Тараса Шевченка, Збірник наукових праць "Теоретичні та прикладні питання економіки". – Київ, 2015. – № 1(30), 87-94. <http://tppe.econom.univ.kiev.ua/zbirni.html>
6. Gogiashvili Sh. Economic Policy of Competition in Georgia: Retrospective and Perspective. E-gospodarka w Europie Srodkowej I Wschodniej, Terazniezosc I perspektywy rozwoju. Pod redakcja Romana Sobieckiego. Wydawnictwo KUL. Lublin 2015, 136-142. http://www.kul.pl/files/384/Program_konferencji.pdf
7. Papava Vladimer - On the "Necroeconomic Post-Industrialism" in the Post-Soviet Space (The Cases of Georgia and Russia) J. "Society and Economy" № 6, Moskva, 2014
8. სანაძე ს., ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირების მოდელური ინსტრუმენტარიის შემუშავების შესახებ. ჟ. „ეკონომიკა და ბიზნესი“, №2, თბ., 2009.

Shalva Gogiashvili

METHODOLOGICAL PROBLEMS ASSOCIATED WITH FORMATION OF ECONOMIC POLICY

Annotation

A country's development greatly depends on rationalization of the economic policy and its validity both in long term and short term perspectives. This circumstance significantly increases the credibility "value" of scientific analysis of the multi variant forecast parameters of the basic direction of the economic policy.

To find a balance between the social policy objectives and the interests of competition has long been a subject of discussion. While the market economy countries have already found the acceptable options using the empirical ways for the social policy as well as competition, Georgia is only making the first steps in this direction, which sometimes are unstable and wrong.

თანამედროვე ინფლაციური პროცესები ქართულ ეკონომიკაში

ინფლაცია, როგორც ეკონომიკური ფენომენი, დიდი ხანია არსებობს. ითვლება, რომ მისი აღმოცენება ნაწილობრივ დაკავშირებულია ფულის წარმოშობასთან, რომლის ფუნქციონირებაში განუწყვეტლივ მონაწილეობს.

ინფლაცია ნიშნავს, რომ მიმოქცევაში გამოყენებულია ფულის ისეთი მასა, რომელიც არ არის უზრუნველყოფილი შესაბამისი რაოდენობის საქონლითა და მომსახურებით. ასეთ შემთხვევაში ირღვევა თანაფარდობა გადახდისუნარიან მოთხოვნასა და მიწოდებას შორის. ერთი და იმავე მოცულობის საქონლისა და მომსახურების შესაძენად მეტი რაოდენობის ფული იქნება საჭირო.

საქართველოში ლარის კურსი უფასურდება, როდესაც ქვეყანაში ლარის მოცულობა უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე დოლარის მოცულობა და, ამასთან, ეკონომიკური ზრდის ტემპი არ არის იმდენად მაღალი, რომ ლარის მოცულობის მნიშვნელოვნად ზრდის აუცილებლობა იყოს. თუ გადავხედავთ სტატისტიკურ მონაცემებს, დავინახავთ, რომ 2013 წლის ნოემბერ-დეკემბერში ლარი მკვეთრად გაუფასურდა, ამ პერიოდში მაღალი დეფიციტური სახელმწიფო ხარჯების (700-მილიონამდე ლარი) გამო სწრაფად გაიზარდა ლარის მოცულობა, დოლარის მოცულობა კი არ გაზარდილა. შესაბამისად, ლარი გაუფასურდა. ჭარბი ლარის მიმოქცევიდან ამოსადგებად ეროვნულმა ბანკმა უცხოური ვალუტის რეზერვიდან 440 მილიონი დოლარი გაყიდა და ლარის გაუფასურება შეაჩერა. თუმცა ეს შეჩერება მხოლოდ დროებითი აღმოჩნდა, ლარი მომდევნო წლებშიც განაგრძობდა გაუფასურებას, 2014 წლის ნოემბრიდან ლარმა სწრაფი გაუფასურება დაიწყო, 2015 წლის 28 იანვარს კი ეროვნულმა ვალუტამ დოლართან მიმართებით 2ლარიან ნიშნულს გადააბიჯა. კომერციულ ბანკებში ლარის გაცვლითი კურსი დოლართან მიმართებაში 21 თებერვალს 2,23 გახდა. ხოლო 2016 წლის 22 იანვარს ვარდნის წინა წლების რეკორდი მოხსნა, როდესაც 2,4694 პუნქტზე დაეცა. მანამდე, ლარის ისტორიაში, კურსის მინიმალური ნიშნული 2,4510 იყო, რომელიც 1999 წლის 23 თებერვალს დაფიქსირდა. ლარმა გამყარება დაიწყო 2016 წლის მარტში და მაისის დასაწყისში 2.2 ნიშნულამდე დაფიქსირდა.

მართალია ეკონომიკაში ფართოდ გამოიყენება ფასების სხვადასხვა ინდექსები, მაგრამ ინფლაციასთან მიმართებაში ჩვენი ინტერესის საგანია სამომხმარებლო ფასების ინდექსი, მისი როლი და მნიშვნელობა ინფლაციის შესწავლაში, რადგან ინფლაცია გულისხმობს არა ცალკეული საქონლის ფასების ან მომსახურების ცალკეულ სახეობაზე ტარიფების მატებას, არამედ მათი ერთობლივი ფასებისა და ტარიფების საერთო დონის ცვლილებას.

როგორც წესი, ფასების ინდექსი წარმოადგენს მიმდინარე პერიოდის ფასთა ერთობლიობის შეფარდებას საბაზისო პერიოდის ფასთა ერთობლიობასთან.

ეს ინდექსი გასული საუკუნის 20-იანი წლებიდან მსოფლიოს თითქმის ყველა განვითარებულ ქვეყანაში გამოიყენება ცხოვრების დონის გასაზომად და მას ცხოვრების დონის ინდექსაც უწოდებენ. იგი ყოველთვის გაიანგარიშებოდა ადამიანთა მიერ მოხმარებული საქონლისა და მომსახურების ფასების ჯამით. ფასების ზრდა სამომხმარებლო საქონელზე, იწვევს მინიმალური სასურსათო კალათის ღირებულების ზრდას, რომელსაც შეუქცევადი ხასიათი აქვს არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ მთელს მსოფლიოში. სამომხმარებლო ფასების ინდექსის ცვლილება 2007–2015 წლებში მოყვანილია ცხრილში.

ცხრილი 1

სამომხმარებლო ფასების ინდექსი (ინფლაცია)


	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015
საშუალო წლიური წინა წლის საშუალო წლიურთან	109.2	110.0	101.7	107.1	108.5	99.1	99.5	103.1	104.0
დეკემბერი წინა წლის დეკემბერთან	111.0	105.5	103.0	111.2	102.0	98.6	102.4	102.0	104.9

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

როგორც ცხრილიდან ჩანს, საშუალო წლიური სამომხმარებლო ფასების ინდექსი 2007 წლისათვის შეადგენდა 109.2%, ხოლო 2015 წლისათვის 104.0%, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ საშუალო წლიური ფასები 2007 წელს 2015 წელთან შედარებით გაზარდილია. როგორც ვხედავთ, იგი დინამიურად იზრდება, შემცირებულია 2012 წელს და მისი ზრდა შეინიშნება 2013 წლიდან.

სამომხმარებლო ფასების ინდექსების ცვლილება წინა წელთან შედარებით ნათლად არის წარმოდგენილი ნახაზზე.

სამომხმარებლო ფასების ინდექსი
(წინა თვე=100)




წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

რაც შეეხება საბაზრო ინფლაციას, 2015 წლამდე შეინიშნება კლება, 2015 წელს ინფლაციის დონე 2014 წელთან შედარებით გაზრდილია 1.9%-ით, საგრძნობი ზრდაა დაფიქსირებული 2015 წლის პირველ კვარტალსა და ბოლო კვარტალს შორის, გაზრდილია 4.2%-ით, რაც შეეხება 2016 წლის პირველ კვარტალს, 2015 წელთან შედარებით ინფლაციის დონემ იწყო შემცირება, ამჟამად ფიქსირდება 5.1 პროცენტი.

საბაზო ინფლაცია

(პროცენტული ცვლილება წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით)



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

სახელმწიფომ ანტიინფლაციური პოლიტიკის მიზნად უნდა დაისახოს ინფლაციის მართვა და ოპტიმალურად გამოიყენოს ინფლაციისთან ბრძოლის აპრობირებული საშუალებები და მსოფლიო გამოცდილება.

ანტიინფლაციური ღონისძიებაა ფულის რაოდენობის შემცირება მიმოქცევაში. ამ შემთხვევაში შესაძლებელია: კერძო სექტორის მოთხოვნის შემცირება საქონელსა და მომსახურებაზე; ფასიანი ქაღალდების რაოდენობის შემცირება, რაც გამოიწვევს პროცენტის ამაღლებას. შედეგად – შემ-

ცირდება წარმოება, ხოლო გარკვეული დროის შემდეგ გაიზრდება ფასები. გაიზრდება გაცვლითი კურსი, რაც შეამცირებს ფასებს იმპორტულ საქონელზე, ასევე, შემცირდება საექსპორტო საქონლის წარმოება, რადგანაც ინფლაცია გამოწვეულია მხოლოდ მოთხოვნაში ცვლილებებით და არ აქვს ხარჯვითი ხასიათი. მონეტარიზმი საერთოდ უარყოფს შემოსავლების პოლიტიკას. მონეტარიზმს საჭიროდ მიაჩნია ფულის მიწოდების გადიდება ფიქსირებული, წინასწარ განსაზღვრული პროცენტით, რომელიც შეესაბამება მთლიანი ეროვნული პროდუქტის ზრდის გრძელვადიან ტემპს. მონეტარისტები მოითხოვენ ფულის მასის თანაბარზომიერ ზრდას წინასწარ განსაზღვრული ტემპით, ეროვნული პროდუქტის ზრდის ტემპთან შესაბამისობით. ისინი თვლიან, რომ ამ გზით ფულის მიწოდება შესაბამისობაში მოვა მოთხოვნასთან და თვითონ ფულის მასის ზრდის სტაბილურობა უზრუნველყოფს ეკონომიკის ზრდის რეჟიმში ყოფნას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Inflation Dynamics and the Great Recession By Ball, Laurence; Mazumder, San deep Brookings Papers on Economic Activity, Spring 2011
2. Inflation and Monetary Policy in the Twentieth Century By Christiano, Lawrence J.; Fitzgerald, Terry J. Economic Perspectives, Vol. 27, No. 1, Spring 2003
3. <https://www.nbg.gov.ge>
4. <http://www.geostat.ge/>
5. www.mof.ge
6. <http://www.lari.ge/149-ekonomika-da-biznesi/454-inflacia-misi-arsi-da-tipebi.html>
7. <http://forbes.ge/blog/134/inflaciis-done-saqarTveloSi>
8. <http://forbes.ge/news/504/ratom-gaufasurda-lari>
9. <http://www.investopedia.com/>

Nikoloz Darchiashvili

MODERN INFLATION PROCESSES IN GEORGIA

Annotation

Inflation is a complex, multifactor socio-economic phenomenon, in a broader sense it is the devaluation of money, which finds expression in the rise in prices. It is also considered as a decline in purchasing power of money.

Inflation is directly linked to currency devaluation, ie the depreciation. The depreciation poses a serious problem to economy. Some enterprise is being closed, while in others has been reduced the turnover. Large businesses face the problem as well.

*ალექსანდრე ერგეშიძე
ნაზირა კაკულია*

საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფისკალური მდგრადობის შეფასება საქართველოში
2015-2030 წლებში

შესავალი

ბოლო ათი წლის განმავლობაში საქართველომ შეძლო ჯანდაცვის სექტორის ფუნდამენტური რეფორმირება და მიაღწია ჩვილთა და ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირებას, ჯანდაცვის ხელმისაწვდომობის გაზრდას. თუმცა, 2013 წლამდე ჯანდაცვა კვლავ ხელმიუწვდომელი რჩებოდა მოსახლეობის თითქმის ნახევრისთვის და ხალხის მიერ ჯანდაცვაზე გაწეული ჯიბიდან გადახდები შეადგენდა მნიშვნელოვნად მეტ წილს მათი შემოსავლების სხვა დაბალი და საშუალო შემოსავლის ქვეყნებთან შედარებით. 2013 წლის 28 თებერვალს საქართველოს მთავრობამ აამოქმედა საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა. აღნიშნული პროგრამის მიზანი იყო ჯანდაცვის ხელმისაწვდომობის გაზრდა და ჯანდაცვაზე გაწეული კატასტროფულად მაღალი ჯიბიდან გადახდების შემცირება.

საყოველთაო ჯანდაცვა არის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი ინსტრუმენტი სიღარიბესთან ბრძოლისთვის და ის შეიძლება მნიშვნელოვანი სტიმული გახდეს მდგრადი ეკონომიკური განვითარებისთვის, რადგან ოჯახებს, რომლებიც უფრო ჯანმრთელები არიან და დაცულები არიან ჯანმრთელობის გაუთვალისწინებელი ხარჯებისგან, შეუძლიათ მათი აქტივების უფრო ეფექტურად მართვა. თუმცა, აღნიშნული პროგრამა შეიძლება ფისკალურად არამდგრადი აღმოჩნდეს.

წინამდებარე კვლევის მიზანია, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის არსებული მონაცემების გაანალიზების საფუძველზე მისი ფისკალური მდგრადობის შეფასება. კვლევა მიაწვდის ინფორმაციას პოლიტიკის გამტარებლებს რეფორმის ხარჯების პროგნოზის შესახებ. ასევე, საერთაშორისო გამოცდილების საფუძველზე გააცნობს რეკომენდაციებს პროგრამის ხარჯების ეფექტიანობის გაზრდისა და ფისკალური მდგრადობის უზრუნველყოფის მიმართულებით.

1. ჯანდაცვის სექტორის გამოწვევები საქართველოში

2013 წლამდე საქართველოში სახელმწიფოს მიერ ჯანდაცვაზე გაწეული ხარჯი შეადგენდა ჯანმრთელობაზე გაწეული მთლიანი ხარჯების დაახლოებით 18%-ს, რაც მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე დაბალი მაჩვენებელი იყო. მსოფლიო ბანკის მონაცემების მიხედვით, დაბალი შემოსავლის ქვეყნებში სახელმწიფოს მიერ ჯანდაცვაზე გაწეული ხარჯის წილი მთლიანი ჯანდაცვის ხარჯების საშუალოდ 38%-ს შეადგენს. საქართველოში ჯანდაცვაზე გაწეულმა კერძო ხარჯებმა მშპ-ს 7.4% შეადგინა, მაშინ როცა იმავე მაჩვენებელმა დაბალი-საშუალო შემოსავლის ქვეყნებში საშუალოდ მშპ-ს 2.7% შეადგინა. მოსახლეობა საქართველოში ფარავს მათი ჯანდაცვის ხარჯების დიდ ნაწილს ჯიბიდან გადახდებით (61.9%), რაც წარმოადგენს მაღალი გაკორტრების რისკს ჯანმრთელობის პრობლემების შემთხვევაში. იგივე მაჩვენებელი ევროპისა და აზიის განვითარებად ქვეყნებში 29.5%-ს შეადგენს.

ჯანდაცვის პროგრამის ეფექტურობის უზრუნველსაყოფად მთავრობამ უნდა გაზარდოს ჯანმრთელობის დაფინანსება. თუმცა, სახელმწიფოს მიერ ჯანდაცვაზე გაწეული ხარჯების გაზრდის მთავარი გამოწვევა არის ჯანდაცვის პროგრამის ფისკალური მდგრადობის უზრუნველყოფა. მეკლევარებმა, რომლებმაც შეაფასეს ჯანდაცვის ხარჯები განვითარებად ქვეყნებში, გარაუდობენ, რომ სახელმწიფოს მიერ ჯანდაცვაზე გაწეული ხარჯების ზედა ზღვარი არის მშპ-ს 4.5%-დან 5.0%-მდე (Tandon და Cashin 2010). აღსანიშნავია, რომ 2015 წლის მდგომარეობით სახელმწიფოს მიერ ჯანდაცვაზე გაწეულმა ხარჯებმა მშპ-ს 2.3% შეადგინა. თუმცა, მოსალოდნელია, სახელმწიფოს მიერ ჯანდაცვაზე გაწეული ხარჯები კიდევ გაიზარდოს. მაღალი ჯიბიდან გადახდები, არაანაზღაურებადი სამედიცინო ხარჯები, მოსახლეობის ნაწილის სრულყოფილად არაინფორმირებულობა საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის შესახებ და საქართველოში მოსახლეობის დაბერების ტენდენცია დამატებით ზეწოლას ქმნის სახელმწიფოს მიერ ჯანდაცვის დაფინანსების ზრდაზე.

2. მეთოდოლოგია

ფისკალური მდგრადობის შესაფასებლად და სახელმწიფოს მიერ ჯანდაცვაზე გაწეული ხარჯების პროგნოზირებისთვის, მსოფლიო ბანკის ჯანმრთელობაზე გაწეული ხარჯების მონაცემების საფუძველზე შეიქმნა მოდელი. აღნიშნულ მოდელში დაშვებულია, რომ მთლიანი ჯანმრთელობის ხარჯების ფარდობა მშპ-სთან უცვლელი რჩება, რადგან ბოლო ხუთი წლის განმავლობაში საქართველოში მთლიანი ჯანმრთელობის ხარჯების მშპ-სთან ფარდობა მნიშვნელოვნად არ შეცვლილა (9.4%) და ეს თანაფარდობა საქართველოში საკმაოდ მაღალია მსგავსი შემოსავლის ქვეყნებთან შედარებით. საქართველოში ჯანდაცვის გარე დაფინანსების მშპ-სთან ფარდობა ასევე უფრო მაღალია, ვიდრე საშუალოდ განვითარებად ქვეყნებში. იმის გათვალისწინებით, რომ გარე დაფინანსების მოპოვება ქვეყნის განვითარებასთან ერთად რთულდება, კვლევა უშვებს, რომ ჯანდაცვისთვის განკუთვნილი გარე დაფინანსება ინფლაციის მაჩვენებლის შესაბამისად გაიზარდება. ინფლაციისა და მშპ-ს რეალური ზრდის პროგნოზები ეფუძნება ეროვნული ბანკის საპროგნოზო მაჩვენებლებს. ასევე, კვლევა უშვებს, რომ ხელისუფლება გააფართოებს საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამას და 2030 წელს სახელმწიფოს მიერ ჯანდაცვაზე გაწეული ხარჯი მთლიანი ჯანდაცვის ხარჯების 60%-ს მიაღწევს. აღნიშნული დაშვება ეფუძნება მთავრობის მიზანს, შეამციროს ჯანდაცვაზე ჯიბიდან გაწეული ხარჯების წილი და განვითარებადი ქვეყნების ემპირიულ მონაცემებს, სადაც საშუალოდ სახელმწიფოს მიერ ჯანდაცვაზე გაწეული ხარჯების წილი მთლიან ჯანდაცვის ხარჯებში დაახლოებით 60%-ს შეადგენს.

ცხრილი 1


დაშვებები ჯანდაცვაზე გაწეული ხარჯების პროგნოზირებისათვის

	2016	2020	2025	2030
ინფლაცია	5%	3%	3%	3%
რეალური მშპ-ს ზრდა	3%	5%	4%	4%
მთლიანი ჯანდაცვის ხარჯების ზრდის ტემპი	8%	8%	7%	7%
ჯანდაცვის გარე დაფინანსების ზრდის ტემპი	5%	3%	3%	3%
მთლიან ჯანდაცვის ხარჯებში მთავრობის ხარჯების წილი	30%	40%	50%	60%

3. კვლევის შედეგები: ჯანდაცვაზე გასაწევი ხარჯების პროგნოზი

განხილული მეთოდოლოგიისა და შექმნილი მოდელის მიხედვით, მთავრობის მიერ ჯანდაცვაზე გაწეული ხარჯები მოსალოდნელია გაიზარდოს მშპ-ს 2.3%-დან (2015 წელს) მშპ-ს 5.5%-მდე (2030 წელს), ხოლო ჯანდაცვაზე გაწეული კერძო ხარჯები თანდათან შემცირდება 2015 წელს არსებული მშპ-ს 6.9%-დან 2030 წელს მშპ-ს 3.8%-მდე (დიაგრამა 1). ამდენად, სახელმწიფოს

მიერ ჯანდაცვაზე გაწეული ხარჯები 2030 წელს ახლოს იქნება ფისკალური მდგრადობის ზედა ზღვართან. კერძო ჯანდაცვის ხარჯების მშპ-სთან ფარდობის შემცირება აისახება ჯიბიდან გაწეულ ჯანდაცვის ხარჯებზე, რომელიც შემცირდება მთლიანი ჯანდაცვის ხარჯების 58%-დან (2015 წელი) 32%-მდე (2030 წელი). აღსანიშნავია, ჯანდაცვაზე ჯიბიდან გადახდების ეს დონე ახლოსაა ევროპისა და ცენტრალური აზიის განვითარებადი ქვეყნების შესაბამისი ინდიკატორის 2013 წლის საშუალოსთან.




დიაგრამა 1. ჯანდაცვაზე გაწეული ხარჯების პროგნოზი

წყარო: მსოფლიო ბანკი, ავტორის შეფასება

მიღებული შედეგების და ფისკალური მდგრადობის სიმტკიცის შესამოწმებლად ავტორი იყენებს მგრძობელობის ანალიზს და აფასებს ალტერნატიული სცენარების ეფექტს სახელმწიფოს მიერ ჯანდაცვაზე გაწეულ ხარჯებზე. იმ შემთხვევაში, თუ ნომინალური მშპ-ს ზრდის ტემპი 1 პროცენტული პუნქტით ნაკლები იქნება თითოეულ პერიოდში, ხოლო სახელმწიფოს მიერ ჯანდაცვაზე გაწეული ხარჯები გაიზრდება საბაზო სცენარის მიხედვით, მაშინ სახელმწიფოს მიერ ჯანდაცვაზე გაწეული ხარჯები 2030 წელს გაულოტდება მშპ-ს 6.4%-ს (დიაგრამა 2). სახელმწიფოს მიერ ჯანდაცვაზე გაწეული ხარჯები ფისკალური მდგრადობის ზედა ზღვარს (5.0%) მიაღწევს გაცილებით უფრო ადრე, 2025 წელს.

მეორე სცენარი უშვებს რომ სახელმწიფოს მიერ ჯანდაცვაზე გაწეული ხარჯების წილი მთლიან ჯანდაცვის ხარჯებში 2020 წელს 50%-ს მიაღწევს. სახელმწიფოს ხარჯების წილის უფრო სწრაფი ზრდა შესაძლოა განპირობებული იყოს საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის გაფართოებით. ამ შემთხვევაში სახელმწიფოს მიერ ჯანდაცვაზე გაწეული ხარჯების ფარდობა მშპ-სთან მიაღწევს 4.5%-ს უკვე 2020 წელს. ეს ყველაზე მძიმე სცენარია ფისკალური მდგრადობის თვალსაზრისიდან გამომდინარე.

მესამე სცენარი განხორციელდება, თუ მთლიანი ჯანდაცვის ხარჯები გაიზრდება 1 პპ-ით უფრო ნელა ვიდრე ნომინალური მშპ. ამ შემთხვევაში, სახელმწიფოს მიერ ჯანდაცვაზე გაწეული ხარჯების ფარდობა მშპ-სთან გაულოტდება 4.8%-ს 2030 წელს. ამ შემთხვევაშიც სახელმწიფოს ხარჯი საკმაოდ მაღალია და მთავრობას დასჭირდება ფისკალური სივრცის გამონახვა ჯანდაცვის პროგრამის დასაფინანსებლად. ეს სცენარი განხორციელდება, თუ მთავრობა გაზრდის ჯანდაცვის ხარჯების დაფინანსების ეფექტურობას.



დიაგრამა 2. სახელმწიფოს მიერ ჯანდაცვაზე გაწეული ხარჯების პროგნოზი

წყარო: მსოფლიო ბანკი, ავტორის შეფასება

დასკვნა

საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამამ ჯანდაცვაზე ხელმისაწვდომობა საქართველოს ბევრი მოქალაქისთვის გაზარდა, მაგრამ მას მნიშვნელოვანი დაბრკოლება ემუქრება ფისკალური მდგრადობის თვალსაზრისით. იმისათვის, რომ მთავრობამ უზრუნველყოს პროგრამის ეფექტურობა და შეამციროს ჯანდაცვაზე ჯიბიდან გადახდების ხვედრითი წილი, მან ეტაპობრივად უნდა გააფართოვოს პროგრამა მედიკამენტების ხარჯების მოცვით და მთლიან ჯანდაცვის ხარჯებში მისი წილის გაზრდით. პროგნოზის მიხედვით, სახელმწიფოს მიერ ჯანდაცვაზე გაწეული ხარჯები მოსალოდნელია გაიზარდოს მშპ-ს 5.5%-მდე (2030 წელს), ხოლო კერძო ჯანდაცვის ხარჯები თანდათან შემცირდება 2030 წელს მშპ-ს 3.8%-მდე. ამდენად, სახელმწიფოს მიერ ჯანდაცვაზე გაწეული ხარჯები 2030 წელს ახლოს იქნება ფისკალური მდგრადობის ზედა ზღვართან. შესაბამისად, სახელმწიფოს დასჭირდება დამატებითი რესურსების მოძიება ჯანდაცვის გაზრდილი ხარჯების დასაფინანსებლად, წინააღმდეგ შემთხვევაში, ფისკალური მდგრადობის საკითხი დამაბრკოლებელი გახდება უახლოეს მომავალში. მთავრობას შეუძლია დაფინანსების მოზიდვა პროგრამის ეფექტურობის გაუმჯობესებით, ჯანდაცვის სექტორისთვის განკუთვნილი რესურსების მოზიდვით, მაღალი ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობით და საგადასახადო ადმინისტრირების გაუმჯობესებით.

შემდეგი რეკომენდაციები შეთავაზებულია ჯანდაცვის პროგრამის ფისკალური მდგრადობის და მისი ეფექტურობის გასაუმჯობესებლად.

- პროგრესული თანაგადახდის სისტემის დანერგვა;
- ჯანდაცვაზე განკუთვნილი ხარჯების ეფექტურად მართვა; ანგარიშსწორების ხელშეკრულებების დახვეწა; მონიტორინგის დეპარტამენტის ეფექტურობის გაზრდა; პაციენტთა მონაცემთა ბაზის შექმნა;
- პირველადი ჯანდაცვის სისტემის გაუმჯობესება და შესაბამისი ჩარხის შექმნა პოსპიტალური სექტორის უფრო ეფექტურად დარეგულირებისათვის.

გრძელვადიან პერიოდში საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფისკალური მდგრადობის უზრუნველსაყოფად აუცილებელი იქნება შენატანებზე დაფუძნებულ სისტემაზე გადასვლა, თუმცა აღნიშნული შესაძლებელი იქნება მხოლოდ არაფორმალური დასაქმების მნიშვნელოვანი შემცირების შემდეგ. მოცემული რეკომენდაციები გაზრდის საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ეფექტურობას, თუმცა, შეუძლებელია, აღნიშნული პროგრამა სრულად ეფექტური იყოს. მაგრამ კეთილდღეობის დანაკარგი გაცილებით მეტი იქნება აღნიშნული პროგრამის გარეშე, რადგან მოსახლეობა ჯანმრთელობის პრობლემებს გვიან აქცევს ყურადღებას, რაც მნიშვნელოვნად ზრდის მათ მომავალ ფინანსურ ხარჯებს.

გამოყენებული ლიტერატურა

- 1) Belli Paolo, George Gotsadze and Helen Shahriari. “Out-of-pocket and informal payments in health sector: evidence from Georgia.” *Elsevier Ireland Ltd, Health Policy* 70 (2004:) 109–123
- 2) Bloom, David E., David Canning, and Jaypee Sevilla. *The effect of health on economic growth: theory and evidence*. No. w8587. National Bureau of Economic Research, 2001.
- 3) Gotsadze, George, Akaki Zoidze and Natia Rukhadze. *Household catastrophic health expenditure: evidence from Georgia and its policy implications*. BMC Health Services Research, 2009.
- 4) Green, David, Benedict Irvine, Emily Clarke and Elliot Bidgood. “Healthcare Systems: France” (2013); “Healthcare Systems: Germany” (2013)

- 5) Ministry of labor, health and social affairs of Georgia, "Health System Assessment." (2013). <http://www.healthrights.ge/wp-content/uploads/2013/01/jandacvis-sistemis-efekturobis-angarishi.pdf>
- 6) Verulava, Tengiz and Leila Karimi. "Access to Medicines within the State Health Insurance Program for Pension Age Population in Georgia (country)." Journal for Healthcare Quality (2014).
- 7) Williams, Gareth, and Roger Hay. "Fiscal space and sustainability from the perspective of the health sector." In *High-Level Forum on the Health Millennium Development Goal: selected papers, 2003–2005*.
- 8) World health organization "health system performance assessment: Georgia." (2009) http://www.euro.who.int/data/assets/pdf_file/0012/43311/E92960.pdf
- 9) Zoidze, Akaki, Natia Rukhazde, Ketevan Chkhatrashvili and George Gotsadze. "Promoting universal financial protection: health insurance for the poor in Georgia – a case study." *Health Research Policy and Systems* (2013).

*Alexander Ergeshidze
Nazira Kakylia*

**ASSESSMENT OF FINANCIAL SUSTAINABILITY OF
UNIFIED HEALTH CARE PROGRAM IN GEORGIA IN 2015-2030**

Annotation

In 2013, Georgian government enacted unified health care program and increased health care financing. Main goal was to improve accessibility to health care for whole population and decrease extremely high out of pocket expenditure. Aim of this research is to analyze preliminary results of health care program, assess its financial sustainability and inform public and policy makers about its cost projections. Lastly, the research will provide recommendations for government about ways to increase cost effectiveness of the program, to attain higher financing if needed and ensure fiscal sustainability based on experience of worldwide recognized health care systems.

გულნაზ ერქომაიშვილი

**საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკა
სოციალური მეწარმეობის საერთაშორისო გამომწვევის ფონდში**

*სოციალური მეწარმეობა ისეთივე მნიშვნელოვანია
საზოგადოების განვითარებისათვის, როგორც
მეწარმეობა ეკონომიკის განვითარებისათვის
როჯერ მარტინი/სალი ოსბურგი*

სოციალური მეწარმეობა სულ უფრო პოპულარული ხდება მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, მათ შორის საქართველოშიც. ეს ალბათ იმითაა განპირობებული, რომ სოციალური პრობლემებისათვის მხარდაჭერის კონცეფცია დაკავშირებულია სამეწარმეო ინიციატივების იდეასთან, მიზანმიმართულ ორგანიზაციასა და კომპანიის სახელით ხარჯების მოწესრიგებულ მართვასთან. საზოგადოებას სჭირდება „სოციალური მეწარმეები“, რომლებიც ახალი კომპლექსური პრობლემების გადაჭრის ინოვაციურ მიდგომებს გამოქვნიან და შესაბამის რეაგირებას მოახდენენ [1, გვ. 209].

ტერმინი „სოციალური მეწარმეობა“ ახალია (სათავეს მე-20 საუკუნის 70-იანი წლებიდან იღებს), თუმცა არა თავად კონცეფცია. სოციალური მეწარმეები ყოველთვის არსებობდნენ. ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში გერმანიაში (ბეთჰელში) ფრიდრიხ ფონ ბოდელშინგმა შექმნა ორგანიზაცია – მსოფლიოში ცნობილი სოციალური საწარმო, რომელიც ფუნქციონირებდა ეკონომიკური პრინციპების შესაბამისად და ამუშავებდა საკუთარ სახელოსნოს, ელექტრო და წყალმომარაგებას, საკუთარ სკოლებსა და ტრენინგცენტრებს.

სოციალური მეწარმეობის აქტიური განვითარება მე-20 საუკუნის 90-იანი წლებიდან იწყება. სულ უფრო მეტმა ორგანიზაციამ დაიწყო სამეწარმეო საქმიანობა შეზღუდული შესაძლებლობების პირთა (შშპ) და სოციალურად დაუცველი ჯგუფებისათვის სამუშაო ადგილების შექმნის მიზნით. სოციალური მეწარმეობის განვითარება გულისხმობს სოციალური მიზნების მიღწევას შემოსავლის მომტანი საქმიანობის განხორციელების გზით.

სოციალური მეწარმეობის მიზნები შეიძლება ასე გამოიკვეთოს:

- შშპ და სოციალურად დაუცველებისათვის სამუშაო ადგილების შექმნა და შემოსავლების მიღება;
- პროდუქტებისა და სერვისის მიწოდება მოსახლეობის ძალიან დარიბი ფენებისათვის;
- მარგინალური (დაბალი სოციალური სტატუსის) ჯგუფის მიერ წარმოებული პროდუქტის/სერვისის გაყიდვა;
- სოციალურ მიზნებზე ორიენტირებული ბიზნესი [3].

სოციალური მეწარმეობის ძირითადი რგოლია სოციალური საწარმო. მას აქვს გამოკვეთილი სოციალური მიზანი და თავისი საქმიანობით მიღებულ შემოსავალს იყენებს საკუთარი მისიისა და სოციალური მიზნების რეალიზაციისათვის.

აღსანიშნავია, რომ სოციალური საწარმოების ინვესტორი კომპანია არ იღებს მოგებას, მოგების მიღების შემთხვევაში კი ხდება მისი საწარმოში რეინვესტირება. თუმცა, ამავე დროს, სოციალური საწარმო არ გამოიცხავს მოგების მცირე ნაწილის გადანაწილებასაც, რომელიც არ გულისხმობს პირადი მოგების ზრდისკენ სწრაფვას.

სოციალური საწარმო ზომის მიხედვით შეიძლება იყოს მცირე, საშუალო და მსხვილი. სოციალური მეწარმე ჩვეულებრივი მეწარმისაგან იმით განსხვავდება, რომ იგი სამეწარმეო რისკს იღებს მისი ორგანიზაციის ბენეფიციარების სასარგებლოდ, მაშინ, როდესაც მეწარმეები რისკს იღებენ საკუთარი ან ბიზნესის მფლობელების სასარგებლოდ [2, გვ. 13].

გერმანელი მეცნიერი გიუნტერ ფალტინი წიგნში „გონება ამარცხებს კაპიტალს“ – მეწარმეებს ჰყოფს სოციალურ და ბიზნესმეწარმეებად. თუმცა, მისი აზრით, მათ შორის განსხვავება უფრო მცირეა, ვიდრე ხალხი ფიქრობს. სოციალური მომსახურებისათვის საბიუჯეტო შემცირებები აიძულებს სოციალურ მეწარმეებს, უფრო ხშირად გამოიყენონ ეფექტიანობისა და ბაზრის ორიენტაციის მეთოდები. მაშინ, როდესაც ინფორმაციის გაზრდის, გამჭვირვალობის, კონკურენციისა და შედარების შესაძლებლობები აიძულებს ბიზნესმეწარმეებს, აწარმოონ კარგი პროდუქცია და კეთილსინდისიერად მოემსახურონ მომხმარებელს, თუ სურთ ხანგრძლივი ეკონომიკური წარმატება.

განვითარებულ ქვეყნებში სოციალურ მეწარმეობას მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ქვეყნის სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებაში. სოციალური საწარმოები ძირითადად კოოპერატივის (საფრანგეთი, პორტუგალია, ესპანეთი, საბერძნეთი) სახით ყალიბდებიან. საქართველოში მათ განსაკუთრებული იურიდიული ფორმა არ გააჩნიათ. სოციალური მეწარმეობა შეიძლება განხორციელდეს სხვადასხვა იურიდიული ფორმით. საქართველოს კანონმდებლობით „სოციალური მეწარმეობა“, როგორც ტერმინი, განმარტებული არ არის, შესაბამისად, იურიდიული საკითხების განხილვისას გამოიყენება ტერმინი მეწარმეობა.

ბოლო პერიოდში საქართველოშიც შეინიშნება გააქტიურება სოციალური მეწარმეობის მიმართულებით. სოციალურ საწარმოებში დასაქმებულნი არიან შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები, იძულებით გადაადგილებულები, პრობაციონერები და ასევე სოციალურად დაუცველები. ისინი აწარმოებენ პროდუქციას ან მომსახურებას და შესაბამისად იღებენ შემოსავალს.

სოციალური მეწარმეობის მხარდაჭერის მიზნით 2009 წელს საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის სტრუქტურულ ერთეულად ჩამოყალიბდა სოციალური მეწარმეობის ცენტრი, რომლის მიზანია სოციალური მეწარმეობის ცნების დამკვიდრება და პრაქტიკული საქმიანობის ხელშეწყობა საქართველოში. აღნიშნული ცენტრი დაინტერესებული პირებისა და ორგანიზაციებისათვის მართავს ტრენინგებსა და კონსულტაციებს. დამწყები სოციალური საწარმოების მხარდაჭერის მიზნით აცხადებს საგრანტო კონკურსებს, ხოლო გამარჯვებულ ორგანიზაციებს საქმიანობის პროცესში ორგანიზაციულ, ფინანსურ, მარკეტინგულ და საკანონმდებლო საკითხებზე უწევს პერიოდულ კონსულტაციებს. სოციალური მეწარმეობის ცენტრის მისიაა სოციალური მეწარმეობის მხარდაჭერის გზით ხელი შეუწყოს საზოგადოებაში დადებით სოციალურ და გარემოსდაცვით ცვლილებებს [3].

სოციალური მეწარმეობის ცენტრის მონაცემებით, 2016 წლის მდგომარეობით საქართველოში რეგისტრირებულია 33 სოციალური საწარმო.

აღსანიშნავია ის, რომ სოციალური დაცვის მიმართულებით საქართველოში ჯერ კიდევ 1990 წელს დაფუძნდა „სოციალური თერაპიის სახლი“ იმ ადამიანებისათვის, რომლებიც განსაკუთრებულ ზრუნვას საჭიროებენ. იგი ხელს უწყობს განვითარების შეფერხების მქონე ახალგაზრდებისა და ზრდასრულების ინდივიდუალურ განვითარებასა და სოციალურ ინტეგრაციას მათი ჩართვით შრომით, მხატვრულ და კულტურულ აქტივობებში. აღნიშნული საწარმო მომხმარებელს სთავაზობს სანთლის, ხის, თექის და ქაღალდის სხვადასხვა საყოფაცხოვრებო თუ დეკორატიულ ნივთებს, ტექსტის აკრეფა-დიზაინ-დაკაბადონებას, ფლაერებისა და კატალოგების ბეჭდვას.

საქართველოში მეორე სოციალური საწარმო დაფუძნდა 10 წლის შემდეგ – 2000 წელს, შემდეგი სამი წლის შემდეგ – 2004 წელს, 2007 და 2009 წელს კიდევ თითო-თითო, 2010 წელს – 3, 2011 წელს – 7, 2012 წელს – 5, 2013 წელს – 5, 2014 წელს – 2, ხოლო 2015 წელს – 6 სოციალური საწარმო. აქედან თბილისშია ნახევარზე მეტი – 17, ქუთაისში – 3, გორში, კასპსა და სიღნაღში – 2-2, რუსთავში, ოზურგეთში, დუშეთში, ყაზბეგში, თელავში, ლაგოდეხსა და თეთრწყაროში 1-1.

სოციალური საწარმოების საქმიანობის სფეროები მრავალგვარია და მათი სოციალური მისია სხვადასხვა სფეროს მოიცავს. მაგრამ სოციალური საწარმოების უმთავრესი ფუნქცია მაინც შრომით ბაზარზე განსაკუთრებით არაკონკურენტუნარიანი მოსახლეობის დასაქმებაა.

საქართველოში სოციალურ საწარმოთა 30%-ზე მეტი ორიენტირებულია სასოფლო-სამეურნეო და კვების პროდუქტების წარმოებაზე, კერძოდ, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის მოყვანა, სხვადასხვა სახეობების ბიოპროდუქტების წარმოება, სვანური მარილი „ხესხო“, ჩაი სახელწოდებით „სამეფო“, ნატურალური თაფლი, ჩურჩხელები, მურაბები, ვაშლის წვენი, ვაშლის ძმარი,

ნამცხვრები, სალაოები, ჯანსაღი კვების პროდუქტები (ლანჩ მენიუ, ტკბილეული, სასმელი და სხვ.) და სხვ.

სოციალურ საწარმოთა 15%-ში მზადდება: უვნებელი, ანტიალერგიული, ეკოლოგიური სადებავებითა და ზეთებით დამუშავებული და შეფერილი ხის სხვადასხვა ტიპის სათამაშო, ნატურალური ხის პროდუქცია, ხალხური რეწვის ნიმუშები, მინანქრის სამკაულები, სამუზეუმო ექსპონატების მოტივებსა და არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩენილი სამკაულების მოტივებზე შექმნილი აქსესუარები, თეკის, ტექსტილის, კერამიკის ნაწარმი.

სამიზნე ჯგუფებისათვის სოციალურ საწარმოში მზადდება ყველგანმავალი ეტლები, პორტატული პანდუსები, ასევე ფუნქციონირებს სოციალური საწარმო, სადაც მზადდება მისალოცი ბარათები, სასაჩუქრე ყუთები და მოსაწვევები.

საქართველოში სოციალურ საწარმოთა 36% სხვადასხვა ტიპის მომსახურებასაც ეწევა, კერძოდ, ავტომობილების შეკეთების ფართო სერვისი, სოციალური ტაქსი, რომელიც ეტლით მოსარგებლე და სხვა შეზღუდული შესაძლებლობების პირებს ემსახურება, სატრენინგო მომსახურება, ხანდაზმულთა უზრუნველყოფა საბაზისო საცხოვრებელი პირობებით და სოციალური და ფსიქოლოგიური რეაბილიტაცია, უსინათლოთათვის ინფორმაციასა და სხვადასხვა ტიპის ლიტერატურაზე ხელმისაწვდომობა (აუდიო წიგნი, CD და DVD დისკების სახით) და სხვ.

საქართველოში სოციალურ საწარმოთა ნაწილი მიმართულია როგორც პროდუქციის წარმოებაზე, ისე მომსახურებაზე.

სოციალური მეწარმეობის ცენტრის მონაცემებით, წარმატებული სოციალური საწარმოებია: ავტოსერვისცენტრი „ავტოლაიფი“ (ავტომობილების შეკეთების ფართო სერვისი), „არბო“ (ეკოლოგიურად სუფთა საბავშვო სათამაშოების წარმოება), სათემო ორგანიზაცია „ლელო“ (ნატურალური თაფლის წარმოება), „იკორთა“ (ხალხური რეწვის ნიმუშების წარმოება), „რეას ციყვები“ (ჯანსაღი კვების პროდუქტების წარმოება). ეს საწარმოები ახერხებენ დაფარონ საკუთარი ხარჯები და მიიღონ მოგება [3].

საქართველოში სოციალური მეწარმეობის განვითარების ხელშემწყობი ფაქტორებია:

- სოციალური მეწარმეობის და სოციალური საწარმოს შესახებ მწირი ინფორმაცია;
- უცხოეთში არსებული მსგავსი საწარმოების მუშაობის შესახებ ინფორმაციის ნაკლებობა;
- სოციალური მეწარმეობის კუთხით იდეების ფორმირების დაბალი მოტივაცია;
- სოციალური საწარმოების ამუშავების ხელშემწყობი ეკონომიკური პოლიტიკის არარსებობა;
- სოციალური საწარმოს სამართლებრივი სტატუსის არარსებობა;
- სოციალური საწარმოებისათვის საგადასახადო შეღავათების არარსებობა;
- სოციალური საწარმოების ამოქმედებისა და განვითარებისათვის ფინანსური წყაროების ნაკლებობა;

- სახელმწიფო გრანტებთან დაკავშირებული სამართლებრივი გარემოებები;
- ეკონომიკური საქმიანობისათვის გრანტების გაცემის დაბეგვრის საკითხი.

სოციალური მეწარმეობის განვითარებისათვის აუცილებელია:

- გამოკვლეულ იქნეს სოციალური საწარმოების ფუნქციონირების არსებული მდგომარეობა, შესწავლილ იქნეს პრობლემები და დაისახოს მათი გამოსწორების გზები;
- გამოიკვეთოს სოციალური საწარმოს სტატუსი, მაგალითად, სოციალური კოოპერატივი, სოციალური შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება და ა.შ.
- შესწავლილ იქნეს სოციალური მეწარმეობის უცხოური გამოცდილება და უფრო ფართოდ ჩატარდეს ტრენინგები მათი გაცნობის მიმართულებით;
- შემუშავდეს სოციალური მეწარმეობის განვითარების სტრატეგია;
- ამადლდეს სოციალური მეწარმეობის კუთხით იდეების განხორციელების მოტივაცია, რაშიც თავისი წვლილი სახელმწიფომაც უნდა შეიტანოს საკანონმდებლო ბაზის არსებობით;
- სოციალურ საწარმებს დაუწესდეთ საგადასახადო შეღავათები (საგადასახადო განაკვეთის შემცირება და საგადასახადო კრედიტი, ანუ გადასახადის თანხის შემცირება);
- შემუშავდეს სოციალური საწარმოების ამუშავების ხელშემწყობი ეკონომიკური პოლიტიკა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გიუნტერ ფალტინი, გონება ამარცხებს კაპიტალს. თბილისი, 2015.
2. შ. მურდულია, ზ. მოდებაძე, ე. დათუაშვილი, სოციალური მეწარმეობის სახელმძღვანელო. საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი. თბილისი, 2013.
3. www.csr.dg.ge – საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი.
4. Roger L.Martin, Sally Osberg, Social Entrepreneurship: The Case for Definition. Stanfords Social Innovation review, 2007.
5. www.awed.org.ge
6. www.UnreasonableInstitute.org – Social Entrepreneur Definition
7. www.. Startingbloc.org – Social Entrepreneurship

**GEORGIA'S ECONOMIC POLICY FACING
THE INTERNATIONAL CHALLENGES OF SOCIAL ENTREPRENEURSHIP
Annotation**

Georgia recently became active in social entrepreneurship (The establishment of social enterprises). It is an important condition for the employment and realization of social goals of population less competitive in the labor market (The disabled, The IDPs, Probationers, Vulnerable) The article deals with the current situation of in social entrepreneurship Georgia, with the factors hindering its development, are planned ways for further development of social entrepreneurship.

ვაჟა ვერულიძე

შიდა ინვესტიციების საბაზისად რეგულირების პრობლემები საქართველოში

ახალ გეოპოლიტიკურ ვითარებაში საქართველო დაბალი ზრდის ტემპებით ხასიათდება, რაც განპირობებულია იმით, რომ ეროვნული ეკონომიკის სტრუქტურული მდგომარეობა ვეღარ პასუხობს თანამედროვე გამოწვევებს, არამდგრადია გარე შოკების (ნავთობისა და სავალუტო ბაზრებზე არსებული ვითარება) გავლენის მიმართ და აფერხებს ეკონომიკის სტაბილური ზრდის პოტენციურ შესაძლებლობებს.

ქვეყანაში არსებული ეკონომიკური კონიუნქტურის პირობებში მშპ-ზე განსაკუთრებით ნეგატიურად იკვეთება ორი ფაქტორის – დარგობრივი სტრუქტურისა და ვალუტის კურსის დინამიკის ზემოქმედება. ქვეყნის საბიუჯეტო, სოციალური თუ საგადასახადო პოლიტიკა არ შეიძლება ეფუძნებოდეს ეროვნული ვალუტის კურსის სტაბილურობის მოლოდინს, რომელიც ამ ეტაპზე მნიშვნელოვანწილად გარე ფაქტორებზეა დამოკიდებული. რამდენადაც ნაკლებად არის დაკავშირებული ქვეყნის ეკონომიკა გარე ფაქტორებით გამოწვეულ ცვლილებებზე, იმდენად პროგნოზირებადია იგი ზრდისათვის.

გარდა ეკონომიკის სტრუქტურული მდგომარეობისა, ეკონომიკური აგენტების სამეწარმეო აქტიურობის შეფერხება დაკავშირებულია ასევე სახელმწიფოს მხრიდან იმ მარეგულირებელი მექანიზმების გამოუყენებლობასთან, რომელიც ხელს შეუწყობდა კომპანიებისათვის იაფი ფინანსური რესურსების მოძიების შესაძლებლობების ზრდას, ეკონომიკის ცალკეულ სექტორებში ბაზრის მონოპოლიზაციის ხარისხის შემცირებას, ეკონომიკის რეალური სექტორის ტექნიკურ და ტექნოლოგიურ გადაიარაღებას, შრომითი რესურსების კვალიფიკაციის ამაღლებას, გასაღების ბაზრების დივერსიფიკაციას და ა.შ.

წლების განმავლობაში სახელმწიფოს მხრიდან ეკონომიკის რეგულირებისადმი ჩამოყალიბებული დამოკიდებულება უარყოფითად აისახა ბაზრის სხვადასხვა სექტორებზე, კერძოდ, ფინანსურ ბაზარზე არსებული არაჯანსაღი კონკურენციის პირობებში, სადაც არ ფუნქციონირებს კარგად განვითარებული ფასიანი ქაღალდების ბაზარი, შეუძლებელი ხდება იაფი ფინანსური რესურსების მოძიება, მაღალია ბაზრის მონოპოლიზაციის ხარისხი ეკონომიკის ისეთ სექტორებში, რომლებიც, თავის მხრივ, ნეგატიურ გავლენას ახდენენ არა მხოლოდ სხვა სექტორებზე, არამედ ქვეყნის სოციალურ მდგომარეობაზე, რასაც ჯეროვნად ვერ უმკლავდება კონკურენციის სააგენტო, შრომითი რესურსების კვალიფიკაცია არის ძალიან დაბალი და ა.შ.

ბიზნესსუბიექტებისათვის ჯანსაღი სამეწარმეო და საინვესტიციო გარემოს შექმნა მოითხოვს კანონშემოქმედებით საქმიანობას და დროს, რაც რთული და ხანგრძლივი პროცესია, რომელიც გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან დაიწყო და დღემდე არ დასრულებულა. მთავრობის ინიციატივა ამ ეტაპზე შეეხო მოგების გადასახადის შემცირებას, რომელიც იგეგმება 2017 წლის პირველი იანვრიდან, ეკონომიკის ზრდის სტიმულირების ხელშეწყობისა და შიდა ინვესტიციების განხორციელების მოტივაციის ამაღლების მიზნით.

აღნიშნული ინიციატივით ხორციელდება არსებითი ცვლილებები საგადასახადო კანონმდებლობაში, რომლითაც მთავრობა ვარაუდობს სამეწარმეო აქტიურობის ზრდას შიდა ინვესტიციების მობილიზების ხარჯზე და ის მოიცავს შემდეგ ძირითად მიმართულებებს⁷⁰:

1. იცვლება მოგების გადასახადით დაბეგვრის რეჟიმი (უქმდება მოგების გადასახადი) – მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტი იქნება დივიდენდის ან სხვა ფორმით განაწილებული მოგება, საქონლის/მომსახურების უსასყიდლოდ მიწოდება, ასევე სხვა გადახდები, რომელიც დაკავშირებული არ არის ეკონომიკურ საქმიანობასთან;

2. საგადასახადო კონტროლს განახორციელებს მხოლოდ საგადასახადო ორგანო;

3. იმპორტიორს, რომელიც ძირითად საშუალებებს იყენებს დღგ-ით დასაბეგრ ოპერაციებში, იმპორტისას დღგ-ს გადახდა არ მოუწევს და მოხდება მისი გადავადება;

4. საგადასახადო ორგანო ვალდებული გახდება, საბანკო ანგარიშზე ყადაღის დადებიდან 48 საათში სასამართლოს წარუდგინოს შუამდგომლობა პირის საბანკო ანგარიშებზე ყადაღის დადების

⁷⁰ საქართველოს საკანონმდებლო მაცნე <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3192050>

დადასტურების შესახებ, სასამართლო ვადლებულია, მომდევნო 48 საათში გამოიტანოს განჩინება. დღეს მოქმედი კანონმდებლობით საგადასახადო ორგანო დავის დაწყებისას საბანკო ანგარიშზე ყადაღის დადებას ახორციელებს ავტომატურ რეჟიმში 254-ე მუხლის საფუძველზე, კერძოდ, საგადასახადო დავის პერიოდში გადასახადის გადამხდელის საგადასახადო დავალიანების უზრუნველსაყოფად შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ქონებაზე ან/და საბანკო ანგარიშებზე ყადაღის დადება;

5. ეკონომიკის დეკრიმინალიზაცია, რაც გულისხმობს ეკონომიკური დანაშაულის შემთხვევაში სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებას;

6. საგადასახადო ამნისტია (საგადასახადო დავალიანებების ჩამოწერა), რომელიც შეეხება 2011 წლის 1 იანვრამდე გადაუხდელ საგადასახადო დავალიანებას; წინასწარი გაანგარიშებით იგი ტოლია 1 მლრდ 410 მილიონი ლარის, ასევე 2013 წლის 1 იანვრამდე აღიარებულ საგადასახადო დავალიანებაზე დარიცხულ საურავს; წინასწარი გაანგარიშებით იგი ტოლია 623570423 ლარის და 2009 წლის 1 იანვრამდე დარიცხულ აღიარებულ ჯარიმას;

აღნიშნული რეფორმის განხორციელება საზოგადოებაში გააჩენს ეკონომიკური აქტივობის ზრდის მოლოდინს, თუმცა, მოგების გადასახადის გაუქმების შედეგად გადასახადის გადამხდელის განკარგულებაში დარჩენილი და რეინვესტირებული ფინანსური რესურსი საკმარისი იქნება თუ არა ეკონომიკის ზრდის სტიმულირებისათვის, ამაზე მეტყველებს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გავლენის ანალიზი ცალკეულ მაკროეკონომიკურ ინდიკატორზე (ცხრ. 1), კერძოდ, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 2008 წელს, წინა წელთან შედარებით, შემცირდა 22,3%-ით, თუმცა საგადასახადო შემოსავლები გაიზარდა 50,8%-ით, ხოლო ეკონომიკის რეალურმა ზრდამ შეადგინა 2,6%. 2009 წელს, წინა წელთან შედარებით, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები შემცირდა 1564⁷¹ მლნ აშშ დოლარიდან 658,4 მლნ აშშ დოლარამდე, ანუ 57,9%-ით, რამაც ეკონომიკის შემცირება გამოიწვია მხოლოდ 3,7%-ით, 2012 წლისათვის პირდაპირი უცხოური ინვესტიციები წინა წელთან შედარებით შემცირდა 18,4%-ით, ეკონომიკის ზრდამ შეადგინა 6,4%, ხოლო საგადასახადო შემოსავლების ზრდამ – 8,8%.

ცხრილი 1

ცალკეული მაკროეკონომიკური ინდიკატორების ზრდის ტემპები

წლები	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014
მაჩვენებლები							
ეკონომიკის ზრდა	2,6%	-3,7%	6,2%	7,2%	6,4%	3,3%	4,6%
საგადასახადო შემოსავლების ზრდა	50,8%	-8,4%	10,3%	26,3%	8,8%	-0,4%	8,9%
პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზრდა	-22,3%	-57,9%	23,7%	37,1%	-18,4%	3,3%	86,6%

აღნიშნული მეტყველებს იმაზე, რომ განხორციელებული პირდაპირი ინვესტიციების მოცულობა ფაქტობრივად არ აისახება საგადასახადო შემოსავლებისა და ეკონომიკის ზრდაზე, შესაბამისად, საგადასახადო რეფორმის განხორციელების შემდეგ, მოგების გადასახადის სახით კერძო სექტორში დარჩენილი დაახლოებით ერთი მილიარდი ლარის სრული რეინვესტირებაც კი ვერ მოახდენს მნიშვნელოვან გავლენას მშპ-ის ზრდაზე, ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია პირველ რიგში ეკონომიკაზე ნეგატიური ფაქტორების გავლენის თანდათანობითი აღმოფხვრა და ქვეყნის საბიუჯეტო რესურსების მართვის გაუმჯობესება. იმისათვის, რომ ეკონომიკის ზრდა სტაბილური გახდეს, რეფორმა არ უნდა ატარებდეს ფრაგმენტულ ხასიათს, აუცილებელია განხორციელდეს ასევე სახელმწიფო ინვესტიციების ეფექტიანი მართვა, კერძოდ, სახელმწიფო ტენდერებისთვის განკუთვნილი საბიუჯეტო სახსრების ეფექტიანი გამოყენება მმართველობის ყველა დონეზე.

აუცილებელია ეკონომიკის მოდერნიზაცია და დღეს არსებული იმპორტის ეკონომიკაზე გავლენის ჩანაცვლება რეალური სექტორის გაძლიერებით, ინვესტიციებისა და პირდაპირი გადასახადების ზრდით.

2014 წელს, 2008 წელთან შედარებით, არსებითად არ შეცვლილა პირდაპირი და არაპირდაპირი გადასახადების ხვედრითი წილები საგადასახადო შემოსავლებში (ცხრ. 2), რაც იმაზე მეტყველებს, რომ ეკონომიკური ზრდის პროგნოზირების ხარისხი შენარჩუნდა 2008 წლის დონეზე, არ მოხდა პირდაპირი გადასახადების ზრდა არაპირდაპირი გადასახადების შემცირების ხარჯზე, კერძოდ, 2008 წელს მოგების გადასახადის ხვედრითი წილი საგადასახადო შემოსავლებში შეადგენდა 13%-ს, ხოლო 2014 წელს 12%-ს, საშემოსავლო გადასახადის ხვედრითი წილი 2008 წელს შეადგენდა 26%-ს, რომელიც იგივე დარჩა 2014 წლისათვის, დამატებული ღირებულების გადასახადის ხვედრითი წილი 2008 წელს იყო 45,5%, 2014 წელს კი გაიზარდა და შეადგინა 48%. იმავე პერიოდში არ შეცვლილა აქციის ხვედრითი წილი და ის მერყეობდა 11%-ის ფარგლებში.

⁷¹ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური - http://geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/bop/FDI_2014-GEO.pdf

ამ პროცესებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სახელმწიფოს როლი და იგი მდგომარეობს სტრუქტურული პოლიტიკის განსაზღვრასა და ეკონომიკური სუბიექტებისათვის საბაზრო მოტივაციის ამღებებაში, რომელიც გულისხმობს ქვეყნის სტრატეგიული დარგების შერჩევას და მათ სუბსიდირებას, ეროვნული მწარმოებლების უცხოური კონკურენციისაგან დაცვას, მნიშვნელოვანი პროექტების პირდაპირ ინვესტირებას და თანაინვესტირებას.

ცხრილი 2

ქვეყნის ძირითადი მაკროეკონომიკური პარამეტრები⁷²

წლები	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014
მანქანებზე							
მთლიანი შიდა პროდუქტი მიმდინარე ფასებში (მლნ ლარი)	19074,9	17986,0	20743,4	24344,0	26167,3	26847,4	29150,5
საგადასახადო შემოსავლები (ათასი ლარი)	4541553,2	4161738,6	4592367,6	5801989,3	6311078,1	6287685	6846964,2
მოგების გადასახადი	592,119.1	517,652.7	575,947.2	832,201.3	850,995.0	806,545.3	828,823.2
საშემოსავლო გადასახადი	1,218,300.3	1,053,228.8	1,119,020.1	1,439,463.1	1,636,356.0	1,795,142.0	1,790,379.5
დამატებული ღირებულების გადასახადი	2,068,988.4	2,051,748.0	2,203,093.2	2,784,346.3	3,040,331.9	2,847,867.5	3,298,518.3
აქციზი	518,479.4	443,236.6	560,820.4	615,169.6	659,606.1	722,178.1	810,209.1
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (მლნ აშშ დოლარი)	1.564,0	658,4	814,5	1.117,2	911,6	941,9	1.758,4
საქონლის რეგისტრირებული იმპორტი (მლნ აშშ დოლარი)	6302	4500	5257	7038	8037	8012	8593

საინვესტიციო საქმიანობის საგადასახადო სტიმულირება შესაძლებელია ასევე საგადასახადო არდადეგების, საინვესტიციო საგადასახადო კრედიტის, საგადასახადო შეღავათების, საამორტიზაციო პოლიტიკის და სხვა მეთოდებით. თუმცა, როგორც საერთაშორისო პრაქტიკა აჩვენებს, ინვესტიციების საგადასახადო რეგულირების პოლიტიკა არაეფექტურია გრძელვადიან პერიოდში და საჭიროა მისი ჩანაცვლება სხვა მეთოდებით. სხვა თანაბარ პირობებში, მეწარმეთათვის საინვესტიციო საქმიანობის განხორციელების წინაპირობას წარმოადგენს სახელმწიფოს მხრიდან საკუთრების უფლების გარანტირებული დაცვის უზრუნველყოფა და კონკურენციის ხელშეწყობა.

Vazha Verulidze

PROBLEMS OF TAX REGULATION FOR INTERNAL INVESTMENTS IN GEORGIA

Annotation

The article deals with the external and internal factors hampering the economic growth of the country, the impact of investments on the increase of economy and tax revenue as well as expecting changes in tax legislation.

The article also states that for the stable growth of economy it is not sufficient to make certain changes in the normative acts but necessary to fulfill the regulatory functions from the government part that fosters sound competition and improves entrepreneurial environment.

⁷² წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური - http://geostat.ge/cms/site_images/_files/yearbook/Yearbook_2015.pdf; http://geostat.ge/?action=page&p_id=118&lang=geo; http://geostat.ge/?action=page&p_id=139&lang=geo; http://geostat.ge/?action=page&p_id=136&lang=geo;

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო - <http://mof.ge/4562>;

საქართველოს ეროვნული ბანკი - https://www.nbg.gov.ge/uploads/publications/balanceofpayments/2015/geo_171215.pdf;

ეკონომიკური ციკლები საქართველოს ეკონომიკაში

შესავალი

მაკროეკონომიკური პროცესების არასტაბილურობა და ეკონომიკის განვითარების ციკლურობა წარმოადგენს საბაზრო და გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნების ერთ-ერთ უმთავრეს პრობლემას. ზრდისა და კლების ტენდენციების არსებობა შეინიშნება ისეთი მაკროეკონომიკური ინდიკატორების დინამიკაში, როგორებიცაა მთლიანი შიდა პროდუქტი, ინვესტიციები ძირითად კაპიტალში, შრომის მწარმოებლურობა, დასაქმება და სხვ. ეკონომიკური რეცესიები და კრიზისები უმნიშვნელოვანეს გავლენას ახდენს მოსახლეობის ცხოვრების დონეზე, ქვეყნის არსებულ და მომავალ მდგომარეობასა და საერთაშორისო ურთიერთობებზე.

თანამედროვე ეპოქაში მსოფლიო ეკონომიკური და ფინანსური კრიზისები სულ უფრო ხშირი, მასშტაბური და კატასტროფული შედეგების მომტანი ხდება. ამის ნათელი მაგალითია გახშირებული ფინანსური კრიზისები, ასევე 2008–2009 წლების მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი. აქედან გამომდინარე, ასეთი მოვლენების რაიმე სისტემაში მოქცევა მათი პროგნოზირებისა და პრევენციის მიზნით, თანამედროვე ეკონომიკური მეცნიერების უმნიშვნელოვანესი ამოცანაა.

ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თავისებურებები მოითხოვს თეორიული ცოდნის გადრმავებას ეკონომიკური ციკლურობისა და ფინანსური კრიზისების გაანალიზების მიმართულებით. ამ თემაზე სამეცნიერო ნაშრომების ფართო სპექტრის არსებობა, მის მიმართ ინტერესის ზრდა ნათლად გვიჩვენებს ეკონომიკის ციკლური განვითარების კვლევის აქტუალობას. მრავალი კვლევის შედეგად დასტურდება გლობალური და ეროვნული ეკონომიკების არაწრფივი, ციკლური ხასიათი.

ეკონომიკის ციკლური განვითარების კვლევა სხვადასხვა მეთოდებით ხდება. ეკონომიკის გრძელვადიანი დინამიკის ვიზუალური ანალიზის პარალელურად, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია სხვადასხვა ხანგრძლივობის ციკლების გამოვლენა ამა თუ იმ მაკროეკონომიკური მაჩვენებლის გრაფიკის გამოყენებით, დღესდღეობით დიდი პოპულარობით სარგებლობს ზუსტი მათემატიკური მეთოდები. მათი აქტუალობა იმითაა გამოწვეული, რომ საშუალებას იძლევა გაკეთდეს საკმაოდ დიდი სიზუსტის მქონე, მათემატიკური აპარატის გამოყენებით დასაბუთებული დასკვნები ეკონომიკის დინამიკის შესახებ. ასევე ეს საკმაოდ მძლავრი ინსტრუმენტი პროგნოზირებისა და ეკონომიკის ანტიკრიზისული რეგულირებისთვის [6].

1. კვლევაში გამოყენებული მეთოდოლოგია

ეკონომიკის ციკლურობის კვლევის თანამედროვე მეთოდებს მიეკუთვნება სპექტრული ანალიზის მეთოდი. ეკონომიკაში ის, ძირითადად, გამოიყენება საწარმოების დონეზე, გაყიდვების სეზონურობის, წარმოების პროცესის, საფონდო ბაზრის დინამიკისა და მარაგების ცვლილების გამოსაკვლევად [6], [8], [9]. თუმცა ის ასევე წარმატებით გამოიყენება მაკროეკონომიკურ დონეზე, კერძოდ, ეკონომიკის ციკლურობის შესასწავლად.

თავისი შინაარსით, სპექტრული ანალიზი არის მათემატიკური ინსტრუმენტი, რომლის დახმარებითაც შესაძლებელია შევაფასოთ სხვადასხვა სიხშირის (და, შესაბამისად, პერიოდის) კომპონენტების ზეგავლენა ამოსავალ დინამიკურ მწკრივზე. ამასთან, სპექტრულ ანალიზს ნაკლოვანებებიც გააჩნია, კერძოდ, რთულია მოკლევადიანი ციკლებისა და შემთხვევითი რყევების ერთმანეთისგან გარჩევა, აგრეთვე კვაზი-პერიოდული და ნამდვილი ციკლური მოვლენების გარჩევა, განსაკუთრებით მოკლე დინამიკურ მწკრივებში [8].

სპექტრული ანალიზის მეთოდი განსაკუთრებით საინტერესო და მიმზიდველია ეკონომიკაში, რადგანაც ის ისეთი მნიშვნელოვანი საკითხების შესწავლის საშუალებას იძლევა, როგორიცაა ტრენდისა და ციკლური კომპონენტის გამოცალკევება, სეზონური რყევები, ეკონომიკის სექტორების წვლილი ეკონომიკურ ზრდაში, შემთხვევითი რყევების თავიდან აცილება და სხვ. [6]. მოვლენების ასეთი კუთხით შესწავლა, ასევე მათი დინამიკის სიშირეების შესწავლა საშუალებას იძლევა, გვქონდეს ეკონომიკური ციკლის მკაფიო, მათემატიკური აპარატით დასაბუთებული განსაზღვრება, გამოვყოთ ეკონომიკური მაჩვენებლების დინამიკიდან სხვადასხვა პერიოდულობის ციკლები, განვაითაროთ სხვადასხვა სახის საპროგნოზო, წინმსწრების სახის ინდიკატორები [6].

სპექტრული ანალიზის კლასიკური მეთოდი დაფუძნებულია ფურიეს გარდაქმნაზე (Fourier transform). ჩვენს კვლევაში პროგრამა MATLAB-ში ჩატარებული გამოთვლების დროს სწორედ ეს მეთოდი იქნა არჩეული. მისი ძირითადი არსი იმაშია, რომ ამოსავალი დინამიკური მწკრივი ან ფუნქცია იშლება შემადგენელ კომპონენტებად: ჰარმონიულ რყევებად და მათ სიხშირეებად. ფურიეს დისკრეტული გარდაქმნის ფორმულაა [4], [8]:

$$X(m) = \sum_{k=0}^{N-1} x(k) e^{-\frac{i2\pi km}{N}} = \sum_{k=0}^{N-1} x(k) [\cos(2\pi km/N) + i \sin(2\pi km/N)],$$

სადაც: X(m) არის გარდაქმნილი მწკრივის m-ური წევრი;

x(k) – შემავალი მონაცემების k-ური კომპონენტი;

N – შემაჯავლი მონაცემების ერთობლიობის სიგრძე;

i – წარმოსახვითი სიდიდე, $i = \sqrt{-1}$

გარდა სპექტრული ანალიზის მეთოდისა, კვლევაში გამოყენებულ იქნა ჰოდრიკ-პრესკოტის ფილტრის მეთოდი (Hodrick-Prescott (HP) filter). HP-ფილტრის მექანიზმი დაფუძნებულია დაშვებაზე, რომ დინამიკური მწკრივი შეიძლება წარმოდგენილ იქნეს ციკლური და ზრდის კომპონენტების სახით:

$$y_t = y_t^g + y_t^c$$

სადაც: y_t^g ზრდის კომპონენტი, ხოლო y_t^c - მწკრივის ციკლური კომპონენტი.

როდესაც მონაცემების სტაციონალურ სახეზე დაყვანა ხდება, საჭიროა ზრდის კომპონენტის გამორიცხვა. HP-ფილტრის გამოყენების დროს ამ გზით ხდება ციკლური კომპონენტის იზოლირება:

$$y_t^c = y_t - y_t^g$$

სადაც y_t^g წარმოადგენს სასურველ მონაცემებს. ამ გზით ხდება ასევე მწკრივის გადახრების შემცირება. ეს შეიძლება გამოისახოს მინიმიზაციის შემდეგ პირობაში [3]:

$$\min_{\{y_t^g\}_{t=1}^T} \sum_{t=1}^T \left\{ (y_t - y_t^g)^2 + \lambda [(y_{t+1}^g - y_t^g) - (y_t^g - y_{t-1}^g)]^2 \right\}$$

სადაც λ წარმოადგენს მოსწორების პარამეტრს, რადგანაც მისი მნიშვნელობა განსაზღვრავს მწკრივის ზრდის ტემპის ზეგავლენას. λ -პარამეტრის მნიშვნელობა განისაზღვრება ამოსავლის მონაცემების პერიოდულობის საძიებელი ციკლის პერიოდის მიხედვით.

2. კვლევის შედეგები


კვლევის მიზნის მისაღწევად აღწერილი მეთოდოლოგიის გამოყენებით ჩატარდა საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტის და მრეწველობის პროდუქციის ინდექსის დროითი მწკრივების ანალიზი. ამის შედეგად გამოიკვეთა შემდეგი ეკონომიკური ციკლები:

მრეწველობის ინდექსის დინამიკაში – 3,7 წლიანი ციკლები, შემდეგი დათარიღებით: 1. 2001 წლის პირველი კვარტალი – 2004 წლის მეოთხე კვარტალი; 2. 2004 წლის მეოთხე კვარტალი – 2009 წლის მესამე კვარტალი; 3. 2009 წლის მეოთხე კვარტალი – 2013 წლის მეორე კვარტალი; 4. 2013 წლის მესამე კვარტალი დღემდე (გრაფიკი 1).

მთლიანი შიდა პროდუქტის დინამიკაში – 12,5 და 25 წლიანი ციკლები, შემდეგი დათარიღებით:


12,5 წლიანი ციკლები. 1981-1988, 1993-1999: აღმავლობის ფაზები; 1988-1993-დაღმავლობის ფაზა.

25 წლიანი ციკლები. 1972-1985 და 1997-2010 – აღმავლობის ფაზები; 1985-1996 – დაღმავლობის ფაზა (გრაფიკი 2);



გრაფიკი 1. ეკონომიკური ციკლები მრეწველობის ინდექსის დინამიკაში

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (http://geostat.ge/?action=page&p_id=118&lang=geo), გამოთვლების შედეგები



გრაფიკი 2. ეკონომიკური ციკლები მთლიანი შიდა პროდუქტის დინამიკაში

წყარო: მსოფლიო ბანკი (<http://data.worldbank.org/country/georgia>), კვლევის შედეგები.

დასკვნა

ამ ეტაპზე, შეიძლება ითქვას, რომ მოცემული კვლევის მიზნები მიღწეულია. წარმატებით შესრულდა კვლევის საკვანძო ეტაპის – დროითი მწკრივების სპექტრული ანალიზი. მის შედეგად აშკარად გამოვლინდა სხვადასხვა სიგრძის ეკონომიკური ციკლები საქართველოს ეკონომიკის დინამიკაში.

12,5 წლიანი ციკლის კლასიფიცირებისთვის ჩატარდა ძირითად კაპიტალში განხორციელებული ინვესტიციების მონაცემების დინამიკის ანალიზი. ამ უკანასკნელის რყევები შეესაბამებოდა აღმოჩენილ 12,5 წლიან ციკლებს, რაც ემთხვევა შუგლარის ციკლის მოქმედების მექანიზმის შესახებ არსებულ თეორიებს [1], [9]. ამის საფუძველზე ეს ციკლი ჩაითვალა სწორედ შუგლარის ციკლად.

რაც შეეხება 3,7 წლიან ციკლებს, მათი პერიოდის გათვალისწინებით ჩატარდა კაპიტალის ოპერაციების ანგარიშის მარაგების ნაწილის დინამიკის კვლევა. მისი რყევების გათვალისწინებით მოხდა აღნიშნული ციკლების კიტჩინის მოკლევადიან ციკლებად კლასიფიცირება [1].

გარდა ამისა, ციკლებს შორის არსებული ურთიერთდამოკიდებულების გათვალისწინებით [10] გაკეთდა ვარაუდი იმის შესახებ, რომ საქართველოს ეკონომიკაში კონდრატევის ორი მომიჯნავე ციკლის "შეხების" (ანუ კრიზისის) წერტილად 1900-იანი წლების შუა პერიოდი ჩაითვალოს. ამ ვარაუდის საფუძველზე შეიძლება გაკეთდეს დასკვნა იმის შესახებ, რომ მიმდინარე შუგლარის ციკლი არის რიგით მესამე, კონდრატევის ციკლის ფარგლებში [1]. კონდრატევის ციკლის პიკის ფაზა შეესაბამება 2017-2021 წლებს, შესაბამისად, ამ ციკლის დასასრული (ფსკერის ფაზა) კი მოსალოდნელია 2040-იანი წლების ბოლოს. რაც შეეხება შუგლარის ციკლს, მიმდინარე ციკლის დასასრული მოსალოდნელია 2017-2021 წლებში, რაც იმაზე მეტყველებს რომ ამჟამად ვიმყოფებით საშუალოვადიანი ბიზნეს-ციკლის დაღმავალ სტადიაზე.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ნაზირა კაკულია, ეკონომიკური რყევების თეორიები ეკონომიკური კრიზისის ასპექტით, „ეკონომიკა და ბიზნესი“, იანვარი-თებერვალი, თბილისი, 2012.
2. C.W.J Granger, Mark W. Watson, *Time series and spectral method in econometrics*;
3. David J. Doorn, *Consequences of Hodrick-Prescott Filtering for Parameter Estimation in a Structural Model of Inventory Behavior*, 2001.
4. Harald Hagemann, Muriel Dal-Pont Legrand, *Business Cycles in Juglar and Schumpeter*.
5. Joseph A. Schumpeter, *Business Cycles. A Theoretical, Historical and Statistical Analysis of the Capitalist Process*, 1939.
6. Lisa Sella, *Old and new spectral techniques for economic time series*, May, 2008.
7. Philippe Masset, *Analysis of Financial Time-Series using Fourier and Wavelet Methods*, October 2008.
8. А.Ю. Ситникова, *Метод спектрального анализа для выявления циклов экономической конъюнктуры*, Вестник Самарского государственного экономического университета, 2009.
9. Канторович Г.Г., *Анализ временных рядов*, Экономический журнал ВШЭ. №1, 2002.
10. Л. Е. Гринин, А. В. Коротаев. "Взаимосвязь длинных и среднесрочных циклов (кондратьевских волн и жюгляровских циклов)". 2014.

ECONOMIC CYCLES IN GEORGIAN ECONOMY

Annotation

On the current stage of world economic development periodic macroeconomic fluctuations and crises are becoming increasingly important and amplitudinous issues. The problem of economic cycles and crises has been researched since 19th century by leading economists (Schumpeter, Marx, Keynes and others). Nowadays this issue is thoroughly studied in western economies, whereas in Georgia the challenge of cyclical economic development is relatively new. The goal of this survey is to discover different cycles in economy of Georgia, as well as make corresponding deductions about the future economic development of our country.

ციკლური თეორიული

ეკონომიკური განვითარების ზოგადი ტენდენციები

ეკონომიკური განვითარება შეიძლება განვიხილოთ როგორც მრავალმხრივი პროცესი, რომელიც იწვევს რადიკალურ ცვლილებებს საზოგადოებრივ ინსტიტუტებში, სოციალურ სტრუქტურაში, ადამიანთა ქცევებში; ეკონომიკური ზრდის დაჩქარებას, უთანასწორობის შემცირებას, დასაქმების ამაღლებას. განვითარებულ ქვეყნებში ეკონომიკური განვითარების არსია ქვეყნის ეკონომიკური ცხოვრების ყველა ასპექტის მოდერნიზაცია, რომელშიც იგულისხმება: 1) ქვეყნის ეკონომიკის ფუნქციონირების მოქნილი ეკონომიკური მექანიზმის შექმნა; 2) ეკონომიკური და სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარება; 3) ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია; 4) ურბანიზაცია; 5) მოსახლეობის კულტურული და საგანმანათლებლო დონის ამაღლება.

ამ ამოცანების წარმატებით გადაჭრა დროის მცირე მონაკვეთში შეუძლებელია საკუთარი რესურსების ხარჯზე. ამ მხრივ უმნიშვნელოვანესია საერთაშორისო მხარდაჭერა. მაგრამ ამ მხარდაჭერას იმ შემთხვევაში შეუძლია სარგებლის მოტანა, თუ მოცემული ქვეყანა აქტიურად ქმნის თავისი განვითარების პირობებს. ამ ამოცანების გადაჭრით ქვეყნის ეკონომიკა ქმნის წარმოების გადიდების მეტ შესაძლებლობას და ამაღლებს ცხოვრების საერთო დონეს, ეკონომიკური განვითარების უმნიშვნელოვანესი ფაქტორია კაპიტალის დაგროვება. ამ ცნებაში ინვესტიციური საქონელი იგულისხმება. რაც უფრო მეტ და სრულყოფილ ტექნიკას გამოიყენებს ადამიანი, მით უფრო მეტი იქნება მისი შრომის შედეგი, ანუ შრომის მწარმოებლურობა. როცა ქვეყნის შიგნით კაპიტალის დაგროვება ეკონომიკური განვითარების დასახული მიზნის მისაღწევად არასაკმარისია, მაშინ ყურადღება გარედან მიღებულ დახმარებაზე გადაიტანება. წარმოშობის მიხედვით ის შეიძლება იყოს როგორც კერძო, ისე სახელმწიფოებრივი. ეს კაპიტალი ძირითადად ინფრასტრუქტურის (ჯანდაცვის, განათლების, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის) განსავითარებლად გამოიყენება. უცხოეთიდან მიღებული სუბსიდიები და სესხები ქვეყნის შიგნით კაპიტალის დაგროვებას განაპირობებს და მან „მოჯადოებული წრიდან“ გამოსვლაში შეიძლება გადამწყვეტი როლი შეასრულოს. უცხოეთიდან მიღებული დახმარება შეიძლება იყოს პირდაპირი და არაპირდაპირი. ცალკეული სახელმწიფოებისაგან მიღებული დახმარება (სუბსიდიები და სესხები) პირდაპირია, ხოლო როდესაც ეს საერთაშორისო ორგანიზაციების მეშვეობით ხდება, დახმარება არაპირდაპირია. „მესამე სამყაროს“ ქვეყნები დახმარებას იღებენ კერძო კაპიტალის ფორმითაც. საქართველო იღებს მნიშვნელოვან ფინანსურ დახმარებას როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი ფორმით. უცხოური ინვესტიციები ეროვნული ეკონომიკის ზრდის ერთ-ერთი წყაროა. მიუხედავად იმისა, რომ უცხოური კაპიტალით შექმნილ საწარმოთა მოგების ნაწილი გადის საზღვარგარეთ, უნდა აღინიშნოს, რომ დაფინანსების საზღვარგარეთული წყაროები ხელს უწყობენ ქვეყნის საწარმოო პოტენციალის გადიდებას, შრომის მწარმოებლურობისა და ეკონომიკური ზრდის ტემპების ამაღლებას. უცხოური ინვესტიციები შესაძლებლობას აძლევს განვითარებულ ქვეყნებს, აითვისონ მრეწველურად განვითარებულ ქვეყნებში შემუშავებული და გამოყენებული ყველაზე მოწინავე ტექნოლოგიები. ამ მიზეზით განუვითარებელი ქვეყნების მთავრობათა ეკონომიკური სექტორის ხელმძღვანელები აქტიურად უჭერენ მხარს უცხოური ინვესტიციების მოზიდვის პოლიტიკას.

საბჭოთა კავშირის რღვევის შემდეგ პოსტკომუნისტური ქვეყნები ძალიან რთულ და არახელსაყრელ სივრცეში აღმოჩნდნენ. აღმინისტრაციულ-მბრძანებლური ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა მეტად მძიმე პროცესი აღმოჩნდა. მათ წილად ხვდათ მოშლილი ეკონომიკა, დეფიციტური ბიუჯეტი, მაღალი ინფლაცია, საწარმოო რესურსების დეფიციტი, უმუშევრობის ზრდა და სხვა ნეგატიური მოვლენები. პოსტკომუნისტურ სივრცეში მყოფი ქვეყნებიდან არც საქართველო იყო გამონაკლისი. საბჭოთა კავშირის მოშლამ საქართველოს ეკონომიკას დიდი დიდი დაასვა. მოიშალა ეკონომიკური ურთიერთობები, დიდი იყო ბიუჯეტის დეფიციტი, ადგილი ჰქონდა ფასების სწრაფ ზრდას. ამას ემატებოდა ის ფაქტიც, რომ სამანეთო ზონის მოშლის შემდეგ საქართველო იძულებული იყო, შემოეღო ფულის ნიშნები – კუპონები, რამაც სწრაფი ტემპით იწყო გაუფასურება და საქართველო ჰიპერინფლაციის საშიშროების წინაშე აღმოჩნდა. არსებული მდგომარეობიდან

გამოსვლა ხელისუფლებამ საკუთარი ეროვნული ვალუტის შემოდებით მოახერხა. 1995 წელს მიმოქცევაში შემოვიდა ეროვნული ვალუტა - ლარი, რამაც ინფლაციური პროცესები შეანელა, მაგრამ ქვეყანაში მაინც ბევრი პრობლემა რჩებოდა, რომელიც გადაწყვეტას საჭიროებდა, ვინაიდან ქვეყანაში წარმოების დონე დაბალი იყო და ეროვნული ვალუტის გამყარება ვერ ხერხდებოდა სამამულო წარმოების პროდუქციით, საჭირო გახდა ეროვნული ვალუტის სხვა ხერხებით გამყარება, კერძოდ ლარის მიბმა დოლარზე. ამგვარად დოლარი აღმოჩნდა ლარის ხერხემალი.

საქართველომ, როგორც პოსტკომუნისტურმა ქვეყანამ, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის კვალდაკვალ მეტად რთული და საინტერესო გზა გაიარა. საბაზრო ეკონომიკა – ეს სხვა არაფერია, თუ არა საბაზრო სტრატეგიით და საბაზრო მექანიზმით მართული ეკონომიკა. იგი არავითარ შემთხვევაში არ არის უმართვადობით თავაშვებული ეკონომიკა, რომელიც ყველას და ყველაფერს გადათელავს. ამიტომ „თავისუფალი“ საბაზრო ეკონომიკა არ არის უმართვადი, არამედ იგი თავისუფალია მართვის ადმინისტრირებით-მბრძანებლობითი უხეში, მოუქნელი მექანიზმისაგან და მმართველობითი ბიუროკრატიზმისაგან. იგი არაა თავისუფალი მმართველობითი რაციონალიზმისა და სიტუაციური მართვისაგან (მმართველობითი სტრატეგიისაგან), რომელსაც მეწარმე უნარიანად უნდა იყენებდეს გადაწყვეტილებათა მიღების და მართვის დამოუკიდებლად განხორციელების პროცესში. საბაზრო ეკონომიკის პირობებში ეკონომიკა რეგულირდება საბაზრო კანონების შესაბამისად, სახელმწიფო კი რეგულატორის ფუნქციას ასრულებს. ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევა ობიექტური აუცილებლობაა და არა ვინმეს ნება-სურვილი. მაგრამ ბუნებრივად ჩნდება კითხვა, თუ რა ზომით და რა ფარგლებში უნდა ჩაერიოს სახელმწიფო საბაზრო ეკონომიკაში. ამ მხრივ თანაბრად საზიანოა ორი უკიდურესობა: 1) ეკონომიკაში ჩარევის ზომის გადამეტება, „ცხვირის ჩაყოფა“ ისეთ სფეროებში, რომლებსაც წარმატებით არეგულირებს თვითონ საბაზრო მექანიზმი; 2) მხოლოდ საბაზრო მექანიზმის იმედზე ყოფნა იმ სფეროებში, სადაც სახელმწიფოს ჩარევა აუცილებელია, სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი ფუნქცია კონკურენციის დაცვაა. კონკურენცია „უხილავი ხელი“, რომელიც არეგულირებს საბაზრო ეკონომიკას, მონოპოლიისაგან არ არის დაცული. დრამა იმაშია, რომ კონკურენცია თვითონ წარმოშობს თავის ანტიპოდს – მონოპოლიას, „პირმოს“, რომელსაც შეუძლია გაანადგუროს „მშობელი“, თუ სახელმწიფო არ დაეხმარა, მონოპოლისტი თვითონ კარნახობს ფასს, რაც საშუალებას აძლევს, მაღალი მოგება მიიღოს არა ტექნოლოგიის სრულყოფით, არამედ იოლი გზით – ფასის მომატებით. კონკურენციის დაცვის მეთოდია ანტიმონოპოლიური ღონისძიებები და კანონმდებლობა. ისეთი კანონები, რომლებიც ან საერთოდ კრძალავს მონოპოლიების არსებობას (ზოგიერთ დარგში), ან ზღუდავს მონოპოლიების ისეთ საქმიანობას, რომელიც ზიანს აყენებს კონკურენციას და პროგრესს. ქვეყნისთვის განმსაზღვრელი მნიშვნელობა აქვს პოლიტიკური დამოუკიდებლობის, დემოკრატიზაციის, საბაზრო ეკონომიკის თანდათანობით სრულყოფის პროცესს. ცხოვრების დონის, შემოსავლების მიხედვით საქართველო ჯერჯერობით ღარიბი ქვეყნების ჯგუფშია, მაგრამ განათლების დონით, ანუ ადამიანისეული კაპიტალით, იგი საშუალოდ განვითარებული ინდუსტრიული ქვეყნის ჯგუფს განეკუთვნება. ქვეყნის ამოცანაა, თუ როგორ გამოიყენებს იგი არსებულ პოტენციალს. აღსანიშნავია რომ, ჩვენი მოსახლეობის გარკვეული ნაწილი ცხოვრობს და მოღვაწეობს საზღვარგარეთ. საქართველო დიდი ისტორიისა და კულტურის ქვეყანაა. მიუხედავად იმისა, რომ მცირერიცხოვანი ერი ვართ, უამრავი ნიჭიერი და ინტელექტუალი ადამიანი გვყავდა და გვყავს. ჩვენი ვალია ისეთი გარემოს შექმნა, რომ ჩვენი ინტელექტუალური პოტენციალი მაქსიმალურად გამოვიყენოთ და ე.წ. „ტვინების გადინება“ შევანელოთ.

დღეს ეკონომიკური საკითხების განხილვა შეუძლებელია გლობალიზაციის გვერდის ავლით, გლობალურ პროცესებში ჩართულია თითქმის მთელი მსოფლიო, როგორც განვითარებული, ასევე განვითარების ქვეყნები. გლობალიზაციამ სახელმწიფოები ახალი ეკონომიკური გამოწვევების წინაშე დააყენა. როცა ვსაუბრობთ გლობალიზაციისა და ინტეგრაციის პროცესში საქართველოს მონაწილეობის შესახებ, უნდა გავითვალისწინოთ, რომ ნებისმიერ სახელმწიფოზე გლობალიზაციისა და ინტეგრაციის პროცესი ახდენს როგორც დადებით, ისე უარყოფით გავლენას. დადებითი ეფექტი, უპირველეს ყოვლისა, მდგომარეობს გასაღების ბაზრის გაფართოებაში. გლობალიზაციისა და ინტეგრაციის პროცესი ჩვენს ქვეყანას აძლევს დიდ შესაძლებლობებს, გააფართოვოს შიდა და გარე ბაზარი ორმხრივი და მრავალმხრივი შეთანხმებების გამოყენებით. ბაზრის გაფართოება კი გადამწყვეტ როლს თამაშობს ინვესტიციების მოცულობის ზრდაში. ეს მოიხიდავს უცხოელ ინვესტორებს, რომლებიც ჩვენს ქვეყანაში დააბანდებენ და შემოიტანენ ახალ ტექნოლოგიებს. საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობიდან გამომდინარე, არ შეიძლება არ იქნეს გამოყენებული ქვეყნის მსოფლიო მნიშვნელობის გეოპოლიტიკური მდებარეობის რესურსები. ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო დერეფანი ის ძირითადი სატრანსპორტო არტერიებია, რომლებითაც საქართველო უკავშირდება შავი ზღვისპირეთის ნავსადგურებს, ჩრდილოეთ კავკასიას, აზერბაიჯანს, მთელ მსოფლიოს დასავლეთით, ჩრდილოეთით და სამხრეთით. ეს სატრანსპორტო დერეფანი უდიდეს პერსპექტივებს უსახავს საქართველოს.

შეიძლება ითქვას, რომ ეკონომიკური თეორიის სკოლები, მიმართულებები და მიმდინარეობები ერთმანეთისაგან უმთავრესად ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის ხარისხით განსხვავდებიან. ნებისმიერი სახელმწიფოს წინაშე, რომელიც საბაზრო ეკონომიკის გზაზე იწყებს სიარულს,

აუცილებლად დადგება ეკონომიკური მოდელის არჩევის საკითხი. უკვე ორ ათეულ წელზე მეტია, რაც რთული ეკონომიკური და სოციალური პირობების მიუხედავად, საქართველო მაინც ლიბერალური ეკონომიკის მშენებლობის გზას ადგას. სახელმწიფოს სურვილი, უფრო მეტად ჩაერიოს ეკონომიკაში, უფრო გარდამავალი პერიოდის ავადმყოფობაა. ყველა თვითრეგულირებადი ეკონომიკური სისტემა, შეიძლება ითქვას, შერეული მოდელია, სადაც სახელმწიფო და საბაზრო სისტემები თანაფუნქციონირებენ და სადაც მთავრობა საბაზრო სისტემის ფუნქციონირების ხელშეწყობის, სამართლებრივი ბაზის უზრუნველყოფის, თავისუფალი კონკურენციის დაცვის, დასაქმებისა და ინფლაციის კონტროლის მიმართულებით მნიშვნელოვან როლს ასრულებს ეკონომიკური სისტემის ფუნქციონირებაში. სოციალური კუთხით საქართველოს მთავრობამ მნიშვნელოვანი პროექტები განახორციელა. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია საყოველთაო უფასო ჯანდაცვის პროექტი. სასოფლო-სამეურნეო პროექტები, უფასო სახელმძღვანელოების გამოშვება. თანაინვესტირების ფონდის შექმნა. დემოკრატიული განვითარება, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა, მსოფლიოს ახალი წესრიგის ჩამოყალიბება საქართველოს განვითარებისათვის სრულიად ახალ შესაძლებლობებს წარმოშობს. ქვეყანას აქვს დიდი ინტელექტუალური და ყველა სხვა რესურსი იმისთვის, რომ ახლო მომავალში დაძლიოს ჩამორჩენა და მაღალგანვითარებული ქვეყნების რიგებს შეუერთდეს. ჩვენი ქვეყნის უახლოესი და შორეული მომავალი, უწინარეს ყოვლისა, იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ როგორი წარმატებული იქნება ქვეყანაში მიმდინარე რეფორმები, როგორ შეძლებს ქვეყანა კონკურენტული უპირატესობის დაუფლებას მსოფლიო მეურნეობის სისტემაში და მასში ეფექტიან ინტეგრაციას.

გლობალიზაციის პირობებში ეროვნული ეკონომიკის აღორძინება ქვეყნის დამოუკიდებლობის შენარჩუნების მთავარი ატრიბუტია. საქართველომ „ღია ეკონომიკის“ პირობებში უნდა მოძებნოს ის „ოქროს შუალედი“, რომელიც მას არც გლობალიზაციის ფერხულიდან ამოაგდებს და თავის ეროვნულ თვითმყოფადობას შეუნარჩუნებს.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ის, რომ შემუშავდა და ამოქმედდა „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ კანონი“, რაც ქვეყნისთვის მეტად სასარგებლო გლობალური პროექტია. კანონის ამოქმედებიდან (2016 წლის 1 იანვრიდან) დაბადებულ პირველ და მეორე ბავშვზე 1 წლის განმავლობაში ყოველთვიურად გაიცემა 100 ლარი. მესამე და შემდგომ ბავშვზე 2 წლის განმავლობაში – 200 ლარი. მასწავლებლებს დაუწესდათ სახელფასო დანამატი 25%-ის ოდენობით. დაწესდა ყოველთვიური დანამატი ექიმებისთვის - პენსიის ორმაგი ოდენობით, ექთნებისთვის - პენსიის ოდენობით. ანაზღაურდება ელექტროენერჯის ხარჯების 50%. მეწარმე ფიზიკური პირები და საწარმოები თავისუფლდებიან საშემოსავლო, ქონებისა და მოგების გადასახადისგან 10 წლის ვადით; მიწის ნაკვეთი თავისუფლდება ქონების გადასახადისგან. მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირები, რომელთა შემოსავალი არ აღემატება 6000 ლარს, საშემოსავლო გადასახადისგან თავისუფლდებიან. ფონდ „ქართუს“ დაფინანსებით დაიწყო საყოველთაო ინტერნეტიზაციის პროექტი. მაღალსიჩქარიანი და იაფი ინტერნეტი ხელმისაწვდომი იქნება ყველა რეგიონში. დუშეთში დასრულდა ჩარგლის ხიდის მშენებლობა (სამუშაოების ღირებულება 56 999 ლარს შეადგენს). მოასფალტდა სოფლებში მიმავალი გზები. განხორციელდა დუშეთის ბაზრისა და მუსიკალური სკოლის რეაბილიტაცია. აშენდა სკვერები და საჭიდაო მოედანი. თიანეთში გაზიციფირდა 11 სოფელი. განახლდა და კეთილმოეწყო ვაჟა-ფშაველას სახელობის კულტურისა და დასვენების პარკი. დასრულდა მირზა გელოვანის მემორიალური სახლ-მუზეუმის რეაბილიტაცია, გაიხსნა სახანძრო-სამაშველო სამსახურის სერვისცენტრი სოფ. ხევსურთსოფელში. მოხდა სანიადვრე სისტემის რეაბილიტაცია. რეაბილიტირდა თიანეთისა და საგარეჯოს მუნიციპალიტეტების დამაკავშირებელი გზა. აშენდა 300 ადგილიანი საკონცერტო დარბაზი და 500 ადგილიანი საჭიდაო არენა. გაიხსნა 2 საბავშვო ბაღი სოფ. არტანსა და სოფ. დელუზა უსებში. სოფ. ზარიძეების საჯარო სკოლას ჩაუტარდა სრული რეაბილიტაცია. ყაზბეგში მიმდინარეობს სოფ. ყანობის გზის სარეაბილიტაციო გამაგრებითი სამუშაოები, ამ პროექტის ღირებულება 57 660 ლარს შეადგენს. დასრულდა სოფ. ხურთისის გზის მშენებლობა (ღირებულება 14165 ლარი), მიმდინარეობს სოფ. სიონში სასამელო წყლის სისტემის რეაბილიტაცია და შიდა ქსელის რეაბილიტაცია (ღირებულება 191 000 ლარი). მოგესხნებათ, ქალაქი მცხეთა საქართველოს ისტორიული და კულტურული საგანძურია. იგი „იუნესკოს“ ნუსხაშია შეტანილი. მის მოვლა-პატრონობას უდიდესი როლი ენიჭება ჩვენი ერის სახის შენარჩუნებისთვის. მცხეთაშია ჩვენი სახელმწიფოებრიობისა და სარწმუნოების აკვანი. 2015 წელს მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფ. მუხრანს, კომლთა რაოდენობის მიხედვით, სხვადასხვა სამუშაოების ჩასატარებლად „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში 110 416 ლარი გამოეყო. აგრეთვე დაგეგმილია სოფ. მუხრანში სასამელო წყლის სისტემის დაქსელვითი სამუშაოების განხორციელება, რომლისთვისაც რეგიონული განვითარების ფონდიდან 448 074 ლარი გამოიყო. მცხეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოფლის მეურნეობის სამინისტრო და საქართველოს გაერთიანებული სამედიცინო სისტემების კომპანია 2014 წლიდან ლამიმისაქციელის სარწყავი სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოებს ახორციელებს. ჩატარებული სარეაბილიტაციო სამუშაოების შედეგად მცხეთის მუნიციპალიტეტის 8 სოფლის წილკნის, ახალუბნის, წეროვანის, ერედის, ძაღისის, მუხრანის, ქანდის, მისაქციელის სასოფლო-სამეურნეო

მიწის ფართობი იქნება სარწყავი წყლით უზრუნველყოფილი. შედეგად 2 200 ჰა სასოფლო-სამეურნეო სავარგული მოიწვევება, აღნიშნული ფართობით 2 750 კომლი ისარგებლებს. აღნიშნული სამუშაოები, რომელთა პროექტის ღირებულებაც 3 224 999 ლარია მიმდინარე წლის გაზაფხულზე დასრულდება. სოფელ ძეგვში აქტიურად მიმდინარეობს გზების აღდგენითი სამუშაოები. გარემონტდა სპორტული დარბაზი, ბიბლიოთეკა, დაგეგმილია ძეგვის ბოგირის მოწყობა მდინარე ხეკორძულაზე. აგურის ქარხნის დასახლებაში სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსის მშენებლობა მიმდინარეობს, რაც 2017 წელს დასრულდება. მისი ღირებულება 4 723 572 ლარი ჯდება. აგურის ქარხნის დასახლებაში აგრეთვე მიმდინარეობს კულტურის სახლის მშენებლობა. ქ. მცხეთაში გზის ახალი საფარი ეტაპობრივად 5 ქუჩაზე დაიგო. მცხეთის მერიამ გაჭირვებულ ოჯახებს უსასყიდლოდ გადასცა სახლის გადასახური მასალა, ხოლო სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის გადახურვის სამუშაოებიც თვითონ განახორციელა. აღნიშნულის ღირებულებამ 49 500 ლარი შეადგინა. მიუხედავად იმისა, რომ მცხეთის რეგიონს ჩვენთვის დიდი საკრალური დატვირთვა გააჩნია, ეკონომიკური თვალსაზრისით მას დიდი ტურისტული დანიშნულება აქვს. იშვიათია ისეთი უცხოელი, რომელიც საქართველოს ესტუმრება და მცხეთას არ დაათვალიერებს.

მთაში 25 მილიონიანი პროექტია დაგეგმილი რომა-არხოტის გზის მშენებლობისთვის, რომელიც გაზრდის შატილისა და ხევსურეთის გადარჩენის შესაძლებლობას. ხორციელდება ისეთი ინფრასტრუქტურული პროექტები, როგორცაა ქობულეთის შემოვლითი გზა, ზესტაფონი-ქუთაისის ჩქაროსნული გზა, სათხილამურო კურორტი თეთნულდი, მიმდინარეობს წყალტუბოს რეაბილიტაცია; ქუთაისში, ზუგდიდსა და გორში 4500 დენილი ოჯახისთვის შენდება 59 კორპუსი; საერთო საცხოვრებელი სტუდენტებისათვის ახალქალაქში, ზუგდიდსა და ქუთაისში, საავადმყოფო დედოფლისწყაროში; თბილისში 320 ადგილიანი თანამედროვე სტუდენტური საერთო საცხოვრებელი. მეტროსადგური „უნივერსიტეტი“. ინოვაციურ მიღწევად უნდა ჩაითვალოს, რომ 2015 წლიდან ჩვენი ქვეყანა მთლიანად გადავიდა ციფრულ მაუწყებლობაზე, სოციალურად დაუცველებს კი სახელმწიფომ უსასყიდლოდ გადასცა მაუწყებლობისთვის საჭირო ხელსაწყო (სეთოთფობქსი). ამ ნაბიჯმა ხელი შეუწყო ახალი მაუწყებლობის ბაზარზე გამოჩენას, მედიასივრცის მეტი თავისუფლების უზრუნველყოფასა და ახალი ინვესტიციების მოზიდვას. ცალკე აღნიშვნის ღირსია ის, რომ ჯანდაცვის სფეროში ამოქმედდა ჩი პეპატის ელიმინაციის პროგრამა. ჩი პეპატით დაავადებულნი უფასოდ მკურნალობენ უახლესი თაობის ძვირადღირებული მედიკამენტებით. არსებული მონაცემებით, 200 000-მდე ადამიანი საჭიროებს მკურნალობას. პირველ ეტაპზე პროგრამაში ჩაერთო 6000 პაციენტი. პაციენტთა 90%-ზე მეტმა დაამარცხა აღნიშნული დაავადება. ქვეყნის პრიორიტეტად რჩება სოფლის მეურნეობის ხელშეწყობა. მცირემწიან ფერმერთა ხელშეწყობის პროექტით გლეხებმა 306 მილიონი ლარის დახმარება მიიღეს. დამუშავდა 600 000 ჰექტარზე მეტი მიწა. სოფლის მეურნეობის მიმართულებით გაფართოვდა და გადაიარაღდა 665 საწარმო, სადაც დასაქმებულია 10 000-მდე ადამიანი. ამოქმედდა აგროდაზღვევის პროგრამა. დამონტაჟდა 80 ერთეული სეტყვის საწინააღმდეგო სარაკეტო გამშვები დანადგარი; შემუშავდა სოფლის მეურნეობის განვითარების ახალი პროგრამები: თბილისის წარმოების განვითარება, მეფუტკრეობის მხარდაჭერა, ჩაის პლანტაციების რეაბილიტაცია, ვაშლისა და მანდარინის რეალიზაციის ხელშეწყობა.

ქვეყნის მომავალი წინსვლისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ წარმატებით შესრულდა საქართველო-ევროკავშირის სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმა, რის შედეგადაც საქართველოს მოქალაქეები ევროპაში უვიზოდ გადაადგილებას შეძლებენ. წარმატებული რეფორმების შედეგად ყოველწლიურად იზრდება ევროკავშირის დახმარება, უმსხვილესი ინვესტირების მიერ განხორციელდა 2 მილიარდი აშშ დოლარის ინვესტიცია. ასევე მსხვილ ინვესტიციას ახორციელებს საქართველოს თანაინვესტირების ფონდი, როგორცაა „მტკვარი ჰესი“; „35 ჰა სასათბურე მეურნეობა“; „გაღერეა თბილისი“; „ონის ჰესების კასკადი“; „პანორამა თბილისი“; „ცხენისწყლის ჰესების კასკადი“.

ქვეყანა წარმატებით ახორციელებს სოციალურ და ეკონომიკურ პროექტებს. ქვეყნის ეკონომიკური წინსვლისთვის ისევე პრიორიტეტულია ტურიზმის განვითარება და ხელშეწყობა. 2012 წლის ოქტომბრიდან 2015 წლის ნოემბრის ჩათვლით, საქართველოს ეწვია 17 მილიონ 500 ათასზე მეტი ვიზიტორი. აღსანიშნავია ისიც, რომ 2013-2015 წლებში გაიხსნა 120-ზე მეტი სხვადასხვა კატეგორიის სასტუმრო. გაიხსნა ახალი სათხილამურო კურორტი გოღერძი, გუდაურსა და ბაკურიანში განხორციელდა ხელოვნური გათოვლიანების პროექტი. ამის შედეგად სათხილამურო სეზონი 5 თვემდე გაიზარდა. ტურიზმის წინსვლა და განვითარება წარმოუდგენელია სათანადო ინფრასტრუქტურის გარეშე. ამიტომაც უდიდესი ყურადღება ექცევა და მომავალშიც უნდა მიექცეს ამ სფეროს. კიდევ უფრო უნდა განვითარდეს და აღორძინდეს, რათა ქვეყანამ მნიშვნელოვანი ეკონომიკური სარგებელი ნახოს. 2012 წლიდან დღემდე ქვეყანაში 3 მილიარდ 140 ათასი ლარის ინფრასტრუქტურული პროექტები განხორციელდა.

სწორი ეკონომიკური პოლიტიკის დამსახურებით 2012 წლის ოქტომბრიდან საქართველოში განხორციელდა 3,5 მილიარდი დოლარის პირდაპირი უცხოური ინვესტიცია. ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებით კი საქართველოსთვის გაიხსნა ევროპის 28 ქვეყნის 500 მილიონიანი

ბაზარი. გაიზარდა ევროკავშირის წილი საგარეო ვაჭრობაში. აღსანიშნავია, რომ დაიწყო მოლაპარაკება თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებაზე ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციასთან. საქართველო თავისი გეოგრაფიული მდებარეობით ევროპისა და აზიის დამაკავშირებელი ეკონომიკური ხილია, რაც უდიდეს პერსპექტივებს უშლის ქვეყნის ეკონომიკას საერთაშორისო თვალსაზრისით. ჩინეთთან გაფორმდა მემორანდუმში „აბრეშუმის გზის ეკონომიკური სარტყლის განვითარებისთვის თანამშრომლობის შესახებ“. აბრეშუმის გზის განვითარების მიზნით ხორციელდება ისეთი მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტები, როგორცაა: ბაქო-თბილისი-ყარსის შემაერთებელი ახალი სარკინიგზო მაგისტრალი) ანაკლიის ნავსადგური; ჩქაროსნული ავტომაგისტრალის მშენებლობა. საქართველო შეუერთდა „ტრანსკასპიურ საერთაშორისო მარშრუტს“ ჩინეთთან, ყაზახეთთან, აზერბაიჯანსა და თურქეთთან ერთად. ჩინეთიდან საქართველოს გავლით პირველი სარკინიგზო გადაზიდვა უკვე განხორციელდა. „აბრეშუმის გზის“ პროექტით საქართველო უდავოდ იბრუნებს თავის ისტორიულ როლს და ხდება ევროპისა და აზიის დამაკავშირებელი ცენტრი.

ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა სახელმწიფოსთვის საზრუნავად რჩება. აშენდა და აღიჭურვა 82 სოფლის ამბულატორია ყველა მუნიციპალიტეტში, მათ შორის 43 სოფელში პირველად. გაიზარდა ყველა კატეგორიის პენსია. ასაკით პენსიონერთათვის პენსია გაიზარდა 160 ლარამდე, ხოლო 2016 წლის 1 ივლისიდან პენსია გახდება 180 ლარი. აგრეთვე მიმდინარეობს მუშაობა საპენსიო რეფორმაზე.

განვითარებად ქვეყნებში ეკონომიკური მდგომარეობის აღსაწერად უფრო ხშირად გამოიყენება „ეკონომიკური განვითარების“ ცნება, რაც იმით აიხსნება, რომ განვითარებადი ქვეყნები ეკონომიკური ზრდის პროცესში სულ სხვა პრობლემების გადაჭრას ცდილობენ, ვიდრე ინდუსტრიულად განვითარებული ქვეყნები. განვითარებაში იგულისხმება მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლება, რომლის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ ეკონომიკური ზრდის საფუძველზე. საქართველოს ეკონომიკაში არსებული ნაკლოვანებების აღმოფხვრა და სწორ გზაზე გასვლა ვერ მოხერხდება თვითდინებით. მთავარი ყურადღება ეკონომიკურ განვითარებაზე, ანუ ეკონომიკისთვის სრულყოფაზე უნდა იქნეს გადატანილი. ეს კი განხორციელდა ქვეყანაში ახალი, ანუ ინოვაციური ეკონომიკის მშენებლობის გზით. პოსტკომუნისტური საქართველო, მიუხედავად თავისი მძიმე ეკონომიკური მემკვიდრეობისა, ცდილობს ღირსეული ადგილი დაიკავოს მსოფლიო გლობალურ სივრცეში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. თეთრაული ც. ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების მექანიზმი. ინსტიტუტის დაარსებიდან 70-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული. ეკონომიკისა და ეკონომიკური მეცნიერების განვითარების აქტუალური პრობლემები. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა. თბილისი. 2014.
2. ა. თეთრაული. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლისა და ბიზნესის განვითარების კანონზომიერებანი საქართველოში. ნაწ. I. თბილისი. მაცნე. 1992.
3. აბესაძე რ. ინოვაციები – ეკონომიკური განვითარების მთავარი ფაქტორი. ინსტიტუტის დაარსებიდან 70-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული. ეკონომიკისა და ეკონომიკური მეცნიერების განვითარების აქტუალური პრობლემები. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა. თბილისი. 2014.
4. პაპავა გ. საბაზრო ეკონომიკაზე საქართველოს გადასვლის საფუძველები. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტთან არსებული ცენტრი „ეკონომიკური განათლება“. ბიზნესისა და მარკეტინგის უმაღლესი სკოლა „ენა“. თბილისი. 1991.
5. პაპავა ვ. არატრადიციული ეკონომიკისი. თბილისი. 2014.

Tsitsino Tetrauli

GENERAL TENDENCIES OF ECONOMIC DEVELOPMENT Annotation

The article analyzes the essence and tendencies of economic development on the example of postcommunist country. Are discussed economic reforms done by the state to improve country development.

მაკროეკონომიკური სტაბილურობა და ინსტიტუტები

ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის პოსტკომუნისტური ქვეყნები (CEE) და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა (CIS), საშუალებას იძლევა ემპირიულად შესწავლილ იქნას ინსტიტუტების ზემოქმედება ეკონომიკური ზრდაზე.

ეკონომიკური ზრდის კვლევების უმეტესობა, რომელიც მოიცავს არა ტრანსფორმაციულ ეკონომიკებს, ადასტურებს დაგროვების დადებით როლს. ეს ნიშნავს იმას, რომ კაპიტალური ინვესტიციების უფრო მაღალი კოეფიციენტი, ადამიანური კაპიტალის ინვესტირების უფრო მაღალი დონეები და მოსახლეობის ზრდის უფრო დაბალი ტემპები დაკავშირებულია უფრო მაღალ ეკონომიკურ ზრდასთან (Barro, 1991; Mankiwetal, 1992; Knightetal, 1993; Islam, 1995; Casellietal, 1996; Sala-i-Martinetal, 2004; andSala-i-Martinetal, 2004). ამის საპირისპიროდ, რეფორმების საწყის ეტაპზე, კვლევებმა ტრანსფორმაციულ პერიოდზე აღმოაჩინა ამ „სტანდარტული, კლასიკური“ ცვლადების უმნიშვნელობა. შესაბამისად, კვლევებში ტრანსფორმაციულ ეკონომიკაზე ეკონომიკური ზრდის ტოლობიდან „გამოტოვებულია“ სტანდარტული ცვლადები „ტრანსფორმაციის კონკრეტული“ ცვლადების სპექტრის სასარგებლოდ, რომლებიც ეხება ლიბერალიზაციასა და სტაბილიზაციას. ((Fischeretal, 1996; Havrylyshynetal, 1998; Bergetal, 1999; Fischerand Sahay, 2000; Campos, 2001). ტრანსფორმაციის „დასაწყისიდან“ გარკვეული დროის გავლის შემდეგ ჩვენ უკვე შეგვიძლია განვავრცოთ „ტრანსფორმაციული“ მიდგომა ტრადიციული ნეოკლასიკური ფაქტორის დაგროვებითი ცვლადების ხელახლა თავმოყრით.

ამ მიდგომის მიხედვით აშკარაა მმართველობის ინსტიტუტების მნიშვნელოვანი ზეგავლენა ეკონომიკური ზრდაზე. მაკროეკონომიკური სტაბილურობა მნიშვნელოვანია ეკონომიკური ზრდისთვის, მაგრამ ინსტიტუციური გარემოს ხარისხი არის ის, რაც უზრუნველყოფს მაკროეკონომიკური სტაბილურობის ხარისხს. ასევე მნიშვნელოვანია, ისიც, რომ საშუალოვადიან პერიოდში ადამიანური კაპიტალი (ხელახლა) ჩნდება, როგორც ეკონომიკური ზრდის მნიშვნელოვანი ფაქტორი.

მაკროეკონომიკური სტაბილურობა უკვე დიდი ხანია განსაზღვრულია, როგორც ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთი მთავარი დეტერმინანტი (Lucas, 1973; Easterly and Rebelo, 1993; Fischer, 1993; Aslundetal, 1996; Barro, 1995;) ამ ლიტერატურის ძირითად ნაწილში, მაკროეკონომიკური სტაბილურობისთვის შესაბამისი ემპირიული ცვლადი არის ინფლაცია, რომელსაც როგორც წესი, აქვს უარყოფითი და მნიშვნელოვანი გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე.

ჩვენს ერთ-ერთ მთავარ არგუმენტს წარმოადგენს ის, რომ როდესაც მაკროეკონომიკური გარემო გადამწყვეტია ეკონომიკური ზრდისთვის, როგორც ეს ტრანსფორმაციული ქვეყნებისთვისაა – ინფლაციის, როგორც მისი „საყრდენის“ გამოყენება მნიშვნელოვანი დასკვნების გაკეთების საშუალებას მოგვცემს. როგორც ცნობილია, ეკონომიკური ზრდისთვის ინფლაცია, ენდოგენური ცვლადია.

არის მოსაზრება იმის შესახებ, რომ თუ ინფლაცია არის პოლიტიკის არჩევანის ნაკრების ნაწილი, მაშინ იგი არ უნდა განიხილებოდეს, როგორც ფაქტორული ცვლადი ეკონომიკური ზრდის შეფასებებში. ცნობილი ზრდის თეორეტიკოსი როდრიკი (Rodrik (2005)) ამტკიცებს, რომ „თუ ჩვენ ვერ ვასხვავებთ პოლიტიკის ძალისხმევას, პოლიტიკის შედეგებისგან, როცა ვზომავთ პოტენციური ზრდის დეტერმინანტებს, საეჭვოა, რომ ვისწავლოთ ბევრი ჩვენივე შეფასების ძალისხმევიდან“. კამპოსი და პოვარტი (CamposandHorvath 2006), პოლიტიკის საშუალებებსა და შედეგებს შორის განსხვავების საჩვენებლად დამატებით არგუმენტს იყენებენ (Loyazaand De Soto 2002 and Glaeseretal 2004).

ჩვენ ვერ განვიხილავთ თავად სტაბილიზაციას, როგორც ეგზოგენური პოლიტიკის ინსტრუმენტს (Camposand Horvath 2006; Falcettietal 2006). შესაბამისად, ინფლაცია, როგორც ეკონომიკური ზრდის გადაცემის მექანიზმი შეიძლება შეჯამდეს შემდეგი სახით: უხარისხო სამთავრობო ინსტიტუტები ადაბლებენ მთავრობის ეფექტიანობას, რაც თავის მხრივ, აძლიერებს ფისკალურ და მაკროეკონომიკურ არასტაბილურობას და სხვა თანაბარ პირობებში უარყოფით ზემოქმედებას ახდენს ეკონომიკურ ზრდაზე.

ჩვენ ვეთანხმებით იმ მოსაზრებას, რომ მაკროეკონომიკური სტაბილურობა მნიშვნელოვანია ეკონომიკური ზრდისთვის, და ვაძლიერებთ ამ არგუმენტს იმის აღნიშვნით, რომ პოლიტიკის ის საშუალებები, რომლებიც განსაზღვრავენ სტაბილურობას, დაკავშირებულია მმართველობის ინსტიტუტებთან.

ინსტიტუტების სხვადასხვა კატეგორიას შორის, რომელმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს მაკროეკონომიკურ სტაბილურობაზე, კაუფმანი (Kaufmann 2007)⁷³ გამოყოფს მმართველობის ექვს სიდიდეს: 1) ხმა და ანგარიშვალდებულება;⁷⁴ 2) პოლიტიკური სტაბილურობა; 3) მთავრობის ეფექტიანობა; 4) მარეგულირებლის ხარისხი; 5) კანონის უზენაესობა; და 6) კორუფცია. ჩვენ ვამტკიცებთ, რომ

⁷³ Kaufman *et al* (2007)

⁷⁴ 1) VA: ხმის მიცემის უფლება და პასუხისმგებლობა; 2) PS: პოლიტიკური სტაბილურობა; 3) GE: მმართველობის ეფექტიანობა; 4) RQ: მარეგულირებლის ხარისხი; 5) RL: კანონის უზენაესობა; 6) CC: კორუფციის კონტროლი

„მთავრობის ეფექტიანობა“ არის ინდიკატორი, რომელიც საუკეთესოდ ასახავს ძირითად მექანიზმს, რომელიც ყველაზე მჭიდროდ აკავშირებს მმართველობის ინსტიტუტებს მაკროეკონომიკურ სტაბილურობასთან.

კაუფმანი მთავრობის ეფექტიანობას განსაზღვრავს, როგორც „საჯარო და სამოქალაქო მომსახურების ხარისხს და მისი დამოკიდებულების ხარისხს პოლიტიკურ ზეწოლაზე, პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების ხარისხს, და ამგვარი პოლიტიკის მიმართ მთავრობის ვალდებულების სანდოობას.“

არსებობს საკმარისი მტკიცებულებები ინსტიტუციურ მოწყობასა და მაკროეკონომიკურ სტაბილურობას შორის ძლიერ მიზეზობრივ კავშირებზე.

ინსტიტუტების სხვადასხვა კატეგორიებს შორის, რომლებმაც შეიძლება გავლენა მოახდინონ მაკროეკონომიკურ სტაბილურობაზე, ყურადსაღებია კაუფმანისა და სხვების (2007) მმართველობის ინდიკატორები, რომელთა მნიშვნელობები მერყეობს -2.5-დან 2.5-მდე უმაღლესი მნიშვნელობებით, რომლებიც შეესაბამება უკეთესი მმართველობის შედეგებს. ეს მანევრებლები ეყრდნობიან 276 ცვლადს⁷⁵ იმისთვის, რათა გაიზომოს ინსტიტუტები ადრე სხენებული მმართველობის ექვს განზომილებაში. კაუფმანის ექვსი მმართველობის ინდიკატორი მჭიდროდაა ერთმანეთთან კორელირებული.

ტრანსფორმაციის პროცესში ეკონომიკურ ზრდაზე, ადამიანური კაპიტალის მაღალ დონეს დადებითი გავლენა აქვს, როგორც ზევით განვიხილეთ, ეს უკანასკნელი შედეგი შეესაბამება სხვა წყაროების დასკვნებს. „მმართველობის ეფექტიანობა“ მნიშვნელოვნად და უარყოფითად არის დაკავშირებული მაკროეკონომიკურ არასტაბილურობასთან (ინფლაცია). მაკროეკონომიკური სტაბილურობა მმართველობის ჯანსაღი ინსტიტუტების შედეგია.

არსებობს კიდევ ერთი ტრანსფორმაციის სპეციფიკა, რომელიც უკავშირდება ინფლაციის ეკონომიკური ზრდის დამოკიდებულებას. აღსანიშნავია, რომ ტრანსფორმაციის პროცესის დასაწყისი გამოშვების შემცირებითა და ჰიპერინფლაციით ხასიათდებოდა, თუკი ჩვენ ამ მიდგომას გავითვალისწინებთ, რომ ჰიპერინფლაციამ გამოიწვია რეცესია, შესაძლებელია მივიდეთ მცდარ დასკვნებამდე - კერძოდ, ის რომ მაკროეკონომიკური სტაბილურობა მხოლოდ ეკონომიკის აღდგენაში გამოიხატებოდა.

ჩატარებული ანალიზის საფუძველზე შესაძლებელია გაკეთდეს შემდეგი დასკვნები:

1. მაკროეკონომიკური სტაბილურობა ხელს უწყობს ეკონომიკურ ზრდას აღმოსავლეთ ევროპისა და დსთ-ს ქვეყნებში, მაგრამ ძლიერი ინსტიტუტები და კარგი მმართველობა არის აუცილებელი იმისათვის, რომ მოხდეს ამ მაკროეკონომიკური სტაბილურობის მიღწევა;

2. რადგანაც ტრანსფორმაციამ განიცადა პროგრესი, ადამიანურმა კაპიტალმა, როგორც ჩანს, დაიბრუნა მისი მნიშვნელოვნება, როგორც ეკონომიკური ზრდის წყარო.

ინფლაციით წარმოდგენილი მაკროეკონომიკური არასტაბილურობა, ეკონომიკურ ზრდაზე უარყოფითი გავლენით ხასიათდება. ინფლაცია, ტრანსფორმაციის პროცესში არსებული ეკონომიკური ზრდისთვის ნამდვილად ცუდია. თუმცა, ინფლაცია თავისთავად პოლიტიკის შედეგია, რომლის ჩართვამაც, სავარაუდოდ, უნდა შემოიტანოს თანადროულობის ტენდენცია ზრდის შეფასებებში. აქედან გამომდინარე, მოვახდენთ რა ინფლაციის გაანალიზებას კაუფმანის „მმართველობის ეფექტიანობის“ ცვლადებთან აღმოვაჩინოთ, რომ ინფლაცია განისაზღვრება ეფექტიანი მმართველობით, მიუხედავად იმისა, რომ ეს უკანასკნელი არ შეიძლება პირდაპირ იყოს დაკავშირებული ეკონომიკურ ზრდასთან. ეს იმას ნიშნავს, რომ კარგი მმართველობა მნიშვნელოვანია ეკონომიკური ზრდისთვის, მხოლოდ ირიბად მისი დაკავშირების გზით იმ სახის ინსტიტუტებთან, რომლებიც ხელს უწყობენ მაკროეკონომიკის სტაბილიზაციას.

ნაშრომში განხილული შედეგები ადამიანურ კაპიტალში ინვესტირების შესახებ განსხვავდება ტრანსფორმაციის პროცესში ზრდის შესახებ სხვა კვლევების შედეგებისგან, რომლებშიც განათლება, ზოგადად, უმნიშვნელოდ გამოიყურება. ამის ახსნა იმით არის შესაძლებელი, რომ ჩვენ ვიყენებთ უფრო გრძელ, უფრო საშუალოვადიანი დროის პერიოდებს.

ჩვენთვის ცნობილი კვლევების უმეტესობა ადამიანური კაპიტალისა და ეკონომიკური ზრდის ურთიერთკავშირის დასადგენად საწყისი განათლების მნიშვნელობას ეყრდნობა. ლაპორტე და შვაიცერი (Laporte and Schweitzer 1994) დაობენ იმის თაობაზე, რომ საწყისი განათლების უფრო მაღალი დონე უმნიშვნელოა, ან ალბათ საზიანოც კი, ეკონომიკური ზრდისთვის (საუბარია, პოსტკომუნისტური ქვეყნების განათლების სისტემაზე სოციალური მეცნიერებების კუთხით). ამის საპირისპიროდ, ჩვენს მიერ განხილულ მოდელებში ყურადღება ეთმობა სამ წლიან საშუალოებს. მდგრადი ინვესტირება განათლებაში ტრანსფორმაციის დროს სავარაუდოდ, გაცილებით უფრო დადებითად უნდა მოქმედებდეს ეკონომიკურ ზრდაზე. სავარაუდოდ: ქვეყნები, რომლებიც აღწევენ მაღალ ეკონომიკურ ზრდას ტრანსფორმაციის პროცესში, როგორც ესტონეთი, პოლანეთი, ალბანეთი, და ლატვია, გვიჩვენებენ ზრდის მნიშვნელოვან ტენდენციას საშუალო განათლების სისტემაში. მეორე მხრით, ეკონომიკური ზრდის კუთხით უფრო სუსტი ქვეყნები - ტაჯიკეთი, საქართველო, და თურქმენეთი - მუდმივად მზარდ ტენდენციას უმაღლესი განათლებისადმი მოთხოვნებში.

⁷⁵მონაცემები ეყრდნობა 31 წყაროს, რომელიც შექმნილია 25 სხვადასხვა ორგანიზაციის მიერ, მოიცავენ რა 213 ქვეყანას 1996, 1998, 2000, და ყოველწლიურად 2002-07.

ბოლოდროინდელმა ფინანსურმა კრიზისმა საგრძნობლად იმოქმედა ტრანსფორმაციულ ქვეყნებზე ეკონომიკური ზრდის შემცირების კუთხით. ამასთან გაძლიერდა ინფლაციური ზეწოლა, თუმცა, როგორც მონაცემები გვჩვენებს ქვეყნებმა საუკეთესო მმართველობის მონაცემებით, ნაკლები ზარალი განიცადეს კრიზისის დროს ინფლაციის თვალსაზრისით. თუ ჩვენი ანალიზი მართებულია, მაშინ უნდა ველოდეთ, რომ ამ ქვეყნებმა უნდა შეინარჩუნონ მაკროეკონომიკური სტაბილურობა, რათა იპოვონ ყველაზე სწორი გზა საშუალოვადიანი ზრდისკენ დასაბრუნებლად.

საბოლოოდ, ასევე აღნიშვნის ღირსია ის, რომ ემპირიულ კვლევებს ეკონომიკური ზრდის მიმართულებით უნდა მოვეკიდოთ სიფრთხილით ჰეტეროგენულობისა და ენდოგენურობის, მონაცემების შეუსაბამობის, და ცვლადების პოტენციურად ტენდენციური შერჩევის დღემდე დაუხვეწავი სისტემის გამო. ეს მონაცემები კიდევ უფრო დამახინჯებული ხდება ტრანსფორმაციული ეკონომიკებისათვის.

როგორც ფალცეტი და სხვები (Falcetti et al. 2006) ვარაუდობენ, მიუხედავად იმისა, რომ ჯერ არ გვაქვს ჩამოყალიბებული აზრი იმის შესახებ, თუ რომელი გრძელვადიანი დეტერმინანტები მოქმედებენ გარდამავალ ეკონომიკაზე, აუცილებელია განვითარებული ეკონომიკის პირობებში მოქმედი მოდელის დახვეწა და მისი შემდგომი გაუმჯობესება. რათა შესწავლელი არ დარჩეს ის გაკვეთილები, რომელსაც ეხლა იძლევა აღმოსავლეთ ევროპისა და პოსტკომუნისტური ქვეყნების გარდამავალი ეკონომიკები.

გამოყენებული ლიტერატურა

1. M. Arellano and S. Bond (1991) 'Some Tests of Specification for Panel Data: Monte Carlo Evidence and an Application to Employment Equations', Review of Economic Studies, vol.58 (2), 277-97.
2. M. Arellano and O. Bover (1995) 'Another Look at the Instrumental Variable Estimation of Error Components Models', Journal of Econometrics, vol.68 (1), 29-52.
3. R. J. Barro (1991) 'Economic Growth in a Cross-section of Countries', The Quarterly Journal of Economics, vol.106, 407-43.
4. R. J. Barro (1995) 'Inflation and Economic Growth', National Bureau of Economic Research Working Paper, no.5326.
5. R. Blundell and S. Bond (1998) 'Initial Conditions and Moment Restrictions in Dynamic Panel Data Models', Journal of Econometrics, vol.87, 115-43.
6. S. Bond (2002) 'Dynamic Panel Data Models: A Guide to Micro Data Methods and Practice', Portuguese Economic Journal, vol.2002 (1), 141-62.
7. N. Campos (2001) 'Will the Future Be Better Tomorrow? The Growth Prospects of Transition Economies Revisited', Journal of Comparative Economics, vol.29, 663-676.

Nazira Kakulia

MACROECONOMIC STABILITY AND INSTITUTIONS

Annotation

The recent financial crisis has had a significant impact on the decline in the economic growth of countries with transformation economy. Increased inflationary pressures, however, as most government data shows the country is, the less seriously affected by the crisis in terms of inflation. If our analysis is correct, we should expect that these countries need to maintain macroeconomic stability in order to find the best way to return to the medium-term growth.

მანანა ლობჯანიძე

ახალგაზრდების დასაქმების პრობლემები და ეკონომიკის მდგრადობის საპოტენციური საძირკვეთი

საქართველოს ეკონომიკაში მიმდინარე სტრუქტურული ცვლილებების, ეკონომიკის ლიბერალიზაციისა და ინტეგრაციის პირობებში განსაკუთრებული სიმწვავეით წარმოჩინდა ახალგაზრდების დასაქმების პრობლემები.

ახალგაზრდების მნიშვნელოვანი ნაწილი, შრომითი გამოცდილების უქონლობის და სამუშაოსადმი წაყენებული მაღალი მოთხოვნების გამო, შრომის ბაზარზე გადაულახავ წინააღმდეგობას აწყდება და უმუშევართა რიგებს ემატება. ამიტომ სახელმწიფოს მხრიდან ახალგაზრდების დასაქმების საკითხისადმი მიდგომა განსაკუთრებულ სიფრთხილეს და ზომიერებას მოითხოვს. უპირველეს ყოვლისა, საჭიროა იმ სოციალურ-ეკონომიკური დანაკარგების გაცნობიერება, რაც შეიძლება გამოიწვიოს ახალგაზრდობის დაუსაქმებლობამ. ხანგრძლივი და მასობრივი უმუშევრობა ახალგაზრდებში იწვევს ფსიქოლოგიურ სტრესს, საკუთარ შესაძლებლობებში ურწმუნობას, პიროვნების დეგრადაციას, ხელს უწყობს დანაშაულის ზრდას, ოჯახების დანგრევასა და სხვა ნეგატიურ შედეგებს, რომ არაფერი ვთქვათ მოტივების შიდა პროდუქტის იმ დანაკარგებზე, რომლის წარმოებაც შესაძლებელი იქნებოდა სრული დასაქმების პირობებში.

ახალგაზრდებს შორის უმუშევრობის ზრდის განმაპირობებელი ერთ-ერთი ფაქტორია მათი მხრიდან სამუშაოს ძიების ხანგრძლივი პროცესი. ვინაიდან საშუალო (20-24 წელი) და უფროსი

(25-29 წელი) ასაკობრივი ჯგუფის ახალგაზრდების მოთხოვნები საკმაოდ მაღალია სამუშაოს მიმართ, ვიდრე უმცროსი (20 წლამდე) ასაკის.

ახალგაზრდების ეკონომიკური აქტიურობის შედარებით დაბალი დონე იმითაც არის განპირობებული, რომ მათი მნიშვნელოვანი ნაწილი სწავლითაა დაკავებული. არასწორი პროფესიული ორიენტაცია, რაც ძირითადად უმაღლესი განათლების მიღებაში გამოიხატება, მნიშვნელოვნად ართულებს მათ დასაქმებას. ბოლო ათწლეულის განმავლობაში შრომის ბაზარზე მხოლოდ უმაღლესი სასწავლებლის კურსდამთავრებულები გამოდიან. ქვეყანაში მოშლილია პროფესიული განათლების სისტემა.

ახალგაზრდების დასაქმება დამოკიდებულია სხვადასხვა ფაქტორზე, რომელიც არსებითად 2 ჯგუფად იყოფა – ობიექტური და სუბიექტური.

ეს ფაქტორები გათვალისწინებული უნდა იყოს ახალგაზრდობის დასაქმების სახელმწიფო პოლიტიკის პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრისათვის.

„ობიექტური“ ფაქტორები უმეტესად ვლინდება ინსტიტუციური ფორმით – სამუშაო ადგილები, პროფესიულ-კვალიფიციური მომზადების სფერო, დასაქმების სამსახური და ა.შ. – როგორც საერთო ეკონომიკური სიტუაციის კავშირი დასაქმებასთან.

„სუბიექტური“ ფაქტორები უშუალოდ დაკავშირებულია ახალგაზრდობთან (მათი მზადყოფნა პროფესიული შრომისათვის, ფასეულობათა ორიენტაციაზე, სხვა ფსიქოლოგიურ თავისებურებებზე და ა.შ.). ახალგაზრდობის დასაქმებაზე მოქმედი ფაქტორების გამოყოფა პირველ რიგში საშუალებას იძლევა, ობიექტურად შეფასდეს ახალგაზრდობის დასაქმების სახელმწიფო რეგულირება სხვადასხვა დონეზე (ადგილობრივი, რეგიონული, ქვეყნის) და დროის მოკლევადიან და გრძელვადიან პერსპექტივაში.

დასაქმებაზე მოქმედი ობიექტური ფაქტორებიდან აღსანიშნავია:

- დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნის შესაძლებლობა საშუალო და მცირე ბიზნესის განვითარებისათვის;

- პროფესიული განათლების ქსელის გაფართოება;

- ახალგაზრდობის მომზადება ახალი სპეციალობების მიხედვით, შრომის ბაზრის თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად;

- ახალგაზრდა სპეციალისტებისათვის კოტირებული სამუშაო ადგილების გამოყოფა შესაბამისი საკანონმდებლო უზრუნველყოფით;

- ახალგაზრდობის დასაქმების უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზის სრულყოფა;

- შრომის ბაზრის საინფორმაციო მომსახურების სრულყოფა, რაც გულისხმობს ამომწურავი ინფორმაციის არსებობას ვაკანსიების შესახებ ქვეყნის რეგიონულ და ქალაქის დონეზე;

- დასაქმების სახელმწიფო სისტემაში სპეციალური სამსახურის შექმნა ახალგაზრდობის სოციალური დაცვისათვის, რომელიც უზრუნველყოფს ახალგაზრდული წამოწყების სტიმულირებას (შეღავათიანი კრედიტები, საინფორმაციო და საკონსულტაციო მხარდაჭერა);

ახალგაზრდობის დასაქმებაზე, ობიექტურთან ერთად, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სუბიექტური ფაქტორები:

- ჯანმრთელობის მდგომარეობა (ფიზიკური და ფსიქოლოგიური);

- არასაკმარისი საგანმანათლებლო მომზადება;

- არასაკმარისი საწარმოო გამოცდილება (სამუშაო სტაჟი);

- სუსტი პროფესიული ორიენტაცია;

- არასაკმარისი შრომითი ჩვევები და გამოცდილება;

- პროფესიული შრომისათვის ფსიქოლოგიური მოუმზადებლობა;

- შრომითი ფასეულობების სუსტი დასაბუთება (პროფესია, კვალიფიკაცია, შრომის მწარმოებლურობა, შემოქმედებითი სამუშაო, პროფესიული კარიერა და ა.შ.);

- მაღალი მოთხოვნა და მოლოდინი მომავალი სამუშაოსადმი;

- ფსიქოლოგიური მოუმზადებლობა სამუშაო ადგილის დასაკავებლად კონკურენტული ბრძოლისათვის;

- ეკონომიკური სტიმულის უქონლობა, რომელიც წარმატებული პროფესიული მოღვაწეობის წინაპირობაა.

ახალგაზრდობის დასაქმებაზე მოქმედი ფაქტორების განხილვისას უყურადღებოდ არ უნდა დარჩეს არც ერთი მათგანი. ასევე თითოეულის მნიშვნელობა უნდა შეფასდეს რეალური მდგომარეობიდან გამომდინარე სახელმწიფო ეკონომიკური და ფინანსური შესაძლებლობებით.

გარდამავალ პერიოდში, რასაც თან ახლდა სისტემური კრიზისი ეკონომიკაში და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, ბუნებრივია, სახელმწიფო ნაკლებ ყურადღებას უთმობდა ახალგაზრდობის დასაქმების პრობლემას. გარკვეულწილად, აღნიშნული პრობლემის არასათანადოდ გაცნობიერებამაც განაპირობა ახალგაზრდობის უმუშევრობის მაღალი დონე.

ახალგაზრდობის დასაქმების მდგომარეობის ანალიზმა გვაჩვენა, რომ უმუშევართა წილი ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის რიცხვში გაიზარდა ახალგაზრდების უმცროს ასაკობრივ ჯგუფში, რაც მოწმობს შრომის ბაზრის მაღალ მოთხოვნებს სამუშაო ძალის ხარისხის მიმართ, ასევე მათ სწრაფვას მაღალანაზღაურებადი სამუშაოსადმი.

უკანასკნელი 20-25 წლის განმავლობაში მიგრაციული, განსაკუთრებით კი შრომითი მიგრაციის გააქტიურების ფონზე არცთუ სახარბიელოა ახალგაზრდების მიგრაციული განწყობა. ჩვენი აზრით, შემაშფოთებელია ახალგაზრდების ეს განწყობა, რადგან სწორედ ისინი არიან შრომითი რესურსების მნიშვნელოვანი ნაწილი, რაც ესოდენ საჭირო და აუცილებელია ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისათვის. ასევე მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ქალთა მიგრაციული განწყობა, რაც ქვეყნის საზიანოდ მეტყველებს. რადგან ქალები პოტენციური დედები არიან და რადგან არალეგალური მიგრაცია ხანგრძლივი პროცესია, ეს ყველაფერი გენოფონდის დეგრადაციას იწვევს.

- შრომის ბაზარზე გამოსული ახალგაზრდების აბსოლუტური უმრავლესობა უმაღლესი განათლების მქონეა;

- ახალგაზრდებს თავისი ფსიქო-ფიზიოლოგიური თვისებებიდან (დინამიურობა, მოქნილობა, ენერგიულობა, სწრაფვა სიახლისაკენ, სრულყოფილებისაკენ, თვითდამკვიდრებისაკენ და ა.შ.) და თავისებურებებიდან გამომდინარე, უფროსი თაობისაგან განსხვავებით, სამუშაო ადგილისადმი სწრაფი და უმტივინეული ადაპტაცია ახასიათებთ. ამიტომ, ისინი აქტიურობით გამოირჩევიან შრომის ბაზარზე, ხშირ შემთხვევაში ათავსებენ სწავლას და მუშაობას.

- ახალგაზრდებს, როგორც წესი, მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევების ათვისების მეტი უნარი გააჩნიათ, დიდია სწრაფვა ადრე ნაკლებად ცნობილი, მაგრამ დღეს უკვე პრესტიჟული, მაღალანაზღაურებადი პროფესიების მიმართ. სამუშაო ადგილის მიმართ წაყენებული მოთხოვნები განსაკუთრებულია შრომის ანაზღაურების, შრომის პირობების, კვალიფიციური და თანამდებობრივი წინსვლის შესაძლებლობების თვალსაზრისით. ახალგაზრდები არანაკლებ მნიშვნელობას ანიჭებენ სპეციალობის მიხედვით დასაქმებას.

- ახალგაზრდების დასაქმებაზე თავისებურად აისახა ქვეყნის ეკონომიკაში მიმდინარე სტრუქტურული ცვლილებები. ამჟამად გამოიკვეთა მათი სწრაფვა კერძო სექტორში დასაქმებისაკენ (გამოკითხული ახალგაზრდების 68% კერძო სექტორშია დასაქმებული), რაც შეეხება სახელმწიფო სექტორს, ისინი უპირატესობას ანიჭებენ ისეთ სამუშაო ადგილებს, სადაც მაღალი ანაზღაურება და კარიერის შექმნის მეტი შესაძლებლობაა.

ბოლო პერიოდში გაკეთებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ საქართველოს შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობაში ყველაზე მაღალი უმუშევრობის დონე ახალგაზრდებში, კერძოდ 20-24 წლის ასაკობრივ ჯგუფში ფიქსირდება. ამ ასაკის ახალგაზრდებიდან 38,3% უმუშევარია. ფონდის კვლევის მიხედვით, ძალიან ბევრი ახალგაზრდა უმუშევრობის ფაქტის წინაშე თვეების და წლების განმავლობაშია, სანამ ფორმალური განათლების დასრულების შემდეგ პირველ სამსახურს იპოვის. თუმცა პირადი კონტაქტების გარეშე სამსახურის მოძიება საკმაოდ რთულია.

ქვეყანაში არ არსებობს სახელმწიფო სტრატეგია და პრიორიტეტი, რომელიც ასახავდა დასაქმების პრობლემას სტრუქტურულ და კურსდამთავრებულებში. ევროპულ უნივერსიტეტებში პროფესიული სტაჟირება სასწავლო პროგრამის ნაწილად იქცა, რათა კურსდამთავრებულთა შრომისუნარიანობა უფრო მაღალი იყოს. საქართველოში კი სტაჟირება ოფიციალურ გამოცდილებად არ ითვლება. შესაბამისად, ახალგაზრდებს გავლილი რამდენიმე თვიანი და ზოგჯერ ერთწლიანი უფასო სტაჟირება დასაქმებაში ვერ ეხმარება.

აღნიშნული გამოწვევების დასაძლევად საქართველოს ხელისუფლება 2017 წლის პირველი იანვრიდან საჯარო სამსახურის მარეგულირებელი ახალი კანონის ამოქმედებას გეგმავს.

მთავრობამ ახალგაზრდების დასაქმების პრობლემების აღმოსაფხვრელად სხვადასხვა გეგმა შეიმუშავა. მათ შორისაა განათლების გერმანული მოდელი, რომელზეც მუშაობა ინტენსიურად მიმდინარეობს. აღნიშნული მოდელი სასწავლო პროცესში მეტ პრაქტიკას შეიტანს. სტაჟირების ნაკლებობა და მისი ოფიციალურ გამოცდილებად არ აღიარება კვლავ რჩება როგორც უმაღლესი განათლების სისტემის, ისე ახალგაზრდების დასაქმების პრობლემად. იმედია, სახელმწიფოს მიერ დაგეგმილი რეფორმები შედეგს გამოიღებს და ახალგაზრდებს დასაქმების მეტი შესაძლებლობა ექნებათ. მნიშვნელოვანია ახალგაზრდების დასაქმების სახელმწიფო ხედვისა და სტრატეგიის განსაზღვრა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Oksana Pyatkovska, Globalization and International labor migration: the macroeconomic impact of migrants' remittances, III სამეცნიერო კონფერენცია, გლობალიზაცია და საქართველოს ეკონომიკური განვითარების პერსპექტივები

2. Mirian Tukhashvili, Socio-labor problems of the Georgian diaspora in the EU countries, Migration 4;

3. Central intelligence agency, "World Migration Report 2010".

4. И.В.Ивахнюк, Международная трудовая миграция, გვ.92;

YOUNG PEOPLE EMPLOYMENT PROBLEMS AND ECONOMIC SUSTAINABILITY ISSUES IN GEORGIA

Annotation

Georgia's ongoing economic structural changes, economic liberalization and integration conditions, that are the essential conditions to transition to civilized market economy, in particular caused uproar employment and especially employment problems for young people.

Important part of young people because of lack of work experience, and the high demands of the labour market are facing an insurmountable obstacle and stay unemployed. Therefore, from the state approach to employment for young people requires special caution and moderation. First of all, we need to understand the social and economic losses, which can lead to youth unemployment. Long and massive unemployment among young people is causing psychological stress, unbelief in their abilities, personality degradation, contributing to an increase in crime, family breakdown and other negative consequences, to say nothing about the losses in gross domestic product, the production of which would be able in full employment conditions.

In Georgia population's strive for education and in particular higher education is traditionally high, and in some cases even goes beyond the limits of rationality. But the population passion for higher education is based on completely objective circumstances. Particular, in Georgia the society still remains a social status-oriented society, which means that social status essentially defines the attitude to person, the person and family material prosperity.

*Гульсим Уалихановна Макенова
Марина Владимировна Щеглова*

ЧЕЛОВЕЧЕСКОЕ РАЗВИТИЕ КАК ФАКТОР ПОВЫШЕНИЯ КОНКУРЕНТОСПОСОБНОСТИ НАЦИОНАЛЬНОЙ ЭКОНОМИКИ

Современная концепция человеческого развития сформировалась в конце 80-х годов XX столетия. Основное положение этой концепции сводится к тому, что люди являются не только средством, но и основной целью экономического развития.

«Настоящее богатство нации это её люди. Цель развития состоит в том, чтобы создать благоприятную для долгой, здоровой и творческой жизни людей среду. Эта простая, но важная истина слишком часто забывается в процессе достижения материального и финансового благосостояния» [3].

Принятие Генеральной Ассамблеей ООН Всеобщей Декларации прав человека явилось подтверждением того, что главной целью развития является благополучие человека. В последующие годы состоялся целый ряд форумов и конференций ООН, посвященных различным аспектам человеческого развития и провозгласивших принцип развития, нацеленного на человека.

По определению ПРООН, «человеческое развитие - это процесс обеспечения людей более широким выбором» во всех аспектах человеческой жизни [4].

Главные из них – возможность прожить долгую и здоровую жизнь, приобрести знания и иметь доступ к ресурсам, необходимым для достойного уровня жизни. Но на этом человеческое развитие не заканчивается. Дополнительные аспекты варьируют от политической, экономической и социальной свободы к возможностям созидать и производить, обладать чувством собственного достоинства и иметь гарантированные права человека.

В настоящее время под человеческим капиталом понимается сформированная в результатах вложений в человека совокупность способностей личности, обусловленная определенным запасом его знаний, здоровья, профессиональных навыков и способностей к труду, которые способствуют росту производительности труда и увеличению доходов.

Г.Беккер в своем фундаментальном исследовании “Человеческий капитал” (Human capital, 1964 г.) включил в инвестиции в человеческий капитал не только расходы на образование, но и расходы на здравоохранение, информацию, поиск работы, воспитание детей, т.е. все расходы, повышающие производительную силу человека.

В современной концепции социально-экономического развития общества главное место принадлежит развитию человека, его способностей, профессиональных навыков, образования с одной стороны, и потребностей – с другой. Чем выше уровень развития самого человека, тем сложнее, разнообразнее его потребности и их обратное влияние на производство материальных благ и услуг. В этом проявляется связь между экономическим ростом и человеческим развитием. [5]

В Докладе о человеческом развитии за 1994 г. предлагается следующее определение устойчивого человеческого развития: «Устойчивое человеческое развитие представляет собой такое развитие, которое приводит не только к экономическому росту, но и к справедливому распределению его результатов, которое восстанавливает окружающую среду, а не уничтожает ее, которое повышает ответственность людей, а не превращает их в бездушных исполнителей. Такое развитие уделяет первостепенное внимание бедным, повышая их возможно-

сти и обеспечивая им участие в принятии решений, которые влияют на их жизнь. Такое развитие – развитие для людей, для природы, для увеличения количества рабочих мест и улучшения положения женщин в обществе».

По определению ПРООН, «Человеческое развитие - это процесс обеспечения людей более широким выбором. Принципиально, этот выбор может быть бесконечным и изменяться со временем. Но на всех уровнях развития главными аспектами человеческого развития являются возможность прожить долгую и здоровую жизнь, приобрести знания и иметь доступ к ресурсам, необходимым для достойного уровня жизни. В том случае если нет доступа к этим основным выборам, у человека не будет доступа и к другим возможностям».

Концепция человеческого развития содержит четыре главных элемента.

Это: 1. Производительность (продуктивность)

2. Равенство

3. Устойчивость

4. Расширение возможностей

Таким образом, увеличение возможностей повышает продуктивность людей, так что люди могут быть эффективными агентами экономического роста.

Рассматривалась еще в первом Докладе о человеческом развитии и в дальнейшем подробнее в Докладе за 1996 г., где четко было определено, что «человеческое развитие является целью, а экономический рост лишь средством ее достижения».

Труд, не просто работа, она содействует прогрессу человечества и повышает уровень человеческого развития.

Связь между трудом и человеческим развитием носит синергетический характер. Труд повышает уровень человеческого развития, предоставляя доход и средства для существования, способствуя сокращению нищеты и обеспечивая справедливый рост. Человеческое развитие, повышая уровень здоровья, знаний, навыков и сознательности, преумножает человеческий капитал и расширяет возможности и диапазон выбора [6].

Ниже на рисунке 1 представлена взаимосвязь между трудом и человеческим развитием.




Рисунок 1. Взаимосвязь труда и человеческого развития [6]

Практически одновременно с возникновением концепции развития человека встала проблема количественной оценки достижений в области улучшения жизни людей во всем мире.

Таблица 1

Динамика индекса развития человеческого потенциала стран СНГ за 1990-2014 годы и их место в мировом рейтинге

Страна	1990	1995	2000	2010	2014 рейтинг мира	Место среди стран мира 2014	Среди СНГ	2011
Казахстан	0.650	0.620	0.614	0.714	0,788	56	3	0.745
Россия	0.920	-	0.771	0.719	0,798	50	2	0.755
Беларусь	-	-	-	-	0,798	50	1	0,756

Источник: «Доклад о человеческом развитии» 2011-2014 г. [6]

Новый инструмент для измерения социально-экономического прогресса – индекс человеческого развития (ИЧР) был предложен в процессе подготовки первого Доклада о развитии человека 1990 года. Особенностью ИЧР является то, что данный индекс выходит за рамки оценки благосостояния человека лишь на основе показателей ВВП на душу населения.

Как мы видим индекс развития человеческого потенциала Казахстана на 3 месте среди стран СНГ и составляет - 0,745, т.е. индекс развития человеческого потенциала с высоким уровнем ($0,5 < ИЧР < 0,8$).

Конкурентоспособность общего человеческого капитала определяется существующей в стране системой образования и профессиональной подготовки, системой воспитания и здравоохранения, а конкурентные преимущества определяются стратегической политикой государства в обозначенных областях, реальными объемами инвестиций, направляемых в них.

По данным ООН 2014 года Казахстан уже вошел в категорию стран с высоким уровнем Индекса человеческого развития - 0,788 [7].

По результатам Всемирного экономического форума: рейтинг глобальной конкурентоспособности 2009-2010 гг. что касается бывших советских республик, то лучше всех в рейтинге оказалась Эстония – 35 место, Казахстан – 67, Латвия – 68, Киргизия – 123. В таблице 2 представлены данные страны с конкурентоспособной экономикой за 2012-2015 года.

Таблица 2

Страны с конкурентоспособной экономикой за 2012- 2015 гг.

Страны участники с наиболее конкурентоспособной экономикой	Рейтинг 2011-2012	Рейтинг 2010-2011	Изменение	Рейтинг 2013-2014	Изменение	Рейтинг 2015-2016
Швейцария	1	1	0	1	-	1
Япония	10	9	-1	9	+1	6
Россия	66	63	-3	64	+2	45
Казахстан	51	72	+21	50	+1	42

Источник: Казахстан в отчете о глобальной конкурентоспособности [8]

По данным отчета за 2013-2014 года «О глобальной конкурентоспособности стран» ВЭФ наблюдается повышение позиции Казахстана на +21. Лидирует данный рейтинг Швейцария и последние 4 года свою позицию не уступает. На шестом месте в данном рейтинге находится Япония. Далее из стран СНГ на 45 месте расположилась Россия и на 42 месте Республика Казахстан.

По рейтингу ВЭФ улучшение позиций Казахстана наблюдалось практически по всем 12 факторам конкурентоспособности экономики. Эти изменения представлены в таблице 3, где общий рейтинг республики разделен на 3 группы, в первую группу входят - основные требования, во вторую группу - интенсификаторы эффективности и в третью группу - Инновации и развитие [8].

По данным рейтинга по основным требованиям Казахстан укрепил свою позицию за последние два года занимает 51, за 2013 год занял 50 место и в 2015 году по общему рейтингу 42 место по Глобальному Индексу Конкурентоспособности (ГИК).

Таблица 3

Рейтинг Казахстана в глобальной конкурентоспособности 2011-2016

Общий рейтинг Казахстана	2011	2012	изменение 2011--2012	2013	изменение 2012-2013	2015-2016
		72	51	+21	50	+1
I Группа: Основные требования	62	47	+15	48	-1	-
Качество институтов	94	66	+28	55	+11	50
Уровень развития инфраструктуры	82	67	+15	62	+5	58
Макроэкономическая среда	18	16	+2	23	+7	27
Здоровье и начальное образование	85	92	-7	97	-5	93
II Группа: Интенсификаторы эффективности	76	56	+20	53	+3	-
Высшее образование и профессиональная подготовка	65	62	+3	64	+2	60
Эффективность рынка товаров и услуг	87	71	+16	56	+15	49
Партнерство в отношениях работодателей и наемных работников	21	19	+2	15	+4	15
Развитость финансового рынка	121	115	+6	103	+12	91
Технологическая готовность	87	55	+32	57	-2	61
Размер рынка	55	55	0	54	+1	52
III Группа: Инновации и развитие	114	104	+10	87	+17	85
Конкурентоспособность компаний	109	99	+10	94	+5	79
Инновационный потенциал	116	103	+13	84	+19	72

Источник: Казахстан в отчете о глобальной конкурентоспособности 2011-2016 ВЭФ.

Если сравнить показатели 2011 года с 2015-2016 годами по второй группе, по индикаторам эффективности Казахстан свою позицию поднимает на +5 и по 3 группе, инновации и развитие поднимается на +29.

По последним данным ВЭФ по глобальной конкурентоспособности стран на 2015-2016 года Казахстан поднимается на + 8 пунктов и занимает 42 место со средним баллом 4,49.

Принятая концепция Республики Казахстан к устойчивому развитию 2005 – 2024 гг. по данным отчета ВЭФ укрепляет и повышает позицию государства и приносит свои плоды [9].

Цели данной концепции это реализация следующих задач в области устойчивого развития государства.

Это:

1. Повышение показателя ЭИР до 37 % к 2012, 43 % к 2018 и 53 % к 2024 году.

2. Увеличение средней продолжительности жизни населения до 68 лет к 2012 году, 70 лет к 2018 году, 73 лет к 2024 году при поддержании показателя рождаемости на уровне не ниже 18-22 родившихся на 1000 человек населения.

3. Увеличение индекса экологической устойчивости на 10 % к 2012 году, 15 % к 2018 году, 25 % к 2024 году.

Базовые показатели человеческого развития соответствующие трем основным компонентам человеческого развития – долголетию, образованности и уровню жизни и каждый из этих компонентов человеческого развития в целом охватывает важные человеческие возможности.

В рамках реализации Концепции в Республике Казахстан были разработаны и успешно реализуются Государственная программа инфраструктурного развития «Нұрлы жол» на 2015 - 2019 годы, Стратегический план развития Республики Казахстан до 2020 года, Государственная программа индустриально-инновационного развития, Государственная программа развития образования Республики Казахстан на 2011-2020 годы.

Принятие Концепции на будущее, стратегий и программ развития и эффективная их реализация способствует достижению баланса экономических, социальных, экологических и других аспектов развития Республики Казахстан. Это основы повышения качества жизни и обеспечения конкурентоспособности страны в долгосрочной перспективе государства.

Использованная литература

1. resource@humandevlopment.uz Онлайн курс. Устойчивое человеческое развитие. Раздел 1, Глава 1. Определение человеческого развития 2 стр.

2. Первый Доклад «О развитии человека» 1990 г.

3. Доклад о человеческом развитии за 1990 г. – С. 10.

4. Человеческое развитие. Учебник, 2008. Абдуллаев Е.В. Ташпулатова Л.М.

5. Реальное богатство: пути к человеческому развитию.- ПРООН, изд-во «Весь мир», 2011., «Труд во имя человечества» Доклад ПРООН, 2015 стр. 3.

6. Данные ООН по ИРЧП Казахстана за 2011-2014 гг.

7. Казахстан в отчете о глобальной конкурентоспособности 2013-2014 гг. ВЭФ

8. Казахстан в отчете о глобальной конкурентоспособности 2011-2016 гг. ВЭФ

9. Концепция Республики Казахстан к устойчивому развитию 2005 - 2024 гг.

10. www.akorda.kz/ru

*Gulsim Makenova
Marina Chsheglova*

HUMAN DEVELOPMENT AS FACTOR OF INCREASE OF COMPETITIVENESS OF NATIONAL ECONOMY

Annotation

In 1990 UNDP published its first report assessing the economic and social progress of the countries in which it was formulated the concept of human development. "Human development is the process of expanding the range of choice. The most important elements of choice — the ability of a person to live a long and healthy life, receive education and have a decent standard of living. Additional choices include political freedom, guaranteed human rights and self-respect". The main instrument of formation and development of innovative economy is the development and improvement of all indicators of the global index and the human development index by 12 factors, exactly these parameters reflect the competitiveness of human capital [2].

**საბარეო ვალის გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე და
მისი შეფასება ტრანსფორმაციის პროცესში ჩართული ქვეყნებისთვის**

შესავალი

მდგრადი ეკონომიკური ზრდა ყველა ეკონომიკისთვის მთავარი საზრუნავია, განსაკუთრებით ტრანსფორმაციის პროცესში მყოფი ქვეყნებისთვის, რომელთაც, მაღალი ფისკალური დისბალანსის გამო, უძნელდებათ საინვესტიციო შესაძლებლობების გენერირება, რაც მათ დაეხმარება წინსვლაში. აქედან გამომდინარე, იზრდება ამ ეკონომიკების დამოკიდებულება უცხოურ სესხებზე, რომელიც, დროთა განმავლობაში არსებითი საგარეო ვალის მოცულობის დაგროვებას იწვევს. ამ კონტექსტში განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო საგარეო დავალიანების ზრდის გავლენამ. საგარეო ვალი, თუკი ის არ არის მდგრადი, ეკონომიკურ კეთილდღეობას რისკის ქვეშ აყენებს, რადგან მისმა მომსახურებამ შესაძლოა, ქვეყანაში ჭარბი ვალის პრობლემა გამოიწვიოს. ამგვარად, ღია ბაზარზე ორიენტირებული ეკონომიკური პოლიტიკის შესრულებისას, ტრანსფორმაციული ქვეყნების ხელისუფლებებმა უნდა გაითვალისწინონ საგარეო ვალის გამოყენების ღირებულება და განახორციელონ დაბალანსებული ფისკალური და მონეტარული პოლიტიკები, ასევე საგადასახდელო ბალანსის მიმდინარე ანგარიში.

საგარეო ვალის გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე

უკანასკნელი რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში, გარდამავალმა ეკონომიკებმა დიდი მოცულობის თანხები ისესხა. ზოგადად, საბჭოთა ქვეყნებსა და სხვა ტრანსფორმაციულ ქვეყნებში სტრუქტურული რეფორმისტული ეკონომიკური პოლიტიკა, გარედან სესხებით, მიზნად ისახავდა მდგრადი ზრდის შენარჩუნებასა და ცხოვრების დონის გაუმჯობესებას. საგარეო ვალის გონივრული დონეები, რომელიც ხელს უწყობს პროდუქტიული ინვესტიციების დაფინანსებას, მოსალოდნელია, რომ ხელს შეუწყობს ეკონომიკურ ზრდას, მაგრამ გარკვეული დონის მიღმა დამატებით დაავალიანებას შეუძლია, შეამციროს ზრდა. ბევრი კვლევის მიხედვით, განვითარებად ქვეყნებს, რომლებიც სესხულობენ ზომიერ დონეებზე, სავარაუდოდ, უნდა მიადწინ გაუმჯობესებას ეკონომიკურ ზრდაში [Wang, 2009]. ითვლება, რომ ამგვარი გაუმჯობესება უნდა მოხდეს კაპიტალის ფორმირებისა და გამოშვების გაზრდის მეშვეობით [Hameed et al., 2008]. ტრანსფორმაციულ ქვეყნებს, როგორც წესი, შეზღუდული წყაროები გააჩნიათ შემოსავლების გამოსამუშავებლად. თუკი ისინი ვერ შეძლებენ გარედან მიღებული სახსრების მიმართავს პროდუქტიულობის გაზრდაზე და ახალი დასაქმების შესაძლებლობების შექმნაზე, მაშინ ისინი საბოლოოდ მიიღებენ უფრო დაბალ საგადასახადო შემოსავლებს და უფრო მაღალ ვალის მომსახურების ხარჯებს, რაც გამოიწვევს გაზრდილ დეფიციტებს. უფრო მეტიც, ვალის დროულად მომსახურების უუნარობა არა მხოლოდ ართულებს ამ ქვეყნებისთვის, დახმარება მიიღონ შეღავათიან განაკვეთებში დონორი სააგენტოებისგან ნაკლები პირობების წამოყენებით, არამედ ეს ასევე ზრდის სუვერენულ რისკს.

ითვლება, რომ 1970-იანი და 1980-იანი წლების მსოფლიო მოვლენები, კერძოდ, ნავთობის ფასის შოკებმა, გაზრდილმა საპროცენტო განაკვეთებმა და განვითარებულ ქვეყნებში რეცესიებმა, ამის შემდეგ კი სუსტმა პირველადმა სასაქონლო ფასებმა, ხელი შეუწყო განვითარებად ქვეყნებში ვალის აფეთქებას (IMF 2000). ეკონომიკურ ლიტერატურაში არსებული კვლევების უმეტესობამ ეს ფაქტორები ამგვარად შეჯამდა:

(1) ეგზოგენური ფაქტორები, როგორცაა ვაჭრობის შოკის არასასურველი პირობები;

(2) მდგრადი რეგულირების პოლიტიკის არარსებობა, განსაკუთრებით, ეგზოგენური შოკების პრობლემის წინაშე მდგარი პოლიტიკის, რომელმაც ვერ შეძლო ვალის მომსახურების შესაძლებლობების გაძლიერება; ეს მოიცავს არაადეკვატურ პროგრესს, უმეტეს შემთხვევაში, სტრუქტურულ რეფორმაში, რომელმაც ხელი უნდა შეუწყო გამოშვებისა და ექსპორტის მდგრად ზრდას;

(3) საკრედიტო და რეფინანსირების პოლიტიკის კრედიტორების გავლენა, განსაკუთრებით გვიან 1970-იან და 1980-იან წლებში, მათი უმეტესობის მიერ დაკრედიტებით კომერციულ პირობებზე მოკლე დაფარვის ვადებით და არაკონცესიური რესტრუქტურისაციის პირობებით;

(4) მოვალე ქვეყნების მიერ სესხების არაგონივრული მართვა, რაც ნაწილობრივ გამომდინარეობს ექსპორტიდან მიღებული შემოსავლის ზრდასა და ამის საშუალებით ვალის მომსახურების მოცულობის შექმნის პერსპექტივების შესახებ კრედიტორებისა და მოვალეების გადაჭარბებული ოპტიმიზმიდან;

(5) ვალის სავალუტო შემადგენლობის ფრთხილად მართვის ნაკლებობა;

(6) პოლიტიკური ფაქტორები, მაგალითად, სამოქალაქო ომი და კონფლიქტი (ამ საკითხთან დაკავშირებით დეტალური დისკუსია იხილეთ Afxentiou & Serletis 1996, da Brooks et al. 1998).

როგორც არ უნდა იყოს ვალის მოცულობის უპრეცედენტო ტალღის აგორების გამომწვევი მიზეზები, გარდამავალი ქვეყნები დღანან ზრდადი ვალის პრობლემის წინაშე, რომელსაც შეუძლია, მკვეთრად შეზღუდოს ამ ქვეყნებში არსებული ეკონომიკური მდგომარეობა. მით უმეტეს, რომ ზოგიერთი ღარიბი ქვეყანა უფრო და უფრო მეტად მიმართავს ახალი სესხების აღებას ვალის

მომსახურებისთვის. მიუხედავად იმისა, რომ ეს ეკონომიკები იბრძვიან უფრო მაღალი ეკონომიკური ზრდისთვის, ზრდადი მიმდინარე დეფიციტი და დაბალი კაპიტალის ფორმირება სულ უფრო ნაკლებ სივრცეს ტოვებს ეკონომიკური ზრდისთვის. მწირი ეკონომიკური მაჩვენებლებისა და ვალის მომსახურებისთვის შეზღუდული ფისკალური სივრცის გამო კი დონორი სააგენტოების უმეტესობა თანხებს გარკვეული პირობებით უზრუნველყოფს. აღნიშნული პირობები, ჩვეულებრივ, მოიცავს ფისკალურ სიმშვიდეს, ეკონომიკურ და პოლიტიკურ სტაბილურობას, ჯანმრთელ საბანკო სისტემას, ბიზნესის კეთების სიმარტივეს და ჯანსაღ საინვესტიციო გარემოს შემდგომი დახმარების უზრუნველსაყოფად.

მძიმე საგარეო ვალი არ განაპირობებს აუცილებლად ნელ ეკონომიკურ ზრდას. ესაა ქვეყნის უუნარობა, შეასრულოს თავისი სავალ ვალდებულებები, რომლებიც გადრმაგებულია საგარეო ვალის ბუნებაზე, სტრუქტურასა და მასშტაბზე ინფორმაციის ნაკლებობით [Were, 2001]. შესაძლოა ქვეყნებს, ჰქონდეთ მძიმე საგარეო ვალი ექსპორტის შედარებით მაღალ დონესთან ერთად, რაც მათ დაეხმარებათ თავიანთი საგარეო ვალის დონეების შენარჩუნებაში. მაგრამ საგარეო ვალი თუ არ იქნება მდგრადი, ეკონომიკურ კეთილდღეობას დააკისრებს უფრო მაღალ რისკს, რადგან მისმა მომსახურებამ, რომელიც ასევე მიმდინარე ანგარიშის უფრო მაღალი დეფიციტის მაჩვენებელია, შესაძლოა, ქვეყანაში ვალზე დამოკიდებულება გამოიწვიოს. ნებისმიერი ეკონომიკისთვის სახელმწიფო ვალი გადამწვევტ როლს თამაშობს საერთო ეკონომიკურ პროგრესთან მიმართებაში.

„ჭარბი ვალის თეორია“ (Debt Overhang Theory)

იმ არსების შესწავლის დროს, რომელთა გავლითაც საგარეო ვალმა შეიძლება გავლენა მოახდინოს ეკონომიკურ ზრდაზე, ლიტერატურამ ფართოდ გააკეთა აქცენტი ორ თეორიაზე, ესენია: **ჭარბი ვალის თეორია (Debt Overhang)** და **ლიკვიდურობის შეზღუდვის ჰიპოთეზა – გამოდევნის ეფექტი (Crowding-out Effect)**. აქედან პირველი აცხადებს, რომ საგარეო ვალის მიმდინარე მოცულობა შეანელებს ეკონომიკურ ზრდას, ხოლო მეორე ორიენტირებულია კერძო სექტორის კერძო კრედიტორების გამოდევნაზე.

საგარეო ვალისა და ეკონომიკური ზრდის ურთიერთდამოკიდებულების საზღვარსამდე კვლევებში არსებობს უამრავი განმარტება, თუმცა ყველაზე გავრცელებულია „ჭარბი ვალის თეორია“ (Debt Overhang Theory). ბევრი უწოდებდა მას ჭარბი ვალის პარადოქსსაც. თეორია პირველად განიხილა Myers-მა 1977 წელს. მისი კონცეფცია ეფუძნებოდა კომპანიის გადაწყვეტილებას სესხებაზე. მოგვიანებით, Krugman-მა (1995) და Sachs-მა (1984, 1986), მოიწონეს ის ქვეყნის ვალის სიტუაციასთან მიმართებაში. ისინი ამბობდნენ, რომ ჭარბი ვალის პრობლემა მაშინ დგება, თუკი საგარეო ვალის მოცულობა ქვეყანაში აჭარბებს ქვეყნის მიერ მისი დაფარვის უნარს, ისევე, როგორც მოსალოდნელი ვალის მომსახურება უფრო მეტადაა დამოკიდებული ქვეყნის გამოშვების დონეზე. Krugman-მა (1988) და Sachs-მა (1989) განაცხადეს, რომ ჭარბი ვალის პრობლემა მაშინ არსებობს, როცა ქვეყნის ვალის მომსახურების ტვირთი ისეთი მძიმეა, რომ მიმდინარე გამოშვების დიდი ნაწილი გროვდება საგარეო კრედიტორების მიმართ და წარმოქმნის ინვესტირებისთვის სტიმულების არარსებობას. ვალის მომსახურება ამიტომ ითვლება, როგორც პირობითი გადასახადი, რითაც ხელი ეშვლება ინვესტირებასა და ეკონომიკურ ზრდას, რაც ართულებს ქვეყნებისთვის სიღარიბიდან თავის დაღწევას [Clements et al., 2005; Fonchamayo et al., 2009]. ჰიპოთეზა ვარაუდობს, რომ თუკი მომავალში არსებობს იმის რაიმე ალბათობა, რომ საგარეო ვალი იქნება უფრო დიდი, ვიდრე ქვეყნის მიერ მისი დაფარვის უნარი, მაშინ მოსალოდნელი ვალის მომსახურების ხარჯები ხელს შეუშლის ადგილობრივ და უცხოურ ინვესტიციებს და ზიანს მიაყენებს ეკონომიკურ ზრდას [Pattillio et al., 2002].

ვალისგან გათავისუფლების მთავარი მოტივაცია ჩნდება იმ მოსაზრებიდან, რომ საზიანო ურთიერთქმედება არსებობს მძიმე ვალის ტვირთსა და ეკონომიკურ ზრდას შორის [Serieux and Samy, 2001]. შესაბამისად, ფართოდ განხილული „ჭარბი ვალის თეორია“ ვარაუდობს, რომ მძიმე ვალის ტვირთი ქმნის სტიმულების არარსებობას კერძო ინვესტირებისთვის მომავალი გადასახადების და/ან ვალით გამოწვეული კრიზისების შიშის გამო [Krugman, 1987 & 1988]. ეს ამცირებს საინვესტიციო ხარჯვას, რაც იწვევს ეკონომიკური ზრდის შენელებას. ციკლი გრძელდება ინვესტიციების მომდევნო შემცირებით ეკონომიკური ზრდის შენელების, ვალი-შემოსავლის თანაფარდობის გაზრდის, და დამაბრკოლებელი გავლენის გაძლიერების პარალელურად, რაც, საბოლოო ჯამში, იწვევს სტაგნაციას.

უფრო დაწვრილებით კი, იმ ეკონომიკებში, რომელთაც მძიმე დავალიანება აქვთ, „ჭარბი ვალი“ ითვლება ეკონომიკური ზრდის დამახინჯებისა და შენელების წამყვან მიზეზად [Sachs, 1989; Bulow & Rogoff, 1990]. ეკონომიკური ზრდა ნელდება იმიტომ, რომ ეს ქვეყნები კარგავენ გავლენას კერძო ინვესტირებებზე [Levy-Livmore & Chowdhury, 1998]. ისინი ვარაუდობდნენ, რომ სტრუქტურული კორექტირების პროგრამებიც კი რომ გატარდეს ამ ქვეყნების მთავრობების მიერ, ზოგადი ეკონომიკური მდგომარეობის განვითარებაზე შეიძლება, მაინც იგრძნობოდეს გვერდითი მოვლენები. უნდა აღინიშნოს, რომ ჭარბი ვალის პრობლემა არ დგას მხოლოდ მაშინ, როდესაც ქვეყანა აგროვებს ძალიან დიდ ვალს, იგი ასევე შეიძლება წარმოიქმნას მაშინ, როცა შეიცვლება ქვეყნის გარემოებები, რომლებიც ართულებს ვალის მოცულობების მართვასა და გადახდას. ამგვარი

პირობები შეიძლება წარმოიშვას უარყოფითი ეკონომიკური შოკების ან ცუდი ეკონომიკური პოლიტიკის გამო [Arslanalp & Henry, 2004]; და ამ არასახარბიელო ვითარებაში, კრედიტორების სასესო პორტფელები მიიქცევა რისკების წინაშე აღმოჩნდება. ამგვარ სიტუაციაში შედეგი იქნებოდა პანიკა კრედიტორებს შორის, რომლებიც ჩქარობენ თავიანთი მოთხოვნების განაღდებას და პოტენციური ახალი კრედიტებიდან სარგებლის მიღებას.

„ლიკვიდურობის შეზღუდვის პიპოტეზა – გამოდევნის ეფექტი“ (Crowding-out Effect)

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საგარეო ვალის მომსახურებას შეუძლია ასევე გავლენა მოახდინოს ზრდაზე „გამოდევნის ეფექტის“ (კერძო ინვესტიციების გამოდევნის) გზით. ვალის ნაკადებს შეუძლია, დაანგრის მოვალეთა ეკონომიკური მდგომარეობა. Chowdhury, 2004; Clements, Bhattacharya & Nguyen, 2003; Elbadawi, Benno, & Njuguna Ndung'u, 1997, თავიანთ კვლევებში აჩვენებენ, რომ ვალის კოეფიციენტების მაღალ დონეს შეუძლია, გამოდევნოს ეკონომიკური ზრდა წმინდა აქტივების გადინების გამო.

სხვაგვარად რომ ვთქვათ, გამოდევნის ეფექტის კონცეფციის ფილოსოფია გულისხმობს, რომ სახელმწიფო ვალები ხარჯავს ინვესტიციებისთვის განკუთვნილი ეროვნული დანახოვების დიდ ნაწილს დანახოვებზე მოთხოვნის გაზრდის გამო მაშინ, როცა მიწოდება უცვლელი რჩება, შესაბამისად, ფულის ფასი იმატებს. გამოდევნის ეფექტი მაშინ ფუნქციონირებს, როცა მხოლოდ ხელისუფლება და მისი სააგენტოები შეძლებდნენ სესხებას გადაჭარბებული საინვესტიციო ხარჯების გამო. ინდივიდუალურ მეწარმეებსა და ფირმებს არ შეუძლიათ კონკურენციის გაწევა და, აქედან გამომდინარე, გამოიძევებიან ბაზრიდან. ეკონომიკური ზრდას, შესაბამისად, აღარ შესწევს იმის უნარი, რომ მოახდინოს საკაპიტალის კაპიტალის გენერირება ინვესტირებისთვის [Patenio & Agustina, 2007].

„გამოდევნის ეფექტი“ მნიშვნელოვანია სახელმწიფო ინვესტიციების განხორციელებისას. „გამოდევნის ეფექტი“ ნიშნავს რომ, თუ სახელმწიფომ ინვესტიციები ჩაღო რომელიმე სექტორში, კერძო ბიზნესს ამ სექტორში ინვესტიციების ჩადება აღარ შეეძლება – სტიმული არ ექნება. საჭიროა, კერძო ინვესტიციები სხვადასხვა დარგებში დაბანდდეს, ხოლო სახელმწიფო ინვესტიციები იმ მიმართულებით წარიმართოს, სადაც კერძოს ინტერესები არ გააჩნია. ამით ორმაგად მოხდება ეკონომიკის სტიმულირება. გამოდევნის ეფექტის დადგომის შემთხვევაში კერძო ინვესტიციები შეიძლება ჩანაცვლდეს სახელმწიფოთი და იგი შეიძლება საერთოდ არც კი განხორციელდეს. მსგავსი რამ კიდევ უფრო ხშირად ხდება კერძო უცხოური ინვესტიციების შემთხვევაში, ვინაიდან უცხოური ინვესტიციების გამოდევნის შემდეგ უცხოური კაპიტალი შეიძლება საერთოდ არ შემოვიდეს ქვეყანაში და სხვაგან მიემართოს.

დასკვნა

დღესდღეობით, იმისათვის, რომ ეკონომიკური სისტემა შეიცვალოს ბაზარზე ორიენტირებულ ეკონომიკაზე, გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებს სჭირდებათ გარედან მიღებული წყაროები. ამასთან ერთად, წარმოება-გასაღებასა და შემოსავალი-დაზოგვას შორის კავშირმაც გაზარდა გარედან მიღებული წყაროების საჭიროება. თუმცა, აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ საგარეო ვალი, თუკი ის არ არის მდგრადი, შეიძლება, უარყოფითად აისახოს ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე, რაც, საბოლოოდ, შეაკავებს ძირითადი კაპიტალის ფორმირებას ეკონომიკური აგენტების მიერ, კერძო სექტორის ჩათვლით. აქედან გამომდინარე, ტრანსფორმაციულმა ქვეყნებმა თავიანთი საგარეო რესურსები აუცილებლად უნდა მიმართონ მწარმოებლურობის გაზრდაზე ისე, რომ ამით შეძლონ მიმზიდველი საინვესტიციო გარემოს შექმნა და რაც შეიძლება მეტი ინვესტორის მოზიდვა.

ღია ბაზარზე ორიენტირებული ეკონომიკური პოლიტიკის შესრულებისას, ტრანსფორმაციული ქვეყნების ხელისუფლებებმა უნდა გაითვალისწინონ საგარეო ვალის გამოყენების ღირებულება. საგარეო ვალს დადებითი გავლენა აქვს განვითარებადი ქვეყნების ზრდის ტემპზე მხოლოდ დროებით. საგარეო დავალიანებასა და ეკონომიკურ ზრდას შორის დამოკიდებულება ძალიან კვავს ლაფერის მრუდის შემთხვევას; ანუ დამატებითი სახსრების მოზიდვა ხელს უწყობს ინვესტირებასა და ზრდას მხოლოდ დასაწყისში და გარკვეულ ზღვრამდე, ამ ზღვრის გადაღახვის შემთხვევაში უკვე საქმე გვაქვს უკუეფექტთან, რისთვისაც ქვეყნებმა უნდა განახორციელონ დაბალანსებული ფისკალური და მონეტარული პოლიტიკები და, ასევე, საგადასახადო ბალანსის მიმდინარე ანგარიში.

ამასთან, უნდა არსებობდეს მონიტორინგის სისტემა და თანმიმდევრული ვალის მართვის პოლიტიკა უნდა ჩამოყალიბდეს იმისათვის, რომ შემცირდეს საგარეო ვალის არაპროდუქტიული გამოყენება. ვალის მართვის კუთხით ასევე უმნიშვნელოვანესი ფაქტორია გამჭვირვალობის უზრუნველყოფა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Catherine Pattilo, Helene Poirson, Luca Antonio Ricci., Fall 2011 “External Debt and Growth”. Review of Economics and Institutions. Vol. 2 – No. 3.

2. Abdur R. Chowdhury., 2001, "External Debt and Growth in Developing Countries". UNU World Institute for Development Economics Research (UNU/WIDER). Discussion Paper No. 2001/95.
3. Di Andrea F. Presbitero., Dicembre 2006, "The Debt-Growth Nexus: a Dynamic Panel Data estimation". RIVISTA ITALIANA DEGLI ECONOMISTI / a. XI, n. 3.
4. Delano P. Villanueva and Roberto S. Mariano., 2007, "External Debt, Adjustment, and Growth", in Fiscal Policy and Management in East Asia, eds. Takatoshi Ito and Andrew K. Rose (United States of America: The University of Chicago Press, 2007), pp. 203-204.
5. IMF Working Paper, 2002, "External Debt and Growth," 02/69 (Washington, 2002).
6. Afxentiou, Panos and Apostolos Serletis., 1996, "Growth and Foreign Indebtedness in Developing Countries: An Empirical Study Using Long-term Cross-Country Data," Journal of Developing Areas 31 (Fall): 25-39.
7. A Hameed, H Ashraf, MA Chaudhary., 2008, "External debt and its impact on economic and business growth in Pakistan". International Research Journal of Finance and Economics 20, 132-140.
8. Clements, B., R. Bhattacharya, T.Q. Nguyen., 2005, "Can Debt Relief Boost Growth in Poor Countries?" (<http://www.imf.org>).
9. Elbadawi, Ibrahim, Benno Ndulu, & Njuguna Ndung'u., 1997, "Debt Overhang and Economic Growth in Sub-Saharan Africa," in External Finance for Low-Income Countries, ed. by Iqbal, Zubair and Ravi Kanbur (Washington: IMF Institute), p. 49-76.
10. Serkan Arslanalp, Peter Blair Henry., January 2004, "Is Debt Relief Efficient?", NBER Working Paper No. 10217.
11. J Serieux, Y Samy., 2001, "The debt service burden and growth: Evidence from low income countries", Journal WIDER Conference on Debt Relief, Pages 17-18.
12. Ahmet Uzun, Cagatay Karakoy, Burhan Kabadayi, O. Selcuk Emsen., 2012, "The Impacts of External Debt on Economic Growth in Transition Economies". Chinese Business Review, ISSN 1537-1506, May 2012, Vol. 11, No. 5, 491-499.

*Tamta Meskhoradze
Nazira Kakulia*

**EXTERNAL DEBT EFFECT ON ECONOMIC GROWTH AND ITS ASSESSMENT
FOR THE COUNTRIES INVOLVED IN TRANSFORMATION PROCESS
Annotation**

This article is a theoretical review and analysis of the relationship between external debt and capital formation. It has been widely claimed that debt in general and external debt in particular is a necessary evil that all economies survive with. The results of various works in this direction have been of mixed outcomes. Most important of the negative consequences was the debt overhang and crowding out effects on investment and its attendant effects on the economy as a whole. The study has shown that it has negatively affected the positive development of capital formation being one of the most important macroeconomic variables for a sustained economic growth.

მარინა მუჩიაშვილი

ფისკალური მდგრადობის უზრუნველყოფის პრობლემები საქართველოში

ფისკალური მდგრადობის უზრუნველყოფა ქვეყნის მდგრადი ეკონომიკური განვითარების აუცილებელ პირობას წარმოადგენს. ეკონომიკურად განვითარებულმა ქვეყნებმა სწრაფ ეკონომიკური ზრდას ზომიერი სახელმწიფო ხარჯების, შედარებით დაბალი საგადასახადო განაკვეთებისა და მიმზიდველი, შეზღუდული რეგულაციების მქონე ბიზნესგარემოებებში მიაღწიეს. შესაბამისად, დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ საქართველომაც ეკონომიკური ზრდის მაღალ ტემპებს მხოლოდ სისტემური ხასიათის რეფორმების განხორციელების პირობებში (როგორც საგადასახადო სისტემის, ასევე, ბიზნესის დერეგულაციის მიმართულებით) მიაღწია. ძირითადად 2003 წლის შემდგომ პერიოდში, ფისკალურ სფეროში განხორციელებული სისტემური ხასიათის ცვლილებების შედეგად, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ქვეყნის პოზიციები საერთაშორისო რეიტინგების მიხედვით. ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპების მიღწევამ ამ პერიოდში უზრუნველყო საქართველოს დაბალშემოსავლიანი ქვეყნების ჯგუფიდან საშუალო-დაბალშემოსავლიანი ქვეყნების რიგში გადანაცვლება. მიუხედავად მიღწეული შედეგებისა, 2014 წლისათვის, მსოფლიო ბანკის მონაცემების მიხედვით საქართველო მშპ-ის ერთ სულზე მაჩვენებლის მიხედვით (8 137 დოლარი) (მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტის გათვალისწინებით) მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებს შორის ჯერ კიდევ მხოლოდ 151 ადგილზე იმყოფება, რაც ევროკავშირის საშუალო მაჩვენებელზე დაახლოებით 4-ჯერ ნაკლებია. უნდა აღინიშნოს, რომ მნიშვნელოვანია ჩამორჩენა მეზობელი ქვეყნების, კერძოდ, რუსეთის ფედერაციის (25 635 დოლარი), თურქეთის (19 250 დოლარი) და აზერბაიჯანის (17 515 დოლარი) მაჩვენებლებთან შედარებითაც. ევროკავშირის საშუალო მაჩვენებლის მისაღწევად ქვეყნის საშუალო წლიური 5-7% ზრდის პირობებშიც კი

საკმაოდ ხანგრძლივი დრო (10-15 წელი) დასჭირდება. ამ პრიორიტეტული მიზნის მიღწევისათვის არსებითი ფაქტორია საშუალოვადიან პერიოდში ქვეყნის ფისკალური მდგრადობის უზრუნველყოფა.

ფისკალური მდგრადობა არის სახელმწიფოს უნარი, შეინარჩუნოს მისი მიმდინარე ხარჯები და საგადასახადო პოლიტიკა საშუალოვადიან და გრძელვადიან პერიოდებში ისე, რომ საფრთხე არ შეექმნას სახელმწიფოს გადახდისუნარიანობას, მისი ცალკეული სახის ვალდებულებების განხორციელებასა და ბიუჯეტით გათვალისწინებული სხვადასხვა პროგრამების (მ.შ. სოციალური, ჯანდაცვის, განათლების, მეცნიერებისა და სხვა სფეროებში) სრული მოცულობით დაფინანსებას. ან, უკიდურეს შემთხვევაში, სახელმწიფო არ დადგეს ცალკეული პროგრამების დაფინანსების შენერების აუცილებლობის წინაშე.

ფისკალურ მდგრადობასთან მჭიდროდ დაკავშირებული კონცეფციაა სახელმწიფო ვალის მდგრადობა. საერთაშორისო სავალუტო ფონდის განმარტებით, სახელმწიფო ვალი შეიძლება განვიხილოთ, როგორც მდგრადი, როცა თავდაპირველი ბალანსი, რომელიც საჭიროა ვალის სტაბილიზაციისათვის ფისკალური მდგრადობის საბაზისო და რეალისტური შოკური სცენარების მიხედვით, არის ეკონომიკურად და პოლიტიკურად თავსებადი რეფინანსირების დაბალ რისკთან და პოტენციური ზრდის დამაკმაყოფილებელ დონეზე შენარჩუნებასთან. პრაქტიკაში ფისკალური მდგრადობა თავდაპირველად ფასდება იმით, თუ რამდენადაა შესაძლებელი მიმდინარე ფისკალური პოლიტიკის შენარჩუნება სახელმწიფოს ვალის ზრდად ბილიკზე დადგომის გარეშე.

მიუხედავად იმისა, რომ ეკონომიკურ ლიტერატურაში ერთიანი მოსაზრება ფისკალური მდგრადობის შესახებ არ არსებობს, შედარებით გავრცელებულია განსაზღვრება, რომლის მიხედვითაც ფისკალური პოლიტიკა ფასდება, როგორც მდგრადი, თუ მომავალი პერიოდების პირველადი პროფიციტების მიმდინარე ღირებულება უტოლდება სახელმწიფო ვალის მიმდინარე ღირებულებას. ეს განსაზღვრება გამოდინარეობს პერიოდთაშორისი საბიუჯეტო შეზღუდვის პირობიდან და მდგრადობის დასადგენად რამდენიმე ინდიკატორის შედგენის საშუალებას იძლევა. კერძოდ, სახელმწიფო შეიძლება შეფასდეს გადახდისუნარიანად, თუ მას გააჩნია მომავალი პერიოდის ბიუჯეტების პროფიციტების ხარჯზე დროის უსასრულო პერიოდში სახელმწიფო ვალდებულებების დაფარვის უნარი. სხვა სიტყვებით, სახელმწიფო გადახდისუნარიანია, თუ დაცულია პერიოდთაშორისი საბიუჯეტო პირობა.

ფისკალური მდგრადობის კარგი ინდიკატორი ნათელ და ადვილად ინტერპრეტირებად შეტყობინებას უნდა გვაძლევდეს იმის შესახებ, მიგვიყვანს თუ არა მიმდინარე პოლიტიკა ვალი / მშპ თანაფარდობის ზრდამდე. თუმცა, კარგი ინდიკატორებიც კი არ იძლევა იმის დადგენის საშუალებას, თუ რა ზომით მოხდეს ბიუჯეტის დეფიციტის შემცირება და როდიდან დაიწყოს ეს პროცესი. ფისკალური მდგრადობის მისაღწევად საჭირო მაკორექტირებელი ღონისძიებები საზოგადოდ ხორციელდება ან გადასახადების ზრდის, ან დანახარჯების შემცირების გზით. ბიუჯეტის დასაძლევად და დეფიციტის შესამცირებლად საგადასახადო ტვირთის ზრდამ, ან ინფრასტრუქტურული ხარჯების შემცირებამ შესაძლოა გამოიწვიოს ეკონომიკური ზრდის ტემპების შენელება, რაც, საბოლოო ჯამში, საშუალოვადიან და გრძელვადიან მდგრადობაზე უარყოფით ზეგავლენას მოახდენს. ამიტომ, აქ მოსაძებნია ოქროს შუალედი, რაც საკმაოდ რთულად გადასაწყვეტი პრობლემაა.

საქართველოს ვალის ტვირთი განსაკუთრებით გაიზარდა 2003 წლის შემდგომ პერიოდში. თუ 2003 წლის მონაცემებით ქვეყნის მთლიანი საგარეო ვალი მხოლოდ 3,5 მილიარდ დოლარს შეადგენდა, საქართველოს მთლიანმა საგარეო ვალმა, 2016 წლის 3 მარტისათვის 2015 წლის სექტემბრის მდგომარეობით, 14,5 მლრდ აშშ დოლარს მიაღწია, რაც ქვეყნის მთლიანი შიდა მშპ-ის თითქმის 100 პროცენტს შეადგენს. მათ შორის, სახელმწიფოს საგარეო ვალი 5,9 მლრდ აშშ დოლარს, მშპ-ის დაახლოებით 40 პროცენტს შეადგენს. სამთავრობო სექტორის ვალი 4,5 მლრდ აშშ დოლარს, ეროვნული ბანკის ვალდებულებები - 225,9 მლნ აშშ, ხოლო სახელმწიფო საწარმოების ობლიგაციები და სესხები შესაბამისად - 769,2 მლნ და 615,7 მლნ აშშ დოლარს შეადგენს. საბანკო სექტორის საგარეო ვალმა 2,8 მლრდ აშშ დოლარი (6,6 მლრდ ლარი; მშპ-ს 18,9 პროცენტი), სხვა სექტორების საგარეო ვალმა - 4,1 მლრდ აშშ დოლარი (9,8 მლრდ ლარი; მშპ-ს 27,8 პროცენტი) და კომპანიათაშორისო ვალმა - 3,0 მლრდ აშშ დოლარი (7,1 მლრდ ლარი; მშპ-ს 20,1 პროცენტი) შეადგინა.

საქართველოს საგარეო ვალში მთავრობისა და ეროვნული ბანკის წილი 33 %-ს შეადგენს (2004 წლის 63%-ის ნაცვლად), დანარჩენი კი კერძო სექტორზე მოდის. უნდა შევნიშნოთ, რომ აღნიშნული სტრუქტურული ცვლილება ერთი მხრივ დადებითად შეიძლება შეფასდეს, რადგან საზოგადოდ ამ სექტორის დაფინანსების ზრდა ქვეყნის მომავალი ეკონომიკური ზრდის ხელშემწყობ ფაქტორად განიხილება, თუმცა, მეორე მხრივ, ეს ცვლილება ასევე ზრდის სახელმწიფოს პირობით ვალდებულებებს და, შესაბამისად, გათვალისწინებული უნდა იქნეს ქვეყნის ვალის მართვის სტრატეგიის შემუშავების დროს.

დღეისათვის, საქართველოს საგარეო ვალის მართვის სტრატეგიის შემუშავებას, გასათვალისწინებელია სხვა განვითარებადი ქვეყნების გამოცდილება. ამ სფეროში განხორციელებული კვლევები მოწმობს რომ, ქვეყნები, რომელთა საგარეო ვალის წილი მშპ-ში 20-40%-ის ფარგლებში მერყეობდა, ყველაზე ხშირად დადგნენ სავალო კრიზისის წინაშე.

საქართველოში ფისკალური მდგრადობის უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია ფისკალური რისკების გამოვლენის, გამჟღავნებისა და მართვის ეფექტიანი სისტემის შემუშავება.

ფისკალური რისკები განისაზღვრება, როგორც ფისკალური შედეგების ბიუჯეტით ან სხვა სახის პროგნოზებით განსაზღვრული შედეგებიდან შესაძლო გადახრა, რომლებიც შეიძლება გამოწვეული იყოს მაკროეკონომიკური შოკებით ანდა პირობითი ვალდებულებების განხორციელების მოთხოვნით.

ფისკალური რისკის წყარო შეიძლება იყოს შოკები, რომლებიც ზემოქმედებს ისეთი სახის მაკროეკონომიკურ ცვლადებზე, როგორიცაა: ეკონომიკური ზრდის ტემპი, სასაქონლო ფასები, საპროცენტო განაკვეთი ან გაცვლითი კურსი. ასევე, სხვადასხვა სახის პირობითი ვალდებულებების შესრულებაზე წარმოშობილი მოთხოვნები, რომელიც, თავის მხრივ, შეიძლება დაიყოს “ცხადი სახის ვალდებულებებად”, რაც განსაზღვრულია ბიუჯეტის შესახებ კანონით ან კონტრაქტით (მაგალითად ვალის გარანტიები), ან “არაცხად ვალდებულებებად”, რომლებიც ეფუძნება საზოგადოების მოლოდინებს ან ზეწოლას (მაგალითად, ბანკების ან სახელმწიფო სექტორის საწარმოების გაკოტრების თავიდან აცილების მოთხოვნა).

პირობითი ვალდებულებების სხვადასხვა ტიპების ზემოქმედების ზომა ქვეყნების ფისკალურ მდგრადობაზე სულ უფრო იზრდება, რაც მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ნებისმიერი სახელმწიფოს, მ.შ. საქართველოს მიერ რისკის განსაჯაროებისა და რისკების მართვის შესაბამისი პოლიტიკის შემუშავების დროს.

ქვეყნის ფისკალური გამჭვირვალობის ზრდა საკრედიტო რეიტინგისა და საერთაშორისო კაპიტალის ბაზრებთან მისაწვდომობის ზრდასთან ასოცირდება. სხვადასხვა ქვეყნის მონაცემების საფუძველზე აგებული ეკონომეტრიკული მოდელების გამოყენებით ჩატარებული გამოკვლევებით დადგინდა, რომ ფისკალური გამჭვირვალობა პოზიტიურ კავშირშია ქვეყნების სუვერენულ რეიტინგებთან.

ფისკალური დანახარჯების ცვლილების გამომწვევი ძირითადი მიზეზებია: მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპის ცვლილება, გაცვლითი კურსის ცვლილება, პირობითი ვალდებულებების ზრდა საბანკო კრიზისების, ბუნებრივი კატაკლიზმებისა და ადგილობრივი ხელისუფლების გაკოტრებისა და დეფოლტის დროს.

გამოკვლევებმა გვიჩვენა, რომ საქართველოს ფისკალური მდგრადობის ზღვრული მაჩვენებლები, კერძოდ, სახელმწიფო ვალი/მშპ, სახელმწიფო ვალი/ბიუჯეტის შემოსავლები, სახელმწიფო ვალი/ექსპორტი ჯერჯერობით სახიფათო ზღვრებს (50%, 300%, 200%) ქვემოთაა, მიუხედავად ამისა, ეკონომიკური ინდიკატორების შოკ ტესტებმა გვიჩვენა, რომ ფისკალური მდგრადობა დაირღვევა პერმანენტული გრძელვადიანი ან მკაცრი მოკლევადიანი ეკონომიკური შოკების დროს. მაგალითად, თუ განმეორდება 2008-2009 წლების ეკონომიკური კრიზისის დონის შოკი, როდესაც ადგილი ჰქონდა ერთდროულად მშპ შემცირებას, ბიუჯეტის დეფიციტის ზრდასა და ლარის გაცვლითი კურსი გაუფასურებას. გამოთვლებმა აჩვენა, რომ დაბალი რისკის მატარებელი ფისკალური მდგრადობის შესანარჩუნებლად საშუალოვადიან და გრძელვადიან პერიოდში საჭიროა მომავალი 5 წლის განმავლობაში ეკონომიკური ზრდის ტემპი იყოს 7%-ზე მაღალი და ბიუჯეტის დეფიციტი დაუბრუნდეს 2016 წლიდანვე დასაშვებ ნორმას.

2016 წელს ფისკალური მდგრადობის უზრუნველსაყოფად მხედველობაშია მისაღები 2013-2015 წწ-ში ქვეყნის ფისკალურ მდგრადობაზე უარყოფითად მოქმედი ისეთი ფაქტორიც, როგორიცაა სახელმწიფო ბიუჯეტის წლიური დეფიციტის კვარტალური განაწილება, რომელიც ამ წლებში ხასიათდებოდა მკვეთრად გამოხატული უთანასწორობით. ამ წლებში, აღნიშნული მიზეზის გამო, ბიუჯეტის დეფიციტის მთლიანი ტვირთი წლის ბოლო თვეებზე მოდიოდა, რაც ეროვნული ვალუტის გაუფასურების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად გადაიქცა.

ქვეყნის ფისკალური მდგრადობის შესწავლისას ყურადღება უნდა მიექცეს ასევე გათვალისწინებელი ვალდებულებების (მაგალითად, მომავალი სოციალური ვალდებულებები, სახელმწიფო კორპორაციების ვალეები და სხვა) განსაზღვრას, საქართველოს მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის ცვლილებას, პენსიონრების წილის ზრდას მოსახლეობის რიცხოვნობაში (პროგნოზის მიხედვით უახლოეს მომავალში ეს მაჩვენებელი მოსახლეობის რიცხოვნობის 30%-ს გადააჭარბებს), რაც მნიშვნელოვნად გაზრდის მომავალი წლების საპენსიო ხარჯებს. ასევე, გასათვალისწინებელია ის მოსალოდნელი რისკები, რაც დაკავშირებულია სახელმწიფო სექტორის მთლიანი ვალის მაღალ მოცულობასთან (მ. შ. სახელმწიფო საწარმოების და საჯარო სამართლის იურიდიული პირების ვალი, ბიუჯეტის მთლიან ხარჯებში მისი მაღალი ხვედრითი წილის (1,5 მილიარდ ლარზე მეტი 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში) გათვალისწინებით, რაც სიდიდის მიხედვით უტოლდება სოციალური და ჯანდაცვის სფეროზე მთლიანად გაწეულ ხარჯებს.

2012 წლის შემდგომ პერიოდში ფისკალური მდგრადობაზე მოქმედი ძირითადი ფაქტორები საქართველოში:

- საქართველოში ფისკალური მდგრადობის შენარჩუნებისათვის მნიშვნელოვანი გამოწვევაა სოციალურად ორიენტირებული ბიუჯეტი – საყოველთაო დაზღვევისა და საყოველთაო ჯანდაცვის სახით;

- სახელმწიფო ბიუჯეტის მთლიან ხარჯებში სახელმწიფო სუბსიდების მაღალი ხვედრითი წილი.
- საბიუჯეტო ხარჯების დაფინანსებაში საგარეო და საშინაო ვალების მნიშვნელოვანი მოცულობები. შიდა და საგარეო ვალების აღების ტემპებით რეგიონში ერთ-ერთ მოწინავე ადგილზეა.
- ქვეყნის საგარეო ვალის მაღალი ხვედრითი წილის გამო გაიზარდა საგარეო ვალის ტვირთი, რამაც შესაძლოა საშუალოვადიან პერიოდში სერიოზული საფრთხე შეუქმნას ფისკალურ სტაბილურობას.
- ქვეყნის ფისკალურ მდგრადობაზე გავლენა მოახდინა რეგიონში შექმნილმა რთულმა ეკონომიკურმა სიტუაციამ, კერძოდ, მნიშვნელოვნად შემცირდა ამ ქვეყნებში ჩვენი ქვეყნის ექსპორტის მოცულობები, ასევე, ამ ქვეყნებიდან პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინებები და ამ ქვეყნებში დასაქმებული ჩვენი მოქალაქეების გზავნილები უცხოურ ვალუტაში, რაც წინა წლებში ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთ მთავარ ხელშემწყობ ფაქტორებად (ქვეყნის დაბალი დანახოების გამო) განიხილებოდა.
- აქედან გამომდინარე, ფისკალურ სფეროში არსებითი ხასიათის რეფორმების განხორციელების გარეშე, შესაძლოა, სერიოზული რისკების ქვეშ დადგეს არა მხოლოდ ქვეყნის ფისკალური მდგრადობის, არამედ მთლიანად მაკროეკონომიკური სტაბილურობის უზრუნველყოფა.
- ფისკალური სფეროს მდგრადობის უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია:
 - საპენსიო რეფორმის დროული გატარება (მოსახლეობის დაბერების ზრდადი ტენდენციის გათვალისწინებით).
 - ბიუჯეტის დაგეგმვის პროგრამული მიდგომის დახვეწა და მისი ხარჯვითი ნაწილის ოპტიმიზაცია.
 - მმართველობითი აპარატის სტრუქტურის ოპტიმიზაცია დაფინანსების მოცულობის მნიშვნელოვანი ზომით შემცირების მიზნით.
 - ეკონომიკური ზრდის დაჩქარების ხელშემწყობი მიმართულებების (განათლების, მეცნიერებისა და ჯანდაცვის პროგრამების) პრიორიტეტული დაფინანსება.
 - ბიუჯეტის დეფიციტის ეტაპობრივი შემცირება და მისი თანაბარი გადანაწილება საბიუჯეტო წლის განმავლობაში.
 - შიდა ვალის, როგორც დეფიციტის დაფინანსების ერთ-ერთი მზარდი წყაროს ეფექტური მართვა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Anderson. B., and Sheppard, J. (2009). Fiscal futures, institutional budget reforms, and their effects: What can be learned? *OECD Journal on Budgeting*, 2009(3).
2. Auerbach, A.J., and Gale, W.G. (2009). *The Economic Crisis and the Fiscal Crisis*, 2009
3. Cottarelli. C. and Moghdam R. (2011). Modernizing the framework for Fiscal policy and public debt sustainability Analyses. 2011.
4. Congressional Budget Office. *The Long-Term Budget Outlook*. Washington, DC: 2009.
5. Escolodo. J.(2010). A practical guide to Public Debt Dynamics, Fiscal Sustainability, and Cyclical Adjustment of Budgetary Aggregates. 2010.
6. European Commission. Fiscal Sustainability Report, 2012.
7. Krejdl, A. (2006). Fiscal sustainability: Definition, Indicators and Assessment of Czech Public Finance Sustainability, W/P series, 3/2006.
8. Manmohan. S.K., and Jaejoonn W. (2010). Public debt and Growth . IMF W/P. 2010.
9. Fiscal Risks: Sources, Disclosure, and Management. International Monetary Fund. 2008.
10. Muchiashvili. M. Fiscal Sustainability and the sustainability indicators. International Scientific Conference, “ Globalization and Statistics”. Proceedings, Tbilisi. 2014.
11. PMCG. Analysis of Medium Term Fiscal Policy Sustainability in Georgia. Tbilisi, Georgia, 2014.
12. Parliament Budget Office. (Muchiashvili M.). Methodological aspects of assessing fiscal sustainability. Tbilisi, Georgia. www.pbo.Parliament.ge. 2014.
13. Schick, A. (2005). Sustainable budget policy: Concepts and approaches. *OECD Journal on Budgeting*, 5(1), 107-125.
14. State Budget law 2013, 2014, 2015, 2016, the Ministry of Finance of Georgia.
15. Staff Guidance. Note for Public Debt Sustainability Analysis in Market Access Countries, IMF, 2013.
16. Tanner. E. (1989). Fiscal Sustainability: A 21 century Guide for the perplexed. IMF W/P. 1989.
17. Wyplosz. C. (2007). *Debt Sustainability Assessment: The IMF Approach and Alternatives*. HEI Working Paper No. 03/2007.
18. MOF.ge. State budget of Georgia, 2016. Tbilisi, Georgia.

FISCAL POLICY SUSTAINABILITY PROBLEMS IN GEORGIA

Annotation

Fiscal policy sustainability is an important factor of the economic growth of the country. The decrease of economic growth rates in Georgia and increased fiscal deficit and state debt (both, foreign and internal) of the country in 2012-2015 (moreover, Georgia ranks first in the region with its public debt as % of GDP increase from 2012-2015), have made it actual to assess the fiscal stability of the country both, in medium-term and long-term perspectives.

The analysis evidenced that by 2015, the marginal indicators of fiscal sustainability (public debt/ GDP, state debt/budget revenue and public debt/export) of Georgia remained below the thresholds. Despite this, the fiscal sustainability of Georgia may be threatened in the long-term perspective due to the different shocks (severe currency devaluation being an important factor among them), significant growth of the future social liabilities, growing scales of subsidies for different branches of economy and increasing gross external debt of Georgia (which already reached 100% of GDP). Without urgent adjustments in the fiscal policy, disclosures and management of fiscal risks, in the long run, the government of Georgia may find it necessary to drastically cut the budgetary expenses.

The article emphasizes that the macroeconomic stability and stable economic growth of Georgia in the medium-term and long-term perspective needs gradual adjustments of the fiscal policy.

იულია ონიანი

მაკროეკონომიკურ მახვენებლებზე ფასების ცვლილების გავლენის სტატისტიკური ანალიზი

ეკონომიკური მოვლენებისა და პროცესების შესწავლის სტატისტიკური მეთოდოლოგია საშუალებას იძლევა, გაანალიზდეს ქვეყნის ეკონომიკაში მიმდინარე პროცესები. წარმოდგენილ სტატიაში შეფასებულია ინფლაციური პროცესების ზემოქმედება, კერძოდ გაანალიზებულია ფასების დინამიკა და ეროვნული ვალუტის მსყიდველობითი უნარიანობის ცვლილება.

სტატისტიკის ეროვნული სამსახური თავის გამოცემებში აქვეყნებს მონაცემებს ფასების ყოველთვიური და წლიური ინდექსების შესახებ. გარდა ამისა, ფასების შესახებ მნიშვნელოვან მონაცემებს იძლევა ეროვნულ ანგარიშთა სისტემა (ეას). მასში მოცემულია მშპ-ისა და ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით მდლ-ის ინდექს-დეფლატორები; გამოყენების ძირითადი ელემენტების მიხედვით (დანახარჯები საბოლოო მოხმარებაზე, მთლიანი დაგროვება, საქონლისა და მომსახურების ექსპორტი და იმპორტი) – მშპ-ს ინდექს-დეფლატორი.

ცხრილი 1

ფასების ინდექსები საქართველოში (%-ში წინა წელთან)

მაჩვენებლები	2003	2008	2012	2014	2015
მშპ დეფლატორი	103,3	109,9	101,2	103,8	--
მდლ დეფლატორი	104,9	110,0	99,1	103,0	--
საბოლოო მოხმარებაზე დანახარჯების დეფლატორი	104,8	110,1	99,3	103,1	--
მთლიანი დაგროვების დეფლატორი	104,7	111,0	99,0	155,2	-
სამომხმარებლო ფასების ინდექსი	104,8	110,1	99,1	103,1	101,0
სამრეწველო პროდუქციის მწარმოებლის ფასების ინდექსი	105,4	109,9	101,6	102,9	107,5
სამშენებლო პროდუქციის ფასების ინდექსი	-	-	101,8	100,5	100,6
სატვირთო გადაზიდვებზე ტარიფის ინდექსი	-	-	98,1	102,3	112,3
ექსპორტის ფასების ინდექსი				91,3	110,9

პირველი ცხრილიდან ჩანს, რომ საქართველოში ფასების ყველაზე მაღალი ზრდა ფიქსირდება 2008 წელს, როცა სამომხმარებლო ფასების ინდექსმა 10.1 %-ით მოიმატა, მრეწველობის პროდუქციის მწარმოებლის ფასების ინდექსმა – 9,9%-ით, შემდგომ წლებში ფასების ზრდა რამდენადმე შენედა და 2012 წელს ფასები 0,9%-ით შემცირდა. თუმცა მომდევნო წლებში კვლავ ფიქსირდება ზრდის ტენდენცია. შემცირდა სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების ფასების ინდექსი, ხოლო სატვირთო გადაზიდვების ტარიფების ინდექსი 2015 წელს, 2012 წელთან შედარებით, თითქმის 14,5%-ით იმატებს.

საქართველოს ეას-ის მონაცემების საფუძველზე განისაზღვრა ფასების ზრდის ფაქტორის გავლენა მდლ-ის დინამიკაზე არა მხოლოდ მთელი ეკონომიკის მიხედვით, არამედ ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვითაც. გაანგარიშების მეთოდი მდგომარეობს შემდეგში: მდლ-ის მატებას შესადარ ფასებში ვუფარდებთ იმავე მაჩვენებელს მიმდინარე ფასებში, მიღებული შედეგი გვაძლევს წარმოების მოცულობის ხარჯზე წარმოებული მდლ-ის წილს.

გაანგარიშება ჩატარებულია სამი პერიოდის - 2003-2008 წწ., 2008-2012წწ. და 2012-2014 წწ. მონაცემების მიხედვით. მთლიანი დამატებული ღირებულების მოცულობა მიმდინარე ფასებში პირველ პერიოდში გაიზარდა 2,1-ჯერ, შესადარ ფასებში კი – 146,3%-ით. წარმოების მოცულობის ზრდის ხარჯზე მდლ-ის მატება შეადგენდა 42.1% (46,3:110,0), ხოლო ფასების ზრდის შედეგად – 57,9% (100-42,1).

წარმოების მოცულობის შემცირების პირობებში მდღ-ის ზრდა უმეტესწილად განპირობებულია ფასების ზრდით.

ცხრილი 2

ფასების ზრდის ხვედრითი წილი მდღ-ის მატებაში ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით საქართველოში მიმდინარე ფასებში (%-ში)

მაჩვენებლები	მდღ %-ში			წილი მატებაში %-ში		
	2008წ. 2003 წლის მიმართ	2012წ. 2008 წლის მიმართ	2014წ. 2012 წლის მიმართ	2003- 2008წწ.	2008- 2012წწ.	2012- 2014 წწ.
სოფლის მეურნეობა	-6,2	124,6	120,4	27,8	96,6	90,7
სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება	137,8	179,1	0,89	97,4	74,0	15,7
დამამუშავებელი მრეწველობა	2,2-ჯერ	151,6	4,9-ჯერ	77,6	95,7	24,5
ელ. ენერჯის, გაზისა და წყლის წარმოება და განაწილება	120,0	146,7	112,7	95,7	97,8	23,6
მშენებლობა	193,1	166,3	100,9	59,5	82,2	90,4
საბითუმო და საცალო ვაჭრობა	2,4-ჯერ	130,6	116,4	71,3	97,1	94,1
ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	152,7	117,3	123,3	83,3	96,1	82,0
საფინანსო საქმიანობა	3,5-ჯერ	143,3	131,0	57,1	97,3	57,3
ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და კომერციული მომსახურების მიღება	128,3	185,8	123,1	96,7	70,0	82,3
სახელმწიფო მართვა	9,3-ჯერ	0,89	98,1	60,2	92,1	99,2
განათლება	2,4-ჯერ	163,0	116,8	70,0	84,6	94,1
ჯანდაცვა და სოციალური მომსახურება	2,4-ჯერ	163,1	111,2	70,0	84,2	91,6
კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა	3-ჯერ	115,7	119,2	63,4	95,0	96,4
საკუთარი საცხოვრისის გამოყენების პირობითი რენტა	--	165,1	115,1	--	91,6	93,6
პროდუქციის გადაამუშავება შინამეურნეობების მიერ	130,4	125,2	109,7	96,9	96,7	90,4
შინამოსამსახურის საქმიანობა და შინამეურნეობების საქმიანობა, დაკავშირებული საქონლისა და მომსახურების წარმოებასთან საკუთარი მოხმარებისათვის	152,1	2,05-ჯერ	0,97	44,1	81,6	5,2
სულ მდღ ძირითად ფასებში	2,1-ჯერ	136,3	111,5	57,9	97,5	91,7
სულ მდღ შესადარ ფასებში	146,3	0,92	0,94	78,0	97,5	91,8
მშპ საბაზრო ფასებში	2,2-ჯერ	137,2	111,4	73,3	97,4	91,7

ფასობრივი ფაქტორის ხვედრითი წილის ზრდა მდღ-ის მატებაში მეორე პერიოდში პირველ პერიოდთან შედარებით 39,6 პროცენტული პუნქტით განისაზღვრება, ხოლო მესამე პერიოდში – 33,8 პროცენტული პუნქტით (ცხრილი 2). ამ ტენდენციას აქვს ადგილი ეკონომიკური საქმიანობის უმეტესი სახეების მიხედვით, გარდა სამთო-მოპოვებითი მრეწველობისა, სადაც ეს წილი შემცირდა. ხოლო, სოფლის მეურნეობაში, სახელმწიფო მმართველობაში, განათლებასა და ჯანდაცვაში ეს წილი როგორც მეორე, ისე მესამე პერიოდში პირველ პერიოდთან შედარებით მნიშვნელოვნად იზრდება.

ცალკე გაანგარიშება შესრულდა მთელი მრეწველობის დარგის მიხედვით, სადაც მდღ-ის ზრდის ინდექსმა მიმდინარე ფასებში პირველ პერიოდში შეადგინა 184,4 % მეორეში – 148,0%, ხოლო მესამე პერიოდში იგი 4,3-ჯერ გაიზარდა. შესადარ ფასებში კი შესაბამისად – 125,1 და 147,0 პროცენტით, ხოლო მესამე პერიოდში – 5,4-ჯერ. მაშასადამე, საქართველოში სამრეწველო პროდუქციის მატება მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით მესამე პერიოდის მიხედვით, ამასთან, მთელი ეკონომიკისაგან განსხვავებით, მრეწველობაში ფასების ზრდის ფაქტორის წილი მდღ-ის მატებაში მნიშვნელოვნად შემცირდა და მესამე პერიოდისათვის მდღ-ის მთელი მატება წარმოების მოცულობის გადიდების ხარჯზე მოხდა.

უნდა ითქვას, რომ რეფორმები, რომელიც განხორციელდა და ხორციელდება საქართველოს ეკონომიკაში, ძირითადად ეყრდნობა მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების გამოცდილებას, თუმცა ამ გამოცდილებამ თავიდან ვერ აგვაცილა კრიზისული მოვლენები. პირიქით, ამ რეფორმებმა გამოიწვია ინფლაციური პროცესების გაძლიერება. ინფლაციურ პროცესებს ადგილი აქვს მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებშიც, რომლისაგან გამოსვლას ყოველნაირად ცდილობენ ამ ქვეყნების პოლიტიკური მოღვაწეები და მეცნიერ-ეკონომისტები. ქვემოთ ცხრილ 3-ში მოგვყავს მონაცემები მშპ-ს ინდექსების შესახებ მსოფლიოს ქვეყნების მიხედვით.

მშპ-ს დინამიკა და ინფლაციის წილი მის ნომინალურ მატებაში (%-ში)

ქვეყნები	მშპ-ს ინდექს-დეფლატორი		მშპ მიმდინარე ფასებში		მშპ შესადარ ფასებში		ინფლაციის წილი მშპ მატებაში	
	2008	2012	2008წ. 2005 წლის მიმართ	2012წ. 2008 წლის მიმართ	2008წ. 2005 წლის მიმართ	2012წ. 2008 წლის მიმართ	2006-2008წწ	2009-2012წწ
საქართველო	109,9	101,2	155,5	137,1	120,9	105,7	62,3	84,6
აზერბაიჯანი	127,8	102,9	318,0	136,4	201,7	121,2	53,4	41,8
სომხეთი	105,9	98,8	159,2	112,1	123,4	112,8	60,5	94,2
რუსეთი	118,0	107,5	191,0	150,7	123,5	158,0	74,2	104,5
დიდი ბრიტანეთი	103,0	101,4	115,0	106,9	104,4	90,5	70,7	14,9
გერმანია	100,9	101,3	110,7	107,1	107,6	105,0	29,0	30,0
იტალია	102,5	101,8	109,5	99,5	102,3	95,7	76,1	103,8
საფრანგეთი	102,5	101,2	112,5	105,1	104,9	98,4	60,8	10,2
აშშ	102,2	101,8	113,7	109,7	104,3	97,7	68,6	6,3

წყარო. Россия и страны мира. 2014: Стат. сб. /Росстат-М., 2014.

ცხრილ 3-ში მოცემული ქვეყნების მიხედვით მშპ-ს ინდექს-დეფლატორი 2012 წელს, წინა წელთან შედარებით, ხასიათდება შემდეგი მატებით: საქართველო – 1,2%; აზერბაიჯანი – 2,9%; სომხეთი – 1,2% (მცირდება); რუსეთი – 7,5%; დანარჩენ ქვეყნებში მატება 1,4-1,8%-ის ფარგლებშია.

კონკურენტული საბაზრო ეკონომიკა ითვალისწინებს ეკონომიკის მართვაში სახელმწიფოს ზომიერ ჩარევას, რის შედეგადაც მინიმუმამდე უნდა იქნეს დაყვანილი ინფლაციის დონე და მასშტაბები. მაგრამ, სამწუხაროდ, ცხრილი 3-ის მონაცემები არ მეტყველებს ხელისუფლების მიერ განხორციელებული რეფორმების ეფექტურობაზე. მაშასადამე, განვითარებული ქვეყნების გამოცდილების საფუძველზე განხორციელებული რეფორმები, როგორც ეკონომიკის სფეროში, ისე სხვა სფეროებშიც, არ წარმოადგენს ნეგატიური პროცესების დამაბრკოლებელს. ასე მაგალითად, 2005-2008 წლამდე პერიოდში მშპ-ს მოცულობა ყველა განსახილველ ქვეყანაში იზრდება. ყველაზე დიდი ზრდა ფიქსირდება აზერბაიჯანში – დაახლოებით 3,2-ჯერ, მეორე ადგილზეა რუსეთი – 91,1%. მნიშვნელოვანი ზრდა ფიქსირდება საქართველოსა და სომხეთში – 55-59%. განვითარებულ ევროპულ სახელმწიფოებში მისმა ზრდამ შეადგინა 10-15%, აშშ – ში 13,7%.

2008 წლის ეკონომიკურმა კრიზისმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა როგორც საქართველოს, ისე სხვა ქვეყნების ეკონომიკასა და მისი განვითარების ტენდენციებზე. ასე მაგალითად, 2008-2012წლამდე პერიოდში საქართველოში მშპ-ს მატება 18,4 პროცენტული პუნქტით შემცირდა, ხოლო შესადარ ფასებში – 15,2 პროცენტული პუნქტით. ზოგადად თუ ვიმსჯელებთ, განვითარებული ქვეყნების მიხედვით 2008-2012 წწ. მშპ-ს მატების ტემპი მნიშვნელოვნად შენედა. იტალიაში კი შეინიშნება ამ მაჩვენებლის შემცირება. ამასთან, შესადარ ფასებში გაზომვისას შეინიშნება ამ მაჩვენებლის კიდევ უფრო შენელებული ზრდის ტემპი. მეტიც, ისეთ განვითარებულ ქვეყნებში, როგორცაა დიდი ბრიტანეთი, იტალია, საფრანგეთი, აშშ, მშპ-ის წარმოების მოცულობის შემცირება 1,6-9,5 პროცენტს შორის მერყეობს.

განხილული ქვეყნების უმეტეს ნაწილში ინფლაციის ფაქტორის წილი მშპ-ში მნიშვნელოვნია და ეს წილი მეორე პერიოდში პირველ პერიოდთან შედარებით იზრდება. ასე მაგალითად, საქართველოში 2006-2008 წლების მანძილზე ინფლაციის წილი მშპ-ს მატებაში შეადგენდა 62,3%, შემდგომ 2008-2012 წლებში იგი 84,6%-დე გაიზარდა, ხოლო რუსეთსა და იტალიაში ნომინალური მშპ-ს მატება მთლიანად ინფლაციის შედეგად მოხდა. ამასთან მნიშვნელოვნად შემცირდა ინფლაციური ფაქტორის წილი ისეთი ქვეყნების მშპ-ში, როგორცაა აშშ, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი და გერმანია.

ინფლაცია, ანუ ფულის გაუფასურება, ნიშნავს ფასების საერთო დონის ზრდას, რაც განპირობებულია წონასწორობის დარღვევით ბრუნვაში მყოფ ფულად მასასა და საქონლით უზრუნველყოფას შორის, რაც დამანგრეველ გავლენას ახდენს როგორც მაკრო, ისე მიკროეკონომიკურ პროცესებზე. ინფლაციის შედეგია **ეროვნული ვალუტის მსყიდველობითი უნარიანობის შემცირება**, რომელიც ზემოქმედებას ახდენს ყველა სავაჭრო ოპერაციაზე, ფულად ბრუნვაზე, შემოსავლების განაწილებასა და გამოყენებაზე, ირღვევა წონასწორობა პროდუქციის ბრუნვასა და ნომინალური შემოსავლების დინამიკას შორის, რომელიც მნიშვნელოვნად განსხვავდება მათი რეალური დონის ცვლილებისაგან.

ანალიზისათვის განვიხილოთ აშშ დოლარის მიმართ ლარის გაცვლითი კურსისა და საქართველოში ეროვნული ვალუტის მსყიდველობითი უნარიანობის შემცირების დინამიკა ცალკეული წლების მიხედვით (ცხრილი 4).

ლარის მსყიდველობითი უნარიანობის შემცირება 2001 წლის მიმართ (%-ში)

მაჩვენებლები	1995 (იმავე წლის ფასებში)	2003	2010	2014	2003წ.1995წ წლის მიმართ	2010წ. 2003წ. მიმართ	2014წ. 2010წ. მიმართ
ეკონომიკაში მთლიანად	31,4	-1,7	-38,8	-99,6	-5,4ჯერ	-22,8ჯერ	-2,6ჯერ
ლარის კურსი აშშ დოლართან მიმართებაში	1,239	2,146	1,782	1,765	173,2	-17,0	-1,0

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი.

როგორც მე-4 ცხრილიდან ჩანს, ლარის მსყიდველობითი უნარიანობა საქართველოში მნიშვნელოვნად მცირდება. ასე მაგალითად, 2003 წელს 1995 წელთან შედარებით იგი 5,4-ჯერ შემცირდა, ხოლო შემდგომ, 2003-2010 წლამდე პერიოდში, შემცირების ტემპი 17,4 პროცენტული პუნქტით იმატებს, თუმცა 2010-2014 წლამდე პერიოდში ეს ტემპი მნიშვნელოვნად იკლებს. იგივე ტენდენცია ახასიათებს ლარის კურსის ცვლილებას დოლართან მიმართებაში.

ეროვნულმა ბანკმა, რომელიც შეიმუშავებს ქვეყნის ფულად-საკრედიტო პოლიტიკას, ერთმანეთს უნდა შეუთავსოს ორი მიმართულება: შიგა ბაზარზე განახორციელოს ეროვნული ვალუტის მსყიდველობითი უნარიანობის შემცირების პოლიტიკა, ხოლო უცხოელ პარტნიორებთან ოპერაციებში ეროვნული ვალუტის კურსი უცხო ვალუტასთან მიმართებით დაიჭიროს უფრო მაღალ დონეზე.

ეროვნული ფულადი ერთეულის მსყიდველობითი უნარიანობის ცვლილება შიგა სამომხმარებლო ბაზარზე განისაზღვრება სამომხმარებლო ფასების ინდექსის მეშვეობით. საქართველოში მსყიდველობითი უნარიანობის ცვლილება სხვა ქვეყნებთან შედარებით უფრო დაბლა იწევს, კიდევ უფრო სწრაფად იწევს დაბლა ეს მაჩვენებელი რუსეთში (ცხრილი 5).

სხვა ქვეყნებთან შედარებით, ლარი აგრძელებს გაუფასურებას უფრო მაღალი ტემპით. 2013 წელს, 2005 წელთან შედარებით, მისი მსყიდველობითი უნარიანობა თითქმის 15, 8 პროცენტული პუნქტით შემცირდა. ამ პერიოდში თითქმის შესაბამისად – 6,5 და 10,9 პროცენტული პუნქტით შემცირდა აზერბაიჯანისა და სომხეთის ეროვნული ვალუტების მსყიდველობითი უნარიანობა, ხოლო რუსეთში – 10,9 პუნქტით. განვითარებულ ქვეყნებში ეს მაჩვენებელი მერყეობს 4,1-7,6 პროცენტს შორის.

ეროვნული ფულადი ერთეულის მსყიდველობითი უნარიანობის ცვლილება შიგა სამომხმარებლო ბაზარზე (%-ში 2005 წლის მიმართ)

ქვეყნები	2010 წელი	2013 წელი
საქართველო	-33,0	-48,8
აზერბაიჯანი	-39,0	-45,4
სომხეთი	-23,7	-34,6
რუსეთი	-38,6	-49,5
დიდი ბრიტანეთი	-13,0	-20,6
გერმანია	დარჩა იმავე დონეზე	-5,7
იტალია	დარჩა იმავე დონეზე	-6,5
საფრანგეთი	-7,4	-11,5
აშშ	-10,7	-16,0

წყარო: Россия и страны мираю 2014: Стат. сб. /Росстат-М.,2014.

მაშასადამე, წარმოდგენილი მასალებიდან ირკვევა, რომ საქართველოში, სხვა ქვეყნებთან შედარებით, ინფლაციის დონე გაცილებით მაღალია, რაც ეკონომიკის განვითარების ღირებულებითი მაჩვენებლების მიმდინარე ფასებში გაზომვისას, როგორც წესი, არ გაითვალისწინება. ამასთან, ინფლაციის ტემპი ჩვენი ქვეყნის ეკონომიკაში აღემატება იმ დონეს, რომელიც დასაშვებად არის მიჩნეული საბაზრო რეფორმების ძირითად კონცეფციებში, რომელიც ვარაუდობს, რომ საბაზრო მექანიზმი „მოკური თერაპიის“ შემდეგ მიგვიყვანს ბაზრის და ფასების სტაბილიზაციისაკენ, მაგრამ ეს ვარაუდი არ გამართლდა. მეტიც, საქართველოს ეკონომიკაში ინფლაცია ფაქტობრივად წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე მუშა ინსტრუმენტს, რომელიც ხელს უწყობს საბაზრო ეკონომიკური სისტემის ფუნქციონირებას. იგი სტიქიური პროცესია, რომელიც სუსტად რეგულირდება სახელმწიფოს მიერ და, არსებითად, ბაზრის წონასწორობის მთავარ საშუალებას წარმოადგენს.

ხელისუფლება ცდილობს რამდენადმე დაწიოს ინფლაციის დონე, რისთვისაც ის ახორციელებს ანტიინფლაციურ ღონისძიებებს. ფაქტობრივად კი ეკონომიკის მდგომარეობა ისეთია, რომ რეალური ანტიინფლაციური პოლიტიკის გატარება, ინფლაციის წარმომშობი მიზეზების აღმოფხვრა და ინფლაციის პერიოდული გაძლიერების აღმოფხვრა დღეს საქართველოში შეუძლებელია.

მოცემული მდგომარეობა ხაზს უსვამს ბაზრის ნეოკლასიკური თეორიის შეზღუდულობასა და უკმარისობას. ცხადია, რომ ამ თეორიის ინტერესს არ წარმოადგენს ეკონომიკის განვითარება და მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლება, არამედ, ახალ მესაკუთრეთა კლასის გამდიდრების მიზნით, კაპიტალის დაგროვება. ამდენად, ინფლაცია გამოდის, როგორც მოგებისა და კერძო კაპიტალის გადიდების ერთ-ერთი საშუალება და მაღალი საბაზრო კონკურენციის ხელშეწყობის მხარდამჭერი.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს ეროვნული ანგარიშები 2002-2014 წწ. სტატის. პუბლიკ. საქსტატი.
2. საქართველოს სტატისტიკური წელიწადეულები 2005-დან 2015 წლის ჩათვლით. სტატ. პუბლ. საქსტატი.
3. საქართველოს ეროვნული ბანკი.
4. Россия и страны мира, 2014: Стат. сб. /Росстат-М., 2014.
5. Статистика финансов, под. ред. В. Н. Салина, 2002. ст. 648 .

Iulia Oniani

STATISTICAL ANALYSIS OF THE IMPACT OF PRICE CHANGES ON MACROECONOMIC INDICATORS

Annotation

The paper discusses the impact of inflationary process evaluation. Particularly it is the analyses of price dynamics and the national currency purchasing power of change.

The analysis is conducted according to the data during three periods- 2003-2008 yy. 2008-2012 and 2012-2014 years. V is the volume in current prices increased by 2.1 times in the first period, the comparable prices -146.3% higher. Production volume increase of 42.1% increase in V's (46,3: 110,0), while 57.9% as a result of price increase - (100-42,1). Production volume reduction of the price increase is due to the majority of the V-growth.

The paper analyzes the inflationary process of the world's countries. In most countries the inflation factor of GDP is important and this share in the second period is compared with the first period increases.

The article analyzes the dynamics of reducing purchasing power of the national currency in Georgia. The analysis shows that Georgia's purchasing power compared to other countries is lower. This figure is even lower in Russia.

It is obvious that in Georgia inflation rate compared to other countries is much higher, also the rate of inflation exceeds the level of our country's economy, which is considered to be admissible, the basic concepts of market reforms.

მიხეილ ჩიკვილაძე

მაკროეკონომიკური ზრდა და ლარის კურსი: პრობლემები, პერსპექტივები საქართველოში

საქართველოს ეროვნული ვალუტა დოლარის მიმართ მიმდინარე წლის მარტის დასაწყისიდან რეველვაციას განიცდის, ლარი სწრაფად მყარდება. საქართველოს მოსახლეობამ კარგად იცის, რომ ლარის კურსი 2 ლარი და 49 თეთრის ნიშნულზეც კი იყო ასული და წელიწადნახევრიანი პერიოდი ამავე ნიშნულით დაასრულა, რამაც საქართველოს ეკონომიკური ზრდის პროცესი საგრძნობლად შეაფერხა. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო პერიოდში ეროვნული ბანკი აქტიურად ერევა ამ პროცესებში – სავალუტო ბაზარზე ყიდულობს დოლარს და ცდილობს, ლარის გამყარება სწრაფად არ მოხდეს, კურსი კვლავ მაღლა იწევს, ბოლო ორ თვეში საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 196 მლნ დოლარი შეისყიდა სავალუტო აუქციონების მეშვეობით.

უნდა აღინიშნოს, რომ ლარი სწრაფად მყარდება და ეროვნულ ბანკს კიდევ უფრო მეტი დოლარის შესყიდვა სჭირდება კურსის სტაბილურობის შესანარჩუნებლად, ამის დასადასტურებლად ისიც მეტყველებს, რომ მარტში 5 მლნ დოლარის შესყიდვა საკმარისი იყო კურსის ნახტომების შესანარჩუნებლად, 20 მაისის ვაჭრობისას ეროვნულმა ბანკმა უკვე 40 მლნ დოლარი შეისყიდა, ამ პირობებში თუ გავანალიზებთ არსებულ ეკონომიკურ მაჩვენებლებს, ნაწილობრივი გაუმჯობესება ფინანსურ მონაცემებში მართლაც შეიმჩნევა, კერძოდ იანვარ-აპრილში საქართველოში საქონლით საგარეო ვაჭრობის ბრუნვამ 3287 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე 8%-ით მეტია, აქედან ექსპორტი 608 მლნ აშშ დოლარს შეადგენს, რაც 12%-ით ნაკლებია, ხოლო იმპორტი 2679 მლნ აშშ დოლარია, რაც 14 %-ით მეტია შესაბამის პერიოდთან შედარებით.

საქართველოს უარყოფითმა სავაჭრო ბალანსმა 2016 წლის იანვარ-აპრილში 2071 მლნ აშშ დოლარი და საგარეო სავაჭრო ბრუნვის 63% შეადგინა. აღსანიშნავია, რომ უმსხვილესი საიმპორტო-სასაქონლო ჯგუფი 2016 წლის იანვარ-აპრილში სამკურნალო საშუალებები იყო, რომლის იმპორტმა 723 მლნ აშშ დოლარი, ანუ მთელი იმპორტის 27% შეადგინა (მთავარი წილი C-ჰეპატიტის მედიკამენტებზე მოდის), რომელიც საჩუქრად გადმოეცა ქართულ მხარეს, რასაც უცხოური ვალუტის გადინება არ მოჰყოლია. ნიშანდობლივია ისიც, რომ 2016 წლის აპრილში ქვეყანაში შემოსული ფულადი გზავნილების ნაკადების მოცულობა 94,8 მლნ აშშ დოლარი, ანუ

214, 7 მლნ ლარია, რაც 4%-ით (3,7 მლნ დოლარით) მეტია 2015 წლის აპრილის ანალოგიურ მაჩვენებელზე.

არ შეიძლება არ აღინიშნოს ტურიზმიდან შემოსული თანხებიც, ეს ერთ-ერთი სფეროა, რომელიც ბოლო წლებში განუხრევლად იზრდება. 2016 წლის პირველ სამ თვეში საქართველოში შემოსული ვიზიტორების რაოდენობამ 1134 მლნ-ს მიაღწია, რაც 14,7 %-ით აღემატება 2015 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს.

ეკონომიკის გაჯანსაღების მიზნით საქართველოს მთავრობამ მნიშვნელოვანი ღონისძიებების გატარება დაიწყო, კერძოდ საგადასახადო კანონმდებლობაში დაგეგმილი ცვლილებების გათვალისწინებით, გადასახადის გადამხდელებს 2011 წლამდე წარმოშობილი დავალიანებები ჩამოეწერებათ, უფრო მეტიც, 2011 წლამდე წარმოშობილი 14.1040 მლნ ლარის ოდენობის დავალიანება 69700 გადამხდელს ჩამოეწერება, 2013 წლამდე წარმოშობილი დავალიანებიდან ძირითადი გადასახადის 339.5 მლნ ლარის გადახდის შემთხვევაში 27380 გადასახადის გადამხდელს ჩამოეწერება სანქციები 632.5 მლნ ლარის ოდენობით. აღნიშნული ციფრები ფინანსთა სამინისტროს „განმარტებით ბარათშია“ ასახული, რომელიც „საგადასახადო კოდექსში“ დაგეგმილი ცვლილებების პროექტს ერთვის თან და სხვ.

საგადასახადო კანონმდებლობაში დაგეგმილი ცვლილებების ძირითადი ნაწილი მოგების გადასახადის რეფორმას ეხება, რომელიც ე.წ „ესტონურ მოდელს“ ეფუძნება. აღნიშნული მოდელის მიხედვით, მოგების რეინვესტირების შემთხვევაში, კომპანიები მოგებიდან გადასახადს არ გადაიხდიან, მოგება დაიბეგრება მხოლოდ მისი განაწილების დივიდენდად გაცემის შემთხვევაში.

მოგების გადასახადის რეფორმის გარდა, ცვლილებები ხორციელდება საგადასახადო ადმინისტრირების გამარტივების მხრივაც, კერძოდ საგადასახადო დავის პერიოდში პირის საბანკო ანგარიშზე ყადაღა მხოლოდ სასამართლოს თანხმობით განხორციელდება, ხოლო საგადასახადო შემოწმებას კი მხოლოდ საგადასახადო ორგანოები განახორციელებენ, ამავე პროექტით, კომპანია, რომელიც ძირითად საშუალებებს დამატებული ღირებულების გადასახადით დასაბეგრ ოპერაციებში იყენებს, ძირითადი საშუალებების იმპორტისას დღგ-ს თანხას აღარ გადაიხდის.

მნიშვნელოვნად გვესახება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს გადაწყვეტილება უაღკოპოლო სასმელების ელექტრონული მარკირების შესახებ (მარკირების საფასური დამოკიდებული იქნება მარკირებული პროდუქციის რაოდენობაზე), ამ გადაწყვეტილების მიღება განაპირობა, იმ ფაქტორმაც, რომ, შემოსავლების სამსახურის ინფორმაციით, ბაზარზე წელიწადში უაღკოპოლო სასმელების დაახლოებით 500 მლნ ბოთლი ადგილობრივი და იმპორტული პროდუქტი ბრუნავს, რომელიც ყოველწლიურად უნდა დაიმარკოს, რაც ბიუჯეტს დამატებით შემოსავალს მოუტანს.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, დღეს შეიძლება ითქვას, რომ ეროვნული ვალუტისადმი ნდობა და მოლოდინები საზოგადოებაში საგრძნობლად მატულობს, რაც სტიმულს აძლევს ბიზნესს, თავისი ეკონომიკური საქმიანობა მყარად დაგეგმოს მაღალი მოგების მისაღებად.

Mikheil Chikviladze

ECONOMIC GROWTH AND EXCHANGE RATE FOR GEL. PROBLEMS, PROSPECTS IN GEORGIA

Annotation

The presented conference article includes ongoing event in Georgian economic, the special attention is paid to tendency of GEL exchange rate against dollar from March of the current year till the present. It is well-known that during the last year and a half GEL exchange rate is 2.49 Gel, that significantly reduced economic growth. The National Bank has to take a great efforts for maintaining stability of the exchange rate. The other economic trends about conditions of foreign trade turnover in Georgia, monetary transfers, tourism and of other sectors brought out attention as well. Accordingly, Georgian government has launched important measures: Planned changes in the tax law and other ones, those, which are aimed to increased confidence and expectation of the national currency. At the same time it gives a stimulus to business for receiving high profit.

მენტალურ მახასიათებელთა გამოყენება კროს-კულტურული ანალიზის პრაქტიკაში

XIX საუკუნის ბოლოს ეთნოლოგია წარმოადგენდა უფრო აბსტრაქტულ ფილოსოფიას, ვიდრე ცხოვრებისეული რეალობის პოზიტიურ კვლევას. XX საუკუნეში ეთნიკური ერთობების შესწავლა მათი თვისებრივი აღწერის დონეზე (ამა თუ იმ კულტურაში დომინირებული დამახასიათებელი ნიშნების ჩამოთვლით) არასაკმარისი აღმოჩნდა. ამ პერიოდში ჩატარებული კვლევების მონაცემების დამუშავების საფუძველზე შესაძლებელი გახდა რიცხობრივი ინდექსების გამოანგარიშება, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელია რაოდენობრივად განვსაზღვროთ, თუ რამდენად დიდია სხვაობა სხვადასხვა ერებს შორის ეთნიკური ნიშნის მიხედვით.

XX საუკუნის შუა პერიოდთან აბსტრაქტული ფილოსოფიური დასკვნები სხვადასხვა ქვეყნის კულტურებს შორის განსხვავებების შესახებ უკვე განმტკიცდა და შემოწმდა სტერეოტიპებისა და ფასეულობების მასობრივი კვლევის მონაცემებით. ამ დროიდან შეიძლება ვისაუბროთ ეთნომეტრიკაზე – კვლევების ახალ მიმართულებაზე, რომლის ყურადღების ცენტრშია ფორმალისტული (მათემატიკური) მეთოდების გამოყენების საფუძველზე სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების მენტალური მახასიათებლების ანალიზი.

ეროვნული მენტალობის ანალიზის უმნიშვნელოვანეს კომპონენტს წარმოადგენს მენტალური მახასიათებლების აღწერის კრიტერიუმების უნიფიკაცია. ასეთი კრიტერიუმების ძიება შესაძლებელია ორი ხერხით: პირველისათვის ამოსავალ წერტილს წარმოადგენს თეორიული მსჯელობები, ე.ი. ის იგება თვისებრივ კვლევებზე. მეორე დაფუძნებულია მასობრივი გამოკითხვების მონაცემებზე. რა გზაც არ უნდა იყოს არჩეული, მხედველობაში უნდა ვიქონიოთ ის, რომ პირველ და მეორე შემთხვევაშიც დასკვნების დასაბუთების აუცილებელ ელემენტს წარმოადგენს კროს-კულტურული შედარების მეთოდის (მულტიკულტურული მიდგომის) გამოყენება.

კულტუროლოგიური ინდიკატორების ყველაზე მსხვილი და ფართომასშტაბიანი კვლევა, რომელიც აგებულია რაოდენობრივი მახასიათებლების გამოვლენაზე, დაკავშირებულია ცნობილი მეცნიერის გ. ჰოფსტედის მოღვაწეობასთან [1; 2]. მეცნიერის კვლევაში ემპირიული ინდიკატორების არჩევანი წინასწარ განისაზღვრებოდა და თავდაპირველად ის არ იყო გამიზნული კულტურული უნივერსალების ძიებაზე, მაგრამ შემდეგ შეგროვებული მონაცემების შეჯერების საფუძველზე გამოვლენდა სხვადასხვა ქვეყნებს შორის არსებული განსხვავებები. კვლევის საფუძველზე მიღებული შედეგებით გამოიყო მანკენებლები, რომელთა საშუალებითაც შეიძლება სხვადასხვა ქვეყნისა და ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენელთა გაბატონებული ფასეულობითი სისტემების დახასიათება და აღწერა ისეთების როგორცაა: (PDI - Power Distance), (UAI - Uncertainty Avoidance); (IDV - Individualism); (MAS - Masculinity) და ბოლოს, კონფუციანური დინამიზმი (CDI - Confucian dynamism).

გ. ჰოფსტედის გამოკვლევა მიმდინარეობდა რამდენიმე ეტაპად. მისი პირველი საანკეტო გამოკითხვები მიეკუთვნება 1967-1969 და 1971-1973 წლებს [1]. ამ კვლევებში გამოყენებულმა მეთოდებმა შემდგომში მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა. ინდივიდუალიზმის მანკენებელი თავდაპირველად გაიანგარიშებოდა „რამდენად მნიშვნელოვანია“-ს სახის კითხვების საფუძველზე. მათ შორის იყო, მაგალითად, კითხვა „რამდენად მნიშვნელოვანია თქვენთვის, გქონდეთ ისეთი სამუშაო, რომელიც საკმარის დროს დაგიტოვებთ პირადი ან ოჯახური ცხოვრებისათვის“. რესპონდენტს ხუთქულიანი სკალით სთავაზობდნენ ცხოვრების იმ 14 მხარის შეფასებას, რომელიც დაკავშირებული იყო „შრომით მიზნებთან“. ფაქტორული ანალიზის ჩატარების შემდეგ IDV მანკენებლისთვის შეირჩა შემდეგი 6 ემპირიული ინდიკატორი (ცხრ. 1).

ცხრილი 1

მანკენებელი „ინდივიდუალიზმის“ ემპირიული ინდიკატორები

მახასიათებელი	ფაქტორული დატვირთვა ⁷⁶
1. საკუთარი თავის და საკუთარი ოჯახისთვის დროის გამოყენებისკენ სწრაფვა	(0,86)
2. თავისუფლების ფასი (სამუშაოს შესრულების ხერხის დამოუკიდებლად არჩევის შესაძლებლობა)	(0,49)
3. უარყოფითი დამოკიდებულება რუტინული სამუშაოსადმი (სწრაფვა ისეთი სამუშაოსადმი, რომელიც გვაძლევს მიღწევის, გამარჯვების შეგრძნებას)	(0,46)
4. შრომის უკუგება	(-0,63)
5. სამუშაოზე კომფორტულობისკენ სწრაფვა	(-0,69)
6. სწავლების ფასი (კვალიფიკაციის ამაღლებისკენ სწრაფვა)	(-0,82)

⁷⁶ ფაქტორულ დატვირთვაში იგულისხმება თითოეული მახასიათებლის მიხედვით ქვეყნის საშუალო მანკენებელსა და თვით ფაქტორს შორის კორელაციის კოეფიციენტი

თვით ავტორი შემდეგნაირად განმარტავდა ფაქტორული დატვირთვების დადებით და უარყოფით მნიშვნელობებს. ჰოფსტედის აზრით, პირველი სამი მეტყველებს ადამიანის დამოუკიდებლობის შესახებ იმ ორგანიზაციაზე, რომელშიც ის მუშაობს („პირადი ცხოვრება ცალკე, სამსახური ცალკე“), ხოლო ბოლო სამი, პირიქით, ხაზს უსვამს ადამიანის ძლიერ დამოკიდებულებას ორგანიზაციაზე („სამსახური და პირადი ცხოვრება ერთიანია“). IDV ინდექსი იცვლება 0-დან 100-მდე და ის მიღებულია ინდივიდუალიზმის ფაქტორის მნიშვნელობის გარდაქმნით (-2-დან +2-მდე) შემდეგი ფორმულით:

$$IDV = 50 + 25 * X,$$

სადაც X - ეს ფაქტორის მნიშვნელობაა.

ანალოგიური პროცედურები ხორციელდებოდა „მასკულინობის“ (MAS) მაჩვენებლისთვის. დარჩენილი ორი (PDI და UAI) მაჩვენებლის გაანგარიშების ფორმულას საფუძვლად დაედო საშუალო მნიშვნელობები.

ამ მეთოდოლოგიის გამოყენების შედეგად თავდაპირველად გამოკვლეული 40 ქვეყნიდან თითოეულმა ოთხმა განზომილების მიხედვით მიიღო რიცხობრივი შეფასებები 0-დან 100-მდე ინტერვალში. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნებს ეჭირა პოზიციები 0-დან 100-მდე, PDI და UAI მაჩვენებლების მნიშვნელობათა თეორიული ჩარჩოები იყო ბევრად უფრო ფართო. IDV და MAS მაჩვენებლების გამოანგარიშების სირთულის გამო, კითხვარის უფრო გვიანდელ ვერსიაში [3] გ. ჰოფსტედმა მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა.

ზემოთ აღწერილი ანკეტების გარდა არსებობს კიდევ ერთი (მოცემული მომენტისთვის ყველაზე პოპულარული) ანკეტის სახე, რომელიც ატარებს სახელწოდებას „ვასეულობათა კვლევის მოდული 1994“ (Value Survey Module 1994 – VSM 94). VSM ანკეტა შეიქმნა კულტურათაშორისი თანამშრომლობის კვლევით ინსტიტუტში (the Institute for research on Intercultural Cooperation – IRIC). 1980 წლიდან მისი ერთ-ერთი დამფუძნებელი იყო გ. ჰოფსტედი. VSM 94-მდე არსებობდა ამ ანკეტის სხვა ვერსიებიც - VSM 80 (კორპორაცია IBM-ს გამოკითხვაში გამოყენებული ანკეტის რამდენიმე გამარტივებული ვარიანტი), VSM 81, VSM 82. ეს ანკეტები განსხვავდებოდა როგორც კითხვების რაოდენობით, ისე მათი შინაარსით. მათი საშუალებით მიღებული მასალა, საფუძვლად დაედო VSM 94-ის შემუშავებას [4].

გ. ჰოფსტედის დამსახურებების აღიარებასთან ერთად მეცნიერები აღნიშნავენ მის მიერ შემოთავაზებული მაჩვენებლების სისტემის ნაკლოვანებებსაც. აქ მთავარი არგუმენტი არის მაჩვენებლების საექვო ოპერაციონალიზაცია. რიგ ნაშრომებში [5, პ. 423-475; პ. 127-150] აღნიშნულია თითოეული მაჩვენებლისთვის არჩეული ემპირიული ინდიკატორების განსხვავებულობა. მათში ხაზგასმულია, რომ ის მახასიათებლები, რომელთა მიხედვითაც იგება ინდექსები, მეტწილად ასახავენ თვით გ. ჰოფსტედის უპირატესობებს.

გ. ჰოფსტედის სისტემის მეორე ნაკლოვანება დაკავშირებულია მის მიერ გამოყენებული შერჩევის რეპრეზენტატიულობასთან.

მიუხედავად ამისა, ისინიც კი ვინც აღიარებენ გ. ჰოფსტედის მიერ შექმნილი ინსტრუმენტარიუმის ყველა ნეგატიურ თვისებას, როგორც წესი, არ უარყოფენ კულტურული უნივერსალიების არსებობას, უფრო მეტიც, აქტიურად იყენებენ ჰოფსტედისეულ გამოცდილებას. შედეგად, ზოგიერთი მეცნიერი, ჰოფსტედის მიერ წარმოდგენილი მაჩვენებლების ოპერაციონალიზაციის მიმართულებით გთავაზობს ახალ მიდგომებს. სწორედ ამ გზით წავიდა ორი სხვა მსხვილმასშტაბიანი კვლევა, რომლებიც ატარებენ კროს-კულტურულ ხასიათს: (ხელმძღვანელი რ. ჰოუზი) [7, p. 171-233; p. 503-520; 9; 10] და WVS (ხელმძღვანელი რ. ინგელჰარტი) [11, p. 19-51; 12].

საკვლევი პროგრამა ორგანიზაციებში ლიდერობისა და ქცევის გლობალური ანალიზი (GLOBE - Global leadership and organizational behavior effectiveness) - რ. ჰოუზის მიერ შემუშავებული და 1993 წელს დაწყებული კროს - კულტურული პროექტია, რომლის ჩარჩოებშიც გამოკითხულ იქნა 62 ქვეყნის წარმომადგენელი. პროექტის მთავარი იდეა მდგომარეობდა ეროვნულ, ორგანიზაციულ კულტურასა და ორგანიზაციულ ლიდერობას შორის ურთიერთკავშირების შესწავლაში.

პროექტი - WVS- ს (World Values Survey - მსოფლიო ფასეულობების გამოკვლევა) ჩარჩოებში იკვლევდნენ კულტურულ ტრადიციებს, როგორც პოლიტიკური და ეკონომიკური ქცევის ფორმირების ფაქტორს. ამ პროექტის ჩარჩოებში შესწავლილია დაახლოებით 65 სახელმწიფო. მთლიანობაში, GLOBE-ს და WVS კვლევის შედეგები ეთანაწეობა გ. ჰოფსტედის მიერ მიღებულ მონაცემებს.

მეცნიერები საქართველოდან არა მარტო მონაწილეობენ საერთაშორისო კროს-კულტურულ პროექტებში, არამედ, დასავლურ მიდგომებსა და კონცეფციებზე დაყრდნობით, ატარებენ ორიგინალურ კვლევებსაც. ხაზი უნდა გაეუსვათ იმას, რომ გ. ჰოფსტედის მეთოდოლოგიის მიხედვით ჩატარებული კვლევები აგებული იყო სხვადასხვა კითხვარებზე (შემდგომ ჩვენ გამოვლივართ გ. ჰოფსტედის კითხვარის პირველი ვარიანტიდან, რომელიც შექმნილი იყო 1960-70-იან წლებში, რადგან მასში ჩადებულია კვლევის კონცეპტუალური საფუძველი, აგრეთვე, სწორედ ეს ვარიანტია უფრო მისაწვდომი ქართველი მკვლევრებისთვის წიგნით Hofstede G. Culture's Consequences: Intern Differences in Work-Related Values). სხვა კვლევებში გამოიყენება თითოეული მაჩვენებლის ხარისხო-

ბრივი აღწერა და მის საფუძველზე საკუთარი სკალის აგების მეთოდოლოგია. მაგალითის სახით შეიძლება მოვიყვანოთ ნაშრომი [13].

კერძოდ, „განუსაზღვრელობის თავიდან აცილების“ მანქანებელი ჰოფსტედთან [1] იგება სამ ინდიკატორზე დაყრდნობით: ორიენტაცია წესებზე, ორიენტაცია მუდმივ სამუშაო ადგილზე და სტრესი.

1. „ორიენტაცია წესებზე“ იზომებოდა ხუთქულიანი სკალით („სრულად ვეთანხმები“ ან „სრულად არ ვეთანხმები“) და გამომდინარეობს მსჯელობიდან: „კომპანიის წესები არასოდეს არ უნდა დაირღვეს, მაშინაც კი, თუ თანამშრომელი თვლის, რომ ეს კომპანიის ინტერესებშია“.

2. „მუდმივი სამუშაო ადგილი“ იზომებოდა სავარაუდო პასუხებით შემდეგ შეკითხვაზე: რამდენად დიდხანს აპირებთ ამ კომპანიაში მუშაობას?“ სავარაუდო პასუხები იყო შემდეგი: 1) ყველაზე დიდი, ორი წელი, 2) ორიდან ხუთ წლამდე, 3) ხუთ წელიწადზე მეტი, 4) სანამ არ გავალ პენსიაზე.

3. „სტრესის“ გასაზომად რესპონდენტებს უსვამდნენ კითხვას – „სამსახურში რამდენად ხშირად გრძნობთ ნერვიულობასა და დაძაბულობას?“ პასუხები დაჯგუფდა 1-დან („ხშირად განვიცდი ამ გრძნობას“) 5 ქულამდე („არასოდეს ამას არ განვიცდი“).

ამ ოპერაციონალიზაციაში გარკვეული ცვლილებები შეიტანა მეცნიერმა ა. ნაუმოვმა [13]. მასთან ეს მანქანებელი ეყრდნობა უკვე ხუთ მახასიათებელს: (სამუშაო პროცედურების სტანდარტიზაციის სარგებლიანობა, მუშაობაში წესებისა და დებულებების მნიშვნელობა, მუშაობის შესახებ ინსტრუქციების მნიშვნელობა, ინსტრუქციების ზუსტი შესრულების მოლოდინი და სამუშაოსთან დაკავშირებული მითითებების დეტალიზაცია). ა. ნაუმოვმა ოპერაციონალიზაციის საფუძველად აიღო გ. ჰოფსტედის მხოლოდ ერთი ინდიკატორი – ორიენტაცია წესებზე. ეს ინდიკატორი, ალბათ, საკვანძო მოცემულ მანქანებელში, მაგრამ მაინც არა ერთადერთი. მეორე მხრივ, მხოლოდ ერთი საკვანძო ინდიკატორის არჩევით ა. ნაუმოვმა თავისი კვლევა მიმართა ზოგადკულტურული პრობლემატიკიდან ბიზნესისა და მართვის კულტურის ანალიზისაკენ.

საქართველოში 2014 წლიდან ჩატარებულ გამოკვლევებში ჩვენ ამავე გზით წავედით, რადგან ჩვენი კვლევების მიზანს შეადგენდა მოსახლეობის შესახებ მთლიანი მანქანებლების მიღება, ამიტომ საფუძველად ავიღეთ ისეთ კითხვარი, რომელიც შეიცავდა ინფორმაციას არა მარტო შრომითი საქმიანობის ფასეულობების შესახებ.

შედარებისთვის განვიხილოთ იგივე მანქანებელი, როგორც წინა შემთხვევაში. რესპონდენტებს სთავაზობდნენ ალტერნატიული მსჯელობების სიას: „მსურდა მეცხოვრა იქ, სადაც...“ (ცხრ. 2) და თუ რესპონდენტი სრულად ეთანხმებოდა მსჯელობას, რომელიც მდებარეობდა მარცხნივ, მაშინ უნდა შემოეხაზა ციფრი „1“, თუ ის ეთანხმებოდა მსჯელობას მარჯვნივ, მაშინ ციფრი „5“. თუკი მას უძნელდება უპირობოდ დაეთანხმოს ორივე მტკიცებულებას, მაშინ უნდა შემოეხაზა „2“ ან „4“ იმის მიხედვით, თუ რომელი მიდგომა უფრო მისაღები იყო მისთვის. ბოლოს, თუ ორივე აზრი მისთვის იყო ერთნაირად მისაღები, უნდა შემოეხაზა ციფრი „3“.

ცხრილი 2

კითხვარის ფრაგმენტი „განუსაზღვრელობის თავიდან აცილების“ გასაზომად

მსურდა მეცხოვრა იქ, სადაც... 1–სრული თანხმობა მარცხნივ განლაგებული მტკიცებით, 5–სრული თანხმობა მარჯვნივ განლაგებული მტკიცებით, 2 და 4 ამა თუ იმის უპირატესობა, 3 – ერთნაირი თანხმობა მათთან		
ბავშვებს ოჯახებში ასწავლიან, განუსაზღვრელ და წინასწარ განუჭვრეტელ სიტუაციებს მოეპყრონ როგორც ყოველდღიური ცხოვრების ნორმალურ მოვლენას	1 2 3 4 5	ბავშვებს ოჯახებში ასწავლიან, თავი აარიდონ განუსაზღვრელ და წინასწარ განუჭვრეტელ სიტუაციებს, მისწრაფოდენ სიცხადისკენ ურთიერთობებში
ადამიანმა ყოველთვის თან არ უნდა ატაროს დოკუმენტები (პასპორტი, მოწმობა და ა.შ.)	1 2 3 4 5	ადამიანმა ყოველთვის თან უნდა ატაროს დოკუმენტები (პასპორტი, მოწმობა და ა.შ.)
კოლექტივში წარუმატებლობების და ჩავარდნების შესაძლებლობების მიუხედავად, მიესალმებიან რისკისადმი მზადყოფნას	1 2 3 4 5	კოლექტივში მიესალმებიან სტაბილურობის შენარჩუნებას, რისკის თავიდან აცილებას
კოლექტივში დადებითად ექცევიან მათ, ვისი აზრი და ქცევა არ ემთხვევა უმრავლესობის აზრსა და ქცევას	1 2 3 4 5	კოლექტივში მიღებულია ის, რომ ყველა წევრის აზრები და მოქმედებები შეთანხმებული იყოს
არსებობს საკმაოდ მცირე რაოდენობის წესი, რომელსაც უნდა დავემორჩილოთ	1 2 3 4 5	არსებობს მრავალი წესი, რომელსაც უნდა დავემორჩილოთ
ხელფასის რეგულარული მომატება უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სამსახურის შენარჩუნება	1 2 3 4 5	სამსახურის შენარჩუნება უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ხელფასის რეგულარული ზრდა

„განუსაზღვრელობის თავიდან აცილების“ ინდექსი გამოიანგარიშება როგორც ჯამური ქულა ყველა კითხვაზე, რომელიც შემდეგ მოიყვანებოდა ისეთ სახემდე, რომლის შეჯერება შესაძლებელი გახდებოდა გ. ჰოფსტედის მონაცემებთან (იმ პროცედურის ანალოგიურად, რომელსაც იყენებდა თვით ნიდერლანდელი მეცნიერი). ადვილი შესამჩნევია, რომ ცხრილი 2-ის მარცხენა სვეტში და-

ჯგუფებულა ცხოვრების წესის გამოვლინებები, რომლის დროსაც ადამიანები მოთმინებით ეპყრობიან განუსაზღვრელობას, განსხვავებას აზრებში, ხოლო მარჯვენა სვეტში კი – მათთვის მიუღებელია განსხვავებული აზრის ყველა გამოვლინება და რისკი. შედეგად მიიღება განუსაზღვრელობის თავიდან აცილების ფასეულობებისადმი რესპონდენტის რაოდენობრივი შეფასება (0-25 ქულა – განუსაზღვრელობის სუსტად თავიდან აცილება, 75-100 ქულა – განუსაზღვრელობის ძლიერი თავიდან აცილება).

ჩვენს შემთხვევაში გამოიყენებოდა შემდეგი მახასიათებლები - განუსაზღვრელობა, როგორც ცხოვრების ნორმა, რისკისთვის მზადყოფნა, სხვაგვარი აზრის ატანის უნარი, მოთხოვნილება დეტალურ კანონებსა და წესებში, ცხოვრების ფორმალიზებულია. პირველი სამი მახასიათებელი მიეკუთვნება ინდიკატორს „სტრესი“, ხოლო უკანასკნელი ორი კი - „ორიენტაცია წესებზე“. ამით გ. ჰოფსტედის მიერ შემოთავაზებული სამი ინდიკატორიდან გათვალისწინებულ იქნა ორი. ამავე დროს, ინდიკატორი „სტრესი“ გათვალისწინება არაპირდაპირ.

2014-2015 წლებში გამოიკითხა საქართველოს ორი რეგიონის – ქართლისა და იმერეთის მცხოვრებლები. რესპონდენტების რაოდენობა შეადგენდა შესაბამისად 557 და 545 ადამიანს, გამოიყენებოდა სამსაფეხურიანი მეთოდოლოგია. პირველ საფეხურზე მიმდინარეობდა რაიონების შერჩევა სამი ბუნებრივ-გეოგრაფიული ზონის საზღვრებში, რომლებიც მდებარეობს რეგიონების ტერიტორიაზე. მეორე საფეხურზე მოხდა შერჩეული რეგიონების შიგნით სხვადასხვა ტიპის დასახლებების შერჩევა. მესამე ეტაპზე ტარდებოდა შერჩევითი ინტერვიუ სქესისა და ასაკის მიხედვით მოსახლეობის შემადგენლობის პროპორციების დაცვით. მიღებული მონაცემები (42% – ქართლისა და იმერეთის მცხოვრებლები, 38% – ქალაქების მცხოვრებლები, 20% – სოფლების მცხოვრებლები) შემდეგ კორექტირდა მაჩვენებლის – „დასაქმება“ – მიხედვით.

მიღებული მაჩვენებლები მნიშვნელობით ერთმანეთთან ახლოს მდგომი აღმოჩნდა (ცხრ. 3), რაც მეტყველებს საქართველოს ცენტრალური ნაწილის მენტალური სივრცის შეფარდებით მთლიანობაზე.

ამავე დროს შესამჩნევია გარკვეული დიფერენციაციაც: როგორც უნდა გვევარაუდა, დედაქალაქთან ახლოს მდებარე ქართლის რეგიონი გამოირჩევა ინდივიდუალიზმის მაღალი დონით და ძალაუფლების ნაკლები დისტანციით. როგორც ჩანს, რაც უფრო ახლოს ვართ ცენტრთან, მით უფრო ძლიერად ვლინდება კულტურის ელემენტები.

ცხრილი 3

ჰოფსტედისეული მაჩვენებლების მნიშვნელობები ქართლისა და იმერეთის რეგიონებისთვის (2014 – 2015)

მაჩვენებელი	ქართლი		იმერეთი
	2014	2015	2015
PDI	46,3	46,2	47,5
IDV	53,6	51,7	45,0
MAS	44,5	40,8	46,0
UAI	-	52,1	-
CDI (LTO)	-	48,9	-

ეთნომეტრიული მიდგომა გვაძლევს კიდევ ერთ საინტერესო შესაძლებლობას – გამოვყოთ ე. წ. კონფლიქტური ჯგუფები. უნდა ვივარაუდოთ, რომ ჯგუფები, რომლებიც ყველაზე ძლიერად განსხვავდებიან თავიანთი ღირებულებითი მაჩვენებლებით მოსახლეობის ძირითადი მასისაგან, არაადეკვატურ (კონფლიქტურ) სიტუაციებში მეტი წილი აღბათობით ავლენენ ქცევის დევიანტურ (სხვა კულტურისათვის მიუღებელ) ფორმებს. ამ თვალსაზრისით განვიხილოთ ქართლისა და იმერეთის რეგიონებში 2014 წელს ჩატარებული გამოკითხვების შედეგები სოციალური ჯგუფების მიხედვით (ცხრ. 4).

ჯერ ერთი, 2014 წელს ჩატარებული ქართლისა და იმერეთის რეგიონების შესწავლა საშუალებას გვაძლევს გავაკეთოთ დასკვნა იმის შესახებ, რომ მეწარმეთა ჯგუფი ძლიერ გამოიყოფა სამივე მაჩვენებლებით – მას პირველი ადგილი უჭირავს IDV და MAS მაჩვენებლების მიხედვით, მესამე და მეორე კი PDI მაჩვენებლის მიხედვით. ეს შედეგები ბიზნესის სფეროს, კონფლიქტური სიტუაციის წარმოქმნის შემთხვევაში ახასიათებს, როგორც ყველაზე ფეთქებად საშიშს და ნაკლებად პროგნოზირებადს. ამასთანავე, ყურადღება უნდა მიექცეს “ძალაუფლების შედარებით დიდ დისტანციას”, რომელიც მიუთითებს აღმოსავლურ ნიშნებზე ქართული მეწარმეობის სფეროში.

პოვსტედისეული მაჩვენებლები ქართლის და იმერეთის მიხედვით სხვადასხვა პროფესიული ჯგუფებისთვის (2014 წლის კვლევა)

სოციალური ჯგუფები	PDI		IDV		MAS	
	ქართლი	იმერეთი	ქართლი	იმერეთი	ქართლი	იმერეთი
მეწარმეები	47,7	47,9	54	63,1	54,3	52,3
მუშები	46,9	46,8	48,3	50,4	48,2	46,3
სტუდენტები	37,9	40,4	52,6	53,8	47,8	46,4
სამხედრო მოსამსახურეები	44,7	43,9	46,1	52,3	48,2	43,7
პენსიონერები	53,3	53,1	40,0	46,7	44	38,6
სახელმწიფო მუნიციპალური მოსამსახურეები	47,4	47,1	43,6	53,8	42,6	38,6
საინჟინრო-ტექნიკური მუშაკები	46,6	46,4	43,8	52,5	43,6	45,7
ინტელიგენცია	43,7	40,4	43,5	52	43	40,9

მეორე, საინტერესო დასკვნა მივიღეთ ისეთი ჯგუფის ანალიზის პროცესში, რომელიც ღირებულებებითი ორიენტაციებით მაქსიმალურად განსხვავდებოდა მეწარმეებისაგან.

იმისათვის, რომ გაგვეზომა საკვლევი ობიექტებს შორის მანძილი და ამით დაგვედგინა მათი მსგავსების ხარისხი, გამოვიყენეთ ევკლიდის მანძილის კვადრეტი (dist).

თავისი მენტალური მახასიათებლებით, მეწარმეთა საპირისპირო ჯგუფის როლზე პრეტენზია შეიძლება გააჩნდეს:

ქართლის შემთხვევაში: პენსიონერებს (dist = 16,4), ინტელიგენციას (dist = 13,1), საინჟინრო-ტექნიკურ მუშაკებს (dist = 12,1), აგრეთვე, სახელმწიფო და მუნიციპალურ მოსამსახურეებს (dist = 11,1)

იმერეთის შემთხვევაში კი – პენსიონერებს (dist = 22,6), ინტელიგენციას (dist = 16,2) და სახელმწიფო და მუნიციპალურ მოსამსახურეებს (dist = 12,7).

კვლევის შედეგი მოწმობს პენსიონერების, ინტელიგენციის, სახელმწიფო და მუნიციპალური მოსამსახურეების საზოგადოებრივ ცხოვრებაში ძალზე მცირე როლზე, ინტელიგენციის მხრიდან პასიურ სოციალურ პოზიციაზე და პენსიონერების მხრიდან ცხოვრების ახალი სტილის მიუღებლობაზე, დიქტომია „ბიზნესი-ხელისუფლება“ კი მოითხოვს განსაკუთრებულ ყურადღებას.

კონფლიქტი მეწარმეებსა და ჩინოვნიკებს შორის უკვე დიდი ხანია დაფიქსირებულია მეცნიერებისა და მკვლევრების მიერ. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ მეწარმეებისა და ჩინოვნიკების ისტორიულად ჩამოყალიბებულმა ურთიერთობებმა პოსტსაბჭოთა საქართველოში ეს ორი ჯგუფი უკვე მიიყვანა საკუთარი ინტერესების მქონე განსაკუთრებული სოციალური ჯგუფის გაცნობიერებამდე, მაშინ წინააღმდეგობები ჩინოვნიკებსა და მეწარმეებს შორის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს.

ჩვენ მიერ წამოყენებული ჰიპოთეზების დასადასტურებლად აუცილებლად მიგვაჩნია კვლევების შემდგომი გადრმავება. უპირველეს ყოვლისა, ყურადღება უნდა მიექცეს მეცნიერთა მიერ წამოყენებული სხვადასხვა კროს-კულტურულ კვლევებს, მეთოდის დაზუსტებას, გაფართოებასა და გადრმავებას. მეთოდოლოგიური ბაზის გადრმავების გარდა, საჭიროა მონაცემების ემპირიული ბაზის გაფართოება. ეთნომეტრიულმა კვლევებმა უნდა მოიცვას საქართველოს პერიფერიული რეგიონები. პრაქტიკულად, ყველა დღემდე ჩატარებული კვლევა ეხებოდა ცენტრალურ რეგიონებს, ხოლო პერიფერიები ჯერ კიდევ რჩება „ინკონიტო ტერიტორიად“. მეცნიერული კვლევების ერთ-ერთ ამოცანად უნდა იქცეს საქართველოს ეთნომეტრიული რუკის შედგენა (გეოგრაფიული მსგავსად), რომელიც გვიჩვენებს საქართველოს მოსახლეობის მენტალობის „რელიეფს“ და გამოყოფს პოტენციურად „ვულკანურ“ ოლქებს. ეთნომენტალური მახასიათებლების დინამიკაზე დაკვირვებისა და საერთაშორისო მენეჯმენტის მსოფლიო რუკაზე საქართველოს ადგილის განსაზღვრისთვის მიზანშეწონილია, ჩავატაროთ ჩვენი ქვეყნის შესწავლილი რეგიონების ყოველწლიური მონიტორინგი.

გამოყენებული ლიტერატურა

1. რ. ინგლჰარტი, კულტურა და დემოკრატია // როგორ უწყობენ ხელს ფასეულობები საზოგადოებრივ პროგრესს. მოსკოვი 2002. გვ. 106 – 128.
2. ა. ნაუმოვი, პოვსტედისეული გაზომვა (ეროვნული კულტურის გავლენა ბიზნესის მართვაზე) // მენეჯმენტი. 1996. № 3. გვ. 70-103.
3. თ. შენგელია „საერთაშორისო მენეჯმენტი“, თბ., უნივერსალი, 2012.
4. Hofstede G. Culture's Consequences: Intern Differences in Work-Related Values. Beverly Hills., 1980.

5. Hofstede G. Cultures and Organizations (Software of the Mind). Harper Collins Publishers, 1994.
6. Hofstede G., Kolman L., Nocolescu O., Pajumaa I. Characteristics of the Ideal Job among Students in Eight Countries // Key Issues in Cross-Cultural Psychology. 1996, P. 199-216.
7. IRIC (Institute for Research on Intercultural Cooperation) - <http://kubnw5.kub.nl/web/iric/index2.htm>
8. Roberts K., Boyacigiller N. Cross-national organizational research: The grasp of the blind men // Research in Organizational Behavior. 1984. Vol. 6. P. 423-475.
9. Dorfmann P.W., Howell J.P. Dimensions of national culture and effective leadership patterns: Hofstede revisited // Advances in international comparative management. 1988. Vol. 3. P. 127-150.
10. House R., Hanges P. Cultural influences on Leadership and Organizations. Project GLOBE // Advances in Global Leadership. 1999. Vol. 1. P. 171-233.
11. Koopman P., Hartog D., Konrad E. National Culture and Leadership Profiles in Europe: Some Results From the GLOBE Study // European Journal of Work and Organizational Psychology. 1999. Vol. 8. № 4. P. 503-520.
12. Inglehart R., Baker W. Modernization, Cultural Change, and the Persistence of Traditional Values// American Sociological Review. February 2000. Vol. 65. (<http://wvs.isr.umich.edu/index.html>).
13. R. Engelhart, Culture and Democracy // How values promote social progress. Moscow, 2002, pp 106-128.
14. A. Naumov, Hofstede's Measures (influence of national culture on business management) // 1996. # 3, pp 70-103.

Khatuna Berishsvili

USE OF MENTAL DETERMINANTS IN PRACTICE OF CROSS-CULTURAL ANALYSIS

Annotation

From mid-XX century abstract philosophical conclusions on differences between the cultures of various countries were proved and analyzed by the data of mass study of stereotypes and values.

The study we conducted highlights methodological problems of formalized ethnometric analysis, which concern the indicators of mental analysis in different social (first of all ethnic) groups. It presents methodological problems of ethnometric analysis and discusses the potentials for use of ethnometric measures. The results received from study of mentality are cited on the example of regions of Georgia – Imereti and Kakheti. In the result of the analysis different approaches have been revealed of various social groups to business and the need for their consideration have been revealed.

*ვახტანგ გოგისვანიძე
იზოლდა გაბადაძე
ინეზა წერეთელი*

საზოგადოებასთან ურთიერთობის (PR) როლი და მეთოდები ბიზნესში

ჯერ კიდევ ანტიკურ ეპოქაში, სავაჭრო და შემდეგ სამრეწველო ურთიერთობების წარმატებით განხორციელებისათვის მნიშვნელოვანი გახდა საზოგადოებრივი აზრის წარმოქმნისა და მასზე ზეგავლენის განხორციელების შესაძლებლობების შესწავლა. სამრეწველო რევოლუციამ და ინდუსტრიულმა ბუმმა PR-ის წარმოშობა გამოიწვია, რომლის სამშობლოდ ამერიკა ითვლება. რაც შეეხება საქართველოს რეალობას, მბრძანებლურ-ადმინისტრაციული სისტემის დროს არ არსებობდა კერძო საკუთრება და შესაბამისად უგულვებელყოფილი იყო კერძო ინტერესები. სახელმწიფო წვეტდა რამდენი, როგორ და ვისთვის ეწარმოებინა ესა თუ ის საქონელი ან მომსახურება. ის ახორციელებდა საზოგადოებისათვის ყველა რესურსის განაწილებასა და გადანაწილებას. ამიტომ საზოგადოებასთან ურთიერთობის საჭიროება აუცილებლობას არ წარმოადგენდა და სახელმწიფო აგიტაცია-პროპაგანდაზე იყო ორიენტირებული.

საქართველოში საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის შედეგად კერძო საკუთრებამ წინა პლანზე წამოსწია კერძო ინტერესები და PR-ის როლი სამომხმარებლო საზოგადოების პირობებში კიდევ უფრო გაზარდა. ბიზნესის შედეგები დამოკიდებული გახდა არა მარტო მომხმარებლებზე, არამედ მთელ სოციუმზე. მეოცე საუკუნის დასაწყისში ბიზნესკომპანიებმა ახლად შექმნილ PR სააგენტოებთან ერთად დაიწყეს მომხმარებლების კვლევა და პროდუქტების დიზაინის დახვეწა. კონკურენციის ზრდის კვალობაზე საჭირო გახდა ინდივიდუალური და განსხვავებული სახის მქონე პროდუქტების გამოშვება და მათზე სხვადასხვა სამომხმარებლო ღირებულებების გათვალისწინება. შესაბამისად, პიარის ფუნქცია ფსიქოლოგებს, მარკეტოლოგებსა და ჟურნალისტებს დაეკისრათ. შემდგომ, მეგა ტექნოლოგიების პირობებში PR ბიზნესისა და მომხმარებლის დამაკავშირებელ სასიცოცხლო არტერიად გადაიქცა, რადგან საერთაშორისო კონკურენციამ მნიშვნელოვანი გაზარდა არა მარტო პროდუქციის გამოშვება და გაყიდვა, არამედ მომხმარებლის მოთხოვნაზე ზრუნვა და დადებითი იმიჯის შექმნა.

დღეისათვის ძალზე მნიშვნელოვანი გახდა ბიზნესის გამჭვირვალობის შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობა, რომელიც არა მხოლოდ ინფორმაციის გავრცელებას, არამედ ინფორმაციის მიღებას და რეაქციის გამოწვევას გულისხმობს. ეს ორმხრივი ურთიერთობები კი ზუსტად PR-ია, რომელიც ერთმანეთში ცვლის ინფორმაციასა და იდეებს. PR-ის სისტემა ეხმარება ბიზნესს საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებასა და ფორმირებაში. იგი, კომპანიის თუ პროდუქტის დადებითი იმიჯის ფორმირებისა და კეთილგანწყობის შენარჩუნებით, მომხმარებლისათვის ეფექტიანი არსების განსაზღვრით აღწევს მიზანს. მას საზოგადოებასა და კომპანიებს შორის მედიატორის როლით დაგეგმილი სტრატეგიები მიჰყავს წარმატებასთან.

ამრიგად, PR-ის როლი ბიზნესსაქმიანობაში გამოხატება კომპანიის მიმართ საზოგადოებრივი აზრის შესწავლაში; მისი იმიჯის შექმნაში; კომპანიის საკომუნიკაციო პოლიტიკის შემუშავებასა და შესაბამის მიზნობრივ ჯგუფებთან მუშაობაში, განსაკუთრებით კომპანიის კრიზისულ მდგომარეობაში ყოფნისას PR კამპანიის დაგეგმვაში. რაც შეეხება მეთოდებს, რომელიც შეიძლება გამოვიყენოთ შემდეგია:

1. ფირმების, ბრენდების, სავაჭრო მარკებისა და ინდივიდუალური მეწარმეობისათვის პოპულარობის შექმნა. საქართველოში ის ხორციელდება მედიასთან ურთიერთობის მეშვეობით და გათვლილია ფართო აუდიტორიისათვის. PR-კამპანია იმ შემთხვევაში ჩაითვლება წარმატებულად, თუ ფირმა განხილავს „საქმიან წრეებში“ ან მის შესახებ აქტიურად იმსჯელებენ მომხმარებლები. ამასთან, გასათვალისწინებელია ტონი, რომელსაც პოტენციური აუდიტორია ავრცელებს ფირმაში. მიზანია: კომპანიის პოზიტიური იმიჯის შექმნა, როგორც პარტნიორი პოტენციური ინვესტორის, ბაზრის ლიდერის, დამოუკიდებელი ექსპერტის, საზოგადოების სოციალური პრობლემებისადმი გულისხმიერის და ა. შ.

2. PR-აქტივობების ორგანიზაცია, როგორცაა გამოფენები, პროდუქციის პრეზენტაციები, მათი ტესტირებები, „ღია კარის დღეები“, „მრგვალი მაგიდები“ და ა.შ. ეს მეთოდი გათვალისწინებულია მთლიანად სამიზნე აუდიტორიაზე და აქვს დიდი უკუგება. PR სპეციალისტებმა აუცილებლად უნდა შექმნან ისეთი ატმოსფერო, რომ პროდუქტმა გამოიწვიოს მომხმარებელთა მაქსიმალური დაინტერესება და თანამშრომლობა. მიზანია: არაფორმალურ გარემოში პირადი კონტაქტის მეშვეობით ბიზნესპარტნიორების, მომხმარებლების და პოტენციური ინვესტორების ნდობის მოპოვება.

3. სტატიის მასალების, ნაბეჭდი მასალების (მათ შორის სარეკლამო ფლაერების, ბუკლეტების და ა. შ.), სუვენირების, საპრეზენტაციო პაკეტების, პროდუქციის ნიმუშების და სხვ. გავრცელება. მიზანია: პოტენციურ მომხმარებელთა ბაზრის შექმნა. სამიზნე აუდიტორიის ინფორმირება კომპანიის სერვისსა და სასარგებლო თანამშრომლობაზე. პოზიტიური იმიჯის შექმნა კომპანიებს შორის, სამიზნე აუდიტორიაზე – მომხმარებლებზე, ინვესტორებზე და ა.შ.

იმისთვის, რომ შევაფასოთ PR პრაქტიკის განვითარების დონე რომელიმე ქვეყანაში, ერთ-ერთ კრიტერიუმს წარმოადგენს ამ ქვეყანაში არსებული რაიმე ტიპის პროფესიული, წევრობაზე დაფუძნებული ორგანიზაციის არსებობა, რომელიც ზრუნავს როგორც მისი წევრების პროფესიულ ზრდაზე, ასევე PR სტანდარტების დანერგვასა და ზოგადად დარგის განვითარებაზე. საქართველოში მისი შემოღება სს სამკერვალო კომპანია „იმერსი“ 1993 წელს უკავშირდება.

სს სამკერვალო კომპანია „იმერის“ ანალიზიდან გამომდინარე მიზანშეწონილად მიგვაჩნია შემდეგი რეკომენდაციების მიცემა:

1. დღევანდელი მდგომარეობით, კომპანიაში PR-ის ფუნქცია შეთავსებული აქვს მარკეტინგის განყოფილებას, უფრო ეფექტური იქნება, თუ უახლოეს მომავალში ცალკე შეიქმნება PR-ის სამსახური, რომელიც შეასრულებს თავის ფუნქციას;

2. კარგი იქნება თუ ცნობადობის ზრდისა და მომხმარებელთა ინტერესებზე ორიენტაციისათვის კიდევ უფრო გაიზრდება შესაბამისი დანახარჯები;

3. ქვეცნობიერ დონეზე, ადამიანებზე ემოციური ზემოქმედებისათვის მიზანშეწონილია შესაბამისი სლოგანის შექმნა. მაგალითად: მოდური და ხელმისაწვდომი კოლექცია!

4. შექმნილი PR-ის სამსახურის საფუძველზე სს სამკერვალო კომპანია „იმერსი“ შესაძლებლობა ექნება, მოაწიოს გამოფენები და გაზარდოს იმიჯრეკლამების რიცხვი;

5. ვინაიდან საბაზრო ეკონომიკა რყევებს განიცდის და კრიზისის პერიოდში უპირველესად სწორედ ფირმის რეპუტაცია დგება საფრთხის ქვეშ, ამიტომ კომპანიამ PR-ის მეშვეობით უნდა იბრძოდოს კრიზისთან ან კრიზისის თავის სასარგებლოდ გამოიყენოს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ხახუტაშვილი ე., კაპანაძე ლ., საზოგადოებასთან ურთიერთობა. თბილისი, ეკონომიკისა და მენეჯმენტის კონსულტანტთა ასოციაცია, 2007.
2. Алёшина И.В. Паблик рилейшнз для менеджеров. Москва. Экмос, 2003.
3. Джи Ю. Имидж фирмы. Москва. СПб, 2000.
4. Китчен Ф. Паблик рилейшнз. Москва. Принципы и практика, 2004.

THE ROLE AND METHODS OF PUBLIC RELATIONS (PR) IN BUSINESS
Annotation

A wave of innovation and growth of PR's role in business was conditioned by customer-oriented market. Considering consumers' interests required to establish and then promote business relations, a process driven by international trade and investment and aided by information technology. The most significant thing pushed entrepreneurs of a joint-stock sartorial company "Imeri" to take more care of the image because of strong competition in the market.

Thanks to effective public relations and marketing professionals, the company will be able to identify target customers, attract their attention and make a choice among many other products on the market.

თამარ ღუდაური

კომპანიის კორპორაციული იმიჯის ფორმირების თავისებურებანი

შესავალი

განსაზღვრული იმიჯის შენარჩუნება ნებისმიერი კომპანიის მნიშვნელოვან ფუნქციას წარმოადგენს, რომლის მეშვეობითაც წარმოაჩენს ის თავს და მის მიერ წარმოებულ პროდუქციას ან გაწეულ მომსახურებას, ამიტომ ეს ცნება ნებისმიერი კომპანიის განვითარების მნიშვნელოვანი შემადგენელია. იმიჯის საშუალებით კომპანია განსაზღვრული ვიზუალურ აღქმას აყალიბებს კლიენტების თვალში, რაზეც დიდად არის დამოკიდებული კომპანიის წარმატება. მისი საშუალებით შესაძლებელია გამოიხატოს კოლექტივის საქმიანი ფილოსოფია და საფუძველი ჩაეყაროს ქცევისა და გარეგნული იერსახის აუცილებელ სტანდარტებს.

ზოგადად შეგვიძლია ვთქვათ, რომ იმიჯი შესაძლოა განისაზღვროს, როგორც კომპანიის წარმატების ან წარუმატებლობის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი. ვერავინ ვერ განსაზღვრავს ზუსტად იმ სახსრების სრულ მოცულობას, რომელიც იხარჯება კომპანიის იმიჯის ფორმირებაზე. კორპორაციულ იმიჯს განსაკუთრებული მნიშვნელობა გააჩნია მსხვილი და კარგად ცნობილი კომპანიებისათვის. ისინი ვერ დაემადებებიან საზოგადოებას და მუდმივად იმყოფებიან ყურადღების ცენტრში, ამიტომ მსხვილი და ცნობილი კომპანიები განუწყვეტლივ მუშაობენ საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაზე, იყენებენ რა, როგორც თავის Public Relations-ის ქვეგანყოფილებებს, ასევე ახორციელებენ გარე სააგენტოების ჩართვასაც. სასაქონლო და მომსახურების ბაზარზე კონკურენციის ზრდამ აიძულა კომპანიების ხელმძღვანელები, დაფიქრებულიყვნენ იმაზე, თუ როგორ აღიქმებიან ისინი საზოგადოების მიერ. არავისთვის არ არის საიდუმლო ის, რომ საიმედო კორპორაციული იმიჯი ეხმარება მომხმარებელს, დადებითად აღიქვას კომპანია ან საქონელი, რომელსაც იგი აწარმოებს, დადებითი კორპორაციული იმიჯი კომპანიას უქმნის პოზიტიურ რეპუტაციას უფრო ფართო და მნიშვნელოვან სფეროებში, როგორცაა მაგალითად, პროდუქციის ხარისხი.

ბოლო პერიოდში ქართველმა მეწარმეებმა დაიწყეს გადასვლა ბიზნესის მართვის დასავლურ მოდელზე და მიხვდნენ, რომ კომპანიის კორპორაციული იმიჯი წარმოადგენს ბიზნესის კეთების განუყოფელ ნაწილს. მიზანშეწონილია განვიხილოთ ფაქტორები, რომლებიც მოქმედებს კომპანიის იმიჯზე, მათ შორის შესაძლოა გამოიყოს: კომპანიის გარე სახე; ნაბეჭდი პროდუქციის სტილი და გაფორმება, რომელსაც კომპანია უშვებს როგორც შიდა, ასევე გარე მოხმარებისათვის (საფირმო ბუკლეტები, სავიზიტო ბარათები); საქმიანი კონტაქტების ორგანიზაცია; საქმიანი დოკუმენტაცია; საქმიანი ეტიკეტი (საუბარი, ქცევა, გარეგნობა) [2]. შესაძლებელია ფაქტორების ამ ჩამონათვალის გაგრძელებაც, მაგალითად ხელმძღვანელის იმიჯი, პროდუქციისა და მომსახურების ხარისხი, ორგანიზაციული კულტურა და სხვა. კორპორაციული იმიჯის ფორმირება და განვითარება – ეს არის პროცესი, რომელიც მოითხოვს დიდ ძალისხმევასა და დროს, ამიტომ აუცილებელია იმ ფაქტორების სიმრავლის გათვალისწინება, რომლებიც მასზე მოქმედებს.

კორპორაციული იმიჯი ითვლება მდგრადად, თუ იგი აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს:

1. კომპანიის კორპორაციული იმიჯი უნდა იყოს ორიგინალური. თანამედროვე პირობებში აუცილებელია, რომ კომპანიები განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან. ორიგინალური იმიჯი კომპანიას გამოყოფს ბაზარზე და მისცემს მას საშუალებას, დაიკავოს სტაბილური მდგომარეობა.

2. აუცილებელია, რომ კორპორაციული იმიჯი იყოს ადეკვატური, ე.ი. შეესაბამებოდეს კომპანიის საქმიანობის სპეციფიკას.


3. ასევე მიღწეული უნდა იქნეს კორპორაციული იმიჯის პლასტიურობა. თანამედროვე პირობებში სამუშაო გარემო გამოირჩევა ცვლილებების დიდი სიჩქარით, ამიტომ საჭიროა ამ პირობებთან იმიჯის სწრაფი ადაპტირება.

4. კორპორაციული იმიჯი უნდა იყოს ეფექტური, ე.ი. დაეხმაროს კომპანიას, მიადლოს სასურველ შედეგებს.

5. მნიშვნელოვანია, რომ კორპორაციული იმიჯი იყოს შესაბამისი, ე.ი. შეესაბამებოდეს ნორმებს, ფასეულობებს და კომპანიისადმი წაყენებულ მოთხოვნებს.

კორპორაციული იმიჯის ფორმირებისა და განვითარების პროცესი რთული პროცესია, რომელიც მოითხოვს დიდ ძალისხმევასა და ყურადღებას. მნიშვნელოვანია, რომ ხელმძღვანელობას და კომპანიის პერსონალს მკაფიოდ ესმოდეთ კორპორაციული იმიჯის მნიშვნელობა და მაქსიმალური ძალისხმევა გასწიონ მისი განვითარებისათვის.

კორპორაციული იმიჯის ფორმირებისა და განვითარების პროცესი შესაძლო ასე გამოისახოს ნახაზის სახით.



ნახაზი. კორპორაციული იმიჯის ფორმირებისა და განვითარების პროცესი [4]

შესასვლელზე მოცემულია საწყისი კორპორაციული იმიჯი, ხოლო გამოსასვლელზე – ფორმირებული (გაუმჯობესებული). საწყისი იმიჯის შეფასების შემდეგ მიღებული იქნება არსებული იმიჯის კონკრეტული შედეგები. შემდეგ იწყება კონკრეტული გეგმის შემუშავება, რომლის დროსაც ჩამოყალიბდება ეტაპები და ქმედებები. შემდეგ დგება გეგმის რეალიზაციის ეტაპი, რომლის შემდგომაც მივიღებთ ფორმირებულ (გაუმჯობესებულ) კორპორაციულ იმიჯს, რომლის შეფასებაც აუცილებელია.

პირველი ეტაპი – საწყისი კორპორაციული იმიჯის შეფასება. ამ შემთხვევაში ხდება კორპორაციული იმიჯის ცალკეული კომპონენტების შეფასება. მნიშვნელოვანია სარწმუნო ინფორმაციის შეგროვება. კვლევა ხორციელდება გეგმით, რომლის კორექტირებაც, საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია. გაანალიზებენ რა შეგროვილ ინფორმაციას, შემდგომ მოახდენენ საწყისი კორპორაციული იმიჯის შესახებ ინფორმაციის ფორმირებას.

მეორე ეტაპი – განვითარების გეგმის (იმიჯის გაუმჯობესების) შემუშავება. მნიშვნელოვანია, რომ კორპორაციული იმიჯის გაუმჯობესებაზე განუწყვეტილად მიდიოდეს მუშაობა. ამისათვის აუცილებელია მისი განვითარების (გაუმჯობესების) გეგმის შედგენა.

მესამე ეტაპი – შემუშავებული გეგმის რეალიზაცია. აღნიშნულ ეტაპზე მნიშვნელოვანია შემუშავებული გეგმის ღონისძიებების განხორციელება. გეგმის რეალიზაცია უნდა განხორციელდეს სპეციალურმა ჯგუფმა, რომელსაც გააჩნია სპეციალური ცოდნა და გამოცდილება. ეს ეტაპი მოითხოვს დიდ ძალისხმევასა და დროს.

მეოთხე ეტაპი – ფორმირებული კორპორაციული იმიჯის შეფასება. მას შემდეგ, რაც განხორციელდა გეგმის რეალიზაცია, აუცილებელია შეფასდეს კომპანიის ახალი კორპორაციული იმიჯი სპეციალური ინსტრუმენტებისა და მეთოდების გამოყენებით. კომპანიამ შეფასების შედეგებით უნდა გაარკვიოს, მიაღწია თუ არა დაგეგმილ შედეგებს. თუ გაირკვა, რომ მიღებული კორპორაციული იმიჯი არ შეესაბამება დაგეგმილს, აუცილებელია ყველაფრის თავიდან დაწყება.

აღსანიშნავია, რომ ყოველ ეტაპს უნდა ახლდეს სპეციალურად შექმნილი კონტროლის სისტემა. ეს სისტემა უნდა მუშაობდეს პრინციპით – უწყვეტობა ყოველ ეტაპზე.

ამასთან, კომპანიის კორპორაციული იმიჯი წარმოადგენს მის მნიშვნელოვან აქტივს. მაგრამ იმიჯი რომ გახდეს აქტივი უნდა გაჩნდეს გადახდისუნარიანი მოთხოვნა მასზე მომხმარებლის, მასიური საინფორმაციო საშუალებების, პარტნიორების, ინვესტორების და სხვა ჯგუფების მხრიდან, რომლებიც გაელენას ახდენენ კომპანიის ბიზნესზე და ნაწილობრივ დამოკიდებულნი არიან მასზე.

ასეთი მოთხოვნა უკვე შეიმჩნევა ქართულ ბაზარზე. ამრიგად, კორპორაციული იმიჯის ფორმირება არის პირველი ნაბიჯი რეპუტაციის მოპოვების გზაზე, როგორც კონკურენტული უპირატესობის დამატებითი წყარო.

მაგრამ, იმის მიუხედავად, რომ ჩვენს ქვეყანაში კორპორაციულ გარემოში იზრდება მოთხოვნილება ასეთი სახის აქტივზე, ბაზრის ბევრი მოთამაშე მას არ განიხილოს ამ თვალთახედვით, ე.ი. არ უთმობს სათანადო ყურადღებას კორპორაციული იმიჯის ფორმირებას, რომელსაც შეუძლია, კომპანიას მომავალში მოუტანოს საგრძნობი მოგება. ასეთი სიტუაციის მიზეზი რამდენიმეა:

- ქვეყანაში ბაზრების უმრავლესობა აქტიური ფორმირების სტადიაშია და კომპანიების წინაშე დგას გადარჩენის, გაფართოებაზე კონტროლის და საბაზრო წილის შენარჩუნების საკითხები, რომელთა გადაწყვეტის გარეშე შეუძლებელი იქნება ბაზრის შენარჩუნება;

- შეფასების მასიური პრაქტიკა, IPO-ზე (აქციების პირველადი მასიური განთავსება) გატანა, ანუ ბიზნესის გაყიდვა საბაზრო ფასებში ჯერ კიდევ არ არის ფორმირებული. აქედან ჩანს, რომ პირდაპირი კავშირი ფინანსურ ნაკადებსა და კორპორაციულ იმიჯს შორის არ არის ნათელი კომპანიათა უმრავლესობისათვის, ვინაიდან ჯერ კიდევ ჩამოყალიბების სტადიაშია საფონდო ბირჟა;

- სამამულო ბიზნესგარემოში კვლავ მრავლადაა რისკები, რომლებიც დაკავშირებულია ქვეყანაში არასტაბილურ პოლიტიკურ სიტუაციასთან. თამაშის წესები არ არის გამჭვირვალე და ბოლომდე გასაგები, ამიტომ კომპანიებს უჭირთ იმის გარკვევა, თუ როგორ იმოქმედონ შექმნილ სიტუაციაში;

- სამამულო საინფორმაციო სივრცეში მცირეა საინტერესო ბიზნეს-მოვლენები, რომლებიც ადეკვატურად იქნებოდა გაშუქებული, ხოლო კომპანიების წარმატებების ასეთი საინფორმაციო ჩაკეტილობა მნიშვნელოვნად ამუხრუჭებს წარმატებული მოდელების აგებასა და პოპულარიზაციას.

ასეთი რთული სიტუაციიდან გამოსავალი შესაძლოა იყოს კომპანიების ყველა დონეზე კორპორაციული იმიჯის ფორმირების პროცესის „ტექნოლოგიზაცია“ (საკუთარი ძალებით ან მოწვეული სპეციალისტების დახმარებით). ამასთან, მნიშვნელოვანია სამამულო ბიზნესგარემოს რისკების გათვალისწინება, ასევე მხარეთა მომზადების დონის, რომლებიც მონაწილეობენ კომპანიის კორპორაციული იმიჯის შექმნაში და აქტიური კომუნიკაცია აქვთ გარე სამყაროსთან. გააზრებული კორპორაციული იმიჯის ფორმირებისას პირველი ნაბიჯი იმის გათავისებაა რომ, თუ კომპანია უკვე მუშაობს ბაზარზე, მაშინ იმიჯის შექმნა უკვე გვიანია, შესაძლებელია მხოლოდ მისი კორექტირება.

დასკვნა

ამრიგად, კომპანიის კარგად ფორმულირებული კორპორაციული იმიჯი წარმოადგენს მისი წარმატების ერთ-ერთ საკვანძო შემადგენელს. დადებითი კორპორაციული იმიჯი, რა თქმა უნდა, აჩქარებს კომპანიის გასვლას ახალ დონეზე. ერთი სიტყვით, იგი ხელს უწყობს ბაზარზე კომპანიის კონკურენტუნარიანობის ამაღლებას, რაც ნებისმიერი კომპანიისათვის წარმოადგენს პირველხარისხოვან და განსაკუთრებულად აქტუალურ ამოცანას. ასევე, პოზიტიური კორპორაციული იმიჯის ფორმირება არის რთული და მრავალმხრივი პროცესი, რომელიც მოითხოვს დიდ ყურადღებასა და ძალისხმევას. ნებისმიერი, თუნდაც პატარა კომპანია უნდა ზრუნავდეს მისადმი საზოგადოებისა და თანამშრომლების კეთილგანწყობილ დამოკიდებულებაზე. იმის გარკვევის შემდეგ, თუ რას მოითხოვს საზოგადოება კომპანიისაგან, არის შესაძლებელი ისეთი კორპორაციული იმიჯის ფორმირება, რომელიც ხელს შეუწყობს კომპანიის კონკურენტუნარიანობის ამაღლებასა და ხანგრძლივადიანი წარმატების მიღწევას.

პოზიტიური საქმიანი კორპორაციული იმიჯი წარმოადგენს იმის დასაბუთებას, რომ კომპანია ფლობს უნიკალურ საქმიან თვისებებსა და უნარებს, რომელიც მას საშუალებას აძლევს, წარმატებით აწარმოოს ბაზარზე კონკურენტული ბრძოლა. კომპანიის კორპორაციული იმიჯი სხვადასხვა ასპექტში ასახავს კომპანიის რეალური შესაძლებლობების საზოგადოებრივ შეფასებას, გამოდის მისი კონკურენტული იმუნიტეტის საფუძვლად.

იმისათვის, რომ საქართველოს კომპანიებმა გლობალიზაციის პირობებში მიაღწიონ წარმატებას, მათ მთელი თავისი ძალისხმევა უნდა მოახმარონ საიმედო კორპორაციული იმიჯის შექმნას. აქვე გასათვალისწინებელია ის დადებითი ტენდენციები, რასაც ქართულ კომპანიებს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების დადება მოუტანს, რაც გაუხსნის მათ მაღალმსყიდველუნარიან ევროპულ ბაზარს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Рид С. Эффективно ли вы поддерживаете свой корпоративный имидж. пер. с англ. И. В. Самошкиной // Маркетинг. 2008. № 6. С. 86.
2. Гущина И. Имидж организации / И. Гущина // Служба кадров. – 2003. – № 5. С. 36.
3. Формирование корпоративного имиджа компании. http://mirznanii.com/info/formirovanie-korporativnogo-imidzha-kompanii_170435

4. Бодуан Жан-Пьер. Управление имиджем компании. Паблик рилейшнз: предмет и мастерство. Пер. с фр. – М.: Консалтинговая группа «ИМИДЖ-КОНТАКТ»: Инфра-М, 2001.
5. Кужахмедова М. С. Особенности формирования корпоративной культуры в японских корпорациях. Гуманитарные научные исследования. 2015. № 1. <http://human.snauka.ru/2015/01/9147>

Tamar Dudauri

PECULIARITIES OF THE FORMATION OF THE COMPANY'S CORPORATE IMAGE
Annotation

Corporate image is playing the defining role in interaction of the company with partners, employees, suppliers, shareholders and clients. It influences formation of their opinion on the company, trust level to it and readiness to put the resources in this business. But in order that the company may receive the maximum advantage of its own corporate image, actions for its formation, support and protection have to become the same obligatory part of daily work, as sales or accounting.

ელგუჯა კონჯარია

მცირე და საშუალო ბიზნესის (მეწარმეობის) განვითარება საქართველოში

ნებისმიერი საზოგადოება წარმოდგენილია მატერიალური წარმოების გარეშე. სწორედ წარმოების პროცესში იქმნება მატერიალური დოვლათი ადამიანთა მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, რაც საზოგადოების არსებობის საფუძველია. დღევანდელ პირობებში შეუძლებელია ქვეყნის ეკონომიკური განვითარება კომერციის, წარმოების, ფინანსური ინსტიტუტების და სხვა საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურის გარეშე. ყველა ეს ცნება თანამედროვე ადამიანის ცხოვრების განუყოფელ ნაწილად იქცა. საქმიანი ურთიერთობები, რომელიც ამ სფეროში წარმოიშობა, ბიზნესად იწოდება, რომელშიც მცირე და საშუალო ბიზნესი გადმწვევტ როლს ასრულებს.

სახელმწიფოსა და ბიზნესის ურთიერთობის პრობლემის კვლევას დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა გააჩნია. ამ პრობლემის გადაწყვეტაზე დამოკიდებული არა მხოლოდ საბაზრო ეკონომიკის ნორმალური ფუნქციონირება, არამედ ქვეყანაში სოციალური და პოლიტიკური სტაბილურობის უზრუნველყოფა.

სიტყვა “ბიზნესის” (ინგ. Business – საქმე, მეწარმეობა) განმარტების შინაარსი ფაქტობრივად “მეწარმეობის” იდენტურია. ეს არის ინიციატივიანი ეკონომიკური საქმიანობა, რომელიც საკუთარი ან ნასესხები სახსრებით, რისკისა და პასუხისმგებლობის გაწვევით ხორციელდება მთავარი მიზნის - მოგების მისაღებად. ის შეიძლება ნიშნავდეს რაიმე საქმიანობას, სავაჭრო ოპერაციას, კომერციულ ან სამრეწველო საწარმოს. ცალკეული მეწარმის ან მთელი ფირმის პრაქტიკასა თუ პოლიტიკას.

თანამედროვე ბიზნესმა განვითარების მეტად საინტერესო გზა განვლო და პირველყოფილი თემის უმარტივესი წარმოებიდან საზოგადოება ნანოტექნოლოგიების გამოყენებამდე მიიყვანა.

კაცობრიობის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში საბაზრო ურთიერთობებთან მიმართებით შეიძლება გამოვეყოთ ეკონომიკის განვითარების სამი პერიოდი:

1. “ბაზრამდე პერიოდი”, ტრადიციულ-ინსტიტუტური ურთიერთობა, როდესაც არ არსებობდა საბაზრო ურთიერთობები, ადამიანები (ტომები) ჯგუფურად მოიპოვებდნენ მოხმარების საგნებს და ერთმანეთს უნაწილებდნენ (პირველყოფილი თემური წყობილება);

2. საბაზრო პერიოდი, როდესაც, გაჩნდა კერძო საკუთრება და საფუძველი ჩაეყარა საქონლის წარმოებასა და ყიდვა-გაყიდვას. იგი მოიცავს კაპიტალიზმის ეპოქას;

3. არასაბაზრო პერიოდი, დირექტიული ურთიერთობა, როდესაც არსებობს სახელმწიფო საკუთრება და შექმნილ დოვლათს სახელმწიფო უნაწილებს (კომუნისტური წყობილება).

ამდენად, ბიზნესი მიჩნეულია ისეთ მოვლენად, რომელიც მხოლოდ საბაზრო ეკონომიკისათვის არის მკვეთრად დამახასიათებელი.

პირველყოფილმა საზოგადოებამაც კი უარი თქვა პირდაპირ, ანუ ხელით წარმოებაზე და მარტივი შრომის იარაღების გამოყენება დაიწყო. თვით უმარტივეს თემშიც კი გამოირჩეოდნენ ხოლმე გერკილიანი მქონე ადამიანები, მიზანდასახული, ინიციატივიანი და გარკვეული სამეწარმეო აქტივობის.

უფრო მოგვიანებით, მონათმფლობელურ ეპოქაში სამეწარმეო საქმიანობა კიდევ უფრო აქტუალური და მოთხოვნადი გახდა. სამეწარმეო საქმიანობის ძირითად ფორმად ამ დროს ხელოსნობა წარმოადგა. პლატონი ხელოსნებს მწარმოებელთა წოდებაში აერთიანებდა, არისტოტელე კი თვლიდა, რომ ხელოსნები “ხუთეულში” საბერძნეთის მოქალაქეთა ერთ-ერთ ჯგუფს წარმოადგენენ და მიწათმოქმედებასთან ერთად ქმნიან ჭეშმარიტ სიმდიდრეს. ამ პერიოდის ხელოსნობის დანიშნულება იყო საქონლის (მომსახურების) წარმოება სხვა საქონელზე გადასაცვლელად.

ბიზნესის განვითარების მომდევნო საფეხური ფეოდალიზმის ეპოქაა, როდესაც მონა შედარებით მეტი თავისუფლების მქონე გლეხმა ჩაანაცვლა. შუა საუკუნეების მრავალ ფილოსოფოსთა და ღვთისმეტყველთა მტრული დამოკიდებულება მეწარმეობისადმი იმით იყო გამოწვეული, რომ იმ პერიოდში წარმოების გაბატონებულ ფორმად კვლავ ნატურალური მეურნეობა

რჩებოდა და მეწარმეობით ფუნქციებს ჯერ კიდევ ნაკლებად შესამჩნევი როლი ეძლეოდა. ამასთან, გულმოდგინე მიწათმოქმედის მშვიდი ცხოვრება და საქმიანობა ადამიანისეული არსებობის იდეალად ითვლებოდა მაშინ, როდესაც მეწარმე, რომელიც მუდმივ ძიებაში იმყოფებოდა, დამკვიდრებული წეს-ჩვეულებების ნგრევით, გლეხური კონსერვატიზმის საპირისპიროდ გამოდიოდა.

ამ ეპოქაში, ვაჭრობასთან ერთად, თანდათან ვითარდება ხელოსნობაც. გვიანდელი შუა საუკუნეების პერიოდში (XV–XVII ს.) ჩაისახა საბაზრო ეკონომიკის და თავისუფალი მეწარმეობის შესატყვისი ეკონომიკური თეორიები. თანდათანობით აქტუალური გახდა თანამედროვე, მოთხოვნადი საქონლის გამოშვების აუცილებლობა, რასაც ბიზნესგაერთიანებების (მანუფაქტურების) შექმნა მოჰყვა. მეტიც, თვით სახელმწიფოებმა დაიწყეს ზრუნვა, რომ ექსპორტზე ორიენტირებული ბიზნესისათვის შეეწყობათ ხელი, რაც გამოიხატებოდა მათთვის სესხის მიცემით, სხვადასხვა შეღავათების დაწესებით, სახელოსნო სკოლების გახსნით და სხვა. ამ პროცესებს XVII–XVIII საუკუნეებში მიეცა გამოკვეთილი სახე საფრანგეთსა და ინგლისში. თუმცა უნდა ითქვას, რომ წარმოების მთავარი ძალა – მუშა არ იყო მოტივირებული ამ ეპოქაში, რამდენადაც მათი შრომის შედეგი მთლიანად რჩებოდა ბიზნესის მესაკუთრეს.

მეწარმეობის ისტორია საუკუნეებს ითვლის, მაგრამ მისი თანამედროვე გაგება ჩამოყალიბდა კაპიტალიზმის ფორმირებისა და განვითარების პერიოდში, რომელმაც თავისუფალი მეწარმეობა აირჩია აყვავების საფუძვლისა და წყაროს სახით. საბაზრო სისტემა (კაპიტალიზმი) არის კავშირების რთული სისტემა, რომლის მეშვეობითაც უამრავი ინდივიდუალური თავისუფალი გადაწყვეტილება გაითვალისწინება, აგრეგირდება და შეწონასწორდება. მეწარმეები არიან ადამიანები, რომლებიც მოიპოვებენ ახალ, უფრო ეფექტიან საშუალებებს სამი ეკონომიკური რესურსის (მიწა, შრომა და კაპიტალი) გამოსაყენებლად. ისინი იძენენ ნედლეულს, ქირაობენ მუშახელს, აბანდებენ თანხებს წარმოების საშუალებებში და ავითარებენ წარმოებასა და მომსახურებას. მეწარმეები ცდილობენ, მოახდინონ ბიზნესშესაძლებლობების იდენტიფიცირება. როდესაც ისინი მოძებნიან ამ შესაძლებლობას, თავიანთ ფულს აბანდებენ ბიზნესის დასაარსებლად იმ მოლოდინით, რომ ჯილდოს სახით მიიღებენ ადეკვატურ მოგებას მათ მიერ გაღებული ძალისხმევის საფასურად.

ამერიკელი მკვლევრების რ. ხიზრინისა და მ. პიტერსის აზრით, მეწარმეობა არის პროცესი, შეიქმნას რამე ახალი, ფასეული, ხოლო მეწარმე – ეს ადამიანია, რომელიც ამისთვის მთელ დროსა და ძალას ხარჯავს, საკუთარ თავზე იღებს მთელ ფინანსურ, ფსიქოლოგიურ და სოციალურ რისკს, ხოლო ჯილდოდ იღებს ფულსა და სიამოვნებას მიღწეულის გამო.

საყოველთაოდ არის აღიარებული, რომ ბიზნესი უზრუნველყოფს საზოგადოებას კვების პროდუქტებით, ტანსაცმლით, ბინით, სამედიცინო მომსახურებით, ტრანსპორტით, აგრეთვე სხვა უამრავი საქონლითა და მომსახურებით, რომელთა მეშვეობითაც თითოეული ჩვენგანის ცხოვრება უფრო გაუმჯობესებული და კომფორტული ხდება.

ცნობილი ინგლისელი მეცნიერი ალან ხოსკინგი ბიზნესს განსაზღვრავს როგორც საქმიანობას, რომელსაც ახორციელებენ კერძო პირები და ორგანიზაციები იმისთვის, რომ მიიღონ სარგებელი წარმოებიდან ან მომსახურებიდან შემდგომში მათ საქონელზე, მომსახურებაზე ან ფულზე გაცვლით, რაც ურთიერთხელსაყრელია დაინტერესებული პირებისა და ორგანიზაციებისთვის.

პროფესორ ი. მესხიას მიხედვით, “ბიზნესი არის დამოუკიდებელი, საკუთარი რისკით განხორციელებული საქმიანობა, რომელიც მიმართულია მოგების სისტემატურ მიღებაზე ქონების გამოყენების, საქონლის გაყიდვის, სამუშაოს შესრულების ან მომსახურების გაწევის გზით იმ პირების მიერ, რომლებიც დარეგისტრირებულნი არიან დადგენილი წესის თანახმად”.

პროფესორები გ. ადვიშვილი და რ. ასათიანი მიიჩნევენ, რომ მეწარმეობა ცალკეული სუბიექტის ან სუბიექტთა ჯგუფის დამოუკიდებელი საქმიანობაა, რომლის მიზანია მატერიალური დოვლათის, ინტელექტის, ფასიანი მომსახურების წარმოება, რელიზაცია და ამის შედეგად განსაზღვრული მოგების მიღება.

სხვა განმარტებით, ბიზნესი არის საქმე, საქმიანობა, არის საკუთარი ან ნასესხები საშუალებების ხარჯზე განხორციელებული ინიციატივით, დამოუკიდებელი ეკონომიკური საქმიანობა, დაწესებული რისკისა და ქონებრივი პასუხისმგებლობის საფუძველზე, რომლის მთავარი მიზანია მოგების მიღება, საკუთარი საქმიანობის განვითარება, აგრეთვე საქონლის გასაღება, სამუშაოს შესრულება, მომსახურების გაწევა. მეწარმეობის ძირითადი ნიშან-თვისებები, რომლითაც იგი განსხვავდება ეკონომიკური საქმიანობის სხვა ფორმებისაგან, არის: 1) დამოუკიდებლობა, პასუხისმგებლობა, ინიციატივა, რისკი, დინამიკურობა; 2) საწარმოები, ფირმა ან საწარმოთა ერთობლიობა, რომელთა განსაზღვრული სახის საქმიანობის განხორციელების შედეგად იღებენ მოგებას. ჩვეულებრივ, ისინი განცალკევებული მცირე და საშუალო ზომის საწარმოებია, რომლებიც ადმინისტრაციულად არ არის დამოკიდებული სახელმწიფო სხვა უწყებებზე და ორიენტირებულია ბაზარზე.

ბიზნესი არის საქონლითა და მომსახურებით სხვათა უზრუნველყოფისა და მოგების მიღების მიზნით განხორციელებული ნებისმიერი საქმიანობა. მოგების მიღების საერთო მისწრაფება განაპირობებს, რომ უფრო ხშირად ამ ცნებებს (იგულისხმება “ბიზნესი” და “მეწარმეობა”) ერთმანეთთან აიგივებენ.

კერძო მეწარმეობა და არჩევანის თავისუფლება, მჭიდროდ უკავშირდება კერძო საკუთრებას. მეწარმეობის თავისუფლება ნიშნავს, რომ მეწარმეები თავისუფალნი არიან გადაწყვეტილების მიღებაში – რა აწარმოონ და რომელ დარგში შევიდნენ ან გამოვიდნენ. ამასთან, ფულადი კაპიტალისა და მატერიალური რესურსების მფლობელები მათ გამოიყენებენ თავიანთი შეხედულებისამებრ.

მცირე მეწარმეობის ძლიერი და სუსტი მხარეები

ძლიერი	სუსტი
<p>კონკურენციის გამწვავება, სიახლეთა სწრაფი დანერგვა, დასაქმების ხელშეწყობა, ბაზრისათვის საქონლის (მომსახურების) განსაკუთრებული სახეობების შეთავაზება, საგადასახადო შემოსავლების ზრდის ხელშეწყობა, მონოპოლიზმის განეიტრალება, ელასტიკურობა და მოქნილობა საქმიანობაში, პროფილის შეცვლის სიოლღე, წამოწყების სიოლღე, მოქნილი მენეჯმენტი, ტრადიციულ გემოვნებასა და სტანდარტებთან იოლად შეგუება</p>	<p>დაბალი კონკურენტუნარიანობა, საკრედიტო რესურსებისადმი ნაკლები ხელმისაწვდომობა, საქმიანობის წარმართვის გამოუცდელიობა, კაპიტალდაბანდების დაკარგვის მაღალი რისკი, ბიზნეს-პარტნიორებისაგან ნდობის შედარებით ნაკლები ხარისხი.</p>

მეწარმე საკვანძო ფიგურაა თავისუფალ, საბაზრო ეკონომიკაში. შრომა, კაპიტალი, მეცნიერული ცოდნა და წარმოების სხვა ფაქტორები მანამ არ მოქმედებს, სანამ მათ არ შეეხება მეწარმის ტალანტი. კონკრეტული ბაზრის პირობებში საკუთარი სარგებლობისათვის მომუშავე მეწარმეს იმავდროულად მაქსიმალური სარგებლობა მოაქვს მთელი საზოგადოებისათვის.

მცირე და საშუალო ბიზნესი უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს როგორც ინდუსტრიულად განვითარებულ, ისე განვითარებადი და პოსტკომუნისტური ქვეყნების, მათ შორის საქართველოს ეკონომიკურ ცხოვრებაში, რაც ამ სფეროს პრობლემების მიმართ განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს.

მეოცე საუკუნის 90-იანი წლების მეორე ნახევრამდე საქართველოში აღინიშნა სამეწარმეო აქტიურობის გამოცოცხლება, რაც რამდენიმე გარემოებამ განაპირობა. მათ შორის უმნიშვნელოვანესია შესაბამისი ინსტიტუციური ბაზის შექმნა. კერძოდ, მიღებულ იქნა სპეციალური კანონი მცირე საწარმოთა მხარდაჭერის შესახებ, რომელმაც განსაზღვრა მცირე და საშუალო მეწარმეების განვითარების ხელშეწყობის ძირითადი პრინციპები, მოცემული სფეროს საქმიანობის ეკონომიკური და სამართლებრივი რეგულირების მექანიზმები, მეთოდები და ფორმები. დაფუძნდა მცირე საწარმოთა საკოორდინაციო საბჭო, მცირე საწარმოთა განვითარების ხელშეწყობის ფონდი, რომლებსაც აღნიშნული კანონის შესაბამისად დაეკისრა ქვეყანაში მცირე ბიზნესის მხარდაჭერის ღონისძიებათა კოორდინაცია, საწარმოთა ხელშეწყობის პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების ორგანიზება.

მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა ზემოაღნიშნული მიმართულებით. კერძოდ:

- წარმატებით განხორციელდა ანტიკორუფციული პოლიტიკა, რომელმაც მინიმუმადე შეამცირა მაკონტროლებელი ორგანოების წარმომადგენელთა მიერ ბიზნესმენებისაგან ქრთამის აღების ფაქტები.
- მნიშვნელოვნად გაადვილდა ბიზნესის დაწყება, რაც გამოიხატა დარეგისტრირების პროცესის გამარტივებასა და მისი ვადების შემცირებაში.
- გაუქმდა ლიცენზიების უმეტესობა და საგრძნობლად გამარტივდა ქონების რეგისტრაციის პროცედურა.
- მნიშვნელოვნად გამარტივდა საგადასახადო კოდექსი, შემცირდა გადასახადების რაოდენობა, საგადასახადო და საბაჟო განაკვეთები, მიკრობიზნესი კი საერთოდ გათავისუფლდა გადასახადებისგან.
- განხორციელდა შრომის კოდექსის მნიშვნელოვანი ლიბერალიზაცია.
- ამასთანავე საქართველოში დღეს ბიზნესის გავითარების მრავალი ხელშემშლელი მიზეზი არსებობს, რომელთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანია შემდეგი:
 - ზედმეტად არამყარი და არაპროგნოზირებადი ბიზნესის გარემო, რასაც განაპირობებენ საკანონმდებლო ბაზაში ხშირად შეტანილი ურთიერთსაწინააღმდეგო და ზოგჯერ ურთიერთგამომრიცხავი შესწორებები:
 - ეკონომიკის მონოპოლიზაციის მაღალი დონე;
 - საკუთრების უფლების ხშირი დარღვევა;
 - უცხოელი ბიზნესმენების ხშირ შემთხვევაში პრივილეგირებულ მდგომარეობაში ჩაყენება ადგილობრივთან შედარებით;

- მეწარმეთა განათლების არასაკმარისი დონე და პროფესიული უნარ-ჩვევების განუვითარებლობა
- საქართველოში მცირე და საშუალო მეწარმეების (ბიზნესის) განვითარების კარგი შესაძლებლობა არსებობს, თუმცა მისი რეალობად გადაქცევა ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული. ამ უკანასკნელთა შორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია მთავრობის მიერ აღნიშნული სფეროს მხარდაჭერა და წახალისება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. პაპავა გ., მეწარმეობის საფუძვლები, თბ., 2004.
2. სამადაშვილი უ., ბიზნესის საფუძვლები, თბ., 2007.
3. მეწარმეობის თეორიული საფუძვლები (ავტორთა კოლექტივი), ნაწილი I-II. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2009.
4. მეწარმეობის თეორიული საფუძვლები (ავტორთა კოლექტივი), ნაწილი III, თბ., 2011.
5. მაქსოვეი მ., მეწარმეობის და ბიზნესის საფუძვლები. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1997.
6. კვარაცხელია ლ., მეწარმეობა და კონკურენტული გარემო, თბ., 2010.

Elguja Konjaria

DEVELOPMENT OF SMALL AND MEDIUM BUSINESS IN GEORGIA

Annotation

Small and medium sized business is important for developing of market economy . it takes a great role in setting of country’s resource balancing, stabiliation of economy, population and other social problems.

To increase income and solve social problems. It is necessary to form institutional base by supporting the state.

To determine small and medium production and main principal by legislative.

It is necessary to form a special governmental agency, which will coordinate this business to collaborate small and medium production.

მარინა ტაბატაძე

საინვესტიციო გარემო და ქვეყნის საერთაშორისო რეიტინგი

ინვესტიციები განიხილება როგორც ქვეყნის ეკონომიკის განვითარების მამოძრავებელი ძალა, მისი მასშტაბები პასუხს იძლევა კითხვაზე – რამდენად სტაბილურია ქვეყანა, როგორია მისი ეკონომიკური პოლიტიკა, საინვესტიციო გარემო, ზოგადად ეკონომიკური და დარგობრივი განვითარების პერსპექტივები. თავის მხრივ, ეკონომიკური ზრდა მჭიდრო კავშირშია საინვესტიციო პროექტებთან, ქმნის რა მათი ეფექტიანობის გარანტიას. მსოფლიო ეკონომიკური განვითარების ტენდენციები, ბუნებრივი ეკონომიკური ციკლები, გეოპოლიტიკური მდებარეობა, მაკროეკონომიკური ზრდის პარამეტრები, ფინანსური ბაზრების მდგომარეობა, სახელმწიფო ვალები და მათი მომსახურება, საგადასახადო რეჟიმები, პოლიტიკური რისკები და ფორსმაჟორული სიტუაციების შექმნის საფრთხე ის ფაქტორებია, რომლებიც გავლენას ახდენს ქვეყნის საინვესტიციო გარემოსა და მის მიმზიდველობაზე.

სახელმწიფო საინვესტიციო პროცესის მთავარი ინიციატორია, იგი ეკონომიკური და სამართლებრივი რეგულირების მეშვეობით უზრუნველყოფს კერძო ინვესტორების ინტერესების დაცვას, ინვესტიციების მიზანშეწონილობაზე დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღებას, ინვესტიციური პოტენციალის ეფექტიან გამოყენებას და ამით ეკონომიკური ზრდისათვის წინაპირობების შექმნას.

რაც უფრო სტაბილურია ქვეყანა, მით უფრო მიმზიდველია იგი უცხოელი ინვესტორებისათვის. საქართველო ეკონომიკის ბევრ სექტორში ჯერ კიდევ განიცდის ფინანსური რესურსების ნაკლებობას, რაც სახელმწიფოს მხრიდან აქტიური საინვესტიციო პოლიტიკის გატარების აუცილებლობას განაპირობებს, ამიტომ, დღეს განსაკუთრებული აქტუალობა შეიძინა ქვეყნის საინვესტიციო პერსპექტივებზე მსჯელობამ. რას აკეთებს ხელისუფლება ქვეყანაში ინვესტიციების მოსაზიდად, რამდენად დაცულია ინვესტორი ჩვენს ქვეყანაში, რომელი პრობლემა ინარჩუნებს სიმწვავეს და რა სტრატეგიები მუშავდება მის დასაძლევად – საკითხთა ის სპექტრია, რომელიც ჯერ კიდევ ინარჩუნებს აქტუალობას და მოითხოვს სახელმწიფოებრივ მიდგომას.

უცხოური ინვესტიციების ზრდა ქვეყნის პოლიტიკურ და ეკონომიკურ სტაბილურობას უსვამს ხაზს, ამასთან, ეროვნული ეკონომიკის განვითარებით იგი ხელს უწყობს გლობალურ ეკონომიკაში მის ეფექტიან ინტეგრირებას. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ექსპორტზე ორიენტირებულ დარგებში უპირატესი დაბანდება ხელს უწყობს ქვეყანაში უცხოური ვალუტის ზრდას, რაც გრძელვადიან პერიოდში საგარეო ვაჭრობის ბალანსის დადებითი სადღოს ფორმირებას უზრუნ-

ველყოფს. უცხოური ინვესტიციების ეფექტიანობა დამოკიდებულია მიმღები ქვეყნის უნარზე – დროულად მოახდინოს მათი აპრობირება, პროგრესული ტექნოლოგიების და მენეჯმენტის გამოყენებით უზრუნველყოს კაპიტალის მაქსიმალური ეფექტის მიღება. ამიტომ ეროვნული კაპიტალის მუდმივი უკმარისობის პირობებში მიმღები ქვეყანა დგება უცხოური ინვესტიციებისადმი სახელმწიფო მიდგომის სრულყოფის და მათი გამოყენების ოპტიმალური პროექტების შემუშავების საკითხის წინაშე, კერძოდ, როგორ უნდა იქნეს მოზიდული უცხოური ინვესტიცია, რა გზით მიიღებოდეს მისგან მაქსიმალური შედეგები და რა ფორმით მოხდეს ეროვნული ეკონომიკის განვითარების სტრატეგიული ინტერესების პრიორიტეტული დაცვა, ამ კითხვებზე პასუხის გაცემით ქვეყნამ ხელი უნდა შეუწყოს ინვესტორებისათვის მაქსიმალურად მიმზიდველი გარემოს შექმნას და ეკონომიკურ აღმავლობას.

ეროვნულ ეკონომიკაში ინვესტირების განხორციელებით უცხოელთა დაინტერესებისათვის მნიშვნელოვანი წინაპირობაა მაკროეკონომიკური და პოლიტიკური სტაბილურობის უზრუნველყოფა, ოპტიმალური ფისკალური და მონეტარული პოლიტიკის წარმართვა, გამჭვირვალე, ეფექტური და სტაბილური სამეწარმეო გარემოს შექმნა, ინვესტირების საშუაშაგლო ფორმების და საინვესტიციო სააგენტოების მუშაობის გააქტიურება და სხვ. წარმატებული საინვესტიციო საქმიანობის მნიშვნელოვანი ფაქტორია სახელმწიფოებრივი რეგულირების სამართლებრივი საფუძვლების სრულყოფა იმ მიმართულებით, რომ მოქმედი კანონმდებლობა მაქსიმალურად შეესაბამებოდეს საერთაშორისო სტანდარტებს და უზრუნველყოფდეს უცხოელთა ინტერესების დაცვას, საგადასახადო ორგანოებთან მათი ურთიერთობის გამარტივებას და გამჭვირვალეობას, ადგილობრივ მეწარმეებთან უცხოელთა ინტერესების თანხედრობას. ხელსაყრელი საინვესტიციო გარემოს შესაქმნელად მეტად მნიშვნელოვანია ორმხრივი საინვესტიციო შეთანხმებების რიცხვის გაზრდა, ასევე მნიშვნელოვანია ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილება.

დღეს საქართველოში არსებული საინვესტიციო ვითარება არაერთგვაროვანია და ამიტომ ერთმნიშვნელოვნად ძნელია მისი შეფასება. როგორც წესი, უცხოელი ინვესტორები პოზიტიურად აღიქვამენ ჩვენი ქვეყნის ბუნებრივი რესურსების მრავალფეროვნებას და მზად არიან, მის მოპოვება-დამუშავებაში მნიშვნელოვანი თანხები დააბანდონ, მაგრამ რთული პოლიტიკურ-ეკონომიკური სიტუაციის ფონზე, ხშირ შემთხვევაში თავს იკავებენ თავისი ფულადი ნაკადების ამ მიმართულებით გადაადგილებაზე. გასათვალისწინებელია ისიც, რომ გლობალურმა ეკონომიკურმა კრიზისმა ბოლო პერიოდში მსოფლიოში საინვესტიციო აქტივობის დაცემა განაპირობა, რასაც შედეგად თავისუფალი კაპიტალის ხელმისაწვდომობის შემცირება და განვითარებული კაპიტალის ბაზრის მქონე ქვეყნების დავალიანებების ზრდა მოჰყვა, ამ ფაქტორთან ერთად ქვეყნის შიგნით არსებულმა არასტაბილურმა ეკონომიკურმა გარემომაც საკმაოდ გაამწვავა საინვესტიციო პირობები საქართველოში. მიუხედავად იმისა, რომ ინვესტორებისათვის საქართველოს ბაზარზე შემოსვლა გარკვეულ რისკებთანაა დაკავშირებული, მაინც შეინიშნება დადებითი ტენდენციები, 2014 წელს, 2013 წელთან შედარებით, საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა გაიზარდა, მიუხედავად იმისა, რომ მთელ მსოფლიოში იგი 8%-ით შემცირდა. საქართველოსათვის უმსხვილესი ინვესტორები არიან ნიდერლანდები, აზერბაიჯანი, ჩინეთი, გაერთიანებული სამეფო და ლუქსემბურგი. ყველაზე დიდი პირდაპირი უცხოური ინვესტიცია ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაში განხორციელდა (პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 27%), მეორე ადგილზეა მშენებლობა (23%), მესამეზე – დამამუშავებელი მრეწველობა (13%).

ინვესტირების საკითხში არსებული ნაკლოვანების აღმოსაფხვრელად მნიშვნელოვანია საერთაშორისო კერძო საინვესტიციო კორპორაციასა (OPIC) და საქართველოს შორის გაფორმებული ურთიერთგაგების მემორანდუმი, რომლის საფუძველზეც საქართველოში ამერიკული ინვესტიციების წახალისებისა და პოლიტიკური რისკების მართვის საკითხებში ერთობლივი პროგრამა შეიქმნა. OPIC ხელს უწყობს ეკონომიკურ განვითარებას ახალ და განვითარებად ბაზრებზე, საქართველოში შემოსული უცხოელი ინვესტორებისათვის გაფორმებული მემორანდუმით უფრო მარტივი იქნება OPIC-ის თანხების წვდომა. ასევე მნიშვნელოვანია ინვესტიციის ზრდისთვის ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკთან (EBRD) 2015 წელს გამართული შეხვედრები და მიღწეული შეთანხმებები, რამაც ხელი უნდა შეუწყოს საქართველოში ევროპული ინვესტიციების ზრდას.

ინვესტიციების მოსაზიდად გარკვეულწილად მნიშვნელოვანია ქვეყნის პოზიციები საერთაშორისო რეიტინგების მიხედვით. საქართველოს საინვესტიციო რეიტინგის ანალიტიკური შეფასება დიდ ბაზას იძლევა ქვეყანაში შემოსვლის მსურველ ინვესტორთათვის და ეს ფაქტორი გასათვალისწინებელია ეკონომიკური პოლიტიკის გატარების პროცესში.

საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტომ Fitch Ratings 2013 წელს საქართველოს პერსპექტივის რეიტინგი „პოზიტიურამდე“ გაზარდა, თუმცა 2015 წელს იმავე სააგენტომ საქართველოს ეკონომიკური პერსპექტივის რეიტინგი „პოზიტიურიდან“ „სტაბილურამდე“ შეამცირა, თავად რეიტინგი კი უცვლელია. "Doing Business"-ის 2014 წლის ანგარიშში, საქართველო მსოფლიოში ბიზნესის წარმოების სიმარტივის თვალსაზრისით მე-8 ადგილზე დასახელდა და პოზიცია, გასულ წელთან შედარებით, ერთი საფეხურით გაიუმჯობესა. "Doing Business 2014"-ის თანახმად, საქართველო ბიზნეს-გარემოს გაუმჯობესების თვალსაზრისით მოწინავე ევროპისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებს შორის.

ბიზნესის წარმოების სიმარტივის გარდა, საქართველო სხვა რეიტინგებშიც ლიდერთა შორისაა: საკუთრების უფლების დარეგისტრირებით რეიტინგში პირველ ადგილზეა, ბიზნესის წამოწყების რეიტინგში - მე-7, მშენებლობის ნებართვების გაცემის კუთხით - მე-4, ეკონომიკური თავისუფლების ინდექსით საქართველო 21-ე პოზიციაზეა..

საინვესტიციო რისკების შემფასებელი კომპანიის გამოქვეყნებულ "Political Risk Atlas 2014"-ის თანახმად, საქართველო იმყოფება "Medium Risk"-ის კატეგორიაში.

გლობალური ეკონომიკური ფორუმის "The Global Enabling Trade Report 2012"-ზე დაყრდნობით, საქართველო 38-ე ადგილს იკავებს ვაჭრობის ხელშეწყობის ინდექსში.

სამეწარმეო და საინვესტიციო გარემოს კუთხით არსებულ პრობლემებზე მიუთითებს სხვადასხვა საერთაშორისო შეფასება და ანგარიში: საკუთრების უფლებების დაცვა - 120-ე ადგილი; დავების გადაჭრის სამართლებრივი ჩარჩოს ეფექტიანობა - 92-ე; ანტიმონოპოლიური პოლიტიკის ეფექტიანობა - 138-ე; ადგილობრივი კონკურენციის ინტენსივობა - 123-ე; ბაზარზე დომინირების მასშტაბები - 119-ე; გადახდისუუნარობის პროცედურები - 88-ე ადგილი; კრედიტორთა მოთხოვნის დაკმაყოფილების დონე 33,6%-ია, მაშინ, როდესაც OECD-ის წევრ ქვეყნებში საშუალოდ - 70,6%-ია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ქვეყანას ჯერ კიდევ ბევრი რჩება გასაკეთებელი უცხოური ინვესტორების დასაინტერესებლად. იმისათვის, რომ ქვეყანაში იარსებოს ჯანსაღმა საინვესტიციო გარემომ, აუცილებელია სტაბილური და პროგნოზირებადი ცვლილებები საკანონმდებლო და ინსტიტუციურ სფეროში, რეფორმების შესახებ ინფორმირებული და ჩართული უნდა იყოს ყველა ის მხარე, ვისაც ცვლილებები შეეხება; სასურველია, ბიზნესგარემოსთვის მნიშვნელოვანი კონკრეტული საკითხების რეფორმირების პროცესი ძალიან ხარგრძლივი არ იყოს, რათა სამიზნე ჯგუფებმა ადვილად დაძლიონ გარდამავალი პერიოდის სირთულეები და დროულად მოახდინონ ახალ რეალობასთან ადაპტაცია; ხელისუფლებამ მაქსიმალურად უნდა შეიკავოს თავი ისეთი კანონების მიღებისგან, რომლებიც ადგილობრივ და უცხოელ ინვესტორებს გაუმართლებელ შეზღუდვებს უწესებს, მათ განვითარებას აფერხებს და კონკრეტულ ბაზრებზე ზღუდავს კონკურენციას.

საქართველოს საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებას ისახავს მიზნად საქართველოს მთავრობის მიერ წარმოდგენილი გეგმა - „საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია - საქართველო 2020“.

საინვესტიციო გარემოს ფაქტორების SWOT-ანალიზი გვიჩვენებს, რომ საქართველოში უცხოელებისთვის მომხიბვლელი პირობებია რესურსების დიდი რაოდენობით, გამარტივებული საგადასახადო გარემოთი და იაფ ფასიანი შრომითი რესურსების კუთხით, მაგრამ, ამავე დროს, დიდ პრობლემას წარმოადგენს იგივე შრომითი რესურსების დაბალი კვალიფიკაცია და მთლიანად ბიზნესეთიკის დაბალი დონე. მაგრამ არსებობს ნაკლოვანებების აღმოფხვრის შესაძლებლობები, რაც, პირველ რიგში, რეფორმების გაგრძელებას და საერთაშორისო ორგანიზაციებთან აქტიურ თანამშრომლობას გულისხმობს, მაგრამ ჯერ კიდევ არსებული არასტაბილური პოლიტიკური და ეკონომიკური გარემო, საომარი კონფლიქტის საფრთხე და მნიშვნელოვანი დამოკიდებულება მეზობელ ქვეყნებზე, ართულებს უცხოური ინვესტიციების განხორციელების შესაძლებლობებს, ამან გამოიწვია ის, რომ ეკონომიკური ზრდის ტემპი შემცირდა, ინვესტიციების შემოდინება არასტაბილურად ხორციელდება და ამის ფონზე უფრო მნიშვნელოვანი ხდება გონივრული ეკონომიკური პოლიტიკის გატარება, რომელშიც დიდი ყურადღება საინვესტიციო გარემოს მიექცევა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. „ინვესტიციების როლი, როგორც ეკონომიკის ზრდის წყარო“ <http://pacug.org/?p=5>
2. ერშოვი მ. ინვესტიციები და ეკონომიკური ზრდა, თბ., 2011.
3. ქოქიაური ლ. საინვესტიციო საქმე, თბ., 2010, გვ. 92-96.
4. Alexiou C. -A. Keynesian Model of Investment Determination: A Panel Data Investigation, Thessaloniki (Greece), 2009, 24.
5. A. Rzepka, FDI and international trade in globalisation aspects in economy. Actual problems of development of economy and economic science, TSU, Tbilisi, 2015.
6. OECD, "Benchmark Definition of Foreign Direct Investment", 4th edition, April 2008.
7. Global Competitiveness Report 2011-2012, World Economic Forum, 2012.
8. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო - www.economy.ge
9. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო -www.mof.ge
10. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური-www.geostat.ge

Marina Tabatadze

INVESTING ENVIRONMENT AND COUNTY'S INTERNATIONAL RATING Annotation

Investment is active instrument of economic growth, its scale answers the question, how stable the country is, how it's economical politics look like, investing environment in general economical development creates it's effective

guaranties. Government is the main initiator of investments, it provides investor's interests insurance by economical and liberal adjustment, effective usage of investment's potential and with this it creates the way of economical growth.

SWOT's investing analysis shows that Georgia has a huge attractive conditions, simple tax environment with cheap labor force, but at the same time law qualification and business ethics are huge problems. The program of investing environmental improvements are shown in plan: "Georgian social-economical improvement strategy 2020", according to the available resources, progressive legal system, accordingly the preferences and correct institutive way, Georgia has opportunity of international improvement and economical growth.

ასმათ შამუგია

ადამიანური რესურსების ეფექტიანი მართვის სტრატეგია

როგორც ცნობილია, ტერმინი "მენეჯმენტი" სამეურნეო პრაქტიკაში დამკვიდრდა XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დასაწყისში. მან საკმაოდ ფართო გავრცელება პოვა მომდევნო პერიოდებში და დღეს ის უკვე აქტიურად გამოიყენება არასამეურნეო მართვის სისტემებშიც. მენეჯმენტში მთავარ ფიგურას წარმოადგენს ადამიანი. მენეჯერი გულისხმობს ადამიანებისა და მათი ჯგუფის მართვას შესაბამისი სტიმულებისა და ანტი-სტიმულების გამოყენებით. თუ ეს მარტივი ჭეშმარიტება კარგადაა ცნობილი ქართული კომპანიების მენეჯერებისთვის და მათ ასევე სიღრმისეულად გაცნობიერებული აქვთ ტერმინის "მენეჯმენტი" მნიშვნელობა, მაშინ, რასაკვირველია, ყურადღების მიღმა არ უნდა დარჩეთ პერსონალის მართვის ინსტრუმენტები, უპირველეს ყოვლისა, მათი დახარჯული შრომის რაოდენობის, ხარისხის შეფასებისა და ანაზღაურების საკითხები. ყოველივე ეს რომ არ იყოს მხოლოდ რიტორიკული მსჯელობა, არგუმენტად შეგვიძლია მოვიყვანოთ საქართველოს რიგ ორგანიზაციებში პერსონალის შრომის წახალისების ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზისა და შრომის ანაზღაურების დებულებებთან დაკავშირებული წყაროების სიმწირე. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ თანამედროვე დაწესებულების კადრები აღჭურვილები უნდა იყვნენ შესაბამისი ცოდნით და აუცილებელია მათ გააჩნდეთ სათანადო დაინტერესება, აქტიურად ჩაერთონ ამ პროცესში, შეასრულონ ის დაკვეთა, რომელსაც ისინი იღებენ გარემოდან. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში მოხდება ინდივიდების მამოძრავებელი საზოგადოებრივ-ორგანიზაციული და პროფესიული ინტერესების შეჯერება.

ნებისმიერი დაწესებულების საკადრო პოლიტიკა წარმოადგენს მთლიანად ქვეყნის განვითარების საერთო პოლიტიკის ნაწილს. მაშასადამე, ის სრულიად შეესაბამება ორგანიზაციის განვითარების კონცეფციას. დაწესებულების სამომავლო ამოცანების ფორმირებისათვის გამოიყენება პერსონალის მართვის სხვადასხვა სახეები. ესენია: **პასიური, რეაქტიული, პრევენციული და აქტიური.**

უნდა ითქვას ისიც, რომ თანამედროვე წამყვანი ორგანიზაციები ძირითადად უპირატესობას ანიჭებენ **აქტიური** საკადრო პოლიტიკის განხორციელებას, რომელსაც დაწესებულებების მართვის პრაქტიკულ სისტემაში მუდმივად იყენებენ და მიმართავენ ჩვენი ქვეყნის მოწინავე კომპანიებიც. თუმცა, ამასთან, შეინიშნება ოთხივე სახის მიდგომის პრაქტიკა, რაც, მსოფლიო გამოცდილებიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, დასაშვებია, რადგან ყოველ ცალკეულ შემთხვევაში შესაძლებელია ორგანიზაციაში კადრებით უზრუნველყოფის ფორმის გამოყენება. ასევე არ არის გამორიცხული, რომ ქართულ დაწესებულებებში კადრების სელექციის ისეთი სახეები იქნეს გამოყენებული, როგორცაა **რაციონალური** და **აგნტიურისტული** საკადრო პოლიტიკა, რადგან რიგ ორგანიზაციებს დღემდე არ გააჩნიათ სტრატეგიული ხედვა იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოხდეს პერსონალის თაობების ცვლის პროცესის მართვა სტრატეგიული პერიოდის გათვალისწინებით.

ორგანიზაციის პერსონალის მართვის სტრუქტურა განისაზღვრება საკადრო პოლიტიკის სტრატეგიით, რომელიც მოიცავს მართვის სხვადასხვა ფორმებსა და მეთოდებს. უფრო მეტიც, სწორედ საკადრო პოლიტიკის სტრატეგია განსაზღვრავს დაწესებულების კადრების მართვის სტრატეგიას. სპეციალურ მენეჯერულ ლიტერატურაში გამოყოფენ საკადრო პოლიტიკის სტრატეგიის სამ კონცეფციას. მიზანშეწონილად მიგვაჩნია მოკლედ განვიხილოთ თითოეული მათგანი.

პირველი კონცეფცია გულისხმობს, რომ პერსონალის მართვის სტრატეგია განისაზღვრება ზოგადი სტრატეგიის საფუძველზე, რომლის შემადგენელი ნაწილია თანამშრომლების განვითარების სტრატეგია: მოწვევა (დაქირავება), მომზადება, გადამზადება, მატერიალური და მორალური სტიმულირება, მათთვის ღირსეული შრომითი პირობების შექმნა-შენარჩუნება;

მეორე კონცეფციის მიხედვით, პერსონალის მართვის სტრატეგია არის ცენტრალური, დამოუკიდებელი ფუნქცია და ის მეტ-ნაკლებად ითვალისწინებს ორგანიზაციის განვითარებას. დაწესებულებაში დასაქმებული კადრი განიხილება, როგორც დამოუკიდებელი რესურსი, რომელიც, მისი მომზადების ხარისხისა და უნარ-ჩვევებიდან გამომდინარე, შეიძლება სხვადასხვა ამოცანის გადაწყვეტას. მოცემულ შემთხვევაში საკადრო პოლიტიკა დამოკიდებულია არსებულ ან პოტენციურ საკადრო რესურსებზე;

მესამე კონცეფცია წარმოადგენს ზემოთ აღწერილი კონცეფციების სინთეზს. ორგანიზაციის განვითარების სტრატეგიის დაპირისპირებით, არსებული და პოტენციური საკადრო რესურსებით განისაზღვრება მისი შესაბამისობა საკადრო პოლიტიკის სტრატეგიის მიმართულებებთან. ასეთი დაპირისპირების შედეგად შეიძლება მოთიანად დაწესებულების საქმიანობის სტრატეგია და მისი საკადრო პოლიტიკა შეიცვალოს.

ჩვენი მოსაზრებით, **მესამე კონცეფცია** უფრო მისასაღებელია, რადგან იგი მიუთითებს სტრატეგიული გეგმის განმსაზღვრელ სუბიექტებს, რომ შემოქმედებითად მიუღწევენ მართვის პრობლემების გადაწყვეტას, შემუშავებასა და რეალიზაციას.

ზოგადად, ორგანიზაციის პერსონალის მართვის პროცესი მრავალმიმართულებიან ასპექტებს მოიცავს: სტრატეგიასა და ტაქტიკას მათი რეალიზაციის პერიოდების მიხედვით, პერსონალის შერჩევას, სწავლებას, კვალიფიკაციის ამაღლებას, შრომითი საქმიანობის შეფასებას, წახალისების ფორმების, მეთოდების სრულყოფასა და კადრების მომზადებას.

კაცობრიობის განვითარების თანამედროვე ეტაპზე მნიშვნელოვნად იზრდება ცოდნის როლი, რომლის მატარებელია ინდივიდი. აქედან გამომდინარე, ადამიანური რესურსი საზოგადოების ცხოვრების ყველა სფეროში გადამწყვეტ ფაქტორს წარმოადგენს. ამიტომ, რომ უმთავრეს ამოცანას პერსონალის სწორად შერჩევა და მათი შესაბამის თანამდებობებზე სამართლიანი განაწილება წარმოადგენს. თუ კადრები გრძნობენ, რომ მათ შრომას აფასებენ, გასამრჯელოს მუშაობის შესაბამისად უხდიან და პერსონალს შრომისათვის ყველანაირ პირობებს უქმნიან, ისინი ცდილობენ საკუთარი პოტენციალის მაქსიმალურად გამოყენებას დაწესებულების ეფექტიანი მიზნების მისაღწევად. ხოლო თუ თანამშრომლები გრძნობენ, რომ მათ შრომას სათანადოდ არ აფასებენ, მაშინ ისინი, ბუნებრივია, გაცილებით უფრო ნაკლები ინტერესით ეკიდებიან მოვალეობების შესრულებას და ეძებენ ახალ სამსახურს. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, რომ თანამედროვე ორგანიზაციებში არსებობდეს პერსონალის შერჩევის სტრატეგიული ხედვა და მათთვის მოცემული საქმიანობის აღმძვრელი სტიმულები.

დღეს ორგანიზაციის მართვის თეორია ეფუძნება ადამიანური რესურსების თეორიას, რომელიც გულისხმობს, რომ ინდივიდების უდიდესი ნაწილისათვის შრომას მოაქვს კმაყოფილება. ისინი ცდილობენ საკუთარი წვლილი შეიტანონ დასახული მიზნების რეალიზაციაში. ადამიანების უდიდეს ნაწილს გააჩნია დამოუკიდებელი მოქმედების, შემოქმედებისა და თვითკონტროლის უნარი. ასეთ შემთხვევაში ორგანიზაციის ხელმძღვანელის როლს, სხვა დანარჩენი პირობების შექმნასთან ერთად, წარმოადგენს ადამიანური რესურსების მართვის მუდმივი სრულყოფა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Dessler Gary, "Human Resource Management. 9th ed. Florida International University, NJ: Pearson/prentice-Hall, 2004, 799 pages;
2. Пугачев В.П., Руководство персоналом организации, М. Аспект Пресс, 1998, 276 с;
3. Оптимизация состава персонала Журнал: „Справочник кадровик год 2010“;
4. Жданова М.Г., Особенности управления персоналом в условиях новой Экономики, М., 2013;
5. Управление персоналом в России: Современные исследования, проблемы и решения. Сборник научных трудов, материалы научно-практической конференции. Ульяновск, 2011.

Asmat Shamugia

EFFECTIVE MANAGEMENT STRATEGY FOR HUMAN RESOURCES

Annotation

This scientific article explores that, effective personnel management should be based on the development of strategic planning and management, whose significant trend is the enactment of motivating factors. just such strategic plan follows the country's development strategy, which is - one of its fragment and carried out within the framework of its parameters.

ვატი შენგელია

ცვლილებების აუცილებლობა კომპანიაში

თანამედროვე ეტაპზე ცვლილებებისადმი ადამიანების ლტოლვა საკმაოდ დიდია. ცვლილებები გულისხმობს რაიმეს შეცვლას, გარდაქმნას ან მოდიფიცირებას. ორგანიზაციები იცვლება ან ადაპტირდება იმ მიმართულებით რისი მიღწევა სურთ და რა გზებით. ცვლილებებში იგულისხმება ხელმძღვანელის მიერ ორგანიზაციის მიზნების, სტრუქტურის, ამოცანების, ტექნოლოგიისა და ადამიანისეული ფაქტორებისათვის დამახასიათებელი ერთი ან მეტი შინაგანი ცვლადის შეცვლის შესახებ გადაწყვეტილების მიღება. ამ დროს მენეჯერებს უკავია ან პროაქტიური, ან რეაქტიური პოზიცია, ესე იგი ის თვითონ იჩენს აქტიურობას ან კიდევ რეაგირებს კონკრეტული სიტუაციის მოთხოვნებზე. კონტროლის შედეგად გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად განხორციელებული ქმედება რეაქტიურია, სხვები იცვლებიან პრინციპულად, რადგან თვლიან, რომ

საჭიროა ცვლილებები. ასეთ ცვლილებებს პროაქტიურ ცვლილებები ეწოდება. ზოგიერთი ორგანიზაცია არის კონსერვატიული შეხედულებების, ისინი ცდილობენ, მაქსიმალურად შეამცირონ ცვლილებები, სხვები კი სამეწარმეო ნიჭით დაჯილდოებული არიან და ყოველთვის ეძებენ ახალ შესაძლებლობებს, აყენებენ ახალ ამოცანებს. ერთნი ნელი ტემპით ასორციელებენ ცვლილებებს, მეორენი უფრო პლასტიკურობით გამოიჩინებიან, ისინი ადაპტაციას განიცდიან რეგულარულად და შედარებით ადვილად.

მსოფლიო მასშტაბით არსებულ ბიზნესგარემოში მრავალი მიმართულებით მიმდინარე ცვლილებებიდან შესაძლებელია რამდენიმე ფაქტორის გამოყოფა, რომელზეც განსაკუთრებით უნდა გამახვილდეს ყურადღება. ერთ-ერთი ფაქტორია კონკურენცია, რომელიც სულ უფრო მწვავედება. უახლესი ტექნოლოგიების წყალობით, ნებისმიერი ახლად შექმნილი კომპანია სურვილის შემთხვევაში უმაღლეს ხდება მსოფლიო ბაზრის მონაწილე, ანუ გლობალურ დარგებში შესვლის ბარიერები საკმაოდ შეიზღუდა. კომერციული დარგებისთვის ცვლილებების ძირითადი გენერატორი სწორედ კონკურენციაა. ნებისმიერი მათგანი, სიძლიერის მიუხედავად, განადგურების საფრთხის წინაშე აღმოჩნდება თუ სისტემატიურად არ მიაღწენა თვალყური კონკურენტებს და მიზნების და საქმიანობის დაგეგმვისას არ გაითვალისწინა მათი მოღვაწეობის შედეგები. მხედველობაში მისაღებია გლობალური კონკურენციის ფაქტორიც – კონკურენტი ფირმები აგრესიულად იჭრებიან „ერთმანეთის ტერიტორიაზე“ და იბრძვიან ბაზრის ნებისმიერი წილის გამო მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში. კონკურენტული ბრძოლის გამწვავების შედეგად ხორციელდება პროდუქციის ასორტიმენტის გაფართოება. კომპანიები ცდილობენ, მაქსიმალურ დონეზე უზრუნველყონ მომხმარებელთა თუნდაც მცირე ჯგუფის ინტერესები და, ამავე დროს, შექმნან კონკურენტისაგან განსხვავებული პროდუქცია. ეს, თავის მხრივ, იწვევს ბაზარზე მრავალი ახალი პროდუქტის და მომსახურების შეთავაზებას, რომელთა ასორტიმენტი დროთა განმავლობაში სულ უფრო ფართოვდება. შესაბამისად იზრდება კონკურენცია კომპანიებს შორის ბაზარზე ადგილის დასამკვიდრებლად. პროდუქციის ასორტიმენტისა და ტექნოლოგიების შერწყმის თაობაზე სულ უფრო ძლიერდება დარგებისა და სექტორების გამომწვანავი ბარიერების მოშლის პროცესი. დღეს კაცობრიობა ქმნის და იყენებს ფანტასტიკურ ტექნოლოგიებს. ზოგიერთი დარგის მიხედვით ინოვაციის შეთავაზების სიჩქარე რამდენიმე თვეს არ აღემატება, რამაც ძალიან გაართულა ტექნოლოგიური განვითარებისათვის თვალყურის დევნება და მათი პროგნოზირება. ამავე დროს შეინიშნება ერთი ახალი ტენდენცია, რომელიც ამ მხრივ კიდევ უფრო ართულებს ვითარებას: ახალი ტექნოლოგიები და მათ საფუძველზე შექმნილი პროდუქცია, განსაკუთრებით მონათესავე დარგებში, სულ უფრო კომბინირებული და ურთიერთდაკავშირებული ხდება. მაგალითად, ტექნოლოგიურად ინტეგრირდება ისეთი დარგები, როგორცაა ტელევიზია და საკაბელო თუ არასაკაბელო კომუნიკაციები, კომპიუტერების, საყოფაცხოვრებო ტექნიკის, ტელეფონების თუ პროგრამული უზრუნველყოფის ელემენტების წარმოება.

XX საუკუნის 70-80-იან წლებამდე, მანამ, სანამ აქტიურ პრაქტიკულ გამოყენებას პოვებდა სტრატეგიული მენეჯმენტის მიდგომები, კომპანიები შეიმუშავებდნენ გრძელვადიან გეგმებს, რომლებშიც გათვალისწინებული იყო მომავლის მხოლოდ ერთი სცენარი. ცხადია, ასეთ პირობებში ნებისმიერი ცვლილება, დიდი ალბათობით, კრახის მომტანი იყო მათთვის, მაგრამ ეს მეტად იშვიათად ხდებოდა. თანამედროვე პირობებში ძალიან ძნელია დიდი ხნის განმავლობაში მუდმივად წარმატებული საქმიანობა. ბაზრისთვის უფრო სრულყოფილი გადაწყვეტილების შეთავაზებით ხან ერთი კომპანია გაიჭრება წინ, ხან მეორე. რაც უფრო ინოვაციურია დარგი, მით უფრო სწრაფად ხდება მსგავსი მონაცვლეობა. მაგალითად, განსაკუთრებით მწვავედ მიმდინარეობს კონკურენტული ბრძოლა პროგრამული უზრუნველყოფის ბაზარზე, სადაც ლიდერი ზოგჯერ რამდენიმე თვის განმავლობაშიც კი იცვლება. აქ წამყვან პოზიციებზე გასასვლელად საკმარისია ბაზრისათვის არა მარტო ახალი პროდუქტის შეთავაზება, არამედ შეთავაზების შესახებ ჭორიც კი. ასეთ პირობებში, გრძელვადიანი პერსპექტივის გათვალისწინებით, აუცილებელია, კომპანიები შეეგუონ დროებით წარუმატებლობას და ეს არ გახდეს მათი განადგურების მიზეზი [10].

მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოება, რომ ცვლილებები ყოველთვის არ ნიშნავს ინოვაციურობას, ანუ რაიმე ახლის შემოტანას, მაგრამ ინოვაცია არის ცვლილებების ყველაზე მეტად მიმზიდველი ასპექტი მკვლევრებისა და კონსულტანტებისთვის, თუმცა არსებობს რამდენიმე საკითხი, რომელთა დასმაც შესაძლებელია ორგანიზაციული ცვლილებების კონცეფციების განხილვისას. პირველი არის ის, რომ ცვლილებები ორგანიზაციის ერთ ნაწილში აუცილებლად მოქმედებს ადამიანებსა და პროცესებზე ორგანიზაციის სხვა ნაწილში. ორგანიზაციულ ცვლილებებზე შეიძლება გავლენა იქონიოს ორგანიზაციული ცვლილებების რამდენიმე ისეთმა მნიშვნელოვანმა მახასიათებელმა, როგორცაა: ორგანიზაციის მისია და სტრატეგია, სტრუქტურა, პროდუქცია და საწარმოო პროცესები, ადამიანური რესურსები, ორგანიზაციული კულტურა და ტექნოლოგიური მუშაობის ხასიათი. ორგანიზაციის ეს მახასიათებლები თავისთავად განიცდის გარემოს გავლენას. მეორე მნიშვნელოვანი საკითხი ცვლილებების შესახებ, არის ის, რომ მისი გამოწვევა შეუძლია ნებისმიერი ოდენობის გარე და შიდა ფაქტორებს. გარეშე გამოწვევი ფაქტორები შეიძლება იყოს:

- ცვლილებები ორგანიზაციის პროდუქციის ან მომსახურების მოთხოვნილებაში (მომხმარებლის ცვლადი გემოვნების შედეგი, კონკურენტების საქმიანობა, საკანონმდებლო ცვლილებები);
- კონკურენტების შესაშინებელი ტაქტიკა (აგრესიულად შემცირებული ფასები, უპირატესობის მქონე პროდუქციის და/ან მომსახურების შექმნა);
- ახალი კონკურენტული პროდუქციის / მომსახურების გამოჩენა;
- ბიზნესის გარდაქმნა უფრო მეტად ძლიერი საწარმოს მიერ;
- საწარმოების გაერთიანება;
- ძირითადი მომმარაგებლის მიერ ორგანიზაციის მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობა;
- ვაჭრობის პირობების შეცვლა (მიმდინარე საკონვერტაციო კურსი, ტარიფები და ა.შ.);
- საჭირო მუშახელის ნაკლებობა;
- ახალი, გამოსაყენებლად ხელმისაწვდომი, ტექნოლოგიების შექმნა;
- პოლიტიკური ცვლილებები (ახალი სამუშაო კანონი, ცვლილებები კომპანიის კანონებში, საგადასახადო ცვლილებები და ა.შ.).

გარე გამოწვევებთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი საკითხია ის, რომ ზოგი მათგანის წინასწარმეტყველება ნაკლებად არის შესაძლებელი და შესაბამისად უფრო ძნელად დასაგეგმი.

ინტერნალური გამოწვევები, რომლებიც, თეორიულად, ცვლილებების უკეთესი ინდიკატორებია, შესაძლოა იყოს შემდეგი:

- დაგეგმილი ცვლილებები სტრატეგიაში, მიზნების გადამოწმების შედეგად. (ამაზე თავისთავად მოქმედებს გარეშე მოვლენები);
- კულტურული ცვლილებების შემოტანის მცდელობა (მენეჯერული სტილის, ერთობლივი მუშაობის და ა.შ.);
- წარმოების ეფექტურობის/რესურსების გამოყენების გაუმჯობესება;
- პროდუქციის/მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების საჭიროება;
- ახალი პროდუქციის/მომსახურების შექმნის მოთხოვნილება;
- სტანდარტების/სისტემების გაუმჯობესების მოთხოვნილება მომხმარებლებთან უკეთესი საქმიანობისთვის;
- ადამიანების ერთი ადგილიდან მეორეზე გადაყვანის საჭიროება, სადაც ისინი უფრო ეფექტურად იმუშავენ.

ცვლილებების ინტერნალური გამოწვევების შემთხვევაში მენეჯერებმა უნდა დაგეგმონ, თუ როგორი რეაგირება უნდა მოახდინონ მათზე. ზოგიერთი პოტენციური ცვლილება, წინასწარ დადებითად მიიჩნევა და ამ დროს დაგეგმვა ხდება ნაკლებ დეტალურად, ზოგმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს გარკვეული კრიზისი (მაგ., ახალი პროდუქციის წარუმატებლობა ან ხელი შეეშალოს მომმარაგებელს, ან მთავარ მენეჯერს), ამ შემთხვევაში შეუძლებელია დაგეგმვა მოხდეს ყველა დეტალის გათვალისწინებით. საჭიროა სწრაფი რეაგირება, სადაც ძირითადი ინდივიდების და პროდუქციის ინტერესია, კარგად ორგანიზებულ საწარმოს ყოველთვის აქვს უკან დასახვევი პოზიცია გაუთვალისწინებელი მოვლენების გეგმის სახით. ეს შესაძლოა არ იყოს იდეალური რეაგირება, მაგრამ ის შეაჩერებს კრიზისის გადაზრდას ტრაგედიაში.

ცვლილებების სწორად განხორციელება ეფექტიანი ხელმძღვანელობის ერთ-ერთი ყველაზე ძნელი, მაგრამ პრესტიჟული ამოცანაა. მნიშვნელოვანია, მენეჯერებმა ცვლილებების დაგეგმვისას გაიაზრონ, რომ გარკვეული წინააღმდეგობები გარდაუვალია. ინდივიდები ორგანიზაციის ყველა საფეხურზე გრძნობენ გარკვეულ შიშს ცვლილებების მიმართ, რაც იწვევს წინააღმდეგობას. ცვლილების დაგეგმვისას უნდა გადავხედოთ ხარჯების საკითხს. ნებისმიერი ცვლილება იწვევს გარკვეულ პირდაპირ ხარჯებს (მაგ., აპარატურის ღირებულება, გადანაწილების ხარჯები და სავარაუდო გაუთვალისწინებელი გადასახადები), ასევე იქნება არაპირდაპირი დანახარჯები, როგორც არის მომუშავეთა საკომუნიკაციო ცვლილებები, საჭირო ტრენინგები, მთავარი მენეჯერისა და პერსონალის გადაადგილება ცვლილებების პროექტში. ცვლილებების ხარჯებთან ერთად აუცილებელია იმის გამოთვლა, რა რაოდენობის დანახარჯი მოჰყვება ცვლილებების უარყოფას.

ამერიკის 30 მთავარი კომპანიის ძირფეხვიან გამოკვლევებში და კიდევ სხვა 100 ამერიკული საწარმოს გამოკვლევებში, მის კანტერი აიდენტიფიცირებს ორ სრულიად განსხვავებულ მიმართულებას, კომპანიები როგორ უდგებოდნენ ინოვაციებს. ერთი მიდგომა, რომელსაც ის უწოდებდა „ინტეგრალურს“, აღწერდა ფორმებს, რომლებიც ცდილობდნენ გამოეცადათ ახალი იდეები, ისინი ცვლილებებს უყურებდნენ, როგორც ახალ შესაძლებლობებს და არა, როგორც საშიშროებებს, მეორე მიდგომა პირიქით, ორგანიზაციას უყურებდა, როგორც სეგმენტების ერთიანობას და არა როგორც ერთ ორგანულ მთლიანობას. ცვლილებებს ატარებდა გარკვეული სეგმენტის განყოფილების ფარგლებში და არ ცდილობდა დაემყარებინა საერთო ბალანსი ერთიან სტრუქტურაში. ამ მიდგომას კანტერი უწოდებდა „სეგმენტალისტურს“. მისთვის ნათელი გახდა, რომ ინოვაცია უკეთესად ინერგებოდა ინტეგრალურ კომპანიებში, ვიდრე სეგმენტალისტურში.

ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი მოტივი ინოვაციებისთვის ბიზნესსაწარმოებში არის მომხმარებელთა მოთხოვნების დაკმაყოფილება. კომპანია რომ გახდეს ინტეგრალური, მას სჭირდება სამი ახალი შესაძლებლობის განვითარება:

1. ძალაუფლების უნარი, ანუ უნარი, დაარწმუნოს სხვები, დახარჯონ დრო და რესურსები ახალ და სარისკო ინიციატივაში;

2. პრობლემების თავის გათმევის უნარი - წარმოიქმნება ჯგუფური მუშაობის და მუშების თანამონაწილეობის შედეგად;

3. მიხედვრა იმისა, თუ როგორი ცვლილებაა საჭირო და დასანერგი ორგანიზაციაში.

ცვლილებების წინააღმდეგობების და ენერჯის გადალახვის საკითხების განხილვისას, რომლებსაც იგი უწოდებდა „ინოვაციის ბლოკირებას“, მის კანტერი გეთავაზობდა რამდენიმე შესაძლო მოქმედებას, რომელიც შეიძლება ასე დავაჯამოთ:

1. მთავარი მენეჯმენტი პირადად უნდა უჭერდეს მხარს ინოვაციებს;

2. ორგანიზაციაში გამოაშკარავებული და წახალისებული უნდა იყოს მიღწევები, გამოცდილი ინოვაციები უნდა გამოიყენებოდეს კონსულტაციების სახით ორგანიზაციის სხვა განყოფილებებში;

3. უნდა გაუმჯობესდეს ლატერალური კომუნიკაციები. უნდა შეიქმნას მრავალფუნქციური კავშირები და უნდა წახალისდეს პერსონალის მობილურობა;

4. უნდა შემცირდეს იერარქიის ზედმეტი საფეხურები (ანუ უნდა ვეცადოთ სტრუქტურების გამარტივებას) და ავტორიტეტი უნდა გადანაწილდეს ქვედა საფეხურებზე (პერსონალისთვის ძალაუფლების მინიჭება);

5. ინფორმაცია კომპანიის გეგმების შესახებ უნდა იყოს ხელმისაწვდომი და შეძლებისდაგვარად ინფორმირებული უნდა იყვნენ დასაქმებული ადამიანები, რათა მათ მონაწილეობა მიიღონ ცვლილებებში, სანამ გადაწყვეტილებები იქნება მიღებული (მაგ., დავალების საშუალებით, პრობლემების გადაწყვეტი ჯგუფების მეშვეობით და ა. შ.).

უნდა გავაცნობიეროთ, რომ „ცვლილებები ცვლილებებისთვის“ არ უნდა გავატაროთ. ადამიანთა უმეტესობას ესაჭიროება დარწმუნება ცვლილებების აუცილებლობაში. რეალურად ყველა ადამიანთა დაჯგუფებას გააჩნია გარკვეული ძალა, რაც აერთიანებს მათ და ანიჭებს სტაბილურობას, სხვები კი ამ ძალას იყენებენ ცვლილებებისათვის და ამ ცვლილებებთან ადაპტირებისთვის. ერთი ყველაზე პრინციპული მეთოდი, რომლითაც ორგანიზაციას შეუძლია დაგეგმილი ცვლილებების გატარება, არის ორგანიზაციის განვითარების პროგრამა. მეორე მეთოდი, რომელიც ასევე საგულისხმოა, არის ეგრეთ წოდებული საქმიანობის გამოკვლევა, ეს არის ერთობლივი მიდგომა ცვლილებებისადმი, რომლის დროსაც ადამიანები მუშაობენ ჯგუფებად იმ მიზნით, რომ გააანალიზონ პრობლემატიკური სიტუაცია და გამოახონ შესაფერისი სამუშაო მეთოდები.

პრინციპულად საყურადღებო მოვლენა საქმიანობის გამოკვლევაში არის უფრო მეტად პრობლემაზე ორიენტაცია, ვიდრე გადაწყვეტილებაზე და თანამშრომლების მართვა საქმიანობის მნიშვნელოვან საკითხებში. მათი თანამშრომლობის მოპოვება ცვლილებების გატარებისას, რეალური პრობლემის მთავარი საფუძვლიდან გამომდინარე, უფრო მნიშვნელოვანია ვიდრე ნებისმიერი სხვა ცვლილებების მეთოდის.

მეორე ცვლილებების ჩასატარებელი მეთოდი ბიზნესპროცესების რეკონსტრუირებაა, რომელიც განსაკუთრებულ ყურადღებას ანიჭებს ცვლილებების ძირითად საკითხებს, განსაკუთრებით:

- სამუშაო პროცესების მიმდინარე შეფასებებს თანამშრომლობის მეთოდებით;
- უფრო მეტად ცვლილებების პროცესებზე ფოკუსირებით, ვიდრე სტრუქტურებზე ან დავალებებზე;

- ლატერალური სამუშაო პროცესების კრიტიკულობის აღნიშვნით;
- თანამედროვე პირობებში სამუშაოს მრავალმხრივი ხასიათის აღნიშვნით;
- მუშახელისთვის ძალაუფლების მინიჭების საჭიროების წარმოჩენით რეკონსტრუირების პროცესში და ორგანიზაციებში;

- მომხმარებლის როლზე ყურადღების გამახვილებით;
- ინფორმაციული ტექნოლოგიების შესამსუბუქებელი როლის განხილვით ბიზნესპროცესების გაუმჯობესების დროს.

ინოვაციების და ცვლილებების მენეჯმენტი არის ორგანიზაციაში ყველა პიროვნების გამოწვევა, მენეჯმენტისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პოზიტიური დამოკიდებულების შექმნა ცვლილებების მიმართ და მისი დაცვა შესაბამისი სწავლებითა და საქმიანობით. მაღალ კონკურენტულ ბაზარზე, რომელიც მეტად კომპლექსური ხდება მთავრობის საქმიანობის და სხვა მრავალი ჯგუფის ზემოქმედების შედეგად, ფირმები ან უნდა ადაპტირდნენ, ან უნდა განადგურდნენ.

ორგანიზაციული ცვლილებების პრობლემების წარმოშობისას აუცილებელია ორგანიზაციის შემდგომი განვითარების პერსპექტივების ჩამოყალიბება. „ორგანიზაციის განვითარება არის სტრატეგია ორგანიზაციის ეფექტურობის გასაუმჯობესებლად საქმიანობისადმი მეცნიერული მიდგომით, რომელიც შეიცავს განაცხადს დიაგნოსტიკისა და პრობლემების გადაწყვეტის შესაძლებლობების შესახებ, გარე კონსულტანტების თანამშრომლობით ორგანიზაციის მენეჯმენტთან“ [6, გვ. 21].

ნებისმიერი ორგანიზაციის განვითარების პროცესში საყურადღებოა ცვლილებების აგენტთან თანამშრომლური ურთიერთობა, რომელიც გულისხმობს ერთმანეთის მიმართ ღია ურთიერთობებს,

ნდობის მაღალ დონეს და კონფლიქტების კონსტრუქციულ მოგვარებას. ცვლილებები ზოგჯერ შეიძლება იყოს მტკივნეული, განსაკუთრებით როცა შეიცავს ადამიანთა ვალდებულებებს, რწმენას და წარმოდგენას საკუთარ შესაძლებლობებზე. ამ პროცესის მონაწილეებს კარგად უნდა ესმოდეთ თანამშრომლობის მნიშვნელობა, თუ მათ სურთ გააუმჯობესონ თავიანთი ორგანიზაციების მდგომარეობა.

ორგანიზაციაში ცვლილებების განხორციელება აუცილებელია, როცა მთავარი მენეჯმენტი ხვდება, რომ ორგანიზაციის ძირითადი კომპონენტების სისტემა ვერ მუშაობს ჰარმონიულად, სხვა სიტყვებით, როცა მიზნების, ადამიანების და სტრუქტურის კომპლექსური ნაერთი ვეღარ ასრულებს სასურველ სამუშაოს ორგანიზაციაში და ამ დროს საჭიროა სრული წარმოების გადახალისება.

რეაქცია ცვლილებებზე ორგანიზაციაში მართვის ყველა დონეს ეხება. თუმცა მას აქვს განსხვავებული ხასიათი და განსხვავებულია ცვლილებების შედეგებიც. მაგალითად, თუ რომელიმე კომპანიის უმაღლესი დონის ხელმძღვანელობა გადაწყვეტს მოდერნიზაციას, საშუალო დონის მენეჯერები და სპეციალისტები ამზადებენ ინფორმაციას გასატარებელ ღონისძიებებზე და მოსალოდნელი ხარჯების ალტერნატიულ ვარიანტებზე. ძირეული დონის მენეჯერები პასუხს აგებენ დასახული ღონისძიების პრაქტიკულ რეალიზაციაზე. მუშებიც უნდა გაერკვნენ ცვლილებების არსში, რომ შეძლონ ახალი მოთხოვნილებების შესაბამისად მუშაობა და ხარისხიანი პროდუქციის წარმოება.

ცვლილებები ერთმანეთთან არის დაკავშირებული, რაც აუცილებლად უნდა გაითვალისწინონ მენეჯერებმა. მენეჯერის ცოდნის ბარომეტრია მისი რეაქცია ახალ სტრატეგიულ შესაძლებლობებზე. დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ როგორ აღიქვამს ის სხვა კომპანიების მიერ განხორციელებულ ინოვაციებს, რას მოიმოქმედებს ორგანიზაციის საქმიანობის გაუმჯობესების თვალსაზრისით. სამეურნეო ნიჭით დაჯილდოებული მენეჯერები ყოველთვის ინოვაციის როლში გვევლინებიან - ისინი სწრაფად ითვისებენ ყოველგვარ სიახლეს, რისკის გარკვეულ ნაწილს იღებენ საკუთარ თავზე და ინიცირებენ უკეთებენ კარდინალურად განსხვავებულ სტრატეგიებს. მათგან გასხვავებით, მენეჯერები, რომლებიც ემხრობიან სტრატეგიას „შიგნიდან“, უფრო ხიან რისკს, ცუდად რეაგირებენ ცვლილებებზე, ღრმად არიან დარწმუნებული საკუთარ პოზიციაში, იმედოვნებენ რომ გვერდს აუვლიან შეცდომებს, რომლებსაც, მათი რწმენით, ინოვაციორები სჩადიან. ასეთი ტიპის მენეჯერები გლობალურ სტრატეგიულ გარდაქმნებს ამჯობინებენ სტრატეგიაში მცირე სახის ცვლილებებს.

ამრიგად, თანამედროვე პირობებში ნებისმიერი ფირმის წარმატების საფუძველი დამოკიდებულია გარემოს ცვლილებებთან მუდმივ ადაპტაციაზე და მისი პოტენციალის ამ ცვლილებებთან შესაბამისობაში მოყვანაზე. ორგანიზაციული ცვლილებების გაზრდაზე, ასევე ეკონომიკური და ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურების ყველა სფეროში გამაღებელი ცვლილებებით გამოწვეულ გაურკვევლობის დაძლევაზე. ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ძირითადი ინსტრუმენტია არსებული ბუნებრივი რესურსებიდან უფრო მაღალი ღირებულებების მიღება, რომელიც მიიღწევა კომპანიის სწორი სტრატეგიის შემუშავებით. პიტერ დრუკერის სიტყვებით, „სტრატეგიული მენეჯმენტი - ეს არის არა ინსტრუქციების ნაკრები, არამედ ანალიტიკური აზროვნება და რესურსების ეფექტიანი გამოყენება“, სწორედ ამიტომ, კომპანიას უნდა მართავდნენ შემოქმედებითი ნიჭით და ანალიტიკური აზროვნებით დაჯილდოებული მენეჯერები, რომლებიც თავიანთი სტრატეგიული ხედვით ხელს შეუწყობენ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის ზრდას და მას ღირსეულ ადგილს დაუმკვიდრებენ მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების გვერდით.

გამოყენებული ლიტერატურა

1. არტურ ა. ტომპსონი-უმც., ა.ჯ. სტრიკლენდი III, სტრატეგიული მენეჯმენტი, საქართველო, 2010.
2. ბარათაშვილი ე., გაკაშვილი ნ., ფარესაშვილი ნ., გეხბაია ბ., მესხიშვილი დ., თანამედროვე ბიზნესის სტრატეგიები, თბ., 2011.
3. ვაჩნაძე რ., თურქია გ., ლომსაძე პ., ბიზნესი, თბ., 2007.
4. შენგელია თ., თანამედროვე ბიზნესის საფუძველები, თბ., 2007.
5. შუბლაძე გ., მღებრიშვილი გ., წოწკოლაური ფ., მენეჯმენტის საფუძველები, თბ., 2008.
6. ქოული ჯ. ა., მენეჯმენტი, თეორია და პრაქტიკა, თბ., 2002.
7. Gareth R, Jones, introduction to Business, McGraw-Hill, Texas A&M University, 2007
8. <http://www.inc.com/>
9. <http://smallbusiness.chron.com/>
10. <http://old.press.tsu.ge/>
11. <http://www.nplg.gov.ge/>
12. <http://www.bpn.ge>

CHANGE IS IMPORTANT IN COMPANIES

Annotation

Change is important for any organization because, without change, businesses would likely lose their competitive edge and fail to meet the needs of what most hope to be a growing base of loyal customers. Change is important in organizations to allow employees to learn new skills, explore new opportunities and exercise their creativity in ways that ultimately benefit the organization through new ideas and increased commitment. Preparing employees to deal with these changes involves an analysis of the tools and training required to help them learn new skills. Training can be provided through traditional classroom settings or, increasingly, through online learning opportunities. Importantly, organizations need to do a good job of evaluating employees' capabilities and then taking steps to fill the gaps between current skills and the skills required to respond to growth.

გიორგი შიხაშვილი

ბიზნეს-სამენეჯმენტო სემინარის თანამედროვე კონცეპტუალური პარადიგმები და საქართველო

გლობალიზაციის პირობებში კაცობრიობის წინაშე მდგარი კომპლექსური სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადაჭრა და საზოგადოების რეალური პროგრესი შეუძლებელია სწორი თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლების შემუშავება-ჩამოყალიბებისა და შესაბამისი მმართველობითი საქმიანობის განხორციელების გარეშე.

სტატიის მიზანია, ვიმსჯელოთ უახლესი, ინოვაციური ეკონომიკურ-მმართველობითი კონცეფციებისა და პარადიგმების შესახებ, რომელთა საფუძველზე ცივილიზებულ ქვეყნებში უკვე ვითარდება ბიზნეს-სამენეჯმენტო თეორია და პრაქტიკა, რაც აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული ჩვენს ქვეყანაშიც. ამ მხრივ, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, განვიხილოთ შემდეგი აქტუალური მიმართულებები:

1. მდგრადი განვითარების კონცეფცია და ეკოლოგიური მენეჯმენტი;
2. საზოგადოებრივი განვითარების რელიგიური კონცეფციები;
3. პდრაკერის კონცეპტუალური პარადიგმები მენეჯმენტის განვითარებისათვის.

1. მდგრადი განვითარების კონცეფცია და ეკოლოგიური მენეჯმენტი

სოციალურ-ეკონომიკური პროცესების ჰარმონიზაციის მიზნით გაეროს მიერ მთელი მსოფლიოსათვის რეკომენდებულია განვითარების თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძველი – „მდგრადი განვითარების კონცეფცია“.⁷⁷

მდგრადი განვითარება არის XXI საუკუნის სოციალურ-ეკონომიკური და მმართველობითი თეორიისა და პრაქტიკის ამოსავალი კონცეპტუალური პარადიგმა, რომლის მიზანია ისეთი საზოგადოებრივი სისტემის შექმნა, რომელიც ეკონომიკური განვითარებისა და გარემოს დაცვის ინტერესების გათვალისწინებით უზრუნველყოფს ადამიანის ცხოვრების დონის ამაღლებას და მომავალი თაობების უფლებას – ისარგებლონ შეუქცევადი რაოდენობრივი და ხარისხობრივი ცვლილებებისაგან მაქსიმალურად დაცული ბუნებრივი რესურსებითა და გარემოთი.

მდგრადი განვითარების მისაღწევად აუცილებელია, რომ გარემოს დაცვა აღიარებულ იქნეს განვითარების პროცესის განუყოფელ ნაწილად და არ განიხილებოდეს მისგან განცალკევებით.

გლობალური ეკოლოგიური დეგრადაციის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია წარმოების და მოხმარების ისეთი სტრუქტურა, რომელიც ვერ უზრუნველყოფს მდგრად განვითარებას, განსაკუთრებით ეს ითქმის ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებზე.

მდგრადი განვითარების კონცეფციის მოთხოვნების მიხედვით, ქვეყნების მთავრობებმა უნდა შეიმუშაონ მდგრადი განვითარების სტრატეგიები, რათა გააერთიანონ მთლიან სისტემაში სოციალური და ეკოლოგიური პოლიტიკა ყველა სამინისტროს და საქმიანობის დონეზე, საგადასახადო და საბიუჯეტო სფეროს ჩათვლით.

მთლიანად ფასებმა, ბაზრებმა, საგადასახადო და ეკონომიკურმა პოლიტიკამ უნდა განსაზღვროს და უზრუნველყოს საზოგადოების გონივრული დამოკიდებულება ეკოლოგიური სისტემის მიმართ. ამ მიზნით რადიკალური ცვლილებებია საჭირო საზოგადოებრივი წარმოების პრაქტიკულად ყველა სფეროში (ენერგეტიკა, მრეწველობა, მშენებლობა, ტრანსპორტი, სოფლის და სატყეო მეურნეობა, კავშირგაბმულობა, წყალმომარება, ნარჩენების გადამუშავება, ჯანდაცვა, ტურიზმი და სხვა).

ასეთი მიზნების მისაღწევად აუცილებელია ძირეული ცვლილებების განხორციელება ინფორმაციის, დაგეგმვისა და მართვის სფეროებში.

მდგრადი განვითარების თეორია უსარგებლო იდეოლოგიად დარჩება, თუ არ შემუშავდება სათანადო მეთოდოლოგია და არ განხორციელდება შესაბამისი მართვა. ეფექტიანი გარემოს-დაცვითი მართვისათვის აუცილებელია სახელმწიფოებრივი და არასახელმწიფოებრივი (როგორც

⁷⁷ იხ. გაეროს ვებ-გვერდზე: <http://www.un.org/documents/ga/conf151/aconf15126-1annex1.htm>

სამეწარმეო, ასევე არასამეწარმეო) სექტორებისათვის დამახასიათებელი პრინციპებისა და მეთოდების ჰარმონიული შეხამება. სწორედ ასეთ საფუძველს უნდა ეყრდნობოდეს ეკოლოგიური მენეჯმენტი ბიზნესში, რომლის ეკოლოგიურად გაუაზრებელი საწარმოო საქმიანობის შედეგად ვითარდება უმწვავესი სოციალურ-ეკონომიკური და გარემოსდაცვითი პრობლემები. ამიტომაც, ეკონომიკური და ეკოლოგიური საწყისების ჰარმონიზაცია საწარმოს დონეზე უნდა აღვიქვათ, როგორც მდგრადი განვითარების თეორიის ფუძემდებლური ბიზნეს-სამენეჯმენტო პარადიგმა და პრაქტიკული შედეგების მიღწევის უმთავრესი გზა.

ეკოლოგიური მენეჯმენტი, თავისი არსით, ახალი ფენომენია ბიზნესისა და მართვის თეორიისა და პრაქტიკისათვის. ფართო გაგებით, ეს არის სახელმწიფოს მიერ რეგულირებადი საქმიანობა ყველა ორგანიზაციისა და პიროვნებისა მდგრადი განვითარების მიზნის მისაღწევად. სხვაგვარად, ეკოლოგიური მენეჯმენტი არის ორგანიზაციის მიერ რესურსების მობილიზების პროცესი, რომელიც გამიზნულია გარემოსდაცვითი პრობლემების გადასაჭრელად.

ეს განმარტება შესაფერისია საზოგადოების სამივე სექტორის (სამთავრობო, სამეწარმეო და არასამეწარმეო) ყველა ორგანიზაციისათვის. ამასთან, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში საჭიროა, მოხდეს დიფერენცირება ობიექტის სპეციფიკურობიდან გამომდინარე, ვინაიდან, მმართველობის პროცესის საერთო მსგავსებასთან ერთად, აღნიშნულ ორგანიზაციებს შორის არსებობს მნიშვნელოვანი განსხვავებაც.

მდგრადი განვითარების კონცეფციის მიხედვით, საქმიანობა და სამრეწველო წრეებმა უნდა:

- შეიმუშაონ ისეთი საწარმოო პოლიტიკა, რომლის განხორციელება უზრუნველყოფს მათი საქმიანობის გარემოზე მავნე ზემოქმედების შემცირებას;

- უზრუნველყონ, რომ საწარმოო პროცესების მართვა ხორციელდებოდეს გარემოსდაცვითი პრინციპების სრული დაცვით.

ეკოლოგიური მენეჯმენტი კონკრეტული საწარმოს დონეზე უნდა ეყრდნობოდეს გარემოს დაცვის საერთაშორისო სტანდარტებს, რომელთაგან უმნიშვნელოვანესია ISO 14001 სტანდარტი „გარემოს დაცვის მართვის სისტემები, მოთხოვნები და ხელმძღვანელობა გამოყენების მიზნით“. იგი მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა:

- საერთო მოთხოვნები;
- ეკოლოგიური პოლიტიკა;
- დაგეგმვა (ეკოლოგიური ასპექტები, კანონმდებლობა და სხვა მოთხოვნები, მიზნები და ამოცანები, გარემოსდაცვითი მართვის პროგრამები);
- დანერგვა და ფუნქციონირება (ორგანიზაციული სტრუქტურა და პასუხისმგებლობა; მომზადება და კომპეტენტურობა; კავშირები; დოკუმენტაციისა და სამუშაოთა მართვა; ავარიული სიტუაციების მართვა);
- კონტროლი და კორექტირება (მონიტორინგი; შეუსაბამობათა კორექტირება; საინფორმაციო დოკუმენტები; გარემოსდაცვითი სისტემის მართვის აუდიტი);
- ანალიზი ხელმძღვანელობის მხრიდან და სხვა მომენტები.

ცივილიზებულ ქვეყნებში საწარმოების ეკოლოგიური საქმიანობა ემყარება საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნებს. ნაწარმს უნდა გააჩნდეს შესაბამისობის სერტიფიკატი და გარემოსდაცვითი სერტიფიკატი.

საწარმოს ეკოლოგიური პოლიტიკა თავისი ხასიათით ობიექტის ინდივიდუალური ვალდებულებაა, რომლის მიხედვითაც ფასდება მისი საქმიანობა ყველა დაინტერესებული შიგა და გარე ჯგუფების მიერ. ეკოლოგიური პოლიტიკა ეფუძნება ეკოლოგიური მენეჯმენტის წარმატებულ პრაქტიკას. ეკოლოგიური პოლიტიკა შეესატყვისება ეკოლოგიური პროგრამის მიზნებს. **ეკოლოგიური მენეჯმენტი საწარმოს საერთო მენეჯმენტის შემადგენელი ნაწილია და დაკავშირებულია ხარისხისა და უსაფრთხოების მენეჯმენტის სისტემებთან.**

საწარმოს ეკოლოგიური პროგრამა იმ კონკრეტული მიზნებისა და მოქმედებების აღწერაა, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ გარემოს ოპტიმალური დაცვა გარკვეულ არეალში. პროგრამა მოიცავს დასახული მიზნების შესრულებისათვის საჭირო ღონისძიებების ნუსხას მათი კონკრეტული ვადების ჩათვლით.

ასეთია საწარმოს ეკოლოგიური მენეჯმენტის ორგანიზაციის უმნიშვნელოვანესი მიმართულებები ცივილიზებულ ქვეყნებში. ჩვენში ახლა მიმდინარეობს გარკვეული მუშაობა ამ სფეროს დახვეწის მიზნით, რაშიც აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული მოწინავე უცხოური ქვეყნების თეორიულ-მეთოდოლოგიური და პრაქტიკული გამოცდილება.

საქართველოში გარემოსდაცვითი სტანდარტების დანერგვას ბევრი გარემოება უშლის ხელს, რომელთაგან უმთავრესია საჭირო ფინანსური სახსრების უქონლობა, რასაც სათანადო ორგანოების ინერტულობაც ემატება.

ბუნებატყვევადმა საწარმოებმა სათანადოდ უნდა გაიაზრონ საკუთარი ეკოლოგიური მიზნები და შესაბამისად წარმართონ გარემოსდაცვითი საქმიანობა. ორგანიზაციული თვალსაზრისით, მათთვის აუცილებელია მართვის სტრუქტურაში სათანადო ქვედანაყოფების შექმნა.

დღეისათვის საქართველოში მხოლოდ თითოეზე ჩამოსათვლელ საწარმოებში არსებობს სპეციალური ეკოლოგიური სამსახური. ეს ისეთი ნაკლია, რომელიც არ გააჩნდა საბჭოურ გარემოსდაცვით სისტემასაც კი.

ეკოლოგიური პრობლემები წარმოიშობა კონკრეტული ბუნებატექვედი საწარმოს საქმიანობის პროცესში. სწორედ საწარმოა ეკოლოგიური გართულებების წარმოქმნა-გამწვავების მიზეზი, სწორედ ამ მიზეზს უნდა ვებრძოლოთ და არა შედეგს, როგორც ეს საბჭოურ პერიოდში ხდებოდა.

აუცილებელია, დღევანდელ პირობებში ხელისუფლებამ, კომპეტენტურმა ორგანოებმა და ცალკეულმა საწარმოებმა უმოკლეს დროში მოაგვარონ თითოეულ ბუნებატექვედ ობიექტზე გარემოსდაცვითი სამსახურების შექმნა-ფუნქციონირების საკითხი.

2. საზოგადოებრივი განვითარებისა და ბიზნესის მართვის რელიგიური კონცეფციები

გლობალური პრობლემების ქრისტიანული გააზრების საფუძველზე შესაძლებელია ვიმსჯელოთ, აგრეთვე, საზოგადოების ღვთივსულიერი, მდგრადი განვითარებისა და თეოლოგიური ხასიათის ბიზნეს-სამენეჯმენტო პარადიგმების შესახებ.

სამეურნეო საქმიანობის ბიბლიურ-ქრისტიანულ ასპექტებს დიდი ხანია იკვლევენ დასავლეთის მოწინავე უნივერსიტეტები და სპეციალიზებული ინსტიტუტები. უცხოეთში ჩამოყალიბდა ისეთი მეცნიერული დისციპლინები, როგორცაა: თეოლოგიური ეკონომიკა, ქრისტიანული ეკონომიკა, თეოლოგიური სამეურნეო ეთიკა, ქრისტიანული ბიზნესი, საეკლესიო მეურნეობის მენეჯმენტი და სხვა.

გამოკვლევების შედეგების პრაქტიკული გამოყენების საფუძველზე საზღვარგარეთ იქმნება სათანადო სამეურნეო-საფინანსო კანონმდებლობა და ვითარდება ზნეობრივი ბიზნესი.

აქედან გამომდინარე, საჭიროდ მიგვაჩნია, რომ ანალოგიური კვლევები ჩვენშიც ჩატარდეს.

ზნეობრივი ეკონომიკის და მართვის ფუნდამენტურ რელიგიურ საკითხებს იკვლევენ თანამედროვე ამერიკელი მეცნიერები მ. სტაქჰაუსი, დ. მაკკანი, შ. როელსი და პ. უილიამსი. მათი ნაშრომებიდან აღსანიშნავია ფუნდამენტური მონოგრაფია – „მორალური ბიზნესი. ეკონომიკური ცხოვრების ეთიკის კლასიკური და თანამედროვე რესურსები“⁷⁸.

წიგნში განხილულია ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორცაა: ეკონომიკის ბიბლიური პრინციპები; მართლმადიდებლური, კათოლიკური და პროტესტანტული მიდგომები ეკონომიკაში; რელიგია და ეკონომიკური კულტურა; ბიზნესის და მენეჯმენტის რელიგიური გააზრება.

აღსანიშნავია, აგრეთვე, ს. რაეს და კ. ვონგის ნაშრომი – „უმაღლესი პატიოსნება. იუდეურ-ქრისტიანული მიდგომა ბიზნესის ეთიკისადმი“⁷⁹ **მასში განხილულია შემდეგი საკითხები:** ქრისტიანობა, ბიზნესი და პოსტთანამედროვე ზნეობა; კორპორაციების ეთიკა გლობალურ ეკონომიკაში; ეკონომიკური განვითარება და გარემო.

თეოლოგიური ეკონომიკის, ბიზნესის, ზოგადი მენეჯმენტისა და თვითმენეჯმენტის ახალი კონცეპტუალური პარადიგმების თვალსაზრისით ასევე უაღრესად აქტუალურია შემდეგი წიგნებიც: ბ. დიკი. „მენეჯმენტი და სახარება“⁸⁰ გ. ნორთი. „გადაწყვეტილება და ბატონობა: ეკონომიკური კომენტარები კორინთელთა მიმართ I ეპისტოლეზე“⁸¹ დ. კოლბერტი. „რას მიირთმევდა იესო ქრისტე?: საუკეთესო პროგრამა, თუ როგორ ვიკვებოთ კარგად, თავი ვივრძნოთ მშვენივრად და ვიცოცხლოთ დიდხანს“⁸².

მართლმადიდებლური მოძღვრების მიხედვით, შემოსავლის მქონე ადამიანმა შეძლებისამებრ, თავისი სახსრებით შემდეგი მმართველობითი და საგადასახადო-საფინანსო მოვალეობები და საქმეები უნდა აღასრულოს:

1. პატივი მიაგოს ღმერთს და სახსარი შესწიროს ეკლესიის განვითარებას;
2. გაიღოს მოწყალება და დაეხმაროს გაჭირვებულებს;
3. მოიხადოს მოქალაქეობრივი მოვალეობა სახელმწიფოს და საზოგადოების წინაშე;
4. იზრუნოს ღმერთის ქმნილების – ბუნების დაცვა-შენარჩუნებისათვის;
5. დაიკმაყოფილოს პირადი და საოჯახო მოთხოვნილებები;
6. გამოიხადოს, შეინარჩუნოს და განავითაროს შემოსავლის წყარო;
7. გაიღოს სახსრები მიცვალებულთა სულების საოხად.

ასეთი ღვთაებრივი სიბრძნე და ქრისტიანული ეკონომიკის კონცეფცია უნდა დაედოს საფუძვლად ყოველი ადამიანისა და მთელი საზოგადოების საქმიანობას ცხოველქმედების ყველა სფეროში, მათ შორის, უპირველესად სამეურნეო-მმართველობით საქმიანობაში. ეს არის მთელი საზოგადოებრივი საქმიანობის მართვის ბიბლიური პრინციპი.

⁷⁸ M. Stackhouse, D. McCann, S. Roels, P. Williams. On Moral Business. Classical and Contemporary Resources for Ethics in Economic Life. Michigan, 1995.

⁷⁹ S. Rae, K. Wong. Beyond Integrity. A Judeo – Christian Approach to Business Ethics. Michigan, 1996.

⁸⁰ B. Dyck. Management and the Gospel. University of Manitoba, Canada. 2013.

⁸¹ G. North. Judgment and Dominion: An Economic Commentary on I Corinthians. Second Edition. Published by Point Five Press, Dallas, 2012

⁸² D. Colbert. What Would Jesus Eat?: The Ultimate Program for Eating Well, Feeling Great, and Living Longer. 2005.

აღნიშნული მოვალეობები უფლისმიერად აკისრია ყველას – ცალკეულ ადამიანს, ოჯახს, სამთავრობო, სამეწარმეო თუ არასამეწარმეო ორგანიზაციებს, პარლამენტს, სასამართლოს, მასმედიას, მთლიანად სახელმწიფოს, მის ლიდერებს, მეფეებს, პრეზიდენტებს და თვით ეკლესიასაც.

ქრისტიანული მეურნეობრიობის უმთავრესი პრინციპია მატერიალური დოვლათის ღვთივდადგენილი ზნეობით სიმართლით მოპოვება და სიკეთეში გამოყენება. აქედან გამომდინარე, ბიზნესის დანიშნულება, მიზანი და თავისუფლება ზნეობრივ სიწმინდეშია.

სახელმწიფომ, მეწარმეებმა და მმართველებმა არ უნდა დაივიწყონ, რომ ისინი ღმერთის ნების, დაშვების და განჩინებების საფუძველზე არსებობენ და მისგანვე მოწოდებული არიან იზრუნონ ადამიანის, ერის, საზოგადოების, ქვეყნის და ეკლესიის კეთილდღეობისათვის.

საქართველოს სულიერ-მატერიალური სინერგიისა და ჰარმონიული სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელია ქრისტიანული აზროვნებისაკენ შემობრუნება, მეურნეობის მართვაში ქრისტიანული საფუძვლებისა და პრინციპების აღორძინება, სასოფლო-სამეურნეო წარმოების აღდგენა, ერის მატერიალური და სულიერი პროგრესისათვის საჭირო თანამედროვე მაღალეფექტიანი დარგების განვითარება.

ქართველ მეცნიერ-ეკონომისტთა გადაუდებელი ამოცანაა ქრისტიანული ეკონომიკის, როგორც სამეცნიერო-პრაქტიკული და სასწავლო დისციპლინის წარმოჩენა, ეროვნული მეურნეობის ფუნქციონირების ამქვეყნიურად აუცილებელი და უფლისათვის სათნო ფორმების, მიმართულებებისა და მასშტაბების განსაზღვრა, საქართველოს ეკონომიკის მართვის მაკრო და მიკროდონეებზე შესაბამისი გამოკვლევა-ანალიზის ჩატარება და ამის საფუძველზე ქვეყნის ღვთივსულიერი, სინერგიული სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის სათანადო კონცეფციისა და რეკომენდაციების შემუშავება.

3. პ. დრაკერის კონცეპტუალური პარადიგმები მენეჯმენტის განვითარებისათვის

ახალი მიდგომები ეკონომიკის, ბიზნესისა და მართვის გააზრებისადმი და შესაბამისი პარადიგმები გადმოცემულია თანამედროვე მენეჯმენტის კორიფეს – პ. დრაკერის ნაშრომებში.

პროფესიული მენეჯმენტის თეორიისა და პრაქტიკის ისტორიაში ბოლო 50 წელი სამართლიანად არის მიჩნეული „პიტერ დრაკერის ეპოქად“. მართვის მეცნიერებისა და პრაქტიკის განვითარების სფეროში უდიდესი დამსახურების გამო პ. დრაკერი აღიარებულია „თანამედროვე მენეჯმენტის მამად“.

ერთ-ერთ თავის ნაშრომში, ანალიზებს რა დღეისათვის გაბატონებულ უმთავრეს სამეურნეო-მმართველობით კონცეფციებს და პარადიგმებს, მეცნიერი ასკვნის, რომ მათ უკვე სრულიად ამოწურეს საკუთარი თავი. დღეს ისინი იმდენად დაშორდნენ რეალობას, რომ ამუხრუჭებენ მენეჯმენტის თეორიის განვითარებას და, რაც უფრო უარესია, ხელს უშლიან პრაქტიკას. აქედან გამომდინარე, დადგა დრო მათი გადასინჯვისა, რათა ფორმულირდეს ახალი შეხედულებები, რომლებიც გამოაცოცხლებენ მენეჯმენტის მეცნიერებასაც და პრაქტიკასაც⁸³.

თანამედროვე ცხოვრება თვალნათლივ გვიჩვენებს, რომ გლობალიზაციის პირობებში, XX და XXI საუკუნეთა მიჯნაზე მსოფლიო დადგა დიდი ცვლილებებისა და სრულიად ახალი, ხშირად განუსაზღვრელი რეალობების წინაშე, რასაც თითქმის არ ითვალისწინებს დღევანდელი ბიზნესი და მენეჯმენტი.

ასეთი პრობლემების კვლევისას პ. დრაკერი გვთავაზობს ახალი, აქტუალური რეალობების ჩამონათვალს:

- შობადობის მკვეთრი დაცემა განვითარებულ ქვეყნებში;
- ცვლილებები შემოსავლების განაწილებაში;
- ეფექტიანობის განსაზღვრის ცვლილება;
- კონკურენციის გლობალიზაცია;
- ზრდადი შეუსაბამობა ეკონომიკურ გლობალიზაციასა და პოლიტიკურ განკერძოებას შორის.

მათი ანალიზის შედეგად მეცნიერი ასკვნის, რომ „ეს რეალობები აყენებს საკითხებს, რომლებზეც ყოველმა ცალკეულმა ორგანიზაციამ დამოუკიდებლად უნდა იპოვოს პასუხები; ეს პასუხები იქნება სწორედ სტრატეგიის საფუძველი“⁸⁴. თუ ორგანიზაცია ვერ შეძლებს ღირსეულად გაუმკლავდეს ხემოაღნიშნულ პრობლემებს, მას არ უნდა ჰქონდეს არათუ აყვავების, არამედ წარმატების იმედიც კი, „ერთადერთი პოლიტიკა, რომელსაც შეუძლია უზრუნველყოს წარმატება, არის მომავლის შეგნებული შენება. ...მომავლის შენების დაწყება საკმაოდ სარისკოა, არდაწყება – უფრო უარესი“⁸⁵.

⁸³ Drucker P. F. Management Challenges for the 21 st Century. N. Y. Harper Business, 1999 , p.5.

⁸⁴ Drucker P. F. Management Challenges for the 21 st Century. N. Y. Harper Business, 1999 , p.43, 69.

⁸⁵ Drucker P. F. Management Challenges for the 21 st Century. N. Y. Harper Business, 1999 , p.93.

მომავლის შენება და ახალი სისტემების წარმართვა კვალიფიციურმა მენეჯერებმა უნდა განახორციელონ. ამასთან დაკავშირებით პ. დრაკერი ჩამოთვლის შვიდ უმთავრეს ამოცანას, რომლებიც უნდა გადაწყვიტოს მომავლის მენეჯერმა⁸⁶.

1. მართვა უნდა ხდებოდეს დასახული მიზნების საფუძველზე;
2. მენეჯერი უნდა იყოს უფრო მეტად რისკიანი;
3. მენეჯერს უნდა შეეძლოს სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღება;
4. მენეჯერი უნდა ქმნიდეს მიზნობრივ გუნდებს, რომელთა თითოეულ წევრს უნდა შეეძლოს საკუთარი სამუშაოს ეფექტიანობის გაზომვა და შეფასება. ეს არის ყველაზე მთავარი ამოცანა მომავლის მენეჯერის მომზადების საქმეში;
5. მენეჯერი უნდა იყოს კომუნიკაციების მაღალეფექტიანი წარმართველი;
6. მენეჯერს უნდა შეეძლოს ბიზნესის წარმოდგენა, როგორც მთლიანი, სისტემური ფენომენისა და თავისი საქმიანობის წარმართვისათვის ინტეგრირებულად გამოიყენოს მართვის ყველა ფუნქცია;
7. მენეჯერს უნდა შეეძლოს აზროვნება და მოქმედება გლობალური პროცესების მოთხოვნათა გათვალისწინებით.

გვსურს აღვნიშნოთ, რომ ასეთი კვალიფიკაციის, მომავლის მენეჯერთა მომზადება, თავის მხრივ, მოითხოვს სათანადო საგანმანათლებლო და სატრენინგო სისტემის შექმნას და ფუნქციონირებას, რაც ძალზე მნიშვნელოვან, ცალკე განსახილველ თემას წარმოადგენს და რაზეც შემდგომში ვგეგმავთ მსჯელობას.

სტატიაში ასახული საკითხების განხილვის შედეგად შესაძლებლად მიგვაჩნია დასკვნების და რეკომენდაციების სახით ჩამოვაყალიბოთ შემდეგი მოსაზრებები:

- გლობალიზაციის კვალობაზე, ცივილიზებულ ქვეყნებში უახლესი ეკონომიკურ-მმართველობითი კონცეფციებისა და პარადიგმების საფუძველზე ვითარდება შესაბამისი ბიზნეს-სამენეჯმენტო თეორია და პრაქტიკა, რაც აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული ჩვენს ქვეყანაშიც;
- მდგრადი განვითარების მიზნის მისაღწევად აუცილებელია ძირეული ცვლილებების განხორციელება დაგეგმვისა და მართვის სფეროებში;
- გარემოსდაცვითი საქმიანობის მოწესრიგება საწარმოს დონეზე – ეს არის მდგრადი განვითარების თეორიის საფუძველი და პრაქტიკული შედეგის მიღწევის უმთავრესი გზა;
- გარემოსდაცვითი საქმიანობის ოპტიმალურად წარმართვისათვის ბუნებათცვაღმა საწარმოებმა აუცილებლად უნდა შექმნან სათანადო ქვედანაყოფები ორგანიზაციის მართვის სტრუქტურაში;
- ღვთაებრივი სიბრძნე და ქრისტიანული ეკონომიკის კონცეფცია უნდა დაედოს საფუძველად ყოველი ადამიანის და მთელი საზოგადოების საქმიანობას ცხოველქმედების ყველა სფეროში, მათ შორის, უპირველესად, სამეურნეო-მმართველობით საქმიანობაში;
- ქართველ მეცნიერ-ეკონომისტთა გადაუდებელი ამოცანაა ქრისტიანული ეკონომიკის, როგორც სამეცნიერო-პრაქტიკული და სასწავლო დისციპლინის წარმოჩენა, შესაბამისი გამოკვლევა-ანალიზის ჩატარება და ამის საფუძველზე ქვეყნის სინერგიული სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის სათანადო კონცეფციისა და რეკომენდაციების შემუშავება;
- სამეურნეო-მმართველობით სფეროში აუცილებელია მოქველებული შეხედულებების გადასინჯვა, რათა ფორმულირდეს ახალი კონცეფციები და პარადიგმები, რომლებიც გამოაცოცხლებს მენეჯმენტის მეცნიერებას და პრაქტიკას;
- მომავლის შენება და ახალი სისტემების წარმართვა კვალიფიციურმა მენეჯერებმა უნდა განახორციელონ;
- უმაღლესი კვალიფიკაციის მომავლის მენეჯერთა მოსამზადებლად საჭიროა სათანადო საგანმანათლებლო-სატრენინგო სისტემის შექმნა და ფუნქციონირება, რაც ახლო მომავალში უნდა განხორციელდეს.

Giorgi Shikhashvili

CURRENT CONCEPTUAL PARADIGMS OF BUSINESS-MANAGERIAL SPHERE AND GEORGIA

Annotation

Under conditions of globalization in civilized countries business-management theory and practice is developing on the basis of modern economic-managerial concepts and paradigms that should be taken into consideration in our reality.

Significant changes should be made in planning and management fields for attainment of goal of sustainable development. Regulation of environment protection activities on industrial level establish theoretical and practical basis for sustainable development. Enterprises shall form in their management structure subdivisions aiming at environment protection.

⁸⁶ Drucker P. F. The Practice of Management. Collins, 2006, p. 372-373.

Georgian scientist-economists shall emphasize importance of Christian economy as scientific-practical and academic subject, make respective analysis and elaborate relevant concept and recommendations for synergic social-economic development of the country.

Outdated opinions shall be revised in economic-management field in order to devise new concepts and paradigms that will recover theory and practice of management.

It shall be created educational-training system for training of future managers of high qualification and its effective operation shall be assured.

მარინე ცუცქერიძე

ბიზნესის სამეწარმეო სისტემის განვითარების ევროინტეგრაციული ასპექტები

ბიზნესის თანამედროვე სისტემა წარმოადგენს საქართველოში მეწარმეობის განვითარების ერთ-ერთ მთავარ საფუძველს. მისი საქმიანობის არეთა გაფართოება ძირითადად ბიზნესის შემოსავლების, ფირმათა მოგების გადიდების მიზნების შესრულებისთვის. ის ასევე მეწარმეთა შრომითი შემოსავლების ზრდის, ინოვაციური ტექნიკის წარმოების, საგარეო საბაზრო ურთიერთკავშირების განმტკიცების წინაპირობაა. იგი ევროკავშირის სახელმწიფოებში ფუნქციონირებად ფირმებსა და კომპანიებს შორის ევროინტეგრაციული ურთიერთობების დასამყარებლად აუცილებელ საშუალებად გვევლინება. ამდენად, ბიზნესის სამეწარმეო სისტემის განვითარება მიმართულია მისი საწარმოო ელემენტების ეფექტიანობის ამაღლების მიზნების შესრულებაზე. ამისათვის ძირითადად ინფრასტრუქტურის, ენერგეტიკის, გარემოს დაცვის საშუალებათა და ინოვაციური ტექნიკის მწარმოებელი დარგების განვითარების და მათი საბაზრო პრობლემის გადაწყვეტა, რასაც მეწარმეობის სისტემის მოწესრიგება და საქართველოს ევროკავშირთან თანამშრომლობა უდევს საფუძვლად. ის მისი სამეწარმეო პოლიტიკის გატარებისთვის აუცილებელ და ძირითად ასპექტს წარმოადგენს.

საქართველოს სამეწარმეო სისტემის განვითარება და მისი საწარმოო ინტეგრაცია ევროკავშირის სახელმწიფოებში ფუნქციონირებადი მეწარმეობის ობიექტებთან, მიზნად ისახავს: ინფრასტრუქტურის სტრატეგიული და მისი პოტენციალის ზრდასთან დაკავშირებულ, ევროკავშირის პრობლემათა გადაწყვეტას; კერძოდ, საერთაშორისო სატრანსპორტო საშუალებათა წარმოების სექტორის რეგულირებას მისი ათვისების გასაადვილებლად; ევროკავშირის ენერგო-პოლიტიკის გატარებას, მასზე ფასების მოწესრიგებასა და გადასახადების სისტემის გაუმჯობესებას შიდა საბაზრო პროცესებთან დაახლოების გზით. იგი ამ დარგობრივი სექტორის რესტრუქტურის და მისი ფინანსური საფუძვლების გაუმჯობესებითაა შესაძლებელი; ევროკავშირის ინიციატივებისა და ინოვაციების სფეროებში საინფორმაციო სტრატეგიის განხორციელებას, ასევე, მასთან საქართველოს ინტეგრირებას ინოვაციების პროგრამის ეფექტიანად განხორციელებისათვის;

სამეწარმეო სისტემის განვითარება ბიზნესის საქმიანობის გაუმჯობესებისა და მისი შემოსავლების ზრდის, საერთაშორისო ბიზნესკავშირების დამყარების მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენს. ამიტომ, ევრომეწარმეობის ჩამოყალიბება და საერთო ეკონომიკური და საბაზრო სივრცის დამკვიდრება ევროკავშირის სახელმწიფოთა ეროვნული ეკონომიკების განვითარებისათვის აუცილებელ წინამძღვარს წარმოადგენს. ევროკავშირის თანამედროვე სამეწარმეო პოლიტიკის მთავარ ელემენტებად გამოიყოფა: 1. ევროკომპანიებისა და მისი მომსახურების სისტემის დაფუძნება. იგი განხორციელდება ევროკავშირის ეკონომიკაში წარმოქმნილ სამეწარმეო ორგანიზაციათა ურთიერთპარტნიორობისა და თანამშრომლობის პროცესებში, ურთიერთშეთანხმებულ მოქმედებათა საფუძველზე, ევროპული კომპანიების შექმნისა და კორპორაციული მმართველობითი სისტემის შემოღებით. იგი საინვესტიციო გარემოსა და საერთაშორისო სტანდარტებთან ურთიერთშესაბამისობაში უნდა იმყოფებოდეს. 2. მომსახურების მიწოდება ევროკავშირის სახელმწიფოებში ფუნქციონირებადი ეკონომიკისა და სოციალური სფეროს გარკვეულ სექტორებში. იგი მოითხოვს საბაზრო შეზღუდვების დაძლევას და მომსახურების მიწოდების პროცესში წარმოქმნილ დაბრკოლებათა იდენტიფიცირებას მათი დაძლევის მიზნით. ამისათვის საჭიროა ერთი პრინციპით მომუშავე ბიზნესის საინფორმაციო ცენტრის შექმნა. მის მიზანს წარმოადგენს მეწარმეობის კერძო სექტორებისათვის მომსახურების გამარტივება. 3. კონკურენცია და მისი საბაზრო პოლიტიკის გატარება. კონკურენციის პროცესის ძირითადი მოთხოვნაა მისი დაახლოება ევროკავშირში მეწარმეობის განვითარების პრინციპებთან და მათი ურთიერთშესაბამისობის მიღწევა. აგრეთვე მეწარმეთა საკუთრების უფლებათა სრული შესაბამისობა ურთიერთთანამშრომლობის შესახებ არსებულ ევროშეთანხმებასთან და ასევე საგარეო ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის მოთხოვნებთან. 4. ევროკავშირის სახელმწიფოთა ეკონომიკის განვითარების მიზნით მისი შიდა სამეწარმეო სისტემის მოწესრიგების ღონისძიებათა გატარება. ამის საფუძველს კი შიდა სამეწარმეო პოლიტიკა წარმოადგენს.

პოსტკომუნისტურ სახელმწიფოთა ეკონომიკის ფორმირების პროცესში ძირითადი ადგილი უკავია მისი ინოვაციური პოტენციალის გამოკვლევას, რაც საფუძველად უდევს ინოვაციური მეწარმეობის განვითარების კონცეფციას. ეს პრობლემა განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს

თანამედროვე ევროინტეგრაციული პროცესების განვითარების დროს, კერძოდ, ევროკავშირის სამეწარმეო პოლიტიკის მიმართულებათა შორის ისეთ სახელმწიფოებში, რომლებშიც გატარდა პოსტკომუნისტური გარდაქმნის და საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პოლიტიკა. ინოვაციური ეკონომიკის წარმოშობა ევროკავშირის და მისი სამეწარმეო სისტემის ფუნქციონირებისათვის საჭირო ერთ-ერთი მთავარ მიმართულებაა. იგი ძირითადად ხორციელდება ევროპული კომპანიების დაარსების და სხვადასხვა წარმოებათა ინტეგრაციის საფუძველზე. მათი ევროპულ კომპანიებად გარდაქმნა ინოვაციური ეკონომიკისა და მისი ბიზნესისტემის ჩამოყალიბებისათვის აუცილებელ საშუალებას წარმოადგენს, რადგან ამ გზით წარმოქმნილი კომპანიები უფრო აქტიურები, ნოვატორულები და ექსპორტიორები არიან მცირე ფირმებთან შედარებით. ასეთი კომპანიები ხელსაყრელ გარემოს ქმნიან ინოვაციური ტექნიკის წარმოებისა და ინოვაციური ექსპორტის გაზრდის მიზნით. ექსპორტის საბაზრო პროცესებში ვლინდება ევრომეწარმეობის პროდუქციის კონკურენტული უპირატესობები. იგი ხასიათდება 1) მომხმარებელთა განსაკუთრებულობით; 2) პროდუქციისა და მომსახურების განსაკუთრებულობით; 3) ექსპორტის ლოგისტიკით; 4) შრომის დაბალი დანახარჯებით; 5) ფასების ოპტიმალურობით; 6) პროდუქციისა და მომსახურების ხარისხით; 7) დიზაინით; 7) ინოვაციურობით.

აღნიშნულის მიზანია საბაზრო კონკურენციის პროცესის რეგულირებისათვის აუცილებელი ინფორმაციული საფუძვლების გაუმჯობესება. ამით ის წარმოებათა საბაზრო კონკურენტუნარიანობის მართვისა და ექსპორტის რაციონალურად წარმართვისათვის საჭირო და მნიშვნელოვან წინამძღვარს წარმოადგენს.

ბიზნესის სამეწარმეო სისტემის განვითარება ძირითადად ევროინტეგრაციული პროცესების გავლენით ხორციელდება, რაც გამოიხატება ინოვაციური მეწარმეობის ჩამოყალიბებისათვის ხელსაყრელი გარემოს წარმოქმნაში, ასეთს წარმოადგენს 1) თავისუფალი კონკურენციის დაბალანსება; 2) ეკონომიკათა სტაბილიზებაში საბაზრო ურთიერთკავშირებისა და ეკონომიკური ზრდის ევროპული პოტენციალის გაძლიერება; 3) ევროკავშირში ინოვაციების ზრდა მსოფლიო კონკურენციის ვითარებაში; 4) რეგიონთაშორის ინტეგრაციის მიღწევა ევროკავშირში არსებულ საწარმოებს შორის.

თავისუფალი საბაზრო კონკურენციის პროცესში დაბალანსებულობის მისაღწევად ხორციელდება ახალი ტექნოლოგიების დანერგვისა და კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოებისათვის აუცილებელი, ინტელექტუალური საკუთრების გარდაქმნა. მისი მმართველობითი სისტემის გაუმჯობესება ხდება კომერციონალიზაციის ცენტრების საშუალებით, ასევე – ახალი ტექნიკის წარმოების გაფართოებისათვის, სამეცნიერო კვლევების დაფინანსებისათვის აუცილებელ მიმართულებათა დადგენა.

ეკონომიკური სტაბილურობის მიღწევას განაპირობებს ევროკავშირის საქმიანობის გაფართოება, მისი სავალუტო სისტემის შემოღება. იგი წარმოადგენს იმ ძირითად საფუძველს, რომელიც საჭიროა ევროსახელმწიფოთა სტაბილიზებისა ურთიერთფინანსურ დახმარებათა მისაღწევად.

ევროკავშირისა და ასევე საქართველოს მეწარმეობის ინოვაციურობის ზრდის მიღწევა შესაძლებელია თავისუფალი და ყოვლისმომცველი ვაჭრობის შესახებ ურთიერთშეთანხმებათა გზით. ამისათვის ევროპის სახელმწიფოთა ურთიერთთანამშრომლობა ხორციელდება ამ მიზნით შემუშავებული ინოვაციების საშუალებით: პირველია ურთიერთსასაზღვრო თანამშრომლობის ელემენტი – ერთობლივი პროგრამების დაფინანსების მიზნით; მეორე – ტექნიკური დახმარებისა და ინფორმაციის ურთიერთგაცვლის პროგრამები, რომლითაც ხორციელდება ევროკავშირში არსებული საჯარო მართვის ეროვნული, რეგიონული და ადგილობრივი ინსტიტუტების ურთიერთდაკავშირება. აღნიშნულის მიზანია გარდამავალი ეკონომიკის სახელმწიფოებისათვის დახმარებათა გაწევა, მესამე ინოვაციაა – მმართველობითი მექანიზმია, რომლებშიც მონაწილეობენ ურთიერთპარტნიორული საზოგადოებები. ამ გზით ხორციელდება მმართველობითი ინოვაციების შემუშავება, რაც რეფორმებში მიღწეულ წარმატებათა საფუძველია.

სამეწარმეო საქმიანობის არეთა გაფართოება საქართველოსა და ევროპის პოსტკომუნისტურ სახელმწიფოთა ეკონომიკის გაჯანსაღების, მათი საბაზრო გარემოს გაუმჯობესებისა და ინოვაციური მეწარმეობის განვითარების მიმართულებით ხორციელდება თანამედროვე ვითარებაში. ევრომეწარმეობისათვის საჭირო საფუძველს წარმოადგენს საქართველოს მონაწილეობა 1. მეწარმეთა ევროპულ ურთიერთსაზიარო საზოგადოებათა ჩამოყალიბებაში; 2. მეწარმეთა კერძო ევროპული საზოგადოების წარმოქმნაში; 3. საგარეო ევროპული ურთიერთკავშირების დამყარებაში; 4. საერთო ეკონომიკური ინტერესების მქონე ევროპულ გაერთიანებათა დაფუძნებაში; 5. ევროპული კოოპერაციის ფორმირებაში, რომლის დაარსება შესაძლებელია საჯარო ან კერძო სამართლის იურიდიული პირი სამეწარმეო სისტემის საშუალებით. ამისათვის საწესდებო კაპიტალსა და დასაქმებულთა სიდიდის მიმართ დადგენილი საზღვრები უნდა იქნეს გათვალისწინებული. სამეწარმეო საქმიანობათა ასეთი ინტეგრაციისა და ტერიტორიული ორგანიზაციის მთავარ მიზანს წარმოადგენს კაპიტალისა და პროდუქციის თავისუფალი ურთიერთმიწოდება და მათი განხორციელება ფირმების დონეზე. ამ ფირმების საქმიანობა უნდა განხორციელდეს ეკონომიკის დარგების მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ფინანსური სექტორის, ტრანსპორტისა და

სოციალური დარგების ფუნქციონირებით მიღწეული საბოლოო შედეგების სხვა ფორმებისათვის მიწოდების გზით. იგი ინოვაციური საქმიანობის პროცესში ინტეგრაციასა და ურთიერთ-თანამშრომლობაში აქტიურობასაც მოიცავს. ამ მიზნით გამოყენებული სტრატეგიული, პოლიტიკური, ან ეკონომიკური გადაწყვეტილებანი მიმართულია საქართველოს ეკონომიკის სფეროებისა და დარგების მოქმედი სამეწარმეო სისტემის განვითარებაზე. ასეთს წარმოადგენს მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, ვაჭრობა, ტრანსპორტით მომსახურება, კონკურენცია, ერთიანი შიდა ბაზრის ფუნქციონირება და სხვა.

ინოვაციური საქმიანობის გააქტიურება და საქართველოს ინტეგრაცია პოსტკომუნისტური გარდაქმნის გზით ჩამოყალიბებულ სახელმწიფოებთან, ძირითადად, საბაჟო, საერთო საბაზრო პოლიტიკისა და კონკურენციის სფეროში ხორციელდება. იგი მიმართულია ტექნოლოგიური ინოვაციების მიწოდებისა და სამეცნიერო კვლევის პროცესების ინტეგრირებაზე. მისი მიზანია, შენარჩუნდეს ევროპის სახელმწიფოთა მსოფლიო ლიდერის როლი ტექნოლოგიების სფეროში მზარდი კონკურენციის ვითარებაში.

ევროინტეგრაციული ასპექტების გააქტიურება და ინოვაციური მეწარმეობის განვითარებისათვის საჭირო გარემოს წარმოქმნა საქართველოში ზემოთ აღნიშნულის საფუძველზე შესაძლებელი. ის ასევე რეგიონული დახმარებისა და ინტეგრაციის პოლიტიკის გატარებით შეიძლება იქნეს მიღწეული. მისი რეალიზებისათვის გამოიყენება 1) ევროპის რეგიონული განვითარების ფონდის საშუალებანი. 2) სატრანსპორტო ინფრასტრუქტურისა და გარემოს დაცვის ღონისძიებათა ინტეგრაციის ფონდის საფუძველზე დაფინანსება. 3) დასაქმების გაუმჯობესების მიზნით მიმართულ ინიციატივათა (პროფესიული განათლების ზრდა, სამუშაო ადგილების შექმნა) დაფინანსება ევროპის სოციალური ფონდის საშუალებით; აღნიშნული ევროკავშირის ინოვაციური პოლიტიკის გატარებისა და ამით ევრომეწარმეობის განვითარებისა და მისი კონკურენტუნარიანობის ზრდისათვის აუცილებელ და აქტიურ საშუალებას წარმოადგენს.

საქართველოს ეკონომიკის განვითარებაში ევროინტეგრაციული ასპექტების გაძლიერება თანამედროვე ბიზნესის სამეწარმეო სისტემის ეფექტიანად ფუნქციონირებასა და წარმოებათა ინოვაციურობის ზრდის მიზნების შესრულებას განაპირობებს. იგი ევროსამეწარმეო პოლიტიკის გატარების, ინოვაციების მიწოდების, ერთიანი საბაზრო პროცესების განხორციელებისთვის საჭირო ერთ-ერთი საშუალებათაგანია, რაც ინოვაციური ეკონომიკის ფორმირების, მისი საბაზრო გარემოს გაუმჯობესების აუცილებელ და მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აბესაძე რ., ინოვაციები – ეკონომიკური განვითარების მთავარი ფაქტორი, საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული, თბილისი, თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2014.
2. ბერულავა გ., ეკონომიკური განვითარების პროცესში ინსტიტუტების როლის შესახებ, სამეცნიერო შრომების კრებული, ტ. VII, თბილისი, თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2014.
3. პაპავა გ., ეკონომიკის საბაზრო ტექნოლოგიის ნორმალური მორფოლოგიისათვის, საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული, თბილისი, თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2011.
4. მენქიუ გრ., ეკონომიკის პრინციპები, თბილისი, დიოგენე, 2007.
5. ცუცქერიძე მ., ინოვაციური ფაქტორების გავლენა ბიზნესის განვითარებაზე საქართველოში, სამეცნიერო შრომების კრებული, ტ. VII, თბილისი, თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2014.
6. მეწარმეობა საქართველოში, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, თბილისი, 2014.
7. www.ei-lat/images/doc/www.lat-07.02.13-geo.pdf
8. epp.Eurostat.ec.europa.eu/structural-businessstatistics/euro-grpoups-register

Marine Tsutkiridze

EURO INTEGRATION ASPECTS OF THE DEVELOPMENT OF BUSINESS OF ENTREPRENEURIAL SYSTEM

Annotation

The article analysis the main aspect of the development of Business and its entrepreneurial system, discusses actual issues of the results of enterprise integration in the conditions of Euro entrepreneurship development process. There are given the characteristics of results of business, of its sectors aspects and its influencing on the Euro integration process in Georgia.

საქართველოს კომპანიებს ბანკოთმარების სამსახური სჭირდებათ

საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიაში „საქართველო-2020“ ჩაწერილია – „საქართველოს მთავრობის მიერ ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ზრდის შემაფერხებელი ფაქტორების აღმოფხვრისაკენ მიმართული ღონისძიებების კოორდინირების მიზნით შეიქმნება „ეროვნული განვითარების საბჭო“ [1, გვ. 17].

როგორც ამ ციტირებით ირკვევა, საქართველოში განვითარების საბჭოს შექმნა საჭიროა ქვეყნის პოტენციალის სრული გამოყენებისთვის, რაც დღემდე ვერ მოხერხდა. ჩატარებული რეფორმებიც არ აღმოჩნდა საკმარისი ქვეყანაში გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდის საფუძვლის შესაქმნელად.

საქართველოს ეკონომიკური განვითარების პოტენციალს მისი სამეურნეო სუბიექტები ქმნიან. იგი მათი პოტენციალის ჯამია. ამ გაგებით, ის, რაც ითქმის მთლიანად ეკონომიკაზე, მეტ-ნაკლებად იგივე ითქმის მის ცალკეულ ბიზნეს-სუბიექტებზე.

ასე რომ, თუ ვაპირებთ მოვხსნათ ის ბარიერები, რომლებიც ხელს უშლის ქვეყნის გრძელვადიანი ზრდის საფუძვლების შექმნას, ეს სამუშაო უნდა დავიწყოთ ცალკეული სამეურნეო სუბიექტებიდან. სწორედ მათში უნდა ვიპოვოთ ეს ბარიერები და გავატაროთ მათი მოსახსნელი ღონისძიებები.

განვითარების გზაზე ერთ-ერთი ასეთი ბარიერია ორგანიზაციული მართვის მექანიკური (ბიუროკრატიული) სტრუქტურა. მექანიკური სტრუქტურის მქონე კომპანიები ხასიათდებიან მკაცრი და ხისტი კონტროლით. ასეთ კომპანიებს გააჩნიათ [2, გვ. 79]: სუსტი დეტერმინალიზაცია, ფორმალიზაციის მაღალი დონე, მართვადობის დაბალი ნორმა, სპეციალიზაციის მაღალი დონე, გადაწყვეტილებების მიღებაში რიგითი მუშაკების ჩართულობის დაბალი დონე, ცენტრალიზაცია და მკვეთრი მმართველობითი ჯაჭვი. მექანიკურ ორგანიზაციულ სტრუქტურებს მიეკუთვნება: ხაზობრივი (მარტივი), ფუნქციონალური და დივიზიონალური სტრუქტურები. მათი ნაკლოვანებებია: დამოკიდებულება ერთ ადამიანზე, საკუთარი მიზნის შესრულებით გატაცება, მოქმედებათა და რესურსების ხარჯვის დუბლირება.

ასეთი ორგანიზაციული სტრუქტურების სრული ანტიპოდია ადაპტური სტრუქტურები. მათ რიცხვშია: პროექტული, მატრიცული, გუნდური და ქსელური სტრუქტურები. ეს სტრუქტურები კომპანიებში მიმდინარე ცვლილებებთან ადაპტირებული სტრუქტურებია, თუმცა, მათაც აქვთ როგორც ძლიერი, ისე სუსტი მხარეები. არ შეიძლება ითქვას, რომ ადაპტური სტრუქტურები ყოველთვის უფრო ეფექტურია, ვიდრე მექანიკური (ბიუროკრატიული). მსოფლიოს კომპანიების ცხოვრებაში არის როგორც ერთი, ისე მეორე სტრუქტურით წარმატებით მუშაობის მაგალითები. ეს იმას ნიშნავს, რომ დღეისთვის მართვის უნივერსალური ორგანიზაციული სტრუქტურა არ არსებობს. საჭიროა მხოლოდ შეცვლილ გარემო პირობებთან სტრუქტურის ადაპტირება. არა აქვს მნიშვნელობა, რა დაერქმევა ამას – კორექტირება, გარდაქმნა, გარდასახვა თუ რესტრუქტურალიზაცია. მთავარია, იგი გონივრულად, სისტემურად განხორციელდეს, რადგან ამის უნივერსალური წესი არ არსებობს.

მენეჯმენტის მეცნიერებაში იდეის დონეზე არსებობს მექანიკური და ადაპტური სტრუქტურების ჰიბრიდიც. ეს სტრუქტურა ჯერჯერობით თეორიულ დონეზეც არ არის დამუშავებული. მეცნიერებმა მას „ხელის მოკიდება“ და მეცნიერებაში შემოტანა ვერ გაუბედეს [2, გვ. 107].

წინამდებარე სტატიის დაწერის მიზანი არ არის ჰიბრიდულ სტრუქტურაზე მსჯელობა. ამ ნაშრომით ჩვენ გვინდა კომპანიების დონეზე წამოვწიოთ წინ ის საკითხი, რომლითაც მოცემული ნაშრომის წერა დავიწყეთ, ანუ განვითარების საბჭოების შექმნის საკითხი.

ფიქრობთ, რომ, როგორც საქართველოს მთავრობაში გადაწყდა, შეიქმნას განვითარების ეროვნული საბჭო, ისე კომპანიების ორგანიზაციულ სტრუქტურაში უნდა მოეძებნოს თავისი ადგილი კომპანის განვითარების სამსახურს, არა აქვს მნიშვნელობა მექანიკური იქნება იგი, ადაპტური თუ ჰიბრიდული. შეიძლება მას საბჭო დაერქვას, შეიძლება სააგენტო და შეიძლება ცენტრი. ეს არც მის დანიშნულებას ცვლის და არც საქმიანობის შინაარსს.

კომპანიის მართვის ადმინისტრაციულ სტრუქტურაში ამ სამსახურის „ჩაჯდომა“ დროითაა ნაკარნახევი. აქამდე იგი ჩვენთვის ცნობილ არც ერთ სტრუქტურაში არ არის გათვალისწინებული. შეიძლება დაისვას ასეთი კითხვა: რა საჭიროა ასეთი ერთეული, როცა ფირმის მთელი მენეჯმენტი, მთელი მისი საქმიანობა ამ მიზანს ემსახურება? კი, ზოგადად ასეა, მაგრამ არ არსებობს სამსახური (განყოფილება თუ დეპარტამენტი, ანდა თუნდაც ერთი სამუშაო ადგილი), რომელიც გააკონტროლებს ყველა დანარჩენი სტრუქტურული ერთეულების წვლილს კომპანის განვითარებაში.

დღეს ეს საკითხი საქართველოში მეტად მტკივნეულად დგას. ამის მიზეზი ის არის, რომ აგერ 25 წელია გარდაქმნის გზას ვადგავართ, თითქოს ბევრ რამეს ვაკეთებთ განსავითარებლად, მაგრამ საჭირო დონეზე მაინც ვერ განვითარდით. ჩვენი აზრით, ამის მიზეზი სწორედ ის არის, რომ არც პირველად რგოლებში, არც სამინისტროებსა და უწყებებში და არც ქვეყნის მთავრობაში არ გვაქვს შექმნილი განვითარების სტრუქტურები, რომელთაც დაევალებათ განვითარების გზების შემუშავება, ფუნქციების გადანაწილება დანარჩენ მმართველობით რგოლებს შორის, მათი სათანადო რესურსული უზრუნველყოფა და შემდეგ მათი გაკონტროლება, ანუ განვითარების მიმართულებით მათი წვლილის აწონ-დაწონვა.

საქართველოში კომპანიების განვითარების პრობლემა „სასწრაფო, ოპერატიულ, მიმდინარე საქმეების სიმრავლეს ეწირება. მენეჯერები მიმდინარე საქმეების მოგვარებას ანიჭებენ უპირატესობას და ხვალისთვის დებენ ისეთ საქმეებს, რომელთა გაუკეთებლობა სულ უფრო ამძიმებს კომპანიების მდგომარეობას“ [4, გვ. 201].

მართვის ორგანიზაციული სტრუქტურის ჩვენ მიერ შემოთავაზებული კორექტირებით, ჩვენ გარკვეულ „კალაპოტში“ ჩავსვამთ კომპანიების განვითარების პროცესს, მივცემთ მას მიმართულებას, გამოვუძებნით წყაროებს, შევამოწმებთ მათი გამოყენების სისრულეს და ეფექტიანობას, გავაკონტროლებთ შედეგიანობას.

ქართველებს კონტროლი არ გვიყვარს, მაგრამ ეს არ იქნება გარედან კონტროლი, ეს იქნება თვითკონტროლი, კონტროლი იმისა, რომ კომპანიის მენეჯმენტი უწინარესად დაკავდეს გრძელვადიანი განვითარების საკითხებით. არსებობს აზრი, რომ განვითარების ეს სამსახური იყოს კოლეგიული ორგანო, რომელიც წინასწარ განსაზღვრული პერიოდულობით (მინიმუმ თვეში ერთხელ) შეიკრიბება და მხოლოდ განვითარების საკითხების განხილვით, გადაწყვეტითა და ადრე მიღებული გადაწყვეტილებების შესრულების მდგომარეობის რევიზიით იქნება დაკავებული [4, გვ. 202]. ამავე აზრით, თვით განვითარების საბჭო კომპანიის წამყვანი ქვედანაყოფების ხელმძღვანელებით უნდა დაკომპლექტდეს, ანუ მასში უნდა შედიოდნენ საშუალო და მაღალი დონის მენეჯერები, და აგრეთვე რამდენიმე რიგითი თანამშრომელიც [4, გვ. 202-204]. ჩვენ არ ვიზიარებთ ამ მოსაზრებას შემდეგი არგუმენტების გამო:

1. კომპანიის საშუალო და მაღალი რგოლის მენეჯერებს ისედაც ევალებათ კომპანიის განვითარებაზე ზრუნვა.

2. კომპანიის მაღალი და საშუალო დონის მენეჯერებს განვითარების საბჭოში მუშაობით არ იქნებათ არანაირი ანაზღაურება, სამეურნეო საქმეში კი ენთუზიაზმი არაფერს იძლევა.

3. განვითარების ასე დაკომპლექტებული სამსახური შეიკრიბება მხოლოდ პერიოდულად, კომპანიის განვითარებას კი ისეთი სამსახური სჭირდება, რომელიც იმუშავებს სისტემატიურად – ყოველდღე.

4. თუ განვითარების სამსახური კომპანიის მენეჯერებისგან დაკომპლექტდება, ისინი ობიექტური ვერ იქნებიან, რადგან მათ მოუწევთ საკუთარი თავის გაკონტროლება.

ჩვენი აზრით, კომპანიების განვითარების სამსახური უნდა დაკომპლექტდეს უმაღლესი პროფესიული ცოდნის და უმაღლესი კომპეტენტურობის მუშაკებისგან, ანუ ამ დარგის ექსპერტებისგან. მათი რაოდენობა უნდა იყოს კენტი – 3 ან 5, მსხვილ კომპანიებში – 7. მათ მუშაობის თავისუფალი გრაფიკი უნდა მიეცეთ, მაგრამ ისე, რომ დღე-ღამის ნებისმიერ დროს კომპანიის მუშაობის ამსახველ ინფორმაციაზე ჰქონდეთ წვდომა. თანამედროვე კომპიუტერულ ეპოქაში ეს სრულიად შესაძლებელია. ექსპერტები დამოუკიდებლად მუშაობენ, მაგრამ მიღებული შედეგების შეჯერებას ახდენენ ყოველი თვის, კვარტლის და წლის ბოლოს. შეჯერების შედეგები თვეების და კვარტლების ბოლოს მოხსენდება ტოპმენეჯერთა სხდომებს, ხოლო წლის ბოლოს მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებას.

ექსპერტები არა მხოლოდ აფასებენ განვითარების მიმართულებით კომპანიის მიერ გაწეულ მუშაობას, არამედ ეძებენ რეზერვებს, მათი ამოქმედების გზებს და იძლევიან რეკომენდაციებს. ექსპერტები მხოლოდ გენერალურ მენეჯერს ექვემდებარებიან. სასურველია, მათი რეკომენდაციები თავდაპირველად ექსპერტული წესით დაინერგოს, შემდეგ კი, წარმატების შემთხვევაში, დასანერგად სავალდებულო გახდეს.

ექსპერტებს არ უნდა აეკრძალოთ, იმუშაონ სხვა კომპანიაშიც, მაგრამ ეს არ უნდა იყოს კონკურენტი კომპანია. ეს ვალდებულება ხელშეკრულებით უნდა გაფორმდეს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია – საქართველო 2020, თბ., 2013.
2. ხარხელი მ., ქეშელაშვილი გ., მენეჯმენტის საფუძვლები, 2013.
3. Стивен Роббинз, Мэри Коултер, Менеджмент, М., 2007.
4. დაანქარეთ განვითარება – შექმენით განვითარების საბჭო, სტატიების კრებული – „მართვის ახალი გეომეტრია, სინერჯი ჯგუფი, თბ., 2012.

Manana Kharkheli

GEORGIAN COMPANIES NEED DEVELOPMENT DEPARTMENT Annotation

The article reviews administrative management structures - Mechanistic Organizational Structure and Adaptive Organizational Structures. They are compared with each other and it is concluded, that none of them is universal, both types of structure have advantages and disadvantages and in neither of them is established development department. According to author's conclusion, it doesn't matter which structure has a company, in both cases company's management should establish a development department, which will be subordinated only to the General Director.

According to Author's vision, development department's staff should be experts with, flexible work arrangements, who will have high salary.

იზოლდა ჭილაძე

საწარმოს მიმდინარე აქტივების დაფინანსების სტრატეგიის მართვა

შესავალი

მბრძანებლური ეკონომიკის პირობებში საწარმოთა მიმდინარე აქტივების დაფინანსება გრძელვადიანი ვალდებულებებით დაუშვებელი იყო. დადებითი სხვაობა მიმდინარე აქტივებსა და მიმდინარე ვალდებულებებს შორის მხოლოდ საკუთარი კაპიტალით ფინანსდებოდა. აქედან გამომდინარე, მიმდინარე აქტივების ნამეტს მიმდინარე ვალდებულებებზე, საკუთარი საბრუნავი საშუალებები ეწოდებოდა. ის, მეორე მხრივ, ახასიათებდა საკუთარი კაპიტალის იმ ნაწილს, რომელიც მიმდინარე აქტივებში იყო ავანსირებული.

თანამედროვე ბიზნესის სამყაროში განვითარდა არატრადიციული მიდგომა, როცა მიმდინარე აქტივების დაფინანსება აგრეთვე გრძელვადიანი ვალდებულებებით ხდება. ეფექტი იმაში მდგომარეობს, რომ გრძელვადიანი სესხი უფრო იაფია. ასეთი სტრატეგიის პირობებში გაუმართლებელია, სხვაობას მიმდინარე აქტივებსა და მიმდინარე ვალდებულებებს შორის, ერთმნიშვნელოვნად ეწოდოს საკუთარი საბრუნავი საშუალებები.

მოცემული სტატიის მიზანია, მიმდინარე აქტივების და მათი დაფინანსების წყაროების მართვის სტრატეგიის თავისებურებების ახსნა თანამედროვე ბიზნესის სამყაროში.

1. მიმდინარე აქტივები და საბრუნავი კაპიტალი


საწარმოს, შეუფერხებელი საქმიანობისა და ფინანსური სტაბილურობის უზრუნველსაყოფად, ესაჭიროება სხვადასხვა დანიშნულების რესურსი ანუ აქტივი, რომელიც შეიძლება იყოს მოკლევადიანი ან გრძელვადიანი. ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების განმარტებით, „აქტივი არის რესურსი, რომელსაც საწარმო აკონტროლებს წარსულში მომხდარი მოვლენების შედეგად და რის საფუძველზეც საწარმო მომავალში მოელის ეკონომიკური სარგებლის მიღებას“ (კონცეპტ. საფ. 4.4).

ეკონომიკურ ლიტერატურაში ცნობილია შემდეგი ცნებები: საბრუნავი, მობილური, საოპერაციო, მიმდინარე, მოკლევადიანი ან ლიკვიდური აქტივები, საბრუნავი კაპიტალი ან საბრუნავი საშუალებები. ყველა მათგანის მოცულობითი სიდიდე ერთი და იგივეა, მაგრამ, მიმდინარე აქტივების ფუნქციური (ანუ მიზნობრივი) დანიშნულებით და დაფინანსების წყაროების მიხედვით, ზოგიერთი ერთმანეთისაგან განსხვავდება.

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები იყენებს ტერმინს - მიმდინარე აქტივები. „საწარმომ აქტივი მიმდინარე აქტივად უნდა მიიჩნიოს მაშინ, თუ ნავარაუდევია აქტივის რეალიზაცია ან გამიზნულია გასაყიდად, ან მოხმარებისათვის ჩვეულებრივი საწარმოო ციკლის განმავლობაში; ძირითადად გამოიყენება სავაჭრო დანიშნულებით; ნავარაუდევია მისი რეალიზება საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში; ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მისი გაცვლა ან ვალდებულების დასაფარად გამოიყენება შეზღუდულია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სულ მცირე თორმეტი თვით მაინც. ყველა სხვა აქტივი უნდა მიეკუთვნოს გრძელვადიან აქტივებს“ [1.166].

მაშასადამე, ტერმინი მიმდინარე აქტივი არის რესურსი, რომელიც აუცილებელია საწარმოს ნორმალური ფუნქციონირებისათვის და გათვალისწინებულია, რომ ერთი წლის განმავლობაში გადაიქცევა გაცვლის საშუალებად. ანუ დაბრუნდება ფულადი რესურსის სახით.

მიმდინარე აქტივები წრებრუნვის დროს შემდეგ საფეხურებს გაივლის: ფულადი ფორმიდან გარდაიქმნება საწარმოო მარაგებად, საწარმოო მარაგი გადადის მზა პროდუქციაში და რეალიზაციის შემდეგ კვლავ ბრუნდება ფულის სახით (სქემა 1).



სქემა 1. მიმდინარე (საბრუნავი) აქტივების წრებრუნვის მოდელი

მიმდინარე აქტივების წრებრუნვის მოდელი არის საბრუნავი კაპიტალის მართვის ფუნდამენტი. ცნება აქტივი გამოხატავს მის ფუნქციურ დანიშნულებას საწარმოს სამეურნეო საქმიანობის პროცესში, მის ფიზიკურ და ღირებულებით მხარესთან ერთად. შესაბამისად, ცნებები: მიმდინარე, მოკლევადიანი, საოპერაციო, საბრუნავი, მობილური ან ლიკვიდური აქტივები – სინონიმებია.

მიმდინარე აქტივებში ავანსირებულ ღირებულებას, ბრუნვის სიჩქარის გამო, როგორც ცნობილია, საბრუნავი საშუალებები ანუ საბრუნავი კაპიტალი ეწოდება. აქ იგულისხმება მათი ღირებულების მოძრაობა. ამიტომ, როცა ბრუნვადობის საკითხი შეისწავლება, გამოყენებული უნდა იქნეს ტერმინები საბრუნავი საშუალებები ან საბრუნავი კაპიტალი.

მაშასადამე, მიმდინარე აქტივები და საბრუნავი აქტივები სინონიმებია. საბრუნავი საშუალებები და საბრუნავი კაპიტალი სინონიმებია. ხოლო, მიმდინარე აქტივი და საბრუნავი კაპიტალი – „ერთი მედლის ორი მხარე“. ისინი ერთმანეთის გარეშე არ არსებობენ. ერთი ფიზიკური მდგომარეობის, მეორე მასში დაბანდებული ღირებულების გამოხატულებაა.

2. მიმდინარე აქტივების დაფინანსების სტრატეგია

მიმდინარე აქტივების მართვის მნიშვნელოვანი მიმართულებაა მისი დაფინანსების წყაროების ოპტიმიზაცია. ტრადიციულად ითვლებოდა, რომ მიმდინარე აქტივების დაფინანსების წყაროებია მიმდინარე ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი. მაგრამ, თანამედროვე ბიზნესგარემოში მათი დაფინანსებისათვის გრძელვადიანი ვალდებულებებიც გამოიყენება.

მბრძანებლური ეკონომიკის პირობებში, როცა მიმდინარე აქტივების დაფარვა გრძელვადიანი ვალდებულებებით აკრძალული იყო, სხვაობა მიმდინარე აქტივებსა და მიმდინარე ვალდებულებებს შორის ერთმნიშვნელოვნად წარმოადგენდა საკუთარი საბრუნავი საშუალებების მოცულობას, რომელიც იმავდროულად აჩვენებდა საკუთარი კაპიტალის იმ ნაწილს, რომელიც ავანსირებული იყო მიმდინარე აქტივებში. თანამედროვე ეკონომიკურ ურთიერთობებში, რადგან მიმდინარე აქტივები გრძელვადიანი ვალდებულებებითაც ფინანსდება, გაუმართლებელია სხვაობას მიმდინარე აქტივებსა და მიმდინარე ვალდებულებებს შორის საკუთარი საბრუნავი კაპიტალი (ან საკუთარი საბრუნავი საშუალებები) ეწოდოს. ამიტომ, ვიზიარებ იმ ეკონომისტების აზრს, რომლებიც სხვაობას მიმდინარე აქტივებსა და მიმდინარე ვალდებულებებს შორის წმინდა მიმდინარე აქტივს უწოდებს [4. გვ. 549].

პრაქტიკაში, მიმდინარე აქტივები შესაძლოა მიმდინარე ვალდებულებებზე მეტი, ნაკლები ან ტოლი იყოს. წმინდა მიმდინარე აქტივი არსებობს მხოლოდ მაშინ, როცა მიმდინარე აქტივები მიმდინარე ვალდებულებებზე მეტია.

წარმოდგენილი საკითხების განხილვისას, ვეყრდნობით ცნობილ ტოლობებს:

$$\text{პერმანენტული კაპიტალი} = \text{საკ. კაპ.} + \text{გრძელვად. ვალდებულებები} \quad (1)$$

$$\text{წმ. მიმდ. აქტივი} = \text{მიმდ. აქტივი} - \text{მიმდ. ვალდებ.} \quad (2)$$

დაფინანსების პოლიტიკის განხორციელების დროს, ფინანსური მენეჯმენტი აგრეთვე იყენებს მიმდინარე აქტივების დაყოფას მის მუდმივ (საწარმოო მარაგები) და ცვალებად (ფულადი თანხები, მოთხოვნები და დანარჩენი) ნაწილებად. ამ ნიშნით:

$$\text{მიმდინარე აქტივი} = \text{მუდმივი ნაწილი} + \text{ცვალებადი ნაწილი} \quad (3)$$

როგორც უკვე აღინიშნა, წმინდა მიმდინარე აქტივის დაფინანსების წყარო მოკლევადიანი ვალდებულებების გარდა შეიძლება იყოს პერმანენტული კაპიტალი, ანუ საკუთარი კაპიტალის და გრძელვადიანი ვალდებულებების ჯამი. საწარმოს ბუღალტრული ბალანსის ინფორმაციის საფუძველზე შესაძლებელია მისი დადგენა. იმავე მაგალითის საფუძველზე (ცხრ. 1) წმინდა მიმდინარე აქტივი 100 ათ. ლარია (800-700). ვინაიდან, პერმანენტული კაპიტალი (900+200) აღემატება გრძელვადიან აქტივებს და ეს უკანასკნელი ნაკლებია გრძელვადიან ვალდებულებებზე, უნდა ვივარაუდოთ, რომ წმინდა მიმდინარე აქტივი მთლიანად საკუთარი კაპიტალითაა დაფინანსებული.

თუკი გრძელვადიანი აქტივები საკუთარ კაპიტალზე და მთლიან პერმანენტულ კაპიტალზეც ნაკლები იქნება, მაშინ წმინდა მიმდინარე აქტივი დაფინანსებულია საკუთარი კაპიტალითა და გრძელვადიანი ვალდებულებებით ერთდროულად. თუკი გრძელვადიანი აქტივი გრძელვადიანი ვალდებულებების ტოლია, მაშინ წმინდა მიმდინარე აქტივი მთლიანად საკუთარი კაპიტალითაა დაფინანსებული.

ფინანსურ მენეჯმენტში მიმდინარე აქტივების დაფინანსების სტრატეგიის რამდენიმე მოდელი არსებობს: იდეალური, აგრესიული, კონსერვატორული და კომპრომისული.

იდეალური მოდელის დროს მიმდინარე აქტივი მიმდინარე ვალდებულებების ტოლია. ე.ი. წმინდა მიმდინარე აქტივი ნულის ტოლია. რეალობაში ასეთი შემთხვევა თითქმის არ გვხვდება. გარდა ამისა, ლიკვიდურობის პოზიციიდან იგი უფრო რისკიანია, რადგანაც არასასურველი შემთხვევის დროს (მაგალითად, ყველა ვალდებულების აუცილებელი გადახდა ერთდროულად) საწარ-

მო შეიძლება იძულებული გახდეს, გაყიდოს ძირითადი საშუალებების ნაწილი მიმდინარე ვალდებულებების დასაფარავად. ამ სტრატეგიის არსი ისაა, რომ პერმანენტული კაპიტალი დგინდება გრძელვადიანი აქტივების დონეზე. საბალანსო ტოლობა მიიღებს შემდეგ სახეს:

$$\text{გრძელვადიანი აქტივები} = \text{პერმანენტული კაპიტალი} - (\text{იდეალური მოდელი})$$

მართლაც: $1000 = 100 + 900$

იმავე ცხრილში ბუღალტრული ბალანსის პასივში მოცემულია ინფორმაცია დაფინანსების ოთხივე ტიპის მოდელისათვის.

ცხრილი 1

საწარმოს პირობითი ბალანსის ძირითადი სტრუქტურა (ათ. ლ)

აქტივი	თანხა	პასივი	იდეალური მოდელი	აგრესიული მოდელი	კონსერვატორული	კომპრომისული
1. მიმდინარე აქტივი მ.შ/ საწ/მარაგი	800 350	1. მიმდინარე ვალდებულება	800	450	0	225
2. გრძელვადიანი აქტივი	1000	2. გრძელვადიანი ვალდებულება	100	400	800 840	575 560
		3. საკუთარი კაპიტალი	900	950	1000 960	1 000
ჯამი	1 800	ჯამი	1 800	1 800	1 800	1 800

საწარმოებისათვის უფრო რეალურია შემდეგი სამი მოდელიდან ერთ-ერთი, რომელთა საფუძველია წანამდგარი, რომ ლიკვიდურობის უზრუნველსაყოფად, მიმდინარე აქტივების მინიმუმ მუდმივი ნაწილი და გრძელვადიანი აქტივები უნდა იფარებოდეს პერმანენტული კაპიტალით. მაშასადამე:

$$\text{გრძელვად. აქტივი} + \text{საწ.მარაგები} = \text{საკაპიტ.} + \text{გრძელვად.} - (\text{აგრესიული მოდელი})$$

ანუ, $1000 + 350 = 950 + 400$

აგრესიული მოდელი აღნიშნავს, რომ პერმანენტული კაპიტალით უნდა დაფინანსდეს გრძელვადიანი აქტივები და მიმდინარე აქტივების მუდმივი ნაწილი ანუ საწარმოო მარაგები, რაც აუცილებელია საწარმოს შეუფერხებელი სამეურნეო საქმიანობისათვის. ამ შემთხვევაში:

$$\text{წმინდა მიმდ. აქტივი} = \text{საწარმოო მარაგები}; \quad (800 - 450 = 350)$$

მიმდინარე აქტივების ცვალებადი ნაწილი მთლიანად იფარება მოკლევადიანი კრედიტორული დაგალიანებებით. ლიკვიდურობის პოზიციიდან, ეს სტრატეგია ცხელიან რისკიანია, რადგან პრაქტიკულად შეუძლებელია მიმდინარე აქტივების მხოლოდ მინიმუმის საზღვრების განსაზღვრა.

კონსერვატორული მოდელი ვარაუდობს, რომ მიმდინარე აქტივების ცვალებადი ნაწილი ასევე იფარება პერმანენტული კაპიტალით. ამ შემთხვევაში საწარმოს არ გააჩნია მოკლევადიანი კრედიტორული დაგალიანებები და ლიკვიდურობის დაკარგვის რისკიც არ არსებობს.

$$\text{წმინდა მიმდ. აქტივი} = \text{მიმდინარე აქტივებს}; \quad (800 - 0 = 800)$$

ეს მოდელი ხელოვნურ ხასიათს ატარებს. ეს სტრატეგია ვარაუდობს, რომ პერმანენტული კაპიტალი შემდეგ ტოლობას აბალანსებს:

$$\begin{aligned} &\text{გრძელვადიანი აქტივები} + \text{საწ.მარაგები} + \text{მიმდ.აქტ.ცვალებადი ნაწილი} = \\ &= \text{პერმანენტული კაპიტალი}; \quad (\text{კონსერვატორული მოდელი}) \\ &\text{მართლაც, } (1000 + 350 + 450) = (960 + 840) \end{aligned}$$

კომპრომისული მოდელი უფრო რეალურია. ამ დროს, გრძელვადიანი აქტივები, საწარმოო მარაგები და მიმდინარე აქტივების ცვალებადი ნაწილის თითქმის ნახევარი იფარება პერმანენტული კაპიტალით. წმინდა მიმდინარე აქტივი უდრის საწარმოო მარაგებისა და ცვალებადი ნაწილის ნახევრის ჯამს.

$$\text{წმ.მიმდ.აქტივი} = \text{საწ.მარაგი} + 0,5 \text{ ცვალებადი ნაწილი,}$$

ანუ $(800 - 225) = (350 + 450/2)$

ცალკეულ მომენტებში საწარმოს შესაძლოა აღმოაჩნდეს ჭარბი მიმდინარე აქტივი, რაც უარყოფითად ზემოქმედებს მოგებაზე, მაგრამ ეს განიხილება როგორც ლიკვიდურობის დანაკარგის რისკის საჭირო დონეზე შეჩერების „გადასახადი“. სტრატეგია ითვალისწინებს გრძელვადიანი პასივების (პერმანენტული კაპიტალის) შენარჩუნებას შემდეგი საბალანსო ტოლობის (მოდელის) ბაზაზე:

$$\begin{aligned} & \text{პერმანენტული კაპიტალი} = \\ & \text{გრძელვადიანი აქტივ} + \text{საწ.მარაგი} + 0,5 * \text{მიმდ.აქტ.-ცვალებადი ნაწილი} = \\ & = \text{პერმანენტული კაპიტალი}; \quad (\text{კომპრომისული მოდელი}), \\ & \text{ანუ } (1000 + 350 + 450/2) = (1000 + 575) \end{aligned}$$

გამომდინარე იქიდან, რომ წმინდა მიმდინარე აქტივი არის სხვაობა მიმდინარე აქტივებსა და მიმდინარე ვალდებულებებს შორის, ამიტომ, ნებისმიერი კომპონენტის ცვლილება პირდაპირ ან არაპირდაპირ გავლენას ახდენს მის სიდიდეზე. როგორც წესი, წმინდა მიმდინარე აქტივის ზრდა განიხილება როგორც დადებითი ტენდენცია, ოღონდ, შეიძლება არსებობდეს გამონაკლისიც. მაგალითად, მისი სწრაფი ზრდა ვადაგადაცილებული დებიტორების ხარჯზე, არ დააკმაყოფილებდა ფინანსურ მენეჯმენტს.

დასკვნა

ამრიგად, მიმდინარე აქტივებში ავანსირებული ღირებულება არის საბრუნავი კაპიტალი, რომელიც შეიძლება ფორმირდეს მიმდინარე ვალდებულებების, გრძელვადიანი ვალდებულებებისა და საკუთარი კაპიტალის ხარჯზე. წმინდა მიმდინარე აქტივი ყოველთვის არ იქნება საკუთარი საბრუნავი საშუალებების ტოლი, რადგან შესაძლოა იგი დაფინანსებული იყოს გრძელვადიანი ვალდებულებებით. ამიტომ, საჭირო ხდება საწარმოს ბუღალტრული ბალანსის ელემენტების სტრუქტურული ანალიზი, რათა დადგინდეს მიმდინარე აქტივები არის თუ არა დაფინანსებული გრძელვადიანი ვალდებულებებით

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბასს 1 - ფინანსური ანგარიშგების წარდგენა. ფასს, ნაწილი 2. თარგმ. ინგლ. ბაფ. 2014. გვ.775-868.
2. ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალური საფუძვლები. ფასს, ნაწილი 1. თარგ. ინგლის. ბაფ. 2014. გვ. 19-70.
3. Lawtece Revsine, Daniel W. Colins, W. Brue Jonson, Financial Reporting and Analysis, 2008.
4. Subramanyam K. R., Joan J. Wild, Financial Statement Analysis, 2008.
5. Charles H. gibson, Financial Reporting and Analysis, 2009.

Izolda Chiladze

MANAGEMENT OF FINANCING STRATEGY OF CURRENT ASSETS

Annotation

The article deals with the new strategy of financing Current assets of enterprises in the free economy. In imperious economy was impossible to fund long-term liabilities as a current asset.

In market economy, has been formed an approach according to which the financing of current assets is possible not only by own capital and current liabilities but by long-term as well.

Based on the above, the surplus of current assets on current liabilities and should be called net assets. As it is in western economic theory and practice.

On the basis of the analysis is determined what is the proportion of long-term debt and equity in net current assets.

საქართველოს ენერგეტიკული პოლიტიკა

სახელმწიფოს ძლიერებისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის, სახელმწიფო საკუთრების ეფექტურად მართვისა და სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის თვისებრივად ახალი მდგომარეობის განმსაზღვრელი გრძელვადიანი ენერგეტიკული პოლიტიკის გატარება ეფუძნება შემდეგ ძირითად პრინციპებს:

- სახელმწიფო ქმედებების თანმიმდევრულობის დაცვა ენერგეტიკის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი სტრატეგიული ეკონომიკური ორიენტირების რეალიზაციის დროს;
- მძლავრი, მყარად განვითარებადი და სახელმწიფოსთან კონსტრუქციული დიალოგისუნარიანი ენერგეტიკული კომპანიების შექმნით დაინტერესება;
- სახელმწიფო პოლიტიკის მიზნების განხორციელებაზე ორიენტირებული, კერძო მეწარმეთა ინიციატივების, მათ შორის საინვესტიციო სფეროში, მასტიმულირებელი სახელმწიფოებრივი ხასიათის მარეგულირებელი ზემოქმედების მიზანშეწონილობისა და აუცილებლობის დასაბუთება და მხარდაჭერა.

გრძელვადიანი ენერგეტიკული პოლიტიკის სტრატეგიული ორიენტირებია: ენერგეტიკული უსაფრთხოება (ეროვნული უსაფრთხოება ენერგეტიკულ სივრცეში), ენერგოეფექტურობა, ენერგეტიკის ეკოლოგიური უსაფრთხოება. აღნიშნული ორიენტირების დაცვა და ენერგეტიკის მართვის მექანიზმის სრულყოფა, ბუნებრივია, სახელმწიფო ენერგეტიკული პოლიტიკის ძირითადი ორიენტირების ცალკეული მიმართულების ბაზაზე უნდა მოხდეს.

ასეთს მიეკუთვნება: ენერგეტიკული წიაღის გამოყენება და წიაღის სახელმწიფო ფონდის მართვა, შიგა სათბობ-ენერგეტიკული ბაზრების განვითარება, რაციონალური სათბობ-ენერგეტიკული ბალანსის ფორმირება, სახელმწიფოთაშორისი კავშირებისა და შიგა ენერგეტიკული კომუნიკაციების განვითარება, ენერგეტიკული კომპლექსის სოციალური, სამეცნიერო-ტექნიკური და საინოვაციო პოლიტიკა.

მათი განხორციელების ძირითადი ინსტრუმენტია ფასწარმოქმნის (სატარიფო), საგადასახადო, საბაჟო და ანტიმონოპოლიურ ღონისძიებათა ურთიერთგანმსაზღვრელი პროცესი, ენერგეტიკული პოლიტიკის ეკონომიკური ეფექტურობის მოქნილი სისტემის შექმნა.

ენერგეტიკული პოლიტიკის გატარების დროს სახელმწიფო, როგორც წიაღისა და სეკ-ის აქტივების მეპატრონე, მოცემულ სფეროში პროცესის ეფექტურობის გასაუმჯობესებლად მოახდენს დარგის რესტრუქტურისაციასა და მისი ცალკეული ელემენტის პრივატიზაციას.

სახელმწიფო ენერგეტიკული პოლიტიკის განხორციელების საფუძველი იქნება მუდმივად განვითარებადი ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზა. მისი სრულყოფა წარმართება ენერგეტიკული კომპლექსის საქმიანობის სხვადასხვა მიმართულებაზე პირდაპირი ზემოქმედების მქონე კანონების რეგულირებისა და საკანონმდებლო ბაზის შემდგომი დახვეწის გზით, რამაც უნდა განაპირობოს ამ უმნიშვნელოვანესი სფეროს ფუნქციონირებისათვის ხელშემწყობი ნორმატიულ-სამართლებრივი სივრცის შექმნა.

ენერგეტიკული სტრატეგიის განხორციელების შედეგად, საქართველოში ჩამოყალიბდა შედარებით განვითარებული სეკ-ი და კონკურენტუნარიანი ენერგეტიკული ბაზარი, რომელიც, ძირითადად, ორიენტირებული იქნება საკუთარი სათბობ-ენერგეტიკული რესურსების გამოყენებაზე და თავისი პარამეტრებით მთლიანად დააკმაყოფილებს ქვეყნის ეკონომიკის მზარდ მოთხოვნებს ენერგორესურსებზე, ხოლო თავისი მონაწილეობით სახელმწიფოთაშორის რეგიონულ ენერგოსისტემაში კიდევ უფრო აამაღლებს ქვეყნის სეკ-ის მდგრადობის და უსაფრთხოების გარანტიებს.

ენერგეტიკული უსაფრთხოება არის საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება და პირიქით, ენერგეტიკული პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანა სწორედ ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფაში მდგომარეობს.

ენერგეტიკული უსაფრთხოება არის ქვეყნის, მისი მოქალაქეების, საზოგადოების, სახელმწიფოსა და ეკონომიკის სათბობითა და ენერგიით უზრუნველყოფაში საფრთხის წარმოქმნისაგან დაცული მდგომარეობა. საფრთხე განისაზღვრება როგორც გარეგანი (გეოპოლიტიკური, მაკროეკონომიკური, კონიუნქტურული) ფაქტორებით, ისე ქვეყნის ენერგეტიკული დარგის მდგომარეობითა და ფუნქციონირების სიცოცხლისუნარიანობით.

სეკ-ის განვითარების შემაფერხებელი ფაქტორები, ერთდროულად, საქართველოს ცალკეული რეგიონის ენერგეტიკული უსაფრთხოების წყაროსაც წარმოადგენს.

პრაქტიკა ადასტურებს, რომ ეს საშიშროებანი ნავსებით რეალური ხასიათისაა ვინაიდან ქვეყნის სხვადასხვა რეგიონის ენერგომომარაგების დისპროპორცია „ქრონიკულ ავადმყოფობად“, ხოლო ენერგეტიკული უსაფრთხოება აშკარა საფრთხედ გადაიქცა.

ენერგეტიკული უსაფრთხოების პოლიტიკის მიზანია მისი ძირითადი პარამეტრების თვისებრივად ახალი დონეების ეტაპობრივი მიღწევა. ეს პარამეტრებია:

- სეკ-ის უნარი - შესაბამისი ხარისხითა და ეკონომიკურად გამართლებული ფასებით დააკმაყოფილოს ენერგიაშემცველებზე მოთხოვნილება;

- ეკონომიკის უნარი - ეფექტურად გამოიყენოს საკუთარი და იმპორტული ენერგორესურსები და თავიდან აიცილოს ირაციონალური ხარჯები და სათბობ-ენერგეტიკული ბალანსის დეფიციტი;

- ენერგეტიკული კომპლექსის მდგრადობა შიგა და გარე ეკონომიკურ, ტექნოლოგიურ და ბუნებრივ საფრთხეთა მიმართ და დესტაბილიზაციის გამომწვევი სხვადასხვა ფაქტორის გამოვლენის შედეგად მიყენებული ზარალის მინიმიზაციის უნარი.

ენერგეტიკული უსაფრთხოების უზრუნველყოფის უმნიშვნელოვანესი პრინციპებია:

- ნორმალურ პირობებში ეკონომიკისა და ქვეყნის მოსახლეობის სრულად ენერგოუზრუნველყოფა, ხოლო სხვადასხვა სახის საფრთხის ან განსაკუთრებული სიტუაციების წარმოქმნის შემთხვევებში - მინიმალური სასიცოცხლო პარამეტრების შენარჩუნება;

- ენერგორესურსების სახელმწიფო მარაგის შექმნა;

- არაგანახლებადი რესურსების შევსებადობა (არაგანახლებადი სათბობის რესურსების მოხმარების ტემპები უნდა ეთანადებოდეს მათი ჩასანაცვლებელი წყაროების ათვისების ტემპებს);

- ხმარებაში არსებული სათბობისა და ენერჯის სახეობების დივერსიფიკაცია (ენერგეტიკა არ უნდა იყოს მხოლოდ ერთ რომელიმე სახეობასა და ერთ მომწოდებელ ქვეყანაზე დამოკიდებული);

- ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფა (ენერგეტიკის განვითარებისა და გარემოს დაცვის მზარდი მოთხოვნილების დაბალანსება);

- ენერგოეფექტურობის ამაღლება;

- ენერგორესურსების შიგა ბაზრებზე მომგებიანი ეკონომიკური პირობების შექმნა და საიმპორტო სტრუქტურის რაციონალიზაცია;

- ყველა შესაძლო ტექნოლოგიურ პროცესსა და პროექტში კონკურენტუნარიანი ადგილობრივი ენერგიაშემცველებისა და მოწყობილობა-დანადგარების გამოყენება.

ენერგეტიკული უსაფრთხოების უთუოდ უზრუნველყოფა ორი ამოცანის უეჭველ გადაწყვეტას საჭიროებს: პირველ რიგში უნდა მოხდეს სეკ-ის მორალურად მოქველებული და ფიზიკურად გაცვეთილი ტექნოლოგიური ბაზის ტექნიკური გადაიარაღება და მისი საწარმოო რესურსების აღდგენა. ძირითადად, არსებულ საწარმოო სიმძლავრეებზე უნდა განხორციელდეს ძირეული რეკონსტრუქცია და სიმძლავრეების ზრდა - საქართველოს პირობებისათვის შესატყვისი უცხოური წარმოების დანადგარ-მოწყობილობებითა და ტექნოლოგიების გამოყენებით.

მეორე რიგში უნდა შეიცვალოს სათბობ-ენერგეტიკული რესურსების იმპორტის, წარმოებისა და მოხმარების სტრუქტურა. აქ, უპირველეს ყოვლისა, იგულისხმება საკუთარი ჰიდრორესურსების, ბუნებრივი გაზის, ნახშირისა და განახლებადი ენერჯის წყაროების გამოყენების მასშტაბების გაფართოება, ახალი საბადოების დაძიება და კომპლექსის ინფრასტრუქტურაში ჩართვა.

სეკ-ის ენერგეტიკული უსაფრთხოებისა და დაბალანსებული განვითარების უმნიშვნელოვანესი პირობაა ენერგეტიკული პოლიტიკის მიზნებისა და მეთოდების ერთიანობა, საკანონმდებლო და ნორმატიული მოთხოვნების უმკაცრესი დაცვა.

ენერგოსაფრთხის წარმოქმნაზე სახელმწიფოს მხრიდან დროული და ადეკვატური რეაქციის, უსაფრთხოების მდგომარეობის ანალიზს, გარე და შიდა საფრთხეების პროგნოზირებისა და განეიტრალებისათვის აუცილებელია ოპერატიულ და გრძელვადიან ღონისძიებათა სისტემის შემუშავება და რეალიზაცია. სხვადასხვა საფრთხის წარმოქმნის კრიტერიუმების (ინდიკატორების) დადგენა და მონიტორინგის სისტემის ამოქმედება.

საგანგებო სიტუაციებისათვის მზადყოფნის მიზნით, „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, უახლოეს პერიოდში უნდა დამუშავდეს შესაბამისი სახელმწიფო სტრატეგია, რომელიც, პრაქტიკულად, ნებისმიერი კრიზისული სიტუაციის ჩამოყალიბების პირობებში სამოქმედო გეგმას უნდა ითვალისწინებდეს. ასეთ პირობებში, სტრატეგიის შესაბამისად, სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის (ერთიანი ენერგეტიკული სისტემის) მართვის სადავეები და პასუხისმგებლობა სახელმწიფომ უნდა აიღოს, როგორც ამას საქართველოს კონსტიტუცია ითვალისწინებს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. დ. ჩომახაძე, საქართველოს ენერგეტიკა: ეკონომიკა, რეგულირება, ტერმინოლოგია, სტატისტიკა. თბილისი, „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 2014.
2. „საქსტატის“ სტატკრებულები, 2005-2014 წწ.
3. საქართველოს ენერგეტიკული სტრატეგია, თბილისი, 2004.
4. გ. თავაძე, ი. ქავთარაძე, ენერგეტიკის რეგულირება, 2006.

ENERGY POLICY OF GEORGIA

Annotation

The article assesses the current state of energy. Strategic long-term energy policy includes the following priorities: energy security, energy efficiency and ecological safety of the system. These steps towards management improvement are based on each component of main reference-points of the state energy policy. Specifically concerning: using energy resources and managing state fund of deposits, developing internal fuel and energy markets, creating rational fuel and energy balance, improving interstate and internal energy infrastructure, conducting scientific and innovative policies.

ლინა დათუნაშვილი

რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის ზოგიერთი საკითხი საქართველოში

საქართველოში საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში სულ უფრო აქტუალური ხდება გააზრებული და მიზანმიმართული რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის ჩამოყალიბებისა და რეგიონულ ფაქტორებზე აქცენტის გადატანის აუცილებლობა. აღნიშნულიდან გამომდინარე, ქართული სახელმწიფოებრიობის განვითარების ყველა ეტაპზე მეტად აქტუალური იყო როგორც მთლიანად ქვეყნის, ისე მისი ცალკეული რეგიონის ეკონომიკური განვითარების წინამძღვრების (გეოგრაფიული მდებარეობის, ბუნებრივ-რესურსული, დემოგრაფიული, საწარმოო პოტენციალის), სოციალური სფეროს, განსახლების სისტემის, წარმოების გაადვილების, ეკონომიკის ფუნქციონირების და მართვის მექანიზმის მეცნიერული კვლევა.

საქართველოს სახელმწიფოებრიობას, მის ადმინისტრაციულ ერთეულებად დაყოფას დიდი ხნის ისტორია აქვს. პირველად საქართველოს სახელმწიფო და სოციალური წეს-წყობილების შესახებ საკითხები გააშუქა ლეონტი მროველმა. მისი გადმოცემით, მეფე ფარნავაზმა გამეფებისთანავე „განაწესა ე-ნი და სპასპეტი“ და შექმნა სამთავროები“ [4]. აღნიშნულ პრობლემაზე უფრო ვრცელი გამოკვლევა დაგვიტოვა დიდმა ქართველმა მეცნიერმა და საზოგადო მოღვაწემ (XVIII საუკუნის პირველ ნახევარში) ვახუშტი ბატონიშვილმა (ბაგრატიონმა), რომელმაც თავის ნაშრომებში ერთ-ერთმა პირველმა განიხილა და გააანალიზა საქართველოს რეგიონების ბუნებრივი, მეურნეობრივ-ეკონომიკური, სოციოლოგიურ-დემოგრაფიული და სხვა პრობლემები. მის მთავარ ნაშრომებში შესწავლილია ხუთი პოლიტიკურ-ეკონომიკური ერთეულის (ქართლისა და კახეთის სამეფოების, სამცხე-საათაბაგოს ანუ ახალციხის საფაშოს, დასავლეთ საქართველოს და კავკასიონის მაღალმთიანი ჩრდილოეთის კალთის) ბუნებისა და მოსახლეობის თავისებურებები. ამ დაყოფას ის საფუძვლად უდებდა ნიადაგის ნაყოფიერებასა და კულტურების მოსავლიანობას.

საქართველოს თითქმის ყველა კუთხის ტერიტორიული ერთეულის აღწერისას ვახუშტი ბატონიშვილი ისტორიული ტრადიციების, სამეურნეო დარგების სპეციფიკის, მოსახლეობის სამეურნეო საქმიანობის, მუშა-ხელოსნების დამახასიათებელი დარგების გაანალიზებასთან ერთად, ვრცლად განიხილავდა მათ გეოგრაფიულ პირობებსა და მეურნეობის სივრცობრივი გაადვილების პრობლემებს [1].

ქვეყნის ეკონომიკის რეგიონული სტრუქტურის პრობლემას მნიშვნელოვანი ნაშრომები მიუძღვნა აკად. ა. გუნიამ. იგი რეგიონულ თავისებურებებს შემდეგი ასპექტით განსაზღვრავდა: ბუნებრივი პირობები, დემოგრაფიული თავისებურებები, ეროვნული მეურნეობის სტრუქტურა როგორც მთლიანობაში, ასევე მატერიალური წარმოებისა და არასაწარმოო სფეროში, შიგა რეგიონული და რეგიონთაშორისი მეურნეობის პროპორციები, აგრეთვე საწარმოო და ეკონომიკური კავშირები [5]. დიდია პროფ. ვ. მელქაძის დედაწლი რეგიონული ეკონომიკის პრობლემების კვლევაში. აღსანიშნავია აკად. ნ. კეცხოველის, აგრეთვე პროფესორების პ. ჟღენტის, ვ. ბურკაძის, დ. ჩომახიძის, ო. ვაშაკიძის, ნ. ქეშელაშვილის, ე. ბარათაშვილის, ნ. იაშვილის, ლ. ჩიქავას, დ. მოურავიძის, ვ. ბურდულის, გ. ყუფუნისა და სხვათა დედაწლი საქართველოს რეგიონული ეკონომიკის სხვადასხვა ასპექტის კვლევაში. რეგიონული ეკონომიკის კვლევის საქმეში დიდია ემდ, პროფ. ე. ხარაიშვილის ხელმძღვანელობით (ავტორთა კოლექტივთან ერთად) ჩატარებული სამუშაოების და მათ მიერ გამოქვეყნებული წიგნის – „რეგიონული ეკონომიკა“ (2004) – მნიშვნელობა.

სიტყვა რეგიონი ტიპოლოგიური ცნებაა, ლათინური წარმოშობისაა (regio) და ნიშნავს ქვეყანას, მხარეს, ოლქს, ის ტერიტორიის ნაწილია და გამოიყოფა განსაზღვრული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად. მეცნიერ-ეკონომისტები რეგიონის განსაზღვრაში სხვადასხვა შინაარსს დებენ. მაგ., პროფ. ნ. ნეკრასოვი რეგიონის ქვეშ გულისხმობს „ქვეყნის მსხვილ ტერიტორიას, მეტნაკლებად ერთგვაროვანი ბუნებრივი პირობებით, ძირითადად – საწარმოო ძალების განვითარების დამახასიათებელი მიმართულებებით, ბუნებრივი რესურსების კომპლექსის და პერსპექტიული სოციალური ინფრასტრუქტურის შეთანაწყობის საფუძველზე“ [6]. დ. მოურავიძის შეხედულებით, რეგიონი არის ქვეყნის სხვადასხვა რანგის, ე. ი. სიდიდის იერარქიული ტერიტორიული ნაწილი, რაიმე პრაქტიკული ან შემეცნებითი მიზნებით გამოცალკევებული სივრცე [2].

მრავალ ქვეყანაში, მათ შორის საქართველოში, „რეგიონის“ ცნებაში გაიგივებულია სხვადასხვა რანგის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულები (ავტონომიური ერთეულები, მხარეები, ქალაქები, სასოფლო-აღმინისტრაციული რაიონები), რომელთაც გააჩნიათ მმართველობის საკუთარი ორგანოები, ეკონომიკური და სოციალური კომპლექსები, ინფრასტრუქტურა და სხვა.

რეგიონის დამახასიათებელი ნიშნებია:

1. სივრცობრივი (ტერიტორიული) მთლიანობა;
2. ეკონომიკური, სოციალური, დემოგრაფიული, კულტურული და სხვა შინარეგიონული კავშირები;
3. ეკონომიკური ერთგვაროვნება;
4. რეგიონის ორგანული კავშირი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ სისტემასთან;
5. მართვადობა [3].

ჩვენი აზრით, რეგიონი განისაზღვრება ცალკეული ტერიტორიული ერთეულისათვის დამახასიათებელი ზემოთ მოყვანილ ნიშანთა მთლიანი ერთობლიობით.

ისტორიულად საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობა გარკვეულ ცვლილებებს განიცდიდა. ამჟამად საქართველოში ცხრა ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეული (მხარე) ან რეგიონია: გურია, იმერეთი, კახეთი, მცხეთა-მთიანეთი, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი, სამეგრელო და ზემო სვანეთი, სამცხე-ჯავახეთი, ქვემო ქართლი, შიდა ქართლი (ადმინისტრაციულად სეპარატისტული სამხრეთ ოსეთი შიდა ქართლის რეგიონის ნაწილია). ამ რეგიონების გუბერნატორებს პრეზიდენტი ნიშნავს.

აჭარას ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსით უფრო მაღალი დონის თვითმმართველობა აქვს, ვიდრე სხვა რეგიონებს; საქართველოს კანონმდებლობით, აფხაზეთიც ავტონომიური რესპუბლიკაა.

რეგიონები (მათ შორის აჭარა) მუნიციპალიტეტებად არის დაყოფილი, რომლებიც სოფლებს და ქალაქებს აერთიანებს. ამჟამად სულ 69 მუნიციპალიტეტია და თითოეულს პირდაპირი წესით არჩეული საკრებულო ჰყავს; აღმასრულებელ შტოს ამ მუნიციპალიტეტების დონეზე გამგებლები უძღვებიან, რომელთაც საკრებულოები ირჩევენ. გამგებლები სოფლის რწმუნებულებს ნიშნავენ შესაბამის მუნიციპალიტეტებში შემავალ სასოფლო დასახლებაში. სულ ხუთი „თვითმმართველი ქალაქია“ – თბილისი, ქუთაისი, ბათუმი, რუსთავი და ფოთი [7].

საბაზრო ურთიერთობაზე გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნისათვის აუცილებელია სახელმწიფო დონეზე განისაზღვროს რეგიონული პოლიტიკა, რაც, მთლიანობაში, ცენტრალური ხელისუფლების მიერ განხორციელებული ის ქმედებებია, რომელთა მიზანია, ზემოქმედება მოახდინოს ცალკეული ტერიტორიული ერთეულის სოციალურ-ეკონომიკურ, ფინანსურ, ინვესტიციურ, საექსპორტო და სხვა პოტენციალის გამოვლენა-განვითარებაზე, რაც ქმნის იმის აუცილებლობას, რომ ქვეყანაში განხორციელდეს ეფექტიანი რეგიონული პოლიტიკა და გადაიჭრას დეცენტრალიზაციასთან დაკავშირებული პრობლემები. დეცენტრალიზაციის პროცესი მიმართული უნდა იყოს ცენტრიდან პერიფერიებისათვის (რეგიონებისათვის) ხელისუფლების გადაცემისაკენ და მან უნდა უზრუნველყოს მოქმედების არჩევის თავისუფლება, გადაწყვეტილებების მიღების ავტონომიურობა, დასმული ამოცანების გადაწყვეტაში ცენტრალური ხელისუფლების მიერ ტერიტორიული ერთეულებისათვის უფლებების გადანაწილება, საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში ადგილობრივი ორგანოების პასუხისმგებლობის ზრდა და სხვა. ქვეყანაში მიმდინარეობს გარკვეული რეფორმები, რომელსაც პერმანენტული ხასიათი გააჩნია. სწორედ რეფორმირების პროცესი მოითხოვს შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის შექმნას და შემდგომ მის სათანადო სრულყოფას, ადგილობრივი ადმინისტრაციული მექანიზმების ჩამოყალიბებას, ადგილობრივი თვითმმართველობის მხრიდან სრულფასოვანი ქმედებების განხორციელების უნარს და სხვა.

2005 წლის 1 აპრილს საქართველოს პარლამენტმა მოახდინა თვითმმართველობის შესახებ ვეროპის ქარტიის რატიფიკაცია, რითაც კიდევ უფრო

აქტიუალური გახადა ქვეყანაში დეცენტრალიზაციის საკითხის წარმატებით განხორციელება. ჯერ კიდევ 1995 წელს დაიწყო რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკისა და მმართველობის ადგილობრივი ორგანოების სისტემის რეფორმირება და სახელმწიფოს მეტაურის ბრძანებით საქართველოს რაიონები დაჯგუფდა 9 მხარედ და მხარეს სათავეში ჩაუდგა სახელმწიფო რწმუნებული.

ამავე წლის 16 სექტემბერს გამოიცა სახელმწიფოს მეტაურის ბრძანება „სახელმწიფო მმართველობის ადგილობრივი ორგანოების დებულების დამტკიცების შესახებ“, რომლითაც იურიდიულად გაიმიჯნა ფუნქციები ცენტრალურ, რაიონულ და ადგილობრივ ორგანოებს შორის. ამით შეიქმნა გარკვეული პირობები ცენტრალიზაციიდან დეცენტრირებულ მართვაზე გადასასვლელად.

2005 წლის 10 დეკემბერს მიღებულ იქნა ქვეყნის ახალი ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ (ძალაში შევიდა თვითმმართველობის ორგანოების არჩევნების შემდეგ). ახალი ორგანული კანონის შესაბამისად ხელი შეეწყო კომპეტენციების გამიჯვნას. ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოა საკრებულო და იგი დამოუკიდებელია მის კომპეტენციაში შემავალი საკითხების გადაწყვეტაში.

2014 წლის 5 თებერვალს (№1958 – III) მიღებულ იქნა საქართველოს ორგანული კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ. ეს კანონი განსაზღვრავს ადგილობრივი

თვითმმართველობის განხორციელების სამართლებრივ საფუძვლებს, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების უფლებამოსილებებს, მათი შექმნისა და საქმიანობის წესებს, მათ ფინანსებსა და ქონებას, ურთიერთობებს მოქალაქეებთან, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებთან და საჯარო და კერძო სამართლის იურიდიულ პირებთან, აგრეთვე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობისა და პირდაპირი სახელმწიფო მმართველობის განხორციელების წესებს [4].

მიუხედავად ქვეყანაში მიღებული კანონებისა და კანონქვემდებარე აქტებისა, რაც რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის და მმართველობის ადგილობრივი ორგანოების სისტემის რეფორმირებას ეხება, ამჟამად საქართველოში რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკა ჩამოყალიბების პროცესშია.

რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებისას გასათვალისწინებელია რიგი მნიშვნელოვანი პრობლემა და მისი გამომწვევი მიზეზი:

– ხანგრძლივი ეკონომიკური კრიზისი, რამაც გამოიწვია როგორც ქვეყანაში მთლიანად, ისე ცალკეულ რეგიონში მოსახლეობისა და ფერმერების აქტივობის, დასაქმების და შემოსავლების უკიდურესი დაქვეითება.

– კრიზისის შედეგად რეგიონების განვითარების დონეთა შორის არსებული განსხვავების კიდევ უფრო გაღრმავება, ტერიტორიული დისპროპორციების გაძლიერება;

– რეგიონებში ინვესტიციების გამოყენების დაბალი დონე, რომელიც ძირითადად ინდივიდუალურ ინიციატივებს ემყარება და ნაკლებეფექტურია;

– ადგილობრივი რესურსული პოტენციალის არასათანადოდ გამოყენება;

– სუსტად განვითარებული რეგიონთა შორის ეკონომიკური კავშირები;

– ადგილობრივ ბიუჯეტებში შემოსავლების დაბალი დონე;

– არასათანადოდ შეფასებული და გამოუყენებელი რეგიონული საექსპორტო პოტენციალი;

– ცენტრალურ ხელისუფლებას, რეგიონებსა და რაიონებს შორის კოორდინაციისა და ინფორმაციის ნაკლებობა.

ბოლო პერიოდში ხელისუფლებამ გარკვეულწილად ყურადღება გაამახვილა მაღალმთიანი რეგიონების, მათ შორის უთანაბრო და დეპრესიული დასახლებების მდგომარეობის ეტაპობრივად დაძვევისა და შემდგომი განვითარების საკითხებზე.

ამ უკანასკნელთან დაკავშირებით საინტერესო და ყურადღაღებია საქართველოს პარლამენტის მიერ 2015 წლის 16 ივლისს მიღებული კანონი „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“, რომელიც ეტაპობრივად უნდა ამოქმედდეს. აღნიშნული კანონის მიღება განაპირობა საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიულ მხარეებში მდებარე დასახლებების (ხევი, მთიულეთი, პანკისის ხეობა, მაღალმთიანი აჭარა, გუდამაყრის ხეობა, ფშავ-ხევსურეთი, თუშეთი, ზემო სვანეთი, ქვემო სვანეთი, ლეჩხუმი და რაჭა) დემოგრაფიულმა მდგომარეობამ, გამწვავებულმა მიგრაციულმა პროცესებმა, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების სიმცირემ, კლიმატურმა პირობებმა და ბუნებრივმა გარემომ, ინფრასტრუქტურის მდგომარეობამ და სხვა.

აღნიშნული კანონის თანახმად, მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მქონე პირები (რომლებიც არიან საქართველოს მოქალაქეები, რეგისტრირებული არიან მაღალმთიან დასახლებაში და წლის განმავლობაში საერთო ჯამში 9 თვის ან უფრო მეტი ვადით ფაქტობრივად ცხოვრობენ მაღალმთიან დასახლებაში) ისარგებლებენ სოციალური შედაგაებით: საპენსიო ასაკს მიღწეულ პირებს ყოველთვიურად მიეცემათ დანამატი სახელმწიფო პენსიის არანაკლებ 20%-ის ოდენობით, ასევე მიეცემათ თანხა მათთვის გათვალისწინებული სოციალური პაკეტის 20%-ის ოდენობით, აღნიშნულ დასახლებებში მომუშავე ექიმებს სახელფასო ანაზღაურების გარდა მიეცემათ დანამატი – სახელმწიფო პენსიის ორმაგი ოდენობით, ექთანს – სახელმწიფო პენსიის ოდენობით. ამ დასახლებების მცხოვრებლებს აუნაზღაურდებათ მოხმარებული ელექტროენერჯის ყოველთვიური საფასურის 50%. ახალგაზრდა ოჯახებს პირველი და მეორე შვილისათვის მიეცემათ ერთი წლის განმავლობაში ფულადი დახმარება – არანაკლები 100 ლარი, ხოლო მესამე და ყოველი შემდგომი ბავშვისათვის – 2 წლის განმავლობაში მიეცემათ არანაკლებ 200 ლარის დახმარება. დანამატი მიეცემათ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მასწავლებლებს თანამდებობრივი სარგოს არანაკლებ 35%-ისა.

2016 წლის 1 იანვრიდან მაღალმთიან დასახლებაში მდებარე საჯარო სკოლის მოსწავლეებს და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტებს მიეცემათ ვაუჩერის გაზრდილი ოდენობა. აღნიშნული კანონით საშემოსავლო გადასახადით დაბეგერისაგან თავისუფლდება მაღალმთიან დასახლებაში მცხოვრები მრავალშვილიანი პირის ხელფასის სახით მიღებული დასაბეგრი შემოსავალი, ხოლო ერთ ან ორშვილიანი პირს საბიუჯეტო ორგანიზაციიდან კალენდარული წლის განმავლობაში ხელფასის სახით მიღებულ 3000 ლარამდე დასაბეგრი შემოსავალზე გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი 50%-ით უმცირდება. მოგების გადასახადით დაბეგერისაგან თავისუფლდება 10 კალენდარული წლის განმავლობაში, ამ დასახლებაში არსებული საწარმოს საქმიანობით მიღებული მოგება, ხოლო ქონების გადასახადისაგან თავისუფლდება მიწის ნაკვეთი.

ამ საკითხთან დაკავშირებით ასევე აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ 2016 წელს გათვალისწინებულია მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდის შექმნა, რომლის მოცულო-

ბაც 20 მლნ ლარი იქნება. ეს ფონდი, ისევე, როგორც ბიუჯეტის პროექტით გათვალისწინებული სხვა სოციალური ხარჯები, „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ მიღებული ახალი კანონის მოთხოვნების შესრულებას მოხმარდება.

ვიმედოვნებთ, აღნიშნული კანონის დროული ამოქმედება ხელს შეუწყობს საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში მოსახლეობის დაბრუნებას და ამ დასახლებების შემდგომ განვითარებას.

ბოლო პერიოდამდე ქვეყანაში შეინიშნებოდა ცენტრსა და რეგიონების ადგილობრივ თვითმმართველობებს შორის თანხების არაპროპორციული განაწილება, რაც ძირითადად ეხებოდა ცენტრში დიდი რაოდენობით საგადასახადო თანხების თავმოყრას (აქციზი, საშემოსავლო, დღგ, მოგებისა და იმპორტზე გადასახადები), ხოლო ქონების გადასახადი (მათ შორის მიწაზე), ადგილობრივ ბიუჯეტში ირიცხებოდა, რაც მნიშვნელოვნად მცირე იყო ზემოთ აღნიშნულ გადასახადებთან შედარებით. საგადასახადო თანხების ასეთი განაწილება ადგილებზე ფინანსური სახსრების დეფიციტს იწვევდა.

2016 წლის ბიუჯეტის პროექტი აღნიშნული საკითხის დარეგულირებას ითვალისწინებს, სახელდობრ, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის გადასაცემი ტრანსფერის მოცულობა 620 მლნ ლარი იქნება (2015 წელს არსებული 854,8 მლნ ლარის ნაცვლად). ამ დანაკლისს ადგილობრივი თვითმმართველობები საშემოსავლო გადასახადის ზოგიერთი იმ სახეობიდან შეივსებენ, რომლებიც 2016 წლიდან ცენტრალური ბიუჯეტის ნაცვლად, ადგილობრივ ბიუჯეტებში იქნება მიმართული და ჯამში 300 მლნ ლარს შეადგენს, რაც გარკვეული ზომით დააბალანსებს ცენტრსა და ადგილებზე თანხების გადანაწილების საკითხს.

საქართველოს რეგიონებისათვის განვითარების ძირითად პრობლემას ეკონომიკური ზრდა წარმოადგენს. ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობი პირობაა ახალი ინვესტიციების მოზიდვა მუნიციპალიტეტებში და მცირე და საშუალო მეწარმეობის (ფერმერული მეურნეობების) ხელშეწყობა და განვითარება. აქვე აღსანიშნავია, რომ რეგიონებში საინვესტიციო აქტიურობა საკმაოდ დაბალია და მნიშვნელოვნად ჩამორჩება ქვეყნის მთლიან დონეს. მიუხედავად ბოლო წლებში ქვეყანაში მიღწეული გარკვეული ეკონომიკური ზრდისა, სიღარიბის დონე საკმაოდ მაღალია. თუ 1996–2003 წლებში სიღარიბის დონე უფრო მაღალი იყო ქალაქში, ვიდრე სოფელში, ფარდობითი სიღარიბის მაჩვენებელი მედიანური მოსხარების 60 პროცენტის ქვემოთ მყოფი მოსახლეობის წილის მიხედვით ასეთია:

წლები	ქალაქი (%)	სოფელი (%)	საქართველო (%)
2004	23,0	26,2	24,6
2008	18,0	26,2	22,1
2014	15,4	27,1	21,4

ამჟამად სიღარიბის დონე სოფლად უფრო მაღალია, ვიდრე ქალაქად. სოფლად შემოსავლების ძირითად წყაროს საკარმიდამო ნაკვეთზე მოწეული პროდუქცია წარმოადგენს. შემოსავლის ეს წყარო არასტაბილურია, რადგან სოფლის მეურნეობის განვითარება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ბუნებრივ კლიმატურ პირობებზე. მიწის დაბალი კონცენტრაციის გამო ვერ ხერხდება ინტენსიური აგროტექნიკის გამოყენება, რის გამოც სოფლად სამუშაოთა წარმოება არაეფექტურია. დაბალია ერთწლიანი კულტურების მოსავლიანობა და მეცხოველეობის პროდუქტიულობა. ამასთან, სოფლის მეურნეობაში არსებული მდგომარეობა გამოწვეულია მეურნეობების დაქუცმაცებულობით, რაც ფერმერული მეურნეობების სიმცირისა და სისუსტის მიზეზია. სასოფლო-სამეურნეო წარმოება ექსტენსიურია და ძირითადად ნატურალური ხასიათი აქვს და სხვა.

აღნიშნული პრობლემებისა და მისი გამომწვევი მიზეზების შერბილების მიზნით, ვფიქრობთ, ეკონომიკური განვითარების თანამედროვე ეტაპზე ტერიტორიულ ერთეულებში (რეგიონები, რაიონები) აუცილებელია საბაზრო ინფრასტრუქტურის განვითარება, მიზანმიმართული პრივატიზაცია, მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობა და მეურნეობის რაციონალური სტრუქტურების შექმნა, საინვესტიციო პროცესებში აღნიშნული ერთეულების აქტიური ჩართვა, ადგილობრივი რესურსების ეფექტიანი გამოყენება და სხვა, რაც ხელს შეუწყობს ქვეყნის ეკონომიკის სტაბილიზაციას და ტერიტორიული ერთეულების სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბატონიშვილი ვახუშტი, ქართლის ცხოვრება, IV, აღწერა სამეფოსა საქართველოსა. „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1973.
2. მოურავიძე დ. მოსაზრებები ქართული რეგიონული ეკონომიკური ტერმინოლოგიის შესახებ. ქ. „სოციალური ეკონომიკა“, №13, 2004.
3. რეგიონული ეკონომიკა. ავტორთა კოლექტივი. თბ. უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბ., 2004.
4. ჯავახიშვილი ივ. თხზულებანი თორმეტ ტომად, ქართული სამართლის ისტორია, ტ. VI. თბ., 1982.
5. Гуниа А. Научно-технический прогресс и региональная структура экономики. ТБ., 1990.

6. Некрасов Н. Региональная Экономика, Ж. Экономика, 1978.
7. <http://www.civil.ge>
8. <http://www.matsne.gov.ge>
9. civil.ge/geo/article.php?id=29731

Lina Datunashvili

SOME ISSUES OF REGIONAL ECONOMIC POLICY IN GEORGIA
Annotation

The article discusses opinions of well-known Georgian scientists at different stages of development of Georgian state on economic and social prerequisites of the country as a whole and its separate regions as well. Is underlined the role of Georgian scientists-economists in the research of some aspects of national regional economy at the end of XX and at the beginning of XXI countries. Are analyzed the laws passed by Georgian government for the last 20 years connected with the reforms of regional economic policy and the system of local managerial bodies.

The article emphasized the necessity of overcoming the difficulties and further development of alpine regions including irregular and depressive settlements, development of market infrastructure in territorial units (regions, districts) purposeful privatization support entrepreneurship and creation of national structure of farming, active involvement of the units in investment processes, efficient use of local resources.

*ნატო კაკაშვილი
ხათუნა ბარბაქაძე*

დაზღვევის ზედამხედველობის მოქმედები ამიერკავკასიის ქვეყნებში

საქართველოში სადაზღვევო საქმის განვითარებას საფუძველი დაედო 1916 წლიდან, მას შემდეგ, რაც ბაქოში შეიქმნა კავკასიის მასშტაბით ფუნქციონირებადი სადაზღვევო სტრუქტურა – დაზღვევის ამხანაგობა. მასში გაერთიანდნენ მეწარმეთა ცალკეული ჯგუფები, თბილისის გუბერნიიდან გაერთიანდა მეწარმეთა 80-ზე მეტი ობიექტი. თუმცა, ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ (1918), რუსეთმა გამოსცა დეკრეტი, რომლის მიხედვითაც დაზღვევა სახელმწიფო მონოპოლიად გამოცხადდა. სადაზღვევო სისტემის განვითარების აუცილებლობამ გამოიწვია საქართველოს პარლამენტის მიერ 1997 წლის 2 მაისს “დაზღვევის შესახებ” საქართველოს კანონის მიღება. აღნიშნული კანონისა და საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 29 ივნისის ბრძანებულების თანახმად, სადაზღვევო საქმიანობის ზედამხედველობისა და რეგულირებისათვის შეიქმნა დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური, რომელიც წარმოადგენდა დამოუკიდებელ სახელმწიფო საქვეყნულებო დაწესებულებას. 2001 წლის 20 ივნისის “დაზღვევის შესახებ” საქართველოს კანონში გატარებული ცვლილებებისა და ამავე წლის 16 სექტემბრის საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით, დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური გარდაიქმნა საჯარო სამართლის იურიდიულ პირად.

2007 წლის 11 ივლისს “დაზღვევის შესახებ” საქართველოს კანონში გატარებული ცვლილებების თანახმად, სამსახურმა, როგორც დამოუკიდებელმა საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა, შეწყვიტა ფუნქციონირება და მის სამართალმემკვიდრედ გამოცხადდა საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური, ხოლო 2008 წლის 14 მარტიდან განხორციელებული ცვლილება-დამატებებით სადაზღვევო სექტორზე საზედამხედველო ფუნქციები შეითავსა საქართველოს საფინანსო ზედამხედველობის სააგენტომ - “საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ” საქართველოს ორგანული კანონით შექმნილმა ორგანომ, რომელიც ახორციელებდა ზედამხედველობას ზოგადად საფინანსო სექტორზე. 2009 წლის 24 სექტემბრიდან კი სადაზღვევო სექტორზე საზედამხედველო ფუნქცია შეითავსა საქართველოს ეროვნულმა ბანკმა, ხოლო სამსახური გადაიქცა მის ერთ-ერთ სტრუქტურულ ქვედანაყოფად (დეპარტამენტი).

2013 წლის 20 მარტს “დაზღვევის შესახებ” საქართველოს კანონში შევიდა ცვლილებები და დამატებები, რომელთა საფუძველზე დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური საქართველოს ეროვნული ბანკის ერთ-ერთი სტრუქტურული ერთეულიდან (დეპარტამენტი) გარდაიქმნა საჯარო სამართლის იურიდიულ პირად და ჩამოყალიბდა როგორც დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი ორგანო. საქართველოს მთავრობის დადგენილებით, 2013 წლის 2 მაისს დამტკიცდა სამსახურის დებულება, რომლის თანახმადაც განისაზღვრა, რომ სამსახური თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და ანგარიშვალდებულია საქართველოს მთავრობის წინაშე. საქართველოს კანონით “დაზღვევის შესახებ”, სადაზღვევო ორგანიზაციის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა შეიძლება იყოს მხოლოდ სააქციო საზოგადოება. სხვა სახის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მქონე სტრუქტურებს არა აქვთ უფლება, აწარმოონ სადაზღვევო საქმე. 2016 წლამდე სადაზღვევო კომპანიებს შეეძლოთ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სახით ფუნქციონირება, თუმცა კანონში შეტანილი ცვლილებების შემდეგ – 2016 წლის 1 იანვრიდან მხოლოდ სააქციო საზოგადოების სახით შეუძლიათ არსებობა. როგორც კანონპროექტის

თანდართულ განმარტებით ბარათშია ნათქვამი, ცვლილების არსი საქართველო-ევროკავშირის შორის გაფორმებული ასოცირების ხელშეკრულების მოთხოვნებიდან გამომდინარეობს. "ასეთი პრაქტიკაა მსოფლიოს თითქმის ყველა მოწინავე ქვეყანაში, რაც აიხსნება იმით, რომ ფინანსური სექტორის სტაბილურობისათვის კაპიტალური საზოგადოების ამგვარი რთული ფორმა გაცილებით მეტად არის მისაღები, ამავდროულად, იგი იძლევა კონტროლის უკეთეს საშუალებას და ზოგადად, მიმართულია კორპორაციული მართვის მკაცრი მოთხოვნების დაკმაყოფილებისაკენ", – აღნიშნულია კანონპროექტის განმარტებით ბარათში. ამასთან დაკავშირებით, 2015 წლის დეკემბრის ბოლოს შეზღუდული პასუხისმგებლობის სახით მოქმედი სადაზღვევო კომპანიები სააქციო საზოგადოებად გარდაიქმნა. მათ მიეკუთვნება: სადაზღვევო კომპანია „აისი ჯგუფი“, სადაზღვევო კომპანია „ტაო“, სადაზღვევო კომპანია „არდი ჯგუფი“, საერთაშორისო სადაზღვევო კომპანია „კამარა“, დაზღვევის კომპანია „ქართუ“ და დაზღვევის საერთაშორისო კომპანია „ირაო“. გარდა ამისა, მოქმედი კანონის გათვალისწინებით, სადაზღვევო ორგანიზაცია ვალდებულია, კალენდარული წლის დასრულებიდან მომდევნო წლის 15 მაისამდე დაზღვევის სახელმწიფო ხედამხედველობის სამსახურს გასული წლის წლიური აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება წარუდგინოს. კანონში დაგეგმილი ცვლილებები კი ითვალისწინებს, ანგარიშგების წარდგენას არა მომდევნო წლის 15 მაისამდე, არამედ 15 აპრილამდე. აღნიშნული ვადის შემცირების მიზეზები იმ გარემოებით არის ახსნილი, რომ მზღვეველი წლიურ ანგარიშს სამსახურს 20 თებერვლამდე აბარებს, ხოლო საგადასახადო სამსახურს – 1 აპრილამდე. როგორც ამასთან დაკავშირებით პროექტის განმარტებით ბარათშია აღნიშნული, სადაზღვევო ორგანიზაცია ვალდებული იქნება, კონსოლიდირებულ აუდიტირებულ დასკვნასთან ერთად წარმოადგინოს, როგორც სამეწარმე სუბიექტის ფინანსური ანგარიშგება, რომელიც სრულად და ნათლად ასახავს მზღვეველის სადაზღვევო საქმიანობას.

2014 წლის მდგომარეობით, საქართველოში მოქმედი 14 სადაზღვევო კომპანიის მთლიანმა აქტივებმა 491 681 048 ლარი შეადგინა, ხოლო წმინდა მოგება 40 326 088 ლარი, გამომუშავებული პრემია კი 337 778 059 ლარს გაუტოლდა. ბრუტო პრემიის უდიდესი ნაწილი – 190 440 127 ლარი სამედიცინო დაზღვევაზე მოდის, ანუ საქართველოში ყველაზე მოთხოვნადი სადაზღვევო პროდუქტი ჯანმრთელობის დაზღვევაა, შემდეგ ქონების დაზღვევა, დაზღვევის ამ სახეობაში სადაზღვევო კომპანიებმა 2014 წელს 48.9 მილიონი ლარი მიიღეს, რაც მთლიანი პრემიის 15%-ს შეადგენს.

სომხეთში არსებული სადაზღვევო სისტემა. სომხეთში სადაზღვევო კომპანიების ხედამხედველობას ახორციელებს ქვეყნის ცენტრალური ბანკი. ქვეყანაში დაზღვევის განხორციელების ფორმებია როგორც ნებაყოფლობითი, ასევე სავალდებულო დაზღვევა, ხოლო დაზღვევის სახეობებია: სიცოცხლის, არასიცოცხლის დაზღვევა და გადაზღვევა. სომხეთში მოქმედი დაზღვევის კანონის თანახმად, სადაზღვევო კომპანიების ორგანიზაციული-სამართლებრივი ფორმა შეიძლება იყოს სააქციო საზოგადოება და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. მსოფლიოში სიცოცხლისა და არასიცოცხლის დაზღვევა გამიჯნულია. სომხეთის კანონმდებლობით აკრძალულია, ერთმა სადაზღვევო კომპანიამ ერთდროულად განახორციელოს სიცოცხლის და არასიცოცხლის დაზღვევა. საქართველოშიც იგეგმება ამ მიმართულებით ცვლილებების განხორციელება და ამას ევროპასთან ასოცირების შეთანხმებაც ითვალისწინებს. სომხეთში სადაზღვევო კომპანიების დასახელებაში უნდა შედიოდეს აპაჰოვარაკან, რაც ნიშნავს სადაზღვევოს. ცენტრალური ბანკი აპლიკანტს ლიცენზიის გაცემაზე თანხმობას ან უარს ატყობინებს 30 დღის შემდეგ. სომხეთში დაზღვევის შესახებ კანონი 2007 წლის აპრილში მიიღეს. იგი დაფუძნებულია ევროკავშირის შესაბამის კანონმდებლობაზე. მასში ცვლილებები შევიდა 2013 და 2014 წლებში. 2010 წელს მიღებულ იქნა კანონი ავტომობილის სავალდებულო დაზღვევის შესახებ. სომხეთის ავტომობილების დამზღვევთა ბიურო არის თვითრეგულირებადი ორგანო, დაფუძნებული ცენტრალური ბანკის მიერ. მისი წევრები არიან სადაზღვევო კომპანიები, რომლებიც მუშაობენ ავტომობილთა სავალდებულო დაზღვევის სფეროში. ცენტრალური ბანკი ადგენს მარეგულირებელ სტანდარტებს სადაზღვევო კომპანიებისათვის, როგორცაა: მინიმალური საწესდებო კაპიტალი; გადახდისუნარიანობა; კაპიტალის ადეკვატურობა; ლიკვიდურობა; რეზერვები; რისკი. ცენტრალურმა ბანკმა უნდა განსაზღვროს საწესდებო კაპიტალის მინიმალური ოდენობა. სომხეთში მინიმალური საწესდებო კაპიტალი განსხვავებულია დაზღვევის სახეობების მიხედვით:

- არასიცოცხლის დაზღვევა ერთი მილიარდი სომხური დრამი (5 მილიონი ლარი);
- სიცოცხლის დაზღვევისთვის ერთნახევარი მილიარდი სომხური დრამი (7.5 მილიონი ლარი);
- გადაზღვევის ოპერაციები - ერთნახევარი მილიარდი სომხური დრამი (7.5 მილიონი ლარი).

სომხეთის სადაზღვევო კომპანიების მინიმალური საწესდებო კაპიტალი ბევრად აღემატება საქართველოში არსებულ ანალოგიურ მაჩვენებლებს. ქვეყანაში სულ 7 სადაზღვევო კომპანია ფუნქციონირებს. მათგან ყველაზე უფრო მსხვილი და წარმატებული სადაზღვევო კომპანია (ცენტრალური ბანკის მიერ რეგომენდებული): Armenia insurance; Ingo Armenia; Nairi insurance; RosGosStrakh; Sil Insurance. სადაზღვევო კომპანია შპს „ARMENIA INSURANCE“ დაფუძნდა 2004 წელს, ჯერ კიდევ სადაზღვევო საქმის შესახებ კანონის შემოღებამდე, მისი ლიცენზირება მოახდინა ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრომ. შემდგომ, 2008 წელს კომპანიამ თავიდან მოიპოვა ლიცენზია უკვე ცენ-

ტრალური ბანკისგან, როგორც არასიცოცხლის დამზღვევა კომპანია, რომელიც მომხმარებელს სულ 13 სახის სადაზღვევო პროდუქტს სთავაზობდა. კომპანია გადაზღვევას ახდენს მსოფლიოში ცნობილ ისეთ საერთაშორისო კომპანიებთან, როგორცაა ბრიტანული "Lloyds", ფრანგული "SCOR" და რუსული "Allianz". აღსანიშნავია, რომ დასახელებული 5 ყველაზე მსხვილი კომპანიიდან ყველა არასიცოცხლის დაზღვევას სთავაზობს მომხმარებელს. პრაქტიკულად, სომხეთში სიცოცხლის დამზღვევი კომპანია არ არსებობს. სომხეთში არსებული სადაზღვევო კომპანიების მთლიანი აქტივები 261.51 მილიონ ლარს შეადგენს 2014 წლის მდგომარებით. 2013 წელს სომხურმა სადაზღვევო კომპანიებმა ზარალი ნახეს, 2014 წელს კი მათი მთლიანი წლიური მოგება 4.6 მილიონი ლარია. სომხეთში დომინანტი სადაზღვევო პროდუქტი ავტომობილთა დაზღვევაა და მას უჭირავს 70% მთლიან მოზიდულ პრემიებში.

სომხეთის სადაზღვევო ინდუსტრიაში მთავარი რისკები დაკავშირებულია ბუნებრივ კატასტროფებთან და კრედიტის დანაკარგების გადაზღვევისას. ამდენად, მნიშვნელოვანია, რომ ჰქონდეთ ეფექტური რისკმენეჯმენტი. სომხეთში მოქმედი სადაზღვევო კომპანიები საკმაოდ დიდი მოცულობის გადაზღვევის ოპერაციებს ახორციელებენ, სწორედ ამიტომაც ცენტრალურ ბანკს შემუშავებული აქვს მკაცრი სტანდარტები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს ცესიონერი. სადაზღვევო კომპანიების მიერ განხორციელებული ინვესტიციები მაღალი ლიკვიდურობით ხასიათდება, უმთავრესად ეს არის დეპოზიტები ადგილობრივ ბანკებში, რადგან ქვეყანაში ინვესტირების შეზღუდული შესაძლებლობები არსებობს.

აზერბაიჯანის სადაზღვევო სისტემა. აზერბაიჯანში სადაზღვევო სისტემას დიდი ხნის ისტორია გააჩნია. ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნის შუა წლებიდან დაიწყო სადაზღვევო კომპანიებმა ფუნქციონირება, პროცესი დაკავშირებული იყო კაპიტალიზმის განვითარებასა და ნავთობის მოპოვებასთან. 1910 წელს აზერბაიჯანში 18 სადაზღვევო კომპანია არსებობდა. ყველაზე დიდი კომპანია იყო "Russian insurance society". ძირითად სადაზღვევო საქმიანობას წარმოადგენდა გემების დაზღვევა კასპიის ზღვაში. თუმცა აზერბაიჯანის საბჭოთა კავშირში შესვლის შემდეგ დაზღვევა სახელმწიფოს პრეროგატივა გახდა. პირველი კანონი დაზღვევის შესახებ აზერბაიჯანში მიიღო 1993 წელს. ქვეყანაში სადაზღვევო სისტემას აკონტროლებს ფინანსთა სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი ორგანო – დაზღვევის კონტროლის სახელმწიფო სამსახური.

აზერბაიჯანის სადაზღვევო სექტორი მოიცავს 28 კომპანიას, ამთავან უმრავლესობა დაკავშირებულია ბანკებთან. სექტორის სუვერენიტეტი მაღალია და ამდენად კონკურენცია შეზღუდულია. უცხოური კომპანიების საბაზრო წილი საკმაოდ დაბალია და მხოლოდ 7%-ს შეადგენს (მხოლოდ ორი უცხოური სადაზღვევო კომპანია არსებობს). მთავრობა აქტიურად მუშაობს გარემოს გასაუმჯობესებლად და ხელს უწყობს სადაზღვევო ბაზრის განვითარებას სავალდებულო დაზღვევის შემოღებით, მაგრამ მთლიანი აქტივები მშპ-ს მხოლოდ 0.8%-ს შეადგენს და ქონების დაზღვევა რჩება დომინანტ სადაზღვევო პროდუქტად. მინიმალური საწესდებო კაპიტალი განსხვავდება დაზღვევისა და გადაზღვევის ოპერაციების მიხედვით. სადაზღვევო ოპერაციებისათვის 5 მილიონი აზერბაიჯანული მანათი (7.75 მილიონი ლარი), ხოლო გადაზღვევის ოპერაციებისათვის 15.5 მილიონი ლარი. ქვეყანაში 10 წამყვანი სადაზღვევო კომპანია ფლობს მიღებული პრემიების 75%-ს. აზერბაიჯანში სავალდებულო დაზღვევის 17 სახე მოქმედებს, როგორცაა: სავალდებულო ქონების დაზღვევა, ავტომობილთა სავალდებულო დაზღვევა, მგზავრთა უბედური შემთხვევებისგან დაზღვევა. სავალდებულო დაზღვევის მიზანია, დაიცვას რისკებისგან სახელმწიფო, სადაზღვევო კომპანიები და მოსახლეობის ფართო ფენა. სავალდებულო დაზღვევის სფერო მოიცავს სიცოცხლის, სამედიცინო და საკუთრების სფეროს და ის სავალდებულოა გარკვეული კატეგორიის მოქალაქეებისა და კომპანიებისათვის. სავალდებულო დაზღვევა რეგულირდება კანონით სავალდებულო დაზღვევის შესახებ. წამყვანი სადაზღვევო კომპანიებია: ata sigorta, baki sigorta, pasha sigorta, alfa sigorta, meqa sigorta, buta sigorta და სხვები. ნებაყოფლობით დაზღვევაში მოზიდული პრემია 2014 წელს 441 238 292 ლარს შეადგენდა. ყველაზე დიდი წილი არასიცოცხლის დაზღვევაზე მოდის, მნიშვნელოვანია აგრეთვე საკუთრების დაზღვევა. პირად დაზღვევაში შედის ჯანმრთელობის დაზღვევა, განსხვავებით საქართველოსგან, აზერბაიჯანში აღნიშნულ პროდუქტს არ უჭირავს ყველაზე დიდი წილი. ამიერკავკასიის ქვეყნებში სიცოცხლის დაზღვევა ყველაზე პოპულარული აზერბაიჯანშია, სომხეთში დაზღვევის ეს სახეობა საერთოდ არ არსებობს, საქართველოში არსებობს, თუმცა მოზიდული პრემიების ხვედრითი წილი საკმაოდ მცირეა. რაც შეეხება სავალდებულო დაზღვევისგან მოზიდულ პრემიას, მისი ჯამური სიდიდე 2014 წელს 223 992 563 ლარს შეადგენდა. სავალდებულო სიცოცხლის დაზღვევაში იგულისხმება საწარმოო სექტორში მომუშავეთა უბედური შემთხვევებისგან დაზღვევა, ხოლო არასიცოცხლის დაზღვევაში გაერთიანებულია სავალდებულო დაზღვევის სხვა სახეობები.

ამიერკავკასიის ქვეყნების სადაზღვევო სისტემები განსხვავებულია დაზღვევის სახეობებით და კანონმდებლობით. თუ საქართველოში შესაძლებელია სიცოცხლის და არასიცოცხლის დაზღვევა ერთმა სადაზღვევო კომპანიამ განახორციელოს, სომხეთსა და აზერბაიჯანში კანონმდებლობით ნებადართული არაა. საქართველოსგან განსხვავებით, სომხეთში, ისევე, როგორც აზერბაიჯანში, მოქმედებს სავალდებულო დაზღვევა. რეგიონში ყველაზე უფრო სუსტად განვითარებული სადაზღვევო ბაზარი სომხეთს გააჩნია, შეიძლება ითქვას, რომ აზერბაიჯანი

ლიდერია ამ კუთხით ამიერკავკასიის ქვეყნებს შორის. სომხეთისა და აზერბაიჯანის კანონმდებლობა ევროკავშირის ანალოგიურ კანონს ეფუძნება. საქართველოში ყველაზე მოთხოვნადი სადაზღვევო პროდუქტი სამედიცინო დაზღვევაა, აზერბაიჯანში – ქონების დაზღვევა, ხოლო სომხეთში – ავტომობილთა სავალდებულო დაზღვევა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. კაკაშვილი ნ., შათირიშვილი ჯ., სადაზღვევო საქმე. თბ., 2012.
2. „საქართველოს კანონი დაზღვევის შესახებ“. 1997.
3. ცერცვაძე ა., ხანთაძე გ., ვეკუა დ., სადაზღვევო საქმე, თბ., 2016.
4. <http://insurance.gov.ge>
5. <http://commerciant.ge>
6. <https://www.cba.am/en/sitepages/fscfoinsuranceorganizations.aspx>
7. <http://www.parliament.am>
8. http://www.ingoarmenia.am/uploads/files/Regulation_3_02.pdf
9. http://www.azerbaijans.com/content_739_en.html
10. <http://www.sigorta.maliyye.gov.az/en>

*Nato Kakashvili
Khatuna Barbakadze*

INSURANCE SUPERVISION MODELS IN CAUCASUS

Annotation

There are different systems and types of insurance in Caucasian countries. Georgian insurance company can insure a life as well as non-life that it is not allowed by law in Armenia and Azerbaijan. Unlike Georgia, there is a compulsory insurance in Armenia and Azerbaijan. Armenia has the most developed insurance market, it is worth to mention that Azerbaijan is a leader among South Caucasian countries in this regard. Armenia, Azerbaijan and the EU legislation is based on the same law. The most popular insurance product is the health insurance in Georgia, the property insurance – in Azerbaijan and the mandatory insurance of vehicles in Armenia.

ნანა კირვალიძე

სარკინიგზო მანქანათმშენებლობის შესახებ საქართველოში

საქართველოს ეკონომიკაში საბაზრო მექანიზმის დანერგვა განაპირობებს საწარმოების (ფირმების) საქმიანობის სტრატეგიის და ტაქტიკის შეცვლას, ახალი საქონლის და ტექნოლოგიების, ახალი ბაზრების ათვისების, საწარმოო სიმძლავრეების მომხმარებლის მოთხოვნასთან დაქვემდებარების პირველ ადგილზე წამოყენებას, ქმედითი მმართველობითი მექანიზმის არსებობას, რომელიც ორიენტირებული იქნება საბაზრო ეკონომიკის კანონზომიერებებზე; თავისუფალ სამეურნეო არჩევანსა და კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოებაზე.

ამ კანონზომიერების არარსებობის გამო საქართველოში მრავალი დარგი და საწარმო უვარგისი გახდა და განადგურდა.

მაგრამ მრეწველობის და სოფლის მეურნეობის საწარმოების აღდგენა და განვითარება ისეთ ჩამორჩენილ და ღარიბ ქვეყანაში, როგორც საქართველოა, ყველაზე ძნელ საქმეს წარმოადგენს, ვინაიდან იგი მოითხოვს გამოცდილი ტექნიკური ძალების ერთგვარ მინიმუმს, იაფ ნედლეულს, ტექნიკურ ბაზას, დიდხალ ფინანსურ ხარჯებს და ხელსაყრელ გარე გარემოს.

საქართველო ყოველთვის იყო ევროპისა და აზიის დამაკავშირებელი ცენტრი მისი ხელსაყრელი მდგომარეობის გამო. ამჟამად საქართველოს რკინიგზის მაგისტრალის გავლით ტრანსპორტირდება ტვირთი შუა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიიდან ევროპაში და პირიქით. ყველასათვის ხელმისაწვდომი ოფიციალური მონაცემებით, საქართველო შეუერთდა ტრანსკასპიურ საერთაშორისო სატრანსპორტო მარშრუტს ჩინეთთან, ყაზახეთთან, აზერბაიჯანსა და თურქეთთან ერთად. ჩინეთიდან საქართველოს გავლით პირველი სარკინიგზო გადაზიდვა უკვე განხორციელდა, ხოლო ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო მაგისტრალის პროექტი არის ახალი სატრანსპორტო დერეფანი, რომელიც აერთებს აზერბაიჯანის, საქართველოსა და თურქეთის სარკინიგზო ხაზებს. იგი ითვალისწინებს ახალი სარკინიგზო ხაზის მშენებლობას ახალქალაქიდან თურქეთის საზღვრამდე, ამიტომ საქართველოში რკინიგზასთან დაკავშირებული დარგების და საწარმოების განვითარებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ყოველივე ამან გამოიწვია სარკინიგზო მანქანათმშენებელი ფირმების არსებობა და შექმნა.

2008-2015 წლებში საქართველოში მანქანების ელექტრო და სატრანსპორტო მოწყობილობების წარმოებაში შექმნილი მთლიანი დამატებითი ღირებულება არასტაბილურობით ხასიათდება და მთლიანი შიდა პროდუქტის მხოლოდ 0,53%-ს შეადგენს 2015 წლის წინასწარი მონაცემებით (ცხრ. 1)

საქართველოში მთლიანი შიდა პროდუქტი და მ.შ. მანქანების, ელექტრო და სატრანსპორტო მოწყობილობების წარმოებაში შექმნილი დამატებითი ღირებულება 2008-2015 წლებში, მლნ ლარი⁸⁷

	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015
მთლიანი შიდა პროდუქტი საბაზრო ფასებში	19074,9	17986,0	20743,4	24344,0	26167,3	26847,4	29150,5	31691,6
%-ად წინა წელთან შედარებით	100,0	94,3	115,3	117,4	107,5	102,6	108,6	108,7
მ.შ. მანქანების, ელექტრო, სატრანსპორტო მოწყობილობებისა და სხვა დამამუშავებელ წარმოებაში შექმნილი დამატებითი ღირებულება	122,2	156,9	142,6	175,4	200,8	239,3	189,6	167,1
%-ად წინა წელთან შედარებით	100,0	128,4	90,9	123,0	114,5	126,3	79,2	88,1

2010-2015 წლებში მანქანა-მოწყობილობების წარმოებაში სარკინიგზო მანქანათმშენებლობის ხვედრითი წილი 51,4%-დან 84,5%-მდე იცვლებოდა. გამონაკლის წარმოადგენს 2015 წელი, როდესაც რკინიგზის მოძრავი შემადგენლობის წარმოების ხვედრითი წილი 30%-მდე შემცირდა უადრესად არახელსაყრელი გარე გარემოს გამო. ამჟამად საქართველოში ამ დარგში ფუნქციონირებს 13 დიდი და მცირე საწარმო. მცირე საწარმოებში რკინიგზის მოძრავი შემადგენლობის მცირე სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობს.

სარკინიგზო მანქანათმშენებლობაში მოქმედი დიდი საწარმოებია სს „ელმაგალმშენებელი“ და ვაგონმშენებლობის პოლდინგური გაერთიანება. ე.ი. საქართველოში არსებობს და ვითარდება სარკინიგზო მანქანათმშენებლობა, რომელიც მოიცავს მთელ გამას, დაწყებული დიდი სიზუსტის ყველაზე მცირე ინსტრუმენტებით და დამთავრებული ურთულესი სისტემებით. ვაგონმშენებლობის პოლდინგურ კომპანიაში გაერთიანებულია ელექტროვაგონმშენებელი ქარხანა – 2005, ელექტროვაგონმშემკეთებელი ქარხანა – 1883, რუსთავის მეტალურგიული ქარხანა და კულტურული დაწესებულება არტ-პოლი. მეთაური (სათავო) საწარმო, რომელიც აკონტროლებს პოლდინგში სხვა საწარმოთა საქმიანობას, ვაგონმშენებელი ქარხანა – 2005-ია. ის ახალი საწარმოა საქართველოში. რადგან ელექტროვაგონმშენებლობის და ვაგონმშემკეთებელი საწარმოების მიტოვება არ შეიძლება სტიქიური განვითარების ამარა იაფი და ხარისხიანი ნახევარფაბრიკატების მიწოდების გარეშე, ამიტომ პოლდინგში გაერთიანებულია რუსთავის მეტალურგიული ქარხანაც.

საქართველოში 1957 წლიდან არსებობდა ელმაგალმშენებელი ქარხანა. თბილისის ელმაგალმშენებლის პროდუქცია (მაგისტრალური და სამრეწველო ელმაგლები) იგზავნებოდა არა მარტო საბჭოთა კავშირის ქვეყნებში, არამედ ინდოეთში, თურქეთში, ბულგარეთში, რუმინეთში, ჩეხოსლოვაკიაში, უნგრეთში, იემენში, ერაყში, იუგოსლავიაში. 1993 წელს ქარხანამ რეორგანიზაცია განიცადა, ჩამოაყალიბა სააქციო საზოგადოება „ელმაგალმშენებელი“.

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში ნაჩვენებია რკინიგზის მოძრავი შემადგენლობის წარმოება-მოდერნიზაციის დინამიკა საქართველოში (ცხრ. 2). იგი არასტაბილურობით ხასიათდება, მაგრამ სარკინიგზო მანქანათმშენებელი საწარმოების მიერ მიღწეული წარმატებები ყოველგვარ ეჭვს გარეშეა.

2014-2015 წლებში რკინიგზის მოძრავი შემადგენლობის წარმოების მკვეთრი შემცირება გამოწვეულია უკრაინის რკინიგზის შეკვეთების შემცირებით. 2014 წელს წარმოებული იყო 25821,3 ათასი ლარის ელმაგალი და ელმაგლის კვანძები და დეტალები, რაც დარგში წარმოებული საერთო პროდუქციის 26,5% შეადგენს, ხოლო სამგზავრო და სატვირთო ვაგონების წარმოება და მოდერნიზაცია-რემონტი საერთო პროდუქციის 73,5%-ია.

საქართველოში რკინიგზის მოძრავი შემადგენლობის წარმოება 2010-2015 წლებში, ათასი ლარი⁸⁸

	2010	2011	2012	2013	2014	2015*
რკინიგზის მოძრავი შემადგენლობის წარმოება ⁸⁹	120530,8	123643,7	106450,2	196081,9	97412,7	49800,0
% წინა წელთან შედარებით	100,0	102,6	86,1	184,2	49,7	51,1

* 2015 წლის მონაცემები არის წინასწარი.

⁸⁷ ცხრილი შედგენილია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე.

⁸⁸ ცხრილი შედგენილია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე.

⁸⁹ ეს კლასი შეიცავს რკინიგზის და ტრამვაის ლოკომოტივების და მოძრავი შემადგენლობის წარმოებას და მოდერნიზაცია-რემონტს (შემკეთებული ვაგონების და ელმაგლების წარმოების მონაცემები განზოგადებას არ ექვემდებარება)

სს „ელმაგალმშენებელი“ და ვაგონმშენებლობის ჰოლდინგური კომპანია სამეურნეო საქმიანობაში იყენებენ საბაზრო ეკონომიკის პრინციპებს. ამ მხრივ განსაკუთრებული როლის შესრულება შეუძლია მარკეტინგს, რომელიც შესაძლებლობას აძლევს ფირმებს, მაქსიმალურად გამოიყენონ თავიანთი საბაზრო შესაძლებლობები მომხმარებელზე ორიენტირებით. მაგრამ საწარმოო დანიშნულების საქონლის მარკეტინგი ხასიათდება გარკვეული თავისებურებებით, რაც განპირობებულია ბაზრის სპეციფიკური ნიშან-თვისებებით. მათ შორის ძირითადია: მყიდველთა გაცილებით უფრო ნაკლები რაოდენობა სამომხმარებლო საქონლის ბაზართან შედარებით, საქონელზე მოთხოვნის ნაკლები ცვალებადობა, მყიდველთა მაღალი პროფესიონალიზმი და შემოსავლის მაღალი დონე.

სს „ელმაგალმშენებელში“ არის მარკეტინგის და გასაღების განყოფილება. მარკეტინგული საქმიანობის ანალიზმა აჩვენა, რომ საწარმო პრაქტიკულად იყენებს მარკეტინგული კომპლექსის ყველა ელემენტს, რომელიც მიმართულია მოკლევადიანი და საშუალოვადიანი კონკრეტული მიზნების მისაღწევად. არსებობს მარკეტინგის კომპლექსური გეგმა, რომელშიც ბაზრის კომპლექსური გამოკვლევის, გასაღების სტიმულირების და რეკლამირების სფეროში ჩატარებული სამუშაოებია მოცემული.

საწარმოო გეგმას შეადგენენ ბაზრის კომპლექსური გამოკვლევის საფუძველზე, არსებული მოთხოვნიდან გამომდინარე. ვაგონმშენებლობის ჰოლდინგური კომპანია პრაქტიკულად იყენებს მარკეტინგის კომპლექსის მხოლოდ ცალკეულ ელემენტებს. გამოირკვა, რომ ვაგონმშენებლობის ჰოლდინგურ კომპანიაში მარკეტინგის სამსახური ჩამოყალიბების პროცესშია (ანუ არ არსებობს მარკეტინგის განყოფილება). მხოლოდ ერთი თანამშრომელია, რომელიც ასრულებს პროექტის ხელმძღვანელის მოვალეობას. არ არსებობს მარკეტინგის კომპლექსური გეგმა. ეს აიხსნება რიგი ობიექტური და სუბიექტური მიზეზებით: სასაქონლო ბაზრის ინფრასტრუქტურის განვითარების დაბალი დონით, ჯანსაღი კონკურენტული გარემოს არარსებობით, არასახარბიელო პოლიტიკური გარემოთი, ინფორმაციის შეგროვების და გაცვლის (ინფორმაციული უზრუნველყოფის განვითარების) არასაკმარისი დონით და სხვა.

მიუხედავად ამისა, სარკინიგზო მანქანათმშენებელი ფირმები აწარმოებენ და არემონტებენ (იგულისხმება მოდერნიზაცია) ფართო ასორტიმენტის პროდუქციას. სს „ელმაგალმშენებელში“ აწარმოებენ როგორც მაგისტრალურ, ასევე კოქსმქრობ (საქარხნო) ელმავლებს, მაგრამ 2014-2015 წლებში მოთხოვნა მხოლოდ მაგისტრალურ ელმავალზე იყო. აწარმოებენ მაგისტრალური ელმავლის მხოლოდ ერთ მოდელს – БЛ11^{М6} (კოქსმქრობი ელმავლების ორ მოდელს აწარმოებდნენ). საწარმოში არემონტებენ სხვადასხვა მოდიფიკაციის მაგისტრალურ და კოქსმქრობ ელმავლებს. მოდიფიკაციის შემდეგ უმჯობესდება ელმავლების ტექნიკური მახასიათებლები და საიმედოობა. ელმავლის მოხმარების ვადა 30-33 წელია. მოდერნიზაციის შემდეგ მოხმარების ვადა იზრდება 45 წლამდე. ნახევარფაბრიკატები მზადდება საკუთარი ძალებით. საწარმოში ამზადებენ 330-ზე მეტი დასახელების დეტალს და კვანძს. აზერბაიჯანის და უკრაინის საწარმოები (მიმწოდებლები) მხოლოდ დიდი სხმულებით ამარაგებენ ელმაგალმშენებელს. სისტემატურად ხდება პროდუქციის განახლება. ამჟამად მიმდინარეობს მაგისტრალური ელმავლის ახალი მოდელის 8E1A ათვისება. ელმავალი აღჭურვილი იქნება ასინქრობული ძრავით და თანამედროვე ტექნიკური კვანძებით. საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებს აწარმოებენ საკუთარი ძალებით. საწარმოს შემადგენლობაშია სპეციალური საკონსტრუქტორო ბიურო. სისტემატურად ხდება ახალი კვანძების, აგრეგატების და ელმავლის ნაწილების შექმნა. მაგრამ მომხმარებელთა სიმცირის გამო სს „ელმაგალმშენებლის“ საწარმოო პოტენციალი მხოლოდ 10%-ით არის ათვისებული. მიმდინარე წელს მოსალოდნელია მაგისტრალური ელმავლების მხოლოდ მოდერნიზაცია-რემონტი. ახალი ელმავლის წარმოება კი მაშინ არის მომგებიანი, როდესაც შეკვეთის რაოდენობა 10 ცალია.


ვაგონშემკეთებელ ჰოლდინგურ კომპანიაში აწარმოებენ და არემონტებენ (იგულისხმება მოდერნიზაცია) ელექტროვაგონს – ვმკ 001; სატრანსპორტო დახურულ ვაგონს და ნახევარვაგონს ეს-004, ეს-005, ხორბალმზიდს, ვაგონცისტერნას, კონტეინერმზიდს, კონტრეილერმზიდს და სამგზავრო ვაგონს. იწარმოება მხოლოდ თითო მოდელი. სისტემატურად ხდება პროდუქციის განახლება. ამჟამად უკრაინელი კოლეგებისაგან ლიცენზიით შეიძინეს ვაგონის გვერდითი ჩარჩო და რელსზედა ძელის მოდიფიცირებული კონსტრუქციები, ნახევარფაბრიკატების მასობრივი წარმოება იგეგმება რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში. რუსთავის მეტალურგიული ქარხანა იაფი და ხარისხიანი ნახევარფაბრიკატებით ამარაგებს ვაგონშემკეთებელს.

სამგზავრო და სატვირთო ვაგონების ვადაზე მრავალი ფაქტორი მოქმედებს. მათ შორის ძირითადია: ატმოსფერული გარემოს ზემოქმედება, ტექნიკური პარამეტრები, ექსპლუატაციის პირობები, დატვირთვის ინტენსივობა, მეცნიერულურ-ტექნიკური პროგრესი და სხვა. მათი კანონზომიერების გაგვინა ვაგონმშენებლობის ბაზარზე მოთხოვნის პროგნოზის გამოსათვლელად არასათანადოდ არის შესწავლილი.

პროდუქციის ხარისხი შეესაბამება საერთაშორისო (iso) სტანდარტების მოთხოვნებს. ნაწილობრივ გადაიარაღებულია საწარმოს მატერიალ-ტექნიკური ბაზაც. იყენებენ თანამედროვე დანადგარებს, მოწყობილობებს.

სარკინიგზო მანქანათმშენებელ საწარმოებში ფასების პოლიტიკა მოქნილია. ფასწარმოქმნა ხდება იმ დანახარჯების საფუძველზე, რომელიც დაკავშირებულია პროდუქციის წარმოებასა და ტრანსპორტირებაზე, თანამშრომელთა შრომის ანაზღაურებასა და სხვა დანახარჯებზე, აგრეთვე ითვალისწინებენ კონკურენტების ფასებს. ელმაველ BJI1⁶ მოდელის ფასი 3150 ათასი აშშ დოლარია, ელძრავიანი სამგზავრო ვაგონის ფასი – 273,38 ათასი აშშ დოლარი (2014 წელს) და აქვს შემცირების ტენდენცია (2013 წელს ღირდა 346 ათასი აშშ დოლარი), რაც გამოწვეულია თვითღირებულების შემცირებით. სატვირთო ვაგონის ფასი 15 ათასი აშშ დოლარია.

ელმაველის თვითღირებულების სტრუქტურა მოცემულია პირველ ნახაზზე.



ნახ. 1. ელმაველის თვითღირებულების სტრუქტურა

სს „ელმაველმშენებლის“ მომხმარებელია სს „საქართველოს რკინიგზა“, სომხეთის, აზერბაიჯანის და უკრაინის რკინიგზა, ხოლო ვაგონმშენებელი პოლდინგური კომპანიის ძირითადი მომხმარებელია სს „საქართველოს რკინიგზა“ და სომხეთის რესპუბლიკის რკინიგზა. ასრულებენ აზერბაიჯანის რესპუბლიკის რკინიგზის შეკვეთებსაც. მიმდინარეობს სამუშაოები თურქმენეთის ბაზრის ასათვისებლადაც. პროდუქციის კონკურენტუნარიანობა მიღწეულია მაღალი ხარისხით და შედარებით დაბალი ფასებით. ქვემოთ მოყვანილ ცხრილში (ცხრ. 3) მოცემულია რკინიგზის მოძრაი შემადგენლობის ექსპორტი. რკინიგზის ვაგონები ექსპორტირებული იყო სომხეთში და 2014 წელს ქვეყნის მთლიანი ექსპორტის მოცულობის 0,01% შეადგინა, ელმაველების ექსპორტი კი ხორციელდებოდა უკრაინაში (მიმდინარე წელს შეკვეთები მკვეთრად შემცირდა) და 2014 წელს ქვეყნის მთლიანი ექსპორტის 0,2% შეადგინა. წარმოებული ელმაველების 80-85% ექსპორტირდება. რეკლამა ხდება ინტერნეტით, იშვიათად გამოიყენება ბეჭდვითი რეკლამა (ბროშურები, ბუკლეტები და ა.შ.).

რკინიგზის მოძრაი შემადგენლობის წარმოებასა და რემონტში დასაქმებულ თანამშრომელთა რაოდენობა და საშუალო თვიური ანაზღაურება შემცირების ტენდენციით ხასიათდება. 2015 წელს ამ საწარმოებში დასაქმებული იყო 1799 თანამშრომელი, 2013-2014 წლებში შესაბამისად – 2629 და 2080. თანამშრომელთა საშუალო თვიური ანაზღაურება 2015 წელს იყო 584,6 ხოლო 2013-2014 წლებში შესაბამისად 825 ლარი და 616 ლარი.

საქართველოში სარკინიგზო მანქანათმშენებლობის საწარმოების პროდუქციის ექსპორტი 2011-2015 წლებში⁹⁰

საქონლის დასახელება	2011		2012		2013		2014		2015 ⁹¹	
	ათ. აშშ დოლარი	ცალი	ათ. აშშ დოლარი	ცალი	ათ. აშშ დოლარი	ცალი	ათ. აშშ დოლარი	ცალი	ათ. აშშ დოლარი	ცალი
რკინიგზის ლოკომოტივების (კვებით ელექტროენერჯის გარე წყაროდან)	7450,0	3	16948,4	11	28350,0	9	22050,0	7	12600,0	3
ვაგონები სამგზავრო ძრავიანი, სატვირთო ვაგონები, ღია პლატფორმები	862,5	2	-	-	6230,7	18	2733,8	10		
რკინიგზის ან ტრამვაის ვაგონები სამგზავრო არათვითმავალი	15,1	2	-	-	-	-	-	-		
რკინიგზის ან ტრამვაის ვაგონები არათვითმავალი	204,0	24	45,0	3	300,0	20	-	-		

ჩვენ მიერ ჩატარებული ექსპერტული შეფასებისას, ვაგონმშენებლობის ჰოლდინგური კომპანიის სპეციალისტთა 60% კონკურენტულ ბრძოლაში წარმატების საკვანძო ფაქტორებიდან პირველ ადგილს მარკეტინგს მიაკუთვნებს. მათი შეფასებით, პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ჯამურმა მაჩვენებელმა მეტი შეფასება მიიღო (8,2 ქულა) კონკურენტი საწარმოების პროდუქციასთან შედარებით (7,3 ქულა).

ექსპერტთა საშუალო შეთანხმების დროს $V=0,2$. სს „ელმაგალმშენებლის“ სპეციალისტთა დიდმა ნაწილმა ტექნოლოგიას მიაკუთვნა პირველი ადგილი. ექსპერტული შეფასებით სს „ელმაგალმშენის“ პროდუქციის კონკურენტუნარიანობის მაჩვენებელმა მიიღო 6,86 ქულა (ცხრ. 4). სამწუხაროდ, ინფორმაციის უქონლობის გამო (ეს საინფორმაციო ვაკუუმი გაჩნდა 2008 წლიდან), სპეციალისტებმა ვერ შეაფასეს ძირითადი კონკურენტი საწარმოების (რუსეთი) ელმაგალმშენების თვისებები.

რკინიგზის მოძრავი შემადგენლობის კონკურენტუნარიანობის ექსპერტული შეფასების შედეგები

	ელმაგალი სამამულო	სამგზავრო და სატვირთო ვაგონები	
		სამამულო	იმპორტული
ტექნიკური პარამეტრები	1,75	2,3	2,05
ხანგამძლეობა, საიმედოობა	1,28	2,7	2,7
დიზაინი	1,25	0,9	1,0
მოსერხებულობა ექსპლუატაციაში	1,08	1,22	1,06
ფასი	1,44	1,12	0,5
ჯამური ქულა	6,86 ქულა	8,24 ქულა	7,3 ქულა

ასეთია საქართველოში სარკინიგზო მანქანათმშენებლობის საწარმოების ძირითადი მიღწევები. მაგრამ სწორი არ იქნებოდა გეგეფიქრა, რომ ნაკლოვანებები არ შეიმჩნევა, ამიტომ საჭიროდ მიგვაჩნია:

– გამოკვლეული იყოს სარკინიგზო მანქანათმშენებლობის საწარმოებში მარკეტინგული საქმიანობის თავისებურებანი (დღეისათვის ასეთი გამოკვლევები არ არსებობს);

⁹⁰ ცხრილი შედგენილია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე.

⁹¹ 2015 წლის მონაცემები საგზავრო და სატვირთო ვაგონების ექსპორტის შესახებ ვერ მოვიპოვეთ კონფიდენციალობის გამო.

- კომპლექსურად გამოიკვლიონ მიზნობრივი რეგიონული ბაზრები, განსაზღვრონ საქმიანობის ძირითადი მიმართულებები, შემუშავდეს კონკრეტული სტრატეგიები, შედეგები დაინერგოს საწარმოებში;
- მოწესრიგდეს საზოგადოებასთან ურთიერთობები. პრესაში, ტელევიზიაში გამოქვეყნდეს სტატიები, მოეწიოს თემატური გადაცემები, სადაც საზოგადოებას გააცნობენ სარკინიგზო მანქანათმშენებლობის საწარმოთა საქმიანობას;
- სტატისტიკური აღრიცხვის მონაცემები გახდეს უფრო დეტალიზებული: სამგზავრო და სატვირთო ვაგონების წარმოება ცალ-ცალკე ჯგუფებად იყოს აღრიცხული.

დასკვნა

შედეგებმა ცხადყო, რომ საქართველოში სარკინიგზო მანქანათმშენებლობის დიდმა საწარმოებმა – სს „ელმავალმშენებელმა“ და ვაგონმშენებლობის ჰოლდინგურმა კომპანიამ – შეძლეს საბაზრო ეკონომიკის რელსებზე გადასვლა, მათ გადალახეს სიძნელეები თავიანთ საქმიანობაში და, მიუხედავად ნაკლოვანებებისა, წარმართავენ ბიზნესს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. შუბლაძე გ., „ფირმის მარკეტინგული საქმიანობის ეფექტიანობის შესახებ“ (შპს „ნიკორას“ მაგალითზე). ქ. „კომერსანტი“, 2009, №1, გვ. 72-76.
2. „მარკეტინგის საფუძვლები“, გ. შუბლაძის რედაქციით, თბ., 2009, გვ. 42-46.
3. კირვალიძე ნ., „საქართველოში ვაგონმშენებლობის ჰოლდინგური კომპანიის შესახებ“, ქ. „ეკონომიკა“, 2015, №5-6, გვ. 100-111.
4. შუბლაძე გ., ნანიტაშვილი მ., დოლიკაშვილი ლ., სტრატეგიული მენეჯმენტი, თბ., უნივერსალი, 2010, გვ. 70-146, გვ 301-330.
5. Баумгартен Л.В. „Возможные подходы к выбору показателей и оценке конкурентоспособности (на примере туристических услуг)“ „Маркетинг в России и за рубежом“. М., 2011, №4, ст. 46-63.

Nana Kirvalidze

**ABOUT RAILWAY MECHANICAL ENGINEERING IN GEORGIA
Annotation**

This article discusses the significance of railway mechanical engineering enterprises and the results of their economic activity. Particular: tendencies of production dynamics, the structure of assortment, export of production, price formation, structure of assortment, cost price production of train and carriage building holding company; this article discusses the condition of marketing business and also railway mechanical engineering enterprises, which practically use marketing complex elements. These arrangements are direct to connect production plan with market demand, to provide constant renewal of assortment, flexible price formation, advertise arrangements. The trains, passenger and trucking carriages produced in Georgia are distinguished with high competitiveness and quality.

At the end the author discusses the arrangements, which would be useful to pass in railway mechanical engineering enterprises in order to improve economic activity.

თამარ ლაზარიშვილი

**ინოვაციების როლი სოფლის მეურნეობის
რესურსული პოტენციალის ეფექტიან გამოყენებაში**

გლობალიზაციის პროცესის გაღრმავებამ, ინფორმაციულ ტექნოლოგიებში მნიშვნელოვანმა აღმოჩენებმა, საწარმოო პროცესების მართვის ახალი მოდელების შექმნამ და მრავალმა სხვა ფაქტორმა გაამძაფრა კონკურენცია კომპანიებს შორის. ტექნოლოგიებმა და ინტერნეტმა გამოიწვია მომხმარებლის ქცევის ცვლილება მთელი მსოფლიოს მასშტაბით. საწარმოების კონკურენტუნარიანობა აგრარულ სექტორში მეტწილად დამოკიდებულია ინოვაციური ტექნოლოგიების აქტივობებზე.

აგრარულ სექტორს უდიდესი რესურსული პოტენციალი გააჩნია, რომლის გამოყენებაც ჯერჯერობით სათანადოდ ვერ ხერხდება. ქვეყანას აქვს რეალური შესაძლებლობა, რომ მნიშვნელოვნად გაზარდოს თავისი სასოფლო-სამეურნეო წარმოება. თუმცა ამ პოტენციალის რეალიზებასა და დასახული მიზნების მიღწევას მრავალი სირთულე აფერხებს. სოფლის მეურნეობამ ფუნქციონირება დაიწყო სრულიად ახალ, საბაზრო ეკონომიკურ გარემოში და შეიძინა საბაზრო ეკონომიკისათვის დამახასიათებელი სპეციფიკა და ნიშნები. ქვეყანაში ჯერ კიდევ მწვავედ დგას სიღარიბის, მათ შორის, მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფის პრობლემა. აქედან გამომდინარე, უმნიშვნელოვანესი ამოცანაა ქვეყნის აგროსასურსათო სექტორის განვითარების იმგვარი მოდელის შემუშავება, რომელიც მოსახლეობას ხელმისაწვდომი და ხარისხიანი სურსათით დააკმაყოფილებს. ასევე, ხელს შეუწყობს კონკურენტული უპირატესობის მქონე პროდუქტების საექსპორტო პოტენციალის მაქსიმალურად გამოყენებას.

სასურსათო უზრუნველყოფის მთავარი ფაქტორებია:

• უსაფრთხოება – ადგილობრივი წარმოების ან იმპორტირებული, უვნებელი სასურსათო პროდუქტების საკმარისი ოდენობით არსებობა;

• ხელმისაწვდომობა – ცალკეულ პირთათვის სათანადო სურსათის ხელმისაწვდომობა, რაც უზრუნველყოფს მათ მიერ კვებისთვის აუცილებელი სასურსათო პროდუქტების შექმნას;

• სტაბილურობა – სასურსათო უზრუნველყოფა გულისხმობს ნებისმიერ დროს სასურსათო პროდუქტების როგორც არსებობას, ასევე ხელმისაწვდომობას. სასურსათო უზრუნველყოფა გულისხმობს სასურსათო ნედლეულისა და სურსათის დაცვასაც, რაც ასევე მოიცავს სასოფლო-სამეურნეო ტერიტორიების ან სხვა მანეჟმენტებისაგან დაცვას.

საქართველოს აგრარული პოტენციალი ქმნის კვებისთვის აუცილებელი თითქმის ყველა სახეობის პროდუქტის წარმოების შესაძლებლობას. საქართველოს შეუძლია გამოკვებოს არათუ ქვეყანაში დღეს არსებული მოსახლეობა, არამედ 10–12 მლნ ადამიანი⁹². ეს ნიშნავს, რომ რაციონალური აგრარული პოლიტიკის გატარების შემთხვევაში საქართველოს შეუძლია სასურსათო უშიშროების მიღწევა სამამულო აგროწარმოების პროდუქციით. რეალურად კი, დღეისათვის, FAO-ს მონაცემებით, საქართველოს მოსახლეობის 25% შიმშილობს⁹³, რაც გაცილებით მეტია, ვიდრე ჩვენს მეზობელ სომხეთსა (5%) და აზერბაიჯანში (5%). ეს მონაცემები ადასტურებს რომ, ის უზარმაზარი პოტენციალი, რაც არსებობს საქართველოს სოფლის მეურნეობაში, დიდწილად გამოუყენებელია. საქართველოს აქვს პოტენციალი, გაცილებით დიდი რაოდენობით აწარმოოს ისეთი პროდუქტები, როგორებიცაა: პური და პურპროდუქტები, რძე და რძის პროდუქტები, ხორცი და ხორცის პროდუქტები, შაქარი და სხვა. ქვეყანა ვერ ახერხებს სოფლის მეურნეობაში არსებული პოტენციალის სრულად გამოყენებას. რესურსების მაქსიმალური და ეფექტიანი გამოყენების პირობებში გაიზრდება წარმოება და მიწოდება ბაზარზე, რაც გამოიწვევს, ერთი მხრივ, ფასების კლებას, მეორე მხრივ, იმპორტზე დამოკიდებულების შემცირებას.

საქართველოში განუვითარებელია მინერალური სასუქებისა და მცენარეთა დაცვის საშუალებების სოფლის მეურნეობისთვის მიწოდების საბაზრო მექანიზმი. სასუქებისა და შხამქიმიკატების ნაკლებობით წელიწადში საშუალოდ 500 – 530 მლნ ლარის პროდუქცია იკარგება, დიდია დანაკარგები ხორბლის წარმოებაშიც. ზოგადად ხორბლის წარმოების უფლების მოსაპოვებლად აუცილებელი მოთხოვნაა, რომ პროდუქტი იყოს კონკურენტუნარიანი. თუ ხორბალი კონკურენტუნარიანი არ არის, აღნიშნულის მიღწევა შესაძლებელია სუბსიდირების გზით⁹⁴.

აუცილებელია, რომ შეიცვალოს ერთიანი სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკა, უპირატესად ინოვაციისა და მდგრადობის მიმართულებით, რათა უპასუხოს ახალ გამოწვევებს, როგორიცაა: მდგრადი განვითარება კლიმატის ცვლილების პირობებში; ორგანული სოფლის მეურნეობის განვითარება; სურსათზე ფასების ზრდა; ბიოსაწვავის წარმოების აუცილებლობა და სხვა. შემდეგ ათწლეულში გაიზრდება ფერმერებისთვის დახმარება საინოვაციო ღონისძიებების მიმართულებით, როგორიცაა გარემოსდაცვითი, სურსათის უვნებლობა-უსაფრთხოების და სხვა სტანდარტების დაცვა. გაძლიერდება სოფლის განვითარების (არა სასოფლო-სამეურნეო) საინოვაციო ღონისძიებები. ასეთი მიდგომა ზრდის საინოვაციო სისტემის ყველა კომპონენტს – განათლების, კვლევის, კომერციალიზებადი ცოდნის დაგროვებისა და წარმოებაში გადაცემის მნიშვნელობას. სახელმწიფომ უნდა შექმნას ახალი ტექნოლოგიების დანერგვისა და ხელმისაწვდომობის შესაბამისი პირობები. ახალი ტექნოლოგიების, ცოდნისა და მენეჯმენტის სწრაფად და ეფექტიანად დანერგვის ერთ-ერთი საუკეთესო გზაა ინვესტიციების მოზიდვა. ამ ამოცანის განხორციელებისათვის საჭიროა აქტიური მუშაობა როგორც საერთაშორისო ორგანიზაციებთან, ისე პოტენციურ ინვესტორებთან. ინვესტიციების მოზიდვას თან ახლავს ახალი ტექნოლოგიები, ნოუ-ჰაუ და ახალ ბაზრებზე შესვლის ახალი პერსპექტივები. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლამ ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა სოფლის მეურნეობა. შეიცვალა სახელმწიფოსა და ფერმერს შორის ურთიერთობა. თუ გეგმური ეკონომიკის პირობებში გადაწყვეტილების მიმღები სახელმწიფო იყო, დღეს მთელი პასუხისმგებლობა თავად ფერმერს ეკისრება. მან დამოუკიდებლად უნდა შეაფასოს თავისი შესაძლებლობები და განსაზღვროს თავისი მეურნეობის ადგილი ბაზარზე. ასეთი გადაწყვეტილების მიღებას კი სერიოზული ცოდნა ესაჭიროება არა მხოლოდ აგრარულ დარგში, არამედ ბიზნეს მენეჯმენტის მიმართულებითაც. გასათვალისწინებელია, რომ საქართველოში:

• ინოვაციური საქმიანობის სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის პოლიტიკა დღემდე არ არის გამოკვეთილი;

• არ არსებობს ინოვაციური ინფრასტრუქტურა;

• სახეზეა საწარმოთა ფინანსური რესურსების დეფიციტი;

• ადგილი აქვს ეკონომიკის რეალური სექტორის ცალკეულ დარგთა ტექნოლოგიურ ჩამორჩენილობას, რაც პროდუქტის დაბალ კონკურენტუნარიანობას განაპირობებს;

⁹² კოლუაშვილი პაატა, ზიბიბაძე გიორგი, სოფლის მეურნეობის ეკონომიკა, თბ., 2010. გვ. 8.

⁹³ <http://www.fao.org/home/en/>

⁹⁴ ხარაიშვილი ე., კონკურენციისა და კონკურენტუნარიანობის პრობლემები საქართველოს აგროსასურსათო სექტორში, გვ. 57. თბილისი, 2011.

• განუვითარებელია მცირე ინოვაციური საწარმოები, რომელთაც ექნებოდათ ბაზრის ცვალებადი გარემოსადაში სწრაფი ადაპტირების უნარი. ქვეყანაში ინოვაციური საქმიანობის განვითარებისათვის აუცილებელია ისეთი ეკონომიკური და სამართლებრივი გარემოს შექმნა, რომელშიც აქტიურად განვითარდება ინოვაციური პროცესები;

სათანადო ინოვაციური ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბება (ინოვაციურ-ტექნოლოგიური ცენტრები, ტექნოპარკები, ბიზნესინკუბატორები, ინფორმაციული სისტემები, სპეციალისტების მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სისტემები მენეჯმენტის სფეროში, ინოვაციის მხარდაჭერის სხვადასხვა ფონდები, მათ შორის ვენჩურული ინვესტირება, დაზღვევის და ლიზინგის კომპანიები და ა.შ.).

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლამ ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა სოფლის მეურნეობა. სასიცოცხლოდ აუცილებელი ხდება ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვა.

საქართველოს ფერმერების (გლეხების) ინფორმაციული ტექნოლოგიებისადმი ინტერესის არქონა აიხსნება მათი უმრავლესობის დაბალი განათლების დონით და დიდი ასაკით, ამიტომ აუცილებელი ხდება ამ პრობლემის დაძლევა და ყველა საშუალების მეტად ინფორმირებულობა, რათა მათ ჰქონდეთ წვდომა აგროსექტორის განვითარების თანამედროვე ხერხებსა და მეთოდებზე.

ინფორმაციულ საზოგადოებაში ფერმერს საშუალება აქვს, ჩაერთოს ინტერნეტში მსოფლიოს ნებისმიერი გეოგრაფიული წერტილიდან მძლავრი უკაბელო კომუნიკაციური კავშირის საშუალებებით. მას შეუძლია თვალყური ადევნოს ფერმის მთლიან საქმიანობას. მაგალითად, ჰოლანდიაში, პირველად ევროპაში, დამუშავდა ინფორმაციული ტექნოლოგიების საშუალებით სათბურების მართვა, ამჟამად ფერმერებს საშუალება აქვთ ნათესების მონიტორინგი აწარმოონ რამდენიმე ასეული კილომეტრის დაშორებით და მართონ სამელიორაციო სისტემები ატმოსფერული ნალექების და ნიადაგის ტენიანობის მიხედვით⁹⁵.

სოფლის მეურნეობის გაძღოლა ინფორმაციულ საზოგადოებაში ითვალისწინებს ინფორმაციების პერმანენტულ მიღებას გარე სამყაროდან, დროის ნებისმიერ მომენტში და ნებისმიერი ადგილიდან. მაგალითად, სინოპტიკოსთა მონაცემების სისტემატიური განახლება ხელმისაწვდომია ფერმერებისათვის მთელი დღის განმავლობაში, რაც საშუალებას იძლევა მნიშვნელოვნად ამაღლდეს პესტიციდების სასოფლო-სამეურნეო კულტურებში გამოყენების ეფექტურობა, შემცირდეს გარემოს დაბინძურება. თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიები ფერმერებს საშუალებას აძლევს, მიიღონ ოპერატიული ცნობები, რჩევები, რეკომენდაციები მათი ადგილსამყოფელისა და დროის მიუხედავად. მრავალი წლის განმავლობაში სასოფლო-სამეურნეო კვლევების შედეგად მიღებული ცოდნა გამოყენებული უნდა იქნეს პრაქტიკულად სასარგებლო ინფორმაციის მისაღებად მონაცემთა ბაზის გადამუშავებით. უნდა გავითვალისწინოთ, რომ საქართველოში აგრარული დარგების აღორძინებას აუცილებლად ესაჭიროება ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალური გავრცელების ქსელი (Extension service), როგორც მნიშვნელოვანი რესურსი დაბალდანახარჯიანი სურსათის და საკვების, აგრეთვე ნედლეულის მდგრადი წარმოებისათვის⁹⁶.

სოფლის მეურნეობა წარმოადგენს იდეალურ გარემოს ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოსაყენებლად, მაგრამ ფინანსური რესურსების შეზღუდულობა საქართველოში ჯერჯერობით ამის საშუალებას არ იძლევა. ის ფინანსური კრიზისი და ეკონომიკური სიტუაცია, რომელშიც საქართველო აღმოჩნდა, სერიოზულად აფერხებს ინფორმაციული ტექნოლოგიების გავრცელების პროცესს, მაშინ, როცა დაუყოვნებლივ საჭიროა ამ მხრივ ზომების მიღება. იგი განსაკუთრებული ყურადღების ობიექტი უნდა გახდეს, რისთვისაც უნდა გადაისინჯოს მისი განვითარების სტრატეგია, რაც ყველაზე მეტად განსაზღვრავს საქართველოს სოფლის მეურნეობის და მთლიანად ქვეყნის ეკონომიკის აღმავლობას.

სახელმწიფო ვალდებულია, გაატაროს ყველა ღონისძიება, რათა ფერმერი უზრუნველყოფილი იყოს ინფორმაციით, რომელიც მას სწორი ნაბიჯების გადადგმაში დაეხმარება. საქართველოს მთავრობამ უნდა უზრუნველყოს შემდეგი მომსახურებების მიწოდება:

- სასოფლო-სამეურნეო ინფრასტრუქტურა (თანამედროვე ლოგისტიკური ცენტრები, მედიორაციის სისტემები და სხვ.);
- ბაზარზე ორიენტირებული საგანმანათლებლო სისტემა;
- სტატისტიკური მონაცემები.

ხელსაყრელი ბიზნესგარემოს, სამართლებრივი სისტემისა და ლიბერალური საგადასახადო რეჟიმის შექმნით სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს ინოვაციების შემოტანასა და დანერგვას.

⁹⁵ http://www.agromarket.ge/consultation/data/informaciuli_tecnologiebis_problemebi.pdf

⁹⁶ Korakhashvili A, (2001), Annual Management Plan for Farming by Computer Program BARMEX, Third European Conference of the European Federation for Information Technology in Agriculture, Food and Environment, Montpellier, France.

THE ROLE OF INNOVATIONS IN EFFECTIVE USING RESOURCE POTENTIAL OF AGRICULTURAL SECTOR

Annotation

The paper discusses the role of innovations in using resource potential of agricultural sector; evaluates its importance in national economy; concludes that it is important to change agricultural policy to develop agricultural sector. Creating favorable business environment, legal system, liberal tax regimes develop agricultural sector and the whole economy. The government should implement appropriate conditions to introduce new technologies. The best way for this is to obtain investments. This will be accompanied with new technologies, Know-how and perspectives to penetrate new market.

ქეთევან ქველასძე
ნუნუ ქისტაური
მელა მელაშვილი

მომსახურების სფეროს ზოგიერთი დარგის თანამედროვე მდგომარეობა და განვითარების პერსპექტივები საქართველოში

გაეროს ეროვნული ანგარიშების მიხედვით, ეკონომიკაში მომსახურება მესამე სექტორად ითვლება სოფლის მეურნეობისა და ინდუსტრიის შემდეგ. რა თქმა უნდა, მომსახურების სექტორში ერთიანდება მკვეთრად განსხვავებული დარგები, მაგრამ მათ გაერთიანებას განაპირობებს ის გარემოება, რომ მათში დასაქმებულ მუშაკთა შრომის სასარგებლო ეფექტი მომსახურების სახით გამოდის. ამ პრობლემის თანამედროვე მკვლევრები აღნიშნავენ, რომ ნებისმიერი მომსახურება – ეს არის პროცესი, რასაც ვერ ვიტყვი ფიზიკურ საქონელზე, და

მომსახურების სფეროს სპეციფიკური თავისებურებებიც გააჩნია, რაც მას მატერიალური წარმოების სფეროსაგან განასხვავებს. ესენია:

- მატერიალური წარმოების ციკლური მერყეობა ნაკლებად აისახება მომსახურების სფეროზე;
- კრიზისისა და დეპრესიის პერიოდში მოთხოვნა მომსახურებაზე არათუ იკლებს, არამედ შეიძლება გაიზარდოს კიდევ;
- მომსახურება იწარმოება და მოიხმარება ერთდროულად, მისი შენახვა შეუძლებელია; მომსახურება არ საჭიროებს საბაჟოს გავლას;
- მომსახურება ხშირად იმდენადაა გადაჯაჭვული საქონელთან, რომ მათი განცალკევება მეტად ძნელია. მაგალითად, მოწყობილობის რემონტი. შეიძლება ითქვას, რომ მომსახურებაში არის განივობული საქონელი, ასევე, საქონლის გაყიდვის აქტში, რა თქმა უნდა, ადგილი აქვს მომსახურებას;
- მომსახურების სფერო, როგორც წესი, მეტადაა დაცული სახელმწიფოს მიერ უცხოური კონკურენციის ზეგავლენისაგან, ვიდრე მატერიალური წარმოება.

საზოგადოების ევოლუციასთან, მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესთან, ფიზიკური შრომის მაქსიმალურ მექანიზაციასა და ავტომატიზაციასთან ერთად, მომსახურების სფერო უფრო და უფრო ძლიერდება და ხდება ეკონომიკის წამყვანი პრიორიტეტული სექტორი. განვითარებული ქვეყნების მშპ-ში მომსახურების სექტორის ხვედრითი წილი საშუალოდ შეადგენდა: 1950 წელს – 30.4%-ს, 1960 წელს – 37.2%-ს, 1973 წელს – 41.9%-ს, 2008 წელს – 63%-ს. ბოლო პერიოდისათვის ეს მაჩვენებელი განვითარებული ქვეყნებისათვის ასე გამოიყურება: ამერიკა 79.6%, გერმანია 78%, საფრანგეთი 72%, ავსტრალია 75%, ბრიტანეთი 73% (განვითარებადი ქვეყნებისათვის ეს მაჩვენებელი შედარებით დაბალია და დღეისათვის საშუალოდ 49%-ს შეადგენს).

მომსახურების სფეროს განვითარება ხასიათდება არა მარტო მშპ-ის სტრუქტურის, არამედ დასაქმებულთა რიცხვის სტრუქტურის ცვლილებითაც.

დღეს განვითარებული ქვეყნების ეკონომიკაში დასაქმებულთა ნახევარზე მეტი თავმოყრილია მომსახურების სფეროში. მაგალითად, 1980 წელს აშშ-ის სოფლის მეურნეობაში დასაქმებული იყო მომუშავეთა 3%, მრეწველობაში – 33%, მომსახურების სფეროში – 64%. 1999 წელს აშშ-ის ეკონომიკის მომსახურების სფეროში დასაქმებულთა რიცხვმა დასაქმებულთა მთელი რაოდენობის 78.8% შეადგინა. დღეისათვის კი იგი 85%-ზე მეტია. ეს მსოფლიოში ყველაზე მაღალი მაჩვენებელია. ამ მხრივ მოწინავე პოზიციებზე არიან: ლუქსემბურგი (77%), ნიდერლანდები (77%), ავსტრალია (75%), დიდი ბრიტანეთი (75%), კანადა (75%), ნორვეგია (74%), ბელგია (73%), დანია (73%) და სხვ.

მომსახურების სფეროში ტექნიკური პროგრესის შედეგად იქმნება ახალი სამუშაო ადგილები და ამით მცირდება უმუშევრობის დონე. განსაკუთრებით ხელსაყრელი პირობები იქმნება მომსახურების სფეროში დროებით უმუშევართა გამოყენების მხრივ. ნაწილობრივი დასაქმება განსაკუთრებით ფართოდ შეიძლება გავრცელდეს საზოგადოებრივ კვებაში, განათლებაში, ჯანდაცვაში, ვაჭრობაში, ხელოვნებაში, კულტურაში. მომსახურების სფეროში განსაკუთრებით ხელსაყრელი პირობები იქმნება ქალთა შრომის გამოყენებისათვის. მომსახურების სექტორის სწრაფი განვითარების ტენდენციას განაპირობებს ფაქტორების მთელი კომპლექსი – მეცნიერულ-

ტექნიკური პროგრესის ტემპების დაჩქარება, მოსახლეობის ცხოვრების დონის მკვეთრი ამაღლება, მოთხოვნათა საგრძნობი დივერსიფიკაცია და ა.შ. ამასთან, თუ ადრე განვითარებული ქვეყნების ეკონომიკა ემყარებოდა წარმოებაში რაც შეიძლება მეტი შრომითი, ფულადი, ენერგეტიკული, სანედლეულო რესურსების ჩაბმას, ახლა ეკონომიკური ზრდის წამყვანი ფაქტორი გახდა წარმოებაში მეცნიერულ-ტექნიკური და ტექნოლოგიური პროგრესის უახლეს მიღწევათა ფართო დანერგვა. მასალატეკვადი დარგების ადგილს სწრაფად იკავებს მეცნიერებატეკვადი დარგები.

ბოლო წლების მონაცემებით, მოწინავე ქვეყნების მთლიან შიდა პროდუქტში სამეცნიერო კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებზე (სკსს) ხარჯების წილი მაგ., იაპონიაში შეადგენს – 2.9%-ს; აშშ-ში – 2.8%-ს; გერმანიაში - 2.7%-ს; საფრანგეთში – 2.4%-ს. თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში განვითარებული ქვეყნების პოზიციები სწორედ აღნიშნული მონაცემის სიდიდით განისაზღვრება და მისი ცვლილების შესაბამისად იცვლება.

მომსახურების სფეროს უზარმაზარი მნიშვნელობის გამო დიდი ხნის წინ წამოიჭრა ამ სფეროს კლასიფიკაციის შემუშავების აუცილებლობა. თუმცა, სფეროს მეტისმეტად დიდი სირთულის გამო, პრობლემა დღესაც აქტუალურია. მსოფლიოს სავაჭრო ორგანიზაციის მიხედვით, კლასიფიკაცია ასე გამოიყურება:

- საქმიანი მომსახურება;
- კავშირგაბმულობა;
- მშენებლობა;
- დისტრიბუცია;
- განათლება;
- ფინანსური;
- ჯანდაცვა და სოციალური;
- ტურიზმი;
- ტრანსპორტი;
- ეკოლოგია.

გაეროს კლასიფიკატორის მიხედვით ამით ემატება კულტურა და სპორტი.

ზოგიერთი ავტორი ცალკე გამოყოფს სასტუმროებისა და რესტორნების მომსახურებას, გართობას, იჯარასა და უძრავი ქონების ოპერაციებს, სერვისულ და სარემონტო მომსახურებას, სახელმწიფო მართვის მომსახურებას, ინფრასტრუქტურულ მომსახურებას. ბევრი ავტორი განსაკუთრებულ როლს მიაკუთვნებს საინფორმაციო და კომპიუტერულ მომსახურებას.

ჩვენ შევცვაღეთ, გაგვეანალიზებინა ჩამოთვლილი დარგების თანამედროვე მდგომარეობა საქართველოში. ზოგიერთი მათგანის შესახებ საუბარია ჩვენს სხვა პუბლიკაციებში, ხოლო დანარჩენების შესახებ ჩვენს ხელთ არსებულ ინფორმაციას წინამდებარე ნაშრომში წარმოგიდგინებ.

დღეისათვის საქართველოში ამ დარგების თანამედროვე მდგომარეობა ასეთია:

ინფრასტრუქტურული მომსახურება

ინფრასტრუქტურული უზრუნველყოფის ეკონომიკური მნიშვნელობის კვლევები და შესწავლა მეტად მნიშვნელოვანია ეკონომიკის სხვადასხვა სფეროში არსებულ პრობლემათა გადასაწყვეტად, რისთვისაც საჭიროა ჯერ გავერკვეთ პრობლემის არსსა და მნიშვნელობაში. მაგალითად, ინფრასტრუქტურული მომსახურების სფეროს ანალიზისას დიდი ყურადღება ექცევა მის მდგრადობასა და უწყვეტობას. სამომხმარებლო ბაზრისაგან განსხვავებით, სადაც ერთი სახის საქონელი ან მომსახურება შეიძლება შეიცვალოს მეორე მწარმოებლის ანალოგიური საქონლით ან მომსახურებით, ინფრასტრუქტურული მომსახურების სფეროში ამდაგვარი შეცვლის თვით შესაძლებლობაც კი ძალიან მცირე გამონაკლის შემთხვევაში შეიძლება მოხდეს და ინფრასტრუქტურული სისტემის ფუნქციონირებისას შეფერხების შემთხვევაში მის შედეგებს უშუალოდ მომხმარებლები გრძნობენ. ეს ნიშნავს, რომ ამ სფეროში არ შეიძლება ადგილი ჰქონდეს შემთხვევითობას და ამიტომ ინფრასტრუქტურული სისტემის შექმნა და ექსპლუატაცია მოითხოვს ინფრასტრუქტურული ფირმის ბიზნესმონაცემების დაწვრილებით და ხანგრძლივ შესწავლას.

ინფრასტრუქტურული მომსახურება (სერვისი) შეიძლება განისაზღვროს, როგორც საწარმო-კომერციულ მომსახურებათა ერთობლიობა, რომელიც უზრუნველყოფს სამრეწველო ობიექტების, აგრარულ საწარმოთა, სოციალური სფეროს ორგანიზაციების და ინდივიდუალური მოხმარების წარმატებულ ფუნქციონირებას.

ინფრასტრუქტურული მომსახურება წარმოადგენს საკმაოდ მასშტაბურ და ხანგრძლივ სოციალურ-ეკონომიკურ პროცესს, როცა გარკვეული სუბიექტების ჯგუფი ერთად გამოიყენებენ ბუნებრივ, მატერიალურ რესურსებს, შენობებს, ტექნიკას და ადამიანთა შრომას.

როგორც სამეწარმეო საქმიანობის ერთ-ერთი ელემენტი, ინფრასტრუქტურული მომსახურება დაკავშირებულია მეურნეობის ყველა სტადიასთან. იგი შეიძლება შეესაბამებოდეს წარმოების საწყის ან საბოლოო სტადიებს, ასევე შეიძლება მოიცავდეს მთლიანად წარმოების პროცესს, მოხმარების სტადიას. შეიძლება ითქვას, რომ ეკონომიკის განვითარებისათვის აუცილებელი ტექნოლოგიური და ორგანიზაციული გადაწყვეტილებების დონე დიდწილად განპირობებულია ინფრასტრუქტურული სისტემების სრულყოფის დონით. ეს მეტად მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ

შემუშავდეს ინფრასტრუქტურული მომსახურებისათვის აუცილებელი საინოვაციო მეწარმეობის სტიმულირების მექანიზმები. სწორედ ინფრასტრუქტურული მომსახურების პირობები ქმნის მოწინავე ტექნოლოგიების გამოყენებისათვის აუცილებელ ბაზას – ტელეკომუნიკაციებით, ტრანსპორტით, ენერგეტიკით, პროფესიული კადრებით უზრუნველყოფას.

საინოვაციო კომპონენტის გარდა, ინფრასტრუქტურული მომსახურება უნდა ატარებდეს სტაბილურ და მდგრად ხასიათს, თუმცა ეს ასპექტი დღეს ნაკლებად შესწავლილი. მაგალითად, ფირმათა შორის ურთიერთობათა ოპტიმიზაცია და რაციონალიზაცია უნდა შემუშავდეს სპეციალურად დადგენილ ლოგისტიკურ სისტემათა ფარგლებში, რომლებიც, თავის მხრივ, მიმართულია იქითკენ, რომ საქონლის მოძრაობის ყოველი მომენტი ზუსტად და დროულად იქნეს უზრუნველყოფილი აუცილებელი საწარმოო ელემენტებით (ამ მხრივ ცნობილია იაპონური სისტემა „კანბან“-ი (ზუსტად, დროულად), რომელიც საქონლის მოძრაობის სრულ პროცესში არ ითვალისწინებს საწყობების არსებობას).

ინფრასტრუქტურის განვითარება არის კონკურენტუნარიანობის გაძლიერების მნიშვნელოვანი ფაქტორი როგორც ცალკეული საწარმოების, ასევე დარგისათვის მთლიანად.

ინფრასტრუქტურის მეწარმეობის განვითარება ქვეყნის ეკონომიკის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა. ქვეყნის ინფრასტრუქტურის განვითარება მთლიანად რეგიონული განვითარებისა და სიღარიბის შემცირების ხელშეწყობის მნიშვნელოვანი წინაპირობაა.

ინფრასტრუქტურული მეწარმეობა რეალიზდება სხვადასხვა დარგების მთელ სექტორში – ტრანსპორტი, ენერგეტიკა, ენერგომომარაგება, წყალმომარაგება, კომუნალური მომსახურება, ტურისტული ინფრასტრუქტურა და სხვ.

ბოლო წლებში განსაკუთრებული როლი შეიძინა ტურისტულმა ინფრასტრუქტურამ. მისი განვითარება საქართველოს მთავრობის პრიორიტეტებში განიხილება. 2014 წელს აშენდა ოთხი ახალი საინფორმაციო ცენტრი თბილისში, ჩხოროწყუში, მარტვილსა და ზუგდიდში. ასევე დაგეგმილია

რამდენიმე საინფორმაციო ცენტრის დამატება დაბა ბაკურიანსა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტში.

ამასთან, 2014 წელს საკურორტო ზონების განვითარების მიზნით, მესტიაში გრძელდება თეთნულდის სათხილამურო კურორტის განვითარების პროექტის განხორციელება. 2013 წელს 3,2 ჰექტარზე მოეწყო სასაწყობე მეურნეობა, სადაც საფრანგეთიდან მიღებული 170-მდე კონტეინერია დასაწყობებული, ხოლო 2014 წლიდან დაიწყება ახალი საბაგრო გზების დამონტაჟება.

2013 წელს დასრულდა ყვარლის რეაბილიტაცია, მოეწყო ილიას ტბასთან მისასვლელი გზა, ინტენსიურად გრძელდება წყალტუბოს რეაბილიტაციის პროექტი, რომელიც 2014 წელს დასრულდება. წელსვე დაგეგმილია კახეთის რეაბილიტაციის პროექტების დასრულებაც [5]. (ეს საკითხი უფრო ფართოდაა გაშლილი წინამდებარე ნაშრომის თავში: „სასტუმროები და რესტორნები“).

მიუხედავად იმისა, რომ წარსულში საქართველოს სატრანზიტო შესაძლებლობები მუდმივად იზრდებოდა (რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მონაცემებით ბოლო 11 წელიწადში მოწესრიგებული გზებისთვის (საქართველოში საავტომობილო გზების ქსელი 20 000 კმ-ს აღემატება) გაწეულმა ხარჯმა დაახლოებით 3,253 მილიარდ ლარს მიაღწია და ამ მიმართულებით ყველაზე დიდი თანხა 645 მილიონი ლარი 2015 წელს დაიხარჯა), არსებული პოტენციალის დიდი ნაწილი დღეისთვის კვლავ აუთვისებელია და საქართველოში უგზოობა დღემდე ერთ-ერთი ყველაზე დიდი პრობლემაა.

საერთო სარგებლობის მიმოსვლის გზების სიგრძე სახეების მიხედვით შემდეგნაირად გამოიყურება (ცხრ. 1):

ცხრილი 1

საერთო სარგებლობის მიმოსვლის გზების სიგრძე სახეების მიხედვით (წლის ბოლოსათვის; კმ) [6]

წლები	რკინიგზა	მეტროპოლიტენი (ორმხრივი)	საავტომობილო გზები
2003	1565	27	20247
2004	1554	27	20247
2005	1559	27	20329
2006	1559	27	20329
2007	1559	27	20329
2008	1561	27	18371 ¹⁾
2009	1566	27	18608 ¹⁾
2010	1566	27	19040 ¹⁾
2011	1486	27	18854 ¹⁾
2012	1418	27	18945 ¹⁾
2013	1578	27	19011 ¹⁾
2014	1576	27	19060 ¹⁾

ბოლო წლებში გახორციელებული მნიშვნელოვანი ინვესტიციების, შემოსული გრანტებისა და კრედიტების დიდი წილი სწორედ საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგებაში იხარჯება. განსაკუთრებით დიდი დაფინანსება ბეტონსაფარიან გზებზე მოდის. 2014 წელს გზების კეთილმოწყობისათვის 501 მილიონი ლარი დაიხარჯა, 2015 წელს კი - 645 მილიონი, აქედან ყველაზე დიდი თანხა ჩქაროსნული ავტომაგისტრალების მშენებლობისთვის დაიხარჯება – 367,5 მილიონი ლარი.

საქართველოში 1300 კმ-ზე ცოტა მეტი მოქმედი სარკინიგზო მაგისტრალია, რომელიც, მგზავრთა ბრუნვის თვალსაზრისით, შედარებით უმნიშვნელო როლს თამაშობს, თუმცა, ტვირთბრუნვის 40%-ზე მეტი სწორედ საქართველოს რკინიგზაზე მოდის.

ამჟამად, ჩვენს ქვეყანას სამი საერთაშორისო და ერთი შიდა აეროპორტი ემსახურება. თბილისის საერთაშორისო აეროპორტი ყველაზე დატვირთულია. მასზე აერომგზავრთა მთლიანი ბრუნვის 87% მოდის და, სხვა აეროპორტებთან შედარებით, ყველაზე მეტ საერთაშორისო და შიდა ფრენებს ასრულებს. საჰაერო ტვირთების 98%-ზე მეტი თბილისის საერთაშორისო აეროპორტზე მოდის. საქართველოს შავი ზღვის სანაპიროზე ოთხი საზღვაო პორტი მოქმედებს: ფოთი და ყულევის ნავთობტერმინალი – სამეგრელო-ზემო სვანეთში, ბათუმი – აჭარაში და სუფსის ნავთობტერმინალი – გურიაში. უფრო დაწვრილებით ეს საკითხი განხილული გვაქვს შემდეგ თავში: „ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა“.

სტატისტიკური მანუალებლები საერთო სარგებლობის ტრანსპორტის სახეების მიხედვით 2003-2014 წლებში ასე გამოიყურება (ცხრ. 2):

ცხრილი 2

ტვირთის გადატანა საერთო სარგებლობის ტრანსპორტის სახეების მიხედვით (ათასი ტონა) [6]

წლები	სულ	მათ შორის:			
		სარკინიგზო	საავტომობილო	საზღვაო	საჰაერო
2003	41081.4	16558.7	24500.0	21.4	1.3
2004	41149.8	15424.4	25700.0	23.9	1.5
2005	45971.5	18986.7	26959.3	23.9	1.6
2006	49946.6	22643.3	27261.3	40.4	1.6
2007	49830.2	22230.0	27561.2	37.9	1.1
2008	49058.2	21181.2	27864.4	11.9	0.7
2009	45275.3	17104.0	28170.9	-	0.4
2010	48411.4	19930.1	28480.8	-	0.5
2011	48926.8	20123.4	28794.1	8.1	1.2
2012	49190.8	20076.0	29110.8	3.6	0.4
2013	47616.4	18185.0	29431.0	-	0.4
2014	46429.3	16673.3	29754.7	-	1.3

ბოლო პერიოდში მთელ მსოფლიოში განსაკუთრებული როლი შეიძინა სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურამ. საქართველოში არსებული მეტად მძიმე სოციალურ-ეკონომიკური ვითარება უშუალო ზეგავლენას ახდენს სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის შეზღუდვაზე. ყოველ 100 ადამიანზე ინტერნეტის მომხმარებელთა რაოდენობით საქართველო, ისე, როგორც თითქმის ყველა პოსტკომუნისტური ქვეყანა, იმყოფება ძალზე ჩამორჩენილ ქვეყანათა შორის. საქართველოში ყოველ 100 ადამიანზე მოდის მხოლოდ 7.4 ინტერნეტმომხმარებელი, სომხეთში – 5.7, აზერბაიჯანში – 9.7. რუსეთში შედარებით უკეთესი ვითარებაა. იქ 18.2 ინტერნეტმომხმარებელია ყოველ 100 ადამიანზე, რაც შეეხება მსოფლიო ლიდერებს, მაგ., ნიდერლანდებში ყოველ 100 ადამიანზე 88 ინტერნეტმომხმარებელია, ნორვეგიაში – 87, ახალ ზელანდიაში – 78, შვედეთში – 76, აშშ-ში – 69, იაპონიაში – 68. არსებული დისპროპორციები, პრაქტიკულად, იგივეა პერსონალური კომპიუტერების, ძირითადი სატელეფონო ხაზების, მობილური ტელეფონების მომხმარებელთა რაოდენობის შეფასებისას. საინტერესო ციფრული მასალა ამ საკითხის ირგვლივ მოყვანილი გვაქვს შემდეგ თავში: „ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა“.

ბოლო წლების განმავლობაში, ინფრასტრუქტურის განვითარებაში მნიშვნელოვანი ინვესტიციები განხორციელდა, რამაც ხელი შეუწყო ქვეყნის სატრანსპორტო, ენერჯო და სხვა ძირითადი ინფრასტრუქტურული სისტემების გაუმჯობესებას. მიუხედავად ამისა, ინფრასტრუქტურა მაინც არ არის საკმარისად განვითარებული, რომ უზრუნველყოს კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობის ზრდა და ქვეყნის სატრანსპორტო პოტენციალის მაქსიმალური გამოყენება. ამასთან, ბოლო წლების განმავლობაში განხორციელებული მრავალი კაპიტალური დანახარჯი არ იყო გაწეული საუკეთესო ეკონომიკური ეფექტის მქონე ინფრასტრუქტურულ პროექტებზე. საქართველოს, გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, შესაძლებლობა აქვს რეგიონში მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს ვაჭრობასა და ტვირთების საერთაშორისო გადაზიდვაში. ამასთანავე, ბაზრის მცირე მოცულობიდან გამომდინარე, კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობისთვის აუცილებელია მისი რეგიონულ და საერთაშორისო ბიზნესში ფართო ჩართულობა, რისი ერთ-ერთი წინაპირობაც კარგად განვითარებული სატრანსპორტო და ლოგისტიკური ინფრასტრუქტურაა, ასევე უნდა მოხდეს სატრან-

ზიტო და საინვესტიციო პოტენციალის გაზრდა და სახელმწიფოს მიერ უნდა შემუშავდეს ინფრასტრუქტურული საწარმოების განვითარების გრძელვადიანი და მოკლევადიანი განვითარების გეგმები, შესწავლილი ზუსტი სტატისტიკური კვლევების საფუძველზე.

ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა

საქართველოში მნიშვნელოვან პოზიციებს იკავებს ტრანსპორტი, კავშირგაბმულობა, ტელეკომუნიკაციები. ამ მხრივ ყველაზე წარმატებულ ქვეყანათა ათეულში შედიან: სინგაპური, ახალი ზელანდია, ფინეთი, ჰონკონგი, შვეცია, თურქეთი, ნორვეგია, დანია, აშშ, კანადა. ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სტატისტიკა საქ. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების მიხედვით ასე გამოიყურება (ცხრ. 3 და 4):

ცხრილი 3

ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა [28]

	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014
ბრუნვა, მლნ ლარი	2442.0	2766.4	3004.7	2858.1	3313.6	4045.8	4519.4	4867.2	5179.1
გამოშვებული პროდუქცია, მლნ ლარი	1806.7	1936.2	2043.6	2016.5	2388.0	2770.2	3170.3	3394.1	3607.6
დამატებული ღირებულება, მლნ ლარი	1129.0	1157.6	1204.3	1215.3	1393.3	1610.8	1880.4	1953.6	1618.0
შუალედური მოხმარება, მლნ ლარი	677.7	778.6	839.2	801.2	994.7	1159.4	1289.9	1440.5	1590.6
ფიქსირებული აქტივები, მლნ ლარი	2289.4	3036.3	3084.1	4395.3	4580.5	5230.9	5594.8	5592.6	6183.6
დასაქმებულთა რაოდენობა, კაცი	54418	49598	50560	51395	50388	51347	55106	56838	59123
დასაქმებულთა საშუალო თვიური შრომის ანაზღაურება, ლარი	391.3	491.0	666.9	729.4	786.5	866.8	936.5	1048.7	1071.7

ცხრილი 4

საერთო სარგებლობის ტრანსპორტის ტვირთბრუნვა ტრანსპორტის სახეების მიხედვით (მლნ ტონა-კმ) [26]

წელი	სულ	მათ შორის:			
		სარკინიგზო	საავტომობილო	საზღვაო	საჰაერო
2006	8114.2	7393.2	586.1 ¹⁾	131.0	3.9
2007	7645.5	6927.5	594.3	120.1	3.6
2008	7165.6	6515.7	602.6	45.4	1.9
2009	6029.2	5417.0	611.1	-	1.1
2010	6848.1	6227.5	619.7	-	0.9
2011	6690.0	6054.8	628.4	5.3	1.5
2012	6616.8	5976.6	637.3	2.4	0.5
2013	6172.4	5525.9	646.1	-	0.4
2014	5643.6	4987.6	655.1	-	0.9

დღეისათვის საქართველოს რკინიგზის ყველაზე მომგებიანი მიმართულება სატვირთო გადაზიდვებია. შპს „საქართველოს რკინიგზის“ მონაცემებით, წელიწადში საშუალოდ 20 მლნ ტონა ტვირთი გადაიზიდება და დაახლოებით 3 მლნ მგზავრის გადაყვანა ხორციელდება, ხოლო საავტომობილო გზების საშუალებით საქართველოში წლიურად დაახლოებით 25 მლნ ტონა ტვირთის გადაზიდვა და 260 მლნ მგზავრის გადაყვანა ხდება. ამასთან აღსანიშნავია, რომ გადაზიდული ტვირთების 60% სწორედ საავტომობილო გადაზიდვებზე მოდის. მიუხედავად ამისა, საქართველოს რკინიგზა დღემდე ითვლება ალტერნატიულ გზად კავკასიისა და ცენტრალური აზიის რეგიონების ევროპასთან დასაკავშირებლად. სტრატეგიული მნიშვნელობის საქართველოს

პორტები და ტერმინალები პირდაპირ უკავშირდება აზერბაიჯანის, უკრაინის, რუსეთის, ბულგარეთის სარკინიგზო ხაზებს.

საქართველოს სატრანსპორტო დერეფნის ფუნქციის გაძლიერების მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება იყო 105 კმ-იანი მონაკვეთის სარკინიგზო მაგისტრალის ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო მშენებლობის დაწყება, რომლის ღირებულებაც 422 მლნ დოლარია.

საქართველოს საავიაციო ბაზარი ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში მნიშვნელოვანი ზრდის ტემპით გამოირჩეოდა. საქართველოში სამი საერთაშორისო და ერთი შიდა აეროპორტი ფუნქციონირებს (თბილისის საერთაშორისო აეროპორტი, ბათუმის საერთაშორისო აეროპორტი, ქუთაისის დავით აღმაშენებლის სახელობის საერთაშორისო აეროპორტი, მესტიის თამარ მეფის სახელობის აეროპორტები), რომლებიც სრულად შეესაბამება საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის ორგანიზაციის (ICAO) სტანდარტებს. საქართველოს საავიაციო ბაზარი უმეტესწილად საერთაშორისოა; ფრენების უმეტესი ნაწილი თბილისის აეროპორტზე მოდის. 2014 წელს საქართველოს ავიაკომპანიების მიერ გადაყვანილი მგზავრების რაოდენობამ 2,008,514 ადამიანს მიაღწია, რაც 10%-ით მეტია წინა წლებზე.

საქართველოში ფუნქციონირებს საზღვაო ტრანსპორტი, ტერმინალები და პორტები, რომელთაგან ბათუმის პორტი ევროპა-კავკასია-აზიის კორიდორის მნიშვნელოვან რგოლს წარმოადგენს, პორტის განვითარების ძირითადი ფაქტორი იყო და არის კასპიის ზღვის ნავთობი. ეკონომიკის სამინისტროს სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, ბათუმის საზღვაო ნავსადგურში ტვირთბრუნვა 2014 წელს 24%-ით შემცირდა, 2013 წლის მონაცემებით, ბათუმის პორტმა 8,3 მლნ ტონა ტვირთი გადაამუშავა, 2014 წელს კი – 6,3 მლნ.

ფოთის პორტმა, რომელიც დამაკავშირებელი რგოლია ტვირთების გადაზიდვისას თურქეთიდან, ახლო აღმოსავლეთიდან და ევროპიდან – შუა აზიის ქვეყნებსა და ავღანეთში, სტატისტიკური მონაცემებით, ტვირთბრუნვა 2014 წელს 16,2%-ით გაზარდა, 8,6 მლნ ტონა ტვირთი გადაამუშავა და გადაამუშავებული კონტეინერების რაოდენობა ერთი წლის განმავლობაში 331 324-დან 384 992 ერთეულამდე გააუმჯობესა.

ყულევის პორტი – შპს „შავი ზღვის ტერმინალი“, რომელიც ნავთობტერმინალ კომპანია SOCAR-ის ეკუთვნის, ტანკერების დატვირთვის მაჩვენებელი (total quantity of tankers loaded) წლიური 22,3%-ით გაიზარდა. შავი ზღვის ნავთობტერმინალის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაციით, 2014 წელს პორტში 170 ტანკერის დატვირთვა მოხდა, 2012 და 2013 წლების ამავე პერიოდში კი 129 და 139 ტანკერი იყო დატვირთული.

საქართველოს ტერიტორიაზე გადის 3 საერთაშორისო მნიშვნელობის მილსადენი (ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი, ბაქო-სუფსის დასავლეთის მარშრუტის საექსპორტო მილსადენი, სამხრეთ კავკასიური მილსადენი), რომლის საშუალებითაც ნავთობპროდუქტები შუა აზიიდან ევროპას მიეწოდება. ასევე არსებობს კიდევ ერთი ჩრდილოეთ-სამხრეთის ბუნებრივი აირის – გაზის მაგისტრალური მილსადენი, რომლის საშუალებითაც ბუნებრივი აირი რუსეთიდან საქართველოს და სომხეთს მიეწოდება.

უნდა აღინიშნოს, რომ სატრანსპორტო მომსახურება მომსახურების ის მნიშვნელოვანი დარგია, რომელსაც 2014 წელს მომსახურების ექსპორტის 32,4% და იმპორტის ნახევარზე მეტი (57,0%) ეკავა. სატრანსპორტო მომსახურების ექსპორტი 2014 წელს 967.1 მლნ აშშ დოლარს, ხოლო იმპორტი 932.7 მლნ აშშ დოლარს შეადგენდა (ცხრ. 5).

ცხრილი 5

სატრანსპორტო მომსახურება სატრანსპორტო საშუალებების სახეების მიხედვით 2009-2013 წლებში [34]

	2010	2011	2012	2013	2014	ზრდა 2014/ 2013	2014 სტრუქტურა
	მლნ აშშ დოლარი				პროცენტი		
ექსპორტი	695.1	796.8	849.6	960.8	967.1	0.7	100.0
საზღვაო ტრანსპორტი	111.8	140.2	131.7	160.8	154.4	-4.0	16.0
საჰაერო ტრანსპორტი	101.6	148.1	166.0	209.8	199.7	-4.8	20.6
სარკინიგზო ტრანსპორტი	122.7	156.2	163.4	158.6	149.9	-5.5	15.5
საავტომობილო ტრანსპორტი	72.9	74.6	109.5	138.2	133.7	-3.3	13.8
მილსადენი	286.1	277.6	278.9	293.3	329.4	12.3	34.1
იმპორტი	554.2	691.6	803.8	888.2	932.7	5.0	100.0
საზღვაო ტრანსპორტი	155.1	233.7	239.5	295.2	309.1	4.7	33.1
საჰაერო ტრანსპორტი	131.9	155.6	183.0	200.4	201.5	0.6	21.6
სარკინიგზო ტრანსპორტი	48.7	63.6	47.3	44.1	43.4	-1.5	4.7
საავტომობილო ტრანსპორტი	218.5	238.7	333.9	348.5	378.7	8.7	40.6
მილსადენი	-	-	-	-	-	-	-

2009-2014 წლებში საქართველოს სატრანსპორტო მომსახურების ექსპორტში ყველაზე მაღალი მილსადენების წილი იყო, რომელიც 2014 წელს (34.1%), წინა წელთან შედარებით, 36.1 მლნ აშშ

დოლარით (12.3%-ით) გაიზარდა. ყველა დანარჩენ პუნქტებში (საზღვაო – (-4.0%), საჰაერო – (-4.8%), რკინიგზის –(-5.5%), საავტომობილო – (-3.3%)) 2014 წელს, 2013 წელთან შედარებით ადგილი აქვს კლება. რაც შეეხება იმპორტს, აქ საქმე შედარებით, უკეთესადაა. სატრანსპორტო მომსახურების იმპორტში 2014 წელს ყველაზე მაღალი ხვედრითი წილი (40.6%) ჰქონდა საავტომობილო მომსახურებას, რომლის ზრდის ტემპი წინა წელთან შედარებით 3.7% იყო. მოცულობით შემდეგ მოდის საზღვაო ტრანსპორტის იმპორტი, 33.1% ხვედრითი წილით და საჰაერო ტრანსპორტით მომსახურების იმპორტი (ხვედრითი წილი 21.6%). მომსახურების იმპორტში სარკინიგზო ტრანსპორტის ისედაც მოკრძალებული წილი 2014 წელს კიდევ უფრო შემცირდა წინა წელთან შედარებით (-1.5%-ით) და 4.7% შეადგინა.

სექტორების მიხედვით, საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ყველაზე დიდი წილი ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაზე მოდის და 2014 წელს 343 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 27 პროცენტია (ცხრ. 6).

ცხრილი 6

ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაში განხორციელებული ინვესტიციები ფიქსირებულ აქტივებში საქმიანობის სახეების მიხედვით [26]

წელი	სულ	მათ შორის				
		სახმელეთო ტრანსპორტი, მილსადენებით ტრანსპორტირება	წყლის ტრანსპორტი	საჰაერო ტრანსპორტი	დამხმარე და დამატებითი სატრანსპორტო საქმიანობა, სამოგზაურო ბიუროების საქმიანობა	ფოსტა და კავშირგაბმულობა
	მლნ ლარი					
2006	861,5	218,6	0,4	19,1	336,4	287,1
2007	896,0	593,2	-	0,6	67,2	234,9
2008	550,4	183,4	-	0,9	60,9	305,3
2009	971,8	561,8	0,0	7,7	146,2	256,1
2010	1172,1	464,8	0,2	5,7	290,6	410,8
2011	924,3	473,8	0,2	3,6	180,6	266,1
2012	1111,8	482,5	0,1	2,4	383,8	243,1
2013	878,2	485,5	0,0	0,7	166,8	225,1
2014	579,2	236,0	-	0,6	158,3	184,2

კარგად განვითარებული სატრანსპორტო და კავშირგაბმულობის ინფრასტრუქტურული მომსახურების სრულყოფა ქვეყნის კონკურენტუნარიანობის და სატრანზიტო პოტენციალის ზრდის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. ამასთან, ლოგისტიკა, როგორც თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად განვითარებადი დარგი, შესაძლებლობას უქმნის საქართველოს, მაქსიმალურად გამოიყენოს საკუთარი სატრანზიტო და სავაჭრო პოტენციალი. შესაბამისად, სახელმწიფოს პოლიტიკა მიმართული უნდა იყოს ამ სფეროს შემდგომი განვითარებისკენ ინფრასტრუქტურის დახვეწის, ინვესტიციების მოზიდვისა და ქვეყნის საერთაშორისო და რეგიონულ სატრანსპორტო სისტემებში ინტეგრაციის გზით. თუმცა, აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის სრულყოფის და ლოგისტიკური ცენტრების განვითარების მიზნით, სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს სატრანსპორტო სფეროში კონკურენტული გარემოს ფორმირებას, რაც გულისხმობს სატრანსპორტო მომსახურებით დაინტერესებული კომპანიებისთვის ბაზარზე დაშვების თავისუფლებას. ასევე: საინფორმაციო სისტემების განვითარებას და ტრანსპორტის სტატისტიკის ერთიანი ბაზის ფორმირებას; სატრანსპორტო დოკუმენტების ელექტრონულად დამუშავების სისტემის დახვეწასა და თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების ფართოდ გამოყენებას. ასევე აუცილებელია საგზაო უსაფრთხოების დონის ამაღლება. ამ მიზნით უნდა შემუშავდეს და განხორციელდეს სისტემური ღონისძიებები, რაც, თავის მხრივ, ახალი საგზაო უსაფრთხოების სტრატეგიის შემუშავებას განაპირობებს.

დღესდღეობით წარმატებული სახელმწიფო მართვა წარმოუდგენელია კავშირგაბმულობის, როგორც მომსახურების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დარგის განვითარების გარეშე. საქართველოში ამ ახალი სისტემების დანერგვას მოჰყვა ელექტრონული კომუნიკაციებისა და მაუწყებლობის სფეროს სტრუქტურული რეორგანიზაცია. 2002 წელს შეიქმნა „საქართველოსა და მოწინავე ქვეყნებს შორის ციფრული უთანასწორობის რეგულირების სახელმწიფო კონცეფცია“, რომელიც ითვალისწინებდა საქართველოში საინფორმაციო და ტელეკომუნიკაციების ბაზრისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბებას.

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროში შექმნილია კავშირგაბმულობისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტი, რომელიც უშუალოდ მოწოდებულია, რომ განსაზღვროს: კავშირგაბმულობის, ფოსტის და საინფორმაციო-სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები და შესაბამისი საკანონმდებლო-ნორმატიული ბაზა; საინფორმაციო-სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიების ქსელებისა და საშუალებების განვითარების მოკლე, საშუალო და გრძელვადიანი სტრატეგია და პრიორიტეტები;

საქართველოში მაუწყებლობა, ელექტრონული კომუნიკაციები და საინფორმაციო ტექნოლოგიები ერთ-ერთი ყველაზე კარგად განვითარებული სფეროა და მისი მანევრებადი პრაქტიკულად არ ჩამორჩება მსოფლიოს სხვა ქვეყნების განვითარების დონეს. 2000-2014 წლებში დარგის მომსახურებების საახების ზრდასთან ერთად, შემოსავლები თითქმის 10-ჯერ გაიზარდა (2000 წელს – 120 მლნ, 2014 წელს – 1 მილიარდ 174 მილიონი). საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საინფორმაციო სააგენტოს სტატისტიკით მხოლოდ 2014 წელს კომუნიკაციების სფეროდან სხვადასხვა გადასახადის სახით სახელმწიფო ბიუჯეტში შენატანმა 301 მლნ ლარზე მეტი შეადგინა.

საქართველოში ფიჭური ქსელის ბაზარი 2013 წელს 4 999 000 რეგისტრირებულ აბონენტს ითვლიდა. 2013 წლის მდგომარეობით, ფიჭური სატელეფონო ქსელით მოცულია დასახლებული ტერიტორიის 99%, ხოლო ყოველ 100 სულ მოსახლეზე აბონენტების სიმკვრივის მანევრებადმა 111.4% მიაღწია. საქართველოში ფიქსირებული სატელეფონო კომუნიკაციების აბონენტების რაოდენობამ 2013 წელს 1.20 მლნ აბონენტი, ხოლო სიმკვრივემ 94.1% შეადგინა. ამასთან, სატელეფონო სიმკვრივე ქალაქ თბილისში 108.5%-ს შეადგენს, ქალაქ ქუთაისში – 102.0%-ს, ქალაქ ბათუმში – 93.6%-ს, სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში (ზუგდიდის გამოკლებით) – 2.1%, რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთის რეგიონში კი – 2.9%-ს. 2013 წელს ქვეყანაში ინტერნეტმომხმარებელთა რაოდენობამ 2 169 129 შეადგინა. ფიქსირებული კავშირის ინტერნეტი მხოლოდ ურბანულ დასახლებებშია ხელმისაწვდომი, ხოლო მაღალი სიჩქარის ფიჭური ტელეფონის ინტერნეტი (HSPA+/3.5G) სასოფლო ტერიტორიების მხოლოდ 50%-ს ფარავს. ოპტიკურ-ბოჭკოვანი ხაზებით ამ ეტაპზე დაფარულია ძირითადი ქალაქები. 2014 წელს მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მიერ გამოქვეყნებულ საინფორმაციო ტექნოლოგიების გლობალურ ანგარიშში მოყვანილი ქსელური მზადყოფნის ინდექსში (NRI) 148 ქვეყნიდან საქართველომ რეიტინგულ ცხრილში მე-60 ადგილი დაიკავა.

საქართველოს სტატისტიკური სამმართველოს მონაცემებით, კავშირგაბმულობის დარგის მდგომარეობა ბოლო წლებში შემდგენაირად გამოიყურება (ცხრ. 7):

ცხრილი 7

კავშირგაბმულობის ძირითადი მანევრებადები [29]

წლები	სატელეფონო სადგურების რაოდენობა, ერთეული	სატელეფონო ქსელში ჩართული აბონენტების რაოდენობა		ფიჭური კავშირის აბონენტების რაოდენობა, ათასი
		. სულ, ათასი ცალი	აქედან ბინის	
2003	396	588.3	363.8	560.8
2004	318	532.8	445.1	840.6
2005	346	544.4	480.8	1174.3
2006	364	571.7	507.6	1703.9
2007	221	577.2	500.2	2310.4
2008	202	571.6	503.5	2755.1
2009	237	611.1	541.3	3130.5
2010	198	566.0	515.4	3715.9
2011	208	594.0	511.5	3921.2
2012	226	580.3	503.9	4046.8
2013	248	679.8	573.7	4411.8
2014	243	574.0	517.0	4515.1

მიუხედავად იმისა, რომ დღესდღეობით საქართველო თავისი ეკონომიკური მანევრებადებით აკმაყოფილებს დასავლეთის ტიპის საინფორმაციო საზოგადოების მოთხოვნებს და, მისი მთლიანი შიდა პროდუქტის უმეტესი წილი მოდის მომსახურების სფეროზე (59.6%), ის მსოფლიო რუკაზე საკმაოდ ჩამორჩენილ ქვეყნად რჩება ინფორმაციზაციისა და ელექტრონული მმართველობის თვალსაზრისით.

საერთო დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ საქართველო, ინფორმაციზაციისა და ელექტრონული მმართველობის მხრივ, იმყოფება განვითარების დაბალ საფეხურზე. ჩვენს ქვეყანას ძლიერი პოზიციები გააჩნია ადამიანური რესურსის მხრივ, მაგრამ სერიოზული ხარვეზების წინაშე

დგას უახლესი ტექნოლოგიების დანერგვის, გამოყენების, მოქალაქეთა მომსახურებისა და მათი მმართველობითი პროცესში ჩართვის მხრივ.

ამგვარად, ტრანსპორტირების, კავშირგაბმულობისა და მისი მომსახურების სფეროებში საქართველოს რეგიონის ლიდერად გადაქცევისათვის ჩვენს ქვეყანას კიდევ ძალიან რთული გზა აქვს გასავლელი და მნიშვნელოვანი ინტელექტუალური და ფინანსური ინვესტიციების განხორციელებაა საჭირო, რომ ქვეყანამ, ინფორმატიზაციისა და სატელეკომუნიკაციო მმართველობის მხრივ, დასავლეთის სტანდარტებთან მიახლოება და, მით უმეტეს, მათი სრული დანერგვა შეძლოს.

სასტუმროები და რესტორნები

მომსახურების სფეროში სასტუმროებს განსაკუთრებული ადგილი უკავია. ეს არის ბიზნესის ის სფერო, სადაც უპირველესი ამოცანაა სტუმრის მაქსიმალურ კომფორტსა და ამადლებულ განწყობაზე ზრუნვა.

ბოლო პერიოდში მნიშვნელოვნად იზრდება მსოფლიოში ტურისტული მომსახურებით მოსარგებლე ადამიანთა რიცხვი და მათ მიერ მომსახურებაზე დახარჯული თანხები განიხილება, როგორც ექსპორტი, ხოლო ტურისტული მომსახურების ექსპორტი მსოფლიო მომსახურების ექსპორტში დაახლოებით 30%-ს შეადგენს, რაც განაპირობებს მნიშვნელოვან ეკონომიკურ ზრდას.

ტურისტული მომსახურება, რომელიც ტურისტების მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად ხორციელდება, მოიცავს ტრანსპორტირების, განთავსების, კვების და მიზნობრივი მომსახურების ფართო სპექტრს.

განთავსება გულისხმობს ტურისტებისათვის სპეციალურად მოწყობილი საცხოვრებელი ფართის (სასტუმრო, ინდივიდუალური განთავსების საშუალება, კემპინგი, მოტელი, საოჯახო სასტუმროსა და სხვ.) გამოყოფას ღამის გასათევად.

გაეროს საერთაშორისო სტანდარტული დარგობრივი კლასიფიკაციის, ეროვნული ანგარიშთა სისტემის, აგრეთვე ეკონომიკურ საქმიანობათა ევროპული კლასიფიკატორის (NACE-ს) მიხედვით, სექცია (H) სასტუმროები და რესტორნები ცალკე დარგადაა გამოყოფილი და მსოფლიო ეკონომიკის ერთ-ერთი ყველაზე მზარდ და პერსპექტიულ სფეროდ ითვლება. დღეს სასტუმროების საქმიანობა ინდუსტრიაა და შესაბამისად მრავალფეროვან პროდუქტებს სთავაზობს მომხმარებელს, რომელთა ქვეშ იგულისხმება არა მარტო ნომრები და საწოლი ადგილები, არამედ ისეთ მომსახურებას, როგორიცაა: კვება, ნომრიდან მომსახურების შეკვეთა, გართობა, მინიბარი, საცურაო აუზები და ა.შ. სტუმრებს შეუძლიათ ისარგებლონ უსაფრთხოების სამსახურებით;

მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურით – (გაყიდვების, კონფერენციების, რეკლამისა და სხვ.)

მაგალითად, ამერიკელებს სასტუმრო მომსახურების ინდუსტრიაში გაერთიანებული აქვთ ეკონომიკის ყველა მონათესავე დარგი, რომლებიც სპეციალიზებულია მოგზაური ადამიანების მომსახურებაზე ისეთი საწარმოების სახით, როგორიცაა თვით სასტუმრო, რესტორნები, ტურისტული სააგენტოები, ნაციონალური პარკები და სხვ. აშშ-ში, დასაქმების მიხედვით, ეს დარგი მეორე ადგილზეა. იგი სამუშაოთი უზრუნველყოფს 10 მლნ-ზე მეტ ადამიანს. მას შემდეგ, რაც სასტუმრო მომსახურების ინდუსტრიაში გამოჩნდა ისეთი გიგანტები, როგორიცაა „McDonald’s“, „FastFood“, „Burgez King“, „Pizza Hut“, „მარიოტი“ და სხვ. სასტუმრო-სარესტორნო საქმიანობა საოჯახო ბიზნესიდან, რომელიც განასახიერებდა საკუთრებაზე ტიპურ კერძო მფლობელობას, გარდაიქმნა მძლავრ ინდუსტრიად. ამ სფეროში დომინირებულია ტრანსნაციონალური კომპანიები, რომლებიც ბაზარზე წარმოდგენილი არიან „ქსელების“ სახით.

უნდა აღინიშნოს, რომ პოსტკომუნისტურ სივრცეში და მათ შორის საქართველოში სხვადასხვა მიზეზით სარესტორნო-სასტუმრო და ტურისტულმა ბიზნესმა ვერ მოიპოვა ისეთი გაქანება, როგორც დასავლეთის ქვეყნებშია (კერძოდ აშშ-ში). ეკონომიკური და მმართველობითი საფუძვლები ჯერ კიდევ არაა ეკონომიკური მეცნიერების დამოუკიდებელი დარგი, ხოლო სტუმარმასპინძლობის მარკეტინგის და მენეჯმენტის საუნივერსიტეტო შესწავლა ჩვენში გვიან დაიწყო. ამასთან, ჩვენს საგანმანათლებლო სისტემას არ ძალუძს, ასწავლოს სწორი მომსახურება.

საქმიანი ადამიანების და ბიზნესმენების მოთხოვნა საკმაოდ მდგრადია და მიზანმიმართულია მომსახურების მაღალი დონის და ხარისხის სასტუმროებზე. ამიტომ მსოფლიოს სასტუმრო მეურნეობაში ლიდერი მდგომარეობა ლუქსის და I კლასის სასტუმროებს უკავია. არანაკლებ პოპულარულია საშუალო და ეკონომიკურ კლასი, საკურორტო ტიპის სასტუმროები, ასევე სასტუმრო-აპარტამენტები. სასტუმროების პრიორიტეტებს განსაზღვრავს: ფასი, მომსახურების ხარისხი, დასვენებისა და სერვისული მომსახურების პირობები, სასტუმროს მდებარეობა.

საქართველოს სტატისტიკის სამსახურის ინფორმაციით, 2014 წელს საქართველოში სასტუმროების და სასტუმროს ტიპის დაწესებულებების რაოდენობა 150-ით გაიზარდა, 2013 წელს 59-ით, ხოლო 2012 წელს 161-ით.

გასულ წელს 2897-ით გაიზარდა ნომრების რაოდენობა, ხოლო სტუმართა რაოდენობა 136 ათასი კაცით. აქედან, არარეზიდენტების რაოდენობა გაიზარდა 93 ათასით. 2014 წელს სასტუმროებში და სასტუმროს ტიპის დაწესებულებებში დამატებით დასაქმდა 1476 კაცი (ცხრ. 8):

სასტუმროების და სასტუმროს ტიპის დაწესებულებების ძირითადი მაჩვენებლები [26]

	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014
სასტუმროების რაოდენობა	353	386	462	616	777	836	986
ნომრების საერთო რაოდენობა	8582	9393	10564	12901	14463	15351	18248
საერთო ფართობი, ათასი კვ. მ	485.3	536.9	611.0	747.7	875.5	889.6	1032.4
სტუმართა რაოდენობა, სულ (ათასი კაცი)	266.3	350.0	596.9	853.0	1185.1	1255.5	1391.4
აქედან, არარეზიდენტები	103.7	150.9	306.5	438.5	625.5	773.6	866.2
სასტუმროებში დასაქმებულთა რაოდენობა	4237	4824	6161	7416	8561	8735	10211

საქართველოს სტატისტიკის სამსახური

როგორც მე-12 ცხრილიდან ჩანს, 2009-2014 წლისათვის საქართველოში საგრძნობლად იმატა როგორც სასტუმროების (986), ისე სტუმართა რიცხვმა (1391.4) სასტუმროებში, ხოლო 2009 წელთან შედარებით ადგილების საერთო რაოდენობა 4-ჯერ გაიზარდა. ასევე სასტუმროების დატვირთვაც წლის განმავლობაში მზარდია, მაგრამ ეს ზრდა ჯერ კიდევ მიხერულია მაღალი ეკონომიკური მაჩვენებლისათვის.

მთიან რეგიონებში ტურისტთა უმრავლესობის განთავსება ხდება მცირე და საშუალო ზომის საოჯახო სასტუმრო სახლებში საბაზრო მომსახურებით. ეს სტუმარს აძლევს უნიკალურ შესაძლებლობას, ახლოს გაეცნოს ადგილობრივ მცხოვრებლებს, მათ კულტურასა და ტრადიციებს. ყველაზე მეტი ტურისტი ჩამოდის ბუნების დასათვალიერებლად – 52%, კულტურული დასვენების მიზნით კი ჩამოდის 23%, სათავგდასავლო მიზნით – 13%, ღვინის, სამზარეულოს გაცნობის მიზნით – 5%, დასვენების და რელაქსაციის მიზნით – 4%, დანარჩენები – 1%-1%.

ტურიზმის ინდუსტრიაში მნიშვნელოვანი ფუნქცია აკისრია სარესტორნო ბიზნესს, რომლის გამართული ფუნქციონირება ბევრ პრობლემასა და რისკთანაა დაკავშირებული. სტატისტიკის მიხედვით, სარესტორნო ბიზნესში ახალი რესტორნების 50% გაკოტრებას განიცდის პირველივე წელს, 65% ორ წელიწადს მუშაობს, 10-დან 1 კი მხოლოდ 5 წელიწადს ინახავს თავს, მიუხედავად სირთულეებისა, მომსახურების ტექნოლოგიაში კვებას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. საქართველოს სტატისტიკის სამსახურის მონაცემთა მიხედვით, სასტუმროებისა და რესტორნების პროდუქციის გამოშვება ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით ასეთ სურათს იძლევა (ცხრ. 10):

სასტუმროებისა და რესტორნების პროდუქციის გამოშვება ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით [26]

წელი	კვარტალი	სასტუმროები და რესტორნები – სულ	აქედან	
			სასტუმროები და სხვა მოკლევადიანი საცხოვრებელი ადგილები	რესტორნები
მლნ ლარი				
2005	...	134,6	71,7	43,5
2006	...	177,4	81,2	54,3
2007	...	193,5	93,8	62,0
2008	...	225,7	104,8	70,4
2009	...	271,5	104,5	97,9
2010	...	365,6	137,1	137,6
2011	...	574,0	202,1	232,8
2012	...	718,7	244,9	288,1
2013	...	779,6	281,3	338,9
2014	...	832,8	303,2	396,3

რაც შეეხება რეგიონებში რესტორნების მომსახურების მოცულობის მაჩვენებლებს, მე-11 ცხრილის მიხედვით შემდეგია (ცხრ. 11):

რესტორნების (კვების საწარმოების) მომსახურების მოცულობა რეგიონების მიხედვით (ათასი ლარი) [26]

	2009	2010	2011	2012	2013	2014	(%)
საქართველო – სულ მათ შორის:	175185	245277	390125	487052	508903	542684	100
ქ. თბილისი	134435	214596	328717	395030	386106	406082	74.9
აჭარის არ	5462	8554	19437	35117	54341	61866	11.4
გურია	661	555	3428	3186	4150	1599	0.29
იმერეთი	5999	6565	21511	16022	21826	26106	4.8
კახეთი	469	1167	1977	2014	6476	5363	0.9
მცხეთა-მთიანეთი	1821	3228	4017	13812	10532	10906	2.0
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	70	100	229	13	202	247	0.04
სამეგრელო-ზემო სვანეთი	19966	5889	4677	3558	8751	6199	1.4
სამცხე-ჯავახეთი	858	1394	3733	3562	4393	5397	0.9
ქვემო ქართლი	3713	2454	6555	9295	8267	13662	2.5
შიდა ქართლი	1731	775	5204	5443	3859	5257	0.9

2014 წლისათვის საქართველოში რეგიონების მიხედვით რესტორნების მომსახურებიდან შემოსავლების მაღალი ხვედრითი წილით გამოირჩევა თბილისის რეგიონი, რომლის მოცულობაც 74,9%-ს შეადგენს, შემდეგ მოდის: აჭარის რეგიონი – 11,4%; იმერეთი – 4,8 %; ქვემო ქართლი – 2,5%; მცხეთა-მთიანეთი – 2,0%; სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონი – 1,4%; კახეთი – 0,9% და ა.შ. თუმცა აღსანიშნავია რომ, სხვა რეგიონებისაგან განსხვავებით, სადაც ყველგან მეტ-ნაკლებად შემოსავლების ზრდა შეიმჩნევა, სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში პირიქით 2009 წელთან შედარებით რესტორნების მომსახურებიდან შემოსავლების ხვედრითი წილი 11,4%-დან 2014 წლისათვის 1,4%-მდე დაეცა.

მსოფლიოში მეტად გავრცელებული და პოპულარულია სწრაფი კვების მომსახურების საწარმოები. აქ ასორტიმენტი ფართო არაა. მზადდება რამდენიმე დასახელების კერძი: ცივი და ცხელი კერძი, ბუტერბროდი, სასმელები, ნაყინი და სხვა. აქ ხშირად დანერგილია თვით-მომსახურების სისტემა. სწრაფი კვების ობიექტების წარმატება განპირობებულია რამდენიმე ელემენტით: ხარისხი, ოპერატიულობა, სისუფთავე, აუცილებელი მომსახურება, ფასი, პროცესების ავტომატიზაცია და ძლიერი სარეკლამო კომპანია. მსოფლიოში ცნობილი სწრაფი მომსახურების ფორმებია: „McDonald’s“, „FastFood“, „Burger King“, რომლებიც სპეციალიზებულია ჰამბურგერებზე, „Pizza Hut“ – მუშაობს პიცაზე, Frac – საფრანგეთში, Nordsee – გერმანიაში სტუმრებს სთავაზობს ზღვის ნობათს, თევზს, ბოსტნეულის სალათებს, წვენებს; KFC (Kentucky fried chicken) – ამერიკული სწრაფი კვების რესტორნების ქსელი სახელგანთქმულია თავისი ლეგენდარული ქათმის მომზადების საიდუმლო რეცეპტით.

დღეს დიდი წარმატებით სარგებლობს „McDonald’s“-ი, რომელიც 80-ზე მეტ ქვეყანაში, მათ შორის საქართველოშიც, წარმატებით საქმიანობს (საქართველოში „McDonald’s“-ის პირველი რესტორანი 1999 წელს გაიხსნა და დღეს 6 ფილიალი აქვს – ოთხი თბილისში, თითო ქუთაისსა და ბათუმში. ჩვენს ქვეყანაში სწრაფი კვების ბაზარზე „Wendy’s“-ა და „KFC“-ის შემოსვლით კონკურენტები ბაზარზე კონკურენციის ზრდას და გამოცოცხლებას პროგნოზირებენ). მსოფლიოში კი 119 ქვეყანაში მას 34.000-ზე მეტი რესტორანი ყოველდღიურად დაახლოებით 68 მლნ ადამიანს ემსახურება.

საერთაშორისო კვლევითმა კომპანიამ Colliers International-მა პირველად საქართველოში უძრავი ქონების ბაზრის მასშტაბური კვლევა ჩაატარა. კვლევა ძირითადად აქცენტირებულია თბილისზე, როგორც დედაქალაქზე. კვლევაში აღნიშნულია, რომ 2003-დან 2014 წლის პერიოდში საქართველოში საერთაშორისო ვიზიტორთა რიცხვი წლიურად საშუალოდ 35%-ით – 300 000-დან 5,515 მილიონამდე გაიზარდა. გაზრდილი მოთხოვნის წყალობით, საქართველოში იზრდება სასტუმროების საერთაშორისო ბრენდები და ბაზარზე ჩნდება ახალი ბრენდები: "ჰილტონი", "რიქსონი" და Best Western. კვლევის ავტორები ასევე აღნიშნავენ, რომ ქვეყნის მასშტაბით აქტიურად ხორციელდება სასტუმროების განვითარების პროექტები, მათ შორის წყალტუბოში, ყაზბეგში, ბაკურიანსა და გუდაურში. კვლევის თანახმად, თბილისიდან მოშორებით (ბორჯომი, თელავი, ყვარელი, სიღნაღი, სტეფანწმინდა, მცხეთა, წყალტუბო) მდებარე სასტუმროებში საცხოვრებელი ერთეულის, ოთახებისა და საწოლების ზრდამ 2014 წელს, 2013 წელთან შედარებით, შესაბამისად, 8%, 11% და 12% შეადგინა. რაც შეეხება ზამთრის კურორტებს "კოლიერსის" კვლევის თანახმად, 2011 წელს საქართველოს ზამთრის კურორტებზე სასტუმროს სტუმართა რაოდენობის ზრდამ ყველაზე დიდ მაჩვენებელს მიაღწია – 133%, მესტიაში ტურისტთა დაახლოებით 14-ჯერ გაზრდის წყალობით. ზამთრის კურორტებს შორის საშუალო დღიური ფასითა და საცხოვრებელი ერთეულების დატვირთვით ლიდერი გუდაურია (78 დოლარი, 44%), რომელსაც მესტია (58 დოლარი, 39%) და

ბაკურიანი (58 დოლარი, 34%) მოსდევს. ხოლო, რაც შეეხება საქართველოს საზღვრულ კურორტებს (ქობულეთი, გონიო, კვარიათი, სარფი, ჩაქვი, ანაკლია, ურეკი), 2014 წელს, 2013 წელთან შედარებით, საცხოვრებელი ერთეულის რაოდენობა 73-დან 82-მდე გაიზარდა, ოთახებისა და საწოლების რაოდენობა 25%-ით, საწოლებისა კი 31%-ით. საქართველოს კურორტებიდან განსაკუთრებით საყურადღებოა ბათუმი. აქ სასტუმროს ვიზიტორთა რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა 2009 წლიდან მოყოლებული. კვლევის თანახმად, ბათუმში საცხოვრებელი ერთეულების რაოდენობა 2013 წელთან შედარებით, 2014 29-ით გაიზარდა, ოთახებით – 873-ით, საწოლების კი 1 772-ით. რაც შეეხება ჩვენს დედაქალაქს, კვლევის თანახმად, 2014 წელს, წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით, თბილისში საცხოვრებელი ერთეულების რაოდენობა 17-ით, ოთახების – 555-ით, საწოლების კი 1 385-ით გაიზარდა. როგორც კვლევაშია აღნიშნული, 2015 წელს თბილისში ხუთი ახალი სასტუმროს მშენებლობა დასრულდება, რომელიც განთავსებას 484 ოთახით გაზრდის. "თბილისში ყველაზე მეტად დატვირთული საერთაშორისო საშუალო კლასის ბრენდული სასტუმროებია (75%), რომელსაც მოსდევს საერთაშორისო მაღალი კლასის ბრენდები (74%). კვლევის თანახმად, საქართველოში ვიზიტორთა დაახლოებით 60% სასტუმროს ტიპის საცხოვრებელსა და დაქირავებულ ბინაში ჩერდება. საერთო ჯამში, უცხოელი ვიზიტორების 43% სასტუმროებს ამჯობინებს, 34% – კერძო სახლებში ან მეგობარ-ნათესავებთან რჩება. დღეისათვის საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების თანახმად, სასტუმროებისა და რესტორნების მომსახურების ეკონომიკური მაჩვენებლები ასე გამოიყურება (ცხრ. 12):

ცხრილი 12

სასტუმროების და რესტორნების ეკონომიკური მაჩვენებლები [6]

	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014
ბრუნვა, მლნ ლარი	179.0	192.8	224.6	280.0	383.9	573.8	730.0	787.4	843.6
დამატებული ღირებულება, მლნ ლარი	74.8	84.1	93.7	114.3	149.9	200.9	281.2	296.4	327.3
შუალედური მოხმარება, მლნ ლარი	102.6	109.4	132.0	157.2	215.7	373.1	437.5	483.2	505.5
ფიქსირებული აქტივები, მლნ ლარი	222.9	186.0	379.0	591.3	646.8	680.1	749.4	656.6	730.8
დასაქმებულთა რაოდენობა, კაცი	11993	11554	11184	13540	16106	24003	27821	30285	31330
დასაქმებულთა საშუალო თვიური შრომის ანაზღაურება, ლარი	196.7	238.5	333.7	364.9	377.9	342.5	397.3	437.1	477.8

მსოფლიოში ბევრი ადამიანისთვის საქართველო ჯერ კიდევ სრულიად უცნობი მხარეა. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ჩვენს ქვეყანაში სტუმრობის გამოცდილება ტურისტისათვის დადებითი იყოს, რომ მას აქ დაბრუნების სურვილი გაუჩნდეს, თანაც თავის მეგობრებთან ერთად. მომსახურების სფეროს იმ მაღალი სტანდარტების შესწავლა, რასაც მიჩვეული არიან დასავლელი ტურისტები, მიზანშეწონილია იმ ქვეყნებში, სადაც ამ სფეროს სასწავლო დაწესებულებებს საუკეთესო ტრადიციები გააჩნია, აქვთ განვითარებული სასწავლო ბაზა, ხოლო პედაგოგებს – მჭიდრო კავშირები პროფესიულ სფეროში. ამასთანავე, საზღვარგარეთ განათლების მიღება სხვადასხვა ქვეყნების წარმომადგენლებთან ურთიერთობის, მსოფლიო კულტურის გაცნობისა და საკომუნიკაციო უნარ-ჩვევების განვითარების შესაძლებლობას მოგვცემს, რაც მნიშვნელოვანია ნებისმიერ ბიზნესში, განსაკუთრებით კი სასტუმრო, რესტორნებისა და ტურიზმის სფეროში მოღვაწე ადამიანისთვის.

მომსახურების სფეროს სპეციფიკიდან და ასევე უდიდესი მნიშვნელობიდან გამომდინარე, ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკის განვითარების საქმეში მრავალ ქვეყანაში სახელმწიფო აკონტროლებს და წარმართავს ამ დარგის წინსვლას, რადგან ითვლება, რომ მომსახურების გაუზარებელი იმპორტი შეიძლება წარმოადგენდეს საშიშროებას ეროვნული უშიშროებისა და სუვერენიტეტისათვის. იგი ახორციელებს დარგის რეგულირებას, რადგან შიდა ბაზრის რეგულირების ღონისძიებათა საფუძველში ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ინტერესები დევს: ადგილობრივი სამუშაო ძალის დასაქმება, ნაციონალური თავდაცვის ინტერესები, შიდა კაპიტალდაბანდებათა ზრდის სტიმულირება, მეცნიერების განვითარება, ეროვნული კულტურული სიმდიდრის შენარჩუნება და ა.შ. ამ შემთხვევაში მეტად მნიშვნელოვანია რეგულირების ე.წ. ეროვნული ფორმა. ისინი სახელმწიფომ უნდა მიმართოს მომსახურების სტანდარტების შემუშავებისა და ხელშეწყობისათვის ისეთ უმნიშვნელოვანეს დარგებში, როგორცაა: მედიცინა, განათლება, მეცნიერება; უნდა ემსახუროდეს შიდა ბაზრის დაცვის საქმეს უცხოური კონკურენტებისაგან და ასტიმულირებდეს მომსახურებათა ექსპორტს.

საქართველოც, როგორც განვითარებადი ქვეყანა, სწორედ ამგვარ ამოცანებს უნდა ისახავდეს და ამით ფეხი აუწყოს თანამედროვე მსოფლიოს განვითარების მიმართულებებს, რათა დღევანდელი გლობალიზაციის ყოვლისმომცველ პირობებში შეძლებისდაგვარად გამოიყენოს ტექნიკური

პროგრესის მიღწევები და მოწინავე ინოვაციური გამოცდილება, მაგრამ, ამასთან ერთად, არ დაკარგოს საკუთარი ეროვნული თვითმყოფადობა, იამაყოს თავისი წინსვლისა და განვითარების საჭირო ე.წ. „ოქროს შუალედით“.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აბესაძე რ. ეკონომიკური განვითარება. თბილისი. “მერიდიანი”, 2006.
2. ასათიანი რ. თანამედროვე ეკონომიკის განმარტებითი ლექსიკონი. თბილისი “სიახლე”, 2009.
3. ქისტაური ნ., მელაშვილი მ. ინოვაციური განვითარების აუცილებლობა საქართველოში, სამეცნიერო შრომების კრებული. თბილისი. პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2009.
4. ჩიქავა ლ. ინოვაციური ეკონომიკა. თბილისი, “სიახლე”, 2008.
5. ყიფიანი გ. მომსახურების ბიზნესის ადმინისტრირება. თბილისი. “სიახლე”, 2009.
6. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური – წელიწადეული 2006-2015.
7. საქართველოს ეროვნული ანგარიშები (სტატისტიკური კრებული) 2008-2014.
8. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური – მეწარმეობა საქართველოში 2009-2015.
9. „ნ. ხადურმა მთავრობას 2015 წლის ბიუჯეტის ძირითადი ...“ netgazeti.ge/2014/09/30/36428/
10. 2015-2017 წლების საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამა, დანართი 1.
11. საქართველოს რეინიგზის სტატისტიკა 2014.
12. TSET 2013 წლის კვლევა.
13. Статья - Журнал Проблемы современной экономики <http://www.m-economy.ru/art.php?nArtId=4588>
14. Журнал ВАК : ..СИСТЕМАМИ - Инфраструктурное... www.uecs.ru/.../item/2860-2014-04-16-08-29-48
15. <http://www.m-economy.ru/art.php?nArtId=1589> Социально-экономическая сущность консалтинговых услуг и особенности их реализации
16. Экономическая библиотека - <http://economy-lib.com/razvitie-rynka-delovyh-uslug-v-usloviyah-prisoedineniya>
17. ჯადირაშვილი გ., ჯანგულაშვილი დ., ტურიზმის საფუძვლები, თბ., 2014.
18. რა მდგომარეობაა სასტუმროების ბაზარზე საქართველოში ... <https://ici.ge/.../ra-mdgomareobaa-sastumroebis-bazarz...>
19. საქართველოს ტურიზმის სტატისტიკური მიმოხილვა 2013-2014.
20. ქობლანიძე თ., მელაძე მ., ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტი, თბ., 2012.
21. <http://milanas.info/2010/04/04/международный-туризм-состояние-и-пер/>
22. <http://www.tophotelprojects.com/en/tourism-record-georgia-several-new-hotels-are-planned>
23. „ეკონომიკის ინფორმაციზაცია და ინფორმატიზაციის ...“ www.nplg.gov.ge/.../library.exe?..
24. საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო კავშირი - ITU www.itu.int/en/.../wtis14-press-release-ge.docx
25. საქართველო 2020 - საქართველოს ეკონომიკისა და... www.economy.ge/uploads/.../saqartvelo_2020.pdf
26. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური 2015. საქართველოს ეკონომიკის განვითარების სამინისტროს სტატისტიკის დეპარტამენტი თბ., 2015.
27. ბათუმის პორტს ტვირთბრუნვა შეუმცირდა - [Commersant ...](http://Commersant...)
28. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია. წლიური ანგარიში 2015.
29. 2003 წ. – ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტრო, 2004-2014 წწ.
30. ასათიანი რ., პაპავა ვ., მესხია ი. და სხვა, საქართველოს ეკონომიკა, 2012.
31. საქართველოს 2014-2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი gov.ge/.../288_39219_703670_2014wlibiujetispreze...
32. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, 2012, OECD, 2009.
33. სახელმწიფო საზინა.
34. საქ. საგადაამხდელი ბალანსი. 2014.

*Ketevan Kveladze
Nunu Kistauri
Medea Melashvili*

CURRENT STATE AND DEVELOPMENT PERSPECTIVES OF SOME SECTORS OF SERVICE SPHERE

Annotation

The article discusses main tendencies of economic development – the rapid growth of service sphere. Here is discussed service- as a commodity, its specific characteristics, sectors and their international classification; is analyzed some sectors of service in Georgia on the basis of rich enough statistical materials, mainly presented in tables. The

article also deals with further improvement of service sphere and main factors and the development perspectives of its influence on Georgian economy.

ნაირა ღვედაშვილი

სამედიცინო მომსახურების ხარისხის მართვის მოდელები

ჯანდაცვის საბოლოო მიზნის მისაღწევად, რომელიც საზოგადოებრივი ჯანმრთელობის მაღალი მაჩვენებლებით გამოიხატება, მნიშვნელოვანია სამედიცინო დახმარების პროფესიულად შესრულება, რაც სამედიცინო მომსახურების მაღალი ხარისხით უზრუნველყოფას და მომხმარებელთა მოთხოვნილების დაკმაყოფილებას უზრუნველყოფს.

ხარისხის პრობლემა კი მოიცავს სამეურნეო საქმიანობის თითქმის ყველა მხარეს. მაღალი ხარისხი - ეს არის შრომისა და მატერიალური რესურსების დაზოგვა, საექსპორტო შესაძლებლობათა ზრდა. საბოლოო ჯამში კი, საზოგადოების მოთხოვნილებათა უკეთ დაკმაყოფილება. სწორედ ხარისხის გაუმჯობესების მიზანს უნდა ემსახურებოდეს მართვის და დაგეგმვის მთელი მექანიზმი [3].

რაც შეეხება ჯანდაცვაში ხარისხს, მას განსაკუთრებული სპეციფიკა გააჩნია. თანამედროვე პირობებში სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფის ხარისხის მიმართ რამდენიმე ურთიერთგანსხვავებული კონცეპტუალური მიდგომა არსებობს. მათგან ყველაზე მისაღები, ჩვენი აზრით, არის რუსი მეცნიერის ა. დონაბედიანის წინადადება, რომ სამედიცინო მომსახურების ხარისხი განესაზღვროთ შემდეგი სამი ასპექტით [4; გვ.96]:

1. სტრუქტურის ხარისხი (რესურსები – შენობა-ნაგებობები, მოწყობილობა, მასალები, კადრების ხრისხი);
2. პროცესების ხარისხი (ტექნოლოგია, პროფილაქტიკა, დიაგნოსტიკა, მკურნალობა, სამედიცინო-სოციალური რეაბილიტაცია, სტანდარტების დაცვა);
3. შედეგების ხარისხი (კლინიკურ მაჩვენებელთა მიღწევა და მათი შესაბამისობა ეკონომიკურ მაჩვენებლებთან).

პაციენტისთვის სამედიცინო მომსახურების გაწევის პროცესში ხარისხი მედპერსონალის და პაციენტის ურთიერთქმედების ყველა ასპექტს ასახავს. შედეგად, ამ ურთიერთქმედების ყველა ნაწილი, ყველა ნიუანსი არის სამედიცინო მომსახურების ხარისხის მახასიათებელი.

ამჟამად მედიცინაში ზოგადად მიღებულია ხარისხის შემდეგი მახასიათებლები: [4; გვ.97]:

- პროფილაქტიკური მიმართულება;
- ხელმისაწვდომობა;
- შედეგიანობა;
- პიროვნებათაშორისი ურთიერთობები;
- ეფექტიანობა;
- ეკონომიკურობა;
- ადეკვატურობა;
- უწყვეტობა;
- უსაფრთხოება;
- მოხერხებულობა;
- პაციენტის კმაყოფილება.

ხარისხის მახასიათებლებიდან მეცნიერები განსაკუთრებით გამოყოფენ ეფექტიანობას, ეკონომიკურობას და ადეკვატურობას.

ეფექტიანობა გვჩვენებს სამედიცინო მომსახურებაზე გაწეული რესურსული დანახარჯების შეფარდებას მიღებულ შედეგთან.

ეკონომიკურობა გვჩვენებს რესურსული დანახარჯების ნორმატივთან შეფარდებას.

ადეკვატურობა კი გვჩვენებს მოთხოვნილი (სტანდარტი) და გაწეული სამედიცინო მომსახურების ურთიერთშეფარდებას. მხედველობაშია დახმარების გაწევის დროულობა, გამოყენებული ტექნოლოგია, დახმარების ხელმისაწვდომობა პაციენტის მხრიდან და სხვა.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში დიდი მნიშვნელობა აქვს ჯანდაცვის დარგში სამედიცინო მომსახურების ხარისხის ამაღლების პრობლემას. ხარისხის ამაღლება ჯანდაცვის დაწესებულებას შესაძლებლობას აძლევს, აწარმოოს კონკურენტუნარიანი, პაციენტზე ორიენტირებული სამედიცინო მომსახურება. სამედიცინო მომსახურების ხარისხი არის სახელმწიფოს მიერ დადგენილი კრიტერიუმებით და სტანდარტებით დაცული საქმიანობა, რომელიც აკმაყოფილებს მოსახლეობის მოთხოვნას და აძლევს მათ ჯანმრთელობის გარანტიას.

ჩვენი ქვეყნის ჯანდაცვის დარგში სამედიცინო მომსახურების ხარისხის ასამაღლებლად საჭიროა ჯანდაცვის ყველა დაწესებულებაში მთელი რიგი ღონისძიებების გატარება, რისთვისაც აუცილებელია ხარისხზე მოქმედი ფაქტორების შესწავლა. სამედიცინო მომსახურებაზე მოქმედი ფაქტორები კი შეიძლება ასე ჩამოვყალიბოთ: სამედიცინო მომსახურებაზე მოთხოვნის გან-

სახლვრა, სტანდარტების შემუშავება, ადამიანური რესურსების მოზიდვა, მომზადება და გადაზიდვა, მკურნალობის მოწინავე, პროგრესული ფორმების დანერგვა და ა. შ. ყველა მნიშვნელოვანი და გასათვალისწინებელი ფაქტორია, მაგრამ ადამიანური რესურსები მაინც გადამწყვეტ გავლენას ახდენს სამედიცინო მომსახურების ხარისხზე. სწორედ ამან განაპირობა ჯანდაცვის სპეციალისტებისაგან არა მხოლოდ პროფესიული უნარჩვევების, არამედ სამართლებრივი ნორმების, პედაგოგიის და სოციალური ფსიქოლოგიის ცოდნის აუცილებლობა. ჯანდაცვის სფერო სხვადასხვა ცოდნის და უნარების ადამიანებით არის დაკომპლექტებული, რომელთაც სპეციალური მართვა სჭირდებათ.

საქართველოს ჯანმრთელობის სისტემას ხელმძღვანელობს შრომის, ჯანდაცვის და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო. მას ექვემდებარებიან ამბულატორიები, პოლიკლინიკები, საავადმყოფოები, სანატორიულ-საკურორტო დაწესებულებები, სასწრაფო დახმარებები, დედათა და ბავშვთა სახლები, სამშობიაროები, აფთიაქები და სხვა.

ჩამოთვლილთაგან თითოეულ სამედიცინო დაწესებულებას მართვის თავისი სტრუქტურა აქვს, თითოეულ მათგანში შექმნილია ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი, რომელიც დაკომპლექტებულია ერთი ან მეტი სპეციალისტით. ამ დეპარტამენტს ევალება ორგანიზაციაში საკადრო პოლიტიკის შემუშავება და მისი გატარება. მასში ნაჩვენებია უნდა იყოს ადამიანური რესურსების საჭიროება, პერსონალით უზრუნველყოფის წყარო, მოტივაცია და ატესტაცია, შრომის პირობები და ანაზღაურების პირობები, დასაქმებულთა უწყვეტი სწავლების ორგანიზება და სხვა.

ადამიანურ რესურსებთან მუშაობის ყველაზე საპასუხისმგებლო ფუნქცია კი სწორედ პერსონალის შერჩევაა. ამ ფუნქციის შესასრულებლად სამედიცინო დაწესებულებები იყენებენ გამოცხადებულ ვაკანტურ ადგილებზე პრეტენდენტთა ანკეტებს, ინდივიდუალურ გამოკითხვებს, ტესტირებებს, წინა სამსახურიდან დახასიათებებს და რეკომენდაციებს.

დაკავებულ თანამდებობებზე მომუშავეებს სამედიცინო დაწესებულებებში პერიოდულად უტარდებათ ატესტაცია. ამ დროს ფასდება მათ მიერ შესრულებული სამუშაოების ხარისხი და, თუ იგი სათანადო დონის აღმოჩნდა, პერსონალს უმაღლდება კვალიფიკაციის კატეგორია, გამომდინარე აქედან, ხელფასიც. ატესტაცია სავალდებულო არ არის. იგი ნებაყოფლობითია და მას ძირითად შემთხვევაში ისეთი პერსონალი ითხოვს, რომლებიც თვითგანვითარებას და თვითსრულყოფას დიდ ყურადღებას აქცევენ. სამედიცინო ორგანიზაციები, რომლებსაც ასეთი სპეციალისტები ჰყავთ, აღწევენ დიდ წარმატებას თავის საქმიანობაში, მკურნალობის მეთოდებში, სამედიცინო ინოვაციების დანერგვასა და, რაც მთავარი და უმნიშვნელოვანესია, სამედიცინო დახმარების ხარისხის ამაღლებაში. სწორედ სამედიცინო ხარისხთან დაკავშირებით, ჯანდაცვის სპეციფიკიდან გამომდინარე, უპრიანია განვიხილოთ ხარისხის უზრუნველყოფის პროცესის მართვის სამი მოდელი: 1. პროფესიული; 2. ბიუროკრატიული; 3. ინდუსტრიული.

პროფესიული მოდელი ისტორიულად ჩამოყალიბდა, როგორც სტაციონარში ხარისხის მართვის ფორმა, სადაც ხარისხის კრიტერიუმი არის სპეციალისტის პროფესიული ინდივიდუალური დონე რთული ინსტრუმენტების გამოყენების მხედველობაში მიღებით. ეს მოდელი ეფუძნება მხოლოდ ექიმის ინტუიციურ აზროვნებას. იგი ნაკლებეფექტიანი აღმოჩნდა სამედიცინო დახმარების მაღალტექნოლოგიური სისტემის დროს, რომელიც მოითხოვდა მასში სპეციალისტების დიდი რიცხვის კოორდინირებულ მონაწილეობას და ექიმის მაღალ ინტელექტუალურ შრომას. ამ მოდელში არ გაითვალისწინება ხარისხის ეკონომიკური მდგენელი, ხოლო შედეგს აფასებს თვით მკურნალი ექიმი.

ბიუროკრატიული მოდელი ეფუძნება სამუშაოს მოცულობის სტანდარტიზაციის და სამედიცინო დახმარების შედეგს. ამასთან, მისთვის დამახასიათებელია მოცემულ სფეროში ხარისხის მართვის პროფესიული მოდელის მთელი ატრიბუტიკა. ბიუროკრატიული მოდელი ამჟამად ბევრ სამედიცინო დაწესებულებაში გამოიყენება. ხარისხის მართვის ბიუროკრატიული მოდელის დანერგვა უდავოდ პროგრესული ნაბიჯია, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ამ მოდელით მართვაში არ მონაწილეობენ სამედიცინო დაწესებულების დამხმარე და სამეურნეო სამსახურები, არც რიგითი სამედიცინო მუშაკები. ამ მოდელით მართვის დროს სამედიცინო დახმარების საკითხებით დაკავებულნი არიან ადმინისტრაციული პერსონალი და სამკურნალო-დიაგნოსტიკური ქვედანაყოფების ხელმძღვანელები, რომელთა მოქმედებებზე არსებითად არის დამოკიდებული სამედიცინო მომსახურების ხარისხი. მაგრამ, ხშირად, სამედიცინო დაწესებულების ადმინისტრაცია აკონტროლებს რა ამ დაწესებულების რესურსებით უზრუნველყოფას, ღრმად არ იჭრება მის სამკურნალო-დიაგნოსტიკური პროცესების მოქმედ ტექნოლოგიებში. ფაქტობრივად, სამედიცინო მომსახურების შედეგების ანალიზს და შეფასებას ახორციელებენ ამავე სტრუქტურების ხელმძღვანელები, ანდა საერთოდ არ აფასებენ. ასეთ შემთხვევებში, სამკურნალო-დიაგნოსტიკურ პროცესებში დაშვებული გადახრები არ იზომება, არ ოპტიმიზდება და, შესაბამისად, არც კორექტირდება. შედეგად, გაწეული სამედიცინო მომსახურების შედეგების შესახებ ინფორმაცია ადმინისტრაციაში ხშირად დამახინჯებული სახით შედის და, პრაქტიკულად, ხარისხის მართვის მიმართულებით მიღებულ გადაწყვეტილებებზე ვერ ახდენს გავლენას.

ასე რომ, ზოგიერთი საავადმყოფოს ადმინისტრაცია სამედიცინო მომსახურების ხარისხის მართვის ქმედით ინსტრუმენტებს არ ფლობს. ამავე დროს, სამკურნალო-დიაგნოსტიკური

დაწესებულებების ხელმძღვანელებს არ აქვთ საკმარისი ცოდნა მართვის სფეროში და, შედეგად, არც ინტერესი დაწესებულების ფინანსურ მდგომარეობასა და იმ ხარჯებში, რომელიც მათ მიერ ჩატარებული გამოკვლევებისა და მკურნალობებისას. დაჯდა. ყველაფერი ეს ერთად, გამოკვლევებსა და მკურნალობებში არაკონტროლირებული დეფექტების არსებობას და ფინანსური ხარჯების ზრდას იწვევს. ასეთ ვითარებაში იკარგება ხარისხის უმნიშვნელოვანესი მახასიათებელი – სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობა.

ჯანდაცვის სისტემის ხელმისაწვდომობა კი გულისხმობს პაციენტის მიერ სათანადო სამედიცინო მომსახურების მიღებას, რომელიც არ უნდა იყოს შეზღუდული გეოგრაფიული, ეკონომიკური, სოციალური, კულტურული, ორგანიზაციული, ენობრივი ან სხვა ბარიერებით. ხელმისაწვდომობის განმსაზღვრელ ფაქტორს მიეკუთვნება სამედიცინო ინფორმაციის აღქმა პაციენტის მიერ, მისი კულტურული ფასეულობები, რწმენა და. შ.

სამედიცინო მომსახურების ხარისხის მართვის თანამედროვე ინდუსტრიული მოდელი, რომელსაც W.E. Demin-ის [4; გვ. 99] მოდელი ეწოდება, ეფუძნება სამ პრინციპს – პროცესუალურ მიდგომას, ხარისხის მუდმივ ამაღლებას და ხარისხის მართვაში ამ პროცესის თვითკონტროლში მთელი პერსონალის მონაწილეობას. სამედიცინო დახმარების ხარისხის უწყვეტი ამაღლება თანამედროვე მართვის თეორიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემადგენელი გახდა. დადგინდა, რომ საუკეთესო შედეგების მისაღწევად საჭიროა ძალისხმევის კონცენტრირება არა ინდივიდუალური შესრულების შემოწმებაზე, არამედ პროცესების მართვაზე, გადახრების გამოვლენასა და მისი გამომწვევი მიზეზების ანალიზზე. ეს საშუალებას მოგვცემს ავამაღლოთ კლინიკის შედეგები, არ გავებროთ სამედიცინო მომსახურების ხარჯები, ხოლო სამედიცინო პერსონალს და პაციენტებს კი შესაბამისად ვაჩუქოთ თავიანთი შრომით და სამედიცინო მომსახურებით მიღებული კმაყოფილების გრძნობა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. თ. გერზმავა, თ. ვასაძე, დ. ვესტი. ჯანდაცვის მენეჯმენტის საფუძვლები. თბ., 2001.
2. ნ. ღვედაშვილი. ჯანდაცვის ეკონომიკა და მართვა. თბ., 2005.
3. ნ. ღვედაშვილი. ჯანდაცვის მენეჯმენტი ელ. ვერსია. თბ., 2016.
4. КЛИНИЧЕСКИЙ МЕНЕДЖМЕНТ ПОД РЕДАКЦИЕЙ А. И. ВЯЛКОВА, В. З. КУЧЕРЕНКО. М. МЕДИЦИНА, 2006
5. Н. Г. ПЕТРОВА, И. В. ДОГОНОВА, С. Г. ПОГОСЯН. ОСНОВЫ МЕДИЦИНСКОГО МЕНЕДЖМЕНТА И МАРКЕТИНГА. САНКТ-ПЕТЕРБУРГ. 2013.

Naira Gvedashvili

MANAGEMENT MODELS OF THE QUALITY OF MEDICAL SERVICES

Annotation

The quality has a particular specific in health care. Thus today, there are several diverse conceptual approaches towards the quality of providing with medical services. At the process of providing medical service for the patient, the quality reflects all the aspects of interaction of the medical staffs and patient. As a result, all the parts of this interaction, all the nuances are the characteristics of the quality of medical service. Due to the specifics of the health care, there are quality assurance process management models: professional; bureaucratic; industrial, which are fully discussed in the thesis.

ცირა გვედაშვილი

ტურიზმის ბიზნესის ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური მახასიათებლები

საკუთარი მძლავრი ეკონომიკური პოტენციალის შექმნა და დინამიური განვითარება დამოუკიდებელი სახელმწიფოსათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკვანძო პრობლემაა. ეს, პირველ რიგში, მიღწეული უნდა იქნეს იმ სტრატეგიულ დარგთა კომპლექსური განვითარებით, რისი პოტენციალიც ქვეყანას გააჩნია, კერძოდ, სახელმწიფომ პრიორიტეტად უნდა აღიაროს ის დარგები, როგორც წარმოების, ისე მომსახურების სფეროში, რომელთა განვითარება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ქვეყნის მოსახლეობის ცხოვრების დონის გაზრდასა და საერთო ეკონომიკურ წინსვლას.

ეკონომიკური ზრდის პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მომსახურების სფეროს განვითარებას, რადგან მასზე ბევრად დამოკიდებული ქვეყანაში არსებული მრავალი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემის (დასაქმება, შემოსავლების გაზრდა და ა.შ.) გადაჭრა. აღნიშნული, სხვა მრავალ პრობლემასთან ერთად, ერთ-ერთი მნიშვნელოვანია, რადგან ამ სფეროში გამოუყენებელი პოტენციალი ჩვენს ქვეყანაში საკმაოდ დიდია.

სწორედ ამიტომ, ტურიზმი, როგორც მსოფლიო ეკონომიკის სწრაფად ინვესტირებადი დარგი, ქვეყნის ეროვნული ეკონომიკისა და ბიზნესის წარმატებული განვითარების მნიშვნელოვანი

ფაქტორი გახდა. მისი განვითარების როლი და სოციალურ-ეკონომიკური მნიშვნელობა განუწყვეტლივ იზრდება.

ტურიზმის როლი და მნიშვნელობა ბოლო ათწლეულში განუწყვეტლივ იზრდება როგორც ქვეყნის ეკონომიკაში, ისე საზოგადოებაში მთლიანად. მისი განვითარება პირდაპირ კავშირშია სოციალურ, კულტურულ, საგანმანათლებლო და ეკონომიკურ სფეროებზე, ასევე, სახელმწიფოთა ეკონომიკურ ურთიერთობებზე. ტურიზმი გვევლინება, როგორც დარგთაშორისი კომპლექსი, რის გამოც იგი ქვეყნის ეკონომიკაში ერთდროულად ორმაგ (როგორც საწარმოო, ისე არასაწარმოო) ფუნქციას ასრულებს.

იმისათვის, რომ ტურიზმის ბიზნესმა საქართველოს ეკონომიკაში თავისი ადგილი დაიკავოს, აუცილებელია სწორად გავიგოთ ტურიზმის სექტორის როლი საქართველოს ეკონომიკურ სტრუქტურაში, რადგან ტურიზმის ბიზნესი მნიშვნელოვანი ბერკეტი ქვეყნის ეკონომიკური ზრდისთვის.

აქვე გასათვალისწინებელია ის, რომ საქართველოში ამ სექტორის განვითარებამ და მისმა წვლილმა ეკონომიკურ წინსვლაში შეიძლება დაჩრდილოს სხვა დანარჩენი სექტორის წილი. ბუნებრივია, უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოება, რომ საქართველოს უნიკალური რესურსი გააჩნია, რომელთა გამოყენება დაკავშირებულია ჩვენი შესაძლებლობების განვითარებასთან მათი გამოყენების თვალსაზრისით. ჩვენი აზრით, ამისთვის საჭიროა შედგეს რეგიონულ დონეზე თანამშრომლობა როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მეზობელ და სხვა ქვეყნებს შორის. ტურიზმის ერთიანი ქსელის შექმნა საქართველოში ტურიზმის განვითარებას დინამიურ ხასიათს შესძენს და განსაკუთრებულ პრიორიტეტს მიანიჭებს.

გამომდინარე აქიდან, უნდა ვეცადოთ განვაითაროთ ქვეყნის ტურიზმის ინდუსტრია და რაც შეეხება ტურიზმის სექტორში არსებულ პრობლემებს, ამ მიმართულებით ჩვენი ხედვა მოიცავს შემდეგ ძირითად საკითხებს:

➤ ტურიზმი, სახელმწიფოს მხარდაჭერით, როგორც პრიორიტეტი, აყვანილი უნდა იქნეს სტრატეგიულ ბიზნესსექტორად, ამასთან, საზოგადოებას ჰქონდეს შესაძლებლობა, რომ ტურიზმის ბიზნესი აღიქვან წარმატებულ, მომგებიან ბიზნესად, რომელიც ამასთანავე, ეკონომიკური და სოციალური სფეროსათვის შექმნის რეალურ სასარგებლო გარემოს;

➤ ტურიზმის ბიზნესის განვითარებაში დაინახოთ ქვეყნის მდგრადი და სტაბილური ზრდა;

➤ აუცილებელია ყველაფერი გაკეთდეს მომხმარებლისათვის, რადგან ტურიზმის ბიზნესმა უნდა უზრუნველყოს საუკეთესო მომსახურება და პროდუქტის მიწოდება.

იმისათვის, რომ ხედვა გადავიტანოთ რეალობაში, აუცილებელია, დარგის განვითარების საერთო მიზნებიდან გამომდინარე, ერთიან კომპლექსში სტრატეგიის შემუშავება, რომელიც ჩვენთვის და ჩვენი პარტნიორებისათვის ერთნაირად გასაგები იქნება და შეესაბამება პასუხისმგებლობის მკაფიო გადანაწილებას.

ჩვენი ქვეყნის პოტენციალიდან გამომდინარე, პირველ რიგში უნდა განვსაზღვროთ ტურიზმის ძირითადი მიმართულებები, ბიზნესის ეს სფერო უნდა მოიცავდეს მოსახლეობის არა მარტო დასაქმებას, არამედ ის უნდა იყოს საქართველოს ადგილობრივი და რეგიონული ეკონომიკური განვითარების სასიცოცხლო ელემენტი. გარდა ამისა, ხელს უნდა უწყობდეს მის ხელმისაწვდომობას და გარემოს დაცვის პოლიტიკას, რათა დაცული იყოს ქვეყნის ბუნებრივი რესურსები, რომელიც ტურიზმის ბიზნესის განვითარების ბაზაა. ეს კი მოიცავს მნიშვნელოვანი რეგიონული პრობლემების გადაჭრის აუცილებლობას.

ჩვენი აზრით, ტურიზმის ბიზნესის განვითარებისას, პრიორიტეტების განსაზღვრისას საჭიროა გავითავისოთ მთლიანად ქვეყნის ბიზნესსივრცეში რა ადგილი უჭირავს ტურიზმს, როგორ აისახება საზოგადოების ცხოვრების დონეზე, ეკონომიკურ, სოციალურ და ეკოლოგიურ მდგრადობაზე. ამისათვის კი აუცილებელია გავსაზღვროთ ტურიზმის ბიზნესზე მოქმედი ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური ფუნქციები, რაც აისახება საზოგადოების, მოსახლეობის იმ ნაწილის კეთილდღეობაზე, ვინც მეტ-ნაკლებად ჩართულია ამ ბიზნესში.

ეკონომიკური ფუნქცია ვლინდება რამდენიმე ფორმით:

➤ სწორი ორგანიზაციის პირობებში მას მოაქვს სწრაფი მოგება, ტურიზმის სხვა დარგებისაგან განსხვავებით სწრაფად ინვესტირებად დარგს წარმოადგენს.

➤ ტურიზმის ბიზნესის მეშვეობით ხორციელდება ე.წ. „უხილავი ექსპორტი“, როცა ქვეყანაში ჩამოსული ტურისტები ტურისტულ მომსახურებას იძენს უცხოურ ვალუტაზე და ქვეყანაში შემოაქვს დამატებითი სავალუტო შემოსავლები;

➤ ტურისტული კომპლექსების ფუნქციონირება დიდადაა დამოკიდებული ტურიზმის მომსახურე დარგების განვითარებაზე. კერძოდ, საგარეუბნო ტიპის სოფლის მეურნეობაზე, კვების და მსუბუქი მრეწველობის ცალკეულ დარგებზე, ტრანსპორტზე, სამშენებლო ინდუსტრიაზე, საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურაზე, კულტურულ მომსახურებაზე და სხვა.

რაც შეეხება ტურიზმის ბიზნესის სოციალურ ფუნქციას ის ვლინდება იმაში რომ:

➤ იგი ხელს უწყობს კულტურათაშორის გაცვლით ურთიერთობებს;

➤ საერთაშორისო ტურიზმის განვითარებას;

➤ განათლებას საკუთარი ქვეყნის შიგნით;

➤ რეკრეაციული შესაძლებლობების უზრუნველყოფას.

ტურიზმის ეკოლოგიური ფუნქციები კი ხელს უწყობს მნიშვნელოვანი ბუნებრივი ტერიტორიების და ფაუნის, ზღვის, ეკოსისტემების, ეროვნული პარკების, ტყეებისა და ნაკრძალების განვითარებას, არქეოლოგიური და ისტორიული ობიექტების განახლებას, მათ დაფინანსებას, გარემოს დაცვას დაბინძურებისაგან, ხმაურისა და განტვირთვისაგან.

მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ ბოლო წლებში ტურისტები და დამსვენებლები უპირატესობას ანიჭებენ არა პასიურ, არამედ აქტიურ – ბუნების წიაღში მოგზაურობასა და დასვენებას. თუ ერთ შემთხვევაში ეკოლოგიური ტურიზმი გვევლინება როგორც ეკოლოგიურად სუფთა ბუნებაში მოგზაურობად, მეორე შემთხვევაში იგი უნდა განვიხილოთ როგორც სუფთა გასაყიდი ტურისტული პროდუქტი. ორივე შემთხვევაში ეკოლოგიური ტურიზმი მდგრადი ტურიზმის განვითარების მნიშვნელოვანი ელემენტია.

გამომდინარე აქედან, შეიძლება გავაკეთოთ შემდეგი დასკვნა: ტურიზმის, როგორც ეროვნული ეკონომიკის ერთ-ერთი სპეციფიკური დარგის განვითარება სტიქიურად, ხელაღებით არ შეიძლება. საჭიროა ტურიზმის, როგორც თანამედროვეობის ერთ-ერთი ფენომენის, სიღრმისეულად და მეცნიერული მეთოდებით შესწავლა და ყოველივეს გათვალისწინებით მისი განვითარებისათვის სწორი სახელმწიფოებრივი პოლიტიკის შემუშავება.

Tsira Tsetskhladze

SOCIAL, ECONOMIC AND ECOLOGICAL FUNCTIONS OF TOURISM BUSINESS

Annotation

There is an argumentation given in the article that the tourism is a prioritized sphere. The mostly actual to overcome the economic crisis today in country is the setting of sector orientires based on the following criteria: what are the resources we should pay attention to and development of which sector affects the growth of society's economic and social welfare.

Developing tourism business, defining priorities should be acknowledged the role of tourism in business space of country and how it influences the level of society's life, economic, social and ecological sustainability. For this purpose the economic, social and ecological functions should be developed affecting on wellbeing of tourism business, the population involved in this activity and society as a whole.

According to above mentioned, we could conclude that tourism, as one of the specific spheres of national economy shouldn't be developed in a chaotic way. The tourism, as one of the modern phenomenon, should be studied in deep, by scientific means and the appropriate government policy measures should be elaborated for its development.

*ცირა ცეცხლაძე
თამარ დავითაძე*

სოფლად ტურიზმი აჭარაში

სოფლად ტურიზმი ფართო ცნებაა, იგი გულისხმობს ტურისტულ საქმიანობას სოფლის ტერიტორიაზე როგორც გრძელვადიანი, ისე მოკლევადიანი დასვენებისათვის ესთეტიკური, გამაჯანსაღებელი და შემეცნებითი მიზნით.

სოფლად ტურიზმი არის დასვენება ადამიანებთან, რომლებსაც აქვთ თავიანთი პატარა მეურნეობა, ისინი თვითონ მასპინძლობენ მიღებულ სტუმრებს, აქვთ მათი განთავსების საშუალება და შეუძლიათ სხვადასხვა აქტივობების შეთავაზება. ბოლო წლებში ტურიზმის ამ სახეობის პოპულარობა განსაკუთრებით გაიზარდა განვითარებულ ქვეყნებში. ის იძლევა საკმაოდ საინტერესო შესაძლებლობებს სოფელში ბიზნესის განვითარებისათვის. თეორიულად, ნებისმიერი სოფლის მცხოვრებს, დროის, სურვილისა და ორგანიზების უნარის არსებობის შემთხვევაში, შეუძლია დაკავდეს ტურიზმის ამ მიმართულებით. ბოლო პერიოდში შეიმჩნევა უცხოელი ტურისტების ინტერესის ზრდა სოფელში დასვენებისა და მოგზაურობისადმი.

სოფლად ტურიზმს აქვს პერსპექტივა, ეფექტურად განვითარდეს ნაციონალურ პარკებში, დაცულ ტერიტორიებზე, სოფლის მეურნეობის ფერმებში, სააგარაკო ზონებში და სხვა. სოფლად ტურიზმის ერთ-ერთი პრიორიტეტი ტურიზმის შხვა სახეობებისაგან განსხვავებით არის ის რომ, დასვენება შეიძლება შედარებით მცირე დანახარჯებით. ტურისტს შეუძლია იცხოვროს გლეხურ სახლში, სადაც მას უმასპინძლებს ოჯახის დიასახლისი, ასევე ტურისტებს შეუძლიათ მიიღონ ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტი, გაეცნონ ამ პროდუქტების დამზადების ტექნოლოგიას (პროცესს), ნახონ, თუ როგორ გამოიყურება საფერმერო მეურნეობა.

მსოფლიოში ტურიზმით მიღებული შემოსავლის 20%-დან 40%-მდე სწორედ სოფლად ტურიზმზე მოდის. ამ მიმართულებით ლიდერი ქვეყნებია: ესპანეთი, საფრანგეთი, შვეიცარია, კვიპროსი, საბერძნეთი, იტალია – ევროპაში აღიარებული ლიდერია, სოფლად ტურიზმიდან 2002 წელს შემოსავალმა 350 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, ავსტრალიაში გლეხური მამულების 10% ეწევა ტურისტულ მომსახურებას.

სოფლად ტურიზმი მოიცავს:

- აგროტურიზმს – აქტიური დასვენება სოფლად, მონაწილეობა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში და სხვა;
- ეთნოტურიზმს – გაცნობა სოფლად ცხოვრების ტრადიციების, ფოლკლორის, შინა მრეწველობის და სხვა;
- ეკოტურიზმს – გასვლა ბუნებაში დასვენების, გაცნობის მიზნით და სხვა;
- კულტურულ ტურიზმს – სოფლებსა და მის შემოგარენში არსებული მატერიალური და კულტურული ძეგლების გაცნობა;
- ღვინის ტურიზმს – ყურძნის დაკრეფასა და დაწურვაში მონაწილეობის მიღება, ღვინის დამზადების ტექნოლოგიის გაცნობა – ღვეუსტაცია.

რატომ სოფლად ტურიზმი?

სოფლად ტურიზმის მნიშვნელობის სათანადოდ აღსაქმელად აუცილებელია ვიცოდით ის მთავარი ფაქტორები, რის გამოც ტურისტები ირჩევენ ტურიზმის ამ სახეობას:

- გაქცევა ყოველდღიურობიდან;
- თავგადასავალი;
- ოჯახური და მეგობრული კავშირების განმტკიცება;
- დასვენება და რელაქსი;
- ჯანმრთელობის გაძლიერება;
- ცოდნის მოპოვება;
- განსაკუთრებული შემთხვევების აღნიშვნა;
- დროისა და ფულის დაზოგვა;
- მოგონებების განახლება.

ყველას გვიჩნდება სურვილი, მოვშორდეთ ქალაქის ხმაურს, გავექცეთ სტრესს, რუტინულ შრომას და თავი შევაფაროთ მშვიდ გარემოს. აჭარის მაღალმთიანეთი ერთ-ერთი თვალწარმტაცი მხარეა საქართველოში, მას გააჩნია სოფლად ტურიზმის განვითარების დიდი პოტენციალი, რეგიონში ჩასულ ტურისტებს საშუალება ეძლევათ დატკბნენ ადგილობრივი ბუნების მრავალფეროვნებით, ჩაერთონ ხვადასხვა საქმიანობებში: ნადირობა, მიწის დამუშავება, ტრადიციული კერძების მომზადება; მონაწილეობა მიიღონ რთველში, გაეცნონ ადგილობრივ ადათ-წესებს, სტუმრის მიღების კულტურას; გაეცნონ ხალხური რეწვის ნიმუშებს, სურვილის შემთხვევაში მერქნით დაწნული გოდრების, დაწნული ნივთების, საკრავი და სამუშაო იარაღების დამზადებაშიც მიიღონ მონაწილეობა. ასევე განსაკუთრებულ აღნიშვნას საჭიროებს ის რომ, აჭარის ყველა მუნიციპალიტეტი გამრჩეულია – ტურისტს აქ ერთდროულად შეუძლია დაისვენოს სოფლად და, ამავდროულად, ისარგებლოს საზღვაო ტურიზმით.

სოფლად ტურიზმის განვითარება აჭარაში ხელს შეუწყობს:

- სოფელში ახალი სამუშაო ადგილების შექმნას;
- სოფლის მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებას;
- ადგილობრივი ტურისტული მეურნეობის განვითარებას (სასტუმროები, რესტორნები, ხალხური რეწვა და სხვა);
- სოფელში სამეწარმეო ბიზნესის განვითარებას;
- სოფლებში კულტურული და ბუნებრივი ძეგლების დაცვას და აღდგენას;
- სახალხო დღესასწაულების და ადათ-წესების აღდგენა-შენარჩუნებას;
- სეზონურობის პრობლემის აღმოფხვრას, გახანგრძლივებას.

ცალკეული მუნიციპალიტეტი გამოირჩევა გარკვეული განსაკუთრებულობით, რესურსების მრავალფეროვნებით, რაც ხელშემწყობი ფაქტორია სოფლად ტურიზმის განვითარებისათვის.

ქობულეთი მდიდრია მრავალფეროვანი ბუნებრივი პარკებით, აქ მდებარეობს მტირალას ეროვნული პარკი, კინტრიშის დაცული ტერიტორია, ისპანის ჭაობი, თიკეთის ალკვეთილი, რომელთა მონახულება და დალაშქვრა ტურისტებს ალაფროვანებს და გაამდიდრებს მათ შთაბეჭდილებებს. თუ ქობულეთს გვიან შემოდგომაზე ესტუმრება ტურისტი, მას შეუძლია მონაწილეობა მიიღოს ციტრუსის კრეფაში. აქ მთის ჰაერს შორიდან მონაბერი ზღვის ჰაერი ერევა, რაც დამსვენებელს შესაძლებლობას აძლევს, განთავსდეს სოფელში და ისარგებლოს როგორც სოფლად, ასევე საზღვაო ტურიზმით, რასაც განაპირობებებს მუნიციპალიტეტის ბუნებრივ - გეოგრაფიული ლანდშაფტი და ზღვის სანაპიროსთან სიახლოვე.

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი – მსგავსად ქობულეთის მუნიციპალიტეტისა, ტურისტს შეუძლია ისარგებლოს სოფლად და საზღვაო ტურიზმით. აქ ტურისტებს შეუძლიათ დააგემოვნონ უგემრიელესი მაჭახელას თაფლი, გაეცნონ მისი დამზადების ტექნოლოგიას და დატკბნენ საოცრად ღამაზი მაჭახელას ხეობის თვალწარმტაცი პეიზაჟებით. მდინარეების ჭოროხისა და მაჭახელას შესართავთან შეუძლიათ ნახონ თოფ „მაჭახელას“ მონუმენტი, დაათვალიერონ ექსპონატებით მდიდარი ეთნოგრაფიული მუზეუმი.

ქედის მუნიციპალიტეტი – ბუნების სიმშვიდე, სუფთა ჰაერი, მოსახლეობის სტუმართმოყვარეობა სოფლად ტურიზმის განვითარების კარგ შესაძლებლობას იძლევა. აქ ტურისტებს შეუძლიათ დააგემოვნონ ნატურალური პროდუქტები, ტურისტულ მეურნეობაში შეუძლიათ

დააჭაშნიკონ ქედის ღვინოები, რომელიც ისეთი უნიკალური ჯიშებისაგან იწურება, როგორცაა „ქედის ცოლიკაური“ და „ჩხაველი“.

აჭარაში მეღვინეობის კერად მიჩნეულია ქედის რაიონი, რომელიც აჭარისწყლის ხეობაში მდებარეობს. აქ წარმოებული ღვინოები „ქედის ცოლიკაური“ და „ჩხაველი“ დიდი პოპულარობით სარგებლობს როგორც ქართველ, ასევე უცხოელ მომხმარებელში. სწორედ ღვინის ტურიზმია სოფლად ტურიზმის განვითარების ერთ-ერთი კვანძი. ღვინის ტური ქედის რაიონში ტურისტებს საშუალებას აძლევს, მოინახულონ „აჭარული ღვინის სახლი“ და საოჯახო ღვინის მარნები, დააგემოვნონ შემთავაზებული ღვინო, გაეცნონ ადგილობრივ მცხოვრებთა ყოფას, სამზარეულოსა და ხალხურ შემოქმედებას, მონაწილეობა მიიღონ რთველში, ღვინის დამზადებაში, გაეცნონ სტუმარმაპინძლობისა და სუფრის კულტურას, ასევე მიიღონ „თამადის სერტიფიკატი“.

შუახვეის მუნიციპალიტეტი – აქ სოფლის მეურნეობა ეკონომიკის მთავარ დარგს წარმოადგენს, სოფელი გარშემორტყმულია მრავალფეროვანი ტყეებით, ბუნებრივ გეოგრაფიული ლანდშაფტი საშუალებას აძლევს ჩასულ ტურისტს, დაკავდეს სხვადასხვა სასოფლო აქტივობებით: ნადირობა, მიწის დამუშავება (აგროტურიზმი), ბუნებაში გასეირნება (ეკოტურიზმი), შეუძლიათ გასინჯონ უმაღლესი ხარისხის თამბაქო და, ამავდროულად, თვალი ადევნონ მისი დამუშავების პროცესს, გაეცნონ რეწვის ისეთ სახეობას, როგორიც არის ხეზე კვეთა და ხელობას – ჩასაბერი მუსიკალური ინსტრუმენტის – ჭიპონის დამზადებას.

ხულოს მუნიციპალიტეტი – იალაღებზე გადაშლილი ულამაზესი პეიზაჟები, რომლებიც მნახველს გულგრილს არასოდეს ტოვებს, აქ ჩასულ ტურისტს შეუძლია დაკავდეს ტურიზმის ისეთი სახეობებით, როგორცაა ეკო, აგრო, ღვინის (სოფხაო) ტურიზმი, დააგემოვნონ ხულოს უკემრიელესი მშრალი კარტოფილი და დაწნული ყველი.

განთავსების ობიექტები აღნიშნულ მუნიციპალიტეტებში საკმაო რაოდენობით მოგვეპოვება, რომლებიც პასუხობენ ტურისტთა მოთხოვნებს სოფლად ტურიზმის ფარგლებში. მაგალითად, საოჯახო სასტუმროები ჩაქვისთავში, ქობულეთსა თუ ქედის მუნიციპალიტეტებში და სხვა.

აჭარის რეგიონში სოფლად ტურიზმის განვითარება 21-ე საუკუნის სხვა სიახლეებთან ერთად დაიწყო და დღემდე აქტიურად მიმდინარეობს. 2005 წელს ჩაყარა საფუძველი ტურიზმის განვითარებას რეგიონში. 2006 წლის აპრილიდან საერთაშორისო დონორ ორგანიზაცია CHF-ის მიერ სოფლად ტურიზმის მიმართულებით მოხდა 6 სასტუმრო სახლის შერჩევა-კეთილმოწყობა და მათი მუპატრონეების მიერ ტრენინგების გავლა აღნიშნულ საქმიანობაში. პირველი ტურისტები სოფლად ტურიზმის მიმართულებით სოფელ გობრონეთში 2007 წლის 1 ივნისს ჩამოვიდნენ. ეს იყო ქართველი ფოტოგრაფების 16 კაციანი ჯგუფი, მათი ნამუშევრების საფუძველზე მომზადდა ალბომი, მოეწყო გამოფენები, აქცია აქტიურად გაშუქდა ტელევიზიებით და ეს იქცა ერთგავრ პირველ პიარ აქციად აჭარაში სოფლად ტურიზმის განვითარების კუთხით. ამ დღიდან აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის მენეჯერებისათვის სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება სოფლად ტურიზმის განვითარებისათვის ხელშეწყობა.

აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის მიერ სოფლად ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ეგიდით ჩატარდა შემდეგი აქტივობები, რაც მოიცავს 2011-2015 წლებს:

- 2013 წლიდან დეპარტამენტის საიტზე განთავსდა ინფორმაცია აჭარაში სოფლად ტურიზმის შესახებ;
- 2013-2014 წლებში ჩატარდა სოფლად არსებული სასტუმრო სახლების გადამზადების კურსები;
- 2015 წელს დაიბეჭდა, გამოიცა აჭარის ეკორუკა და მათზე დატანილი 14 მარშრუტი ტურიზმის სხვადასხვა მიმართულებით (ქართულ და ინგლისურ ენებზე);
- 2013, 2014 და 2015 წლებში მოხდა მარკირებული მარშრუტების გზს მონაცემების საიტზე განთავსება, საიდანაც ნებისმიერ მსურველს შეეძლება მათი ჩამოტვირთვა;
- ოოგლეს რუკის საფუძველზე შეიქმნა ეკორუკის ელექტრონული ვერსია, სადაც უკვე დატანილია ყველა მარშრუტი, როგორც 2015 წელს, ასევე 2013-2014 წლებში მარკირებულიც;
- 2015 წლის 3-6 ივნისს დეპარტამენტის წარმომადგენელი დაესწრო კვიპროსში „უროგიტეს“ მიერ ორგანიზებულ სოფლად ტურიზმის საერთაშორისო გენერალურ ასამბლეას;
- აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი გაწვერიანდა სოფლად ტურიზმის ვეროპის ფედერაციაში და განხორციელდა სხვა რიგი ღონისძიებები.

სოფლად ტურიზმის სამომავლო პერსპექტივაში აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის განყოფილების ინიციატივით იგეგმება სოფლად ტურიზმის რეგიონული ასოციაციის შექმნა, მათ მიერ მოწოდებული სერვისის გაუმჯობესების მიზნით ტრენინგებისა და სემინარების ორგანიზება, სოფლად ახალი ტურისტული პროდუქტებისა და სერვისების განვითარების ხელშეწყობა, ახალი მარშრუტების მარკირება, სხვადასხვა მცირე საგრანტო პროექტების ინიცირება, თემატურ საერთაშორისო ორგანიზაციებში გაწვევრიანება.

ყოველივე ზემოთ თქმული და ჩამოთვლილი ინიციატივები ვფიქრობ სოფლად ტურიზმის განვითარებისა მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი იქნება, რათა სასურველ სიმადლეზე იქნეს აყვანილი როგორც სოფლად ტურიზმის, ასევე ადგილობრივი მოსახლეობის ყოფა-ცხოვრების დონე.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი. „სოფლად ტურიზმი“ (ბროშურა) 2015.
2. შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი ტურიზმის ფაკულტეტი. „აჭარა ღვინის ტური“.
3. იზოლდა ხასაია. სოფლის ტურიზმის განვითარების პერსპექტივები იმერეთში (სტატია).
4. ინტერნეტი-ვიკიპედია.
5. აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი. მონაცემები სოფლად ტურიზმის შესახებ.

*Tsira Tsetskhladze
Tamar Davitadze*

RURAL TOURISM IN AJARA Annotation

Georgia has the greatest tourism potential opportunities, it is still new and undiscovered for tourists. Its main development powers are uplands flora and fauna with unique combination of ancient customs, cultures, folk arts and folk crafts.

There are also discussed the current state of the uplands and the advantages and drawbacks of factors that accompany the development of tourism. One of the facilitating factors to the development of rural tourism is the region's unique natural and geographical landscapes, to develop tourism in this direction, but in spite of the nature of the uniqueness of its development there are some problems as irregular infrastructure, lack of facilities and low level of the quality of service, unskilled staff, lack of tourist facilities in elevation, transports failure, and low level of consciousness of the population in this direction.

Rural tourism development in the Ajara region improves local population placement in rural areas, which in itself involves the improvement of rural living conditions. Employing local people in the tourism industry, is one of the preconditions to improve living standards, create tourist infrastructure, rural development in the rural entrepreneurial business and as a whole region will eliminate the problem of seasonality.

ადგილობრივი გადასახადების აუდიტის თავისებურებები

გადასახადები ეკონომიკური სისტემის ფუნქციონირების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი. იგი სახელმწიფოსა და ეკონომიკურ სუბიექტებს შორის ურთიერთდამოკიდებულების დონეს და ხარისხს ასახავს. გადასახადი თავისი ეკონომიკური ბუნებით განაწილებისა და გადანაწილების გზით მიღებული ეროვნული შემოსავლისა და სიმდიდრის წილია, რომელიც, ცხადია, მიმართულია სახელმწიფოს მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. აქედან გამომდინარე, სახელმწიფო წარმოადგენს მთავარ, აქტიურ მოქმედ პირს, ხოლო გადასახადის გადამხდელები არიან სახელმწიფოს მიერ დადგენილი სავალდებულო საგადასახადო კანონების პასიური შემსრულებლები. საგადასახადო ურთიერთობა ეკონომიკურ ურთიერთობათა სისტემაში გარკვეული თავისებურებებით გამოირჩევა. კერძოდ, იგი გამოიხატება იმაში, რომ გადასახადები ატარებს აუცილებელ ხასიათს, ისინი წარმოადგენენ ეროვნული შემოსავლის იმ ნაწილს, რომელსაც სახელმწიფო გადასახადის გადამხდელებისაგან იძულების წესით ამოიღებს.

გადასახადი არის სავალდებულო, უპირობო ფულადი შენატანი ბიუჯეტში, რომელსაც იხდის გადასახადის გადამხდელი, გადახდის აუცილებელი, არაეკვივალენტური და უსასყიდლო ხასიათიდან გამომდინარე. ჩვენს ქვეყანაში მოქმედი საგადასახადო კოდექსის მიხედვით გადასახადის სახეები: საერთო-სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გადასახადები. საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადებია ამ კოდექსით დაწესებული გადასახადები, რომელთა გადახდაც სავალდებულოა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. ადგილობრივი გადასახადია ამ კოდექსით დაწესებული და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს ნორმატიული აქტით შემოღებული გადასახადი (ზღვრული განაკვეთების ფარგლებში), რომლის გადახდაც სავალდებულოა შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე.

საერთო-სახელმწიფოებრივ გადასახადებს მიეკუთვნება:

- საშემოსავლო გადასახადი;
- მოგების გადასახადი;
- დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ);
- აქციზი;
- იმპორტის გადასახადი;

ადგილობრივ გადასახადს მიეკუთვნება ქონების გადასახადი. ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო უფლებამოსილია, შემოიღოს ამ კოდექსით დაწესებული ადგილობრივი გადასახადი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის მთელ ტერიტორიაზე ერთიანი განაკვეთის სახით ან/და ამ ერთეულის ტერიტორიაზე ცალკეული დარგების, ან/და საქმიანობის სახეების მიხედვით, ამავე კოდექსით დადგენილი ზღვრული განაკვეთის ფარგლებში.

ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო ვალდებულია, ადგილობრივი გადასახადის შემოღების, მისი გადახდის პირობების შეცვლის ან შემოღებული ადგილობრივი გადასახადის გაუქმების შესახებ ინფორმაცია და სათანადო ნორმატიული აქტის ასლი, მისი გამოქვეყნებისთანავე, გაუგზავნოს შემოსავლების სამსახურს.

ადგილობრივი გადასახადების და მოსაკრებლების მთავარ ამოცანას წარმოადგენს ადგილობრივი (ტერიტორიული) ბიუჯეტებისათვის სტაბილური საშემოსავლო წყაროების შექმნა. ადგილობრივი გადასახადები და მოსაკრებლები მთლიანად შეიტანება ადგილობრივ ბიუჯეტებში. მსოფლიო საგადასახადო პრაქტიკაში განახლებებენ ფედერალურ და ადგილობრივ გადასახადებს. ქვეყნის პოლიტიკური მოწყობის მიუხედავად, ზოგიერთ ქვეყანაში დაწესებულია აგრეთვე რეგიონული გადასახადი, რომელიც იერარქიულად ფედერალურ და ადგილობრივ გადასახადებს შორის შუალედურ ადგილს იკავებს. ადგილობრივი გადასახადები და მოსაკრებლები სახელმწიფო და მუნიციპალური ფინანსების ფორმირების უმნიშვნელოვანესი წყაროა. ადგილობრივი ფინანსები წარმოადგენს ეკონომიკურ ურთიერთობათა სისტემას, რომლის საშუალებითაც ხდება ეროვნული შემოსავლის განაწილება, გადანაწილება და გამოიყენება ტერიტორიის წინაშე მდგარი სოციალურ-ეკონომიკური ამოცანების გადასაწყვეტად.

საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით ადგილობრივი გადასახადით დაბეგვრის ობიექტია: დასაბეგრი ქონება და მიწა (სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების და ტყის მიწები).

ქონების გადასახადის გადამხდელია რეზიდენტი საწარმო/ორგანიზაცია; არარეზიდენტი საწარმო, ფიზიკური პირი. საწარმოსათვის, ორგანიზაციისათვის ქონების გადასახადის წლიური განაკვეთი განისაზღვრება დასაბეგრი ქონების ღირებულების არაუმეტეს 1 პორცენტის ოდენობით. ამ ნაწილის მიზნებისათვის დასაბეგრი ქონების ღირებულება არის საშუალო წლიური საბალანსო ნარჩენი ღირებულება, რომელიც გამოიანგარიშება კალენდარული წლის დასაწყისისა და ბოლოსათვის აქტივების საშუალო ღირებულების მიხედვით.

მიწაზე ქონების გადამხდელია პირი საგადასახადო წლის 1 აპრილის მდგომარეობით მის საკუთრებაში არსებულ მიწაზე, სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ მიწაზე, რომლითაც სარგებლობს ან რომელსაც ფლობს იგი, მის მფლობელობაში ან/და სარგებლობაში არსებულ, გარდაცვლილი პირის სახელზე რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მიწის ნაკვეთით სარგებლობა ხორციელდება იჯარის, ქირის, უზუფრუქტის ან სხვა ამგვარი სახის ხელშეკრულების საფუძველზე.

გადასახადების ადმინისტრირება გულისხმობს გადასახადების გამოანგარიშებასთან, გადახდასთან, დეკლარირებასა და კონტროლთან, აგრეთვე გადასახადის გადამხდელთა აღრიცხვასა და ინფორმირებასთან დაკავშირებული ფორმებისა და მეთოდების ერთობლიობას. გადასახადების ადმინისტრირებას ახორციელებენ საგადასახადო ორგანოები მათთვის მინიჭებული უფლებებისა და მოვალეობების ფარგლებში. გადასახადების დროულად ამოღებისათვის საჭიროა განუწყვეტელი საგადასახადო კონტროლი, რომელიც ხორციელდება შემოსავლების სამსახურის მიერ გადასახადის გადამხდელთა აღრიცხვის, საბუღალტრო აღრიცხვა-ანგარიშგების მონაცემების შემოწმების, გამოკითხვის, დასაბუგრი ობიექტის დათვალიერებისა და სხვა მეთოდების გამოყენებით.

გადასახადის დარიცხვა გულისხმობს საგადასახადო ორგანოს მიერ კონკრეტული საგადასახადო პერიოდისათვის გადასახადის თანხის აღრიცხვასა და ასახვას გადასახადის გადამხდელის პირადი აღრიცხვის ბარათზე, რომლის წარმოების წესს განსაზღვრავს საქართველოს ფინანსთა მინისტრი. გადასახადის დარიცხვის საფუძველია:

- საგადასახადო/საბაჟო დეკლარაცია;
- საგადასახადო ანგარიშგება;
- ინფორმაცია გადახდილი თანხების შესახებ;
- საგადასახადო შემოწმების აქტი;
- ინფორმაცია პირის საგადასახადო ვალდებულების შესახებ;
- ინფორმაცია მიწაზე ქონების გადასახადის დარიცხვის შესახებ.

საგადასახადო ორგანო უფლებამოსილია, პირს დაარიცხოს გადასახადი თავის ხელთ არსებული ინფორმაციის საფუძველზე, თუ პირი მას არ წარუდგენს გადასახადის დასარიცხად საჭირო ინფორმაციას. დასაბუგრ ქონებაზე საგადასახადო ვალდებულება განისაზღვრება საგადასახადო წლის 31 დეკემბრისათვის მოქმედი განაკვეთით.

ქონების გადასახადის საგადასახადო პერიოდად ითვლება კალენდარული წელი. საწარმო/ორგანიზაცია ქონების გადასახადის დეკლარაციას შემოსავლების სამსახურს წარუდგენს არაუგვიანეს კალენდარული წლის 1 აპრილისა და ამავე ვადაში იხდის ქონების გადასახადს. დეკლარაციაში მონაცემები დასაბუგრი ქონების შესახებ შეიტანება გასული საგადასახადო წლის მიხედვით, ხოლო დასაბუგრი მიწის შესახებ – მიმდინარე საგადასახადო წლის მიხედვით. საწარმო/ორგანიზაცია ქონებაზე გადასახადს იხდის მიმდინარე გადასახდელის სახით, გასული საგადასახადო წლის წლიური გადასახადის ოდენობით, არაუგვიანეს საგადასახადო წლის 15 ივნისისა.

საგადასახადო აუდიტის ცნებაში იგულისხმება სახელმწიფო საგადასახადო ორგანოების თუ სახელმწიფოსგან ნებადართული პირების მიერ ნებისმიერი გადასახადის გადამხდელის შემოწმება, კონტროლი და მონიტორინგი. იგი უკავშირდება მხოლოდ დაბეგურისა და ეკონომიკურ ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილების შემოწმების ასპექტებს. ისტორიულად, დამოუკიდებელი აუდიტორების გამოჩენა ცხადია დაკავშირებულია არა საგადასახადო აუდიტთან, არამედ ზოგადად აუდიტთან. ოფიციალურად აუდიტის წარმოშობის თარიღად ითვლება 1844 წ., როდესაც ინგლისში მიღებულ იქნა კანონი სააქციო საზოგადოებების შესახებ, რის საფუძველზეც სააქციო საზოგადოებებს უნდა მოეწვიათ დამოუკიდებელი პირი, რომელიც ყოველწლიურად წარმოადგენდა ამ საწარმოს შესახებ შესაბამის ფინანსურ დასკვნას, რაც თავისთავად განიხილებოდა, როგორც სააქციო საზოგადოების მენეჯმენტის ყოველწლიური ანგარიშგების ფორმა აქციის მფლობელების მიმართ.

საქართველოში აუდიტის ჩატარების სამართლებრივი საფუძველები განისაზღვრება საქართველოს კანონით “ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ”, რომელიც აღგენს ჩვენს ქვეყანაში ბუღალტრული აღრიცხვის წარმოების, ფინანსური ანგარიშგების მომზადების, წარდგენის და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ჩატარების სამართლებრივ საფუძველებს. შესაბამისად, ამ კანონის მიზანია ბუღალტრული აღრიცხვის წარმოების, ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის სამართლებრივი საფუძველების, ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ჩატარების პირობებისა და წესების განსაზღვრა. საქართველოში აუდიტი ტარდება აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ISA) შესაბამისად.

საგადასახადო აუდიტი, როგორც წესი, არ არის ნებაყოფლობითი საგადასახადო შემოწმება, თუმცა იგი შეიძლება ჩატარდეს გადასახადის გადამხდელის ინიციატივით. აქედან გამომდინარე, საგადასახადო აუდიტის ჩატარების ბაზა საგადასახადო აღრიცხვას ეფუძნება. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანია ასევე საგადასახადო რისკების სისტემის გამოყენება.

აუდიტორი ვალდებულია, დაიცვას საგადასახადო კანონმდებლობა ყველა ასპექტში. მან უნდა დაიცვას დამკვეთის ინტერესები, ამავე დროს, შეგნებულად არ უნდა დამალოს მისი შემოსავლები,

ადკვეთოს საგადასახადო სამსახურის შეცდომაში შეყვანის და დამკვეთის მიერ გადასახადებისათვის თავის არიდების მცდელობა. აუდიტორს შეუძლია შეწყვიტოს საქმიანობა ისეთი ანგარიშგების შემოწმებისას, სადაც აღმოჩენილია მცდარი ინფორმაცია, ან ადგილი აქვს ინფორმაციის გამოტოვებას, ან დაფარვას. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის ფაქტების, გადასახადების გაანგარიშებასა და გადახდაში შეცდომების აღმოჩენისას აუდიტორი ვალდებულია, ამის თაობაზე წერილობით აცნობოს დამკვეთის ადმინისტრაციას, სამეთვალყურეო საბჭოს და მისცეს მათ რეკომენდაციები აღმოჩენილი დარღვევებისა და შეცდომების გასწორების შესახებ.

ცხადია, აქედან გამომდინარე, ძალიან მნიშვნელოვანია საგადასახადო აუდიტის საკითხების შემდგომი სრულყოფა ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის გაჯანსაღების მიზნით.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გ. ურიდია. საგადასახადო აუდიტი. თბ., 2012.
2. ს. ყამარაული, მ. ჩოკოლაშვილი, ლ. ყამარაული. გადასახადები და დაბეგვრა, სახელმძღვანელო. თბ., 2010.
3. ვ. ვერულიძე. გადასახადები და საგადასახადო დაბეგვრა, სახელმძღვანელო. თბ., 2008.
4. მონტგომერი, აუდიტი.
5. საქართველოს საგადასახადო კოდექსი. 17.02/2015.
6. საქართველოს კანონი ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ. 2012 წ. 29 ივნისი.
7. საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წ. 31 დეკემბრის ბრძანება №5568 საგადასახადო აუდიტის სახელმძღვანელოს დამტკიცების თაობაზე.
8. <http://rs.ge/>
9. <http://sao.ge/>
10. <http://www.matsne.gov.ge>

Nazi Gvaramia

LOCAL TAXATION AUDIT FEATURES

Annotation

The paper highlights the key issues, which are at the present stage in our country in general audit, namely the taxation audit on the legislative and practical levels. The paper studies the local taxation audit role and importance in economic relations, its important issues and peculiarities. The paper also focuses on the auditor's professional responsibility and ethics important aspects, as provided in legislation.

*ლია ელიავა
ლაშა ბერიძე*

სტრუქტურული მეთოდის გამოყენება საბანკო სექტორში კონკურენციის კვლევისას

საქართველოს საბანკო სექტორში კონკურენციის განვითარება და კონკურენტუნარიანობის ამაღლება ჯერ კიდევ არ კარგავს თავის აქტუალობას. ამ პრობლემის მნიშვნელობიდან გამომდინარე, მის გადასაჭრელად აუცილებელია ბანკთაშორის კონკურენციის კვლევა და შეფასება. საბანკო კონკურენციის მეკლავებებისა და მეცნიერების უმეტესობა თანხმდება, რომ ქვეყნის საბანკო სექტორის მომავალი განვითარება დამოკიდებულია საბანკო საქმიანობის რეგულირების ადეკვატურობაზე, რაც გულისხმობს, მათ შორის, საბანკო სექტორში ცივილიზებული, თანამედროვე მსოფლიო საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისი კონკურენტული გარემოს შექმნას. კეთილსინდისიერი კონკურენცია ხელს უწყობს არა მარტო საბანკო სექტორის განვითარებასა და სტაბილურობას, არამედ მთლიანობაში ქვეყნის ეკონომიკურ წინსვლასაც.

საბანკო სექტორში ჯანსაღი კონკურენტული გარემოს ჩამოყალიბების წინაპირობას წარმოადგენს მისი დეტალიზებული მეცნიერული კვლევა და შეფასება. ამისათვის გამოიყენება კონკურენტული ბაზრის შეფასების ზოგადი მეთოდები, რომლებიც ადაპტირებულია საბანკო სექტორისათვის. საბანკო სექტორში კონკურენციის შეფასება წარმოადგენს რთულ და შრომატევად ამოცანას. მისი თეორიული და მეთოდოლოგიური ნაწილი საკმაოდ ფართოდ არის წარმოდგენილი უცხოელი მეცნიერების კვლევებში. საბანკო სექტორში კონკურენციის შეფასებისას გამოიყენება სხვადასხვა მეთოდები.

საბანკო სექტორში კონკურენციის შეფასების მეთოდები იყოფა პირდაპირი და ირიბი შეფასების მეთოდებად. პირდაპირი შეფასების მეთოდი გულისხმობს ლერნერის ინდექსის გამოთვლას, რომელიც წარმოადგენს ბანკის საკრედიტო/სადეპოზიტო ღირებულებას მონოპოლიური დანამატის გათვალისწინებით.

ირიბი შეფასების მეთოდები იყოფა სტრუქტურული და არასტრუქტურული შეფასების მეთოდებად. სტრუქტურული შეფასების მეთოდი გულისხმობს მეისონის პარადიგმას “სტრუქტურა-მოქმედება-შედეგი”. მისი გამოყენებისას ხდება კონცენტრაციის ინდექსის გამოთვლა: ჰერფინდალ-

პირშმანის ინდექსი და პირველი Q-ბანკების წილი საკრედიტო-სადეპოზიტო ბაზარზე, როგორც კონკურენციის დონის აპროქსიმაცია.

არასტრუქტურული მეთოდების გამოყენებისას ხდება საბანკო სექტორის შეფასება: N-სტატისტიკის გამოთვლა (ბანკის პროცენტული შემოსავლების ელასტიკურობა წარმოების ფაქტორების ფასებთან). აგრეთვე გამოიყენება ბაზრის ცალკეული სეგმენტების შეფასება (კრედიტების ბაზარი, დეპოზიტების ბაზარი და სხვ.).

საბანკო ბაზარზე კონკურენციის შეფასებისას ირიბი მეთოდის გამოყენებით გამოიყენება სტრუქტურული და არასტრუქტურული შეფასების მეთოდები. სტრუქტურული მეთოდი დაკავშირებულია ცნობილ მეისონის პარადიგმასთან „სტრუქტურა-ქმედება-შედეგი“. მოცემული პარადიგმა მიუთითებს, რომ საბაზრო სტრუქტურა განსაზღვრავს ბაზრის აგენტების მოქმედებას, ხოლო ამ უკანასკნელთა მოქმედება ზეგავლენას ახდენს ბაზრის საბოლოო შედეგზე. ამასთანავე არსებობს პიპოთეზა, რომ დარგის მოგების ან რენტაბელობის საშუალო ნორმა იზრდება ბაზარზე კონცენტრაციის ამაღლების დროს [4].

სტრუქტურული მეთოდის გამოყენებისას გამოითვლება კონცენტრაციის სხვადასხვა მაჩვენებელი. კონცენტრაციის ინდექსი CR აჩვენებს ბაზრის წილის გადანაწილებას მსხვილ კომპანიებს შორის. შესაბამისად, CR მაჩვენებლის გამოთვლისას მას ამატებენ იმ კომპანიების რაოდენობის ციფრს, რომელიც მონაწილეობას იღებს კვლევაში, მაგალითად, CR5 ან CR10.

კონცენტრაციის ინდექსი ითვლება კონკურენციის შეფასების ყველაზე გავრცელებულ მეთოდად, რომლითაც შეგვიძლია განვსაზღვროთ რამოდენიმე მსხვილი ბანკის წილი ბაზარზე:

$$CR_k = \sum_{j=1}^k Q_j$$

სადაც CR_k – კონცენტრაციის ინდექსია, Q – საბანკო სექტორში ბანკის წილი [5].

სამი ბანკისათვის გამოთვლილი კონცენტრაციის ინდექსი გამოისახება შემდეგნაირად:

$$CR3 = Q_1 + Q_2 + Q_3.$$

ინდექსი გამოითვლება სამი ან ოთხი უმსხვილესი ბანკის მონაწილეობით, რომელზე დამოკიდებულებით ინდექსი იქნება სამწილოვანი ან ოთხწილოვანი. სამწილოვანი მაჩვენებლისას, ინდექსის მაჩვენებელი თუ 45%-ზე ნაკლებია, ბაზარი ითვლება არაკონცენტრირებულად, 45%-დან 70%-მდე – კონცენტრირებულად, 70%-ზე მაღალი მაჩვენებლის დროს ბაზარი ითვლება მაღალკონცენტრირებულად.

ოთხწილოვანი ინდექსის მნიშვნელობისათვის მეცნიერებს შორის არ არსებობს ერთიანი აზრი. ზოგადად მიჩნეულია, რომ თუ ინდექსი 40%-მდეა, ადგილი აქვს მონოპოლიურ კონკურენციას, თუ ინდექსი იმყოფება 40%-დან 60%-მდე დიაპაზონში, ადგილი აქვს სუსტ ოლიგოპოლიას, ხოლო 60%-ის ზევით კი – ძლიერ ოლიგოპოლიას.

აღნიშნული მიდგომის საფუძველზე ჩვენ გამოვითვალეთ საქართველოში არსებული ბანკების საბაზრო წილი. კვლევას საფუძველად უდევს კომერციული ბანკების მიერ ეროვნული ბანკებისათვის წარდგენილი მონაცემები (2015 წლის III კვარტლის მიხედვით). [2] მისი შედეგები წარმოდგენილია ცხრ. 1-ში.

ცხრილი 1

კომერციული ბანკების საბაზრო წილები წმინდა საპროცენტო შემოსავლისა და მთლიანი აქტივების მიხედვით

კომერციული ბანკები	წმინდა საპროცენტო შემოსავალი		მთლიანი აქტივები	
	CR	მოცულობა ლარში	CR	მოცულობა ლარში
ბანკი რესპუბლიკა	6%	60 542 371	6%	1 536 655 333
თიბისი ბანკი	24%	238 949 404	27%	6 679 070 441
საქართველოს ბანკი	34%	335 671 987	35%	8 597 581 914
ლიბერთი ბანკი	9%	88 102 726	6%	1 560 318 746
ბაზის ბანკი	3%	25 600 250	3%	780 934 585
ვითიბი ბანკი ჯორჯია	4%	36 557 074	5%	1 212 258 612
ბანკი ქართუ	6%	59 329 945	4%	10 703 536
პროკრედიტ ბანკი	5%	48 193 495	5%	1 190 037 625
სილქ როუდ ბანკი	0%	3 333 911	1%	59 317 801
კაპიტალ ბანკი	0%	828 367	0%	63 843 563
აზერბაიჯანის საერთაშორისო ბანკი - საქართველო	1%	5 779 324	1%	145 389 947
ზორაათ ბანკის თბილისის ფილიალი	0%	1 912 263	0%	72 419 943
კავკასიის განვითარების ბანკი - საქართველო	0%	1 480 549	0%	42 093 595

თურქეთის იმ ბანკის საქართველოს ფილიალი	0%	4 671 322	0%	53 464 714
პროგრეს ბანკი	0%	4 963 260	1%	300 162 688
კორ სტანდარტ ბანკი	2%	20 278 517	3%	633 941 370
ხალიკ ბანკი საქართველო	1%	9 933 246	1%	243 897 549
პაშა ბანკი საქართველო	1%	9 964 742	1%	283 733 240
ფინკა ბანკი საქართველო	3%	26 499 267	1%	217 122 215
ჯამი		982 592 020		24 695 182 703

მიღებული შედეგების თანახმად, კომერციული ბანკების მთლიანი აქტივების მიხედვით CR3 და CR4 (კონცენტრაციის მაჩვენებელი 3 და 4 ბანკისათვის) შემდეგია:

1. CR3=68% (თიბისი ბანკი - 27%, საქართველოს ბანკი - 35%, ლიბერთი ბანკი - 6%);
2. CR4= 74% (თიბისი ბანკი - 27%, საქართველოს ბანკი - 35%, ლიბერთი ბანკი - 6%, ბანკი რესპუბლიკა - 6%)

ხოლო წმინდა საპროცენტო შემოსავლის მიხედვით მივიღებთ შემდეგ მაჩვენებლებს:

1. CR3=67% (თიბისი ბანკი - 24%, საქართველოს ბანკი - 34%, ლიბერთი ბანკი - 9%);
2. CR4= 73% (თიბისი ბანკი - 24%, საქართველოს ბანკი - 34%, ლიბერთი ბანკი - 9%, ბანკი რესპუბლიკა - 6%);

ვინაიდან კონცენტრაციის ინდექსი წარმოადგენს არითმეტიკულ ჯამს, იგი ფაქტობრივად არ ითვალისწინებს გაანგარიშებაში შესულ ბანკებს შორის საბაზრო წილების გადანაწილების სტრუქტურას. ამიტომ კონცენტრაციის ინდექსი ჩვეულებრივ გამოიყენება როგორც სხვა ეკონომიკური მაჩვენებლების დამატებითი მაჩვენებელი, ან ბანკების რაოდენობა შეირჩევა იმდენად, რომ ისინი ობიექტურად შეესაბამებოდნენ ბაზარზე ძალთა არსებულ გადანაწილებას. ამ ნაკლოვანების გათვალისწინებით კონცენტრაციის ინდექსი არ გამოიყენება როგორც დამოუკიდებელი მაჩვენებელი. აშშ-ში მის მაგივრად იყენებენ ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსს, ხოლო ევროკავშირში კი ლინდის კოეფიციენტს. ზოგადი სიტუაციის აღწერისათვის კი კონცენტრაციის ინდექსი მისაღებიცაა და ინფორმატიულიც, განსაკუთრებით ძირითადი საბაზრო კონკურენტების შეფასებისათვის.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ქართული კანონმდებლობის მიხედვით დომინირებული მდგომარეობა განმარტებულია, როგორც შესაბამის ბაზარზე მოქმედი ეკონომიკური აგენტების ისეთი მდგომარეობა, რომელიც მათ საშუალებას აძლევს, იმოქმედონ კონკურენტი ეკონომიკური აგენტების, მიმწოდებლების, კლიენტებისა და საბოლოო მომხმარებლისაგან დამოუკიდებლად, არსებითი გავლენა მოახდინონ ბაზარზე საქონლის მიმოქცევის საერთო პირობებზე და შეზღუდონ კონკურენცია. თუ სხვა მტკიცებულებები არ არსებობს, ეკონომიკური აგენტები არ ჩაითვლებიან დომინირებული მდგომარეობის მქონედ, თუ შესაბამის ბაზარზე მათი წილი არ აღემატება 40 პროცენტს. ორი ან მეტი ეკონომიკური აგენტიდან თითოეული ჩაითვლება დომინირებული მდგომარეობის მქონედ, თუ ის არ განიცდის მნიშვნელოვან კონკურენციას სხვა ეკონომიკური აგენტებისაგან მათი ნედლეულის წყაროებსა და გასაღების ბაზრებზე შეზღუდულ ხელმისაწვდომობას, ბაზარზე შესვლის ბარიერებისა და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით და იმავდროულად:

1. არაუმეტეს 3 ეკონომიკური აგენტის ერთობლივი წილი 50%-ს აღემატება, ამასთანავე, თითოეულის საბაზრო წილი არანაკლებ 15%-ია.

2. არაუმეტეს 5 ყველაზე მნიშვნელოვანი წილის მქონე ეკონომიკური აგენტის ერთობლივი წილი 80%-ს აღემატება, ამასთანავე თითოეულის საბაზრო წილი არანაკლებ 15%-ია (მუხლი 3.ი) [3].

როგორც მსოფლიო პრაქტიკამ აჩვენა, ნებისმიერი ბაზარი ვერ განვითარდება ნორმალურად, თუ იგი არ რეგულირდება შესაბამისი ანტიმონოპოლიური კანონმდებლობით. ეს კანონმდებლობა მიმართული უნდა იყოს საბანკო მომსახურების ბაზარზე კონკურენტული გარემოს მხარდაჭერაზე, ებრძოლოს მონოპოლიზმსა და არაკეთილსინდისიერ კონკურენციას. თუმცა, დღეს მოქმედი საქართველოს ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა, როგორც ზემოთ იქნა ნაჩვენები, არ არის სრულყოფილი. მასში ნაკლებადაა გათვალისწინებული საფინანსო ბაზრებზე ანტიმონოპოლიური საქმიანობის საკითხები, შესაბამისად, იგი ვერ უზრუნველყოფს საბანკო ბაზარზე არაკეთილსინდისიერი კონკურენციისაგან სათანადო დაცვას.

ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის არასრულყოფილების მიუხედავად, საქართველოს საბანკო ბაზარზე მაინც შესაძლებელია ეფექტიანი ანტიმონოპოლიური მონიტორინგის განხორციელება და კონკურენციის კვლევა. ჩვენი კვლევის თანახმად, საქართველოს საბანკო ბაზარი არის კონცენტრირებული და ფაქტობრივად 3 კომერციული ბანკის მაგალითზე (CR3) ცხადი ხდება, რომ ადგილი აქვს ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის დარღვევის ფაქტს. ეს უნდა გახდეს სიგნალი კონკურენციის სააგენტოსათვის დაინტერესდეს აღნიშნული საკითხით და მიიღოს კანონით გათვალისწინებული ზომები.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ელიავა ლ., ბერიძე ლ., ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსის გამოყენება საბანკო სექტორში კონკურენციის დონის განსაზღვრაში, საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციის

„ეროვნული ეკონომიკების მდგრადი განვითარების აქტუალური პრობლემები“ მასალები, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი, თბილისი, 10-11 ივლისი, 2015.

2. კომპერციული ბანკების ფინანსური მაჩვენებლები, საქართველოს ეროვნული ბანკი, <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=404>

3. საქართველოს კანონი კონკურენციის შესახებ, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1659450>

4. Edwards S., Allen A., Shaik S., Market Structure Conduct Performance (SCP) Hypothesis Revisited using Stochastic Frontier Efficiency Analysis, presentation at the American Agricultural Economics Association Annual Meeting, Long Beach, California, July 23-26, 2006, <http://ageconsearch.umn.edu/bitstream/21350/1/sp06ed01.pdf>

5. Рожкова О.А. Методы оценки банковской конкуренции http://www.rusnauka.com/16_ADEN_2011/Economics/1_88190.doc.htm

Lia Eliava

Lasha Beridze

USE OF STRUCTURAL METHOD IN BANKING SECTOR COMPETITION RESEARCH

Annotation

The article discusses research methods of competition in the banking sector. Using the structural method of competition level _ analysis concentration index is estimated the level of concentration of the banking sector of Georgia.

*ლია ელიავა
ბიძინა სირბილაძე*

ოფიციალური და არაოფიციალური დოლარიზაციის კატეგორიის შინაარსის გაგების შესახებ

ქვეყანაში არსებული დოლარიზაციის ობიექტურად შესაფასებლად აუცილებელია ტერმინის – „დოლარიზაცია“ შინაარსისა და არსის ცხადი განსაზღვრა. მკვლევარ-მეცნიერებს შორის არსებობდა აზრთა მნიშვნელოვანი სხვაობა დოლარიზაციის, როგორც ფენომენის შესწავლის ადრეულ სტადიაზე. დროთა განმავლობაში, ამ პრობლემის სიღრმისეული კვლევის შედეგად ჩამოყალიბდა მეტ-ნაკლებად შეჯერებული აზრი, თუმცა დღესაც ჯერ კიდევ არსებობს „დოლარიზაციის“ ტერმინის განსხვავებული განმარტებები.

ეროვნული ვალუტის უცხოური ვალუტით ჩანაცვლების პროცესი დაიწყო ლათინური ამერიკის ქვეყნებიდან, სადაც ადგილობრივ ვალუტასთან შედარებით უპირატესობა ენიჭებოდა აშშ დოლარს. ამიტომ, ტერმინი „დოლარიზაცია“ გამოიყენებოდა ვიწრო გაგებით, ანუ იგულისხმებოდა ეროვნული ვალუტის ჩანაცვლება აშშ დოლარით. დოლარიზაცია ვიწრო გაგებით ნახსენებია მრავალ სამეცნიერო კვლევაში, როგორც 30 წლის წინანდელ, ასევე თანამედროვე ნაშრომებში. მაგალითად, დოლარიზაცია განსაზღვრულია როგორც დოლარში განხორციელებული რეალური და ფინანსური ტრანსაქციების თანაფარდობა ეროვნულ ვალუტაში განხორციელებულ ტრანსაქციებთან [8]. ან ფინანსური დოლარიზაცია განისაზღვრება როგორც პროცესი, რომლის დროსაც რეზიდენტების აქტივებისა და ვალდებულებების მნიშვნელოვანი წილი ნომინირებულია აშშ დოლარში [7].

მას შემდეგ, რაც ეროვნული ვალუტების ჩანაცვლება დაიწყო აშშ დოლარის გარდა სხვა ძლიერი ვალუტებით, მაგალითად, ევროთი ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, ან რუბლით პოსტსაბჭოთა ქვეყნებში, ტერმინმა „დოლარიზაცია“ მიიღო ფართო გაგება. თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში დოლარიზაცია ფართო გაგებით გულისხმობს ეროვნული ვალუტის ჩანაცვლებას ნებისმიერი სხვა უცხოური ვალუტით [1; 10]. მიუხედავად ამისა, თანამედროვე ნაშრომებში მაინც გვხვდება დოლარიზაციის ვიწრო გაგებით განმარტება, ანუ დოლარიზაციის განხილვა როგორც ეროვნული ვალუტის მხოლოდ აშშ დოლარით ჩანაცვლება. მთელ რიგ სამეცნიერო კვლევებში ეროვნული ვალუტის ევროთი ჩანაცვლებას უწოდებენ „ევროიზაციას“, მაგალითად, ტერმინი „ევროიზაცია“ გამოიყენება ეროვნული ვალუტების ევროთი ჩანაცვლების აღწერისას ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებისა და ბალკანეთის (სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის) ქვეყნების ეკონომიკების ანალიზისას [4; 9; 3].

მსგავსად ტერმინისა „ევროიზაცია“, მეცნიერულ კვლევებში გვხვდება ტერმინები „იუანიზაცია“, „რუბლიზაცია“, „იენიზაცია“ და სხვ. ფაქტობრივად, ამ ტერმინებით ხასიათდება ერთი საერთო პროცესი - ეროვნული ვალუტის ჩანაცვლება უცხოური ვალუტით. ამიტომ, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, კვლევისას გამოყენებულ იქნეს უკვე ტრადიციულად ქვეყნულ ტერმინი „დოლარიზაცია“ ეროვნული ვალუტის უცხოური ვალუტით ჩანაცვლების ყველა შემთხვევისათვის, რაც მას ხდის უნივერსალურ და მეცნიერული განზოგადებისათვის მისაღებ ტერმინად.

ყველაზე გავრცელებული და მეცნიერთა უმრავლესობისათვის მისაღები დოლარიზაციის განმარტება შეიძლება ასე ჩამოყალიბდეს: ეროვნული ეკონომიკის დოლარიზაცია წარმოადგენს უცხოური ვალუტის მიერ ეროვნული ვალუტის რამდენიმე ან ყველა ფუნქციის ჩანაცვლების პროცესს. უცხოური ვალუტის მიერ ეროვნული ვალუტის ფუნქციების ჩანაცვლების ქვეშ იგულისხმება

ფულის ისეთი ძირითადი ფუნქციები, როგორცაა ღირებულების საზომი, მიმოქცევის საშუალება, გადახდის საშუალება და დაგროვების საშუალება. ეროვნული ვალუტის ჩანაცვლება უცხოური ვალუტით შეიძლება მოხდეს ორი გზით: ოფიციალურად და არაოფიციალურად. ოფიციალური, ანუ დე-იურე ჩანაცვლება გულისხმობს უცხოური ვალუტისათვის ოფიციალური სტატუსის მინიჭებას. არაოფიციალური, ანუ დე-ფაქტო ჩანაცვლება კი უცხოური ვალუტისათვის ასეთი ოფიციალური სტატუსის მინიჭებას არ გულისხმობს.

ოფიციალური დოლარიზაცია შეიძლება იყოს ორი სახის: სრული ოფიციალური და ნაწილობრივ ოფიციალური დოლარიზაცია. სრული ოფიციალური დოლარიზაციის დროს უცხოურ ვალუტას ენიჭება გადახდის ერთადერთი კანონიერი საშუალების სტატუსი, რა დროსაც ხდება სრული უარის თქმა ეროვნული ვალუტის გამოყენებაზე და უცხოური ვალუტა ხდება გადახდის ერთადერთი კანონიერი საშუალება. ნაწილობრივი ოფიციალური დოლარიზაციისას უცხოურ ვალუტას ენიჭება გადახდის სხვა ლეგალური საშუალების ოფიციალური სტატუსი და იგი მიმოქცევა გადახდის მეორე კანონიერი საშუალების - ეროვნული ვალუტის - პარალელურად.

არაოფიციალური დოლარიზაცია გულისხმობს უცხოური ვალუტის გამოყენებაზე ყველა აკრძალვის და შეზღუდვის მოხსნას. ამ დროს არ არსებობს შეზღუდვები უცხოურ ვალუტასთან ისეთი ოპერაციების განხორციელებაზე, როგორცაა: ქვეყანაში უცხოური ვალუტის შემოტანა ან მისი გატანა ქვეყნიდან; ნაღდი უცხოური ვალუტის შენახვა; უცხოური ვალუტის გადაცემა; უცხოურ ვალუტაში მიმდინარე და სადეპოზიტო ანგარიშების გახსნა; უცხოური ვალუტით უნაღდო ანგარიშსწორებების განხორციელება; კრედიტების გაცემა უცხოურ ვალუტაში; უცხოური ვალუტის როგორც გადახდის საშუალების მიმოქცევა; საქონელსა და მომსახურებაზე ფასის, ხელფასების დადგენა უცხოურ ვალუტაში.

ოფიციალური და არაოფიციალური დოლარიზაცია ასახავს ეროვნულ ეკონომიკაში უცხოური ვალუტის იურიდიულ სტატუსს. შესაბამისად, დოლარიზაციის სხვადასხვა სახეების კლასიფიცირებისას გამოიყოფა ოფიციალური (ანუ დე-იურე), ნაწილობრივ ოფიციალური და არაოფიციალური (ანუ დე-ფაქტო) დოლარიზაცია [1; 6; 2].

თუმცა, არსებობს ქვეყნის დოლარიზაციის მეორე გზაც. ეს არის უცხოური ვალუტის მიერ ეროვნული ვალუტის ეკონომიკური განდევნა და მისი ჩანაცვლება. ეკონომიკური თვალსაზრისით დოლარიზაცია წარმოადგენს ეკონომიკურ მოვლენასა და პროცესს, რომელსაც გააჩნია რაოდენობრივი პარამეტრები, დროითი და სივრცობრივი ჩარჩოები, ფაქტორები, მამოძრავებელი ძალები, მიზეზები და შედეგები. შესაბამისად, როდესაც საუბარია დოლარიზებულ ეკონომიკაზე, იგულისხმება, რომ მასში ეროვნული ვალუტის ფუნქციები ჩანაცვლებულია უცხოური ვალუტით.

უცხოური ვალუტის მიერ ეროვნული ვალუტის განდევნას ადგილი აქვს ზემოთ განხილულ სამივე შემთხვევაში. ოფიციალური დოლარიზაციის შემთხვევაში (სრული ოფიციალური დოლარიზაცია და ნაწილობრივი ოფიციალური დოლარიზაცია) ეს პროცესი ხორციელდება ოფიციალურად, ხელისუფლების გადაწყვეტილების საფუძველზე, ხოლო არაოფიციალური დოლარიზაციისას ამ პროცესს აქვს არაოფიციალური, ფაქტობრივი ხასიათი.

ამრიგად, დოლარიზაციის იურიდიული სტატუსით დახასიათებისას შეიძლება გამოიყოს მისი შემდეგი ფორმები: დოლარიზაციის არარსებობა; არაოფიციალური დოლარიზაცია (დე-ფაქტო დოლარიზაცია); ოფიციალური დოლარიზაცია (დე-იურე დოლარიზაცია).

დოლარიზაციის არარსებობა გულისხმობს სიტუაციას, როდესაც ქვეყანაში სრულიად არის აკრძალული უცხოური ვალუტის გამოყენება და არ არსებობს ფორმალური და სამართლებრივი ინსტიტუტები დოლარიზაციის განსახორციელებლად. დოლარიზაციის არარსებობისათვის აუცილებელია სამი ძირითადი წინამძღვარი: კანონმდებლობით არის განსაზღვრული უცხოურ ვალუტასთან ოპერაციების ჩამონათვალი; ქვეყნის ეკონომიკა სრულიად არის დახურული საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობებისათვის; ქვეყანაში მოქმედებს ყოველმხომცველი აკრძალვა უცხოური ვალუტით ოპერაციების განხორციელებაზე.

დღეისათვის, არ არსებობს ქვეყნები, სადაც არ არის დოლარიზაცია, მეტწილად ქვეყნებში ნებადართულია ნაღდი უცხოური ვალუტის შენახვა ხელზე, სავალუტო ანგარიშების გახსნა ბანკებში. იმ ქვეყნებშიც კი, სადაც არსებობს მკაცრი სავალუტო კონტროლი, არსებობს გარკვეული სამართლებრივ-ინსტიტუციური საფუძველები უცხოური ვალუტის მიმოქცევისათვის. აგრეთვე, აღარ არსებობენ სრული ეკონომიკური იზოლაციის მქონე ქვეყნები. შესაბამისად, დოლარიზაციის არარსებობა წმინდა თეორიულ ხასიათს ატარებს და მისი გამოყენება შეიძლება დოლარიზაციის დადებითი და უარყოფითი მხარეების თეორიული დაშვებებისა და ანალიზისას. დოლარიზაციის არარსებობის ისტორიულ მაგალითად შეიძლება ყოფილი საბჭოთა კავშირის მოყვანა, სადაც სიტუაცია მიახლოებული იყო დოლარიზაციის არარსებობის სიტუაციასთან, ვინაიდან არსებობდა სრული აკრძალვა უცხოური ვალუტის გამოყენებაზე, თუმცა იგი მაინც მიმოქცეოდა საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობების ძალით, მოსახლეობაში კი ვალუტის ბრუნვა იყო შეზღუდული და არალეგალური. დოლარიზაციის არარსებობის თანამედროვე მაგალითად შეიძლება განიხილოს კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკა, ე.წ. ჩრდილოეთ კორეა, სადაც ხელისუფლებამ 2012 წლის იანვარში განაცხადა სრული უარი უცხოური ვალუტის გამოყენებაზე. აქაც დოლარიზაციის არარსებობაზე მხოლოდ პირობითად შეიძლება საუბარი, ვინაიდან, მთავრობის

განცხადების მიუხედავად, ფიზიკური და იურიდიული პირები სხვადასხვა სავაჭრო გარიგებების განხორციელებისას აქტიურად იყენებენ ჩინურ იუანს და ევროს.

უცხოურ ვალუტასთან ოპერაციების განხორციელებაზე შეზღუდვების არარსებობა წარმოადგენს არაოფიციალური, ანუ დე-ფაქტო დოლარიზაციის წარმოშობის წინამძღვარს. მეტი წილი ეკონომისტებისა არაოფიციალურ დოლარიზაციას განსაზღვრავენ, როგორც ეკონომიკური აგენტების მიერ უცხოური ვალუტის, როგორც ფულის, სტიქიურ გამოყენებას ადგილობრივი ვალუტის პარალელურად, მთავრობის მიერ უცხოური ვალუტისათვის რაიმე სტატუსის მინიჭების გარეშე. სამეცნიერო ლიტერატურაში „არაოფიციალური დოლარიზაციის“ პარალელურად ხმარობენ მის სინონიმებს: „ფაქტობრივი დოლარიზაცია“, „დე-ფაქტო დოლარიზაცია“ „არაფორმალური დოლარიზაცია“ „სპონტანური დოლარიზაცია“.

არაოფიციალური დოლარიზაციის მთავარი თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ უცხოური ვალუტის გამოყენება ხორციელდება სტიქიურად, ეკონომიკური აგენტების ინიციატივით, რომლებიც ფულის სახით გამოყენებისას უპირატესობას ანიჭებენ უცხოურ ვალუტას ადგილობრივთან შედარებით. არაოფიციალური დოლარიზაციის მაგალითად, როგორც წესი, სახელდება ლათინური ამერიკის, აფრიკისა და აზიის განვითარებადი ქვეყნები, ასევე აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის გარდამავალი ეკონომიკების მქონე ქვეყნები, სადაც არაოფიციალური დოლარიზაციის დონე მაღალია. ამ ქვეყნების შერჩევა განპირობებულია იმით, რომ მეკვლევების ინტერესი მათ მიმართ განჩნდა მაშინ, როდესაც დოლარიზაციის დონემ მიაღწია საგანგაშო ნიშნულს და უცხოური ვალუტის რაოდენობამ მნიშვნელოვნად გადააჭარბა ადგილობრივს.

უნდა აღინიშნოს რომ, თუ არაოფიციალური დოლარიზაცია შეფასებული იქნება ობიექტურობის მაღალი ხარისხით, შესაძლებელია გაკეთდეს დასკვნა იმის შესახებ, რომ დოლარიზაციას ადგილი აქვს ყველა იმ ქვეყანაში, სადაც არ არსებობს უცხოური ვალუტის გამოყენებაზე ოფიციალური აკრძალვა.

არაოფიციალური დოლარიზაციის დონის საზომია უცხოური ვალუტის წილი ფულის ფართო მასაში. გამომდინარე აქედან, დოლარიზაციის დონე ახასიათებს არაოფიციალური დოლარიზაციის ეკონომიკური მოცვის სიდიდეს, რომელიც შეიძლება მერყეობდეს 0%-დან 100%-მდე. შესაბამისად, იმ ქვეყნებშიც კი, სადაც არ არსებობს უცხოური ვალუტის გამოყენების ინსტიტუციური პირობები, უცხოური ვალუტის უმნიშვნელო ოდენობაც კი სტატისტიკურად აისახება არაოფიციალური დოლარიზაციის შეფასებისას. შესაბამისად, შეიძლება გაკეთდეს დასკვნა იმის შესახებ, რომ არაოფიციალური დოლარიზაცია მეტ-ნაკლები ოდენობით არსებობს ყველა ქვეყანაში, ვინაიდან არ არსებობენ ქვეყნები, სადაც მოქმედებს უცხოური ვალუტის გამოყენების სრული აკრძალვა.

დოლარიზაციის ეკონომიკური ბუნება გამოიხატება ეროვნული ვალუტის ფუნქციების ჩანაცვლებაში, რაც ინსტიტუციურ-სამართლებრივ ფორმებს იღებს. კერძოდ, არ არსებობს ნაწილობრივი ან სრული აკრძალვები და შეზღუდვები უცხოურ ვალუტასთან ოპერაციებზე და, იმავდროულად, არ არსებობს უცხოური ვალუტის ოფიციალური, საკანონმდებლო სტატუსი. შესაბამისად, დოლარიზაციის დონე რაოდენობრივად ასახავს ადგილობრივი ვალუტის ფუნქციების ჩანაცვლებას უცხოური ვალუტით.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Bogetic, Z. Official Dollarization: Current Experiences and Issues // Cato Journal, 2000, Vol. 20, No. 2, pp. 179-213.
2. Carchedi, G. Imperialism, Dollarization and the Euro // in L. Panitch and C. Leys (eds.), Socialist Register – London: Merlin Press, 2002, pp. 153-174.
3. Chitu, L. Was Unofficial Dollarisation/Euroisation an Amplifier of the ‘Great Recession’ of 2007-2009 in Emerging Economies? // European Central Bank, Working Paper Series N1473, September 2012.
4. Feige, E.L., J.W. Dean. Dollarization and Euroization in Transition Countries: Currency Substitution, Asset Substitution, Network Externalities and Irreversibility // in V. Alexander, Melitz J., Furstenberg G.M. (eds.), Monetary Unions and Hard Pegs: Effects on Trade, Financial Development, and Stability, – New York and Oxford: Oxford University Press, 2004, pp. 303-319.
5. Fernández Tellería, B.X. Dollarization Hysteresis Network Externalities and the “Past legacy” Effect: The Case of Bolivia // Banco Central de Bolivia, Revista de Análisis, 2006, Vol. 7, No. 1, pp. 7-64.
6. Garcia-Escribano, M., Sosa S., What is Driving Financial De-dollarization in Latin America? // International Monetary Fund Working Papers, 2011, No. 10 (WP/11/10). – Washington, D.C.: International Monetary Fund.
7. Ortiz, G. Currency Substitution in Mexico: The Dollarization Problem // Journal of Money, Credit and Banking, 1983, Vol. 15, No. 2, pp. 174-185.
8. Stix, H. Euroization: What Factors Drive Its Persistence? Households Data Evidence for Croatia, Slovenia and Slovakia // Oesterreichische Nationalbank, Wien, Working Paper 140, 2008.
9. Vetlov, I. Dollarization in Lithuania: An Econometric Approach // Bank of Finland Institute for Economies in Transition (BOFIT), BOFIT Discussion Papers, 2001, No. 1.

THE COMPREHENSION OF OFFICIAL AND NONOFFICIAL DOLLARIZATION CATEGORY CONTENT
Annotation

The article deals with the phenomenon of the replacement of the national currency in foreign currency - dollarization, viewed in terms of the nature and content, is given its variable definitions. The article deals with the legal status of dollarization and evaluates three types of dollarization: absence of dollarization; Unofficial dollarization (the de facto dollarization); Official dollarization (de jure dollarization).

მარიამ ვარდიაშვილი
მარინა მაისურაძე

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგების ზოგიერთი საკითხი საჯარო სექტორში

სახელმწიფო ფინანსების მართვაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საიმედო სააღრიცხო-საინფორმაციო სისტემის ფორმირებას, რომელიც უზრუნველყოფს სახელმწიფო მმართველობის ორგანოების ფინანსური მდგომარეობის, ფინანსური საქმიანობის შედეგებისა და ფულადი ნაკადების მართვის გამჭვირვალობას, წარსული მოვლენებისა და არსებული სიტუაციების ზუსტ ანალიზს და სწორი დასკვნებისა და გადაწყვეტილებების მიღებას ბიუჯეტის ფორმირებისას, აგრეთვე, შემოსავლების, ხარჯების, საბიუჯეტო ინვესტიციებისა და სახელმწიფო ვალის მართვისას.

საერთაშორისო დონეზე სახელმწიფო სექტორის ორგანიზაციების აღრიცხვის და ანგარიშგების საკითხებს არეგულირებს საჯარო სექტორის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო კომიტეტი, რომელიც აქვეყნებს საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებს (სსბასს). სტანდარტის მიხედვით, ერთეულმა, რომელიც ფინანსურ ანგარიშგებას აღგენს ბუღალტრული აღრიცხვის დარიცხვის მეთოდის გამოყენებით, უნდა მოამზადოს ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება სსბასს 2-ის მიხედვით და წარადგინოს იგი ფინანსური ანგარიშგების ნაწილად. ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება განსაზღვრავს:

- ფულადი სახსრების შემოდინების წყაროებს;
- მუხლებს, რომლებზეც მოხდა ფულადი სახსრების ხარჯვა საანგარიშო პერიოდში;
- ფულადი სახსრების საღდოს საანგარიშო პერიოდისთვის.

ინფორმაცია ფულადი სახსრების ნაკადების შესახებ, საშუალებას აძლევს მომხმარებლებს, დაადგინონ თუ როგორ გამოიშუშავა ერთეულმა მისი საქმიანობის დაფინანსებისათვის საჭირო ფულადი სახსრები და როგორ მოხდა ამ სახსრების გამოყენება.

ფულადი ნაკადების ეფექტური მართვისთვის აუცილებელია განისაზღვროს:

- მისი რაოდენობა მოცემულ პერიოდში;
- მისი სტრუქტურა (ძირითადი ელემენტები);
- საქმიანობის სახეები, რომელიც ქმნის შესაბამის ფულად ნაკადებს და მათი ფორმირების მექანიზმს.

ამ მხრივ, ყველაზე მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია ანგარიშგება ფულადი ნაკადის მოძრაობის შესახებ (CASH FLOW STATEMENTS). ეს ანგარიში საჭიროა როგორც მენეჯერების, ისე ფინანსური ანგარიშგების გარე მომხმარებლებისათვის (კრედიტორი, აქციონერები, ინვესტორები და ა.შ.), რომლებიც უნდა უზრუნველყოს შემდეგი სახის ინფორმაციით:

• რა რაოდენობით და რომელი წყაროდან არის მიღებული თანხები და რომელი ძირითადი მიმართულებით იხარჯება;

• უზრუნველყო თუ არა ერთეულმა თავისი საქმიანობის სრულად დაფინანსება და როგორ შეასრულა ფულად სახსრებთან დაკავშირებული მოთხოვნები;

• იყო თუ არა რესურსები მოპოვებული და გამოყენებული დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისად;

• შეძლეს თუ არა მომავალში კანონმდებლობით განსაზღვრული ფუნქციების შესრულების უზრუნველყოფას;

• შიდა სახსრებიდან (ეკონომიკური საქმიანობიდან) რა რაოდენობის ინვესტიციის განხორციელება შეუძლია;

• რით აიხსნება სხვაობა ფინანსურ მოგებასა და ფულადი სახსრების მოცულობას შორის და სხვა.

ფულადი ნაკადის ანგარიშგების წარდგენა ბევრ ქვეყანაში სავალდებულოა და კანონით რეგულირდება. საქართველოში ასევე კანონითაა დადგენილი როგორც საბიუჯეტო ორგანიზაციების ფინანსური ანგარიშგების ნაწილი.

მიუხედავად იმისა, რომ ფინანსთა სამინისტროს მიერ დამტკიცებული ფინანსური ანგარიშგების კომპონენტების შედგენის და წარდგენის წესი საჯარო სექტორის ფინანსური

ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IPSAS) მიხედვით არის შემუშავებული, იგი მაინც შეიცავს განსხვავებებს, რომელიც ართულებს მის გამოყენებას.

სსბასს 2-ის მიხედვით, ანგარიშგებაში ფულადი სახსრების მოძრაობა კლასიფიცირებული და წარმოდგენილია საოპერაციო, საინვესტიციო და საფინანსო საქმიანობის მიხედვით.

მთელი საქმიანობის სამ კომპონენტად წარმოდგენა ძალზე მნიშვნელოვან როლს თამაშობს ფულადი სახსრების მოძრაობის ანალიზში, რამდენადაც შეიძლება მთლიანად მიღებულ დადებით ფულად ნაშთში, ძირითადი (საოპერაციო) საქმიანობიდან მიღებული უარყოფითი ნაშთი გადაფაროს აქტივების რეალიზაციით (საინვესტიციო საქმიანობის) ან საბანკო სესხებით (საფინანსო საქმიანობა) მიღებულმა ფულადმა ნაკადებმა. ამ შემთხვევაში, საერთო ნაკადის დადებითი ნაშთით იფარება ორგანიზაციის ზარალი საოპერაციო საქმიანობიდან.

საოპერაციო საქმიანობა. ერთეულის წმინდა ფულადი სახსრების ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან წარმოადგენს საკვანძო მაჩვენებელს ფულადი სახსრებით უზრუნველყოფის მასშტაბის დასადგენად, რომლებიც მიღებულია:

- გადასახადებიდან (პირდაპირ ან არაპირდაპირ); ან
- ერთეულის მიერ მიწოდებული საქონლისა და მომსახურების მომხმარებლებისგან.

წმინდა ფულადი სახსრების მოცულობა აგრეთვე გვიჩვენებს ერთეულის უნარს, შეინარჩუნოს ფუნქციონირების შესაძლებლობა, დაფაროს ვალდებულებები, დივიდენდები ან ანალოგიური გადასახადები და განახორციელოს ინვესტიციები დაფინანსების გარე წყაროების გამოყენების გარეშე. სახელმწიფოს კონსოლიდირებული საოპერაციო ფულადი ნაკადები აჩვენებს სახელმწიფოს მიერ მისი მიმდინარე საქმიანობის დაფინანსების მოცულობას გადასახადების და შემოსულობების მეშვეობით. ინფორმაცია წარსული საოპერაციო საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი ფულადი ნაკადების შესახებ, სასარგებლოა მომავალი საოპერაციო საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი ფულადი ნაკადების პროგნოზირებისათვის.

საოპერაციო საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი ფულადი სახსრების ნაკადები დაკავშირებულია ერთეულის ძირითადი საქმიანობიდან მიღებულ ფულად სახსრებთან. საოპერაციო საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი ფულადი სახსრების ნაკადების მაგალითებს წარმოადგენს:

- ფულადი შემოსავლები გადასახადებიდან, მოსაკრებლებიდან და ჯარიმებიდან, ერთეულის მიერ საქონლის რეალიზაციიდან და მომსახურების გაწევიდან, გრანტებიდან ან ტრანსფერტებიდან და სხვა ასიგნებებიდან ან საბიუჯეტო უფლებამოსილებებიდან, რომლებიც ხორციელდება ცენტრალური ხელისუფლების ან სხვა საჯარო სექტორის ერთეულების მიერ;
- ფულადი ხარჯები საჯარო სექტორის სხვა ერთეულების მიმართ მათი ოპერაციების დაფინანსებისთვის (სესხების გარდა), საქონლისა და მომსახურების მომწოდებელთათვის, თანამშრომლებისათვის და მათი სახელით გადახდილი ფულადი სახსრები.
- ფულადი შემოსავლები და ხარჯები სადაზღვევო ერთეულის მიერ სადაზღვევო პრემიების და მოთხოვნების მიმართ, ანუიტეტები და სხვა სადაზღვევო სარგებელი;
- ადგილობრივი ქონების გადასახადის ან საშემოსავლო (თუ შესაბამისი არსებობს) გადასახადის შედეგად წარმოქმნილი ფულადი ხარჯები, რომლებიც დაკავშირებულია საოპერაციო საქმიანობასთან;

• ფულადი შემოსავლები და ხარჯები, წარმოქმნილი ხელშეკრულებებიდან, რომლებიც დადებულია სადილერო ან სავაჭრო მიზნებით;

- ფულადი შემოსავლები ან ხარჯები დაკავშირებული საქმიანობის შეწყვეტასთან;
- ფულადი შემოსავლები ან ხარჯები, დაკავშირებული სადავო საკითხების გადაწყვეტასთან.

სტანდარტი ასევე აზუსტებს ზოგიერთ ოპერაციას, რომლებიც შეიძლება აისახოს საოპერაციო საქმიანობაში, მაგალითად ფულადი ხარჯები, გაწეული მშენებლობისთვის ან აქტივების შექმნა სხვა პირებისთვის მათი იჯარით გაცემის და შემდეგ მათი გაყიდვის მიზნით, განიხილება, როგორც ფულადი სახსრების ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან. მაშინ, როდესაც ძირითადი საშუალებების გაყიდვით წარმოქმნილი ფულადი სახსრების ნაკადები წარმოადგენს საინვესტიციო საქმიანობის შედეგებს. ასევე, მფლობელის მიერ ფასიანი ქაღალდების შექმნა სავაჭრო მიზნებით, შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც მარაგები შემდგომი გაყიდვის მიზნით. ამიტომ, ამგვარი ფასიანი ქაღალდების შექმნის ან გაყიდვის შედეგად წარმოქმნილი ფულადი სახსრების ნაკადები მიეკუთვნება საოპერაციო საქმიანობას.

ზოგიერთ იურისდიქციაში მთავრობები ან სხვა საჯარო სექტორის ერთეულები გამოყოფენ სახსრებს რომელიმე ერთეულის საქმიანობის დასაფინანსებლად. როდესაც ერთეული ვერ ახდენს საბიუჯეტო ასიგნებების ცალკე გამოჯენას მიმდინარე, კაპიტალურ და კაპიტალში შენატანს შორის, მან მოცემული ასიგნება უნდა განიხილოს, როგორც საოპერაციო საქმიანობის ფულადი სახსრები.

საინვესტიციო საქმიანობიდან ფულადი სახსრების ნაკადები გვიჩვენებს თუ ფულადი სახსრების რა მოცულობა იყო მიმართული იმ რესურსებში, რომლებიც მომავალში ხელს შეუწყობს ერთეულის მიერ მომსახურების გაწევას. საინვესტიციო საქმიანობად ჩაითვლება მხოლოდ ის ფულადი ხარჯი, რომელიც აღიარებულ იქნა აქტივად ფინანსური მდგომარეობის

შესახებ ანგარიშგებაში. საინვესტიციო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების მაგალითებია:

- ძირითადი საშუალებების, არამატერიალური და სხვა გრძელვადიანი აქტივების შესაძენად გადახდილი ფულადი სახსრები;

- ძირითადი საშუალებების, არამატერიალური და სხვა გრძელვადიანი აქტივების რეალიზაციიდან მიღებული ფულადი სახსრები;

- ფულადი ხარჯები საკუთარი კაპიტალის ან სხვა ერთეულების ვალის ინსტრუმენტების შექმნის ან და ერთობლივ საქმიანობაში წილობრივი მონაწილეობის მიზნით;

- ფულადი შემოსავლები საკუთარი კაპიტალის ან სხვა ერთეულების საკრედიტო ინსტრუმენტების და ერთობლივი საქმიანობის წილების რეალიზაციიდან;

- ფულადი ავანსები და სესხები, გაცემული სხვა პირებზე (გარდა საჯარო საფინანსო ინსტიტუტების მიერ გაცემული ავანსებისა და სესხებისა);

- სხვა პირებზე გაცემული ავანსების და სესხების დაფარვის შედეგად მიღებული ფულადი შემოსავლები (გარდა საჯარო საფინანსო ინსტიტუტებზე გაცემული ავანსებისა და სესხებისა) [2].

საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი ფულადი სახსრების ნაკადების ცალკე წარმოდგენა მნიშვნელოვანია, ვინაიდან იგი საჭიროა ერთეულის კაპიტალის ფორმირებაში მონაწილეთა მომავალი ფულადი ნაკადების მიმართ მოთხოვნებზე სათანადო პროგნოზის გასაკეთებლად. საფინანსო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი სახსრების ნაკადების მაგალითებს წარმოადგენს:

- ფულადი შემოსავლები, მიღებული სავალო ფასიანი ქაღალდების გამოშვებიდან, სესხებიდან, თამასუქებიდან, ობლიგაციებიდან, გირაოებიდან და სხვა მოკლევადიანი და გრძელვადიანი სესხებიდან;

- სესხების დასაფარად გამოყოფილი ფულადი სახსრები; და

- მოიჯარის მიერ ფინანსური იჯარის ვალდებულებების შესამცირებლად გადახდილი ფულადი სახსრები.

სტანდარტით განხილულია საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების წარდგენის ორი მეთოდი:

- პირდაპირი მეთოდი, რომელშიც მოცემულია ფულადი სახსრების შემოსავლისა და გასავლის მთლიანი ნაკადები; ან

- არაპირდაპირი მეთოდი, რომლის მიხედვითაც წმინდა მოგება ან ზარალი კორექტირდება არაფულადი ოპერაციების შედეგებით, წარსული და მომავალი პერიოდის საოპერაციო შემოსავლებისა და გადახდების გადავადების ან დარიცხვის გათვალისწინებით, რომლებიც დაკავშირებულია საინვესტიციო ან საფინანსო საქმიანობის ფულადი სახსრების ნაკადებთან.

სტანდარტით „ერთეულებს ეძლევათ რეკომენდაცია, წარმოადგინონ ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან პირდაპირი მეთოდის გამოყენებით. პირდაპირი მეთოდი იძლევა ისეთ ინფორმაციას, რომელიც სასარგებლოა:

- მომავალი ფულადი ნაკადების შესაფასებლად, და

- არაპირდაპირი მეთოდის მეშვეობით მიუწვდომელია.“ [2]

არაპირდაპირი მეთოდით საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული წმინდა ფულადი სახსრების ნაკადები განისაზღვრება წმინდა მოგებისა და ზარალის კორექტირებით შემდეგ მუხლებზე დაყრდნობით:

ა) საანგარიშო პერიოდში სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობებსა და საოპერაციო მოთხოვნებსა და ვალდებულებებში მომხდარი ცვლილებები;

ბ) არაფულადი მუხლები, როგორცაა ცვეთა, ანარიცხები, გადავადებული გადასახადები, უცხოურ ვალუტასთან დაკავშირებული სამეურნეო ოპერაციებიდან მიღებული არარეალიზებული შემოსულობები და დანაკარგები, გაუნაწილებელი მოგება, და

გ) ყველა სხვა მუხლი, რომლებიც გვიჩვენებს საინვესტიციო ან საფინანსო საქმიანობასთან დაკავშირებულ ფულად ნაკადებს.

რაც შეეხება საფინანსო და საინვესტიციო საქმიანობასთან დაკავშირებულ ფულად სახსრებს, ისინი ანგარიშგებაში უნდა ასახოს ცალკეცალკე, ძირითადი კატეგორიების მიხედვით, გარდა ნეტო საფუძველზე წარდგენილი ფულადი სახსრების ნაკადებისა.

ნეტოსაფუძველზე შეიძლება წარდგინოს იქნეს საოპერაციო, საინვესტიციო ან საფინანსო საქმიანობით წარმოქმნილი შემდეგი ფულადი სახსრების ნაკადები:

- კლიენტების, გადასახადის გადამხდელების ან ბენეფიციარების სახელით მიღებული და გაცემული ფულადი სახსრები, როდესაც ფულადი სახსრების ნაკადები ასახავს უფრო მეტად სხვა პირების, ვიდრე ერთეულების საქმიანობას; და

- ფულადი სახსრების მიღება და გაცემა იმ მუხლების მიხედვით, რომელთათვის დამახასიათებელია სწრაფი თანხების დიდი ოდენობა და განადგობის მოკლე ვადები.

ამგვარი ფულადი შემოსავლების და ხარჯების მაგალითები მოიცავს:

- გადასახადების შეგროვებას სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს ერთი დონის მიერ სხვა სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს დონისათვის, რომელშიც არ შედის ის გადასახადები,

რომლებიც გამოიყენება სახელმწიფოს მიერ საკუთარი სარგებლობისათვის, გადასახადების გადანაწილების წესებიდან გამომდინარე;

- საჯარო ფინანსური ინსტიტუტის მოთხოვნამდე დეპოზიტების მიღება და განაღდება;
- ფონდები კლიენტებისათვის სატრასტო და საინვესტიციო ერთეულების მიერ; და
- ქონების მესაკუთრის სახელზე მიღებული და გადახდილი საიჯარო ქირა.
- საავანსო გადახდა და დაფარვა განხორციელებული:

- ა) ინვესტიციის შექმნის ან გაყიდვისას; და
- ბ) სხვა მოკლევადიანი სესხები.

არაპირდაპირი მეთოდი, როგორც უკვე აღინიშნა, გულისხმობს საბიუჯეტო დაფინანსებიდან ნამეტის/(დეფიციტის), ხოლო ეკონომიკური საქმიანობიდან მოგების ან ზარალის კორექტირებას არაფულადი მუხლებით.

მიუხედავად იმისა, რომ სსბასს იძლევა რეკომენდაციას, ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან წარმოადგინონ პირდაპირი მეთოდის გამოყენებით, საქართველოში მოქმედი ინსტრუქციის მიხედვით, ორგანიზაცია ანგარიშგებას ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ წარადგენს არაპირდაპირი მეთოდით.

პირდაპირი მეთოდით აისახება შემოსავალი და ხარჯების აბსოლუტური მოცულობა, დეტალურად განისაზღვრება წმინდა ფულადი სახსრების ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან, იგი პასუხობს საჯარო სექტორის ფინანსური ანგარიშგების მთავარ მოთხოვნას, ანგარიშგებაში აისახოს რა რაოდენობით და რომელი წყაროდან არის მიღებული თანხები და რომელი ძირითადი მიმართულებით იხარჯება.

არაპირდაპირი მეთოდი იძლევა ორგანიზაციის საქმიანობის ფინანსური შედეგების და რეალურ ფულად ნაკადებს შორის სხვაობის შესახებ ინფორმაციას. მაგრამ ვფიქრობთ, ის ვერ უზრუნველყოფს სრულყოფილ ინფორმაციას ორგანიზაციის ფულადი ნაკადების მოძრაობის შესახებ.

დასკვნა

ფული ერთ-ერთი ყველაზე შეზღუდული რესურსია. ნებისმიერი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის ეკონომიკური საქმიანობის წარმატებას განსაზღვრავს მათი რაციონალურად გამოყოფის და გამოყენების უნარი.

ფულადი ნაკადების ეფექტური მართვისთვის აუცილებელია განისაზღვროს:

- მისი რაოდენობა მოცემულ პერიოდში;
- მისი სტრუქტურა (ძირითადი ელემენტები);
- საქმიანობის სახეები, რომელიც ქმნის შესაბამის ფულად ნაკადებს და მათი ფორმირების მექანიზმი.

აღნიშნულ მოთხოვნას უზრუნველყოფს ფულადი ნაკადების შესახებ ანგარიშგება, რომელიც იძლევა დეტალურ ინფორმაციას განსახილველ პერიოდში ფულადი სახსრების ცვლილებების შესახებ საოპერაციო, საინვესტიციო და საფინანსო საქმიანობის კონტექსტში.

საჯარო სექტორში ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება შეიძლება დაეხმაროს მომხმარებლებს ერთეულის პროგრამებს და სახელმწიფოს საბიუჯეტო ინფორმაციას შორის არსებული კავშირების გასაგებად, დაგეგმილი და ფაქტობრივი საბიუჯეტო თანხების შესადარებლად.

გამოყენებული ლიტერატურა

1. სსბასს 1 – ფინანსური ანგარიშგების წარდგენა, www.mof.ge
2. სსბასს 2 – ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება, www.mof.ge
3. ინსტრუქცია „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“, www.mof.ge
4. მ. მაისურაძე, როგორ მოვახდინოთ რეგულირება ფულადი სახსრების რაოდენობრივ მხარეზე, ქ. „ბიზნესი და კანონმდებლობა“, ივლისი-აგვისტო, 2010, გვ.54.
5. მ. ვარდიანიშვილი, ბუღალტრული აღრიცხვა საჯარო სამართლის სუბიექტებში, თბ., 2012.
6. И.Я. Лукаевич. Два метода формирования отчета о движении денежных средств. www.elitarium.ru
7. Michael Mros. Betriebswirtschaft im öffentlichen Sektor. www.springer.com

*Mariam Vardiashvili
Marina Maisuradze*

ON REPORTING THE CASH FLOW ACCORDING TO THE INTERNATIONAL PUBLIC SECTOR ACCOUNTING STANDARDS Annotation

The article deals with the essence, purpose, benefits, and procedures of presentation of the cash flow in the financial reporting, indicates on their role in the financial conditions of an enterprise, results of the financial transactions,

and management of the cash flow, reflects the advantages and disadvantages of direct and indirect methods of reporting the cash flows in the operational activities and, considers the issues of conformity of the national Georgian standards with international standards.

დიანა ვაშაყმაძე

სოციალური პასუხისმგებლობა ქართულ საბანკო სექტორში

შესავალი

ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა – ეს არის ბიზნესის კეთილი ნება, გადაჭრას ის პრობლემები, რომელიც პირდაპირ თუ არაპირდაპირ გამოწვეულია ბიზნესის საქმიანობით – ამერიკელი მეცნიერის გორდონ ფიტჩის ეს განმარტება ყველაზე ზუსტად ასახავს ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის არსს.

1992 წლიდან დასავლეთში სულ უფრო პოპულარული ხდება შეხედულება, რომ კომპანიებმა საკუთარი ინიციატივით უფრო მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულონ საზოგადოებრივი მიზნების მიღწევაში. კომპანიებმა ბიზნესი უნდა აწარმოონ სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეთა ინტერესების გათვალისწინებით, რომ ერთობლივი ძალისხმევით იქნეს მიღწეული საერთო მიზანი – მდგრადი განვითარება.

თანამედროვე მსოფლიოში წარმოუდგენელია ნორმალური რეპუტაციის მქონე კომპანია, რომელიც არ აქტიურობდეს ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის კუთხით. ეს უკვე ბიზნესის წარმოების ჩვეულებრივი და გავრცელებული ფორმა გახდა – აქტიური მარკეტინგული ინსტრუმენტი გაძლიერებული კონკურენციის პირობებში ბაზარზე უპირატესობის მოსაპოვებლად, რადგან პროდუქცია იძენს დამატებით სოციალურ ღირებულებას.

ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა არის ბიზნესის რეაქცია საზოგადოების შეცვლილ მოთხოვნებზე.

ანალიტიკოსების შეფასებით, მსოფლიოში სოციალურად ორიენტირებული კომპანიების რაოდენობა კიდევ უფრო გაიზრდება, რადგან მათზე “ზეწოლა” მოთხოვნების თვალსაზრისით სახელმწიფოს და საზოგადოების მხრიდან მზარდია. გამოცდილებაც აჩვენებს, რომ წარმატებულთა რიცხვში ხედებიან ის კომპანიები, რომლებიც არა მხოლოდ საკუთარი ბიზნესით ინტერესდებიან, არამედ უფრო გლობალურ, სოციალურ, ეკონომიკურ და გარემოსდაცვით პრობლემებზე ახდენენ ზეგავლენას.

საქართველოში ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის თემა თითქმის 10 წლისაა. პირველად თემა გააქტიურდა 2005 წელს, როდესაც გაიმართა შეხვედრები ქართულ არასამთავრობო ორგანიზაციებსა და ბიზნესსექტორს შორის. შეხვედრებს გაცნობითი და საინფორმაციო ხასიათი ჰქონდა, მიღებულ იქნა პირველი მემორანდუმი სოციალურ სფეროში თანამშრომლობის შესახებ.

ქართული კომპანიების დიდი ნაწილი სოციალური პროგრამების განხორციელებას ძირითადად საკუთარი რესურსების ხარჯზე ცდილობს, მათ ქმედებას ხშირ შემთხვევაში ერთჯერადი საქველმოქმედო სახე უფრო აქვს ვიდრე სისტემური სოციალური პასუხისმგებლობის პროექტის. დასავლეთში სოციალური პროექტების განხორციელება უმეტესად არასამთავრობო სექტორთან მჭიდრო თანამშრომლობით ხდება. ბიზნესი ირჩევს პრიორიტეტულ მიმართულებებს, ადგენს ბიუჯეტს, აცხადებს საგრანტო კონკურსს და არჩევს არასამთავრობო ორგანიზაციას.

ძირითადი ნაწილი

სოციალური პასუხისმგებლობა დღეისათვის ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციის ყველაზე გავრცელებული ტენდენციაა. მსხვილი კომპანიები აქტიურად იყენებენ სოციალურ პასუხისმგებლობას, როგორც იარაღს საკუთარი იმიჯის ფორმირებისას. ამ მიმართულებითაც აქტიურად გამოირჩევა ქართული კომერციული ბანკები: თიბისი ბანკის ვებგვერდზე ჩამოთვლილია ყველა ის პროექტი, რომელიც თიბისი ბანკმა 2015 წლის მანძილზე დააფინანსა სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში: ყოველწლიური ლიტერატურული კონკურსი „საბა“. ასევე, დაფინანსებულ პროექტებს შორისაა ოთხი ექსკლუზიური გამოფენა, რომელიც წლის განმავლობაში თიბისი არტ გალერეაში შედგა, მისი სტრატეგიის ერთგვარი გაგრძელება იყო და მიზნად ისახავდა ქართული ვიზუალური ხელოვნების ყველაზე ცნობილი წარმომადგენლების პოპულარიზაციას. ასევე იყო პროექტები, რომელიც ხელს უწყობს ქართველი ხელოვნების პოპულარიზაციას საზღვრებს გარეთ.

თიბისი გალერეაში გამართულ ღონისძიებებს ყოველწლიურად ათასობით ადამიანი ესწრება, რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ქართული ხელოვნების პოპულარიზაციას.

თიბისი ბანკის მიერ 2015 წელს სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში გამოყოფილი თანხის ოდენობის შესახებ ვებგვერდზე საუბარი არ არის.

რაც შეეხება „საქართველოს ბანკს“, მან 2015 წლისთვის სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში 2.3 მილიონი ლარი გამოყო. პრიორიტეტები კი შემდეგნაირად ნაწილდება.

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვები – შშმ ბავშვების მხარდასაჭერად ფონდი „სიცოცხლის ხე“ მდგრად პროექტებს ახორციელებს. პროექტები პარტნიორ ორგანიზაციებთან

ერთად ხორციელდება. ფონდი „სიცოცხლის ხე“ პერიოდულად საგრანტო კონკურსებს აცხადებს. გრანტის სახით გამოყოფილი თანხები ინფრასტრუქტურულ, საგანმანათლებლო და ინტეგრაციაზე მიმართულ პროექტებს ხმარდება.

განათლება – განათლების მიმართულებით ფონდი „სიცოცხლის ხე“ რამდენიმე პროგრამას ახორციელებს. დაფინანსების ძირითადი ნაწილი სტუდენტებისთვის სტიპენდიების გამოყოფას ემსახურება. ფონდი აფინანსებს ქართულ სტუდენტებს საქართველოში, ამერიკასა და ბრიტანეთში მაგისტრატურის გასაგვლელად.

გარემოს დაცვა – „სიცოცხლის ხის“ ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს გარემოს დაცვა წარმოადგენს. ამ მიზნით „სიცოცხლის ხე“ ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის მხარდასაჭერ დაფინანსება გამოყოფს და გარემოს დაცვის სხვა პროექტები განახორციელებს.

საქართველოს ბანკი, საჭიროებიდან გამომდინარე, პერიოდულად მართავს სხვადასხვა ტიპის საქველმოქმედო ღონისძიებებს.

თუ სოციალური პასუხისმგებლობის კუთხით აღნიშნული ორი ბანკის შედარებით ანალიზს გავაკეთებთ, თიბისი ბანკისთვის პრიორიტეტია კულტურული ტიპის ღონისძიებების დაფინანსება, საქართველოს ბანკისთვის კი უფრო საგანმანათლებლო პროექტები და შშმ პირები.

რაც შეეხება სხვა ბანკებს, პროკრედიტ ბანკის ვებგვერდზე სოციალურ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით ნათქვამია, რომ "სოციალური პასუხისმგებლობა პროკრედიტ ბანკის ერთ-ერთი მთავარი ღირებულებაა." პროკრედიტ ბანკის მიერ ბოლო წლებში განხორციელებული რამდენიმე სოციალური პროექტიდან ყველაზე მნიშვნელოვანია პროექტი რო რტ, რომლის მიზანი იყო ქართული სახვითი ხელოვნების განვითარების ხელშეწყობა როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთ, ProArt ფოტოგრაფია - პროარტ პროექტის გაგრძელება და პროექტი "Help the Children". პროექტი ცხინვალის რეგიონიდან დევნილი, 2008 წლის სამხედრო კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ბავშვებისათვის განხორციელდა და მიზნად ისახავდა მათ დახმარებას პოსტ-ტრავმული სტრესის დაძლევაში.

რაც შეეხება ლიბერთი ბანკს, ვებგვერდზე მოცემულია ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ლიბერთი ბანკსა და „სოლიდარობის ფონდს“ შორის თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. ლიბერთი ბანკმა შექმნა ინფრასტრუქტურა, რის მეშვეობითაც ლიბერთი ბანკის მომხმარებლებს ეძლევათ საშუალება, გადარიცხონ თანხა სოლიდარობის ფონდში. დამატებით ლიბერთი ბანკი ყოველი თვის ბოლოს სოლიდარობის ფონდში რიცხავს საბანკო ოპერაციებიდან შემოსული თანხის ნაწილს. რაც შეეხება ქართულ ბაზარზე ახალ მოთამაშე - „პაშა ბანკს“, ოფიციალურ ვებგვერდზე ნათქვამია, რომ "პაშა ბანკი ადგილობრივი ეკონომიკის განვითარების მხარდასაჭერად, პერიოდულად სხვადასხვა ღონისძიებებს უწყევს სპონსორობას".

გასული წლის განმავლობაში პაშა ბანკი გამოირჩეოდა სოციალური და ბიზნეს-პროექტების მხარდაჭერით, კერძოდ, მან დაასპონსორა:

- სემინარი "A New Management Paradigm for a New Age of Managers" და "4D Branding – Surprise Branding."

- ბიზნესგანვითარების ფორუმი, სადაც ძირითადი ყურადღება დაეთმო საქართველოს ეკონომიკის გამოწვევებს, ბიზნესკლიმატის გაუმჯობესებას და ახალი საინვესტიციო შესაძლებლობების განხილვას.

- ყოველწლიური დაჯილდოების ცერემონიალი Business Brilliance Awards, რომლის ორგანიზატორი იყო ბრიტანული კომპანია BOC (Blue Ocean Consultancy) Global Event and Training Group.

- ქართული პანორამა თბილისის მე-15 საერთაშორისო კინოფესტივალი. თბილისის კულტურული ცხოვრების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ღონისძიების სპონსორობისას ბანკისთვის უპირველესი მოტივაცია იყო საქართველოში ფილმის ინდუსტრიის განვითარებაში წვლილის შეტანა.

ამჯერად, პაშა ბანკი თანადგომას გამოხატავს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებისა და ახალგაზრდების მიმართ და უერთდება სოციალურ პასუხისმგებლობას მათი საზოგადოებაში ინტეგრაციისთვის.

ჩვენ შევეცადეთ, ყველა ბანკის შესახებ მოგვეძიებინა ინფორმაცია სოციალურ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით რათა ეს ანალიზი ქართულ საბანკო სექტორში სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ უფრო ეფექტური ყოფილიყო. ბანკი რეპუბლიკის ვებგვერდზე გვხვდება შემდეგი სახის ინფორმაცია:

ბანკ „რესპუბლიკის“, როგორც სოციალურად პასუხისმგებელი ფინანსური ინსტიტუტის მიზანია, იყოს სანიმუშო ბანკი, რომელიც მთლიანად კლიენტთა საჭიროებებზეა ორიენტირებული, პროფესიულ და ეთიკურ გადაწყვეტილებებს იღებს და ხელს უწყობს ეკონომიკის დაფინანსებას.

ბანკის ამ მიმართულებით გატარებული სამუშაოები ჯგუფ „სოსიეტე ქენერალის“ მიერ განსაზღვრულ სოციალური პასუხისმგებლობის მთავარ ინდიკატორებს (მმართველობა, ბიზნესი, სოციალური ასპექტი, გარემოსდაცვითი ასპექტი, სპონსორობა) ეფუძნება. ბანკი დიდ ყურადღებას უთმობს თანამშრომელთა უფლებების დაცვას, მათთვის უსაფრთხო და კომფორტული სამუშაო გარემოს შექმნას, დასაქმების თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფას, თანამშრომელთა

სათანადო პირობებით დაზღვევას, სხვადასხვა სახის შეღავათებს, ტრენინგებს, თანამშრომელთა წახალისების პროგრამებს და ა.შ.

ბანკი მუდმივად ცდილობს ქართული საზოგადოების ცხოვრებაში თავისი წვლილის შეტანას. იგი ახორციელებს საკუთარ პროექტებს და ეწევა საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი პროექტების სასპონსორო საქმიანობას.

2015 წლის 13 ივნისს თბილისში განვითარებულმა სტიქიამ კიდევ ერთხელ დააყენა დღის წესრიგში კომერციული ორგანიზაციების სოციალური პასუხისმგებლობა; სოციალური პასუხისმგებლობის კლუბმა (CSR) თავი მოუყარა სტიქიის შედეგად დაზარალებულთა დახმარებლად დაკავშირებულ ყველა ინფორმაციას, რომელიც ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის კუთხით გაერცედა. მათ შორის კომერციული ბანკების შესახებაც ვპოულობთ ინფორმაციას: 13 ივნისს მომხდარი სტიქიით გამოწვეული ტრაგედიის შედეგად დაზარალებულთა დახმარებისა და ქალაქის რეაბილიტაციის მიზნით, თიბისი ბანკმა გადარიცხა 50 000 ლარი, საქართველოს ბანკმა კი - 100 000 ლარი, 30 ათასი ლარი იქნა გადარიცხული ბანკი „რესპუბლიკა“ ჯგუფი „სოსიეტე ქენერალი“-ს მიერ, მათი თაოსნობით დაზარალებული ოჯახებისთვის შეგროვილი პირველადი მოხმარების საგნები საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებას გადაეცა ბენეფიციართა დახმარებისთვის. ასევე 30 ათასი ლარი გადარიცხა პროკრედიტ ბანკმა, ხოლო 100 ათასი ლარი იქნა გადარიცხული ლიბერთი ბანკისგან.

დასკვნა

ჩვენ მიერ შეგროვილი ინფორმაციის საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველოში საბანკო სექტორი, ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციის კუთხით, აქტიურად იყენებს სოციალურ პასუხისმგებლობას იმიჯის გაძლიერების მიზნით.

დღეისათვის საქართველოში შეინიშნება კომპანიების მცდელობა, მოიპოვონ მომხმარებელთა კეთილგანწყობა და აქტიურად იყენებენ სოციალურ პრობლემატიკას თავიანთ სარეკლამო თუ საიმიჯო გზავნილებში. რომ ხალხი ლოიალური გახდეს ბრენდის მიმართ.

გამოყენებული ლიტერატურა

1. <http://24saati.ge/news/story/20133-korporatsiuli-sotsialuri-pasukhismgebloba-da-misi-mnishvneloba-qveynis-ganvitarebisatvis>
2. <http://www.tbcbank.ge/web/ka/web/guest/csr>
3. <http://www.tbcbank.ge/web/ka/web/guest/csr>
4. <http://www.tbcbank.ge/web/ka/web/guest/csr>
5. <http://www.tbcbank.ge/web/ka/web/guest/csr>
6. <http://www.tbcbank.ge/web/ka/web/guest/csr>
7. <http://www.tree.ge/whatwedo/>
8. http://bizideebi.blogspot.com/2010/10/blog-post_4085.html
9. http://www.procreditbank.ge/index.php?item_id=108&component=STATIC_CONTENT&menu_id=16
10. <https://libertybank.ge/infographics/view/8>
11. <http://www.pashabank.ge/ge/about-us/media-center/news?n=9>
12. <https://www.br.ge/ge/csr>
13. <http://pirveliradio.ge/?newsid=49493>

Diana Vashakmadze

SOCIAL RESPONSIBILITY IN GEORGIAN BANKING SECTOR

Annotation

Social responsibility is the most wide-spread trend of integrated marketing communication currently. Large companies actively use social responsibility as a tool for their own image formation. Georgian commercial banks are outstanding in this direction. Today you cannot imagine a company of normal reputation in the modern world which is not active in terms of social responsibility of business.

On the basis of information gathered by us we can say that the banking sector in Georgia actively uses social responsibility for the purpose of image enhancement in terms of integrated marketing communication. Currently, attempt of the companies to gain good disposition of consumers is observed in Georgia and they actively use social problematic in their advertising or image messages. Such attitude may be justified in countries like Georgia because the Georgian population is sensitive to charity and mostly contributes to brand loyalty of consumers.

О НЕКОТОРЫХ АСПЕКТАХ УПРАВЛЕНИЯ КАЧЕСТВОМ БАНКОВСКИХ УСЛУГ

Введение. Как утверждает Эдуард Новаторов, «банковская услуга как товар — это неосозаемое, нематериальное действие или выполнение работы, не ведущее к владению чем-нибудь материальным. Как правило, такие действия или виды работ происходят в момент непосредственного контакта производителя банковской услуги и ее потребителя.»⁹⁷

С другой стороны, банковская услуга - это деятельность банка, осуществляемая по поручению клиента с целью удовлетворения его потребностей в банковском обслуживании (в кредите, расчетно-кассовом обслуживании, покупке-продаже валюты и т. д.).⁹⁸

Структура банковской услуги представлена на Рисунке 1.




Рисунок 1. Структура банковской услуги

Источник: Голенда Л.К., Модель оценки качества банковской услуги и возможности нечеткой логики, http://bseu.by:8080/bitstream/edoc/16435/2/Golenda_L_K_Olehnovich_A_E_S_78-86_ocr.pdf

Банковская услуга по своим свойствам схожа с другими услугами. Она обладает следующими характеристиками⁹⁹:

- *Несохраняемость услуг* предполагает наличие действующего механизма баланса спроса и предложения. Услуги не хранятся как товары на полках магазина, они потребляются одновременно с моментом их получения.
- *Неосозаемость услуг* означает невозможность материального их ощущения, увидеть и оценить их до момента получения результатов их предоставления. Главной и ключевой характеристикой банковской услуги является ее эффективность, иными словами, конкретная выгода и польза, получаемые потребителем от банковской услуги.
- *Непостоянство качества и неотделимость услуг* от квалификации людей требует постоянного обучения персонала. Служащие банка должны иметь опыт работы не только с основными видами банковских операций, но и хорошо знать психологию взаимоотношений людей.

Требования к качеству банковской услуги – это выражение установленных или предполагаемых потребностей пользователя услуг в виде количественных и качественных характеристик. Для этого в коммерческом банке создается система управления качеством. Система управления качеством – совокупность организационной структуры, методик, процессов и ресурсов, необходимых для управления качеством банковских услуг на всех этапах их оказания.¹⁰⁰

Качество банковских услуг важный аспект предложения банковских продуктов, а так же служит одним из основных элементов системы управления отношений банка со своими клиентами, управления конкурентоспособностью и прибыльностью коммерческого банка.

Сущность качества банковских услуг. Качество – это совокупность свойств услуг, которые обуславливают их способность удовлетворять определенные потребности клиентов.¹⁰¹

Качество банковской услуги – совокупность ее свойств, обеспечивающих удовлетворение уже сформировавшихся (установленных) и ожидаемых (потенциальных) потребностей клиентов.^{102,103}

⁹⁷ Новаторов Эдуард, Методика оценки качества банковских услуг, <http://www.cfin.ru/press/practical/2001-10/02.shtml>

⁹⁸ Банковские услуги и операции, <http://www.zavtrasessiya.com/index.pl?act=PRODUCT&id=1767>

⁹⁹ Общая характеристика и классификация банковских услуг, <http://www.banksession.ru/golds-341-1.html>

¹⁰⁰ Банковские услуги и операции, <http://www.zavtrasessiya.com/index.pl?act=PRODUCT&id=1767>

¹⁰¹ Гурьянов С.А., Маркетинг банковских услуг, <http://www.marketing.spb.ru/read/m15/4.htm>

¹⁰² Бокова Ф.М., Исследование эффективности и качества банковских услуг, <http://ivdon.ru/magazine/archive/n1y2011/388#top>

¹⁰³ Банковские услуги и операции, <http://www.zavtrasessiya.com/index.pl?act=PRODUCT&id=1767>

По отношению к банковской услуге, качество имеет отношение к интерактивному процессу, происходящему между банком и клиентом.¹⁰⁴

То есть, качество банковской услуги, в существенной степени, это результат процесса сравнения клиентом своих ожиданий от банковской услуги до ее потребления с непосредственным восприятием банковской услуги в момент и после ее потребления. Так же, восприятие качества банковской услуги клиентом происходит по двум главным аспектам¹⁰⁵:

- С точки зрения содержания или, исходя из *технического аспекта*, качество относится к тому, что потребитель получает от банковской услуги;
- С утилитарной точки зрения содержания или, исходя из *функционального аспекта*, качество выражает полезность или как потребитель получает банковскую услугу.

На качество банковских услуг влияют следующие факторы¹⁰⁶:

- имидж банка, стабильность и известность банка;
- величина уставного капитала и активов;
- наличие генеральной лицензии;
- устойчивая клиентура;
- система расчетов и спектр оказываемых услуг;
- наличие филиальной сети и перспективы ее расширения;
- действенная реклама;
- квалификация работников, грамотный менеджмент, накопленный опыт работы и т.д.

Следует отметить, что восприятие клиента и банковских работников качества банковских услуг отличается.¹⁰⁷

С точки зрения клиентов, критериями качества банковского обслуживания являются: скорость обслуживания, срочность проведения операций, часы работы банка, наличие ошибок и неточностей в работе, качество консультирования.

Каждая из сторон по-своему воспринимает качество оказываемой услуги.

С точки зрения работников банка факторами, влияющими на качество банковской услуги, являются¹⁰⁸:

- скорость внутренних рабочих процессов;
- затраты, связанные с исправлением ошибок;
- эффективность процессов жизнедеятельности; характер мотивации работников;
- производительность труда;
- степень кредитного риска; доходы, соотносимые с уровнем затрат на разработку, производство и оказание банковских услуг;
- дифференциация качества однотипных услуг в зависимости от цены (обычные и эксклюзивные счета), целевой клиентуры (массовые и индивидуальные услуги) и каналов сбыта (банковские автоматы, инфокиоски и т.д.).

С точки зрения клиента качество банковской услуги зависит от процесса сравнения своих ожиданий с восприятием действительности. Основными критериями качества банковской услуги, с точки зрения клиента, как отмечено в работах, являются¹⁰⁹:

- доступность услуг (часы работы банка, цена услуги);
- состояние материальных факторов обслуживания (скорость обслуживания);
- уровень подготовки обслуживающего персонала;
- характер общения обслуживающего персонала с клиентом;
- надежность обслуживания (своевременное осуществление операции);
- полнота информации о предлагаемой услуге;
- отсутствие недостоверной информации, неквалифицированного совета и т.д.

По мнению специалистов, восприятие потребителем функционального и технического аспектов качества банковской услуги происходит на основе своеобразной пятиступенчатой лестницы (рис. 2).

¹⁰⁴ Новаторов Эдуард, Методика оценки качества банковских услуг, <http://www.cfin.ru/press/practical/2001-10/02.shtml>

¹⁰⁵ Gronroos C., A service quality model and its marketing implications / European Journal of Marketing, 1991, Vol. 18, № 4. P. 36—44, https://www.researchgate.net/publication/233522386_A_Service_Quality_Model_and_Its_Marketing_Implications

¹⁰⁶ Бокова Ф.М., Исследование эффективности и качества банковских услуг, <http://ivdon.ru/magazine/archive/n1y2011/388#top>

¹⁰⁷ Бокова Ф.М., Исследование эффективности и качества банковских услуг, <http://ivdon.ru/magazine/archive/n1y2011/388#top>

¹⁰⁸ Голенда Л.К., Модель оценки качества банковской услуги и возможности нечеткой логики, http://bseu.by:8080/bitstream/edoc/16435/2/Golenda_L_K_Olehnovich_A_E_S_78-86_ocr.pdf

¹⁰⁹ Голенда Л.К., Модель оценки качества банковской услуги и возможности нечеткой логики, http://bseu.by:8080/bitstream/edoc/16435/2/Golenda_L_K_Olehnovich_A_E_S_78-86_ocr.pdf




Рисунок 2. Концепция качества банковской услуги и критериев ее оценки

Источник: Новаторов Эдуард, Методика оценки качества банковских услуг, <http://www.cfin.ru/press/practical/2001-10/02.shtml>

Это частично объясняет наличие пяти недостатков, которые могут привести к нарушению восприятию банковской услуги^{110,111}:

1. *Первая ступень - разрыв между ожиданиями потребителя относительно качества банковской услуги и реакцией руководства банка на эти ожидания.* Руководство банка не всегда правильно понимают чего хотят клиенты. К примеру, менеджмент банка может предполагать, что клиенты желают ускорения процесса обслуживания, а на самом деле клиенты могут быть недовольными из-за невежливого обслуживания.

2. *Вторая ступень - разрыв между пониманием руководством банка ожиданий потребителя и процессом внедрения системы качества в своем банке.* Руководство банка может правильно понимать чего хотят клиенты, но не понимает как наиболее эффективно удовлетворить их потребности. К примеру, менеджмент банка может требовать от персонала вежливости и предупредительности по отношению к клиентам, но не уточняет как этого должно проявляться.

3. *Третья ступень — разрыв между внедренной руководством банка системы качества и неподготовленностью персонала банка следовать установленным стандартам.* Персонал может быть недостаточно подготовлен, усталым, неспособным или недоброжелательным, что ведет к невыполнению установленных стандартов качества. Последние могут быть противоречивыми. Примером может быть требования оказания максимального внимания клиенту, внимательно его выслушать и требованием максимально быстрого обслуживания.

4. *Четвертая ступень - разрыв между существующей в банке системой качества и завышенной рекламной этой системы качества.* Ожидания клиентов могут формироваться под влиянием рекламы банковских продуктов и высказываний работников банка. Если обещанные реальные характеристики банковского обслуживания не соответствуют обещанным, разочарование клиентов неизбежно со всеми вытекающими последствиями.

5. *Пятая ступень — это разрыв между ожиданиями потребителей банковской услуги и процессом предоставления банком этой услуги.* Он возникает, когда потребитель неправильно понимает сущность банковских услуг и неправильно трактует качество услуг.

Ожидания потребителей относительно качества либо подтверждаются, либо нет. Последнее ведет к уходу потребителей в банки-конкуренты и к более высоким затраты на маркетинг в банке для привлечения новых потребителей взамен ушедших. Подтверждение ожиданий ведет к долгосрочной лояльности потребителя к банку, что иногда называется «маркетингом отношений». Маркетинг отношений обеспечивает долгосрочный успех банка за счет стабильной прибыльности, основанной на лояльности потребителей, и за счет сокращения расходов на маркетинг для привлечения новых клиентов.¹¹²

Исследования показали, что потребители оценивают функциональные и технические аспекты качества банковской услуги по следующим основным критериям.¹¹³

- *Материальность* (оснащенность банка: оргтехника, интерьеры помещений, внешний вид персонала, информационные материалы).
- *Надежность* (выполнение обещанной банком услуги точно, основательно и в срок).
- *Отзывчивость* (искреннее желание помочь потребителю и быстрое обслуживание в банке).
- *Убежденность* (компетентность, ответственность, уверенность и вежливость обслуживающего персонала банка).
- *Сочувствие* (выражение заботы и индивидуальный подход к потребителю банковской услуги).

¹¹⁰ Diferențierea ofertei instituțiilor financiar-bancare, <http://www.scritub.com/economie/finante/DIFERENTIAREA-OFERTEI-INSTIUTUT1852214116.php>

¹¹¹ Новаторов Эдуард, Методика оценки качества банковских услуг, <http://www.cfin.ru/press/practical/2001-10/02.shtml>

¹¹² Новаторов Эдуард, Методика оценки качества банковских услуг, <http://www.cfin.ru/press/practical/2001-10/02.shtml>

¹¹³ Новаторов Эдуард, Методика оценки качества банковских услуг, <http://www.cfin.ru/press/practical/2001-10/02.shtml>

- *Корректность* (способность обеспечить честное и внимательное обслуживание).
- *Индивидуальность* (готовность относиться с должным вниманием к каждому потребителю в отдельности).

Работа с клиентами требует от банковского специалиста не только квалифицированной подготовки, но и хорошее знание основ психологии, деловой этики, умения вести переговоры. Во многих случаях клиенту сложно или практически невозможно оценить главный измеритель качества услуг - квалификацию банкира. Поэтому велико значение окружающей обстановки и наличия дополнительных услуг: личное внимание, вежливость, отзывчивость обслуживающего персонала, общение на языке клиента, умение слушать.¹¹⁴

При разработке программы контроля качества отдел по управлению качеством должен руководствоваться следующими целями¹¹⁵:

- 1) сохранение имеющихся клиентов и привлечения новых клиентов;
- 2) оценка мероприятий, улучшающие или ухудшающие качество банковского обслуживания;
- 3) постоянный контроль за мерами, принимаемыми для повышения качества (маркетинговый план);
- 4) создание основы для обучения и повышения квалификации персонала предприятия процессу продаж с применением традиций качества.

Демкив Ю. М. предлагает совокупность принципов построения системы управления качеством на базе общеэкономических, раскрытых применительно к банковской деятельности¹¹⁶:

- принцип клиентоориентированного подхода (успех банка зависит от удовлетворения клиентов);
- принцип процессориентированного подхода (управление качеством услуг банка – это процесс, а не статические разовые действия);
- принцип системного подхода (управление качеством услуг банка – это сложная целостная система);
- принцип аналитического подхода (постановка качественных задач предполагает обоснованность методов их достижения);
- принцип взаимодействия (совместная работа руководства банка с персоналом);
- принцип обучения и самосовершенствования (содействие качественному обучению и профессиональному развитию сотрудников);
- принцип постоянных улучшений (качество банковских услуг требует системности и постоянных совершенствований);
- принцип взаимовыгодных отношений с контрагентами (взаимовыгодная основа способствует расширению качественных возможностей всех участников отношений) и специфических, необходимых, на наш взгляд, для процессов управления качеством банковских услуг:
 - ✓ принцип всевовлеченности (участие каждого сотрудника в работе по качественному преобразованию банка);
 - ✓ принцип стандартизации (качественное совершенствование должно базироваться на соблюдении обязательных базовых норм – стандартов);
 - ✓ принцип общей философии (принятие коллективом банка концепции качественной философии и ее понимание);
 - ✓ принцип приоритетности (качество – первооснова банковской услуги, в пользу которой делается акцент при сопоставлении и соизмерении характеристик).

Реализация политики качества, имеющую основной задачей удовлетворение клиента, не должна быть простым утверждением, а должно сопровождаться мерами для достижения намеченной цели. В то же время, удовлетворение потребностей клиентов признается ключевым элементом в формировании покупательских намерений и содействия банку для обслуживания других потенциальных клиентов на основе благоприятного опыта, накопленного в отношении банковского учреждения.

Имидж банка также может влиять на уровень лояльности клиентов, имея большое значение при покупке комплексных услуг. Если имидж воспринимается положительно, он может содействовать преданности клиента, в противном случае он является негативным фактором, влияющим на лояльность. Серьезность банка является одним из важных аспектов в оценках клиентов, которые пытаются проанализировать этот вопрос путем наблюдения внешних связей и положения банка на рынке, в бизнесе, к которому он относится. Использование корпоративной рекламы может создать имидж надежного банковского учреждения, предлагая инновационные продукты и услуги, современные удобства доставки и, следовательно, могут влиять на формирование лояльности клиентов.

Обеспечение высокого качества оказываемых услуг может стать важным элементом стратегии дифференциации. Основным аспектом этой стратегии является создание убежденности клиента в том, что, по крайней мере теоретически, услуги отдельного банка положительно отличаются от предложенных конкурентами. В зависимости от ситуации в любой момент времени, банк может выбрать один из следующих вариантов:

1. Улучшение качества;
2. Поддержание качества;

¹¹⁴ Бокова Ф.М., Исследование эффективности и качества банковских услуг, <http://ivdon.ru/magazine/archive/n1y2011/388#top>

¹¹⁵ Бокова Ф.М., Исследование эффективности и качества банковских услуг, <http://ivdon.ru/magazine/archive/n1y2011/388#top>

¹¹⁶ Демкив Ю. М., Концептуальная система управления качеством банковских услуг, <http://www.irbis-nbuv.gov.ua>

3. Дифференциация качеств.

Другим ключевым элементом стратегии дифференциации является реализация пакетов услуг. Это позволяет одновременно удовлетворять нескольких потребностей, поскольку она сочетает в себе множество услуг и за счет комбинирования банк может достигнуть отличия от предложений конкурентов.

Демкив Ю. М. предлагает следующие элементы системы управления качеством банковских услуг¹¹⁷:

- политика в области качества (основные направления и задачи предприятия в области качества, сформулированные ее высшим руководством;
- система планирования качества (установление целей в области качества, определение необходимых ресурсов и т.д.);
- процессная модель организации (описание процессов, блок-схемы, процедуры, инструкции и т.д.);
- система контроля качества: внутренний (входящих ресурсов, апробация продукции, процессов т.д.); внешний (стандартизация и сертификация качества);
- система мониторинга удовлетворенности потребителей (методы сбора и анализа информации);
- система анализа качества со стороны руководства (топ-контроль, послед-контроль);
- система непрерывных улучшений качества (методы и механизмы оптимизации и совершенствования качества).

Специалисты рекомендуют управлять качеством банковских услуг разными методами: проводить анкетирование в точке продаж или через интернет, приглашать Тайных Покупателей, установить в точках продаж кнопочные пульта оценки качества обслуживания.¹¹⁸

Каждый метод имеет свои достоинства, ограничения и область применения, но ни один не является универсальным. Поэтому наибольший эффект достигается при использовании системного подхода.¹¹⁹

Системный подход – это объединение различных методов в рамках единой методики и единой системы управления качеством обслуживания. Общая методика позволяет увязывать результаты, получаемые разными методами. Например, частота визитов Тайных Покупателей может зависеть от уровня лояльности клиентов в конкретной точке продаж, которая измеряется кнопочными пультами. С уровнем лояльности клиентов может быть увязано и содержание интернет-опросов. Лояльных клиентов спрашивайте о том, что им больше всего нравится, а нелояльных – что больше всего не нравится. Это увеличит число участников опросов, повысит репрезентативность выборки и достоверность результатов и, таким образом, сделает опросы более эффективными. Кроме того, рекомендуется использовать каждый метод для решения только тех задач, которые с его помощью решаются наиболее эффективно.¹²⁰

Использованная литература

1. Gronroos C., A service quality model and its marketing implications / European Journal of Marketing, 1991, Vol. 18, № 4. P. 36—44,
2. Бокова Ф.М., Исследование эффективности и качества банковских услуг, <http://ivdon.ru/magazine/archive/n1y2011/388#top>
3. Голенда Л.К., Модель оценки качества банковской услуги и возможности нечеткой логики, Гурьянов С.А., Маркетинг банковских услуг, <http://www.marketing.spb.ru/read/m15/4.htm>
4. Демкив Ю. М., Концептуальная система управления качеством банковских услуг, <http://www.irbis-nbuv.gov.ua>
5. Новаторов Эдуард, Методика оценки качества банковских услуг, <http://www.cfin.ru/press/practical/2001-10/02.shtml>
6. Банковские услуги и операции, <http://www.zavtrasessiya.com/index.pl?act=PRODUCT&id=1767>
7. Общая характеристика и классификация банковских услуг, <http://www.banksession.ru/golds-341-1.html>
8. Банковские услуги и операции, <http://www.zavtrasessiya.com/index.pl?act=PRODUCT&id=1767>
9. Банковские услуги и операции, <http://www.zavtrasessiya.com/index.pl?act=PRODUCT&id=1767>
10. https://www.researchgate.net/publication/233522386_A_Service_Quality_Model_and_Its_Marketing_Implications
11. Diferențierea ofertei instituțiilor financiar-bancare, <http://www.scritub.com/economie/finante/DIFERENTIAREA-OFERTEI-INSTIUT1852214116.php>
12. Системное управление качеством обслуживания клиентов в ритейле и сфере услуг, <http://911.prolan.ru/articles/system.html>

¹¹⁷ Демкив Ю. М., Концептуальная система управления качеством банковских услуг, <http://www.irbis-nbuv.gov.ua>

¹¹⁸ Системное управление качеством обслуживания клиентов в ритейле и сфере услуг, <http://911.prolan.ru/articles/system.html>

¹¹⁹ Системное управление качеством обслуживания клиентов в ритейле и сфере услуг, <http://911.prolan.ru/articles/system.html>

¹²⁰ Системное управление качеством обслуживания клиентов в ритейле и сфере услуг, <http://911.prolan.ru/articles/system.html>

CONCERNING SOME ASPECTS OF MANAGEMENT OF THE QUALITY OF BANKING SERVICES

Annotation

The quality of banking services is a fundamental element of banking marketing, which substantially determines financial effectiveness of a commercial bank. The banking industry has created a wide variety of complex products designed to meet the interests and needs of banking customers. However, under certain conditions, banking products may become unattractive to customers, if not meet their needs and/or their imaginations about quality. The last can be treated as a measure of compliance with certain technical requirements laid down but as a complex firm and functional features of banking products. Therefore banks implement specific quality standards for their products and quality management systems. This article investigates main aspects this field of banking.

დალი მაგრაქველიძე

ბანკების კორტფელის საკრედიტო რისკი და მისი შეფასების მოდელები

პორტფელის მართვის პროცესი მდგომარეობს ამა თუ იმ აქტივების შექმნის და მათი ფლობის პირობების შესახებ გადაწყვეტილების მიღებაში გაუმართლებელი რისკისაგან თავის დაღწევის მიზნით, რომელიც დაკავშირებულია ერთ კონტრაგენტთან, საწარმოო დარგსა ან რეგიონულ (ეროვნულ) რისკთან. მთავარი კრიტერიუმი, ახლის არჩევის ან არსებული აქტივის გაყიდვისას, უნდა იყოს ამ ოპერაციების მთელი პორტფელისათვის „შემოსავლიანობა/რისკი“ ფარლობაზე გავლენა.

პორტფელის საკრედიტო რისკის შეფასების და მართვის მოდელების შექმნა განპირობებული იყო შემდეგი ფაქტორებით: მეთოდოლოგიური და ტექნიკური მიღწევები, რომლებმაც შესაძლებელი გახადა რეალობასთან ახლოს დროით რეჟიმში ფინანსური რისკების აგრეგირება; რისკების დივერსიფიკაციისაგან პოტენციური სარგებელი, რომელმაც შესაძლებელი გახადა კლიენტისათვის უფრო ხელსაყრელი საკრედიტო პტროდუქტის ღირებულების დადგენა; ოპტიმიზაცია, რისი მეშვეობითაც განისაზღვრება სასესხო პორტფელის ოპტიმალური სტრუქტურა; წარმოებული საკრედიტო ინსტრუმენტების ბაზრის ზრდა, რომელთა ფასწარმოქმნა და ჰეჯირება უნდა ჩატარდეს პორტფელური მიდგომის საფუძველზე; ევროპულ ქვეყნებში კორპორაციული ობლიგაციების ბაზრის სწრაფი განვითარება.

სასესხო პორტფელის რისკის შეფასების მოდელების შემუშავების და დანერგვის პროცესი მოითხოვს კვალიფიციური სპეციალისტების დისციპლინათაშორისო ჯგუფების შექმნას საქმიანობის სხვადასხვა სფეროებიდან. დღეისათვის ცნობილი პორტფელის საკრედიტო რისკის შეფასების ყველა მოდელის კლასიფიცირება შეიძლება შემდეგი ნიშნებით:

1) მიდგომით მოდელირების მიმართ: „ზემოდან ქვემოთ“ და „ქვემოდან ზემოთ“;

2) საკრედიტო რისკის სახის მიხედვით: დეფოლტის რისკის შეფასება და საბაზრო ღირებულების გადაფასება;

3) დეფოლტის ალბათობის შეფასების მეთოდით: პირობითი და პირობითობის გარეშე მოდელები;

4) დეფოლტების კორელაციის შეფასების მეთოდებით: სტრუქტურული და „შემცირებული“ მოდელები [1].


საკრედიტო რისკის სიდიდე ფასდება მთლიანი პორტფელისათვის ზარალის ალბათობათა განაწილების აგების გზით თითოეული ერთგვაროვანი მსესხებლის მიხედვით, ისტორიული მონაცემების საფუძველზე. ეს შეფასებები შემდგომში გამოიყენება სესხის გაცემის დროს რისკის შესაფასებლად, მსესხებლის რისკის პარამეტრების დამატებითი დაზუსტების გარეშე. ასეთი მიდგომის მნიშვნელოვან ნაკლს წარმოადგენს მისი სიმარტივე და არამგრძნობელობა თანდათანობითი ცვლილებების მიმართ ერთგვაროვანი ჯგუფების სტრუქტურაში.

როდესაც აქტივების პორტფელს გააჩნია არაერთგვაროვანი სტრუქტურა, მაშინ ბანკები საკრედიტო რისკს აფასებენ „ქვემოდან ზემოთ“ მეთოდით. მსხვილი და საშუალო მსესხებელ-საწარმოებისათვის, ასევე ფინანსური ბაზრის სხვადასხვა ინსტრუმენტისათვის მოცემული მეთოდი წარმოადგენს საკრედიტო რისკის შეფასების ძირითად საშუალებას. „ქვემოდან ზემოთ“ მოდელირებისას საკრედიტო რისკის შეფასება ხდება კონკრეტული ინსტრუმენტის და ინდივიდუალური მსესხებლის დონეზე მისი მახასიათებლების ანალიზის, ფინანსური მდგომარეობის და პერსპექტივების გზით. პორტფელის ერთობლივი რისკის შეფასებისათვის ხდება ინდივიდუალური მსესხებლების რისკების აგრეგირება კორელაციის ეფექტის გათვალისწინებით. საკრედიტო რისკების „ქვემოდან ზემოთ“ მოდელირება საბაზრო რისკის შემთხვევაში პორტფელის VaR-ის გამოთვლის ანალოგიურია, რამდენადაც ის ერთობლივ რისკში პორტფელის ელემენტების „წვლილის“ შეფასების და ცალკეული კონტრაგენტების ან რისკის ფაქტორების დონეზე პორტფელის რისკის მართვის საშუალებას იძლევა.

ბოლო წლებში მსხვილმა უცხოურმა ფინანსურმა ინსტიტუტებმა შეიმუშავეს პორტფელის საკრედიტო რისკის შეფასების მთელი რიგი გამოყენებული მეთოდოლოგიით და სირთულის ხარისხით განსხვავებული მოდელები, რომლებმაც დიდი აღიარება მოიპოვა მსოფლიოში და ფაქტობრივად დარგობრივ სტანდარტებად გამოიყენება. მათ შორის ყველაზე ცნობილია შემდეგი მოდელები: *CreditMetrics (J.P.Morgan Chase)*, *CreditRisk+(Credit Suisse)*, *Portfolio Manager (KMV)* და *Credit Portfolio View (McKinsey&Co., Inc.)*.

ბანკ *J.P.Morgan Chase*-ის მიერ შემუშავებული *CreditMetrics* მოდელი, რომლის აღწერა გამოქვეყნებული იყო 1997 წელს, გახდა *VaR* მანვერების საფუძველზე „ქვემოდან ზემოთ“ პრინციპით საკრედიტო რისკის შეფასებისადმი პირველი მიდგომა. მოდელში რისკის ფაქტორებს წარმოადგენს ობლიგაციების საკრედიტო რეიტინგის ცვლელელები, რომლებიც, თავის მხრივ, გავლენას ახდენენ მათ საბაზრო ღირებულებაზე. *CreditMetrics* მოდელის სქემა წარმოდგენილია ნახ. 1-ზე. მოდელის მიხედვით გამოთვლები ეტაპობრივად შემდეგნაირად ხორციელდება:

1. პირველ ეტაპზე ხდება რისკის ძირითადი ფაქტორების მიხედვით კლიენტის პორტფელის დეკომპოზიცია და ფასდება ის გავლენა, რომელსაც ეს ფაქტორები ახდენს საკრედიტო რისკის ზემოქმედების განაწილებაზე. *CreditMetrics* სისტემაში შეიძლება შეფასდეს ინსტრუმენტების ფართო სპექტრის მიხედვით, რომელიც მოიცავს ობლიგაციებს, სვოპებს, სესხებს, საკრედიტო ხაზებს და დებეტურ დავალიანებებს, რისკის ზემოქმედება.



ნახ. 1 VaR საკრედიტო პორტფელის ალგორითმის განხილვა *CreditMetrics* სისტემაში.

2. მეორე ეტაპის მიზანს წარმოადგენს საკრედიტო რისკის შედეგად მოგების და ზარალის განაწილებათა აგება პორტფელის თითოეული ინსტრუმენტისათვის. თავიდან თითოეული აქტივისათვის (მაგალითად, ობლიგაციისათვის) განისაზღვრება საკრედიტო რეიტინგი. დეფოლტის დადგომის შემთხვევაში დანაკარგის შესაფასებლად გამოიყენება მათ დასაკმაყოფილებლად სხვადასხვა რიგითობის მქონე ვალდებულებებისათვის აღდგენის კოეფიციენტების მიხედვით მონაცემები. შედეგად მიიღება აქტივის ღირებულების განაწილება მისი რეიტინგის ცვლილებისას, ფასდება მისი პარამეტრები (საშუალო და დისპერსია). ეს საშუალებას იძლევა, შეფასდეს თითოეული აქტივის მიხედვით საკრედიტო რისკით გამოწვეული პოტენციური მოგებები და ზარალი.

3. მესამე ეტაპზე განისაზღვრება პორტფელში შემავალი აქტივების მიხედვით საკრედიტო რეიტინგების ცვლილებებში კორელაცია შესაბამისი კონტრაგენტების აქტივების ფასებს შორის კორელაციის საფუძველზე. თითოეული აქტივისათვის იგება ფასების დინამიკის ფაქტორული მოდელი, რომელშიც ფაქტორები ასახავს მის დარგობრივ კუთვნილებას (დარგობრივი საფონდო ინდექსი) და გეოგრაფიულ მდებარეობას (ქვეყნის საფონდო ინდექსი).

4. წინა ეტაპებზე მიღებული მონაცემების საფუძველზე მონტე-კარლოს მეთოდის გამოყენებით იგება პორტფელის მიხედვით მოგებების და ზარალის ერთობლივი განაწილება. მდგომარეობების საერთო რიცხვი, რომლის მიხედვითაც ხორციელდება მოდელირება, შეადგენს n^m -ს, სადაც n შესაძლო საკრედიტო ხდომილობების რაოდენობაა, რომლებიც დაკავშირებულია საკრედიტო რეიტინგის ცვლილებასთან, m – კონტრაგენტების რაოდენობაა. რამდენადაც ბევრი ამ ხდომილებიდან

ნაკლებ მოსალოდნელია, სარწმუნო შეფასებების მისაღებად აუცილებელია გამოყენებული იყოს ძალიან დიდი რაოდენობის სცენარი.

5. განაწილების აგება საშუალებას იძლევა, მოიძებნოს იქნას მაქსიმალური ზარალი, რომელიც შეიძლება გადაჭარბებული იყოს მხოლოდ 1% შემთხვევებში, და განისაზღვროს საკრედიტო *VaR* საბაზროს ანალოგიურად, როგორც მოცემული განაწილებისათვის მიღებულ მნიშვნელობასა და საშუალო მნიშვნელობებს შორის სხვაობა.

CreditMetrics მოდელის მნიშვნელოვანი ნაკლი იმაში მდგომარეობს, რომ ყველა ინსტრუმენტის მიხედვით, რისკის ზემოქმედების შეფასებისას ზარალი შეიძლება წარმოიშვას მხოლოდ საკრედიტო ხდომილობის დადგომისას, ამასთან, მთლიანადაა იგნორირებული საბაზრო რისკის ფაქტორები, ისეთები, როგორცაა საპროცენტო განაკვეთის შემთხვევითი ცვლილება და სავალუტო კურსი. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, საპროცენტო და სავალუტო სვობების შემთხვევაში ზემოქმედება დროთა განმავლობაში შეიცვლება საბაზრო რისკის ფაქტორების გავლენით, მაშინ როცა *CreditMetrics* სისტემაში გამოიყენება მხოლოდ რისკის ზემოქმედების საშუალო მნიშვნელობა დროის ყველა პერიოდისათვის.

KMV Portfolio Manager-ის სისტემა შეიმუშავა კომპანია *KMV*-მ და, ისევე, როგორც *CreditMetrics* მოდელი, განკუთვნილია აქტივების პორტფელის საკრედიტო რისკის შეფასებისა და მართვისთვის. მისი აღწერა გამოქვეყნებული იყო 1998 წელს. საკრედიტო რისკი არაა გაიგივებული მხოლოდ დეფოლტთან, არამედ განისაზღვრება, როგორც აქტივების მომავალი საბაზრო ღირებულებების ცვლილება, ამიტომ საკრედიტო რისკის შეფასების მიდგომა სრულიად შეესაბამება იმ მეთოდებს, რომლებიც გამოიყენება საბაზრო რისკის შესაფასებლად. სისტემა საშუალებას იძლევა, მოხდეს საკრედიტო რისკთან, სესხების ჩათვლით, რეკოლგურულ კრედიტთან, სხვადასხვა საკრედიტო ხაზებთან ობლიგაციებსა და წარმოებულ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული ინსტრუმენტების დიდი პორტფელის რისკების გაანალიზება. აქტივების დიდი ერთგვაროვანი ჯგუფებისათვის, ისეთების, როგორცაა საკრედიტო ბარათების მიხედვით დავალიანებები ან მცირე საწარმოების სესხები, *KMV Portfolio Manager*-ის სისტემაში გათვალისწინებულია მათი აგრეგირებული წარმოდგენის საშუალება, როგორც მოცემული ჯგუფის ტიპური აქტივის ასეთივე სახის აქტივების რაოდენობაზე ნამრავლი. მაგალითად, ტიპური სუბპორტფელები მოიცავს მსხვილ და კორპორაციული მსესხებლების მიხედვით სესხებს, მცირე ბიზნესის მიხედვით კრედიტებს, იპოთეკურ სესხებს და ა.შ. ეს საშუალებას იძლევა, მოხდეს პრაქტიკულად იმ აქტივების შემცველი პორტფელის შეუზღუდავი სიმრავლის მოდელირება, რომლებიც რისკის ზემოქმედებას განიცდიან.

KMV Portfolio Manager სისტემის მთავარ განმასხვავებელს წარმოადგენს ის, რომ იგი დაფუძნებულია დეფოლტის ემპირიულ მოსალოდნელი სიხშირის (*EDF*) გამოყენებაზე, რომელიც, თავის მხრივ, გამოითვლება ამ კომპანიის მიერვე შექმნილი *KMV Portfolio Manager* საპროგრამო პროდუქტის საშუალებით. *KMV Portfolio Manager* სისტემა საშუალებას იძლევა, განისაზღვროს კაპიტალის მიმართ ერთობლივი მოთხოვნები და განაწილდეს ეკონომიკური კაპიტალი კონტრაგენტებსა და აქტივებს შორის.

ამ მოდელის მნიშვნელოვანი უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ დეფოლტის ალბათობა და დეფოლტებს შორის კორელაცია გამოითვლება კომპანიის შესახებ ხელმისაწვდომი ინფორმაციის საფუძველზე – ბაზარზე მისი აქციების ფასების მეშვეობით. კორპორაცია *KMV* ამტკიცებს, რომ *EDF* მოდელი ახორციელებს დეფოლტის ალბათობების პროგნოზს უფრო ზუსტად და თანამედროვედ, ვიდრე საკრედიტო რეიტინგების ცვლილებები. როგორც *KMV Portfolio Manager* სისტემის, ისე მის საფუძველად მდებარე *EDF* მოდელის ძირითადი ნაკლი მდგომარეობს მის ფინანსურ ანგარიშზე დამოკიდებულებაში კომპანიის ვალდებულებათა თანხის შეფასებისას, რამდენადაც უზუსტობები და დამახინჯებები ანგარიშებში მნიშვნელოვნად აისახება დეფოლტის ალბათობის შეფასებაში.

CreditRisk+ მოდელი შეიმუშავდა ბანკ *Credit Suisse First Boston*-ის შვილობილი კომპანიის *Credit Suisse Financial Products*-ის მიერ; მის შესახებ ტექნიკური დოკუმენტაცია გამოქვეყნდა 1997 წელის ოქტომბერში. გამოყენებული მეთოდიკით ეს მოდელი ძირითადად განსხვავდება *CreditMetrics*-სგან და დაფუძნებულია საკრედიტო რისკისადმი აქტუარულ მიდგომაზე.

CreditRisk+ მოდელი შექმნილია მხოლოდ დეფოლტის რისკის გამოთვლის მიზნით; ის არ ითვალისწინებს სხვა საკრედიტო ხდომილობების დადგომის დროს მიღებულ დანაკარგებს. ამ მოდელის გამოყენების თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ დეფოლტის ალბათობა არ წარმოადგენს მუდმივ სიდიდეს, არამედ შეუძლია შეიცვალოს დროთა განმავლობაში ფაქტორების ნაკრების გავლენით.

CreditRisk+ მოდელის უპირატესობას წარმოადგენს საკრედიტო *VaR*-ის გამოთვლის ანალიზური მეთოდი, რომლის რეალიზაციისათვის საჭიროა შედარებით ცოტა შემაჯავლი მონაცემი, ასევე დეფოლტის ალბათობების შეფასებისას მაკროეკონომიკური ფაქტორების გათვალისწინება. ამავდროულად მოცემული მოდელი საკმაოდ გამარტივებულია და, ისევე, როგორც *CreditMetrics* მოდელი, არ იძლევა საკრედიტო რისკის საბაზროსთან ინტეგრირების საშუალებას.

Credit Portfolio View მოდელი შემუშავდა იქნა და გამოქვეყნდა აუდიტორული და საკონსულტაციო კომპანია *McKinsey&Co., Inc.*-ის მიერ 1997 წელს. მოცემულ მოდელში საკრედიტო რისკის შედეგად დანაკარგების განაწილება აიგება იმ სუბპორტფელებში აქტივების რაოდენობიდან და მოცულობიდან გამომდინარე, რომლებიც აერთიანებენ დარგობრივი და ეროვნული კუთვნილების თვალსაზრისით ერთგვაროვან კლიენტების ჯგუფებს. ზემოთ განხილული მოდელისაგან განსხვავებით, საკრედიტო რეიტინგის მიგრაცია უკვე აღარ არის მუდმივი, არამედ დამოკიდებულია იმ ცვლადებზე, რომლებიც ასახავს ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობას, კერძოდ საპროცენტო განაკვეთის მნიშვნელობებზე და სავალუტო კურსებზე, ეკონომიკის ზრდის ტემპზე, უმუშევრობის დონეზე, სახელმწიფო ხარჯების დონეზე და მოსახლეობის საშუალო დანახოვის დონეზე. ნაგარაუდევია, რომ დეფოლტის ალბათობა იზრდება ეკონომიკური დაცემების პერიოდებში.

Credit Portfolio View მოდელში დროის t მომენტში დეფოლტის ალბათობა წარმოადგენს x_j მანევრებლების ნაკრების ფუნქციას, რომელიც გამოთვლილია თითოეული ქვეყნისა და ეკონომიკის დარგისათვის და ექვემდებარება ლოგისტიკურ განაწილებას:

$$p_t = \frac{1}{1 + e^{-y_t}}, y_t = \alpha + \sum_j \beta_j x_{k,j}, \quad (1)$$

სადაც β_k - მსესხებლის მგრძობელობის კოეფიციენტია მაკროეკონომიკური და დარგობრივი ფაქტორების მიმართ.

Credit Portfolio View მოდელი აგებულია „ზემოდან ქვემოთ“ პრინციპით და ამიტომ არ იძლევა ცალკეული კონტრაგენტის მიხედვით საკრედიტო რისკის დეტალური გაანალიზების საშუალებას, მაგრამ ის სასარგებლოდ განსხვავდება სხვა მოდელისაგან იმით, რომ მასში გათვალისწინებულია კონტრაგენტის დეფოლტის ალბათობაზე მაკროეკონომიკური და დარგობრივი კონიუნქტურების გავლენა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Энциклопедия финансово риск-менеджмента/Под ред. А.А. Лобанова и А.В. Чугунова. – М.:Альпина Паблишер, 2003.

Dali Magrakvelidze

BANKS PORTFOLIO CREDIT RISK AND MODELS OF ITS EVALUATION

Annotation

Credit risk value is evaluated for the whole portfolio by construction probability distribution depending on historical data of each borrower. These estimations are then used to assess the risk of the borrower at the time of issuance of the loan risk parameters without further specifying.

In recent years, large foreign financial institutions have developed a portfolio credit risk assessment methodology, which are different by degree of difficulty. These models have a great recognition in the world and actually used as industry standards. The most famous models among them are the following: *CreditMetrics* (J.P.Morgan Chase), *Credit Risk+* (Credit Suisse), *Portfolio Manager* (KMV) and *Credit Portfolio View* (McKinsey&Co., Inc.).

მარინა მაისურაძე
მარიამ ვარდიაშვილი

ამონაბეჭეტან დაკავშირებული კონტრაქტების აღრიცხვის საკითხები სამართაშორისო სტანდარტების მიხედვით

შემოსავლების შესახებ არსებული ინფორმაცია გამოიყენება კომპანიის ფინანსური საქმიანობის შედეგებისა და ფინანსური მდგომარეობის შესაფასებლად, ასევე სხვა კომპანიებთან შესადარებლად. არსებული სტანდარტების მოთხოვნები ძალიან ართულებდა კომპანიის შემოსავლების აღქმისა და შედარების პროცესს. ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნები განსხვავებულა „ბუღალტრული აღრიცხვის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისგან“ (US Generally Accepted Accounting Principles - US) და ორივე მათგანი საჭიროებდა გაუმჯობესებას. ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების წინა მოთხოვნები ამონაგების აღიარებასთან მიმართებაში საკმაოდ შეზღუდული და ბუნდოვანი იყო. კომპლექსური ოპერაციების აღრიცხვას ართულებდა მათ მიმართ მოქმედი ორი ძირითადი სტანდარტის – ბასს 18 „ამონაგები“ და ბასს 11 „გრძელვადიანი კონტრაქტები“ – მოთხოვნების გათვალისწინება.

ყველა ამ ნაკლოვანებას ავსებს შემოსავლების აღიარების, შეფასებისა და გამოქვეყნების ფასს 15-ით შემოთავაზებული სტრუქტურა. უფრო კონკრეტულად :

- ამცირებს წინა სტანდარტების შეუსაბამობებს;

- აუმჯობესებს შემოსავლების აღიარების პრაქტიკის შესადაარისობის ხარისხს კომპანიების, იურისდიქციებისა და ბაზრების შესაბამისად;
- აუმჯობესებს მომხმარებლებთან დადებული კონტრაქტების შესადაარისობის ხარისხს;
- ამცირებს სხვადასხვა ინტერპრეტაციების ჩამოყალიბებას კონკრეტული სიტუაციების შესაბამისად;

- უზრუნველყოფს უფრო სასარგებლო ინფორმაციის ასახვას ფინანსურ ანგარიშგებაში;
- ამარტივებს ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესს.

ფასს 15 განსაზღვრავს შემოსავლების აღიარებისა და შეფასების ძირითად პრინციპებს, რაც იმაში მდგომარეობს, რომ ამონაგები უნდა შეფასდეს მიწოდებული საქონლისა და მომსახურებისათვის მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით.

კომპანიების მიერ შემოსავლის აღიარება მოიცავს შემდეგ ძირითად საფეხურებს:

1. მომხმარებელთან დადებული კონტრაქტის იდენტიფიცირება:

კონტრაქტი არის გარიგება ორ ან მეტ მხარეს შორის, რაც წარმოქმნის კანონიერ მოთხოვნასა და ვალდებულებას. თუ კონტრაქტს კომერციული შინაარსი აქვს და სხვა კრიტერიუმებსაც აკმაყოფილებს, ნებისმიერი კონტრაქტის შესრულებისას კომპანიებმა აღნიშნული სტანდარტით უნდა იხელმძღვანელონ. ერთ-ერთი კრიტერიუმი მოითხოვს, რომ კომპანიამ შეაფასოს შემოსავლების მიღების რეალურობა.

ზოგ შემთხვევაში სტანდარტი მოითხოვს კონტრაქტების გაერთიანებას და ერთ კონტრაქტად აღრიცხვას. გარდა ამისა, განსაზღვრავს როგორ უნდა მოხდეს კონტრაქტის ცვლილებისას ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება.

2. კონტრაქტით დაკისრებული ვალდებულებების განსაზღვრა:

შესასრულებელი ვალდებულება არის კონტრაქტში დაფიქსირებული პირობა ისეთი საქონლის გადაცემის ან მომსახურების გაწევის შესახებ, რაც იდენტიფიცირებადია.

იმის შესაფასებლად, საქონელი ან მომსახურება იდენტიფიცირებადია თუ არა, კომპანიამ უნდა განსაზღვროს, მომხმარებელს შეუძლია ისარგებლოს საქონლით ან მომსახურებით დამოუკიდებლად თუ სხვა რესურსებთან ერთად, რაც ასევე ხელმისაწვდომია მომხმარებლისთვის გადასაცემად. კომპანიამ ასევე უნდა შეაფასოს, მათ მიერ შეთავაზებული საქონელი ან მომსახურება იდენტიფიცირებულია თუ არა კონტრაქტში არსებული სხვა შეთავაზებებისგან. ასე მაგალითად, მომხმარებელს შეუძლია ცალკე სარგებელი მიიღოს აგურების შესყიდვისგან და ცალკე მშენებლობის სამუშაოების შესრულებისგან. თუმცა, აღნიშნული საქონელი და მომსახურება არ იქნებოდა იდენტიფიცირებადი იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებით კომპანიის მიერ კონსტრუქციის მშენებლობა თავისივე აგურებით არის გათვალისწინებული.

ასეთ შემთხვევაში კომპანიას აღებული აქვს ერთი მოვალეობა – ააშენოს აგურის კონსტრუქცია. აგურები და სამშენებლო სამუშაოები არ იქნება ცალ-ცალკე იდენტიფიცირებადი, რამდენადაც აგურებიც და მომსახურებაც გამოყენებულია კონკრეტული ნაწარმის, ჩვენს შემთხვევაში აგურის კონსტრუქციის შესაქმნელად, რის შესახებაც იყო დადებული კონტრაქტი.

3. ფასის განსაზღვრა:

ამონაგები არის საწარმოში შემოსული ეკონომიკური სარგებლის საერთო თანხა, რომელიც მიიღება საწარმოს ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობიდან და გამოიხატება საკუთარი კაპიტალის ზრდით, მესაკუთრეთა მხრიდან დამატებითი ინვესტირების გარეშე.

ამონაგები მოიცავს ანაზღაურების იმ რაოდენობას, რასაც კომპანია ვარაუდობს, რომ მიიღებს საქონლის გადაცემის თუ მომსახურების გაწევის სანაცვლოდ.

სამეურნეო ოპერაციასთან დაკავშირებული ამონაგების სიდიდე, როგორც წესი, განისაზღვრება საწარმოსა და აქტივის მყიდველს ან მომხმარებელს შორის სათანადო გარიგების საფუძველზე. მისი შეფასება ხდება საწარმოს მიერ მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ნებისმიერი საცალო და საბითუმო სავაჭრო ფასდათმობის გათვალისწინებით.

უფრო ხშირად, ანაზღაურება ხდება ფულის ან ფულადი სახსრების ეკვივალენტების სახით და, შესაბამისად, შემოსავლის თანხაც მისაღები ან მიღებული ფულისა და ფულადი სახსრების ეკვივალენტების ტოლია.

4. ამონაგების განაწილება:

კომპანიამ ამონაგები კონკრეტულად უნდა გადაანაწილოს თითოეულ შესასრულებელ ვალდებულებაზე, ბაზარზე არსებული მსგავსი ტიპის საქონლის ან მომსახურების ფასების შესაბამისად. თუ არ არსებობს ბაზარზე მსგავსი საქონლის ან მომსახურების ფასის შესწავლის შესაძლებლობა, კომპანიამ თავად უნდა განსაზღვროს ფასი.

ზოგ შემთხვევაში, ფასი შეიძლება მოიცავდეს ფასდათმობას ან ცვალებადი ტიპის ანაზღაურებას კონტრაქტის კონკრეტულ ნაწილთან დაკავშირებით ან სრულად. სტანდარტი განსაზღვრავს როდის უნდა მიაკუთვნოს კომპანიამ ფასდათმობა კონტრაქტის კონკრეტულ ნაწილს და როდის მთლიან შესასრულებელ ვალდებულებას.

5. ამონაგების აღიარება ვალდებულების სრულად შესრულებისას:

კომპანიამ შემოსავალი უნდა აღიაროს ვალდებულების სრულად შესრულებისას, რაც გულისხმობს დაპირებული საქონლის გადაცემას ან მომსახურების გაწევას, ესე იგი როდესაც მომხმარებელს სრულად გადასცემს კონტროლის უფლებას საქონელზე ან მომსახურებაზე.

ვალდებულება შეიძლება შესრულდეს დროის კონკრეტულ მომენტში (ძირითადად საქონლის რეალიზაციისას) ან გარკვეული პერიოდის განმავლობაში (ძირითადად მომსახურების გაწევისას). გარკვეული პერიოდის განმავლობაში შესასრულებელი ვალდებულების აღრიცხვისას, კომპანიამ უნდა აირჩიოს ვალდებულების შესრულების სტადიების შეფასების შესაფერისი მეთოდი, რათა ზუსტად განსაზღვროს ვალდებულების რა ნაწილი აქვს უკვე შესრულებული და ამის შესაბამისად აღიაროს ამონაგები.

მიუხედავად იმისა, რომ ფასს 15 განსაზღვრავს ბუღალტრული აღრიცხვის მოთხოვნებს ცალკეული კონტრაქტებისთვის, ზოგ შემთხვევაში კომპანიამ შესაძლოა გამოიყენოს სტანდარტის მოთხოვნები კონტრაქტების პორტფელისათვის. საწარმომ, კონტრაქტის აღრიცხვისას, აღნიშნული სტანდარტი უნდა გამოიყენოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი კრიტერიუმი კმაყოფილდება:

- გარიგება მიღებულია ორივე მხარის მიერ (წერილობითი, ზეპირი ან ბიზნესში დამკვიდრებული სხვა გზით) და მზად არიან შეასრულონ ნაკისრი ვალდებულებები;
- საწარმოს შეუძლია განსაზღვროს ორივე მხარის უფლებები მისაწოდებელ საქონელსა და მომსახურებაზე;
- საწარმოს შეუძლია განსაზღვროს შესრულებული ვალდებულების სანაცვლოდ მისაღები ანაზღაურების პირობები;
- გარიგებას აქვს კომერციული შინაარსი; და
- მოსალოდნელია, რომ საწარმო მიიღებს ანაზღაურებას ნაკისრი ვალდებულების შესრულების შემდეგ.

იმის შესაფასებლად, ანაზღაურების მიღება რამდენად მოსალოდნელია, საწარმომ უნდა განიხილოს მხოლოდ მომხმარებლის შესაძლებლობა და სურვილი, გადაიხადოს შესაბამისი საფასური, როდესაც წარმოექმნება ამის ვალდებულება.

ფასს 15 ასევე მოიცავს მოთხოვნებს მომხმარებლებთან გაფორმებული კონტრაქტების შესრულებასთან დაკავშირებული ხარჯების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ.

კომპანიამ კონტრაქტის შესასრულებლად გაწეული ხარჯები უნდა აღიაროს ხარჯად, თუ დაკმაყოფილებულია ქვემოთ ჩამოთვლილი ყველა კრიტერიუმი:

- გაწეული ხარჯები უშუალოდ დაკავშირებულია კონტრაქტის შესრულებასთან;
- ხარჯები წარმოქმნის ან ზრდის კომპანიის რესურსებს, რაც მომავალში იქნება გამოყენებული სამეწარმეო საქმიანობის პროცესში;
- ხარჯების აღდგენა მოხდება მომავალში.

ინვესტორებმა უკეთესად რომ გაიგონ ამონაგების ბუნება, რაოდენობა, მის მიღებასთან დაკავშირებული გაურკვევლობები და ფულადი ნაკადები კონტრაქტებიდან, ფასს 15 ავალდებულებს კომპანიებს, რომ ანგარიშგებაში ასახონ შემდეგი ინფორმაცია:

- კონტრაქტებიდან წარმოქმნილი ამონაგები, კატეგორიების მიხედვით დეტალიზებული;
- კონტრაქტთან დაკავშირებული ბალანსი, რაც მოიცავს მოსალოდნელ ამონაგებს, კონტრაქტის აქტივებს და ვალდებულებებს;
- შესასრულებელი ვალდებულება, იმის გათვალისწინებით თუ კონკრეტულად როდის უნდა შესრულდეს იგი და კონტრაქტით გათვალისწინებული ვალდებულების კონკრეტული ნაწილისთვის მიკუთვნებული ღირებულება;

• მნიშვნელოვანი შეფასებები და ცვლილებები, შეფასებებში სტანდარტის მოთხოვნების გამოყენებისას;

- აქტივები კონტრაქტის შენარჩუნების ან შესრულების პროცესში გაწეული ხარჯებიდან.

ფასს 15-ის მიღებამდე, ამონაგების აღიარებასთან დაკავშირებული სტანდარტების უზუსტობების გამო კომპანიები ეკონომიკურად მსგავს ოპერაციებს აღრიცხავდნენ სხვადასხვანაირად, რასაც მიყვავდით შემოსავლის აღიარების მრავალფეროვან პრაქტიკამდე. აღნიშნული სტანდარტების ყოვლისმომცველი სტრუქტურით ჩანაცვლებით მომხმარებლებთან გაფორმებული ეკონომიკური თვალსაზრისით იდენტური შინაარსის მქონე კონტრაქტები აღრიცხება საერთო მოთხოვნების ბაზაზე.

თუმცა, შემოსავლის აღიარების პრაქტიკაში არსებული განსხვავებებიდან გამომდინარე, ბუნებრივია, ცვლილებების ხასიათი და ხარისხი განსხვავებული იქნება კომპანიების, ინდუსტრიებისა და ბაზრების მიხედვით.

დასკვნა

ამრიგად, მომხმარებელთა კონტრაქტებიდან მიღებული შემოსავლების აღრიცხვის ძირითადი მიზანია საწარმოს მხრიდან ამომწურავი ინფორმაციის მიწოდება ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებისთვის, შემოსავლის ბუნების, რაოდენობის, მიღების დროისა და მიღებასთან

დაკავშირებული გაურკვევლობების შესახებ, ასევე მომხმარებლებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან წარმოქმნილი ფულადი ნაკადების შესახებ. იგი მნიშვნელოვნად შეცვლის რისკის ქვეშ მყოფი ისეთი კომპანიების შემოსავლების აღრიცხვას, რომლებიც ჩართულნი არიან ლიცენზირების და პროგრამული უზრუნველყოფის გაყიდვების, სატელეკომუნიკაციო, სამშენებლო, თავდაცვის მრეწველობის, აქტივების მართვის საქმეში. მათთვის შეიცვლება შეფასებისა და შემოსავლების აღიარების მეთოდები.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ფასს 15 „ამონაგები კონტრაქტებიდან,” 2014.
2. ფასს 16 „იჯარა” 2016.
3. <http://www.iasplus.com/en/standards/ifrs/ifrs15>
4. <http://www.ifrs.org/Current-Projects/IASB-Projects/Clarifications-IFRS-15-Issues-from-TRG-discussions/Pages/default.aspx>.
5. <http://www.icaew.com/en/library/subject-gateways/accounting-standards/ifrs/ifrs-15>
6. <http://www.ifrsbox.com/?s=ifrs+15>

*Marina Maisuradze
Mariam Vardiashvili*

ON ACCOUNTING THE REVENUE-RELATED CONTRACTS ACCORDING TO INTERNATIONAL STANDARDS

Annotation

From January 1st 2018, the new IFAS 15 “Revenue from Contract” comes into the force, by which a unified approach to accounting the different type contracts is formed. The Standard is aimed to establish the main principles for reflecting the nature of revenues, their size, time of recognition, uncertainties in the financial statements of companies, as well as for publication of the most useful and relevant information on the money flows created from the contracts. The article considers the changes caused by ISAS 15, which relate to recognition of revenues from the contracts, their accounting, and impact of the financial statements and, the relevant conclusions are made regarding the abovementioned issues.

*თვა უდესიანი
დადი სოლოლაშვილი*

ეფექტიანობის აუდიტი, როგორც სახელმწიფო სახსრების ხარჯვის კონტროლის პროგრამული ფორმა

წლების მანძილზე ბევრ საჯარო დაწესებულებაში სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის უქონლობამ, სრულმა ან ნაწილობრივმა მოშლამ სახელმწიფო სახსრების ხარჯვის გამჭვირვალობა და ანგარიშგაღებულება მნიშვნელოვანი საფრთხის წინაშე დააყენა. სწორედ ამიტომ, ყოველთვის საინტერესოა ინიციატივები, რომლებიც საბიუჯეტო სახსრების გამჭვირვალობას უწყობს ხელს.

საქართველოში საჯარო დაწესებულებების ფინანსური კონტროლი სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პრეროგატივაა. იგი, როგორც სახელმწიფო სახსრების ხარჯვის კანონზომიერების, მიზნობრიობისა და ეფექტიანობის ზედამხედველობის საკონსტიტუციო მანდატით აღჭურვილი უმაღლესი აუდიტორული ორგანო, მნიშვნელოვან როლს ასრულებს საჯარო ფინანსების სისტემის გამართულ ფუნქციონირებასა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფაში. სახელმწიფო აუდიტის სამსახური საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ამოწმებს საქართველოს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების შესრულებასა და ბიუჯეტების ასიგნებების ხარჯვას.

საბიუჯეტო სახსრების ფინანსური კონტროლი აუდიტის საშუალებით ხორციელდება. აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით არსებობს აუდიტის სამი ძირითადი სახე. ესენია: ფინანსური, შესაბამისობისა და ეფექტიანობის აუდიტები. ფინანსური აუდიტი აფასებს ფინანსური ანგარიშგების უტყუარობას მოქმედი წესებისა და ინსტრუქციების შესაბამისად; შესაბამისობის აუდიტი შეისწავლის განხორციელებული საქმიანობის კანონიერებას, ხოლო ეფექტიანობის აუდიტი სწავლობს მმართველობითი რგოლის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების ეფექტურობას. ამჟამად ეფექტიანობის აუდიტი მსოფლიოს წამყვანი აუდიტორული ორგანიზაციების საქმიანობის ძირითად მიმართულებას წარმოადგენს.

სახელმწიფო სახსრების ხარჯვის ეფექტიანობის აუდიტის განვითარებას 40 წელზე მეტი ხნის ისტორია გააჩნია. ამ პერიოდის განმავლობაში საზღვარგარეთის ქვეყნებში ჩამოყალიბდა საყოველთაოდ აღიარებული პრინციპები და მეთოდები. მიუხედავად ამისა, ყველა ქვეყანას გააჩნია საკუთარი თავისებურებანი ეფექტიანობის აუდიტის ფორმისა და რეალიზაციის მიხედვით, რომე-

ლიც, თავის მხრივ, განპირობებულია ნაციონალური კანონმდებლობით, ისტორიული პრაქტიკით, ქვეყანაში არსებული ტრადიციებითა და ჩვევებით.

მე-20 საუკუნის 60 – 70-იანი წლებიდან აშშ-ს, კანადის, დიდი ბრიტანეთის და ჩრდილოეთ ევროპის სახელმწიფოების უმაღლესმა აუდიტორულმა ინსტიტუტებმა დაიწყეს ეფექტიანობის აუდიტის განხორციელება, რომელსაც ზოგიერთ ქვეყანაში ფულის ღირებულების აუდიტი (Value for Money audits) ეწოდა. ფულის ღირებულების, ანუ ეფექტიანობის აუდიტს ძირითადად ატარებენ ისეთი პროგრამების /პროექტებისათვის, სადაც პროგრამის/პროექტის ძირითადი მიზანი ვერ შესრულდა.

თანამედროვე პერიოდში ეფექტიანობის აუდიტი ერთ-ერთ ძირითად სახეობას წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტის კონტროლის სფეროში, რომელიც ხორციელდება საფინანსო კონტროლის უმაღლესი ორგანოების საერთაშორისო ორგანიზაციის INTOSAI-ის მიერ შემუშავებულ „ლიმას დეკლარაციის“ პრინციპების საფუძველზე.

ეფექტიანობის აუდიტი არის პროფესიული კატეგორია, რომელიც სპეციალურ უნარ-ჩვევებს, საკუთარ ნორმებს, განსაკუთრებულ დაგეგმვასა და სპეციფიკური ანგარიშების შედგენას მოითხოვს. ეფექტიანობის აუდიტის ძირითადი პრინციპები ითვალისწინებს საფინანსო კონტროლის უმაღლეს ორგანოთა საერთაშორისო ორგანიზაციის (INTOSAI) საფინანსო კონტროლის ნორმებს და ეფუძნება ეფექტიანობის აუდიტის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებს, რომლებიც ამავე ორგანიზაციის წევრთა გამოცდილების საფუძველზე არის შემუშავებული. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ შეუძლებელია ისეთი პრინციპების შემუშავება, რომლებიც ეფექტიანობის ყველა სახის აუდიტს მოერგება, რადგან სხვადასხვა ქვეყანაში საკონტროლო მანდატის, მისი ორგანიზებისა და გამოყენებული მეთოდის გამო იგი სხვადასხვაგვარად ხორციელდება.

საქართველოს კანონის „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“ (მუხლი 4) თანახმად, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის საქმიანობის ძირითადი მიზნებია, „ხელი შეუწყოს სახელმწიფო სახსრების, სახელმწიფოს სხვა მატერიალური ფასეულობების ხარჯვისა და გამოყენების კანონიერების, მიზნობრიობის დაცვასა და ეფექტიანობას, ეროვნული სიმდიდრის, სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების საკუთრების დაცვას, ასევე საჯარო ფინანსების მართვის გაუმჯობესებას“.

აღნიშნული როლის სრულყოფილად შესასრულებლად სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ეფექტიანობის აუდიტის განხორციელება დაიწყო 2012 წლიდან.

აუდიტის ამ თანამედროვე სახეობის მიზანია სახელმწიფოს მიერ განხორციელებული საქმიანობის ობიექტური და საიმედო შეფასება ეკონომიურობის, პროდუქტიულობისა და ეფექტიანობის თვალსაზრისით. ამ პრინციპების მიხედვით საჯარო სექტორის ფუნქციონირების შემოწმება უფრო მაღალი ხარისხის ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფას გულისხმობს, ვიდრე ეს შესაძლებელი იქნებოდა ტრადიციული აუდიტის ფარგლებში.

ეფექტიანობის აუდიტი მიზნად ისახავს შეაფასოს:

1. რა შედეგი იქნა მიღწეული კონკრეტულ ორგანიზაციაზე/პროგრამაზე მიმართული სახსრებითა და რამდენად შესრულდა პროგრამის დასახული მიზნები;

2. რამდენად გონივრული ქმედებებით იქნა მიღწეული აღნიშნული შედეგი და შესაძლებელი იყო თუ არა სახსრების უფრო ეკონომიურად/პროდუქტიულად გამოყენება.

ეფექტიანობის აუდიტის სამი ძირითადი პრინციპი არსებობს, ესენია: ეკონომიურობა, პროდუქტიულობა და მიზანშეწონილობა. **ეკონომიურობა** გულისხმობს სათანადო ხარისხის გათვალისწინებით, საქმიანობის განხორციელებისათვის გამოყენებული რესურსების ხარჯვის მინიმუმამდე დაყვანას; **პროდუქტიულობა** – არის არსებული რესურსებით მაქსიმალური შედეგის მიღწევას, ხოლო **მიზანშეწონილობა** კავშირს დაგეგმილ და ფაქტობრივ შედეგებს შორის.

ეფექტიანობის აუდიტის დროს საჭიროა შემდეგი საკითხების შესწავლა:

განხორციელდა თუ არა მართებული ქმედებები;

ქმედებები განხორციელებულია თუ არა მართებულად.

ეფექტიანობის აუდიტის განხორციელებისას რიგ შემთხვევაში შესაძლებელია რთული აღმოჩნდეს ეფექტიანობის აუდიტში ორი პრინციპის – პროდუქტიულობისა და ეკონომიურობის ერთმანეთისაგან გამიჯვნა, რადგან ორივე მათგანი პირდაპირ ან არაპირდაპირ დაკავშირებულია ისეთ საკითხებთან, როგორც არის, მაგალითად: ეფუძნება თუ არა ორგანიზაციაში არსებული შესყიდვების პრაქტიკა სათანადო პრინციპებს; შეისყიდის თუ არა ორგანიზაცია სათანადო სახეობის, ხარისხისა და რაოდენობის რესურსებს შესაბამის ფასად; რამდენად გამართულია მართვის კონტროლისა და მონიტორინგის სისტემა და სხვა.

სახელმწიფო საფინანსო კონტროლის პრაქტიკაში ეფექტიანობის აუდიტის შემოღება განპირობებულია შემდეგი გარემოებებით:

- სახელმწიფო საფინანსო კონტროლის ქმედუნარიანობის, შედეგინობისა და ეფექტიანობის ამაღლების აუცილებლობით;

- აღმასრულებელი ხელისუფლებისა და სხვა ორგანიზაციების საქმიანობის არსებითი გაუმჯობესების აუცილებლობით;

• სახელმწიფო სახსრების მიმღები ორგანიზაციების საქმიანობის გამჭვირვალობის გაუმჯობესებით.

სახელმწიფო სახსრების ხარჯვის კონტროლის დროს ეფექტიანობის აუდიტის პროცესში მნიშვნელოვანი ყურადღება ექცევა ისეთი საკითხების შესწავლას, როგორცაა:

ხარჯების ზრდის გამომწვევი მიზეზები;

მომსახურების დაგვიანებით მიწოდების მიზეზების დადგენა;

ხარისხიანი და კლიენტზე ორიენტირებული მიწოდებული მომსახურების ხარისხის შემოწმება;

სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების ეკონომიურად ხარჯვა;

პროგრამისა თუ პროექტის წარმატებით განხორციელება;

პროგრამის მიხედვისა და ამოცანების მიღწევის მდგომარეობის შესწავლა.

ეფექტიანობის აუდიტის საჯარო სექტორში გამოყენების აუცილებლობა განპირობებულია იმ გარემოებით, რომ აღნიშნულ სფეროში შეზღუდულია ეფექტიანი ქცევის თან დაყოფილი სტიმული ცვლილებების განსახორციელებლად და შესაბამისად, მაღალი ეფექტის მიღწევის ალბათობა ნაკლებია. ამის მთავარი მიზეზი კი ის არის, რომ საქმე ეხება არა საკუთარ, არამედ "სხვის", ანუ სახელმწიფოს ფულსა და სახსრებს. პრაქტიკაში არცთუ ისე იშვიათია სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრების არამიზნობრივად თუ უყიარათოდ ხარჯვის შემთხვევები. შესაბამისად, დემოკრატიული მმართველობის პირობებში არსებობს ეფექტიანობის აუდიტის საჭიროება, რადგან აუდიტის პროცესი და მის შედეგად გაცემული რეკომენდაციები დიდ როლს თამაშობს საჯარო მმართველობის ეფექტური ფუნქციონირებისა და მიღწეული შედეგების გაუმჯობესების უზრუნველყოფაში.

ამრიგად, ეფექტიანობის აუდიტი სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია, რომლის საშუალებითაც ხორციელდება არა მარტო სახელმწიფო საბიუჯეტო სახსრების ფინანსური კონტროლი, არამედ სამთავრობო საქმიანობის მუშაობის შედეგების შესახებ ინფორმირებულს ხდის როგორც საკანონმდებლო ორგანოს, ასევე საზოგადოებას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს კანონი „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“. 2008 წლის 26 დეკემბერი.

2. საქართველოს კანონი „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“. 2009 წლის 18 დეკემბერი.

3. ეფექტიანობის აუდიტის განხორციელების ძირითადი პრინციპები - INTOSAI-ს სახელმძღვანელო.

4. უდესიანი თეა. დისერტაციის მასალები.

http://doc.atsu.edu.ge/geo/sadoqtoro%20disertacia/disertacia_%20ydesianis.pdf

Tea Udesiani

Dali Sologashvili

PERFORMANCE AUDIT, AS THE PROGRESSIVE FORM OF STATE FUNDS CONTROL Annotation

According to international audit standards, there are three main types of audit, such as: financial, compliance and performance. Financial audit evaluates the authenticity of the financial statements, according to the applicable rules and regulations; compliance audit examines the legality of the activities carried out; performance audit studies the effectiveness of decisions taken by the management. Nowadays performance audit is the fundamental direction of the world's leading audit organizations.

At the present time, the performance audit is one of the main aspects of the states budget control sphere. Its main purpose is to evaluate:

1. What results have been achieved with the funds directed towards the particular organization/program and whether the planned objectives were met;

2. Whether the objective was achieved with reasonable actions and whether there was the possibility of economic/efficient use of funds.

ლამარა ქოქიაური

ბანკითარების სპეციალიზებული ბანკების როლის ამაღლებისათვის საქართველოში

შესავალი

ამა თუ იმ ქვეყანაში საერთაშორისო კლასიკური საინვესტიციო ბანკების საქმიანობის შესახებ, ჩვეულებრივ, გულისხმობენ მოცემულ ქვეყანაში იმ გლობალური საინვესტიციო ბანკების ყოფნას, რომლებიც ლიდერობენ აქციებისა და ობლიგაციების განთავსების, აგრეთვე, მთელ მსოფლიოში შერწყმისა და შთანთქმის გარიგებათა მოცულობის მიხედვით. 2014 წლის შედეგების მიხედვით, ინვესტიციების პრაქტიკულად მთელი საერთაშორისო ბაზარი (97%) ოც გლობალურ საინვესტიციო ბანკს შორის აღმოჩნდა დანაწილებული. თანაც, ბაზრის 77% პირველ ათეულზე მოდის, მაშინ, როდესაც ჯერ კიდევ 1990 წელს მისი ეს წილი 2-ჯერ ნაკლები იყო.

ამგვარად, შეგვიძლია ვისაუბროთ კლასიკურ საერთაშორისო საინვესტიციო ბანკებს შორის ერთგვარ ოლიგოპოლიაზე. ამ ბიზნესში უკვე გამოიკვეთა ოთხი ძირითადი მოთამაშე. ესენია: Merrill Lynch, Goldman Sachs, Saloman Smith Barney და Morgan Stanley Dean Witter, რომელთა საბაზრო წილები 10-დან 134%-მდეა.

მაგრამ ჯერ კიდევ ნაადრევია იმაზე საუბარი, რომ კლასიკური საინვესტიციო ბანკების მსოფლიო ელიტის შემადგენლობა საბოლოოდ ჩამოყალიბდა. ცხადია, პირველი ოთხეულიდან, ალბათ, არც ერთი არ დათმობს თავის მდგომარეობას, მაგრამ სავსებით შესაძლებელია იმავე დონის კიდევ ერთი-ორი მოთამაშის გამოჩენა. მთავარი ბრძოლა პირველ ათეულში მოსახვედრად გაიმართება, რადგან სწორედ მისი მონაწილეები დაინაწილებენ მომავალ ათწლეულში პრაქტიკულად მთელ ბაზარს. ანალიტიკური ფირმა Securities Data Company-ს აზრით, 2-3 წელიწადში მომსახურების სრული ნაკრების მქონე გლობალური საინვესტიციო ბანკების ხელში შესაძლებელია აღმოჩნდეს ბაზრის 95%-ზე მეტი, დანარჩენებს კი მოუწევთ დასჯერდნენ ვიწრო სპეციალიზებულ ნიშებს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საინვესტიციო საბანკო ფორმა აფინანსებს საწარმოების მიერ კაპიტალთან მიმართებაში არსებულ ძირითად მოთხოვნებს. კაპიტალის მოთხოვნებს აქვს ფინანსური დახმარების ფორმა, რომელიც უკავშირდება მომენტალური საჯარო წინადადების (IPO), კერძო ინვესტირების, ობლიგაციებისა და კომპანიების შერწყმისა და შექმნის და სხვა მომსახურებებს, რომლებიც ინვესტიციებთან დაკავშირებულ მართვას, პორტფელის მართვას, რისკის მენეჯმენტსა და ფიქსირებული შემოსავლის მქონე ფასიანი ქაღალდების და სააქციო ფასიანი ქაღალდების კლირინგის კორპორაციის მომსახურებას, ასევე დერივატივებით ვაჭრობას მოიცავს.

საინვესტიციო საბანკო კომპანიები ინვესტირებასთან დაკავშირებულ ყველა სახის მომსახურებას და გადაწყვეტილებებს სთავაზობენ ფიზიკურ და იურიდიულ პირებსა და მმართველობებს. ისინი ქმნიან კაპიტალს მათი კლიენტებისთვის და უზრუნველყოფენ საუკეთესო გადაწყვეტილებებსა და სტრატეგიებს კომპანიების შერწყმისა და შექმნისთვის და ასევე ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობით, ასევე გასწავენ საკონსულტაციო მომსახურებას რისკის მართვასთან დაკავშირებით. თანამედროვე ბანკების ერთ-ერთ მნიშვნელოვან საქმიანობას წარმოადგენს ინვესტირება. დღეს, როგორც კომერციული, ისე კერძო ბანკიც უფრო მეტად ფოკუსირდება საინვესტიციო საბანკო სექტორზე.

ჩვენი სტატიის მიზანია განვითარების სპეციალიზებული ბანკების როლის ამადლების დასაბუთება საინვესტიციო პროცესში, მისი წარმოშობის ადრეული კონცეფციების და აგრეთვე, საინვესტიციო ბანკების სინთეზური ინსტრუმენტების მიმოხილვა და საინვესტიციო-საბანკო კომპანიების საქმიანობის ძირითადი მიმართულებების შემუშავება.

განვითარების ბანკების ადრეული კონცეფციები. საინვესტიციო ბანკებს ხშირად უწოდებენ განვითარების ბანკებს (Development Banks). ასეთი ბანკი შეგვიძლია განვმარტოთ, როგორც სახელმწიფოთაშორისი დაწესებულება, რომელიც შექმნილია ეკონომიკურად სუსტი ქვეყნების განვითარების ხელშესაწყობად, მათ შორის კონკრეტულ რეგიონში (მაგალითად, აზიის განვითარების ბანკი), მისი ფინანსური დონორები კი არიან განვითარებული ქვეყნები. კრედიტების მიწოდება შეღავათიანი პირობებით ხდება, თანაც ხშირად სახელმწიფო ინფრასტრუქტურული პროექტებისათვის.

განვითარების ბანკის ამგვარი განმარტება ინგლისურ-რუსულ საბანკო ენციკლოპედიურ ლექსიკონშია მოცემული. ჩვენი აზრით, იგი მეტად ვიწროა, რადგან აქ შესული არ არის განვითარების ის ბანკები, რომლებიც შექმნილია შიდასახელმწიფოებრივი პროექტების დასაფინანსებლად, აგრეთვე – სახელმწიფოს მონაწილეობის გარეშე. ამგვარად, განვითარების ბანკები შეიძლება ეყრდნობოდეს აქციონერულ ფორმას, საკუთრების შერეულ ფორმას სახელმწიფოს მონაწილეობით და წმინდა სახელმწიფო ფორმას. ასეთი ბანკების მთავარი ფუნქციაა საშუალო და გრძელვადიანი კრედიტების გაცემა მეურნეობის სხვადასხვა დარგისათვის და აგრეთვე, იმ სპეციალური მიზნობრივი პროექტებისთვის, რომლებიც მოწინავე ტექნოლოგიებისა და სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის მიღწევების დახერხვას უკავშირდება (ქოქიაური ლ., 2010).

პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ამ ტიპის ბანკები ახდენენ არა მარტო დაკრედიტებას, არამედ საინვესტიციო პროექტების დაფინანსებასაც წილობრივ საფუძველზე. ამიტომ, უფრო სწორი იქნებოდა მათთვის გვეწოდებინა „საკრედიტო საინვესტიციო ბანკი“. ამგვარად, ჩვენ ერთმანეთისგან ვმიჯნავთ „კლასიკური“ საინვესტიციო ბანკისა და „საკრედიტო“ საინვესტიციო ბანკის ცნებებს. პირველის სპეციალიზაცია მდგომარეობს ფასიანი ქაღალდების ბაზარზე მუშაობაში, მეორის ძირითადი დანიშნულება კი არის გრძელვადიანი საინვესტიციო დაფინანსების პროგრამების რეალიზება. ამგვარი გამოჯენა იმის შესაძლებლობას შეუქმნის „საკრედიტო“ საინვესტიციო ბანკს, რომ („კლასიკური“ ბანკისგან განსხვავებით) ორგანულად „ჩაჯდეს“ საქართველოს საბანკო სისტემის ამჟამინდელ ორდონიან სტრუქტურაში.

„საკრედიტო“ საინვესტიციო ბანკებმა (განვითარების ბანკებმა) დიდი როლი ითამაშეს პირველი ომისშემდგომი წლების დასავლეთ ევროპის ეკონომიკის აღდგენაში, აგრეთვე, მთელი რიგი განვითარებული ქვეყნის დარგებისა და ინფრასტრუქტურის შექმნაში.

ის ძირითადი პრობლემა, რომელსაც ქვეყნების უმრავლესობა გადააწვედა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, იყო ეკონომიკური განვითარების პრობლემა, რადგან მათ არ გააჩნდათ საკმარისი დანახოვები მრავალი მნიშვნელოვანი პროექტის დასაფინანსებლად.

იმ დროს არსებული ბანკები ძირითადად კრედიტებს გასცემდნენ კომერციული მიზნებით (კომერციული და შემნახველი ბანკები) ან ცენტრალური ბანკის შემთხვევაში – აწარმოებდნენ ფულადი მასის კონტროლსა და რეგულირებას. გარდა ამისა, არსებული კომერციული ბანკები ისეთი პირობებით იძლეოდნენ კრედიტებს, რომლებიც მიუღებელი იყო ახლად შექმნილი საწარმოებისთვის ან მსხვილი პროექტების დაფინანსებისთვის (Poyz II.C., 1995).

იმ დროს ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ამოცანა იყო, გამოეყენებინათ გარერესურსების გადაადგილების ხერხები და ჭარბი კაპიტალის მქონე ქვეყნებიდან იგი ისეთ ქვეყნებში გადაენაცვლებინათ, სადაც კაპიტალის უკმარისობა იგრძნობოდა. ამ პრობლემის განხილვის დროს გაჩნდა იდეა, შექმნილიყო განვითარების სპეციალიზებული ბანკი, როგორც საინვესტიციო საჭიროებებზე გარე რესურსების გადაცემის ინსტრუმენტი. ეს იყო განვითარების ბანკების ადრეული ფორმა. მათი ძირითადი ფუნქცია მდგომარეობდა იმ სახსრების დაკრედიტებაში, რომლებსაც სპეციალიზებული სახელმწიფოთაშორისი დაწესებულებები, მაგალითად, მსოფლიო ბანკი, აძლევდნენ სამრეწველო საწარმოებს.

ომის შემდგომი პირველი ათწლეულების მანძილზე რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი, შემდეგ კი 1960 წელს შექმნილი განვითარების საერთაშორისო ასოციაცია თავიანთი ფინანსური რესურსების მნიშვნელოვან ნაწილს ახმარდნენ ეკონომიკური ინფრასტრუქტურის განვითარების ოპერაციებს. მხარდაჭერა ხორციელდებოდა რგსბ-ის სესხებისა და გსა-ს კრედიტების ფორმით ეკონომიკის ამ სექტორში საინვესტიციო პროექტების დასაფინანსებლად. საკრედიტო რესურსების მიმღები იყვნენ ან მსოფლიო ბანკის უფლებამოსილი პირები, რომლებიც შემდეგ შეღავათიანი პირობებით ახდენდნენ ბიზნესის დაკრედიტებას გარკვეულ სექტორებში ან უშუალოდ წვერი სახელმწიფოები, სახსრების გამოყენება კი ხორციელდებოდა მიზნობრივი საბიუჯეტო დაფინანსების ფორმით.

მსოფლიო ბანკის მიერ განხორციელებული ეკონომიკური ინფრასტრუქტურის პროექტების პირდაპირი დაფინანსების ოპერაციების ანალიზით შეგვიძლია გამოვიტანოთ შემდეგი დასკვნა: ერთი მხრივ, ეკონომიკური ინფრასტრუქტურის მასშტაბურად დაფინანსებამ საგრძნობი დადებითი გავლენა იქონია რეციპიენტი ქვეყნების მთელ ეკონომიკურ განვითარებაზე. ეს, უპირველეს ყოვლისა, იმის ხარჯზე მოხდა, რომ ხელსაყრელი პირობები შეექმნა როგორც ადგილობრივი, ისე საზღვარგარეთის კერძო კაპიტალის ფუნქციონირებას. მეორე მხრივ, ეკონომიკური ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით რგსბ-ის მიერ გამოყოფილი სესხები და გსა-ის კრედიტები საკმაოდ მძიმე ტვირთად დააწვა რეციპიენტი ქვეყნების ფინანსებს, არსებითად გაზარდა მათი საგარეო ვალი.

ამგვარად, სახელმწიფოთაშორისი დაწესებულებების შეღავათიანი დაკრედიტება ყოველთვის სასიკეთო არაა რეციპიენტი ქვეყნისათვის.

აღსანიშნავია, რომ როდესაც განვითარებად ქვეყნებში სპეციალიზებული ბანკები რგსბ-ის ხელშეწყობით იქმნებოდა, ეს ხშირად განაპირობებდა ამ ორგანიზაციის კვალიფილიალების ჩამოყალიბებას, რომლებიც მთლიანად იყო დამოკიდებული სათავო სტრუქტურაზე. ამის მსგავსი პროცესები ხდებოდა იმ ზოგიერთ განვითარებად სამრეწველო ქვეყანაშიც, რომლებსაც ინვესტიციების მოზიდვა ესაჭიროებოდათ სამრეწველო საწარმოების რეკონსტრუქციისათვის. ამიტომ განვითარების ბანკები შეიქმნა ავსტრიაში, ესპანეთში, იაპონიაში, ისრაელში, ირლანდიაში, იტალიასა და ზოგიერთ სხვა ქვეყანაში. ამ მხრივ ცალკე უნდა გამოვყოთ ესპანეთი, იტალია, საფრანგეთი და პორტუგალია, სადაც განვითარების შერეულმა ან სახელმწიფო ბანკებმა უზრუნველყვეს გრძელვადიანი დაკრედიტების მაღალი დონე და მასში ახალი დარგების შექმნა. ასეთი ბანკები, როგორც წესი, მჭიდროდ უკავშირდებოდნენ სახელმწიფო ან შერეულ საკუთრებას და ამას კაპიტალდაბანდებათა დაფინანსებისთვის საჭირო გრძელვადიანი ფულადი ფონდების ხარჯზე უზრუნველყოფდნენ. ამ ქვეყნების შერეული თუ სახელმწიფოებრივი ტიპის განვითარების ბანკები აქტიურად მონაწილეობდნენ სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სამთავრობო პროგრამებისა და ეკონომიკის სტაბილიზაციის გეგმების რეალიზაციაში. ამჟამად ისინი მთელ რიგ ოპერაციებსაც ასრულებენ სასესხო კაპიტალის ბაზარზე: თავს უყრიან იურიდიული და ფიზიკური პირების დანახოვებს; ახორციელებენ საშუალო და გრძელვადიან დაკრედიტებას, კორპორაციულ და სახელმწიფო ფასიან ქაღალდებში დაბანდებებს, ბოლო ხანს კი ავითარებენ ფინანსურ მომსახურებას. ამ ტიპის ფინანსური ინსტიტუტების საქმიანობის თავისებურებაა ის, რომ აღნიშნულ დაკრედიტებასთან დაკავშირებული სარისკო ოპერაციების გამო ისინი თვითონვე არიან იძულებული, გამოიყენონ კომერციული ბანკებისა და სხვა საკრედიტო-საფინანსო ინსტიტუტების კრედიტები.

საინტერესოა განვითარების ბანკების საქმიანობის მიმოხილვა ზოგიერთი ქვეყნის მიხედვით. მაგალითად, სამხრეთ კორეის საკრედიტო-საფინანსო სფეროში დიდხანს ჭარბობდა სახელმწიფო ინსტიტუტები, მაშინ, როდესაც კერძო დაწესებულებები მხოლოდ 1980-იანი წლების პირველ ნახევარში გამოჩნდა, ხოლო 90-იანი წლებისათვის ყველა მათგანი ჯერ კიდევ პრიმიტიულ მდგომარეობაში იმყოფებოდა.

სახელმწიფო საკრედიტო-საფინანსო ინსტიტუტებმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს იაპონიის სამრეწველო სტრუქტურის მოდერნიზებაში, განსაკუთრებით – მის საწყის სტადიაზე. სახელმწიფო საფინანსო ინსტიტუტების ხარჯზე 1955 წელს ფინანსდებოდა იაპონიის ფირმების ახალი სამრეწველო მოწყობილობის შესყიდვების 32%, 1965 წელს – 16%, 1980 წელს – 17,6 და 1990 წელს – 8,1%. იაპონიის მრეწველობის განვითარებაზე იმ დროს ყველაზე მეტ გავლენას ახდენდა სამი სახელმწიფო ინსტიტუტი – განვითარების ბანკი, ექსპორტ-იმპორტის ბანკი და მცირე ბიზნესის დაფინანსების კორპორაცია. იაპონიის ფირმებისთვის მათ მიერ მიცემული სესხების ხვედრითმა წილმა 80-იანი წლების დასაწყისში შეადგინა: ლითონნაკეთობათა წარმოებაში – 15,7%, შავ მეტალურგიაში – 12,4, სამშენებლო მასალების წარმოებაში – 12,9, საერთო მანქანათმშენებლობაში – 8,4, ფერად მეტალურგიაში – 7,7, ქიმიურ მრეწველობაში – 6,3, ელექტროტექნიკაში – 5,7%.

მნიშვნელოვან ფუნქციებს ასრულებდა განვითარების სახელმწიფო ბანკის მიერ გაცემული სესხები. მნიშვნელოვანწილად სწორედ მათი მეშვეობით ფინანსდებოდა ელექტრო-ენერგეტიკა, გაზი და წყალმომარაგება (მეურნეობის მითითებული დარგების კომპანიების მიერ მიღებული სესხების ნახევარზე მეტი). ამასთან, ისეთი კატალიზატორის როლსაც თამაშობდნენ იმ დარგებსა და საქმიანობის სფეროებში კერძო საფინანსო დაწესებულებების სესხების შემოსვლის საქმეში, რომლებსაც სახელმწიფოს თვალსაზრისით პრიორიტეტული ხასიათი ჰქონდათ.

განვითარების ბანკის სესხები, ჩვეულებრივ, ფარავდნენ საინვესტიციო პროექტის ღირებულების 30-50%-ს და მათ 5-დან 15 წლამდე ვადით გასცემდნენ, თანაც, კერძო ბანკების კრედიტებზე ნაკლები პროცენტით. ამ სესხების მიმღებ ფირმებს არ სჭირდებოდათ ბანკში დეპოზიტის გახსნა მათი თანხის 10%-ის ოდენობით, როგორც ამას კერძო ბანკები ითხოვდნენ.

საინტერესოა თურქეთის მაგალითი. იქ მოქმედებს განვითარების 5 სპეციალიზებული ბანკი – ორი კერძო და სამი – სახელმწიფოებრივი. სახელმწიფო ბანკები ძირითადად სახელმწიფოებრივ სექტორს ემსახურებიან და გრძელვადიან ინვესტიციებს ახორციელებენ მთელი რიგი სახელმწიფო და შერეული საწარმოების მიზნობრივ პროგრამებში. კერძო ბანკები ახორციელებენ, პირველ რიგში, კერძო სამრეწველო საწარმოებისა და კომპანიების გრძელვადიან დაკრედიტებას.

მათი თავისებურება ისაა, რომ ისინი თურქეთის ცენტრალური ბანკის, რგს-ისა და ევროპის საინვესტიციო ბანკის რესურსების დახმარებით იზიდავენ დეპოზიტებს და აყალიბებენ თავიანთ პასივებს. იმავედროულად, ეს ბანკები შუამავლების როლს თამაშობენ პირველად ბაზარზე ფასიანი ქაღალდების განთავსების დროს და ამ გზით ერთმანეთს უხამებენ კლასიკური საინვესტიციო ბანკისა და განვითარების სპეციალიზებული ბანკის ფუნქციებს.

მთელი რიგი ქვეყნების განვითარების ბანკებმა დროთა ვითარებაში რესურსების მიღება დაიწყეს ორმხრივი დახმარების ფორმითაც და ისეთი ორგანიზაციებიდანაც, როგორიცაა აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო, კანადისა და შვედეთის ანალოგიური ორგანიზაციებიდან; განვითარების ბანკებს მნიშვნელოვანი მოცულობის საგარეო სესხებს აწვდიდნენ ორმხრივი სააგენტოები, რომლებმაც აღმოაჩინეს, რომ განვითარებადი ქვეყნების კერძო და სახელმწიფო სექტორში გარე რესურსების წარმართვა განვითარების საფინანსო კომპანიების მეშვეობით ამ ქვეყნების კერძო სექტორისთვის რეალური ხელშეწყობის ეფექტიანი ხერხია (Брук Н., 1998).

მაგრამ განვითარების ბანკების საქმიანობის ეს ადრეული კონცეფცია საკმაოდ შეზღუდული იყო. აშკარაა, რომ მხოლოდ სახსრების განაწილების ფუნქციების შემსრულებელი ეს საფინანსო ინსტიტუტები გრძელვადიან პერსპექტივაში ვერ შეძლებდნენ სიცოცხლისუნარიან ფინანსურ შუამავლებად გადაქცევას, მსოფლიო ბანკის ჯგუფის ან სხვა საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციის მიერ განვითარების ბანკის დაკრედიტების შეწყვეტის შემთხვევაში იგი ვერ შეძლებს თავისი ოპერაციების გაგრძელებას როგორც გარე, ისე საშინაო საფინანსო რესურსების მიუწვდომლობის გამო. განვითარების ბანკის საქმიანობის თავდაპირველი კონცეფცია, რომელშიც მთავარი ყურადღება ექცეოდა გარე რესურსების განაწილებას, შეიცვალა; მასში მეტი ყურადღება დაეთმო განვითარების ინსტიტუტების როგორც დამოუკიდებელი საფინანსო შუამავლების სხვა არსებით ფუნქციებს, კერძოდ, ეროვნულ საფინანსო სექტორში ინტეგრაცია, პროექტების შეფასება და ინვესტიციების პორტფელის ეფექტიანად მართვა.

განვითარებადი ქვეყნებში განვითარების ბანკები ძირითადად 1960-იან წლებში გაჩნდა ამ ქვეყნების მიერ პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ. ამ ბანკების ორგანიზებაში აქტიურად მონაწილეობდნენ როგორც საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციები, ისე განვითარებული ქვეყნების კომერციული და კლასიკური საინვესტიციო ბანკები. ამის შედეგად მრავალი განვითარებადი ქვეყნის განვითარების ბანკები ახორციელებენ როგორც ეკონომიკის გრძელვადიან დაკრედიტებას, ისე ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებულ ოპერაციებს.

მაგალითად, 1960-1970-იან წლებში ლათინური ამერიკის მრავალი განვითარების ბანკი დაადგა ფიქსირებულ შემოსავლიანი ინსტრუმენტების გამოშვების მეშვეობით კაპიტალის მოზიდვის გზას, მათ შორის – მაღალი ინფლაციის პერიოდებში. იქმნება ისეთი შთაბეჭდილება, რომ საფინანსო სისტემის საიმედოობა ან მასზე ნდობა ის განმსაზღვრელი ფაქტორები გახდა, რომლებიც ინვესტიციების სტიმულს აძლევს დამზოგველს, ლიკვიდობა და შემოსავლიანობა კი მხოლოდ მეორეხარისხოვან როლს თამაშობდა. თუკი საფინანსო ინსტრუმენტზე პროცენტის განაკვეთი ფიქსირებულია, მაშინ რისკის დონე მცირდება. მექსიკაში ინდუსტრიალიზაციას 1960-იან

წლებში ძირითადად სამრეწველო განვითარების ეროვნული ბანკის მეშვეობით აფინანსებდნენ. მისი მუდმივმემოსავლიანი ინსტრუმენტები შემოსავლიანობის კარგ დონეს უზრუნველყოფდნენ. ზოგიერთი მათგანი დოლარებით იყო გამოხატული (Брук Н., 1998).

განვითარების ისეთი მოდელების ფარგლებში, რომლებიც ეკონომიკაში სახელმწიფოს ფართოდ ჩარევას ეყრდნობა, ხსენებული რეგიონის უმრავლესი ქვეყნების საკრედიტო სისტემებში ბოლო დრომდე არსებობდა სახელმწიფო ბანკებისა და სახელმწიფო დაქვემდებარებული ბანკების ფართო სექტორი. მას აყალიბებდნენ განვითარების ბანკები, საფინანსო კორპორაციები, კომერციული ბანკები და მრავალგვარი სპეციალიზებული საკრედიტო ორგანიზაციები. საკმარისია გავიხსენოთ, რომ 1980-იანი წლების დასაწყისში საბანკო სისტემის აქტივებში სახელმწიფოს წილი ბრაზილიაში 45%-ზე მეტს შეადგენდა, მექსიკაში – 50%-ზე, არგენტინაში – 40%-ზე, პერუში – 65%-ზე მეტს (Латинская Америка: структурная перестройка хозяйства., 1994).

ამ ქვეყნების სახელმწიფო ბანკებმა არსებითი წვლილი შეიტანეს ინფრასტრუქტურის დარგების პროგრესში და გადამშუშავებელი მრეწველობის განვითარებაში, ხელი შეუწვევს ჩამორჩენილი რეგიონების აღმავლობას. საკმაოდ მკაცრი იყო საბანკო სფეროს სახელმწიფოებრივი რეგულირება, რისი მეშვეობითაც სახელმწიფო ახერხებდა კერძო ბანკების „ჩართვას“ ისეთი პრობლემების გადაწყვეტაში, როგორცაა ბიუჯეტის დეფიციტის დაფინანსება (ხაზინის ბონებისა და ობლიგაციების იძულებით განთავსება ბანკებში, მთელი რიგი დარგების შეღავათიანად დაკრედიტება (სელექციური კრედიტი), მოთხოვნის მხრიდან ინფლაციური ზეწოლის შემცირება და ფულადი მასის შეზღუდვა (მაღალი სარეზერვო მოთხოვნები ცენტრალურ ბანკებში, საკრედიტო რესტრუქციები) და ა.შ. (Латинская Америка: структурная перестройка хозяйства., 1994).

გრძელვადიანი დაფინანსების მთლიან მოცულობაში განვითარების ბანკების მხოლოდ ხვედრითი წილის განხილვით შეგვიძლია გამოვიტანოთ დასკვნა, რომ მათი როლი არცთუ ძალიან დიდია. მაგალითად, დაფინანსების მთელ მოცულობაში განვითარების ბანკების წილი მსოფლიოში საშუალოდ 5-10%-ია. მაგრამ ისეთი განვითარებადი ქვეყნებისთვის, სადაც დაბალი სულადობრივი შემოსავალია, ეს წილი მნიშვნელოვნად უფრო მეტია. იგი შესაძლოა 30-35%-საც კი აღწევდეს (Брук Н., 1998).

მაგრამ განვითარების ბანკების როლის ანალიზი მარტო რაოდენობრივი თვალსაზრისით სრულ წარმოდგენას ვერ მოგვცემს მათ მნიშვნელობაზე. რაოდენობრივი მახასიათებლები აუცილებლად არ ასახავს გრძელვადიან დაფინანსებაში განვითარების ბანკების სტრატეგიულ მნიშვნელობასა და თვისებრივ როლს. გრძელვადიან დაფინანსებაში განვითარების ბანკების მონაწილეობის მნიშვნელობას განაპირობებს ის როლი, რომელსაც ისინი ქვეყნის განვითარებაში თამაშობენ. თუ, მაგალითად, ეს მონაწილეობა 5%-ით გაზრდის ქვეყნის საწარმოო პოტენციალს ან შექმნის ახალ, ამ ქვეყანაში მანამდე არარსებულ საქონელს, მაშინ ეს მატება ქვეყნის განვითარებასა და მისი მომავლისთვის საფუძვლის ჩაყრაში შეტანილ ძალზე მნიშვნელოვან და გადამწყვეტ წვლილად უნდა მივიჩნიოთ. მაშასადამე, ამ 5%-ს, სხვა იმ სიკეთეებთან ერთად, რომლის მოტანაც განვითარების ბანკს შეუძლია, დიდი მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს ქვეყნისთვის.

გარდა ამისა, ინვესტიციების მთლიან მოცულობაში განვითარების ბანკების უმნიშვნელო წილის მიუხედავად, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ამ კრედიტების მნიშვნელობა დიდად მატულობს, როცა განვითარების ბანკი ბოლო ინსტანციის კრედიტორად გვევლინება. მართლაც, სხვაგვარად ამ კრედიტების წყალობით შექმნილი წარმოებები შესაძლოა საერთოდ არც გაჩენილიყო, თუმცა, მათ დიდი მნიშვნელობა ექნებოდათ ქვეყნისათვის.

განვითარების ბანკის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფუნქციაა იმ ახალ წარმოებათა სტიმულირება, რომლებიც უიმისოდ ვერ შექმნებდნენ წარმოქმნას. ეს სტიმულირება ხორციელდება ტექნოლოგიის შერჩევისა და გადაცემის, აგრეთვე, ახალი წარმოო პროცესების ათვისების მეშვეობით (Брук Н., 1998).

ცალკეული ქვეყნების ცენტრალური ბანკები ან ფასიანი ქაღალდების კომისიები გარკვეულ პრივილეგიებსა და სტიმულებს აძლევენ განვითარების ბანკებს. განსაკუთრებული პრივილეგიები მათ განვითარების თავდაპირველ სტადიაზე ენიჭებათ. თუმცა, თუკი საქმიანობის თავდაპირველ სტადიაზე განვითარების ბანკი მნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი მხარდაჭერით სარგებლობს, მაშინ მას შეღავათები ეკარგება.

ამგვარად, ანალიზი და საერთაშორისო გამოცდილება საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ეკონომიკის განვითარების გარდამავალი პერიოდის განმავლობაში სწორედ სახელმწიფოს აქტიურ როლს შეუძლია უზრუნველყოს ბაზარზე მწყობრად გადასვლა, თავიდან აგვაცილოს უძლიერესი სოციალური რყევები.

საინვესტიციო ბანკების სინთეზური ინსტრუმენტები. უმსხვილესი ამერიკული კლასიკური საინვესტიციო ბანკები ბოლო წლებში აქტიურად ახდენენ ფინანსური ინსტრუმენტების შეჯგარებას მათი სხვადასხვა უპირატესობის კომბინირებით. ამგვარი „სელექციური“ მიდგომის შედეგად ვიღებთ სინთეზურ ფინანსურ პროდუქტებს, რომლებსაც, სპეციალისტების აზრით, ძალიან ფრთხილი ინვესტორების მოზიდვაც კი შეუძლიათ ბაზარზე. სინთეზური ფინანსური სტრუქტურები (იგივე ჰიბრიდული ფასიანი ქაღალდები) თავიანთი არსით საშუალო ხანგრძლივობის სავალ ვალდებულება-ხელწერილებია, რომლებსაც მიბმა აქვთ ზოგიერთ საფონდო აქტივზე – აქციაზე.

აქციების კალთაზე ან ინდექსზე. ისინი ობლიგაციების (საპროცენტო თუ ნუ-ლოვანკუპონიანის) თვისებებს უხამებენ შემოსავლიან კომპონენტს, რომელიც საბაზო ინსტრუმენტის დინამიკას ეფუძნება. სინთეზურ პროდუქტებს შორის განასხვავებენ აქციების თანმდევ ხელწერილებს (equity-linked notes) და ინდექსის თანმდევ ხელწერილებს (index-linked notes).

ეს ინსტრუმენტები ადრე ცნობილი არ იყო. საქმე ისაა, რომ სინთეზური პროდუქტების უმრავლესობა თვით ემიტენტი ბანკების კორპორაციული ვალდებულებებია, ფასიანი ქაღალდების შესახებ აშშ-ის ფედერალური კანონმდებლობის თანახმად კი ბაზარზე მათი გამოშვებისა და ვაჭრობის დაწყების შემდეგ ემიტენტი ბანკს ეკრძალება რაიმე ინფორმაციის გავრცელება, რადგან ეს ნიადაგს უქმნის ბაზრის მიერ საკუთარი ქაღალდების ბოროტად გამოყენებას და მანიპულაციებს. სხვა საბროკერო კომპანიების თანამშრომლებისთვის ახრი არა აქვს მათი კონკურენტების ფინანსური პროდუქტების უპირატესობათა შესახებ მონაცემების მიწოდებას. გარდა ამისა, ემისიის შემდეგ ამ ქაღალდებს არავითარი შემოსავალი არ მოაქვს ბანკისთვის მართვის მოსაკრებლის (management fee) სახით. ამიტომ მისთვის ბევრად უფრო მოგებიანია საკუთარი თანახიარი ფონდის პაის გაყიდვა საკომისიო გასამრჯელოს მისაღებად და არა ინდექსური ხელწერილებისა, რომლებთანაც ბაზარზე ვაჭრობენ.

აქციების თანმდევ ხელწერილებს ეკუთვნის:

- STRIDES (Stock Return Income Debt Securities) – აქციებიდან შემოსავლის მქონე სავალო ქაღალდები და ProGroS (Protected Growth Securities - დაცული ზრდის მქონე ქაღალდები), რომლებსაც თავის კლიენტებს სთავაზობს Merrill Lynch.

- PERQS (Performance Equity-Linked Redemption Quarterly-Pay Securities - კვარტალური გადასახდელის მქონე ქაღალდები, რომელთა შემოსავლიანობა საფონდო აქტივზეა მიბმული). მათი ემიტენტია Morgan Stanley Dean Witter.

- YEELDS (Yield Enhanced Equity - Linked Debt Securities – გაზრდილი შემოსავლის მქონე სავალო ქაღალდები, რომლებიც საფონდო აქტივთანაა მიბმული) ექვან როტჰერსისაგან.

- ELKS (Equity-Linked Securities - აქციების თანმდევი ქაღალდები), რომლებსაც Salomon Smith Barney სთავაზობს ბაზარს;

- CHIPS (Common - Linled Higher Income Patricipation Securities – გადიდებული შემოსავლის მქონე მონაწილეობის ქაღალდები) Bear Stearns-ისგან. საფონდო ინდექსების თანმდევ ხელწერილებს ეკუთვნის:

- MITTS (Market Index Target - Term Securities – ვადიანი ინდექსური ქაღალდები, რომელთა ემიტირებას Merrill Lynch ახდენს;

- ComPS (Commodity-Indexed Preferred Securities – საქონლის ინდექსების პრივილეგირებული ქაღალდები), რომლებსაც J.P.Morgan სთავაზობს ბაზარს;

- PINS (Standard & Poor's 500 Index Notes - S& P 500 ინდექსის ხელმოწერები) Salomon Smith Barney-სგან;

- SUNS (Stock Upside Note Securities – ხელწერილები, რომლებიც განამტკიცებენ საფონდო აქტივის ზრდაში მონაწილეობას), რომლებსაც Lehman Brothers-ი სთავაზობს ბაზარს;

- SIS (Stock Index Return Security - საფონდო ინდექსის თანმდევი ქაღალდები) PAINE Webber-იდან.

საფონდო აქტივის თანმდევ ვალდებულებებზე მისაღები შემოსავალი რომელიმე აქციის ან ინდექსის კურსის დინამიკის მიმართ პირდაპირ დამოკიდებულებაშია. ზემოთ ხსენებული ზოგიერთი ქაღალდი რეგულარულ კუპონურ შემოსავალს სთავაზობს ინვესტორს ან მათი ნომინალური ღირებულების დაბრუნებით, ან საბაზო აქციების გადაცემით დაფარვის ვადის დადგომისას (საბაზო აქტივის საბოლოო ღირებულებაზე დამოკიდებულებით). სხვა ხელწერილები მიმოქცევის პერიოდში საპროცენტო შემოსავლის გადახდის ნაცვლად ინვესტორს დაფარვის მომენტში სთავაზობს წილს საბაზო აქტივის ფასის ნამატიდან და ითვალისწინებს მთელი ნომინალური ღირებულების ან მისი ნაწილის დაბრუნებას საბაზრო აქტივის ღირებულების დაქვეითების შემთხვევაშიც კი.

ამგვარად, მზარდ ბაზარზე ე.წ. ჰიბრიდული ფასიანი ქაღალდები დამატებითი შემოსავლის მიღების შესაძლებლობას იძლევა, რადგან დაფარვის თანხა დაფუძნებული იქნება საბაზო საფონდო აქტივის ზრდაზე. კლებად ბაზარზე ისინი ინარჩუნებენ, როგორც მინიმუმ, თავდაპირველი დაბანდების ნაწილს და უზრუნველყოფენ ნომინალური ღირებულების უკანვე გადახდას დაფარვის მომენტისათვის.

სხვადასხვა კლასის სინთეზური ინსტრუმენტების ინდივიდუალური მახასიათებლები არსებითად შეიძლება განსხვავდებოდეს ერთმანეთისგან ნომინალური ღირებულების დაბრუნების პირობებით, საპროცენტო შემოსავლის გადახდით, ლიკვიდობით და ა.შ. ამიტომ პოტენციური ინვესტორები გულდასმით უნდა სწავლობდნენ კონკრეტული ინსტრუმენტის მიწოდებასთან შეხებაში მყოფ ყველა დეტალს. ასევე, გამართლებული არ არის ყიდვის შესახებ გადაწყვეტილების მიღება „ანალოგიით“ და ერთი ჯგუფის მსგავსი მახასიათებლების ქაღალდების (იქნება ეს MITTS Tu SUNS) იმედად ყოფნა.

თანმდევი ქაღალდების გამოშვებასთან დაკავშირებით ინვესტორისათვის უმნიშვნელოვანესი ინფორმაცია (მათ ფლობასთან დაკავშირებული ძირითადი რისკების მიმოხილვის ჩათვლით), მოცე-

მულია მიწოდების მემორანდუმში ან პროსპექტში, რომელთა გამოთხოვა შეიძლება ემიტენტისგან ან მათი მოპოვება შეიძლება მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში.

ზოგიერთი ხელწერილის მიხედვით, საბაზო აქტივის ზრდაში მონაწილეობის ნაცვლად ინვესტორი იღებს მიმდინარე შემოსავალს საპროცენტო გადახდების სახით. სხვა ხელწერილებზე შესაძლებელია არცთუ მაღალი პროცენტის კომბინირება საბაზო აქტივის ზრდაში მონაწილეობის დაბალ ხარისხთან (participation rate).

მოვიყვანოთ სინთეზური ინსტრუმენტების ყველაზე უფრო თვალში საცემი თავისებურებები:

- **საბაზო აქტივის ღირებულების ზრდაში შეზღუდული (capped)** ან ნულოვანი მონაწილეობა – ქაღალდებს განსაზღვრული აქვს საბაზო აქციების ან ინდექსის გაძვირების ის წილი, რის იმედად ყოფნის უფლებაც აქვს ინვესტორს. ამ „ჭკერს“ ადგენენ კვარტალური ან წლიური მაქსიმალურად შესაძლო შემოსავლის სახით;

- **თავდაპირველი დაბანდების შეზღუდული დაცვა ან მისი უქონლობა** – ქაღალდებზე შემოთავაზებულია ძირითადი დაბანდების ღირებულების შემცირებისგან ნაწილობრივი დაცვა, რაც გამოიხატება ნომინალური ღირებულების ნაწილის დაბრუნებით დაფარვის მომენტში. თუკი ხელწერილის მიმოქცევის პერიოდებში საბაზო აქციების ფასმა დაიწია, მაშინ მის მფლობელს დაფარვისას სთავაზობენ ნატურალურ ანაზღაურებას თვითონ აქციების სახით ნაცვლად ნომინალური ღირებულების დაბრუნებისა ფულადი ფორმით;

- **გადიდებული კუპონი** – ქაღალდებზე შემოთავაზებულია უფრო მეტი კუპონური შემოსავალი ტრადიციულ სავალ ვალდებულებებთან შედარებით, თუმცა, ისინი უფრო მეტ რისკს შეიცავენ, ვიდრე ისეთი ფინანსური ინსტრუმენტები, როგორცაა მოკლევადიანი ვალდებულებები (money market instruments), ხაზინის ან ფედერალური სააგენტოების ვალდებულებები;

- **კუპონის უქონლობა** – ზოგიერთი თანმდევი ქაღალდი კუპონური გადასახდელის ნაცვლად მონაწილეობის უფრო მაღალ ხარისხს უზრუნველყოფს საბაზო აქტივის ღირებულების ზრდაში. გარდა ამისა, ამ ტიპის ხელწერილები დაფარვის მომენტში, ჩვეულებრივ, ითვალისწინებენ ნომინალური ღირებულების თუნდაც ნაწილის დაბრუნებას. ამ თავისებურებებზე დამოკიდებულებით ექსპერტები გვთავაზობენ:

- **ძირითადი დაბანდების „სრული დაცვის მქონე“ ხელწერილები (full principal protected notes)**. დაფარვის ვადის დადგომისას ინვესტორს აქვს ქაღალდების ნომინალური ღირებულების მიღების შესაძლებლობა, მოვლენების სასიკეთოდ განვითარების შემთხვევაში კი – საბაზო აქტივის ღირებულების ზრდაში ნაწილობრივ მონაწილეობის შესაძლებლობა. თუ ხელწერილის საფუძვლად აღებული ინსტრუმენტის ფასი შემცირდა, ვერ მიადგია წინასწარ მოლაპარაკებულ დონეს ან გამოვიდა რყევათა დადგენილი საზღვრებიდან, მაშინ კუპონურ შემოსავალს ან დაფარვის დამატებით თანხას არ იხდიან (ზოგიერთ ქაღალდზე იხდიან კუპონს, თუკი საბაზო აქტივის ფასი ამ ქაღალდის მიმოქცევის ვადის განმავლობაში არ აღწევს გარკვეულ დონეს, – ასეთ ხელმოწერას „touch note“-ს უწოდებენ, – ან იგი რჩება გარკვეული ინტერვალის ფარგლებში – „range note“). თუ ვიგულისხმებთ, რომ ემიტენტის ფინანსური მდგომარეობა არ გაუარესდება და იგი კვლავინდებურად შეიძლება თავის ვალდებულებებზე პასუხისმგებლს, მაშინ შესაძლებელია საუბარი იმაზე, რომ ასეთი ხელწერილების ყიდვის დროს ძირითადი დაბანდების თანხას რისკი არ ემუქრება. იმ შემთხვევაში, როცა ინვესტორი ამ ტიპის ქაღალდებს ირჩევს, მისთვის რეკომენდებულია MITTS ან TIERS ზოგიერთი სახე;

- **ძირითადი დაბანდების ნაწილობრივ დაცვის მქონე ხელწერილები (partial principal protected notes)** ასევე ითვალისწინებენ ინვესტორისათვის საბაზო აქტივის ღირებულების ზრდაში მონაწილეობის შესაძლებლობას, მაგრამ ინვესტიციის თავდაპირველი თანხა მხოლოდ ნაწილობრივად დაცული დაკარგვის რისკისგან. მაგალითად, თუკი საბაზო ინსტრუმენტის ღირებულებამ დაფარვის მომენტში უარყოფითი პროცენტი აჩვენა, მაშინ ძირითადი დაბანდება შენარჩუნდება მხოლოდ იმ თანხით, რომელიც კონკრეტული ხელწერილითაა გათვალისწინებული (მაგალითად, დაბრუნდება ნომინალური ღირებულების 50 ან 75%). ამ ტიპის ხელმოწერებს ეკუთვნის BULS;

- **მაქსიმალური შემოსავლის შეზღუდვის მქონე ხელწერილები** – ინვესტორები მონაწილეობენ საბაზო აქტივის ზრდაში გარკვეულ ზღვრულ დონემდე და თავიანთ თავზე იღებენ დანაკარგების მთელ რისკს. ეს იმას ნიშნავს რომ ხელწერილის მფლობელს შეუძლია ჰქონდეს საბაზო აქტივის მთელი მატების იმედი, თვით ფასის დათქმული მაქსიმუმის მიღწევამდე. ძირითადი დაბანდების დაკარგვის რისკი მას მაშინ დაემუქრება, თუკი მოხდება საბაზო აქციის ან ინდექსის ღირებულების შემცირება. ასეთი ხელწერილები ამავე დროს გვთავაზობს კუპონურ გადასახდელს, რომელთა სიდიდე აღემატება საშუალო საბაზროს. ამიტომ მათ მფლობელს, მართალია, ემუქრება ძირითადი კაპიტალის მთლიანად დაკარგვის რისკი, მაგრამ გადიდებული კუპონი ერთგვარად ახდენს იმ დანაკარგების მასშტაბის კომპენსირებას, რომელიც მას შეეძლო მოსვლოდა საბაზო აქციების პირდაპირი ყიდვის შემთხვევაში. ასეთი „შეზღუდული“ ხელწერილების ნიმუშად გამოდგება PERQSSM;

- **შებრუნებითი კონვერტაციის მქონე ხელწერილები (reverse convertibles)** უზრუნველყოფენ გადიდებულ კუპონურ გადასახდელს და დაფარვის მომენტშიც საბაზო აქტივის ფასზე

დამოკიდებულებით ითვალისწინებენ ან ნომინალური ღირებულების დაბრუნებას, ან საბაზო აქტივების მიწოდებას. ისინი არ უზრუნველყოფენ ძირითადი დაბანდების დაცვას, თუმცა, გადიდებულ კუპონს შეუძლია რამდენადმე აანაზღაუროს დანაკარგები საბაზო აქტივის ღირებულების შემცირების შემთხვევაში. ტრადიციული კონვერტირებადი ობლიგაციებისგან განსხვავებით, რომლებიც ჩვეულებრივ აქციებზე მათი გაცვლისათვის მომენტის შერჩევის უფლებას აძლევენ ინვესტორს, შებრუნებითი კონვერტაციის მქონე ქაღალდები საბაზო აქციებზე მათი გაცვლის უფლებას უნარჩუნებენ ინვესტორს, თუკი დაფარვის მომენტში ამ აქციების ფასი გარკვეულ დონეზე დაბლა დაეშევა. ამ შემთხვევაში საბაზო აქციების მიმდინარე საბაზრო ღირებულება თავდაპირველი დაბანდების თანხაზე ნაკლები იქნება. ამგვარად, შებრუნებითი კონვერტაციის მქონე ქაღალდების მფლობელები საბაზო აქციების ფასის დაცემის შემთხვევაში ფაქტობრივად ექვევნიან ძირითადი დაბანდების დაკარგვის მთელი რისკის ქვეშ. თუმცა, მაქსიმალურ შემოსავალზე შეზღუდვის მქონე ხელწერილის მსგავსად, გადიდებული კუპონური გადასახდელები დანაკარგების გარკვეულ კომპენსაციას უზრუნველყოფს საბაზო აქტივის პირდაპირი შეძენის შემთხვევაში დასაშვებ ზარალთან შედარებით.

აუცილებელია ყურადღება მივაქციოთ იმას, რომ შებრუნებითი კონვერტაციის მქონე ხელწერილები, ჩვეულებრივ, უფრო მაღალი დონის კუპონურ გადასახდელებს გვთავაზობს იმ ხელწერილთან შედარებით, რომლებსაც შეზღუდვა აქვთ მაქსიმალურ შემოსავალზე (საბაზო აქტივის ზრდაში ნულთან მონაწილეობაზე გაცვლით).

• **ორიენტირის მქონე ხელწერილები (touchnote)** პირობითი გადასახდელის მქონე ვალდებულებებია (contingent payment notes), რადგან მათგან შემოსავლის მიღება ზოგიერთი საბაზრო პირობის დაცვაზეა დამოკიდებული. მათი შესრულების შემთხვევაში ხელწერილის დაფარვის მომენტში მოხდება მისი ნომინალური ღირებულების დაბრუნება და საპროცენტო შემოსავლის გადახდა. თუკი პირობები არ შესრულდება, მაშინ კუპონური შემოსავლის გადახდა არ მოხდება, მაგრამ ნომინალური ღირებულება მაინც დაბრუნდება. პირობითი ხელწერილის დართვა შესაძლებელია, მაგალითად, საბაზო აქციის ფასის გარკვეულ დონესთან. თუკი აქციის საბაზრო ღირებულება ხელწერილის მიმოქცევის ვადის ნებისმიერ მომენტში „შეეხება“ ორიენტირად აღებულ მნიშვნელობას (აქედან დასახელებაში მოცემული „touch“), მაშინ დაფარვის ვადის დადგომისას მასზე იხდიან კუპონურ შემოსავალს და აბრუნებენ ნომინალს. თუკი მიმოქცევის ვადის განმავლობაში ორიენტირად მიღებული დონე ვერა და ვერ იქნა მიღწეული, მაშინ დაფარვის მომენტში ხდება მხოლოდ ძირითადი დაბანდების დაბრუნება. პირობით ხელწერილზე გაცემული კუპონური გადასახდელები, ჩვეულებრივ, აჭარბებენ დაფარვის იმავე ვადის მქონე იმ ტრადიციულ სავალო ვალდებულებებზე გაცემულ გადასახდელებს, რომლებიც ანალოგიური საკრედიტო რეიტინგის მქონე კომპანიის მიერაა გამოშვებული;

• **ინტერვალური ხელწერილები (range note)** ზემოთ განხილული ხელწერილების მსგავსია, მაგრამ მათზე საპროცენტო გადასახდელი დამოკიდებულია არა დაწესებული ნიშნულის მიღწევის ფაქტზე, არამედ იმ დღეების რაოდენობაზე, რომელთა განმავლობაში საბაზო ინსტრუმენტის ფასი დათქმული ინტერვალის ფარგლებში იმყოფებოდა. თუკი საბაზო აქტივის ღირებულება ინტერვალის ფარგლებს სცდება, მაშინ ხელწერილის მფლობელი ამ პერიოდში პროცენტებს არ იღებს. მაგრამ დაფარვის ვადის დადგომისას ხელწერილის მქონეს ნებისმიერ შემთხვევაში უბრუნდება მისი სრული ნომინალური ღირებულება.

კონკრეტულ სტრუქტურულ ინსტრუმენტში ინვესტირების რისკების შესახებ სრული ინფორმაციის მისაღებად საჭიროა მივმართოთ მისი შემოთავაზების მემორანდუმს ან პროსპექტს, რომელშიც აუცილებლადაა მოცემული შესაბამისი განყოფილება. ამ განყოფილების შესწავლისას ყურადღება უნდა მივაქციოთ შემდეგ რისკებს:

• **საბაზრო.** საფონდო აქტივთან დაკავშირებულ ქაღალდებს იგივე ფასისმიერი რისკი ემუქრება, რაც მათ საფუძვლად აღებულ ინსტრუმენტებს. თუკი საბაზრო ინსტრუმენტის ფასი ეცემა, მაშინ დიდია მათი ღირებულების შემცირების ალბათობაც. ამასთან, პროცენტიან ჰიბრიდულ ფასიან ქაღალდებზე მიღებული პოტენციური ზარალი ნაწილობრივ შეიძლება გადაფაროს გადიდებულმა კუპონურმა შემოსავალმა. იმ ხელწერილების შემთხვევაში, რომლებიც ძირითადი დაბანდების სრულ ან ნაწილობრივ დაცვას ითვალისწინებენ, თავდაპირველი ინვესტიციის დაკარგვის რისკი შეზღუდულია (ცხადია, იმ პირობით, რომ ხელწერილებს დაფარვის მომენტის დადგომამდე ინახავენ);

• **ძირითადი დაბანდების დაკარგვა.** ზემოგანხილულ ქაღალდებს შორის თავდაპირველი ინვესტიციის დაცვას არ უზრუნველყოფენ შებრუნებითი კონვერტაციის მქონე ხელწერილები და მაქსიმალურ შემოსავალზე შეზღუდვის მქონე ხელწერილები. ამიტომ ამ ინსტრუმენტების მყიდველები უნდა აცნობიერებდნენ თავდაპირველი დაბანდების მთლიანად დაკარგვის რისკის არსებობს. ინვესტიციის ძირითადი თანხის დაკარგვის რისკი იმ შემთხვევაშიც არსებობს, როცა ხელწერილის დაფარვის მომენტში შესრულებული გადასახდელი ნატურალურ ფორმას იძენს და საბაზო ჩვეულებრივი აქციების ინვესტორის ანგარიშზე ჩარიცხვით გამოიხატება. საქმე ისაა, რომ მიღებული აქციების საბაზრო ღირებულებას შემცირების რისკი ემუქრება და თუ დაფარვას ნატურალური სახე ჰქონდა, საბაზო აქციების ფასი კი დაცემას აგრძელებს, მაშინ ინვესტორის

ახალი პორტფელის ღირებულება მის მიერ ხელწერილების შექმნაზე დახარჯულ თანხაზე ნაკლები იქნება;

- **ღირებულების ზრდის პოტენციალი შეზღუდულია.** შემოსავლის შეზღუდვის მქონე ინსტრუმენტების გამოყენების დროს აწესებენ იმ მაქსიმუმს, რომლის იმედიც ინვესტორს შეიძლება ჰქონდეს. ამიტომ საბაზო აქტივის ის მთელი ნაშთი, რომელიც ინვესტორის შემოსავლისათვის განსაზღვრულ ზედა ნიშნულს გადასცდება, ხელიდან გამოეცლება მას. შებრუნებითი კონვერტაციის მქონე ხელწერილების გამოყენების დროს, თუკი დაფარვის მომენტში საბაზო აქტივის ფასი გადააჭარბებს დათქმულ დონეს ან გაუტოლდება მას, მაშინ ინვესტორი მიიღებს არა ჩვეულებრივი აქტივის სახის ნატურალურ გადასახდელს, არამედ ხელწერილების ნომინალურ ღირებულებას. არც ერთ შემთხვევაში გადასახდელის თანხა დაფარვის მომენტში არ გადააჭარბებს შექცევითი კონვერტირებადი ქაღალდების ნომინალურ ღირებულებას;

- **ზოგიერთი სახის ქაღალდი არ ითვალისწინებს პერიოდულ საპროცენტო გადასახდელებს.** კუპონური შემოსავლის უქონლობა ზოგჯერ არასასიკეთოდ მოქმედებს ხელწერილების საერთო შემოსავლიანობაზე. ფასიანი ქაღალდის მიმოქცევის მთელი დროის მანძილზე საბაზო აქტივის ღირებულების ზრდა რომც მოხდეს და მის მფლობელს ჰქონდეს ამ ნაშთის ნაწილის მიღების უფლება, მისი კუთვნილი შემოსავალი შეიძლება იმ შემოსავალზე ნაკლები აღმოჩნდეს, რომლებსაც იგი მიიღებდა საპროცენტო გადასახდელის მქონე სავალო ვალდებულებებში სახსრების დაბანდების შედეგად – ბაზარზე გაბატონებული განაკვეთით;

- **საბაზო აქტივის საბაზრო ფასის შეცვლისას** მასთან დაკავშირებული ქაღალდების მიმდინარე ღირებულებამ შესაძლოა აღეკვატურად არც კი ასახოს ეს ცვლილებები. წარმოებული ინსტრუმენტების შექმნა იგივე არაა, რაც საბაზო აქტივების პირდაპირ ყიდვა. ამიტომ ქაღალდის საბაზრო ღირებულებასა და მის საფუძვლად აღებული ინსტრუმენტის საბაზრო ღირებულებას შორის შეიძლება არ არსებობდეს პირდაპირი დამოკიდებულება. მაშასადამე, საბაზო ინსტრუმენტის საბაზრო ფასის რყევები შესაძლოა არ იწვევდეს მასთან დაკავშირებული ქაღალდის საბაზრო ღირებულების ანალოგიურ ან შესადარის ცვლილებებს. შესაძლებელია ისეთი ვითარებაც კი, რომლის დროსაც საბაზო აქტივის ფასის ზრდა მოხდება მასთან მიმართული ქაღალდების ღირებულების შემცირებასთან ერთად;

- ფასიანი ქაღალდების მფლობელს წართმეული აქვს აქციონერის უფლებები. ხელწერილის ფლობა ინვესტორს არ აძლევს ხმის უფლების, დივიდენდების მიღების უფლებას და სხვა უფლებებს, რომლებიც აქციონერებს აქვთ, ვინც პირდაპირ ფლობს საბაზო აქტივებს.

საინვესტიციო-საბანკო კომპანიების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები. საინვესტიციო-საბანკო ფირმების ზემომოყვანილ კლასიფიკაციაზე, მათ მიერ გამოშვებულ საინვესტიციო ინსტრუმენტებზე და ჩვენთვის უკვე ცნობილ სხვა ინფორმაციაზე დაყრდნობით, მიზანშეწონილად ვთვლი, გამოვეყნოთ მათი საქმიანობის შემდეგი ძირითადი მიმართულებები:

1. საკუთრივ საინვესტიციო-საბანკო საქმიანობა, რომელიც მოიცავს კლიენტების ფასიანი ქაღალდების ემისიის ორგანიზებას და მათ განთავსებას პირველად ბაზარზე (ანდერ-რაიტინგი);
2. საკუთარი ჰიბრიდული ფასიანი ქაღალდების გამოშვება, რომლებიც გარკვეულ სა- ბაზო აქტივზეა მიმაგრებული;
3. საბროკერო-სადილერო ოპერაციები აქტივებზე, სავალო ვალდებულებებზე, ვალუტაზე და წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებზე;
4. შერწყმისა და შთანთქმის ოპერაციები (mergers&acquisitions);
5. აქტივების მართვა (asset management);
6. სადეპოზიტო-კასტოდიალური საქმიანობა;
7. ანალიტიკური კვლევები და კონსალტინგი.

როგორც ადრე უკვე ვთქვით, საინვესტიციო-საბანკო საქმიანობა არის ის მთავარი მიმართულება, რომელიც კლასიკურ საინვესტიციო ბანკად აქცევს კომპანიას. საინვესტიციო-საბანკო საქმიანობის ძირითადი პრინციპი ისაა, რომ საინვესტიციო ბანკი ემიტენტისთვის უზრუნველყოფს მისი ფასიანი ქაღალდების განთავსებას და, ამგვარად, ფულადი კაპიტალის გარკვეული მასის მობილიზებას. ზოგჯერ ეს გარანტირება გვხვდება წმინდა სახით, ე.ი. საინვესტიციო ბანკი თავის თავზე არ იღებს ფასიანი ქაღალდების განთავსებას და ვალდებულებას კისრულობს, მხოლოდ წინასწარ დათქმული ფასით გამოისყიდოს ემისიონერისგან ქაღალდების ის რაოდენობა, რომლის განთავსებაც მან ვერ შეძლო („Standby“-ის მეთოდი). ამ მეთოდს მაშინ იყენებენ ხოლმე, როდესაც უკვე არსებული კორპორაცია ახდენს აქტივების დამატებითი რაოდენობის ემისიას და თავის ადრინდელ აქციონერებს სთავაზობს მათ. ზოგჯერ აქციონერებს აქვთ ახლად გამოშვებული აქტივების შექმნის უპირატესი უფლება, მაგრამ ისინი ყოველთვის არ იყენებენ ამას და ამიტომ შესაძლოა წარმოიქმნას გაუნაწილებელი ნარჩენი.

მაგრამ საინვესტიციო ბანკები ხშირად არა მარტო ახდენენ ფასიანი ქაღალდების გარანტირებას, არამედ თავის თავზეც იღებენ მათ განთავსებას, ე.ი. ემიტენტისგან იძენენ ამ ქაღალდებს ერთმანეთს შორის მოლაპარაკებელი ფასით და შემდეგ ყიდნიან მათ. შეთანხმებულია ასევე, ის კურსი, რომლითაც ფასიანი ქაღალდებს სთავაზობენ ინვესტორებს, სხვაობა კი ბანკის

მოგების წყაროდ გვევლინება. ეს სხვაობა, ჩვეულებრივ, 0,5-დან 5-6%-მდე მერყეობს და დამოკიდებულია ფასიანი ქაღალდის ტიპზე, ემიტენტზე, გამოშვების სიდიდეზე და სხვა მრავალ ფაქტორზე. ქაღალდების ღირებულებას საინვესტიციო ბანკი ემიტენტს უხდის ან საკუთარი სახსრების, ან კომერციული ბანკებიდან მიღებული მოკლევადიანი კრედიტების ხარჯზე.

პრაქტიკულად არასოდეს იღებს მხოლოდ თავის თავზე ფასიანი ქაღალდების ემისიისა და განთავსების გარანტირებას, რადგან ეს მნიშვნელოვან რისკთანაა გადაჯაჭვული. ჩვეულებრივ, იქმნება საგარანტიო სინდიკატი (ხშირად მას ასევე უწოდებენ; „შემსყიდველი სინდიკატი“ – Purchase Group). ამ სინდიკატებს მოქმედება შეუძლიათ ორი პრინციპით: დაცალკეებული ანგარიშის პრინციპით (ე.წ. „დასავლური ანგარიშის“ – Westen Account) და დაუცალკეებელი ანგარიშის („აღმოსავლური ანგარიშის“ – Easten Account) პრინციპით.

უფრო გავრცელებულია პირველი პრინციპი. ამ შემთხვევაში სინდიკატის წევრები ცალ-ცალკე არიან პასუხისმგებლები სინდიკატში თავიანთი მონაწილეობის ფარგლებში, რასაც მთელი გამოშვებიდან მათთვის გამოყოფილი წილის სახე აქვს. ამ წილს განსაზღვრავს სინდიკატის უფროსი („ლიდმენეჯერი“ – Lead-manager), რომელიც, ჩვეულებრივ, მჭიდროდაა დაკავშირებული ემიტენტთან და უშუალოდ აქვს მასთან საქმე. სინდიკატის შიგნით ხშირად მიმდინარეობს ბრძოლა მომგებიან ემისიაში მონაწილეობის უფრო მაღალი წილის მოსაპოვებლად. მაგალითად, 5%-იანი წილის მქონე საინვესტიციო ბანკის პასუხისმგებლობა აქციების 199 მლნ-ია და იგი პასუხს არ აგებს დანარჩენ გაუყიდავ აქციებზე. შესაბამისად, იგი არ იღებს მოგების არავითარ წილს სინდიკატის სხვა წევრების მიერ გაყიდული აქციებიდან. სინდიკატების წევრების რაოდენობა გამოშვებაზე დამოკიდებული და 2-3-დან რამდენიმე ასეულამდე შეიძლება იყოს (Geisst, C. R., 1995).

მეორე პრინციპს, ჩვეულებრივ, იყენებენ მხოლოდ მუნიციპალური ფასიანი ქაღალდების განთავსების დროს. ამ შემთხვევაში სინდიკატის თითოეული წევრი პასუხს აგებს როგორც საკუთარ, ისე სინდიკატის სხვა წევრების წილებზე. ეს შეგვიძლია შემდეგ მაგალითზე ვაჩვენოთ: თუკი სინდიკატის წევრი ვალდებულია იღებს, გაყიდოს 1 მლრდ დოლარის თანხის ობლიგაციების ახალი გამოშვების 10% და ასრულებს მას, იგი თავის პასუხისმგებლობას აგრძელებს სინდიკატის სხვა წევრების მიერ ვალდებულია შეუსრულებლობაზე. ამგვარად, თუკი ვერ მოხერხდა, ვთქვათ, 50 მლნ დოლარის ობლიგაციების რეალიზება, სინდიკატის ეს წევრი პასუხს აგებს ამ თანხის 10%-ზე (ე.ი. 5 მლნ-ზე).

ემისიის შესახებ დადებულ პრაქტიკულად ყველა შეთანხმებაში გათვალისწინებულია დათქმა ბაზრიდან გამოსვლის შესახებ (market out clause). ასეთი დათქმა იძლევა შეთანხმების გაუქმების ნებას მოვლენათა უკიდურესად არასასიკეთოდ განვითარების შემთხვევაში (საფონდო ბაზარზე ვითარების მკვეთრად გაუარესება, ემიტენტის ფინანსური მდგომარეობის მოულოდნელად შეცვლა, ემიტენტის ან საინვესტიციო ბანკისთვის არასასიკეთო კანონების ან სამთავრობო დადგენილებათა მიღება, მთლიანად ეკონომიკური მდგომარეობის მკვეთრად გაუარესება).

ახალი გამოშვების ფასიანი ქაღალდების მომზადებისა და განთავსების უშუალო პროცესი რამდენიმე ეტაპისაგან შედგება.

1. რეგისტრაცია (Registration);

ფასიანი ქაღალდების ყველა გამოშვება რეგისტრირებული უნდა იყოს ფასიანი ქაღალდებისა და ბირჟების კომისიაში (Securities and Exchange Commission). ამისათვის აუცილებელია განცხადების ჩაბარება რეგისტრაციის თხოვნით (Registration Statement);

2. „გაცივების პერიოდი“ (cooling period).

სარეგისტრაციო განცხადების ჩაბარების შემდეგ იწყება 20დღიანი ე.წ. „გაცივების პერიოდი“, რომლის განმავლობაშიც ფასიანი ქაღალდებისა და ბირჟების კომისია ამოწმებს განცხადებას. პრაქტიკაში ეს პერიოდი 20დღიანი მინიმალური ვადით განისაზღვრება. ამ პერიოდში გამოშვების ემიტენტი და მისი განთავსების გარანტი – ანდერრაიტერი უშვებენ ე.წ. წინასწარ პროსპექტებს (reliminary Prospectus), რომელშიც ემიტენტის წინადადების შეფასებისთვის საჭირო ზოგიერთი ინფორმაციაა მოცემული. პოტენციური ინვესტორებისათვის წინასწარი პროსპექტები არ წარმოადგენს უშუალო ოფერტას (კერძოდ, ისინი არ შეიცავენ მონაცემებს საჭირო ხელმოწერის ქაღალდებზე, ფაქტობრივი გამოშვების თარიღზე და მის მთლიან თანხაზე). ამ პროსპექტებით პოტენციურ ინვესტორებს არ შეუძლიათ ქაღალდების შექენა, მაგრამ მათ შეუძლიათ გამოშვების ემიტენტს ან გარანტს გაუგზავნონ წერილი ყიდვით თავიანთი დაინტერესების შესახებ.

ამავე პერიოდში შესაბამისი საინვესტიციო ბანკი ან საინვესტიციო სინდიკატის ლიდმენეჯერი ახორციელებს ახალი გამოშვების თავისებურ „სამართლებრივ წმენდას“ (blue-skying), ახდენს მის რეგისტრირებას ყველა იმ შტატში, სადაც ამ ქაღალდების ემიტირებაა განზრახული ფასიანი ქაღალდების ბაზარზე მომხარებლის დაცვის შესახებ ამ შტატებში მოქმედი კანონების შესაბამისად (blue-sky Laws);

3. წინასაემისო თათბირი (Due Diligence Meeting).

„გაცივების პერიოდის“ დასრულების წინ ან უშუალოდ მისი ამოწურვისთანავე საემისო სინდიკატის ლიდ-მენეჯერი იწვევს წინასაემისო თათბირს. მასში მონაწილეობენ სინდიკატის წევრები, ემიტენტი კომპანიის ხელმძღვანელების წარმომადგენლები, აგრეთვე, ორივე მხარის ბუღალტრები და იურისტები. ამ თათბირზე ამოწმებენ რეგისტრაციის განცხადებას და ინვესტორებისთვის

დასაგზავნ საბოლოო პროსპექტს, განიხილავენ გამოშვების ემიტენტსა და განთავსების გარანტს შორის კონტრაქტის ოფიციალურ პირობებს. აქ დგინდება ახალი გამოშვების ქაღალდების საბოლოო ფასი, გარანტის მარჟა და სხვა პირობები.

პრაქტიკაში კომპანიების უმრავლესობა ერთი ასეთი ცენტრალიზებული თათბირის ნაცვლად ქვეყნის სხვადასხვა ნაწილში ატარებს თავისებურ საინფორმაციო თათბირებსა და ბრიფინგებს (ე.წ. „road-show“), რათა კომპანიის ხელმძღვანელობის წარმომადგენლებს შეეძლოთ უპასუხონ საფონდო ბაზრის ანალიზის სპეციალისტებისა და ინსტიტუციური ინვესტორების შეკითხვებს;

4. ახალი გამოშვების გაყიდვა (Placement).

საკუთარი გაყიდვა იმით იწყება, რომ გაყიდვის სინდიკატის ან ჯგუფის წევრები უკავშირდებიან ამ გამოშვების ქაღალდების შექმნით დაინტერესების შემცველი წერილების გამოშვებულ და თავიანთი შეკვეთების წარმოდგენას თხოვენ მათ. ყველა ასეთ პოტენციურ ინვესტორს დაუგზავნიან საბოლოო პროსპექტს. შესაბამისი საინვესტიციო ბანკი ან საემისიო სინდიკატის ლიდ-მენეჯერი ხელმოწერას (Subscription) იღებს გაყიდვის ჯგუფის წევრებისგან ან გარე დილერებისგან. თუკი ხელმოწერა (გამოწერა) წარმატებით მიმდინარეობს, მაშინ სინდიკატის ლიდ-მენეჯერი ხურავს გაყიდვას (Closing the Books). გაყიდვის შეწყვეტა ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ ყველა ქაღალდი გაიყიდა; ეს იმას ნიშნავს, რომ დილერებმა გამოწვევას მთელი გამოშვება (თუმცა, მათ ჯერ კიდევ არ უწევთ ამ ქაღალდების გაყიდვა).

თუკი პოტენციური ინვესტორების დაინტერესება მოცემული გამოშვებით არცთუ დიდი აღმოჩნდება, მაშინ გამოშვების განთავსების გარანტი, საემისიო შეთანხმების შესაბამისად, ვალდებულია, მიმართოს გამოშვების სტაბილიზაციის ზომებს (Stabilizing the Issue). გამოშვების სტაბილიზაცია წარმოადგენს გამოშვების ქაღალდების ფასის მხარდაჭერი ღონისძიებების ერთობლიობას.

ზოგიერთ ქაღალდზე გამოვლენილმა თავდაპირველმა მოთხოვნამ შეიძლება რამდენჯერმე გადააჭარბოს მათ მიწოდებას (1999 წელს და 2000 წლის დასაწყისში ასეთი იყო ინტერნეტკომპანიების აქციები). ამგვარმა პოპულარულმა ქაღალდებმა შეიძინა „ცხელი გამოშვების“ (Hot Issues) სახელი. გამოშვების მაღალი პოპულარობის შედეგები ისაა, რომ „ცხელი გამოშვების“ ქაღალდების განთავსებისთანავე მათი ფასი ავარდება და მეორეულ ბაზარზე შესაძლებელია მათი გაყიდვა ყიდვის ფასზე დანამატებით. ეს იმიტომ ხდება, რომ წინასაემისიო თათბირსა (რომელზეც განთავსების ფასს ადგენენ) და ბაზარზე ქაღალდების თავდაპირველი განთავსების თარიღს შორის პერიოდში ისეთი მოვლენები ხდება, რომლებიც არსებითად მოქმედებენ ფასზე. ინსტიტუციური ბანკირები ხშირად სარგებლობენ ამით და მაშინვე იწყებენ ემიტენტისგან იაფად ნაყიდი ქაღალდების გაყიდვას.

ამგვარად, საინვესტიციო ბანკირების მოგება ახალი გამოშვების ქაღალდების განთავსებისათვის მიღებული ფიქსირებული მარჟით არ შემოიფარგლება. ხელსაყრელი საბაზრო კონიუნქტურისას, ემიტენტისგან ფასიანი ქაღალდების მეორეულ ბაზარზე გადაყიდვით მიღებული მოგება მეტიც შეიძლება აღმოჩნდეს.

მთლიანობაში, საინვესტიციო-საბანკო საქმიანობა კლასიკური საინვესტიციო ბანკის ბიზნესის ყველაზე უფრო მომგებიანი მიმართულებაა. 1 ცხრილის მონაცემები კარგად ადასტურებს ამას.

ცხრილი 1

მსხვილი ამერიკული საინვესტიციო ბანკების შემოსავლების სტრუქტურა 2014 წელს

საქმიანობის სახე	ხვედრითი წილი
ინვესტიციურ-საბანკო საქმიანობა (ანდერრაიტინგი)	29,67%
შერწყმისა და შთანთქმის მიხედვით ოპერაციები	24,72%
კლიენტების აქტივების მართვა	19,03%
საბროკერო ოპერაციები	7,34%
საქმიანობის სხვა საქმეები	19,24%

წყარო: Securities Data Company.

ამერიკის საინვესტიციო ბანკების შემოსავლების სტრუქტურაში მეორე ადგილი (24,72%) უჭირავს შერწყმისა და შთანთქმის ოპერაციებს (Mergers & Acquisitions), რომლებიც მჭიდროდ უკავშირდება უშუალოდ საინვესტიციო-საბანკო საქმიანობას. ცნობილია, რომ აშშ-ში აქციების ემისიის ძირითადი მიზეზია შერწყმა-შთანთქმის დაფინანსება, კომპანიის მთლიან კაპიტალში ნასესხები კაპიტალის ხვედრითი წილის შემცირების საჭიროება და ძირითად საწარმოო საქმიანობაში ინვესტიციების საკუთრივ დაფინანსება.

ამგვარად, შერწყმისა და შთანთქმის სფეროში კლასიკური საინვესტიციო ბანკის საქმიანობა შემდეგ შემადგენელ ნაწილებად შეგვიძლია დაგვით:

- შერწყმა-შთანთქმისათვის პოტენციური ობიექტის მოძიება კლიენტის ინტერესებისათვის;
- ფინანსური რესურსების მოზიდვა შერწყმისა და შთანთქმის განხორციელებისათვის;

- აქციათა მსხვილი პაკეტების აკუმულირება ბაზარზე კლიენტის დაკვეთით (მსხვილი პაკეტების შექმნა), აგრეთვე, მსხვილი პაკეტების გაყიდვა;
- ცალკეული კომპანიის რესტრუქტურისა და მისი ნაწილების გაყიდვა;
- ბიზნესის რესტრუქტურისა და მისი ოპტიმალური ვარიანტის განსაზღვრაში კონსალტინგური საქმიანობა;

• შთანთქმისგან კლიენტის ეფექტიანად დაცვის შემუშავება და განხორციელება.

ამგვარი სახის საქმიანობის წარმატებით განხორციელებისათვის საინვესტიციო ბანკს აუცილებლად უნდა ჰქონდეს მნიშვნელოვანი თავისუფალი კაპიტალი. მაგალითად, როდესაც კომპანია Texas Utilifies-მა გამოაცხადა კომპანია Energy Group-ის აქციათა საკონტროლო პაკეტის ყიდვის განზრახვა, ცნობილი საინვესტიციო ბანკი Merrill Lynch-ი არ შემოფარგლულა მხოლოდ კონსულტაციების გაწევითა და გარიგების დეტალური გეგმის შემუშავებით და მყიდველს 2 მლრდ დოლარი ასესხა საკუთარი კაპიტალიდან.

ამერიკის საინვესტიციო ბანკების შემოსავლების სტრუქტურაში მესამე ადგილზეა (19,03%) კლიენტების აქტივების მართვის საქმიანობა (asset management). აქ პირველ რიგში საუბარია ფასიანი ქაღალდების პორტფელის მართვაზე, თუმცა, სამართავი ობიექტი შეიძლება იყოს უძრავი ქონება, ძვირფასი ლითონები და სხვა აქტივები. რაც შეეხება ფასიანი ქაღალდების პორტფელის მართვას, აქ ყველაზე ფართოდაა გავრცელებული მართვის ორი ფორმა. პირველ შემთხვევაში კლიენტის ფინანსურ რესურსებს ათავსებენ მის პირად ანგარიშზე საინვესტიციო ბანკში, ხოლო ბანკი აყალიბებს ფასიანი ქაღალდების ისეთ ინდივიდუალურ პორტფელს, რომელიც მაქსიმალურად ზუსტად შეესაბამება კლიენტის მოთხოვნილებებს. გასათვალისწინებელია, რომ ამ ანგარიშზე გადატანილი აქტივები საკმარისად დიდი უნდა იყოს (რამდენიმე ათეული ათასი დოლარიდან დაწყებული). სხვაგვარად შეუძლებელი იქნება დივერსიფიცირებული პორტფელის შედგენა და ასეთი ანგარიშის მართვიდან მიღებული ეფექტიანობაც დაბალი აღმოჩნდება. ამიტომ უფრო ფართოდ გავრცელებულია მართვა სხვადასხვაგვარი საინვესტიციო ფონდების გამოყენებით.

მსხვილი საინვესტიციო ბანკი, როგორც წესი, დიდი რაოდენობით საინვესტიციო ფონდებს მართავს, რომლებიც ერთმანეთისგან განსხვავდება:

- ინვესტირების მიზნებით (ზრდის ფონდები, შემოსავლის ფონდები და სხვა);

ინვესტირების მიმართულებებით (ფულის ბაზრის ფონდები, აქციების ფონდები, ობლიგაციების ფონდები);

- ინვესტირებთან ურთიერთქმედების წესებით (ღია, დახურული და ინტერვალური ფონდები);
- ორგანიზების ფორმებით (აქციონერული ფონდები, საპაიო ფონდები, ტრასტები და სხვა).

აღსანიშნავია, რომ საბროკერო მომსახურებას მთელი შემოსავლების მხოლოდ 7,34% მოაქვს. საინვესტიციო ბანკები თავიანთ კლიენტებს სთავაზობენ საბროკერო მომსახურებას ფინანსური ინსტრუმენტების მეტად ფართო სპექტრით. კლიენტების ხარჯზე და მათივე დავალებით ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვის ტრადიციული საბროკერო მომსახურების გარდა, ისინი კლიენტებს სთავაზობენ გარიგებათა განხორციელებას „მარჯაზე“, „სვოპით“ და სხვა. საბროკერო მომსახურებას კიდევ უფრო ნაკლები წილი შემოაქვს მსხვილი ბანკების შემოსავლების მთელ მასაში. ეს უკავშირდება საფინანსო მომსახურების ამ სფეროში კონკურენციის მაღალ დონეს.

კლასიკური საინვესტიციო ბანკის მიერ თავისი კლიენტებისთვის გაწეულ მომსახურებაში შედის, აგრეთვე, მათი ფასიანი ქაღალდების შენახვის, მეურვეობის, მზრუნველობისა და აღრიცხვის მომსახურება, მეტწილად ეს საბროკერო მომსახურებასთან ერთად ხდება. უფრო ხშირად კლიენტები ამჯობინებენ ბროკერთან შეინახონ ქაღალდები, რათა მინიმალური დრო დახარჯონ გარიგებათა მიხედვით ანგარიშსწორებებზე.

კლასიკური საინვესტიციო ბანკების საქმიანობის კიდევ ერთი მიმართულებაა ანალიტიკური კვლევები და კონსალტინგი. ხშირად შეუძლებელია კლიენტისთვის მიცემული რეკომენდაციები საქმიანობის ცალკე სახედ განვიხილოთ. რეკომენდაციების გაწევა უმრავლეს შემთხვევაში ისეთი მომსახურების შემადგენელ ნაწილად არსებობს, როგორცაა ფინანსური სახსრების მოზიდვა, ბიზნესის რესტრუქტურისა და შთანთქმის გზით, საბროკერო მომსახურება, პორტფელის მართვა. საინვესტიციო ბანკის რეკომენდაციებით კლიენტი ყველაზე მეტად მაშინაა დაინტერესებული, როდესაც იგი ამ ბანკს მიმართავს როგორც ბროკერს. ამ შემთხვევაში ბროკერი ურჩევს კლიენტს, თუ რომელი ქაღალდების ყიდვას ან გაყიდვას აქვს აზრი, აწვდის მას ბაზრის ანალიტიკურ მიმოხილვებს, ასორციელებს ინვესტიციების პოტენციური ობიექტის დეტალურ გამოკვლევას.

აღსანიშნავია, რომ ამ სახის საქმიანობას, როგორც წესი, თავისთავად არ მოაქვს მოგება. პირით, საინვესტიციო ბანკებისთვის ეს მიმართულება ერთ-ერთი ყველაზე უფრო ხარჯიანი საქმიანობაა და მაინც, ბანკები უზარმაზარ თანხებს ხარჯავენ თავიანთი კვლევითი ქვედანაყოფების შენახვაზე. კვლევითი საქმიანობის ამგვარ „სიყვარულს“ მინიმუმ ორი მიზეზი აქვს. ჯერ ერთი, კვლევები და რეკომენდაციები საინვესტიციო ბანკის ერთგვარი „სახეა“, რომელიც მის შესაძლებლობებს ასახავს და ამ ბანკის მომსახურების ხარისხზე მიუთითებს. კლიენტების მოზიდვის საუკეთესო ხერხია მათთვის გამოკვლევების, რეკომენდაციების, ბაზრის შეფასებებისა და პროგნოზების მიწოდება. მეორეც, ხარისხიანი კვლევითი მუშაობა საფუძვლად უდევს ინვესტიციების მართვისა და დაფინანსების მოზიდვის წარმატებულ საქმიანობას. რაც უფრო მაღალია საინვესტიციო ბანკის ანალიტიკუ-

რი მუშაობის ხარისხი, მით უფრო დიდია მის მიერ მოზიდული ფინანსური რესურსები, მომგებიანია მათი მოზიდვის პირობები და ეფექტიანია ამ აქტივების მართვა.

ამგვარად, თუ შევაჯამებთ ყოველივე ზემონათქვამს, ტრადიციული საინვესტიციო ბანკი არის მსხვილი საფინანსო ინსტიტუტი, რომლის საქმიანობის ძირითადი სახეა ოპერაციები საფონდო ბაზარზე, კერძოდ კი – ანდერრაიტინგი, შერწყმა-შთანქმის გარიგებები, საბროკერო-სადილერო მომსახურება და აქტივების მართვა. ჩვენ განვიხილეთ ასეთი ბანკების ძირითადი ფუნქციები და საქმიანობის მთავარი მიმართულებები, აგრეთვე, მათი შემოსავლების სტრუქტურა. ცხადია, ეს მათი ოპერაციების ზედაპირული გამოკვლევაა. მაგრამ ესეც საკმარისია იმის გასაგებად, თუ რამდენად რთული სტრუქტურაა თანამედროვე საინვესტიციო ბანკი, რამდენად ფართოა მომსახურების სპექტრი და მისი საქმიანობის დივერსიფიკაცია.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ევგენიძე ნ., 2014. ფასიანი ქაღალდების ბაზარი საქართველოში. <http://www.radiotavisupleba.ge/content/article/25390387.html>;
2. კოვზანაძე ი., 2001. საქართველოს კომერციული ბანკების ფუნქციონირების პრობლემები თანამედროვე ეტაპზე. თბ., თსუ გამომცემლობა. გვ. 320.
3. ქოქიაური ლ., 1997. საქართველოს კომერციული ბანკების ინვესტიციური საქმიანობა (არსი, პერსპექტივები). გორი, „ლოგიქსი“. გვ. 210.
4. ქოქიაური ლ., 2010. „საინვესტიციო საქმე. თბ., სტუ. გვ. 1012.
5. ქოქიაური ლ., ფინანსები. ენციკლოპედიური განმარტებითი ლექსიკონი. ტ. I. wigni I. gv. 369 – 370.
6. ჩიკვაძე დ., 2007. ფასიანი ქაღალდების ბაზრის დღევანდელი დღე საქართველოში. <http://www.aaf.ge/index.php?menu=1&jurn=0&rubr=0&mas=1040>.
7. ჯგერენაია ე., 2016. ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარების პერსპექტივები. <http://legalclinic.iliauni.edu.ge/index.php/en/12>.
8. Брук Н., 1998. Деятельность банка развития. //Банковское дело и финансирование инвестиций. Т.1. – ч. 2. с. 517, 518, 523.
9. Брук Н., 2001. Мобилизация финансовых ресурсов//Банковское дело и финансирование инвестиций. Т. 11. - ч. 2. с. 383.
10. Зальтын А.С., 1997. Государственное стимулирование инвестиционного процесса: опыт США и стран Юго-восточной Азии.//ЭКО, с. 180- 189.
11. Латинская Америка: структурная перестройка хозяйства 1994. Под ред. И.К. Шереметьева. М.: ИЛА, с. 84, 101.
12. Bettel D., 2006. Companies Google and Rival – How Rewrite the Laws of Business and Change our Culture. MM.: Book.
13. Eugene F., Brigham., Michael C., Ehrhardt., 2005. Financial Management: Theory and Practice (with Thomson ONE – business School edition 1 – year printed access card). Twelfth (12th) edition hardcover – january 20;
14. Geisst, C.R., 1995. Investment Banking in Financial System, - Book press, p. 62.
15. Kuhn R.L., 1990. (ed.-in chief) The library of investment banking.-Homewood, p. 978.
16. Peter S. Rose., 1997. Commercial Bank Management. Producing and Selling Financial Services. Second Edition. IRWIN. Boston, MA 02116. p. 281-320.
17. Ross S.A. Westerfield T.W. Jaffe J.F., 1993. Corporate Finance, Irwin. p. 156-205.
18. Sharpe, William E., 1997. Investments Englewood Cliffs, NJ: Prentice-Hall. gv. 30-87.

Lamara Kokiauri

FOR GROWING THE ROLE OF DEVELOPING SPECIALIZED BANKS IN GEORGIA

Annotation

In the article the role of developing specialized Banks in investment process is confirmed Attention is paid to the origin of early conceptions and development in early main stages. In the article investment Bank synthesic instrument, their aim, investment – Bank companies’ main business directions are reviewed.

ლეილა ღუღუშაური

საბანკო საქმიანობის ორგანიზაციის თანამედროვე ტენდენციები

თანამედროვე ეტაპზე კონკურენციის გაძლიერებისა და საბანკო მომსახურების მიმართ კლიენტების მოთხოვნების ზრდის გამო, სულ უფრო მეტი ბანკი მიმართავს ინოვაციებს, ამუშავებს და ავითარებს საბანკო ტექნოლოგიებს, ცდილობს არ ჩამორჩეს განვითარების ეტაპებს და მაქსიმალურად უზრუნველყოს მომხმარებლის მოთხოვნების დაკმაყოფილება. **ქსელური, ანუ ინტერნეტბანკები**, რომლებიც საბანკო საქმიანობის ორგანიზაციის ინოვაციურ ფორმას

წარმოადგენენ, დღეს უკვე საკმაოდ აქტიურად ფუნქციონირებენ. მათ შესახებ ინფორმაცია ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის 90-იანი წლების შუახანებში გამოჩნდა, თუმცა რეალურად მათი ინტენსიური განვითარება 1998-1999 წლებიდან დაიწყო.

ინტერნეტბანკების სწრაფი განვითარების ძირითად მიზეზებს შორის უნდა აღინიშნოს:

- **მომსახურების მაქსიმალური მოხერხებულობა.** ქსელური ბანკები კლიენტს სთავაზობენ მომსახურებას, რომლისთვისაც მას სახლიდან ან ოფისიდან გასვლაც კი არ სჭირდება და, რომელზეც მას ხელი მიუწვდება მსოფლიოს ნებისმიერი ადგილიდან და ნებისმიერი კომპიუტერიდან, თანაც 24 საათის განმავლობაში, ყოველგვარი პროგრამული უზრუნველყოფის გარეშე;

- **მომსახურების გაცილებით დაბალი ტარიფები.** ინტერნეტბანკის საოპერაციო დანახარჯები საკმაოდ დაბალია ჩვეულებრივი ბანკის დანახარჯებთან შედარებით, ვინაიდან მას არ სჭირდება პერსონალის მრავალრიცხოვანი შტატის, ძვირადღირებული ოფისისა და მოწყობილობის შენახვა. ყოველივე ეს ქსელურ ბანკებს საშუალებას აძლევს, კლიენტს შესთავაზოს პროდუქტები, რომელთა კონკურენტული უპირატესობები მიუღწეველია საბანკო საქმიანობის ტრადიციული ორგანიზაციის პირობებში.

ქსელური ბანკების მომსახურებათა პაკეტი სულ უფრო მრავალფეროვანი და სრულყოფილი ხდება. სახელდობრ, თანამედროვე ეტაპზე ქსელური ბანკები კლიენტს სთავაზობენ მომსახურების სრულ კლასიკურ სექტორს, აგრეთვე უახლეს მომსახურებებს, რომლებსაც ჩვეულებრივი ბანკები ასორციელებენ. გარდა ამისა, **ქსელური ბანკების მომსახურებათა პაკეტს გააჩნია პრინციპული განსხვავებები, სახელდობრ:**

- **ისინი ასორციელებენ ბევრ დამატებით მომსახურებას, რომლებიც ჩვეულებრივი ბანკებისთვის დამახასიათებელი არ არის.** მაგ.: გადასახადებისა და სესხის დაფარვას, სავაჭრო, საღაზღვეო, სატელეკომუნიკაციო მომსახურებას, ინფორმაციის მიღებას online რეჟიმში, და სხვა.

- **ინტერნეტბანკების ბევრი მომსახურება ორიენტირებულია ქსელის შიგნით წარმოშობილი ოპერაციების ანგარიშსწორებათა თანამონაწილეობაზე.** ისეთი ოპერაციები, როგორებიც არის: ელექტრონული კომერციის უზრუნველყოფა, ინტერნეტმომსახურების ანაზღაურება ქსელური ბანკების მიერ გაცილებით უფრო ფართოდ ხორციელდება, ვიდრე ჩვეულებრივ ბანკებში. ინტერნეტის მომხმარებელთა მკვეთრი ზრდის გამო ეს ფაქტი ტრადიციული ბანკების საწინააღმდეგოდ მუშაობს, ამცირებს რა ამით კლიენტისთვის მათი ბრძოლის შანსებს.

უნდა გამოიყოს **ინტერნეტბანკების ორგანიზაციის ორი ძირითადი მიდგომა:**

პირველი - უახლესი ბანკები, რომლებიც ინტერნეტში მთლიანად ან უპირატესად ფუნქციონირებენ. ამ ჯგუფს მიეკუთვნება ის ბანკებიც, რომლებმაც მიუხედავად საქმიანობის საკმაოდ სოლიდური ისტორიისა, ბოლო პერიოდში სრული რეორგანიზაცია განიცადეს და **ვირტუალურ ბანკებად** ჩამოყალიბდნენ. ისინი, როგორც წესი, გამოირჩევიან განვითარების სწრაფი ტემპებით და, მიუხედავად აქტივების არც ისე შთაბეჭდავი მოცულობისა, საბანკო სფეროში ლიდერობენ ოპერაციების ზრდისა და შემოსავლიანობის მიხედვით.

მეორე - მსხვილი ბანკები, რომელთა საქმიანობის ძირითადი წილი მოდის ტრადიციულ მიმართულებებზე, თუმცა დივერსიფიკაციის მიზნით, უახლესი ტექნოლოგიების გათვალისწინების საფუძველზე, აქტიურად ავითარებენ ინტერნეტმომსახურებას. ასეთი ბანკები დღეს კლიენტებს უკვე სთავაზობენ იმავე მომსახურებას, რასაც ვირტუალური ბანკები, თუმცა, ამავე დროს, ოპერაციების შესრულებას ჩვეულებრივი წესით აგრძელებენ, ანუ **შერეული ტიპის ბანკებს** წარმოადგენენ.

ინტერნეტბანკის online ოპერაციების ძირითადი კლასებია:

- **საბანკო ოპერაციები,** სახელდობრ: საშემნახველო და მიმდინარე ანგარიშების გახსნა-წარმოება ინტერნეტის საშუალებით ანგარიშსწორებათა განხორციელებით, პლასტიკური სადებეტო ბარათებით ან ჩეკებით ოპერაციების წარმოება, აგრეთვე გადასახადების გადახდა;

- **საინვესტიციო ოპერაციები:** შესაძლო ინვესტიციების მოძიება, კონსულტაციები, საინვესტიციო ანგარიშების წარმოება და საბროკერო მომსახურება, საინვესტიციო საქმიანობასთან დაკავშირებული გადასახადების გადახდა, საინფორმაციო მომსახურება;

- **სავაჭრო ოპერაციები:** ყოველდღიური მოხმარების სხვადასხვა საქონლისა და კომპიუტერული ტექნიკის შეთავაზება, შესყიდვების ანგარიშსწორებათა უზრუნველყოფა.

ყველა ზემოაღნიშნული ოპერაცია შეიძლება შესრულდეს არა მარტო ინტერნეტში ტრადიციული საქმიანობით, არამედ **მობილური ტელეფონებითაც (მობაილ ბანკი, ე.წ. WAP Banking).**

შერეული ტიპის ბანკების უპირატესობაა ძირითადი ბანკის სახელისა და პოტენციალის სრულად გამოყენების შესაძლებლობა კლიენტების მოსახიდად, თუმცა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში (უპირველეს ყოვლისა, ამერიკის შეერთებულ შტატებში), დეპოზიტების დაზღვევის მოქმედი პროგრამის გამო, თანამედროვე ეტაპზე ცალკეული კლიენტებისთვის ბანკის საიმედოობის ცნება (ტრადიციული გაგებით) თანდათანობით ნაკლებად მნიშვნელოვანი ხდება და მომსახურე ბანკის შერჩევისას უკვე სულ სხვა კრიტერიუმებით ხელმძღვანელობენ. ამიტომ საჭირო ხდება იმ ფაქტის კონსტატაცია, რომ ინტერნეტი საბანკო სფეროში აქტიური კონკურენციის არენა გახდა, რომელსაც უახლოეს პერიოდში შეუძლია არა მარტო მნიშვნელოვნად შეცვალოს წარმოდგენა ბანკსა და მის

ოპერაციებზე, არამედ ამ ბაზრის აქტიური მოთამაშეების პირველ რიგებშიც სერიოზული ცვლილებები შეიტანოს.

ინტერნეტბანკების საქმიანობის რეიტინგის განმსაზღვრელი მონაცემები:

- გამოყენების ხელმისაწვდომობა;
- ოპერაციის უსაფრთხოება;
- ინფორმაციის სისრულე;
- მომსახურების შედარებით დაბალი (საკმაოდ ხელსაყრელი) ტარიფები.

რაც შეეხება **თვითმომსახურების ბანკებს**, ისინიც ასრულებენ ტრადიციული ბანკის ფუნქციებს, ოღონდ საბანკო თვითმომსახურების მოწოდებითაა გამოყენებით. ასეთი ტიპის ბანკებმა ჩამოყალიბება დაიწვეს ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს. ასე მაგ., 1986 წელს **ავსტრალიის ნაციონალურმა ბანკმა (National Australian Bank) NCR კომპანიასთან** ერთად, რომელიც წარმოადგენს ასეთი ბანკების ტექნიკური და ტექნოლოგიური უზრუნველყოფის ერთ-ერთ ლიდერს, შექმნა ფილიალი, სადაც თვითმომსახურების მოწოდებითაა პერსონალს აჭარბებდა.

თვითმომსახურების ბანკების მონაცემებმა ცხადყო, რომ ბანკომატის საშუალებით განხორციელებული ტრანსაქცია გაცილებით უფრო იაფია, ვიდრე ფილიალში მოლარის მიერ შესრულებული. თანაც, საბანკო ტრანსაქცია ინტერნეტით საშუალოდ 10 ცენტი, ხოლო ზოგიერთ შემთხვევებში - დაახლოებით 1 ცენტამდე ჯდება. გარდა ამისა, თვითმომსახურების ავტომატიზებული ფილიალები ტრადიციულ ბანკებთან შედარებით გაცილებით მცირე ფართს იკავებენ და ამავე დროს ნაკლებ მომსახურე პერსონალსაც საჭიროებენ. ამრიგად, ისინი მრავალფილიალიან ბანკებს სტრუქტურული გადატვირთულობის პრობლემის გადაჭრის საშუალებას აძლევენ.

საბანკო თვითმომსახურების თანამედროვე ავტომატიზებული მოწოდებლობა კლიენტთა ანგარიშებიდან ოპერაციების სრული სპექტრის განხორციელების საშუალებას იძლევა, სახელ-

- ლობრ:**
- ნაღდი ფულის დეპონირება და გაცემა;
 - კლიენტის ანგარიშებზე თანხების ჩარიცხვა-გადარიცხვა;
 - კომუნალური გადასახადების გადახდა;
 - საჩეკო ოპერაციების განხორციელება;
 - ანგარიშებისა და გადარიცხვების შესახებ სხვადასხვა დოკუმენტების (ამონაწერების, მინიამონაწერებისა და სხვ.) გაცემა;
 - უცხოური ვალუტის გაცვლა (კონვერტაცია);
 - ლოკალური და საერთაშორისო საგადასახდელო სისტემების ბარათების მომსახურება;
- ავრეთვე:**
- ანგარიშების გახსნის ოპერაციების წარმოება;
 - საჩეკო წიგნაკების შეკვეთა;
 - საშემნახველო ანაბრებზე ინფორმაციის განახლება.

გარდა ამისა, **არსებულ და პოტენციურ კლიენტთა საინფორმაციო და საკონსულტაციო მომსახურება.**

თვითმომსახურების ბანკების შექმნის სპეციფიკა თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში განისაზღვრება კერძო მეანაბრისთვის მომსახურების გაწევის ბაზარზე ბანკის სტრატეგიით. ასეთი **სტრატეგია ბანკს ეხატურობა კლიენტების უკეთ და, ამავე დროს, ეკონომიურად მომსახურებისთვის და მოწოდებულია უზრუნველყოს:**

- ნებისმიერი სახის მომსახურებაზე ხელმისაწვდომობა;
- მოქნილობა: კლიენტს აქვს არჩევანი, სად და როდის ჩატარდეს ოპერაცია;
- იმ კლიენტებისთვის მიმზიდველობის უზრუნველყოფა, რომლებიც უპირატესობას მომსახურების მაღალ ტექნოლოგიურ დონეს ანიჭებენ;
- კლიენტთა შენარჩუნება, ვინაიდან ისინი გაწეულ მომსახურებას ადარებენ მათი კონკურენტების მიერ შეთავაზებულ ანალოგიურ წინადადებებს;
- ეფექტიანობის ამაღლება არასაპროცენტო ხარჯების შემცირების გზით (ადამიანები/შენობები/ დამხმარე სამსახურები).

სტრატეგიის შესამუშაებლად აუცილებელია საბანკო მომსახურების შეთავაზების არხებისა და ტექნოლოგიების სწორად და ოპტიმალურად შერჩევა. ამავე დროს, ცხადია, რომ თვითმომსახურების ბანკების საშუალებით შესაძლებელია არა ყველა ფუნქციის, არამედ მხოლოდ იმ ფუნქციის რეალიზება, რომელთა ავტომატიზაცია მიმდინარე ეტაპზე ბანკისთვის ეკონომიურად უფრო მომგებიანია.

თვითმომსახურების ბანკების განთავსება მიზანშეწონილია ისეთ ადგილებში, რომელსაც კავშირი აქვს დასაქმებასა და სასწავლო პროცესთან (საოფისე კომპლექსები და საქმიანი ცენტრები, საუნივერსიტეტო ქალაქები), **ყოველდღიურ ყოფასთან** (აეროპორტები, ვაგზლები, სუპერმარკეტები, სავაჭრო ცენტრები, ბენზინგასამართი სადგურები) და **დასვენებასთან** (კურორტები, გასართობი და დასასვენებელ-გამაჯანსაღებელი ცენტრები). **ბანკებს, რომლებიც განთავ-**

სებულია სავაჭრო ორგანიზაციების ტერიტორიაზე, შესაძლებლობა აქვთ, დამატებითი შემოსავალი მიიღონ შემდეგი ოპერაციებიდან:

- რეკლამებისა და საქონლის შესახებ ინფორმაციის განთავსება ბანკომატების ეკრანებსა და ინტერაქტიულ ტერმინალებზე;

- მაღაზიებსა და სუპერმარკეტებში ფასდაკლების კუპონების გავრცელება;

- თანხლები საქონლის (მაგ; გასართობი ღონისძიებების ბილეთების, საფოსტო მარკების, სატელეფონო და მსგავსი ტიპის სხვადასხვა ბარათების, სასაჩუქრე სერტიფიკატებისა და ა.შ.) გაყიდვა.

თუ ბანკმა მიიღო გადაწყვეტილება თვითმომსახურების ბანკის შექმნაზე, მაშინ მიზანშეწონილია შემდეგი ღონისძიებების განხორციელება:

- მომსახურების გაწევის არხების დაგეგმვა;

- კლიენტთა აქტივობის ანალიზი;

- ავტომატიზაციისთვის ყველაზე პერსპექტიული ოპერაციების (მომგებიანობის თვალსაზრისით) შერჩევა;

- გადაწყვეტილების შემუშავება;

- ბანკის პოლიტიკისა და იმიჯის შესაბამისი ინტერიერის შემუშავება;

- ვიდეოკავშირის ცენტრისთვის ტექნიკური გადაწყვეტილების შემუშავება;

- საბანკო პროდუქტებისა და მომსახურების იმიჯის შემუშავება-ჩამოყალიბება;

- ფილიალების არსებულ ქსელზე ავტომატიზებული თვითმომსახურების ბანკის გავლენის შეფასება;

- ფუნქციური და გამოყენებული ტექნოლოგიების გავლენის შეფასება ურთიერთობაზე „ბანკი-კლიენტი“.

ახალი საბანკო ტექნოლოგიების დანერგვის დროს ყოველთვის არსებობს ისეთი არსებითი ფსიქოლოგიური ფაქტორები, რომლებზედაც აუცილებელია აქცენტის გაკეთება. ეს, უპირველეს ყოვლისა, არის კლიენტების, შეიძლება ითქვას, „შიში“ ან საკმაოდ ფრთხილი დამოკიდებულება ახალი ტექნოლოგიების მიმართ და კონსულტანტის როლი კლიენტებისთვის ბანკის თვითმომსახურების სისტემების გაცნობის საკითხში. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ აპარატურის ან პროგრამული საშუალებების არასრულყოფილების, ან ბანკის შიდა ინსტრუქციების არარსებობის გამო, აგრეთვე უსაფრთხოების თვალსაზრისით, ყოველთვის არსებობს ისეთი ოპერაციები, რომელთა ავტომატიზაციაც მიზანშეწონილი არ არის.

სტრუქტურულად ბანკის თვითმომსახურების სისტემა წარმოადგენს ოთხ ურთიერთდაკავშირებულ კომპონენტს:

1. ბანკის თვითმომსახურების ტერმინალს – ბანკომატებს, საინფორმაციო და ინტერაქტიულ ტერმინალებს, რომლებიც საბანკო თვითმომსახურების სისტემის მიერ მიცემული ოპერაციის ფუნქციურ შესრულებას უზრუნველყოფენ (მაგ., ნაღდი ფულის დეპონირება და საგადახდო დოკუმენტების კონვერტიზი მთავრდება);

1. ე.წ. Front-end-სისტემას, რომელიც უზრუნველყოფს:

- საბანკო თვითმომსახურების მართვას ტერმინალებით;

- მოთხოვნების მარშრუტიზაციას ავტორიზაციისთვის;

- ტერმინალის ტექნიკური და ფინანსური მდგომარეობის მონიტორინგს.

მაგ., საკონვერტო დეპოზიტის შემთხვევაში Front-end-სისტემამ უნდა უზრუნველყოს კონვერტის გაცემა, საკონვერტო დეპოზიტარის წიბოების გახსნა და კონვერტის გადატვირთულობის ან არარსებობის რეპორტირება.

2. ე.წ. ბექ-ოფის (Back-office) სისტემას, ანუ ბანკის სისტემის მოდულებს (კერძოდ, კლიენტების ანგარიშების მონაცემთა ბაზას), რომლებიც უზრუნველყოფენ მთელი რიგი ფუნქციური ოპერაციების შესრულებას (მაგ., სრულ ამონაწერს ანგარიშიდან ან ბარათიდან და ა. შ.);

3. ბანკის ნორმატიულ ბაზას, რომელიც მოიცავს (მათ შორის) შიდასაბანკო და კლიენტთა ტექნოლოგიურ ინსტრუქციებს, აგრეთვე ოპერაციების შესრულების მარეგლამენტირებელი ტიპური დებულებების (მაგ., ბანკის თვითმომსახურების მოწყობილობის საშუალებით განხორციელებული დაბანდების დამუშავების) ნაკრებსა და დავების გადაწყვეტის წესებს.

უნდა აღინიშნოს, რომ ამა თუ იმ ფუნქციური ოპერაციის (მაგ., ანგარიშიდან სრული ამონაწერის ფორმირების) რეალიზაციისას მნიშვნელოვანია თითოეული ზემოაღნიშნული კომპონენტის მიერ ამ ოპერაციის მხარდაჭერა. აქედან გამომდინარე, ცხადია, რომ რომელიმე კომპონენტის არარსებობის შემთხვევაში მოცემული ფუნქციის რეალიზაცია ფაქტობრივად შეუძლებელი ხდება.

თვითმომსახურების ბანკებს შორის განსაკუთრებით უნდა გამოიყოს **აშშ ჰანტინგტონ ბანკი (Hantington Bank) და კვიპროსის ბანკი (Bank of Cyprus), აგრეთვე ვაშინგტონ მიჩუალ (Washington Mutual) ბანკი**, რომლებიც 1994-1997 წწ-ში ჩამოყალიბდა და ამ მიმართულების პიონერებად ითვლებიან. ბანკები მიზნად ისახავდნენ შემდეგი ძირითადი ამოცანების გადაწყვეტას: უნაღდო ოპერაციების (სესხების გაცემის, ანგარიშების, მათ შორის სხვადასხვა დეპოზიტების გახსნისა და

ანგარიშებთან დაკავშირებული ოპერაციების) სრულ ავტომატიზაციას; კლიენტურისთვის კვირაში 7 დღის განმავლობაში დღე-ღამეში 24 საათიანი მომსახურების შეთავაზებას; ახალი ბიზნესის „დაზვერვას“; ახალი კლიენტების დაინტერესებასა და მოზიდვას; სავაჭრო ფართობის ეფექტიანად გამოყენებას; საოპერაციო ხარჯების შემცირებას; თვითმომსახურების ფილიალების დაარსებას იმ გეოგრაფიულ რაიონებში, სადაც სხვადასხვა მიზეზების გამო შეუძლებელი იყო ტრადიციული საბანკო ფილიალების ორგანიზება. გარდა ამისა, პროექტის წარმატების მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენდა თვითმომსახურების ბანკებში კონსულტანტის არსებობა, რომელიც კლიენტებს ოპერაციების შესრულების ახალი ტექნოლოგიების ათვისებაში ეხმარებოდა. აღნიშნული ამოცანების წარმატებით გადაწყვეტის საფუძველზე თვითმომსახურების ბანკებმა შეძლეს საკმაოდ მაღალი რეიტინგისა და, შესაბამისად, პოპულარობის მოპოვება.

რაც შეეხება **საბანკო საქმიანობის ორგანიზაციის უახლეს ტენდენციებს საქართველოში**, უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად ქვეყნის კომერციული ბანკების საქმიანობის შედარებით ხანმოკლე ისტორიისა, მათ საკმაოდ სწრაფად აუღეს ალღო თანამედროვე მოთხოვნებს და სერიოზულ წარმატებასაც მიაღწიეს. სახელდობრ, *ინფორმაციულმა ტექნოლოგიებმა მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი მთელი რიგი სიახლეების დანერგვას საქართველოს საბანკო სექტორში*: ახალი პროდუქტებისა და მომსახურების შექმნასა და გაცილებით უფრო ქმედუნარიანი, ეფექტიანი და ნაყოფიერი კავშირების ჩამოყალიბებასა და განვითარებას. ამის მაგალითია ელექტრონული სერვისები: ინტერნეტ, მობაილ და sms-ბანკი, ონლაინ კონსულტაციები, სწრაფი გადახდის აპარატები, Online-ელექტრონული ხელმოწერა, უკონტაქტო ბარათები და სხვა.

გარდა ამისა, *საბანკო სისტემის განვითარებას მნიშვნელოვნად უწყობს ხელს სახელმწიფო პოლიტიკაც*, ამის შედეგია ისეთი ინოვაციური პროდუქტების დანერგვა, როგორიცაა: დროის რეალურ რეჟიმში ანგარიშსწორების სისტემა, ინფორმაციული, კომპიუტერული, ქსელური და სხვა თანამედროვე ტექნოლოგიები.

ქართული საბანკო სექტორის მდგრად და ინოვაციურ განვითარებას, მიუხედავად ბოლო წლებში ქვეყნის ეკონომიკის არასტაბილური და არცთუ სახარბიელო განვითარების ტემპებისა, აღიარებს ყველა გავლენიანი საერთაშორისო ორგანიზაცია თუ სარეიტინგო სააგენტო. ამის დამადასტურებელია საერთაშორისო სააგენტო Fitch-ის ბოლო შეფასებაც, რომლის თანახმადაც 4 ქართულ ბანკს გრძელვადიანი რეიტინგები და სტაბილური პროგნოზი დაუდგინდა.

მიუხედავად მიღწევებისა, კონკურენციის ზრდა და საბანკო მომსახურების მიმართ კლიენტების მოთხოვნების გამრავალფეროვნება საქართველოს საბანკო სისტემას კიდევ უფრო მეტი განვითარებისკენ უბიძგებს, რაც გრძელვადიან პერიოდს და საკმაოდ დიდ ძალისხმევას მოითხოვს. სახელდობრ, *ბანკებმა უნდა:*

- შეიმუშაონ განვითარების ზუსტი სტრატეგია და დაუკავშირონ იგი ქვეყანაში ბიზნესის განვითარებისა და გაფართოების სტრატეგიებს;
 - სტრატეგიული გეგმების საფუძველზე შექმნან საქმიანობის შედეგების შეფასების ეფექტიანი კრიტერიუმები;
 - დახვეწონ ანგარიშებთან დაკავშირებული რისკების მართვა;
 - სრულყონ ინოვაციური მენეჯმენტი;
 - უზრუნველონ ინფორმაციის მაქსიმალური დაცულობა და კონფიდენციალურობა;
- დასასრულ, უაღრესად მნიშვნელოვანია, ბანკებმა ინოვაციების დანერგვით შეამცირონ დანახარჯები, რაც განაპირობებს მათი მომგებიანობის ზრდასა და კონკურენტუნარიანობის შემდგომ ამსაღლებას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს კანონი „სავადახლო ბარათები და ანგარიშსწორების სისტემები საქართველოში.“ <http://www.nbg.gov.ge/index.php?m=110>.
2. ელექტრონული ბანკინგის მნიშვნელობა და მისი ბაზისური როლი საბანკო სისტემაში. <http://www.encyclopedia.com/doc/1G2-3401200518.html>.
3. ლ. ლუდუშაური. საბანკო და საკრედიტო ორგანიზაციების რეინჟინირინგი: თეორია და პრაქტიკა. თბ., გამომცემლობა „ინტელექტი“, 2012.
4. An Oracle White Paper. (2010). Next-generation Banking: Combining Process and Technology to Achieve Agility.
5. Buse, E., & Tiwari, S. (2010). Technologie and Innovations Management.
6. European Central Bank. (2010). The Effects Of Technology On The Eu Banking System.
7. (2011). The future of Internet Banking for Business. IBM Global Business Services.

MODERN TRENDS IN BANKING ORGANIZATIONS

Annotation

The banking environment in 21st century is quite competitive. Bank, in order to maintain the leading positions and be able to grow as well, try to keep abreast of the technological progress. As a result of increasing competition and customers' diversifying demands towards the bank services, more banks apply innovative solutions in almost every sphere of activity.

The aim of research is to analyze the modern trends in banking organizations, to consider the question of their adaptation in Georgian banking system.

ხათუნა შალამბერიძე

მსოფლიო ოფშორული საბანკო ცენტრების ანალიზი

ოფშორული ზონა ცალკეულ სახელმწიფოთა ეროვნული ეკონომიკისგან იზოლირებული საფინანსო ინსტიტუტია, სადაც შეღავათიანი რეჟიმში განისაზღვრება სავალუტო შეზღუდვის უქონლობით, მოგებათა თავისუფალი გატანით, საწესდებო კაპიტალის დაბალი დონით, ფირმის რეგისტრაციისა და მართვის მაქსიმალურად გამარტივებული პროცედურით, საგადასახადო დანაკარგების შემცირების შესაძლებლობებით, ფირმის მფლობელთა სრული ანონიმურობითა და კონფიდენციალობით.

ოფშორული საბანკო ცენტრების აღმოცენება გასული საუკუნის 60-იანი წლების მთავარი მოულოდნელობა იყო, მაშინ, როცა მეკეთრად გაიზარდა ევროსავალუტო ბაზრის მასშტაბები და მოცულობა. ბევრი პატარა ქვეყანა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ოფშორული საბანკო ცენტრების შექმნით, რომლებიც რიგ უპირატესობებს ფლობენ უცხოური ბანკების მოსაზიდად, შეძლებდნენ ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების ზრდას. ამავე დროს გაირკვა, რომ ლიცენზიების გაცემით, ბანკების ხარჯებითა და სხვა გადასახდელების ხარჯზე მიღებული შემოსავლებისა და სახსრების დაგროვებით ამ ქვეყნებს შეეძლოთ გაეზარდათ ცხოვრების დონე.

ევროვალუტის ბაზარი არის მსოფლიო ფინანსური ბაზრის ნაწილი. ევროვალუტის ბაზართან მჭიდროდაა დაკავშირებული ოფშორული საბანკო ცენტრები. ამავე დროს, ოფშორული საბანკო ცენტრები შეიძლება განიხილოს როგორც საერთაშორისო საფინანსო ცენტრების ცალკეული კატეგორიები, რომლებიც საშუაშავლო ფუნქციებს ასრულებენ სესხის ამღებებისა და დეპონენტებისათვის. ოფშორული საბანკო ცენტრების უპირატესობათა ძირითადი მიზეზია მინიმალური ოფიციალური რეგულირება, გადასახადებისა და ბანკების ფასიანი ქაღალდების პორტფელის მართვაზე კონტროლის პრაქტიკულად არ-არსებობა.

ოფშორული საბანკო ცენტრების რაოდენობის ზრდას ევროსავალუტო გარიგებებისათვის, ხელი შეუწყო ამ ცენტრების რიგმა თვისებებმა:

პირველი - აქ ფინანსური სახსრების მოდინება და გადინება საერთოდ არ რეგულირდება;

მეორე - ფინანსურ გარიგებებს ჰქონდა წმინდა საერთაშორისო საფუძველი და საერთოდ არ ეხებოდა ქვეყნის შიდა ეკონომიკურ ან ფინანსურ პოლიტიკას;

მესამე - ეს ცენტრები ამ ქვეყნებს სთავაზობდნენ კავშირგაბმულობისა და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მაღალეფექტურ ადგილობრივ და საერთაშორისო საშუალებებს.

მეოთხე - ოფშორულ ცენტრებს მაღალგანვითარებული ქვეყნების ფინანსურ მეურნეობასთან და მათ ხელმძღვანელობასთან კარგი ურთიერთობა ჰქონდა.

მეხუთე - ეს ცენტრები მუშაობდნენ შიდაპოლიტიკური სტაბილურობის პირობებში და უზრუნველყოფდნენ გარიგებათა საიდუმლოების დაცვას.

მექექსე - ისინი მხარს უჭერდნენ პოლიტიკურ სტაბილურობას და ჰქონდათ ეფექტიანად ფუნქციონირებადი ცენტრალური ბანკები.

უპირატესობათა რიცხვს განეკუთვნება ასევე ის ფაქტიც, რომ ოფშორულ საბანკო ცენტრებში ძირითადი ან ალტერნატიული ენა არის ინგლისური, ამ ცენტრების ადგილმდებარეობა გეოგრაფიული თვალსაზრისით მოხერხებული იყო მსოფლიოს სხვა ბაზრებისათვის და, ბოლოს, ამ ცენტრებს ჰყავდა მაღალკვალიფიციური სამუშაო ძალა.

არსებობს ოფშორული საფინანსო ბაზრების სამი ძირითადი ტიპი: პირველ ტიპს აქვს სპეციალური, ფორმალურად დამყარებული შეთანხმება ისეთ ავტორიტეტულ ფინანსურ ცენტრებთან, როგორცაა ტოკიო, ნიუ-იორკი და სინგაპური. ეს ბაზრები კლიენტებს უზრუნველყოფს საერთაშორისო საბანკო მომსახურებით, რაც ოფშორული ცენტრების დამახასიათებელი თვისებებია.

ოფშორული ბაზრების მეორე ტიპი, ეს არის ე.წ. ლონდონის ტიპი. ლონდონში, ჰონკონგში და სხვა ადგილებში ფინანსური გარიგებები თავისუფალია შეზღუდვებისაგან იმისდა მიუხედავად, ხორციელდება ისინი ბაზრის რეზიდენტი თუ არარეზიდენტი მონაწილეების მიერ. ამ ადგილებში ოფშორული ბაზარი არის უბრალოდ ოფშორული გარიგებები არარეზიდენტებს შორის, რადგან აქ შიდა და საერთაშორისო გარიგებები გაერთიანებულია.

ოფშორული ბაზრების მესამე ტიპია ე.წ. „საგადასახადო თავშესაფარი“. მათ ხშირად „საგადასახადო ოაზისებსაც“ უწოდებენ. ამ კატეგორიას მიეკუთვნება ბაჰამის და კაიმანის კუნძულების საბანკო ბაზრები. ამ ბაზრებზე არარეზიდენტების მიერ განხორციელებული საფინანსო ვარიანტები საერთოდ არ იბეგრება გადასახადებით.

ოფშორული საბანკო ცენტრები მნიშვნელოვნად გაიზარდა გასული საუკუნის 60-იან და 80-იან წლებში ევროსავალუტო ბაზრის ზრდის ხარჯზე. ამ პროცესს ხელი შეუწყო ასევე რიგ ქვეყნებში ოფშორული საბანკო ერთეულების გახსნით მიღებულმა უპირატესობებმა და ზოგიერთი ქვეყნის მისწრაფებამ, მიეზიდა ოფშორული საბანკო ბიზნესი ეროვნული ეკონომიკის განვითარების მიზნით. ამავე პერიოდში ასეთი ოფშორული საბანკო ბაზრები აღმოცენდა სინგაპურში და ბაჰამის კუნძულებზე. ამას მოჰყვა ანალოგიური პროცესების განვითარება უკვე მომდევნო ათეულ წლებში მანილას, ბაჰრეინსა და ნორმანდიის კუნძულებზე. მოგვიანებით კი ოფშორული ბანკები აღმოცენდა ნიუ-იორკში, ტოკიოსა, და ტაივანზე. ეს ცენტრები მნიშვნელოვან როლს ასრულებს კაპიტალთა მოძრაობის უზრუნველსაყოფად მთელს მსოფლიოში მოგების მიღების მიზნით.

ოფშორულ საბანკო ცენტრებში გაერთიანებულია მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების მსხვილი ბანკები. ისინი უდიდეს როლს ასრულებენ კაპიტალწაღების აკუმულაციისა და მათი მიზანმიმართული განაწილების თვალსაზრისით საერთაშორისო დონეზე. საინტერესოა გავეცნოთ მათი ფუნქციონირების თავისებურებებს ცალკეულ რეგიონში. ლონდონი ითვლება მთავარ საერთაშორისო საფინანსო ცენტრად კარგად განვითარებული ფულადი, სავალუტო და გრძელვადიანი სასესხო კაპიტალთა ბაზრებით. ევროპის ევროვალუტის ოფშორული ბაზარი არის ყველაზე მსხვილი საფინანსო ცენტრი მსოფლიოში. ლონდონს აქვს ოფშორული საბანკო ცენტრის ყველა ნიშანი, მათ შორის სავალუტო ბაზრის მოქმედება, რომელიც ფინანსურ სახსრებს აწვდის მსოფლიო ფინანსურ ბაზრებს და შუამავლის როლს ასრულებს საერთაშორისო სესხების განხორციელების საქმეში. ლონდონის, როგორც ოფშორული ბაზრის სტატუსის გამყარებას ხელი შეუწყო ინგლისის ბანკის პოლიტიკამ, რომელიც მიმართული იყო ლონდონის საერთაშორისო როლის განმტკიცებისაკენ. მისმა ლიბერალურმა საერთაშორისო საბანკო პოლიტიკამ უცხოური ბანკებისა და საერთაშორისო მეანაბრების ყურადღება მიიქცია, რაზედაც მეტყველებს აქტივების მოცულობა უცხოურ ვალუტაში ინგლისის საბანკო სისტემაში. მსოფლიოს მთელი საბანკო აქტივების 54% და სტერლინგის აქტივების 46% ლონდონზე მოდიოდა. უცხოური ბანკები თავიანთი სახსრების მნიშვნელოვან ნაწილს ინახავს ლონდონში უცხოურ ვალუტით.

იაპონური და ამერიკული ბანკებისათვის ეს წილები შესაბამისად შეადგენს 82% და 76%-ს. ეს უცხოური ბანკები მნიშვნელოვან როლს ასრულებს ოფშორულ ბაზრებზე დაფინანსებისა და დაკრედიტების საქმეში. ინგლისის საბანკო სექტორის მთელი სახსრების 40% არის უცხოური სესხები, რაც ყველა სტანდარტის მიხედვით მაღალი მაჩვენებელია. აქ მნიშვნელოვან როლს ასრულებს იაპონური ბანკები. მათგან მიღებული სესხების ხვედრითი წილი შეადგენდა მთელი ბრიტანული აქტივების 40%-ს. შედარებისათვის, სესხების მოცულობა რომელიც მიღებულია აშშ-ს ბანკებიდან, შეადგენდა იაპონიის ბანკებიდან მიღებული სესხების 1/3-ს. უკანასკნელ წლებში ლონდონის ოფშორული ბაზრის მდგომარეობა ძლიერ შეირყა ტოკიოს ოფშორული ბაზრის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით. მომავალში მოსალოდნელია მისი როლის შემდგომი შემცირება ევროპის კონტინენტური ოფშორული ბაზრის განვითარების გაძლიერების გამო, რომელსაც გააჩნია მაღალ დონეზე განვითარებული კომუნიკაციები და გარიგებათა დაბალი ღირებულება, რაც კონკურენტულ ბრძოლაში ამ უკანასკნელს ანიჭებს უპირატესობას.

ლუქსემბურგი თავისი ევროპული მეზობლებისაგან განსხვავდება მოსახლეობის რიცხოვნობით, იგი მცირე სახელმწიფოა. მიუხედავად ამისა, ის მსოფლიო საფინანსო არენაზე მნიშვნელოვან როლს ასრულებს. არის რა ერთ-ერთი მთავარი ოფშორული საბანკო ცენტრი, ამავედროულად ითვლება ევროკავშირის ერთ-ერთ დამაარსებლად. არის ევროობლიგაციების საკლირინგო სისტემის და ევროპის საინვესტიციო ბანკის ხელმძღვანელი. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნის ეკონომიკის საფუძველია წარმოება, ლუქსემბურგმა დაიწყო საფინანსო სფეროს განვითარება. უჭირავს რა მოხერხებული განლაგება (გეოგრაფიული სივრცე) საფრანგეთს, გერმანიასა და ბელგიას შორის და ფლობს განვითარებულ კომუნიკაციებს, მოსახლეობა ლაპარაკობს სხვადასხვა ენაზე, ლუქსემბურგმა მიიზიდა უცხოური ბანკების დიდი ნაწილი, საინვესტიციო ფონდები და კომპანიები. ამ საქმეში დიდი როლი ითამაშა იმ გარემოებებმა, რომ შესაძლებელია ქვეყანაში განხორციელდეს ფინანსური ვარიანტები მკაცრად დაცული კონფიდენციალობის პირობებში, ასევე დაბალია საგადასახადო დაბეგრის დონე. არარეზიდენტების ვარიანტები არ იბეგრება საშემოსავლო გადასახადით, არ აიღება მოგების გადასახადი ინვესტიციებიდან და ობლიგაციებიდან, დამატებული ღირებულების გადასახადისაგან თავისუფალია ოქროსთან დაკავშირებული გარაგებები, გადასახადებით არ იბეგრება დივიდენდები, არ არის გადასახადი ქონებაზე, არ არსებობს სავალუტო კონტროლი და სხვა შეზღუდვები სახსრების მოძრაობაზე.

ევროკავშირის არც ერთი ქვეყანა, პოლანდიის გამოკლებით, არ ხასიათდება ასეთი უპირატესობებით. მრავალი პოლანდური კომპანია, რომლებიც იმართება უცხოური ფირმების ფინანსებით, ლუქსემბურგში ხსნის თავიანთ ფილიალებს. გასული საუკუნის 90-იანი წლების ბოლოს ლუქსემბურგში მოქმედებდა 150 ბანკი. ლუქსემბურგის საერთაშორისო ფინანსური ბაზრის

ხვედრითი წილი საერთაშორისო სავალუტო დაკრედიტების საერთო მოცულობაში XXI ს. დასაწყისში შეადგენდა 5%-ს. ბანკები ლუქსემბურგში მოქმედებს ძირითადად ევროსავალუტო ბაზარზე. აქ განთავსებული 150 ბანკიდან ყველაზე მსხვილია შემნახველი საღარო, რომელიც თავისი აქტივების უდიდეს ნაწილს არასაბანკო სარეზიდენტო სექტორის მონაწილეობით ახორციელებს. თუკი ევროკავშირი შემოიღებს საგადასახადო განაკვეთების სტანდარტებს, მაშინ ლუქსემბურგი ბევრ თავის უპირატესობას დაკარგავს საფინანსო ბაზრის სფეროში.

საფრანგეთი და შვეიცარია ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საერთაშორისო საბანკო ცენტრებია ევროპაში. XXI ს-ის დასაწყისში საფრანგეთის ხვედრითი წილი საერთაშორისო დაკრედიტებაში შეადგენდა 6,6%-ს, შვეიცარიისა კი 6,3 %-ს. პარიზში განლაგებულია ფრანგული და უცხოური ბანკების მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელთაც თავიანთი აქტივების მნიშვნელოვანი ნაწილი წარმოადგენილი აქვთ უცხოური ვალუტით და აქტიურად ახორციელებენ არარეზიდენტების დაკრედიტებას. საფრანგეთში არ არის ხელსაყრელი საგადასახადო გარემო უცხოური ბანკებისათვის. შვეიცარია არის წამყვანი საერთაშორისო საბანკო ცენტრი ლიბერალური სავალუტო და საგადასახადო რეგულირებით. მისი ობლიგაციების ბაზარი ყველაზე მსხვილია მსოფლიოში (მეორე და მესამე ადგილზე არიან აშშ და იაპონია). აქტივებისა და ოქროს შვეიცარული ბაზრები ასევე აქტიურები არიან. შვეიცარიის კაპიტალის ბაზარი ევროვალუტის მენაბრეებისათვის მომგებიანი აღტერნაცივია. შედარებით მნიშვნელოვანი საერთაშორისო საბანკო ოპერაცია შვეიცარიაში არის ნდობის ანგარიშები, რომლებიც დაცულია კანონით ანაბრების ანონიმურობის თვალსაზრისით ნომირირებული საბანკო ანგარიშების გამოყენების მეშვეობით. შვეიცარიის საერთაშორისო საბანკო სტატუსს ძირითადად ქმნის კომერციული ბანკების ე.წ. „დიდი სამეული“: შვეიცარიის საბანკო 130 კორპორაცია, შვეიცარიის საკრედიტო ბანკი და შვეიცარიის საბანკო კავშირი, რომელიც წამყვან როლს ასრულებს საერთაშორისო ფულადი სახსრების მოდინებისა და განთავსების ბალანსის მართვის საქმეში.

ამ პირობებში საერთაშორისო საპორტუგელ ინვესტიციების მმართველებს ადვილად შეუძლიათ სახსრების ინვესტირება კაპიტალის ბაზარზე ანდა ევროვალუტის ბაზარზე თავიანთი ლიკვიდური სახსრების დეპონირება. შვეიცარია არის წამყვანი საერთაშორისო საბანკო ცენტრი. მაგრამ მისი, როგორც საბანკო ცენტრის როლი გაცილებით ნელა იზრდებოდა, ვიდრე ლუქსემბურგის როლი. ამის მიზეზი იყო შვეიცარიაში ბანკების რეგულირებისა და ლიცენზირების შედარებით მკაცრი წესები. უკანასკნელ პერიოდში შვეიცარიის ბანკები სპეციალური სახსრების გადასროლას ახდენენ ლუქსემბურგის ფულის ბაზარზე თავიანთი ოფშორული საბანკო საქმიანობის განმტკიცების მიზნით.

ტოკიოს საფინანსო ცენტრი მნიშვნელოვან როლს ასრულებს მსოფლიო საფინანსო მეურნეობაში. იაპონიის როლი მსოფლიო საფინანსო სისტემაში გაიზარდა 1970 წლიდან, როცა იენის კურსის სტაბილურობა ამაღლდა, სწრაფად იზრდებოდა ექსპორტი და უცხოური სავალუტო შემოსავლები, ძლიერი იყო კონკურენცია იაპონიის ბანკებს შორის, რათა დაეკავებინათ წამყვანი პოზიციები მსოფლიო საფინანსო სფეროში და ადგილი ჰქონოდა იაპონიის საფინანსო ბაზრის გაფართოებას. XX საუკუნის დასასრულსა და XXI საუკუნის დასაწყისში იაპონია წამყვან როლს ასრულებს საერთაშორისო საბანკო სფეროში მისი მაღალ დონეზე განვითარებული ეკონომიკის, საგადასახადო ბალანსის აქტიური სადღოს დიდი მოცულობის, საერთაშორისო საბანკო აქტივების უზარმაზარი სიდიდითა და თავისი ბანკების მთელს მსოფლიოში გავრცელების მეშვეობით.

იაპონია ევროსავალუტო ბაზრის წევრია 1960 წლიდან. ამ პერიოდში მან აიღო მნიშვნელოვანი სესხები ევროვალუტით შიდა ეკონომიკის დასაფინანსებლად და ასევე გარეეკონომიკური საქმიანობისათვის. იაპონური იენის ინტერნაციონალიზაციამ გასული საუკუნის 80-იან წლებში გააძლიერა იაპონიის როლი საერთაშორისო საფინანსო სფეროში. 90-იანი წლების ბოლოს იაპონური იენის ხვედრითი წილი საერთაშორისო დაკრედიტებაში შეადგენდა 14%-ს და სიდიდით ჩამორჩებოდა მხოლოდ აშშ-ს დოლარს (45%) და გერმანულ მარკას. (15%). იაპონიის ოფშორული ბაზარი შეიქმნა 1986 წლის დეკემბერში. მისი მიზანი იყო იენის ინტერნაციონალიზაციის სტიმულირება, იაპონური საფინანსო ბაზრების ლიბერალიზაცია და ინტერნაციონალიზაცია ნიუ-იორკის საერთაშორისო საბანკო ზონების სისტემის მსგავსად, საშეღავათო რეჟიმებით.

გასული საუკუნის მიწურულში იაპონიის ოფშორული ბაზრის განვითარებაზე მეტყველებს შემდეგი ფაქტები: მისი წილი საერთაშორისო დაკრედიტებაში შეადგენდა 52,3%-ს, მთლიანმა აქტივებმა ამ პერიოდში შეადგინა 461,8 მილიარდი დოლარი, ამათგან საფინანსო დაკრედიტებაზე მოდიოდა 53%, ბანკთაშორისი დეპოზიტებისა და ონკოლურ სესხებზე – 44% სესხის ამლებებიდან, არარეზიდენტები შეადგენდნენ 78%-ს, რეზიდენტები კი – 22%. რაც შეეხება ვალუტას, იაპონიის ოფშორული ბაზრის მთლიან აქტივებში იენის ხვედრითი წილი იყო 46 %, სხვა ვალუტებისა კი 54%. იაპონიის ბანკები მნიშვნელოვან მოგებას ნახულობენ იაპონიის ოფშორული ბაზრის სწრაფი ზრდის შედეგად. აქ უცხოური ბანკების როლი უმნიშვნელოა, ვინაიდან კაპიტალური სახსრების ღირებულება ჰონკონგისა და სინგაპურის ოფშორულ ბაზრებზე გაცილებით დაბალია. ადგილობრივი გადასახადებისა და საგერბო მოსაკრებლების შემდგომი შემცირება იაპონიის ოფშორულ

საფინანსო ბაზარს უფრო მიმზიდველს გახდიდა როგორც იაპონური, ასევე უცხოური ბანკებისათვის.

საინტერესოა გავეცნოთ სინგაპურისა და ჰონკონგის საფინანსო ოფშორულ ბაზრებს. სინგაპური – ეს არის პატარა კუნძული 2,7 მილიონი მოსახლეობით. ბუნებრივი რესურსების უკმარისობის გამო მისი ეკონომიკა სპეციალიზდება საფინანსო და საქმიან მომსახურებაზე, გადაამუშავებელ მრეწველობასა და მშენებლობაზე. სინგაპურის ექსპორტი, რეექსპორტის ჩათვლით დაახლოებით უტოლდება ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობას, რაც ამ ქვეყნის ეკონომიკას ყველაზე უფრო გახსნილად წარმოგვიდგენს მსოფლიოში. ქვეყნის ეკონომიკისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მის მდებარეობას გეოპოლიტიკურ სივრცეში.

იგი სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის სატრანსპორტო გზების გადაკვეთაზე მდებარეობს. ქვეყნის მთავრობამ 80-იანი წლების დასაწყისში დიდი როლი შეასრულა მისი ეკონომიკური ექსპანსიის საქმეში. 1985-1986 წლებში ქვეყნის ეკონომიკა კრიზისმა მოიცვა შემთხვევითობის, ნავთობის გადამუშავებისა და მშენებლობის დაქვეითების გამო, მაგრამ 1987-1989 წლებში ეკონომიკა აღმავლობის გზას დაადგა. მთლიანი შიდა პროდუქტის რეალური ყოველწლიური ზრდა შეადგენდა 9%, ხოლო მთლიანი შიდა პროდუქტი მოსახლეობის ერთ სულზე მოდიოდა 8020 დოლარის ოდენობით. ყოველივე ამან განაპირობა სინგაპურისათვის ახალი ინდუსტრიული ქვეყნის სტატუსის მინიჭება.

სინგაპურის, როგორც საერთაშორისო ფინანსური ცენტრის სტატუსის გასამყარებლად მისმა მთავრობამ განახორციელა შემდეგი ღონისძიებები:

1. ამერიკის ბანკის ძალისხმევით სინგაპურმა შექმნა აზიური დოლარების ბაზარი (აზიური დოლარები ეს არის საბანკო დეპოზიტები დოლარებში, რომლებიც გნთავსებულია სინგაპურში და გამოიყენება აშშ-ს ფარგლებს გარეთ). ლიცენზიები გაიცა 170 ადგილობრივ და უცხოურ საბანკო დაწესებულებაზე ოფშორული ბანკების შექმნისა და ფუნქციონირების მიზნით;

2. სინგაპურის ხელმძღვანელი ფულად-საკრედიტო დაწესებულება, რომელიც 1971 წელს შეიქმნა, ახორციელებს ფინანსური ბაზრების სტიმულირებას და ფინანსური ინფრასტრუქტურის გაძლიერებას;

3. სინგაპურის საგადასახადო სისტემა უზრუნველყოფს საბანკო სახსრების დაბალ ღირებულებას;

4. სავალუტო კონტროლი მოიხსნა, რამაც ბანკებსა და სხვა დაწესებულებებს საშუალება მისცა, განეხორციელებინათ ფართო სპექტრით საქმიანობა სესხების აზიური ობლიგაციების გამოშვებისა და არბიტრაჟის ჩათვლით.

საინტერესოა გავეცნოთ ასევე კარიბის ოფშორული ბაზრების საქმიანობასაც. კარიბის ოფშორული საბანკო ცენტრები ყოველთვის მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ საერთაშორისო დაკრედიტებაში, კერძოდ ლათინური ამერიკის ქვეყნებისათვის, განსაკუთრებით 70-იანი წლების ნავთობის კრიზის დროს. კარიბის ოფშორული ბაზრები მოიცავს ბაჰამის, კაიმანის კუნძულებს, ნიდერლანდებს ანტილის კუნძულებსა და პანამას. ნიდერლანდების ანტილის კუნძულების ოფშორული ცენტრები სპეციალიზდებიან ევროობლიგაციების გარიგებებზე. გასული საუკუნის 80-იან წლებში კარიბის ოფშორული ბაზრების საქმიანობაზე დიდი გავლენა მოახდინა რეგიონში მიმდინარე ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა სიტუაციამ. სავალო კრიზისი და ნელი ეკონომიკური ზრდა მნიშვნელოვანწილად ამცირებს ოფშორული ბაზრების ზრდის ტემპებს. არსებობდა ასევე პოლიტიკური პრობლემებიც, რაც ძირითადად ნარკობიზნესთან იყო დაკავშირებული. თანამედროვე პირობებში კაიმანის კუნძულები მთელი მსოფლიოს ბანკირთა ყურადღებას იპყრობს. ეს კუნძულები ბრიტანეთის იურისდიქციის ქვეშაა და პასუხისმგებლობას იღებენ თავიანთი საკუთარი კანონების გატარებაზეც. კაიმანის კუნძულები უცხოურ ბანკირებს იზიდავს რიგი მიზეზების გამო. ესენია რეგიონის პოლიტიკური სტაბილურობა, საგადასახადო დაბეგვრის არარსებობა, საბანკო კონფიდენციალობის დაცვა, კუნძულების აშშ-სთან კარგი სატრანსპორტო კავშირები, საერთაშორისო ტელეკომუნიკაციების არსებობა და ა.შ. კარიბის ზონის ოფშორული ბანკების მოქმედებაზე ძირითადად გავლენას ახდენს ამერიკული ბანკები. 90-იანი წლების ბოლოს ბაჰამის და კაიმანის კუნძულების ბანკებში ამერიკული ბანკების ფილიალების აქტივებმა შეადგინა 168 მლრდ დოლარი. ამ მაჩვენებლის ზრდის ტემპები დაბალია იმის გამო, რომ ლათინური ამერიკის დავალიანების მაჩვენებელი დიდია, რაც ანელებს საბანკო საქმიანობის აქტივობას.

ამრიგად, ოფშორული კომპანიების პრინციპი „მაქსიმალური მოგების მიღების მიზნით შედგათიან საგადასახადო გარემოში გადანაცვლება“ მოითხოვს მნიშვნელოვანი გათვლების გაკეთებას, კერძოდ: საგადასახადო თავშესაფრის არჩევისას დიდ მნიშვნელობას ანიჭებს აღნიშნულ ტერიტორიაზე პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ სტაბილურობას. მეტი უპირატესობა ისეთ საგადასახადო რეჟიმებს ენიჭებათ, როდესაც კომპანია თავისუფლდება ყველა გადასახადისგან, ფიქსირებულის გარდა, ვინაიდან თუნდაც შემცირებული განაკვეთით შემოდებული გადასახადი მოუხერხებელია იმის გამო, რომ აუცილებელია ბუღალტრული ანგარიშის წარმოება და აუდიტორიული შემოწმების გავლა. ეს კი, თავის მხრივ, წარმოშობს დამატებით ლაბირინთებსა და ხარჯებს. აუცილებელია კარგად განვითარებული ადგილობრივი ინფრასტრუქტურისა და თანამედროვე საკომუნიკაციო საშუალებების არსებობაც. მნიშვნელოვანი ყურადღება ექცევა იმას, რომ ინფორმაცია კომპანიის ბენე-

ფიციალური მესაკუთრის შესახებ მიუწვდომელი იყოს ფართო საზოგადოებისათვის, ხოლო კლიენტთა სამართლებრივი მისამართი მიუწვდომელი იყოს სახელმწიფო-ორგანოებისათვის.

მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში თანდათანობით ყალიბდება და ძლიერდება მრავალწახნაგოვანი “ანტიოფშორული” კანონმდებლობა, ვინაიდან ამჟამად მოქმედი 70-ზე მეტი საერთაშორისო ოფშორული ფინანსური ცენტრების საქმიანობას სათანადოდ ვერ არეგულირებენ დასავლეთის მაღალგანვითარებული ქვეყნები, ამიტომ ერთადერთი, რაც განვითარებულ ქვეყნებს შეუძლიათ, არის ის, რომ ლიმიტირება გაუკეთონ საკუთარ კომპანიებს ოფშორში გასვლისას.

მიუხედავად ამისა, თანამედროვე მსოფლიოს დამოკიდებულება ოფშორული ბიზნესის მიმართ მეტად არაერთგვაროვანია. არაერთგვაროვნება თავს იჩენს როგორც ცალკეულ სახელმწიფოთა შორის, ასევე ქვეყნებს შიგნით არსებულ შიდა პოლიტიკურ გაერთიანებებს შორის. თანამედროვე მსოფლიოს კრიტიკული ანალიზი ოფშორული ზონების მიმართ, პრინციპში, გასაგებიცაა, ვინაიდან ოფშორული მექანიზმების ფართოდ გამოყენების შედეგად განვითარებული სამრეწველო ქვეყნები კარგავენ მრავალმილიონიან საგადასახადო შემოსავლებს. ყველა ეს თანხა თავს იყრის ოფშორულ ცენტრებში, შემდეგ კი ბრუნდება სამშობლოში, მაგრამ უკვე როგორც “უცხოური ინვესტიცია” საგადასახადო და სხვა შეღავათების მოთხოვნის პირობებით.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ლ. ყორღანაშვილი. ოფშორული ბიზნესი. თბილისი, 2004.
2. ცაავა გ., ხანთაძე გ. „საბანკო საქმე“. თბილისი, 2014.
3. Financial Stability Forum, „Report of the Working Group on Offshore Centers,“ April 5, 2000.
4. Кабир Л.С. Организация офшорного бизнеса. М., 2002, с. 45-46.
5. კასრაძე თ. „ფინანსური გლობალიზაცია პოზიტიური და ნეგატიური გავლენები განვითარებად ქვეყნებზე“, ჟ. ეკონომისტი, №2, 2014.
6. ლ. ყორღანაშვილი ჟ. „ბიზნესი და კანონმდებლობა“ „ოფშორული ბიზნესის როლი მსოფლიო ეკონომიკაში“, №11, 2009.

Khatuna Shalamberidze

ANALYSIS OF THE WORLD OFFSHORE BANK CENTRES

Annotation

Offshore zone is an isolated financial institute from the states national economies where preferential regime is determined due to absence of currency restrictions, free import of profits, low level of share equity, firm registration and maximum simplified procedures, complete anonymity and confidentiality of firm owners.

In many countries of the world there is gradually developing and strengthening multifarious “anti offshore legislation” as presently in more than 70 international offshore financial centres western highly developed countries cannot regulate their properly. Therefore, developed countries can only limit entering of their own companies into offshore.

In spite of this, attitude of the modern world to offshore business is mostly non-homogenous. Non-homogeneity is displayed between separate states as well as between internal political unions in the countries. Critical analysis of the modern world to offshore zones is understandable as industrial countries which are developed due to wide using of offshore mechanisms are losing million tax incomes. All sums are gathered in offshore centres and later they are returned to the home country as a “foreign investment” with the terms of demand of tax and other preferences.

ვასილ ხიზანიშვილი

ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისების რეპროდუქცია

1980-იანი წლებიდან მკვეთრად გამოხატული გლობალური ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისები¹²¹ სრულებით არ წარმოადგენს ახალ ფენომენს, არამედ მას ღრმა ისტორიული ფესვები გააჩნია და გლობალიზაციის შედეგად გამოწვეული ფინანსური რყევები გლობალური ფინანსური ბა-

¹²¹ გლობალიზაციის ეპოქის ფინანსური კრიზისები დაიწყო 1981 წლის მსოფლიო სავალდებულო კრიზისის სახით. ამ კრიზისისათვის დამახასიათებელი იყო სწრაფი გაზრდა ქვეყნიდან ქვეყნებში და სინქრონიზაცია, რაც იმას ნიშნავდა, რომ დაიწყო გლობალური ფინანსური კრიზისის ეპოქა (ე. მექვაბიშვილი, ეკონომიკის გლობალიზაცია: მიმართულებები, გამოწვევები, პერსპექტივები, თბილისი, 2009, გვ. 48). რასაკვირველია, ამ ეპოქის ეკონომიკის ფინანსური სექტორის დიდი შეცდომა იაფი ფულის პოლიტიკის გატარებასა და კრედიტების, პირველ რიგში იპოთეკური კრედიტების, ზღვარგადასულ გაიაფებაში მდგომარეობს. თუმცა, ამ ძირითადი ფაქტორის გარდა, კრიზისულ სიტუაციაზე ასევე დიდი როლი ითამაშა სახელმწიფო ხარჯების წილის მნიშვნელოვნად ზრდამ სოციალური მიმართულებით, რასაც თან დაერთო ნავთობპროდუქტებზე ფასების დრამატული ზრდა, და რამაც ფაქტობრივად მკვეთრად შეამცირა ბიუჯეტის განკარგავდი შემოსავლები, და ასევე ამერიკული ავტო-ინდუსტრიის (უწინარესად ჯენერალ მორტორსში შექმნილი პრობლემები) უმძიმესი მდგომარეობა. ყველა ეს ზემოაღნიშნული ფაქტორი წარმოადგენს რეცესიის გამოწვევ მიზეზს (James Surowiecki, „The Financial Page: Oil Check,“ The New Yorker, June, 22, 2009, P.30).

ზრებიდან მიღებული უღმობელი შედეგების არსებობით, რაც თანამედროვე გლობალიზაციის ახალ ხარისხზე აყვანის უმთავრეს დასაბუთებას წარმოადგენს, მხოლოდ ნეგატიური გამოვლინებაა იმ სტრუქტურული ცვლილებებისა, რომელსაც 1944 წლის ივლისში ბრეტონ ვუდსში/ნიუ ჰემპშირში (აშშ) ჩაეყარა საფუძველი. კონფერენციაზე, სადაც განიხილებოდა მეორე მსოფლიო ომის შემდგომი საერთაშორისო სავალუტო ურთიერთობათა ახალ წესრიგზე მოწყობის საკითხი, არ იქნა გათვალისწინებული ადრეული 1920-იანი წლების მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის გამოცდილება, რათა მსგავსი კრიზისები სამომავლოდ საერთაშორისო რეგულირებადი სისტემის შექმნით ყოფილიყო თავიდან აცილებული.

ამ ახლად შექმნილი სისტემის არსებითი საფუძველი იყო სტაბილური და რეგულირებადი გაცვლითი კურსები, რომლებიც მსოფლიოს ძირთად ვალუტაზე, ანუ დოლარზე იქნებოდა ორიენტირებული. მასში შემავალი თითოეული სახელმწიფო ვალდებული იყო, დაეცვა საკუთარი ეროვნული ვალუტის პარიტეტი დოლართან მიმართებაში, ხოლო, თავის მხრივ, დოლარის თანაფარდობა ოქროსთან მიმართებით მკაცრად იქნა დადგენილი. ვალუტებს შორის პარიტეტს ძლიერ მცირე მარჟის პირობებში უზრუნველყოფდა მონაწილე ქვეყნების ცენტრალური ბანკების ინტერვენციები. აქედან გამომდინარე, ვალუტებს შორის დადგენილი გაცვლითი კურსის ცვლილებები შესაძლებელი ხდებოდა მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფოთა ძირითადი ეკონომიკური მანევრებლების ფუნდამენტური უთანასწორობის არსებობის შემთხვევაში. აღნიშნული ცვლილებების განხორციელება საჭიროებდა საერთაშორისო თანხმობას, რისთვისაც შესაბამის საერთაშორისო ინსტიტუციას საერთაშორისო სავალუტო ფონდი (IMF) წარმოადგენდა. IMF-ს შესაძლებლობა ჰქონდა, რომ ის წევრი ქვეყნები, რომლებიც მომავალში აღმოჩნდებოდნენ სავალუტო ან საწარმოო ბალანსთან დაკავშირებული სირთულეების წინაშე, ფინანსური წინეხსვან დასაცავად უზრუნველყო ისინი მიზნობრივი კრედიტით ყველა წევრ სახელმწიფოს მიერ შექმნილი ფონდიდან. მიუხედავად არსებული კონსტრუქციის მთელი რიგი პრობლემური ნიშნებისა, 1970-იანი წლების დასაწყისამდე სისტემა აჩვენებდა შესანიშნავ სტაბილურობას, რის გარანტიასაც უმეტესი ქვეყნების შიდა ეკონომიკური ზრდის უპრეცედენტოდ სწრაფი ტემპები იძლეოდა.

ცნობილი ამერიკელი მეცნიერის, პროფ. პოზნერის აზრით, „დეპრესია კაპიტალიზმის მარცხი, ანუ, უფრო ზუსტად, კაპიტალიზმის განსაზღვრული სახეობის მარცხია“ [1]. ასევე, ცნობილი გერმანელი მეცნიერი, პროფ. კოზლოვსკი გეთავაზობს უფრო დაზუსტებულ განმარტებას: „ფინანსური კრიზისები არის არა კაპიტალიზმის, არამედ კაპიტალიზმის ამერიკული მოდელითა და მისი დიდი პროტაგონიზმით გამოწვეული“ [2]. ამგვარი შეფასების საფუძველს იძლევა 1960-იანი წლების მეორე ნახევრის ბოლოს დაწყებული აშშ-ის იმდროინდელი ჰეგემონისტური პოლიტიკის განხორციელება, რაც არსებული სისტემის ფუნქციონირების რღვევასა და საბოლოო მოშლას ისახავდა მიზნად. ასეთი მოქმედებისაკენ აშშ-ის მთავრობას უბიძგა იმდროისათვის შექმნილმა გეოპოლიტიკურმა მდგომარეობამ. კერძოდ, ინფლაციაზე მოქმედი ხარჯები, - როგორც იყო ხარჯები გამაღებელი შეიარაღებისა და ვიეტნამის ომისათვის, ასევე, სწრაფად მზარდი საგადამხდლო ბალანსის დეფიციტი ქმნიდა იმის წინაპირობას, რომ 1971 წლის აგვისტოში წინასწარ გამოცხადებულიყო აშშ-ის დოლარის ოქროს სტანდარტთან მიბმის თაობაზე და 1973 წლის ზაფხულში მომხდარიყო ფიქსირებულ გაცვლით კურსზე დაფუძნებულ სისტემაზე უარის თქმა. მოვლენების ამგვარმა განვითარებამ, რასაკვირველია, კორექტივები შეიტანა მსოფლიო ბაზარზე სტრუქტურული ცვლილებების სახით და მაშინდელ წამყვან ინდუსტრიულ ქვეყნებს შორის სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებში, რამაც ბიძგი მისცა შემდგომი ეროზიული პროცესების დაწყებას, რაც გამოიხატებოდა ვალუტათაშორის ურთიერთობებში მზარდი სავალუტო კურსების ფეთქებადობით. ამგვარმა არასტაბილურობამ 1970-იანი წლებიდან ცალკეული ქვეყნები კვლავ შეიყვანა ძლიერ დრამატულ ფინანსურ - ეკონომიკურ კრიზისში.

შეიძლება ითქვას, რომ პირველადი ეკონომიკურ-პოლიტიკური ჩანაფიქრის საპირისპირო ვითარების განვითარებას და მის აჩქარებას პირველ რიგში ხელი შეუწყო ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და გაერთიანებულმა სამეფომ, რომლებიც 1970-იან და 1980-იან წლებში გამოირჩეოდნენ ნეოკლასიკური საბაზრო თეორიის ერთგულებით, ანუ საერთაშორისო ფინანსური ბაზრების მყარი დერეგულირებითა და ლიბერალიზაციით. ტეტჩერისა და რეიგანის მთავრობების მიერ გატარებულმა რეფორმებმა (დერეგულირების საკითხები, გადასახადების შემცირება, პრივატიზაცია და ა.შ.) საფუძველი ჩაუყარა და მძლავრი იმპულსი მისცა ეკონომიკისა და ფინანსების გლობალიზაციას [3]. მაშასადამე, შექმნილი მდგომარეობა დასავლეთის ამ გავლენიან სახელმწიფოთა მთავრობების პოლიტიკურ-სტრატეგიულ მოქმედებათა შედეგია. ვაშინგტონის კონსესუსმა¹²² ფაქტობრივად შეძლო

¹²² ტერმინი დამკვიდრდა ვაშინგტონის (კოლუმბიის ოლქი) 1990 წლის კონფერენციაზე და ასახავს მსოფლიო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის პოზიციებს მოვალე ქვეყნების შესასრულებელ ვალდებულებებთან მიმართებაში. კონსესუსის თანახმად თითოეული მოვალე ქვეყანა ვალდებულია შეასრულოს შემდეგი 10 პირობა:

1. საბიუჯეტო დისციპლინის დაცვა.
2. განათლების, ჯანმრთელობისა და ინფრასტრუქტურის სახელმწიფო პრიორიტეტული ხარჯების სუბსიდირებაზე უარის თქმა.

ომის შემდგომი მსოფლიოს რეალური ეკონომიკური წყობის ტრანსფორმირება გლობალური ეკონომიკის ვირტუალურ ფორმაში, რითაც დაირღვა ფუნდამენტური ეკონომიკური კანონზომიერება ფულად-სასაქონლო ურთიერთობათა შორის. მთავრობათა ნეოკლასიკურმა აქტივობებმა გამოხატულება პოვა პირველ რიგში ფულისა და კაპიტალის ტრანსფერების მასიური გამარტივებით ეროვნული ფინანსური ბაზრების გახსნილობაში; მეორე რიგში კი – საერთაშორისო სავალუტო ინსტიტუციების საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის პოლიტიკის ცვლილებაში, რაც გამოვლინდა ეროვნულ ეკონომიკურ და სოციალურ პოლიტიკაში მათი ღრმა ჩარევით. დაბეგვრის სისტემასთან დაკავშირებული მათი საერთაშორისო საკრედიტო პოლიტიკა კი ითვალისწინებდა დებიტორი ქვეყნების ეროვნულ ეკონომიკურ და სოციალურ პოლიტიკაში ფართომასშტაბიან ჩარევებს და ახდენდა კიდევ ამგვარ ინტერვენციებს, რაც პირდაპირ ან არაპირდაპირ ზემოქმედებდა ამა თუ იმ ქვეყნის სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის გაუარესებაზე, საგადასახადო სისტემის ცვლილებაზე, საგარეო ვაჭრობის მკაცრ ლიბერალიზაციაზე, ეკონომიკის რეგრესიულ განვითარებაზე, სოციალური სტანდარტის შემცირებასა და უთანაბრო შემოსავლების მხარდ პროგრესირებაზე.⁴ ასევე, ფინანსური ბაზრების ლიბერალიზაციის შედეგად შეიქმნა მანმადე არარსებული შესაძლებლობა სავალუტო რყევების სპეკულაციური მიზნით გამოყენებისათვის, რამაც ხელი შეუწყო ეროვნულ ვალუტებს შორის არამყარი, ფეთქებადი ურთიერთობების ჩამოყალიბებას. გარდა ამისა, შესაძლებელი გახდა ფულად-საკრედიტო ოპერაციების (ტრანსაქციები, გარიგებები) საერთაშორისო ახალი სახეობების განვითარება მაგალითად ე.წ. ფიუნქსიონის, დერივატივებისა და ოპციონების ფორმით, რომლებიც ნაწილობრივ მაღალი სპეკულაციური ბუნებით გამოირჩევიან და რომლებმაც გლობალური ფინანსური სისტემა 1970-იანი წლების შუა პერიოდიდან რადიკალურად შეცვალეს. საბოლოოდ აღმოცენდა განსხვავებული სექციურ-სეგმენტური ბაზრების გლობალური „გაუმჭვირვალე კომპლექსი“, რომლის ფუნქციონირებისა და აქტივობების ერთმანეთისაგან მკვეთრად გამიჯვნა უკვე შეუძლებელი ხდება [5].

თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შედეგად დაჩქარდა გაცვლითი პროცესები, რომლებიც მთელი მსოფლიოს მასშტაბით გიგანტური სავალუტო ტრანსფერების უსწრაფეს შესრულებას უზრუნველყოფდნენ. გლობალური ფინანსური ბაზრების შემდგომ განვითარებასა და ფუნქციონირებაში მათი მნიშვნელობის სრულფასოვნად შესაფასებლად იმ ხელსაყრელი გარემოს შექმნაც იკმარებს, რითაც ინვესტორებს კაპიტალდაბანდებათა ცვლილებებისა და შესაბამისად დიდი სპეკულაციური (სავაჭრო) მოგების მიღებისათვის ექმნებოდათ სწრაფი რეაგირების მოხდენის შესაძლებლობა. ამ გარემოებაში კი, არსებით როლს ფული, როგორც გაცვლითი საქონლის სპეციფიკური აბსტრაქტული ბუნება თამაშობს, რადგან „ფულს სხვა საქონელთან მიმართებაში გააჩნია გადამწყვეტი უპირატესობა, ვინაიდან მას ძალუძს მატერიალურად ვირტუალურ გადახდის ფორმაში ტრანსფორმირდეს და ამიტომ ე.წ. „real time“ მსოფლიოს ნებისმიერ ადგილას შეუფერხებლად გადაინაცვლოს [6]. ამასთან დაკავშირებით სავსებით ლოგიკური იქნება თუკი შევნიშნავთ, რომ საინვესტიციო კრედიტი ქმნის ეკონომიკის ზრდის ახალ შესაძლებლობებს, ფინანსური კრიზისები კაპიტალის არაეფექტიანი განაწილებით კი ხელს უწყობს რეალური ეკონომიკის შემცირებას, რისი პრევენციაც კაპიტალის სწორად განაწილების ამოღებაში მდგომარეობს, და რომელიც ერთიანი ეკონომიკის ეფექტიანობისათვის არის აუცილებელი.

ვაშინგტონის კონსენსუსის დომინანტობა გლობალურ ეკონომიკაში რადიკალური დერეგულირების კრახით და ფინანსურ სექტორში მრავალბილიონიანი დოლარის ე.წ. „Big Bailout“¹²³-ით დასრულდა. დასრულდა ე. წ. „Laissez faire“¹²⁴-ის ერა. ბოლო ორმოცი წლის მანძილზე გაბა-

3. საგადასახადო რეფორმა, რაც ითვალისწინებს საგადასახადების შემცირებასა და საგადასახადო ბაზის გაფართოებას.

4. ბაზრის მიერ დადგენილ პოზიტიურ საპროცენტო განაკვეთის არსებობა კაპიტალის გადინების თავიდან ასაცილებლად და უცხოური კაპიტალის მოსაზიდად.

5. კონკურენტუნარიანი გაცვლითი კურსები, რომლებიც ხელს უწყობენ ეკონომიკის ექსპორტის სექტორის განვითარებას.

6. სავაჭრო პოლიტიკის ლიბერალიზება, რათა გაიხსნას ეროვნული ბაზრები უცხოელი მიმწოდებლებისათვის.

7. გახსნილობა და პირობების გაუმჯობესება უცხოური პირდაპირი ინვესტიციებისათვის.

8. სახელმწიფო საწარმოებისა და დაწესებულებების პრივატიზაცია

9. დერეგულირება და დებიუროკრატიზაცია, ისევე, როგორც სახელმწიფო გავლენის შემცირება.

10. კერძო საკუთრების დაცვა.

დერეგულირება ჩამონათვალში მხოლოდ მე-9 ადგილზეა, თუმცა ეს პირობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ფინანსური ბაზრების განვითარებაში.

¹²³ bailout [beilaut] (ინგლ.) აღნიშნავს ფულადი ფორმით ფინანსური მხარდაჭერის აღმოჩენას იმ კომპანიებისა თუ ქვეყნებისათვის, რომლებსაც ძალზე სერიოზული ფინანსური პრობლემები გააჩნიათ., Bailout-Wikipedia. the free encyclopedia, [https://en.m.wikipedia.org/wiki/Bailout.](https://en.m.wikipedia.org/wiki/Bailout), Oxford Advanced Learner's Dictionary, 7th Edition , Oxford University Press., 2005, P102

¹²⁴ Laissez-Faire (/lezeifer-/; French: [lezefer] არის ეკონომიკური სისტემა, რომელშიც ცალკეულ სუბიექტებს შორის არსებული ტრანსაქციები თავისუფალია მთავრობათა იმგვარი ჩარევებისგან, როგორებიცაა რეგულაციები,

ტონებული აზრი ვაშინგტონის კონსენსუსის შესახებ, თითქოს ყველაფერს თავისუფალი ბაზრები აწესრიგებს, წარსულს ჩაბარდა. მხოლოდ 2007-2009 წლებში ამერიკულ აქციათა ღირებულების საბირჟო დანაკარგებმა 8 ბილიონი (ე.ი. 8000 მილიარდი, ან როგორც ამერიკელები იტყვიან 8 ტრილიონი) აშშ-ის დოლარი, ხოლო ხარჯებმა Bailout-ისა და Stimulus-Paket-ისთვის 2 ბილიონი (ე.ი. 2000 მილიარდი, ანუ 2 ტრილიონი) აშშ-ის დოლარი შეადგინა, რომელიც ამერიკის მთავრობამ დააფინანსა.

შედარებისათვის, გერმანიაში სახელმწიფოს მიერ კონტროლირებადი ბანკებისათვის დანაკარგების მოცულობა 2009 წლის თებერვლამდე შეადგენდა 27 მილიარდ (0.027 ბილიონი, აშშ: 0.027 ტრილიონი) ევროს. ხოლო დახმარებისა და ფინანსური გარანტიის სახით გერმანიის მთავრობამ მთლიანობაში ბანკებისათვის გამოყო 580 მილიარდი (0.580 ბილიონი; აშშ: 0.580 ტრილიონი) ევრო, ისევე, როგორც კერძო კომპანიებზე, გარანტიის სახით – 100 მლრდ (0.100 ბილიონი; აშშ: 0.100 ტრილიონი) ევრო და ეკონომიკური სტიმულირებისათვის კონიუნქტურულ პროგრამებზე – 81 მლრდ (0.081 ბილიონი; აშშ 0.081 ტრილიონი) ევრო. რიცხვებში ასახული გერმანიის მთელი ეს სტატისტიკური მონაცემები საკმაოდ მოკრძალებულად გამოიყურება აშშ-ის ანალოგიურ მანვენებლებთან შედარებით. ე.ი. აშშ-ისა და ევროპას შორის არსებითი განსხვავება გლობალური და სოციალური საბაზრო ეკონომიკის ტიპებს შორის არსებობისა და იმ რეალობის აღქმასა და შეფასებებში მდგომარეობს, რაც მათ არსებითად განასხვავებს ერთმანეთისაგან. რასაკვირველია, ეკონომიკის ამერიკული მოდელი განვითარების გარკვეულ ეტაპზე უდავოდ წარმატებული იყო, თუმცა კონტინენტურმა ევროპამ და უწინარესად გერმანიამ საკუთარი უმძიმესი გამოცდილების საფუძველზე შეძლო საბაზრო ეკონომიკის რეალისტურად შეფასება, და საკუთარი საზოგადოების წილში მისი ორგანული ადაპტაცია.¹²⁵ მიუხედავად იმისა, რომ საბაზრო ეკონომიკა საუკეთესოა ყველა შესაძლო ეკონომიკურ წესრიგს შორის, ის სრულიადაც არ არის უშეცდომო, რის დადასტურებასაც არსებული ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისები წარმოადგენს. ამიტომ საბაზრო ეკონომიკა ცალკეულ პიროვნებათა თუ ჰუმანურ ინსტიტუციათა შეცდომების გაცნობიერების საფუძველზე საჭიროებს გარკვეულ ჩარხო-წესრიგს.

სტრუქტურული ცვლილებებით გამოწვეული კრიზისების გარდა, რაც ჰიპერსპეკულაციებით ფინანსური სექტორის უკონტროლო და ზღვარგადასულ მასშტაბებში ე.წ. „Financial Oversterch“-ით გამოიხატა, რამაც ფაქტობრივად უმძიმესი დარტყმა მიაყენა რეალურ ეკონომიკას. როგორც ყველა ღრმა ისტორიული კრიზისი, ფინანსური კრიზისიც არა ერთი, არამედ რამდენიმე მიზეზით არის შეპირობებული, რადგან ამ მიზეზთაგან ყველა როდია ეკონომიკასთან მიმართებაში ეთიკურად რელევანტური. კრიზისის ზოგიერთი ფენომენი ფინანსური აქტიორების ეთიკური მოტივაციებისა და ეთიკურად მზაობის ნაკლებობითა და საფინანსო ინსტიტუტების ინსტიტუციური ეთიკის სიმწირით არის გამოწვეული. მეტი თვალსაჩინოებისათვის შეიძლება მოვიყვანოთ მსოფლიოში გახმაურებული ისეთი შემთხვევები, როგორებიცაა – Enron, World-com და Vernard Madoff აშშ-ი, Siemens გერმანიაში. აღნიშნული სკანდალები უმთავრესად უნდა განვიხილოთ, როგორც კომპანიების და მათი მენეჯმენტის არაეთიკური პრაქტიკის შედეგი.

ის, რომ მიმდინარე ფინანსურ-ეკონომიკურ კრიზისს საფუძველად ეთიკური პრობლემები უდევს, აბსოლუტურად არ უგულებელყოფს და არ აკნინებს კრიზისის გამომწვევე სისტემურ ფაქტორთა მნიშვნელობას. პირიქით, საჭიროა, რომ აღნიშნული კრიზისი განვიხილოთ მისივე სისტემური ფაქტორების გათვალისწინებით კულტურული და რეალური სივრცის ფარგლებში, რადგან ეს კრიზისი საკმაოდ სცილდება ფინანსური ან ეკონომიკური კრიზისების ფარგლებს. დღეს არა მხოლოდ საბანკო სისტემა ან ეკონომიკა აღმოჩნდა კრიზისში, არამედ თავად საზოგადოება [7]. არსებული ფინანსური და ეკონომიკური კრიზისი ჩვენი საზოგადოების ფასეულობათა კრიზისიც არის [8].

ეკონომიკური სისტემა არ წარმოადგენს თვითრეგულირების მექანიზმს: ბაზრის სტაბილურობა მოითხოვს სამართლებრივ და ნორმატიულ სისტემებს (საფუძველებს), მაგრამ ეს არ არის საკმარისი. მას ასევე სჭირდება გარკვეული ზნეობრივი რეგულაციები მყარი და უსაფრთხო

პრივილეგიები, ტარიფები და სუბსიდიები. მაშასადამე, ეს არის მიმართულება (ქვეყნის ფორმა, პოლიტიკა), რომელიც ხელისუფლების კონტროლის გარეშე იძლევა კერძო საწარმოების განვითარების შესაძლებლობას. : Laissez- faire-Wikipedia the free Encyclopedia., <https://en.m.wikipedia.org.-wiki-laisse...>, Oxford Advanced Learner's Dictionary, 7th Edition, Oxford University Press, 2005, P.859

¹²⁵ გერმანიის გარკვეული ისტორიული მონაკვეთის, მათ შორის აღსანიშნავია გერმანია-საფრანგეთის 1870/71 წლების ომისა და ვერსალის ხელშეკრულების საფუძველზე მიღებული რეპარაციის გადასახადთან დაკავშირებული ნახევარსაუკუნის შემდგომი გამოძახილი, რომელიც გარკვეულწილად იყო კიდევ რეაქცია უმძიმეს ფინანსურ დარტყმაზე, რომელსაც ადგილი ჰქონდა გერმანიაში 1923 წელს პირველი სავალუტო და საფონდო ბირჟების კრახის სახით, რა დროისთვისაც მარკასა და დოლარს შორის თანაფარდობა იყო: 400 მლრდ. რაისს - მარკა = 1 აშშ-ის დოლარი. ამ დროის ფინანსურ კრიზისთან შედარებით თანამედროვე ფინანსური კრიზისი სარგძნობლად მცირე კალიბრის არის, და ასევე, მეორე მსოფლიო ომის შემდგომი არანაკლებ მძიმე ფინანსური რყევები ნაციონალ- სოციალიზმის რეგრესიის კატასტროფების, ორი მსოფლიო ომისა და ორჯერ საფონდო ბირჟის კოლაფსის შემდეგ აშშ-ის ეკონომიკური მოდელის საპირწონე გერმანული ეკონომიკური მოდელის წარმატება გაცილებით უფრო პესიმისტური ჩანდა ვიდრე აშშ-ისა და დიდი ბრიტანეთის.

ფუნქციონირებისათვის. საჭიროა ეთიკა, რომელზეც დაეფუძნება ადამიანთა რაციონალური ქმედებები სოციალურ გარემოში. ეთიკა, რომელსაც გააჩნია სამი დიმენსია: პერსონალური, ორგანიზაციული და სოციალური, და წარმოგვიდგება როგორც წონასწორობის მდგომარეობა აღნიშნულ მხარეთა შორის. კრიზისის დროს წარმოქმნილი პრობლემების გადაწყვეტა ითხოვს ეთიკურ რეაქციებს სამივე დონეზე: ადამიანები უნდა იყვნენ ეთიკურები, ორგანიზაციები უნდა მოქმედებდნენ ეთიკასთან შესაბამისობაში და საზოგადოება უნდა იქცეოდეს ეთიკურად. ამასთან, მას ასევე გააჩნია როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული ასპექტები. თეორიული ასპექტი – რა არის ეთიკა და როგორ უკავშირდება ის ეკონომიკას და პოლიტიკას; პრაქტიკული ასპექტი – როგორ მოხდეს ქცევათა განვრცობა და როგორ შეიქმნას იმგვარი პირობები, როდესაც პოლიტიკური და ინსტიტუციური შეზღუდვებით შესაძლებელი იქნება არაეთიკურ მოქმედებათა ბლოკირება [9].

გლობალურმა ფინანსურ-ეკონომიკურმა კრიზისმა კიდევ ერთხელ დაგვანახა ეთიკის გარდაუვალი საჭიროება ეკონომიკასა და ფინანსებში. ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ მხოლოდ კრიზისული პერიოდების დროს იძენს ეთიკური ფასეულობები განსაკუთრებულ მნიშვნელობას. ბიზნესისა და ფინანსური ეთიკის კონცეპტებისა თუ კონცეფციების განხილვა, თითქოს ისინი მხოლოდ დროდადრო ხდებიან აქტუალური, რასაკვირველია, მცდარია.

არსებული კრიზისი შეიძლება განვიხილოთ როგორც საწყისი წერტილი, რომელიც გვიჩვენებს, თუ რა შეიძლება მოხდეს, როცა ეთიკა მივიწყებულია ეკონომიკაში. თუკი გლობალური ეკონომიკური გარემო ვერ შეძლებს მორიგებას გლობალურად მისაღებ ეკონომიკურ ეთიკასთან, მსოფლიო ეკონომიკა გარდაუვლად გაწვირული ქაოსისა და კრაზისათვის. გამოსავალი მდგომარეობს ეკონომიკაში მართებული თამაშის წესებისა და ეკონომიკის ეთიკის ფორმირებაში, რაც წახალისებს და დაეხმარება ეკონომიკურ აქტიორებსა და საზოგადოებას თამაშის წესების შესაბამისად მოქცევაში. წინა ეკონომიკურმა და ფინანსურმა კრიზისებმა გვიჩვენა, რომ მხოლოდ მკაცრი შეთანხმებებით შეუძლებელია მომავლის კრიზისების პრევენცია. მსოფლიო ეკონომიკაში, სადაც ჯერ კიდევ არ არის დაწესებული გლობალური თამაშის წესები, ეთიკური საკითხები კიდევ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს. დღეს შეინიშნება ეთიკისადმი გაზრდილი მოთხოვნილება. საბედნიეროდ, უკვე არსებობს მზარდი კონსენსუსი, რომ ფინანსური ბაზრები და თავად ეკონომიკა საჭიროებს ეთიკას, და რომ ისინი უნდა ფოკუსირდნენ მდგრადი განვითარების საჭიროებაზე, როგორც სოციალური პროცესების შედეგებზე [10].

მაშასადამე, ბოლო ათწლეულების გლობალური ბაზრების ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისები წარმოადგენს სისტემური კრიზისების ერთიან ჯაჭვს და ფინანსური მეურნეობის სისტემის შეცდომების შედეგს. ფინანსური ინდუსტრიის დერეგულირების ახალმა ნიმუშმა შექმნა კიდევ უფრო ეგოისტური ფინანსური ბაზარი, სადაც დააკანონა შეუზღუდავი ანგარება, რომელიც ითვალისწინებდა მხოლოდ მსხვილი აქციონერებისა და ფინანსური მენეჯერების მოგებაზე ორიენტირებულ ინტერესებს და არაფერი ჰქონდა საერთო თავად ფირმის ან კლიენტის კეთილდღეობასთან დაკავშირებული კრიტერიუმების დაკმაყოფილებასთან. ეთიკური ორიენტაციის გარეშე ახალი საფინანსო სისტემის შექმნა, რომელიც არ ითვალისწინებდა საზოგადოების კეთილდღეობას, იყო ფინანსური ბაზრის რეფორმის მიზანი, თუმცადა „რეფორმატორებმა“ კარგად უწყოდნენ, რომ ეთიკური პერსპექტივა წარმოადგენს მოქმედებათა სისტემის არა მხოლოდ მორალიზებას, არამედ აქტიორთა პირად პასუხისმგებლობასაც. ეთიკურ-ეკონომიკური თვალსაზრისით უგულებელყოფილი იქნა ის ფაქტიც, რომ თითქმის ყველა ფინანსური ინდუსტრია ეჩვევა ქცევის იმ ფორმებს, რომლებიც ემსახურება არა საფინანსო ეკონომიკის მიზანს,¹²⁶ არამედ ფინანსური აქტიორების უსაზღვრო გამდიდრებას.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით შეიძლება ითქვას, რომ გლობალური ფინანსური ბაზრების პერმანენტული კრიზისები დასავლეთს აიძულებს, იფიქროს თავისუფალი, ჰუმანური, სოციალური, ეკონომიკური წესრიგის ახალ პრინციპებზე და ამ ერთობლივი და, ამავე დროს, განსხვავებული პრინციპების მიუკერძოებელი და ობიექტური შეჯერება უნდა დაეფუძნოს ანგლო-ამერიკული და კონტინენტურ-ევროპული საბაზრო ეკონომიკის ტიპების კონცეფტებს, რომლის მიზანიც იქნება ახალ ეკონომიკურ წესრიგთა, უკეთეს ეკონომიკურ კანონმდებლობათა და ეკონომიკის ეთიკის სინთეზი.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Posner, Richard A.: A Failure of capitalism. The Crisis of 80 and the Descent into Depression, Cambridge, Mass., Harvard University Press, 2009
2. Koslowski, Peter., Ethik Der Banken., Folgerungen Aus Der Finanzkrise, Wilhelm Fink Verlag, München, 2009, S. 232
3. Федякина Л. Н., Финансовая глобализация, долги, кризисы. Доклад 5.12.2003 www.humanities.edu.ru/db/msg/48607

¹²⁶ ფინანსური ეკონომიკის მიზანი თავისი საშუაშედეგო ფუნქციის შესრულებით, ანუ საკუთარი განსაზღვრული როლით საკრედიტო, კაპიტალისა და დერივატურის ბაზრებზე წარმოების შესაძლებლობების ზღვარზე მოქმედებითა და კაპიტალის ოპტიმალური განაწილების გზით მაქსიმალური სოციალური პროდუქტის მიღწევისა და საბოლოოდ ერთიანი ეკონომიკის ეფექტიანობის ამაღლებაში მდგომარეობს.

4. Müller., K., Globalisierung., Frankfurt/ New York, S.103
5. Hufschmidt, J., Politische Ökonomie Der Finanzmärkte., Hamburg, 1999, S.16
6. Trinczek, K. ,, Es gibt sie, es gibt sie nicht, es gibt sie, es ... ,, Die Globalisierung Der Wirtschaft im aktuellen sozialwissenschaftlichen Diskurs. In: Schmidt, G., Frinczek R. (HRsg): Globalisierung. Soziale Welt Sonderband 13, Baden- Baden, 1999, S.59
7. Stefan Dräger, Die Ursachen den Finanz- und Wirtschaftskrise (26.01.2010): [http://archiv.kath.de / index.php?id=386&tx ttnews%5Btt_news%5D=2479×tam29.08.2011](http://archiv.kath.de/index.php?id=386&tx_ttnews%5Btt_news%5D=2479×tam29.08.2011)
8. Jose Manuel Barroso. Political guidelines for the next Commision. Brussels, September 2009.P.1. http://ec.europa.eu/commisionbarroso/president/pdf/press-20090903_E
9. Antonio Argandöna, Three Ethical dimensions of the financial crisis, www.ies.edu/research/pdfs/DJ-0944-E.pdf.
10. Gabriel., K., 2009-Engagement als Beitrag für Nachhaltige Wirtschaftsweisen™. OEKOM Corporate Responsibility Review. Nachhaltigkeit in Unternehmensführung und Kapitalanlagen - eine Bestandsaufnahme, P.P. 9-11

Vasil Khizanishvili

RETROSPECTION OF FINANCIAL-ECONOMIC CRISIS Annotation

Uncertainty of the financial and economic agreement reached in the Breton Woods and those changes that were carried out after just two decades from these agreement, became the reason for new global relationships, which actually changed the world socio-economic configuration, whose painful echo is the local and global financial and economic crisis of various times. Existing crises remind us about the necessity of the ethics in the economy and indicates the necessity of creating a new economic order, backed up by the human and legal aspects synthesis.

აბრარული ბაზრის სრულყოფის ბზები და პერსპექტიული ტიპები

საბაზრო ურთიერთობების ფორმირების პირობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ბაზარს, რომლის არსებობის გარეშე შეუძლებელია განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნად ჩამოყალიბება. დღეს ბაზარმა, საბაზრო ურთიერთობების რეგულარული დახვეწისა და სრულყოფის ტენდენციამ უნდა დაიცვას, ერთი მხრივ, მოსახლეობის ინტერესები და მეორე მხრივ, უნდა გახდეს მძლავრი მასტიმულირებელი ფაქტორი ინდივიდთა ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლებაში. ბოლო პერიოდამდე, ბაზრის ფუნქციონირების საკითხების შესწავლას ჩვენს ეკონომიკურ ლიტერატურაში ჯეროვანი ყურადღება არ ექცეოდა. ამასთან, ბაზრის შესახებ გაბატონებული წარმოდგენა გამოიხატებოდა მის უარყოფით მხარეებზე და, საბოლოო ჯამში, ბაზარს განიხილავდნენ, როგორც არაპროგრესულ მოვლენას. მიუხედავად ამისა, ზოგიერთი მკვლევარი, ადმინისტრაციულ-მმართველური სისტემის პირობებშიც კი აღიარებდა ე.წ. სოციალისტური ბაზრის არსებობას, რომელიც სინამდვილეში, რეალური საბაზრო მექანიზმის დამახინჯებული ფორმა იყო.

საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირების პირობებში, ცხადია, ეკონომიკის რეგულირების ერთ-ერთი ქმედითი საშუალება სწორედ ბაზარია. როგორც პ. სამუელსონი წერს „ეს მექანიზმი არავის გამოუგონია, იგი უბრალოდ ჩამოყალიბდა და განვითარდა, ეს სისტემა ადამიანის ბუნების მსგავსად იცვლება, თუმცა იგი ფლობს თვითშენარჩუნების უნარს“, აქედან გამომდინარე, მეურნეობის მართვის სხვადასხვა სისტემებთან შედარებით, ბაზრის უპირატესობა ისაა, რომ იგი ცივილიზაციის ევოლუციური განვითარების შედეგია. ამავე დროს, „საბაზრო წესრიგი, ვინმეს ნებისაგან დამოუკიდებლად წარმოშობილი, ბევრად აღემატებოდა ადამიანის მიერ შეგნებულად შემუშავებულ გეგმას“ – წერს ვ.ა. ჰაიეკი. მსგავს მოსაზრებას გამოთქვამს ავსტრიული სკოლის მეორე წარმომადგენელი ე. ბატლერი, როცა ამბობს: „საბაზრო წესრიგი სპეციალურად შექმნილი საშუალებებისაგან სრულიად განსხვავებული რამაა, რომ ემსახურებს გარკვეულ მიზნებს“. კ.რ. მაკკონელისა და ს.დ. ბრიუს აზრით, ბაზრის ინსტიტუტი ის მექანიზმია, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს ცალკეული საქონლისა და მომსახურების მყიდველებს და გამყიდველებს. ა. მარშალის აზრით, ბაზარი გულისხმობს არა რომელიმე საბაზრო მოვლანს, სადაც ხდება საქონლისა და პროდუქტების შექმნა ან გაყიდვა, არამედ ადგილს, სადაც მყიდველებსა და გამყიდველებს შორის ურთიერთობა იმდენად თავისუფალია, რომ ერთსა და იმავე საქონელზე ფასების სწრაფად და ადვილად გათანაბრების ტენდენცია არსებობს. წარმოშობიდან დღემდე, ბაზარმა მნიშვნელოვანი ცვლილება განიცადა, მაგრამ თავდაპირველი მნიშვნელობის შენარჩუნება მაინც შეძლო, რითაც საკუთარი სიცოცხლისუნარიანობა დაამტკიცა. ფ. კოტლერი ბაზარს განიხილავს, როგორც საქონლის არსებულ და პოტენციურ მყიდველთა ერთობლიობას ამ შემთხვევაში, ავტორი უგულვებლყოფს ბაზრის მეორე მხარის – მიმწოდებლების არსებობას, ე.ი. იმათ არსებობას, ვინც სთავაზობს ბაზარს ამ თუ იმ სახეობის საქონელზე ან მომსახურებაზე მიწოდების მოცულობას. ბაზრის ზოგიერთი მკვლევარის განმარტებაში, წინ არის წამოწეული ვაჭრობის სფერო. მაგალითად, ე.ჯ. დოლანი და დ.ე. ლონდესი აღნიშნავენ, რომ ბაზარი – ეს არის ნებისმიერ დონეზე ურთიერთკავშირი ვაჭრობისათვის. კ. კლუნდი კი აღნიშნავს, რომ ბაზარი – ეს არის ადგილი, სადაც ყოველდღე მილიონობით მომხმარებელი და ათასობით საწარმო „ხვდება“ ერთმანეთს და თანახმდებიან ყველა იმ საქონლისა და მომსახურების ფასებზე, რომელსაც ყიდულობენ და ყიდიან.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება დავეთანხმეთ აზრს, რომლის მიხედვითაც ბაზარი წარმოადგენს შეთანხმების პაკეტს, რომლის დახმარებით საქონლისა და მომსახურების გამყიდველები და მყიდველები უკავშირდებიან ერთმანეთს მოცემული საქონლის და/ან მომსახურების ყიდვა-გაყიდვის მიზნით. უნდა იქვას, რომ ბაზარი მრავალმხრივი ცნებაა, რომელიც არა მარტო ეკონომიკური, არამედ სოციალური და პოლიტიკური შინაარსის მატარებელია. იგი თავისუფალი არჩევანის საშუალებას იძლევა და, ამავე დროს, გვევლინება საზოგადოებაში რესურსების ეფექტიან გამანაწილებლად. აქედან გამომდინარე, იგი ინდივიდს აძლევს საშუალებას, მაქსიმალურად გამოიყენოს თავისი უნარი და შესაძლებლობა საკუთარი კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბაზრის ცნებას ყველა თავის ინტერპეტაციას აძლევს. მისი წარმოშობა უკავშირდება სასაქონლო წარმოების გაჩენას და შრომის დანაწილების გადრმავეებას, რაც გამოიხატება შრომის პროდუქტების სასაქონლო წარმოებით. ამ დროს ინდივიდებს ეძლეოდათ შესაძლებლობა, ბაზრის საშუალებით დაემყარებინათ ურთიერთობა ერთმანეთთან და საქონლის სახით გაცვალათ თავიანთი შრომის შედეგი. კლასიკური განმარტებით, ბაზარი არის გაცვლის სფეროში საქონლის, პროდუქტის, სამუშაოს და მომსახურების რეალიზაციის კვალობაზე ჩამოყალიბებული ეკონომიკური ერთეული. ასეთი განმარტების მიხედვით, ბაზარი არსებობს როგორც საბაზრო (კაპიტალისტური), ასევე გეგმიურ-მმართველურ (სოციალისტურ) ეკონომიკურ პირობებშიც, თუმცა, მისი ფუნქციონირება განსხვავებული ფორმით მიმდინარეობს. მაგალითად: საბაზრო ეკონომიკის პირობებში წარმოდგენილი პროდუქციის გაცვლა მიმდინარეობს უშუალოდ მეწარმესა და მომხმარებელს შორის, მაშინ, როცა გეგმიური ეკონომიკის პირობებში გაცვლის პრო-

ცესი სახელმწიფოს მეშვეობით ხორციელდება. თუმცა, თანამედროვე პირობებში, როგორც ფორმაც არ უნდა იყოს საბაზრო ურთიერთობა, იგი მაინც ხელს უწყობს სოფლის მეურნეობის დარგების განვითარებას და მათ ადაპტაციას. თანამედროვე ეტაპზე საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლა კანონზომიერი მოვლენაა და განპირობებულია შემდეგი გარემოებებით:

1. ქვეყნის საბაზრო ეკონომიკური ურთიერთობების გადასვლის აუცილებლობა, რაც დღეისათვის შეუქცევადი პროცესია და დღის წესრიგში აყენებს ქვეყნის ეკონომიკის უმნიშვნელოვანესი სფეროს – აგრარული ეკონომიკის იმავე ურთიერთობაზე გადასვლის აუცილებლობას. ეს პროცესი დარგში სასაქონლო ფულადი ურთიერთობების ჩამოყალიბებამაც განაპირობა, სოფლის მეურნეობა თანამედროვე ეტაპზე შორს გასცდა ნატურალური ურთიერთობების სფეროს.

2. სოფლის მეურნეობის წინათ არსებული მკაცრი რეგლამენტის არაეფექტიანობით და საწარმოთა ეკონომიკური თავისუფლების უზრუნველყოფის აუცილებლობით.

3. სახელმწიფო ბიუჯეტიდან სოფლის მეურნეობისათვის საჭირო სამსახურების არასრულყოფილად უზრუნველყოფით და დარგის ძირითადად თვითუზრუნველყოფაზე გადასვლის აუცილებლობით.

4. სახელმწიფო ბიუჯეტიდან სოფლის მეურნეობისათვის საჭირო სახსრების არასრულყოფილად უზრუნველყოფა და დარგის, ძირითადად, თვითუზრუნველყოფაზე გადასვლის აუცილებლობით. უნდა გაითვალისწინოთ, რომ, საბაზრო ეკონომიკის პირობებში ბაზარი ფუნქციონირებს ისეთი ეკონომიკური კანონების საფუძველზე, როგორცაა:

1. ღირებულების კანონი. ამ კანონის თანახმად, პროდუქცია იყიდება ღირებულების მიხედვით, რომელიც ყალიბდება წარმოების დანახარჯების შესაბამისად. მაგრამ მყიდველი ყიდულობს, ანუ აფასებს მას მოთხოვნილების შესაბამისად;

2. რესურსების ეკონომიის კანონი. ამ კანონის არსი იმაში მდგომარეობს, რომ პროდუქციის ხარისხის ყოველმხრივი გაუმჯობესება უნდა ხორციელდებოდეს დანახარჯების შემცირების პირობებში. ამ კანონის დარღვევა აფერხებს ღირებულების კანონის სრულყოფილ ამოქმედებას;

3. წონასწორობის კანონი. ამ კანონის შესაბამისად, საქონლის წარმოებისა და მომსახურების მოცულობა წონასწორდება პოტენციურ მომხმარებელთა ყიდვისუნარიანობის შესაბამისად.

ბაზრის ფუნქციონირებისათვის აუცილებელია ისეთი წინაპირობები, როგორცაა კონკურენცია, საკუთრების თავისუფლება და ეკონომიკური თავისუფლება.

კონკურენცია ხორციელდება ღირებულების კანონის პირობებში, რაც იმას ნიშნავს, რომ მყიდველს, თავისუფალი არჩევანის საფუძველზე, უნდა გააჩნდეს მისთვის სასურველი საქონლის ყიდვის უფლება, აგრეთვე კონკურენციის დამახასიათებელი ნიშანია რესურსების და ზოგის კანონთან შესაბამისობა, რაც იმას ნიშნავს, რომ მეწარმეს, რომელსაც ეფექტურად აქვს აწყობილი საქმიანობა და აწარმოებს მაღალი ხარისხისა და შედარებით იაფ პროდუქციას, მას უეჭველად გააჩნია ბაზარზე დამკვიდრებისა და განვითარების პირობები. ამავე დროს, საკუთრების უფლება ბაზრის არსებობის აუცილებელი წინაპირობაა. აგრარული ბაზრის არსებობა საბაზრო ეკონომიკის ერთ-ერთი შემადგენელი ელემენტია და მისი ფუნქციონირების აუცილებლობა განპირობებულია მოსახლეობისათვის სასურსათო პროდუქციის სასიცოცხლო მნიშვნელობით, მაგრამ ასეთი ტიპის ბაზრის ფორმირებისას გასათვალისწინებელია ამ პროდუქტებისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური თავისებურებები, როგორცაა ნაკლებტრანსპორტაბელურობა, შენახვის პერიოდის შედარებით მცირე ხანგრძლივობა და ა.შ. რეალური შემოსავლის ზრდასთან ერთად, ყველა ეს ფაქტორი გავლენას ახდენს სასურსათო ბაზრის ჩამოყალიბებაზე, ხოლო ეს უკანასკნელი სოფლის მეურნეობის დარგობრივი ბაზრის ფორმირებაზე. ჩვენი ქვეყნის აგრარული ბაზრის შესწავლამ გვიჩვენა, რომ აუცილებელია მოხდეს სოფლის მეურნეობის პროდუქტის მომხმარებელამდე მიტანის ორგანიზაცია, მოსავლის სარეალიზაციო არსების განვითარება და სრულყოფა. ამ მხრივ რაიონებში საკმაოდ რთული ვითარებაა. მართალია, რაიონებში ეწეობა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების თვითდინებითი ბაზრობა: ქალაქის შესასვლელში, მაგიტსრალური გზის გასწვრივ, სადაც 24 საათის განმავლობაში ვაჭრობენ გლეხები და ბითუმად შესაძენ ფასებში ყოფიან პროდუქტს. თითქოს, ერთი შეხედვით, სასოფლო-სამეურნეო მწარმოებელმა იპოვა გამოსავალი, მაგრამ პრობლემა ამით ვერ მოგვარდება. ჯერ ერთი, ვერ სადღება მთლიანად წარმოებული პროდუქცია და, ამავე დროს, არ არის დაცული სანიტარული ნორმები. ხშირად ადგილი აქვს ჭირნახულის გაფუჭებასაც, რადგან გლეხისათვის საქონლის ცენტრალურ ბაზრამდე ტრანსპორტირება და რეალიზაცია უფრო მეტ დანახარჯთან არის დაკავშირებული, ვიდრე თვით სასაქონლო პროდუქციის წარმოება. ამის გამო-სასწორებლად აუცილებელია, ადგილობრივმა ადმინისტრაციულმა ხელისუფლებამ განახორციელოს და შესაბამისი ღონისძიებებით უზრუნველყოს, როგორც ქალაქების, ასევე საკურორტო ზონის დამსვენებელთა მომარაგება სასოფლო-სამეურნეო პროდუქციით. ცალკეულ რაიონებში პროდუქციის რეალიზაციის პრობლემის მოსაგვარებლად, საჭიროა გლობალური გააზრება და ეფექტიანი საშუალებების გამოყენება. კერძოდ, საბითუმო ბაზრების ორგანიზება რაიონებსა და ქალაქის მასშტაბით, მისი სისტემაში მოყვანა, გლეხური (ფერმერული) მეურნეობების გაძლიერება და შემდგომი აგროსამრეწველო ინტეგრაციის შექმნა-გადრმავეება, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება და რეალიზაციით დაკავებულ საწარმოთა განვითარებისა და მათი სპეციალური სატრანსპორტო საშუალებებით, მოწყობილობა-დანადგარებით უზრუნველყოფაში ხელშეწყობა. სპე-

ციალიზებული მაღაზიების ქსელის შექმნა, ქალაქებში მარკეტინგული სამსახურების განვითარება და სხვა. ქვეყნის აგრარული ბაზრის სრულყოფისათვის აუცილებელია მსოფლიო გამოცდილების გათვალისწინება, აგრარული ბაზრის მსოფლიო პრაქტიკაში დღეისათვის ფუნქციონირებს ოთხი ძირითადი ჯგუფის ბაზარი, რომლის ფორმირება ჩვენს პირობებშიც აუცილებელია, ესენია:

I ჯგუფი: სასოფლო-სამეურნეო ბაზრები, ანუ უშუალოდ სოფლის მეურნეობის პროდუქციის ბაზრები. იგი მოიცავს ყველა სახის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას, თუმცა ასეთი ბაზრისათვის დამახასიათებელია სეზონურობა, რაც განპირობებულია სოფლის მეურნეობის წარმოების სეზონური ხასიათით. აღნიშნული ბაზარი შეიძლება დაიყოს ისეთ სეგმენტებად, როგორცაა მემცენარეობა, მეცხოველეობა და გადამამუშავებელი საწარმოების სეგმენტები.

II ჯგუფი: სოფლის მეურნეობისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსების ბაზარი. აქ შეტანილი უნდა იქნეს სოფლად არსებული ტექნიკისათვის საჭირო მარაგნაწილები. აღნიშნული ბაზარი შეიძლება დაიყოს ისეთ სეგმენტებად, როგორცაა: სასოფლო-სამეურნეო მანქანების, მანქანათა სათადარიგო ნაწილების, მინერალური სასუქებისა და შხამქიმიკატების და მეცხოველეობისათვის საჭირო ტექნიკური ბაზის სეგმენტები. სოფლის მომსახურების ბაზარი.

III ჯგუფი: გამოდის სოფლად საწარმოს ნორმალურად ფუნქციონირებისათვის საჭირო ისეთი სამსახურები, როგორცაა: ინფორმაციული უზრუნველყოფა, კონსულტაციები, მეცნიერულ-ტექნიკური სიახლეები, მათ შორის, ელიტური თესლითა და ჯიშინი ცხოველით ვაჭრობა, ტექნიკური უზრუნველყოფა კოპერაციულ საწარმოებზე, ვეტერინარული მომსახურება, მიწათმოქმედებისა და კადასტრის სამუშაოები და სხვა სახის მომსახურება.

IV ჯგუფი: ვაჭრობის სფეროს, ანუ მარკეტინგული მომსახურების ბაზარი. ასეთი ბაზარი მაშინ არსებობს, როცა სოფლის მეურნეობის პროდუქციის რეალიზაციას ახორციელებენ სპეციალიზებული სავაჭრო ორგანიზაციები. ამ თვალსაზრისით არსებობს: დილერული და სადისტრიბუციო მომსახურების ორგანიზაციები. დღეს სოფლის მეურნეობის საწარმოები ხშირად უარს ამბობენ ზემოთ ჩამოთვლილ სავაჭრო მომსახურებაზე და თავად უზრუნველყოფენ წარმოებული პროდუქციის გაყიდვას, ამით საწარმოები თავს არიდებენ დამატებით ხარჯებს, მატერიალური რესურსების დანაკარგებს. გარდა ამისა, საბაზრო ურთიერთობების პირობებში განსაკუთრებული როლი მიეკუთვნება აგრარული მარკეტინგის სამსახურის შექმნას. ამ მხრივ აუცილებელია, შეიქმნას სათანადო მარკეტინგული სამსახურები, რომელთა საქმიანობის ძირითადი სფერო იქნება წარმოებისა და მიწოდებისათვის უზრუნველყოფის ხელშეწყობა. ჩვენი ქვეყნისათვის მნიშვნელოვანია სახელმწიფოს მარეგულირებელი სისტემის მორგება საბაზრო ეკონომიკის პირობებისათვის. ამ მხრივ საჭიროა შესაბამისი კანონმდებლობის მიღება, უნდა გაძლიერდეს სახელმწიფოს მარეგულირებელი როლი, გამოეყოს შესაბამისი ეკონომიკური ბერკეტები და ა. შ. მნიშვნელოვან ფაქტორად მიგვაჩნია ქვეყანაში მარკეტინგული სამსახურების განვითარება, სოფლად მცხოვრებთა დასაქმება და მათი შრომისა და სოციალური პირობების გაუმჯობესება.

აგრარული ბაზრის სრულყოფისათვის აუცილებელია შემდეგი ღონისძიებების განხორციელება:

- რეგიონული სპეციალიზაციის სრულყოფა და განვითარება;
- წარმოებაში მოწინავე ტექნოლოგიების დანერგვა და გამოყენება;
- სახელმწიფოს მიერ კრედიტების გამოყოფა;
- მომსახურების სერვისის სრულყოფა;
- სახელმწიფომ, მსოფლიო გამოცდილების საფუძველზე უნდა უზრუნველყოს ზემოთაღნიშნული აგრარული ბაზრის ჯგუფების ჩამოყალიბება, წარმოების დანახარჯებით და დაფინანსების ახალი წყაროებით უზრუნველყოფა.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, აგრარული სექტორის სრულყოფისათვის საჭიროა რეგიონული აგრარული პოლიტიკის ძირითადი პრინციპების გადასინჯვა და სახელმწიფოებრივი რეგულირებისა და აგრარული სექტორისათვის მხარდაჭერაზე კონტროლი, მიზნობრივი პროგრამების შემუშავება და დანერგვა.

აგრარული ბაზრის ფუნქციონირებისათვის აუცილებელია ისეთნაირი წინაპირობა, როგორცაა კონკურენცია, საკუთრების თავისუფლება და ეკონომიკური თავისუფლება, თავის მხრივ, აგრარული ბაზრის სრულყოფა განაპირობებს:

1) მომხმარებელთა უზრუნველყოფას სოფლის მეურნეობის პროდუქციით. ამის წარმატებით განხორციელება დაკავშირებულია სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფასთან, ეკოლოგიურად საიმედო პროდუქციის წარმოებასა და ბაზარზე გატანასთან. ჩვენი ქვეყნისათვის დღეს ეს პრობლემა უპირველესია, რადგან ბაზარზე სამამულო პროდუქცია უმნიშვნელო რაოდენობითაა, მაშინ, როდესაც იგი გაჯერებულია იმპორტული, ხშირად უხარისხო და ეკოლოგიურად საშიში პროდუქციით.

2) სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე სტაბილური ფასების შენარჩუნება, სამართლიანი ფასების არსებობა. რაც იმას ნიშნავს, რომ წარმოებისათვის მისაღები რენტაბელობის პირობებში მიღწეული უნდა იქნეს მოსახლეობისათვის ხელმისაწვდომი ფასების არსებობა.

3) სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის ამაღლება.

ეს რესურსების დაზოგვის კანონის არსებობას უკავშირდება. იგი უზრუნველყოფს მინიმალური დანახარჯების პირობებში მოგების მიღებას და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის განვითარებას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ასათიანი რ., მომსახურება და საბაზრო სისტემა, „უნივერსიტეტი“. თბ., 1993.
2. ბასარია რ., მესხია ი. გარდამავალი პერიოდის მაკროეკონომიკური პრობლემები, თბ., 1995.
3. ბაქრაძე ი., ჩხენკელი მ., საბაზრო ეკონომიკის საფუძვლები. თბ., 1994.
4. ბოლოკაძე ე., სავაჭრო საწარმოთა სამეურნეო საქმიანობის ანალიზი, „თსუ“, ნაწ. II-III. თბ., 1992.
5. ბურკაძე ვ., ქეშელაშვილი ო., საქართველოს სოფლის მეურნეობის საწარმოო სპეციალიზაციის მიზნები. თბ., 1999.
6. გიორგაძე ჰ., ლაჭყვიანი თ., გოგატაძე ზ., სასოფლო-სამეურნეო წარმოების კონცენტრაცია და სამეურნეობათშორისო კორპორაცია, თბ., 1989.
7. გოგოხია რ., ეკონომიკური ინტერესები წარმოების ურთიერთობათა სისტემაში. „მეცნიერება“, თბ., 1990.
8. გოგოხია რ., საბაზრო ეკონომიკა, თბ., 1996.

Eter Narimanishvili

WAYS OF IMPROVING THE AGRICULTURAL MARKET AND ITS PERSPECTIVE TYPES

Annotation

Thus, for the agricultural market development and improving perspective types it is very important to refine state agricultural policy and marketing support services operation, that will stimulate the development of agriculture.

ზურაბ რევიშვილი

სასოფლო-სამეურნეო მსხვერპლის სისტემისა და ინოვაციური პოლიტიკის თეორიულ-მეთოდოლოგიური ასპექტები

სოფლის მეურნეობის განვითარების საწყის ეტაპებზე, სავარაუდოა, რომ ხდებოდა ადამიანთა შორის გამოცდილებათა ურთიერთგაზიარება და გადაცემა. საირიგაციო სისტემებით ერთობლივი სარგებლობა (ძველი ჩინეთი, ეგვიპტე და სხვ.) განაპირობებდა როგორც ახალი სასოფლო-სამეურნეო კულტურებისა და ჯიშების, ისე მათ მოყვანასა და მოვლასთან დაკავშირებული ცოდნის გავრცელებას. თანამედროვე ექსტენციის დაბადება უკავშირდება XIX საუკუნის შუა პერიოდში ირლანდიაში კარტოფილის სოკოვანი დაავადების გავრცელებას და, შედეგად, გამოწვეულ შიმშილობას. ბრიტანეთის მთავრობამ განახორციელა სქემა “პრაქტიკოსი ინსტრუქტორების” მიერ სასოფლო ტერიტორიების მონახულება, ადგილებზე ვითარების შესწავლა და მცირე ფერმერთა მომზადება, თუ როგორ მოეყვანათ ალტერნატიული მოსავალი. ამ სქემამ მიიქცია გერმანიის მთავრობის ყურადღება, რომელმაც შექმნა “მოგზაური ინსტრუქტორების” საკუთარი სისტემა. XIX საუკუნის დასაწყისს ეს იდეა გავრცელდა დანიაში, ნიდერლანდებში, იტალიასა და საფრანგეთში.

ამრიგად, “ექსტენცია” (Extension), როგორც ცნება, სათავეს იღებს ირლანდიაში (ქ. დუბლინი), ოლქების შემსწავლელი ინსტრუქტორების საქმიანობის შემოდგომის დროიდან (1847). მისი მნიშვნელობა შემდგომ გაფართოვდა გერმანიაში ადგილებზე მოსიარულე სასოფლო-სამეურნეო მასწავლებლების მეშვეობით, ხოლო მოგვიანებით აშშ-ში მან მიიღო “კოოპერატიული ექსტენციის სისტემის” ფორმა და ეს ტერმინი ოფიციალურად დაინერგა, ხოლო დიდ ბრიტანეთში XX საუკუნეში მას დაერქვა “საკონსულტაციო მომსახურება” (advisory service). რიგ ქვეყნებში ამავე ცნების გამოსახატავად განსხვავებულ ტერმინებს ვხვდებით. მაგალითად, გერმანიაში მას უწოდებენ “საკონსულტაციო სამსახურს”, საფრანგეთში – “პოპულარიზაციას”, ესპანეთში – “მომზადებას”, “სწავლებას”, “წრთვას” და ა.შ. [1]; საქართველოში მას უწოდებდნენ “საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურს” [2, გვ. 7], თუმცა უკანასკნელ პერიოდში უფრო ფართო გავრცელება პოვა ტერმინმა – “ექსტენცია”.

აშშ-ში ექსტენციის წარმომადგენელია უმაღლესი განათლების სისტემაში დასაქმებული, რომელიც ავითარებს და აწვდის საგანმანათლებლო პროგრამებს, რათა დაეხმაროს სოფლის მოსახლეობას ეკონომიკის და თემის განვითარებაში, ხელმძღვანელებს, ოჯახის წევრებს, სოფლის მეურნეობასა და გარემოს დაცვას. მრავალი ექსტენციის სპეციალისტი მუშაობს “კოოპერატიული ექსტენციის სერვისის”, “მიწის საგრანტო უნივერსიტეტების” პროგრამებში. მათ ხშირად განიხილავენ, როგორც საოლქო აგენტებს, ექსტენციის სპეციალისტებს ან მასწავლებლებს.

ექსტენცია არის მუდმივად განვითარებადი პროცესი, მას გააჩნია სიახლეების და ახალი პლატფორმების დანახვის სწრაფი უნარი და მოქმედების შესაძლებლობა; არის მომსახურება ან სისტემა, რომელიც ესმარება სოფლის მოსახლეობას, საგანმანათლებლო პროცედურების მეშვე-

ობით გააუმჯობესოს სამეურნეო მეთოდები და ტექნოლოგიები, გაზარდოს წარმოების ეფექტურობა და შემოსავალი, გააუმჯობესოს მისი ცხოვრების პირობები და აამაღლოს სოციალური და სოციალურ-ეკონომიკური სტანდარტები. ექსტენცია მოიცავს ინფორმაციის კომუნიკაციით ჯანსაღი აზრის გავრცელებას, რათა მოსახლეობას მისცეს სათანადო მოსაზრებები, რომლებიც დაეხმარება მას სწორი გადაწყვეტილებების მიღებაში; ეხმარება ფერმერებს წარმოების პრობლემათა იდენტიფიცირებასა და გაანალიზებაში, მათი დაძლევისა და განვითარების შესაძლებლობების შექმნაში. იგი არის პროფესიული, კომუნიკაციური ზემოქმედების გაფართოების ორგანიზაცია, რომელიც ასტიმულირებს ცვლილებებს საზოგადოებრივი სარგებლობის ნებაყოფლობით ქვეყანაში; არის ინფორმაციის ორგანიზებული ცვლილებებისა და გააზრებული ცოდნის მიწოდების პროცესი.

სოფლის მეურნეობის ექსტენციის არსი მდგომარეობს ურთიერთქმედების ხელშეწყობასა და სინერჯის წარმოქმნაში საერთო ინფორმაციული სისტემის მეშვეობით, რომელიც მოიცავს სასოფლო-სამეურნეო კვლევას, განათლებას და ინფორმაციის გამტარებელი და გადამცემი საქმიანობების ფართო ერთობლიობას. ექსტენცია არის პროცესი, რომელიც აძლევს საშუალებას ინდივიდებს, თემებს და საქმიანობებს, ჩაერთონ უმნიშვნელოვანესი წარმოების სექტორსა და ბუნებრივი რესურსების მართვაში.

ამჟამად ექსტენციური მომსახურების განვითარება განსხვავებულია ქვეყნებში. მიუხედავად სხვადასხვა ვარიანტებისა, შესაძლებელია მათი ოთხი პერიოდის ან ფორმირების ეტაპების იდენტიფიცირება [3; 6]. ექსტენციის საწყის პერიოდად მიჩნეულია კოლონიური სოფლის მეურნეობისათვის ექსპერიმენტული სადგურების შექმნა (აზიის რიგ ქვეყნებში), როდესაც ყურადღება ექცეოდა საექსპორტო კულტურებისა და პროდუქტების (ჩაი, ბამბა, შაქარი და სხვ.) წარმოებას. დახმარება აქცენტრებული იყო პლანტაციების მმართველებზე და მსხვილ მიწის მფლობელებზე. ხოლო, რაც შეეხება მცირე, გლეხური მეურნეობების დახმარებას, რომლებიც ორიენტირებულნი იყვნენ საარსებო კულტურებზე, ეს მხოლოდ კრიზისულ პერიოდებში ხდებოდა და დიდ იშვიათობას წარმოადგენდა. დამოუკიდებლობის მიღწევის შემდგომში საექსტენციო მომსახურება, წარმოქმნილი კოლონიური სისტემის ნარჩენებიდან, სასაქონლო წარმოებაზე რომ იყო ორიენტირებული, წარმოადგენდა ქვეყნის განვითარების გეგმის ნაწილს. დამატებით, ექსტენციის სხვადასხვა სქემები მოწოდებული იყო, დაეკმაყოფილებინათ პატარა მეურნეობათა საჭიროებანი უცხოელი დონორების მხარდაჭერით. მეორე ეტაპად გამოყოფენ XX-ე საუკუნის 70-იან და 80-იან წლებში ადგილზე მონახულებისა და სწავლების სისტემას, რომელიც ინერგებოდა მსოფლიო ბანკის ხელშეწყობით, რომელშიც მოქმედი ორგანიზაციები იღებდნენ მონაწილეობას ერთიან სახელმწიფო მომსახურებაში. სისტემატური ინფორმაცია მიეწოდებოდა ფერმერთა ჯგუფებს, რამაც ხელი შეუწყო “მწვანე რევოლუციის” განვითარებას.

მესამე ეტაპად განიხილება ადგილზე მონახულებისა და სწავლების სისტემა, რომელიც ინერგებოდა მსოფლიო ბანკის მიერ განხორციელებული პროექტების ფარგლებში. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მსოფლიო ბანკის დაფინანსების დამთავრებისას, მან მრავალ ქვეყანაში განიცადა კრახი სათანადოდ დაუფინანსებელი მომდევნო პროგრამებისა თუ პროექტების ანაბარად დარჩენისა თუ არასათანადო სამთავრობო პოლიტიკების გამო. თუმცა, ზოგადად, საბაზრო ურთიერთობებზე გარდამავალ ქვეყნებში, ცენტრალიზებული გეგმარების შემცირებასთან ერთად, აღნიშნულ პროექტებში ყურადღება ექცეოდა ეკონომიკური პროცესების მდგრადობას და საკუთარ საშუალებებზე აქცენტრირებას. მეოთხე თაობის ექსტენციას ახასიათებს მრავალმხრივი, ინოვაციებზე ორიენტირებული მიდგომები და თანამედროვე ინფორმაციული საშუალებების ფართოდ გამოყენება, რომელიც გავრცელებულია მთელ რიგ განვითარებულ და რიგ განვითარებად ქვეყნებში. ამჟვე დროს, უნდა აღინიშნოს, რომ მთელ რიგ ქვეყნებში (მათ შორის საქართველოც) ექსტენციის ფორმირება ჩანასახოვან ფორმაშია ან საწყის სტადიაზეა. იმ დროს, როდესაც ზოგადად ისე მოჩანს, თითქოს შესაძლებელია ეს პროცესი სწრაფად გავრცელდეს შემდგომ უახლოეს წლებში, გრძელვადიან პერიოდში ექსტენციის განვითარების ტენდენციების სათანადო პროგნოზირება არ არის ადვილი.

ზოგიერთი სპეციალისტი თვლის, რომ 20 წლის წინა პერიოდთან შედარებით, სასოფლო-სამეურნეო ექსტენცია ამჟამად იღებს მნიშვნელოვნად ნაკლებ დახმარებას დონორი სააგენტოების მხრიდან. აკადემიურ მეცნიერებათა ზოგიერთ წარმომადგენელს, რომლებიც ამ სფეროში საქმიანობენ, აქვს სათანადო არგუმენტები, რომ სასოფლო-სამეურნეო ექსტენცია, როგორც პროფესიული საქმიანობა, საჭიროებს განახლებას [4], ხოლო ზოგიერთი უარს ამბობს იდეაზე, რომ ექსტენცია წარმოადგენს განსხვავებულ კონცეფციას და თვლის, რომ შემოტანილი უნდა იყოს ტერმინი “ცოდნის სისტემა”, რომელშიც ფერმერი დანახულია როგორც ექსპერტი და არა როგორც თანამოაზრე ან თანამონაწილე [5].

ექსტენციის განხორციელების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ სასოფლო შინამეურნეობები (პატერნალისტური) ყოველთვის არ არიან მოტივირებულნი ახალი ტექნოლოგიების დანერგვისას, იმ შემთხვევებშიც კი, როცა ეს ხორციელდება პროექტების ფარგლებში, რომლებიც სასწავლო ხასიათს ატარებს. მოტივაციის და განხორციელების თვალსაზრისით, ლიტერატურაში განიხილება ოთხი შესაძლო კომბინაცია, რომელთაგან თითოეული წარმოადგენს ექსტენციის პროგრამას ან პარადიგმას [6]. კერძოდ, ესაა: ა) როდესაც ტექნოლოგიის გადაცემა არგუმენტირებული და პატერნალისტურია. ეს პარადიგმა უპირატესად ხორციელდებოდა კოლონიური პერიოდების დროს და

კვლავ იხინა თავი 1970 და 1980-იან წლებში, როდესაც გავრცელდა “სწავლებისა და ვიზიტის” (მონახულების) სისტემა. ტექნოლოგიების გადაცემა ითვალისწინებდა საჭიროებებთან მაქსიმალურ თუ მინიმალურ მიახლოებებს, ფერმერებს მიეწოდებოდა სპეციალური რეკომენდაციები იმ საქმიანობათა შესახებ, რომლებიც მათ უნდა განეხორციელებინათ; ბ) საკონსულტაციო მომსახურება, რომელიც ეფუძნება დარწმუნებას, ინტერესთა თანხვედნასა და თანამონაწილეობას. ამ პარადიგმას შეუძლია დაგვანახოს, თანამედროვე ეტაპზე, ტექნიკურ სიახლეებზე ფერმერთა მოთხოვნების რეაგირება, ასევე, როგორ ფუნქციონირებენ სამთავრობო ორგანიზაციები ან კერძო საკონსულტაციო კომპანიები. ამასთან, ხშირ შემთხვევაში იგი იღებს პროექტის ფორმას, რომელიც ხორციელდება დონორი სააგენტოების ან არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ, რომლებიც ხელს უწყობენ ტექნოლოგიის განსაზღვრული პაკეტების დანერგვას; გ) ადამიანური რესურსების განვითარების ხელშეწყობა პატერნალისტური მეურნეობების საგანმანათლებლო მომსახურებებით. ეს პარადიგმა დომინირებდა ექსტენციის ადრეულ წლებში ევროპასა და ამერიკაში, როდესაც უნივერსიტეტები ახორციელებდნენ სოფლის მოსახლეობის სწავლებას, რომელიც მეტად დარიბი იყო სრული განათლების მისაღებად, ის დღესაც გრძელდება მთელ მსოფლიოში საუნვერსიტეტო დახმარების პროგრამების ფარგლებში. უმაღლესი და უდაბლესი დონის სწავლების მეთოდები სასარგებლოა, თუმცა მოსწავლეთა ნაწილი ფიქრობს, რომ მიიღებს საკუთარ გადაწყვეტილებას, შექმნილი ცოდნის გამოყენების შემთხვევაში; დ) საერთო, საგანმანათლებლო უფლებების გაფართოების მხარდაჭერა. ეს პარადიგმა ეხება ისეთ მეთოდებს, როგორცაა ემპირიულ გამოცდილებაზე დაფუძნებული სწავლება და ფერმერებს შორის (“ფერმერი-ფერმერს”) ინფორმაციის გადაცემისა და გამოცდილებების გაზიარების შედეგად ცვლილებების განხორციელება. ცოდნა არის სიკეთის, სარგებლის მიღება ურთიერთქმედებითი, ურთიერთგაგებებითი პროცესების შედეგად და მონაწილეებს შეუძლიათ იმოქმედონ საკუთარი გადაწყვეტილებებით. ამის საუკეთესო მაგალითია აზიაში მოქმედი პროექტები, რომლებიც ახორციელებენ “ფერმერის მინდვრის სკოლის” ან “ერთობლივი ტექნოლოგიის განვითარების” კომპონენტებს[6].

ვხვდებით გარკვეულ შეუთანხმებლობას იმის თაობაზე, რომ ნამდვილად არის თუ არა ოთხივე პარადიგმა “ექსტენციის” კონცეფციის და არსის მატარებელი. ზოგიერთი ექსპერტი იმედოვნებს, რომ ტერმინი ზღუდავს მოტივირებულ მიდგომებს, ამავე დროს სხვები თვლიან, რომ ის უნდა ასახავდეს მხოლოდ საგანმანათლებლო საქმიანობას. ასევე, განიხილება არგუმენტები, რომ ტერმინები “ექსტენცია” და “თანამონაწილეობა” შეუთავსებელი არიან[7]. ამ შეუთანხმებლობას ფილოსოფიური საფუძველი აქვს. პრაქტიკული თვალსაზრისით, თითოეული აღნიშნული პარადიგმა, განსაზღვრული კომუნიკაციის პროცესი რომ შეესაბამება, წარმოადგენს ნათლად ორგანიზებულ ექსტენციის ფორმას.

ექსტენციის ტიპების განსაზღვრისათვის ორი მეთოდოლოგიური საკითხი განიხილება: თუ როგორ ვიღებთ კომუნიკაციებს და რატომ ვიღებთ მას[6]. ახლოს მდგომი, მაგრამ განსხვავებული არეალის სასოფლო-სამეურნეო კომუნიკაციები ხორციელდება სხვადასხვა მოთამაშეთა (მხარეთა) შორის, როგორც სოფლის მეურნეობის სისტემის ფარგლებში, ისე მის გარეთ. საკომუნიკაციო არეალი მნიშვნელოვნადაა განსაზღვრული ექსტენციის მოდელით[10]. ამასთან, სასოფლო-სამეურნეო კომუნიკაციას შეუძლია სამი სახით განხორციელდეს: უშუალო სწავლებით (პირის-პირ), “სასწავლო პროდუქტების” – როგორცაა სახელმძღვანელოები, ინსტრუქციები და ვიდეოები – გადაცემით, ან საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით (სსტ), როგორცაა რადიო და მოკლე შეტყობინებები (“მესეჯები”) და ა.შ. სისტემებით. ეფექტური სისტემა უნდა ემყარებოდეს მხარეთა ორმხრივ კომუნიკაციას და ასევე შესაძლებელია მოიცავდეს სხვადასხვა სახის კომუნიკაციის კომბინაციას [12].

სასოფლო-სამეურნეო ექსტენცია, სახელმწიფო თუ კერძო, განსაზღვრულ პირობებში ან გარემოში რომ ოპერირებს, გვიჩვენებს გადაცემული (მიწოდებული) საქმიანობების სახეების (ინფორმაცია, ცოდნა, კონსულტაცია) ორგანიზაციას, ფორმასა და შინაარსს [9]. ამ პირობების უმთავრესი მახასიათებელია ცვლილება, რადგან ექსტენციის ცვლილების ეფექტის ყველა ასპექტი უნდა იყოს შემოწმებული და გააზრებული, რათა განისაზღვროს მოცემული ექსტენციის შედეგად მიღწეული გაუმჯობესება. ექსტენციის უპირველესი დანიშნულება მდგომარეობს სასოფლო-სამეურნეო ტექნოლოგიების განვითარებასა და გადაცემაში.

ექსტენცია დამოკიდებულია ფაქტორთა ორ ჯგუფზე. პირველი აჩვენებს მაკრო პირობების ისეთ ფაქტორებს, როგორცაა: აგრო-ეკოლოგიური, ინფრასტრუქტურული, პოლიტიკურ-ეკონომიკური და სოციალურ-კულტურული. მეორე ჯგუფი ასახავს ისეთ ინსტიტუციურ პირობებს, როგორცაა სასოფლო-სამეურნეო ექსტენციის კვლევის, გადაცემის, განათლების, სწავლების, წარმოების საშუალებებითა და კრედიტით უზრუნველყოფის პირობები.

ტექნოლოგიების, ინფორმაციის ფუნქციების და ურთიერთკავშირის დამოკიდებულება სისტემაში განსაზღვრავს კომპონენტებს. სამთავრობო სექტორში სასოფლო-სამეურნეო კვლევითი ორგანიზაციები (ტექნოლოგიის შემქმნელი) და ექსტენცია (ტექნოლოგიის გადამცემი) არიან უმთავრესი მონაწილენი, თუმცა, კერძო სექტორი, კომერციული კომპანიები და არასამთავრობო ორგანიზაციები არიან ასევე ჩართულნი. ქვეყნები განსხვავდებიან აღნიშნულ ორგანიზაციათა შორის არსებული განსხვავებული თანამონაწილეობითა და მნიშვნელობით. ტექნოლოგიის განვითარება მოიცავს

კვლევითი საქმიანობების დაგეგმვას, ადმინისტრირებას და განხორციელებას, რათა სასოფლო-სამეურნეო ტექნოლოგია განვითარდეს, მიესადაგოს და გაიაროს გამოცდა ფერმერებისა და სხვა მოსარგებლეებისათვის. ტექნოლოგიების მოსარგებლეებზე გადაცემისას ხდება კვლევითი შედეგების ადაპტირება და მისი ფართოდ განაწილება განსხვავებულ სამიზნე ჯგუფებზე – სხვადასხვა კატეგორიების ფერმერებზე, კერძო კომპანიებზე და ა.შ. მრავალ ქვეყანაში სახელმწიფო ექსტენციის მოიცავს გადაცემის ორ ტიპს, ძირითადი აქცენტი კეთდება ცოდნის გადაცემაზე, თუმცა მეტად მნიშვნელოვანია წარმოების საშუალებებით უზრუნველყოფა. კერძო ორგანიზაციები ასევე მოიცავენ გადაცემის ორ ტიპს, თუმცა ამ ორგანიზაციების მიერ ფერმერთა მოცვის მასშტაბები უფრო შეზღუდულია და მასში წამყვანი ადგილი წარმოების საშუალებების გადაცემას ენიჭება.

ტექნოლოგიით სარგებლობის კომპონენტი მოიცავს სასოფლო-სამეურნეო ტექნოლოგიის მოსარგებლებს, უპირატესად ფერმერებს. სხვადასხვა წყაროდან მოსარგებლის ინფორმირებულობა, განვითარებული ტექნოლოგიის ადაპტირება და ათვისება გავლენას ახდენს ფერმის დონის პროდუქტიულობასა და მომგებიანობაზე და საბოლოოდ აისახება ეროვნული დონის ეკონომიკურ ზრდაზე. ურთიერთქმედება და ურთიერთგაველენა მოსარგებლებსა და სამეცნიერო და გადამცემ ორგანიზაციებს შორის, ავითარებს მათ კოოპერირებას და ტექნოლოგიების მისადაგების პროცესს.

ტექნოლოგიის გადაცემისა და დანერგვისას აუცილებელია, რომ მხედველობაში იყოს მიღებული განსხვავებანი ფერმერთა შორის გონებრივ შესაძლებლობებში, ისევე, როგორც განსხვავებანი მათი რესურსებით უზრუნველყოფაში. კერძოდ, ყოველივე ეს აისახება მიწით სარგებლობის სტრატეგიებში. მწყმსებს, მაგალითად, ესაჭიროებათ განსხვავებული ტიპის გამოცდილება, რომელიც საჭიროებს შესატყვისი სტრატეგიების გამოყენებას, რათა მიაწოდოს მათ ბალახების ოპტიმალური წარმოებისა თუ მინდვრის ფორმირების გრძელვადიანი აგრონომიული ტექნოლოგიები. ფერმერთა განსხვავებული რესურსებით უზრუნველყოფას ასევე აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ტექნოლოგიების ადაპტირების დონეებზე. ფერმერთა უმეტესი ნაწილის ყოფა უპირატესად ორიენტირებულია იაფ ტექნოლოგიებზე. ამის გამო, ფერმერთა დიდი წილის მქონე ქვეყნებში, რომლებსაც გააჩნიათ მწირი რესურსები, ექსტენციის სამუშაო, რომელიც ფოკუსირებულია სოციალურ-კულტურულ გამოცდილებებსა და შედეგების ხანმოკლე პერიოდში მომცემ ტექნოლოგიებზე, შეიძლება იყოს უფრო მეტად ეფექტური.

სახელმწიფო პოლიტიკის გამტარებლები ისახავენ ისეთი განვითარების მიზნებს და ამოცანებს, როგორცაა სურსათის უსაფრთხოების მიღწევა ან სასოფლო სამეურნეო წარმოების მატება, რათა ხელი შეეწყოს ეკონომიკურ განვითარებას ან განახორციელონ ჯანმრთელობაზე ზრუნვა და სასოფლო განათლების განვითარება. სამთავრობო ექსტენციური ორგანიზაციის ამოცანაა, ხელი შეუწყოს ამ მიზნების მიღწევას დაქვემდებარებული ამოცანებისა და სტრატეგიების განხორციელების მეშვეობით. სოფლის მეურნეობაში განხორციელებული ინვესტირების ოდენობები და სოფლის მოსახლეობის განვითარებულობა გვიჩვენებს სამთავრობო მცდელობების ხასიათსა და მასშტაბებს. მრავალ შემთხვევაში, სამთავრობო ინსტიტუტების სათანადო დანახარჯები ქმნის მთავრობების მიერ განსახდერულ, სტრუქტურული რეგულირების გეგმას. ექსტენციის დაგეგმვა საჭიროებს ამ სახდერების მხედველობაში მიღებას, განსაკუთრებით, როდესაც განაწილება ეხება კადრებით უზრუნველყოფის საკითხს, რაც უმნიშვნელოვანესი საბიუჯეტო მახასიათებელია.

სამთავრობო აგრარული პოლიტიკა, რომლებიც მიმართულია წარმოების საშუალებების სუბსიდირებაზე, კრედიტის ხელმისაწვდომობაზე, იმპორტ-ჩანაცვლებაზე, საექსპორტო შემოსავლების ზრდაზე, სურსათით თვითუზრუნველყოფასა და ბუნებრივი რესურსების ეფექტურ მართვაზე და ა.შ., აძლევს ფერმერებს მოქმედების პირდაპირ თუ ირიბ იმპულსს და აისახება მათ საწარმოო გადაწყვეტილებებზე. მაღალი ფასები სასუქებზე, მაგალითად, განაპირობებს ფერმერების მიერ ამ წარმოების საშუალების მოხმარების შემცირებას. ექსტენციის ორგანიზაციები, რომლებიც კარგად ერკვევიან საბაზრო იმპულსებში, დარწმუნებულნი არიან, რომ მათ მიერ რეკომენდებული ტექნოლოგიები შეესაბამება ფერმერთა არსებულ საჭიროებებს. ისინი ფერმერებისგან ასევე მოითხოვენ უკუკავშირს, რათა დარწმუნდნენ მათი საქმიანობების განხორციელების ეფექტურობაში.

განვითარებად ქვეყნებში სასოფლო-სამეურნეო სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციები მრავალ პრობლემას აწვდიან [9]. მათ შორისაა: ფინანსური რესურსების სიმცირე, სათანადოდ განსწავლული მეცნიერების ნაკლებობა, ფერმერთან უკუკავშირის ნაკლებობა ან არარსებობა, რაც ართულებს კვლევის შედეგების სათანადოობაში დარწმუნებას; ცოდნის საგარეო რესურსების წვდომის სირთულე ან სიმცირე, კვლევის არასათანადო პირობები და მოწყობილობების სიმწირე, პერსონალის დაბალი მორალი, ბიუჯეტების არასაკმარისობა, პერსონალის დაბალი მოტივაცია და ანაზღაურება. ზოგი რამ აღნიშნულიდან ეხება ექსტენციის მენეჯერებსაც, რომელთა აქტივობებიც მნიშვნელოვნად განსახდერავს ექსტენციის პროცესს, ისინი შეიძლება აფერხებდნენ ან, პირიქით, ხელს უწყობდნენ ტექნოლოგიების განვითარებას, სამეცნიერო კვლევის შედეგების დანერგვასა და გავრცელებას. სამეცნიერო-კვლევითი პრობლემების გააზრება მეტად მნიშვნელოვანი ნაბიჯია ექსტენციის ქმედებების დაგეგმვასა და მათ სამეცნიერო კვლევებთან კოორდინირებაში. მრავალ ქვეყანაში, სამეცნიერო კვლევებსა და ექსტენციას შორის არასათანადო კავშირი არის უმთავრესი პრობლემა ტექნოლოგიების დანერგვასა და გავრცელებაში [11].

ექსტენციის ორგანიზებისას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია მოცემული ქვეყნისათვის ოპტიმალური მოდელის შერჩევა. მოდელის განსაზღვრისას არსებითი საკითხია დაფინანსების წყაროები, რა როლი აკისრია სახელმწიფოს თუ კერძო დაფინანსებას სამეცნიერო კვლევების, ახალი ჯიშების, კულტურებისა თუ ტექნოლოგიების დანერგვა-გავრცელების, საინფორმაციო-საკონსულტაციო მომსახურებათა საქმიანობების განხორციელებაში. ასევე მნიშვნელოვანია მისი ორგანიზაციულ-სტრუქტურული ფორმირების საკითხი. ამ თვალსაზრისით შეიძლება გამოიყოს სამსახურები: ა) რომლებიც ორგანიზებულია, როგორც სექტორული მართვის სტრუქტურული ქვედანაყოფები; კერძოდ, სოფლის მეურნეობის სამინისტროს რეგიონული, რაიონული თუ დეპარტამენტული და ადგილობრივი მართვის ერთეულები; ბ) მრავალპროფილიანი თუ აგრარული უნივერსიტეტები, სასოფლო-სამეურნეო პროფილის კოლეჯები და სკოლები; გ) ფერმერული ორგანიზაციები და ასოციაციები, რომლებიც ახორციელებენ საინფორმაციო-საკონსულტაციო მომსახურებას; დ) კერძო კომპანიები, კომერციული ფირმები და მათი ფილიალები, რომლებიც ახორციელებენ სამეცნიერო კვლევებს, ახალი ტექნოლოგიების რეალიზაციასა და საინფორმაციო-საკონსულტაციო მომსახურებებს. განვითარებულ ქვეყნებში, ზოგადად, შეიმჩნევა ექსტენციის სახელმწიფო დაფინანსების შემცირებისა და კერძო კომპანიების როლის ზრდის ტენდენცია.

მრავალ, განვითარებად თუ დაბალგანვითარებულ ქვეყანაში, სადაც ფერმერული და შინამეურნეობათა შემოსავლები დაბალია, აშკარად იგრძნობა ექსტენციის ორგანიზებაში სახელმწიფოს აქტიური ჩარევის საჭიროება. ამ ქვეყნებში ექსტენციის განვითარების პოლიტიკა შემდეგ პრიორიტეტებს უნდა მოიცავდეს: ა) ექსტენციური სისტემის ეტაპობრივ ევოლუციასა და დასახული მიზნების ოპერაციონალიზაციას; ბ) ექსტენციური საგანმანათლებლო ინიციატივების აქტივიზაციას; გ) სოფლად ინფორმაციისა და სწავლების მსურველთა სამობილიზაციო ჯგუფების ფორმირების ხელშეწყობას; დ) ფერმერთა გაერთიანებებისა და კოოპერატივების განვითარებასა და ექსტენციაში მათი მონაწილეობის გაფართოებას; ე) სოფლად ქსელური და სხვა საკომუნიკაციო შესაძლებლობის გავრცელებას; ვ) მოწინავე, ეფექტური ტექნოლოგიების შექმნას, შემოტანას, ადაპტირებასა და გავრცელებას; ზ) ფერმერთა ფართო წრისათვის ხელმისაწვდომი საკრედიტო, საგრანტო და სადაზღვევო სისტემების ფორმირებას, რომლებიც ორიენტირებულნი და მოტივირებულნი იქნებიან ახალი, ეფექტური ტექნოლოგიების დანერგვის ხელშეწყობაში და ა.შ.

ექსტენციური სისტემის განვითარების თანამედროვე ცვლილებები და რიგი ინსტიტუციური ინოვაციებისა, ავლენენ მათ შორის ნათლად აღუნიშნავი ინსტიტუციური საზღვრების წაშლის, კვლევების, ახალი ტექნოლოგიებისა და ცოდნის ფერმერებისა და ფერმერთა ჯგუფებისათვის გადაცემის, მეთოდების და ფორმების დაახლოების ტენდენციას. ექსტენცია ასრულებდა და მნიშვნელოვანი როლი უნდა ითამაშოს ახალი, ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვის ხელშეწყობას, სათანადო ცოდნის მიწოდებასა და სხვადასხვა სუბიექტების თუ ერთეულების ინოვაციური სისტემით მოცვაში.

XXI საუკუნეში მზარდი ყურადღება ექცევა სოფლის მეურნეობის ექსტენციის (EAS) და აგრარული ინოვაციური სისტემების (AIS) ურთიერთკავშირისა და ურთიერთდამოკიდებულების საკითხებს, ექსტენციისა თუ საკონსულტაციო მომსახურების როლს აგრარულ ინოვაციურ სისტემებში და ა.შ. [13]. აღნიშნული საკითხების შესწავლას და გარკვევას როგორც თეორიულ-მეთოდოლოგიური, ისე სათანადო აგრარული პოლიტიკის შემუშავებისათვის, პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. ახლებური მიდგომები აქცენტს აკეთებს “ახალ ექსტენციონისტზე”, აღიარებს ექსტენციისა და ინოვაციური სისტემების “არა მხოლოდ ინდივიდუალურ, არამედ ორგანიზაციულ და სისტემურ დონეებს”; განიხილავს სოფლის მეურნეობის ექსტენციისა და საკონსულტაციო მომსახურების ახალ საკომუნიკაციო, საინფორმაციო შესაძლებლობების განვითარების და საჭიროებების გაჩენის საკითხებს; ამახვილებს ყურადღებას თემებზე, რომლებიც დაკავშირებულია სოფლის მეურნეობის ისეთ, ახალ გამოწვევებთან, როგორიცაა: წყლის რესურსების კლება, ნიადაგის დეგრადაცია, ცვალებადი კლიმატი და არასტაბილური ბაზარი [13, გვ. 10-11].

თუ სასოფლო-სამეურნეო ექსტენციის სისტემა მოიცავს ქმედებებს, რომელთა საშუალებითაც ხდება ფერმერებისა და სოფლად დასაქმებული სუბიექტებისათვის მოთხოვნიდი ინფორმაციის მიწოდება, რათა მოხდეს მათი ტექნიკური, ტექნოლოგიური და ორგანიზაციული უნარების გაუმჯობესება, მათი მეურნეობის განვითარებისა და შემოსავლების გადიდების მიზნით, აგრარული ინოვაციური სისტემა, როგორც ცნება, გულისხმობს: ორგანიზაციების, საწარმოებისა და ინდივიდებისგან შემდგარ ქსელს, რომელიც, ინსტიტუტებისა და პოლიტიკის გამტარებლების ერთობლივი მიზანმიმართული ქმედებების მეშვეობით, ახდენს ფოკუსირებას ახალ პროდუქტებზე, ახალ და პროგრესულ მეთოდებსა და ტექნოლოგიებზე და ახალ და ეფექტურ ორგანიზაციულ ფორმებზე. ინოვაციის სისტემა გულისხმობს მხარეთა მნიშვნელოვან რაოდენობას შორის ცოდნის შექმნის, ადაპტაციისა და გამოყენების ურთიერთ განპირობებულ პროცესს. ინოვაციური სისტემის შესაძლებლობებს განსაზღვრავს: სათანადო ინოვაციური პოლიტიკა, ჩართული ინსტიტუტებისა და მონაწილე მხარეების რაოდენობა და საქმიანობის მასშტაბები [13]. ინოვაციური სისტემის განვითარების მნიშვნელოვანი გამოწვევაა: მონაწილე მხარეებს შორის ურთიერთკავშირების გაიოლება და მხარეების საბოლოო შედეგით მაქსიმალური დაინტერესება.

ექსტენციის განვითარების ახლებურ ტენდენციად არის მიჩნეული მისი განვითარების სულ უფრო პლურალისტული ხასიათი, რაც ვლინდება ექსტენციის ორგანიზაციებსა და მოცულ მომსახურებებში კერძო სექტორის ხვედრითი წილის ზრდაში. სულ უფრო აქტიურად ერთვებიან მასში კერძო კონსულტანტები და ინფორმაციის მიმწოდებლები, აგრობიზნესის წარმომადგენლები, ფინანსური მომსახურება, ვაჭრობა, არასამთავრობო ორგანიზაციები, მწარმოებელთა ჯგუფები, კოოპერატივები და ასოციაციები.

აღნიშნული ტენდენცია განაპირობებს ექსტენციაში უფრო მეტი რესურსის, ცოდნის, უნარებისა და გამოცდილების გაერთიანებას. ამავე დროს ეს ტენდენცია განაპირობებს მზარდ გამოწვევებს და მოთხოვნებს, ხარისხის, მომსახურებისა და პროდუქციის სანდოობის, ტექნოლოგიური ციკლის უწყვეტობისა და ტექნიკური შეფერხებების რისკების მინიმიზაციის და მხარეთა შორის შეთანხმებული თანამშრომლობის აუცილებლობას.

უკანასკნელ ათწლეულში რიგ განვითარებულ ქვეყნებში გააქტიურდა აგრარული ინოვაციის ზოგადი კვლევები, თუმცა ამან არ შეუწყო ხელი ექსტენციის სათანადო გაუმჯობესებას. ამასთან, არსებობს მცდელობები ექსტენციისა და ინოვაციის განვითარების და ურთიერთკავშირის ახალი გზების ძიებისა, კომუნიკაციის და ინოვაციის ახალ ხედვებისა, რაც ხშირად ემყარება ექსტენციის მიმართულებით დაგროვილ არსებულ გამოცდილებებს. რიგ კვლევებში აქცენტი კეთდება ექსტენციისა თუ საკონსულტაციო მომსახურების და აგრარულ ინოვაციური სისტემების მნიშვნელობაზე და სამომავლო განვითარების გზებზე, მათ როლზე ზოგადად სოფლისმეურნეობივი წარმოების და განსაკუთრებით მცირე ფერმერული მეურნეობების განვითარებაში [14].

აგრარული კვლევისა და განვითარების გლობალური კონფერენციის (GCARD) გზამკვლევი ხაზგასმულია ის ქმედებები, რომლებიც ხელს შეუწყობს აგრარულ განვითარებას, მოცემულ სექტორთან დაკავშირებული ცოდნის გადრეზუმირებას, მისი გაზიარების, გავრცელების, დანერგვისა და ფართოდ გამოყენების მეშვეობით. აღნიშნული ქმედებები განაპირობებს აგრარულ ინოვაციურ სისტემაში ჩართული მხარეების განვითარებასა და ეფექტური კავშირების ჩამოყალიბებას. ამ პროცესში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ექსტენციას, რომლის მეშვეობითაც კვლევის შედეგები აღწევს არა მარტო ფერმერებამდე, არამედ სოფლის მეურნეობაში ჩართულ ყველა სუბიექტამდე. აღნიშნული კონფერენციის მიზანია ექსტენციისა და საკონსულტაციო მომსახურების განმავითარებელი იდეების შეთავაზება, რათა ამა თუ იმ ქვეყნის წინაშე არსებული მდგომარეობის და დაინტერესებული პირის შესაძლებლობების გათვალისწინებით მოხდეს ყველაზე ხელსაყრელი არჩევანის და სათანადო გადაწყვეტილების მიღება [13].

ისტორიულად, ექსტენციის მომსახურება გაცილებით ადრე ჩამოყალიბდა ვიდრე აგრარულ-ინოვაციური სისტემა, თუმცა, შინაარსობრივად ექსტენცია გულისხმობდა აგრარულ სფეროში ახალი ინფორმაციისა და ტექნოლოგიების მიტანას გლეხურ თუ ფერმერულ მეურნეობამდე და ფაქტობრივად ის ნერგავდა ინოვაციებს სოფლის მეურნეობაში. ექსტენციის იდეის უმთავრეს მიზანს ახლად შექმნილი ცოდნის გლეხამდე თუ ფერმერამდე მიტანის გაიოლება წარმოადგენდა, რასაც ხელი უნდა შეეწყო მათი მეურნეობების პროდუქტიულობისა და შემოსავლების ზრდისათვის. საწყის ეტაპებზე ექსტენცია მოიცავდა მარტივი სასოფლო-სამეურნეო ტექნოლოგიების დანერგვას. დროთა განმავლობაში ექსტენცია ვითარდებოდა და რთულ სისტემებად ყალიბდებოდა. ამჟამად, როგორც უკვე აღვნიშნეთ, თანამედროვე ექსტენცია ახალი, უფრო რთული გამოწვევების წინაშე დგას.

XX საუკუნის 90-იანი წლებიდან სოფლის მეურნეობაში დაიწყო სწრაფი ცვლილებები, მრავალ ქვეყანაში სასოფლო-სამეურნეო წარმოებამ და პროდუქტიულობამ დაიწყო ზრდა. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მსოფლიოს მთელ რიგ რეგიონებსა თუ ქვეყნებში ამჟამად კვლავ დგას მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის შიმშილისა თუ უკიდურესი სიღარიბის პრობლემა. მიწის პროდუქტიულობის შენარჩუნებისა და გადიდებისათვის გაჩნდა არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწისა და სხვა ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვის საჭიროება. დიდი ზომის აგრარული და სასურსათო ბაზრების, მარკეტების შექმნამ და განვითარებამ უფრო დაუცველი გახადა ფერმერები, განსაკუთრებით იმ ქვეყნებში, სადაც მათ არ გააჩნიათ გარიგებების დადების სათანადო ცოდნა და გამოცდილება თუ საკმარისი საბაზრო გავლენა.

ექსტენციისათვის ახალი გამოწვევების არსებობა, კლიმატურ ცვლილებებთან დაკავშირებული კულტურებისა და აგროტექნოლოგიების ახალ პირობებთან მისადაგების საჭიროებები და მზარდი საკომუნიკაციო სისტემების შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოყენების აქტუალობა და ა.შ., იმის გადაუდებელ აუცილებლობას ქმნის, რომ ექსტენციის წინაშე დაისახოს უფრო მრავალფეროვანი მიზნები და არ შემოიფარგლოს მხოლოდ ახალი ტექნოლოგიების გავრცელებით. საჭიროა უფრო მეტი ყურადღება მიექცეს: საშინაო და საგარეო ბაზრების მოთხოვნების შესწავლასა და მათ გამოწვევებზე ადეკვატურ რეაგირებას; სოფლად სიღარიბის შემცირებასა და სოფლის მოსახლეობის შემოსავლების ზრდას; ეკოლოგიური პრობლემების დაძლევის და გარემოს შენარჩუნებას; სოფლად ახალი ტექნოლოგიების დანერგვას და ამისათვის საკრედიტო სისტემების შეღავათიან ხელმისაწვდომობას; მიწოდებისა და გასაღების ბაზრების გაფართოებას; სწავლებათა და ინოვაციურ შესაძლებლობათა გაფართოების ხელშეწყობას; ფერმერებსა და ექსტენციის სააგენტოთა შორის კავშირების შექმნასა და გაფართოებას; ფერმერთა მარკეტინგული ცოდნისა და საჭირო

ინფორმაციის მიღების მიზნით ინსტიტუციური და ორგანიზაციული ქმედებების ხელშეწყობას. გლობალური გამოწვევების პირობებში განსაკუთრებით აქტუალური ხდება აგრარული ინოვაციური სისტემის ფორმირება და განვითარება, ამ მიმართულებით რესურსების მაქსიმალური მობილიზაცია და მონაწილე მხარეების თვისებრივად უფრო მაღალი ურთიერთკავშირების განხორციელება. ყოველივე აღნიშნული გადაუდებელ მნიშვნელობას სძენს სათანადო აგრარული ინოვაციური პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. <http://www.fao.org/docrep/w5830e/w5830e03.htm>
2. რ. ასათიანი. საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახური აგროსამრეწველო კომპლექსში (მსოფლიო გამოცდილება და განვითარების ტენდენციები), თბ., “საქართველოს მაცნე”, 2002.
3. Jones, G.E. and Garforth, C. (1997). The history, development, and future of agricultural extension in Swanson, B. “Improving Agricultural Extension: A Reference Manual (3rd Edition)” FAO.
4. Leeuwis, C. and van den Ban, A. Communication for Rural Innovation: Rethinking Agricultural Extension (3rd Edition), Blackwell Publishing
5. Roling, N. and Wagemakers, A. Editors. (1998). Facilitating Sustainable Agriculture: Participatory learning and adaptive management in times of environmental uncertainty, Cambridge University Press.
6. NAFES (2005). Consolidating Extension in the Lao PDR, National Agricultural and Forestry Extension Service, Vientiane.
7. Freire, P. (1969). Extension y Comunicacion, translated by Louise Bigwood & Margaret Marshall and reprinted in 'Education: The Practice of Freedom' (1976), Writers and Readers Publishing Cooperative.
8. Encyclopedia of public relations, by Robert L. Heath, (2005). Retrieved October 7, 2009.
9. International Finance Corporation (2013). Working with Smallholders: A Handbook for Firms Building Sustainable Supply Chains. <https://www.farms2firms.org>
10. Idachaba, F. (1987). Agricultural research in Nigeria: Organization and policy. In V. W. countries: Progress, problems, and the determination of priorities. Washington, DC: IFPRI.
11. Kaimowitz, D., Snyder, M., & Engel, P. (1990). A conceptual framework for studying the links between agricultural research and technology transfer in developing countries. In D. Kaimowitz (Ed.), Making the link: Agricultural research and technology transfer in developing countries. London: Westview Press.
12. Global Forum for Rural Advisory Services Strategic Framework 2016-2025. <https://www.gfras.org/en/activities/the-new-extensionist.htm>
13. Sulaiman, R. and Davis K., (2012). The ‘new extensionist’: roles, strategies, and capacities to strengthen extension and advisory services. GFRAS Position Paper. Lindau: Global Forum for Rural Advisory Services, <http://www.g-fras.org/en/activities/the-new-extensionist.htm>

Zurab Revishvili

THEORETICAL AND METHODOLOGICAL ASPECTS OF AGRICULTURAL EXTENSION SYSTEM AND INNOVATION POLICY

Annotation

The article discusses historical pages of Agricultural Extension improvement; the attention is focused on its formation and main paradigms. The attention is also paid to the interdependence of Agricultural Extension System (AES) and Agrarian Innovation System (AIS). Is discussed the essence of AIS.

The article also deals with new challenges facing Extension and Innovation system and future development directions.

თინა ჩხვიძე

საქართველოს აგრარული სექტორის მდგრადი განვითარების სტრატეგიის შესაბამისობა ევროკავშირის სამეზობლო პროგრამასთან

ევროკავშირისა და საქართველოს თანამშრომლობა ევროკავშირის საგარეო ურთიერთობათა პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი ელემენტია. საქართველოსა და ევროკავშირის თანამშრომლობის ერთ-ერთ ძირითად სფეროს ეკონომიკის ინტეგრაცია და ევროკავშირის პოლიტიკასთან დაახლოება წარმოადგენს.

ევროკავშირის სამეზობლო პროგრამის მიზანია, მხარი დაუჭიროს საქართველოში სურსათის წარმოების გაზრდას და სოფლად სიღარიბის შემცირებას. კონკრეტული ამოცანა სექტორის ეროვნული სტრატეგიის განხორციელებისათვის მხარდაჭერა და მცირე ფერმერული ორგანიზაციების განმტკიცებაა.

ევროკავშირი მხარს უჭერს საქართველოს აგროსექტორის განვითარების სტრატეგიას, რაც გათვალისწინებულია ევროკავშირის სურსათის უსაფრთხეობის 2007 წლის პროგრამასა (EU-FSP) და 2012 წლის აგრარული და სოფლის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამაში (ENPARD).

სოფლის მეურნეობის სტრატეგიის ძირითადი ამოცანაა სოფლის მეურნეობის განვითარება მცირე შიდამეურნეობების გაძლიერებისა და მომგებიანი წარმოების ქსელის ფორმირების შედეგად. აგრარული სექტორის სტრატეგიის განხორციელების მიზანია სურსათის წარმოების გაზრდა და სოფლად სიღარიბის შემცირება.

სექტორული პოლიტიკის მხარდაჭერის პროგრამის კონკრეტული ამოცანები საქართველოში აგრარული სექტორის გაუმჯობესებაზეა ორიენტირებული. სექტორის სტრატეგიის განხორციელებისათვის საჭიროა მცირე ფერმერული ორგანიზაციების მხარდაჭერა და განმტკიცება.

საქართველოს საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლასთან დაკავშირებით ქვეყანაში ჩატარდა აგრარული რეფორმა, რომელმაც აამოქმედა მიწის პრივატიზებით მიწაზე კერძო საკუთრება, იჯარის, გირავნობის კანონები. რეფორმის შედეგად გაუქმდა კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები. მათ მფლობელობაში არსებული მიწები პატარა-პარატა ნაკვეთებად დაქუცმაცდა, პრივატიზაციას დაექვემდებარა და უსასყიდლოდ დაურიგდა მოსახლეობას.

პრაქტიკულად, მთლიანად მოიშალა საბჭოთა პერიოდში არსებული საირიგაციო და სადრენაჟო ქსელები, ფუნქციონირება შეწყვიტა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამამუშავებელმა საამქროებმა. მოიშალა აგრონომიული და ვეტერინარული მომსახურება, სოფელი დარჩა სასუქების, შხამქიმიკატების და მექანიზაციის გარეშე და, რაც მთავარია, მათი გამოყენების მცოდნე სპეციალისტების გარეშე. სოფელში მცხოვრებმა მოსახლეობამ დაკარგა სამუშაო ადგილები (ცხრ. 1,3).

მთავრობას ეს სექტორი მიტოვებული ჰყავდა იმ მოტივით, რომ ბაზარი დაარეგულირებდა ყველაფერს. სახელმწიფოს ჩაურევლობის პოლიტიკის შედეგად დაიწყო სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების უწყვეტი შემცირება, რაც გამოიხატა ნათესი ფართობების შემცირებით და მიწის ნაყოფიერების დაცემით (იხ. გრაფიკი 1 და ცხრ. 2).

ამ პერიოდისათვის სოფლის მეურნეობაში ირიცხებოდა მოსახლეობის 52,1%. სოფლის მეურნეობა მოსახლეობის გადარჩენის საშუალებად მიიჩნეოდა. ამ სექტორში დასაქმებულად ითვლებოდა წვრილ ფერმერთა 95%, რომლებიც ფლობდნენ 1,25 ჰა მიწის ნაკვეთს და ორ ძროხას. ასეთი ოჯახები საარსებო საშუალების მქონებლებად მიიჩნეოდა.

სოფლის მცხოვრებნი და მთლიანად სოფელი გადაარჩინა რემიტენციების ზრდამ (საქართველოს გარეთ მყოფი ემიგრანტების მიერ გამოგზავნილი თანხები).

ამ პერიოდში სოფლად ჩამოყალიბდა ფერმერთა „ახალი კლასი“. ეს არის საარსებო საშუალება მიწის მცირე ნაკვეთზე სასოფლო-სამეურნეო საქმიანობით, სადაც მიწის მეპატრონეს თვითდასაქმებულის სტატუსი მიენიჭა.

ბოლო ორი ათეული წლის განმავლობაში სოფლის მეურნეობის სექტორი განვითარებისათვის დახმარებას საჭიროებდა, რაც პოლიტიკის თუ სტრატეგიის უქონლობამ გამოიწვია. სექტორი მთავრობას უყურადღებოდ ჰყავდა მიტოვებული. ჩაურევლობის პოლიტიკას ეკონომიკის სტრატეგიული პრიორიტეტის უგულვებლყოფა და სოფლის მეურნეობის პროდუქციის შემცირება მოჰყვა.

მიუხედავად იმისა, რომ შემცირდა სექტორის წილი მშპ-ში, საგარეო სავალუტო ოპერაციებიდან მიღებულ შემოსავლებში, დასაქმების გაზრდასა და სიღარიბის შემცირებაში, სოფლის მეურნეობას კვლავაც განსაკუთრებული როლი ეკავა. შეინიშნებოდა კრედიტებზე შეზღუდული მისაწვდომობა (სექტორზე მთელი სესხების მხოლოდ 1% მოდიოდა), სოფლის მეურნეობაში სათანადო კვლევითი, საგანმანათლებლო და სასწავლო სისტემის არარსებობა. საირიგაციო სისტემების და სხვა ინფრასტრუქტურის სავალალო მდგომარეობა.

საქართველოში საირიგაციო სისტემა თავისი განვითარების კულმინაციის დროს თითქმის 500 000 ჰა-ს მოიცავდა, ხოლო 1990 წელს 386 000 ჰა-ს. დღეისთვის იგი 77-80 ათას ჰა-ს ფარავს, ანუ ქვეყნის დამუშავებული მიწის ფართობის დაახლოებით 25%-ს.

სოფლად არაფერმერული სექტორი მცირეა და ძირითადად მცირე და საშუალო ზომის სავაჭრო საწარმოებისაგან შედგება. ურბანული და სოფლის საწარმოები ერთმანეთისაგან გამოიჯნული არ არის. რეგისტრირებული მცირე და საშუალო საწარმოები სასოფლო არაფერმერული სექტორის შემცველად გამოიყურება. არაფერმერულ სექტორში, რაოდენობის თვალსაზრისით, კერძო ინდივიდუალურ პირთა მფლობელობაში მყოფი საწარმოები ჭარბობს. რეგიონებში არაფერმერულ საწარმოთა უმრავლესობა მცირე (89%) ან საშუალო (11%) საწარმოებია და მათი უმრავლესობა (77%) ვაჭრობაშია ჩართული.

დღეისათვის სასოფლო-სამეურნეო მიწის 75% კვლავ სახელმწიფო საკუთრებაა. სახნავი მიწების 55% უკვე პრივატიზებულია. 2005 წელს ჩატარებული სოფლის მეურნეობის აღწერის შესაბამისად, საქართველოში 700 000 სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთია. მათი 99% საოჯახო ფერმებად არის კლასიფიცირებული. ფერმერულ სექტორში მცირე კერძო ფერმები დომინირებს. 99%-ს ორ ჰა-ზე ნაკლები მიწა აქვს. ერთი ფერმის საშუალო ფართობია 2,3 ჰა. ნაკვეთების 82% არსებობის საშუალების კატეგორიას მიეკუთვნება, ხოლო 18% არსებობის ნაწილობრივი საშუალების ან კომერციული ნაკვეთის კატეგორიას.

ბოლო 10 წლის განმავლობაში მთავრობა მიუთითებდა, რომ სოფლის მეურნეობის რენტაბელობის შემცირების ერთ-ერთი მიზეზი დანაწევრებული მიწის ნაკვეთები იყო (რომელთა გამოყენება დამხმარე დანიშნულებით შეუძლებელია), რომელთა 80% მუშავდება მინიმალური დანახ-

არჯვობით. ამ პრობლემის მოსაგვარებლად მთავრობამ გადაწყვიტა, ყურადღების ცენტრში უფრო მსხვილი ფერმები მოაქციოს.

იჯარის სისტემა თავისი განვითარების ადრეულ ეტაპზეა და დღეისათვის სოფლის ფინანსირებისათვის მნიშვნელოვან წყაროს არ წარმოადგენს. საჭიროა სათანადო ყურადღება მიექცეს საიჯარო კამპანიების დაბეგვრასთან დაკავშირებულ კანონმდებლობის რეფორმას.

გადასახადები და მარეგულირებელი სისტემა მიწის გამოყენებისა და მცირემასშტაბიანი წარმოების არსებული მახასიათებლების შეცვლისთვის სტიმულებს არ ქმნის. ქონების გადასახადი მხოლოდ მიწის ნაკვეთზეა დაწესებული (ქონების გადასახადი: რეგიონის, მიწის ტიპის და ხარისხის მიხედვით, საძოვარი – 2-5 ლარამდე; სასოფლო-სამეურნეო მიწა – 8-57 ლარამდე), რომელთა ფართობი 5 ჰა-ს აღემატება, მიუხედავად იმისა, მიწას იყენებენ თუ არა. გარდა ამისა, მიწის ინდივიდუალური მფლობელები, რომლებიც სოფლის მეურნეობაში თვითდასაქმებულთა კატეგორიას მიეკუთვნებიან, არც საშემოსავლოს იხდიან და არც შემოსავალზე დეკლარაციის წარმოდგენა მოეთხოვებათ, თუკი შემოსავალი წელიწადში 100 000 ლარს არ აღემატება. ასევე არ იხდიან დღგ-ს, თუკი ბრუნვა 200 000 ლარზე ნაკლებია. თუ ინდივიდუალური პირის ან პირთა ჯგუფის შემოსავლები ამ ფარგლებს სცილდება, მაშინ მათ მოეთხოვებათ ფისკალური იდენტიფიცირება, ფინანსური ორგანოების წინაშე ანგარიშის წარდგენა და გადასახადის გადახდა. ისინი ასევე ექვემდებარებიან ოფიციალურ კონტროლსა და ზედამხედველობას. ასეთი მდგომარეობა ძალზე შემაფერხებელი ფაქტორია სხვადასხვა სახის მწარმოებელთა ჯგუფების ჩამოყალიბებისათვის. გადასახადის ეს ზღვარი ფიზიკურ და იურიდიულ პირთა იმ ჯგუფს ეხება, რომელიც ორგანიზაციას ქმნის და გადასახადის იმავე ზღვარს დაექვემდებარება. სოფლის მეურნეობის პროდუქციის მწარმოებლებისათვის ეს გამოიწვევს 18% დღგ-ს გადახდის ვალდებულებას, ასევე საქმის ოფიციალურად წარმოებას ფინანსური პირის სახით ძირითადად ნაღდ ფულზე და ბარტერზე დაფუძნებული ანგარიშსწორების სისტემისა და სტიმულირების ნაკლებობის გამო. ასეთი ორგანიზაციული ფორმები ნაკლებად მიმზიდველია. უკეთესია ფინანსურ ზღვარს ქვემოთ დარჩენა და ანონიმური თვითდასაქმებულის სტატუსის შენარჩუნება.

სოფლის მეურნეობისათვის სახელმწიფო მხარდაჭერა იწყება მოკლევადიანი ინვესტიციებიდან გრძელვადიანი ინვესტიციაზე გადასვლით, როგორცაა საირიგაციო და სადრენაუო სისტემები, თუმცა მექანიზაციის საშუალებებზე მნიშვნელოვანი დანახარჯების საპირისპიროდ, რაც ძირითადად კერძო სექტორის ფუნქციაა, მომსახურების უზრუნველსაყოფად რაიმე ხარჯები არ გაუღიათ. სოფლის მეურნეობის სექტორზე არ გავრცელებულა არც მაკროეკონომიკური რეფორმები და არც ბიზნესის გარემოს გაუმჯობესება. სექტორის რეფორმების შედეგად არ გაუმჯობესებულა პროდუქტიულობა, რომელიც სტაგნაციას განიცდის. სექტორმა რეაგირება ვერ მოახდინა ვერც ინტენსიურ კონკურენციაზე, რომელიც ვაჭრობის რეფორმებმა მოიტანა, რაც გამოწვეულია სასოფლო-სამეურნეო მომსახურების, ინფრასტრუქტურისა და გლეხური ტიპის მეურნეობის ხარვეზებით.

აგრარული სექტორის განვითარების სტრატეგიის მომზადებაში სოფლის მეურნეობის სამინისტროსათვის ხელშეწყობა ევროკავშირის პრიორიტეტიცაა, რომელიც გათვალისწინებულია ევროკავშირის სურსათის უსაფრთხოების 2007 წლის პროგრამაში (EU-FSP), ხოლო უფრო მოგვიანებით, 2012 წლის აგრარული და სასოფლო განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამაში (ENPARD).

ევროკავშირი კვლავ აგრძელებს სტრატეგიის განვითარების პროცესისადმი მხარდაჭერას, რასაც იგი ახორციელებს ისეთი მექანიზმებისა და სააგენტოების მეშვეობით, როგორცაა TAIEX და FAO.

სექტორული პოლიტიკის მხარდაჭერის პროგრამა ხელს შეუწყობს აგრარული სექტორის სტრატეგიის განხორციელებას. მისი მიზანია სურსათის წარმოების გაზრდა და სოფლად სიღარიბის შემცირება.

სტრატეგიის ძირითადი მიზნები – მიწის ბაზრის განვითარება საკუთრებაში არსებული მიწების პრივატიზაციის მეშვეობით და მიწის ბანკის შექმნა;

სოფლის მეურნეობის სექტორში დაქირავებულთა კვალიფიკაციის ამაღლება;


სოფლის მეურნეობის სფეროში უმაღლესი განათლების ხარისხობრივი გაუმჯობესება და სხვა.

საქართველოს მთავრობა ამ მიზნების მიღწევას ცდილობდა სამუშაო ადგილების შექმნით, უმუშევრობის შემცირებით და, ამავედროულად, პენსიონერებისა და უნარშეზღუდული პირებისათვის დამატებითი სოციალური დახმარების სისტემის შექმნით. შესაბამისად, მოდერნიზებისა და დასაქმების 2011-2015 წლების „10 პუნქტიანი გეგმა“ ორიენტირებულია 2 მიზანზე: როგორ შეიქმნას მეტი და უფრო მაღალანაზღაურებადი სამუშაო და როგორ გაუმჯობესდეს მოქალაქეთა სოციალური მდგომარეობა.

საქართველოს მთავრობის ძირითადი მიზანია პირველადი წარმოების თანამედროვე საწარმოების შექმნისათვის ხელშეწყობა (ტრადიციული და თვითკმარი ტიპის სოფლის მეურნეობის პარალელურად), რომლებიც დაფუძნებული იქნება მეწარმეობის პრინციპებზე; სამუშაო ადგილების შექმნის პოტენციალის მქონე სოფლის მეურნეობის ლოგისტიკის ცენტრების შექმნა და, შესაბამისად, ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება.

სტიმულები გათვალისწინებულია ინვესტირებისთვისაც „სოფლად 100 ახალი საწარმოს“ ინიციატივის ფარგლებში, სახელმწიფოს მფლობელობაში არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწების (მთელი სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობების 75%) შესასყიდად საბაზრო ფასის 20%-ად, სასოფლო-სამეურნეო წარმოების პროექტებისათვის 0% გადასახადი პირველადი გადაამუშავებისათვის და ინვესტიციაზე ძირითადი კაპიტალის 100%-იანი ამორტიზაციით.

სოფლის განვითარება ქვეყნის ერთ-ერთი პრიორიტეტია, ვინაიდან სოფლის მეურნეობას და სასოფლო ტერიტორიებს მნიშვნელოვანი ნაწილი უკავია ქვეყნის მოსახლეობაში, დასაქმებაში და მშპ-ში.



გრაფიკი 1
ნათესი ფართობის დინამიკა (ათასი ჰა) [2]

სასოფლო მეურნეობების საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა (2006 წლის მდგომარეობით. ათასი ერთეული) [3] ცხრილი 1

	სულ	მათ შორის ასაკის მიხედვით		
		5 წლამდე	5-10 წლამდე	10 წელზე უხნესი
ტექნიკა				
ტრაქტორი	50,0	10	17,2	32,0
მინიტრაქტორი	9,7	0,5	5,5	3,5
ერთლერძიანი მოტობლოკი	25,4	0,0	5,4	20,0
კომბაინი	0,2	0,0	0,0	0,2
სატვირთო ავტომანქანა	20,2	0,5	8,1	11,6

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო საგარეულების ფართობების დინამიკა 1950 – 2006 წწ. [4] ცხრილი 2

წელი	ათ. ჰა	სასოფლო-სამეურნეო მიწები (საკარმიდამოების ჩათვლით)	დამუშავებული	მათ შორის აქედან		სათიბ-საძოვარი
				სახნავი	მრავალწლიანი	
1950	ათ.ჰა	3447,2	1867,5	1055,3	234,0	1579,7
	%	100,0	54,2	30,6	6,8	45,8
1960	ათ.ჰა	2881,0	1419,5	925,0	235,2	1461,5
	%	100,0	49,3	32,1	8,2	50,7
1970	ათ.ჰა	2898,1	1162,6	685,3	235,0	1735,5
	%	100,0	40,1	23,6	8,1	59,9
1980	ათ.ჰა	2996,3	1156,5	668,1	288,1	1839,9
	%	100,0	38,6	22,3	9,6	61,4
1985	ათ.ჰა	2978,9	1155,6	686,8	272,3	1823,3

	%	100,0	38,8	23,0	9,1	61,2
1990	ათ.პა	2984,6	933,8	694,5	239,3	1842,4
	%	100,0	33,5	24,9	8,6	66,5
1998	ათ.პა	2991,1	1062,5	785,0	277,5	1928,6
	%	100,0	35,5	26,2	9,3	64,5
2006	ათ.პა	3022,7	1064,2	795,3	267,9	1797,2
	%	100,0	35,2	26,3	8,9	59,5

ცხრილი 3

მოსახლეობის ერთ სულზე წარმოებული პროდუქციის მოცულობა (კგ) [5]

პროდუქცია	1990	1995	2000	2003	2008	2010	2011	2012	2013	2013 წელი 1990 წლის მიმართ
მარცვლეული	122	109	91	169	107.8	90.9	49.7	84.4	107.7	1.1-ჯერ შემცირდა
ხორბალი	47	16	19	51	18	12	22	18	18	2.6-ჯერ შემცირდა
სიმინდი	49	81	64	106	75	32	60	59	81	32 კგ-ით გაიზარდა
კარტოფილი	54	74	66	96	44	51	61	56	66	12 კგ-ით გაიზარდა
ბოსტნეული	88	93	94	98	38	39	41	44	46	2-ჯერ შემცირდა
ჩაის ფოთოლი	92	7.1	9.7	5.8	1.2	0.8	0.65	0.57	0.61	151-ჯერ შემცირდა
ხილი	108	70.8	96	59.8	36	28	42	35	48	2.3-ჯერ შემცირდა
ყურძენი	126.6	78	47	46	40	27	35	32	50	2.5-ჯერ შემცირდა
ხორცი	31	24	24	20	13	13	11	9	11	2.8-ჯერ შემცირდა
რძე (ლიტრი)	121	100	138	168	146	132	129	131	135	14ლ-ით გაიზარდა
კვერცხი (კალი)	141	57	80	97	100	100	107	106	110	1.3-ჯერ შემცირდა

გამოყენებული ლიტერატურა

1. ჩხეიძე თ., ქველაძე ქ., მიწის რესურსის და მიწათსარგებლობის აქტუალური საკითხები საქართველოში, 2015.
2. წლიური ანგარიში 2014, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, 2015, www.moa.gov.ge.
3. სტატისტიკის დეპარტამენტი, სოფლის მეურნეობა 2006.
4. სტატისტიკური კრებული – თბ., 2008.
5. ჭითანავა ნ., საქართველოს სოფლის მეურნეობა, თბილისი 2015.
6. ევროპის კავშირის სამეზობლო პროგრამა. სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სექტორების შეფასება აღმოსავლეთის პარტნიორობის ქვეყნებში, საქართველო, 2012.

Tina Chkheidze

CONFOTMITY OF SUSTAINABLE DEVELOPMENT STRATEGY OF AGRARIM SECTOR WITH EU NEIGHBORING PROGRAM
Annotation

The article deals with the EUn support of agricultural strategy development process of Georgian government realized owing to such mechanisms and agencies as TAIEX and FAO.

The aim of agricultural sector strategy is the increase of food production and decrease of rural poverty.

მამუკა ხუსკივაძე

ეკოლოგიური პოლიტიკის ფორმირების ეტაპები და პირითაღი ტენდენციები საქართველოში

მბრძანებლურ-ადმინისტრაციული ეკონომიკური სისტემის დაშლისა და დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველოს წინაშე განდგა არა მხოლოდ ეკონომიკური უსაფრთხოების, არამედ ეკოლოგიური უსაფრთხოების ეროვნული ინტერესის დაკმაყოფილების აუცილებლობა. კერძოდ, დღის წესრიგში დადგა ბუნებრივ-რესურსული პოტენციალის ოპტიმალური გამოყენება, გარემოს სისუფთავის ხარისხის გაუმჯობესება და შენარჩუნება, ეროვნულ ეკონომიკაში ეკოლოგიურად უსაფრთხო წარმოების დანერგვა, მოსახლეობის ეკოლოგიური თვითშეგნების ამაღლება და სხვა.

ამ საკითხის გადაჭრისათვის საჭირო იყო ეფექტიანი ეკოლოგიური პოლიტიკის შემუშავება და მისი პრაქტიკული განხორციელება.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველო პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის პროცესის დასაწყისს სხვადასხვა სახის გარემოსდაცვითი პრობლემებით, შეხვდა რომელთა გენეზისი მოხდა გეგმიური ეკონომიკური სისტემის პირობებში. ეს განაპირობა იმ გარემოებამ, რომ აღნიშნული

ეკონომიკური სისტემისათვის მთავარი იყო ინდუსტრიული ზრდა და ეკოლოგია არ განიხილებოდა პოლიტიკური და ეკონომიკური პრიორიტეტების სისტემაში.

საქართველოში ეკოლოგიური პოლიტიკის ფორმირების პირველ ეტაპად შეიძლება გამოიყოს 1991-2003 წლები. ამ ეტაპის დასაწყისისათვის (1991-1994) დამახასიათებელია ხელისუფლების არაკომპეტენტურობა და ნიჰილიზმი გარემოს დაცვის სფეროში და მას შეიძლება ვუწოდოთ „ეკოლოგიური უხელისუფლებობის პერიოდი“.

ამ პერიოდში, ეკონომიკური აქტიურობის დაქვეითების შედეგად, მნიშვნელოვნად შემცირდა სამრეწველო საწარმოების მიერ მოხმარებული დაბინძურებული წყლებითა და სასოფლო-სამეურნეო შხამქიმიკატებით წყლის რესურსების გაჭუჭყიანება, იკლო აგრეთვე ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების მასშტაბებმა. თუმცა, საავტომობილო გზების, საკანალიზაციო და სხვა კომუნალური სისტემების, ჩამდინარე წყლების ფილტრაციის და სხვა სისტემების მოშლამ გაზარდა ეკოლოგიურ პროცესებზე არასამრეწველო სფეროს ზეგავლენა. ფაქტობრივად გაუქმდა საყოფაცხოვრებო და პირადი ნარჩენების შეგროვების სისტემა და შეუძლებელი გახდა მათი მართვის პროცესის განხორციელება. ეკონომიკური და არაეკონომიკური ფაქტორებით განპირობებული სახელმწიფო კონტროლისა და მონიტორინგის სისტემის ფუნქციონირების გაუარესების გამო ბუნებრივი რესურსებით სარგებლობამ შეუზღუდავი და სტიქიური ხასიათი მიიღო. გაფართოვდა ნიადაგის ეროზიისა და გაუდაბნობის მასშტაბები და შემცირდა სასოფლო-სამეურნეო მიწების ნაყოფიერება.

თავი იჩინა სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის ნეგატიურმა შედეგებმა გარემოს დაცვის სფეროში. როგორც ცნობილია, მკაცრი საბიუჯეტო პოლიტიკის განხორციელებისას პირველი მსხვერპლი ხდება დანახარჯები გარემოსდაცვითი ღონისძიებების დაფინანსებაზე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს 1993-94 წლებში საერთოდ არ ჰქონდა წინასწარ დამტკიცებული ბიუჯეტიც კი. ამდენად, გარემოს დაცვამ მიიღო სტიქიური ხასიათი. ამ პერიოდში საერთოდ მოიშალა სტატისტიკური აღრიცხვიანობის სისტემა გარემოს დაცვის სფეროში.

საბაზრო ეკონომიკურ ურთიერთობებზე გადასვლის დასაწყისში ეკოლოგიურ დესტაბილიზაციას, საბაზრო მექანიზმების არარსებობისა და გარემოსდაცვითი პოლიტიკის არაეფექტიანობასთან ერთად, ხელი შეუწყო ახალმა ინსტიტუციურმა პარადიგმამ. კერძოდ, ბუნებრივ რესურსებზე საკუთრების უფლების განუსაზღვრელობამ, მათზე ხელისუფლების სხვადასხვა ღონისძიებებს შორის საკუთრების უფლების არასწორმა განაწილებამ ხელი შეუწყო არასწორ ფასწარმოქმნას შემცირების მიმართულებით. ამან გაზარდა მოთხოვნა ბუნებრივ-რესურსულ პოტენციალზე და საფუძველი ჩაუყარა არარაციონალურ ბუნებათსარგებლობას, დააჩქარა მისი დეგრადაცია და ზეექსპლუატაცია.

მხოლოდ 1995 წელს, ხელისუფლებამ მიერ მეტ-ნაკლებად გააცნობიერა რა ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენებისა და გარემოს დაცვის პრობლემები და ჯანსაღი ეკოლოგიური მდგომარეობის მნიშვნელობა საზოგადოების ცხოვრებაში, კონსტიტუციაში ადამიანის ერთ-ერთ უფლებად ჯანსაღ გარემოში ცხოვრების უფლება განისაზღვრა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ 1995 წლამდე საქართველო შეუერთდა რამდენიმე კონვენციას.

1996 წელს მიღებულ იქნა საქართველოს კანონი „გარემოს დაცვის შესახებ“. ამ კანონით განისაზღვრა ბუნებრივი რესურსების მართვისა და გარემოს დაცვის ძირითადი პრინციპები და რეგულაციები ჩვენს ქვეყანაში, ასევე გარემოს დაცვის ეროვნული სამოქმედო გეგმების ყოველ 5 წელიწადში მომზადება და მდგრადი განვითარების კონცეფციის შემუშავება, რომელიც, სამწუხაროდ, დღემდე არ არის შესრულებული.

ეკოლოგიური პოლიტიკის ფორმირების ამ ეტაპზე ეკონომიკის ეკოლოგიზაციისა და გარემოსდაცვითი საქმიანობის განხორციელების სამართლებრივი ბაზის მოწესრიგების მიზნით, მიღებულ იქნა ისეთი კანონები, როგორცაა: ცხოველთა სამყაროს შესახებ (1996), ნარჩენების ტრანზიტისა და იმპორტის შესახებ (1995), დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ (1996), წიადის შესახებ (1997), წყლის შესახებ (1997), გეოდეზიური და კარტოგრაფიული საქმიანობის შესახებ (1998), ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ (1999), კოლხეთის დაცული ტერიტორიების შექმნისა და დაცვის შესახებ (1998). მიღებულ იქნა, აგრეთვე, საქართველოს ტყის კოდექსი (1999).

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ამ ეტაპზე მიღებული კანონები ძირითადად პასუხობდა დარგში შექმნილ პრობლემებს და ორიენტირებული იყო მათ გადაჭრაზე. ზოგიერთი კანონი გარკვეულწილად პასუხობდა კიდევ ევროკავშირის მოთხოვნებსა და რეგულაციებს. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი კანონით ჩამოყალიბდა მხოლოდ ზოგადი ნორმები და პრინციპები, მათი გაშლა კანონქვემდებარე აქტებით აღარ მომხდარა.

1996 წელს, ეკოლოგიური პოლიტიკის გამტარებელმა ინსტიტუციამ – გარემოს დაცვის სამინისტრომ, მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით დაიწყო გარემოს დაცვის მოქმედებათა პირველი ეროვნული პროგრამის შემუშავება, რომელიც დამტკიცდა 2000 წელს და მოიცავდა 2000-2004 წლებს. ეს დოკუმენტი ასახავდა 5 წლიან გარემოსდაცვით სამოქმედო გეგმას და თავისი დანიშნულებით იყო საკმაოდ პროგრესული. ამ გეგმის მიხედვით, ბუნებათსარგებლობისა და გარემოს დაცვის სფეროში ძირითად პრიორიტეტებად დაისახა წყლის რესურსების, ატმოსფერული ჰაერის, ნიადაგისა და ბიომრავალფეროვნების დაცვა, ნარჩენების მართვა და სხვა. ამასთან, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ გარემოს დაცვის მოქმედებათა პირველ ეროვნულ პროგრამაში შემავალი ღონისძიებების განხორციელების პერსპექტივა, ქვეყანაში არსებული საფინანსო-საბიუჯეტო პრობლე-

მებიდან გამომდინარე, იყო ძალიან დაბალი და ასეც მოხდა, მხოლოდ გარემოსდაცვითი ის საქმიანობები განხორციელდა, რომლებიც დაფინანსდა სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების ხელშეწყობით.

1997 წელს საქართველოს პრეზიდენტის მიერ დამტკიცებულ „ეკონომიკური რეფორმის მეორე ეტაპის ძირითად მიმართულებათა შესახებ“ დოკუმენტში მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო ეკოლოგიის სფეროში ისეთი ამოცანების გადაწყვეტას, როგორც იყო: ბუნებრივ-რესურსული პოტენციალის რაციონალური გამოყენება და დაცვა, გარემოსდაცვითი საქმიანობის ინტეგრირება ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროცესში, გარემოს დაცვის სფეროში სამართლებრივი ბაზის სრულყოფა, საერთაშორისო ურთიერთობების გაღრმავება და გლობალური ეკოლოგიური პრობლემების გადაჭრაში მონაწილეობის მიღება, საზოგადოების ეკოლოგიური განათლებისა და ეკოლოგიური კულტურის ამაღლება და სხვა. ამ ამოცანების გადაჭრის მიზნით შემუშავდა მიზნობრივი პროგრამები, რომელთაგან 5 აისახა საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ინდიკატურ გეგმებში.

შემუშავდა ბიომრავალფეროვნების დაცვისა და შენარჩუნების სტრატეგიული გეგმა, რომლის ფარგლებშიც, ძირითადად გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფინანსური მხარდაჭერით, შეიქმნა ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი. ასევე (რამსარის კონვენციით ნაკისრი ვალდებულებების ფარგლებში) შეიქმნა კოლხეთის ეროვნული პარკი.

ბენზინის წვისას გაფრქვეული ტყვიის გარემოზე ნეგატიური ზემოქმედების შემცირებისა და ატმოსფერული ჰაერის სისუფთავის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით შემუშავდა და დამტკიცდა ეროვნული პროგრამა „საქართველოში ტყვიაშემცველი ბენზინის ხმარებიდან ამოღების შესაძლებლობათა შესწავლის შესახებ“. მიმდინარეობდა მუშაობა ოზონის შრის დაცვის პრობლემური საკითხების გადაჭრასთან დაკავშირებით. აღნიშნულთან მიმართებაში შემუშავდა „ოზონდამწველ ნივთიერებათა ხმარებიდან ამოღების ეროვნული პროგრამა“, რომელიც მოიწონა და დაამტკიცა მონრეალის ოქმის მრავალმხრივი ფონდის საზედამხედველო საბჭომ.

გარემოსდაცვითი პრობლემების ერთიანი ძალისხმევით დაძლევისა და ამ სფეროში საქმიანობის კოორდინაციის მიზნით, საქართველოს მთავრობის მიერ ხელი მოეწერა ორმხრივ ხელშეკრულებას აზერბაიჯანთან, სომხეთთან, თურქეთსა და საბერძნეთთან.

ამავე პერიოდში დაიწყო მუშაობა საქართველოს გარემოს მონიტორინგის ერთიანი სისტემის შექმნისა და მისი მეზობელი ქვეყნების ანალოგიურ სისტემებთან ინტეგრაციის მიზნით, რასაც ხელი უნდა შეეწყო გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების გამოყენების სფეროში სახელმწიფო კონტროლის ეფექტიანი განხორციელებისათვის.

ამ წლებში საქართველო მიუერთდა 22 საერთაშორისო კონვენციას და აქტიურად თანამშრომლობდა სხვადასხვა საერთაშორისო გარემოსდაცვის პროგრამებთან. მათგან შეიძლება გამოიყოს: გლობალური გარემოსდაცვითი ფონდი, გაეროს პროგრამა, მსოფლიო ბანკი, გაეროს განვითარების პროგრამა, ევროპის გარემოსდაცვითი სააგენტო, მსოფლიო მეტეოროლოგიური ორგანიზაცია, შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია და ა.შ.

ამ პერიოდში საქართველოს ხელისუფლებამ ეკოლოგიური პოლიტიკის განხორციელების ცენტრალიზებული რეგულირების მეთოდთან ერთად გადაწყვიტა საბაზრო რეგულატორების დამკვიდრება და შეეცადა მათი ოპტიმალური შეთანაწყოების მოძიების მოძებნას. 1999 წელს შემუშავდა ინსტრუქცია მავნე ნივთიერებებით გარემოს დაბინძურებისათვის გადასახდის გამოანგარიშებისა და გადახდის წესის შესახებ. ამავე წელს შემუშავდა აგრეთვე ინსტრუქცია ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის გადასახდის გამოანგარიშებისა და გადახდის წესი. 1996-2000 წლებში მაშინდელი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მონაცემებით, ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის ბიუჯეტში ჩაირიცხა 20,5 მლნ. ლარი, ხოლო მავნე ნივთიერებებით გარემოს დაბინძურებისათვის გადასახადებიდან ბიუჯეტში თავმოყრილი თანხების მოცულობამ შეადგინა 39,5 მლნ. ლარი.

მაშასადამე, ამ პერიოდში საქართველოში ადგილი ჰქონდა ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის მიერ 1972 წელს შემოტანილი პრინციპის – „გამჭუჭყიანებელი იხდის“ – დამკვიდრების მცდელობას.

გარდა უკვე აღნიშნული ღონისძიებებისა, ამ პერიოდში ხელისუფლების მიერ დეკლარირებული იყო ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და გარემოს დაცვის სრულყოფის ისეთი ღონისძიებები, როგორცაა:

- ენერგოეფექტურობის გაზრდისა და ეკოლოგიურად სუფთა წარმოების პროგრამების მომზადება;
- აგრობიომრავალფეროვნების აღდგენის, კონსერვაციისა და მდგრადი გამოყენების კონცეფციის მომზადება;
- საყოფაცხოვრებო და საწარმოო ნარჩენების გადამუშავების საინვესტიციო პროექტების მომზადება და საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებში წარდგენა;
- პროექტის – „მდინარე მტკვრის წყლის ხარისხის მონიტორინგი და შეფასება აზერბაიჯანის რესპუბლიკასთან ერთად“ – განხორციელება;
- შავი ზღვის სანაპირო ზოლის ინტეგრირებული მართვის პროექტის განხორციელება;

- შავი ზღვის დაცვის და რეაბილიტაციის სტრატეგიულ მოქმედებათა ეროვნული პროგრამით გათვალისწინებული საინვესტიციო პროექტების მომზადება და საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებისათვის წარდგენა;

- გარემოსდაცვითი განათლების სისტემის განვითარების პროგრამის მომზადება და რეალიზაცია და სხვა.

აღნიშნული და ასევე ზოგიერთი სხვა ღონისძიების განხორციელება იმ დროისათვის ქვეყანაში არსებული ფინანსური წესრიგისა და ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, იყო არარეალისტური და ვერც განხორციელდა.

მაშასადამე, ეკოლოგიური პოლიტიკის ფორმირების პირველი ეტაპის ანალიზისას შეიძლება დაგასკვნათ, რომ 2003 წლამდე საქართველოში ეკოლოგიურად დაბალანსებულ ეკონომიკურ ზრდაზე ორიენტირებული ეკოლოგიური პოლიტიკის რეალიზაციის ეკონომიკური და სამართლებრივი მექანიზმების ფორმირებისა და სრულყოფის მიმართულებით გატარდა გარკვეული ღონისძიებები. თუმცა, ეკოლოგიური მდგომარეობა კვლავ არასახარბიელო რჩებოდა და კიდევ უფრო მწვავედებოდა გარემოს დაცვის ეკონომიკური პრობლემები.

ეკოლოგიური პოლიტიკის ფორმირების მეორე ეტაპად შეიძლება გამოიყოს 2003-2012 წლები. 2003 წელს ქვეყნის სათავეში მოსულმა ახალმა ხელისუფლებამ მთავარ ამოცანად მიიჩნია ეკონომიკური განვითარება. ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება და გარემოს დაცვა დეკლარირებული განცხადებების მიუხედავად, არ აღმოჩნდა პრიორიტეტული მიმართულება და საფუძველი ჩაეყარა ლიბერალურ ეკოლოგიურ პოლიტიკას. მაშინ, როცა ეკონომიკური პროცესების გააქტიურებამ გაზარდა მრეწველობის, ენერჯეტიკის, სავაჭრომობილო ინდუსტრიისა და სოფლის მეურნეობის უარყოფითი ზეგავლენა ატმოსფერული ჰაერის, წყლისა და მიწის რესურსების სისუფთავის მდგომარეობაზე, არ შემცირებულა არც პირადი, საყოფაცხოვრებო და სამრეწველო ნარჩენებით გარემოს გატუჭყიანების მასშტაბები.

2005 წელს გაუქმდა გადასახადი მავნე ნივთიერებებით გარემოს დაბინძურებისათვის. ამ გადაწყვეტილებით ხელისუფლების მიზანი იყო ის, რომ მკაცრი გარემოსდაცვითი ნორმები შემზღვევლი ფაქტორი არ გამხდარიყო ინვესტიციების მოზიდვისა და ეკონომიკური ზრდის სტიმულირებისათვის.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეკოლოგიური გადასახადების არსებობა იწვევს ბიზნესექტორის, რომელიც განვითარებულ ქვეყნებში ეკოლოგიური პოლიტიკის განხორციელების ერთ-ერთი მთავარი მოთამაშეა, უკმაყოფილებას. ეს განპირობებულია იმით, რომ გარემოს მდგომარეობის გაუმჯობესება შესაძლებელია ე. წ. „ტუჭყიანი“ საწარმოების დახურვით ან მათი თანამედროვე ეკოტექნოლოგიური მოდერნიზებით, რაც, თავის მხრივ, დიდ დანახარჯებს უკავშირდება. მეწარმეები დაინტერესებულნი არიან ეკონომიკურ პოლიტიკაში ეკოლოგიური კომპონენტის შესუტებით, რადგან მათი მომავალი უკავშირდება ეკონომიკურ ზრდას, დაბანდებებს წარმოებაში და არა ეკოლოგიურ დანახარჯებს. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ბიზნესს, სოციალურ და სხვა ტიპის პასუხისმგებლობასთან ერთად, უნდა გააჩნდეს ეკოლოგიური პასუხისმგებლობაც. უფრო მეტი, თანამედროვე მსოფლიოში მასშტაბურად ვრცელდება მეინსტრიმი, რომლის მიხედვითაც კომპანიებს შორის კონკურენცია სულ უფრო მეტად ეფუძნება ენერგოეფექტიანობისა და ეკოლოგიური პასუხისმგებლობის მაჩვენებლებს.

2005 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო საქართველოს უსაფრთხოების კონცეფცია, სადაც შეფასდა საქართველოს წინაშე არსებული ეკოლოგიური გამოწვევები, განისაზღვრა ეკოლოგიური უსაფრთხოების პოლიტიკა და მისი პრიორიტეტები. კერძოდ, გარემოს გატუჭყიანების მინიმალის მიზნით ღონისძიებების გატარება, ატმოსფერული ჰაერისა და ნიადაგის გატუჭყიანების წყაროებზე კონტროლის დაწესება, საქართველოს ტერიტორიის გაწმენდა რადიაქტიური ნარჩენებისა და სარაკეტო საწვავისაგან, საკვების უსაფრთხოების უზრუნველყოფა და ეკოლოგიის სფეროში საქართველოს კანონმდებლობის ევროპისა და გაეროს კანონმდებლობასა და სტანდარტებთან ჰარმონიზაცია. აქვე აღნიშნულია საქართველოს ეკოლოგიური უსაფრთხოების დაცვაში საერთაშორისო და რეგიონული თანამშრომლობის აუცილებლობის შესახებ.

ამ ეტაპზე ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და გარემოს დაცვის საკანონმდებლო ბაზა შეივსო შემდეგი კანონებით: ეკოლოგიური ექსპერტიზის შესახებ (2007), გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ (2007), თბილისის ეროვნული პარკის შესახებ (2007), ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისთვის მოსაკრებლის შესახებ (2004), ბორჯომ-ხარაგაულის დაცული ტერიტორიის შექმნისა და მართვის შესახებ (2007), ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების შესახებ (2012), საქართველოს ტყის ფონდის მართვის შესახებ (2011) და სხვა.

ამ პერიოდში საქართველო, საერთაშორისო დონეზე აღიარებული მიდგომებისა და რეგულაციების დანერგვის მიზნით, მიუერთდა გარემოს დაცვის სფეროში შემდეგ კონვენციებსა და ოქმებს: კიოტოს ოქმი, გაეროს კონვენცია მდგრადი დამაბინძურებლების შესახებ, ბიოლოგიური მრავალფეროვნების კონვენციის ბიოუსაფრთხოების კარტაჟენას ოქმი, შეთანხმება საქართველოსა და ატომური ენერჯის საერთაშორისო სააგენტოს შორის ბირთვული იარაღის გაუვრცელელობასთან დაკავშირებული გარანტიების თაობაზე და სხვა.

2006 წელს დამტკიცდა საქართველოსა და ევროკავშირს შორის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმა, რომელშიც, სხვა საკითხებთან ერთად, ფორმულირდა საქართველოს გარემოსდაცვითი პოლიტიკის მიმართულებებიც. ამ დოკუმენტის მიხედვით განისაზღვრა ისეთი მიზნები, როგორიცაა: გარემოსდაცვის მიმართულებების შესაბამისი პირობების შექმნა, გარემოს დეგრადაციის პრევენციისათვის ღონისძიებების განხორციელება, ბუნებრივი რესურსების რაციონალური მოხმარება და სხვა. და, რაც მთავარია, გეგმის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად დასახელდა მდგრადი განვითარების ხელშეწყობა. ამ გეგმის მიხედვით, საქართველო ყოველწლიურად ანგარიშს უბზავნის ევროკავშირს, რომელიც მის საფუძველზე იძლევა შემდგომ რეკომენდაციებს.

ეკოლოგიური პოლიტიკის ფორმირების მეორე ეტაპზე საქართველოს კანონის „გარემოს დაცვის შესახებ“ შესაბამისად, ჰოლანდიის მთავრობის ფინანსური მხარდაჭერით, 2012 წელს მიღებულ იქნა გარემოს დაცვის მოქმედებათა მეორე ეროვნული პროგრამა, რომელიც მოიცავს 2012-2016 წლებს. ამ პროგრამაში 11 თემატური სფეროსათვის (წყლის რესურსები, ატმოსფერული ჰაერი, ნარჩენები, შავი ზღვა, ბიომრავალფეროვნება და დაცული ტერიტორიები, ტყე და სატყეო მეურნეობა, მინერალური რესურსები, კატასტროფები, ბირთვული და რადიაციული უსართხოება და კლიმატის ცვლილება) გაანალიზებულია ძირითადი პრობლემები და მათი გამომწვევი მიზეზები, გაშუქებულია განხორციელებული გარემოსდაცვითი ღონისძიებები, მიმოხილულია ეროვნული და საერთაშორისო გარემოსდაცვითი პროცესები და მოცემულია სამართლებრივი ბაზის შეფასება. პროგრამით განისაზღვრა მთელი რიგი გრძელვადიანი მიზნები, რომლებიც უკავშირდება ნარჩენების მართვის თანამედროვე სისტემის დანერგვას, ატმოსფერული ჰაერის სისუფთავის მაღალი ხარისხის მიღწევას, ტყეების საერთო მდგომარეობის გაუმჯობესებას, საქართველოს უნიკალური ეკოსისტემების, სახეობათა მრავალფეროვნებისა და გენეტიკური რესურსების დაცვას, საქართველოს მთელი მოსახლეობის უსაფრთხო სასმელი წყლით უზრუნველყოფასა და ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობას ამ პროდუქტით საერთაშორისო ბაზარზე შესვლის გზით და ა.შ. მასში აგრეთვე დეკლარირებულია მდგრადი განვითარების უაღტერნატივობა ქვეყნის მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლების საქმეში და საერთაშორისო ეკოლოგიური ინტეგრაციის აუცილებლობა.

ეკოლოგიური პოლიტიკის მეორე ეტაპის შეფასებისას შეიძლება აღვნიშნოთ, რომ ხელისუფლების მიერ გაცხადებული არსებული ეკოლოგიური კანონმდებლობის საერთაშორისო სტანდარტებთან ეტაპობრივი დაახლოების ნაცვლად, ზოგიერთ შემთხვევაში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილება, პირიქით, შორდებოდა მას. ამის მაგალითებს წარმოადგენს ცვლილებები კანონში „ნებართვების შესახებ“, კანონში „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“, რის საფუძველზეც გაუქმდა წყალაღებისა და წყალჩაშტების ნებართვა. „გარემოს დაცვის შესახებ“ კანონში განხორციელებული ცვლილებების მიხედვით კი გარემოზე ნეგატიური ზემოქმედებისა და მიყენებული ზიანის საკომპენსაციოდ სუბიექტს სამინისტროსთან მოლაპარაკებებისა და გარკვეულ თანხაზე შეთანხმების საშუალება ეძლეოდა.

ეკოლოგიური პოლიტიკის ფორმირების მესამე ეტაპის დასაწყისად უნდა მივიჩნიოთ 2012 წელი, რომელიც გრძელდება დღემდე.

ქვეყნის სათავეში ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ, არსებული კრიზისული ეკოლოგიური მდგომარეობის მიუხედავად, არ გამკაცრებულა გარემოსდაცვითი მოთხოვნები. გაგრძელდა წინა ეტაპზე ჩამოყალიბებული გარემოსდაცვითი პროცესების უპირატესად სამართლებრივი მეთოდებით რეგულირების ტენდენცია. ამდენად, მესამე ეტაპსაც შეიძლება ლიბერალური ეკოლოგიური პოლიტიკის განხორციელების ეტაპი ვუწოდოთ.

სამართლებრივი დოკუმენტებიდან და პროგრამებიდან პირველ რიგში უნდა გამოიყოს 2013 წელს პარლამენტის მიერ დამტკიცებული სამთავრობო პროგრამა, რომელშიც განსაზღვრულია ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და გარემოს დაცვის სფეროში პრიორიტეტული მიმართულებები. კერძოდ, ევროკავშირისა და საერთაშორისო ხელშეკრულებებით რეკომენდებული გარემოსდაცვითი სტანდარტების დანერგვა, ეკოლოგიური საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა, ნარჩენების მართვის ეფექტიანი სისტემის დანერგვა, სატყეო რეფორმის გატარება და სხვა.

გარემოს დაცვაზე ორიენტირებული თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა, „მწვანე ეკონომიკის“ განვითარების ხელშეწყობა, მყარი ნარჩენებისა და ბუნებრივი კატასტროფების ეფექტიანი მართვა, კლიმატის ცვლილებით გამოწვეული ეკონომიკური დანაკარგების ნეიტრალიზება და ტყის რესურსების რაციონალური გამოყენებისა და დაცვის პრაქტიკის დანერგვა არის დეკლარირებული ისეთ მნიშვნელოვან დოკუმენტში, როგორიცაა საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია – „საქართველო 2020“. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ამ დოკუმენტში ეკოლოგიური პრობლემები, მათი გადაჭრისათვის საჭირო ღონისძიებები და მოსალოდნელი შედეგები არ არის სათანადო მასშტაბით წარმოდგენილი.

გარდა ამისა, ამ ეტაპზე ისეთი მნიშვნელოვანი დოკუმენტები იქნა მიღებული, როგორიცაა: საქართველოს ბიომრავალფეროვნების სტრატეგია და მოქმედებათა გეგმა (მოიცავს 2014-2020 წლებს), ქვეყნის გაუდანობასთან ბრძოლის მოქმედებათა მეორე ეროვნული პროგრამა (მოიცავს 2014-2022 წლებს) და საქართველოს ეროვნული სატყეო კონცეფცია.

ხელისუფლებამ, გაიაზრა რა, რომ გარემოსდაცვა არის ინტერსექტორული პრობლემა, დაიწყო გარემოსდაცვითი საკითხების ასახვა სხვადასხვა სექტორის განვითარების გეგმებში, ასევე რე-

გიონების განვითარების პროგრამებში. კერძოდ, გარემოსდაცვითი ღონისძიებები აისახა 2012-2013 წლების მთავრობის მიერ დამტკიცებულ რეგიონული განვითარების სტრატეგიებში. 2015-2017 წლების რეგიონული განვითარების პროგრამაში ასახულია კატასტროფების მართვასთან, ძველი სამრეწველო ობიექტების ტერიტორიების გაჭუჭყიანების შემცირებასთან და მდგრადი სატყეო სტრატეგიის განხორციელებასთან დაკავშირებული საქმიანობები.

ამ პერიოდში საქართველოს ხელისუფლების მიერ გაგრძელდა საერთაშორისო თანამშრომლობის პროცესი გარემოს დაცვის სფეროში და ხელი მოეწერა სხვადასხვა საერთაშორისო ხელშეკრულებას. მათგან განსაკუთრებით აღსანიშნავია ევროკავშირსა და საქართველოს შორის 2014 წელს გაფორმებული შეთანხმება, რომელიც, სხვა საკითხებთან ერთად, დიდწილად განსაზღვრავს ჩვენს ქვეყანაში ევროკავშირის სტანდარტებთან შესაბამისობაში არსებული ეკოლოგიური პოლიტიკის ფორმირებას. ამ დოკუმენტით უნდა მოხდეს ბუნებრივი რესურსებისა და გარემოს დაცვის სფეროში საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ეტაპობრივი ჰარმონიზაცია. ის მოიცავს ატმოსფერული ჰაერის დაცვის, წყლის რესურსების, ნარჩენებისა და ქიმიური ნივთიერებების მართვის, სატყეო მეურნეობის დაცვისა და კლიმატის ცვლილებებთან დაკავშირებულ პრობლემურ საკითხებს.

ამ ეტაპზე, ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და გარემოს დაცვის სფეროს სამართლებრივი ბაზის სრულყოფა ძირითადად ხორციელდებოდა უკვე არსებულ კანონებში ცვლილებებისა და დამატებების შეტანით, თუმცა ეკოლოგიური პოლიტიკის გამტარებელი მთავარი ინსტიტუციის – გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ საქართველოს პარლამენტში მომზადებულია და ინიცირებულია რამდენიმე კანონპროექტი.

ცალკე აღნიშვნის ღირსია და ფუნდამენტურ ხასიათს ატარებს გარემოსდაცვითი ღონისძიებების ფინანსური უზრუნველყოფის საკითხი. ამ მხრივ განსაკუთრებით სავალალო მდგომარეობა იყო ეკოლოგიური პოლიტიკის ფორმირების პირველ ეტაპზე. ხელისუფლება პირდაპირ აცხადებდა სხვადასხვა ეკოლოგიური პროგრამების განხორციელებლობის მიზეზად საბიუჯეტო დაფინანსების უკმარისობას. შემდეგ ეტაპზე სიტუაცია ოდნავ შეიცვალა უკეთესობისაკენ, ხოლო მესამე ეტაპზე კიდევ უფრო მოიმატა ბიუჯეტის ხარჯებმა გარემოსდაცვითი ღონისძიების დაფინანსებაზე. თუმცა, ის მკვეთრად ჩამორჩება ევროკავშირის ქვეყნების ანალოგიურ მაჩვენებელს და ამ ფაქტორის გათვალისწინებითაც შეიძლება ითქვას, რომ ეკოლოგია არც ამჟამად არის ხელისუფლების პრიორიტეტული სფერო.

დასკვნის სახით შეიძლება აღვნიშნოთ, რომ საქართველოში პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის პერიოდში ეკოლოგიური პოლიტიკის ფორმირებისა და რეალიზაციის პროცესი გარკვეული წინაღმდეგობებით ხასიათდებოდა. მთავარი დადებითი მოვლენა არის ის, რომ ხელისუფლებისა და საზოგადოების მხრიდან სულ უფრო მეტად ხდება ეკოლოგიური პრობლემების გააზრება, არასაკმარისად, მაგრამ მაინც იზრდება სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრები გარემოსდაცვითი პროგრამების განხორციელებაზე, ღრმავდება საერთაშორისო ინტეგრაცია ამ მიმართულებით. თუმცა, საქართველოში ატმოსფერული ჰაერის, წყლის, მიწის და გარემოს სხვა კომპონენტების მდგომარეობისა და ზოგადად შექმნილი არასახარბიელო ეკოლოგიური სიტუაციის გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი ქვეყნის ეკოლოგიური პოლიტიკა არაეფექტიანია. ეს დღის წესრიგში აყენებს მისი სრულყოფის ამოცანის გადაჭრის აუცილებლობას. ამ მიმართულებით აუცილებლად მიგვაჩნია:

- ეკოლოგიური საკანონმდებლო ბაზის გაფართოება და ეკოლოგიური პროგრამების, კონცეფციებისა და სტრატეგიების შემუშავება (მდგრადი განვითარების კონცეფცია, ეკოლოგიური დოქტრინა, ეკოლოგიური განვითარების სტრატეგია);
- სავადასახადო სისტემის ეკოლოგიზაცია და ეკოლოგიური გადასახადის დაწესება;
- შეღავათიანი დაკრედიტება ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის მწარმოებლებისათვის, მათი სუბსიდირება და სუბვენცირება;
- ეკოლოგიური მომსახურების ბაზრის ჩამოყალიბება;
- ეკოლოგიური აღზრდისა და განათლების ხელშეწყობა;
- ეკოლოგიური პოლიტიკის ფორმირებისა და განხორციელების პროცესში აკადემიურ საზოგადოებასთან მჭიდრო თანამშრომლობა;
- ეკოლოგიური პოლიტიკის ძირითად მონაწილეებს (სახელმწიფო, ეკოლოგიური ორგანიზაციები, ბიზნესსექტორი და საზოგადოება) შორის მჭიდრო ინტეგრაცია და თანამშრომლობა და სხვა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აბესაძე რ. მდგრადი განვითარების ეკონომიკური ასპექტები. 2015.
2. ხუსკივაძე მ. გარემოს დაცვის ეკონომიკური პრობლემები პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის პირობებში საქართველოში. 2015.
3. გაუდაბნობასთან ბრძოლის მოქმედებათა მეორე ეროვნული პროგრამა (2014-2022). 2014.
4. ევროკავშირი-საქართველოს ასოცირების შეთანხმება. 2014.
5. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია. საქართველო 2020. 2013.

6. საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა მეორე ეროვნული პროგრამა (NEAP) (2012-2016). 2012.
7. საქართველოს ბიომრავალფეროვნების სტრატეგია და მოქმედებათა გეგმა (2014-2020).
8. საქართველოს ეროვნული სატყეო კონცეფცია. 2015.
9. Geostat.ge
10. Moe.gov.ge

Mamuka Khuskivadze

THE STAGES AND MAIN TENDENCIES ECOLOGICAL POLICY FORMATION IN GEORGIA

Annotation

The article is dedicated to the marking out the stages of ecological policy formation and exposing its main tendencies in Georgia. There are shown three stages and described environmental protection programs and measures to be realized at each stage. Are emphasized the main tendencies of ecological policy formation. Exceeding brown national ecological situation the ecological policy is considered inefficient and are propose3d some measures of its improvement.

ВОПРОСЫ УСТОЙЧИВОГО РАЗВИТИЯ ГОРОДСКИХ ТЕРРИТОРИЙ В СОВРЕМЕННОЙ РОССИИ¹²⁷

XXI век считается столетием городов. Во всем мире примерно 4 млрд. человек живут в городах. К 2030 году число городских жителей может превысить 5 млрд., что оказывает влияние не только на городское качество жизни, но и на природу и ландшафт.

Стоящие перед городами проблемы могут решаться за счет более эффективного использования имеющихся ресурсов, при одновременном снижении уровня загрязнения окружающей среды и уменьшения масштабов нищеты. Ускоряющаяся урбанизация оказывает достаточно сильное негативное воздействие на запасы пресной воды, работу канализационных систем, среду обитания и системы общественного здравоохранения. Поэтому особое внимание уделяется устойчивому развитию городов и поселений [1]. Так, взаимодействие экономического и социального элементов позволяет эффективнее решать задачи достижения социальной справедливости (социально справедливое распределение доходов) и оказание целенаправленной помощи наименее обеспеченным слоям населения [2].

Ст.42 Конституции РФ гласит, что «каждый имеет право на благоприятную окружающую среду, достоверную информацию о ее состоянии и на возмещение ущерба, причиненного его здоровью или имуществу экологическим правонарушением» [3]. Как результат, наши города стоят перед главной дилеммой, касающейся всех областей городской жизни: демографическое развитие, социальная надежность и участие, градостроительная трансформация и поддержание социальных и технических инфраструктур, а также участие в управлении в сфере изменения климата. Но при этом, развитие города оказывает и негативное влияние на окружающую среду.

Например, это касается, прежде всего, наличия определенных требований при планировании городских и сельских поселений. В СНиП 2.07.01-89 (актуализирован СП 42.13330.2011) сказано, что «территорию для развития городов необходимо выбирать с учетом возможности ее рационального функционального использования на основе сравнения вариантов архитектурно-планировочных решений, технико-экономических, санитарно-гигиенических показателей, топливно-энергетических, водных, территориальных ресурсов, состояния окружающей среды с учетом прогноза изменения на перспективу природных и других условий. При этом необходимо учитывать предельно допустимые нагрузки на окружающую природную среду на основе определения ее потенциальных возможностей, режима рационального использования территориальных и природных ресурсов с целью обеспечения наиболее благоприятных условий жизни населению, недопущения разрушения естественных экологических систем и необратимых изменений в окружающей природной среде» [4].

Город - это, прежде всего, сложная система, сочетающая природные и антропогенные элементы. В частности, парки, заповедники, лесные угодья, сохраняемые в естественном или близком к естественному состоянии, играют основную природоохранную и оздоровительную.

Следует обратить внимание, что городская среда имеет существенные отличия от природной среды. Основное ее отличие заключается в том, что элементы городской среды являются результатом деятельности человека по улучшению качества своей жизни, но оказывающие влияние на развитие природных процессов.

Вследствие, чего в настоящее время особое внимание заслуживает развитие идеи «зеленого города», ядро которой составляет городская зелень. Данная идея направлена на озеленение и благоустройство города, улучшение экологической обстановки, проведение природоохранных мероприятий, акций по высаживанию саженцев, воспитание ответственности жителей города за состояние зеленых зон и парковых территорий города, охрану окружающей среды. Таким образом, развитие системы озеленения городских территорий может способствовать не только решению проблем взаимодействия с общественностью города, но и эффективному взносу в повышение привлекательности городских территорий.

По мнению известного в России исследователя проблемы формирования природного каркаса городов Н. С. Краснощековой в документах территориального планирования муниципальных образований природный каркас должен формироваться на начальном этапе градостроительного, или функционального, зонирования, т.е. до или одновременно с выделением территорий под застройку. Это позволяет включить в структуру природного каркаса города не рекомендуемые для освоения строительством территории наряду с традиционно рассматриваемыми природными зонами [5].

Городская природа выполняет разнообразные функции, которые существенно способствуют повышению качества жизни горожан, а также оказывает влияние на регулирование городского строительства. Таким образом, городская зелень вносит эффективный вклад в улучшение климата, например, затенением, производством свежего воздуха и т.д. Сверх того, у городской зелени есть также положительные эффекты влияния и на здоровье граждан (спорт, отдых на природе от повседневных забот), не стоит и недооценивать влияние городской зелени и на подрастающее поколение, так как они нуждаются «в зеленых игровых площадках» и получают но-

¹²⁷ Статья подготовлена в рамках финансовой поддержки Российского Гуманитарного Научного Фонда, проект 16-22-03001 а (м)

вые знания из контактов с природой, например, в форме образовательных программ на свежем воздухе, наблюдение за развитием флоры и фауны в городских парках.

Получается, что городская природа имеет различные функции, которые положительно влияют практически на все области жизни горожан.

В частности:

- улучшение городского климата и воздушной гигиены зелеными насаждениями и существующими зелеными территориями,
- наличие близких к природе и оформленных парковых территорий для ежедневного отдыха горожан и проведения свободного времени в выходные дни,
- развитие образовательных программ в парках,
- упорядоченное ограничение застройки городских природных территорий и естественных структур ландшафта (водоемов, лесов, холмов и др.),
- развитие традиционных промыслов, в том числе и развитие производства натуральных продуктов (близкое к потребителю производство пищевых продуктов и непосредственный контакт между производителем и потребителем).

Основными элементами природного каркаса являются насаждения различных категорий (рисунок 1) [6].



Рисунок 1. Основные виды зеленых территорий в экологическом каркасе города

На фоне природного каркаса формируется каркас, созданный человеческим обществом – демоэкономический каркас (по Трейвиш, 1987г.), состоящий из индустриальных, коммерческих, деловых центров, жилых массивов, связывающих их транспортных магистралей. Функционирование демоэкономического каркаса неизбежно оказывает негативное воздействие на природный, который теряет свою целостность, в результате чего появляется опасность нарушения экологического баланса территории [7].

Мировой практикой конструирования городских ландшафтов выработан принципиальный набор составных элементов ЭК современного города, в который входят: зеленое кольцо города, несколько крупных клинве-массивов, проникающих в городской центр, равномерно разбросанные по территории города крупные зеленые «пятна» парков, водно-зеленый диаметр вдоль рек и водоемов [8].

Например, Чистякова С.Б. [9] выделяет две основные группы связей в системе взаимодействия «город-природа»: пространственные и функциональные. Первая группа связей характеризуется территориальным «наступлением» города на природу. Территориальное наступление города на природное окружение определяется направленностью и интенсивностью его основных структурных элементов (селитебной, промышленной, коммуникационной, инженерно-транспортной и др.).

Вторая группа взаимосвязей - функциональные - заключается в наличии взаимообусловленных процессов на отдельных участках территории города - например, формирование рекреационных зон отдыха, внутриквартальное озеленение, озеленение примагистральных территорий, реабилитация нарушенных земель и др.

В нашей стране по настоящее время отсутствует правовая база для развития ландшафтного планирования, развития его средств и методов. Но, интересен опыт Беларуси, где формируется национальная экологическая сеть. Ее создание предусмотрено Законом Республики Беларусь «Об охране окружающей среды» [10]. Экосеть включит национальные парки, заказники, участки леса, находящиеся под особой защитой, а также территории, где проходят пути миграции различных видов диких животных. Сейчас ученые работают над созданием схемы, на основании которой будет формироваться экологическая сеть. Для этого им предстоит подробно изучить животный и растительный мир всех регионов республики и систематизировать полученные данные. Заслуживает внимания и опыт устойчивого развития городских территорий в Германии. В Германии разработа-

на национальная стратегия устойчивого развития. На основе федеральной стратегии устойчивого развития, города, общины и районы самостоятельно разрабатывают мероприятия по реализации установленных в ней принципов. Федеральное правительство взаимодействует с общественными организациями земель, городов и районов в части реализации основных 4 модельных проектов, представленных в федеральной стратегии [11].

Особенности природных каркасов обуславливаются: а) «природным базисом» территории города, зависимым от природно-климатических зон, включая: особенности геоморфологии и рельефа, гидрогеологии и гидрографической сети, почвенно-растительного покрова, лесистости и мн. др.; б) величиной, планировочной структурой и приоритетными функциями городов и иных поселений, их местом в системе расселения; в) приоритетными экологическими проблемами и их остротой; г) природоохранными, градостроительными и историко-культурными традициями и др. А потому природный каркас является абсолютно уникальным для каждого города [12].

Природный каркас выступает как существенная часть ландшафтно-планировочной структуры города. Основным структурным элементом природного каркаса в городе могут являться охраняемые природные территории (ООПТ), которые способствуют воспроизводству и поддержанию биосферного потенциала на территории города.

Федеральный закон № 7 «Об охране окружающей среды», даже с учетом всех изменений, внесенных в него с момента его принятия, требует охраны естественных экологических систем, природных ландшафтов и природных комплексов (ст.4). [13].

Частью 3 ст. 44 указанного закона установлено: В целях охраны окружающей среды городских и сельских поселений создаются защитные и охранные зоны, в том числе санитарно-защитные зоны, озелененные территории, зеленые зоны, лесопарковые зоны и иные изъятые из интенсивного хозяйственного использования защитные и охранные зоны с ограниченным режимом природопользования.

Обратимся к опыту города Москвы. Природный комплекс Москвы выделяется в составе городских земель как совокупность территорий с особым правовым режимом использования и включает в себя природные и озелененные территории различных категорий. Перечисленные объекты составляют экологический каркас города. Согласно действующей Генеральной схеме озеленения города Москвы на период до 2020 года, обеспеченность зелеными территориями общего пользования должна была составить к 2020 г. 22,3–23,8 м²/чел., а по Генеральному плану города Москвы к 2015 г. — 29,2–29,8 м²/чел.[14].

К 2000 г. в Москве были созданы основные ООПТ с утверждением границ и режимов особой охраны (ППМ от 21.07.1998 № 564 и от 29.12.1998 г. № 1012) [15], утверждены перечень территорий Природного комплекса, их границы, категории и режимы регулирования градостроительной деятельности (РРГД), а также предписано «при проектировании реконструкции районов жилой застройки в обязательном порядке предусматривать создание озелененных территорий общего пользования (парки, скверы, бульвары), включаемых в Природный комплекс Москвы». В 1999 году был утверждён «неприкосновенный запас» - Перечень территорий Природного комплекса Москвы (ППМ от 19 января 1999 г. № 38 «О проектных предложениях по установлению границ природного комплекса с их описанием и закреплении актами красных линий») [16], установлены режимы его использования (ППМ от 20 марта 2001 г. № 270-ПП «Об утверждении положения о порядке установления линий градостроительного регулирования в городе Москве» [17]).

В соответствии со статьей 8 Закона города Москвы «О защите зеленых насаждений» [18], озелененные территории, в том числе зеленые массивы, а также участки земли, предназначенные для развития озелененных территорий, застройке, не связанной с их функциональным назначением, не подлежат.

Наряду с этим, охраняемые территории имеют огромное культурно-социальное, оздоровительное и рекреационное значение. Например, национальные парки несут познавательную информацию. Научно-познавательный, экологический туризм в России начинает интенсивно развиваться.

Использованная литература

1. Повестка дня в области устойчивого развития на период до 2030 года, принятая мировыми лидерами в сентябре уходящего года под эгидой Организации Объединенных Наций URL: <https://daccess-ods.un.org/TMP/2152082.32402802.html> (дата обращения: 11.05.2016)
2. Атамась Е.В., Котельников Д.А. Триединство концепции устойчивого развития: экологический, экономический и социальный аспекты//Экономика и предпринимательство. - 2015. - № 12-4 (65-4). - С. 804-809.
3. Конституция Российской Федерации (принята всенародным голосованием 12.12.1993) (с учетом поправок, внесенных Законами РФ о поправках к Конституции РФ от 30.12.2008 № 6-ФКЗ, от 30.12.2008 № 7-ФКЗ, от 05.02.2014 № 2-ФКЗ, от 21.07.2014 № 11-ФКЗ). URL: <http://base.consultant.ru/cons/cgi/online.cgi?req=doc;base=LAW;n=2875;fld=134;dst=1000000001,0;rnd=0.23558317963033915> (дата обращения: 17.05.2016)
4. Свод правил СП 42.13330.2011 "СНиП 2.07.01-89*. Градостроительство. Планировка и застройка городских и сельских поселений" Актуализированная редакция СНиП 2.07.01-89* (утв. приказом Министерства регионального развития РФ от 28 декабря 2010 г. N 820) Система ГАРАНТ: <http://base.garant.ru/6180772/#ixzz48pzCZLjI> (дата обращения: 16.05.2016)
5. Краснощекова, Н. С. Формирование природного каркаса в генеральных планах городов: Учебное пособие для вузов / Н. С. Краснощекова. – М. : «Архитектура-С», 2010. – 184 с

6. Горохов, В.А. Зеленая природа города: учеб. пособие для вузов / В.А. Горохов. – 2-е изд., перераб. и доп. – М.: Архитектура-С, 2005. – 528 с.
7. Катаева, А.Ф. Формирование экологического каркаса как принцип устойчивого развития городской среды//«Архитектон: известия вузов» № 38 - Приложение Июль 2012. URL: http://archvuz.ru/2012_22/41 (дата обращения: 17.05.2016)
8. Колбовский, Е.Ю. Ландшафтное планирование / Е.Ю. Колбовский. – М. : Академия, 2008. – 348 с.
9. Чистякова, С.Б. Город и природа/ С.Б. Чистякова С.Б. // Архитектура и строительство России. - 2009. - № 5. - С. 2-11
10. Об охране окружающей среды. Закон Республики Беларусь от 26 ноября 1992 г. № 1982-ХІІ (с изменениями и дополнениями на 30.12.2015 г.) URL: <http://www.pravo.by/main.aspx?guid=3871&p2=2/360> (дата обращения: 17.05.2016)
11. Атамась, Е.В. Развитие городов в концепции устойчивого развития: опыт Германии// Сборник материалов международной научно-практической конференции «Экономическое развитие России: драйвер роста или генератор вызовов»/под ред.проф. И.В. Шевченко.-Краснодар: Кубанский гос.ун-т, 2016.-Т.1.-С.51-54
12. Краснощекова, Н. С. Основные принципы формирования природного каркаса крупных городов при территориальном планировании. URL: <http://www.gardener.ru/docs/konf/3.doc> (дата обращения: 17.05.2016)
13. Об охране окружающей среды. Федеральный закон от 10.01.2002 N 7-ФЗ (ред. от 29.12.2015). URL: <http://base.consultant.ru/cons/cgi/online.cgi?req=doc&base=LAW&n=183341&from=196362-0&rnd=208987.9973348500207067&> (дата обращения: 18.05.2016)
14. О Генеральной схеме озеленения города Москвы на период до 2020 года. Постановление Правительства Москвы от 13 ноября 2007 г. N 996-ПП (с изменениями от 21 октября 2008 г.) URL : <http://www.gosthelp.ru/text/Postanovlenie996PPOGenera.html> (дата обращения: 18.05.2016)
15. О мерах по развитию территорий Природного комплекса Москвы Постановление Правительства Москвы от 21.07.1998 № 564 (ред. от 07.10.2014); О проектных предложениях по установлению границ особо охраняемых природных территорий: природно-исторического парка «Москворецкий» и природно-исторического парка «Останкино». Постановление Правительства Москвы от 29.12.1998 № 1012 (ред. от 16.07.2015). КонсультантПлюс
16. О проектных предложениях по установлению границ природного комплекса с их описанием и закреплением актами красных линий. Постановление Правительства Москвы от 19 января 1999 г. № 38 (с изменениями на 18 декабря 2015 года). URL: <http://docs.cntd.ru/document/901725053> (дата обращения: 18.05.2016)
17. Об утверждении положения о порядке установления линий градостроительного регулирования в городе Москве. Постановление Правительства Москвы от 20 марта 2001 г. № 270-ПП (с изменениями на 25 ноября 2015 года). URL: <http://docs.cntd.ru/document/3624795> (дата обращения: 18.05.2016)
18. О защите зеленых насаждений. Закон г. Москвы от 05.05.1999 № 17 (ред. от 07.05.2014).URL: <http://base.consultant.ru/cons/cgi/online.cgi?req=doc&base=MLAW&n=154428&from=16205-0&rnd=208987.06875910889357328&> (дата обращения: 18.05.2016)

Evgeniya Atamas

QUESTIONS OF A SUSTAINABLE DEVELOPMENT OF URBAN AREAS IN MODERN RUSSIA

Annotation

The article is devoted to theoretical aspects of formation of natural skeleton of the city. Green territories of the city are a basis of such skeleton. Also article gives information about influence of green territories on a development of the city. In article features of influence of city natural zones on quality of citizens' life are marked out.

*Жанат Мухтаровна Жусупова
Гулия Нурмагамбетова*

К ВОПРОСУ О КОРПОРАТИВНОМ УПРАВЛЕНИИ В РЕСПУБЛИКЕ КАЗАХСТАН

The management of business risks is essential to business success. It ensures balanced development, predictability and stability of the enterprise. Currently, the leading countries of the world have received widespread use derivative financial instruments as a modern efficient way to manage business risks.

The article deals with practical experience in the use of derivatives in the work of industrial enterprises of the Republic of Kazakhstan, revealed the mechanism of the transaction currency coupon swap in lending business and the principle of hedging financial risks of the borrower.

The article gives a real insight into the benefits of using derivative financial instruments to achieve the goal of eliminating the negative impact of risks on the work of the enterprise.

სოციალური კაპიტალის კონცეფციის ევოლუცია

უკანასკნელ პერიოდში ეკონომიკური ზრდის მრავალრიცხოვან ფაქტორებს შორის გამყოფენ ისეთ თავისებურ ელემენტებს, როგორცაა საზოგადოებაში ჩაბოჭილი ბეჭული სოციალური ურთიერთობები, სხვადასხვა სამეურნეო სუბიექტთა შორის არსებული ურთიერთობების ხასიათი და მათ შორის არსებული ნდობის ხარისხი, ანუ ყოველივე ის, რაც სოციალური კაპიტალის კონცეფციაში არის წარმოდგენილი.

მეცნიერულ ლიტერატურაში სოციალური კაპიტალის ფართო და სისტემატური შესწავლა და ანალიზი XX საუკუნის 80-იან წლებიდან იწყება. თუმცა, სოციალური კაპიტალის ამსახველ მოვლენათა აღწერა ჯერ კიდევ XIX საუკუნის დასაწყისს უკავშირდება.

პირველმა მეცნიერმა, ვინც ყურადღება გაამახვილა იმ ურთიერთობებზე, რომლებიც მომავალში „სოციალურ კაპიტალს“ ასახავდა, იყო XIX საუკუნის ფრანგი პოლიტიკური მოღვაწე და კონსერვატორული პარტიის ლიდერი, საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ალექსის დე ტოკვილი (Alexis de Tocqueville, 1805-1859). თავის ნაშრომში „დემოკრატია ამერიკაში“, რომელიც, თანამედროვე ფრანგი მეცნიერის ფრენსის ფუკუიამას (Yoshihiro Francis Fukuyama, დაიბ.27.10.1952) მტკიცებით, ამერიკული საზოგადოების ანალიტიკური კვლევის ერთ-ერთ ადრეულ სიდრმისეულ მცდელობას წარმოადგენს, ა. ტოკვილი წერდა „გაერთიანების ხელოვნებაზე“, რომელიც დამახასიათებელია ამერიკული საზოგადოებისათვის. XIX საუკუნის 30-იან წლებში აშშ-ში ყოფნის პერიოდში მან ყურადღება მიაქცია ამერიკელების მისწრაფებასა და უნარს სხვადასხვა სახის საზოგადოებებში (როგორცაა ლიტერატურული კლუბები, რელიგიური გაერთიანებები, მონობასან ბრძოლის ჯგუფები და სხვ.) ნებაყოფლობითი გაწევრიანებისკენ. ა. ტოკვილის შეხედულებით, ასეთი გაერთიანებები ცალკეულ ადამიანებს ერთიანი მიზნის მისაღწევად მიმართავდა და ძალას მატებდა მათ საერთო აქტივობებს. ა. ტოკვილი აღწერდა, რომ სხვადასხვა სახის გაერთიანებები მუდმივად ატარებდნენ შეხვედრებს სადაც ამერიკელები ბჭობდნენ ქვეყნისა და ერის საჭირობოროტ პოლიტიკურ-ეკონომიკურ და სოციალურ საკითხებზე. ეს შეხვედრები ტარდებოდა გამჭვირვალობისა და გულახდილი საუბრის პირობებში და მიმართული იყო მოსახლეობის ფართო მასების სოციალურ გაერთიანებაზე. ა. ტოკვილი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ იგი ემსახურებოდა მოსახლეობის აქტიურ ჩართვას საზოგადოებრივ საქმიანობაში, ანუ ეს შეხვედრები ხასიათდებოდა სოციალური ჩართულობის მაღალი დონით, რომელსაც ა. ტოკვილმა „გაერთიანების ხელოვნება“ უწოდა და სწორედ ეს ტერმინი ითვლება თანამედროვე სოციალური კაპიტალის ჩამოყალიბების წინაპირობად.

სოციალური კაპიტალის ამსახველ მოვლენაზე საუბრობდა მაქს ვებერი (Karl Emil Maximilian Weber, 1864-1920), საკუთარ ნაშრომში ის აღწერდა ისტორიას, რომელიც მას შეემთხვა ამერიკის შეერთებულ შტატებში მოზაზურობის დროს, როდესაც ის ესწრებოდა ბაპტისტად კურთხევის ცერემონიალს, სადაც ადამიანთა გარკვეული ჯგუფი შედიოდა ყინულიან წყალში რათა ისინი გამხდარიყვნენ სექტის წევრები. ვებერის ახლობელი, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებში გარკვეული დროის განმავლობაში ცხოვრობდა ვებერს ერთ-ერთ ადამიანზე მიუთითა და თქვა, რომ ის ბანკის გახსნას აპირებდა. უნდა აღინიშნოს, რომ ამ პერიოდში ამერიკის შეერთებული შტატების მთელ ტერიტორიაზე სექტები საკამოდ გავრცელებული იყო და ჩამოყალიბებული იყო სტერეოტიპი, რომ ადამიანები, რომლებიც გაწევრიანებული იყვნენ სექტებში, საქმიანობაში წარმატების მოპოვების უფრო მეტი შანსი ჰქონდათ. იმ შემთხვევაში, თუკი სექტის წევრს უწევდა ქვეყნის ერთი კუთხიდან მეორეში გადასვლა, მას აუცილებლად თან ჰქონდა ამა თუ იმ სექტის წარმომადგენლობითი საბუთი. სექტაში გაწევრიანებულ ადამიანებს ჰქონდათ მეტი შანსი, მიეღოთ ბანკისგან კრედიტი, აგრეთვე ეკონომიურად გაჭირვების დროს სექტა მათ ფინანსური დახმარებით უზრუნველყოფდა [12].

იმისათვის, რომ ბაპტისტთა გაერთიანებაში მოხვედრილიყო ადამიანი, აუცილებელი იყო, მას ეჩვენებინა სექტისთვის მტკიცე მორალური უნარ-ჩვევები, რომელსაც შეეძლო მისთვის პატივისცემა და ნდობა მოეტანა თავისი მომავალი საქმიანობისთვის. აუცილებელი არ იყო, ადამიანი აღნიშნული სექტის წევრი ყოფილიყო, თუმცა სექტაში ყოფნა უკვე ნიშნავდა ბიზნესისათვის აუცილებელი მტკიცე უნარ-ჩვევების ქონას.

ამ არგუმენტის გავრცობისას თეორიული მიმართულებით, როგორც ვებერი აღნიშნავდა, პროტესტანტული სექტები ძალიან მნიშვნელოვანი იყო ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიკის განვითარებისათვის. აღნიშნული გავლენა ხორციელდებოდა ასოციაციების ნებაყოფლობითი შექმნისა და ამ ასოციაციებში მყოფ ადამიანთა კონტროლისათვის. სექტების წევრებს უნდა ეჩვენებინათ ეთიკის ნორმები არა მხოლოდ სექტის შიგნით არამედ მის გარეთაც, ფაქტობრივად ადამიანი ხდებოდა ამა თუ იმ სექტის სახე. ვებერის ნაშრომში აღნიშნულია რიგი ელემენტებისა, რომელიც ასახავს სოციალურ კაპიტალს:

1. პიროვნული ურთიერთობები, რომლებიც გამოსახულია არაეკონომიკური აქტივობების დროს;

2. სოციალური ქსელების არსებობა ხელს უწყობდა ინფორმაციისა და ნდობის გავრცელებას, რაც შემდგომში ხელს უწყობდა ეკონომიკური განვითარებას, რადგან ისინი ხელს უწყობენ გაცვლას, ისევე, როგორც კლიენტსა და ფირმებს შორის ან ფირმებსა და საბოლოო კლიენტებს შორის, ვებერმა გარკვეული ტრანსაქციული ხარჯების შემცირების ხელშემწყობ ფაქტორად წარმოაჩინა ასეთი ურთიერთობები;

3. ვებერმა ინფორმაციულობა და ნდობა განსაზღვრა, როგორც მორალური მახასიათებლები, რომელთაც შეუძლიათ გააუმჯობესონ მიმოქცევაში შემეცნებითი რესურსების მაღალი ეკონომიკური ღირებულება, აღნიშნული კომპონენტები მან მიაკუთვნა ინოვაციას, რომელიც წარმოების საკუთრებად წარმოაჩინა [12].

ტერმინ სოციალური კაპიტალის ამსახველი მნიშვნელობის მოვლენათა განხილვა 1900 წელს განახორციელა ჯონ დევეიმ (John Dewey, 1859–1952).

ჯ. დევეიმ შექმნა „სოციალური პრაგმატიზმის თეორია“, სადაც განიხილა სოციალური კაპიტალის ამსახველი მოვლენების თავისებურებებსა და მათ კავშირებს სამოქალაქო საზოგადოებასთან. ჯ. დევეის შეხედულებით, სოციალური ურთიერთობები წარმოადგენს სოციალური კეთილდღეობისა და სოციალური პოლიტიკის უმთავრეს კომპონენტს, რომელიც მჭიდროდ არის დაკავშირებული სოციალურ დაცვასა და დემოკრატიასთან. ჯეიმს კემპბელის [6] მტკიცებით, ჯ. დევეისთვის უფრო მნიშვნელოვანი იყო კოოპერირების, თანამშრომლობის პროცესის განვითარება მაშინაც კი, როცა იგი არ იძლევა მკაფიოდ გამოხატულ შედეგებს. ჯ. დევეის „სოციალური პრაგმატიზმის თეორია“ მიმართული იყო ისეთი პოლიტიკის განვითარებაზე, რომელიც სოციალური კავშირების მეშვეობით ხელს შეუწყობდა ადამიანთა გაერთიანებების (ადამიანთა შორის სოციალური ქსელების) დამკვიდრებასა და გაძლიერებას და უნდა ეფუძნებოდეს:

1. პრაგმატიზმს;
2. სისტემატურ ექსპერიმენტულ მეთოდებსა და შეფასებებს;
3. საზოგადოებათა თანამშრომლობასა და ურთიერთდამოკიდებულებას.

ჯ. დევეის სწამდა, რომ ნებისმიერი საქმე უკეთ შესრულდება ადამიანთა გაერთიანებების (კავშირების) მიერ განხორციელებული ინიციატივების საფუძველზე. მისი წარმოდგენით ადამიანთა გაერთიანებებს აპრიორი გააჩნია განვითარების ტენდენცია და ამ ტენდენციის გაძლიერება ადამიანთა კეთილსინდისიერ და პატიოსან დამოკიდებულებას შეუძლია. სოციალური კაპიტალის შესწავლის დროს ჯ. დევეი არ განასხვავებდა საზოგადოების ეკონომიკურ და სოციალურ სექტორებს და მიზნად არ ისახავდა ფილოსოფიური თუ პრაქტიკული პრობლემების გადაჭრას. მისი მიზანი იყო იდეის პროპაგანდა, იმ სტრატეგიის გავრცელება, რომელიც ხელს უწყობდა თემის დემოკრატიულ განვითარებას. ის განიხილა სოციალურ კავშირებს, როგორც დემოკრატიის მშენებლობის ძლიერ ინსტრუმენტს.

ცნება, რომელსაც დღეს ჩვენ ტერმინში „სოციალური კაპიტალი“ ვგულისხმობთ, სიდრმისეულად ჰქონდა განხილული საზოგადოებრივ მოღვაწეს, სოფლის სკოლების ზედამხედველს, ამერიკელ ლიდა ჯადსონ ჰანიფანს (Lyda Judson Hanifan, 1879–1932) 1916 წელს. თავისი საქმიანობიდან გამომდინარე, ის ცდილობდა გამოეძებნა გზები სოფლის სკოლებში სწავლის ხარისხის ასამაღლებლად. მისი ღრმა რწმენით, ამ მიზნის მისაღწევად მნიშვნელოვანი მთელი საზოგადოების, მთელი სოფლის მოსახლეობის აქტიური ჩარევა, ხოლო ამისათვის მიზანშეწონილად ჩათვალა სოფლის სკოლებში საზოგადოებრივი ცენტრების გახსნა. ამ საკითხთან დაკავშირებულ დისკუსიაში მან განსაზღვრა სოფლის სკოლების საზოგადოებრივი ცენტრები, როგორც „სუბსტანციები, რომლებიც მნიშვნელოვანია ადამიანთა ყოველდღიურ ცხოვრებაში“ [7]. ეს „სუბსტანციები“, ჰანიფანის განმარტებით, იყო სოლიდარობა და სოციალური კავშირები იმ ადამიანთა შორის, რომლებიც ქმნიდნენ სოციალურ ჯგუფებს.

ანუ ტერმინი „სოციალური კაპიტალი“ ლ. ჯ. ჰანიფანმა გამოიყენა იმ გარემოებების აღსაწერად, რომლებიც გავლენას ახდენს სასოფლო სკოლებისა და თითოეული ადამიანის ყოველდღიურ ცხოვრებაზე. ამ გარემოებებზე პოზიტიური ზემოქმედების მიზნით, ჰანიფანის მოსაზრებით, აუცილებელია ადამიანებში ისეთი თვისებების განვითარება, როგორცაა ამხანაგობა, ადამიანთა შორის ურთიერთსიმპათია და, აგრეთვე, სოციალურ ურთიერთობათა ჩამოყალიბებისა და კომუნიკაციის უნარის განვითარება.

ლ. ჰანიფანმა წამოწია საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება სოციალური ჩართულობის დონის ამაღლება. ამ მსჯელობის განსამტკიცებლად მას მოყავდა აშშ-ს ადგილობრივი გაერთიანებების მაგალითი. ეს გაერთიანებები ეფუძნებოდნენ საშუალო და უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობას. ლ. ჰანიფანის აზრით, რეფორმების შედეგად სკოლა იქცა მოცემული გაერთიანებების ცენტრად. რეგულარული შეხვედრების ორგანიზებამ საშუალება მისცა გაერთიანებებში შემავალ მოსახლეობას, უფრო კრიტიკულად შეეხედათ და გადაეწყვიტათ მათ წინაშე მდგარი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებული იყო არა მხოლოდ განათლებასთან, არამედ სოციალური ინფრასტრუქტურისა და სხვა სოციალური დოვლათის განვითარებასთან. ლ. ჰანიფანმა დაასკვნა, რომ საერთო პრინციპებზე დაფუძნებულ საზოგადოებრივ ცენტრებში ინვესტირებას შეუძლია მოი-

ტანოს მნიშვნელოვანი მატერიალური შემოსავალი. ასეთი შეხედულება კი მომავლში დამახასიათებელი გახდა სოციალური კაპიტალის გაგებისათვის.

ტერმინი სოციალური კაპიტალი პირველად, 1960 წელს გამოიყენა ჯეინ იაკობსმა (Jane Jacobs), თუმცა მას არ მიუცია ამ ცნების ზუსტი განმარტება. ჯეინ იაკობსი იყენებდა ტერმინს „სოციალური კაპიტალი“, როგორც სოციალური კავშირების, სოციალური ქსელების მნიშვნელობის ამსახველ ცნებას და შეისწავლიდა სოციალური ქსელების ფასეულობას (the value of networks).

1969 წელს პოლიტიკურმა მეცნიერმა რობერტ სალისბურიმ (George Ralph Salisbry, 1921–2010) ამ ტერმინს განმარტება მისცა. მან განსაზღვრა სოციალური კაპიტალი, როგორც ადამიანთა გაერთიანების ჯგუფური ინტერესების კრიტიკული კომპონენტი. ეს ტერმინი რ.სალისბურმა გამოიყენა თავის ნაშრომში „საერთო ინტერესების მქონე ჯგუფების გაცვლითი თეორია“ ("An Exchange Theory of Interest Groups"), რომელიც გამოაქვეყნა Midwest Journal of Political Science [10].

სოციალური კაპიტალის პირველი სისტემატური ანალიზი XX საუკუნის 70-80-იან წლებში განხორციელდა ფრანგმა სოციოლოგმა პიერ ბურდიემ (Pierre Bourdieu, 1930-2002) მიერ. პ.ბურდიემ განასხვაებდა კაპიტალის ოთხ ფორმას: ეკონომიკურ კაპიტალს, კულტურულ კაპიტალს, სიმბოლურ კაპიტალს და სოციალურ კაპიტალს. პ.ბურდიემ თვალსაზრისით, სოციალური კაპიტალი წარმოადგენს არსებული (ანუ, რომელიც ამჟამად გამოიყენება) და პოტენციური (ანუ, რომლის გამოყენება შესაძლებელი იქნება მომავალში) რესურსების ერთობლიობას, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანებს ან/და ადამიანთა ჯგუფებს და რომელიც დაკავშირებულია ნაცნობობის ან ურთიერთობის მეტ-ნაკლებად მყარ ინსტიტუციურ ურთიერთობებთან [1, გვ. 248]. პ.ბურდიემ შეხედულებით, სოციალური კაპიტალი „შედგება სოციალური ვალდებულებებისაგან (კავშირებისაგან), რომლებიც გარკვეულ პირობებში შეიძლება გადაიცვალოს ეკონომიკურ კაპიტალზე“ [1, გვ. 243].

ვ.ბეიკერი (W.Baker) განიხილავდა სოციალურ კაპიტალს როგორც რესურსს, რომელიც საზოგადოების წევრებს გამოჰყავთ სპეციფიკური სოციალური სტრუქტურებიდან და რომელიც გამოიყენება მათი ინტერესების დასაკმაყოფილებლად. ვ.ბეიკერის აზრით, სოციალური კაპიტალი წარმოიშობება, როგორც ადამიანთა შორის ურთიერთობათა ჩამოყალიბების შედეგი [2, გვ. 619].

მ.ბელივიე (M.Belliveau) და მისი თანაავტორები ორელი (C. A O'Reilly) და ვეიდი (J. B.Wade) განიხილავდნენ სოციალურ კაპიტალს, როგორც ადამიანთა პირად კავშირებს [3, გვ. 1572].

ე.ბოქსმანი (Boxman, E. A.), დე გრაი (P. M De Grant) და ფლეპი (H. D Flap) სოციალურ კაპიტალში ხედავენ „ადამიანთა ერთობლიობას და მათ განკარგულებაში არ სე ბულ რესურსს, რომელთაგან ელოდებიან ხელშეწყობას“ [4, გვ. 52] ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, მათთვის სოციალური კაპიტალი არის ადამიანთა ისეთი კავშირი, რო მე ლიც მიმართულია ამ კავშირში შემაგვალ სუბიექტთა ურთიერთხელშეწყობაზე.

რ.ბურტი (Ronald Burt) იღევა სოციალური კაპიტალის უფრო პირდაპირ განმარტებას და წერს, რომ სოციალური კაპიტალი მოიცავს მეგობრების, კოლეგების და საერთოდ ყველა კონტაქტის ფართო წრეს, რომელის ადამიანებს აძლევს შესაძლებლობას, გამოიყენონ ერთმანეთის და თავიანთი ახლობლების ფინანსური და პირად-ადამიანური კაპიტალშესაძლებლობები [5, გვ.9].

ა. პორტესის (Alejandro Portes) აზრით, სოციალური კაპიტალი წარმოადგენს ადამიანთა უნარს, უზრუნველყონ საკუთარი სარგებელი სოციალურ ქსელებში ან სხვა სოციალურ სტრუქტურებში გაწევრიანების საფუძველზე [8, გვ. 22].

ა. ვალისი (Allan Wallis) განიხილავდა სოციალურ კაპიტალს, როგორც საერთო ღირებულებების მქონე ინდივიდებს შორის ჩამოყალიბებულ ფორმალურ და არაფორმალურ სოციალურ კავშირებს და განასხვაებდა სოციალური კაპიტალის ორ სახეს: 1). ლოკალური სოციალური (banding capital) კაპიტალი, რომელიც აერთიანებს ერთ ან მომიჯნავე საზოგადოებებში მცხოვრებ ადამიანებს, 2). დამაკავშირებელი კაპიტალი (ბრიდინგ კაპიტალი), რომელიც აერთიანებს შორ მანძილზე მცხოვრებ ინდივიდებს ან შორ მანძილზე მდებარე ორგანიზაციებს [9].

ე. ვალის (Ellen Wall) და კ. ფერაზის (Keith Ferrazzi) შეხედულებით, სოციალური კაპიტალი – ესაა ადამიანთა გაერთიანებებში არსებული ურთიერთდამოკიდებულება, ურთიერთქმედება და ნდობის დონე, რომლებიც ჩნდება ადამიანთა ჯგუფებს შორის. მათი შეხედულებით, არსებობს აშკარა მტკიცებულება იმისა, რომ სოციალური კაპიტალი ხელს უწყობს ეკონომიკურ ზრდას, სოციალურ მობილობას, პოლიტიკურ აღიარებას, საზოგადოებრივი აქტივობისა და სწავლის დონის ამაღლებას [11, გვ. 304].

მაშასადამე, ცნება „სოციალური კაპიტალი“ წარმოიშვა პოლიტიკურ მეცნიერებათა ფარგლებში, განვითარდა სოციოლოგიის წიაღში და შემდეგ ეკონომიკურ მეცნიერებაში დაიმკვიდრა ადგილი. ცნება „სოციალური კაპიტალი“ თავისი ბუნებით არის ინტერდისციპლინური და, სწორედ ამის გამო, ეკონომიკურ მეცნიერებაში სოციალურ კაპიტალთან დაკავშირებული კვლევები ინტერდისციპლინური თვალსაზრისით განიხილება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Bourdieu, P. The Forms of Capital. Pp. 241-58 in Handbook of theory and research for the sociology of education, edited by John G Richardson. New York: Greenwood Press. 1986.
2. Baker, W. 1990. Market Networks and Corporate Behaviour. American Journal of Sociology 96: 589 - 625.

3. Belliveau, M. A, C. A O'Reilly, and J. B Wade. 1996. Social Capital at the Top: Effects of Social Similarity and Status on CEO Compensation. *Academy of Management Journal* 39: 1568 – 1593.
4. Boxman, E. A. W, P. M De Grant, and H. D Flap. 1991. The Impact of Social and Human Capital on the Income Attainment of Dutch Managers. *Social Networks* 13: 51 – 73.
5. Burt, Ronald. *Structural Holes: The Social Structure of Competition*. Cambridge: Harvard University Press. 1992.
6. Campbell, James. *Understanding John Dewey: Nature and cooperative intelligence*. Chicago: Open Court. 1995.
7. Farr James, *SOCIAL CAPITAL: A Conceptual History*, University of Minnesota. *POLITICAL THEORY*, Vol. 32 No. 1, February 2004, pp. 6-33.
8. Portes, Alejandro. 1998. "Social capital: its origins and applications in modern sociology." *Annual Review of Sociology* 24: 1-25.
9. Wallis Allan. Social capital and community building. *National Civic Review*, 87(4), 1998, 317- 337.
10. Salisbury George Ralph, An Exchange of Interest Groups. *Midwest Journal of Political Science*, Vol.13, No. 1, 1969, pp. 1-32.
11. Wall Ellen, Ferrazzi, Gabriele, & Schryer Frans, Getting the goods on social capital. *Rural Sociology*, 1998, 63(2), 300-322.
12. Вебер Макс. Религиозная основа мирского аскетизма. – М.: Ист-Вью, 2002.

Tamila Arnanian-Kepuladze
Giorgi Kepuladze

THE EVOLUTION OF SOCIAL CAPITAL CONCEPT Annotation

The paper considers social capital as an interdisciplinary category. The article aims to study the steps of its evolution. As it was shown, the concept of social capital was established within the political science, then it was developed by sociology, and nowadays it is widely used in economic science as well.

ნუნუ აჩუაშვილი
ცირა ელგენდარაშვილი

სიღარიბის და უმუშევრობის მსოფლიო პრობლემა და საქართველო

დღეისათვის სიღარიბე ერთ-ერთი მთავარი პრობლემაა მსოფლიოში არსებულ გლობალურ ეკონომიკურ პრობლემებს შორის. იგი განსაკუთრებულ მასშტაბებს იძენს განვითარებად ქვეყნებში და სერიოზულ სოციალურ საფრთხეს წარმოადგენს არა მხოლოდ ეროვნული, ასევე მსოფლიო განვითარებისათვის. საბაზრო ეკონომიკის პირობებში შემოსავლების დინამიური ზრდის და ცხოვრების დონის გაუმჯობესების ძირითადი მექანიზმი მდგომარეობს კონკურენტუნარიანი საქონლის და მომსახურების შექმნაში როგორც საწარმოებში, დარგებში, რეგიონებსა და მთლიანად ქვეყანაში.

სიღარიბე ყველა დროში იყო დედამიწის მოსახლეობის ცხოვრების თანამგზავრი. XX საუკუნეში შეიცვალა სიღარიბის კონცეფცია, მაგრამ არსის შეფასების მეთოდი არ შეცვლილა. სიღარიბის შესაფასებლად შემოღებულ იქნა საარსებო მინიმუმი, რომლის საფუძველზეც განისაზღვრება სად გადის სიღარიბის ზღვარი მსოფლიოს ყველა ქვეყანაში. მოსახლეობის შემოსავლები წარმოადგენს კეთილდღეობის ინდიკატორს და სიღარიბის რაოდენობრივი გამოკვლევისას მთავარი ამოცანაა, გამოვლინდეს ოჯახები, როგორც ღარიბები, ოჯახის წევრების რაოდენობის და ასაკის მიხედვით.

სიღარიბის პრობლემის დაძლევაში გვეხმარება განვითარებული ქვეყნების გამოცდილება, რომელზე დაყრდნობითაც განისაზღვრება სიღარიბის ხაზი (ზღვარი). უცხოური პუბლიკაციების ანალიზით უნდა გავაკეთოთ დასკვნები. სიღარიბის კრიტერიუმად რჩება ოჯახის ერთ წევრზე შემოსავალი.

ყოფილ საბჭოთა ქვეყნებში უფრო მეტად გავრცელდა მეთოდი – „სამომხმარებლო კალათა“, რომელიც ფიზიოლოგიური და რაციონალური ნორმატივების მეთოდს ეფუძნება. 2014 წლის გლობალური სიღარიბის სტატისტიკური ფაქტები შემდეგია:

1. მსოფლიო მოსახლეობის 80% ცხოვრობს 10 დოლარზე დაბალი შემოსავლით დღეში;
2. 9-დან 1 ადამიანს არა აქვს წვდომა სუფთა და უსაფრთხო წყალზე;
3. აფრიკაში სიკვდილის 90% ხდება მაღარიით, რომლის 80% ბავშვია;
4. ამერიკაში 7-დან 1 ადამიანი ცხოვრობს სიღარიბის ზღვარზე;
5. 6 მილიარდი დოლარია საჭირო, რომ მსოფლიოში ყველა ადამიანი შეძლოს, მიიღოს საბაზისო განათლება;

6. ყოველი მესამე ადამიანი ცხოვრობს ელექტროენერჯის გარეშე;
7. ყოველი მეორე ბავშვი ცხოვრობს სიღატაკში;

8. შიმშილი არის სიკვდილის ძირითადი მიზეზი.

უმუშევრობას, როგორც რთულ სოციალურ მოვლენას, აქვს მთელი რიგი დადებითი და უარყოფითი სოციალურ-ეკონომიკური შედეგები.

I. უმუშევრობის უარყოფითი სოციალური შედეგები:

- ა. კრიმინალური სიტუაციის გამწვავება;
 - ბ. სოციალური დაძაბულობის ზრდა;
 - გ. სულიერი და ფიზიკური დაავადებების ზრდა;
 - დ. სოციალური დიფერენციაციის ამაღლება;
 - ე. შრომითი აქტივობების დაქვეითება.
- II. დადებითი შედეგები:
- ა. სოციალური ფასეულობების ამაღლება (სამუშაო ადგილი);
 - ბ. პირადი თავისუფალი დროის გამოთავისუფლება;
 - გ. სამუშაო ადგილის შერჩევის თავისუფლება;
 - დ. შრომის სოციალური მნიშვნელობის და ღირებულების ამაღლება.

III. უმუშევრობის ეკონომიკური შედეგები.

უარყოფითი:

- 1. სწავლის შედეგის გადაფასება;
- 2. წარმოების შეკვეცა;
- 3. უმუშევრობისადმი დახმარების ხარჯები;
- 4. კვალიფიკაციის დაქვეითება;
- 5. ცხოვრების დონის დაქვეითება;
- 6. ეროვნული შემოსავლის შემცირება;
- 7. გადასახადების შემცირება;

დადებითი:

- 1. სამუშაო ძალის რეზერვის შექმნა ეკონომიკის სტრუქტურული გარდაქმნისათვის;
- 2. მშრომელებს შორის კონკურენცია შრომითი ჩვევების დაუფლებაში.

მრავალი ეკონომისტის აზრით, სიღარიბის და ჩამორჩენილობის პრობლემის გადასაჭრელად აუცილებელია დამუშავდეს ქვეყნების „ეფექტური ნაციონალური განვითარების სტრატეგია“, რომელიც უნდა დაეფუძნოს შიდა ეკონომიკური რესურსების კომპლექსურ მიდგომას, რომელიც მოემსახურება თანამედროვე ეკონომიკის შექმნას და მოგვცემს მყარ ეკონომიკურ ზრდას. გათვალისწინებული უნდა იყოს ინდუსტრიალიზაცია და პოსტინდუსტრიალიზაცია, ლიბერალიზაცია და სამეურნეო ცხოვრება, აგრარული ურთიერთობები, განათლების რეფორმა, ჯანდაცვის სისტემის გაუმჯობესება, უთანასწორობის შემცირება, სწორი დემოგრაფიული პოლიტიკის გატარება.

სიღარიბის და უმუშევრობის პრობლემის დაძლევაში ერთ-ერთი საყურადღებო ფაქტორია უცხოური ინვესტიციები, როგორც პირდაპირი, ასევე პორტფელური, რომელთა მოზიდვასაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს. ასევე საყურადღებოა ქვეყანაში საბანკო სექტორის განვითარება. სწორედ ამ ფინანსური რესურსების დახმარებით განვითარდებიან უფრო ჩქარა განვითარებადი ქვეყნები. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ეს ფინანსური რესურსების ნაკადი არ უნდა შეერწყას ქვეყანაში არსებულ კორუფციას და უბრალოდ ქურდობას, რომელიც საკმაოდ ფართოდ არის გავრცელებული განვითარებად ქვეყნებში. ასევე არ უნდა მოხდეს მიღებული რესურსების არაეფექტური გამოყენება.

სიღარიბის დამარცხების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია ეკონომიკური ზრდა. იმიტომ, რომ ზუსტად ის აუმჯობესებს ერთობლივ ეროვნულ შემოსავალს და ხელს უწყობს მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებას.

სიღარიბის და შიმშილის პრობლემა არ გადაიჭრება ინოვაციური პროგრამების დანერგვის გარეშე, საწვავის და ენერჯის ალტერნატიული წყაროს გამოხატვის გარეშე. ამ პრობლემასთან ბრძოლაში გამოყენებული უნდა იქნეს სახელმწიფოს მხარდაჭერა, რომელიც უნდა განხორციელდეს სოციალურ-ეკონომიკური დონისძიებებით, მიმართულებებით, რომელიც მოიცავს კადრების პროფესიულ გადამზადებას, სამუშაო ადგილების მოძიებას და მთლიანად მოსახლეობის დასაქმებას.

აღნიშნული პრობლემა დღეს მეტად მწვავედ დგას ჩვენი ქვეყნის სინამდვილეში. NDI-ს კვლევების მიხედვით ირკვევა, რომ საქართველოს მოსახლეობის ყველაზე მთავარ სამ პრობლემად მოსახლეობის სიღარიბე, უმუშევრობა და ფასების ზრდა სახელდება. დასაქმების და უმუშევრობის მდგომარეობა საქართველოში მოცემულია 1 ცხრილში.

ცხრილი 1

	2010	2011	2012	2013	2014
ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა (სამუშაო ძალა) ათასი კაცი	1944.9	1959.3	2029.1	2003.9	1991.1
დასაქმებული. ათასი კაცი	1628.1	1664.2	1724.0	1712.1	1745.2
უმუშევარი. ათასი კაცი	316.9	295.1	305.1	291.8	246.0
უმუშევრობის დონე %	16.3	15.1	15.0	14.6	12.4

ცხრილში მოცემული მონაცემები აჩვენებს, რომ უმუშევართა რაოდენობა და უმუშევრობის დონე შემცირების ტენდენციით ხასიათდება, ამავე დროს გაზრდილია, დასაქმებულთა რიცხვი რაც ძალიან კარგია. 2010–2014წწ-ში დასაქმებულთა რაოდენობა გაზრდილია 33.1 ათასი კაცით, უმუშევართა რაოდენობა შემცირებულია 45.8 ათასი კაცით და უმუშევრობის დონე შემცირებულია 15%-ით, მაგრამ ამ ფონზე საყურადღებოა ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის შემცირება იმავე პერიოდში 0.64%-ით.

საქ. სტატის მონაცემებით, 2010–2014 წლებში მოსახლეობის რიცხოვნობა გაზრდილია 54.1 ათასი კაცით, ზემოთ მოცემული ცხრილი კი 2013–2014 წლებში ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის კლებას აფიქსირებს. ამ ფაქტს კი არანაკლებ მნიშვნელოვან პრობლემად მიეცემა ეს არის მიგრაცია. საქართველოს მოსახლეობის მიგრაციის შესახებ ინფორმაცია მოცემულია ცხრილში 2.

ცხრილი 2

წლები	2010	2011	2012	2013	2014	2015
მიგრაციის საღლო ათასი კაცი	18.1	20.2	-21.5	-2.6	-6.5	-3.4

ცხრილის მონაცემების მიხედვით, მიგრაციის საღლო დადებითია მხოლოდ 2010–2011 წლებში და აღნიშნულ პერიოდში იგი გაზრდილია 11.6%-ით. მდგომარეობა გაუარესებულია 2012 წელს და 2015 წლისთვისაც ხასიათდება უარყოფითი მაჩვენებლით.

ქვეყნის კეთილდღეობას კარგად ახასიათებს მოსახლეობის 1 სულზე საარსებო მინიმუმის რაოდენობა. ამ შემთხვევაში აუცილებლად უნდა გაანალიზდეს ქვეყნის ეროვნული ვალუტის მყიდველობითი უნარიანობა და მისი დამოკიდებულება უცხოურ ვალუტებთან მიმართებაში. 2014 წლიდან დაიწყო ლარის კურსის გაუარესება უცხოურ ვალუტებთან მიმართებაში და აშშ დოლართან 2015 წელს მიაღწია საგანგაშო ნიშნულს – 2.52 ლარს. ეს გამოწვეულია როგორც ქვეყანაში, ისე რეგიონში შექმნილი მძიმე მდგომარეობის გამო. შრომისუნარიანი ასაკის მამაკაცის საარსებო მინიმუმი მოცემულია ცხრილში 3.

ცხრილი 3

	2016		
	იანვარი	თებერვალი	მარტი
შრომისუნარიანი ასაკის მამაკაცის საარსებო მინიმუმი ლარში	164.2	163.2	161.6

ცხრილში მოცემული მონაცემები ახასიათებს საარსებო მინიმუმის კლებას. მარტში, იანვართან შედარებით, შემცირებულია 0.6%-ით, ხოლო თებერვალთან შედარებით – 0,98%-ით.

სიღარიბესთან აქტიური ბრძოლის წარმოებაში მნიშვნელოვანია, დადგინდეს სიღარიბის ზღვარი, რომლის დადგენაც საშუალებას აძლევს სახელმწიფოს, შეჭირვებულ მოსახლეობაზე გასცეს სოციალური დახმარებები და ტრანსფერები. საქართველოში სიღარიბის ზღვარს ქვევით მყოფი მოსახლეობის წილი მოცემულია ცხრილში 4.

ცხრილი 4

	2009	2010	2011	2012	2013	2014
სიღარიბის ზღვარს ქვევით მყოფი მოსახლეობის წილი (რეგისტრირებული სიღარიბე %)	9.9	9.7	9.2	9.7	9.7	11.6

ცხრილში მოცემული მონაცემების მიხედვით, 2009 – 2013 წლებში სიღარიბის ზღვარს ქვევით მყოფი მოსახლეობის ხვედრითი წილი უმნიშვნელოდ იცვლება, რასაც ვერ ვიტყვით 2014 წელს. 2013 წელთან შედარებით იგი გაზრდილია 1.9%-ით, ხოლო 2009 წელთან შედარებით ზრდის ტემპი შეადგენს 1.7%-ს.

საქართველოში სიღარიბის და უმუშევრობის პრობლემის ანალიზის შედეგები საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ საკითხი მეტად მწვავეა და მოითხოვს მთელი რიგი კომპლექსური ღონისძიებების გატარებას, თანამშრომლობას მსოფლიოს ცივილიზებულ ნაწილთან და მათი გამოცდილების გაზიარებას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. center-yf.ru/data/kadrovika;
2. knowledge.allbestru;
3. Масаов. Д. Г. Мировая экономика Учебное пособие -2006 г.
4. GeoStat.Ge.
5. <https://www.nbg.gov.ge>

POVERTY AND UNEMPLOYMENT, AS A GLOBAL PROBLEM AND GEORGIA

Annotation

In the article is reviewed poverty and unemployment, as a global problem. The article analyzes the situation in Georgia with this problem and devices to reduce its impact.

ხათუნა თოდუა

მოსახლეობის უმეცობის დონის სტატიკის უცხოური გამოცდილება

თანამედროვე საქართველოს ეკონომიკაში მრავალი პრობლემაა, რომელიც გადაუდებელ რეაგირებას მოითხოვს, მათ შორის ერთ-ერთი უმწვავესია უთანასწორობის მაღალი დონის პრობლემა – სხვადასხვა საზოგადოებრივი ფენების შემოსავლებს შორის დიდი განსხვავება; მოსახლეობის მკვეთრი დიფერენცირება შემოსავლების მიხედვით მეტად უარყოფით გავლენას ახდენს ეკონომიკურ და სოციალურ მაჩვენებლებზე, ზოგადად, ცხოვრების დონეზე, ამიტომ უთანასწორობის დონის შემცირების გზების ძიება ძალიან მნიშვნელოვანია.

ნოტიუნების უნივერსიტეტის პროფესორის – რიჩარდ უილკინსონის გამოკვლევით დასტურდება, რომ არსებობს ერთგვარი მიზეზშედეგობრივი კავშირი მოქალაქეთა ცხოვრების საერთო დონესა და ქვეყანაში შემოსავლების დიფერენციაციას შორის. უილკინსონის უმთავრესი დასკვნა ისაა, რომ ცალკეულ მოქალაქეთა კეთილდღეობის განმსაზღვრელი ძირითადი ფაქტორი არის ის, თუ როგორ ხდება შემოსავლების გადანაწილება სხვადასხვა ეკონომიკურ დონეებზე.

ზოგადად შესაძლებელია შემოსავლების რეგულირება სამ სხვადასხვა დონეზე, კერძოდ:

1. საერთო-ეროვნულ დონეზე – როცა შემოსავლები გადანაწილება ცალკეულ სოციალურ ფენებს შორის. ამ პროცესს აკონტროლებს სახელმწიფო და საზოგადოება,
2. რეგიონულ დონეზე, როცა შემოსავლების გადანაწილება ხორციელდება მდიდარიდან ღარიბი რეგიონებისაკენ, ასევე, სტიმულირების პოლიტიკის გატარება ჩამორჩენილ რეგიონებში. რეგულირებას ძირითადად ახდენს სახელმწიფო, მუნიციპალური მმართველობა, საზოგადოება;
3. შიდასაფირმო დონეზე – შემოსავლების გადანაწილებას ადგილი აქვს ფირმის (კორპორაციის) მუშაკებს (მათ შორის ტოპმენეჯერებს) შორის. ამ შემთხვევაში შემოსავლების გადანაწილებას უზრუნველყოფს ძირითადად ფირმის ხელმძღვანელი აპარატი (ტოპმენეჯმენტი), აგრეთვე პროფკავშირები და საზოგადოება.

მსოფლიოში შემოსავლების გადანაწილების ყველაზე წარმატებულ პრაქტიკას დღესდღეობით შეედითი ახორციელებს, ამიტომ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამ ქვეყნის გამოცდილება მოცემულ სფეროში.

1. შედეგით წარმატებით ახორციელებს შემოსავლების რეგულირებას საერთოეროვნულ დონეზე; შედეგით მთავრობამ შეძლო, უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში შეენარჩუნებინა მოსახლეობის შემოსავლების დიფერენციაციის დაბალი მაჩვენებლები (ცხრ. 1), ეკონომიკური სტაბილურობა, ინფლაციისა და უმუშევრობის შედარებით დაბალი დონეები; ამ წარმატების ძირითადი საიდუმლო შედეგით საგადასახადო პოლიტიკაში უნდა ვეძიოთ. საგადასახადო შემოსავლები შედეგით შეადგენს სახელმწიფო შემოსავლების მნიშვნელოვან ნაწილს. დღეისათვის შედეგით საგადასახადო სტრუქტურაში 38% მოდის ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადზე, რომელიც გამოირჩევა პროგრესული ორდონიანი სკალით, მინიმალური ზღვარი 30%-ის დონეზეა, ხოლო მაქსიმალური შეადგენს 55 %-ს (ის ეკისრებათ პირებს, რომლებიც წელიწადში 320 ათას შედეგურ კონზე მეტ შემოსავალს იღებენ); 61% მოდის შრომაზე გადასახადზე, რომელშიც იგულისხმება სოციალური უზრუნველყოფის შენატანები საშემოსავლო გადასახადთან ერთად. ისიც საგულისხმოა, რომ 26 წლამდე ასაკისა და 66 წელზე ხანდაზმული მუშაკებისათვის დაწესებულია გადასახადის შედარებით დაბალი განაკვეთები.

ღრმად გააზრებული საგადასახადო პოლიტიკის გატარებისა და საგადასახადო მექანიზმების ეფექტიანი ფუნქციონირების, აგრეთვე აქტიური სოციალური პოლიტიკის გატარების მეშვეობით შედეგით უზრუნველყოფილია შემოსავლების სამართლიანი გადანაწილება და ცხოვრების მაღალი დონე.

მაჩვენებლები	შედეგით	საქართველო	მნიშვნელობათა შეფარდება (საქართველო/შედეგით)
დეცილური კოეფიციენტი	5,94	18	3,03
ჯინის კოეფიციენტი	0,26	0,53	2,04

ცხრილი 1 შემოსავლების მიხედვით საზოგადოების დიფერენცირების მაჩვენებლები.

მოსახლეობა უზრუნველყოფილია უფასო (მათ შორის უმაღლესი) განათლებით, სამედიცინო მომსახურებით, სოციალური დაცვის ინსტრუმენტებით. ამასთან, მთავრობის მიერ შეთავაზებული მომსახურება უმაღლესი ხარისხისაა, რისი დადასტურებაც თუნდაც ის, რომ შვედეთი მსოფლიოში მე-2 ადგილზეა (აშშ-ს შემდეგ) უმაღლესი განათლების ხარისხით.

2. შემოსავლების გადანაწილება რეგიონულ დონეზე. შვედეთში სახეზეა რეგიონების არათანაბარი განვითარების პრობლემა – ჩრდილოეთის ტერიტორიები ნაკლებად დასახლებული და ნაკლებად განვითარებულია, ხოლო ქვეყნის ცალკეული ოლქები და დედაქალაქი სტოკჰოლმი, სადაც მოსახლეობის 20,4% ცხოვრობს, ბევრად უფრო მჭიდროდ დასახლებული და განვითარებულია (ასეა საქართველოშიც, სადაც მოსახლეობის სიმჭიდროვე, დასახლებების სიდიდე, ურბანული და სასოფლო დასახლებების ტიპები და განვითარების დონე სხვადასხვა რეგიონში ძალიან განსხვავდება – მთათაშორის დაბლობებში, სადაც ძირითადი სატრანსპორტო მარშრუტები გადის და რომლებიც ყველაზე ნაყოფიერი ადგილებია, და შავი ზღვის სანაპირო ზოლში მოსახლეობა ისტორიულად შედარებით დიდი რაოდენობით და მჭიდროდაა დასახლებული, ხოლო მთიან რეგიონში – მეჩხრად, ქ. თბილისში კი მოსახლეობის მეოთხედზე მეტია თავმოყრილი).

ყოველივე ეს აიძულებს შვედეთის მთავრობას, აქტიურად ჩაერიოს რეგიონების შემოსავლების გადანაწილებაში, რისთვისაც შემუშავებულია სპეციალური 5-პუნქტიანი სტრატეგია. შემოსავლების გამოთანაბრების სტრატეგია აგებულია ქვეყნის ცალკეული რეგიონების საგადაამხდლო პოტენციალის ზღვრული დონეების შეფასებასა და შედარებაზე; ტერიტორიული ერთეულები დიდი საგადასახადო ბაზითა და მაღალი საგადაამხდლო პოტენციალით მეტს იხდიან ფედერალურ ბიუჯეტში, რის ხარჯზეც ხდება შედარებით დაბალი საგადასახადო ბაზის მქონე მუნიციპალიტეტებისა და რეგიონების სუბსიდირება.

აგრეთვე რეგიონები, რომლებიც გარკვეული სპეციფიკური პრობლემების წინაშე დგანან და საჭიროებენ დამატებით სახსრებს (მაგ., ცალკეულ რეგიონებში უფრო მეტი ხანდაზმული ადამიანია, რომელთაც ესაჭიროებათ ფინანსური მხარდაჭერა; ან კიდევ, შედარებით მეჩხრად დასახლებულ რეგიონებში სკოლები საშუალოდ ერთი ბავშვის სწავლებაზე ხარჯავენ მეტს და საჭიროებენ დამატებით დაფინანსებას), მთავრობისაგან იღებენ გრანტს (სუბსიდიას). მთავრობის მიერ გაცემულმა სუბსიდიებმა, მაგალითად, 2008 წელს შეადგინა 62,5 მლნ კრონა, აქედან 73,4% გადაერიცხათ დასახლებულ პუნქტებს, ხოლო დანარჩენი – ოლქების წარმომადგენლებს.

მოქალაქეთა შემოსავლების თანაბარი განაწილების ხელშემწყობი ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია კომპანიების პოლიტიკა თავისი თანამშრომლების მიმართ. სამუშაო ძალის უდიდესი ნაწილი თანამედროვე კაპიტალისტურ ქვეყნებში დასაქმებულია კერძო სექტორში (საქართველოშიც 2015 წელს სახელმწიფო სექტორში დასაქმებული იყო 55 946 კაცი, მაშინ როდესაც კერძო სექტორში დასაქმებულთა რაოდენობამ დაახლოებით 9-ჯერ მეტი - 512 688 კაცი შეადგინა); შესაბამისად, მოსახლეობის შემოსავლების განაწილებაზე ზეგავლენას ახდენს არა იმდენად სახელმწიფო, რამდენადაც თვით კორპორაცია.

ამ კუთხით აღსანიშნავია, რომ თანამედროვე პირობებში მსხვილი კომპანიების პოლიტიკის განუყოფელი ნაწილი თანდათან ხდება ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა (CSR). სოციალური პასუხისმგებლობის პოლიტიკის ნებაყოფლობითი მიდგომების გამოყენება ეფუძნება ბაზრისა და საზოგადოებრივ სტიმულებს.

დღეს დასავლეთის მომხმარებლებს და, შესაბამისად, გამსაღებლებს აინტერესებთ არა მხოლოდ პროდუქციის ხარისხი, არამედ მისი წარმოების პროცესის სოციალური და ეკოლოგიური პარამეტრები, რაც სწორედ CSR-ს მეშვეობით რეგულირდება.

სახელმწიფოს და კომპანიების ეფექტიანი თანამშრომლობის მაგალითები კორპორაციების სოციალური პასუხისმგებლობის სფეროში მრავლადაა დასავლეთის წარმატებული ქვეყნების, მოცემულ შემთხვევაში, შვედეთის პრაქტიკაში.

შვედური კომპანიები მსოფლიოში გამოირჩევიან კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის მაღალი დონით. შვედეთმა პირველი ადგილი აიღო 108 ქვეყანას შორის რეიტინგში, რომელიც შედგენილ იყო დამოუკიდებელი არაკომერციული ორგანიზაციის - Account Ability-ს მიერ; ანალიტიკოსები მიუთითებენ, რომ მსხვილი შვედური კორპორაციების 72% ადგენს ყოველწლიურ ოფიციალურ ანგარიშებს კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის სფეროში საკუთარი მიღწევების შესახებ.

სოციალური პასუხისმგებლობის განვითარება მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ეროვნული პოლიტიკის სტრატეგიული მიზნების განხორციელებაზე და ხელს უწყობს ცალკეულ (ეკონომიკურ, სოციალურ, გარემოსდაცვით) სექტორებში არსებული მრავალი პრობლემის, მათ შორის შემოსავლების არათანაბარი განაწილების, სიღარიბის, უმუშევრობისა და სხვა პრობლემების დაძლევას, შესაბამისად, განვითარებადი ქვეყნების, მათ შორის საქართველოს მთავრობისათვის განსაკუთრებით აქტუალურია CSR-ს გამოყენება.

თანამედროვე ქართულმა კომპანიებმა დროის მოთხოვნის შესაბამისად უნდა გარდაქმნან თავიანთი ყოველდღიური საქმიანობა და უფრო აქტიურად ჩართონ მასში სოციალური პასუხისმგებლობის პრინციპები.

მოსახლეობის შემოსავლების დონის სტაბილიზაცია, შემოსავლების დიფერენციაციის შემცირება ზრდის საზოგადოების კეთილდღეობის დონეს, ამიტომ ისეთი ქვეყნისათვის, როგორც საქართველოა, სადაც აღინიშნება მოსახლეობის შემოსავლების დიფერენციაციის მაღალი დონე, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შევადეთის მთავრობისა და შევადური კომპანიების მოწინავე გამოცდილების გამოყენება შემოსავლების უფრო აქტიური გადანაწილების უზრუნველყოფის მიზნით, რასაკვირველია, ჩვენი ქვეყნის ეკონომიკურ-გეოგრაფიული თავისებურებებისა და სპეციფიკის გათვალისწინებით.

გამოყენებული ლიტერატურა

1. რ. ასათიანი, საით მიდის საქართველო? (სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კონცეპტუალური ანალიზი), თბ., 2014.
2. 2015-2017 წლების საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამა.
3. Бакаленко А., Опыт Швеции в стабилизации уровня доходов, М., 2014.
4. Blomback Anna, Wigra-kristoferson Caroline, Corporate responsibility practices in Swedish retail-identifying differences between independent stores and chain stores, 2011.

Khatuna Todua

THE FOREIGN EXPERIENCE OF POPULATION'S INCOME'S LEVELS STABILIZATION Annotation

The acute differentiation of population on the basis of income levels has a negative impact on economic and social indications, and therefore, on the quality of life in general. So, it's very important to seek the ways of reducing the level of differentiation.

The most successful practices in the field of income equalization is implemented nowadays by Sweden. It's achieved by implementation of thoughtful tax policy and effective tax arrangements, as well as by providing an active social policy. Thus, there is obtained the fair distribution of incomes and as a result, the high level of life in Sweden.

One of the most important contributing factors for an equal distribution of incomes between the citizens - is the companies' policy to their employees.

It should be mentioned in this regard that the Corporate Social Responsibility (CSR) becomes the integral part of the policy of large companies; developing of CSR might have the significant impact on resolving the acute social-economic problems, such as uneven distribution of incomes, the poverty, an unemployment etc.

Khatuna Todua

THE MAIN CAUSES OF POVERTY IN GEORGIA

Around the world, in rich or poor nations, poverty has always been present. Also, in most nations today, inequality - the gap between the rich and the poor - is quite high and often widening. Whether you live in the wealthiest nations in the world or the poorest, you will see high levels of inequality. Inequality is often a measure of relative poverty. Absolute poverty, however, is also a concern. World Bank figures for world poverty reveals a higher number of people live in poverty than previously thought.

For example, the new poverty line is defined as living on the equivalent of \$ 2,50 a day. With that measure based on latest data available, almost half the world - over three billion people - live on less than \$ 2, 50 a day and at least 80 % of humanity lives on less than \$ 10. About 21 000 children die every day around the world. The silent killers are poverty, easily preventable diseases and illnesses, and other related causes.

Hunger is one of the main results of poverty in Georgia. Poverty affects access to nutritious meals and restricts resources to finding these nutritious meals. In recent years, the price of food products has been very unstable. Roller-coaster food prices make it difficult for poorest people to access nutritious food consistently. The poor need access to adequate food all year round. When prices rise, consumers often shift to cheaper, less-nutritious foods, heightening the risks of micronutrient deficiencies and other forms of malnutrition. Price spikes may temporarily put food out of reach, which can have lasting consequences especially for small children.

As people living in poverty cannot afford nutritious food for themselves, and their families, they become weaker and less able to earn the money that would help them escape poverty and hunger. This is not just a day-to-day problem: when children are chronically malnourished, or „stunted“, it can affect their future income, condemning them to a life of poverty and hunger. Many individuals and families have to make a trade-off between buying food and paying for other expenses such as health insurance, utilities bills, medical services and others, so, problems of hunger, malnutrition and disease afflict the poorest in society, these people have less access to health, education and other services. The poorest are also typically marginalized from society and have little representation or voice in public and political debates, making it even harder to escape poverty. Also many feel that high levels of inequality will affect social cohesion and lead to problems such as increased crime and violence.




Fig. № 1. The share of population below the 60% of median consumption in Georgia (%).

The causes of poverty are numerous, including lack of individual responsibility, bad government policy, exploitation by people and businesses with power and influence, or some combination of these and other factors. There are many inter-related issues causing poverty, which are connected to economics and other factors. So, there are many reasons for the presence of poverty in Georgia and they are often interconnected.

Also the part of poverty is rural poverty. Agriculture in Georgia remains important, providing employment for 50 per cent of population and contributing about 29 per cent of exports. The share of primary agriculture production in total GDP has, however, declined significantly (from 25 per cent in 1999 to 9, 2 per cent in 2014). Small family farms occupy 90 per cent of the agriculture land area covering 700 000 hectares, the remainder being held by large farmers or retained in public ownership. With stagnant agriculture production and rising domestic demand for food, Georgia has become a net food importer, while agricultural exports have been badly affected by two wars and a Russian embargo.

It is widely acknowledged that development in the agriculture sector has suffered, and there is an overall decline in agriculture as profitable business. Reasons for this include lack of basic and productive infrastructure, particularly irrigation, land fragmentation, land rights and ownership, diversion of land use to non-productive use, increasing emphasis on export-oriented agriculture, inefficient agricultural practices, war, famine, drought, over-fishing, poor crop yields, limited off-farm opportunities, critical gaps in value chains, reduced human and social capital, and rural-urban migration especially of young people. Georgian farmers often cannot afford seeds, so they cannot plant the crops that would provide for their families. They may have to cultivate crops without the tools and fertilizers they need. Others have no land or water or education. In short, all these reasons conspire to limit agricultural yields. The downward trend in agrarian production has been accompanied by a growing incidence of rural poverty. Currently agriculture accounts for 45 per cent of rural household income, a further 28 per cent comes from social payments and pensions and only 27 per cent from salaried work. Across the globe, conflicts consistently disrupt farming and food production. Fighting also forces millions of people to flee their homes, leading to poverty as displaced find themselves without the means to feed themselves. The conflict in Samachablo is a recent example.

	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014
The share of population below the poverty line(Registered poverty) (%)	6,4	8,4	9,9	9,7	9,2	9,7	9,7	11,6

Fig. № 2. The share of population below the poverty line in Georgia (Registered poverty).

Investments in improving land management, using water more efficiently and making more resistant seed types available can bring big improvements.

Research by the UN Food and Agriculture Organization shows that investment in agriculture is five times more effective in reducing poverty and hunger than investment in any other sector.

Meaningful long-term alleviation of poverty is not rooted in the efforts directed at providing food, or improving food production or distribution, if efforts are only directed at those matters, than the structural root causes that create hunger, poverty and dependency would still remain.

While resources and energies are deployed to relieve poverty through technical measures such as improving agriculture, and as important as these are, inter-related issues such as poverty means that political solutions are likely required as well for meaningful and long term poverty alleviation.

References

1. Anup Shah, Poverty Around The World, 2011
2. Anup Shah, Causes of Poverty, 2016
3. www. globalissues.org
4. www. geostat.ge

Khatuna Todua

THE MAIN CAUSES OF POVERTY IN GEORGIA

Annotation

The causes of poverty are numerous, including a lack of individual responsibility, bad government policy, exploitation by people and businesses with power and influence, or some combination of these and other factors. There are many inter-related issues causing poverty, which are related to economic and other factors.

The development in agriculture sector has suffered. The downward trend in agrarian production has been accompanied by a growing incidence of rural poverty. While resources and energies are deployed to relieve poverty through technical measures such as improving agriculture, and as important as these are, inter-related issues such as poverty means that political solutions are likely required for meaningful and long term poverty alleviation.

ნათია კახნიაშვილი

შიშვილი როგორც სიღარიბის გამომწვევის უკიდურესი ფორმა

მასობრივი შიშვილი, როგორც სოციალური უბედურება, გამოწვეულია სურსათის ხანგრძლივი უკმარისობით. მასთან დაკავშირებულია მოსახლეობის მასობრივი დაღუპვა ტერიტორიულად მსხვილ რეგიონებში. სიღარიბის მსგავსად, განასხვავებენ მასობრივ, აბსოლუტურ და ფარდობით შიშვილს.

აბსოლუტურ შიშვილს ზოგჯერ უწოდებენ დეფიციტურს და ხასიათდება ორგანიზმის შენარჩუნებისთვის აუცილებელი კვების პროდუქტების მინიმალური რაოდენობის უკმარისობით ან მისი უქონლობით.

ფარდობითი (იგივე ფარული) შიშვილი ხასიათდება უხარისხო კვების პროდუქტების ქრონიკული მოხმარებით. ეს პროდუქტები ხასიათდება კვების ელემენტებისა და ვიტამინების დაბალი შემადგენლობით და არასაკმარისია ორგანიზმის აქტიური ცხოველქმედების შესანარჩუნებლად. ეს კი იწვევს მრავალრიცხოვან დაავადებას და ამცირებს სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობას.

სომატური ზემოქმედების გარდა, შიშვილი არსებითად ზემოქმედებს ადამიანის ფსიქიკასა და ქცევაზე, ბლაგვდება მისი გრძნობები, ქვეითდება მეხსიერება, ნეღდება და ირღვევა აზროვნების პროცესი, იკარგება კონტროლი საკუთარ საქციელზე, მცირდება ნებისყოფა, წარმოიშობა სხვადასხვა სახის მხედველობითი და სმენითი გაღუცინაციები, იზრდება აპათია, რომელსაც მორიგეობით მოკლევადიანი მომატებული გაღიზიანება და აგრესია ახლავს. შიშვილის დროს სიკვდილის უშუალო მიზეზი შეიძლება იყოს ორგანიზმის გამოფიტვა, ასევე რაიმე ინტერკურენტული ავადმყოფობის (ინტერკურენტული ავადმყოფობა ვითარდება უკვე არსებული ავადმყოფობის ფონზე, თუმცა წარმოშობით არ არის მასთან დაკავშირებული, მაგრამ ამძიმებს მის მიმდინარეობას, (მაგ., გრიპი, მიოკარდია მწვავე ინფარქტის ფონზე...) განვითარება ან იმუნიტეტის დაკარგვა.

XIX საუკუნემდე მასობრივი შიშვილი ჩვეულებრივი მოვლენა იყო ევროპის ყველა ქვეყანაში. იგი გამოწვეული იყო მოუსავლიანობით. შუა საუკუნეებში ყოველ 8-10 წელიწადში გამოიყოფოდა მაღალი სიკვდილიანობის ერთი მშვიერი წელი. საფრანგეთისათვის განსაკუთრებით მძიმე იყო 1030-1032 წლები; ბოჰემიისათვის 1280-1282 წლები. გერმანიაში 1125 წელს შიშვილმა იმსხვერპლა მისი მოსახლეობის ნახევარი. შიშვილის თანამგზავრები იყო ავადმყოფობა, ჭირი, ძარცვა, მკვლელობა და თვითმკვლელობა. საქმე მიდიოდა მშობლების მიერ ბავშვების შეჭმაზე (1505 წელს უნგრეთში). დაკანონებული ღონისძიება იყო ღარიბების განდევნა ქალაქის საზღვრებიდან, სადაც ისინი განწირულნი იყვნენ შიშვილით სასიკვდილოდ; საფრანგეთში ეს ზომა კიდევ XVII საუკუნეშიც გამოიყენებოდა. 1772 წელს საქსონიაში, პურის უკმარისობის გამო, დაიღუპა 150 ათასი ადამიანი. 1817 წელს შიშვილი მიმდინარებდა გერმანიის მრავალ რეგიონში. ნაკლები ზომით ის 1847 წელსაც დაფიქსირდა. 1846 წელს ირლანდიაში შიშვილმა მილიონზე მეტი ადამიანი გაჟლიტა (ვ. მარქსი. კაპიტალი. ტ. 1, გვ. 144). ევროპაში მასობრივი შიშვილი ისტორიას ჩაბარდა XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან. ამ პროცესს ხელი შეუწყო სამომოსვლო გზების განვითარებამ და მსოფლიო სასურსათო ბაზრის ჩამოყალიბებამ (გავისხენოთ ამერიკიდან მარცვლეულის შემოტანა და კარტოფილის მასობრივი წარმოება – ნ.კ.), აგრეთვე მოსახლეობის შემოსავლის გადიდება. ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში (რუსეთის იმპერიის ჩათვლით) მასობრივ შიშვილს მოგვიანებითაც ჰქონდა ადგილი. შიშვილი არც საბჭოთა კავშირში იყო უცხო მოვლენა. იგი

ძალზე მწვავე იყო 1920-1930-იან წლებში. მათ შორის გამოირჩეოდა უკრაინა. მართალია, ევროსაბჭომ უკრაინელების შიმშილით დახოცვა გენოციდად არ აღიარა, მაგრამ ევროსაბჭოს პარლამენტმა ამ ფაქტთან დაკავშირებით მიღებულ რეზოლუციაში აღნიშნა, რომ “შიმშილი, რომელიც 1930 წელს ყოფილ საბჭოთა კავშირში დაიწყო, ევროპის ისტორიის XX საუკუნეში ერთ-ერთი ყველაზე ტრაგიკული ფურცელია. მილიონობით ადამიანი ბელორუსში, ყაზახეთში, მოლდოვაში, რუსეთში და, განსაკუთრებით, უკრაინაში, კომუნისტური სასტიკი და არაჰუმანური პოლიტიკის გამო, დაიღუპა”. ეს ტრაგიკული შემთხვევა ცნობილია, როგორც “გოლოდომორი” (პოლიტიკურად მოტივირებული შიმშილი). მასობრივმა შიმშილობამ უკრაინაში პიკს 1933 წლის პირველ ნახევარში მიაღწია და მილიონობით ადამიანი იმსხვერპლა (სხვადასხვა მონაცემებით 4-10 მლნ კაცი).

2005 წელს მსოფლიოში 6 მლნ მეტი ადამიანი შიმშილისაგან გარდაიცვალა. გაეროს მსოფლიო სასურსათო პროგრამის მტკიცებით, “შიმშილი და მასთან დაკავშირებული ავადმყოფობა უფრო მეტ ადამიანს კლავს, ვიდრე შიდა, მალარია და ჭლექი ერთად აღებული”. პროგრამის დირექტორმა ჯეიმს მორისმა დონორებს ურჩია, არ დაივიწყონ ამ პრობლემის სასტიკი მასშტაბები. „მართალია ათწლეულის განმავლობაში ამ სფეროში პროგრესი შეიმჩნეოდა, მაგრამ ქრონიკულად მშიერი ადამიანების რაოდენობა კვლავ იზრდება, ჩვენ კვლავ უკან ვიხვეთ” მსოფლიო სასურსათო პროგრამის განცხადებით, ყოველდღიურად შიმშილისა და სიღატაკისაგან 25 ათასი ადამიანი კვდება. გაეროს ექსპერტთა მტკიცებით, საკვებით დაუკმაყოფილებლობა მძიმე პრობლემაა, რომელიც ძალზე მწვავეა პლანეტის მრავალ ქვეყანაში, მათ შორის ჩრდილოეთ კორეაში, ჰაიტიში, ავღანეთში, მაგრამ ყველაზე მძიმე მდგომარეობა საჰარის სამხრეთით განლაგებულ აფრიკის ქვეყნებშია (მაღავი, ზამბია, ზიმბაბვე, მოზამბიკი, ნიგერი), სადაც შიმშილის პრობლემა გაღრმავებულია სამხედრო კონფლიქტებით და შიდა გაერცვლებით.

სასურსათო პრობლემაში შეიძლება გამოვყოთ ძირითადი ასპექტი. მათგან პირველი განპირობებულია ბუნებრივი მოვლენებით (გვალვა, სეტყვა, ქარი, წყალდიდობა...) ან თვით ადამიანების მოქმედებით, რომელმაც შეიძლება კატასტროფული ხასიათი მიიღოს და გამოიწვიოს ათასობით ადამიანის დაღუპვა.

პრობლემის მეორე ასპექტი დაკავშირებულია საზრდოს ქრონიკულ უკმარისობასთან. მსოფლიო ბანკის მონაცემებით, გასული საუკუნის 80-იანი წლების პირველ ნახევარში სისტემატიურად შიმშილობდა განუვითარებელი ქვეყნების მოსახლეობის 40-60%. ამასთან, ინდოეთში მოსახლეობის 69%, ხოლო ინდონეზიაში 94% ვერ იღებს კალორიების აუცილებელ რაოდენობას. მოსახლეობის არაუზრუნველყოფილი ფენა საზრდოს უკმარისობით ერთნაირად როდი იტანჯება. მათ შორის სამი ჯგუფი გამოიყოფა. მათგან ყველაზე უკეთეს მდგომარეობაში წვრილი მონათმფლობელები და სამუშაოს მქონე ქალაქის მცხოვრებნი იმყოფებიან. მოსახლეობის ეს ჯგუფი თავისი შემოსავლით უზრუნველყოფს მინიმალური მოცულობით სურსათის მოხმარებას, მაგრამ მოუსავლიანი წლის ან სურსათზე ფასის ზრდის შემთხვევაში მოწყვლადი ხდებიან და შეიძლება შიმშილის ზღვარზე აღმოჩნდნენ. მეორე ჯგუფს ქმნის მოსახლეობის ის ნაწილი, რომელსაც მუდმივი სამუშაო არ გააჩნია და მათი შემოსავალი არასაკმარისია სურსათზე მინიმალური მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. მესამე ჯგუფს მიეკუთვნება შრომისუნარო მოსახლეობა. სასურსათო პრობლემის მესამე ასპექტი განპირობებულია პერიოდულად წარმოშობილი სურსათის უკმარისობით, რომლის ერთ-ერთ მიზეზად მოუსავლიანობა ითვლება. სურსათის უკმარისობიდან დაზღვევის ტრადიციული მეთოდია სარეზერვო მარაგის შექმნა და სურსათის იმპორტი, მაგრამ განუვითარებელი ქვეყნების უმრავლესობა ყოველთვის იმყოფება არჩევანის წინაშე: თავის შეზღუდული საგალუტო რესურსით სურსათი შეიძინონ თუ იმ საქონლის იმპორტი განახორციელონ, რომელიც ქვეყნის სტრატეგიული განვითარების მიზანს მოემსახურება. სიტუაცია იმითაც რთულდება, რომ სურსათით თავისუფალი ვაჭრობის სისტემა არ იძლევა იმის გარანტიას, რომ სურსათი იმ ქვეყნებს მიეწოდება, სადაც მისი უკმარისობა ყველაზე მეტად შეიმჩნევა. მაგალითად, 1972-1974 წლების სურსათის კრიზისის დროს მარცვლეული შედიოდა ევროპის განვითარებულ ქვეყნებში, სადაც იგი საფურაჟედ გამოიყენებოდა, მაშინ, როცა განუვითარებელ ქვეყნებში მარცვლეულის იმპორტი, მისი მაღალი ფასის გამო, შემცირდა. სასურსათო პრობლემის მეოთხე ასპექტი მდგომარეობს მსოფლიო მოსახლეობის სწრაფ ზრდაში, განსაკუთრებით განუვითარებელ ქვეყნებში. პერსპექტივაში ნავთობის მარაგის და წყალ-მომარაგების წყაროების შემცირება, მიწის რესურსების შეზღუდულობა, მინერალურ სასუქებზე ფასების ზრდა, კლიმატური პირობების შესაძლებელი გაუარესება და ა.შ. გამოიწვევს აგრარული წარმოების ზრდის ტემპის შენელებას, ხოლო ჩამოთვლილი ფაქტორების პარალელურად, მოსახლეობის განუხრელი ზრდა და მისი ცხოვრების დონის ამადლება სასურსათო პრობლემას უფრო აქტუალურს გახდის.

როგორც ჯ. მორისი აღნიშნავს, განვითარებული ქვეყნები ყოველკვირულად თავიანთ ფერმერებს უფრო მეტ სუბსიდიებს გამოუყოფენ, ვიდრე წლის განმავლობაში გამოიყოფა მშიერ ბავშვებზე. ხოლო სასურსათო პროგრამის ექსპერტის ჟან ზიგლერის განცხადებით, 2004 წელს გაეროს წევრებმა შეიარაღებაზე მთლიან ჯამში 1 ტრილიონ @-ზე მეტი დახარჯეს, მაშინ, როცა მსოფლიო სასურსათო პროგრამაზე მათი შეწირულობა 219 მლნ @-ით შემცირდა.

აფრიკა უფრო ღარიბი ხდება. აფრიკა პლანეტაზე ერთადერთი რეგიონია, რომელიც უკანასკნელი 25 წლის განმავლობაში (1980-2005) უფრო ღარიბი გახდა. ბოლო 50 წლის განმავლობაში აფრიკის მრავალმა ქვეყანამ გადაიტანა პოლიტიკური არასტაბილურობა – გადატრიალებები, სამხედრო დიქტატურები, სამოქალაქო ომები და რელიგიური კონფლიქტები, (აგრეთვე მოუსაველიანობის წლები – ნ.კ). მისი შედეგი ძალზე უარყოფითი აღმოჩნდა. დღეისათვის საკუთარი ქვეყნების საზღვრებს გარეთ ცხოვრობს დაახლოებით 5 მლნ აფრიკელი ლტოლვილი. გაიზარდა ამ ქვეყნების საგარეო დავალიანება, რომელთა გადახდა ეკონომიკის სტაგნაციის პირობებში გაუსაძლისია. გაღრმავდა კორუფცია, რომლის წყალობით (2002 წლის შეფასებით) აფრიკულმა ქვეყნებმა თითქმის 150 მლრდ დოლარი დაკარგეს.

სიკვდილი და სიცოცხლე. ერთ-ერთ გაუთვალისწინებელ პრობლემას, რომელსაც აფრიკა წააწყდა, შიდსის ეპიდემია გახდა, რომლის ნიადაგი საყოველთაო სიღარიბეა, მართალია, საჰარის სამხრეთით მსოფლიო მოსახლეობის მხოლოდ 10% ცხოვრობს, მაგრამ ასეთ გარემოში ცხოვრობს შიდსის ვირუსის მატარებელთა 2/3. ამის შედეგია ის, რომ ზოგიერთ ქვეყანაში სიცოცხლის ხანგრძლივობა 40 წლის დაბლა დაეცა (ზამბია 32.7 წელი, ზიმბაბვე 33.9 წელი...). ამ ავადმყოფობის მსხვერპლის უმრავლესობა შრომისუნარიანი მოსახლეობაა.

დახმარება. აფრიკული ქვეყნების დახმარების შესახებ აზრთა დაპირისპირებული სხვადასხვაობაა. ერთი მხრივ, საჭიროა დახმარების გაორკეცება, წინააღმდეგ შემთხვევაში ეს პრობლემა უფრო განუჭკვრეტელი და მწვავე გახდება. დახმარების შეწყვეტის ან შემცირების შემთხვევაში სახეზე იქნება სამხედრო კონფლიქტებისა და სტიქიური უბედურებებით გამოწვეული მილიონობით მსხვერპლი, რომელიც ჩაბლაუჭებულია მხოლოდ ექსტრენულ ფინანსირებაზე. სუდანში, მაგალითად, 2 მლნ კაცმა მიატოვა საცხოვრებელი და ლტოლვილობაში იმყოფება. მათ წელით, მედიკამენტებით, კარვებით, სურსათით ეხმარებიან დასავლეთის ქვეყნები, გაერო და არასამთავრობო ორგანიზაციები. დიდია მათი წვლილი განათლების სფეროში. აფრიკულ სკოლებში (ტანზანია, მალავი, ზამბია, კენია...) მილიონობით ბავშვი იღებს განათლებას საერთაშორისო დახმარებისა და საგარეო დავალიანების ჩამოწერის წყალობით. ხოლო განათლება, საყოველთაო აღიარებით, ერთ-ერთი მძლავრი იარაღია სიღარიბესთან ბრძოლაში. საერთაშორისო დახმარება ინფრასტრუქტურის (გზები, საავადმყოფოები, კავშირგაბმულობა) შესაქმნელადაც გამოიყენება.

ამჟამად, ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებში შიმშილი პრაქტიკულად დაძლეულია, მაგრამ ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში, განსაკუთრებით აფრიკის კონტინენტზე, იგი კვლავ მწვავე პრობლემად რჩება. XXI საუკუნის დასაწყისშიც კი შიმშილისაგან მილიონობით ადამიანი იღუპება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ვანიშვილი მ., გიგუაშვილი მ., სოციალური პოლიტიკა, თბ., 2013.
2. ხიზანიშვილი ნ., ცხოვრების დონე – საზოგადოების განვითარების მაჩვენებელი, ჟ. “ეკონომიკა”, 2009, №7.
3. აბესაძე რ., მოსახლეობის ცხოვრების დონე, სიღარიბე და უმუშევრობა საქართველოში. საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის შრომები, 11, თბ., 2013.
4. Мировая демографическая ситуация, 2014. Краткий доклад. Организация Объединенных Наций. Нью-Йорк, 2014.

Natia Kakhniashvili

STARVING, AS EXTREME FORM OF POVERTY REVEALING

Annotation

We can say that most important matter among world's priorities is eradication of poverty and starving. This was the first purpose from the 8 purposes of UNO millennium. Some successes were achieved in this aspect, but significant part of the world's population (approximately 1 billion people) are still suffering from starving. Georgia is not the exception from this point of view. Extreme form of revealing of poverty is starving, which, as World Food Company of UNO confirms, “kills more people than AIDS, malaria and tuberculosis together”.

In food problem we can underline 4 aspects:

1. Starving caused by natural events
2. Chronic deficiency of food
3. Deficiency of food caused periodically, traditional method of insurance of which is creation of reserve stock;
4. Increase of world's population

Deficiency of food and starving will be calculated by International Institute of Food Policy which will be reflected in general definer of starving (GDS). In 2008 general definer of starving was calculated on examples of 120 states, which showed that struggle in the world with starving and deficiency of food has low tempus.

სიღარიბესთან ბრძოლის სოციალური პოლიტიკა

მეცნიერთა ერთი ჯგუფი სიღარიბეს განიხილავდა როგორც ფაქტორს არსებობისთვის ბრძოლაში, რომელიც მიბმულია საზოგადოებისა და მისი ცალკეული ინდივიდის განვითარებაზე. ამ მიმართულებამ სოციალურ-დარვინისტთა სახელწოდება მიიღო. თანამედროვე მსოფლიოში მოცემულ პოზიციას იცავენ ლიბერალები. მეცნიერთა სხვა ჯგუფი სიღარიბეში ხედავს სოციალურ ბოროტებას და მის აღმოფხვრას ცდილობს ადამიანთა შორის ყველა დოვლათის უფრო თანაბარი განაწილებით. ამ მიმართულებას ეწოდება სოციალ-გამათანაბრებელი. მას ემხრობიან სოციალ-დემოკრატიული იდეოლოგიის მიმდევრები. სიღარიბეს მრავალი ნეგატიური შედეგი აქვს: კერძოდ, სიღარიბე სოციალური დაძაბულობის ხელშემწყობი ფაქტორია. შემოსავლის განაწილების უსამართლობასთან ბრძოლაში ღარიბებს მიდრეკილება აქვთ დანაშაულის ჩადენაზე და პოლიტიკური ბრძოლის ძალადობრივი მეთოდების გამოყენებაზე. ისტორია ცხადყოფს, რომ რევოლუციების და სხვა პოლიტიკური შედეგების დროს სწორედ ღარიბები იყვნენ სოციალური გადატრიალების "საწვავი" და ისინი ცდილობდნენ "გაეძარცვათ ძარცვით მოხვეჭილი".

თუნდაც ღარიბებმა ძალადობის აქტი არ განახორციელონ სხვა ადამიანების მიმართ, საზოგადოება, რომელშიც ისინი ცხოვრობენ, მაინც დანაკლისს განიცდის, რადგან ღარიბს არ შეუძლია სრულფასოვანი მონაწილეობა მიიღოს საზოგადოების ცხოვრებაში, მისი შემოქმედებითი პოტენციალი ვერ იხსნება და უნაყოფოდ იკარგება. განსაკუთრებით საშიშია "მემკვიდრეობით" მიღებული სიღარიბე, როცა ღარიბების შვილებს, სხვა თანაბარ პირობებში, არ შეუძლიათ საკუთარი შანსების რეალიზაცია.

ლიბერალები მრავალ ასპექტში აღიარებენ საზოგადოებისათვის სიღარიბის მავნეობას, თუმცა, ამავე დროს აღნიშნავენ მის დადებით შედეგსაც. მათი მტკიცებით, სიღარიბე აიძულებს ადამიანებს, აქტიურად იბრძოლონ (კონკურენცია) საარსებო დოვლათის მოსაპოვებლად. შესაბამისად, სიღარიბე რომ არ იყოს, ადამიანებს შეუმცირებოდათ შრომის მწარმოებლურობის ამალღების სტიმული. ლიბერალები და სოციალისტები ერთმანეთს უმთავრესად ეთანხმებიან აბსოლუტური სიღარიბის ნეგატიურ შედეგებზე, მაგრამ მათ შორის აზრთა სხვაობაა შედარებით სიღარიბესთან დაკავშირებით.

შედარებით სიღარიბესთან დაკავშირებით არსებობს სიღარიბესთან ბრძოლის პრობლემისადმი ორი დაპირისპირებული მიდგომა. პირველი მიდგომა უფრო გავრცელებულია და აღიარებს ღარიბთა უზრუნველყოფას დახმარებით და შემწეობით. მართალია ფულადი დახმარების გაცემა ღარიბთა დახმარების გაწევის ყველაზე მარტივი საშუალებაა, მაგრამ იგი თავისთავად ვერ წყვეტს პრობლემებს. სხვა საშუალება, რომელიც სხვადასხვა ქვეყანაშია დანერგილი, არის განათლების ამალღება ან კვალიფიკაციის გამოცვლა. მაგრამ ხშირად არც ეს ცვლის სიტუაციას, რადგან ახალი პროფესიის შექმნა ავტომატურად ვერ უზრუნველყოფს სასურველი სამუშაო ადგილის პოვნას.

სიღარიბის პრობლემის გადაჭრის პირველ მიდგომაში სახელმწიფო გამოდის შემოსავლის გადანაწილების აუცილებლობიდან, რომელიც მიიღწევა პროგრესული გადასახადების შემოღებისა და სხვადასხვა სოციალური პროგრამების მეშვეობით. მისგან განსხვავებით, მეორე მიდგომა დაფუძნებულია ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩაურევლობის იდეაზე (საქართველოში ფორმალურად აქცენტი აღებულია მეორე მიდგომაზე, აქ არათუ გააუქმეს პროგრესული გადასახადი, არამედ მას მიაყოლეს სოციალური გადასახადიც, ხოლო თვით სახელმწიფოც (განსაკუთრებით ნაციონალების ცხრაწლიანი ბატონობის პერიოდში), თავისი ფინანსური დაწესებულებებისა და ძალოვანი სტრუქტურების მეშვეობით, დაუფარავად ერევა ეკონომიკაში. ასეთი პოლიტიკა კიდევ უფრო ამრავლებს ქვეყანაში ღარიბთა რაოდენობას და მის წილს მთლიან მოსახლეობაში). ამ თეორიის მომხრეების აზრით, სამთავრობო პოლიტიკამ ღარიბები უნდა წაახალისოს, უფრო აქტიური პოზიცია დაიკავონ ცხოვრებაში და არ იპარაზიტონ მოსახლეობის უფრო უზრუნველყოფილი ფენის ხარჯზე. გარდა ამისა, თუ მდიდრები თავიანთ სახსრებს ჩადებენ ეკონომიკაში, ამ შემთხვევაში ისინი შექმნიან სამუშაო ადგილების აუცილებელ რაოდენობას, რამაც შეიძლება უმუშევრობის პრობლემა გადაჭრას სახელმწიფოს მონაწილეობის გარეშე. ამ მიდგომის რეალიზაციას შეეცადა მარგარეტ ტეტჩერის მთავრობა 1977-80-იან წლებში გაერთიანებულ სამეფოში.

აუცილებელია აღინიშნოს, რომ თუმცა ყოველ სახელმწიფოში მთავრობა ადგენს ღარიბების განსაზღვრის სპეციალურ კრიტერიებს, მაგრამ რეალობაში ყველა, ვინც პასუხობს ამ კრიტერიებს, ვერ იღებს დახმარების უფლებას. სახელმწიფოს ეს პოზიცია აიხსნება სახსრების უკმარისობით. ამის გამო, სოციალური დახმარების მასშტაბის შესამცირებლად გამოიყენება ორი გამაკაცრებელი კრიტერია. პირველი ზღუდავს ღარიბთა რიცხვს ღარიბთა ცალკეული კატეგორიის გამოყოფის გზით. მაგალითად, დახმარების მრავალი სახე შეიძლება მიიღოს უმუშევარმა და არა მომუშავემ, რომელთაც დაბალი ანაზღაურება აქვთ (საქართველოში საერთოდ არ გაიცემა დახმარება

უმუშევრობაზე - ჯ.კ). მეორე დაფუძნებულია მხოლოდ სიღარიბის საშემოსავლო მახასიათებელზე და უგულებელყოფილია დეპრივაციის პრობლემა.

მოსახლეობის სიღარიბე და პროგრესული გადასახადები. ყოველი პოლიტიკა, რომელიც მიმართულია უღარიბესი მოსახლეობის ცხოვრების დონის ასამაღლებლად, უზრუნველყოფილი უნდა იყოს საკმარისი ფინანსური რესურსით დასახული მიზნის მისაღწევად. ასეთი სახის პროგრამების ფინანსირების წყაროა ქონებასა და შემოსავალზე დაბეგვრის პროგრესული სისტემა. ასეთი პირდაპირი პროგრესული დაბეგვრის ობიექტია პირადი და კორპორაციული შემოსავალი. შემოსავლის ზრდის კვალობაზე მატულობს საგადასახადო განაკვეთი (მაგალითად, საქართველოში “ვარდების რევილუციამდე” შემოსავალზე საგადასახადო განაკვეთი იყო: 12, 15, 17 და 20%). საგადასახადო დაბეგვრა მოგებაზე (დაგროვილი აქტივი და შემოსავალი) ჩვეულებრივ მოიცავს საკუთრებაზე პირად და კორპორაციულ გადასახადებს (საქართველოში პირად ქონებაზე არარის დაწესებული გადასახადი, ხოლო კორპორაციულ ქონებაზე დაწესებულია 1%-იანი საგადასახადო განაკვეთი, ასევე დაწესებულია მიწაზე გადასახადი, ამ ქონების სიდიდის მიუხედავად).

მრავალ ნაკლებად განვითარებულ, ისევე, როგორც უფრო განვითარებული ქვეყნების საგადასახადო სტრუქტურა და რეალური განაკვეთები არსებითად განსხვავდებიან. პროგრესული გადასახადი ხშირად ქაღალდზე რჩება და პრაქტიკაში გადაიქცევა რეგრესულ გადასახადად. მაშინ როცა მრავალი ეკონომისტის, მათ შორის ნობელის პრემიის ლაურეატის ჯეიმს ტობინის მტკიცებით, “საშემოსავლო ბეგარა შემოსავლის განაწილების ეფექტური საშუალებაა”, რამდენადაც დაბალი და საშუალო შემოსავლიანი მოსახლეობა, გადასახადის ფორმით, თავიანთი შემოსავლის უფრო დიდ ნაწილს გადაიხდიან, ვიდრე მაღალშემოსავლიანი მოსახლეობა. ასეთი “გარდაქმნის” მიზეზები მარტივია. მოსახლეობის ღარიბი ფენიდან გადასახადი ამოიღება მათი შემოსავლის წყაროდან (საქართველოში ასეთია საშემოსავლო გადასახადი), მაშინ როცა მდიდრები შემოსავლის დიდ ნაწილს იღებენ ქონებრივ და ფინანსურ აქტივზე სარგებლის (დივიდენდის) სახით, რაც მათ საშუალებას აძლევს, თავიანთი შემოსავალი დაფარონ საგადასახადო დაბეგვრისაგან. უფრო დიდ უთანასწორობას წარმოშობს გადასახადის ამოღება დანახარჯის წყაროსთან. მხედველობაში გვაქვს არაპირდაპირი გადასახადები (გადასახადი დამატებულ ღირებულებაზე, აქციზი...), რომელსაც ერთნაირი განაკვეთით იხდის როგორც დაბალი და საშუალო შემოსავლიანი, ასევე მაღალ-შემოსავლიანი მოსახლეობა. განუვითარებელი ქვეყნების უმრავლესობა, მათ შორის საქართველოც, სახელმწიფო შემოსავლის გადიდებას უპირატესად მოხმარების გადასახადის ხარჯზე ცდილობს. ეს იმით აიხსნება, რომ მისი აკრეფა შედარებით ადვილია. რაც უფრო განვითარებულია ქვეყანა, მით უფრო ჭარბობს სახელმწიფო შემოსავალში პირდაპირი გადასახადის წილი. ღარიბ ქვეყნებში კი, პირიქით, გამოიკვეთა არაპირდაპირი გადასახადის მაღალი წილი მთლიან შემოსავალში. ხოლო პირდაპირი გადასახადის წილი სახელმწიფო შემოსავალში 20%-ს არ აღემატება. უპირველესად მოხმარების გადასახადებზე დაფუძნებული საგადასახადო სისტემა, თავისი შინაარსით რეგრესულია და უარყოფითად მოქმედებს მცირეშემოსავლიანი მოსახლეობის ცხოვრების დონეზე.

მდგომარეობა არც ეწ. “ვარდების რევილუციას” შეუცვლია. პირიქით, გაუქმდა დაუბეგრავი მინიმუმი და პროგრესული გადასახადები, 12%-დან 20%-მდე გაიზარდა საშემოსავლო გადასახადი, სამაგიეროდ, მდიდრების საკეთილდღეოდ, დივიდენდზე ისედაც მცირე გადასახადი (10%) 5%-მდე შემცირდა.

მოსახლეობის ნაკლებად უზრუნველყოფილი ფენის შემოსავლის გადიდება. სიღარიბის მასშტაბის შემცირების თანამედროვე საშემოსავლო პოლიტიკის მეორე ნიშნველოვანი ინსტრუმენტი სახელმწიფოს მიერ მოსახლეობის უქონელი ნაწილის უზრუნველყოფა ზოგიერთი საქონლით და მომსახურებით. მაგალითად შეიძლება გამოდგეს ღარიბთათვის ჯანმრთელობის დაცვის პროგრამა, სკოლებსა და სკოლამდელ დაწესებულებებში უფასო საუზმეები, დაშორებული რაიონების მოსახლეობის უზრუნველყოფა სუფთა წყლით, აირით და ელექტროენერჯით. პირდაპირი ფულადი ტრანსფერები, დოტაცია კვებაზე და სურსათზე დაბალი ფასების დონის მხარდაჭერა წარმოგვიდგება, როგორც მოხმარების სუბსიდირების სახელმწიფოებრივი პოლიტიკა. ყველა ეს ღონისძიება ხელს უწყობს ღარიბი მოსახლეობის რეალური შემოსავლის ამაღლებას ბაზრის მიერ განსაზღვრული ფულადი შემოსავლის დონეზე ზევით.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აბესაძე რ., მოსახლეობის ცხოვრების დონე და უმუშევრობა საქართველოში. შრომები. XI ტომი. საქ. ეკონომიკ. მეცნ. აკადემია 11, თბ., 2013.
2. ასათიანი რ., გლობალიზაცია, ეკონომიკური თეორია და საქართველო. თბ., 2010.
3. კახნიაშვილი ჯ., მაკროეკონომიკა. ნაწ. 1. თბ., 1996.
4. მალთუსი თ.რ., გამოცდილება ხალხთა მოსახლეობის კანონის შესახებ. ტ.1, რუსული გამოც. ა. სახვაძის თარგმანი, გამომც. თსუ, 2004.

5. პაპავა ვ., სიღარიბის შემცირება კერძო სექტორის განვითარების გზით. ქართული სინამდვილე და პერსპექტივები. შრომები. VIII ტ. საქ. ეკონომიკ. მეცნ. აკადემია 11, თბ., 2010.
6. ჩიქავა ლ., დემოლოგია და მისი კანონთა სისტემა, თბ., 2008.
7. Мировая демографическая ситуация, 2014. Краткий доклад. Организация Объединенных Наций. Нью-Йорк, 2014.
8. Human Development Report, 2015.

Jemal Kakhniashvili

SOCIAL POLICY OF STRUGGLE WITH POVERTY

Annotation

In the article the poverty is considered to be a factor of assistance of social tension. Liberals and social-democrats agree with each other on negative results of absolute poverty, but they have different thoughts about comparative poverty. In regard to overcoming the poverty each policy is connected with its financial provision. Income taxes in this aspect are effective meaning of redistribution of national incomes. Such is considered progressive taxation of personal and corporation income. Unfortunately from 2004 progressive taxation system in Georgia was terminated, i.e. tax rate does not increase with increasing of incomes, because of which in shares poor persons pay more income (20%) than rich people (dividend 5%). Bigger misbalance is created by taking of taxes from source of expenditure (VAT, excise). "Roses Revolution" strengthened social inequality even more: non-taxable minimum and progressive tax were terminated, instead income tax was increased from 12% to 20%, and low tax on dividend (10%) decreased up to half. The condition was not changed from 2012. Correspondingly, tax system based mainly on consumption subjects is regressive by its contents and is negatively reflected on the level of living of population with low incomes.

Владимир Иосифович Куценко

ОЦЕНКА УРОВНЯ РАЗВИТИЯ СОЦИАЛЬНОЙ ОТВЕТСТВЕННОСТИ СУБЪЕКТА ХОЗЯЙСТВОВАНИЯ

*«И как хотите, та творят вам люди,
и вы творите им также»* [1. Лук., 6:31].*

Вводная часть. Перманентные финансово-экономические и экологические кризисы и банкротства ведущих международных корпораций побудили ООН начать такие значимые мировые события по корпоративной социальной ответственности как саммиты ООН по устойчивому развитию (1992, 2002, 2012 гг.) и Глобальный договор ООН (1999 г.). Договор предусматривает привлечение компаний, общественных организаций мира для решения глобальных проблем цивилизации и обеспечения устойчивого развития через социально-ответственное хозяйствование: соблюдение прав человека, условий труда, экологической ответственности и борьбы с коррупцией. Однако через четверть века проблема социальной ответственности так и не была решена, поскольку меркантильные ценности бизнеса не изменились. Только духовно-нравственные ценности жизнедеятельности способны обеспечить социальную ответственность и устойчивое развитие предприятия и общества. При этом определяющей является оценка состояния развития социальной ответственности предприятия как залог его социально-экономической эффективности.

Цель исследования. Разработать обновленную методологию оценки состояния развития социальной ответственности предприятия на духовно-нравственных началах его деятельности.

Основная часть. Ключевая проблема XXI века – обеспечение устойчивого развития общества побудила мировое научное сообщество к активному проведению исследований по разработке средств стимулирования социальной ответственности и оценки ее эффективности. Наиболее весомый вклад в методологию оценки эффективности социальной ответственности субъекта хозяйственной деятельности сделали Н.Л. Кусик, А.В. Ковалевская, О.В. Ворона, Е. Левицкая, Н. Ненашев, Т. Черната, А.Ф. Новикова, М.Е. Дейч, О.В. Панькова, А.С. Коноваленко и др. Подавляющее большинство исследований посвящено определению оценки экономической эффективности, рассматривая социальную ответственность как инструмент увеличения прибыли предприятия, стейкхолдеров и улучшения рейтинга компании [5]. Учитывать социально-психологические аспекты деятельности предприятия при оценке развития КСО рекомендуют А.Ф. Новикова и др. [2]. Однако оценка состояния развития социальной ответственности, на определяющих для жизнедеятельности предприятия и общества – духовно-нравственных началах, практически не рассматривается.

В новом – XXI-м веке объективно обусловлено наступает новая – социально-ответственная (нравственно-духовная) модель экономики. Проблема аморального и безответственного отношения бизнеса к народу, власти и трудовому коллективу решается социально ответственным, духовно-нравственным мировоззрением и образом хозяйствования. Но мировой опыт осуществления социальной ответственности бизнеса и его устойчивого развития показал, что социальная ответственность носит в основном условный характер, чаще всего ограничиваясь периодической филантропией. Поэтому фактически не достигается ни реальная социальная ответственность, ни устойчивое (животворящее долговечное) развитие, ведь основой такой человеческой политики хозяйствования является морально-духовная экономика. Поэтому основой оценки социальной ответственности

должна быть, прежде всего, оценка духовно-нравственного развития трудового коллектива, как определяющая устойчивого развития. То есть, в основе методологии оценки развития социально-ответственной деятельности предприятия должна быть не экономическая эффективность, конкурентоспособность и его имидж, а, прежде всего, социокультурный эффект – улучшение качества жизни трудящихся (в первую очередь местного сообщества). Следствием такой гуманной миссии, заботы о людях появится ключевой фактор хозяйственного успеха – доверие, рост постоянной группы потребителей, что и обеспечит надлежащую прибыль для дальнейшего развития социальной ответственности и устойчивого развития общества. Какой смысл определять оценку такого вида деятельности как экономическая эффективность, который не является определяющим в правильно выбранной миссии предприятия, а является производным от соблюдения духовно-нравственных основ хозяйствования.

Целью социальной ответственности предприятия и её оценки является полная безоговорочная ответственность членов трудового коллектива перед Творцом, Его творением – людьми и окружающей средой за свою деятельность, обеспечение мира и благосостояния жителей, прежде всего, территории функционирования субъекта предпринимательской деятельности. Оценка развития социальной ответственности предприятия целесообразно осуществлять по четырем ее составляющим: 1) культурная (духовно-нравственная) перед Творцом и своей совестью; 2) общественная (социальная) перед: а) покупателями б) местной общиной в) трудовым коллективом предприятия; 3) экологическая перед окружающей средой; 4) экономическая перед покупателями, жителями, трудовым коллективом, государством, экономическими субъектами. Конечно значимость составляющих социальной ответственности предприятия различна. Определяющей является социокультурная компонента социальной ответственности предприятия (60%), которая представлена культурной, общественной и экологической составляющими, следствием которой будет экономическая ответственность предприятия перед обществом и трудовым коллективом (40%). При этом духовно-нравственная составляющая социокультурной ответственности членов трудового коллектива является доминирующей среди всех остальных. Оценка развития социальной ответственности субъекта хозяйствования (СОС) можно определять по качественным и количественным показателям по методу средневзвешенных оценок трудящихся (членов трудового коллектива, покупателей и жителей территории, прилегающей к предприятию) во время опроса по 10-балльной шкале. Средневзвешенная оценка развития (СОС) по четырем ее составляющим определяется по формуле:

$$O_{C3} = \sum_{j=1}^m \left[\frac{\sum_{i=1}^n K_i \times O_i}{n} \times K_j \right], \quad (1)$$

где m – количество составляющих СОС, $m=4$; n – количество показателей в j -й составляющей; K_i – весовой коэффициент показателя в пределах j -й составляющей; O_i – оценка i -го показателя СОС; K_j – весовой коэффициент составляющих СОС.

Апробацию обновленной методологии оценки состояния развития социальной ответственности осуществим на ведущем промышленном предприятии в Украине ПАО Интерпайп НТЗ (г. Днепропетровск), которое активно разрабатывает и воплощает в жизнь различные социальные программы. Результаты опроса и оценка развития СОС приведены в табл. 1. Чтобы оценить уровень СОС – значимость фактически полученной оценки в баллах в отчетном периоде, следует определить диапазон оценок от минимальных до максимальных их значений при условии, что респонденты якобы оценят все показатели каждой составляющей СОС по самой низкой оценке 2, усредненным – 4, 6, 8 и самой высокой – 10 баллов (табл. 2). Возможные значения диапазона оценок – коэффициента удовлетворения духовно-культурных, социально-экономических и экологических потребностей трудящихся региона по оценкам последовательно 2-10, определяются по формуле:

$$K_{2-10j} = \frac{1}{n} \times O_{2-10}, \quad (2)$$

где K_{2-10j} – возможный коэффициент удовлетворения культурных, общественных, экологических и экономических потребностей трудящихся по условным оценкам от самых низких до самых высоких; O_{2-10} – средняя условная оценка большинства как бы опрошенных респондентов, равной 2, 4, 6, 8 и 10.

Возможна средневзвешенная оценка развития СОС по условным оценкам респондентов от минимальных до максимальных (K_{C3}) определяется как сумма произведений с учетом весовых коэффициентов (K_j) составляющих СОС.

Таблица 1

Оценка развития социальной ответственности ПАО Интерпайп НТЗ

№	Показатели	K_i	O_i	$K_i \times O_i$
1	2	3	4	5
1. Культурная составляющая социальной ответственности трудового коллектива ($K_j 1 = 0,3$)				
1.1	Доля духовно-нравственных членов трудового коллектива: 1-5% – оценка 2 бала,	0,3	6	1,8

	6-10% – 4, 11-30% – 6, 31-60% – 8, 61-100% – 10 баллов.			
1.2	Степень соблюдения «золотого» правила морали «И как хотите, да поступают с вами люди, и вы творите им такое же» (оценку см. п. 1.1).	0,3	8	2,4
1.3	Уровень доверия работников к руководителю (см. п. 1.1).	0,2	8	1,6
1.4	Степень гармонизации (единства, бесконфликтности) трудового коллектива (оценку см. п. 1.1).	0,2	6	1,2
Итого, средневзвешенный коэффициент (оценка уровня духовно-нравственной культуры трудового коллектива), $Oc31$, $n=4$.		1,0	7:4 = 1,75	
2. Общественная составляющая социальной ответственности трудового коллектива ($Kj 2 = 0,2$)				
2а) перед покупателями ($Kj 2a = 0,08$)				
2а.1	Доверие покупателей к продукции предприятия (п. 1.1).	0,3	8	2,4
2а.2	Удовлетворенность жизнью покупателей от использования продукции предприятия (см. п. 1.1).	0,3	6	1,8
2а.3	Влияние продукции компании на моральное и физическое состояние здоровья покупателей (см. п. 1.1).	0,1	4	0,4
2а.4	Бесконфликтные отношения с потребителями (см. п. 1.1).	0,1	2	0,2
2а.5	Наличие постоянной группы потребителей местного сообщества (оценку см. п. 1.1).	0,2	8	1,6
Итого, средневзвешенный коэффициент СОС перед покупателями, $Oc32a$, $n = 5$.		1,0	6,4:5 = 1,28	
1	2	3	4	5
2б) перед жителями территории функционирования предприятия ($Kj 2б = 0,07$)				
2б.1	Улучшение занятости населения на предприятии (п. 1.1).	0,4	2	0,8
2б.2	Ощущение заботы предприятия жителями об инфраструктуре территории (социальные проекты по созданию образовательно-воспитательных, культурно-спортивных, оздоровительных учреждений; ремонта дорог, налаживания общественного транспорта, коммуникаций, освещения, озеленения, очистки территории и т.п.).	0,3	4	1,2
2б.3	Доверие жителей территории к деятельности предприятия.	0,3	4	1,2
Итого, средневзвешенный коэффициент СОС перед местной общественностью, $Oc32б$, $n = 3$.		1,0	3,2:3 = 1,07	
2в) перед трудовым коллективом предприятия ($Kj 2в = 0,05$)				
2в.1	Обеспеченность работников (особенно рабочих) надлежащими условиями труда (оценку см. п. 1.1).	0,2	6	1,20
2в.2	Культурно-профессиональный рост и развитие членов трудового коллектива (оценку см. п. 1.1).	0,1	6	0,60
2в.3	Наличие образовательно-воспитательных услуг (наставничества, культурно-профессионального обучения, переподготовки), возможность повышения квалификации.	0,07	10	0,70
2в.4	Функционирование культурно-спортивных, оздоровительных учреждений, мест ведомственного питания, внутренне фирменной торговли товарами массового потребления.	0,03	6	0,18
2в.5	Уровень взаимопомощи, взаимозаменяемости (см. п. 1.1).	0,05	2	0,10
2в.6	Снижение текучести кадров.	0,05	2	0,10
2в.7	Обеспеченность ведомственным жильем (оценка п. 1.1).	0,1	2	0,20
2в.8	Материальная помощь нетрудоспособным членам семьи работника (оценку см. п. 1.1).	0,07	2	0,14
2в.9	Обеспеченность ведомственным транспортом.	0,03	2	0,06
2в.10	Уровень удовлетворенности работников своим социальным положением (оценку см. п. 1.1).	0,3	6	1,8
Всего, средневзвешенный коэффициент социальной ответственности предприятия перед трудовым коллективом, $Oc32в$, $n = 10$.		1,0	5,08:10 = 0,508	
Итого, средневзвешенный коэффициент общественной составляющей социальной ответственности предприятия, $Oc32$		1,28x0,08+1,07x0,07+0,508x0,05 = 0,203		
3. Экологическая составляющая социальной ответственности трудового коллектива ($Kj 3 = 0,1$)				
3.1	Соответствие продукции экологическим стандартам.	0,3	8	2,4
3.2	Соответствие уровня загрязнения воздуха эколог. нормам.	0,3	6	1,8
3.3	Соответствие уровня загрязнения воды экологич. нормам.	0,2	4	0,8
3.4	Соответствие уровня загрязнения почвы эколог. нормам.	0,2	4	0,8
Всего, средневзвешенный коэффициент экологической составляющей СОС, $Oc33$, $n = 4$.		1,0	5,8:4 = 1,45	

Сводная оценка социокультурной составляющей СОС (культур-ная, общественная и эко-логическая составляющие), $O_{c31} - 3$.		$1,75 \times 0,3 + 0,203^* + 1,45 \times 0,1 = 0,87$		
1	2	3	4	5
4. Экономическая составляющая перед обществом и трудовым коллективом ($K_j^4 = 0,4$)				
4.1	Доля доброкачественной продукции предприятия (п. 1.1).	0,1	8	0,8
4.2	Степень снижения удельной себестоимости продукции для местного потребителя: $\leq 1\%$ - оценка 2 балла, 1,1-2% - 6, 2,1-3% - 8, 3,1% и более - 10 баллов.	0,1	2	0,2
4.3	Доля доступных цен для массового местного потребителя для удовлетворения его потребностей (оценку см. п. 1.1).	0,2	2	0,4
4.4	Степень удовлетворения потребностей местных потребителей продукцией пред-приятия (доля спроса от потребности) (оценку см. п. 1.1).	0,2	2	0,4
4.5	Рост спроса местных потребителей продукции предприятия в натуральном изме-рении: 1-2% - оценка 2 балла, 3-4% - 4, 5-6% - 6, 7-10% - 8, > 10% - 10 баллов.	0,05	2	0,1
4.6	Доля местного рынка по отношению к национальному (оценку см. п. 1.1).	0,05	4	0,2
4.7	Рост постоянной группы местных потребителей (п. 4.5).	0,05	2	0,1
4.8	Рост прибыли на местном рынке (оценку см. п. 4.5).	0,05	2	0,1
4.9	Рост рентабельности на местном рынке (оценка п. 4.2).	0,1	2	0,2
4.10	Уровень удовлетворенности работников, особенно рабочих, в материальном обес-печении.	0,1	8	0,8
Вместе экономическая составляющая социальной ответственности предприятия, O_{c34} , п =10.		1,00	$3,3:10 = 0,33$	
Средневзвешенная оценка развития социальной ответственности субъекта хозяйствования, O_{c3}		$(1,75 \times 0,3) + 0,203^* + (1,45 \times 0,1) + (0,33 \times 0,4) = 1,05$		

* весовые коэффициенты общественной составляющей $K_j^2 i$ уже учтено в разделе 2 табл. 1.

Таблица 2

Возможный уровень развития СОС по условным оценкам респондентов от минимальных до максимальных

Диапазон возможных оценок - коэффициентов удовлетворения потребностей, K_{2-10j}					Возмож-ная сред-невзве-шенная оценка развития СОС, $K_{св_{2-10}}$	Услов-ная оценка всех ре-спонден-тов, O_{2-10}	Возмож-ный уровень развития СОС
K_{2-10j}	куль-турных (п=4, $K_j^1 = 0,30$)	общест-венных (см. табл. 3)	эколо-гичес-ких (п=4, $K_j^3 = 0,10$)	экономи-ческих (п=10, $K_j^4 = 0,40$)			
K_{2j}	0,0-0,5	0,00-0,08	0,0-0,5	0,00-0,20	0,00-0,36	2	неудовл-й
K_{4j}	0,51-1	0,09-0,17	0,51-1	0,21-0,40	0,37-0,73	4	удовлет-й
K_{6j}	1,1-1,5	0,18-0,26	1,1-1,5	0,41-0,60	0,74-1,10	6	средний
K_{8j}	1,51-2	0,27-0,35	1,51-2	0,61-0,80	1,11-1,47	8	хороший
K_{10j}	2,1-2,5	0,36-0,44	2,1-2,5	0,81-1,00	1,48-1,84	10	наивыс-й

**Возможный уровень развития общественной составляющей СОС
при условных оценках от минимальных до максимальных**

Возможный коэффициент удовлетворения общественных потребностей (оценка развития общественной составляющей)			Средневзвешенная оценка развития общественной составляющей СОС, $K_{св2}$	Условная оценка всех респондентов, O_{2-10}	Возможный уровень развития общественной составляющей СОС
покупателей	жителей территории	трудового коллектива			
$K_{2a j}$ (n=5, $K_{j 2 a}$ – 0,08)	$K_{2б j}$ (n=3, $K_{j 2 б}$ – 0,07)	$K_{2в j}$ (n=10, $K_{j 2 в}$ – 0,05)			
0,0-0,40	0,0-0,66	0,0-0,20	0,00-0,08	2	неудовлетворительный
0,41-0,80	0,67-1,33	0,21-0,40	0,09-0,17	4	удовлетворительный
0,81-1,20	1,34-2,00	0,41-0,60	0,18-0,26	6	средний
1,21-1,60	2,10-2,66	0,61-0,80	0,27-0,35	8	хороший
1,61-2,00	2,67-3,33	0,81-1,00	0,36-0,44	10	наивысший

Проведенное исследование позволило установить, что средневзвешенная оценка развития социальной ответственности ПАО Интерпайп НТЗ в 2015 году составила 1,05 (табл. 1), (уровень СОС – средний, табл. 2), в том числе, по основным ее составляющим: культурное (духовно-нравственное) развитие трудового коллектива – 1,75 (уровень хороший); общественное развитие – 0,203 (средний уровень); экологическое – 1,45 (средний); экономическое – 0,33 (уровень удовлетворительный). Определенная оценка СОС позволяет установить резервы ее повышения для дальнейшего улучшения качества жизни, прежде всего, местного сообщества и трудового коллектива субъекта хозяйственной деятельности – подателя морально-материальных благ. Оценку развития социальной ответственности предприятия необходимо определять ежегодно, чтобы проследить ее динамику для поддержания устойчивого развития общества.

Заключительная часть. Исследования показали, что обновленная методология оценки уровня развития социальной ответственности субъекта хозяйствования, с учетом определяющей для его жизнедеятельности и общества – духовно-нравственной культуры трудового коллектива, позволяет найти резервы улучшения социально-экономической и экологической деятельности предприятия. При этом гуманная миссия улучшения доброкачественности жизни местного сообщества и трудового коллектива будет способствовать обеспечению устойчивого (животворящего долговечного) развития общества.

Использованная литература

1. Біблія. – М. : Российское библейское общество (на церковно-славянском языке), 1993. – 1658 с.
2. Діагностика стану та перспектив розвитку соціальної відповідальності в Україні (експертні оцінки): монографія / О.Ф. Новікова, М.Є. Дейч, О.В. Панькова та ін.; НАН України, Ін-т економіки промисловості. – Донецьк, 2013. – 296 с.
3. Коноваленко А.С. Оцінка рівня соціальної відповідальності малого і середнього підприємництва: автореф. дис. на здобуття наук. ступеня канд. екон. наук: спец. 08.00.04 / А.С. Коноваленко; Запорізький ін-т економіки та інформаційних технологій. – Запоріжжя, 2010. – 23 с.
4. Компанієць В. В. // Управління розвитком соціально-економічних систем у духовно-моральному та соціокультурному вимірі (на прикладі залізничного транспорту) 08.00.03 – економіка та управління національним господарством. Дисертація на здобуття наук. ступеня докт. екон. наук. – Харків. – 2012.
5. Кусик Н.Л. Методичний підхід до проведення оцінки ефективності соціально-відповідальної діяльності підприємства / Н.Л. Кусик, А.В. Ковалевська // Проблеми економіки. 2012. - № 3.
6. Ворона О.В. Методичні підходи до оцінки рівня соціальної відповідальності / О.В. Ворона // Вісник економіки транспорту і промисловості. - № 30, 2010. – С. 127-133.
7. Левицька Є.Г. Методичний підхід до розробки програми соціально-відповідального управління підприємства сфери послуг / Є.Г. Левицька // Сталий розвиток економіки: всеукраїнський науково-виробничий журнал. - № 2, 2012. – С. 212-216.
8. Ненашев Н. Как оценивать эффективность корпоративных социальных программ / Н. Ненашев // Кадри. Кадровый менеджмент. - № 10, 2008. – С. 23-35.
9. Черната Т. Формування цілісної оцінки корпоративної соціальної відповідальності на підприємствах промислової галузі / Т. Черната, Т. Гороховата // Економічний аналіз. – Вип. 9, Ч. 2, 2011. – С. 421-424.

EVALUATION AND LEVEL OF SOCIAL RESPONSIBILITY OF BUSINESS ENTITIES

Annotation

The article reveals an updated assessment methodology and the level of social responsibility of the business entity taking into account moral and spiritual culture of the labor collective that determines its functioning and society in general. Humane mission of improving quality of life (welfare) of the local community and workforce allows to find reserves to develop the socio-economic and environmental performance of the business entity and promotes its sustainable (life-giving long-lasting) development.

*ლელა მენაბდი შვილი
ნანა მენაბდი შვილი*

რეპროდუქციული ძველის თაზისეზრეპეი თანამეორვე საქართველოში

დღეს მსოფლიოს არაერთი ქვეყანა დგას დემოგრაფიული პრობლემების და ამ პრობლემებით გამოწვეული შედეგების საფრთხის წინაშე. საქართველო კი იმ ქვეყნების რიცხვს მიეკუთვნება, სადაც მდგომარეობა საგანგაშოა. გაეროს მონაცემებით, საქართველო მსოფლიოს იმ 20 ქვეყანას შორისაა, სადაც მოსახლეობის დეპოპულაცია მიმდინარეობს. შობადობის მიხედვით კი საქართველო მსოფლიოს 196 ქვეყნიდან 164-ე ადგილზეა. ფერტილობის კოეფიციენტი, რომელიც შვილიანობის უნარის მქონე ერთი ქალის მიერ (15–49 წლის) სიცოცხლის განმავლობაში დაბადებული ბავშვების რაოდენობას გულისხმობს, 1,4–1,7-ის ფარგლებშია. მაშინ, როცა, მოსახლეობის განვითარებისა და თაობათა აღდგენისათვის ეს კოეფიციენტი მინიმუმ 2-ის ტოლი უნდა იყოს. ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველოში შვილების თაობა მათი მშობლების თაობის დაახლოებით 70–80%-ს განაახლებს. ამავე მონაცემებით, მსოფლიოში მხოლოდ 14 ქვეყანაა ასეთი დაბალი მაჩვენებლით.

საქართველოში დემოგრაფიული განვითარების არასასურველი ტენდენციები ჯერ კიდევ 1970-იანი წლების შუა პერიოდიდან იღებს სათავეს. უკვე 1992 წლიდან, მოსახლეობის აღწარმოების ნეტო კოეფიციენტი ვეღარ უზრუნველყოფს თაობათა განახლებას და მკვიდრდება მოსახლეობის აღწარმოების შეკვეცილი ტიპი. ამასთან, 1992 წლიდან 2015 წლამდე მოსახლეობის გარე მიგრაციის უარყოფითმა სადღომ ოფიციალურად 1005,2 ათასი კაცი შეადგინა, რასაც მოჰყვა საქართველოს მოსახლეობის რაოდენობის შემცირება და 2015 წლის 1 იანვრისათვის საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა, ოფიციალური სტატისტიკის თანახმად, 1992 წელთან შედარებით 1 738 ათასით შემცირდა და 3730 ათას კაცს შეადგენს.

ქორწინებათა რაოდენობის შემცირების და გადავადების შედეგად გაიზარდა ქორწინების საშუალო ასაკი და მან ქალებისათვის 26,5, ხოლო მამაკაცებისათვის კი 29,8 წელს მიაღწია. ამ ფონზე დემოგრაფიულ ვითარებას კიდევ უფრო ამწვავებს განქორწინებათა მაღალი მაჩვენებელი, რომელიც განსაკუთრებით გაიზარდა ათ წლამდე ხანგრძლივობის ქორწინებებში. განსაკუთრებით საგანგაშოა ერთ წლამდე ასაკის ქორწინებებში მყოფთა განქორწინებათა სიხშირე (2013 – 6,7%, ხოლო 2014 – 7,7%). აღნიშნულმა, ისედაც შემცირების მქონე შობადობის ტენდენციებში, კიდევ უფრო შეამცირა პირველი და მეორე შვილის დაბადება. საქსტატის ცნობით, 2014 წელთან შედარებით, 2015 წელს შობადობა 2,3%-ით შემცირდა. ოფიციალური მონაცემებით, 2008 წლიდან დაბადებულთა საერთო რიცხოვნობაში გაიზარდა მესამე და მომდევნო შვილების წილი. პირველი შვილის წილი კი შემცირდა. მეორე შვილის წილი თითქმის უცვლელი დარჩა. ეს ტენდენცია 2015 წელსაც გაგრძელდა და წინა წელთან შედარებით პირველი შვილის პროცენტული წილი 1,8 პუნქტით შემცირდა, მესამე და მომდევნო შვილის წილი კი 1,8 პუნქტით გაიზარდა. უცვლელია მეორე შვილის წილი. წინა წელთან შედარებით 2015 წელს დაბადებულთა საერთო რიცხოვნობაში 25 წლამდე ასაკის დედების მიერ შობილი ბავშვების წილი 40,7%-დან 38,8%-მდე შემცირდა.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, დემოგრაფიული აკეთებენ შემაშფოთებელ პროგნოზს: 2030 წლისთვის, შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი კრიტიკულ ზღვართან შედარებით 0,37 ბავშვით ნაკლები იქნება, რაც მიუთითებს მოსახლეობის შეკვეცილ აღწარმოებაზე და 100 ქალი, ნაცვლად მოსახლეობის მარტივი აღწარმოებისთვის საჭირო 215 ბავშვისა, 178 ბავშვს შობს. ეს კი კიდევ უფრო გააუარესებს 2050 წლის დემოგრაფიულ პროგნოზს. მიუხედავად შემცირებისა, ჩვილთა მოკვდაობა (13,9 %), ისევე, როგორც დღეს, 2030 წლისთვის განვითარებული ქვეყნების მაჩვენებელზე მაღალი იქნება. მართალია გაიზარდება მოსახლეობის სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა დაბადებისას, როგორც ორივე სქესისთვის (75,2 წ.), ასევე მამაკაცებისთვის (71,9 წ.) და ქალებისთვის (78,2 წ.), მაგრამ ეს მაჩვენებლები განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით ასევე შესამჩნევად დაბალ დონეზე იქნება. ასევე მცირდება, მაგრამ მანაც საგანგაშოა მამაკაცთა და ქალოთა დაბადებისას სიცოცხლის მოსალოდნელ ხანგრძლივობათა შორის სხვაობა, რაც დღეისათვის 7-8 წელს შეადგენს [1]. ამ მიმე დემოგრაფიულ სიტუაციაში სხვადასხვა სოციალური ჯგუფის რეპროდუქციული ქცევის შესწავლა შესაძლებლობას მოგვცემს,

გავარკვიოთ რეპროდუქციის პროცესზე ობიექტივაციისა და ნებელობის გავლენა, დღევანდელი მდგომარეობა და მოსალოდნელი შედეგები.

ნაშრომში განხილულია დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტში სხვადასხვა დროს ჩატარებული სოციოლოგიური კვლევის შედეგები¹³⁵.

რეპროდუქციულ ქცევაში იგულისხმება აქტივობა, მიმართული ბავშვთა ყოლის მოთხოვნილების დაკმაყოფილებისაკენ. მას განსაზღვრავს ბავშვთა ყოლის მოთხოვნილება და ის სიტუაცია, რომელშიც შესაძლებელია ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილება. რეპროდუქციული ნორმები პიროვნების რეპროდუქციული ქცევის ორიენტაციის გარეგანი საშუალებების სახით, წარმოადგენს, ბავშვების გარკვეული რიცხის გაჩენასთან დაკავშირებულ და სხვადასხვა სოციალურ და სოციალურ – ფსიქოლოგიურ ჯგუფში მიღებულ პრინციპებსა და ქცევის ნორმებს. მრავალშვილიანობის, საშუალოშვილიანობის და მცირეშვილიანობის ნორმებს შეუძლია რამდენიმე თაობაში ხანგრძლივი დროით შენარჩუნებულ მყარ ჩვეულებად და ტრადიციებად გადაიქცეს, მათი გამომწვევი გარემოებების და ცხოვრების პირობების შეცვლის შემდეგაც [3].

ბავშვთა ყოლის მოთხოვნილება განსხვავდება საზოგადოების, ცალკეული სოციალური ჯგუფების, ოჯახის და პიროვნების დონეზე, რასაც განაპირობებს მათი მოთხოვნილებათა ერთიანი სისტემიდან პრიორიტეტების გამოკვეთა. ბავშვთა ყოლის მოთხოვნილებაში გაერთიანებულია ბიოლოგიური და სოციალური ელემენტები. ყველა ქცევა, მათ შორის რეპროდუქციულიც, ვითარდება თანამიმდევრულად, მოთხოვნილებისა და განწყობის ფორმირებიდან მოქმედებისა და შედეგებისაკენ. რეპროდუქციული განწყობის უმთავრეს ინდიკატორებს წარმოადგენს შემდეგი ძირითადი მაჩვენებლები: ბავშვების საშუალო იდეალური, სასურველი და მოსალოდნელი (დაგეგმილი) რიცხვი.

ბავშვების საშუალო იდეალური რიცხვი ახასიათებს ადამიანის წარმოდგენას საერთოდ ოჯახში ბავშვთა საუკეთესო რაოდენობის შესახებ, მაგრამ არა აუცილებლად თავის ოჯახში. სასურველი რიცხვი კი განიხილება, როგორც მაჩვენებელი, რომელიც ყველაზე ახლოს ახასიათებს ბავშვებზე ინდივიდუალურ მოთხოვნილებას და გამოხატავს რესპონდენტთა პიროვნული უპირატესობის გამოვლენას ბავშვების იმ რაოდენობასთან დაკავშირებით, რომელიც რესპონდენტს უნდოდა, რომ ჰყოლოდა, თუკი მას ხელს არაფერი შეუშლიდა ამ ბავშვთა რაოდენობის ყოლის სურვილში.

ცხრილი 1

ბავშვთა იდეალური და სასურველი რაოდენობა რესპონდენტებში (საშუალო)

	მამაკაცი		ქალი	
	2013	2015	2013	2015
რამდენი ბავშვი უნდა იყოს საერთოდ ოჯახში	3,3	3,41	3,0	3,30
პირადად თქვენ რამდენი ბავშვის ყოლა გსურთ	2,6	3,25	2,4	3,11

ცხრილიდან ნათლად ჩანს, რომ ბავშვთა იდეალური და სასურველი რაოდენობის მაჩვენებელი განსხვავდება მორწმუნე და არამორწმუნე რესპონდენტებში. მორწმუნე რესპონდენტებში შედარებით მაღალია, ამასთან, მორწმუნე რესპონდენტთა გარკვეული ნაწილი კონკრეტულ რიცხვს არ უთითებს. მათი უმეტესობის აზრით, ეს საკითხი „ღმერთის ნებით წყდება“. ნაწილი კი პასუხობს „ბევრი შვილი“, მაგრამ ბევრში რამდენს მოიაზრებს არ მიუთითებს. შეკითხვაზე: „რამდენი ბავშვი უნდა იყოს საერთოდ ოჯახში?“ 14,8%-მა კონკრეტული რიცხვი არ დაასახელა. მათ შორის 32,9% თვლის რომ ეს „ღმერთის ნებით წყდება“. 16,4%-მა აღნიშნა, რომ უჭირს პასუხი, სავარაუდოდ იმავე მიზეზით. „ბევრი შვილი“ დაასახელა 28,8%-მა, ხოლო 17,8%-ის აზრით, „ოჯახის შესაძლებლობის მიხედვით“.

შეკითხვას: „პირადად თქვენ რამდენი ბავშვის ყოლა გსურთ?“ ზოგადი პასუხი გასცა 14,6%-მა. მათ შორის ნახევარმა აღნიშნა „მიჭირს პასუხი“, 36,1%-ის აზრით „ღმერთის ნებით წყდება“, ხოლო 18,9%-მა უპასუხა „ბევრი შვილი“.

ბავშვთა მოსალოდნელი (ან დაგეგმილი) რიცხვი ბავშვთა ის რაოდენობაა, რომლის ყოლასაც საერთოდ აპირებს ადამიანი. ის ახასიათებს ადამიანის და ოჯახის რეპროდუქციული გეგმების რეალურ განზრახვებს მათი ცხოვრების კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით. სტატისტიკოს დემოგრაფთა მიერ ეს მაჩვენებელი განიხილება, როგორც პროგნოზირებისათვის ყველაზე მეტად პრაქტიკული მნიშვნელობის მქონე სიდიდე.

რეპროდუქციული განწყობა საბოლოოდ რეპროდუქციულ ქცევაში აისახება. ბავშვების მოსალოდნელი რაოდენობა შეიძლება განვიხილოთ ბავშვების ფაქტობრივი რაოდენობისა

¹³⁵ 2013 წელს დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტმა საქართველოს სამ ქალაქში: თბილისში, ქუთაისსა და კასპში ჩაატარა გამოკვლევა თემაზე: „ოჯახის სოციალურ-დემოგრაფიული მოდერნიზაციის თავისებურებანი“, რომლის შედეგები, სხვა საკითხებთან ერთად, 18-49 წლის ქალების და მამაკაცების რეპროდუქციულ ქცევასთან დაკავშირებული საკითხების შესწავლის საშუალებას იძლევა. 2015 წელს მართლმადიდებელ მორწმუნეებში ჩაატარა გამოკვლევა თემაზე: „მართლმადიდებელ მორწმუნეთა დამოკიდებულება დემოგრაფიული ქცევისა და ოჯახის პრბლემებისადმი“.

(ბავშვების ის რაოდენობა, რომელიც რესპონდენტებს უკვე ჰყავთ გამოკითხვის მომენტში) და ბავშვების იმ რაოდენობის ჯამით, რომლის ყოლასაც კიდევ აპირებენ.

ცხრილი 2

ბავშვთა რეალური და კიდევ მოსალოდნელი რაოდენობა რესპონდენტებში (საშუალო)

	მამაკაცი		ქალი	
	2013	2015	2013	2015
ამჟამად რამდენი ბავშვი გყავთ	1,5	1,86	1,7	1,87
კიდევ რამდენი ბავშვის ყოლას აპირებთ	1,01	1,91	0,7	2,29
ბავშვთა მოსალოდნელი რაოდენობა	2,51	3,77	2,4	4,16

ცხრილი ნათელ წარმოდგენას იძლევა რესპონდენტთა მოსალოდნელ ბავშვთა რაოდენობაზე. მართლმადიდებელ მორწმუნეებში აშკარად გამოკვეთილი ტენდენციაა მრავალშვილიანობისაკენ. უნდა გაეთვალისწინოთ ისიც, რომ ამ რესპონდენტთა ნაწილმა შეკითხვაზე: „კიდევ რამდენი შვილის ყოლას აპირებთ მომავალში?“ კონკრეტული რიცხვი არ დაასახელა (12,2%). რადგან, ერთ ნაწილს, რწმენიდან გამომდინარე, მიაჩნია, რომ, ისევე, როგორც ყველაფერი, ეს საქმეც „ღმერთის ნებით წყდება“. ხოლო მეორე ნაწილი პასუხობს „ბევრი შვილი“, მაგრამ ბევრში რამდენს მოიაზრებს უცნობია.

რესპონდენტები ეთანხმებიან რწმენის გავლენას ოჯახში შვილთა რაოდენობაზე. მათი 45%-ის აზრით, მორწმუნეებს უფრო მეტი შვილი ჰყავთ, ვიდრე არამორწმუნეებს. შეიძლება ითქვას, რომ ოჯახში მრავალშვილიანობისადმი მათი განწყობა მაღალია, მით უფრო, რომ ამას ადასტურებს მოსაზრებაზე: „ოჯახს სულ მცირე სამი ბავშვი უნდა ჰყავდეს“ რესპონდენტთა 69,0%-ის თანხმობა.

ბავშვების მოსალოდნელი რაოდენობა არის ბავშვების ის რაოდენობა, რომლის ყოლასაც აპირებს ადამიანი საერთოდ „ბავშვების ყოლის მოთხოვნილებიდან“ გამომდინარე და კონკრეტული ცხოვრებისეული პირობების გათვალისწინებით. ბავშვთა ყოლის მოთხოვნილება წარმოადგენს ბავშვების რაოდენობის ინდივიდუალურ ოპტიმუმს კონკრეტულ პირობებში. მე-3-ე ცხრილი ნათელ წარმოდგენას იძლევა სხვადასხვა დროს ჩატარებული¹³⁶ გამოკვლევების მიხედვით, როგორია ბავშვთა რეალური, კიდევ მოსალოდნელი და სულ მოსალოდნელი ბავშვების მაჩვენებელი მორწმუნე რესპონდენტებში.

ცხრილი 3

ბავშვთა რეალური და კიდევ მოსალოდნელი რაოდენობა

2004 და 2015 წლებში გამოკითხულ მართლმადიდებელ მორწმუნე რესპონდენტებში (საშუალო)

	2004 წელი	2015 წელი
ამჟამად რამდენი ბავშვი გყავთ	2,33	1,87
კიდევ რამდენი ბავშვის ყოლას აპირებთ	1,62	2,18
სულ ბავშვთა მოსალოდნელი რაოდენობა	3,95	4,05

რაოდენობის ინდივიდუალური ოპტიმუმი მცირედით (0,1) მაგრამ მაინც აღემატება 2004 წლის იმავე მონაცემს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რეპროდუქციული ქცევა სამი ტიპისაა: მრავალშვილიანი, იგი განპირობებულია 5 და მეტი ბავშვის გაცნობიერებული მოთხოვნილებით. საშუალოშვილიანი, 3-4 ბავშვის ყოლის მოთხოვნილებით განპირობებული, რომელიც უზრუნველყოფს მოსახლეობის მხოლოდ მარტივ აღწარმოებას და მცირეშვილიანი 1-2 ბავშვის ყოლის მოთხოვნილებით განპირობებული. ეს უკანასკნელი არ არის საკმარისი მოსახლეობის თუნდაც მარტივი კვლავწარმოებისათვის. მართლმადიდებელ მორწმუნეებში ჩატარებული გამოკვლევები ადასტურებს, რომ მათი რეპროდუქციული ქცევა მიმართულია ძირითადად საშუალოშვილიანობისაკენ, ე.ი. მათი რეპროდუქციული ქცევა განაპირობებს მარტივ აღწარმოებას. 2015 წლის კვლევის მიხედვით მრავალშვილიანობისაკენაა გადახრილი. მაგრამ ჯერ კიდევ 1940 წელს უდიდესი ამერიკელი დემოგრაფი ფრენკ ნიუტსტეინი და სოციოპოიენისტი რეგინი სტიქსი წერდნენ, რომ „ვერც ერთი მოსახლეობა დაბალი მოკვდაობის პირობებშიც კი ვერ შეძლებს თავის კვლავწარმოებას მრავალშვილიანი ოჯახების მნიშვნელოვანი ხვედრითი წილის გარეშე. რათა გააწონასწორონ ქორწინებაში არმყოფები და ისინი, რომლებსაც არ შეუძლიათ ჰყავდეთ ერთ ან ორ შვილზე მეტი. გაანგარიშებები გვიჩვენებს, რომ კვლავწარმოებისათვის საჭიროა ოჯახების 30%-ზე მეტს ჰყავდეს 4 და მეტი ბავშვი“ [2]. ჩვენი ინსტიტუტის მიერ სხვა სოციალურ ჯგუფში ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა¹³⁷, რომ საქართველოში ოჯახები ძირითადად ორიენტირებულნი არიან ორშვილიან ოჯახებზე. ბავშვთა ყოლის მოთხოვნილება, საშუალოდ მოსახლეობის მარტივ აღწარმოებასაც კი ვერ უზრუნველყოფს. ზოგადად, მამაკაცების და ქალების რეპროდუქციული ორიენტაციები

¹³⁶ 2004 წელს ელგუჯა მენაბდიშვილის ხელმძღვანელობით მართლმადიდებელ რესპონდენტებში ჩატარდა სოციოლოგიური გამოკვლევა მორწმუნეთა რეპროდუქციული ქცევის შესწავლის მიზნით. გამოკითხა 1500 მორწმუნე.

¹³⁷ მონაცემები მოყვანილია 2013 წლის სოციოლოგიური გამოკვლევის შედეგებიდან.

ერთმანეთისგან მნიშვნელოვნად არ განსხვავდება. 18–49 წლის მამაკაცებს საშუალოდ ჰყავთ 0,93 შვილი, ქალებს კი – 1,17. სულ მოსალოდნელი შვილების რაოდენობა მამაკაცებისთვის საშუალოდ არის 2,51, ხოლო ქალებისთვის 2,31. ახალგაზრდა ასაკში, როგორც ქალების, ისე მამაკაცების მიერ დასახელებული ბავშვების იდეალური, სასურველი და მოსალოდნელი რაოდენობა ერთმანეთის მსგავსია. ამასთან, 45 წლის და უფროსი ასაკის ქალების მიერ დასახელებული ბავშვების ფაქტობრივი და სასურველი რაოდენობა მიახლოებულია ერთმანეთთან. ხოლო მამაკაცებში ბავშვთა ყოლის მოთხოვნილება ბოლომდე რეალიზებული არ არის. ქორწინებაში მყოფი რესპონდენტების ბავშვების საშუალო სასურველი და სულ მოსალოდნელი რაოდენობა დაახლოებით 2,5-ია. მართალია, მართლმადიდებელ მორწმუნეებში შესაბამისი მაჩვენებელი მნიშვნელოვნად აღემატება (4,05) მოყვანილ მაჩვენებელს, მაგრამ არასაკმარისია იმისთვის, რომ გააწონასწოროს ქორწინებაში არმყოფები, უშვილოები და ისინი, რომლებსაც არ შეუძლიათ ერთ ან ორ შვილზე მეტის ყოლა.

ბავშვთა ყოლის მოთხოვნილება განსაზღვრავს ბავშვთა რაოდენობას ოჯახში. ა. ანტონოვი აღნიშნავს, რომ „თუ ოჯახში ბავშვთა რიცხვი შეესატყვისება მეუღლეთა შვილზე რაოდენობრივ მოთხოვნილებას, მაშინ ცხოვრების პირობების ვერაფრითარი გაუმჯობესება ვერ გამოიწვევს ბავშვთა რაოდენობის გადიდებას. მაგრამ თუ ოჯახში ბავშვთა რაოდენობა მოთხოვნილებაზე ნაკლებია, მაშინ ამ მოთხოვნილების რეალიზაციის პირობების გაუმჯობესებას შეუძლია აამაღლოს დაბადებათა დონე. სხვადასხვა ადამიანს შეფასებათა კრიტერიუმში განსხვავებული აქვს, ამიტომ ცხოვრების ერთი და იგივე პირობები შეიძლება ერთისთვის მიღებული იყოს როგორც კეთილსასურველი, მეორესთვის როგორც მოთხოვნილების რეალიზაციისთვის არაკეთილსასურველი [4].

ცხრილი 4

ბავშვთა სასურველი რაოდენობის რეალიზაციის ხელის შემშლელი მიზეზები %

	2004	2013	2015
ჩემი ან მეუღლის ჯანმრთელობის მდგომარეობა. უნაყოფობა ან სხვა მიზეზი	39,0	22,6	37,0
მატერიალური პირობები	43,6	52,2	37,0
ოჯახური უთანხმოება	–	3,6	5,1
ცუდი საბინაო პირობები	8,9	2,0	4,1
სამსახური	–	2,2	4,6
ბავშვის აღზრდის სიძნელე	8,5	17,4	12,2

გამოიკვეთა სამი ძირითადი მიზეზი: მეუღლეთა ჯანმრთელობის მდგომარეობა, მატერიალური პირობები და ბავშვთა აღზრდის სიძნელე. ეს უკანასკნელი მნიშვნელოვნადაა დაკავშირებული ოჯახის მატერიალურ მდგომარეობასთან. ამიტომ, შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ მატერიალური პირობების გაუმჯობესება არაპირდაპირ უწყობს ხელს ოჯახში ფორმირებული ბავშვთა სასურველი რაოდენობის რეალიზაციას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გ. წულაძე, ა. სულაბერიძე, ნ. მაღლაფერიძე. დემოგრაფია. 2007, გვ.132.
2. ვ.ა. ბორისოვი, დემოგრაფია, თბ., 2001.
3. Антонов А. И. Репродуктивное поведение. // Народонаселение энциклопедический словарь. М.6 1994, С. 385.
4. Демографический энциклопедический словарь, М., 1985, с370.

*Lela Menabdishvili
Nana Menabdishvili*

PECULIARITIES OF FERTILITY RATE AND REPRODUCTIVE BEHAVIOR IN MODERN GEORGIA

Annotation

Georgia is among the countries, where an alarming demographic trends prevail. The research of reproductive behavior of different sociological groups against this background will allow us to find out the influence of the objectivation and the will on the reproductive process, as the current status as well as an anticipated results. The results of sociological research carried out in different times, among the different sociological groups at the Institute of Demography and Sociology are considered in this research. The profound influence of religion on the reproductive behavior was revealed.

The families in Georgia are mainly focused on families with two children. The demand for children, don't even guaranteeing a simple reproduction of a population on an average. The reproductive orientations of males and females don't differ considerably from each other. The average number of desired and all expected number of children for the married respondents in total is accordingly about 2,5. Actually, the corresponding index of orthodox believer respondents significantly surpasses (4,05) the mentioned index, but is not enough for balancing the persons with non marriage status, childless and those, without possibility to have more than one or two children. Three main obstacles for having

desired number of children were revealed: the health status of a spouse, material conditions of the family and the difficulty of upbringing the children. The last one is significantly connected to the material conditions of the family. Therefore, we can tell with confidence, that the improvement of material conditions indirectly facilitates the realization of the desired number of children formed in the family.

ღალი ხურცია


სოციალური მეწარმეობის მახასიათებელი და შესაბამისი ეკონომიკური პოლიტიკის პერსპექტივები საქართველოში

მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების ეკონომიკურ პოლიტიკაში მთავარი ადგილი უკავია ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფ სოციალურ პროექტებზე სახელმწიფო ტვირთის შემცირებას. ამ მხრივ ერთ-ერთი საინტერესო მიმართულება სოციალური მეწარმეობაა.

სოციალური მეწარმეობა, ქველმოქმედებისგან განსხვავებით (რაც სახელმწიფო სოციალური ხარჯების მთავარი მახასიათებელი თვისებაა), წარმოადგენს წარმოების პროცესს, სადაც მეწარმის მიერ ტრადიციული ბიზნესინსტრუმენტების გამოყენებით მიღებული შემოსევები სოციალურ თანასწორობასა და კეთილდღეობას ხმარდება. სოციალური მეწარმეობა, თავის მხრივ, ინოვაციური მეთოდების გამოყენებას გულისხმობს, რაც ნიშნავს, რომ მეწარმე ცდილობს, ახლებური მიდგომით კომერციულად მომგებიანი გახადოს დარგი, რომელიც მანამდე უპერსპექტივო ვალდებულად იყო მიჩნეული.

სოციალური მეწარმეობის ბიზნესმოდელი გულისხმობს კომერციული და არაკომერციული მიზნების ერთობლიობას (იხ. ნახატი).

სოციალური მეწარმეობა თანდათანობით პოპულარული ხდება და ის გლობალურ ხასიათს იძენს. ინტერნეტში შეიძლება მოინახოს უამრავი ბმული, რომლებიც თვალსაჩინოდ ასახავს ბიზნესიდეებისა და სოციალური პასუხისმგებლობის ერთობლიობას ცალკეული პროექტის ფარგლებში.



ნახატი 1. სოციალური მეწარმეობის ბიზნესმოდელი

ამ მხრივ საინტერესოა „ტომის ფესსაცმელები“ – კომპანია, რომელიც 2006 წელს დააარსა ბლექი მუკოსკიმ მას შემდეგ, რაც არგენტინაში მოგზაურობისას მან ნახა ბავშვები, რომელთა ავადმყოფობის მიზეზი ფესსაცმელების უქონლობა იყო. კომპანიის ბიზნესმოდელი არის „იყიდი ერთს, გავაჩუქებ ერთს“ კონცეფცია, რაც ნიშნავს იმას, რომ კომპანიის მიერ გაყიდულ ერთ წყვილ ფესსაცმელზე, ერთი ახალი წყვილი იგზავნება არგენტინაში, ეთიოპიაში, გვატემალასა და სხვა ქვეყნებში მცხოვრები უღარიბესი ბავშვებისათვის. კომპანია „ტომის ფესსაცმელები“ უშვებს ასევე სათვალეს იმავე მესიჯით. კომპანია საკუთარი პროდუქციის გაყიდვების მიზნით იყენებს ინფორმაციის ზეპირსიტყვიერი გავრცელების მეთოდს. ამ მოდელის ნაწილს წარმოადგენს, მაგალითად, არაკომერციული ორგანიზაცია „ტომის მეგობრები“, რომლებიც მოხალისეებს აგროვებენ იმ მიზნით, რომ ფესსაცმელები დაარიგონ საზღვარგარეთის ქვეყნებში. თავისი ბიზნესმოდელის ცნობადობის მიზნით, კომპანიამ დაარეგისტრირა სავაჭრო ნიშანი “One for one”.

სოციალურ მეწარმეობას დიდი ადგილი უკავია ინდოელი სოციალური აქტივისტისა და მეწარმის სანჯიტ როის საქმიანობაში. მისი კომპანია ეხმარება უამრავ ადამიანს აზიასა და აფრიკაში, შეიძინონ აუცილებელი ტექნიკური უნარები. გარდა ამისა, როის კომპანია დაკავებულია მზის ენერჯის გარდაქმნელი მოწყობილობების მონტაჟით ცივილიზაციისგან დაშორებულ და

გადატაკებულ სოფლებში. როის მიერ დაფუძნებული Barefoot College სპეციალიზდება ქალთა განათლებაზე დარბ სოფლებში და ხელს უწყობს მათ, შეისწავლონ საექიმო, საინჟინრო და არქიტექტურული საქმიანობა. როის ახალ პროექტებს მის მიერ დაარსებულ სასწავლო ცენტრებში აღზრდილი სტუდენტები ახორციელებენ. 1988 წელი პოლენდერის მიერ დაარსებული კომპანია „მეშვიდე თაობა“ (Seventh Generation) სოციალური მეწარმეობის კიდევ ერთი კარგი მაგალითია. კომპანია აწარმოებს ისეთ პროდუქციას, რომელსაც მინიმალური ზიანი მოაქვს გარემოსა და ადამიანებისთვის. გარდა ამისა, კომპანიის მოგების 10% მიმართულია მსგავსი პროფილის საწარმეობის დასაფინანსებლად. კომპანიის სტრატეგია იმდენად წარმატებული იყო, რომ 2010 წელს მისმა შემოსავალმა 150 მილიონ დოლარს გადააჭარბა.

ამ მაგალითების ჩამოთვლა უსასრულოდ შეიძლება. საქართველოს პირობებში სოციალურ მეწარმეობას მასიური ხასიათი არ აქვს, რაც ზოგადად შეიძლება აიხსნას დაბალი ეკონომიკური განვითარებით, რომლის პირობებშიც მოსახლეობის უმრავლესობა სოციალური მეწარმეობის ბენეფიციარია.

მიუხედავად ამისა, სოციალური მეწარმეობის რამდენიმე საინტერესო მაგალითი ჩვენს ქვეყანაში მაინც მოიძებნება. ერთ-ერთი ასეთია, მაგალითად Coop Georgia – რომელიც დაარსდა თბილისში 2012 წელს ვილჰელმ რუენჰოფისა და მისი უცხოელი და ქართველი მეგობრების მიერ. კომპანიის მიზანია, მოახდინოს ნარჩენების დახარისხების პოპულარიზაცია და დახარისხებული ნარჩენები გადაანაწილოს შესაბამის პროფილურ საწარმეობში. კომპანია მრავალ ქართულ ორგანიზაციასთან აქვს დადებული მემორანდუმი, რომლის ფარგლებშიც ორგანიზაციებში იდგება ყუთები ნარჩენების დასახარისხებლად ქალაქის, მინისა და პლასტმასის ნაკეთობებისთვის. კომპანია ამ ნარჩენების უტილიზაციას ახდენს ასევე ქართულ კომპანიებში – ქალაქი მიდის ტუალეტის ქალაქის მწარმოებელ კომპანიაში, მუყაო – წეროვანის ქალაქის ყუთების მწარმოებელ კომპანიაში, მინა – ქსნის მინის ქარხანაში, ხოლო პლასტმასი გადის ირანში, ვინაიდან საქართველოში პლასტმასის გადამამუშავებელი საწარმო არ მოიძებნა.

სოციალური მეწარმეობის კიდევ ერთი საინტერესო მაგალითია უნარშეზღუდული პირების დასაქმების ტენდენცია – საინფორმაციო ცენტრი 09, სადაც დასაქმებულია 15 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი, ტაქსი 2 200 200 – ტაქსით მომსახურების კომპანია, სადაც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე 12 პირი მუშაობს. გამომცემლობა “განსაკუთრებული ჟურნალი”, რომელიც 2014 წელს დააარსა ნუგზარ ჭიაბერაშვილმა. გამომცემლობა იღია ჭავჭავაძის “ივერიისა” და გიორგი წერეთლის “დროების” რეპროდუქციას ახორციელებს და მასში 14 შშმ პირია დასაქმებული.

საქართველოში სოციალური მეწარმეობის იდეების განხორციელების ხელშეწყობით განსაკუთრებით გამოირჩევა „სოციალური მეწარმეობის ცენტრი“, რომელიც 2009 წლიდან მუშაობს ამ მიმართულებით. ცენტრი უშუალო დაფინანსებას არ ახორციელებს, მისი მიზანია თეორიული და პრაქტიკული ცოდნა-გამოცდილების გაზიარების გზით შესაბამისი რეკომენდაციები გაუწიოს დაინტერესებულ პირებს.

ამჟამად ცენტრის რესურსების ბაზაში დარეგისტრირებულია 33 სოციალური საწარმო, რომლებიც მრავალ სხვადასხვა საქონელსა და მომსახურებას აწარმოებენ.

ისტორიულად, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები საქართველოში საკმაოდ სტაბილური და კარგი ეკონომიკური მდგომარეობით გამოირჩეოდნენ. ამის მაგალითია უსინათლოთა და ყრუ-მუნჯთა საზოგადოებების ეკონომიკური განვითარების ისტორია საბჭოთა წლებში.

საქართველოს უსინათლოთა საზოგადოება დაარსდა მეოცე საუკუნის 20-იან წლებში უსინათლოთა ერთი ჯგუფის მიერ. მიუხედავად იმისა, რომ იმ პერიოდში საბჭოთა საქართველოს მთავრობის მხრიდან არავითარი დახმარების იმედი არ არსებობდა, საზოგადოების შემოწირულობების შედეგად საკმაოდ სოლიდური თანხა შეგროვდა, რამაც შესაძლებელი გახადა, თბილისში გახსნილიყო ჯავრისების საამქრო. 1929 წლისთვის ამ საამქროში 20 უსინათლო მუშაობდა. თანდათანობით საქართველოს უსინათლოთა საზოგადოება მძლავრ ეკონომიკურ გაერთიანებად გარდაიქმნა და 80-იანი წლებისათვის უსინათლოთა საწარმეობში 2500-მდე უსინათლო იყო დასაქმებული, ხოლო უძრავი ქონების სახით ორგანიზაცია მრავალმილიონიანი კაპიტალის პატრონი იყო.

საქართველოს ყრუ-მუნჯთა ორგანიზაციაც მეოცე საუკუნის 40-იან წლებში შეიქმნა. ამ დროისთვის საბჭოთა მთავრობებს შექმნილი ჰქონდათ გარკვეულ შეღავათთა სისტემა, რომლითაც სარგებლობდნენ როგორც უსინათლოები, ასევე ყრუ-მუნჯები. ყრუ-მუნჯთა საზოგადოების წევრები ძირითადად დასაქმებულნი იყვნენ საზოგადოების ბაზაზე შექმნილ საწარმეობში, რომლებიც საკმაოდ შემოსავლიან საწარმეობად ითვლებოდა.

ამჟამად ეს საწარმეობი (სულ 14) გაჩერებულია. საზოგადოების კუთვნილი თანხები გაფლანგულია და დავის საგნად არის ქცეული.

წარსულში მარტო თბილისში მუშაობდა სამი საწარმო, მათ შორის საავიაციო ქარხანა, რომლებშიც ყრუ-მუნჯები იყვნენ დასაქმებულნი. სისტემა იმდენად კარგად იყო დაგეგმილი, რომ შესაბამისი სწავლა-განათლების, ადაპტაციისა და უნარების შექმნის შემდეგ ყრუ-მუნჯები იოლად საქმედობდნენ. ისინი უზრუნველყოფილი იყვნენ არა მხოლოდ სამუშაოთი, არამედ საცხოვრებელი ბინებითაც.”

ამჟამად უსინათლოთა და ყრუ-მუნჯთა საზოგადოების მფლობელობაში არსებული საწარმოები გაჩერებულია და ბევრ მათგანთან დაკავშირებით ქონებრივი დავები მიმდინარეობს.

ამგვარად, მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა იმ ფაქტორის განმსაზღვრელი არ არის თუ რატომ არ არის სოციალური მეწარმეობა უფრო ფართოდ ფეხმოკიდებული საქართველოში. ამის ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი, ჩვენი აზრით, მდგომარეობს საწყისი კაპიტალის არარსებობაში. მეწარმეები, რომლებიც საკმარის კაპიტალს ფლობენ, არ ცდილობენ სოციალური მეწარმეობის წახალისებას, შესაბამისად, ეს დარგი მხოლოდ მცირე კაპიტალის მფლობელი ფილანტროპების იმედად რჩება.

სოციალური მეწარმეობის მთავრი მასტიმულირებელი ასეთ პირობებში ისევ სახელმწიფო უნდა გახდეს. ამისთვის არსებობს ორი მიზეზი: პირველი ის, რომ სახელმწიფომ თითოეულ ადამიანს უნდა მისცეს შესაძლებლობა, იცხოვროს ღირსეულად, რაც ნიშნავს იმას, რომ თითოეულ ადამიანს ჰქონდეს შესაძლებლობა, ისწავლოს, იმუშაოს, იზრუნოს თავის ჯანმრთელობაზე და მიაღწიოს საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმალურად წარმოჩენას.

მეორე მიზეზი არის ის, რომ პოლიტიკის საბოლოო მიზნად ამგვარი შედეგის დასახვა განსაკუთრებული სიმწვავეით ჩანს სახელმწიფოს სოციალური პაკეტების შემთხვევაში. საკმარისია თვალის გადავავლოთ უახლოესი წლების სახელმწიფო ბიუჯეტს და სოციალური დახმარებების რაოდენობას, რომელიც ნათლად მეტყველებს, რომ ბიუჯეტი დატვირთულია ისეთი ვალდებულებებით, რომლებიც მხოლოდ ელემენტარული სასიცოცხლო პირობების შენარჩუნებაზეა გათვლილი და საერთოდ არ ითვალისწინებს სახელმწიფო პოლიტიკის იმ მთავარ მიზანს, რომელიც დასაწყისში აღვნიშნეთ. ასეთ ვალდებულებებზე შეიძლება იქნეს განხილული შშმ პირებზე გაცემული სოციალური დახმარებებიც.

თუ არაფერს ვიტყვით იმაზე, რომ ერთ სულზე დარიგებული შემწევობები ისედაც მცირეა, ეს ხარჯი არ არის გათვლილი მოკლე ან ხანგრძლივადიან შედეგზე. საბიუჯეტო სოციალურ დახმარებებს არ აქვს საინვესტიციო ხასიათი, რომელიც, საბოლოო ჯამში, მთლიანად საზოგადოებას და მათ შორის შშმ პირებს ღირსეული ცხოვრების საშუალებას მისცემდა.

სამწუხაროდ, სახელმწიფო პოლიტიკის ეკონომიკურ ეფექტიანობაზე და გარკვეულ ეკონომიკურ მოლოდინებზე საუბარი სრული სტატისტიკური მონაცემების გარეშე წარმოუდგენელია. თანამიმდევრული სახელმწიფო პოლიტიკის ჩამოყალიბებისთვის კი, რომლის საბოლოო მიზანი შშმ პირთა ეკონომიკური ინტეგრაცია და მათთვის ცხოვრების ღირსეული პირობების შესაძლებლობების მიცემა იქნებოდა, აუცილებელია პასუხი გაცეს ისეთ კითხვებს, როგორიცაა შშმ პირთა რაოდენობრივი მანქანებლები, შესაძლებლობების მიხედვით მათი დახასიათება, დემოგრაფიული მონაცემები, დასაქმება, განათლებისა და კვალიფიკაციის დონე და ა.შ.

მხოლოდ ასეთი მონაცემების არსებობის შემთხვევაში იქნება შესაძლებელი, გადავიდეთ არსებული პოლიტიკის შეფასების ეტაპზე და შევქმნათ საბიუჯეტო ხარჯის ალტერნატიული მოდელები, რომლებშიც სოციალური დახმარებები მიიღებდა საინვესტიციო ხასიათს და მოახდენდა მომავალი შედეგების პროგნოზირებას.

დღეისათვის საუბარი იმაზე, რომ აუცილებელია შშმ პირთა დასაქმება, რათა მათ ჰქონდეთ ღირსეული ცხოვრების შესაძლებლობა, მთავრდება მარტივი და გულგრილი პასუხით, რომ ქვეყანაში, სადაც უმუშევრობის დონე ქმედუნარიან მოსახლეობაში ისედაც დაბალია, ზედმეტია საუბარი შშმ-თა დასაქმებაზე. თავი რომ დავანებოთ იმას, რომ ეს არის ადამიანების ყოვლად დაუშვებელი დაყოფა მათი შესაძლებლობების მიხედვით, ფაქტი ისაა, რომ სახელმწიფო ყოველწლიურად 140 მლნ-ს ხარჯავს შშმ-თა სოციალურ დახმარებებზე და, ამდენად, კითხვა იმის შესახებ, არსებობს თუ არა ამ რესურსის გახარჯვის ალტერნატიული და უფრო ეფექტური გზა, ეკონომიკურად გამყარებულია და აუცილებლად შესაბამისი კვლევა სჭირდება.

Lali Khurtsia

SOCIAL ENTREPRENEURSHIP CASES AND ADEQUATE ECONOMIC POLICY PERSPECTIVES IN GEORGIA

Annotation

Social entrepreneurship is one of the most promising directions of the economy. Social Entrepreneurship, unlike charity, is the process of production where revenues earned by the entrepreneur's traditional business tools is used for social equality and welfare. Social entrepreneurship has gradually become popular, and it goes global. In country of Georgia social entrepreneurship is less widespread, however a few interesting examples of social entrepreneurship can still be found in Georgia. State is key player in stimulating of social entrepreneurship policy, which should be based on the given opportunity to each person's to live with dignity and prosperity.

Рамиля Валидовна Алиева

МЕХАНИЗМ РЕАЛИЗАЦИИ МЕРОПРИЯТИЙ ПО РЕСТРУКТУРИЗАЦИИ НЕНЕФТЯНЫХ ОТРАСЛЕЙ ПРОМЫШЛЕННОСТИ АЗЕРБАЙДЖАНА

Реализация стратегии перевода ненефтяных отраслей промышленности республики на путь устойчивого развития требует разработки действенного механизма реализации программы реструктуризации промышленности республики.

Механизм реализации должен охватывать все уровни: центральные и региональные органы власти, отрасли промышленности, предприятия. При этом первым шагом в разработке механизма реализации должно быть создание при правительстве республики специального органа, который отвечает за координацию и осуществление следующих основных задач реструктуризации. Этот орган:

- координирует и организует действия всех исполнителей на решение целей и задач реструктуризации, оказывает им методическую и консультационную поддержку;
- разрабатывает и реализует мероприятия по мобилизации финансовых, кредитных, материальных и других видов ресурсов для целенаправленного использования их в ходе осуществления реструктуризации;
- осуществляет разработку финансового плана по аккумуляции и целевому распределению средств на объекты и мероприятия реструктуризации;
- составляет перечень первоочередных проектов (мероприятий), подлежащих финансированию в соответствии с целями и задачами реструктуризации;
- создает на уровне республики службу маркетинга;
- организует проведение конкурсов (тендеров), торгов или аукционов на размещение заказов на выполнение работ;
- содействует созданию лизинговых компаний, бизнес центров, центров поддержки малого предпринимательства;
- определяет требования стандартов и особых условий выполнения работ реструктуризации;
- осуществляет постоянный информационно-аналитический мониторинг по всем аспектам реализации мероприятий реструктуризации.

Общая схема механизма реализации программы реструктуризации, приводится на рис 1.

В условиях рыночной экономики действует принцип: спрос определяет предложение, поэтому важнейшим исходным разделом реструктуризации должна быть оценка спроса на все виды промышленной продукции.

Выявление спроса на промышленную продукцию в широком смысле этого слова производится путем проведения маркетинговых исследований, включающих количественные и качественные оценки. Главный объект маркетинга - это рынок промышленной продукции, который зависит не только от внутренних, но и внешних факторов, так как он связан с рынком стран СНГ и стран дальнего зарубежья.

Поэтому спрос должен оцениваться на внутреннем рынке, в странах СНГ, в странах дальнего зарубежья.

Проведенная оценка спроса на промышленную продукцию является исходной базой для балансов спроса и предложений, на основе которых устанавливаются объемы производства основных видов продукции на текущий и перспективный период, определяются задачи завоза импорта.

На основе результатов оценки спроса на продукцию на внутреннем и внешнем рынках и балансовых расчетов, по каждой отрасли ненефтяной промышленности будут получены обоснованные цифры производства основных видов продукции на рассматриваемый период.

Для достижения требуемых рынком объемов продукции и выхода на эффективную устойчивую деятельность промышленности республики, необходимо осуществление конкретных программных мероприятий: экономических, финансовых, производственных, научно-технических, социальных и экологических.

Основная цель этих мероприятий - создать на базе действующих предприятий производственный потенциал, обеспечивающий выпуск качественной, конкурентоспособной на рынке продукции в необходимых объемах.

В системе программных мероприятий реструктуризации ненефтяной промышленности республики мероприятия в производственно-технической сфере должны занимать главенствующее место, так как они определяют принципиальные направления структурной перестройки промышленного комплекса в целом и отдельных его отраслей.



Рис 1. Общая схема механизма реализации программы реструктуризации нефте-ных отраслей промышленности республики

Конкурентоспособность нефте-ного сектора в долгосрочной перспективе будет определяться, в первую очередь, инновационностью ведущих отраслей и видов деятельности. Повышение конкурентоспособности предполагает модернизацию основных средств за счет масштабного привлечения инвестиций в основной капитал, расширения применения новых технологий промышленного производства.

Поэтому самой важной и сложной задачей механизма реализации мероприятий реструктуризации нефте-ных отраслей промышленности является поиск и консолидация инвестиций для финансирования программ-ных мероприятий.

Общая сумма инвестиций на осуществление реструктуризации промышленности республики представ-ляется достаточно большой. Безусловно, изыскать эту сумму за счет собственных источников (прибыли и амортизационных отчислений) без привлечения кредитов отечественных коммерческих банков и зарубежных компаний затруднительно.

Механизм управления инвестиционной деятельностью предполагает решение следующих задач (Рис. 2):




Рис. 2. Механизмы и инструменты управления инвестиционной деятельностью

Механизм управления инвестиционной деятельностью включает в себя также развитие институциональных мероприятий, в первую очередь, создание корпоративных структур управления, обеспечивающих рост собственных средств для инвестирования промышленного производства.

Стратегическими задачами механизма управления инвестиционной деятельностью является создание стабильного рынка инвестиций, обеспеченного необходимой инфраструктурой, соответствующей требованиям развитой рыночной экономики, когда спрос на инвестиции будет определять размеры и источники инвестиций.

Учитывая ограниченные финансовые возможности государства, реализация основных элементов механизма управления инвестиционной деятельностью должна предусматривать определённые временные этапы [Левочкин С.В., 2008: 25-33].

На первом этапе должны быть уточнены задачи всех субъектов инвестиционной деятельности и определено экономическое, организационное и финансовое взаимодействие между ними.

Основными формами и методами стимулирования и поддержки инвестиционной деятельности со стороны органов управления должны быть следующие:

- участие госбюджета в финансировании приоритетных инвестиционных проектов;
- гарантии и поручительства Правительства республики по приоритетным инвестиционным проектам;
- создание специального гарантийного фонда;
- налоговые льготы в части направлений в местный бюджет;
- поддержка малого предпринимательства в нефтегазовой промышленности;
- льготы по кредитам республиканских коммерческих структур;
- создание республиканского центра поддержки и содействия инвестиционной деятельности.

Для привлечения иностранных инвестиций в нефтегазовую промышленность республики следует решить следующие задачи:

- определить наиболее приоритетные и привлекательные для иностранных инвесторов промышленные объекты;

- разработать по выбранным объектам бизнес-планы с учетом требований отечественных и зарубежных методических и инструктивных документов;
- провести широкие маркетинговые исследования по оценке спроса на предполагаемую к производству промышленную продукцию или заготавливаемое сырье и материалы на внешних рынках;
- осуществить независимую экспертизу отобранных для иностранных инвесторов проектов по критериям экономической, социальной и экологической эффективности;
- для наиболее приоритетных инвестиционных проектов использовать метод инновационных инвестиций с использованием на начальных стадиях средств госбюджета, что может вызвать интерес у иностранных инвесторов.

В условиях ограниченности ресурсов для финансирования производственно-технических мероприятий механизм реструктуризации предприятий должен обеспечить разработку и практическое осуществление республиканской лизинговой политики. Основу этой политики должны составлять принципы реалистичности, приоритетности, обеспечения финансовых интересов наиболее приоритетного проекта. Эффективная лизинговая политика может существенно повлиять на параметры затратной части реализации программы реструктуризации, связанной с обеспечением необходимым современным оборудованием и особенно новых поколений техники, технологий, включая и информационные технологии.

Использование инновационного потенциала промышленных предприятий ненефтяного сектора является важным фактором перехода к устойчивому развитию, росту конкурентоспособности производства. Однако масштабы инновационной деятельности промышленных предприятий этого сектора пока недостаточны для перехода на инновационный путь развития.

Нефтяной сектор встал на путь рыночных реформ, а научно-техническая сфера медленно перестраивается к работе в новых условиях. Научно-технические разработки далеко не всегда становятся инновационным продуктом, готовым для производства и коммерческой реализации. Существуют проблемы связанные с трансфером технологий, охраной интеллектуальной собственности, сертификацией инновационной продукции и др.

Для изменения сложившейся ситуации требуются целенаправленные совместные действия государственных органов, научной общественности и бизнес структур. Прежде всего, необходимо разработать стратегию активизации инновационной деятельности в ненефтяных отраслях промышленности, включающую проведение необходимых для этих отраслей прикладных исследований и разработок и их трансфер и коммерциализацию.

Необходим поиск путей, форм и механизмов обеспечения устойчивого развития, точек роста и стабильности.

Мировая практика свидетельствует, что грамотно разработанная и целенаправленно реализуемая инновационная политика обеспечивает выход с инновационной продукцией на внутренний и внешний рынок, способствует замещению на внутреннем рынке импортной продукции. Эта задача не только актуальна, но достаточно трудно решаемая. Трудности ее решения связаны с нехваткой собственных средств у предприятий и организаций республики, ограниченностью бюджетного и внебюджетного финансирования, в том числе заемных и привлеченных средств [Harvard Business Review, 2009: 82].

Разработка новых механизмов и формирование системы инструментов регулирования и инвестиционной поддержки инновационной деятельности в организациях и на предприятиях ненефтяных отраслей промышленности ведутся недостаточно интенсивно.

Современные механизмы государственной инновационной политики, такие, как конкурсное финансирование научно-технических и инновационных проектов, независимая экспертиза заявок на бюджетное финансирование, контрактная система получения заказов, а также практика возвратного финансирования прикладных исследований и разработок, включая различные способы привлечения в научно-техническую и инновационную сферу банковского и промышленного капитала и др., не приобрели еще решающего значения, хотя и являются основными инструментами механизма рыночной экономики [Воеводин С.А., 1991: 56-80].

Важным инструментом, способствующим развитию инфраструктуры инновационной деятельности, является организация деятельности инновационно-промышленных комплексов. К числу эффективных инструментов активизации инновационной политики можно отнести разработку программ технологического развития, направленных на поддержку и развитие ненефтяного сектора экономики.

Заслуживают особого внимания такие инструменты, как система подготовки менеджеров для инновационной деятельности в ненефтяных отраслях промышленности, а также система продвижения результатов научных разработок, имеющих высокую вероятность коммерциализации на рынке.

Рассмотренные инструменты экономического механизма должны стать действенными факторами устойчивого развития ненефтяных отраслей промышленности республики на новой, инновационной основе.

Особую важность имеют меры, обеспечивающие стимулирование инновационной деятельности: развитие венчурного инвестирования - финансирования высоко рискованных инновационных проектов в научно-технической сфере, развитие государственного и частного страхования инновационных рисков.

Реструктуризация ненефтяной промышленности республики на основе перечисленных производственно-технических мероприятий позволит уменьшить зависимость республики от завоза многих видов продукции из-за рубежа.

Использованная литература

1. Воеводин С.А. Экономический механизм управления промышленным производством. Методика и практика организации / С.А. Воеводин. - К. : Вища школа, 1991. - 160 с.
2. Кульман А.А. Экономические механизмы / А.А. Кульман ; пер. с фр.; под общ. редакцией Н.И. Хрустальной. - М. : Прогресс; Универс, 1993. - 92 с.
3. Левочкин С.В. Финансовый механизм макроэкономического регулирования // Финансы Украины. – 2008, № 12. – стр. 25-33.
4. Harvard Business Review, 2009, January- February, p. 82.

Ramilya Aliyeva

MECHANISM OF REALIZATION OF ACTIONS FOR RESTRUCTURING OF NOT OIL INDUSTRIES OF AZERBAIJAN

Annotation

There is developed the general scheme of the mechanism of implementation of the program of restructuring of non-oil industries of Azerbaijan in the article. There are considered tools of the economic mechanism which have to become effective factors of a sustainable development of non-oil industries of the republic on a new, innovative basis.

თონა ბაგრატიონი

პერსონალის ორგანიზაციული ძეგვა ორგორც კომპანიის არამატერიალური აქტივი

თანამედროვე ეპოქა მუდმივი ცვლილებებითა და გარდაქმნებით ხასიათდება. ძირითადად ეს ტექნიკა-ტექნოლოგიური ცვლილებებია. მაგრამ მხოლოდ ტექნიკური ცვლილებები არ განაპირობებს კომპანიის განვითარებას და წარმატებას. კომპანიების მთავარი აქტივი ადამიანია. ადამიანი, რომელიც აღჭურვილია ცოდნით, ინტელექტით და ინოვაციური ხედვით. მხოლოდ ასეთი შემოქმედებითი ადამიანები ხდიან კომპანიას წარმატებულად [1, გვ. 18].

დასანანია, რომ საქართველოს კომპანიებში პრაქტიკოსმა მენეჯერებმა ეს მოცემულობა ჯერ ვერ გააცნობიერეს და, შედეგად, ვერც აღიარეს. თუმცადა, ამ საკითხით დაინტერესება საზღვარგარეთაც ცოტა ხნის წინ – 80-იანი წლებიდან დაიწყო. საქმე ეხება სამუშაო ადგილებზე ადამიანების შესწავლას, ადამიანებთან ურთიერთობის უნარ-ჩვევებს, ადამიანთა ქცევის ახსნას და მისი უკეთესი მიმართულებით განვითარებას. სწორედ საკითხის სიახლის გამო ადამიანთა ორგანიზაციულ ქცევაზე ცალსახა განმარტებაც კი არ არსებობს.

ორგანიზაციული ქცევის ცნება პირველად ამერიკელმა ფსიქოლოგმა ფ. როტლისბერგერმა გამოიყენა XX საუკუნის 50-იან წლებში. ორგანიზაციული ქცევა არის ცოდნის ის სფერო, რომლის გარშემო მრავალი მიდგომა და იდეები ჩამოყალიბდა. განვითარების მიხედვით ორგანიზაციულმა ქცევამ შემდეგი პერიოდები გაიარა:

1. **კლასიკური მიდგომა.** ეს მიდგომა წარმოიშვა იმ პერიოდში, როცა გაიხსნა მენეჯმენტის ქცევითი ასპექტები, ბიძგი მიეცა ეკონომიკური ფსიქოლოგიის განვითარებას. მაგრამ ამ ეტაპზე პიროვნების ფსიქოლოგიური თვისებები აღირიცხებოდა მხოლოდ მუშა პროცესის ჩარჩოებში და მისი განხილვაც მხოლოდ პერსონალის ამორჩევასა და დაქირავებასთან კავშირში ხდებოდა. ეს ეტაპი უკავშირდება მეცნიერული მენეჯმენტის ისეთი წარმომადგენლების სახელებს, როგორებიც იყვნენ ფ. ტელიორი, ფ. ვილბერტი, ა. ფაიოლი და ბ. ემისონი.

2. **კოზმოსური მიდგომა.** ეს არის ორგანიზაციული ქცევის ფსიქოლოგიური მიმართულება, რომელიც მომდინარეობს ადამიანის გონებრივი საქმიანობის პირველადობის აღიარებიდან. კოზმოსური მიდგომის დემონსტრირება პირველად მოახდინა ამერიკელმა ფსიქოლოგმა ე. ტოლმენტმა, რომელმაც ივარაუდა, რომ პიროვნების ქცევას, უპირველეს ყოვლისა, აქტის აქტი აპირობებს [2, გვ. 21].

3. **ბიჰევიორისტული მიდგომა.** ამ მიდგომის დამფუძნებელი იყო დ. უოტსონი. ის ვარაუდობდა, რომ ადამიანის ქცევა არის სტიმულებზე მისი ფიზიოლოგიური რეაქცია [3, გვ. 41].

ამის გარდა, სხვადასხვა მეცნიერები ასახელებენ სოციალური სწავლების და ადამიანურ რესურსებზე ორიენტირებულ მიდგომებს. **სოციალური სწავლების მიდგომა** ყველაზე მეტად გამოიხსნა ა. ბანდურას შრომებში [3, გვ. 43]. იგი გვამცნობს, რომ ადამიანები გარე გარემოს შეიცნობენ და ცვლიან მას იმ მიზნით, რომ წვდომა ჰქონდეთ მოტივაციურ ფაქტორებზე.

ადამიანურ რესურსებზე ორიენტირებული მიდგომა გულისხმობს ინდივიდის პიროვნულ ზრდას და განვითარებას, მაღალი კომპეტენციების შექმნას, რადგან ადამიანი არის როგორც ორგანიზაციის, ისე საზოგადოების ძირითადი რესურსი.

პერსონალის ორგანიზაციული ქცევის ამ მიდგომების განხილვით ჩვენთვის ნათელი ხდება რომ, თუ ადრე ორგანიზაციის მართვაში პრიორიტეტული იყო წარმოების გაფართოება, კონკურენცია, დომინირება და თვითდამკვიდრება ბაზარზე, ახლა დომინირებული ხდება ადამიანი და მისი ორგანიზაციული ქცევა. ადამიანი არის ორგანიზაციის უძვირფასესი კაპიტალი და უძვირფასესი არამატერიალური აქტივი.

მეცნიერი ი. არსენევის მტკიცებით, ორგანიზაციული ქცევა არის მეცნიერების სფერო, რომლის სწავლა საჭიროა ორგანიზაციაში ადამიანთა ქცევის გასაგებად და საწინასწარმეტყველოდ და აგრეთვე ამ ქცევის სამართავად [3, გვ. 14]. მეცნიერი დ. კრასოვსკი მიიჩნევს, რომ ორგანიზაციულ ქცევას ეს სახელი იმიტომ ეწოდა, რომ იგი ორგანიზაციებში წარმოიშვა და, თანაც, მისი მთავარი ფიგურები არიან ორგანიზაციის ორგანიზატორები, კერძოდ, მაღალი, საშუალო და დაბალი დონის მენეჯერები. და კიდევ იმიტომ, რომ ადამიანები თვითონ არიან თავისი ქცევის ორგანიზატორები [4, გვ. 40].

მ. ჯორჯის და გ. ჯოუნსის განმარტებით, პერსონალის ორგანიზაციული ქცევა არის ინსტრუმენტების ნაკრები, რომელიც ორგანიზაციის თანამშრომლებს საშუალებას აძლევს, აღწერონ, გაიგონ და გააანალიზონ სხვა ადამიანების ქცევა კოლექტივში, ხოლო მენეჯერებს ესმარება, ისე მართონ თანამშრომელთა ქცევები მათი შეცვლის ან გაფართოების მიმართულებით, რომ ორგანიზაციის მიზანი, მთლიანობაში, მიღწეულ იქნეს [5, გვ. 31].

მეცნიერი ა. კრუპანინი ორგანიზაციულ ქცევას იხილავს როგორც სისტემას, რომელიც შედგება ურთიერთმოქმედი შემდეგი ფაქტორებისგან [6, გვ. 61]:

- ორგანიზაციის მუშაკთა პიროვნული პარამეტრები;
- ორგანიზაციის პარამეტრები;
- გარე გარემოს პარამეტრები.

მეცნიერ ა. კონტეკოვას ორგანიზაციული ქცევა მიაჩნია მეცნიერებად ორგანიზაციაში მომუშავე ადამიანების და მათი ჯგუფების ქცევის შესახებ [7, გვ. 14]. რ. დაფტს – ცოდნის დისციპლინათშორის სფეროდ, რომელიც სწავლობს ადამიანთა ქცევებს შრომით პროცესში და ა. შ.

ორგანიზაციული ქცევის ზემოთ განხილული განმარტებები საშუალებას გვაძლევს, ჩამოვავალიბოთ მათი ძირითადი ნიშნები:

1. ორგანიზაციული ქცევა არის ცოდნის სპეციალური სფერო (მმართველობითი თეორია).
2. ორგანიზაციული ქცევის შესწავლის ობიექტი არის ორგანიზაცია, როგორც სოციალური სისტემა.

3. ორგანიზაციული ქცევის საგანი არის ინდივიდის, ინდივიდთა ჯგუფების და ორგანიზაციის მთელი კოლექტივის ქცევის ფორმების განვითარების კანონზომიერებები.

ორგანიზაციული ქცევისგან განსხვავებით, არსებობს შიდაორგანიზაციული ქცევაც. მათ შორის განსხვავებები მოცემულია ცხრილში 1. იგი ორგანიზაციის შიგნით პერსონალის ქცევაში მომხდარი პროცესების გახსნა-განხილვას გულისხმობს. ეს პროცესები ვრცელდება ორგანიზაციის ყველა თანამშრომელზე, რომლებიც უზრუნველყოფენ ორგანიზაციის ამოცანების მომსახურებას და გადაწყვეტას. ასე რომ, შიდაორგანიზაციული ქცევა – ეს არის ორგანიზაციის პერსონალის კომპონენტური მოქმედებების და მიზანშეწონილი ურთიერთქმედებების ერთობლიობა, რომელიც კომპანიის შიგნით მიმდინარეობს.

შიდაორგანიზაციულ ქცევაზე მოქმედებს ორგანიზაციული, ინფორმაციული და კულტურული ფაქტორები. განვიხილოთ ისინი:

ორგანიზაციის თანამშრომლები ქმნიან ორგანიზაციის მთლიან სოციალურ სისტემას, რომელიც ინდივიდებს აერთიანებს. ისინი შეიძლება გუნდებში და ჯგუფებში იყონ გაერთიანებულნი, ანდა შეიძლება არ იყონ. ეს ინდივიდები ცოცხალი ადამიანები არიან. ისინი თავიანთი კომპეტენციის (პროფესიული ცოდნა) ფარგლებში ფიქრობენ, გრძნობენ და იქცევიან. მეცნიერების დ. ნორტონის და რ. კაპლანის აზრით, მენეჯერს უნდა შეეძლოს სტრატეგიული პროფესიის თანამდებობების გუნდის გამოკვეთა, რომელ თანამდებობაზეც ეს ინდივიდები ყველაზე მაღალ უკუგებას მოგვცემენ [8, გვ. 66] და მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყოს ამ თანამდებობების დასაკავებლად კადრის შერჩევა და დაქირავება.

ცხრილი 1

ორგანიზაციული ქცევის და შიდაორგანიზაციული ქცევის მსგავსებები და განსხვავებები

შედარების ნიშნები	ორგანიზაციული ქცევა	შიდაორგანიზაციული ქცევა
მომცველობა	ორგანიზაცია, როგორც სოციალური სისტემა	ორგანიზაციის პერსონალის ქმედებების ერთობლიობა
გარე გარემოსთან კავშირი	ითვალისწინებს გარე გარემოს გაუგებრობას	განხილვება მხოლოდ ორგანიზაციის შიგნით მომხდარი ქმედებები
დასაქმების სფერო	ქცევითი პროცესები ორგანიზაციის შიგნით და მის გარეთ	შიდაორგანიზაციული პროცესები
განხილვის სფერო	3 ფაქტორის ურთიერთქმედება: მუშაკის პიროვნული პარამეტრები ორგანიზაციის პარამეტრები გარე გარემოს პარამეტრები	გადაწყვეტილების სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს და ემსახურება ორგანიზაციის ამოცანების და მიზნების შესრულებას

ნორტონი და კაპლანი ამას ორგანიზაციულ ფაქტორს უწოდებენ. ამ მეცნიერების აზრით, ჯერ უნდა ვიცოდეთ ორგანიზაციაში, რომელია ის სტრატეგიული სამუშაო ადგილები, რომლებიც

აპრობებენ მის წარმატებას, რა მოეთხოვებათ ამ სამუშაო ადგილებზე დაკავებულ ინდივიდებს და მხოლოდ ამ მოთხოვნების გათვალისწინებით ავარჩიოთ კადრი გამოცხადებული პრეტენდენტებიდან. აღნიშნული მეცნიერები არ გვაძლევენ რჩევას, თუ ასეთი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად კადრები რომელი ცნობილი მეთოდით – პროგნოსტიული, პრაქტიკული, იმიტაციური – შევარჩიოთ. ჩვენი აზრით, ასეთ დროს ყველაზე საუკეთესო მეთოდი იქნება პრეტენდენტისთვის გადასატრელებად კონკრეტული სიტუაციის შეთავაზება, ანუ იმიტაციური მეთოდით პრეტენდენტის შეფასება.

პერსონალის შიდაორგანიზაციულ ქცევაზე მოქმედებს **ინფორმაციული ფაქტორიც**. ორგანიზაციის ინფორმაციული კაპიტალი შედგება ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურისა და პროგრამებისგან. პირველი მოიცავს კომუნიკაციურ ქსელს, სტანდარტებს, დაგეგმვას, მეორე კი ცოდნის შესახებ ინფორმაციის პაკეტს. მეცნიერები ჯ. ხოუტორნი და ჯ. კორნერი [9, გვ. 47] ინფორმაციული ფაქტორებიდან განსაკუთრებულ მნიშვნელობას კომუნიკაციას აძლევენ და თვლიან, რომ ორგანიზაციის შიგნით კომუნიკაცია არის წარმოებითი საქმიანობა. ამის გარეშე ფაქტობრივად შეუძლებელია ორგანიზაციაში თანამშრომელთა ნებისმიერი საქმიანი ურთიერთობა და მასზე ბევრად არის დამოკიდებული თანამშრომელთა შიდაორგანიზაციული ქცევა.

მართლაც, კომუნიკაციით გადაცემული ინფორმაცია ეხმარება თანამშრომელს, გააკეთოს ორ ქცევას შორის არჩევანი. თუ გადაცემული ინფორმაცია სწორია, მაშინ ქცევებს შორის არჩევანიც სწორი იქნება.

პერსონალის შიდაორგანიზაციულ ქცევაზე მოქმედებს **ორგანიზაციის კულტურაც**. პრაქტიკა აჩვენებს, რომ მაღალი კულტურის მქონე ორგანიზაციები მაღალეფექტურობით არიან. ასეთი კულტურა თავისებურ მიკროკლიმატს ქმნის ორგანიზაციაში, რაც გარკვეულად დადებით გავლენას ახდენს პერსონალიზე. აქ ჩვენ გამოვყოფთ შიდაორგანიზაციული კულტურის ისეთ ელემენტს, როგორც არის მართვის სტილი. როგორც ცნობილია, იგი არის სამი სახის: ავტოკრატიული, ლიბერალური და დემოკრატიული. პირველი არის მენეჯერის მიერ მკაცრი დავალებების მიცემით მუშაობა, მეორე ამ დავალებების შეთანხმებაა მათ შემსრულებლებთან, ხოლო მესამე – შესასრულებელი საქმეების და დავალებების ფორმირება ორგანიზაციის კოლექტივის კონსტრუქციული წინადადებების ბაზაზე.

თანამედროვე ეპოქაში, როცა ადამიანები სულ უფრო და უფრო განათლებულნი გახდნენ, განა მოითმენენ, რომ მათ მენეჯერები ავტოკრატიული სტილით ხელმძღვანელობდნენ? რა თქმა უნდა, არა. ასეთ პირობებში მათი შიდაორგანიზაციული ქცევა ორგანიზაციისთვის უფრო კეთილსასურველი იქნება ლიბერალური და დემოკრატიული მმართველობის დროს. მაღალგანვითარებული ქვეყნების უმრავლესმა კომპანიებმა ეს კარგად გაითავისეს და სწორედ ასე მართავენ კოლექტივს. მაგალითისთვის მარტო კომპანია „სემკო“-ს მოყვანაც კმარა, რომელიც ქ. სან-პაულოში მდებარეობს. მასში ათასამდე ადამიანი მუშაობს. „ეს არ არის უბრალო მუშაობა. ისინი ფიქრობენ, ქმნიან და ცხოვრობენ. კომპანიაც მათთან ერთად ცხოვრობს, იზრდება და ვითარდება. თანამშრომლები გრძნობენ, რომ ისინი კომპანიას ეკუთვნიან, ხოლო კომპანია მათ. იგი მათი ცხოვრების ნაწილია. ეს არაა უბრალო კომერციული ორგანიზაცია. ესაა ერთი დიდი ოჯახი...“ [10, გვ. 17].

მაგრამ ეს კომპანია იქამდე არ იყო ასე ერთ გუნდად შეკრული, დემოკრატიასა და პიროვნულ თავისუფლებაზე დაფუძნებული ტომი, ვიდრე მას სათავეში არ ჩაუდგა ჰარვარდის MBA-ს კურსდამთავრებული 20 წლის რიკარდო ზემლერი. მან დაიწყო ამ კომპანიაში ლიბერალიზმისკენ მიმართული ცვლილებების განხორციელება და კომპანია ააგო სამი კომპონენტის – დემოკრატია, მოგების განაწილება და ინფორმაციის საჯაროობა – გარშემო. მან თითოეულ თანამშრომელს მისცა უფლება, გადაეწყვიტა რა გაეკეთებინა, როგორ გაეკეთებინა და როდის გაეკეთებინა. კომპანია „სემკოში“ ამ მიდგომამ კარგად იმუშავა. ყველას უხარია ერთმანეთის წარმატება და ყველა კმაყოფილია თავისი შრომის ანაზღაურებით, რადგან ზემლერმა მათ თვითონ დაანიშნინა თავიანთი ხელფასი. ასეთ პირობებში, როგორ ვიფიქროთ, როგორი იქნება „სემკოში“ დასაქმებული პერსონალის შიდაორგანიზაციული ქცევა? რა თქმა უნდა, მისაბამი, კეთილსასურველი. მაშ, რა უშლის ხელს ამაში ქართულ კომპანიებს? განა ქართული ანდაზა არ არის „მეცი ნიჭსა გზა ფართო“. ჰოდა, საქართველოს კომპანიებო, რას ელოდებით, გადმოიღეთ ზემლერის გამოცდილება. გარწმუნებთ – ცდა ეღირება შედეგად...

საზღვარგარეთის მთელი რიგი კომპანიების, მ.შ. კომპანია „სემკო“-ს გამოცდილება გვარწმუნებს რომ, თუ კომპანიის მენეჯმენტი სწორად წარმართავს თავისი თანამშრომლების შიდაორგანიზაციულ ქცევას, იგი ისეთნაირად მოაწვობს თავისი არამატერიალური აქტივის (ამ შემთხვევაში მხედველობაში გვაქვს პერსონალის ცოდნა და პროფესიონალიზმი) მატერიალურ აქტივებთან (ფიზიკური და ფინანსური კაპიტალი), შეთანაწვობას, რომ მათი მუშაობის შედეგი მართლაც იქნება მაქსიმალურად მაღალი.

მაგრამ ეს საკითხი კომპანიაში გარკვეული ღონისძიებების გატარებას მოითხოვს. მათ შორის ზოგიერთი ღონისძიება სარისკოც შეიძლება იყოს (განა სარისკო არ იყო რ. ზემლერმა რომ უფლება მისცა თანამშრომელს, თვითონ შეეფასებინათ თავიანთი შრომა და საკუთარი თავებისთვის დაენიშნათ ხელფასი?). კომპანია ამაზე უნდა წავიდეს და უპირველესად ყველა ის პრობლემა მოხსნას, რაც ეწინააღმდეგება პერსონალის შიდაორგანიზაციული ქცევის განვითარებას

საწარმოში. საქართველოს პირობებისთვის ერთ-ერთ ასეთ დიდ პრობლემად მიგვაჩნია დამქირავებელს და დაქირავებულებს შორის ურთიერთობის მოუწესრიგებელი სამართლებრივი ბაზა. მას საქართველოს შრომის კანონი არეგულირებს. ყველასათვის ცნობილია, როგორი აღშფოთება გამოიწვია საქართველოს ახალმა შრომის კანონმა, რომელშიც არავითარი უფლება არ ჰქონდათ დაფიქსირებული დაქირავებულებს.

ზემო ნათქვამიდან გამომდინარე, საქართველოს კომპანიებში დაქირავებული პერსონალის შიდაორგანიზაციული ქცევის „გასაკეთილშობილებლად“ ვიძლევიტ წინადადებებს, რომელთა შორის პირველ ადგილს სწორედ დაქირავებულთა და დამქირავებელთა შორის სამართლიანი ურთიერთობის ჩამოყალიბებას ვანიჭებთ. მას ჩვენ პარტნიორობა ეუწოდეთ. ეს წინადადებებია:

1. დამქირავებელსა და დაქირავებულთა შორის პარტნიორობის ჩამოყალიბება.
2. პერსონალის ორგანიზაციული ქცევის შესწავლა.
3. სტრატეგიული სამუშაო ადგილების გამოკვეთა და მათზე დასაქმებულთა მოთხოვნების ჩამოყალიბება.
4. თუ კომპანია დიდია, მისი ბიზნესერთეულებად დაყოფა და დივიზიონების ანუ თავაკაცების დანიშვნა, დანარჩენი თანამშრომლების დივიზიონში ასოცირებულ წევრებად შესვლა.
5. კომპანიაში მრჩეველების (მაგალითად, 3-5 კაცი) დანიშვნა, რომლებიც მორიგეობით უხელმძღვანელებენ მას წელიწადში 5-6 თვის პერიოდით.
6. თანამშრომლების დაქირავება 1 წლით (შემოწმების ვადა), რომლის გასვლის შემდეგ მან დირექციას წარუდგინოს თავისი წინადადებები, თუ ფირმის რომელ უბანზე იმუშავებს და რას გააკეთებს.
7. თანამშრომლებისთვის მუშაობის გრაფიკის არჩევის უფლების მიცემა.
8. ამ ჩამონათვალში ჩვენ არ შევიტანეთ ხელფასის დანიშვნის უფლება, რადგან ქართველი ხალხი ღარიბია და ჩვენ რომ დაქირავებულებს ამის უფლება მივცეთ, ისინი დამქირავებლებს გააკოტრებენ...

გამოყენებული ლიტერატურა

1. რობინსი ს., ტიმოთე კაკი, ორგანიზაციული ქცევის საფუძვლები, თბ., 2009.
2. Васильев Г., Деева Е., Организационное поведение, М., 2005.
3. Арсеньев Ю., Шелобаев С., Давыдова Т., Организационное поведение, 2006.
4. Красовский Ю., Организационное поведение, М., 2004.
5. Джордж Дж., Джоунс Г., Организационное поведение (пер. с англ.), М., 2003.
6. Крупинин А., Организационное поведение, М., 2002.
7. Кочеткова А., Введение в организационное поведение и организационное моделирование, М., 2004.
8. Каплан Р., Нортон Д., Трансформация нематериальных активов в монриальные ресурсы, пер. с англ., М., 2005.
9. Огнев С., Организационное консультирование в стиле коучинг, М., 2003.
10. მენეჯმენტი მენეჯერების გარეშე, თანამედროვე ორგანიზაციების მართვა, სტატიების კრებული, სინერჯი-ჯგუფი, თბ., 2012.

Teona Bagrationi

ORGANIZATIONAL BEHAVIOR OF EMPLOYEES AS AN INTANGIBLE ASSET

Annotation

The article discusses different attitudes to defining organizational behavior and refers to its importance. It distinguishes intra-organizational behavior from organizational behavior and lists differentiating factors.

The author also considers the informational, organizational and cultural factors that affect organizational behavior.

From cultural factors, the author pays special attention to management style in the company and communications – from informational factors.

The author gives a recommendation to managers in Georgia to study the behavior of their employees more closely in order to improve and further develop them.

მირზა ბახტაძე

სახელმწიფოს როლი ექსპორტის განვითარებაში


თანამედროვე მსოფლიო ქვეყნებს შორის სავაჭრო ურთიერთობებს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება, რადგან სწორედ ეკონომიკასა და ვაჭრობაზეა აგებული ქვეყნების წარმატებული ფუნქციონირების თითქმის მთელი სისტემა. საქართველოს ეკონომიკა ექსპორტის ზრდაზე უნდა იყოს ორიენტირებული, რაც სიღარიბის დაძლევის, წარმოების განვითარების, ქვეყანაში კონკურენტუნარიანობის ამაღლებისა და ეკონომიკური ზრდის საუკეთესო საშუალებას წარმოადგენს. განსაკუთრებულად რთულია პოსტკომუნისტური ქვეყნებისათვის მსოფლიო ბაზარზე სავაჭრო

ურთიერთობების სწორად წარმართვა და სავაჭრო ბალანსის ოპტიმიზაცია, ვინაიდან თანამედროვე ეკონომიკას ახალი გამოწვევები გააჩნია და საჭიროა სათანადო გამოცდილება, რათა მხარი აუბა ეკონომიკაში მიმდინარე ინოვაციურ ტენდენციებს.

საინტერესოა სავაჭრო ვაჭრობის ოფიციალური სტატისტიკა. ახალი მონაცემებით, 2013-2015 წლებში საქართველოს სავაჭრო ბრუნვამ 32,3 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა 3 წლის (2010-2012) მაჩვენებელზე დაახლოებით 22%-ით მეტია. აქედან ექსპორტი 7,97 მლრდ აშშ დოლარი იყო, ხოლო იმპორტი – 24,33 მლრდ. საქართველოს უარყოფითმა სავაჭრო ბალანსმა 2013-2015 წლებში 16,36 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა.

2015 წელს, წინა წელთან შედარებით საქართველოს სავაჭრო დეფიციტის აბსოლუტური მაჩვენებელი შემცირდა 208 მლნ აშშ დოლარით და ქვეყნის იმპორტი დაახლოებით – 685 მლნ აშშ დოლარით. მოცემული სურათი შეიძლება ავსხნათ იმით, რომ უახლოეს წარსულში საქართველოს ეკონომიკური მოდელი ორიენტირებული იყო უფრო მოხმარების სტიმულირებაზე ვიდრე წარმოების ზრდაზე, აქედან გამომდინარე, საგულისხმოა ის ფაქტი, რომ 2012 წელს უფრო მეტ უცხოურ პროდუქციას ვყიდულობდით ვიდრე 2015 წელს, შესაბამისად, მაღალი იყო ქვეყნის სავაჭრო დეფიციტიც.

2016 წლის იანვარ-მარტში რეგისტრირებულმა ექპორტის რაოდენობამ 443 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, ექსპორტის წილი მთლიან სავაჭრო სავაჭრო ბრუნვაში წინა წლის იმავე მაჩვენებელთან შედარებით შემცირებულია. სამწუხაროდ, აღნიშნული მაჩვენებელი, 2012 წლიდან დღემდე, ტენდენციურად კლებადია. თუმცა რაოდენობრივად 2013-2015 წლებში 2010-2012 წლების ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით, დაახლოებით 1,8 მილიარდი აშშ დოლარით უფრო მეტი ექსპორტი განხორციელდა (დიაგრამა 1).




დიაგრამა №1

მიუხედავად დიაგრამაზე ნაჩვენები ნაკლებად მომხიბვლელი სურათისა, ჩვენს ქვეყანას ნამდვილად აქვს სავაჭრო ბალანსის ოპტიმიზაციის პოტენციალი. მას, ერთი მხრივ, განაპირობებს სახელმწიფოს აქტიური ეკონომიკური პოლიტიკა, რომელიც ორიენტირებულია ადგილობრივი წარმოების განვითარებაზე და ნაციონალური პროდუქციის მოხმარების წახალისებაზე. მეორე მხრივ – სავაჭრო პარტნიორთა ზრდა და საერთაშორისო შეთანხმებები. მათ შორის აღსანიშნავია საქართველოს უმნიშვნელოვანესი პარტნიორი „ევროკავშირი“ და მასთან დადებული შეთანხმება ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის (DCFTA) შესახებ, რომელიც მოქმედებს 2014 წლის 1 სექტემბრიდან. „DCFTA“ არის შეთანხმება საქართველოსა და ევროკავშირს შორის, რომელიც ითვალისწინებს შეღავათიან სავაჭრო ურთიერთობებს; ეს ურთიერთობები ეფუძნება ორმხრივად ხელსაყრელ მიდგომას, ანიჭებს რა მხარეებს მათ ბაზრებზე დაშვების უკეთეს პირობებს სხვა სავაჭრო პარტნიორებთან შედარებით. თავისუფალი ვაჭრობის სივრცე (FTA) ითვალისწინებს მხარეებს შორის საქონლის ვაჭრობაზე საიმპორტო (და საექსპორტო, ასეთის არსებობის შემთხვევაში) გადასახადების გაუქმებას. ის ასევე უზრუნველყოფს მომსახურების სფეროში საგადასახადო ბარიერების მოხსნას და შესაბამის ბაზარზე კომპანიებისათვის შეღწევის შესაძლებლობის გაუმჯობესებას. საქართველოს მთავრობის მიზანია ევროკავშირის ბაზარზე ინტეგრაცია, რისი წინა პირობაცაა DCFTA –ის იმპლემენტაცია. ასევე საინტერესოა ის ფაქტი, რომ 2015 წელს, 2012 წელთან შედარებით, 83%-ით არის გაზრდილი საქართველოს ექსპორტი ევროკავშირის ქვეყნებში.


2015 წელს საქართველოს სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების რიცხვი 137 ქვეყნით განისაზღვრა, საიდანაც დადებითი სავაჭრო ბალანსი დაფიქსირდა 35 ქვეყანასთან. მიმდინარე წლის იანვარ-მარტში ჩვენი ქვეყნის ექსპორტის 25% ევროკავშირის ქვეყნებში გავიდა. The world factbook-ის

მონაცემებით, 2015 წელს საქართველო 224 ქვეყანას შორის 125-ე ადგილს იკავებს ექსპორტის რაოდენობის მიხედვით.

უმსხვილესი საქსპორტო ქვეყნების წილი მთლიან ექსპორტში
2016* წლის იანვარ-მარტში



ქვეყნების ჯგუფების წილი მთლიან ექსპორტში
2016* წლის იანვარ-მარტში



საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში სახელმწიფო იშვიათად გვევლინება საგარეო ვაჭრობის პირდაპირ მონაწილედ, თუმცა მის ძირითად ფუნქციებში შედის საგარეო ვაჭრობის რეგულირება, რაც, თავის მხრივ, გულისხმობს ექსპორტის მხარდაჭერასა და წახალისებას.

ბოლო წლებში საქართველოს მთავრობამ განახორციელა სატარიფო პოლიტიკის რეფორმები, რის შედეგადაც საქართველოს მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ლიბერალური სავაჭრო რეჟიმი აქვს. შეგახსენებთ, რომ საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, ექსპორტი ან რეექსპორტი საქართველოდან, გათავისუფლებულია საბაჟო გადასახადისაგან.

ექსპორტის სტიმულირების მთავარ ინსტრუმენტად შეიძლება მივიჩნიოთ ექსპორტის დაკრედიტება და დაზღვევა. ექსპორტის დაკრედიტება გულისხმობს სახელმწიფოს მიერ ექსპორტიორ კომპანიებზე გრძელვადიანი სესხის გაცემას შედარებით დაბალი %-ით ვიდრე ამას აკეთებენ კერძო ბანკები, აშშ-ში ექსპორტის დაკრედიტებას უზრუნველყოფს ექსპორტ-იმპორტის ბანკი ე.წ. Ex-Im Bank, რომელიც ჩამოყალიბდა 1930-იან წლებში. აშშ-ში, გარდა აღნიშნული ბანკისა, ექსპორტს ხელს უწყობენ სხვა საბიუჯეტო დაწესებულებები, მათ შორის საერთაშორისო განვითარების სააგენტო, კერძო ინვესტიციების საზღვარგარეთ განხორციელების სახელმწიფო კორპორაცია. ასევე ექსპორტის წახალისების მიზნით აშშ-ში მოქმედებს ვაჭრობისა და განვითარების პროგრამა.

ზემოთ აღნიშნული Ex-Im Bank-ის მსგავსი საფინანსო ორგანიზაცია არსებობს ბევრ ქვეყანაში, მათ შორის ინდოეთშიც (იმავე სახელწოდებით), გარდა ამისა, ინდოეთში მოქმედებს ვაჭრობის განვითარების მართვის სააგენტო და სხვა მსგავსი დაწესებულებები, რომლებიც უზრუნველყოფენ ქვეყანაში ექსპორტიორთა წახალისებას. დიდ ბრიტანეთში შექმნილია ექსპორტის ოფიციალური საკრედიტო სააგენტო UK Export Finance, რომელიც ხელს უწყობს საქსპორტო კომპანიებს და სთავაზობს დაბალპროცენტულ კრედიტს. იაპონიაში ექსპორტის წახალისებას 1985 წლიდან ახორციელებს სავაჭრო-საექსპორტო ორგანიზაცია (Japan External Trade Organization), რომელიც ჩამოყალიბდა სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე და იმ დროისათვის საწყისი კაპიტალი, დაახლოებით, 2 მლრდ ჰქონდა.

ექსპორტის სახელმწიფო დაკრედიტებას უნდა მოჰყვეს ექსპორტის დაზღვევის სისტემის ჩამოყალიბება, რომელსაც ქვეყნებში ძირითადად ზემოთ აღნიშნული Ex-Im ბანკი ახორციელებს, ასევე შეიძლება ამ საქმიანობას სახელმწიფოში დამოუკიდებელი ორგანიზაცია ეწეოდეს. აღნიშნული დაწესებულება ექსპორტიორ კომპანიებს აზღვევს სხვადასხვა რისკებისაგან. მაგალითად, სლოვაკეთის ექსპორტ-იმპორტის ბანკი ადგილობრივ ექსპორტიორებს უზღვევს: 1. ექსპორტის კრედიტებს; 2. დებიტორულ დავალიანებებს; 3. საწარმოო რისკებს; 4. ინვესტიციებს უცხოეთში, 5. აკრედიტირებს; 6. საბანკო გარანტიებს.

აღსანიშნავია, რომ ექსპორტის დაკრედიტების ინსტიტუტი საქართველოში უახლოეს მომავალში დაიწყებს ფუნქციონირებას, რომელიც მსოფლიოში აპრობირებული სხვადასხვა ხერხებით ფინანსურ მხარდაჭერას გამოუცხადებს პოტენციურ და არსებულ ექსპორტიორებს, ასევე დაეხმარება მათ რეკლამისა და პრომოციის მიმართულებით. ამ კუთხით აქტიურად მუშაობს საქართველოს მეწარმეობის განვითარების სააგენტო, რომელთა მთავარი მისიაც არის ქართული ბიზნესის

მხარდაჭერა მოგების გაზრდისა და გლობალური კონკურენტუნარიანობის განვითარებაში. აღნიშნული სააგენტოს პროგრამა „აწარმოე საქართველოში“ მნიშვნელოვანი წინაპირობაა ქართული ექსპორტის განვითარებისათვის.

ამრიგად, ექსპორტის განვითარებისათვის სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს შემდეგი ღონისძიებები:

1. ექსპორტის სახელმწიფო სუბსიდირება;
2. ექსპორტის დაკრედიტება და დაზღვევა;
3. სავალუტო და სატარიფო პოლიტიკის გატარება;
4. ექსპორტის სატრანსპორტო და ლოგისტიკური მხარდაჭერა;
5. ექსპორტიორი კომპანიებისათვის საინფორმაციო და საკონსულტაციო ცენტრების შექმნა;
6. ექსპორტის დიპლომატიური მხარდაჭერა;
7. საგარეო ვაჭრობის მარკეტინგული კვლევა;
8. საჭირო ინფრასტრუქტურული ღონისძიებების გატარება.

გარდა ამისა, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს არსებული სავაჭრო ბაზრების შენარჩუნება და ახალი ბაზრის მოძიება, ქვეყანაში უნდა ჩამოყალიბდეს ინოვაციური და ხარისხზე ორიენტირებული წარმოება. ასევე სახელმწიფომ უნდა გაამკაცროს კონტროლი საექსპორტოდ განკუთვნილ საქონელზე და ადგილობრივ მწარმოებელს გააცნოს ის სტანდარტები, რასაც ითხოვს საერთაშორისო ან რომელიმე კონკრეტული ქვეყნის ბაზარი.

საქართველოში ეროვნული ექსპორტის განვითარებისა და უცხო ქვეყნებთან ხელსაყრელი თანამშრომლობის პირობების შესაქმნელად უნდა შემუშავდეს ექსპორტის სტრატეგია, რომელიც, როგორც კერძო, ისე საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს აიძულებს, კოორდინირებულად იმოქმედონ საერთო მიზნებისათვის, რათა ქვეყანაში არსებული შეზღუდული რესურსები ოპტიმალურად იქნეს გამოყენებული და, რაც მთავარია, მათი საქმიანობა მიმართული იყოს არა მოკლევადიანი, არამედ გრძელვადიანი პერსპექტივისაკენ. ეს ყოველივე განაპირობებს ბალანსის დამყარებას ქვეყანაში უკვე არსებულ ეკონომიკურ საქმიანობასა და ექსპორტის განვითარებისათვის აუცილებელ ქმედებებს შორის.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Seyoum B., Kaynak E. Export-Import Theory, Practices and Procedures. 2014;
2. A. Thomas Cook. Mastering Import & Export Management. 2013;
3. http://www.papava.info/publications/Papava_Tapladze_Georgia_TRENDS_AND_PROSPECTS_Ge.pdf
4. http://geostat.ge/?action=page&p_id=136&lang=geo
5. http://www.economy.ge/uploads/files/sagareo_vachroba/Trade_turnover_2015_final_1.pdf
6. <http://www.economy.ge/ge/economic-sectors/trade&type=print>
7. <http://www.exim.gov/>
8. <http://www.tabula.ge/ge/story/105682-qumsishvili-eqspor-tis-tsxalisebis-saagentos-sheqmnaze-vmushaobt>
9. <https://www.eximbanka.sk>
10. http://www.glossary.ru/cgi-bin/gl_sch2.cgi?RRyoszwuigtol!_qxvuwyg
11. http://www.rusnauka.com/11_EISN_2010/Economics/63517.doc.htm
12. <http://bseu.by:8080/handle/edoc/15684>
13. <http://www.dissercat.com/content/mekhanizm-stimulirovaniya-eksporta-ispolzovanie-mezhdunarodnogo-opyta-v-rossiiskikh-usloviya>
14. www.cia.gov

Mirza Bakhtadze

GOVERNMENT'S ROLE IN THE EXPORT DEVELOPMENT

Annotation

Foreign trade is crucial in every country and it should be stimulated by government with implementing some programs or arrangements. In management of foreign economic activities the government especially pays attention to support export of manufactured goods. The purpose of this policy is to provide currency earnings, to get and keep positive trade balance with partner countries, to develop stable domestic manufacturing and to increase possibility of marketing opportunities. The work shows the main ways of supporting the export and also shows how crucial is the government's role in the export development.

საქართველოს საინვესტიციო პოტენციალი


საინვესტიციო პოტენციალი ქვეყნის საინვესტიციო კლიმატის ფორმირების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მახასიათებელია. ქვეყნის საინვესტიციო კლიმატის ფორმირება დაკავშირებულია ისეთ მახასიათებლებთან, როგორცაა საინვესტიციო მიმზიდველობა და საინვესტიციო აქტივობა.

საინვესტიციო პოტენციალი იყოფა საბაზო საინვესტიციო და მიმდინარე საინვესტიციო პოტენციალად. საბაზო საინვესტიციო პოტენციალს განსაზღვრავს რესურსების ერთობლიობა, რომელსაც მოცემული პერიოდისთვის ფლობს საზოგადოება [1, გვ. 272]. მიმდინარე საინვესტიციო პოტენციალი კი არის სიმდიდრის ის ნაწილი, რომელიც იქმნება ეკონომიკაში მთელი წლის განმავლობაში და შეიძლება პოტენციურად იქნეს გამოყენებული ძირითად კაპიტალში ინვესტირების მიზნით [2, გვ. 97].

ქვეყნის საბაზო საინვესტიციო პოტენციალი იგივე ეროვნული სიმდიდრეა. ეროვნულ სიმდიდრეში აისახება ქვეყანაში დაგროვილი სიმდიდრის ოდენობა და მოსახლეობის განკარგულებაში არსებული ქონების ერთობლიობაც. თანამედროვე კონცეფციის მიხედვით, ეროვნულ სიმდიდრეში შედის ქვეყნის როგორც წინა და ამჟამინდელი თაობების მიერ შექმნილი, ისე არსებული სამუშაო ძალის შრომის მიმდინარე მწარმოებლურობის პირობებში შესაქმნელი დოვლათის ჯამური პოტენციური ღირებულება, აგრეთვე მოძიებული და ეკონომიკურ ბრუნვაში ჩართული ბუნებრივი რესურსების ღირებულება. ეროვნული სიმდიდრე მარაგის, რესურსის, პოტენციალის აღმნიშვნელი კატეგორიაა. მასში, როგორც რესურსულ კატეგორიაში, აისახება კვლავწარმოების არა ერთი, არამედ მრავალი წლის შედეგი. ამიტომ მისი სიდიდე და დინამიკა კვლავწარმოების ერთ ციკლზე ორიენტირებული ინდიკატორებისგან (მთლიანი შიდა პროდუქტი, ეროვნული შემოსავალი და ა. შ.) განსხვავებით ნაკლებად ექვემდებარება კონიუნქტურას, იგი სტაბილური მაჩვენებელია. ეკონომიკური რყევები მის სიდიდესა და სტრუქტურაზე გაცილებით ნაკლებად ახდენს გავლენას, ვიდრე სხვა მაკროეკონომიკურ ინდიკატორებზე [3, გვ. 86].

ფიზიკური კაპიტალი (მატერიალურ-ნივთობრივი დოვლათის მთლიანი ღირებულება), ბუნებრივი კაპიტალი (მატერიალურ-ნივთობრივი დოვლათის მთლიანი ღირებულება), ბუნებრივი კაპიტალი (მიწის, სასარგებლო წიაღისეულის, ტყეების, სავარგულების, ჰიდრომინერალური რესურსების პოტენციური გამოყენების ღირებულება), ადამიანისეული კაპიტალი (უნარ-ჩვევები, ინტელექტი, პროფესიული ცოდნა დახელოვნების მიხედვით, რომელიც იქმნება ინვესტიციებით ადამიანში და განსაზღვრავს მის ქმედუნარიანობის პოტენციალს) და ფინანსური კაპიტალი (მონეტარული ოქრო, ვალუტა და დეპოზიტები, ფასიანი ქაღალდები, სესხები, დაზღვევის ტექნიკური მარაგი, მოვალე კრედიტორების სხვა ანგარიშები, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და ა. შ.) [3, გვ. 86]. ამ კლასიფიკაციიდან პირველი სამი ჯგუფი – ფიზიკური კაპიტალი, ბუნებრივი კაპიტალი და ადამიანისეული კაპიტალი – ქმნის არაფინანსურ საინვესტიციო პოტენციალს, მეოთხე კი – ფინანსურ პოტენციალს.

ეროვნული სიმდიდრე, აგრეგირებული სახით, იყოფა ოთხ ჯგუფად (სქემა 1):



სქემა 1. საქართველოს ეროვნული სიმდიდრის სტრუქტურა [3, გვ. 87]

სქემა 1-ზე წარმოდგენილი ეროვნული სიმდიდრის ელემენტობრივი შედგენილობა საინვესტიციო პოტენციალის შედგენილობაა იმ განსხვავებით, რომ თუ მას ამ სქემის საინვესტიციო პოტენციალის შედგენილობას ვუწოდებთ, მაშინ ადამიანური კაპიტალი უნდა გადავიყვანოთ არაფინანსურ აქტივებში და მის ელემენტებში უნდა მოვახვედროთ.

საინვესტიციო პოტენციალის ეს ელემენტები ყველა ქვეყანას აქვს, ზოგს – მეტი, ზოგს ნაკლები. მაგალითად, წარმოებული ძირითადი კაპიტალიდან იაპონიას დიდი მოცულობით ექნება

კომპიუტერული პროგრამები და მონაცემთა ბაზები, იტალიას – ხელოვნების ორიგინალური ნაწარმოებები, საქართველოს დიდი რაოდენობით აქვს არაწარმოებული ბუნებრივი კაპიტალიდან – წყლის რესურსები, რუსეთს – მიწა, წიაღისეული, აშშ-ს – კვლევა, ინტელექტუალური საკუთრების პროდუქტები და ა. შ.

საზოგადოების განვითარების თანამედროვე ფაზა ცოდნის ეპოქად, „ცოდნის ეკონომიკად“ ითვლება [4, გვ. 428]. მას „ახალ ეკონომიკასაც“ უწოდებენ. ეს იმას ნიშნავს, რომ ამ ფაზაში ქვეყნის ეკონომიკურ აღმავლობას უკვე განსაზღვრავს არა ბუნებრივი რესურსი, არამედ ცოდნა, მაღალი ტექნოლოგიები, ინფორმატიკა. ამის მაგალითად მოყავთ იაპონია, რომელსაც ბუნებრივი კაპიტალი ნაკლებად გააჩნია, მაგრამ ინტელექტუალური რესურსი აქვს დიდი, რის გამოც იგი მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, განვითარების დონით აშშ-ის შემდეგ მეორე ქვეყნად იქცა. ასეთი მიდგომით საქართველოსაც ბუნებრივი რესურსი კი ნაკლები აქვს, მაგრამ ინტელექტუალური პოტენციალი აქვს ასევე დიდი, რომელიც, განსხვავებით იაპონიისგან ჯერჯერობით არ არის რეალიზებული. აქედან გამომდინარე, არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ ქართველი ხალხის ინტელექტი, შეიძლება ძნელად აღსაწერი და ღირებულებით ფორმაში ძნელად გადასაყვანი, როგორცე მანინც უნდა ჩაირთოს საქართველოს საინვესტიციო პოტენციალში.

საქართველოს საინვესტიციო პოტენციალის განსაზღვრას მეტად დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა ენიჭება. საინვესტიციო პოტენციალის გათვლას ნაწილობრივ ტრანსცენდენტური ბუნება გააჩნია და მისი ყველა შემადგენლის (მაგალითად, შრომითი რესურსების) ფულად ფორმაში გამოსახვა ურთულესი პრობლემაა. ამიტომ მეცნიერები საინვესტიციო პოტენციალის ანგარიშისას იმედეგებენ არ რთავენ, რომელთა ღირებულებაში გამოხატვა რთულია. ასეთია შრომითი რესურსი. ეს შეცდომაა. ამით ხდება საინვესტიციო პოტენციალის ხელოვნური შემცირება. მით უფრო ეს ეხება საქართველოს, რომელიც ბუნებრივი რესურსებით არცთუ მდიდარი ქვეყანაა, ქართველი ერი კი ერთ-ერთ ნიჭიერ ერად ითვლება მსოფლიოში.

საქართველოს საინვესტიციო პოტენციალი გამოანგარიშებულ იქნა 1990 (ცხრ. 1) და 2010 წელს (ცხრ. 2). 1990 წლის ეროვნულ სიმდიდრეში, როგორც ცხრილი 1-დან ჩანს, არ შედის შრომითი რესურსი და ფინანსური აქტივები. მათ გარეშე ეს მაჩვენებელი მიმდინარე ფასებით 69,3 მლრდ მანეთს შეადგენდა. სხვა ინფორმაციით იგი შეადგენდა 73,3 მლრდ მანეთს, ანუ მაშინდელი ოფიციალური კურსით 120 მლრდ აშშ დოლარს [3, გვ. 86]. ამ სიმდიდრეში 59,4% ეკავა ძირითად ფონდებს (წარმოებული და არაწარმოებული ძირითადი კაპიტალი).

ცხრილი 1

საქართველოს ეროვნული სიმდიდრის ბალანსი 1990 წელს [5, გვ. 186]

ეროვნული სიმდიდრის ელემენტები	მოცულობა	სტრუქტურა %-ით ჯამთან
	ფაქტობრივ ფასებში (მლნ მანეთი)	ფაქტობრივ ფასებში
ეროვნული სიმდიდრე – სულ მათ შორის:	69369.9	100%
ძირითადი ფონდები. აქედან:	41233.0	59.4%
წარმოებული ფონდები	27897.0	40.2%
არაწარმოებული ფონდები	13336.0	20.2%
მატერიალური საბრუნავი საშუალებები	13250.9	19.2%
მოსახლეობის პირადი საოჯახო ქონება	14886.0	21.5%

1990 წლის შემდეგ საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო სამსახური აღარ აწარმოებს ეროვნული სიმდიდრის აღრიცხვას. სამაგიეროდ ამ საკითხზე მუშაობენ ექსპერტები, რომელთა შეფასებით საქართველოს ეროვნულმა სიმდიდრემ 2010 წელს 900 მლრდ დოლარს გადააჭარბა (ცხრ. 2).

ცხრილი 2

საქართველოს ეროვნული სიმდიდრე 2010 წელს ფინანსური კაპიტალის გარეშე [3, გვ. 92]

	მლრდ აშშ დოლარი	%
ეროვნული სიმდიდრე. მათ შორის:	900	100
ეროვნული ქონება	200	22.2
მოსახლეობის საშინაო ქონება	40	4.4
ბუნებრივი სიმდიდრე არაწარმოებული მატერიალური აქტივები	340	37.8
აქედან:		
სასარგებლო წიაღისეული	250	27.8
მიწა – სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებისათვის (სავარგულები, სახნავ-სათეს-სადოვარი)	60	6.7
ტყე, პიდრომინერალური (მტკნარი, მინერალური და თერმული) რესურსები	30	3.3
ადამიანისეული კაპიტალი	320	35.6

ამ გაანგარიშების მიხედვით საქართველოს ეროვნული სიმდიდრისა და მისი ელემენტების ღირებულებამ 2010 წელს უკვე მნიშვნელოვნად გადააჭარბა არა მარტო 2000 წლის, არამედ 1990 წლის დონესაც. აღნიშნულს პრინციპული მნიშვნელობა აქვს იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ 1990-იან წლებში საქართველოში განვითარებული მოვლენების გამო, ქვეყანაში თითქმის 6-7 წლის მანძილზე მიმდინარეობდა არა მარტო ეკონომიკური ვარდნა და, აქედან გამომდინარე, მთლიანი შიდა პროდუქტის შემცირება, არამედ ეროვნული სიმდიდრის თანდათანობითი კლებაც [3, გვ. 92]. ლოგიკურია დასკვნა, რომ ასეთ პირობებში ეროვნული სიმდიდრე ქვეყანაში თითქოს არ უნდა გაზრდილიყო. ფიზიკურად იგი მართლაც არ გაიზარდა, მაგრამ შეიცვალა რა მისი გაანგარიშების მეთოდოლოგია, მოხდა უნიფიკაცია, ამოღდა ფასები, ამან გამოიწვია ქვეყნის ეროვნული სიმდიდრის ღირებულებითი ზრდა.

2010 წლის საქართველოს ეროვნულ სიმდიდრეში შედის ადამიანისეული კაპიტალიც (შრომითი რესურსი) და ფინანსური აქტივებიც. ეს უკანასკნელი ეროვნულ ქონებაში შევიდა და, როგორც სპეციალისტები წერენ იგი 10 მლრდ აშშ დოლარის მოცულობით განისაზღვრა [3, გვ. 91]. რაც შეეხება ადამიანისეულ კაპიტალს, მისმა ღირებულებამ 320 მლრდ აშშ დოლარი ანუ მთელი ეროვნული სიმდიდრის 35.6% შეადგინა.

მაშასადამე, საქართველოს ადამიანისეულმა კაპიტალმა საქართველოს ეროვნულ სიმდიდრეში 320 მლრდ დოლარი ანუ 1/3 დაიკავა. ეს გაანგარიშება დაეფუძნა დასაქმებულთა რიცხვს (1.7 მლნ კაცი) და მათ შრომის მწარმოებლურობას (12.5 ათასი ლარი) [3, გვ. 90]. ეს ის პროდუქტია, რაც დასაქმებულებმა შექმნეს. მაგრამ, ჩვენი აზრით, პოტენციალში მარტო ის კი არ უნდა შევიდეს, რაც მათ შექმნეს, არამედ ისიც, რასაც ისინი მომავალში შექმნიან. რადგან ტექნიკა-ტექნოლოგიაში მოსალოდნელი პროგრესული ცვლილებები თუ არ გაასაზრდებებს, გააორმაგებს მაინც მის სიდიდეს.

ასე რომ, ჩვენი ვარაუდი 2010 წლისთვის გამოანგარიშებულ ეროვნულ სიმდიდრეს, ანუ ქვეყნის დღევანდელ საინვესტიციო პოტენციალს, ადამიანისეული კაპიტალის ანგარიშზე, 300 მლნ აშშ დოლარი მაინც უნდა დაემატოს.

მოცემულ ნაშრომში მოყვანილი ჩვენი მსჯელობა ეხება საქართველოს შიგა საინვესტიციო პოტენციალს და იგი არ გულისხმობს გარე შესაძლებლობებს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ეკონომიკური თეორიის საფუძვლები (გ. ადეიშვილის რედაქციით), თბ., 1998.
2. Раевский С., Третьяков А., Инвестиционная активность в регионе, М., 2006.
3. ასათიანი რ., საქართველოს ეკონომიკა, თბ., 2012.
4. პაპავა ვლ., პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის პოლიტიკური ეკონომია და საქართველოს ეკონომიკა, თბ., 2003.
5. ყუფუნია რ., საქართველოს ეკონომიკა, თბ., 2010.

Bakar Beruashvili

INVESTMENT POTENTIAL IN GEORGIA Annotation

The article *Investment Potential in Georgia* refers to national wealth as a basic investment potential of the country. The author analyses its components and total national wealth according to 1990 and 2010. The article mentions the difficulty of calculation of its components. Special emphasis is made on human capital.

According to the author, Georgian nation is talented, accordingly, investment potential of the country should not only include existing assets but also the wealth that nation will likely create in the future.

ნინო გელაშვილი

საქართველოს საბარემო ვაჭრობის ბეობრაფიული ბანაწილება

საგარეო ვაჭრობის ძირითადი მაჩვენებლების ანალიზისა და პროგნოზების გაანგარიშებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მისი გეოგრაფიული მიმართულებების განსაზღვრას. იგი გულისხმობს საგარეო ვაჭრობის მოცულობისა და სასაქონლო სტრუქტურის შესწავლას ცალკეული ქვეყნებისა და ქვეყნების გაერთიანებების (ევროკავშირი, დსთ, შავი ზღვის აუზი და სხვ.) მიხედვით.

2015 წელს საქართველოს საგარეო სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდა მსოფლიოს 146 ქვეყანასთან და 2010 წელთან შედარებით მათი რიცხვი 12-ით გაიზარდა (იყო 134). საგარეო ვაჭრობის მთლიანმა მოცულობამ შეადგინა 9 933 მლნ აშშ დოლარი, რაც 43,2%-ით აღემატება 2010 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს. იმავე, 2015 წელს ექსპორტის მოცულობამ 2 861 მლნ, ანუ 22,2%, ხოლო იმპორტმა 8 596 მლნ (77,8%) დოლარი შეადგინა. 2010 წელს ეს მაჩვენებლები შესაბამისად იყო 1 677 მლნ (24,2%) და 5 257 მლნ (75,8%).

ქვემოთ მოტანილი ცხრილი ახასიათებს საქართველოს საგარეო ვაჭრობის ძირითადი მაჩვენებლების ცვლილებას 2010-2015 წლების პერიოდში.

საქართველოს საგარეო ვაჭრობა
(მლნ. აშშ დოლარი)

	2010	2011	2012	2013	2014	2015
საგარეო სავაჭრო ბრუნვა	6935	9225	10413	10921	11454	9933
საქონლის რეგისტრირებული ექსპორტი	1677	2187	2376	2910	2861	2204
საქონლის რეგისტრირებული იმპორტი	5257	7038	8037	8012	8593	7729
საგარეო ვაჭრობის სალდო	-3580	-4852	-5661	-5102	-5733	-5525

მიუხედავად იმისა, რომ 2015 წელს 2010 წელთან შედარებით 34-დან 37-მდე გაიზარდა იმ პარტნიორი ქვეყნების რიცხვი, რომელთანაც საქართველოს დადებითი სავაჭრო ბალანსი აქვს, მაგრამ იმავდროულად 99-დან 109-მდე გაიზარდა იმ ქვეყნების რიცხვიც, ვისთანაც საქართველოს უარყოფითი სავაჭრო ბალანსი აქვს. ამრიგად, დღეს საქართველოს ერთ-ერთ მთავარ ეკონომიკურ პრობლემად კვლავ უარყოფითი სავაჭრო ბალანსი რჩება.

2015 წელს საქართველოს საგარეო ვაჭრობის გეოგრაფიული განაწილება ქვეყნების ჯგუფების მიხედვით ასეთი იყო: ევროკავშირის ქვეყნები – 31,9%, დსთ-ის ქვეყნები – 28,2% და მსოფლიოს დანარჩენი ქვეყნები – 39,9%. 2010 წელთან შედარებით ევროკავშირის ქვეყნების ხვედრითი წილი გაიზარდა თითქმის 3% პროცენტული პუნქტით, ხოლო იმავდროულად შემცირდა დსთ-ის ქვეყნების ხვედრითი წილი (თითქმის 7 პროცენტული პუნქტით). 2015 წელს ამავე ქვეყნების ჯგუფების ხვედრითი წილი იმპორტის მთლიან მოცულობაში იყო, შესაბამისად, 32,6, 25,4 და 42 პროცენტი, ხოლო ექსპორტში კი, შესაბამისად, 29,3, 38,1 და 32,6 პროცენტი.

ცალკეული ქვეყნებიდან 2015 წელს იმპორტის მთლიან მოცულობაში ლიდერობდა თურქეთი (17,2%), შემდეგ მოდიან რუსეთი (8,1%), ჩინეთი (7,6%), აზერბაიჯანი (7,0%) და ირლანდია (5,9%). ეს უკანასკნელი 2015 წლამდე არ წარმოადგენდა საქართველოს მნიშვნელოვან სავაჭრო პარტნიორ ქვეყანას. 2015 წელს კი იმპორტის მოცულობით მან გაასწრო უკრაინას, გერმანიას, აშშ-ს და მრავალ სხვა მთავარ სავაჭრო პარტნიორ ქვეყანას.

შემდეგი ცხრილი ახასიათებს საქართველოს იმპორტის მოცულობის ცვლილებას:

საქართველოს იმპორტის მოცულობა
(რანჟირებული ქვეყნების პირველი ათეული; მლნ აშშ დოლარი)

	2010	2011	2012	2013	2014	2015
იმპორტის მოცულობა, სულ	5257	7038	8037	8012	8593	7729
მათ შორის:						
თურქეთი	887	1277	1469	1409	1727	1331
რუსეთი	291	388	477	584	575	624
ჩინეთი	335	525	614	612	733	587
აზერბაიჯანი	485	611	692	653	638	538
ირლანდია	8	10	11	11	10	456
უკრაინა	561	691	588	601	546	455
გერმანია	333	481	540	449	466	431
აშშ	181	246	213	254	287	252
არაბთა გაერთიანებული ემირატები	159	227	184	211	199	213
იაპონია	170	174	313	320	368	211

2015 წელს საქართველოს ექსპორტის მთლიან მოცულობაში პარტნიორი ქვეყნების პირველი ხუთეული ასეთია: აზერბაიჯანი (10,9%), ბულგარეთი (9,7%), თურქეთი (8,5%), სომხეთი (8,2%) და რუსეთი (7,4%). ასეთი ქვეყნების პირველ ათეულში (მერვე პოზიციაზე) აღმოჩნდა უზბეკეთი, რომელიც 2015 წლამდე არ შედიოდა პირველი 50 ქვეყნის რიგშიც კი.

შემდეგი ცხრილი ახასიათებს საქართველოს ექსპორტის მანვენებლების ცვლილებას 2010-2015 წლებში:

საქართველოს ექსპორტის მოცულობა
(რანჟირებული ქვეყნების პირველი ათეული; მლნ აშშ დოლარი)

	2010	2011	2012	2013	2014	2015
ექსპორტის მოცულობა, სულ	1677	2187	2376	2910	2861	2204

¹³⁸ ცხრილი შედგენილია საქსტატის ოფიციალური ვებ-გვერდის მიხედვით (www.geostat.ge)

¹³⁹ ცხრილი შედგენილია ჩვენს მიერ საქსტატის ოფიციალური მონაცემების მიხედვით.

¹⁴⁰ ცხრილი შედგენილია ჩვენს მიერ საქსტატის ოფიციალური მონაცემების მიხედვით.

მათ შორის:						
აზერბაიჯანი	256	426	627	710	545	240
ბულგარეთი	67	94	70	151	167	214
თურქეთი	217	226	140	184	239	187
სომხეთი	167	223	258	315	288	180
რუსეთი	35	37	47	190	275	163
ჩინეთი	27	29	26	34	90	126
აშშ	187	144	226	138	207	104
უზბეკეთი	8	13	16	23	55	97
გერმანია	35	49	39	73	69	76
იტალია	26	76	53	81	86	74

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს საქართველოს სავაჭრო ურთიერთობის ანალიზი **ევროკავშირის ქვეყნებთან**. 2015 წელს საქართველოს სავაჭრო სავაჭრო

ბრუნვამ ევროკავშირის ქვეყნებთან 3 165 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, აქედან ექსპორტი 646 მლნ აშშ დოლარი (20,8%) იყო, ხოლო იმპორტი 2 519 მლნ აშშ დოლარი (79,2%). საქართველოს სავაჭრო სავაჭრო ბრუნვის მთლიან მოცულობაში ამ ქვეყნების წილია 31,9% შეადგინა, მათ შორის ექსპორტში 29,3% და იმპორტში 32,6%.

მთლიანი სავაჭრო ბრუნვის მიხედვით ქვეყნების პირველი ხუთეული ასე გამოიყურება: ყველაზე მაღალი მაჩვენებლით გამოირჩევა გერმანია, შემდეგ მოდის ირლანდია, იტალია, რუმინეთი და ნიდერლანდები.

შემდეგ ცხრილში მოტანილი სტატისტიკა ახასიათებს საქართველოს იმპორტს ევროკავშირის ქვეყნებიდან 2010-2015 წლებში:

ცხრილი 4⁴¹

საქართველოს იმპორტის მოცულობა ევროკავშირის ქვეყნებიდან
(რანჟირებული ქვეყნების პირველი ათეული; მლნ აშშ დოლარი)

	2010	2011	2012	2013	2014	2015
მთლიანი იმპორტი ევროკავშირის ქვეყნებიდან	1471	2053	2429	2264	2370	2519
მათ შორის:						
ირლანდია	8	10	11	11	10	456
გერმანია	333	481	540	449	466	431
რუმინეთი	141	186	259	323	312	207
იტალია	137	184	271	221	222	198
ბულგარეთი	132	256	271	194	210	168
ნიდერლანდები	105	133	142	125	149	128
საფრანგეთი	75	97	106	164	131	117
ესპანეთი	34	82	88	89	90	91
პოლონეთი	56	63	86	89	94	91
გაერთიანებული სამეფო	66	89	115	90	95	91

როგორც ცხრილი 4-დან ჩანს, იმპორტის სიდიდის მიხედვით 2015 წელს ევროკავშირის ქვეყნების პირველი ხუთეული ასეთია: პირველ პოზიციაზე აღმოჩნდა ირლანდია (18,1%), რაც საინტერესო და მისასალმებელი ფაქტია, რადგან ის არცერთ წელს არ ყოფილა მე-15 ადგილის წინ. ბოლო 10-15 წლის მანძილზე გერმანია ყოველთვის იყო პირველ-მეორე-მესამე ადგილზე. 2015 წელსაც ის მეორეა (17,1%); შემდეგ მოდის რუმინეთი (8,2%), იტალია (7,9%) და ბულგარეთი (6,7%).

2015 წელს საქართველომ სავაჭრო ოპერაციები განახორციელა ევროკავშირის ყველა, 28-ვე ქვეყანასთან, ხოლო საექსპორტო ურთიერთობები კი 27 ქვეყანასთან (არ განხორციელდა მხოლოდ ლუქსემბურგთან). შემდეგ ცხრილში მოტანილი სტატისტიკა ახასიათებს საქართველოს ექსპორტს ევროკავშირის ქვეყნებში.

ცხრილი 5⁴²

საქართველოს ექსპორტის მოცულობა ევროკავშირის ქვეყნებში
(რანჟირებული ქვეყნების პირველი ათეული; მლნ აშშ დოლარი)

	2010	2011	2012	2013	2014	2015
მთლიანი ექსპორტი ევროკავშირის ქვეყნებში	310	424	353	607	624	646
მათ შორის:						
გერმანია	35	49	39	73	69	76

¹⁴¹ ცხრილი შედგენილია ჩვენს მიერ საქსტატის ოფიციალური მონაცემების მიხედვით.

¹⁴² ცხრილი შედგენილია ჩვენს მიერ საქსტატის ოფიციალური მონაცემების მიხედვით.

იტალია	26	76	53	81	86	74
ნიდერლანდები	18	18	12	23	31	44
ესპანეთი	33	24	16	67	70	42
ლიტვა	11	19	19	22	32	33
პოლონეთი	5	9	5	7	10	29
რუმინეთი	30	20	4	5	4	27
გაერთიანებული სამეფო	18	14	21	30	25	22
საფრანგეთი	11	28	17	34	27	21
ჩეხეთი	8	9	10	15	14	14

ცხრილი 5-დან ჩანს, რომ ექსპორტის სიდიდის მიხედვით 2015 წელს ევროკავშირის ქვეყნების პირველი ხუთეული ასე გამოიყურება: პირველ პოზიციაზეა გერმანია (11,8%); შემდეგ მოდის იტალია (11,5%), ნიდერლანდები (6,8%), ესპანეთი (6,5%) და ლიტვა (5,1%).

საქართველოდან ევროკავშირის ქვეყნებში ძირითად საქსპორტო პროდუქციას წარმოადგენს:

1. სპილენძის მადნები და კონცენტრატები, 2. კაკალი და თხილი, 3. ყურძნის ნატურალური ღვინოები, 4. მინერალური და მტკნარი წყლები, 5. ფეროშენადნობები. 2015 წელს იმპორტის მოცულობაში ყველაზე დიდი ხვედრიწილი ეკავა შემდეგ სასაქონლო ჯგუფებს: 1. ნავთობი და ნავთობპროდუქტები, 2. სამკურნალო საშუალებები, 3. მსუბუქი ავტომობილები, 4. ხორბალი, 5. სიგარები და სიგარეტები.

ამრიგად, ევროკავშირის ქვეყნები საქართველოს ერთ-ერთ საიმედო პარტნიორებად გვევლინებიან, რომელთანაც ორმხრივი ვაჭრობა საკმაოდ დინამიურად ვითარდება და უფრო გაძლიერდება ევროკავშირსა და საქართველოს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის სრულად ფორმირების შედეგად. მას უდიდესი მნიშვნელობა გააჩნია, ვინაიდან ის ხელს შეუწყობს ქართული პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას და ქართული ექსპორტის ზრდას, ევროკავშირის ბაზართან თავსებადი სავაჭრო სისტემის ფორმირებას, რასაც მოყვება ასევე საინვესტიციო გარემოს მიმზიდველობის გაზრდა. ეს კი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინებას შეუწყობს ხელს, რომლის შედეგადაც შეიქმნება ახალი სამუშაო ადგილები. ყოველივე ზემოთაღნიშნული საქართველოს ეკონომიკური განვითარების ხელშემწყობ უმნიშვნელოვანეს ფაქტორებს წარმოადგენს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გელაშვილი ს. საზღვარგარეთის ქვეყნების სტატისტიკა. გამომც. „მერიდიანი“, თბ., 2015.
2. ლეკაშვილი ე., ყუფარაძე გ., მაისურაძე ნ. ვიშეგრადის ქვეყნების ეკონომიკური პოლიტიკა ევროინტეგრაციის გზაზე. თსუ, თბ., 2014 (ელ. ვერსია).
3. ლეკაშვილი ე. საერთაშორისო და რეგიონული ეკონომიკური ორგანიზაციები. თსუ, თბ., 2012 (ელ. ვერსია).
4. საქართველოს სტატისტიკური წელიწადი, საქსტატი., თბ., 2015.
5. ფუტყარაძე რ. საქართველო-ევროკავშირის სავაჭრო ეკონომიკური ურთიერთობები: პრობლემები და პერსპექტივები. თბ., 2010.
6. www.eurostat.eu/home/international-trade
7. www.ec.europa.eu
8. www.geostat.ge
9. www.nbg.gov.ge

Nino Gelashvili

GEOGRAPHICAL DISTRIBUTION OF FOREIGN TRADE OF GEORGIA Annotation

The present paper discusses geographical distribution of foreign trade of Georgia, which is one of the most important direction of the complex analysis of the country's foreign trade. The database for the analysis is the official statistics reflecting trade relations of Georgia in 2010-2015.

The survey reveals top ten export and import trade partners of Georgia. In addition, statistical data reflecting trade relations of Georgia with the European Union member countries are discussed separately, some of the interesting trends developed during the last five years are shown and corresponding conclusions are made.

მიხეილ გოგიაშვილი

საკონფიდენტრო წარმოების განვითარების თანამედროვე გამოწვევები

მენეჯმენტის ეფექტიანი სისტემის დანერგვა ერთ-ერთი საკვანძო საკითხია, რომელმაც უნდა უზრუნველყოს საქართველოს ეკონომიკის ცალკეული დარგების კონკურენტუნარიანობის ამაღლება. ეს პრობლემა კიდევ უფრო მეტ სიმწვავეს იძენს ეკონომიკის სტრუქტურული ცვლილებების პირო-

ბებში, რომელსაც, სამწუხაროდ, თან სდევს წარმოებისა და დასაქმების დონის შემცირება, მოსახლეობის შემოსავლების შემცირება და ცხოვრების დონის დაქვეითება.

ქვეყნის ეკონომიკის განვითარების თანამედროვე მდგომარეობა ისეთია, რომ სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პარამეტრებით მნიშვნელოვნად ჩამოვრჩებით განვითარებული ქვეყნებისათვის დამახასიათებელ მაჩვენებლებს. ამიტომ, აუცილებელია გატარდეს რეალური ეკონომიკური პოლიტიკა, რომელიც შესაძლებლობას მოგვცემს, სრულად იქნეს გამოყენებული ქვეყნის ეკონომიკური და ინტელექტუალური პოტენციალი; განისაზღვროს ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტები; მაქსიმალურად უნდა წახალისდეს ეკონომიკის რეალური სექტორის განვითარება და სოციალურად ორიენტირებული ეკონომიკური ურთიერთობების ფორმირება.

საკონდიტრო წარმოება ერთ-ერთ დინამიურად განვითარებად დარგს წარმოადგენს. იგი მოწოდებულია დააკმაყოფილოს მოსახლეობის მოთხოვნილებები კვების პროდუქტების ისეთი სპეციფიკური სახეებით, როგორცაა საკონდიტრო პროდუქცია. ამიტომ, საფუძველს არ იქნება მოკლებული თუ ვიტყვით, რომ საკონდიტრო წარმოებას თავისი ადგილი უკავია ქვეყნის სასურსათო უზრუნველყოფის პრობლემების წარმატებით გადაჭრაში.

მიუხედავად იმისა, რომ საკონდიტრო ნაწარმი არ წარმოადგენს პირველადი მოხმარების პროდუქტს, მისთვის დამახასიათებელი კვებითი თვისებების გამო მომხმარებელში დიდი მოთხოვნით სარგებლობს.

საკონდიტრო წარმოება, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პირობითად, ძირითადად შეიძლება ორ ნაწილად დავეთვათ: 1. კაკაოს, შოკოლადისა და შაქრიანი საკონდიტრო ნაწარმი და 2. ფქვილისგან წარმოებული საკონდიტრო პროდუქცია. თითოეული მათგანის წარმოებაში ადგილი აქვს გარკვეულ თავისებურებებს, რომელიც სხვადასხვა ფაქტორებითაა განპირობებული.

ცხრილი 1

საკონდიტრო ნაწარმის წარმოებით დაკავებულ საწარმოთა წილი ქვეყნის რეგიონების მიხედვით¹⁴³

	2005	2010	2012	2015
სულ	100.0	100.0	100.0	100.0
ქ. თბილისი	39.8	42.2	42.3	42.4
აფხაზეთის არ	–	–	–	–
აჭარის არ	4.8	5.8	6.2	6.7
გურია	4.1	3.3	3.1	3.1
იმერეთი	14.9	14.3	14.5	15.3
კახეთი	6.2	6.5	6.9	6.8
მცხეთა-მთიანეთი	5.1	3.8	3.3	2.9
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	1.0	0.9	0.9	0.8
სამეგრელო-ზემო სვანეთი	7.9	7.2	6.9	6.3
სამცხე-ჯავახეთი	2.7	2.7	2.6	2.6
ქვემო ქართლი	7.3	7.4	7.2	7.2
შიდა ქართლი	6.2	5.9	6.1	5.9

საკონდიტრო წარმოება დინამიურად განვითარებად დარგს მიეკუთვნება, რაზეც მიუთითებს ამ დარგში საწარმოო ობიექტების რაოდენობის დინამიკა. კერძოდ, 2005–2015 წლებში საქართველოში საკონდიტრო ნაწარმის წარმოებით დაკავებულ საწარმოთა რაოდენობა 2.3-ჯერ გაიზარდა, მათ შორის ქ. თბილისში – 2.4-ჯერ, აჭარის რეგიონში – 3.2-ჯერ, იმერეთში – 2.3-ჯერ, კახეთში – 2.5-ჯერ, ქვემო ქართლში – 2.2-ჯერ, შიდა ქართლში – 2.1-ჯერ გაიზარდა.

საკონდიტრო წარმოების განვითარება ჩვენს ქვეყანაში უშუალოდაა დაკავშირებული ამ დარგის თავისებურებებთან და იმ შიდა თუ გარე ინსტიტუციურ გარემოსთან, სადაც იგი ფუნქციონირებს. საკონდიტრო წარმოება ქვეყნის ეკონომიკის ერთ-ერთი მზარდი დარგია. ამასთან, საკონდიტრო წარმოების განვითარების პრობლემების შესწავლისას მეტად აქტუალურია არა მარტო ამ დარგისათვის დამახასიათებელი თავისებურებები, არამედ იმ ძირეული ხასიათის თავისებურებების შესწავლა და განვითარების ტენდენციების გამოვლენა, რასაც ადგილი აქვს ბოლო ათწლეულებში, ასევე, წარმოების პროცესის, გადამამუშავების, ტრანსპორტირებისა და მზა პროდუქციის რეალიზაციის საკითხების.

საკონდიტრო წარმოების ეკონომიკური ზრდის პოლიტიკის რეალიზაცია მოითხოვს საზოგადოებრივი წარმოების შინაგანი წინააღმდეგობის დაძლევის აუცილებლობას, რომელთა შორისაც ყველაზე შესამჩნევია წინააღმდეგობა ტექნიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ პროგრესს, ინტენსიური და ექსტენსიური განვითარების მეთოდებს, ეკონომიკური ზრდის სტრატეგიასა და ტაქტიკას, დაგროვებასა და მოხმარებას, ეკონომიკური ზრდის სტაბილურობასა და პროდუქციის კონკურენტუნარიანობას შორის.

¹⁴³ გაანგარიშებულია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების მიხედვით.

საკონდიტრო წარმოებაში აღწარმოებითი პროცესის პროპორციები და ხარისხი განსაზღვრავს მისი ეკონომიკური განვითარების მიმართულებას. ეს უკანასკნელი მრავალფაქტორულ პროცესს წარმოადგენს, რომელიც ასახავს როგორც სამეურნეო მექანიზმის ევოლუციას, ასევე ეკონომიკური ურთიერთობების ცვლილებებს.

საკონდიტრო წარმოების ეკონომიკურ განვითარებაში მიმდინარე სტრუქტურული ცვლილებები განპირობებულია მისი, როგორც ეკონომიკური სისტემის სირთულით, რომლის ცალკეულ ელემენტებს შორის თანაფარდობას უდიდესი მნიშვნელობა გააჩნია დარგის ეფექტიანი განვითარებისათვის. ცხადია, საკონდიტრო წარმოების განვითარებაში უდიდესი როლი შეასრულა საკუთრების ფორმების მრავალფეროვნებამ, რომელიც ქვეყანაში საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლამ განაპირობა. წარმოიშვა მრავალი მცირე, საშუალო და მსხვილი მოცულობა. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი ერთი მხრივ უზრუნველყოფს პირველადი რესურსების გამოყენების ეფექტიანობას, მეორე მხრივ ართულებს ეკონომიკურ სისტემას, ამცირებს მის სტაბილურობას.

ეკონომიკური რეფორმების პირობებში, რომელსაც თან სდევს მასშტაბური სტრუქტურული ცვლილებები, დიდ მნიშვნელობას იძენს საინვესტიციო საქმიანობის გააქტიურება, ახალი ტექნოლოგიების გამოყენება. ამასთან, სტრუქტურული ცვლილებების პერიოდში ადგილი აქვს ისეთი დარგების განვითარების შესაძლებლობების შემცირებასა და გაქრობასაც კი, რომლებსაც არ გააჩნია განვითარების პერსპექტივები ბაზრის კონიუნქტურიდან გამომდინარე, ან იყენებენ მოძველებულ ტექნოლოგიებს და ამის გამო ვერ აკმაყოფილებენ ბაზარზე არსებულ მზარდ მოთხოვნილებებს.

ტექნოლოგიური სიახლეები განაპირობებს ბაზარზე მრავალი სიახლის გამოჩენას, რომელიც ვლინდება ეკონომიკური ურთიერთობების თითქმის ყველა ელემენტში. ამის შედეგად ყალიბდება საკმაოდ ტევადი ბაზარი თავდაპირველად წარმოების ფაქტორებისათვის, ხოლო შემდეგ სხვადასხვა დანიშნულების საქონლისა და მომსახურებისათვის. რაც უფრო ეფექტიანია ტექნოლოგიები, მით უფრო ფართო გამოყენებას პოულობენ ისინი წარმოებაში, რაც უფრო ტევადია მზა პროდუქციის ბაზარი, მით უფრო მეტია მთელი ეკონომიკის მასშტაბით ინოვაციური პროცესებით გამოწვეული დადებითი იმპულსი და მით უფრო წარმატებით ხორციელდება კაპიტალის დაგროვების პროცესი, იზრდება შრომის მწარმოებლურობა და წარმოების ეფექტიანობა. სწორედ ამაში მდგომარეობს განვითარების სტადიის არსი. საბოლოოდ, განვითარების მსგავს ლოგიკაში ვლინდება ციკლური დინამიკის პროცესი.

Mikheil Gogiashvili

MODERN CHALLENGES OF DEVELOPMENT OF CONFECTIONERY INDUSTRY

Annotation

Improvement of economic state of the country is impossible without implementation of new technologies, application of innovative methods of manufacturing and, generally, rising of competitiveness of the economics. Overcoming of the problems existing in front of the state's economics requires resolution of the important issues connected with selection and realization of priorities of the strategic development, among which the most essential is:

Development of theoretical-conceptual approaches which will assist in reaching and preservation of reliable trends of rise in the real sector of economics;

Formation of the competitive commodity market of the national production which will provide the population with high quality and affordable products, including products of confectionary industry. For this purpose, priorities of development of confectionary production must be correctly determined from the theoretical and methodological viewpoint, recommendations of rising of functionality of enterprises acting in this field in terms of strict competitiveness must be developed.

In the recent period development of confectionery industry in Georgia is characterized with a high level of competitiveness where large-, medium- and small-scaled enterprises are represented. It can be said that market of the confectionary goods, from a definite viewpoint, represents a competitive market where competitiveness of separate manufacturing enterprises are mainly conditioned due to application of contemporary technologies and high quality stocks. Generally, these factors provide high competitiveness of separate enterprises at the market of confectionary goods.

**საქართველოსა და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების
ფირმების ინოვაციური საქმიანობის შეფასებითი ანალიზი**

ნაშრომში ჩვენ ძირითადად დავეყრდნობით იმ ცნებებსა და განმარტებებს, რომელიც მოცემულია ეთგო¹⁴⁴-სა და ევროსტატის¹⁴⁵ ცნობილ პუბლიკაციაში [8], სადაც ფირმის საქმიანობის სფეროების მიხედვით განსაზღვრულია ინოვაციების 4 ტიპი: 1. პროდუქტული ინოვაცია; 2. პროცესული ინოვაცია; 3. ორგანიზაციული ინოვაცია; 4. მარკეტინგული ინოვაცია.

ამასთან, პროდუქტული და პროცესული ინოვაციები ტექნოლოგიურ ინოვაციებს განეკუთვნება, მარკეტინგული და ორგანიზაციული ინოვაციები კი – არატექნოლოგიურს [11].

საქართველოსა და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების ფირმების ინოვაციური საქმიანობის შეფასებითი ანალიზი ძირითადად დავეყრდნობა გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში (მათ შორის საქართველოში) 2012-2014 წლებში მსოფლიო ბანკის და რეკონსტრუქციისა და განვითარების ევროპული ბანკის მიერ ერთობლივად შესრულებული BEEPS¹⁴⁶-ის მე-5 რაუნდის მონაცემებს, რომელიც ეხება ეკონომიკის ფირმის (მიკრო-) დონეს. BEEPS-ის ანგარიში ემყარება შესაბამისი მეთოდოლოგიით ევროპისა და ცენტრალური აზიის 29 ქვეყნის 15523 ფირმაში ჩატარებული გამოკითხვებით მოპოვებულ მონაცემებს, რომელიც მოიცავს აღნიშნულ ქვეყნებში არსებული ბიზნესგარემოსა და საწარმოთა მუშაობის (მათ შორის ინოვაციური მიმართულებით) გარკვეულ მაჩვენებლებს.

ეს ქვეყნებია: ალბანეთი, სომხეთი, აზერბაიჯანი, ბელარუსი, ბოსნია, ბულგარეთი, ხორვატია, ჩეხეთის რესპუბლიკა, ესტონეთი, საქართველო, უნგრეთი, ყაზახეთი, კოსოვო, ყირგიზეთი, ლატვია, ლიტვა, მაკედონია, მოლდოვა, მონტენეგრო, პოლონეთი, რუმინეთი, რუსეთი, სერბეთი, სლოვაკეთი, სლოვენია, ტაჯიკეთი, თურქეთი, უკრაინა და უზბეკეთი.

შერჩევის მეთოდოლოგიასთან დაკავშირებით უფრო დეტალური ინფორმაციის ნახვა შესაძლებელია შემდეგ გამოცემაში – Sampling Manual¹⁴⁷

ფირმების ინოვაციური საქმიანობის ქვეყანათაშორის შედარებითი ანალიზისათვის გამოვიყენებთ სტატისტიკის შეუღლების ცხრილებს გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების გაერთიანებული მონაცემების საფუძველზე და შევადარებთ მიღებულ შედეგებს საქართველოს ანალოგიურ მაჩვენებლებთან.

შესაბამისი ცხრილები აგებული იქნება IBM SPSS Statistics¹⁴⁸ კომპიუტერული პროგრამის მეშვეობით.

სტატისტიკის შეუღლების ცხრილების მეშვეობით ჩვენ გავერკვევით მოცემული ობიექტების (ჩვენს შემთხვევაში, ფირმების) ქვეყნის თავისებურებებში მათთვის დამახასიათებელი ნიშანთვისებების აღწერის საფუძველზე.

კერძოდ, ავაგებთ შეუღლების ცხრილებს, რომლის მეშვეობით დავადგენთ 3 წლის (2012-2014) განმავლობაში განხორციელებული სხვადასხვა ტიპის ინოვაციების კავშირს ისეთ ფაქტორებთან, როგორცაა: 1. ფირმის ზომა; 2. ფირმის კაპიტალში უცხოელების საკუთრების წილი (%); 3. უმაღლესი განათლების მქონე საშტატო თანამშრომლების წილი (%); 4. საერთო წლიურ გაყიდვებში პირდაპირი ექსპორტის წილი (%); 5. ეროვნული, რეგიონული, ადგილობრივი მთავრობიდან ან ევროკავშირიდან მიღებული სუბსიდიები.

ზოგადი სიხშირების დასადგენად გამოვიყენებთ შერჩევის მკაცრ წონებს.

ფირმის ზომა

პროდუქტული ინოვაციებისა და ფირმის ზომის შეუღლების ცხრილის მიხედვით პროდუქტული ინოვაცია ხორციელდება უფრო მეტად მცირე (49,5%) და მიკრო (12,9%) ზომების ფირმებში ერთად (ანუ სულ 62,4%), ვიდრე საშუალო (30,0%) და მსხვილ (7,6%) კომპანიებში. ამასთან, მცირე ზომის ფირმების მხოლოდ 24,3% მიმართავს პროდუქტულ ინოვაციას, მიკროზომის ფირმებიდან –

¹⁴⁴ ეთგო - ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია.

¹⁴⁵ ევროსტატი - ევროკავშირის სტატისტიკური ოფისი.

¹⁴⁶ BEEPS – Business Environment and Enterprise Performance Survey (ბიზნესგარემოსა და საწარმოთა მუშაობის მაჩვენებლების გამოკვლევა).

¹⁴⁷ http://www.enterprisesurveys.org/~media/GIAWB/EnterpriseSurveys/Documents/Methodology/Sampling_Note.pdf

¹⁴⁸ IBM SPSS (Statistical Package for the Social Sciences) Statistics - მონაცემების სტატისტიკური დამუშავების კომპიუტერული პროგრამა, რომელიც უზრუნველყოფს გამოყენებითი ხასიათის გამოკვლევების ჩატარებას სოციალურ მეცნიერებებში.

ექსპორტის წილი შეადგენს 21%-დან 49%-მდე – 26,9% და 50%-დან 100%-მდე – 18,8%. ზოგადად გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში იმ კომპანიების მხოლოდ 21,3% ახორციელებს ამ ტიპის ინოვაციას, სადაც საერთო წლიურ გაყიდვებში რაიმე წილი მოდის პირდაპირ ექსპორტზე. საქართველოში ეს მაჩვენებელი შეადგენდა მხოლოდ 6,7%-ს.

სუბსიდიები

ტექნოლოგიური (პროდუქტული და პროცესული) და არატექნოლოგიური (ორგანიზაციული და მარკეტინგული) ინოვაციებისა და ეროვნული, რეგიონული, ადგილობრივი მთავრობიდან ან ევროკავშირიდან მიღებული სუბსიდიების შეუღლების ცხრილების მიხედვით, ზოგადად გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების ფირმებს, რომლებიც ახორციელებდნენ ამა თუ იმ ტიპის ინოვაციას, 3 წლის (2012-2014) განმავლობაში მიღებული ჰქონდათ გარკვეული სუბსიდიები, ეროვნული, რეგიონული, ადგილობრივი მთავრობიდან, ან ევროკავშირიდან.

პროდუქტულ ინოვაციებზე ორიენტირებული ფირმების წილი, რომელმაც მიიღო სუბსიდიები, შეადგენდა 15,6%-ს, პროცესულ ინოვაციებზე ორიენტირებული ფირმების წილი – 15,7%-ს, ორგანიზაციულ ინოვაციებზე ორიენტირებული ფირმების წილი – 12,7%-ს, ხოლო მარკეტინგულ ინოვაციებზე ორიენტირებული ფირმების წილი – 12,0%-ს.

საქართველოში ეს მაჩვენებელი ყველა ტიპის ინოვაციებზე ორიენტირებული ფირმების მიმართ შეადგენდა 0%-ს.

დასკვნა

შეუღლების ცხრილების საფუძველზე განხორციელებული ემპირიული ანალიზის შედეგებიდან გამომდინარე, შესაძლოა გაკეთდეს დასკვნა, რომ საქართველოს ფირმებში ზოგადად ნაკლებად შეიმჩნევა ინოვაციური აქტიურობა, მათ შორის ტექნოლოგიური (პროდუქტული და პროცესული) და არატექნოლოგიური (ორგანიზაციული და მარკეტინგული) ინოვაციების დანერგვის სახით.

ზემოთ აღნიშნულ თითქმის ყველა ფაქტორთან მიმართებაში, საქართველოს ფირმების ინოვაციურ საქმიანობასთან დაკავშირებული მაჩვენებლები დაახლოებით 3-4-ჯერ ჩამორჩება ზოგადად გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების ფირმების ინოვაციური საქმიანობის ანალოგიურ მაჩვენებლებს.

ჩვენი აზრით, საქართველოს ფირმებში ინოვაციური აქტიურობის ძალზე დაბალი დონე და ინტენსივობა განპირობებულია ზოგადად იმ პრობლემებით, რომელიც ჯერ კიდევ 2003 წლიდან დგას საქართველოს წინაშე. კერძოდ, ქვეყანას არ გააჩნია მეცნიერულად დასაბუთებული ინოვაციური პოლიტიკის კონცეფცია, არ არსებობს არანაირი მიზანმიმართული ინოვაციური და საინვესტიციო განვითარების არც სახელმწიფო პროგრამა და, შესაბამისად, არც ხელსაყრელი ინოვაციური კლიმატი [7].

როგორც ყველა გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნის, ისე საქართველოსთვის მთავრობის მთავარი ამოცანა უნდა იყოს, მოტივირებული გახადონ ფირმები ინოვაციური აქტიურობისადმი. ამისათვის საჭიროა სათანადო გარემოს შექმნა შესაბამისი ქვეყნის სპეციფიკის გათვალისწინებით, რომელიც, ერთი მხრივ, შექმნის სტიმულებს და, მეორე მხრივ, მოხსნის ბარიერებს ფირმების ინოვაციური საქმიანობის განხორციელებისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აბესაძე რ. ინოვაციები – ეკონომიკური განვითარების მთავარი ფაქტორი. // ინსტიტუტის დაარსებიდან 70-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული - ეკონომიკისა და ეკონომიკური მეცნიერების განვითარების აქტუალური პრობლემები (27-28 ივნისი). თბილისი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2014.

2. გოგოხია თ. ტექნოლოგიური და მარკეტინგული ინოვაციები ფირმის ეფექტიანობის ამალღებაში. აკადემიკოს პაატა გუგუშვილის დაბადებულ 110-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული: „ეროვნული ეკონომიკების მდგრადი განვითარების აქტუალური პრობლემები“. თბილისი, თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, 10-11 ივლისი, 2015.

3. გოგოხია თ. ტექნოლოგიური და მარკეტინგული ინოვაციების დანერგვის სტიმულები და ბარიერები. ჟ: „ეკონომისტი“, № 5, 2015.

4. გოგოხია თ. საქართველოში ფირმების ინოვაციური საქმიანობის სრულყოფის გზები. ჟ: „ეკონომისტი“, № 1, 2016.

5. Аптон Г. Анализ таблиц сопряженности. Москва, Финансы и статистика, 1982 (перевод с английского и предисловие Ю.П. Адлера).
6. Инновации в переходном процессе. Доклад о переходном процессе за 2014 год. EBRD, 2014.
7. Папава В., Месхия Я. Проблемы инновационно-инвестиционной политики в Грузии. Тбилиси, 2003.
8. Руководство Осло. Рекомендации по сбору и анализу данных по инновациям. // Совместная публикация ОЭСР и Евростата. Москва, 2010.
9. Слепко Ю. Н., Ледовская Т. В. Обработка и интерпретация результатов психологического исследования. Учебное пособие. Ярославль: Изд-во ЯГПУ, 2013.
10. EBRD (2014). EBRD Transition Report 2014: Innovation in Transition. European Bank for Reconstruction and Development. Available at: <http://www.ebrd.com/downloads/research/transition/tr14.pdf>
11. Mohnen, P. and Hall B. Innovation and Productivity: an Update. Eurasian Business Review, 3(1), 2013, pp. 47-65.

Teimuraz Gogokhia

COMPARATIVE ANALYSIS OF FIRMS' INNOVATIVE ACTIVITIES OF GEORGIA AND TRANSITION ECONOMY COUNTRIES

Annotation

In the article comparative analysis of firms' innovative activities of Georgia and transition economy countries is carried out.

This analysis is carried out on the basis of the connection of different types of innovations with the following factors: 1. firm size; 2. % of full time employees who completed a university degree; 3. % owned by private foreign individuals; 4. direct exports as a % of total annual sales; 5. subsidy.

ირაკლი გოგოხია

მსოფლიოში კრიმინალი ყოველ წელს მატულობს. ამას იწვევს მოსახლეობის მიგრაციული ტალღები, ომები აღმოსავლეთში და მრავალი სხვა. საქართველოში 2015 წელს კრიმინალი 85%-ით არის გაზრდილი. ეს ნიშნავს, რომ გააქტიურდა კრიმინალური სამყარო. საქართველოს მთავრობას (და არა მხოლოდ საქართველოს მთავრობას) ევალება ასეთივე აქტიურობით უპასუხოს მას.

მსოფლიოში კრიმინალი ყოველ წელს მატულობს. ამას იწვევს მოსახლეობის მიგრაციული ტალღები, ომები აღმოსავლეთში და მრავალი სხვა. საქართველოში 2015 წელს კრიმინალი 85%-ით არის გაზრდილი. ეს ნიშნავს, რომ გააქტიურდა კრიმინალური სამყარო. საქართველოს მთავრობას (და არა მხოლოდ საქართველოს მთავრობას) ევალება ასეთივე აქტიურობით უპასუხოს მას.

ორგანიზებული დამნაშავეობის, კორუფციის და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლა სულ უფრო აქტუალური ხდება. გასული საუკუნის 80-იანი წლების შუახანებიდან მსოფლიო გაერთიანებამ გააცნობიერა, რომ აუცილებელია გეგმიური დანაშაულებრივი შემოსავლების ლეგალიზაციის წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგია. შედეგად, ყველა ქვეყანამ შეიმუშავა ფულის გათეთრებისადმი წინააღმდეგობის საკუთარი სტრატეგია და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ სამართალდამცველი ორგანოები ყოველთვის სრულად ვერ ფლობენ ფინანსური ინფორმაციის წყაროებს. ცხადი გახდა, რომ შემუშავებული სტრატეგია მათგან მოითხოვს ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლაში ჩაბმას და, ამავე დროს, ეფექტიანი ოპერაციებისთვის ხელშემწყობი პირობების შენარჩუნებას.

ორგანიზებული დამნაშავეობა და „შავი“ ფულის ნაკადები იმდენად მასშტაბური გახდა, რომ წარმოიშვა ფინანსური დაზვერვის დანაყოფების შექმნის აუცილებლობა როგორც ორგანიზაციების, რომლებიც უზრუნველყოფდნენ ფინანსური ინფორმაციის მიღებას, ანალიზს და გაერთიანებას და ამის მეშვეობით ხელს შეუწყობდნენ „შავი“ ფულის გათეთრებასთან ბრძოლას.

ორგანიზებული დანაშაულის ჯგუფები, ანუ ე. წ. მაფიები, იმ ფორმით, როგორც ფორმითაც დღეს არსებობენ, საკმაოდ გვიან წარმოიშვნენ. ისინი პრინციპულად განსხვავდებიან ინდუსტრიულ საზოგადოების დანაშაულებრივი ორგანიზაციებისგან. თანამედროვე ტიპის ორგანიზებული დანაშაულის აღმოცენება დანაშაულებრივი სამყაროს განვითარების თვისებრივად ახალი ეტაპია. თუ არქაული ბანდიტები წარმოადგენდნენ მარგინალურ, საზოგადოების აუტსაიდერებს, თანამედროვე მაფიოზთა საქმიანობა აიგება, ძირითადად, ბიზნესის კანონების მიხედვით და, ამიტომ, მაფია გახდა საბაზრო მეურნეობის საკმაოდ ორგანიზებული ინსტიტუტი.

თანამედროვე ორგანიზებული დანაშაულობა, არსებითად წარმოადგენს, „ბიზნესის“ განსაკუთრებულ დარგს – პროფესიონალ დამნაშავეთა ეკონომიკურ საქმიანობას, რომელიც მიმართულია რიგითი მოქალაქეების მწვავე დეფიციტური და ანტისაზოგადოებრივი მოთხოვნილებების (ნარკომანია, პროსტიტუცია და სხვა) დაკმაყოფილებისაკენ.

ორგანიზებულ დანაშაულობას საფუძვლად უდევს სოციალური შეკვეთა. ესაა განსაკუთრებული სახეობის დანაშაულობები, ჩადენილი ურთიერთთანხმობით, დანაშაულობები, რო-

მელთა ჩადენა სურს მომხმარებელ საზოგადოებას [1, გვ. 86]. ეს ეხება არა მხოლოდ ნარკობიზნესს, არამედ პროსტიტუციას, რეკეტს და სხვას. რეკეტის დროს ორგანიზებული დამნაშავენი საკუთარ თავზე იღებენ მეწარმეთა დაცვას არაორგანიზებული დამნაშავეებისგან. ასე რომ, შეიძლება დავასკვნათ – ორგანიზებული დამნაშაულობა ყალიბდება მხოლოდ იქ და მაშინ, სადაც და როდესაც აღმოცენდება მეარი და მაღალი მოთხოვნა აკრძალულ საქონელსა და მომსახურებაზე. იმის მიუხედავად, რომ განვითარებულ ქვეყნებში სამართლებრივად მაღალსამთავრობო დონეზეა მოწესრიგებული და დაცული ეს სფეროები, იქ მაინც არსებობენ მაფიები („იაკუა“ – იაპონიაში, „ოჯახები“ – იტალიაში, „ტრადები“ – ჩინეთში და ა. შ.) და ძველი სფეროების გვერდით ახალ-ახალ სფეროებსაც – მაგალითად, კიბერდანაშაულები – აკონტროლებენ. ამის შედეგია ის დიდი ფულის ნაკადები, რომელსაც შემოსავლის სახით ეს მაფიები იღებენ. გერმანიის ფედერალური სამსახურის გამოკვლევით 90-იან წლებში საერთაშორისო მაფიის შემოსავლები შეადგენდა [2, გვ. 107]:

- ნარკობიზნესიდან – 250 მლრდ დოლარს
- კონტრაბანდიდან – 40 მლრდ დოლარს
- პროსტიტუციიდან – 30 მლრდ დოლარს
- რეკეტიდან – 10 მლრდ დოლარს
- აზარტული თამაშებიდან – 25 მლრდ დოლარს
- ქურდობიდან – 40 მლრდ დოლარს
- იარაღით ვაჭრობიდან – 30 მლრდ დოლარს

როგორც ამ ინფორმაციიდან ჩანს, ნარკობიზნესი ყველაზე მაღალშემოსავლიანი ბიზნესია. ნარკობიზნესი XXI საუკუნის გლობალურ პრობლემად ითვლება. ნარკომანია საქართველოსთვისაც უმწვავეს პრობლემად რჩება. განსაკუთრებით საგანგაშოა ჰეროინის მოხმარება-გაყიდვის ტენდენციები. გაეროს მონაცემებით, კავკასიაში 11 ტონა ჰეროინი შემოდის. აქედან 7 ტონა საქართველოს საზღვაო პორტებიდან ევროპაში გადის. 4 ტონა ჰეროინი ადგილზე რეგიონში რჩება. აქედან დაახლოებით 59% საქართველოზე მოდის [3].

საქართველოში 1000 კაცზე ანგარიშით 17 ნარკოტიკის მომხმარებელია. ამით იგი მსოფლიოში პირველ ადგილზეა. აშშ-ის ნარკოტიკებთან ბრძოლის ბიუროს მონაცემებით, საქართველოში დღეისთვის საშუალოდ 295000 ადამიანი ნარკოტიკის მომხმარებელია. საქართველო პირველ ადგილზეა არა მხოლოდ 1000 სულ მოსახლეზე ანგარიშით ნარკოტიკების მოხმარებით, არამედ, ნარკოტიკების ფასითაც (ცხრილი 1). ჩვენი გამოკვლევით აღმოჩნდა, რომ საქართველოში ერთი გრამი ჰეროინის ფასი 350 ამერიკული დოლარია, ოპიუმისა 25, ხოლო საღეჭი კანაფისა 9 დოლარი. ასეთ დროს, დაახლოებით ასეთი მაღალი ფასებია მხოლოდ კანადაში, ყველა დანარჩენ ქვეყანაში, იგი გაცილებით დაბალია.

ცხრილი 1

ნარკოტიკის საცალო ფასები მსოფლიოში [4]

ქვეყნების დასახელება	საშუალო საცალო ფასი (აშშ დოლარი/გრამი)		
	ჰეროინი	ოპიუმი	საღეჭი კანაფი
კანადა	335.5	63.9	17.9
აშშ	131	34	100
გაერთიანებული სამეფო	100.6	20.1	6
საფრანგეთი	54.8	18.9	6.9
ჰოლანდია	32.9	33	8.6
ჩეხეთი	54.8	5.5	10.7
რუსეთი	40	26.1	20.5
უკრაინა	70	7.0	8
ლატვია	171.1	8.8	19.6
ბელორუსია	40	7.0	20
მოლდოვა	62.7	5.0	5.6
თურქეთი	19.9	-	8.2
სომხეთი	145	70	35
საქართველო	350	25	9
ყაზახეთი	18.5	5	3.5
ყირგიზეთი	2.2	2	2.3
ტაჯიკეთი	4.5	4	2.0
უზბეკეთი	18	6	5.0
პაკისტანი	2.7	0.2	0.1

მოცემულ ნაშრომში ნარკოტიკულ საშუალებათა ფასების წარმოდგენა და მათზე მსჯელობა იმიტომ დაგვჭირდა, რომ ვაჩვენოთ, თუ როგორი დიდი უკანონო შემოსავლები აქვთ იმ ჯგუფებს, რომლებიც ნარკოტიკებზე დამოკიდებულ საქართველოს მოსახლეობას ამ საშუალებებით ამარაგებენ. ნარკობიზნესი დღეს წარმოადგენს კრიმინალური ეკონომიკის მაღალრენტაბელურ დარგს. მოგების ნორმა აქ შეადგენს 300%-დან 2000%-მდე. ნარკოინდუსტრია, 250 მლრდ შემოსავლით წელიწადში. ყოველწლიურად იხვეწება, ამადღებს თავის ტექნიკურ პოტენციალს, ახდენს თავისი მოთხოვნილებებისადმი უახლესი მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევების ადაპტირებას. ამიტომ გასაკვირი

არაა, რომ ტრანსეროვნული ნარკოსინდიკატები თავიანთ დანაშაულებრივ საქმიანობაში იყენებენ ყველაზე თანამედროვე საშუალებებს, ელექტრონული აღჭურვის სისტემებს.

ყოველივე ამით იმის თქმა გვინდა, რომ დანაშაულებრივი სამყარო იმ დონეზეა ორგანიზებული, რომ ჩვეულებრივი სახელისუფლო ორგანოები – პოლიცია და სხვა, რომლებიც არსებობენ ბიუჯეტის ფულით და რომელთაც ევალებათ ასეთ ქმედებათა აღკვეთა, უძლურნი არიან თავიანთი ფუნქციის სრულად შესრულებაში. სწორედ ამიტომ, როგორც ნაშრომის დასაწყისშიც აღვნიშნეთ, დაიწყო მსოფლიოს მოძრაობა დანაშაულებრივი შემოსავლების აღსაკვეთად და მათი ლეგალიზაციის წინააღმდეგ. ეს მოხდა გასული საუკუნის 80-იან წლებში და იგი ფინანსური დაზვერვის და-ნაყოფების შექმნაში გამოიხატა.

ფინანსური დაზვერვის პირველი რამდენიმე დანაყოფი შეიქმნა 90-იანი წლების დამდეგს. ათი წლის შემდეგ ფინანსური დაზვერვის დანაყოფების რიცხვი 2003 წლისთვის 83 წევრამდე გაიზარდა [5, გვ. 3]. მათი უმრავლესობა სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება ხოლო ტერიტორიულად ფინანსთა სამინისტროშია განლაგებული და მის ნაწილს წარმოადგენს. ასეა კორეის ფინანსური დაზვერვის დანაყოფი – KOFIU, მონაკოს – SICEFIN, სლოვენის – OMLP, აშშ-ის – FINCRN. მათ ფინანსთა სამინისტრო აფინანსებს.

ესტონეთში და უნგრეთში ფინანსური დაზვერვის სამსახურები შინაგან საქმეთა სამინისტროში არიან განთავსებული და ისინი ბიუჯეტიდან ფინანსდებიან. ბოლივიის, იტალიის, ესპანეთის, ვენესუელის ფინანსური დაზვერვის დანაყოფებს ნაწილობრივ ცენტრალური ბანკი აფინანსებს, ნაწილობრივ კვების სახელმწიფო სააგენტოს ფინანსური სექტორი და ა. შ.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროში შექმნილია საგამოძიებო სამსახური. მის მიერ 2013-2015 წლებში აღმოჩენილი სისხლის სამართლის საქმეები 639-დან 769-მდეა გაზრდილი, ყალბი ფულის დამზადება გაზრდილია 13-დან 21%-მდე, ქრთამის აღება 47%-დან 56%-მდე, თაღლითობა 189-დან 184%-მდე, კონტრაბანდა 52%-დან 63%-მდე და ა. შ. [6, გვ. 73, 75, 76]. ამას ამტკიცებს სტატისტიკის ეროვნული სამსახურიც, რომლის ცნობითაც 2009-2014 წლებში მარტო ნარკოტიკების უკანონო დამზადება-გასაღებაში მხილებულ ადამიანთა რიცხვი 2193 კაციდან 2354 კაცამდე გაიზარდა [7, გვ. 92].

სწორედ იმის გამო, რომ ორგანიზებული დამნაშავეობა საქართველოში საკმაოდ გაზრდილია, საჭიროა ორგანიზებულ დამნაშავეობასთან და მათ მიერ მიღებულ უკანონო შემოსავლებთან ბრძოლის გააქტიურება. აი, სწორედ ამაში უნდა ჩაერთოს დაზვერვის ინსტიტუტი. რადგან საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროშიც არსებობს საგამოძიებო სამსახური, უკეთესი იქნება ფინანსთა სამინისტროში გაუქმდეს ის და სამაგიეროდ გაიხსნას ფინანსური დაზვერვის დანაყოფი.

გამოკვეყნებული ლიტერატურა

1. Кларк Р., Преступность в США, М., 1975.
2. ბალახაშვილი ი., დანაშაულის და სასჯელის ეკონომიკა, თბ., 2010.
3. ООН: рынок наркотиков достиг макроэкономического масштаба, газета, Gzt.Ru, 26.06.2009.
4. World drug report, 2009.
5. ვახანია ვ., მსოფლიოს ფინანსური დაზვერვები, თბ., 2008.
6. 3 წლის შედეგები, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, თბ., 2015.
7. საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული, თბ., 2015.

Irakli Koghua

FIGHTING AGAINST MAFIA AND THEIR ILEGAL REVENUES AND REQUIRES TAKING MORE EFFECTIVE MEASURES

Annotation

The article raises an issue of fighting against illegal revenues. The urgency of the topic is caused by the statistics according to which crime level has increased by 85%.


The article refers to foreign countries' experience as well in 1980s, when they faced the similar problem. As a result, new financial supervision units were introduced under ministries of finance by a number of such countries.

Ministry of Finance of Georgia has introduced Investigation Service to fight against illegal revenues. Likewise, Ministry of Internal Affairs of Georgia runs the similar unit. The article recommends replacing the unit of investigation service at the Ministry of Finance of Georgia by the financial supervision unit.

შესავალი

საკრედიტო რისკი არის შესაძლებლობა, რომ კონტრაგენტები გადაფოლტდნენ და ვერ შეასრულონ ვალდებულებები. სესხის პორტფელის მაღალი კონცენტრაცია მნიშვნელოვნად ზრდის საკრედიტო რისკს. არცთუ იშვიათად, საკრედიტო პორტფელის მაღალი კონცენტრაცია ბანკის დეფოლტის გამოწვევები ხდება [6]. მაგალითად, საკრედიტო პორტფელის მაღალი კონცენტრაცია გახდა ისეთი ბანკების დეფოლტის მიზეზი, როგორცაა Bank of Elmwood, Barnes Banking Company, Community Bank of Nevada, Capital South [5]. ინვესტიციების მაღალი კონცენტრაცია გახდა ასევე ცნობილი საინვესტიციო ბანკის Lehman Brothers-ის გაკოტრების მიზეზი.

მოყვანილი მაგალითები მოწმობს, რამდენად მნიშვნელოვანია ბანკის კონცენტრაციის რისკის შეფასება. კონცენტრაციის რისკის შეფასებისთვის კი საკრედიტო დანაკარგების მოდელირებაა საჭირო. საკრედიტო რისკის მართვის უახლესი მიდგომა ეყრდნობა ვასიჩეკის საკრედიტო რისკის მოდელს, რომელიც საკრედიტო დანაკარგის განაწილების ფუნქციას განსაზღვრავს.



გრაფიკი 1. საკრედიტო პორტფელის დანაკარგის სიხშირის ფუნქცია

ვასიჩეკის მოდელი რელევანტურია დივერსიფიცირებული პორტფელისთვის თუმცა კონცენტრირებული პორტფელისთვის არასათანადოდ აფასებს საკრედიტო დანაკარგს.

ამ კვლევაში შეფასებულია 2015 წლის დეკემბრის მდგომარეობით საქართველოში მოქმედი ბანკების საკრედიტო დანაკარგის განაწილება და დათვლილია მოულოდნელი ზარალის ის მოცულობა, რომელიც პორტფელის კონცენტრაციით არის გამოწვეული. ნაშრომი ორგანიზებულია შემდეგნაირად: მეორე თავი აღწერს ვასიჩეკის მოდელს, რომელიც საკრედიტო დანაკარგის განაწილების დადგენაში გვეხმარება. მესამე თავში აღწერილია საკრედიტო დანაკარგის სიმულაციის მეთოდი და გამოყენებული მონაცემები, მეოთხე თავში მოცემულია კვლევის შედეგები, ხოლო მეხუთე თავი წარმოადგენს ნაშრომის დასკვნას.

2. ვასიჩეკის საკრედიტო რისკის მოდელის აღწერა

ვასიჩეკის ასიმპტოტური ერთადერთი რისკფაქტორიანი (ASRF) მოდელი გარკვეული დაშვებების პირობებში, განსაზღვრავს საკრედიტო პორტფელის ზარალის განაწილებას. მოდელი დაფუძნებულია დიდ რიცხვთა კანონზე. თუკი საკრედიტო პორტფელი თანაბარი მოცულობის, უსასრულოდ დიდი რაოდენობის სესხისგან შედგება, იდიოსინკრატული რისკი მთლიანად დივერსიფიცირებულია. ასეთ შემთხვევაში საკრედიტო დანაკარგი დამოკიდებულია მხოლოდ საერთო რისკფაქტორზე. აღნიშნული პორტფელისათვის შესაძლებელია დანაკარგის აღწერა ფორმულით. ბუნებრივია, მსგავსი ტიპის საკრედიტო პორტფელი რეალობაში არ არსებობს, რადგანაც ბანკს ყოველთვის სასრული რაოდენობის მსესხებელი ჰყავს. თუმცა ასიმპტოტური დაშვება მართებულია ისეთი პორტფელისთვის, რომელიც დიდი რაოდენობის სესხისგან შედგება. მოდელის დეტალური აღწერა ნაჩვენებია დანართი 1-ში.

ვასიჩეკის მოდელის მიხედვით მსესხებელი გადაფოლტდება იმ შემთხვევაში, თუკი მისი აქტივების ღირებულება სესხის ვადიანობის დასასრულს ჩამოცდება სესხის ღირებულებას. მსესხებლის აქტივების ღირებულება შემთხვევითი პროცესია, რომელიც დამოკიდებულია შემთხვევით ცვლადზე X_i . თავის მხრივ, შემთხვევითი ცვლადი X_i დამოკიდებულია მსესხებლისათვის დამახასიათებელ რისკფაქტორზე Z_i და ეკონომიკური მდგომარეობისათვის დამა-

ხასიათებელ საერთო რისკფაქტორზე Y . აღსანიშნავია, რომ არ არის ცალკე აღებული რომელიმე ეკონომიკური ინდიკატორი არამედ არის რისკფაქტორი, რომელზეც სხვადასხვა ეკონომიკური ინდიკატორი ახდენს გავლენას. დაშვების მიხედვით Z_i და Y სტანდარტულ-ნორმალურადაა განაწილებული. X_i , Z_i და Y ცვლადებს შორის დამოკიდებულება შემდეგი ფორმით ჩაიწერება:

$$X_i = Y\sqrt{\rho} + Z_i\sqrt{1-\rho}$$

ρ ცვლადი გვიჩვენებს მსესხებლის აქტივების დამოკიდებულების დონეს საერთო რისკფაქტორზე. რაც მეტია ρ , მსესხებლის აქტივები უფრო მეტად სენსიტიურია საერთო ეკონომიკური მდგომარეობის მიმართ.

საბოლოოდ, გაკორტების ალბათობა (მოცემული Y -ის პირობებში) შემდეგი ფორმულით გამოისახება:

$$P(Y) = N\left[\frac{N^{-1}(p) - Y\sqrt{\rho}}{\sqrt{1-\rho}}\right] \quad (1)$$

სადაც, p – სესხის საშუალო დეფოლტის ალბათობაა, N – კი კუმულაციური განაწილების ფუნქციას აღნიშნავს. ფორმულა გვიჩვენებს, რომ Y -ის ზრდა დეფოლტის ალბათობას ამცირებს, რაც ლოგიკური შედეგია რადგანაც Y -ის ზრდა ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას ასახავს [7].


იმავე ნაშრომში გამოყვანილია დივერსიფიცირებული პორტფელის ზარალის განაწილების ფუნქცია, საიდანაც ნებისმიერი q პროცენტული შეიძლება გამოვთვალოთ შემდეგი ფორმულით:

$$p^q = N\left[\frac{\sqrt{\rho}N^{-1}(q) + N^{-1}(p)}{\sqrt{1-\rho}}\right] \quad (2)$$

ეს ფორმულა გამოყენებულია ბაზელ II IRB მიდგომაში. ფორმულით შესაძლებელია დაითვალოს საკრედიტო პორტფელის მოულოდნელი ზარალი. თუკი ბანკი ინარჩუნებს მოულოდნელი ზარალის მოცულობის კაპიტალს მისი დეფოლტის ალბათობა არ აღემატება 0.01%. იგულისხმება, რომ მოსალოდნელი ზარალი გათვალისწინებულია სესხების ფასდადებაში [8].

3. სიმულაციის მეთოდი და მონაცემების აღწერა


საკრედიტო პორტფელის კონცენტრაციით გამოწვეული დამატებითი მოულოდნელი ზარალი დაითვლება, როგორც კონცენტრირებული პორტფელის მოულოდნელ ზარალსა და დივერსიფიცირებული პორტფელის მოულოდნელ ზარალს შორის სხვაობა. დადგენილია, რომ ამ სხვაობის შეფასება ფორმულის სახით ზუსტად ვერ მოხდება [3], ამიტომაც საჭიროა მონტე-კარლოს სიმულაციის მეთოდი. კონცენტრაციის საზომად გამოყენებულია HHI ინდექსი, რომელიც დაითვლება, როგორც პორტფელის თითოეული სესხის წილის კვადრატის ჯამი. ინდექსი მოთავსებულია 0-სა და 1-ს შორის. კონცენტრაციის ზრდა იწვევს HHI ინდექსის ზრდას.



გრაფიკი 2. დივერსიფიცირებული და კონცენტრირებული პორტფელის დანაკარგის სიხშირის ფუნქცია

4. შედეგები

ქვემოთ მოცემულ გრაფიკზე ნაჩვენებია კვლევის შედეგები. გრაფიკი აჩვენებს დამოკიდებულებას HHI ინდექსსა და კონცენტრაციით გამოწვეულ დამატებით მოულოდნელ ზარალს შორის საქართველოში მოქმედი ბანკებისთვის. გრაფიკზე მოცემული თითოეული წერტილის სისქე ასახავს შესაბამისი ბანკის საკრედიტო პორტფელის საშუალო დეფოლტის ალბათობას.



გრაფიკი 4. დამოკიდებულება HHI ინდექსსა და კონცენტრაციით გამოწვეულ დამატებით მოულოდნელ დანაკარგს (აღდგენამდე) შორის

გრაფიკიდან ჩანს, რომ საკრედიტო პორტფელის კონცენტრაციით გამოწვეული მოულოდნელი დანაკარგი წრფივად დამოკიდებულია HHI ინდექსზე. თუმცა პორტფელის საშუალო დეფოლტის ალბათობა ასევე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს შესაძლო ზარალზე. შედეგების მიხედვით, სხვა თანაბარ პირობებში მოულოდნელი ზარალი იზრდება დეფოლტის ალბათობის ზრდასთან ერთად. თუმცა ნათელია, რომ დეფოლტის ალბათობის მაღალი მნიშვნელობისთვის ეს დამოკიდებულება შეიცვლება. მაგ, თუკი პორტფელის საშუალო მოსალოდნელი დანაკარგია 99%, მოულოდნელი დანაკარგი ვერ იქნება 1%-ზე მეტი. შედეგებიდან შესაძლებელია დაფასკვნათ, რომ საქართველოში მოქმედი ბანკებისათვის პორტფელის კონცენტრაციით გამოწვეული დამატებითი მოულოდნელი დანაკარგი HHI ინდექსის დახმარებით მაღალი სიზუსტით გაიზომება. იმისათვის, რომ დავითვალდოთ კონცენტრაციის რისკის მიტიგაციისათვის საჭირო კაპიტალის მოცულობა, საჭიროა პორტფელის კონცენტრაციით გამოწვეული მოულოდნელი დანაკარგი აღდგენამდე გავამრავლოთ ზარალის წილზე, რომელიც აქტივების აღდგენის შემდეგ ადგება ბანკს (Loss Given Default).

5. დასკვნა

ამგვარად, საკრედიტო რისკის მართვა ბანკების რისკმენეჯმენტის მთავარი შემადგენელი ნაწილია. ბანკის კაპიტალის რეგულირების მიზნებისთვის მნიშვნელოვანია მისი საკრედიტო დანაკარგის მოსალოდნელი და მოულოდნელი მნიშვნელობების შეფასება. ზუსტი შეფასებისთვის საჭიროა, სხვა რისკებთან ერთად ბანკის პორტფელის კონცენტრაციის რისკის გათვალისწინება. პორტფელის მაღალი კონცენტრაცია მოულოდნელ საკრედიტო დანაკარგს ზრდის. ლიტერატურაში საკრედიტო პორტფელის კონცენტრაცია HHI ინდექსით იზომება. ამ კვლევამ აჩვენა, რომ დამოკიდებულება HHI ინდექსსა და მოულოდნელ ზარალს შორის წრფივია. ამიტომაც პორტფელის HHI ინდექსი მაღალი სიზუსტით ზომავს კონცენტრაციის რისკს. გასათვალისწინებელია, რომ, ზარალზე ასევე მნიშვნელოვნად მოქმედებს პორტფელის საშუალო დეფოლტის ალბათობა. შედეგების მიხედვით, სხვა თანაბარ პირობებში დეფოლტის ალბათობასა და მოულოდნელ ზარალს შორის კორელაცია დადებითია, რაც კვლევაში გამოყენებული პორტფელისთვის სპეციფიკური შედეგია. თეორიულად, დეფოლტის ალბათობის მაღალი მნიშვნელობისთვის ალბათობის კიდევ უფრო ზრდა მოულოდნელ ზარალს შეამცირებს. საკრედიტო პორტფელის კონცენტრაციის რისკის უფრო ზუსტი ანალიზისათვის საჭიროა, ბანკებმა განავითარონ სესხების დეფოლტის პროგნოზირების მოდელები. ამასთანავე, მნიშვნელოვანია საქართველოს ეკონომიკის სხვადასხვა სექტორში მსესხებლების აქტივებს შორის კორელაციის კვლევა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Basel Committee on Banking Supervision 1988, International Convergence of Capital Measurement and Capital Standards, viewed July 2015, <<http://www.bis.org/publ/bcbs04a.pdf>>
2. Basel Committee on Banking Supervision 2006, International Convergence of Capital Measurement and Capital Standards, viewed July 2015, <<http://www.bis.org/publ/bcbs128.pdf>>
3. Basel Committee on Banking Supervision 2006, Studies on credit risk concentration, viewed July 2015, <http://www.bis.org/publ/bcbs_wp15.pdf>
4. Basel Committee on Banking Supervision 2001, The new Basel capital accord IRB, The Internal Ratings-Based Approach, viewed July 2015, <<http://www.bis.org/publ/bcbsca05.pdf>>
5. Board of Governors of the Federal Reserve System 2011, Summary Analysis of Failed Bank Reviews, viewed July 2015, <http://oig.federalreserve.gov/reports/Cross_Cutting_Final_Report_9-30-11.pdf>
6. Deutsche Bundesbank 2006, Concentration Risk in Credit Portfolios, viewed July 2015, <https://www.bundesbank.de/Redaktion/EN/Downloads/Publications/Monthly_Report_Articles/2006/2006_06_concentration_risk.pdf?__blob=publicationFile>
7. Vasicek, O. (2002). The distribution of loan portfolio value. *Risk*, 15(12), 160-162
8. Basel Committee on Banking Supervision (2005), An Explanatory Note on the Basel IIIRP Risk Weight Functions.

Levan Lagvilava

ASSESSMENT OF CREDIT LOSSES AND CONCENTRATION RISK USING CREDIT RISK MODEL IN GEORGIAN BANKS

Annotation

Credit risk management is the main component of bank risk management. Concentration risk is one of the forms of credit risk, which is caused by non-granular distribution of loans among individuals or sectors of an economy. Credit concentration might trigger banking crisis as it might cause huge losses for a bank. That is why concentration risk should be reflected in bank capital. The article aims to assess volume of capital that is needed to mitigate name concentration risk of Georgian banks.

ლევან ლაგვილავა

ოპტიმალური კაპიტალის დონის განსაზღვრა ფინანსური და მასპროექტონომიკური მოდელების ინტეგრაციით

შესავალი

2008 წლის მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა აჩვენა, თუ რამდენად დიდია ფინანსური სექტორის გავლენა ეკონომიკაზე. გამოვლინდა ფინანსური სექტორის უფრო მკაცრი რეგულირების საჭიროება. ეკონომიკურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ოპტიმალური რეგულაციისთვის მნიშვნელოვანია, გაანალიზდეს როგორც ფინანსური კრიზისის მოხდენის, ასევე რეგულაციის მიმდინარე დანახარჯები. Benes, Kumhof & Laxton 2014 და მასპროექტონომიკური სტაბილურობის შეფასების ჯგუფი, 2010 აღნიშნავენ, რომ მნიშვნელოვანია, შეფასდეს მოსალოდნელი სარგებელი და მიმდინარე ხარჯები, რომელიც ახლავს რეგულაციას. ამ შეფასებისათვის მნიშვნელოვანია მასპროექტონომიკურ მოდელებში მოხდეს ფინანსური სექტორის ინტეგრაცია.

2008 წლის კრიზისის დროს მაღალი ლევერიჯის მქონე ბანკებს ლიკვიდობის პრობლემა შეექმნათ, რადგანაც დაფინანსების წყარო შეეზღუდათ. ინვესტორები უფრო მეტად რისკუნსიტიურები გახდნენ და ფიქრობდნენ, რომ ბანკის კაპიტალი არ იყო საკმარისი შესაძლო ზარალის შთანთქმისთვის. კრიზისის შემდეგ ეკონომისტთა აზრი საბანკო რეგულაციების შესახებ ორ ნაწილად გაიყო, ერთი ნაწილის აზრით, საჭირო იყო ბანკებისათვის უფრო მეტი კაპიტალის მოთხოვნა, ხოლო მეორე ნაწილი კი მიიხსენებდა, რომ უნდა გაზრდილიყო არა კაპიტალის, არამედ ლიკვიდობის მოთხოვნა და ბანკებს უფრო მეტი ლიკვიდური აქტივები შეენარჩუნებინათ. მიხეუვლია, რომ კაპიტალის მაღალი დონე ზრდის ბანკის ხარჯებს. თუმცა არსებობს საწინააღმდეგო მოსაზრებაც. მაგალითად, მოდილიანი-მილერის თეორემის თანახმად, კაპიტალის დონეს ბანკის ხარჯებზე გავლენა არ აქვს. თეორემის მიხედვით ბანკის კაპიტალის ზრდა ამცირებს უკუგების მერყეობას, რის შედეგადაც კაპიტალზე მოთხოვნილი უკუგება მცირდება, რაც ამცირებს ბანკის კაპიტალს. მოდილიანი-მილერის მიხედვით, კაპიტალის მცირდება ისე, რომ ბანკის დაფინანსების შეწონილი ღირებულება არ იცვლება. თუმცა, რამდენიმე მიზეზის გამო, მოდილიანი-მილერის თეორემა პრაქტიკაში ხუსტად არ სრულდება. ამის ერთ-ერთი მიზეზი არის ის, რომ ბანკებს შეუძლიათ გადასახადის ძირი შეამცირონ საპროცენტო გადასახდელებით, თუმცა არ შეუძლიათ შეამცირონ ღირებულებით. სხვა შესაძლო მიზეზი რატომაც არ სრულდება მოდილიანი-მილერის თეორემა, არის დეპოზიტების დაზღვევის პოლიტიკა. ამ პოლიტიკამ შესაძლოა მოტივაცია მისცეს ბანკებს, კაპიტალით დაფინანსება ჩაანაცვლონ დეპოზიტებით დაფინანსებით. არსებობს სხვა არგუმენტებიც, რომელიც ხსნის, თუ რატომ შეიძლება ვერ სრულდებოდეს მოდილიანი-მილერის თეორემა. სტატიის

დარჩენილი ნაწილი შემდეგნაირადაა ორგანიზებული: პირველ თავში განხილულია გაზრდილი კაპიტალის ეკონომიკური დანახარჯი, მეორე თავში ნაჩვენებია გაზრდილი კაპიტალის სარგებელი, შემდეგ თავში გამოყვანილია ოპტიმალური კაპიტალის დონე, ბოლოს წარმოდგენილია ნაშრომის დასკვნას.

1. გაზრდილი კაპიტალის მოთხოვნის ეკონომიკური დანახარჯი

იმისთვის, რომ დაითვალოს გაზრდილი კაპიტალის მოთხოვნის გავლენა ეკონომიკაზე, გამოყენებულია ფინანსურ თეორიაში ცნობილი კაპიტალური აქტივების შეფასების მოდელი (CAPM) და სტრუქტურული ეკონომიკური მოდელი. ეკონომიკური მოდელის მიხედვით, მთლიანი წარმოება შემდეგი ფუნქციით წარმოდგება: $Y = f(K, L)$. კაპიტალის ღირებულების ზრდის ეფექტი კი შემდეგია:

$$\frac{dY}{dP_k} \times \frac{K}{Y} = \left(\frac{dY}{dK} \times \frac{K}{Y} \right) \times \left(\frac{dK}{dP} \times \frac{P}{K} \right) \times \left(\frac{dP}{dP_k} \times \frac{P_k}{P} \right) = \alpha \sigma \frac{1}{1 - \alpha}$$

სადაც α არის წარმოების ელასტიკურობა კაპიტალის მიმართ, σ არის კაპიტალსა და შრომას შორის ჩანაცვლების ელასტიკურობა. ვუშვებთ, რომ α არის 1/3-ის ტოლი, ეს არის შემოსავლის წილი, რომელსაც კაპიტალის მფლობელები იღებენ. კაპიტალსა და შრომას შორის ჩანაცვლების ელასტიკურობა უდრის 0.5, როგორც რეკომენდებულია ნაშრომებში Smith (2008) და Berns(2008).

კაპიტალური აქტივების შეფასების მოდელი (CAPM) გამოყენებულია იმისთვის, რომ დავითვალოთ კაპიტალის ღირებულება. მოდელის თანახმად, კაპიტალის ღირებულება შემდეგი ფორმულით ჩაიწერება

$$R_{Equity} = R_f + \beta \times (R_M - R_f)$$

სადაც:

R_{Equity} – არის კაპიტალის დანახარჯი

R_f – ურისკო საპროცენტო განაკვეთი

R_M – ბაზრის საპროცენტო განაკვეთი

β – აქტივის სენსიტიურობა ბაზრის მომგებიანობის მიმართ

β , თავის მხრივ დამოკიდებულია კომპანიის ლევერიჯზე (კომპანიის აქტივების ფარდობა ვალდებულებებთან), როდესაც ბანკის კაპიტალის დონე იზრდება, მცირდება ლევერიჯი, რაც განაპირობებს კაპიტალის ხარჯის შემცირებას. თუკი ჩავსვათ შესაბამის მნიშვნელობებს მივიღებთ, რომ $R_{Equity} = 17.86\%$. თუკი გავითვალისწინებთ ასევე ვალდებულებების საპროცენტო განაკვეთს

$R_{Debt} = 7\%$. მიმდინარე ლევერიჯის გათვალისწინებით (7.71) მივიღებთ, რომ ბანკების დაფინანსების შეწონილი ღირებულებაა (WACC) 8.41%. თუკი ბანკის ლევერიჯი განახევრდება (ეს ნიშნავს, რომ ბანკს უფრო მეტი კაპიტალის აქვს და ნაკლებია მისი გაკოტრების ალბათობა) ზემოთ მოცემული დათვლებით ბანკის დაფინანსების შეწონილი ღირებულება გაიზრდება 9.52%-მდე. რაც ნიშნავს, რომ ბანკების დაფინანსების ღირებულება 1.11%-ით გაიზრდება. თუკი გავითვალისწინებთ, რომ ფირმების 33%-მდე დამოკიდებულია ბანკების დაფინანსებაზე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ფირმების დაფინანსების ხარჯები გაიზრდება $1.11\% \times 33\% = 0.37$ პპ-ით. ეს ნიშნავს ფირმების დაფინანსების ხარჯების 3.7%-ით გაზრდას (თუკი დავეშვებთ, რომ ფირმების დაფინანსების თავდაპირველი ხარჯია 10%). ზემოთ მოცემული ელასტიკურობის გათვალისწინებით ეს არის მშპ-ს 0.93 პპ-ით პერმანენტული შემცირება, რომლის მიმდინარე ღირებულებაც 2.5% დისკონტის განაკვეთის გათვალისწინებით არის მშპ-ს 37%. საბოლოოდ მივიღებთ, რომ ლევერიჯის განახევრებამ გამოიწვია ერთჯერადად მშპ-ს 37%-ით შემცირება. ლევერიჯის 7.71-დან 3.86-მდე შემცირება იგივეა, რაც კაპიტალის კოეფიციენტის 13%-დან 16%-მდე გაზრდა. შესაბამისად, კაპიტალის კოეფიციენტის გაზრდის ზღვრული დანახარჯია $37\%/13\% = 2.84$ პ.პ. რაც ნიშნავს, რომ ბანკების კაპიტალის კოეფიციენტის 1 პპ-ით გაზრდა განაპირობებს მშპ-ს 2.84%-ით შემცირებას, რაც არის გაზრდილი კაპიტალის მოთხოვნის გავლენა ეკონომიკაზე.

გაზრდილი კაპიტალის სარგებელი

გაზრდილი კაპიტალის დონე საშუალებას აძლევს ბანკს, არ გაკოტრდეს აქტივების ღირებულების ვარიაციის შედეგად, რაც, საბოლოოდ, ამცირებს საბანკო კრიზისის ალბათობას. გაზრდილი კაპიტალის სარგებელი შეიძლება გაიზომოს, როგორც ფინანსური კრიზისის მოსალოდნელი ხარჯი. იმისათვის, რომ დავითვალოთ ფინანსური კრიზისის ხარჯის მოსალოდნელი მნიშვნელობა, ფინანსური კრიზისის ალბათობა უნდა გავამრავლოთ ფინანსური კრიზისის ეკონომიკურ დანახარჯზე. ნაშრომში ფინანსური კრიზისის განსაზღვრულია, როგორც მდგომარეობა, როდესაც ბანკების უმეტესობა გადახდისუნაროა. დაშვების თანახმად, თავდაპირველად საბანკო კრიზისის

განაპირობებს ინდივიდების შემოსავლების შემცირება, რაც ამცირებს ბანკების აქტივების ღირებულებას, რადგან გაკოტრებული სესხების რაოდენობა იზრდება. კვლევები აჩვენებს, რომ ბანკების აქტივების შემცირება პროპორციულია მშპ-ის შემცირებისა. იმისთვის, რომ განვსაზღვროთ ბანკების აქტივების ალბათური განაწილება, საჭიროა შემოსავლების მოდელირება. თუკი ბანკების აქტივებს აღვნიშნავთ I -ით, ხოლო ბანკების კაპიტალს როგორც K , მთავარი მექანიზმი შესაძლოა შემდეგი განტოლებებით წარმოვადგინოთ:

$$p = \text{prob}(L > K)$$

$$L = \begin{cases} f(Y) > 0 & \text{if } Y < 0 \\ 0 & \text{if } Y \geq 0 \end{cases}$$

ზღვრული სარგებელი კი არის:

$$MB = (dp/dK) \times C$$

საბანკო კრიზისის ალბათობის განსაზღვრისთვის ნაშრომი ეყრდნობა (Miles, Yang, Marcheggiano 2012). ნაშრომში გაანალიზებულია მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპის ალბათური განაწილების ფუნქცია. ალბათური განაწილების პარამტერიზაციისთვის გამოყენებულია 31 ქვეყნის შესახებ 200 წლის ისტორიული მონაცემები. დაშვების თანახმად, მთლიანი შიდა პროდუქტი შემდეგი პროცესით აღიწერება:

$$Y_t = \gamma + u_{t-1} + v_{t-1}$$

γ აღნიშნავს წარმოების საშუალო ზრდის ტემპს

u_{t-1} არის შემთხვევითი კომპონენტი ნორმალურ პერიოდში


v_{t-1} არის შემთხვევითი კომპონენტი, რომელიც არის 0-ის ტოლი ნორმალურ პერიოდში, თუმცა შესაძლოა გახდეს მნიშვნელოვნად უარყოფითი. p ალბათობით v_{t-1} მნიშვნელოვნად უარყოფით მნიშვნელობას იღებს, ხოლო q ალბათობით კი შედარებით ნაკლებად უარყოფითს.

საბოლოოდ (Miles, Yang, Marcheggiano 2012)-ში განსაზღვრულია კაპიტალის კოეფიციენტისა და მის ზღვრულ სარგებელს შორის დამოკიდებულება.

3. ოპტიმალური კაპიტალის კოეფიციენტის განსაზღვრა

წინა თავებში ერთი მხრივ განვსაზღვრეთ კაპიტალის კოეფიციენტის ზღვრული დანახარჯი, ხოლო მეორე მხრივ, კაპიტალის კოეფიციენტის ზღვრული სარგებელი. იმისათვის, რომ დავითვალოთ კაპიტალის კოეფიციენტის ოპტიმალური დონე საჭიროა კაპიტალის ზღვრული დანახარჯი გავეტოლოთ მის ზღვრულ სარგებელს. ეს შესაძლოა გრაფიკის სახით იქნეს წარმოდგენილი:

მ.შპ-ს წილი



გრაფიკი 1. კაპიტალის სარგებელი და დანახარჯი

როგორც გრაფიკიდან ჩანს, საქართველოს ეკონომიკისთვის ოპტიმალურია 17% კაპიტალის კოეფიციენტი. ასევე გრაფიკი აჩვენებს, რომ შესაძლოა ოპტიმალური იყოს კაპიტალის მაღალი მოთხოვნა-37% და 45%. ეს შედეგი განპირობებულია იმით, რომ კაპიტალის ზღვრულ სარგებელს აქვს სქელკუდა განაწილება, რაც, თავის მხრივ, მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპის ალბათური განაწილებითაა განპირობებული.

დასკვნა

ფინანსური კრიზისის შედეგად ეკონომიკას დიდალი დანახარჯი ადგება. რომ თავიდან იქნას აცილებული ფინანსური კრიზისის თავიდან ასაცილებლად საჭიროა ფინანსური სექტორის ოპტიმალური რეგულაცია. იმისათვის, რომ განისაზღვროს რეგულაციის ოპტიმალური დონე, საჭიროა რეგულაციის სარგებლისა და დანახარჯის ანალიზი. ნაშრომში გაანალიზებულია საქართველოს საბანკო სისტემის კაპიტალის მოთხოვნის სარგებელი და დანახარჯი. გაზრდილი კაპიტალის მოთხოვნა ერთი მხრივ ზრდის ბანკების გადახდისუნარიანობას და ამცირებს საბანკო კრიზისის მოხდენის ალბათობას. თუმცა მეორე მხრივ, გაზრდილი კაპიტალის მოთხოვნა ეკონომიკისათვის არის მიმდინარე ხარჯი, რადგანაც იზრდება ფირმების კაპიტალის ხარჯი და მცირდება წარმოება. ნაშრომში გამოვლინდა, რომ კაპიტალის ოპტიმალური დონე, რომელიც საქართველოში მოქმედმა ბანკებმა უნდა შეინარჩუნონ, შეადგენს მათი აქტივების 17%.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Barnes, S. N., Price, S., & Barriell, M. (2008). The elasticity of substitution: evidence from a UK firm-level data set.
2. Barro, R. J. (2006). Rare disasters and asset markets in the twentieth century. *The Quarterly Journal of Economics*, 823-866.
3. Benes, J., Kumhof, M., & Laxton, D. (2014). Financial crises in DSGE models: A prototype model.
4. Brennan, M. J. (1989). Capital asset pricing model. In *Finance* (pp. 91-102). Palgrave Macmillan UK.
5. Kay, J. A. (2009). Narrow Banking: The reform of banking regulation.
6. Laeven, L., & Valencia, F. (2008). Systemic banking crises: a new database. *IMF Working Papers*, 1-78.
7. Miles, D., Yang, J., & Marcheggiano, G. (2013). Optimal bank capital*. *The Economic Journal*, 123(567), 1-37.
8. Miller, M. H. (1995). Do the M & M propositions apply to banks?. *Journal of Banking & Finance*, 19(3), 483-489.
9. Smith, J. (2008). That elusive elasticity and the ubiquitous bias: is panel data a panacea?. *Journal of Macroeconomics*, 30(2), 760-779.

Levan Lagvilava

REGULATION OF OPTIMAL LEVEL OF CAPITAL USING INTEGRATION OF FINANCIAL AND MACROECONOMICS MODELS Annotation

World financial crisis revealed that financial crises might cause enormous loss for the economy. Therefore it's crucial to regulate financial sector rightly in order to avoid financial distress. One of the most important instruments used for financial sector regulation is capital requirement. For optimal capital regulation it is critical to compare benefits and costs of extra capital requirement. Optimal level of capital is analyzed in the article.

გიორგი მიქელაძე

უმაღლესი განათლების როლი საქართველოს ეკონომიკაზე

ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს განათლების ფაქტორი. სწორედ განათლების მაღალი მაჩვენებელი წარმოადგენს ინოვაციების საფუძველს, რაც, თავის მხრივ, მაღალი მთლიანი შიდა პროდუქტის გარანტია [4].

კვლევის ობიექტს წარმოადგენს საქართველოს ეკონომიკაზე განათლების კავშირურთიერთობების გამოვლენა და მისი ანალიზი.

მრავალი ქვეყნის მსგავსად, საქართველოშიც აღინიშნება რეგიონებს შორის მკვეთრი განსხვავება საქმიანობის სახეების, განათლების ცენტრების მობილიზაციის დონით თუ სხვა ფაქტორების მიხედვით. აღნიშნულის გათვალისწინებით, სასურველია, კვლევის დროს გათვალისწინებული იყოს რეგიონების თავისებურებანი.

ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის კარგ მაჩვენებელს მთლიანი შიდა პროდუქტი წარმოადგენს, ხოლო განათლების ფაქტორის როლში განხილული იქნება უნივერსიტეტების და პროფესიული სასწავლებლების რაოდენობა. აღნიშნული ფაქტორები მოცემულია რეგიონალურ დონეზე 2006 წლიდან 2014 წლის ჩათვლით [5]. აღსანიშნავია შემდეგი გარემოებები: 1. კვლევაში 2009 წლიდან 2012 წლამდე პროფესიული სასწავლებლების რაოდენობა წარმოადგენს 0-ს, ვინაიდან ამ პერიოდში პროფესიული სასწავლებლების სტატუსი გაუქმებული იყო. 2. კვლევის პერიოდში,

ემპირიული მონაცემების დაბალი მნიშვნელობების გამო, მოხდა რეგიონების გაერთიანება, ვინაიდან ინფორმაცია სტატისტიკურად ვარგისი რომ ყოფილიყო. კონკრეტულად, მცხეთა – მთიანეთის მონაცემები გაერთიანდა თბილისთან, რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის – იმერეთის რეგიონთან, ხოლო აფხაზეთის – სამეგრელოს რეგიონთან. საერთო ჯამში, საქართველო პირობითად 9 რეგიონად დაიყო. 3. მთლიანი შიგა პროდუქტის რეგიონულ მნიშვნელობებში გამოყოფილია მეცნიერებატევადი პროდუქტები. კერძოდ მთლიანი შიგა პროდუქტის ის ნაწილი, რომელიც საჭიროებს უმაღლეს განათლებას (ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა, სახელმწიფო მმართველობა, განათლება, ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება, მშენებლობა და მრეწველობა).

აღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით განვიხილოთ წრფივი კროს-სექციური რეგრესია, რომლის შედეგობრივ ცვლადს მეცნიერებატევადი მთლიანი შიგა პროდუქტის რეგიონული მნიშვნელობები წარმოადგენს, ხოლო ფაქტორული ცვლადების როლში განხილულია უნივერსიტეტების და პროფესიული სასწავლებლების რეგიონული რაოდენობა. რეგრესიის აგებისას უნდა გამოვიყენოთ ფიქტიური ცვლადები 0 და 1 მნიშვნელობით, რომლებიც ფაქტორული ცვლადების რეგიონების განსასაზღვრად გამოდგება [1]. საბოლოოდ განტოლებაში გვექნება 18 ფაქტორული ცვლადი 9 უმაღლესი სასწავლებლის, ხოლო 9 – პროფესიული სასწავლებლის. განტოლებას ექნება შემდეგი სახე:

$$GDP_{r,t} = b_0 + d_{1,t}b_1uni_{1,t} + d_{2,t}b_2uni_{2,t} + \dots + d_{9,t}b_9uni_{9,t} + d_{1,t}b_{10}prof_{1,t} + d_{2,t}b_{11}prof_{2,t} + \dots + d_{9,t}b_{18}prof_{9,t} + u_t \quad (1)$$

(1) განტოლებაში $GDP_{r,t}$ მეცნიერებატევად მთლიან შიგა პროდუქტს წარმოადგენს, $uni_{1,t}$ – უნივერსიტეტების რაოდენობას შესაბამისი რეგიონისთვის (ამ შემთხვევაში პირველი რეგიონისთვის) t პერიოდში, $prof_{1,t}$ – პროფესიული სასწავლებლების რაოდენობას შესაბამის პერიოდსა და რეგიონში, ხოლო $d_{k,t}$ ფიქტიური ცვლადია, რომელიც იღებს 0 და 1 მნიშვნელობას.

რეგრესიის შეფასებისას რეგიონების მიენიჭათ შესაბამისი ნუმერაცია

ცხრილი 1

რეგიონების ნომრები

რეგიონის დასახელება	რეგიონის ნომერი	ფიქტიური ცვლადის მნიშვნელობა
თბილისი, მცხეთა-მთიანეთი	1	$d_{1,t}$ -1-ის ტოლია ხოლო სხვა რეგიონისთვის 0-ის
აჭარა	2	$d_{2,t}$ -1-ის ტოლია ხოლო სხვა რეგიონისთვის 0-ის
გურია	3	$d_{3,t}$ -1-ის ტოლია ხოლო სხვა რეგიონისთვის 0-ის
იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	4	$d_{4,t}$ -1-ის ტოლია ხოლო სხვა რეგიონისთვის 0-ის
კახეთი	5	$d_{5,t}$ -1-ის ტოლია ხოლო სხვა რეგიონისთვის 0-ის
სამეგრელო-ზემო სვანეთი და აფხაზეთი	6	$d_{6,t}$ -1-ის ტოლია ხოლო სხვა რეგიონისთვის 0-ის
სამცხე-ჯავახეთი	7	$d_{7,t}$ -1-ის ტოლია ხოლო სხვა რეგიონისთვის 0-ის
ქვემო ქართლი	8	$d_{8,t}$ -1-ის ტოლია ხოლო სხვა რეგიონისთვის 0-ის
შიდა ქართლი	9	$d_{9,t}$ -1-ის ტოლია ხოლო სხვა რეგიონისთვის 0-ის

(1) მოდელის შესაფასებლად მწკრივები უნდა შევამოწმოთ სტაციონალურობაზე. ვინაიდან მოდელს კროს-სექციური სახე გააჩნია, ვიყენებთ ლევენ-ლი-ჩუს ტესტს, რითიც დგინდება, რომ შედეგობრივი ცვლადიდან მუდმივის გამორიცხვით მწკრივი სტაციონალური ხდება [3]. ამასთან, სტაციონალურ მწკრივებს მიეკუთნება ფაქტორული ცვლადები.

ცხრილი 2

შეფასებული მოდელი პროგრამა Eviews გამოყენებით

Dependent Variable: GDPCODNT		
Method: Panel Least Squares		
Date: 05/19/16 Time: 21:41		
Sample: 2006 2014		
Periods included: 9		
Cross-sections included: 9		

Total panel (balanced) observations: 81				
Variable	Coefficient	Std. Error	t-Statistic	Prob.
PROFRAOD1	25.25738	11.43574	2.208635	0.0309
PROFRAOD2	9.754587	71.51529	0.136399	0.8919
PROFRAOD3	-77.86715	137.3184	-0.567055	0.5727
PROFRAOD4	-9.945747	30.79167	-0.323001	0.7478
PROFRAOD5	22.65053	81.67537	0.277324	0.7825
PROFRAOD6	-18.12689	42.29664	-0.428566	0.6697
PROFRAOD7	-119.1411	100.5308	-1.185120	0.2405
PROFRAOD8	-1.022884	83.73862	-0.012215	0.9903
PROFRAOD9	26.39042	91.11386	0.289642	0.7731
UNIRAOD1	29.38876	6.234004	4.714266	0.0000
UNIRAOD2	-91.76413	75.11056	-1.221721	0.2264
UNIRAOD3	-1028.462	642.3381	-1.601122	0.1144
UNIRAOD4	-29.93615	57.31423	-0.522316	0.6033
UNIRAOD5	-538.4153	294.0945	-1.830756	0.0719
UNIRAOD6	-81.18441	67.67699	-1.199587	0.2349
UNIRAOD7	-324.0701	144.7454	-2.238897	0.0288
UNIRAOD8	-106.6454	111.9867	-0.952304	0.3446
UNIRAOD9	-235.2250	155.3279	-1.514377	0.1350
C	299.7484	264.5606	1.133005	0.2616
R-squared	0.687826	Mean dependent var	7.72E-14	
Adjusted R-squared	0.597194	S.D. dependent var	1484.898	
S.E. of regression	942.4198	Akaike info criterion	16.73660	
Sum squared resid	55065610	Schwarz criterion	17.29826	
Log likelihood	-658.8323	Hannan-Quinn criter.	16.96195	
F-statistic	7.589274	Durbin-Watson stat	0.396213	
Prob(F-statistic)	0.000000			

როგორც ვხედავთ, (1) მოდელის შეფასებისას დეტერმინაციის და კორექტირებული დეტერმინაციის კოეფიციენტს მაღალი მნიშვნელობები გააჩნია (0.68 და 0.59). ამასთან, მოდელი სტატისტიკურად ვარგისია $F = 7,58 > F_{\alpha} = 2,001$. აღსანიშნავია, რომ თავისუფალი წევრი b_0 და 14 კოეფიციენტის შესახებ მიიღება H_0 ჰიპოთეზა სტატისტიკურად არამნიშვნელობის შესახებ 10%-იანი მნიშვნელობის დონით. b_1 და b_{10} კოეფიციენტებისთვის მიიღება ალტერნატიული ჰიპოთეზა, რაც მათ სტატისტიკურად მნიშვნელოვნებას მიუთითებს, ამასთან, შეფასებული კოეფიციენტები 25.26 და 29.39-ების ტოლია. აღნიშნულის გათვალისწინებით, თბილისის რეგიონში უნივერსიტეტის თუ პროფესიული სასწავლებლის დამატება გაზრდის მთლიან შიგა პროდუქტს. ასევე შენიშვნის ღირსია ფაქტი, კახეთსა და სამცხეში უნივერსიტეტის გახსნა მთლიან შიგა პროდუქტს შეამცირებს, ვინაიდან b_{14} და b_{16} (-538.42; -324.07) უარყოფითი მნიშვნელობები გააჩნია. დანარჩენი კოეფიციენტების სტატისტიკური არამნიშვნელოვნებიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ შესაბამის რეგიონებში განათლების კავშირი მთლიან შიგა პროდუქტთან მკვერთად არ გამოიხატება. აღნიშნული გარემოება შესაძლოა გამოწვეული იყოს რეგიონების მიხედვით სასწავლებლების განსხვავებაში, სტუდენტთა განსხვავებულ სამომავლო მიზნებსა თუ საჭირო რეფორმების გატარების აუცილებლობაში.

უნივერსიტეტების და პროფესიული სასწავლებლების რაოდენობა ერთმანეთთან მჭიდროდ არ კორელირებს და არ არის რეკომენდებული (1) მოდელიდან რომელიმე ფაქტორთა ჯგუფის ამოღება.

შენიშვნა: (1) მოდელის შეფასების შედეგად მიღებულ მოდელში შეინიშნება ავტოკორელაცია ნარჩენობით წევრებში, რაც თავიდანვე მოსალოდნელი იყო [2], ვინაიდან ნებისმიერი ეკონომისტისთვის ნათელია, მთლიან შიგა პროდუქტს მხოლოდ განათლების ფაქტორით ვერ აღწერ, ვინაიდან მასზე მრავალი ფაქტორი მოქმედებს. შესაბამისად ამ მოდელის ნარჩენობით წევრი ირიბად ითვალისწინებს განათლების ფაქტორისგან განსხვავებულ მნიშვნელოვან ფაქტორთა ჯგუფს, რომელიც მთლიან შიგა პროდუქტს განსაზღვრავს.

დასკვნები და რეკომენდაციები

თბილისში უმაღლესი თუ პროფესიული სასწავლებლის რაოდენობის ზრდა გამოიწვევს მთლიანი შიგა პროდუქტის ზრდას. კახეთის და სამცხე-ჯავახეთის რეგიონში უნივერსიტეტის რაოდენობის ზრდა კი – შემცირებას.

საქართველოს რეგიონებს შორის შეინიშნება განსხვავება, ვინაიდან უმაღლესი თუ პროფესიული სასწავლებლის რაოდენობა არ ახდენს ზეგავლენას მთლიან შიგა პროდუქტზე. აღნიშნული ფაქტის მიზეზი შეიძლება იყოს სასწავლებლებს შორის სხვაობა, რეგიონებს შორის სტრუქტურა განსხვავებული მოლოდინები, რეფორმების საჭიროება თუ სხვ.

სასურველია, ამ მიმართულებით განხორციელდეს დამატებითი კვლევები უმაღლესი განათლების სტიმულირებისათვის, რაც გამოიწვევს თითოეულ რეგიონში ინოვაციების ზრდას. აღნიშნულის გათვალისწინებით გაიზრდება მთლიანი შიგა პროდუქტი მაღალი ინტელექტუალური პროდუქციის საფუძველზე, რაც თავისთავად გააუმჯობესებს საქართველოს საგარეო ვაჭრობის ბალანსს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ანანიაშვილი ი., *ეკონომეტრიკა*. თბილისი, გამომცემლობა მერიდიანი, 2010.
2. ანანიაშვილი ი., *დროითი მწკრივების ანალიზი*. სალექციო კურსი. თბილისი, გამომცემლობა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2014.
3. Badi H. Baltagi. *Econometric Analysis of Panel data. Third Edition*, Chichester, John Wiley & Sons Ltd, 2005.
4. *ცოდნისმიერი ეკონომიკა – საქართველოს მომავალი*, 5 თებერვალი 2012. http://inedspace.blogspot.com/2012/02/blog-post_1074.html
5. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, <http://geostat.ge>

Giorgi Mikeladze

THE EFFECT OF HIGHER EDUCATION ON GEORGIAN ECONOMY

Annotation

Paper analyzes the relationship between Georgian GDP and higher education on a regional level. Study uses 2006-2014 annual regional data.

The relationship between number of universities and professional institutions and Gross Domestic Product is verified empirically. To take account of regional factors dummy variables are involved in the model.

Empirical study has confirmed the positive relationship between the GDP and number of universities and professional institutions in Tbilisi and a negative relationship in Kakheti and Samtskhe-Javakheti region. In the rest of the regions higher education does not appear to have any significant influence on Gross Domestic Product, which indicates the need for more attention to this issue in these regions.

მარინე ოქრომჭედლიძე

საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას უფრო მეტი სახელმწიფო მხარდაჭერა სჭირდება

საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო სამსახურის ოფიციალური მონაცემებით, 2015 წლის 1 იანვრისთვის საქართველოში დარეგისტრირებული იყო 553359 საწარმო [1, გვ. 22]. ეს რიცხვი 141713 ერთეულით მეტია 2010 წელს დარეგისტრირებულ საწარმოთა რიცხვზე და 432537-ით მეტი 2005 წლის შესაბამის მაჩვენებელზე. სამწუხაროდ, არ ქვეყნდება ინფორმაცია მცირე და საშუალო საწარმოთა რეგისტრაციის შესახებ და უფრო სამწუხაროდ, არ ქვეყნდება ინფორმაცია საერთოდ რეგისტრირებულ საწარმოთა ამოქმედება-ამუშავების შესახებ. არადა, ქვეყნის ეკონომიკის და საერთოდ ქვეყნის აღმავლობისთვის მნიშვნელობა აქვს საწარმოთა ამოქმედებას და არა დარეგისტრირებას. იქმნება ეჭვი, რომ ეს სპეციალურად კეთდება, რათა არ გამოჩნდეს ის დიდი დისპროპორცია, რაც არსებობს დარეგისტრირებულ და ამოქმედებულ საწარმოთა რაოდენობებს შორის და ქვეყნის მოსახლეობაში არ ჩამოყალიბდეს ბიზნესისადმი კიდევ უფრო მეტი ნეგატიური განწყობა, ვიდრე დღეს არის.

არაერთი ქართველი მეცნიერი (თ. აქუბარდია, თ. შენგელია, ი. მესხია, თ. ვაშაკიძე და სხვები), რომლებიც მცირე და საშუალო ბიზნესის თემატიკაზე ნაშრომებს ქმნიან, აღნიშნავენ, რომ რეგისტრირებულ საწარმოთა დიდი ნაწილი არ ფუნქციონირებს [2, გვ. 11]. ამას ორი მიზეზი შეიძლება ჰქონდეს:

1. სახელმწიფოს ხელისშემყუერობის პოზიცია;
2. მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისთვის საქართველოში სათანადო ხელშეწყობი პირობების არქონა და მეწარმული უუნარობა.

სახელმწიფოს ხელში ყურებას და მისგან როგორც სამუშაოს, ისე სარჩოს მიღებას, ჩვენ სოციალისტურ სისტემაში ცხოვრების დროს მივეჩვიეთ. ამ სისტემაში ჩვენ 70 წელი ვიცხოვრეთ და

უნდა გვეცოდნოდნა, რომ ამ სტერეოტიპის დამსხვრევა არ იქნებოდა ადვილი და თანაც სწრაფი. ასეც მოხდა. აგერ უკვე 25 წელიწადია, საბაზრო ეკონომიკაზე გადავდით და ამის მიუხედავად, ყოველი 10 გამოკითხულიდან (განსაკუთრებით თუ მათი ასაკი 40 წელს ზევითაა) 8-9 გამოკითხული გეტყვით, რომ მის დაუსაქმებლობაში და, აქედან გამომდინარე, მის სიღატაკეში სახელმწიფოა დამნაშავე. „საზოგადოების უდიდესი ნაწილი, – წერს ქართველი მეცნიერი თ. აქუბარდია, – წარსული სტერეოტიპებიდან ვერ გათავისუფლდა და სახელმწიფოსგან მოითხოვს სამუშაო ადგილების შექმნას, ქარხნების, ფაბრიკების ამუშავებას, ხელფასებისა და პენსიების დაუყოვნებლივ გაზრდას“ [3, გვ. 9]. თ. აქუბარდიას აზრით, რაც უფრო მალე, რაც უფრო ადრე გათავისუფლდება საზოგადოება სახელმწიფოს ხელშიშემყურის პოზიციებიდან, მით უფრო მალე მოხდება მის ცნობიერებაში იმის დამკვიდრება, რომ შენც უნდა გაანძიო ხელი. ჩვენ სრულიად ვეთანხმებით მეცნიერ თ. აქუბარდიას ამ მოსაზრებას, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს სტერეოტიპი ჯერაც აგრძელებს არსებობას და, როგორც ჩანს, კიდევ დიდხანს იარსებებს. მაგრამ ამ სფეროში ერთი საიმედო წინსვლა მაინც არის. თუ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პირველ წლებში მთელი მოსახლეობა იყო სახელმწიფოს ხელშიშემყურე, ამჟამად მას 20-30% მოაკლდა და ისინი საკუთარ საქმეს შეუდგნენ.

მცირე და საშუალო ბიზნესის არასათანადო განვითარების მეორე მიზეზი სახელმწიფოს მხრიდან ქმედითი ხელშეწყობის პირობების არქონაა – საგადასახადო რეჟიმი არ არის მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების მასტიმულირებელი, გართულებულია იაფ ფინანსურ რესურსზე წვდომა და ა.შ. მართალია, 2012 წელს საქართველოს ხელისუფლებაში მოსულმა ახალმა მთავრობამ გარკვეული ღონისძიებები გაატარა – მიკრო და მცირე საწარმოთა სტატუსის დადგენა და მათთვის დაბეგვრაში შეღავათების მიცემა, პროგრამები „იაფი კრედიტი“, „წარმოე საქართველოში“ და სხვა, მაგრამ, ჩვენი აზრით, ყველაზე ქმედითი იქნებოდა იმ უმნიშვნელოვანესი შეღავათის აღდგენა, რომელიც მოქმედებდა საქართველოში 1991-1996 წლებში და რომელიც საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების დაქინებული მოთხოვნით იქნა გაუქმებული 1997 წელს. ეს ეხება ახლად გახსნილი საწარმოს მიერ პირველი ორი წლის განმავლობაში მოგების გადასახადიდან გათავისუფლებას. ამ შეღავათის აღდგენა აუცილებელია, რადგან, როგორც ცნობილია, აშშ-ში სტატიისტიკურად ყოველწლიურად ყოველი ახლად გახსნილი 10 საწარმოდან პირველი წლის განმავლობაში ექვსი კოტრდება. თუ ეს ამერიკაში ხდება, ჩვენთან რა შეუშლის ხელს – გაკოტრების ალბათობა ჩვენთან მეტი იქნება.

მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებლობის მეორე მიზეზი არის მეწარმული უუნარობა. საქართველოსთან, კერძოდ ქართველებთან მიმართებაში ეს საკითხი ისეთივე სადისკუსიოა, როგორც მთელ მსოფლიოში. 1998 წელს ინგლისის ქ. აქსეტერში ლი სტივენსონის ინიციატივით გაიმართა ეკონომიკური ფსიქოლოგიის წარმომადგენელთა სესია-კოლოკიუმი. მასზე განხილული იყო საკითხი – „ფსიქოლოგიური ფაქტორების როლი მცირე ბიზნესის განვითარებაში“, კერძოდ, იხილებოდა საკითხი, თუ რატომ აღმოჩნდნენ ადამიანები სიღატაკეში უდიდესი ბუნებრივი სიმდიდრის მიუხედავად. აღმოჩნდა, რომ ამის მიზეზი იყო ადამიანთა დეპრესირებული ეკონომიკურ-ფსიქოლოგიური განწყობა. დადგინდა, რომ ადამიანებს ბიზნესში აქტიურობისკენ უბიძგებს სოციალურ-ფსიქოლოგიური მოტივაცია, მისწრაფება, იყოს თავისი ბედის ბატონ-პატრონი [4, გვ. 113].

მაშასადამე, ადამიანში მეწარმული უნარის გამოქვავებას გარკვეული მოტივაცია სჭირდება. თუ ეს მოტივაცია არ არსებობს, ამის გარეშე ეს უნარი ადამიანებში მუდმივად მიძინებული იქნება. ქართველები არც უნიჭო ხალხია და არც უინიციატივო, მაგრამ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, აგერ 25 წელია ვაღდავართ საბაზრო ეკონომიკის გზას და მეწარმეობა სათანადოდ მაინც ვერ განვავითარეთ. ამის მიზეზი სწორედ ის არის, რომ ქვეყანაში არ არის ბიზნესის ხელშეწყობი, ბიზნესმენტა მასტიმულირებელი სოციალურ-ფსიქოლოგიური მოტივაცია. „ჩვენი მოსახლეობის ისეთ ნაწილს, – წერს ქართველი მეცნიერი ლილ ქარჩავა, – რომელსაც ბიზნესის მშენებლობის შესაბამისი შემოქმედებითი უნარი აქვს, ჩვენ შანსი უნდა მივცეთ მათ გამოავლინონ იგი. ბუნებრივია, რომ ყველა ვერ იქნება ბიზნესმენი და თანაც წარმატებული, მაგრამ ხელშეწყობის შემთხვევაში მათი რაოდენობის გაზრდა ნამდვილად შეიძლება [5, გვ. 30].

ახლა უკვე დროა დავსვათ კითხვა: როგორ, რა ფორმით უნდა დაუჭიროს მხარი სახელმწიფომ მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას, რომ ქვეყანამ ამით მიიღოს სასურველი შედეგი?

ამ კითხვაზე ჩვენი პასუხი ასეთია: ამ საკითხში ქართველებს ახალი ველოსიპედის გამოგონება არ გეჭირდება. მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის ის მოდელები, რომლებიც გამოიყენეს დასავლეთ ევროპის ქვეყნებმა, აშშ-მა და იაპონიამ, ფართოდ არის ცნობილი. ჩვენ მხოლოდ მათგან უკეთესის ამორჩევა და ჩვენი ქვეყნის სპეციფიკასთან მორგება გეჭირდება.

მცირე და საშუალო ბიზნესის სტიმულირების ღონისძიებათა შემუშავება და რეალიზაცია ვფიქრობთ, საინტერესოა, გავეცნოთ ამ სფეროში ზოგიერთი ქვეყნის გამოცდილებას:

ევროკავშირის გამოცდილება მოწმობს, რომ მისი წევრი ქვეყნები მცირე ბიზნესის განსავითარებლად მიმართავენ საკუთარი საქმის დაწყების სურვილის მქონე პირებისთვის ფინანსურ დახმარებას. გერმანიაში ამ ტიპის დახმარება წლიურად გაიცემა 2 მლრდ ევროს მოცულობით. ამის გარდა, დამწყებ მეწარმეებს ეძლევათ შეღავათიანი კრედიტები 10 წლიანი დაფარვის ვადით [6, გვ.

25]. მცირე საწარმოთა ფინანსური დახმარების და შედეგითიანი კრედიტის პროგრამა საქართველოშიც ამოქმედდა 2015 წელს, მაგრამ, გარდა იმისა, რომ ეს დახმარება მიზერულია (5000 ლარი, თანაც ახლანდელი გაუფასურებული ლარის პირობებში), მისი მიღებაც მრავალ სირთულეს უკავშირდება. ერთ-ერთი ასეთი სირთულე არის მეწარმის ბიზნესგეგმის გამარჯვება კონკურსში. ახლადდამწეები მეწარმე, რა თქმა უნდა, თავად ვერ შეძლებს ამ ღონის ბიზნესგეგმის გაკეთებას, მისი დაკვეთით გაკეთება კი საკმაოდ ძვირი ღირს. იმავე მდგომარეობაშია იაფი კრედიტი. ჯერ ერთი, რომ იგი ყველა სახის ბიზნესზე არ გაიცემა და უპირატესობა სოფლის მეურნეობას ეძლევა და მეორე, მეწარმეებს კრედიტის გირაოში ჩასადებად არა აქვთ სათანადო ღირებულების ქონება.

გერმანიაში დამწეები მცირე და საშუალო მეწარმეების წასახალისებლად გამოიყენება საგადასახადო შედეგითი. მათი რაოდენობა 180-ია. საფრანგეთში ახალი მცირე საწარმოები 3 წლით თავისუფლდებიან გადასახადებისგან, ხოლო მეოთხე და მეხუთე წელს იხდიან გადასახადის 50%-ს [7, გვ. 172].

ბელგიაში და საფრანგეთში სახელმწიფო მცირე საწარმოებს აძლევს სუბსიდიებს ახალი სამუშაო ადგილების შესაქმნელად. ბელგიაში ამ მიზნით, მეწარმეზე 12,5 ათასი აშშ დოლარი გაიცემა, საფრანგეთში კი, ერთ ვაკანსიაზე 3 წლის განმავლობაში 1,5 ათასი ევრო [8, გვ. 38]. ახლა შევადაროთ საქართველოში გამოყოფილი 5000 ლარი ბელგიაში გამოყოფილ 12500 აშშ დოლარს და დაერწმუნდებით, რამდენად დაბალია ახალი საქმის დაწყების მოტივაცია და სახელმწიფოებრივი ხელშეწყობა საქართველოში. ევროკავშირის ქვეყნებში დამწეები მცირე მეწარმეებს არა მხოლოდ ერთჯერად დახმარებებს აძლევენ, არამედ, აძლევენ დოტაციებს ძირითად კაპიტალში ინვესტირებისთვის. ამ მხრივ განსაკუთრებით მისაბამია ბელგია, რომელიც მეწარმეს შენობა-ნაგებობის შესაძენად უხდის მისი ღირებულების 3-დან 20%-მდე [7, გვ. 173]. იტალიაში მოქმედებს მცირე საწარმოთა „ტექნიკური განახლების ფონდი“, „კონსერვაციისა და რეკონსტრუქციის ფონდი“ [9, გვ. 341-342] და ა. შ.

მცირე საწარმოებს დიდი მხარდაჭერა აქვთ საგარეო ბაზარზე გასასვლელად საექსპორტოდ ვარგისი პროდუქციის წარმოებაში. ასეთ ფორმებს იტალიაში საექსპორტო ვარიანტების თანხის 85% ეძლევათ 18 თვის საგარანტიო ვადით [7, გვ. 174].

ევროპის ქვეყნების ეს პრაქტიკა მაგალითი უნდა იყოს საქართველოსთვის. ფრაგმენტულად მიღებული პატარ-პატარა ღონისძიებები მცირე და საშუალო მეწარმეობის სათანადო განვითარებისთვის არ არის საკამრისი. საქართველოს მთავრობამ ამ საქმისთვის მნიშვნელოვანი სახსრები უნდა გაიღოს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. მეწარმეობა საქართველოში, სტატისტიკური პუბლიკაცია, თბ., 2015.
2. ვაშაკიძე თ., მცირე მეწარმეობას აუცილებლად ესაჭიროება სახელმწიფო მხარდაჭერა, ჟ. „ბიზნესი და კანონმდებლობა“, №5, 2005.
3. აქუბარდია თ., მცირე ბიზნესის ხელშეწყობის გარეშე ეკონომიკური აღმავლობა შეუძლებელია, ჟ. „ბიზნესი და კანონმდებლობა“, №5, 2005.
4. სვანიძე ლ., ლექციები ეკონომიკურ ფსიქოლოგიაში, შემეცნებითი სწავლება, თბ., 2009.
5. ქარჩავა ლ., ბიზნესგარემო საქართველოში: პრობლემები და პერსპექტივები, ჟ. „ახალი ეკონომისტი“, №4, 2012.
6. Блинов А., Шашкин И., Малое предпринимательство. Теория и практика, М., 2003.
7. ადვაძე დ., მცირე ბიზნესის სახელმწიფო მხარდაჭერის ზოგადი კანონზომიერებები, პრინციპები და ფორმები, ჟ. „სოციალური ეკონომიკა, XXI საუკუნის პრობლემები“, №3, 2014.
8. Dokou G. A. K., Baudouxl., Rogel. L'accompagnement managerial etindustriel de la PME/Edition L'Harmatton, 2000.
9. გრიშაშვილი ა., გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნები და ევროპაში ინტეგრაცია, თბ., 2005.

Marine Okromchedlidze

SMALL AND MEDIUM-SIZED BUSINESSES NEED MORE STATE SUPPORT Annotation

It is considered that businesses and, in particular, small and medium-sized businesses in Georgia started to develop in 1991. Accordingly, business development has 25-year history in the country, which should have been enough time to overcome poverty in case there had been adequate state support for small and medium-sized enterprises. Unfortunately, this was not the case.

The article studies this problem and recommends using EU countries' experience as a best solution. The author describes the experience of Belgium, France, Italy and Germany as an example.

The article positively evaluates the remedial measures taken by the Georgian Government. However, the author assumes that more state support is needed for the proper development of the small and medium-sized businesses.

**ბიზნესის განვითარებისა და მოსახლეობის შემოსავლების
მდგომარეობის ანალიზი საქართველოში**

ქართველი ხალხისათვის სიღარიბე საკმაოდ ახალი ფენომენია. საბჭოთა პერიოდში, განსაკუთრებით მის ბოლო სტადიაზე, 70-80-იან წლებში ქართულ ცხოვრებაში აშკარა ღარიბი პრაქტიკულად არ არსებობდა. ქართული საზოგადოებისათვის მიუღებელი და უცხო იყო მათხოვრობა, პროსტიტუცია. მართალია, ამ პერიოდში კორუფცია არსებობდა, მაგრამ ის, ფაქტობრივად გამოდიოდა შემოსავლების გადანაწილების მძლავრ საშუალებად. გაბატონებული იყო პრინციპი „მე – შენ, შენ – მე“.

ქართველი ხალხის გადატანების პროცესი 90-იან წლებში დაიწყო. მას ხელი შეუწყო საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის გაუზარებელმა მცდელობამ და სხვადასხვა პოლიტიკურ და ჯგუფებად საზოგადოების გახლეჩვამ. არსებულ სიტუაციაში საზოგადოების იმ მცირე ჯგუფმა ისარგებლა, რომელიც ხელისუფლებაში ბატონობდა. სახალხო ქონების დიდი ნაწილი დენაციონალიზაციის თუ სხვადასხვა სახის „პირამიდების“ მეშვეობით, მათ ხელში აღმოჩნდა. საბოლოო ჯამში მივიდეთ სოციალური უთანასწორობის სწრაფი ზრდა და შემოსავლების მიხედვით მოსახლეობის მაღალი დიფერენცია.

უთანასწორობის დონეზე მოქმედი ფაქტორები ქართულ ცხოვრებაში საკმაოდ ბევრია. მათ შორის ძირითადია რეგიონული და დარგობრივი ფაქტორები, უმუშევრობის დონე, სახელმწიფო სოციალური პროგრამების (დასაქმება, მრავალშვილიანი ოჯახების სახელმწიფო მხარდაჭერა, საპენსიო პოლიტიკა, ინვალიდებისა და მარჩენალდაკარგული ოჯახებისათვის შემწეობა) დაბალი ეფექტიანობა, ასაკობრივი და სქესობრივი სტრუქტურა, არასრულწლოვანი ბავშვების რაოდენობა, განათლების დონე, მარტოხელა დედების დიდი რაოდენობა, მაღალი შიდა და გარე მიგრაცია და სხვა. სიღარიბის სრულფასოვანი ეკონომიკური ანალიზი ვარაუდობს სიღარიბის დონის ალტერნატიული შეფასების განხორციელებას. ასეთი ანალიზი შესაძლებლობას იძლევა, უფრო ობიექტურად შეფასდეს ღარიბების მდგომარეობა საქართველოში.

საზრდოს პოლიტიკის კვლევითი საერთაშორისო ინსტიტუტის (GHI) 2010 წლის გამოკვლევაში გაანალიზებულია განვითარებული და გარდამავალი ეკონომიკის 12 ქვეყნის მონაცემები. ინსტიტუტის მიერ გამოქვეყნებულ შიმშილობის მსოფლიო ინდექსში გამოყოფილია 29 ქვეყანა, რომლებიც ძირითადად განლაგებულია სუბსაჰარისეულ აფრიკაში და სამხრეთ აზიაში, სადაც სიტუაცია შეფასებულია როგორც „უკიდურესად საგანგაშო“ და „საგანგაშო“. ამ გამოკვლევის მიხედვით, ყოფილ საბჭოთა კავშირში შემავალი ქვეყნების უმრავლესობაში შიმშილის მაჩვენებელი დაბალ დონეზეა, ანუ, ამ მხრივ, სიტუაცია შედარებით ნორმალურია. თუმცა, აზერბაიჯანში, თურქმენეთში, საქართველოში, სომხეთსა და უზბეკეთში შიმშილობის „ზომიერი“ დონეა დაფიქსირებული.

შეიძლება ამ მხრივ ჩვენ უკეთესი მდგომარეობა გვაქვს, ვიდრე სუბსაჰარისეულ აფრიკის ქვეყნებს, მაგრამ შიმშილის ის დონე, როგორც საქართველოშია როგორ შეიძლება „ზომიერად“ ჩაითვალოს ან როდამდე უნდა ჩაითვალოს?

სწორედ ამ პრობლემის გადაწყვეტის გზების მიგნება არის ძალზე აქტუალური საქართველოში. როგორც უკვე აღვნიშნეთ, სიღარიბე დაბალი შემოსავლების შედეგია, რასაც, თავის მხრივ, იწვევს ქვეყანაში ბიზნესის განვითარებლობა და, აქედან გამომდინარე, უმუშევრობა. ცხადია, თუ ბიზნესი არ განვითარდა და ახალ-ახალი სამუშაო ადგილები არ შეიქმნა, შრომისუნარიანი მოსახლეობა მუდმივად იქნება უმუშევარი, ე. ი. ღარიბი. ყველა ქვეყანაში ხელისუფლებას ევალება, შეინახოს პენსიონერები, მარჩენალდაკარგულები, უნარშეზღუდულები, ლტოლვილები და მრავალშვილიანი ოჯახები, მაგრამ არ ევალება შრომისუნარიანი მოსახლეობის შენახვა. სახელმწიფომ მათ მხოლოდ დასაქმების კეთილმყოფელი პირობები უნდა შეუქმნას. თუ ეს ასე იქნება, მაშინ მოსახლეობა თავად დაიწყებს საკუთარ საქმეს და სახელმწიფოს ხელისშემყურე აღარ იქნება. დასანანია, რომ საქართველოში ჯერჯერობით ასეთი პირობები არ არის შექმნილი და ამის შედეგია, რომ მოსახლეობის საშუალო შემოსავლები დაბალია (ზოგიერთ რეგიონში უკიდურესად დაბალი) და მეფობს სიღარიბე.

შევეცდებით, სტატიაში წარმოვადგინოთ ბიზნესის განვითარების დონე და მოსახლეობის შემოსავლები საქართველოს რეგიონულ ჭრილში და დავაკავშიროთ ისინი ერთმანეთს.

პირველ ცხრილში მოცემული მაჩვენებლებით ირკვევა, რომ საქართველოს მოსახლეობის საშუალო თვიური შემოსავლები 2010-2014 წლებში 698 ლარს შეადგენდა. ასე არ იყო ყველა რეგიონში. ყველაზე მაღალი ის იყო ქ. თბილისში – 810,2 ლარი თვეში, ყველაზე დაბალი კი გურიაში – 306,2 ლარი. თითქმის ამ დონეზე იდგა რაჭა-ლეჩხუმი, ქვემო სვანეთი (329,2 ალარი) და კახეთი (394 ლარი). დანარჩენ რეგიონებში შრომის საშუალო თვიური ანაზღაურება 400-დან 700 ლარამდე მერყეობდა.

საერთოდ ცნობილია, რომ საქართველოში დეპრესირებულ რეგიონებად ითვლება გურია, სამცხე-ჯავახეთი, მცხეთა-მთიანეთი და რაჭა-ლეჩხუმი [2, გვ. 218]. მათ რიცხვში არ შედის კახეთი, თუმცა, ჩვენი გამოკვლევით აღმოჩნდა, რომ კახეთის მოსახლეობის შემოსავლები ძალიან დაბალია. მასზე ცუდი მდგომარეობა მხოლოდ გურიას აქვს. საბჭოთა პირობებში კახეთი იყო საქართველოს ერთ-ერთი მეტად განვითარებული მხარე. ამას განაპირობებდა მისი ბუნებრივ-კლიმატური პირობები,

რომელიც მეღვინეობა-მევენახეობის განვითარებას უწყობდა ხელს. კახეთში ეს კლიმატური პირობები დღესაც არსებობს, მაგრამ, მოსახლეობა გულგატეხილია, რადგან მოყვანილ მოსავალს ვერ ყიდის.

ცხრილიდან ისიც ჩანს, რომ საქართველოს მთავრობაში „ქართული ოცნების“ მოსვლის შემდეგ, ე. ი. 2013-2014 წლებში, საქართველოს თითქმის ყველა რაიონში მოსახლეობის ცხოვრების დონე შესამჩნევად გაუმჯობესდა. ყველგან გაიზარდა საშუალო თვიური შემოსავალი, გარდა, სამცხე-ჯავახეთისა, სადაც ის ამ ორ წელიწადში 0,7%-ით შემცირდა, თუმცა, ამ რეგიონს 2010 წელთან შედარებით ყველაზე მაღალი ზრდა – 67,2% ჰქონდა.

შემოსავლების ზრდა უდავოდ უკავშირდება ბიზნესის განვითარება-გაფართოებას და მასში მოსახლეობის დასაქმებას. ცხრილი 2 გვიჩვენებს, რომ 2010-2014 წლებში საქართველოში დარეგისტრირებულ საწარმოთა რიცხვი გაზრდილია 38,8%-ით, პროდუქციის გამოშვება – 95,9%-ით, ხოლო ბიზნესში დასაქმებულთა რიცხვი – 48,8%-ით. ზემოაღნიშნული მაჩვენებლები ყველა რეგიონში გაზრდილია, ზოგან – მეტად, ზოგან – ნაკლებად. დარეგისტრირებულ საწარმოთა რიცხვი

ცხრილი 1

შრომის საშუალო თვიური ანაზღაურება საქართველოს რეგიონებში 2010-2014 წლებში (ლარი) [1, გვ. 119]

	2010	2011	2012	2013	2014	ცვლილება თანხობრივად 2010-2014 წლებში	დინამიკა 2014 წელი %-ად		საშუალოდ თვეში 5 წლის განმავლობაში
							2010 წელთან	2013 წელთან	
სულ საქართველოში მათ შორის:	592.7	622.6	714.3	760.1	800.5	+207.8	135.1	105	698
ქ. თბილისი	697.5	728.6	828.3	876.9	920.1	+222.6	131.9	105.2	810.2
აფხაზეთის ა/რ	-	-	-	-	-	-	-	-	-
აჭარის ა/რ	441.4	477.8	536.7	577.3	644.9	+203.8	146.2	111.7	535.4
გურია	264.8	276.4	264.4	327.8	397.0	+133	149.8	121.0	306.2
იმერეთი	370.7	435.4	481	489	505.3	+134.6	136.1	103.2	456.2
კახეთი	355.1	323	384	448	460.3	+105.2	129.5	102.6	394
მცხეთა-მთიანეთი	518	608.0	574.1	775.0	814.9	+296.9	157.1	105.2	658
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	343.2	259.8	300.1	351.5	391.6	+48.4	113.9	111.4	329.2
სამეგრელო-ზემო სვანეთი	443.7	436.4	527.4	587.0	605.2	+161.5	136.2	103	519.8
სამცხე-ჯავახეთი	350.8	372.1	441.3	591.4	587.5	+236.7	167.2	99.3	468.4
ქვემო ქართლი	571.5	547.5	663.0	679.6	690.2	+118.7	120.8	101.5	630.1
შიდა ქართლი	332.5	361.2	436.1	421.2	464.8	+132.3	139.8	110.4	403.1

ცხრილი 2

საქართველოში ბიზნესის განვითარების ძირითადი მაჩვენებლები 2010-2014 წლებში [1, გვ. 23, 37, 108]

მაჩვენებლები	საქართველო სულ	მათ შორის											
		თბილისი	აფხაზეთის ა/რ	აჭარის ა/რ	გურია	იმერეთი	კახეთი	მცხეთა-მთიანეთი	რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	სამეგრელო-ზემო სვანეთი	სამცხე-ჯავახეთი	ქვემო ქართლი	შიდა ქართლი
1. რეგისტრირებულ საწარმოთა რაოდენობა:													
2010	411646	182860	-	31984	10208	55549	24937	7927	3023	31993	10940	31716	18709
2014	553359	240770	-	45232	13834	77734	34026	10152	4115	44598	14820	41754	24589
დინამიკა	132.8	131.7	-	141.4	135.5	140	136.4	128.8	136.2	140	135.5	131.6	131.4
2. პროდუქციის გამოშვება (მლნ ლარი):													
2010	13303.7	8691.5	-	714.6	88.7	762	226.3	263.2	27.1	580.5	192.4	1424.5	323.3
2014	26068.6	16844.6	-	2043.4	76167	1346.5	717.5	539.3	28	1105.6	446.2	2082.1	683.3
დინამიკა	195.9	193.8	-	286.1	188.3	176.6	317.3	265.5	103.7	190.6	232	146.2	212.4
3. დასაქმებულთა რიცხვი (კაცი):													

2010	397806	236822	-	31847	3884	35534	14699	4587	1942	19886	7392	28411	11702
2014	592147	372009	-	54655	4959	46897	18402	7539	1771	26709	7925	34864	15287
დინამიკა	148.8	157.1	-	171.6	127.6	132	125.2	164.3	91.1	134.3	107.2	122.7	130.6

ყველაზე მეტად გაზრდილია აჭარაში (141,4%), გამოშვებული პროდუქცია კახეთში (317,3%), ხოლო დასაქმებულთა რიცხვი აჭარაში (171,6%).

ცხრილში ნაჩვენებია ბიზნესის ზრდადი დინამიკის მიუხედავად, საქართველოს მოსახლეობის ცხოვრების დონე დაბალია. ამის მიზეზი ის არის, რომ მართალია, დარეგისტრირებულ საწარმოთა რაოდენობა იზრდება, მაგრამ, ეს არ ნიშნავს მოქმედ საწარმოთა ზრდასაც. მათ რიცხვს კი საქართველოს სტატისტიკის სამსახური არ აღრიცხავს. უნდა ვივარაუდოთ, რომ რადგან საქართველოში საწარმოს დარეგისტრირება მარტივია, ამიტომ რეგისტრირების ტრენდი აღმაავალია, მაგრამ, ზოგიერთი გამოკვლევით ირკვევა, რომ დარეგისტრირებულ საწარმოთა 28% უმოქმედოდ არის [3, გვ. 70]. ჩვენი აზრით, ეს უნდა იყოს იმის მიზეზი, რომ საქართველოს მეწარმეობაში 2010-2014 წლებში რადიკალური გარღვევა უკეთესობისკენ არც დასაქმებაში მომხდარა და არც პროდუქციის გამოშვებაში. დასაქმება გაიზარდა 48,8%-ით, პროდუქციის გამოშვება თითქმის ორჯერ, მაგრამ, ერთ სულ მცხოვრებზე ანგარიშით მან 2014 წელს შეადგინა, მხოლოდ – 5793 ლარი, ანუ დღეში 15.8 ლარი. ეს არ არის პროდუქციის ის მოცულობა, რომელიც საქართველოს მოსახლეობას სიღარიბიდან გამოიყვანს.

ჩვენ მიერ ჩატარებული გამოკვლევით კეთდება დასკვნა, რომ საქართველოში ბიზნესის სათანადო განვითარებისთვის, რომელიც შექმნის ქვეყანაში სიკეთეს და ცხოვრების უკეთეს პირობებს, სახელმწიფოს მხრიდან არ არის შექმნილი სათანადო პირობები. ასეთ პირობებს კი თავის დროზე ყველა განვითარებული ქვეყანა ქმნიდა და დღესაც ქმნიან. ჩვენთან ამ მიმართულებით სახელმწიფომ მხოლოდ ორი პროგრამა – „იაფი კრედიტი“ და „აწარმოე საქართველოში“ აამოქმედა, გერმანიაში კი ასეთი 500-ზე მეტი პროგრამა მოქმედებს [4, გვ. 171]. დიდ ბრიტანეთში მხოლოდ ერთი პროგრამის – „მოქმედება ქალაქებისთვის“ ფარგლებში 16 000 მცირე საწარმომ მიიღო 650 მლნ ფუნტი სტერლინგი სუბსიდია [4, გვ. 172], ანუ თითოეულ საწარმოზე ანგარიშით 34210 ფუნტი სტერლინგი (საქართველოში მოქმედი პროგრამა „აწარმოე საქართველოში“ თითოეულ მეწარმეს აძლევს მხოლოდ 5000 ლარს).

ყველაფრით იმის თქმა გვინდა, რომ საქართველოში ბიზნესის განვითარებას რადიკალური გარღვევა სჭირდება. ეს გარღვევა ქვეყნის მთავრობის ინიციატივით უნდა დაიწყოს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. მეწარმეობა საქართველოში, სტატისტიკური პუბლიკაცია, თბ., 2015.
2. ყუფუნია გ., საქართველოს ეკონომიკა, თბ., 2010.
3. კატუკია ვ., მცირე და საშუალო ბიზნესის ინსტიტუციური უზრუნველყოფა, პრობლემები და შემაფერხებელი გარემოებები, ჟ. სოციალური ეკონომიკა XXI საუკუნის პრობლემები, №1, 2014.
4. ადვაძე დ., მცირე ბიზნესის სახელმწიფო მხარდაჭერის ზოგადი კანონზომიერებანი, პრინციპები და ფორმები, ჟ. „სოციალური ეკონომიკა – XXI საუკუნის პრობლემები“, №3, 2014.

Giorgi Papashvili

ANALYSIS OF THE CURRENT STATE OF BUSINESS DEVELOPMENT AND POPULATION INCOME IN GEORGIA

Annotation

The article studies business development and population income in Georgia in 2010-2014 according to regions. Business development is analyzed according to 3 indicators: number of registered enterprises, total output and number of employed. The income is analyzed according to monthly wages.

The article states that wages have been increased in the whole country, including regions. However, average wage, which is about 698, still is not sufficient due to increased inflation in the country.

Likewise, according to the research, businesses also show growth. The exceptions are Racha-Lechkhumi and Lower Svaneti, where employment decreased by 0.9% in 2010-2014.

The author makes a conclusion that despite the rising trend of business development, it is still not enough. The government should take more supporting measures to contribute to its development.

ლევან სილაგაძე

„პორტფელური ინვესტიციების“ ღირებულების შესახებ

მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში განვითარებული ქვეყნების ეკონომიკაში რადიკალური ცვლილებების დაჩქარებას ხელი შეუწყო ინვესტიციების, მათ შორის „პორტფელურის“ მოდულების სწრაფმა განვითარებამ; ცალკეული იზოლირებული რეგიონალური ბაზრები შეცვალა საერთაშორისო ფინანსურმა ბაზრებმა; ფინანსური ინსტრუმენტების ტრადიციულ ნაკრებს (უცხოური ვალუ-

ტა, აქციები, ობლიგაციები) შეემატა ახალი, მზარდი ინსტრუმენტები (ოპციონები, ფიჩერები, ვარანტები, დეპოზიტური ხელწერილები, სვოპები და ა.შ.). გააქტიურდა მოდელში შემოსავლიანობა/რისკის სტრატეგიების გათვალისწინება.

ინვესტიციებისადმი ტრადიციულ მიდგომებში გამოიკვეთა შემდეგი ხარვეზები: პირველი, ძირითადი აქცენტი კეთდებოდა ცალკეული აქტივების (აქციები, ობლიგაციები) ქცევებზე და მეორე, მთავარი ყურადღება ექცეოდა აქტივების შემოსავლიანობას და არა მოსალოდნელ რისკებს.

აღნიშნული ხარვეზების დაძლევის ითვალისწინებს პორტფელური ინვესტიციების თანამედროვე მოდელი, რომელიც ეკონომიკურ-ფინანსურ მეცნიერებაში ნოვაციური კვლევითი მიდგომების შედეგად ჩამოყალიბდა. მოდელი შეიმუშავა ამერიკელმა მეცნიერმა (1990 წ. „ნობელიანტი ეკონომიკაში“) გარი მარკოვიცმა.

მოდელის ძირითადი დებულებები ჩამოყალიბდა 50-იანი წლების დასაწყისში გ. მარკოვიცის სადოქტორო დისერტაციაში. იგი ითვალისწინებს საინვესტიციო პორტფელის ფორმირების მეთოდოლოგიას, აქტივების ოპტიმალურ არჩევანს - შემოსავლიანობა/რისკის ოპტიმალურ თანაფარდობას. კერძოდ, გ.მარკოვიცმა სტატიაში „პორტფელის არჩევანი“ (1952) პირველად დაამუშავა ფასიანი ქაღალდების ოპტიმალური პორტფელის შერჩევის მათემატიკური მოდელი, სადაც „პორტფელის შევსებაში“ დივერსიფიკაციაა და შემოსავლიანობა/რისკის ოპტიმალური თანაფარდობაა მნიშვნელოვანი. ეს მიდგომები მან სრულყო შემდეგ ნაშრომებში: „პორტფელის არჩევანი“; ინვესტიციების ეფექტიანი დივერსიფიკაცია“ (1959), „საშუალოდისპერსიული ანალიზი პორტფელისა და კაპიტალის შერჩევაში“ (1990) და სხვ.

პროფესორ გ. მარკოვიცის მიერ შემუშავებული მოდელი საფუძვლად დაედო თანამედროვე პორტფელური ინვესტიციების დოქტრინების შემდგომ განვითარებას.

50-60-იანი წლებიდან, პორტფელური ინვესტიციების დოქტრინის გავლენა კიდევ უფრო გააძლიერა ანალოგიურ თემატიკაზე შექმნილმა ჯონ ტობინის ნაშრომებმა. მისი მიდგომა უფრო მეტად მაკროეკონომიკური იყო აქცენტს შედარებით ნაკლებრისკიანი აქტივების - სახელმწიფო ობლიგაციების ფლობაზე ამახვილებდა. გ. მარკოვიცის მიდგომა კი ძირითადად მიკროეკონომიკური იყო, რამდენადაც კონკრეტულ ბაზარზე აქციების მფლობელი ცალკეული ინვესტორების ქცევას განიხილავდა.

60-იანი წლების შუა პერიოდიდან წინა პლანზე წამოიწია ამერიკელი „ნობელიანტის“ (მიენიჭა 1990 წ. გ. მარკოვიცთან და მ. მილერთან ერთად - „ფინანსური აქტივების და ფასების თეორიაში შეტანილი წვლილისთვის“) უილიამ შარპის (მარკოვიცის მოწაფე) მიერ შემუშავებული კაპიტალის ბაზრის მოდელი. ავტორის აზრით, ურისკო აქციები და ობლიგაციები არ არსებობს. უ. შარპმა ფასიანი ქაღალდების პორტფელის თეორიაში გამიჯნა სისტემატური და არასისტემატური რისკების მქონე აქტივები. აქედან პირველი ყოველთვის დაუკავშირა ბაზარზე ფასიანი ქაღალდების შემოსავლიანობის ცვალებადობას, მეორე კი სხვა ფაქტორების ზეგავლენას. აქედან გამომდინარე, ავტორმა შეიმუშავა რისკიანობის განმსაზღვრელი შესაბამისი სპეციალური კოეფიციენტები.

ზემოაღნიშნული „პორტფელური ინვესტიციების“ დოქტრინები არაერთხელ იქნა გაკრიტიკებული, თუმცა მისი სარგებლიანობა საფუძვლიანად ჯერ-ჯერობით არავის უარყვია.

მთლიანობაში, თანამედროვე პერიოდში „პორტფელური ინვესტიციების“ დოქტრინა, არაერთი გაკრიტიკების მიუხედავად, ისევ პოპულარულია, რამდენადაც აქტივების „პორტფელის“ ფორმირება მხოლოდ კონკრეტულ მომენტში მაღალშემოსავლიანი აქტივებით, გრძელვადიანი რისკების გათვალისწინების გარეშე, ხშირად ინვესტორთა გაკოტრებას განაპირობებს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Markowitz, H. M. (1952). Portfolio Selection // J. of Finance. 7. № 1.
2. Markowitz, H. M. (1959). Portfolio Selection: Efficient Diversification of Investment. Wiley. N. Y.
3. Markowitz, H. M. (1990). Mean Variance Analysis in Portfolio Choice and Capital Markets. Basil. Blackwell.
4. Sharpe, W. F. Portfolio Theory and Capital Markets, 1970.
5. Sharpe, W. F. Investments, 1999.
6. Tobin, J. (1971-19882). Essays in Economics. Vol.:1-3.
7. სილაგაძე, ა. (2010). ეკონომიკური დოქტრინები. თბილისი.
8. სილაგაძე, ლ. (2015). პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ასპექტები. ჟურნ. „ეკონომისტი“. №5. გვ.53-57.
9. სიჭინავა, ალ. (2010). ინვესტიციები. თბილისი.
10. ხურცი, ლ. (2006). საინვესტიციო საქმიანობის საფინანსო-საკრედიტო რეგულირება საქართველოში. თბილისი.
11. ქოქიაური, ლ. (2010). საინვესტიციო საქმე. თბ.. სტუ .
12. ინტერნეტმასალები: Wikipedia: Markovits, Sharpe, Tobin ... 31.05.2016.

“PORTFOLIO INVESTMENTS” ABOUT DOCTRINE
Annotation

In this labour the problem of research is connected, analyzed “Portfolio Investments” Doctrines and genesis some issues. The authors findings, in modern period “Portfolio Investments” Doctrine is still popular in participating to Financial Markets.

თამილა სირბილაძე

სოციალური რისკების თეორიული ასპექტები

სოციალური რისკის ცნება შუა საუკუნეებში გვხვდება, ტერმინი რისკი კი ნელ-ნელა გამოჩნდა თანამედროვე საზოგადოებაში. სოციალური რისკი მეტადაა საიდუმლოებით მოცული, ვიდრე სხვა რომელიმე ეკონომიკური რისკი.

მე-20 საუკუნეში სოციალური რისკი გახდა განვითარების ხელის შემშლელი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, ხოლო 21-ე საუკუნის დასაწყისში იმ ქვეყნებმა, რომლებისთვის სოციალური რისკი ეკონომიკის განვითარებისთვის ხელშემშლელ ფაქტორს წარმოადგენდა, გააცნობიერეს მისი მართვის საჭიროება და აუცილებლობა.

საკითხი განსაკუთრებით აქტუალურია საქართველოსთვის თანამედროვე ეტაპზე, რადგან ქვეყანა იმყოფება განვითარების მნიშვნელოვან ფაზაში და სწორ გადაწყვეტილებებს სოციალური რისკების მართვაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება. სოციალური რისკების მართვა არის ზუსტი ტერმინი, რომელზეც აღნიშნული თემაა ფოკუსირებული, რადგან იგი შეესაბამება არა მხოლოდ სოციალური გადახდების საჭიროებას, არამედ ცდილობს, შექმნას იდეალური მეთოდი, რომლითაც პრობლემა საფუძველშივე გადაიჭრება. სოციალური რისკების მართვისას გათვალისწინებული უნდა იქნეს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, სოციალური დახმარების მიზანი, შეირჩეს სწორი პრიორიტეტები, დადგინდეს და წინასწარ გაითვალისწინოს კონკრეტულ ქმედებათა მოსალოდნელი შედეგები და შემუშავდეს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები და კრიტერიუმები.

მეცნიერები სოციალურ რისკს განიხილავენ, როგორც საფრთხეს, რომელიც მოქმედებს როგორც თითოეული ადამიანის განვითარებაზე, აგრეთვე საზოგადოების ინტერესებზეც. რისკი არაკეთილსაზურველი შემთხვევის მოხდენის, დანაკარგების შესაძლებლობაა, რისკი განისაზღვრება, როგორც გაურკვეველობა დანაკარგების დადგომასთან მიმართებით, რისკი აგრეთვე განისაზღვრება როგორც შესაძლო საფრთხე, როგორც ცვალებადობა მომავალ შედეგებში, შემოსავლის ნაწილის დაკარგვის შესაძლებლობა და მოსალოდნელი, სასურველი შედეგიდან უარყოფითი გადახრის შესაძლებლობა, [Rejda, 2013].

სოციალური რისკის ობიექტი და სუბიექტი ერთდროულად არის გარკვეული სოციალური ჯგუფი ან საზოგადოება. რისკების არსებობამ შეიძლება ხელყოს რთულად მოპოვებული შემოსავალი, რომელიც ადამიანის საარსებო წყაროა. სოციალური რისკი მოიცავს გარკვეულ მოვლენებს, რომელიც ხდება ადამიანის ცხოვრებაში:

- სიბერე;
- უმუშევრობა;
- მარჩენალის დაკარგვა;
- ჯანმრთელობის გაუარესება (ავადმყოფობა);
- საწარმოო ტრავმები;
- პროფესიული დაავადებები;
- გაჭირვება (საარსებო მინიმუმის არარსებობა, სიღარიბეში ჩავარდნის რისკი);
- შვილების გაზრდის ხარჯები.

სოციალური რისკები შეიძლება დავეოთ 5 კატეგორიად: 1. ეკონომიკური უმუშევრობა; 2. ინდუსტრიული ხასიათი (სამრეწველო დაზიანება, პროფესიული დაავადება); 3. დემოგრაფიული სოციალური პრობლემები (მრავალშვილიანობა, ობლობა, მიგრაცია); 4. შემოსავლების დაკარგვის; 5. არამატერიალურ სიკეთესთან დაშვების რისკი. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ სოციალურ რისკებად აღიარებულია: შრომისუუნარობა (დროებითი ან მუდმივი); სიბერე; მარჩენალის დაკარგვა; ჯანმრთელობის გაუარესება, ავადმყოფობა; უმუშევრობა; საწარმოო ტრავმები, პროფესიული დაავადებები; შვილების გაზრდის ხარჯები; გაჭირვება (საარსებო მინიმუმის არარსებობა, სიღარიბეში ჩავარდნის რისკი)¹⁴⁹.

სოციალური რისკის სახეები:

1. ეკონომიკური რისკი;
2. დემოგრაფიული რისკი;

¹⁴⁹ ნანა ჭიპაშვილი, სოციალური დაცვის სისტემა რეფორმამდე და რეფორმის შემდგომ, ელ-მისამართი: <https://heconomic.wordpress.com/2013/07/11/social/>

3. ფიზიოლოგიური რისკი;
4. წარმოების რისკი;
5. ავადმყოფობის რისკი;
6. სიბერის რისკი;

ადამიანის სიცოცხლის გახანგრძლივება – ამის შესაბამისად ხანგრძლივი საპენსიო ასაკი მოითხოვს მეტი რესურსების გამოყოფას და, შესაბამისად, ეკონომიკა მზად უნდა იყოს მომავალი გამოწვევებისთვის, რაც, თავის მხრივ, ნათელს ხდის, რომ სოციალური სადაზღვეო გეგმების საჭიროება მოითხოვს როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო ფონდების შექმნას, რომლებიც გამოიწვევს რისკების წარმოშობის უარყოფითი ზეგავლენის შემცირებას.

სამედიცინო დაზღვევა წარმოადგენს ევროკავშირის წევრი ქვეყნების სოციალური დაზღვევის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაწილს, რომელიც დაფუძნებულია სახელმწიფოს მიერ დაფინანსებულ (საბიუჯეტო) მოდელზე. ასეთ მოდელს ვხვდებით დიდ ბრიტანეთში, შვედეთში, დანიაში, ირლანდიაში და იტალიაში. მსგავსი ჯანდაცვის სისტემებისთვის დამახასიათებელია: კონტროლი და მონიტორინგი პარლამენტის ან სხვა სახელმწიფო ორგანოს მიერ, მოსახლეობის საერთო თანამონაწილეობა, პროგრამის ფინანსირება საშემოსავლო გადასახადებიდან და სხვა შემოსავლებიდან. მსგავს მოდელს გააჩნია სუსტი მხარეებიც. სუსტ მხარეს წარმოადგენს უკიდურესი ცენტრალიზაცია და ტენდენცია მონოპოლიზაციისკენ, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს მომსახურების ხარისხის გაუარესება იმ შემთხვევაში, თუ მონიტორინგი და კონტროლი აღმოჩნდება სუსტი. შედეგად მივიღებთ მუდმივ დანახარჯებს მოქალაქეთა ჯანმრთელობის რეალური გაუმჯობესების გარეშე, ჯანდაცვის მომსახურების დეფიციტს, ლოდინის პერიოდის გახანგრძლივებას და სიცოცხლის ხარისხის შემცირებას. ცენტრალიზაციის ტენდენცია ასევე იწვევს რეგიონების ნაკლებად უზრუნველყოფას და ჯანდაცვის მომსახურების მიმწოდებლებს აძლევს საშუალებას, მოახდინოს ზემოქმედება ლოდინის ხანგრძლივობით, რაც აიძულებს მოსახლეობას, თავად გადაიხადონ სამედიცინო მომსახურების თანხები.

აუცილებელია სოციალური რისკის გათავისება, რათა გაცნობიერებული იყოს თუ რაში მდგომარეობს მისი არსებითი მხარე, რადგან იმის აღქმა, თუ რა არის სოციალური რისკი, არის საფუძველი ამ რისკების თავიდან აცილების ან შემცირებისა. იგი განსაზღვრავს იმ ადამიანთა კატეგორიას, რომელიც ექვემდებარება სხვადასხვა დაფინანსების ობიექტებს და სხვადასხვა ხასიათის სოციალურ წყაროებს. როგორც წესი, ადამიანს არ შეუძლია თვითნებურად განსაზღვროს სოციალური რისკის დადგომა, რადგან ისინი გამყარებულია სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობით, რომელიც მჭიდროდ უკავშირდება საწარმოს საქმიანობას და არ არის დამოკიდებული ადამიანის ნებაზე.

სოციალური რისკებისგან თავის დაცვა მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს ყველა ქვეყნისთვის, განსაკუთრებით კი განვითარებადი ქვეყნებისთვის, რომელთაც არამდგრადი ეკონომიკური პოლიტიკა გააჩნიათ. ასეთი ქვეყნების ჯგუფს მიეკუთვნება საქართველო.

ამრიგად, იმისთვის, რომ სოციალური დაზღვევის პროგრამა იყოს ეფექტური, პირველ რიგში უნდა მოხდეს ყველა, მასზე ზეგავლენის მქონე, ასპექტის ანალიზი და დაზღვევის სისტემა უნდა ფარავდეს მოსახლეობის მაქსიმუმს. სოციალური რისკების გამომწვევი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია უმუშევრობა, უმუშევრობის დაზღვევის პრაქტიკა განსხვავებულია სხვადასხვა ქვეყანაში, მაგალითად, ევროკავშირის წევრი ქვეყნები იყენებენ სოციალური დაზღვევის ორ ძირითად მიდგომას: სოციალური დაზღვევის და სოციალური დახმარების პრინციპებს. პირველ შემთხვევაში უმუშევრობის პერიოდში გაცემული თანხა დამოკიდებულია მანამდე გადარიცხულ თანხებზე. გადარიცხული თანხები დამოკიდებულია იმაზე, პირი ახლახან გახდა უმუშევარი, თუ ეს უკვე ხანგრძლივი პროცესია. პრაქტიკა ასევე განსხვავდება იმითაც, რომ ზოგჯერ უმუშევრობისთვის გაცემული თანხები გამოითვლება ცალკე და არ არის გაერთიანებული სოციალური დაცვის ერთიან პროცესებში.

სოციალური რისკების მართვა ასევე დამოკიდებულია ქვეყნის კულტურულ სპეციფიკაზე, როგორცაა, მაგალითად, რელიგია, რეგიონული ან ეთნიკური თავისებურებანი, იგი ასევე დამოკიდებულია სახელმწიფო ეკონომიკის განვითარების ეტაპზე.

საქართველოში სოციალური რისკების მართვის და სოციალური უსაფრთხოების პრობლემატიკა ბოლო წლების განმავლობაში აქტუალობას არ კარგავს მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ყველა მთავრობა მეტ-ნაკლებად ცდილობდა სოციალური სისტემის ტრანსფორმაციას და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას, სასურველი შედეგები მაინც ვერ იქნა მიღწეული.

როდესაც საუბარია განვითარებადი ქვეყნის სოციალურ პრობლემატიკაზე, მეცნიერები, უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას აქცევენ სახელმწიფოს უნარს, რათა საკუთარი საზოგადოება ოთხი ყველაზე დიდი სოციალური რისკისგან – სიღარიბის, უმუშევრობის, ავადმყოფობისა და ინვალიდობისგან – დაიცვას. მნიშვნელოვანია აგრეთვე კიდევ ერთი სოციალური რისკისგან – სიბერისგან დაცვა. თუ ამ სფეროებში სახელმწიფო პოლიტიკა წარმატებულია, მაშინ საზოგადოების კეთილდღეობის გარკვეული დონე მიღწეულად შეიძლება ჩაითვალოს. ხოლო თუ

პირიქით არის მაშინ სამწუხარო რეალობა საზოგადოების კეთილდღეობის უქონლობაზე მიუთითებს¹⁵⁰.

თანამედროვე საქართველოში არსებული სოციალური რისკები მრავალფეროვანია. მათი დიდი ნაწილი სამუშაო ძალასა და დასაქმებას უკავშირდება. ასეთი ხასიათის სოციალური რისკებიდან ძირითადია:

მოსახლეობის რაოდენობის კლება, დემოგრაფიული დაბერების ტემპების დაჩქარება და მოსახლეობის ჯანმრთელობის გაუარესება და ჯანდაცვის დაფინანსების ეფექტური სისტემის არარსებობა;

ხარისხიანი განათლების ნაკლები ხელმისაწვდომობა;

უმუშევრობის ზრდა და დასაქმებიდან მიღებული შემოსავლების სიმცირე;

მოსახლეობის ქონებრივი დიფერენციაციის (პოლარიზაციის) ზრდა;

შრომითი უფლებების დაუცველობა და მომუშავეთა დისკრიმინაცია;

საპენსიო უზრუნველყოფისა და სოციალური დახმარებების ეფექტიანი სისტემის არარსებობა;

სოციალური დაცვის ეფექტიანი სისტემის არარსებობა;

მოკლევადიანი და გრძელვადიანი სოციალური დაცვისა და უზრუნველყოფის სამოქმედო გეგმების არარსებობა;¹⁵¹

განვიხილოთ საქართველოში ამჟამად არსებული სოციალური პრობლემების მიზეზები:

ა) პოსტსაბჭოთა კრიზისი;

პოსტსაბჭოთა კრიზისი ერთ-ერთი მიზეზია, რომელიც პრობლემას წარმოადგენს არა მხოლოდ საქართველოში, არამედ საბჭოთა კავშირის ყოფილ წევრთა უმრავლესობაში.

ბ) უმუშევრობა;

სოციალური რისკის წარმოშობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი არის უმუშევრობა: იგი არღვევს სისტემატურ და დაგეგმილ ცხოვრებას და ართმევს ადამიანს განვითარებისა და პიროვნული სრულყოფის საშუალებას როგორც პროფესიული, ასევე ეკონომიკური თვალსაზრისით, ხელს უშლის თავისი ჯანმრთელობის ან ფინანსური საკითხების მართვაში, ანაბრის დაგროვებასა და სხვა ცხოვრებისეულ საკითხებში.

გ) ადამიანური რესურსების სიმწირე;

სოციალური რისკების კიდევ ერთი მიზეზი არის რესურსების სიმწირე. საქართველო პატარა ქვეყანაა განსაკუთრებული ბუნებრივი და მინერალური რესურსებით, რომელიც, წესით, მისთვის პრივილეგიას უნდა წარმოადგენდეს საერთაშორისო ბაზარზე კონკურენციისას.

დ) სოციალური სისტემის საშუალო და გრძელვადიანი დაგეგმარების შეუძლებლობა, სწორი სტრატეგიის არარსებობა.

დღემდე განხორციელებული დასაქმების პროგრამების უმრავლესობა არის მოკლევადიანი და თავისი ხასიათით უნდა კლასიფიცირდეს, როგორც სახელმწიფო დახმარება ან ტრანსფერები, რომელსაც არ აქვს გრძელვადიანი პერსპექტივა ადამიანთა ხელშეწყობის ან სახელმწიფო ეკონომიკის განვითარების მხნით.

განვითარებულ ქვეყნებს სოციალური სისტემის წარმატების საკმაოდ დიდი გამოცდილება გააჩნიათ და მათი სოციალური სისტემები დროსა და სივრცეში ადაპტაციის უნარით გამოირჩევიან. საქართველოს მსგავს ქვეყნებს არ უწევთ ახალი სისტემების შექმნა აღნიშნულ სფეროში, მათ შეუძლიათ განვითარებული ქვეყნების გამოცდილება გამოიყენონ საკუთარი მოდელის შემუშავებისა და პრაქტიკაში წარმატებით დანერგვისათვის.

1990 წლიდან საქართველოში სოციალური დახმარება ფორმალურად ხორციელდებოდა. 1994 წლის ჩათვლით, სისტემა ფუნქციონირებდა პოსტსაბჭოთა წყობილების კანონმდებლობის შესაბამისად და არსებითი სტრუქტურული ცვლილებები არ იყო გატარებული. თუმცა 1992 წლიდან საკმაოდ ძლიერი იყო შრომის ბაზარზე სახელმწიფოს ჩარევა. იგი ვალდებული იყო ეზრუნა მოსახლეობის დასაქმებაზე, თუმცა 1992-1994 წლებში ქვეყანაში შექმნილი ეკონომიკური პრობლემების გამო სახელმწიფოს ეს უკვე აღარ შეეძლო. 1991 წლის და შემდგომი პერიოდის მონაცემებით ძალიან დაბალი იყო უმუშევრობის მაჩვენებელი, მაგრამ დასაქმება რეალურად აღარ იძლეოდა ცხოვრების ღირსეული დონის შენარჩუნების საშუალებას. სოციალური დახმარების სისტემა ფორმალურად აგრძელებდა არსებობას, მაგრამ თავის დანიშნულებას ვეღარ ასრულებდა ფინანსური სახსრების ნაკლებობის გამო¹⁵².

სოციალური რისკების მართვაზე პასუხისმგებლობა საქართველოში სახელმწიფოს ეკისრებოდა, თუმცა რეალურად საზოგადოების მიერ გადახდილი სოციალური გადასახადების მეშვეობით ხდებოდა დაფინანსება.

¹⁵⁰ Frevel B., Dietz B. Sozialpolitik kompakt. VS Verlag für Sozialwissenschaften/ GWV Fachverlage GmbH. Wiesbaden. 2008. S. 97.

¹⁵¹ ციური ანთამე, "სოციალური რისკები შრომის სფეროში"

<http://webcache.googleusercontent.com/search?q=cache:http://social-democrats-georgia.blogspot.com/2010/12/blog-post.html>

¹⁵² დამოუკიდებელი საქართველო – სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სისტემები, ანალიტიკური მიმოხილვა, თბ., 2012, http://www.osgf.ge/files/2013/publikaciebi%202013/Report_Color_GEO_WEB.pdf

საბჭოთა პერიოდიდან გამოყოფილმა ნაკლოვანებებმა უფრო მწვავედ იჩინა თავი სისტემის სახელმწიფო დაფინანსებისა და მომარაგების მზარდი დეფიციტის პირობებში. 1992-1993 წლებში ქვეყანას პრაქტიკულად ბიუჯეტი არ გააჩნდა, რაც განაპირობებდა მომხმარებლის ჯიბიდან არაფორმალურ (არალეგალურ) გადახდებს. თუ დასაწყისში ეს თანხები ტრადიციულად სამედიცინო პერსონალის დამატებით შემოსავალს ემსახურებოდა, 1994 წლიდან მომხმარებელი ჯანდაცვის მომსახურების თვითდაფინანსებას ახდენდა, რაც შემდგომ წლებშიც, 2003 წლის ვარდების რევოლუციამდე გრძელდებოდა. გარდა ამისა, პრაქტიკულად აღარ ფუნქციონირებდა სასწრაფო დახმარების სამსახურები. სადაზღვევო ბაზარი ჩანასახოვან მდომარეობაში იყო და სტიქიურად ცდილობდა შეეესო შექმნილი სიცარიელე, თუმცა საერთო სიტუაციაზე არსებით გავლენას ვერ ახდენდა¹⁵³.

ეკონომიკურმა კრიზისმა უკიდურეს ზღვარს 1993-1994 წლებში მიაღწია. უაღრესად დამძიმდა სოციალური ფონი, ქვეყანა აღმოჩნდა შიმშილის საფრთხის წინაშე. მძიმე სოციალურ-ეკონომიკურმა მდგომარეობამ საჭირო გახადა მაკროეკონომიკური სტაბილიზაციისა და სისტემური ცვლილებების ანტიკრიზისული პროგრამის შემუშავების აუცილებლობა. 1994 წლიდან საქართველოს ხელისუფლებამ დაიწყო აღნიშნული პროგრამის განხორციელება, რომელსაც მხარს უჭერდნენ საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციები. საქართველოს ხელისუფლებამ შემოიღო საკუთარი ვალუტა. დაძლეული იქნა პიპერინფლაცია.

ქვეყანაში განვითარებული მძიმე ეკონომიკური კრიზისის გამო უმუშევართა დახმარება საქართველოში შეუძლებელი აღმოჩნდა და თანდათანობით იზრდებოდა უმუშევრობის საშუალო ხანგრძლივობა. ამასთან, რეგისტრირებულ უმუშევართა რიცხვი ძალიან მცირე იყო, რაც აძნელებდა უმუშევართა რეალური რაოდენობის დადგენას. საქართველოში არსებული სოციალური პრობლემები, მათ შორის სიღარიბე, სოციალური მდგომარეობა და ცხოვრების დონე დამოკიდებული იყო ქვეყანაში მოქმედი სოციალური სამსახურების ფუნქციონირებაზე. ამ პერიოდში სოციალური დაცვის სისტემაში იკვეთებოდა სამი ძირითადი პრობლემა: ა) საგადასახადო ბაზის სიმცირე, გამოწვეული, ერთი მხრივ, შრომის დაბალი ანაზღაურებით და, მეორე მხრივ, ფორმალურ სექტორში დასაქმებულთა სიმცირით; ბ) დემოგრაფიული ცვლილებები – მოსახლეობის დაბერება და მიგრაცია; გ) სოციალური ტრანსფერტების არასრულყოფილი ფუნქციონირება. ქვეყნის მნიშვნელოვან პრობლემას წარადგენდა მოსახლეობის სოციალური დაცვის დაბალი ეფექტი. კიდევ უფრო ცუდ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ ღარიბები, რომელთა შორისაც მოხდა დიფერენციაციის გაღრმავება – გაჩნდნენ უფრო ღარიბები და ღატაკები. ღატაკები კი იმ პერიოდისთვის ქვეყნის მოსახლეობის ერთ მესამედს შეადგენდა, რამაც გამოიწვია ქვეყნის დემოგრაფიული ცვლილებები და მოსახლეობის ქვეყნიდან გადინება.

ამ მძიმე მდგომარეობიდან თავის დაღწევა შესაძლებელი გახდა ახალი პოლიტიკური კურსის ფორმირების შემდგომ, კერძოდ 2003 წლის ნოემბერში მშვიდობიანი რევოლუციის გზით შეიცვალა ქვეყნის ხელისუფლება. „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ ხელისუფლებამ დაიწყო სოციალური დაცვის სისტემის რეფორმების გატარება. ქვეყნის ხელისუფლებამ განახორციელა სოციალური და პოლიტიკური განვითარების უმნიშვნელოვანესი რეფორმები, მაგრამ სიღარიბის დონე მხოლოდ მცირედით გაუმჯობესდა.

ვარდების რევოლუციის შემდეგ ხელისუფლებამ პრიორიტეტად დაისახა სახელფასო და საპენსიო დავალიანებების დაფარვა და ენერგომომარაგებაში არსებული უმწვავესი პრობლემები აღმოფხვრა.

2012 წლიდან ქვეყნის პრიორიტეტები კვლავ იცვლება პოლიტიკური ხელისუფლების შეცვლასთან ერთად. 2013 წელს სოციალური დაცვის მხრივ უმნიშვნელოვანესი მიღწევა იყო საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის დანერგვა, რომელმაც სათავე დაუდო სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული სამედიცინო მომსახურებით მოსახლეობის უნივერსალურ მოვლას.

ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სოციალური დაზღვევის ფორმაა საპენსიო დაზღვევა, რომელიც ჯერ კიდევ არ ამოქმედებულა საქართველოში, მაგრამ, შესაძლებელია შემდგომში მისი განვითარებისთვის საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად ვიხელმძღვანელოთ. სოციალური დაზღვევის ერთერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფორმაა დაგროვებითი საპენსიო დაზღვევის სისტემა, რომლის ამოქმედებაც 2017 წლიდან იგეგმება საქართველოში.

ამრიგად, საქართველოს სოციალური სისტემის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაკლს წარმოადგენს სოციალური რისკების უგულებელყოფა, რაც გამოწვეულია სოციალური სისტემის განვითარების სტადიაში ყოფნით და ბოლომდე ჩამოუყალიბებელი პრინციპების, გეგმებისა და ფუნქციების უქონლობით. სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები განსაზღვრავს ქვეყანაში მოქმედი სოციალური სამსახურების ფუნქციონირების ეფექტიანობასაც, რაც ცხადყოფს, რომ დღემდე არსებულ სოციალურ პოლიტიკაში მნიშვნელოვანი ხარვეზებია, რომელთა გადაჭრაც ითხოვს ახალი გრძელვადიანი გეგმის შემუშავებასა და პრაქტიკაში დაუყოვნებლივ დანერგვის საჭიროებას.

¹⁵³ http://www.osgf.ge/files/2013/publikaciebi%202013/Report_Color_GEO_WEB.pdf

THEORETICAL ASPECTS OF SOCIAL RISKS

Annotation

This thesis reviews issues of social protection in Georgia and worldwide nowadays. It discusses stages of formation and development of social protection system, outlines achievements and problems of the reform in social protection system; focuses on positive and negative aspects of global experience. Thesis reviews actual social issues which are presently unresolved and suggests possible ways of their solution.

ირმა ტყემალაძე

**საპენსიო უზრუნველყოფის სისტემა საქართველოში:
რეალობა და ძირითადი გამოწვევები**

საპენსიო ასაკის პირთა რიცხოვნობის ზრდამ, სახელმწიფო საპენსიო ფონდის არაეფექტიანობამ აჩვენა, რომ მხოლოდ სოლიდარული საპენსიო სისტემით საპენსიო ასაკს მიღწეული პირების სრულფასოვანი სოციალური უზრუნველყოფა ფაქტიურად შეუძლებელია. აღნიშნულიდან გამომდინარე, ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის წინაშე დგას რეფორმის გატარების საჭიროება. ამჟამად საუბარი მიმდინარეობს დაგროვებითი საპენსიო სისტემის დანერგვაზე.

საქართველოს საპენსიო სისტემამ 1995 წლიდან მიმდინარე პერიოდამდე რეფორმირების რამდენიმე ეტაპი გაიარა. 1995 წელს მოქმედი სისტემის პირობებში პენსიის რაოდენობა განისაზღვრებოდა მოცემული წლისათვის ერთიანი სახელმწიფო საპენსიო ფონდის შემოსავლების მოცულობით, რომელიც მარტივად იყოფოდა პენსიონერთა რაოდენობაზე. 2004 წელს მთელ სოციალურ სფეროში განხორციელდა სისტემური რეფორმები, აღნიშნულ პერიოდში პენსიების დაფინანსება საერთო საბიუჯეტო შემოსავლებიდან ხორციელდებოდა. 2006 წლიდან, საპენსიო სისტემას არეგულირებდა 2006 წელს ამოქმედებული „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონი. სახელმწიფო პენსია ინიშნებოდა ასაკის, შესაძლებლობის შეზღუდვის და მარჩენალის დაკარგვის გამო, პირის მინიმალური საარსებო საშუალებით უზრუნველყოფის მიზნით. 2007 წლიდან 2012 წლის აგვისტომდე პენსიის ოდენობა მოიცავდა სტანდარტულ პენსიას და დანამატს სტაჟის მიხედვით. 25 წელზე მეტი სტაჟის შემთხვევაში დანამატი თვეში შეადგენდა 10 ლარს, 5 წლამდე - 5 ლარს, 5-15 წლამდე - 4 ლარს, 15-25 წლამდე - 7 ლარს.

2008 წლიდან ხელფასიდან დაქვითული სოციალური გადასახადი გაერთიანდა საშემოსავლო გადასახადის სტრუქტურაში, საშემოსავლო გადასახადი გახდა სახელმწიფო ბიუჯეტის ნაწილი, ხოლო საპენსიო ვალდებულებების დაფარვა დაეკისრა ერთიან სახელმწიფო ბიუჯეტს. 2012 წლის აგვისტოში პენსიონერებს შეუწყდათ ნამსახურევი წლების მიხედვით დანამატი, სანაცვლოდ გაიზარდა ფიქსირებული პენსია, 67 წელს გადაცილებული მოსახლეობის პენსია 125 ლარამდე გაიზარდა, ამ ასაკზე ნაკლები პირებისათვის - 110 ლარი. 2013 წლის აპრილიდან ეს შეზღუდვები მოიხსნა და პენსია ორივე კატეგორიისათვის გახდა 125 ლარი. 2013 წლის სექტემბრიდან სოციალური პენსიის რაოდენობა ყველა ბენეფიციარისთვის გახდა 150 ლარი, 2015 წლის სექტემბერში კი - 160 ლარი.

სახელმწიფო პენსიის მინიმალური ოდენობა 2004-2015 წლებში

	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015
საპენსიო ასაკის მიღწევის გამო	14	28	38	55	70	80	80	100	110	125-150	150	160
სოციალური პენსია ნამუშევარი წლების დანამატის მიხედვით (საშუალოდ)	-	-	-	65	80	90	90	110	120	-	-	-
შშმ პირის სტატუსის მინიჭების გამო	14	28	38	55	65	70	70	70	100 (160)	100 (160)	100 (160)	100 (160)
მარჩენალის დაკარგვის გამო	14	28	40	55	55	55	55	55	100	100	100	100
სახელმწიფო კომპენსაცია	-	-	-	--	-	-	-	-	-	-	-	560

წყარო: სოციალური მომსახურების სააგენტო /http://ssa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=745/

საბოლოოდ, 2004 წლიდან 2015 წლამდე პერიოდში პენსიის ნომინალური რაოდენობა 11-ჯერ გაიზარდა.


2001 წლიდან სოლიდარულ საპენსიო სისტემასთან ერთად ფუნქციონირება დაიწყო არასახელმწიფო საპენსიო დაზღვევამ, რომელსაც ბაზრის უმნიშვნელო ნაწილი უკავია. არასახელმწიფო საპენსიო სისტემაში მოქმედებს დაგროვების ნებაყოფლობითი პრინციპი, საპენსიო ფონდის მონაწილე მთელი შრომითი საქმიანობის პერიოდში აკეთებს შენატანებს საკუთარ საპენსიო ანგარიშზე და პენსიაზე გასვლის შემდეგ იღებს შენატანების შესაბამის პენსიას.

დღეს საქართველოში არასახელმწიფო საპენსიო დაზღვევის პროდუქტს მოსახლეობას მხოლოდ 5 სადაზღვეველ კომპანია (სს “სადაზღვეველ კომპანია ჯი პი აი ჰოლდინგი”; სს სადაზღვეველ კომპანია ალდაგი-ბისიაი; შპს სადაზღვეველ კომპანია ტაო; შპს დაზღვევის საერთაშორისო კომპანია ირაო; შპს სადაზღვეველ კომპანია „ალფა“) სთავაზობს.

საპენსიო უზრუნველყოფის სისტემაში ძირითადი ადგილი უჭირავს სახელმწიფო საპენსიო სისტემას, რომლის ეფექტიანი ფუნქციონირებაც გარკვეული გამოწვევების წინაშე დგას.

პროგნოზები მიუთითებს, რომ იმ ადამიანთა რიცხვი, ვისი კონტრიბუციაც ეკონომიკის განვითარებაში სულ უფრო ნაკლებია დროთა განმავლობაში კიდევ უფრო გაიზრდება. ისე, როგორც მთელ მსოფლიოში, საქართველოშიც სწორედ მიმდინარე პერიოდიდან შედიან საპენსიო ასაკში ე.წ. baby-boom-ერები (1940-1960 წლებში დაბადებული თაობები).

სოციალური პენსიის მიმღებთა რაოდენობრივი ზრდის დინამიკა 2015-2039 წლებში საქართველოში




წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო; საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

დაახლოებით 30 წელიწადში მოსალოდნელია პენსიონერთა რიცხვის გაორმაგება. გაიზრდება არა მარტო პენსიონერთა აბსოლუტური რიცხოვნობა, არამედ შეიცვლება მოსახლეობის დემოგრაფიული სტრუქტურა, მიმდინარეობს მოსახლეობის დაბერების პროცესი.

სოციალურ პენსიას არ შეუძლია ჩანაცვლების მაღალი კოეფიციენტის უზრუნველყოფა, უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში საქართველოსთვის აღნიშნული მაჩვენებელი იზრდებოდა, თუმცა ზრდას უმნიშვნელო ხასიათი ქონდა და თავის მაქსიმუმს 18%-ს 2015 წლისათვის მიაღწია, რაც განვითარებული ქვეყნების ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით ძალიან დაბალია. ფაქტიურად ჩვენს რეალობაში მაქსიმალურად მიღწეული ზღვარის შემთხვევაშიც კი ადამიანმა საპენსიო ასაკში თავისი მოხმარების დონე მინიმუმ 5-ჯერ უნდა შეამციროს.

კიდევ ერთი გამოწვევა დაკავშირებულია სოციალურ უზრუნველყოფაზე გაწეული ხარჯების მუდმივად ზრდად ხასიათთან. უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში სოციალურ უზრუნველყოფაზე გაწეული ხარჯების წილი მთლიან საბიუჯეტო დანახარჯებში 14%-იდან 19,8%-დან 34%-მდე გაიზარდა (მატების ტემპი 71%). ფისკალური წნეხის გაზრდა ნეგატიურად აისახება სხვა სახელმწიფო პროექტებსა და ვალდებულებებზე.

სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯებისა და სოციალურ უზრუნველყოფაზე გაწეული ხარჯების დამოკიდებულება 2005-2015 წლებში



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო; საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური / www.mof.ge; Geostat.ge/

როგორც ანალიზმა აჩვენა მოქმედი საპენსიო სისტემა ვერ უზრუნველყოფს პენსიონერების ნორმალური ცხოვრების დონეს, მიმდინარეობს მოსახლეობის დაბერების პროცესი, სულ უფრო იზრდება დასაქმებულთა და პენსიონერთა თანაფარდობის კოეფიციენტი, სოციალურ უზრუნველყოფაზე გაწეული ხარჯების წილს ასევე მუდმივად მზარდი ხასიათი აქვს შესაბამისად, დღის წესრიგში დგება სისტემის ფუნქციონირებაში ცვლილებების განხორციელება.

განვითარებული ქვეყნების საპენსიო სისტემების ანალიზმა აჩვენა, ევროპის ქვეყნები უმრავლესობა გადასულია ორდონიან ან სამდონიან საპენსიო მოდელზე, მიმდინარე პერიოდში კი სისტემის ფუნქციონირების ოპტიმიზაციას ახდენს პარამეტრული ცვლილებებით, კერძოდ, საპენსიო ასაკის ზრდით, მინიმალური სამუშაო სტაჟის ზრდით, მკაცრდება შედავათები პენსიაზე ვადამდელი დასვენების და ა.შ.

საქართველოს შემთხვევაში მხოლოდ სოლიდარული საპენსიო სისტემა თუნდაც მისი პარამეტრული ცვლილებებით ვერ იქნება სისტემის ფუნქციონირების გარანტი, გამომდინარე აქედან დღის წესრიგში დგება დაგროვებით საპენსიო სისტემაზე გადასვლა. ამ მიმართულებით მუშაობა დაწყებულია, ქვეყნის „ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტი“ 2016-2019 წლებისათვის“ აღნიშნულია, რომ 2017 წლიდან მოქმედებას დაიწყებს დაგროვებითი საპენსიო სისტემის ძირითადი პრინციპები. შემოთავაზებული საპენსიო მოდელის მიხედვით, ყოველთვიურად დასაქმებულის საპენსიო ანგარიშზე მიემართება 6%-იანი კონტრიბუცია (2% დასაქმებულის საშემოსავლო გადასახადიდან, 2%-ს ამატებს დამქირავებელი და ასევე 2%-ს სახელმწიფო). საპენსიო ფონდში დაგროვებული თანხა დამოკიდებული იქნება ინდივიდუალურ შენატანებზე, საპენსიო ფონდის ამონაგებსა და დასაქმების ხანგრძლიობაზე.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სისტემის რეფორმა გადაუდებელი საჭიროებაა, მაგრამ რეფორმის დაწყებამდე მკაფიოდ უნდა განისაზღვროს რეფორმის ძირითადი მიზნები, მისი განხორციელების ვადები, რეფორმის ხარჯები და შედეგები როგორც მოკლევადიან, ისე გრძელვადიან პერიოდში, საჭიროა დაგროვებით საპენსიო სისტემაზე გადასვლისათვის წინაპირობების უზრუნველყოფა, ისეთების როგორცაა, ფინანსური ბაზრის განვითარება ქვეყანაში და არაფორმალური დასაქმების შემცირება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია. “საქართველო 2020”, თბილისი 2013
2. ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტი 2016-2019 წლებისათვის
3. საქართველოს კანონი არასახელმწიფო საპენსიო დაზღვევისა და უზრუნველყოფის შესახებ; 1998 წლის 30 ოქტომბერი
4. Pensions at a Glance 2015, OECD and G20 Indicators, ESTONIA
5. Mitchell, Olivia (1998), Building an Environment for Pension Reform in Developing Countries, Human Development Network, Social Protection Group, World Bank. 2014
6. La fiscalité des retraites. Panorama des pensions 2013; Les indicateurs de l'OCDE et du G2

Irma Tkemaladze

PENSION SYSTEM IN GEORGIA: THE REALITY AND THE MAJOR CHALLENGES Annotation

This article discusses the following topics: Strengths and weaknesses of the joint pension system, established by private pension funds and inefficient functioning of its causes.

Particular attention is paid to the formation of the legal basis for the analysis of the pension system in Georgia. The pension reform of international experience in developed countries. Laying of pension savings system in Georgia, based on the current pension system is analyzed and the inefficiency of the expected risk reduction mechanisms proved.

გიგა ცისკარიძე

ინოვაციური სისტემის ფუნქციონირების ეკონომიკური ინსტრუმენტები

შესავალი

ინოვაცია განვითარების პროცესის უმთავრეს კომპონენტს წარმოადგენს და გლობალური კონკურენციის პირობებში მის გარეშე შეუძლებელია წარმატების მიღწევა.

ინოვაციის პირველ განმარტებებს მიყვარტ უშუალოდ, იგი მას „კრეატიულ განადგურებას/კრახს“ (“creative destruction”) უწოდებდა, შემდეგ – კ. ფრიმანთან ცნობილი სიტყვებით „არ გაწიო ინოვაცია, ნიშნავს მოკვლე“ [7, 4]. ამ ეტაპზე ყველაზე მეტად მიღებული ალბათ ევროკომისიის მიერ

შემუშავებული ინოვაციის განმარტებაა: „ინოვაცია არის ახალი პროდუქტის და პროცესის ან არსებულის გაუმჯობესებისათვის ახალი ტექნოლოგიების, იდეებისა და მეთოდების კომერციულად წარმატებული ექსპლუატაცია. ინოვაცია არის ინტერაქტიული სწავლის პროცესის შედეგი, გულისხმობს რა კომპანიის მრავალი შიგა და გარე ფაქტორის ჩართულობას“ [4, 54].

ინოვაციაზე ზემოთ მოყვანილი განსაზღვრებების შეჯერებით მისი განმარტება შეიძლება წარმოვადგინოთ შემდეგი სახით: ინოვაცია არის ახალი და არსებული ცოდნის გამოყენების ახლებური კომბინაცია, რათა შეიქმნას ან გაუმჯობესდეს პროდუქტი, საწარმოო პროცესი ან ორგანიზაცია დამატებითი კომერციული სარგებლის, წარმატების მისაღებად.

მოცემული განმარტებებიდან ადვილად შეიძლება დავასკვნათ თუ რაოდენ ფართო სპექტრის სახით შეიძლება წარმოვიგვიდგეს ინოვაცია და რამდენად დიდი მნიშვნელობა აქვს მას ეკონომიკის განვითარების თვალსაზრისით.

ინოვაცია სხვადასხვა ფორმით, მიმართულებით შეიძლება განვითარდეს, რომელიც დამოკიდებულია დაინტერესებული მხარეებისა და მათ მიერ შერჩეულ მოდელზე.

ინოვაციური სისტემის ფუნქციონირების ეკონომიკური ინსტრუმენტები

ინოვაციის ცვალებადობა გულისხმობს:

1. დანქარებული განვითარება – ტექნოლოგიური მიღწევების დიფუზიამ, გავრცელებამ მანამდე არსებული ტექნიკისგან განსხვავებით, სულ უფრო დანქარებული ხასიათი შეიძინა. კერძოდ, 55 წელი დასჭირდა ავტომობილის გავრცელებას ამერიკის ტერიტორიის მეოთხედის მასშტაბით, 35 წელი – ტელეფონს, 22 წელი – რადიოს, 16 წელი – პერსონალურ კომპიუტერს, 13 წელი - მობილურ სატელეფონო კავშირს და მხოლოდ 7 წელი – ინტერნეტს [6, 9].

2. მულტიდისციპლინურობა – ყველაზე ღირებული ინოვაცია ხშირად სხვადასხვა სფეროსა და საქმიანობის ინტერაქციით წარმოიქმნება. ბიოინფორმატიკა და ნანოტექნოლოგიები ათწლეულის წინ არც კი არსებობდა, დღეს კი, ბევრი ეკონომისტის აზრით, ეს ინოვაცია ამერიკის ეკონომიკის განვითარების უმთავრესი მამოძრავებელი ძალა იქნება.

3. ინტენსიური კოლაბორაცია – ინოვაციებმა ტექნოლოგიური თვალსაზრისით მეტად კომპლექსური ხასიათი შეიძინეს და შესაბამისად სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლების (მეცნიერების, ინჟინრების, გამოგონებლებისა თუ მომხმარებლების) უფრო მეტ თანამშრომლობას გულისხმობს.

4. დემოკრატიზაცია – ინოვაცია თუ მანამდე კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტების უმთავრეს საზრუნავს წარმოადგენდა, დღეს მასში ჩართულია თითქმის ყველა. მომხმარებლები და უბრალო სამუშაო ძალაც კი მონაწილეობს ინოვაციის პროცესში თავად მწარმოებლის ინიციატივით შემნილი სხვადასხვა საშუალებებით და ხელს უწყობს ინოვაციური პროდუქტის შექმნას.

5. გლობალური ხასიათი – ინოვაციის აღმოცენება შეიძლება მოხდეს მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში. განვითარებულმა საკომუნიკაციო და სატრანსპორტო ტექნოლოგიებმა სულ უფრო დაახლოვა მწარმოებელი და მომხმარებელი, მიუხედავად მათი ადგილმდებარეობისა და, შესაბამისად, იდეის კომერციალიზაცია უფრო მეტად რეალური გახდა.

ინოვაციური გარემოსა და ცოდნაზე დაფუძნებული ადგილობრივი ეკონომიკის პრომოუშენი განვითარების სასურველი სტრატეგიაა. ე. მექაბიშვილი საფუძვლიანად შენიშნავს თუ რაოდენ დიდი მოგება შეიძლება იქნეს მიღებული ქსელური და ზოგადად ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკიდან, როგორია მსოფლიოს პროგნოზები და რამდენად სასურველია ამ სტრატეგიის საქართველოს განვითარებისთვის გამოყენება [1, 29-33].

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ინოვაციის ხელშემწყობი გარემო განსხვავდება ადგილების მიხედვით და ადგილობრივი რესურსებისა და სთეიქჰოლდერების შესაძლებლობებიდან გამომდინარე, ის ატარებს უნიკალურ ხასიათს. ხელისუფლება, ინდუსტრია, აკადემია და საზოგადოება წარმოადგენენ განვითარების უმთავრეს სთეიქჰოლდერებს და მოცემული ადგილის ინოვაცია დამოკიდებულია მათ შორის თანამშრომლობის ქცევასა და უნარზე, გააერთიანონ ძალისხმევა ინოვაციის განვითარების სტრატეგიის შესამუშავებლად.

პრაქტიკაში განხორციელებულია განვითარების პოლიტიკის არაერთი მაგალითი, სადაც სათანადო ყურადღება არ ეთმობა საზოგადოების კომპონენტს, მდგრადი განვითარების პროცესი კი აუცილებლად გულისხმობს განვითარების პროცესში ყველა უმთავრესი სთეიქჰოლდერის ჩართულობის შესაძლებლობას. უდიდესი მნიშვნელობა აქვს განვითარების პოლიტიკის ერთობლივ შემუშავებას, განხორციელებას და შესაბამისად პასუხისმგებლობების და მიღებული შედეგების თანაბარ გადანაწილებას. ამერიკის შეერთებულ შტატებში საზოგადოების ჩართულობის პროცესის აუცილებლობა დაკანონდა 1968 წელს. საზოგადოების ჩართულობის აუცილებლობას მრავალი მიზეზი აქვს, თუმცა ორი უმთავრესი ფაქტორი შეიძლება გამოიყოს, კერძოდ: 1. უფრო მეტი უფლებებისა და პასუხისმგებლობების დაკისრება მოქალაქეებზე, როგორც დემოკრატიის განვითარების გარდაუვალი შედეგი და 2. პოლიტიკის შემუშავებლებსა და მათ გადაწყვეტილებებზე ნდობის შემცირების გამო, საზოგადოების მხრიდან ჩართულობის სურვილის ზრდა. საზოგადოების თანამონაწილეობის საკითხი სასიცოცხლო მნიშვნელობისაა და ამ ფაქტორის განვითარების პროცესში ჩართვას მეტად ფრთხილი მიდგომა სჭირდება. საზოგადოების ჩართულობის საშუალებები

აუცილებელია ადგილობრივი თავისებურებებიდან გამომდინარე შეირჩეს. სხვაგან აპრობირებული მეთოდების უბრალო გადმოღება საზოგადოების იმედგაცრუება შეიძლება გამოიწვიოს, რაც ხშირად წინსვლაზე მიმართული სტრატეგიული სვლების შემაფერხებელ და ზოგჯერ შემაჩერებელ მიზეზად იქცევა.

ქსელური თანამშრომლობის გარეშე ინოვაცია შეზღუდულია და მოკლევადიანი ხასიათისაა. ინოვაციის მკვლევართა ნაშრომებში ფართოდაა განხილული ინოვაციიდან მიღებული სარგებელი და მისი მჭიდრო კავშირი ქსელურ თანამშრომლობასთან. რისკის განაწილება, ახალი ბაზრების, ტექნოლოგიებისა და ფინანსურ რესურსებზე უკეთ წვდომა, შემავსებელი უნარებისა და ცოდნის თავმოყრა, ინოვაციის პროცესისთვის საჭირო სუბიექტების მოზიდვა და კოოპერაცია, გარე ბაზრებზე შეღწევისა და დამკვიდრებისათვის ხელშეწყობა, იდეის კომერციალიზაციის დაჩქარება – არის მხოლოდ მცირედი ჩამონათვალი, რაც თან სდევს ქსელურ თანამშრომლობას, ხელს უწყობს ინოვაციის განვითარებასა და სასურველი შედეგის – წარმატების მიღწევას. ინოვაციური ქსელი, ქსელური თანამშრომლობა სხვადასხვა ინოვაციური ძალისხმევის გაერთიანების საშუალებას იძლევა და იმ პროდუქტს ქმნის, რაც ხშირად განცალკევებით წარმოდგენილ ინოვაციურად მოაზრებულ სუბიექტს არ ძალუძს. ამასთან, ინოვაციური გარემოს განვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საფუძველი სათანადო საგადასახადო და ზოგადად ინოვაციის განვითარების სახელმწიფო რეგულირების ინსტრუმენტების არსებობაა. ნ. ღვედაშვილი ხაზს უსვამს მსგავსი ტიპის ინსტრუმენტების გამოყენების აუცილებლობას და მიმოიხილავს ინოვაციის თვალსაზრისით წამყვანი სახელმწიფოების გამცდილებას, კერძოდ, თუ რა სახის ინსტიტუციები და პოლიტიკა აშშ-ს, იაპონიის, გერმანიისა თუ ზოგადად ევროკავშირში ინოვაციური გარემოს ხელშეწყობის მიზნით [3, 47-48].

ინოვაცია და კრეატიულობა აუცილებელი პირობაა ქვეყნის მდგრადი ზრდისა და განვითარებისათვის. სწორედ ამიტომ 2014 წლის 19 თებერვალს საქართველოში შეიქმნა ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო. 2000 წლიდან მოყოლებული, გლობალური ეკონომიკა ყოველწლიურად 3.2%-ით იზრდება, ამ ზრდის მთავარი გასაღები კი ინოვაციებია. ინოვაცია არის გადამწყვეტი წყარო კონკურენციის, ეკონომიკური განვითარებისა და საზოგადოებრივი ტრანსფორმაციის.

სააგენტო მონაწილეობს კერძო და სახელმწიფო სექტორის მიერ ცოდნის, ინოვაციების და კვლევის შედეგების კომერციალიზაციისა და ინოვაციური მეწარმეობის ხელშეწყობაში. სააგენტოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა საინფორმაციო საზოგადოების ფორმირებისთვის აუცილებელი პროექტებისა და პროგრამების სახელმწიფო ერთიანი პოლიტიკის განხორციელების წარმართვა და კოორდინირება.

სააგენტო ხელს უწყობს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებისა და ინოვაციების დანერგვას და გამოყენებას სხვადასხვა სფეროში რათა აამაღლოს მათი ეფექტურობა. განსაკუთრებით კი საფინანსო და ბიზნეს-სექტორში ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვა მათი კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად და მეწარმეობის მიერ ინოვაციური პროექტებისა და დამწყები ბიზნესის დაფინანსების წასახალისებლად.

სააგენტო აქტიურადაა ჩართული ტექნოლოგიური პარკების, ინოვაციების ცენტრების, ინოვაციების ლაბორატორიების, აქსელერატორების და ბიზნეს-ინკუბატორების შექმნასა და მათი განვითარების ხელშეწყობაში. ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს ერთ-ერთ მთავარ მიზანს წარმოადგენს საქართველოში მაღალსიჩქარიანი ინტერნეტის, ელექტრონული კომერციის, დისტანციური მუშაობის, კომპიუტერიზაციის დაჩქარებისა და სხვა ელექტრონული სერვისების განვითარება და გამოყენების ხელშეწყობა.

სააგენტო გახსნილია საერთაშორისო ურთიერთობებისთვისაც. მიზნობრივი პროგრამების და პროექტების მეშვეობით იგეგმება ინოვაციების და ტექნოლოგიების, მათ შორის საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სფეროში მომუშავე საერთაშორისო ორგანიზაციებთან და დონორებთან თანამშრომლობა [5].

ცნობილია ინოვაციური სტრატეგიის სამი ძირითადი მიმართულება:

1. „გადმოტანის“ სტრატეგია – ახალი, კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოების ათვისება საზღვარგარეთულ მეცნიერულ-ტექნოლოგიურ და ინოვაციურ პოტენციალზე დაყრდნობითა და მაღალეფექტიანი ახალი ტექნოლოგიების ლიცენზიების საზღვარგარეთიდან შექმნის გზით;

2. „დასესხების“ სტრატეგია – ინოვაციური ტექნოლოგიური პროდუქციის, რომელიც მანამდე ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებში იწარმოებოდა, წარმოების ათვისება ქვეყნის საკუთარი ინოვაციური პოტენციალის გამოყენებით;

3. „გაძლიერების“ სტრატეგია - ახალი კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოების ათვისება ახალი და უახლესი ტექნოლოგიების, ქვეყნის საკუთარი მეცნიერულ-ტექნიკური და საწარმოო-ტექნოლოგიური პოტენციალის და საერთაშორისო გამოცდილების გამოყენებით [2].

აღნიშნულ სტრატეგიებს შორის საქართველოსთვის ოპტიმალური გზის არჩევა დამოკიდებულია არსებულ სასტარტო პირობებზე. კერძოდ, გასათვალისწინებელია, რომ საქართველოში:

- ინოვაციური საქმიანობის სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის პოლიტიკა დღემდე არ არის გამოკვეთილი;
- არ არსებობს ინოვაციური ინფრასტრუქტურა;

- სახეზეა საწარმოთა ფინანსური რესურსების დეფიციტი;
- ადგილი აქვს ეკონომიკის რეალური სექტორის ცალკეულ დარგთა ტექნოლოგიურ ჩამორჩენილობას, რაც პროდუქტის დაბალ კონკურენტუნარიანობას განაპირობებს;
- განუვითარებელია მცირე ინოვაციური საწარმოები, რომელთაც ბაზრის ცვალებადი გარემოსადმი სწრაფი ადაპტირების უნარი ექნებოდათ.

არსებული პირობებისა და შეზღუდვების გათვალისწინებით, საქართველოსთვის ოპტიმალურ გზას წარმოადგენს „დასესხების“ სტრატეგიის განვითარება, რომელიც შედარებით ნაკლებ ფინანსურ დანახარჯებს მოითხოვს და, ამავე დროს, საკუთარი მეცნიერულ-ტექნოლოგიური პოტენციალის გამოყენებას ეყრდნობა. ამასთან, ზოგიერთ დარგში შესაძლებელია „გაძლიერების“ სტრატეგიის გამოყენებაც, განსაკუთრებით იქ, სადაც საქართველოს მეცნიერულ-ტექნიკურ სფეროში ძლიერი საერთაშორისო პოზიციები გააჩნია.

ინოვაციური განვითარების არჩეული სტრატეგიიდან გამომდინარე, ქვეყანაში ინოვაციური საქმიანობის ხელშეწყობის მიმართულებით გამოყოფილი უნდა იქნეს შემდეგი სახელმწიფო პრიორიტეტები:

1. მეწარმეობის განვითარება მეცნიერულ-ტექნიკურ სფეროში;
2. ისეთი ეკონომიკური და სამართლებრივი გარემოს შექმნა, რომელშიც აქტიურად განვითარდებოდა ინოვაციური პროცესები;
3. ინოვაციური ინფრასტრუქტურის განვითარება (ინოვაციურ-ტექნოლოგიური ცენტრები, ტექნოპარკები, ბიზნესინკუბატორები, ინფორმაციული სისტემები, სპეციალისტების მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სისტემები მენეჯმენტის სფეროში, ინოვაციის მხარდაჭერის სხვადასხვა ფონდები, მათ შორის ვენჩურული ინვესტირება, დაზღვევის და ლიზინგის კომპანიები და ა.შ.).

რაც შეეხება ტექნოლოგიების განვითარების პრიორიტეტულ სფეროებს, საქართველოს დარგობრივი განვითარებისა და საერთაშორისო ტენდენციების გათვალისწინებით, ასეთებად შეიძლება მივიჩნიოთ:

- ინფორმაციული ტექნოლოგიები;
- ეკოლოგიურად სუფთა საკვები პროდუქტების დამზადების ტექნოლოგიები;
- სამედიცინო ბიოტექნოლოგიები;
- ახალი მასალების მიღების ტექნოლოგიები;
- არატრადიციული ენერჯეტიკის ტექნოლოგიები;
- მიკრონანოსისტემების და ნანოტექნოლოგიების განვითარების სამრეწველო ტექნოლოგიები;
- ბუნებრივი რესურსების მოპოვებისა და გადამუშავების მაღალეფექტიანი ტექნოლოგიები.

აღნიშნული ჩამონათვალი შესაძლებელია მომავალში კიდევ უფრო გაფართოვდეს ტექნოლოგიური სფეროს განვითარებისა და ამ სფეროში სიახლეთა შედარებითი უპირატესობების გამოკვეთის პროცესში [2].

გამოყენებული ლიტერატურა

1. მექვაბიშვილი ე., დამწვევი განვითარების სტრატეგია და საქართველოს ეკონომიკის მომავალი, ჟურნ. „ეკონომიკა და ბიზნესი“, №1, 2012.
2. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამა, თბ., 2011.
3. ლვედაშვილი ნ., ინოვაციური საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების საზღვარგარეთული გამოცდილება, ჟურნ. „ბიზნესი და ეკონომიკა“, თბ., 2012.
4. Green Paper on Innovation, European Commission, The Innovation Programme, DG XIII, Luxemburg, 1996.
5. <http://gita.gov.ge/ge/agency/about-gita>.
6. <http://www.dallasfed.org/assets/documents/fed/annual/1999/ar96.pdf> , The Economy at Light Speed Technology and Growth in the Information Age - And Beyond, Annual Report, Federal Reserve Bank of Dallas, 1996.
7. <http://www.reading.ac.uk/LM/LM/fulltxt/0600.pdf> Hart D.A., *Innovation Clusters: Key Concepts*, Department of Land Management and Development, and School of Planning Studies, the University of Reading, UK., 2000.

Giga Tsiskaridze

ECONOMIC INSTRUMENTS FOR INNOVATIVE SYSTEM FUNCTIONING Annotation

In the thesis are represented economic instruments for functioning of innovative system. Summarily is formed the idea of innovation, economic instruments of innovative functioning, its positive and negative sides and the ways for eradication of drawbacks.

მარკეტინგის მართვის კონცეფციების დამახასიათებელი თავისებურებები და მათი პრაქტიკული გამოყენების საკითხები

მარკეტინგი, როგორც პროდუქციის წარმოებისა და გასაღების ორგანიზების კომპლექსური სისტემა, ორიენტირებულია კონკრეტული მომხმარებლების მოთხოვნილებების დაკმაყოფილებასა და მოგების მიღებაზე ბაზრის გამოკვლევისა და პროგნოზირების, აგრეთვე სპეციალური მარკეტინგული პროგრამების საშუალებით ბაზარზე ქცევის სტრატეგიებისა და ტაქტიკის შემუშავების საფუძველზე. მეცნიერების უმრავლესობა აღიარებს, რომ მარკეტინგი – ესაა ადამიანის საქმიანობის ფორმა, რომელიც მიმართულია გაცვლის მეშვეობით მომხმარებლის მოთხოვნილების დაკმაყოფილებისკენ. ფილიპ კოტლერი კი აღნიშნავს, რომ მარკეტინგი სრულებითაც არ არის ევკლიდისეული გეომეტრია, სადაც ყველაფერი ზუსტად სისტემატიზებულია თეორემებისა და აქსიომების საფუძველზე [4, გვ.174].

მარკეტინგის ამერიკული ასოციაცია გვთავაზობს ასეთ განმარტებას: მარკეტინგული მენეჯმენტი – ესაა დაგეგმვის და რეალიზაციის, საფასო პოლიტიკის, საქონლის, მომსახურების და იდეის შექმნის და განვრცობის ერთიანი კონცეფცია, რომელიც მიმართულია როგორც ინდივიდუალური, ასევე ორგანიზაციული მოთხოვნილების (მიზნების) დაკმაყოფილებისაკენ გაცვლის მეშვეობით. გასაღების პროცესების მართვა მოითხოვს მარკეტინგის როგორც მეცნიერული დისციპლინის კონცეფციის შესწავლას.

თანამედროვე მარკეტინგის არსებითი ასპექტია არა მოთხოვნილების ან კიდევ საჭიროების შესწავლა, არამედ მოთხოვნის შესწავლა და მისი მაქსიმალური გათვალისწინება პროდუქციის (მომსახურების) წარმოების პროცესში. საქონლის რეალიზაციის პრობლემის გამწვავებამ მოითხოვა ბაზრის კომპლექსური გამოკვლევა და ბაზრის მოთხოვნებისადმი წარმოების (ბიზნესის) დაქვემდებარება, შესაბამისად გაჩნდა მარკეტინგული მართვის კონცეფციის ჩამოყალიბების აუცილებლობა. ზოგადად, კონცეფცია – ეს არის შემეცნების განსაზღვრული მეთოდი, ნებისმიერი მოვლენის განვითარების ინტერპრეტაცია დასაბუთებული შესჯდულებებით, ასე ვთქვათ გენერალური გეგმა, ამა თუ იმ მეცნიერების კონსტრუქციული პრინციპი, ერთმანეთთან დაკავშირებული და ერთმანეთისგან გამომდინარე შესჯდულებათა კომპლექსი. მარკეტინგული მართვის კონცეფცია კი შეიძლება ამგვარად ჩამოვაყალიბოთ – ეს არის ბაზრის მოთხოვნაზე ორიენტირებულ შესჯდულებათა სისტემა, რომლის შესაბამისადაც კომპანიებმა უნდა წარმართონ თავიანთი საქმიანობა.

მარკეტინგის მართვის კონცეფცია ემყარება ხუთ მიდგომას, რომელიც განიხილება დამოუკიდებელ კონცეფციებად. მარკეტინგული საქმიანობის წარმართვის საფუძველად საწარმოს შეუძლია აირჩიოს ერთ-ერთი. თუმცა ეს არ ნიშნავს სხვა კონცეფციის უგულებელყოფას. მარკეტინგის მართვის კონცეფციებია:

1. წარმოების სრულყოფის კონცეფცია, რომლის მიხედვით განხორციელებულია მართვით პროცესები, ანუ წარმოებაზე ორიენტაცია – უპირატესობას ანიჭებს ადვილად ხელმისაწვდომ და იაფ საქონელს. ეს კონცეფცია უპირატესად გამოიყენება ორ შემთხვევაში. პირველი – როცა მოთხოვნა საქონელზე აღემატება მიწოდებას. მეორე, ძალიან მაღალია საქონლის თვითღირებულება. ჩარლზ ფეტლერი, ამერიკელი კომერციის სპეციალისტი, ამტკიცებს, რომ მართვის ეს კონცეფცია წარმოქმნა სამრეწველო რევოლუციამ, როცა მოხდა სამრეწველო ტექნოლოგიის, ფაბრიკა-ქარხნების განვითარება, რამაც განაპირობა წარმოების მოცულობის ზრდა ისე, რომ მომხმარებლის მოთხოვნილებას არანაირი ყურადღება არ ენიჭებოდა. ამან გამოიწვია ბაზრის გაჯერება საქონლით და კომპანიები დადგნენ გასაღების პრობლემის წინაშე.

სწორედ ამ კონცეფციას იყენებდა ჰენრი ფორდი აგტომობილ „ფორდ ტ“-ს შემუშავების დროს. ასევე მოიქცა ამერიკული ფირმა „Texas Instrument“, რომელიც მუდმივად ცდილობდა საკუთარი ტექნოლოგიის სრულყოფას საწარმოო დანახარჯების შემცირებით და ამით ამცირებდა ფასს წარმოებულ პროდუქციაზე. ამ მეთოდით ფირმამ კალკულატორების ამერიკულ ბაზარზე წამყვანი ადგილი დაიკავა, მაგრამ ფირმის ამ პოლიტიკამ სხვა შედეგი მიიღო მაჯის საათებთან მიმართებაში, კერძოდ, მომხმარებლებმა იგნორირება გაუკეთეს იაფფასიან საათებს. ეს არის იმის ნათელი მაგალითი, რომ კომპანიამ უნდა გაატაროს კომპლექსური მარკეტინგული მიდგომა, რათა არც ერთი კომპანიის მიერ წარმოებული საქონელი არ დაზარალდეს, ასევე მუდმივად უნდა გვახსოვდეს, რომ ერთი მარკეტინგული კონცეფცია წარმატებისთვის საკმარისი არ არის. ამჟამად კომპანია იყენებს კომპლექსურ მარკეტინგულ მიდგომას. კომპანიის სლოგანია „იფიქრე ინოვაციურად“ [17], რაც გამოდგება ნებისმიერი ფირმის სლოგანად ბაზარზე წარმატების მოსაპოვებლად თუ შევიტანთ მცირე კორექტირებას – „იფიქრე და იმოქმედე ინოვაციურად“.

2. საქონლის სრულყოფის კუთხით განხორციელებული მართვითი პროცესების კონცეფცია გულისხმობს საქონლის თვისებების მაქსიმალურ სრულყოფას, გაუმჯობესებას, ამავდროულად, აუცილებელია არ დავივიწყოთ მომხმარებელთა მოთხოვნები. ეს კონცეფცია უფრო მეტად შეესაბამება ისეთ ბაზარს, სადაც მიწოდება აღემატება მოთხოვნას.

3. ბაზარი დროთა განმავლობაში ივსებოდა როგორც კარგი, ასევე მრავალფეროვანი საქონლით, მწარმოებლები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ მომხმარებელი უფრო უკეთ იყიდის იმ

საქონელს, რომლის სამომხმარებლო თვისებებშიაც ისინი უფრო მეტად არიან გათვითცნობიერებული. ამან კი განაპირობა კომერციული ძალისხმევისა და გასაღების სტიმულირების მართვის კონცეფციის განვითარება. ეს კონცეფცია განსაკუთრებით გამოიყენება პასიური მოთხოვნის საქონლის რეალიზაციისას, ჩაწოლილი და ძნელად სარეალიზაციო საქონლის გასაღებისათვის საჭირო სამუშაოების განხორციელებისას. ეფექტურია მისი გამოყენება არჩევნების დროს, როცა კანდიდატები ძაღლდნენ არ იშურებენ საარჩევნო ბატალიების დროს. ეს კონცეფცია, გარკვეულწილად, არის მომხმარებელზე „ფსიქოლოგიური ზემოქმედება“ გამყიდველის მხრიდან. საქართველოში მისი გამოყენება დაიწყო „ჰერბოლაინმა“ 90-იან წლებში. გამყიდველების ზედმეტად ხისტმა დამოკიდებულებამ მომხმარებლებთან ნეგატიური შედეგი გამოიღო, რადგან გამყიდველები ვერ ფლობდნენ მომხმარებლებთან ურთიერთობის სათანადო ცოდნას და გამოცდილებას. ცნობილია, რომ მომხმარებელი გამყიდველის არასწორი ქცევის გამო უარს იტყვის საქონლის შეძენაზე. ეს კონცეფცია ამართლებს, თუ კომპანიის მიერ აქტიურად იქნება გამოყენებული კეთილგანწყობილი რეკლამა და საქონლის გაყიდვის შემდგომი რეკლამა.

4. უშუალოდ მარკეტინგის მართვის კონცეფცია, ანუ უშუალოდ ბაზარზე ორიენტაცია – ეს შედარებით ახალი მიდგომაა, ამ კონცეფციის მიხედვით საჭიროა ბაზრის ყოველმხრივი შესწავლა და მომხმარებელთა მოთხოვნის მაქსიმალურად გათვალისწინება. ამ დროს საქონლის ნაცვლად აქცენტი კეთდება მომხმარებელთა მოთხოვნაზე. ხდება ისე, რომ კომერციული ძალისხმევის ინტენსიფიკაციას და მარკეტინგი კონცეფციას აიგივებენ ერთმანეთთან. ეს ასე არ არის, რადგან პირველ შემთხვევაში ყურადღების ცენტრშია საქონელი, მაშინ, როდესაც მარკეტინგული კონცეფციის დროს ყურადღების ცენტრშია მიზნობრივი კლიენტურა თავისი მოთხოვნით. ფირმა, რომელიც გადადის მარკეტინგულ კონცეფციაზე, ცვლის ყურადღების ობიექტს. თუკი წინა კონცეფციაში ფირმა ფოკუსირებული იყო მწარმოებლის მოთხოვნილებაზე, რაც გამოსატყობდა ტექნოლოგიური პროცესების სრულყოფით, წარმოების დანახარჯების შემცირებით და ა.შ. მარკეტინგის კონცეფცია ფოკუსირებულია მომხმარებლის მოთხოვნასა და მოთხოვნილებაზე. როგორც ცნობილია, ფირმა მაკდონალდსი, კარგად გაერკვა მომხმარებელთა მოთხოვნილებაში, დაადგინა, რომ მომხმარებელს სჭირდება სწრაფი და გემრიელი სადილი, მისი დევიზია „ხარისხი, სერვისი და სისუფთავე“ – ვთვლი რომ წარმოების ამ სფეროსთვის საკმაოდ მოკლე, ლაკონური და სწორი სლოგანია მომხმარებლის მოსახიდად. შედეგიც სახეზეა და რამდენიმე ათეული წელია, რაც ეს სლოგანი განაპირობებს ფირმის წარმატებას.

5. სოციალურ-ეთიკური მარკეტინგის მართვის კონცეფცია შედარებით ახალია და ამ კონცეფციამ ერთმანეთს დაუკავშირა საწარმოს, მომხმარებლების და მთელი საზოგადოების ინტერესები. ეს კონცეფცია 21-ე საუკუნის დასაწყისის ყველაზე მოდური თემაა. საზღვარგარეთ და ჩვენშიც ბევრი საწარმო ამ კონცეფციას არ ექვემდებარება. ამის შედეგია ეკოლოგიური პრობლემები, ადამიანის ჯანმრთელობისათვის საშიში კვების პროდუქტების წარმოება, ბუნებრივი რესურსების გაჩანაგება. კომპანიები იმგვარად უნდა მოიქცნენ, როგორც მისგან მოითხოვს საზოგადოება. კომპანიებისთვის მთავარია არა მხოლოდ მოგების მაქსიმიზაცია, არამედ უფრო მნიშვნელოვანია ბიზნესის გადარჩენა და სოციალური საჭიროებების დაკმაყოფილება. ამგვარად სოციალურ-ეთიკური მარკეტინგი აბალანსებს სამ ფაქტორს – ფირმის შემოსავალი, მყიდველთა მოთხოვნები და საზოგადოების ინტერესი.

ეს არის მარკეტინგის ხუთი ძირითადი კონცეფცია, თუმცა იან გორდონი ამატებს მარკეტინგის მეექვსე – პარტნიორული ურთიერთობების მართვის კონცეფციას, რომლის მნიშვნელოვანი თეზისია ის, რომ კომპანიისთვის მთავარია არა ძირითადი ფონდები (შენობა-ნაგებობები, მანქანა-დანადგარები და ა.შ.), საქონელი, სასაქონლო მარკა, პატენტები, ნოუ-ჰაუ, ადამიანური რესურსები მათი ინტელექტუალური პოტენციალით, არამედ მთავარია პარტნიორული ურთიერთობები. ზემოთ ჩამოთვლილისგან განსხვავებით კარგი პარტნიორული ურთიერთობებია კომპანიის ხანგრძლივი სიცოცხლისუნარიანობის გარანტია, ამ დროს დაბალია რისკის ხარისხი, ხანგრძლივადიან პერსპექტივაში მოგების ზრდის შესაძლებლობა. პარტნიორული ურთიერთობების მარკეტინგული კონცეფცია განიხილება, როგორც კლიენტებთან ერთად საქონლის სამომხმარებლო თვისებების სრულყოფის და ახალი ფასეულობების შექმნის უწყვეტი პროცესი, ამის შემდგომ მოგების ერთობლივი მიღება და სამართლიანი გადანაწილება. ურთიერთობის ამგვარი ფორმა ყალიბდება პროცესში მონაწილეებს შორის, ამ კონცეფციით, ჩვეულებრივი მომხმარებელი, რომელიც მოიხმარს ფირმის მიერ წარმოებულ საქონელს, თუ მონაწილეობას მიიღებს ამ საქონლის სრულყოფის პროცესში ან შექმნის სრულიად ახალ საქონელს შეიძლება გახდეს ამ კომპანიის პარტნიორი. ამ კონცეფციის სრულყოფა ნიშნავს იმას, რომ ფირმა მუდმივად უნდა თანამშრომლობდეს თავის მომხმარებელთან, თუმცა აქ ისიც უნდა გაითვალისწინოთ, რომ პარტნიორები შეიძლება გახდნენ როგორც ფიზიკური პირები, ასევე კერძო პირები – სატრანსპორტო კომპანიები, ნედლეულის მიმწოდებლები, შუამავლები და ა.შ.

შემდეგი კონცეფცია - ეს არის ღირებულებაზე ორიენტირებული მარკეტინგის მართვის კონცეფცია, რომელიც დაკავშირებულია პიტერ დოილთან, ამ კონცეფციის თანახმად, მარკეტინგის დანიშნულებაა კომპანიის აქციონერული ღირებულების მაქსიმიზაცია, რაც, საბოლოო ჯამში ზრდის ინვესტორებიდან მიღებულ შემოსავალს. ამის მიღწევა შესაძლებელია მარკეტინგული

სტრატეგიის დაფუძნებით და ფინანსური კატეგორიების და მახვენებლების შესახებ ოპერატიული გადაწყვეტილებების მიღებით. თუკი კომპანია გაზრდის ღირებულებას საკუთარ აქციაზე, მაშინ მას მოუწევს უფრო მეტი დივიდენდის გადახდა ვიდრე ადრე, შესაბამისად, იზრდება აქციის ღირებულება, კომპანიის ავტორიტეტი მყიდველებს, მიმწოდებლებს და შეამავლებს შორის, სხვა სიტყვებით, გამყარდება პარტნიორული ურთიერთობებიც.

აქციონერული ღირებულების მაქსიმიზაცია არ უნდა გაავივიოთ მოგების ზრდასთან. მცირედი მოგების მიღებაც კი მოითხოვს ოპერატიული გადაწყვეტილების მიღებას, რომელიც ორიენტირებული იქნება წარმოების დანახარჯების და ინვესტიციების შემცირებასთან, ორგანიზაციული სტრუქტურის გამარტივებასთან – შესაბამისად მართვაზე დანახარჯების შემცირებასთან. მოგების ტრივიალური ზრდა ვერანაირად იქნება დაკავშირებული მარკეტინგის ხანგრძლივადიან პროგრამასთან. აქციონერული ღირებულების ზრდის მარკეტინგული კონცეფცია კი, პირიქით, მიმართულია არა მხოლოდ მოკლევადიანი პერიოდის მოგების ზრდაზე, არამედ მიზნად ისახავს კომპანიის საქმიანობის ხანგრძლივადიან პერიოდს. ეს მოითხოვს მარკეტინგული სტრატეგიის განსაკუთრებულ მიდგომას, რაც დაფუძნებული უნდა იყოს აქციონერულ ღირებულებაზე, რომ კომპანიის ღირებულება შესაძლებელია გაიზარდოს მხოლოდ მაშინ, როდესაც მარკეტინგული გადაწყვეტილებები და მოქმედებები მომავალში გამოიწვევს კომპანიის ფულადი ნაკადების ზრდას. ამრიგად, კომპანიის აქციონერული ღირებულების ზრდას მხოლოდ დანახარჯების ზრდა არ იწვევს, ძირითადად აღმოცენდება ბაზარზე ახალი შესაძლებლობების გაჩენის დროს.

ამრიგად, ჩემ მიერ განხილულ თითოეულ კონცეფციას აქვს განვითარების თავისებური ფორმა, რაც მისაღებაა ქართული კომპანიებისთვისაც. თუ რომელს მიანიჭებენ ჩვენში უპირატესობას, დამოკიდებულია კომპანიის საქმიანობაზე, წარმოებულ საქონლზე, ბაზრის სპეციფიკაზე, რეალიზაციაზე, კონკურენტთა მოქმედებაზე, აღმასრულებელ ხელისუფლებაზე და ა. შ. თუმცა ერთ კომპანიას შეუძლია ერთდროულად სხვადასხვა კონცეფციის გამოყენება. ნიშანდობლივია ის, რომ საქართველოში უფრო მეტად იყიდება ის საქონელი, რომელიც ჩვენს საწარმოებში იწარმოება უკვე არსებულ ინფრასტრუქტურებში, აქ კი რთულია გვერდი აუარო კომერციული ძალისხმევისა და გასაღების სტიმულირების კონცეფციას. ეს კონცეფცია აუცილებელია, როგორც მინიმუმ იმ საქონლის რეალიზაციისათვის, რომელიც უკვე წარმოებულია და მისი გასაღება გართულებულია.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აბრალავა ა. ეკონომიკისა და ბიზნესის გლობალურ-ინოვაციური პრობლემები თბ., 2014.
2. შუბლაძე გიორგი, საბაზრო ეკონომიკის აქტუალური საკითხები, თბილისი, 2004.
3. КотлерФ. Маркетинг-менеджмент. Пер. сангл. М., 2005.
4. Котлер Ф. Маркетинг от А до Я. Пер. с англ. 5-е издание М., 2013.
5. Романова А.Н. Маркетинг, Москва, 1998.
6. Герчикова И.Н. Маркетинг и международное коммерческое дело. Москва 1990;
7. Черчилль Г., Браун Т. Маркетинговые исследования. 5-е изд. Питер, 2007.
8. А. В. Короткова, И.М.Синяева. Управление маркетингом, М., 2005.
9. Фатрелл Ч. Основы торговли, пер. С англ. Левкина Н.А. Издательство:Нева, 2004.
10. Гордон Ян Х. Маркетинг партнерских отношений: Пер. с англ. — СПб.: Питер, 2001. — 379 с.: ил. — (Сер.: Маркетинг для профессионалов).
11. Peter D. Bennett, ed., Dictionary of Marketing Terms, 2nd ed. (Chicago: American Marketing Association, 1995).
12. <http://library.iliauni.edu.ge>
13. Marketing Management, Millennium Edition; Philip Kotler; Custom Edition for University of Phoenix. 2002;
14. <http://geoeconomics.ge/>
15. <http://www.nplg.gov.ge>
16. http://deming.ru/Books/Vihod_Iz_Krizis.htm
17. https://en.wikipedia.org/wiki/Texas_Instruments

Ann Tsulaia

CHARACTERIZATION OF MARKETING MANAGEMENT CONCEPTS AND THEIR PRACTICAL APPLICATION

Annotation

In times of market economy all main problems connected with supply and demand are solved on enterprise (firm) level. Those countries where market economy is already formed have great experience in this aspect. This is practical and theoretical system of manufacturing and selling goods, also known as marketing. In this work there is given the analysis of types and conceptions of marketing as a profound branch of science. Knowledge of these conceptions is necessary for successful work of our enterprises (firms) in trade relations. But to take models from foreign experience and use them directly without consideration is not correct. It is necessary to work out national (Georgian) conceptions of marketing on the basis of existing experience. Such conceptions will correspond to real situation of national firms functioning, stipulated by our country climate, traditions, consumers' psychological mood and other factors.

Using marketing is very important in international economic relations. Successful business of national enterprises on world market depends on marketing research of such market. It is also important to study all main ways of dealing with competitors, to know their strong and weak sides and other factors and to consider them during research.

Therefore, studying marketing better and using it in practical life will help businessmen – manufacturers (engineers, technicians, and designers), trade, service and advertisement sector and also enterprise managers to solve different kinds of problems successfully.

მარიამ ხაჩიძე

**საბანკო სისტემა და თანამედროვე ეკონომიკური კრიზისი
(გლობალური და ლოკალური რეაქციები)**

თანამედროვე მსოფლიოში საბანკო სისტემა ეროვნული ეკონომიკის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს, იგი ქვეყნების ეკონომიკური განვითარების პროცესში ცენტრალური ნაწილია. საფინანსო-საბანკო სისტემა მჭიდრო კავშირშია და ფაქტობრივად გადაჯაჭვულია ეკონომიკის ყველა დარგთან და, შესაბამისად, უმნიშვნელოვანესია მისი როლი ფულის მიმოქცევის, კაპიტალ-დაბანდების, როგორც ინდივიდუალური, ისე კორპორაციული ბიზნესის დაკრედიტების მიმართულებით. ზოგადად, შეიძლება ითქვას, რომ საბანკო სისტემის როლი უმნიშვნელოვანესია თავისუფალი სახსრების მიზანმიმართული გამოყენების, ფულადი კაპიტალისა და რესურსების გადანაწილების საქმეში.

XX–XXI საუკუნის მიჯნაზე საბანკო სექტორი განვითარების მკვეთრად განსხვავებული ტენდენციით ხასიათდება. აღნიშნული კი შედეგია იმ ღრმა ცვლილებებისა, რაც თან ახლდა საერთაშორისო არენაზე პროცესების განვითარებას. ეს ცვლილებები მოიცავდა: ფულის, როგორც მთავარი დომინანტის დამკვიდრებას საერთაშორისო ფულად ბაზრებზე; ლიკვიდურობის პრინციპებისა და რისკების მართვის სტრატეგიის შემუშავებას და დანერგვას; ფინანსური ბაზრების გახსნას და ღია საბაზრო სისტემაზე გადასვლას საერთაშორისო მასშტაბით, ისევე, როგორც ცვლილებებს შრომის საერთაშორისო დანაწილების პროცესში;

„ჩაკეტილი ჩარჩოებიდან“ ეკონომიკური წყობილება გადავიდა ლიბერალურ სისტემაზე და მოხდა ე.წ. „ლიბერალური კაპიტალიზმის“ ჩამოყალიბება თანამედროვე ეკონომიკურ სისტემაში [2]. მისი ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშან-თვისება გახდა ფულადი კაპიტალის მოძრაობა მსოფლიო ბაზრებზე. „ეს ნაკადები განსხვავდებიან ფორმის ერთიანობით (როგორც წესი, ფულადი ფორმით, საფინანსო-საკრედიტო ინსტრუმენტების სახით) და ადგილით (ბაზარი), საბაზრო ურთიერთობის სფერო არის მსოფლიოს სავალუტო, საკრედიტო და საფინანსო ბაზრები, აგრეთვე ოქროს ბაზრები. საბაზრო ურთიერთობების ეს სისტემა უზრუნველყოფს მსოფლიო ფინანსური ნაკადების აკუმულაციას და გადანაწილებას წარმოების უწყვეტობისა და ეფექტიანობის მიღწევის მიზნით. მსოფლიო ფინანსური ნაკადების მოძრაობა კი ხორციელდება ბანკების, სპეციალიზებული საფინანსო ინსტიტუტებისა და საფონდო ბირჟების მეშვეობით“ [2].

საინვესტიციო, საანაბრო და სხვადასხვა ტიპის კომერციული ოპერაციები; მოწვესრიგებული ფულად-საკრედიტო, მონეტარული და სამეცნიერო პოლიტიკა; ფულადი სახსრების მოძრაობა როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ; როგორც ნაღდი, ისე უნაღდო საგადახდო და საანგარიშსწორებო ოპერაციები; მაკროეკონომიკური მანევრებლების გაუმჯობესება [6] – ეს იმ ძირითადი მიმართულებების ჩამონათვალია, რომელსაც დადებითი ეფექტის მოხდენა შეუძლია როგორც კონკრეტულად საბანკო და ბიზნესსექტორზე, ისე მთლიანად ეკონომიკური ზრდის ტემპებზე.

თანამედროვე საბანკო-საფინანსო ინსტიტუტების ფუნქციებიდან აღსანიშნავია: თავისუფალი ფულადი სახსრების მობილიზება (ანაბრების, ინვესტიციების სახით) და მისი გარდაქმნა კაპიტალად, ისევე, როგორც კაპიტალის მოზიდვა და დანაზოგების სტიმულირება; მედიატორის ანუ შუამავლის ფუნქცია ფულად-საკრედიტო ურთიერთობებსა და ოპერაციებში; საგადახდო-საანგარიშსწორებო ცენტრალიზებული სისტემის ქონა და ეფექტური ფუნქციონირების უზრუნველყოფა [1].

საერთაშორისო გლობალურმა პროცესებმა, ზემოაღნიშნული ფინანსური ბაზრების ლიბერალიზაციამ, ფულადი ნაკადების საერთაშორისო მოძრაობამ გამოიწვია ისეთი საერთაშორისო ორგანიზაციების წარმოქმნა, როგორცაა: საერთაშორისო სავალუტო ფონდი, მსოფლიო ბანკი (იგივე რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი, შექმნილი II მსოფლიო ომის დროს ბრეტონ ვუდსში 1944 წელს), რომელიც შეიქმნა ევროპის ხელახალი აშენებისათვის საჭირო თანხების მობილიზებისა და მსოფლიოს დაცვისათვის მომავალი ფინანსური დეპრესიისგან. ასევე, ანალოგიური მიზნისათვის მოხდა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის შექმნა. ეს არის თანამედროვე მსოფლიოში იმ წამყვან საერთაშორისო ორგანიზაციათა ბირთვი, რომლებიც წარმართავენ გლობალიზაციის პროცესს.

აღსანიშნავია ის სამი ძირითადი მიმართულება, რომელიც, საერთაშორისო ვითარებიდან გამომდინარე, XX ს-ის ბოლოდან გამოიკვეთა და რომელიც არჩევანისა და პოლიტიკის თავისუფლებას

განსაზღვრავდა. ეს იყო: **მკაცრი ფისკალური პოლიტიკა, პრივატიზაცია** და, როგორც არაერთხელ აღვნიშნეთ, **-ბაზრების ლიბერალიზაცია.**

დასახელებულმა პროცესებმა მსოფლიოში ბევრი დადებითი ეფექტი მოიტანა, რომელთა შორის გამოირჩევა: კარგი განათლების მიღების შესაძლებლობა, ახალი ტექნიკა-ტექნოლოგიების დანერგვა, საზღვრების გახსნის შედეგად საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობების და ახალი ბაზრების ათვისების შესაძლებლობები. თუმცა, ის ძირითადი მისია, რომელიც სიღარიბის მასშტაბების შემცირებას ისახავდა მიზნად, ვერ შესრულდა. XX საუკუნის მიწურულს აზიაში დაწყებული კრიზისი ლოკალურ არეალს გახსნა და მსოფლიო ეკონომიკაზეც კი იქონია ზეგავლენა[4]. ისეთი დიდი ქვეყანაც კი, როგორც რუსეთია, არნახული სიღარიბის წინაშე აღმოჩნდა.

გამოიკვეთა, რომ მკაცრი მონეტარული პოლიტიკის გატარება განვითარებად ქვეყნებში, სადაც ცუდად იყო განვითარებული საბანკო სისტემა, იყო არასწორი ეკონომიკური პოლიტიკის შედეგი. მსოფლიო ორგანიზაციის მოთხოვნით, აღნიშნული ქვეყნები იძულებულნი გახდნენ, წასულიყვნენ ბაზრის სწრაფი გახსნის რისკზე, რამაც გაზარდა რისკები: ქვეყანაში მომხდარიყო უკონტროლო შემოსვლა და გადინება ე.წ. ცხელი ფულის, რაც ეკონომიკისათვის დამანგრეველი დარტყმა აღმოჩნდა.

ფაქტობრივად იგივე მოხდა პრივატიზაციის შემთხვევაში, როდესაც სავალუტო ფონდის მოთხოვნით უპირატესობა მიენიჭა პრივატიზაციის სწრაფად ჩატარების პროცესს. აღნიშნული კი მაშინ განხორციელდა, როდესაც ორგანიზაციათა მატერიალურ-ტექნიკური ბაზები, მათი მარეგულირებელი მექანიზმები არ იყო მზად აღნიშნული ცვლილებებისთვის მათ არ ჰქონდათ შესაბამისი ინფრასტრუქტურა, უსაფრთხოების სტრატეგია თუ კრიზისული ვითარების მართვის პოლიტიკა. შედეგად შესაბამისად კრიზისული დადგა.

ასევე, ფინანსური კრიზისის ერთ-ერთი წინაპირობა გახდა ბაზრების ლიბერალიზაციის დაჩქარებული პროცესი.

გარდა ზემოქანმოთვლილი მიზეზებისა, რომლებთანაც დაკავშირებულია მსოფლიო ფინანსური კრიზისი, კიდევ ერთი ძალიან მნიშვნელოვანი საკითხი დარჩა უყურადღებოდ. ეს იყო უყურადღებობა საფინანსო სექტორის რეგულაციის პრაქტიკის არარსებობის მიმართ, ისევე, როგორც მისით გამოწვეული ინფლაციური პროცესების მიმართ.

არასათანადო დამოკიდებულებამ საფინანსო სექტორის მიმართ მაღალი საპროცენტო განაკვეთებისა და ვალუტის მაღალი კურსის ფორმირება გამოიწვია, რასაც ლოგიკურად ეკონომიკური ზრდისა და ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ს ზრდის ნაცვლად ეკონომიკური განვითარების შენელება და უმუშევრობის ზრდა მოჰყვა. აღნიშნულმა ვითარებამ ფინანსური კრიზისის გაღრმავება გამოიწვია არა მარტო აზიის ქვეყნებში, არამედ კოლდფსამდე მიიყვანა, როგორც აღვნიშნეთ, რუსეთის ეკონომიკა.

რთულ ვითარებაში აღმოჩნდნენ გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნები – ბალტიის ქვეყნები, სადაც ჩამოყალიბების პროცესში იყო ორდონიანი საბანკო სისტემა, მიმდინარეობდა პიპერინფლაციური პროცესები და შეინიშნებოდა წარმოების პროცესის საგრძნობი შემცირება.

განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა საბანკო სექტორი, რომელსაც დიდი სირთულეები შეუქმნა ზოგადად გაუარესებული სოციალური ყოფის ფონზე ძალზე სწრაფად განვითარებულმა ინფლაციურმა პროცესებმა.

ძალზე სწრაფად უფასურდებოდა ბანკების კაპიტალი და აქტივები. პრობლემა შექმნა ასევე ე.წ. „გაფუჭებული სესხების“ რაოდენობრივი მაჩვენებლის ზრდამ. აღნიშნული ვითარების გამო მაგ., უნგრეთში, ჩეხეთსა და სხვა ქალაქებში აუცილებელი გახდა სახელმწიფო დონის ჩარევა.

აღნიშნულმა მიზეზებმა განაპირობა ძირითადად ბანკების მიერ მაღალი საპროცენტო განაკვეთების ფორმირება. სესხებით სარგებლობას ახერხებდნენ მხოლოდ სპეკულაციური ფინანსური ოპერაციებით დაკავებული პირები, რაც უცხოურ ვალუტაზე გაზრდილი მოთხოვნის პროვოცირებას ახდენდა და ნიადაგს ქმნიდა ადგილობრივი ვალუტების გაუფასურებისათვის.

ბალტიის ქვეყნების მსგავსად, რთული გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა საქართველოს საბანკო სისტემაც, რომელზეც კრიზისის ზეგავლენა, მართალია, ნაკლებად მტკივნეულად განხორციელდა, მაგრამ შემდგომი მოვლენების განვითარებამ, რაც დაკავშირებული იყო 2008 წლის აგვისტოს ომთან, ინვესტიციების კლებასთან და შემდგომ პერიოდებში უკვე ეროვნული ვალუტის გაუფასურებასთან, მნიშვნელოვანი პრობლემები შეუქმნა ქვეყანას. მიზეზები, რომელიც ფინანსურ ინსტიტუტებში შექმნილ კრიზისს უკავშირდება, მოიცავს: ჭარბ დაკრედიტებას და საბანკო პორტფელის გაორმაგებულ ზრდას, ისეთს, როგორსაც ეკონომიკის ტემპი და მშპ-ს ნიშნული არ შეესაბამება; არასაკმარის მენეჯერულ გამოცდილებასა და უნარებს; გაწვეულ დაუბალანსებელ და მაღალი რისკის შემცველ ოპერაციებს; არაკორდინირებულ მუშაობას შიდა სტრუქტურულ ერთეულებს შორის; სუსტი კონტროლის ან საერთოდ კონტროლის მექანიზმის არარსებობას საბანკო სექტორში და ა.შ.

თუმცა, აუცილებელია, ჭარბი საბანკო დაკრედიტების პროცესში ერთი მნიშვნელოვანი დეტალი აღინიშნოს: ჭარბი კრედიტების გაცემა გარკვეულწილად განაპირობა დიდი ოდენობით უცხოური ფულის შემოდინებამ და კაპიტალდაბანდებითმა პროცესებმა ქართულ საბანკო სექტორში. უცხოური სააქციო კაპიტალის ზრდამ, მოწინავე ტექნოლოგიების, პრაქტიკის და თანამედროვე,

საერთაშორისო სტანდარტების ქართულ რეალობაში გადმოტანამ გარკვეული დადებითი ეფექტები მოახდინა საფინანსო სექტორის განვითარებაში.

მიუხედავად დადებითი ძვრებისა, საერთო მდგომარეობა, რომელშიც საქართველოს ეკონომიკა და საბანკო სისტემა აღმოჩნდა, ძალზე რთულია. საერთაშორისო თანამეგობრობისა და მსოფლიო ფინანსური ინსტიტუტების მიერ გაწეული 4.5 მლრდ დოლარიანი დახმარების შედეგად შესაძლებელი გახდა ეროვნული კურსის მცირე დროით გამყარება, თუმცა ინვესტიციების კლება 2009-2010 წლებიდან, სამომხმარებლო ფასების ინდექსის ზრდამ, რომელიც ბოლო მონაცემებით 2014 წლის I კვარტალში 173 ერთეულამდეა [3]. გაზრდილი და ინფლაციის მაღალმა მაჩვენებელმა, კრიზისული ვითარებიდან გამოსვლის შესაძლებლობა შეაფერხა.

სხვა ქვეყნებთან შედარებით, ქართულ ბანკებში კვლავ მაღალია სესხებზე საპროცენტო განაკვეთები. ბალტიის ქვეყნების, კონკრეტულად კი ლატვიის საბანკო სექტორის მდგომარეობას რომ გადავხედოთ, ვნახავთ, რომ ყველაზე მაღალი საპროცენტო განაკვეთები, რომელიც სამომხმარებლო სესხებს აქვს – მხოლოდ 7%-ს აღწევს, ხოლო იპოთეკური დაკრედიტების მიმართულებით კი 4%-ს არ სცდება 2016 წლის I კვარტლის მონაცემებით [8]. მაშინ, როდესაც საქართველოში ეროვნულ ვალუტაში გაცემულ სესხებზე საპროცენტო განაკვეთი მოკლევადიან სესხებზე 20%, ხოლო 1 წელზე მეტი ვადით გაცემულ სესხებზე 16.3%-ს მოიცავს.

მაშინ, როდესაც საქართველოში კომერციული ბანკების მიერ განთავსებული ფულადი სახსრები 470 მლნ ლარს აღწევს და ეს ძალიან მცირე თანხაა კრიზისული ვითარების შემთხვევაში აღებული ვალდებულებების დასაფარად, თუ გადავხედავთ ლატვიის მაგალითს, ვნახავთ, რომ მთლიანი სარეზერვო აქტივების მოცულობა 293.61 მლნ ევროა [8], ხოლო ესტონეთის ცენტრალური ბანკის მონაცემებს თუ გადავხედავთ, ვნახავთ რომ 1036.3 მლნ ევროა [7] ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემა და კრიზისის წინაპირობა კი სწორედ კომერციულ ბანკებში არასაკმარისი ლიკვიდობის პრობლემაა.

კაპიტალის თავისუფალი გადაადგილების პირობებში და იმის გათვალისწინებით, რომ საკრედიტო პორტფელი მაღალი კონცენტრაციით ხასიათდება, საბანკო სისტემის კრიზისის თავიდან ასაცილებლად აუცილებელია ეროვნული ბანკის მიერ ძლიერი საზედამხებველო და რეგულირების პრაქტიკის როგორც შემუშავება, ისე დანერგვა.

მოწინავე საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით შემუშავებული მენეჯმენტური პრინციპების დამკვიდრებით [5] იქნება მხოლოდ შესაძლებელი კრიზისებისა და ეკონომიკური რყევებისადმი მეტი მდგრადობის შენარჩუნება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. კოზხანაძე ი., კონტრიძე გ., თანამედროვე საბანკო საქმე, თეორია და პრაქტიკა, თ, 3.3; თბ., 2014.
2. მოსიაშვილი ვ., ლომიძე ფ., ქოქოსაძე ფ., საბანკო საქმე, ლექციების კურსი. თ, 12.1; თბ., 2009.
3. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. კვარტალური ბიულეტენი. 2014.
4. სტიგლიცი ჯ., გლობალიზაცია და მისი თანმდევი უკმაყოფილებ. თბ., 2012. გვ. 11.
5. პავლიაშვილი ს., მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი და საქართველო, FOR.GE. 03.31.2011.
6. Г.Г. Коробова, „Банковское Дело,, Москва. 2006.
7. AS SEB Pank – Estonia. 2014.
8. Latvian Banking Systems. STATISTICAL DATABASE www.bank.lv

Mariam Khachidze

BANKING SYSTEM AND MODERN ECONOMIC CRISIS (GLOBAL AND LOCAL REALITIES)

Annotation

In the mentioned work is discussed the condition of the modern banking system under the world economic crisis, especially, the influence of the crisis on the banking sector from the last decades to the present day.

Along with the international globalization processes were analyzed the developed peculiarities of the credit, deposit and foreign exchange transactions existed in the commercial banks under the crisis.

Except the provoked causes, in the work were discussed the condition of the Georgian banking system in later period of international crisis and was compared with the Baltic specifically, concretely to the banking system of Latvia and Estonia.

თორნიკე ხოშტარია

ბიზნესის სტრატეგიული მართვის თეორიულ-მეთოდოლოგიური ასპექტები

შესავალი

ბიზნესის სტრატეგიების პროცესების საფუძვლიანი შესწავლა აკადემიურ წრეებში დღემდე აქტუალურ საკითხს წარმოადგენს. ნაშრომში წამოჭრილი საკითხები აქტუალურია საქართველოში

მომუშავე ბიზნესმენებისთვის, რადგან ის სთავაზობს მათი ბიზნესის გაფართოების თუ ახალ საერთაშორისო ბაზრებზე ორიენტირებული საწარმოების ჩამოყალიბების თეორიულ კონცეფციებს. ამ ასპექტით განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ბიზნესის სტრატეგიების ფორმულირების და განვითარების ისეთი საკითხების შესწავლას, როგორცაა ბიზნესის სტრატეგიული მართვის ევოლუციის ანალიზი; ბიზნესის სტრატეგიების მდგომარეობისა და განვითარების პერსპექტივების შეფასება.

ნაშრომში წარმოდგენილი მსჯელობა მენეჯერებს აძლევს საშუალებას, საჭიროების შემთხვევაში, შეივსონ თეორიული ცოდნა და გარდაქმნან იგი პრაქტიკული საქმიანობის წარმატებით განსახორციელებლად.

სტრატეგიული მართვის თეორიული ევოლუცია

ბიზნესის სტრატეგიის ევოლუციის პირველ ეტაპად ითვლება მისი ყველაზე პრიმიტიული ფორმა – **ფინანსური დაგეგმვა**, რომელიც გამოიყენებოდა XX ს. 50-იან წლებში. სტრატეგიის ევოლუციის პირველი ეტაპი მოიცავდა ფირმის ბიუჯეტის შედგენას და თორმეტოვანი პერიოდზე გადანაწილებას. კომპანიის წარმატება დიდად იყო დამოკიდებული დირექტორებსა და მაღალი თანამდებობის პირებზე, აგრეთვე ამ პირების ინფორმირებულობაზე პროდუქტის, ბაზრისა და კონკურენტების შესახებ.

60-იან წლებში სტრატეგიის განვითარების პროცესი გადავიდა შემდეგ ეტაპზე, რომელიც ცნობილია როგორც გრძელვადიანი დაგეგმვა. გრძელვადიანი დაგეგმვის მეთოდის იყო ერთწლიანი ფინანსური დაგეგმვის პროცესის განვრცობა ხუთ წლამდე, რომელიც მოიცავდა დეტალურ სამოქმედო გეგმას. გრძელვადიანი დაგეგმვის ევოლუციის პროცესი სოციალურ ან პოლიტიკურ ფაქტორებს, ხშირ შემთხვევაში, საერთოდ არ ითვალისწინებდა ან უმნიშვნელო დოზით მოიაზრებდა, ვინაიდან ბაზარი შედარებით სტაბილური იყო.

პროფესორი ივორ ანსოვი სტრატეგიას განმარტავს სტრატეგიული გადაწყვეტილებების ჭრილში, რომელიც „... უპირველესად დააკავშირებულია გარე ფაქტორებთან, კერძოდ, პრობლემებთან, რომლებიც ასოცირდება პროდუქტის სწორი მიქსის და მის სარეალიზაციოდ შესაბამისი ბაზრის შერჩევასთან“. იგი სტრატეგიას უწოდებს „დამაკავშირებელ ძაფს“, რომელიც მოიაზრება როგორც „... ურთიერთობა არსებულ და სამომავლო სასაქონლო ბაზრებთან, რომელიც განსაზღვრავს ფირმის კურსს და ამავედროულად წარმოადგენს ერთგვარ ინსტრუქციას მენეჯერებისთვის“ [1, გვ. 45].

აგტორი თავის ნაშრომში ზემოაღნიშნული „დამაკავშირებელი ძაფის“ ოთხ ძირითად კომპონენტს გამოყოფს, ესენია:

- ფირმის სასაქონლო ბაზრის ხედვა;
- ზრდის მაჩვენებელი, რომელიც განჭვრეტს ორგანიზაციის სასაქონლო ბაზრის მდგომარეობის ცვლილებას;
- კონკურენტული უპირატესობა;
- სინერჯია [1, გვ. 45].

1970-იან წლებში სტრატეგიის ევოლუციის პროცესი გადავიდა მესამე ფაზაში, რომელიც ცნობილია როგორც სტრატეგიული (გარემოზე ორიენტირებული) დაგეგმვის ეტაპი. ამ საფეხურზე დაგეგმვა უფრო დახვეწილია და მოიცავს **გარემოს სრულყოფილ შეფასებასა და კონკურენციის დრმა ანალიზს**. ის ასევე ითვალისწინებს ალტერნატიული სტრატეგიების შემუშავებას და რესურსების განაწილების ეფექტიან მეთოდებს. ამ პერიოდში ბოსტონის საკონსულტაციო ჯგუფის მიერ შემუშავდა ე.წ. ბოსტონის მატრიცა (BCGmatrix) [2].

თავდაპირველად სტრატეგიული დაგეგმვა ბიზნესსაზოგადოებამ მიიღო, როგორც წარმატებული და გამოსადეგი აღმოჩენა. მოგვიანებით კი გამოცდილებამ აჩვენა, რომ კომპანიების უმეტესობა მას პრაქტიკულად ვერ ახორციელებდა. ზოგ შემთხვევაში სტრატეგიულმა დაგეგმვამ გაზარდა კომპანიის მომგებიანობა და იქცა მენეჯმენტის პროცესის განუყოფელ ნაწილად. თუმცა, ფირმების უმეტესობა გახდა აღნიშნული ფენომენის მსხვერპლი, რასაც ეწოდა „ანალიზით პარალიზება“. მიუხედავად იმისა, რომ სტრატეგიული გეგმები შემუშავდა, ვერ ხერხდებოდა მისი საქმეში გამოყენება და კომპანიები აგრძელებდნენ სტაგნაციას.

სტრატეგიის თეორეტიკოსთა შორის ყველაზე ცნობილი ფიგურაა **მაიკლ პორტერი**. მისი პირველი წიგნი “კონკურენციის სტრატეგია: ინდუსტრიის და კონკურენტების შესაფასებელი ინსტრუმენტები”, გამოიცა 1980 წელს. ამ წიგნში ახსნილია ხუთი კონკურენტული ძალა, რომელიც განსაზღვრავს ინდუსტრიის მომგებიანობას, ეს ძალებია:

- კონკურენციის ინტენსივობა;
- დარგში ახალი მონაწილეების გამოჩენა;
- საფრთხე სუბსტიტუტების მხრიდან;
- მყიდველთა საბაზრო ძლიერება;
- მიმწოდებელთა საბაზრო ძლიერება.

ამ ძალებიდან თითოეულს შეუძლია მოგების მარჯაზე იქონიოს დიდი ზეგავლენა. ინდუსტრიის მიმზიდველობა კი შეიძლება განისაზღვროს ამ ძალების გავლენის მიხედვით. კონკურენციის

სტრატეგიამ რაციონალურად და გასაგებად შეაკავშირა ძველი და ახალი კონცეფციები კონკურენტუნარიანობის უკეთესად გასაანალიზებლად [3].

რამოდენიმე კომპანიაზე დაკვირვების შემდეგ მან აგრეთვე, შემუშავა ე.წ. „გვაროვნული სტრატეგიები“. პორტერის თქმით, არსებობს სამი გზა კონკურენტული უპირატესობის მოსაპოვებლად:

- დანახარჯების მიხედვით ლიდერობის სტრატეგია;
- დიფერენცირების სტრატეგია;
- ფოკუსირების სტრატეგია.

თუმცა ამ სტრატეგიებიდან ყველას ერთდროულად შესრულება ძალიან რთულია და ორგანიზაციებმა ფრთხილად უნდა გადაწყვიტონ, თუ როდის რომელ სტრატეგიას მიანიჭონ უპირატესობა [4].

XX ს. 80/90-იანი წლებში აშკარა გახდა, რომ სტრატეგიული მართვის საფეხურიდან სტრატეგიულ მენეჯმენტის ეტაპზე გადასვლა მის რეალიზებას ვერ აუშვებდა. ასევე, ამ პერიოდში წინა პლანზე გადმოიწია ორგანიზაციული კულტურისა და საშინაო პოლიტიკის მნიშვნელობამ სტრატეგიული მართვის პროცესში [5]. სტრატეგიული მენეჯმენტის პროცესის არაეფექტიანობის გამო, ბევრი მკვლევარი ხაზს უსვამდა სტრატეგიული აზროვნების საჭიროებას, რაც შემდგომ გახდა მესხეთე და ჯერჯერობით ბოლო ეტაპის სახელი სტრატეგიის ევოლუციაში. ამ კონტექსტით **სტრატეგია** ამბობს: „... მიუხედავად იმისა, რომ სტრატეგიული მენეჯმენტის პრაქტიკაში პირდაპირი გამოყენება შეზღუდულია, მისი თეორიული მხარე კარგი საფუძველია სტრატეგიული აზროვნების შესაქმნელად და სავარაუდოა, რომ მენეჯერები, ვინც სტრატეგიულ აზროვნებას განავითარებენ, აუცილებლად გაზრდიან შანსებს სამომავლოდ ეფექტიანად ფუნქციონირების კუთხით“ [6].

სტრატეგიის დონეები

კორპორაციული სტრატეგია. კორპორაციული სტრატეგია მუშავდება მართვის უმაღლეს დონეზე. მხედველობაში იღებს რა ორგანიზაციის პოტენციალს და მის შესაძლებლობებს (სუსტ და ძლიერ მხარეებს), ახდენს რესურსების შეფასებას საერთო მიზნების მისაღწევად და აანალიზებს ზრდის განმსაზღვრელ შიგა და გარე ფაქტორებს. აფასებს და არჩევს საქმიანობის ალტერნატიული მიმართულებების ოპტიმალურ ვარიანტს, აგრეთვე, იღებს გადაწყვეტილებებს ფუნქციონირებისა და განვითარების გრძელვადიანი გეგმების შემუშავებაზე. სტრატეგიის ეს დონე შეეხება ორგანიზაციის საერთო ხედვას. სხვა დონის სტრატეგიებთან შედარებით, კორპორაციულ დონეზე მიზნები უფრო გრძელვადიანია. ამასთან ერთად ის ითვალისწინებს, თუ რას აწარმოებს კომპანია და სად ჰყიდის თავის პროდუქციას. კლასიკური განმარტებით, კორპორაციული სტრატეგიები განსაზღვრავს **თუ რა არის კომპანიის პროდუქტი, რომელია ბაზარი, სადაც ის გაიყიდება და რამდენად დიფერსიფიცირებული და ინტეგრირებულია პროდუქცია.** ამ დონის სტრატეგიის მაგალითებია: **ვერტიკალური და ჰორიზონტალური ინტეგრაცია, სხვა ბიზნესებთან ალიანსი, მათი შემოერთება (მერჯინგი) ან ახალი ბიზნესების შექმნა.** ვერტიკალური ინტეგრაცია მოიცავს ღირებულებათა ჯაჭვის დამატებითი „რგოლების“ ათვისებას (მაგ. მომწოდებლების ან კლიენტების საქმიანობის ათვისება) [7გვ. 32].

ბიზნესერთეულის სტრატეგია. ბიზნესერთეულის დონის სტრატეგია უმეტესად გათვლილია კონკურენტულ გარემოში წარმატებისათვის. ამ დონეზე სტრატეგიის ყველაზე მნიშვნელოვანი ფუნქციაა ხანგრძლივი და სიცოცხლისუნარიანი უპირატესობის მოპოვება. კომპანია წარმატებულია, თუ მისი მოგება ბაზრის სხვა მონაწილეების საშუალო მოგებაზე მეტია. სტრატეგიული თვალსაზრისით, აუცილებელია ამ უპირატესობის მაქსიმალურად დიდხანს შენარჩუნება. ასეთი სახის სტრატეგიული ხედვა პირველად შემოგვთავაზა **პორტერმა XX ს. 80-იანი წლების დასაწყისში.** თეორიულად, ამ უპირატესობის მოსაპოვებლად კომპანიამ უნდა მოძებნოს თავისი პროდუქტ(ებ)ის სტრატეგიული ადგილი (პოზიციონირება) ბაზარზე. ამის მისაღწევად კომპანიას, სხვა კომპანიებთან შედარებით, უპირატესობა უნდა გააჩნდეს ან ხარჯების მინიმიზების კუთხით, ანდა პროდუქტის დიფერენციაციით. ხარჯების შემცირებით კომპანია უპირატესობას მოიპოვებს, თუ იგი აწარმოებს იმავე პროდუქტს კონკურენტებთან შედარებით ნაკლები დანახარჯებით. დიფერენციაცია კი ნიშნავს ისეთი პროდუქტის წარმოებას, რომელიც კონკურენტების პროდუქტზე მეტ სარგებელს მოუტანს მომხმარებელს. ორივე შემთხვევაში კომპანია ქმნის მეტ ღირებულებას მომხმარებლებისათვის და ამასთანავე უზრუნველყოფს მეტ მოგებას, ვიდრე კონკურენტები [8].

სტრატეგია ასევე წარმოადგენს სწორი პოზიციის შერჩევას ბაზარზე (პოზიციონირება). პოზიციონირების კარგი მაგალითია ბოსტონის საკონსულტაციო ჯგუფის მატრიცა, რომელიც გვთავაზობს ოთხ სიტუაციას, ანუ ოთხი სახეობის საქონელს და სტრატეგიული გადაწყვეტილებების პაკეტს თითოეული შემთხვევისათვის.

პოზიციონირების ერთ-ერთი თვალსაჩინო მიმდევარია პორტერი, რომელმაც მიზნად დაისახა ეჩვენებინა, თუ რომელი სტრატეგიები მუშაობს უფრო ეფექტიანად კონკრეტულ სიტუაციებში. ის სტრატეგიას განიხილავს, როგორც „ახალი პოზიციის ძიების პროცესს, სადაც კომპანია ყველაზე უკეთ იქნება დაცული კონკურენტული ძალების (არსებული და პოტენციური კონკურენტები, შემცველი საქონლის მწარმოებლები, მომხმარებლები და მიმწოდებლები) ზემოქმედებისაგან და,

თავის მხრივ, გავლენას მოახდენს მათზე“. მართალია, პორტერთან სტრატეგიის ფორმირება წარმოადგენს კონკრეტული კომპანიისათვის დამახასიათებელ, გააზრებულ და კონტროლირებად პროცესს, თუმცა მოდელირებისათვის დამახასიათებელი უნიკალური სტრატეგიები ადვილს უთმობს ზოგად მიდგომებს, როგორცაა **დანახარჯებში ლიდერობა, დიფერენცირება და ფოკუსირება** [9].

ფუნქციონალური სტრატეგია. სტრატეგიის ფორმულირება ფუნქციონალურ დონეზე ასევე ცნობილია, როგორც საოპერაციო სტრატეგია და გათვლილია მოკლევადიან გეგმებზე. თავის მხრივ, ფუნქციონალური სტრატეგია ბიზნეს-ერთეულის და კორპორაციული დონის სტრატეგიების დასაყრდენია. მიუხედავად იმისა, რომ თითოეულ ფუნქციონალურ ერთეულს გარკვეული დონით თავისუფლება გააჩნია და კონკრეტული მიზანი ამოძრავებს, ყველა მათგანი მიმართულია კორპორაციული ამოცანების შესრულებაზე. ფუნქციურ დონეზე სამი მახასიათებელი განაპირობებს სტრატეგიას: **ამოცანის მოკლე ვადა, მასშტაბის კონკრეტულობა და შუა რგოლის და ოპერაციული მენეჯერების უშუალო მონაწილეობა** [7. გვ. 36].

დიდ კომპანიებში ფუნქციონალური სტრატეგიები გადანაწილებულია ორგანიზაციის ძირითად განყოფილებებს შორის, როგორცაა: მარკეტინგის, ფინანსების, წარმოების, კვლევისა და განვითარების (R&D) და ადამიანთა რესურსების განყოფილებები. თუმცა, არ არის აუცილებელი, სტრატეგია მხოლოდ ერთ დეპარტამენტს ეხებოდეს, პირიქით, სასურველიაა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში სხვადასხვა განყოფილების მენეჯერების ჩართულობა. ამ დონეზე, სტრატეგია განსაზღვრავს ბალანსს არსებულ და საჭირო რესურსებს შორის, მაგალითად, გარკვეული საქმიანობის შესასრულებლად გარე რესურსების გამოყენებას (აუთსორსინგს) და ა.შ [7. გვ. 38].

ბიზნესის სტრატეგიის ფორმულირების პროცესი

ორგანიზაციის განსაზღვრა. ორგანიზაციის განსაზღვრაში იგულისხმება კომპანიის ნაწარმისა და მომხმარებელთა ჯგუფის დადგენა. საწყის ეტაპზე, მომხმარებლების ბაზის შექმნის გარეშე კომპანიას გაუჭირდება უპირატესობის მოპოვება. ასევე, აუცილებელია იმ ფაქტორების გამოყოფა, რაც მნიშვნელოვანია მომხმარებლებისათვის და განასხვავებს საკუთარ პროდუქტს სხვებისაგან.

კომპანიის მისია. სტრატეგიის ფორმულირების შემდეგი ეტაპია კომპანიის მისიის შემუშავება, რომლითაც გამოიკვეთება, გამოძღვანდება კომპანიის მთავარი მიზანი, მისი ღირებულებანი და საქმიანობის ძირითადი მიმართულებები. უმეტეს შემთხვევაში, კომპანიები აქვეყნებენ თავიანთი მისიის განაცხადს (მისიონ სტატემენტ), რომელშიც მოკლედ არის გამოყოფილი კომპანიის ფუნქციები. კომპანიის მისიის ფორმულირება, ბევრ შემთხვევაში, წარმოადგენს ინფორმაციის გადაცემის საშუალებას მისი სტრატეგიული კურსის შესახებ და მიმართულია კომპანიის შიგა და გარე სუბიექტებისა და აქციონერებისადმი. ის ასევე აღნიშნავს მომხმარებელთა მიზნობრივ ბაზრებს და მიზნობრივ სეგმენტებს, ძირითად საქონელსა და საქმიანობის გეოგრაფიულ სფეროს, ტექნოლოგიებს, კონკრეტულ ტექტიკურ მეთოდებს, კომპანიის რეკლამის ამადლების გეგმებს და ა.შ. [10].

საერთაშორისო ბაზრების შერჩევა. გლობალიზაცია აიძულებს კომპანიებს, ეძებონ ბაზრები მშობლიურ ქვეყნებს გარეთ, რათა არ ჩამორჩნენ კონკურენტებს. თუმცა, ნებისმიერ ქვეყანაში ნაწარმის შეტანა წარმატების აუცილებელი პირობა არ არის. საჭიროა წინასწარ რამდენიმე ფაქტორის გათვალისწინება, ყველაზე მნიშვნელოვანია, გაირკვეს როგორია ამ ბაზარზე პროდუქტის მოთხოვნა და მიწოდება, რამდენად ადვილია ბაზარზე შესვლა (რა რაოდენობის რესურსია საჭირო) და რამდენად მწვავეა არსებული კონკურენცია. მხოლოდ ამ ფაქტორების გაანალიზების შემდეგ არის რეკომენდებული სხვა ქვეყნის ბაზარზე პროდუქციის შეტანა [7.გვ. 36].

სტრატეგიული მიზნები. მისიის დეტალურად განხილვისა და ჩამოყალიბების შემდეგ საჭიროა კომპანიის სტრატეგიული მიზნების დასახვა. ეს მიზნებია კომპანიის წინაშე დასმული ამოცანები, რაც უნდა შესრულდეს მოქმედებათა კონკრეტული გეგმის თანახმად. სტრატეგიული გეგმები უნდა იყოს გაზომვადი, მიღწევადი და დროში გათვლილი, ანუ პასუხობდეს კითხვებს - როგორ, რა დანახარჯებით და როდის მიიღწევა ესა თუ ის მიზანი [7.გვ. 38].

სტრატეგიულ მიზნებს შორის შეიძლება იყოს კომპანიის პოზიცია ბაზარზე კონკურენციის თვალსაზრისით, პროდუქტებისა და სერვისების წარმოება, სასურველი ბაზრის წილი, გაუმჯობესებული სამომხმარებლო სერვისები, კორპორაციული გაფართოება, ტექნოლოგიური წინსვლა და გაყიდვების ზრდა.

კომპანიის SWOT ანალიზი. მიზნების დასახვის შემდეგ (ან პარალელურად) სტრატეგიის ფორმულირებისას საჭიროა კომპანიის კონკურენტუნარიანობის ანალიზი, ანუ მისი ძლიერი და სუსტი მხარეების განსაზღვრა. ამისთვის გამოიყენება ე.წ. **SWOT** ანალიზი, რომელიც ამჟღავნებს კომპანიის ძლიერ და სუსტ მხარეებს, მის შესაძლებლობებსა და მოსალოდნელ დაბრკოლებებს. ეს მიდგომა გამოიყენება როგორც კომპანიის ცალკე შესაფასებლად, ასევე კონკრეტული ბაზრის პირობებში კომპანიის შესაძლებლობების დასადგენად.

კონკურენტული სტრატეგიის განსაზღვრა. კომპანიის მიზნების დადგენის, საგარეო ბაზრების შერჩევის და მისი ძლიერი და სუსტი მხარეების დადგენის შემდეგ საჭიროა კონკურენტული სტრატეგიის განსაზღვრა, რაც ნიშნავს კომპანიის პოზიციის შერჩევას არჩეულ ბაზარზე. ბუნებრივია, ეს ეხება არა მარტო მთლიან ორგანიზაციას, არამედ თითოეულ საწარმოო ერთეულს.

კონკურენტული სტრატეგია მოითხოვს ორგანიზაციის მიერ ბაზრის ცვლილებებზე სწრაფ რეაგირებას. კონკურენტული სტრატეგიის ჩამოყალიბების ძალიან მნიშვნელოვანი მხარეა კომპანიის რესურსების გადასინჯვა და მისი გამოყენების განსაზღვრა. თითოეულ განყოფილებას გააჩნია მოთხოვნები და კომპანიამ უნდა აირჩიოს, როგორ გადაანაწილებს თავის რესურსებს ამ მოთხოვნებს შორის.

საერთო კონკურენტული სტრატეგიის გაუმჯობესებისთვის სამი ფაქტორია გასათვალისწინებელი: **ინდუსტრია და ბაზარი, კომპანიის პოზიცია** კონკურენტებთან შედარებით და **კომპანიის ძლიერი და სუსტი მხარეები**. ეს უკანასკნელი, წინა ქვეთავში დეტალურადაა გაანალიზებული, ამიტომ ქვემოთ განხილულია მხოლოდ პირველი ორი ფაქტორი.

ინდუსტრია. ინდუსტრიის შეფასებისას გასათვალისწინებელი ფაქტორებია:

- ბაზრის ზომა;
- ბაზრის ზრდის მაჩვენებელი და სამომავლო პოტენციალი;
- კონკურენტული მომგებიანობა;
- ბაზარზე ახალი შემომსვლელების სისშირე და კონკურენცია.

ორგანიზაციას წარმატების მიღწევა ძალიან გაუჭირდება, თუ თავისი კონკურენტები კარგად არ ჰყავს შესწავლილი. კომპანიას უნდა შეეძლოს კონკურენტის ძლიერი და სუსტი მხარეების ამოცნობა და იმ გზების გაანალიზება, რომლითაც ერთი კომპანია ჯობნის მეორეს.

პროგრესის შეფასება და კონტროლი. როგორც ნებისმიერი გეგმის, პროცესების რეგულარული ევოლუცია და შედეგების გაანალიზება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია საერთაშორისო სტრატეგიის პროცესში. მთავარია მენეჯერმა უზრუნველყოს, რომ კომპანია იმ გზას ადგას, რომელიც სტრატეგიის შემუშავების პროცესის შედეგად გამოიკვეთა. თუ ეს ასე არ ხდება და კომპანია დასახულ მიზნებს ვერ უახლოვდება, კომპანიას უნდა შეეძლოს ლავირება და შესაბამისი ცვლილებების გაკეთება.

დასკვნა

გასული საუკუნის 60-იან წლებამდე სტრატეგია ითვლებოდა სამხედრო საქმიანობის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილად. სიტყვა „სტრატეგია“ ბიზნესთან მიმართებაში პირველად გამოიყენა **ჩენდლერმა XX** საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისში.

მომდევნო წლებში ბევრი დაიწერა სტრატეგიის შესახებ, თუმცა დღევანდელი გადმოსახედიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდიდან დღემდე, სტრატეგიამ ევოლუციის ხუთი ეტაპი განვლო. არსებულმა სტრატეგიულმა პარადიგმამ პიკს 70-იან წლებში მიაღწია, როდესაც მისმა ევოლუციის ფაზამ მოიცვა სტრატეგიული დაგეგმარება. თუმცა იკვეთებოდა იმის ნიშნები, რომ არასტაბილური და ბუნდოვანებით მოცულ გარემო-პირობებში თეორიის ჩამოყალიბება და პრაქტიკულ საქმიანობაში მისი დანერგვა არსებულ პერიოდში ფრიად არახელსაყრელი იყო. 80-იან წლებში პარადიგმა გადავიდა შემდეგ ეტაპზე, რომელსაც ეწოდებოდა სტრატეგიული მენეჯმენტის ფაზა. ეს ეტაპი ძირითადად ემსახურებოდა კომპანიის რესურსების სწორად გამოყენებას კონკურენტუნარიანობის გასაუმჯობესებლად [11]. ზემოხსენებულ ათწლეულში აღსანიშნავია ამ დარგში **პორტერის** მოღვაწეობა, რომლის კვლევებმა დიდი როლი ითამაშა ორგანიზაციების მიერ გარე ფაქტორების მნიშვნელობის აღქმის საკითხში. პორტერის კვლევებმა ასევე გაამდიდრა სტრატეგიული პარადიგმის აღქმადობა ორგანიზაციის შიდა პროცესების მართვის კუთხით. განვითარების იმ სიმაღლის მიუხედავად, რაც სტრატეგიულმა მენეჯმენტმა განიცადა, XX საუკუნის 80-იანი წლების შუა პერიოდში მაინც ნათლად გამოიკვეთა ის ვითარება, რომელიც მკაფიოდ უსვამდა ხაზს, რომ ზემოაღნიშნული ფაზა სათანადო დონეზე ვერ აღიქვამდა სტრატეგიის იმპლემენტაციის ნაკლოვანებებს. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ იმ პერიოდში თეორიული კუთხით განვითარება ბევრად წინ უსწრებდა კომპანიების შესაძლებლობებს, არსებული იდეები განეხორციელებინათ პრაქტიკაში. ათწლიანი დროის მონაკვეთში გაიზარდა ორგანიზაციული კულტურის და შიდა პოლიტიკის მნიშვნელობა სტრატეგიულ პროცესში, თუმცა სტრატეგიული მენეჯმენტის ფაზის არაეფექტიანობის შედეგად ბევრი ექსპერტი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მნიშვნელოვანი იყო სტრატეგიული აზროვნების ფენომენის დამკვიდრება. ხოლო 90-იან წლებში დებატები შედგა საკითხზე, თუ რომელ კატეგორიაში უნდა განხილულიყო სტრატეგია, როგორც ხელოვნება, მეცნიერება თუ მათი ერთობლივი კომბინაცია.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Ansoff I., (1968), *Corporate Strategy: An Analytic Approach to Business Policy for Growth and Expansion*, McGraw-Hill, New York, pp. 45-53.
2. Horwath R., (2006), *The Evolution of Business Strategy*, Strategic Thinking Institute, pp. 2-5.
3. Porter M. (1982) *Cases in Competitive Strategy*, Free Press, New York.
4. Porter, M. (1985), *Competitive Advantage: Creating and Sustaining Superior Performance*, Free Press, New York.ed., *Perspectives on Strategic Management*, Harper Business, New York.
5. Bonn, I. And Christodolou C., (1996), *From strategic planning to strategic management, Long Range Planning*, Vol. 29, No. 4, pp. 543-551.
6. Stacey R. (1993), *Strategic Thinking and the Management of Change*, Kogan Page, London. Pp. 218-236.

7. Jofre S. (2011), *Strategic Management: The Theory and Practice of Strategy in (Business) Organizations*, Technical University of Denmark.

8. Porter M. (1998), *The strategy Reader*, Macmillan Publishing, pp. 73-100.

9. Porter M., (2001), *On competition* Harvard Business Review, pp 30- 35.

10. Noor A. A., (2012), *Mission Statement and Company Performance*, International Journal of Business and Behavioral Sciences Vol. 2, No.4; April 2012.

11. O'Shannassy, T. (1999), *Lessons from the Evolution of the Strategy Paradigm*, School of management, RMIT Business, No.WP 99/20, pp. 2-7.

Tornike Khoshtaria

THEORETICAL-METHODOLOGICAL ASPECTS OF STRATEGIC MANAGEMENT OF BUSINESS

Annotation

The article deals with theoretical - methodological aspects of strategic management of business and five stage of its evolution: Financial planning, long-term planning, strategic planning strategic management, strategic thinking. There are also discussed the review of strategy levels; formation process of business strategy.

The theoretical review of the above mentioned will allow the managers of companies existed in Georgia to fill their knowledge, to improve the strategic management approaches and elaborate competitive strategies at level or inter-national levels.

გიორგი ჭურაძე

მოტივაციის თეორიების გამოყენება თანამედროვე მენეჯმენტში

შესავალი

თანამედროვე პირობებში, საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნებიდან გამომდინარე, ორგანიზაციული განვითარების პრობლემებს შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება რესურსული პოტენციალის სწორად განსაზღვრა-შეფასებისა და რაციონალური გამოყენების საკითხებს.

ამ პოტენციალის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია ადამიანური რესურსები, რომლის სწორმა ფორმირებამ, ბაზრის კონკრეტული სეგმენტისადმი შესაბამისობამ და ოპტიმალურმა გამოყენებამ ხელი უნდა შეუწყოს ორგანიზაციათა ეფექტიან ფუნქციონირებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, დღეს განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს ორგანიზაციაში პერსონალის მოტივაციის თანამედროვე მეთოდების დანერგვა და განვითარება.

მოტივაციის არსი და თეორიები

ცნობილია, რომ მოტივაცია არის კონკრეტული მიმართულებით ქცევის განხორციელების სურვილი. მას ხშირად უწოდებენ მამოძრავებელ ძალას, ანუ მექანიზმს, რომელიც უბიძგებს ადამიანს, გადალახოს წინააღმდეგობები და მიადწიოს სასურველ მიზანს. განასხვავებენ შინაგან და გარეგან მოტივაციას. ეგზოგენური, ანუ გარეგანი მოტივები უშუალოდ დასმული ამოცანებიდან არ აღმოცენდება, თუმცა მათი გარეგანი მხარეა. ისინი მოტივირებულს ხდიან დასაქმებულს სხვა მოთხოვნილებების დაკმაყოფილებით და არა იმ სიამოვნების მინიჭებით, რაც მათ ამოცანის წარმატებულმა განხორციელებამ შეიძლება მოუტანოს. ენდოგენური, ანუ შინაგანი მოტივები თანამშრომელს უბიძგებს, იმუშაონ იმ კმაყოფილების მისაღებად, რომელიც ამოცანის შესრულებასა და კონკრეტული შედეგის მიღწევას მოჰყვება ხოლმე. ამ შემთხვევაში ქცევა პროვოცირებულია შედეგით, ანუ წახალისებით. შრომის ეფექტიანობასთან უშუალო კავშირში უფრო მეტად შინაგანი მოტივაცია იმყოფება. ცხადია, შინაგანი მოტივაცია განაპირობებს ხანგრძლივ პერსპექტივაში თანამშრომლის ინტერესს საკუთარი მოვალეობისადმი.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ მოტივირება უშუალოდ დაკავშირებული ადამიანის მოთხოვნილებებთან. მოთხოვნილება არის ადამიანის მიერ აღქმული უკმარისობის გრძნობა იმის მიმართ, რაც მისთვის მიუწვდომელია და აუცილებელია მისი ნორმალური ცხოვრებისათვის. თანამედროვე ლიტერატურაში არსებობს ადამიანის მოთხოვნილებების საკმაოდ ბევრი, მეტნაკლებად განსხვავებული კლასიფიკაცია, მათგან ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული მასლოუს მიერ წარმოდგენილი კლასიფიკაციაა [3]. მასლოუს მიერ ჩამოყალიბებულ მოთხოვნილებათა იერარქიის კლასიფიკაციაში გამოყოფილია პირველადი და მეორადი მოთხოვნილებანი. პირველადს მიეკუთვნება ფიზიოლოგიური და უსაფრთხოების მოთხოვნილებანი; მეორადს – აღიარება-პატივისცემის, სოციალური და თვითგამოხატვის. ამასთან, მოთხოვნილებათა თითოეული ჯგუფის კომპონენტები შემდგენილია წარმოდგენილი: 1. ფიზიოლოგიური (საკვები, წყალი, პაერი, ტანსაცმელი, ანუ ის მოთხოვნილებები, რომლებიც ადამიანის, როგორც ბიოლოგიური ორგანიზმის არსებობას უზრუნველყოფს); 2. უსაფრთხოების (შემოსავლის მუდმივი წყაროს, საიმედო სამუშაო ადგილის, ფიზიკური და ფსიქიკური უსაფრთხოების არსებობის); 3. სოციალური (სოციალური კონტაქტების, კოლეგებთან არაფორმალური ურთიერთობის, ორგანიზაციული კულტურის გათავისების მოთხოვნილებანი); 4. აღიარება-პატივისცემის (ინდივიდის პატივისცემა კოლეგების მიერ,

ხელმძღვანელების მხრიდან მათი მიღწევების აღიარება); 5. თვითგამოხატვის (საკუთარი უნარისა და შესაძლებლობების სრულყოფილად გამოვლენა-რეალიზების, შემოქმედებითი განვითარებისა და პიროვნული ზრდის).

თუ თვალყურს მივადევნებთ მოტივაციის თეორიებს, მასში იკვეთება კლეიტონ ალდერფერის თეორია ERG, რომელშიც განზოგადებულია მასლოუს მოთხოვნილებათა იერარქიის კონცეფცია. ალდერფერმა მოთხოვნილებები სამ ძირითად კატეგორიად დაყო: არსებობის, ურთიერთობათა და განვითარების. მისი არსებობის მოთხოვნილებები ახლოსაა მასლოუს ფიზიოლოგიურ და უსაფრთხოების მოთხოვნილებებთან. ურთიერთობათა მოთხოვნილებებში იგულისხმება სოციალური ჯგუფის წევრობა და აღიარება, განვითარების მოთხოვნილებებში კი შედის მასლოუს თვითრეალიზაციის მოთხოვნილებები და ის მოთხოვნილებები, რომლებიც კავშირშია პირად პერფორმანსთან [2]. მოტივაციის შემდეგი მნიშვნელოვანი თეორია ეკუთვნის ფრედერიკ ჰერცბერგს, მან თავისი თეორია დააფუძნა კვლევაზე, რომლის დახმარებითაც დაასკვნა, რომ სამუშაო გარემოში თანამშრომელთა დათრგუნვის გამომწვევი ფაქტორებია: საწარმოს პოლიტიკა, მართვის მეთოდი, თანამშრომლებთან ურთიერთობა, უსაფრთხოება, სამუშაო პირობები, ანაზღაურება და სპეციფიკური სამუშაო. მათთვის კმაყოფილების მომტანი და სასურველი კი – რესპონდენტთა მიღწევები, მათი აღიარება, პასუხისმგებლობა, დაწინაურების პერსპექტივა, განვითარების შესაძლებლობა და საინტერესო შინაარსის სამუშაოა [6].

ფაქტები ადასტურებს, რომ კარგად ორგანიზებული სამუშაო დადებით გავლენას ახდენს როგორც თანამშრომელთა კმაყოფილებაზე, ისე მათი მუშაობის ხარისხზე. პიროვნების ფუნქციური დატვირთვა არის ის ვალდებულება, რომელსაც თანამშრომელი იღებს ორგანიზაციის წინაშე. თანამშრომლის ფუნქციური დატვირთვის მოტივაციური დიზაინი გულისხმობს საქმიანობის ისე დაგეგმვას, რომელიც აამაღლებს შრომისაგან მიღებული კმაყოფილების დონეს, გაზრდის მის ხარისხსა და მწარმოებლურობას. ფუნქციური დატვირთვის დიზაინში გამოიყენება გამარტივების, როტაციისა და გაფართოების მიდგომები. ფუნქციური დატვირთვის დიზაინის კონცეფციის შემუშავებაში მნიშვნელოვანი როლი შეიტანეს რიჩარდ ხეკმანმა და გრეგ ოლდჰემმა. მათ ჩამოაყალიბეს საკვანძო პირობები, რომლებიც უნდა დაკმაყოფილდეს იმისათვის, რომ თანამშრომლებს ჰქონდეთ საქმის კარგად შესრულების სურვილი [1] (ცხრ. 1).

ცხრილი 1

საკვანძო პირობები თანამშრომელთა მოტივაციისათვის

სამუშაოს მახასიათებლები	კრიტიკული მდგომარეობა	ფსიქოლოგიური	პიროვნული და სამუშაო შედეგი
ამოცანის მრავალფეროვნება ამოცანის ინდივიდუალურობა ამოცანის მნიშვნელობა	განცდა:სამუშაო ღირებულება განცდა: პასუხისმგებელია სამუშაოზე განცდა:მიზანთან სიახლოვე		მაღალი შინაგანი მოტივაცია მუშაობის მაღალი ხარისხი
ავტონომიურობა			კმაყოფილების მაღალი დონე
უკუკავშირი			სამუშაოს გაცდენის და კადრების დენადობის დაბალი მაჩვენებელი

აღნიშნულ მოდელზე დაყრდნობით, ხეკმანმა და ოლდჰემმა წარმოადგინეს „ამოტივირებელი პოტენციალის“ გამოსათვლელი ფორმულა:

$$\text{პოტენციალი} = \frac{\text{ამოცანის მრავალფეროვნება} + \text{ამოცანის ინდივიდუალურობა} + \text{ამოცანის მნიშვნელობა}}{3} \times \text{ავტონომია} \times \text{უკუკავშირი}$$

მენეჯმენტის ეფექტიანობა მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული სამართლიანობის განცდაზე. პორტერისა და ლოუღერის მიერ წარმოდგენილი მოტივაციის თეორიები მოლოდინისა და სამართლიანობის შემდეგ ელემენტებს მოიცავს: დახარჯული სამუშაო ძალა, აღქმა, მიღებული შედეგი, გასამრჯელო და კმაყოფილების ხარისხი. ამ მოდელის მიხედვით მიღწეული შედეგი დამოკიდებულია მუშაკთა მიერ დახარჯულ სამუშაო ძალაზე, მათ უნარსა და საკუთარი როლის შეცნობაზე. ამ თეორიის მთავარი დასკვნა მდგომარეობს იმაში, რომ შრომის მაღალი შედეგიანობა სრული კმაყოფილების მიზეზია.

ქართულ კომპანიებში გამოყენებული მოტივაციის მეთოდები

მოტივაციის თანამედროვე მეთოდების გამოყენება ქართულ კომპანიებს ადამიანური პოტენციალის მაქსიმალური რეალიზაციის საშუალებას უნდა აძლევდეს. თუმცა, ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ მოტივაციაზე საუბრისას ხელმძღვანელთა უმეტესობას ბონუსებისა და პრემიების ასოციაცია უჩნდებათ. სინამდვილეში კი, ფინანსური

წახალისება მოტივაციის ერთ-ერთი, თუმცა ხშირად არცთუ ისე ეფექტიანი სტრატეგიაა. თანამედროვე მენეჯმენტში მოტივაციის მრავალი სტრატეგიაა ცნობილი, თუმცა, სამწუხაროდ, მათ მენეჯერები რეალურად არ იყენებენ. ამის მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ წახალისება. ცხადია, დიდია წახალისების მნიშვნელობა კვალიფიციური კადრების მოზიდვის, კადრების დენადობის ნორმალურ საზღვრებში შენარჩუნებისა და ორგანიზაციისადმი ერთგულების გაძვივების თვალსაზრისით, მაგრამ ქართულ ორგანიზაციებში წახალისების ფორმებიდან ყველაზე მეტად პრემია, მადლობის გამოცხადება და ფულადი ჯილდო გამოიყენება. მოტივაციისადმი ასეთი მიდგომა გარკვეულ პრობლემებს წარმოშობს, რაც განპირობებულია შემდეგი გარემოებებით: 1. შინაგანი მოტივაციის ჩანაცვლება ხდება გარეგანით. შრომის მწარმოებლურობის ზრდასთან კი უფრო მჭიდრო კავშირი შინაგან მოტივაციას აქვს. გარეგანი მოტივირებით – ადამიანი ერთგვარად ეჩვევა წახალისებას და კარგავს პირვანდელ, ანუ შინაგან ინტერესს; 2. თანამშრომელთა პასუხი: „რაშიც მიხდინა მხოლოდ იმას ვაკეთებ“, – იმაზე მიუთითებს, რომ რაოდენ კეთილსინდისიერიც არ უნდა იყოს თანამშრომელი, წახალისების ხშირად გამოყენება განაპირობებს მის ფოკუსირებას სამუშაოს მხოლოდ იმ ასპექტზე, რომლისთვისაც მას შეუძლია წახალისების მიღება; 3. ადგილი აქვს არაჯანსაღი კონკურენციის სტიმულირებას, რადგან წახალისება ლიმიტირებულია და ზრდის კონკურენციას თანამშრომლებს შორის. ადამიანები უფრო მეტად ორიენტირებული ხდებიან საკუთარი თავის წარმოჩენაზე, ვიდრე გუნდურ მუშაობაზე; 4. რადგან ყველას სურს წახალისების მიღება, ხშირად თანამშრომლები არაადეკვატურად დიდ დატვირთვას იღებენ საკუთარ თავზე, რაც იწვევს მათ გადაღლას. ერთი შეხედვით ეს თითქოს ორგანიზაციისათვის მომგებიანია, მაგრამ გრძელვადიან პერიოდში იწვევს პერსონალის ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ გამოფიტვას, რაც ხშირად აისახება ხოლმე შრომის მწარმოებლურობის ვარდნაში; 5. თანამშრომლებს ხშირად უჩნდებათ უსამართლობის განცდა იმის გამო, რომ ყოველთვის მოიძებნება მოტივაციის ისეთი ფაქტორი, რომელიც არ იყო გათვალისწინებული მიზნის სტიმულირებისას. ქართულ ორგანიზაციებში ხშირია შემთხვევები, როდესაც მხოლოდ რამდენიმე თანამშრომლის წახალისება ხდება, წახალისების გარეშე დარჩენილი თანამშრომლები კარგავენ მოტივაციას.

მოტივაციის ეფექტიანობის ზრდის მექანიზმები

თანამედროვე პირობებში მეცნიერები მოტივაციის ახლებურ, ეფექტიან და გრძელვადიან პერიოდზე ორიენტირებულ გზებს ეძებენ. კვლევამ გვიჩვენა, რომ ქართულ კომპანიათა მენეჯერები ორიენტირებულნი არ არიან თანამშრომელთა წახალისების ამა თუ იმ ფორმის ძიებაზე და თანამშრომელთა მოტივირების ნაცვლად დასჯის სხვადასხვა ფორმის გამოყენებას ცდილობენ. „დასჯის, როგორც მოტივაციის ზრდის მექანიზმი“-ს, მიდგომა ეფუძნება იმ მოსაზრებას, რომ დასჯის თავიდან არიდების მიზნით, თანამშრომელი მაქსიმალურად მონდომებს მასზე დაკისრებული მოვალეობის ჯეროვნად შესრულებას. დასჯის ისეთი ფორმების გამოყენება, როგორიცაა საყვედურის გამოცხადება, ხელფასის დაკავება და, უკიდურეს შემთხვევაში, სამსახურიდან დათხოვნა, არ იწვევს სასურველ შედეგს. დასჯით მოტივირება არ გვევლინება, რომ ეფექტიან სტრატეგიად ჩაითვალოს.

დღეს მეცნიერები გვთავაზობენ თანამშრომელთა მოტივირების ისეთ თანამედროვე მეთოდებს, რომელიც არანაირ კავშირში არ არის არც დასჯასთან და არც წახალისებასთან. ეს მოტივატორებია: ავტონომიურობა, პროფესიული ზრდის შესაძლებლობა და საკუთარი როლის გაცნობიერება.

როგორც გამოკვლევამ გვიჩვენა, ტრადიციულ ორგანიზაციებში თანამშრომლებს არ რჩებათ სივრცე ავტონომიური ფუნქციონირებისათვის. გადაწყვეტილებებს უშუალოდ ხელმძღვანელი იღებს, სამუშაოს შესრულების პროცესი კი დარეგულირებულია შიდა ნორმებით. ცხადია, ასეთ პირობებში სამუშაო რუტინულია, რის გამოც პერსონალი კარგავს მოტივაციას. ამ პრობლემის მოგვარება შეიძლება თანამშრომლებისთვის ავტონომიის მინიჭებით, დამოუკიდებელი აზროვნებისა და თავისუფალი მოქმედების სივრცის შექმნით, როდესაც ხელმძღვანელი აგრძობინებს პერსონალს, რომ ენდობა მათ კომპეტენციას და ამით ქმნის ხელსაყრელ გარემოს სამუშაოს მაღალი სტანდარტებით შესრულებისთვის. ავტონომია არის თანამშრომლისათვის თავისუფლების მინიჭება და დასახული მიზნის მიღწევა კონკრეტული სტრატეგიის გათვალისწინებით [6]. რადგან პროფესიული ზრდა მოითხოვს ახალი ცოდნისა და უნარების შექმნას, თითოეულ ადამიანს უნდა ჰქონდეს საკუთარი ნიჭისა და შესაძლებლობების რეალიზაციის უნარი, ხოლო სამუშაო, რომელიც არაფერს ახალს არ სძენს მას, არ ამდიდრებს მის ცოდნას და არ ეხმარება საკუთარი უნარების რეალიზებაში, ძალიან მალე ხდება მოსაბუზრებელი. თითოეული თანამშრომლისთვის კი მნიშვნელოვანია საკუთარი როლის გაცნობიერება, იმის ცოდნა, რომ მათ მიერ შესრულებული სამუშაო ღირებული და მნიშვნელოვანია ორგანიზაციისთვის.

დასკვნა

მოტივაციის თანამედროვე მეთოდების შესწავლა-გაანალიზებამ გვიჩვენა, რომ ადამიანური რესურსი ყველაზე მნიშვნელოვანი საწარმოო რესურსია, რომელიც დიდ როლს ასრულებს ორგანიზაციის წარმატებულ ფუნქციონირებაში. აღსანიშნავია, რომ ქართველი მენეჯერები რეალურ

რად არ იყენებენ მეცნიერთა მიერ აპრობირებულ მოტივაციის ისეთ ეფექტიან მეთოდებს, როგორცაა ავტონომია, პროფესიული ზრდის შესაძლებლობა და თანამშრომლის საკუთარი როლის გაცნობიერება. აღნიშნული ფაქტორები შინაგანი მოტივაციის ზრდის უმნიშვნელოვანესი წყაროა, რომლებმაც თანამედროვე ორგანიზაციების გრძელვადიანი წარმატებები უნდა უზრუნველყოს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბერიძე რ., ადამიანური რესურსების მენეჯმენტი, თბილისი, 2011.
2. ზუმბერიძე ო., მენეჯმენტის საფუძვლები, თბილისი, 2008.
3. შუბლაძე გ., მღებრიშვილი ბ., წოწკოლაური ფ., მენეჯმენტის საფუძვლები, თბილისი, 2008.
4. Barber M., Instruction to deliver, 2008.
5. Bratton J., Gold J., Human Resource Management Theory and Practice.2007.
6. Joshi M., Human Resource Management, 2013.
7. Proce A., Human Resource Management, 2011.
8. Waitley D., Motivation, 2005.
9. КомаровЕ. И., Стимулированиеимотивациясовременномуправлениииперсоналом, журнал “Управлениеиперсоналом” №1, 2005, ст. 38-41
10. www.csb.gov.ge., საჯარო დაწესებულებებში ადამიანური რესურსების მართვის სახელმძღვანელო, თბილისი, 2014.
11. www.simplehrguide.com

Giorgi Churadze

USING METHODS OF MOTIVATION IN MODERN MANAGEMENT

Annotation

In the article it is reviewed existing theories of motivation. Explored approaches to motivate personnel. Is analyzed the situation in Georgian organizations. Are done corresponding conclusions and offered recommendations for increasing personnel motivation.

სალომე ჯინჯოლია

საქართველოს ეკონომიკის კორპორაციული სექტორი: განვითარების შედეგები, პრობლემები

ტერმინი „კორპორაცია“ ქართულ სამეცნიერო ბრუნვაში ამ უკანასკნელ ხანს ნელ-ნელა გავრცელდა. იგი შემოვიდა საზღვარგარეთიდან და იხმარება მსხვილი საწარმოების, ძირითად შემთხვევებში, სააქციო საზოგადოებების სინონიმად [1, გვ. 63]. თუმცა, საზღვარგარეთ კორპორაციად სხვა ტიპის მსხვილი საწარმოებიც, კერძოდ, შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმოებიც ითვლება.

მაშასადამე, კორპორაცია მსხვილი ბიზნესის მთავარი ორგანიზაციული ფორმაა. საქართველოს კანონით „მეწარმეთა შესახებ“, საწარმო 50 და მეტი პარტნიორით აუცილებლად უნდა დარეგისტრირდეს სააქციო საზოგადოებად, ე. ი. კორპორაციად [2, გვ. 27].

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის და საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის დღიდან, მიღებულ იქნა სამთავრობო გადაწყვეტილება ყველა ფაბრიკა-ქარხნის გააქციონირების შესახებ. ეს ასეც მოხდა, მაგრამ ქვეყანაში დატრიალებული ქაოსის გამო, მათგან რამდენიმე თუ ამუშავდა, ისიც ნაწილობრივ და ისიც მხოლოდ უცხოელ ინვესტორებზე პრივატიზების შემდეგ (მაგალითად, ზესტაფონის ფეროშენადნობი ქარხანა, რუსთავის მეტალურგიული ქარხანა, კასპის ცემენტის ქარხანა და რამდენიმე კიდევ სხვა). დანარჩენი ფაბრიკა-ქარხნების გააქციონირება ქალაქებზე დარჩა. ისინი გაპარტახდა – კედლები დაინგრა, ხოლო მოწყობილობა, როგორც ჯართი, თურქეთში გაიყიდა. ასეთი იყო საქართველოს ფაბრიკა-ქარხნების კორპორაციებად გარდაქმნის პოსტსოციალისტური ისტორია. ამის შემდეგ, მთელი ამ გასული 25 წლის განმავლობაში თანდათან და ნაბიჯ-ნაბიჯ დარეგისტრირდნენ ახალი სააქციო საზოგადოებები. საქართველოს სტატისტიკური სამსახურის 2014 წლის ინფორმაციით, საქართველოში დარეგისტრირებულია 2178 სააქციო საზოგადოება, ანუ 82-ით მეტი 2010 წელთან შედარებით [3, გვ. 25]. საქართველოს სტატისტიკის სამსახური ცალკე სააქციო საზოგადოებების ეკონომიკურ მაჩვენებლებს არ აქვეყნებს, მაგრამ აქვეყნებს მსხვილ საწარმოთა მაჩვენებლებს. თუ გარკვეული დაშვებით ჩავთვლით, რომ მათში მხოლოდ სააქციო საზოგადოებები შედის, მაშინ უფლება გვაქვს, ეს მაჩვენებლები სააქციო საზოგადოებებს მივაკუთვნოთ და თამამად ვიმსჯელოთ საქართველოში კორპორაციული სექტორის დღევანდელ მდგომარეობაზე.

სხვა ინფორმაციის არქონის გამო, ჩვენ ასეც ვიქცევით და საქართველოს კორპორაციული სექტორის მუშაობის მაჩვენებლებს წარმოვადგენთ ცხრილში 1.

საქართველოს კორპორაციული სექტორის (მსხვილი საწარმოები) მუშაობის მაჩვენებლები 2010-2014 წლებში [3, გვ. 25, 26, 38, 49, 72, 85, 127, 133]

№	მაჩვენებლები	2009	2014	დინამიკა 2014 წელი %-ად 2010 წელთან
1	რეგისტრირებულ საწარმოთა რაოდენობა (ერთეული)	1876	2178	116.1
2	ბრუნვა (მლნ ლარი)	17136.9	41042.0	240.0
3	პროდუქციის გამოშვება (მლნ ლარი)	8970.3	20901.8	233.0
4	დამატებული ღირებულება (მლნ ლარი)	4442.9	10138.4	228.2
5	ხარჯები (მლნ ლარი)	15734.9	37861.6	240.6
6	ფინანსური შედეგი (+მოგება, - ზარალი) (მლნ ლარი)	1139.6	2507.6	220.1
7	დასაქმებულთა რიცხვი (კაცი)	223178	332731	149.1
8	ძირითადი კაპიტალი (მლნ ლარი)	10048.5	18683.1	185.9
9	შრომის მწარმოებლურობა (ლარი)	40193	62819	156.3
10	კაპიტალ-აღჭურვა (ლარი)	45024	56200	124.8

ცხრილში მოცემული ინფორმაციით ირკვევა, რომ 2009 წელთან შედარებით, 2014 წელს კორპორაციათა რიცხვი საქართველოში 302 ერთეულით, ანუ 16.1%-ით არის გაზრდილი, ბრუნვა და პროდუქციის გამოშვება გაზრდილია შესაბამისად 2.4-ჯერ და 2.3-ჯერ, დამატებული ღირებულება და ხარჯებიც შესაბამისად, 2.3-ჯერ და 2.4-ჯერ, ხოლო მოგება 2.2-ჯერ. რაც შეეხება დასაქმებულთა რიცხვს, იგი გაზრდილია 49.1%-ით, ძირითადი კაპიტალი 85.9%-ით, შრომის მწარმოებლურობა 56.3%-ით, ხოლო შრომის კაპიტალ-აღჭურვა 24.8%-ით.

მაშასადამე, 6 წლის განმავლობაში საქართველოს კორპორაციულ სექტორს განვითარებაში არც ერთი ჩავარდნა და შეფერხება არ ჰქონია, იგი მუდმივად იზრდებოდა და ვითარდებოდა. მეტიც, ამ პერიოდში, ხარჯების ზრდის მიუხედავად, იზრდებოდა მისი შემოსავალიც არა მხოლოდ მთლიანი მოცულობით, არამედ ერთ კორპორაციაზე ანგარიშითაც. თუ 2009 წელს საშუალოდ ერთი კორპორაცია იღებდა 607462 ლარ მოგებას, 2014 წელს ეს მაჩვენებელი 1151331 ლარს, ანუ ერთ მილიონზე მეტს გაუტოლდა. დაგვეთანხმებით, ეს დიდი წარმატებაა.

იმის გასაგებად, თუ კორპორაციულ სექტორს რა ხვედრითი წილი უკავია ქვეყანაში წარმოებულ მთლიან შიდა პროდუქტში, დარეგისტრირებულ საწარმოთა რიცხვში, დასაქმებასა და დამატებულ ღირებულებაში, ჩვენ ვიანგარიშეთ ეს მაჩვენებლები და წარმოვადგინეთ ცხრილი 2.

კორპორაციული სექტორის წილი საქართველოს მთლიან შიდა პროდუქტში, დასაქმებასა და დამატებულ ღირებულებაში 2014 წელს [3, გვ. 25, 38, 49, 109]

№		მთლიანად საქართველოში	მ. შ. კორპორაციულ სექტორში	კორპორაციული სექტორის ხვ. წილი (%)
1	პროდუქციისა და მომსახურების მოცულობა (მლნ ლარი)	26068.6	20901.8	80.2
2	დასაქმებულთა რიცხვი (კაცი)	592147	332731	56.2
3	დამატებული ღირებულება (მლნ ლარი)	12849.5	10138.4	78.9
4	დარეგისტრირებულ საწარმოთა რიცხვი (ერთეული)	553359	2178	0.4

ცხრილის მონაცემებით ირკვევა, რომ საქართველოში დარეგისტრირებულ საწარმოთა საერთო რიცხვში მსხვილ საწარმოებს უკავია მხოლოდ 0.4%. ამის მიუხედავად, ისინი ასაქმებენ დასაქმებულთა საერთო რაოდენობის 56.2%-ს და ქმნიან პროდუქციის და მომსახურების 80.2%-ს და დამატებული ღირებულების 78.9%-ს. მთლიანად მსოფლიოში 60 მლნ საწარმო არის დარეგისტრირებული და აქედან 10%-ია კორპორაცია ანუ მსხვილი საწარმო, მაგრამ ისინი აწარმოებენ მსოფლიოს მთლიანი შიდა პროდუქციის 50%-ზე მეტს [1, გვ. 66].

ამ ფონზე ისმება ასეთი კითხვა: საქართველოს კორპორაციული სექტორი უკეთ მუშაობს თუ საშუალოდ მთელი მსოფლიოს კორპორაციული სექტორი? რადგან საქართველოს კორპორაციები ქმნიან მთლიანი შიდა პროდუქტის 80.2%-ს ისეთ პირობებში, როცა მათი წილი დარეგისტრირებულ საწარმოთა საერთო რიცხვში მხოლოდ 0.4%-ია, რაღა თქმა უნდა, უპირატესობა მათ მხარეზეა. მაგრამ ეს ყველაფერი არ ნიშნავს, რომ საქართველოს კორპორაციულ სექტორში ყველაფერი რიგზეა. საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია IFC-მა ჯერ 2004 წელს ჩაატარა კვლევა და შემდეგ 2008 წელს საქართველოს 150 სააქციო საზოგადოებაში. ბოლო გამოკვლევით მან დაადგინა, რომ სასურველი ცვლილებები აღმოჩნდა კორპორაციული მართვის შესახებ ცოდნასა და ერთგულებაში. კვლევამ ასევე გამოავლინა პროგრესი კორპორაციული მართვის ძირითად კომპონენტებში, ისეთებში,

როგორცია: სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორატის პრაქტიკა, აქციონერთა უფლებები, ფინანსები, ანგარიშგება და ინფორმაციის გამჟღავნება [4, გვ. 8]. მაგრამ მომხდარი პროგრესი მაინც არ არის საკმარისი. კორპორაციული მართვის მთელ რიგ საკითხებში არსებობს დარღვევები და მათ მოგვარება სჭირდება. ასეთებია:

1. **კონცენტრირებული მფლობელობა.** 90-იანი წლების დასაწყისში გვხვდებოდა შედარებით დისპერსიული მფლობელობის სტრუქტურა. მეორე მხრივ, კომპანიების უმრავლესობაში აქციების გადაცემა მეორად ბაზარზე განაპირობებდა მფლობელობის კონცენტრირებას აქციონერთა მცირე ჯგუფის – ძირითადად კომპანიების ყოფილი დირექტორების ხელში. ბევრ ქართულ კომპანიას ამჟამადაც აკონტროლებს აქციონერთა მცირე ჯგუფი. ასეთი კონცენტრირებული მფლობელობის სტრუქტურა არღვევს მცირე აქციონერთა უფლებებს.

2. **მფლობელობისა და კონტროლის ბაზოზა.** მაკონტროლებელი აქციონერების უმრავლესობა ისევე მოქმედებს, როგორც კომპანიის გენერალური დირექტორი და სამეთვალყურეო საბჭოშია წარმოდგენილი. იმ კომპანიებსაც კი, რომლებიც ერთმანეთისაგან გამოყოფენ მფლობელებს და კონტროლს, ხშირად ეს მხოლოდ ქაღალდზე აქვთ დაწერილი. ასეთ კომპანიებს, როგორც წესი, აქვთ ანგარიშგაღებულულებებისა და კონტროლის სუსტი სტრუქტურები. მაკონტროლებელი აქციონერების უმრავლესობა ზედამხედველობას უწევს საკუთარ თავს დირექტორის და სამეთვალყურეო საბჭოს წევრის როლში.

3. **მოუხველი კოლდინგური სტრუქტურები.** დარგების უმრავლესობაში ძირითადი ბიზნესჯგუფები კოლდინგური სტრუქტურების სახით აკონტროლებენ კომპანიებს. მიუხედავად იმისა, რომ კოლდინგური სტრუქტურები შეიძლება ემსახურებოდნენ სამართლებრივ მიზნებს, კომპლექსურ ბიზნესსტრუქტურებს, აქციების ჯვარედინ მფლობელობას, პირამიდის სტრუქტურებს და სხვა მექანიზმებს, მას შეუძლია მფლობელობის ბუნდოვანი სისტემის შექმნა, რის გამოც კომპანია რთულად გასაგები ხდება აქციონერებისათვის.

4. **ბამოუცდელი და არააღმავატი კორპორაციული ორბანოები.** 1994 წლის კანონმდებლობით, კორპორაციებს მკაცრად ევალებოდათ სამეთვალყურეო საბჭოსა და აღმასრულებელი საბჭოს არსებობა. 2008 წელს კანონში „მეწარმეთა შესახებ“ სამეთვალყურეო საბჭოს არსებობა სავალდებულო გახდა მხოლოდ რამდენიმე შემთხვევაში. ყველა სხვა შემთხვევაში კომპანიამ თვითონ უნდა გადაწყვიტოს, შექმნას თუ არა სამეთვალყურეო საბჭო. გარდა ამისა, თუ კომპანიის წესდება ამის საშუალებას იძლევა, დირექტორები შეიძლება იყვნენ სამეთვალყურეო საბჭოს წევრებიც. ეს ის პირობაა, რომლის დროსაც დირექტორი, როგორც სამეთვალყურეო საბჭოს წევრი, კონტროლს უწევს დირექტორის როლში თავის საქმიანობას. ცხადია, ასეთი კორპორაციული ორბანოები არც დამოუკიდებელი არიან და არც სიცოცხლისუნარიანნი.

5. **სამართლებრივი და მარეგულირებელი ბაზა.** საქართველოს კორპორაციული მართვის სამართლებრივი ბაზა ჩამოყალიბების სტადიაშია. მართალია, არსებობს რამდენიმე ნორმატიული დოკუმენტი, მაგრამ ეს საკმარისი არ არის. სწორედ ამიტომ არის მთელი რიგი დარღვევები ქართულ კორპორაციათა მართვაში. მაგალითად, სამეთვალყურეო საბჭოს წევრების შრომის ანაზღაურების სიდიდეს უნდა განსაზღვრავდეს საერთო კრება, ფაქტობრივად, კომპანიათა 50%-ში მათი შრომის ანაზღაურება ფიქსირებულია. დივიდენდების გაცემის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილება უნდა მიიღოს აქციონერთა საერთო კრებამ სამეთვალყურეო საბჭოს და დირექტორატის რეკომენდაციების საფუძველზე, სინამდვილეში, ქართული კომპანიების 8%-ში ამას იღებს დირექტორთა საბჭო, 53.3%-ში სამეთვალყურეო საბჭო და მხოლოდ 40.7%-ში საერთო კრება. კომპანიაში კაპიტალის გაზრდის გადაწყვეტილება კანონით უნდა მიიღოს აქციონერთა კრებამ, გამოკვლევამ კი დაადგინა, რომ კომპანიათა 50.7%-ში ამ გადაწყვეტილებას იღებს სამეთვალყურეო საბჭო და ა. შ. [4, გვ. 34, 89, 102].

IFC-ის გამოკვლევებით ისიც დადგენილია, რომ საქართველოს კომპანიების მხოლოდ 50%-შია ხელმისაწვდომი აქციონერების მიერ ბალანსის გაცნობა, 41.3%-ში – მოგება-ზარალის ანგარიშის გაცნობა, 25.3%-ში – კაპიტალში ცვლილებების გაცნობა, 19.3%-ში აქციათა საკონტროლო პაკეტის მფლობელ აქციონერთა ვინაობის გაცნობა, 16-18%-ში დირექტორების და სამეთვალყურეო საბჭოს წევრების შრომის ანაზღაურების გაცნობა და ა. შ. [4, გვ. 51]. ამის გარდა, დარღვევებია ინფორმაციის საჯაროობაში, გარიგებების დადებაში, აუდიტის კომიტეტის შექმნაში და მრავალი სხვა.

პრობლემები, რაღა თქმა უნდა, საზღვარგარეთის კომპანიებშიც აქვთ, მაგრამ ჩვენთან ეს პრობლემები მეტია. ამას, ალბათ, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის სიახლეც და მისდამი მოუმზადებლობაც უწყობს ხელს. კვლავაც გრძელდება საბჭოური სინდრომი – ნათესავების და მეგობრების მიღება სამსახურში, გარიგებების დადება და ქონების შექმნა სხვისი სახელით და მრავალი სხვა. ყოველივე ამის აღმოფხვრა იოლი არ არის, ამას დროც სჭირდება და მოწესრიგებული სამართლებრივ-მარეგულირებელი ბაზაც.

იმ ფაქტორების რიცხვში, რომლებიც ხელს უშლის კორპორაციული მართვის სრულყოფას, ქართული კომპანიები, პირველ რიგში, ასახელებენ ფინანსური სახსრების ნაკლებობას, ინფორმაციის და ცოდნის ნაკლებობას და კვალიფიციური სპეციალისტების დეფიციტს [4, გვ. 15]. ჩვენ ვეთანხმებით კომპანიათა მესვეურებს მეორე და მესამე მიზეზების რეალობაში, მაგრამ არ ვეთანხმებით პირველ მიზეზში, რადგან ჩვენ ვფიქრობთ, რომ ფინანსური სახსრების ნაკლებობა არ უნდა

უშლიდეს ამ საქმეს ხელს, რადგან ამ მიმართულებით საქართველოს ახალმა მთავრობამ აამუშავა რამდენიმე პროგრამა – „იაფი კრედიტი“, „აწარმოე საქართველოში“ და სხვა, რომლებითაც მეტად გამარტივდა კომპანიების წვდომა ფინანსებზე.

გამოყენებული ლიტერატურა

1. თედევი ი., კორპორაციები და მათი ადგილი თანამედროვე ეკონომიკაში, ჟ. „ეკონომიკა“, №7-9, 2015.
2. საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“, თბ., 2013.
3. „მეწარმეობა საქართველოში“, სტატისტიკური პუბლიკაცია, თბ., 2015.
4. კორპორაციული მართვის კვლევა საქართველოს კომპანიებში, საერთაშორისო საფინანსო კომპანია – IFC, თბ., 2008.

Salome Jinjolia

CORPORATE SECTOR OF GEORGIAN ECONOMY: EFFECTS AND CHALLENGES OF ITS DEVELOPMENT Annotation

The presented article analyses the indicators of functioning of the Georgian corporate sector and their share in all indicators of the economy. Functioning of the corporate world is positive by evaluated as far as total number of the corporations occupies 0.4% of the total number of enterprises and 80% of the total production and service.

The article also discusses the weaknesses of the Georgian corporate sector, in particular, legal dimensions of the corporate governance. The author offers her viewpoints with regard to these weaknesses and suggests ways of improving them.

კონფერენციის მონაწილეები

1. **აბუსაძე რამაზ** – ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორი
2. **აბუსაძე შაპ** – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის უფროსი მასწავლებელი, ინჟინერიის დოქტორი ინფორმატიკაში
3. **აბრალავა ანზორ** – ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
4. **АЛИЕВА РАМИЛЯ ВАЛИДОВНА** – Докторант Академии Государственного Управления при Президенте Азербайджанской Республики (Азербайджан)
5. **АМРЕНОВА АСЕМ ЖАНАТОВНА** – Магистр экономических наук, Университет международного бизнеса (г. Алматы, Казахстан)
6. **АННАКУЛИЕВА ГУЛЬНАРА АТАЕВНА** – Кандидат экономических наук, доцент Университета Международного Бизнеса (г. Алматы, Казахстан)
7. **არმაზაძე ნანუში** – ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგე
8. **არნანია-კეკელიძე თამილა** – ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, ფილოსოფიის აკადემიური დოქტორი, აკაკი წერეთლის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი (საქართველო)
9. **АРУМОВА ЕВГЕНИЯ СЕРГЕЕВНА** – Кандидат экономических наук, доцент, Кубанский государственный университет (г. Краснодар, Россия)
10. **ასათიანი როზმეტა** – ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერ-კონსულტანტი
11. **ასლანაშვილი ღაზით** – თსუ ასისტენტ პროფესორი
12. **АТАМАСЬ ЕВГЕНИЯ ВЛАДИМИРОВНА** – Кандидат экономических наук, доцент, Кубанский государственный университет (г. Краснодар, Россия)
13. **არეაშვილი ნუნუ** – ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასისტენტ პროფესორი
14. **ბაბრატიონი თეონა** – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი
15. **ბარბაქაძე ხათუნა** – თსუ ასოცირებული პროფესორი
16. **ბახტაძე მიროზა** – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი
17. **БЕЛОВА ЛЮДМИЛА ВЛАДИМИРОВНА** – Кандидат экономических наук, доцент, Самарский государственный экономический университет (Россия)
18. **БЕЛЯЕВА ЕЛЕНА АЛЕКСАНДРОВНА** – Кандидат экономических наук, доцент, Кубанский государственный университет (г. Краснодар, Россия)
19. **ბერიშვილი ხათუნა** – ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, თსუ ასოცირებული პროფესორი
20. **ბერიძე ლაშა** – აკაკი წერეთლის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი
21. **БЕРКИМБАЕВА САУЛЕ БАУБЕКОВНА** – Кандидат физико-математических наук, Университет Международного Бизнеса (г. Алматы, Казахстан)
22. **ბერეაშვილი ბაჰარ** – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი
23. **ბერუღავა ბიორბი** – ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგე
24. **БИБАТЫРОВА ИЗТЕЛЕУ АЙДАРХАНОВНА** – Кандидат экономических наук, профессор Университета Международного Бизнеса (г. Алматы, Казахстан)
25. **ბიბილაშვილი ღია** – გორის სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
26. **ბიბილაშვილი ნანა** – ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგე
27. **БИТАРОВА МАРИЯ АНАТОЛЬЕВНА** – Директор научно-технологического парка «Университет» Кубанского государственного университета (Россия)
28. **ბიძინაშვილი ღაზით** – ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, გორის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი
29. **ბრეგვაძე ბიორბი** – ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი
30. **ბუჩქელი ვახტანგ** – ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგე
31. **ბაბადაძე ივოლდა** – ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
32. **ბამსახურია თამაზ** – ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, აკაკი წერეთლის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
33. **ГАДЖИЕВ ФАЗИЛЬ** – Доктор экономических наук, доцент Азербайджанского Государственного Экономического Университета (Азербайджан)
34. **ბელაშვილი მაღონა** – ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
35. **ბელაშვილი ნინო** – თსუ ბაკალავრიატის სტუდენტი
36. **ბელაშვილი სიმონ** – ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, თსუ პროფესორი
37. **ბვარამია ნაზი** – სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
38. **ბობიაშვილი შალვა** – ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, თსუ ასოცირებული პროფესორი
39. **ბობიაშვილი მიხეილ** – კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის დოქტორანტი
40. **ბობისვანიძე ვახტანგ** – ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეული სპეციალისტი

41. **ბოგოზია თეიმურაზ** – სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი, თსუ პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი
42. **ბორბასლიძე მამბი** – ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, აკაკი წერეთლის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
43. **დავლათაძე ნატა** – ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი
44. **დათუნაშვილი ლინა** – ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი, თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი
45. **დავითაძე თამარ** – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი
46. **დარჩიაშვილი ნიკოლოზ** – ეკონომიკის მაგისტრი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
47. **დვალაშვილი ლია** – თსუ პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი
48. **დუღაშვილი თამარ** – ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
49. **ДУЗБАЕВА РАХИЛА МУХАМЕДИЕВНА** – Кандидат педагогических наук, доцент Университета Международного Бизнеса (г. Алматы, Казахстан)
50. **ელიაშვილი ლია** – ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, პროფესორი
51. **ელგენდარაშვილი ცირა** – ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
52. **ერგუშიძე ალექსანდრე** – თსუ დოქტორანტი
53. **ერქომაიშვილი გულნაზ** – ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, თსუ ასოცირებული პროფესორი
54. **ვარდიანიშვილი მარიამ** – ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, თსუ ასისტენტ პროფესორი
55. **ვაშაყმაძე დინა** – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი
56. **ვერუჯაძე თინათინ** – მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი
57. **ვერუჯიძე ვაჟა** – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი
58. **თაფლაძე თამარ** – თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი
59. **თეთრაული გიორგი** – თსუ დოქტორანტი
60. **თეთრაული ციციბინო** – თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი
61. **თოდუა ხათუნა** – ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი, აკაკი წერეთლის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
62. **ИСАЕВ СОХРАБ** – Доктор философии по экономике, доцент, Азербайджанский Государственный Экономический Университет (Азербайджан)
63. **კავთიძე ელზარ** – ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
64. **კაკაბაძე ვაჟა** – ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, პროფესორი, საქართველოს საინჟინრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი
65. **კაკაშვილი ნატო** – ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, თსუ პროფესორი
66. **კაკუღია ეთერ** – ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის სრული პროფესორი
67. **კაკუღია ნახორა** – ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, თსუ ასოცირებული პროფესორი
68. **КАЛИКОВ МАКСАТ АБЛАХАТОВИЧ** – Магистр экономических наук, Университет международного бизнеса (г. Алматы, Казахстан)
69. **კახნიაშვილი ნათია** – თსუ ასისტენტ პროფესორი
70. **კახნიაშვილი ჯემალი** – ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, თსუ პროფესორი
71. **კეკელიძე გიორგი** – აკაკი წერეთლის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი
72. **კვარაცხელია მურმან** – ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი
73. **კვინიაძე გიორგი** – გეოგრაფიის დოქტორი, თსუ ასისტენტ პროფესორი
74. **კირვალიძე ნანა** – ეკონომიკის აკადემიური დოქტორი
75. **კიწმარაშვილი ქეთევან** – ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
76. **კოპიაძე ქეთევან** – ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
77. **კონჯარია ელგუჯა** – ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, გრიგოლ ხვინციას ზუგდიდის სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
78. **კოდუა ირაკლი** – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი
79. **КУЖЕЛЬ ВЯЧЕСЛАВ НИКОЛАЕВИЧ** – Кандидат экономических наук, доцент, Киевский национальный экономический университет имени Вадима Гетьмана (Украина)
80. **КУЖЕЛЬ МАРИНА ЮРЬЕВНА** – Кандидат экономических наук, доцент, Киевский национальный экономический университет имени Вадима Гетьмана (Украина)
81. **კურატაშვილი ალფრედ** – ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგე
82. **КУЦЕНКО ВЛАДИМИР ИОСИФОВИЧ** – Кандидат технических наук, доцент, кафедра экономики и управления предприятием, Днепрпетровский национальный университет имени Олеся Гончара (Украина)
83. **ლაბილაშვილი ლევან** – დოქტორანტი
84. **ლაზარაშვილი თეა** – ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგე
85. **ლაზარიაშვილი თამარ** – თსუ ასისტენტ პროფესორი

86. ლოპხანიძე მანანა – თსუ ასისტენტ პროფესორი
87. ЛУКИЯН ИВАН – Доктор экономических наук, доцент, Международный Институт Менеджмента ИМИ-НОВА (Молдова)
88. მახრაძევილი დავი – ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
89. მასიურაძე მარინა – ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, თსუ ასოცირებული პროფესორი
90. მასიურაძე ნანა – ეკონომიკის აკადემიური დოქტორი
91. МАКЕНОВА ГУЛЬСИМ УАЛИХАНОВНА – Магистр экономических наук, Ст. преподаватель Университета международного бизнеса (г. Алматы, Казахстан)
92. მამულაშვილი ლეილა – ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი
93. მასუაშვილი იოსებ – ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ინოვაციური მენეჯმენტის ცენტრის ხელმძღვანელი
94. МАХМЕТОВА АНАР МУСАЕВНА – Кандидат технических наук, доцент Университета Международного Бизнеса (г. Алматы, Казахстан)
95. მდინარაძე ქეთევან – ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
96. მელაშვილი მამია – თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი
97. მენაბდიშვილი ლევა – ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტის მკვლევარი
98. მენაბდიშვილი ნინო – ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტის მკვლევარი
99. МЕНДИГАЛИЕВ КАИРЖАН ЕРМЕКОВИЧ – Проректор по социальному развитию Университета Международного Бизнеса (г. Алматы, Казахстан)
100. მესხორაძე თამთა – თსუ დოქტორანტი
101. მემვაბიშვილი ელგუჯა – ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, თსუ სრული პროფესორი
102. მიულერი დიტრიხ – ეკონომიკის მაგისტრი
103. მიქელაშვილი მერაბ – ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, საქართველოს ბიზნესის აკადემიის ასოცირებული პროფესორი
104. მიქელაძე ბიორბი – თსუ დოქტორანტი
105. მოლაშხია ირმა – ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი ასისტენტ პროფესორი
106. მუჩიაშვილი მარინა – თსუ ასოცირებული პროფესორი
107. ნათელაური იზა – ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგე, თსუ ასოცირებული პროფესორი
108. ნარიშკინიშვილი ვიქტორ – ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
109. ნოზაძე ზურაბ – თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი
110. НОСОВА ОЛЬГА ВАЛЕНТИНОВНА – Доктор экономических наук, профессор (г. Харьков, Украина)
111. НУРГАЛИЕВА КУРАЛАЙ ОРАЗГАЛИЕВНА – Кандидат экономических наук, доцент Университета Международного Бизнеса (г. Алматы, Казахстан)
112. НУРМАГАМБЕТОВА ГУЛИЯ – Ст. преподаватель Университета «Нархоз» (г. Алматы, Казахстан)
113. ომაძე შრისტიანი – ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი
114. ონიანი იულია – ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, აკაკი წერეთლის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
115. ОНЮШЕВА ИРИНА ВАЛЕРЬЕВНА – Профессор, Региональная Академия Менеджмента, Университет Международного Бизнеса (г. Алматы, Казахстан)
116. ОРЕХОВА ИРИНА ВИКТОРОВНА – Студентка магистратуры Самарского государственного экономического университета (Россия)
117. ოძრეშვილიძე მარინა – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი
118. პაიჭაძე ნუზუარ – ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, თსუ ასოცირებული პროფესორი
119. პაპავა ვლადიმერ – ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი, თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი
120. პაპაშვილი ბიორბი – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი
121. ЖУСУПОВА ЖАНАТ МУХТАРОВНА – Докторант Университета Международного Бизнеса (г. Алматы, Казахстан)
122. რევიშვილი ზურაბ – ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი
123. როსტიანაშვილი თამარ – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
124. სამჯუაშვილი ნინო – ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
125. СЕИЛХАНОВ ЖАННУР КАЛДЫКАЛИЕВИЧ – Ст. преподаватель Университета международного бизнеса (г. Алматы, Казахстан)
126. სილაბაძე ანთონილი – ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, თსუ პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი
127. სილაბაძე ლევან – თსუ დოქტორანტი
128. სირბილაძე ბიძინა – აკაკი წერეთლის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი

129. სირბილაძე თაშილა – დოქტორანტი
130. სისვამე ილია (ახიძე) – ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი
131. СОБОЛЕВА ТАТЬЯНА АЛЕКСАНДРОВНА – Кандидат экономических наук, доцент, ГВУЗ «Киевский национальный экономический университет имени Вадима Гетьмана» (Украина)
132. სოსელია მარია – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
133. სოლოღაშვილი დავით – ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, აკაკი წერეთლის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი
134. СПАНОВ МАГБАТ УАРЫСБЕКОВИЧ – Доктор экономических наук, профессор Университета международного бизнеса (г. Алматы, Казахстан)
135. ტყემალაძე ირმა – თსუ დოქტორანტი
136. ტაბატაძე მარინა – თსუ პროფესორი
137. უფსიანი თეა – ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი
138. УСЕНОВА АНЕЛЬ САДИЛБЕКОВНА – Докторант Университета Международного Бизнеса (г. Алматы, Казахстан)
139. ზაჩუაძე ოლეგ – ეკონომიკის აკადემიური დოქტორი
140. ზესტყენიძე თეიმურაზ – აკაკი წერეთლის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
141. ზოღიაშვილი დავით – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მაგისტრანტი
142. ФИЛИП АНЖЕЛА – Доктор экономических наук, доцент, Государственный Университет Молдовы (Молдова)
143. ჭავთარაძე თენგიზ – ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი
144. ჭათამაძე გულიკო – ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
145. ჭათამაძე დავით – ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
146. ჭვალაძე ჭეთევან – ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი
147. ჭისტაური ნუნუ – ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი
148. ჭოქიაური ლამარა – ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
149. ღვებავაშვილი ნაირა – ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, თსუ მოწვეული პროფესორი
150. ღვებავაშვილი ლილია – ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, თსუ ასოცირებული პროფესორი
151. ზალამბერიძე ხათუნა – ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, აკაკი წერეთლის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
152. ზამზამა ასმათ – ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, წმინდა გრიგოლ ფერაძის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ასისტენტ პროფესორი
153. ზენბელია თეიმურაზ – ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, თსუ პროფესორი
154. ზენბელია ვატი – ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, გრიგოლ ხვიციას ზუგდიდის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი
155. ზინაშვილი ბიორბი – ეკონომიკის დოქტორი, თსუ ასოცირებული პროფესორი
156. ზონია დევი – ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, სოსუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
157. ЩЕГЛОВА МАРИНА ВЛАДИМИРОВНА – Магистр экономических наук, Ст. преподаватель Университета международного бизнеса (г. Алматы, Казахстан)
158. ჩიკვილაძე მიხეილ – ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, თსუ ასოცირებული პროფესორი
159. ჩიქოვანა მაღზაზ – ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, თსუ ასოცირებული პროფესორი
160. ჩიქოვანი ელენე – ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
161. ჩხეიძე თინა – სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე
162. ცეცელაძე ცირა – ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ პროფესორი
163. ცისკარიძე ბიბა – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი
164. ცუცქერიძე მარიამ – ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი
165. ჟებრეთელი ინეზა – ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
166. ჟუღიაია ანა – კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის დოქტორანტი
167. ჯანია მარია – ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, სოსუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი ასისტენტ პროფესორი
168. ჯილაძე ივოლდა – ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, თსუ ასოცირებული პროფესორი
169. ჯურაძე ბიორბი – თსუ დოქტორანტი
170. ხარაიშვილი ვიქტორ – ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, თსუ პროფესორი
171. ხარშილაძე ბიორბი – ეკონომიკის აკადემიური დოქტორი
172. ხარხელი მანანა – ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, თსუ ასისტენტ პროფესორი
173. ხაჩიძე მარიამ – კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის დოქტორანტი

174. **ხიზანიშვილი ვასილ** – სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი ეკონომიკაში, იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ პროფესორი
175. **ხოშტარია თორნიკე** – თსუ დოქტორანტი
176. **ხუტცია ლალი** – ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, თსუ ასისტენტ პროფესორი
177. **ხუცივაძე მამუკა** – ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგე
178. **ჯავახიშვილი რევაზ** – ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი
179. **ჯინჯოლია სალომე** – კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის დოქტორანტი

CONFERENCE PARTICIPANTS

1. **ABESADZE RAMAZ** – Doctor of Economic Sciences, Professor, Director of P. Gugushvili Institute of Economics of TSU
2. **ABESADZE EKA** – Senior Teacher of Georgian Technical University, Doctor of Engineering in Informatics
3. **ABRALAVA ANZOR** – Doctor of Economic Sciences, Professor
4. **ACHUASHVILI NUNU** – Doctor of Business Administration, Assistant Professor of Georgian Technical University
5. **ALIEVA RAMILYA** – PhD Student of The Academy of Public Administration under the President of the Republic of Azerbaijan (Azerbaijan)
6. **AMRENOVA ASSEM** – Master of Economic Sciences, University of International Business (Kazakhstan)
7. **ANNAKULIYEVA GULNARA** – Candidate of Economic Sciences, Docent University of International Business (Kazakhstan)
8. **AREVADZE NANULI** – Candidate of Economic Sciences, Chief of department of P. Gugushvili Institute of Economics of TSU
9. **ARNANIA-KEPULADZE TAMILA** – Academic Doctor of Economics, Academic Doctor of Philosophy, Full Professor of Akaki Tsereteli Kutaisi State University (Georgia)
10. **ARUMOVA EVGENIYA** – Candidate of Economic Sciences, Docent of Kuban State University (Russia)
11. **ASATIANI ROZETA** – Doctor of Economic Sciences, Professor, Scientific Consultant of P. Gugushvili Institute of Economics of TSU
12. **ASLANISHVILI DAVID** – Assistant Professor of Ivane Javakhishvili Tbilisi State University
13. **ATAMAS EVGENIYA** – Candidate of Economic Sciences, Docent of Kuban State University (Russia)
14. **BAGRATONI TEONA** – PhD Student of Georgian Technical University
15. **BAKHTADZE MIRZA** – PhD Student of Batumi Shota Rustaveli State University
16. **BARBAKADZE KHATUNA** – Associated Professor of Ivane Javakhishvili Tbilisi State University
17. **BELOVA LYUDMILA** – Candidate of Economic Sciences, Docent of Samara State University of Economics (Russia)
18. **BELYAEVA ELENA** – Candidate of Economic Sciences, Docent of Kuban State University (Russia)
19. **BERIDZE LASHA** – PhD Student of Akaki Tsereteli Kutaisi State University
20. **BERISHVILI KHATUNA** – Academic Doctor of Economics, Associated Professor of Ivane Javakhishvili Tbilisi State University
21. **BERKIMBAYEVA SAULE** – Candidate of Physico-Mathematical Sciences, University of International Business (Kazakhstan)
22. **BERUASHVILI BAKAR** – PhD Student of Georgian Technical University
23. **BERULAVA GEORGE** – Doctor of Economic Sciences, Professor, Chief of department of P. Gugushvili Institute of Economics of TSU
24. **BIBATIROVA IZTELEU** – Candidate of Economic Sciences, Professor of University of International Business (Kazakhstan)
25. **BIBILASHVILI LIA** – Associated Professor of Gori Teaching University
26. **BIBILASHVILI NANA** – Candidate of Economic Sciences, Chief of department of P. Gugushvili Institute of Economics of TSU
27. **BIDZINASHVILI DAVID** – Academic Doctor of Economics, Professor of Gori Teaching University
28. **BITAROVA MARIYA** – Director of scientific-technological park “University” of Kuban State University (Russia)
29. **BREGVADZE GEORGE** – Academic Doctor of Economics, Researcher of P. Gugushvili Institute of Economics of TSU
30. **BURDULI VAKHTANG** – Doctor of Economic Sciences, Professor, Chief of department of P. Gugushvili Institute of Economics of TSU
31. **CHANIA MAIA** – Academic Doctor of Economics, Assistant Professor of Sokhumi State University
32. **CHIKOBAVA MALKHAZ** – Academic Doctor of Economics, Associated Professor of Ivane Javakhishvili Tbilisi State University
33. **CHIKOVANI ELENE** – Academic Doctor of Economics, Associated Professor of Tbilisi Open Teaching University
34. **CHIKVILADZE MIKHEIL** – Academic Doctor of Economics, Associated Professor of Ivane Javakhishvili Tbilisi State University
35. **CHILADZE IZOLDA** – Academic Doctor of Economics, Associated Professor of Ivane Javakhishvili Tbilisi State University
36. **CHKHEIDZE TINA** – Doctor of Agricultural Sciences, Professor, Chairman of Scientific Council of P. Gugushvili Institute of Economics of TSU
37. **CHSHEGLOVA MARINA** – Master of Economic Sciences, Senior Teacher of University of International Business (Kazakhstan)
38. **CHURADZE GIORGI** – PhD Student of Ivane Javakhishvili Tbilisi State University
39. **DARCHIASHVILI NIKOLOZ** – Master of Economics, Ilia State University
40. **DATUNASHVILI LINA** – Candidate of Economic Sciences, Docent, Senior Researcher of P. Gugushvili Institute of Economics of TSU
41. **DAVITADZE TAMAR** – Student of Batumi Shota Rustaveli State University
42. **DAVLASHERIDZE NATA** – Candidate of Economic Sciences, Researcher of P. Gugushvili Institute of Economics of TSU
43. **DUDAURI TAMAR** – Academic Doctor of Economics, Associated Professor of Caucasus International University
44. **DUZBAYEVA RAKHILA** – Candidate of Pedagogic Sciences, docent of University of International Business (Kazakhstan)
45. **DVALISHVILI LIA** – Researcher of P. Gugushvili Institute of Economics of TSU
46. **ELGENDARASHVILI TSIRA** – Doctor of Business Administration, Associated Professor of Georgian Technical University
47. **ELIAVA LIA** – Academic Doctor of Economics, Professor
48. **ERGESHIDZE ALEXANDER** – PhD Student of Ivane Javakhishvili Tbilisi State University
49. **ERKOMAISHVILI GULNAZI** – Academic Doctor of Economics, Associated Professor of Ivane Javakhishvili Tbilisi State University
50. **FILIP ANGELA** – Doctor of Economic Sciences, Docent, Moldova State University (Moldova)
51. **GABADADZE IZOLDA** – Academic Doctor of Economics, Associated Professor of Akaki Tsereteli Kutaisi State University
52. **GAJIEV FAZIL** – Doctor of Economic Sciences, Docent of Azerbaijan State Economic University (Azerbaijan)

53. **GAMSAKHURDIA TAMAZ** – Doctor of Economic Sciences, Associated Professor of Akaki Tsereteli Kutaisi State University
54. **GELASHVILI MADONA** – Academic Doctor of Economics, Associated Professor of Sokhumi State University
55. **GELASHVILI NINO** – Undergraduate Student of Ivane Javakhishvili Tbilisi State University
56. **GELASHVILI SIMON** – Doctor of Economic Sciences, Professor of Ivane Javakhishvili Tbilisi State University
57. **GHUDUSHAURI LEILA** – Academic Doctor of Economics, Associated Professor of Ivane Javakhishvili Tbilisi State University
58. **GHVEDASHVILI NAIRA** – Candidate of Economic Sciences, Visiting Professor of Ivane Javakhishvili Tbilisi State University
59. **GOGIASHVILI SHALVA** – Academic Doctor of Economics, Associated Professor of Ivane Javakhishvili Tbilisi State University
60. **GOGIASHVILI MIKHEIL** – PhD Student of Caucasus International University
61. **GOGISVANIDZE VAKHTANG** – Academic Doctor of Economics, Visiting Specialist of Akaki Tsereteli Kutaisi State University
62. **GOGOKHIA TEIMURAZ** – PhD Student of Sokhumi State University, Researcher of P. Gugushvili Institute of Economics of TSU
63. **GORGASLIDZE MEGI** – Academic Doctor of Economics, Associated Professor of Akaki Tsereteli Kutaisi State University
64. **GVARAMIA NAZI** – Associated Professor of Sokhumi State University
65. **ISAEV SOHRAB** – Doctor of Philosophy in Economics, Associated Professor of Azerbaijan State Economic University (Azerbaijan)
66. **JAVAKHISHVILI REVAZ** – Candidate of Economic Sciences, Senior Researcher of P. Gugushvili Institute of Economics of TSU
67. **JINJOLIA SALOME** – PhD Student of Caucasus International University
68. **KAKABADZE VAZHA** – Academic Doctor of Economics, Professor, Corresponding Member of Engineering Academy of Georgia
69. **KAKASHVILI NATO** – Academic Doctor of Economics, Professor of Ivane Javakhishvili Tbilisi State University
70. **KAKHNIASHVILI NATIA** – Assistant Professor of Ivane Javakhishvili Tbilisi State University
71. **KAKHNIASHVILI JEMAL** – Academic Doctor of Economics, Professor of Ivane Javakhishvili Tbilisi State University
72. **KAKULIA ETER** – Candidate of Economic Sciences, Senior Researcher of P. Gugushvili Institute of Economics of TSU, Full Professor of Tbilisi Open Teaching University
73. **KAKULIA NAZIRA** – Candidate of Economic Sciences, Associated Professor of Ivane Javakhishvili Tbilisi State University
74. **KALIKOV MAXAT** – Master of Economic Sciences, University of International Business (Kazakhstan)
75. **KATAMADZE DAVID** – Academic Doctor of Economics, Associated Professor of Batumi Shota Rustaveli State University
